აკაკი წერეთელი რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში

შეადგინა, წინასიტყვაობა, შესავალი წერილი,
კომენტარები და საძიებელი დაურთო
მზია გოშაძემ

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1985

83.3 Гр 1
899.962.092[წერეთელი აკ.]
ა 402

წიგნში თავმოყრილია აკაკი წერეთლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, ამოკრეფილი რევოლუციამდელი ქართული პერიოდული პრესის ფურცლებიდან, ნარკვევები და ცალკეული გამოცემები, რომლებიც ბროშურების სახით იბეჭდებოდა.

წიგნი განკუთვნილია ფილოლოგებისა და საკითხით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორები: პროფ. პრ. კეკელიძე
პროფ. ს. ხუციშვილი

რეცენზენტები: პროფ. აპ. მახარაძე
დოც. ს. უუბანეიშვილი

©თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1985

4603000000
М 608(06)85

წინასიტყვაობა

აკაკი წერეთლის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისადმი ინტერესი ქართველმა საზოგადოებრიობამ და ლიტერატურულმა კრიტიკამ მწერლის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გამოავლინა, რაც არ შენელებულა მისი გარდაცვალების შემდეგაც.

ამიტომ, პოეტის შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლისათვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გამოქვეყნებული ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. წინამდებარე კრებულში ეს მასალები ქრონოლოგიური პრინციპით არის წარმოდგენილი. (გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ არტურ ლაისტის წერილი „აკაკი წერეთელი". რომელიც მოგვიანებით გამოქვეყნდა, მაგრამ იგი აკაკი წერეთლის შემოქმედების განხილვის ადრეულ პერიოდს ეხება).

კრებულში მოთავსებული მასალები ამოკრებილია ჩვენი პერიოდული პრესის ფურცლებიდან. მასში შეტანილია აგრეთვე ცალკეული გამოცემები, რომლებიც პატარ-პატარა ბროშურების სახით ქვეყნდებოდა.

რადგან კრებული საკმაოდ დიდი მოცულობისა გამოვიდა, ამიტომ ზოგიერთი მათგანი აქ შეკუმშულად, შერჩევითაა გათვალისწინებული. შერჩევის დროს გამოტოვებულ მასალებს, ვფიქრობთ, არა აქვთ არსებითი ხასიათის მნიშვნელობა აკაკი წერეთლის შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით.

კრებულს ბოლოში დავურთეთ ძირითადი კომენტარები და საძიებელი, ხოლო საკმაოდ ცნობილი ტერმინებისა და გამონათქვამების კომენტირებისაგან თავი შევიკავეთ.

კრებულის შედგენისას ვხელმძღვანელობდით იმ პრინციპით, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის მიგვეწოდებინა ისეთი წიგნი, რომელიც აკაკი წერეთლის შემოქმედებისადმი რევოლუციამდელი ქართული ლიტერატურული კრიტიკის მიმართებას რამდენადმე ასახავდა. მიზნის მიღწევის განსჯა მკითხველისათვის მიგვეინდვია.

ავტორი სიამოვნებით მიიღებს ყოველგვარ საქმიან და სამართლიან შენიშვნას და გაითვალისწინებს მათ ამ კრებულის შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის საქმეში.

აკაკი წერეთელი რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში

აკაკი წერეთელმა ილია ჭავჭავაძესთან ერთად, 60 — იანი წლებიდან, ე. ი. ჭაბუკობიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე, იტვირთა ძალზე მძიმე და საპასუხისმგებლო მისია ხელოვანისა და, ამავე დროს, ერის მოძღვრისა, ქართველი ხალხის ინტერესების ფხიზელი გუშაგისა და დიდი მოამაგისა. ამ დიდი ტვირთის სიმძიმის ქვეშ ერთი წამითაც არ მოხრილა და ლამაზად,როგორც ეს რჩეულ ადამიანს, ერის გულის მესაიდუმლეს შეჰფერის, წმინდად დაიცვა ქართველი პოეტისა და მოღვაწის სახელი. სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა ის ფაქტი, რომ აკაკი წერეთელს სიცოცხლეშივე უწოდეს „საქართველოს უგვირგვინო მეფე“, „საქართველოს ბულბული“ და ა. შ. ეს და სხვა ამგვარი ლამაზი ეპითეტები იყო იმ დიდი სიყვარულის დადასტურება, რასაც ქართველი ხალხი იჩენდა ამ ჰეშმარიტად დიდი პოეტისადმი.

აკაკი წერეთელმა ხანგრძლივი და მღელვარე ცხოვრება განვლო. ცხოვრების ამ რთულ გზაზე, როგორც თვითონ ამბობს — „სიტკბოზედა მწარე მეტი დალია“, მაგრამ ერთი რამ ურყევი და უცვლელი დარჩა მის პიროვნებაში: მოწამეობრივი ერთგულება ერისა და ხელოვნებისადმი. აკაკი წერეთლის სახელი და შემოქმედება ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების უდიდესი სიამაყეა, იგი ხალხის მუდმივი თანამგზავრია და, ცხადია, დიდი მგოსანი თავისი ბრწყინვალე შემოქმედებით ჩვენი თანამედროვე და ქართველი ხალხის გენიის ჩაუქრობელი ჩირაღდანია.

ბევრი რამ არის ისეთი აკაკის შემოქმედებაში, რაც წარუვალია, რაც საზოგადოდ ჰეშმარიტ ადამიანურ სიფაქიზეს, სიწმინდეს, მშვენიერებას, სათნოებასა და ზნეობრივ ამაღლებულობას აზიარებს მკითხველს, სულიერ შვებას განაცდევინებს ყველა დროის ადამიანს... დიდი პოეტის მოღვაწეობის ყოველი ასპექტი, რაც გამოხატავს ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის პათოსს, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის კეთილშობილურ იდეალებს, სწორედ რომ აპირობებს და განსაზღვრავს იმ შეუნელებელი ინტერესის არსებობას, რასაც მკითხველი საზოგადოება და ლიტერატურული კრიტიკა იჩენდა და იჩენს მისი შემოქმედებისადმი. ამ შეხედულებათა და შეფასებათა თავმოყრა

და ანალიზი ქართული ლიტერატურისმცოდნეობის ფრიად აქტუალური პრობლემაა.

ხშირად მსჯელობენ ჰეშმარიტი ხელოვნების უკვდავებაზე, თუ ჩვენს სინამდვილეში რომელიმე ხელოვანზე ვიტყვით, რომ მის ნამოღვაწარს სიკვდილი არ უწერია, ეს, პირველ ყოვლისა, აკაკი წერეთელზე ითქმის. ამდენად, ბუნებრივია, საგულდაგულოდ შესწავლის ღირსია ის, თუ რამდენად და როგორ მოახერხა რევოლუციამდელმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ამ დიდი ქართველი პოეტის შემოქმედების შეფასება. უფრო ზუსტად, როგორ წარმოსდგება რევოლუციამდელი ლიტერატურული კრიტიკის შეფასება-დახასიათებით აკაკი წერეთელი დღევანდელი მკითხველის წინაშე.

ეს ამოცანა დღემდე არ იყო გადაწყვეტილი: არ იყო შეკრებილი და სათანადო მეცნიერული კომენტარებით გამოცემული აკაკის შემოქმედების შესახებ არსებული რევოლუციამდელი ქართული ლიტერატურო კრიტიკის მასალები, დღემდე მეცნიერულად არ გაანალიზებულა ისინი.

ჩვენი შრომის მიზანია აღნიშნული ხარვეზის შეძლებისდაგვარად შევსება. ერთის მხრივ, ვიკისრეთ მითითებული მასალების შეკრება, სისტემაში მოყვანა, ქრონოლოგიურად დალაგება და სათანადო კომენტარების დართვით მათი გამოქვეყნება, ხოლო, მეორეს მხრივ, მოვახდინეთ ამ მასალის მეცნიერული ანალიზი, რაც ცალკე გამოკვლევის სახით დაიბეჭდა სათაურით: „აკაკი წერეთელი და კრიტიკოსები“.

როგორც განსახილველად აღებული მასალის გათვალისწინებამ დაგვარწმუნა, აკაკი წერეთლისადმი რევოლუციამდელი ლიტერატურული კრიტიკის მიმართება რამდენადმე იცვლებოდა და ღრმავდებოდა გარკვეული დროის განმავლობაში. ამის კვალობაზედ, შეიძლება პირობითად დავაჯგუფოთ კიდეც აკაკი წერეთლის შემოქმედების განხილვის ეტაპები.

თავდაპირველად საყურადღებოა, როგორ შეხვდა ქართველი საზოგადოება და ლიტერატურული კრიტიკა აკაკი წერეთლის გამოჩენას სამწერლო ასპარეზზე. ქრონოლოგიურად ეს ემთხვევა მე-19 საუკუნის 60-იან წლებს.

ამ პერიოდში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შედარებით მცირე მასალა იყრის თავს. ეს განპირობებულია ორი გარემოებით: ჯერ ერთი, აკაკის ლიტერატურული ნიჭი მთელი სისრულით არაა გამოვლენილი, და მეორე, თვით ქართული ლიტერატურული კრიტიკის დონე ვერ გახლდათ იმ სიმაღლეზე, რომ მას შეძლებოდა მოეცა აკაკის თხზულებების საფუძვლიანი ანალიზი და განესაზღვრა მათი ღირებულება მომავლის თვალსაზრისით.

მეორე ეტაპად გამოვყავით 70-80-იანი წლების კრიტიკოსთა დამოკიდებულება აკაკი წერეთლის შემოქმედებისადმი.

ამ დროს აკაკი გამოჩენილი პოეტია და ქართული სალიტერატურო კრიტიკაც მომწიფებულია. გამოიკვეთა კვლევის მეთოდი და სერხები. სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა მაღალნიჭიერ კრიტიკოსთა პლეადა.

90-900-იანი წლები ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარების საყურადღებო ხანაა ჩვენს ცხოვრებაში. იგი, მიუხედავად ზოგიერთი სერიოზული ხარვეზებისა, კრიტიკული აზრის მნიშვნელოვანი აყვავების პერიოდია. აღნიშნული პერიოდის ქართული სალიტერატურო კრიტიკა მრავალ საინტერესო მასალას გვაწვდის აკაკის შემოქმედების შეფასებისას.

აკაკი წერეთლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის განხილვის თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას იმსახურებს დიდი პოეტის საიუბილეო — 1908 წელს გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები, ნარკვევები, სტატიები. ეს მასალები მთლიანადაა წარმოდგენილი წინამდებარე კრებულში.

1910 — 1917 წლები ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარების მხრივ მეტად მნიშვნელოვანი ხანაა. აკაკი წერეთლის იუბილემ და მის შემდეგ განვლილმა პერიოდმა თითქოს მეტი შესაძლებლობა შექმნა აკაკი წერეთლის ღვაწლის სათანადოდ დაფასებისათვის. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული ბევრი ნიჭიერი კრიტიკოსი ცდილობს ახლებურად გააშუქოს აკაკი წერეთლის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ნიშანდობლივი მხარეები. რასაკვირველია, აკაკი წერეთლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლისადმი აღძრული ეს ინტერესი ემყარება სათანადო მასალის სიუხვესა და კვლევის შედარებით მაღალ დონეს.

როგორც ირკვევა, აკაკისადმი ქართული კრიტიკის მიმართება იმთავითვე ემოციური ნიშნით იყო აღბეჭდილი. ამიტომაც გამოკვლევაში წარმოდგენილი მასალის განხილვიდან აშკარაა, რომ აკაკის თხზულებების დინჯ განხილვას ხშირად აღტაცების გამომხატველი შთაბეჭდილებები ენაცვლება. მაგრამ ერთი რამ მაინც მნიშვნელოვანია: მე-19 საუკუნის 60-იან წლებიდან 1917 წლამდე აკაკი წერეთლის შემოქმედების შეფასების პროცესში კრიტიკოსები ერთხმად აღიარებენ აკაკის გენიას, მისი დიდი ლირიკული სულის მღელვარებას, ყველაზე გამძლე და ძირითად მოტივად თვლიან პატრიოტულ გრძნობას, უდავო დამსახურებად მიაჩნიათ მისი შემოქმედების სოციალური მოტივის დიდი ღირებულება ჩვენს მწერლობაში. ამასთანავე, ქართულმა კრიტიკამ საგანგებო ყურადღება გაამახვილა აკაკის დიდ სატირულ ნიჭსა და მის იუმორისტულ ტალანტზე, საქართველოს ისტორიული წარსულისადმი პოეტის შემოქმედებითი მიმართების საკითხზე, დიდაქტიკური მოტივის თავისებურად გამოხატვაზე, განხილვის სფეროში მოექცა აკაკის დრამატული პოემები, მისი პროზა და პუბლიცისტიკა, ერთი სიტყვით, აკაკი წერეთლის შემოქ-

მედება ჯერ კიდევ დიდი მგოსნის სიცოცხლეშივე იქცა შეუნელებელი ინტერესის საგნად და ასე გრძელდება დღემდე. ამიტომაც, რაოდენ მცდარიც არ უნდა იყოს რევოლუციამდელ ქართველ კრიტიკოსთა ზოგიერთი მოსაზრება აკაკი წერეთლის შემოქმედების ამა თუ იმ საკითხზე. მათ იმდენი საკითხი აღძრეს და წამოჭრეს აკაკის თხზულებათა განხილვის დროს, რომ უდავოდ დიდი სამსახური გაუწიეს დღევანდელ მკვლევრებს. პოეტისადმი დიდი სიყვარულით, ღრმა ცოდნით, საქმიანი დამოკიდებულებითა და ბრწყინვალე კრიტიკული ნარკვევებით მათ შეამზადეს ნოყიერი ნიადაგი, რათა ჩვენს დროში კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად გაშლილიყო აკაკი წერეთლის შემოქმედების მეცნიერული შესწავლა.

მზია გოშაძე

გიორგი ბარათაშვილი (ბარათოვი)

წერილი რედაქტორთან

პოეტურ თხზულებას... „უნდა ჰქონდეს ძალა, რათა მსმენელზე იმოქმედოს ისე, როგორათაც სურს პოეტს... პოეტური თხზულება უნდა იყოს კეთილხმოვანი, რათა არა სტანჯავდნენ სმენას თავისას გაუთლელის ჯაყჯაყით...

აი ტაეპი უფ. წერეთლის ლექსიდგან,[1] როდესაც ქალი წამოდგება პერანგა ღამე და მივა ფანჯარასთან:

ჟურღულად პირდაპირ ფანჯერს
მოადგება, ავლებს თვალებს;
ავლებს, გული მაღლა უძგერს,
მკერდს პერანგი დაჰფართხალებს.

აი ნამდვილი პოეზია! გული გამეღო!

თ. გიორგი ბარათოვი

29-ს აპრილს 1861 წელსა.

გიორგი წერეთელი

„ცისკარს“ რა აკაკანებდა?

...აბა სად გვიჩვენა ის პლასტიკური გრძნობა, რომელიც გამოსჭვერს თ. რაფიელ ერისთავის[1] ზოგიერთ ლექსებში და ნამეტურ თ. გრიგოლ ორბელიანის[2], სწორედ ხალხურის ელემენტით სავსეს პოეტურს გრძნობებში, სადაც ასე აღტაცებით არის გამოყვანილი, თუ რას შეხარის ქართველის გული?...

...აბა თუ შეუნიშნავს კიდევაც „ცისკარს“[3] ის რომანტიული (?) მიდრეკილება, რომელიც ისმის თითქმის აკაკი წერეთლის ყოველ ლექსებში: „საყვარელო ალექსანდრა“ — დან „რუსეთუმეს“ სურათებამდინ“.

გ. — თელი

ქართული ლიტერატურა

რომელიმე ჩუქნი მწერლები საზოგადოთა მოამბის მიმართულებასა და რომელსამე იმის მწერლებზედ რამდენიმე სიტყვა.

...აი, მაგალითისათვის აიღეთ აკაკი წერეთლის ლექსები — რომელსაც „მოამბის!“ (ცენზურა) რეცენზენტი[2] ვერა ჰყურობს წყალობის თვალით, ნახეთ რამდენი უძალადეობა და მიმოხტრა აქუს, რამდენი მშვენიერება და ტაქტი აქუს; რა კოლორიტი და სიმაღლე, რამდენი ნიჭი სჩანს ავტორისა! აიღეთ ამის სატირული „აპპელაციის მცოდნე“, ამისი „მესტკრე“: რამდენს მაღალს და გონივრულს ირონიას იპოვით; რამდენი კაცის ცნობასა და ცოდნასა ნახავთ ავტორისასა; ან კიდევ აიღეთ ზოგიერთი ალაგები პოემიდან „რუსეთუმე“ (გარდა მამა და შვილისა, რომელშიაც ავტორი სტყუნობს თავის ნიჭსა და ვერ გვიჩვენებს სრულს იმ სურათს, რომელიც უნდა გამოსახულიყო ამ ორს პირში), აიღეთ ამისი „მუშური“, სადაც ამ გარმონიულს და მაღალს ლექსებში წარმოითქმის შიგ სიღრმიდამ საბატონო გლეხის გულის პასუხი და მწუხარება; ამისი დაფარული დრტვინვა და სატანჯველი და იმისი ნუგეში: რა რიგათ გაიტაცებს კაცს და ჩაახედებს უბედური გლეხის გულში; რა რიგათ აგრძნობინებს და მიაკერძებს თვთ უგრძნობელი კაცის გულსაცა. აქ ავტორი თითონ განზედა დგას და გიჩუქნებს: აი, რა ამბავია, რომ შენ, მკითხველო, ვერა ხედავო; აქ ავტორს სრულებით ვერ იცნობთ: თქუქნა ხედავთ თვთონ საგანსა და საქმესა, რომელი კაცი უნდა იყვეს, რომ ამ გლეხების სიტყვამ, რომელსაც ათქმევინებს წერეთელი „მუშურში“ „ნუთუ გულგრილათ უყურებს ჩვენს ტანჯვას მაცხოვარი!“ რომ არ შეურყიოს გრძნობა და არ აუდულოს გული?! აქ არ არის არც ის სანტიმენტალური წრიპინი, რომელსაც ჰხედავთ თქუქ ჭავჭავაძის „მუშაში“[3], არც არის ის ნაძალადეობა—არის სუმბუქათ, თარხნათ და გრძნობით წარმოთქმული. „მოამბის“ რეცენზენტი უწოდებს წერეთელს „რომანტიული“ მიდრეკილების მწერალს! მელნის ზღუდამშრობებო და საბრალო მჩხაბნაებო! როგორ გეყურებათ: რომანტიული მიდრეკილება რა არის? ჯერ უნდა გესმოდეთ ეს სიტყუა და მერმე წამოეჩხირით ჰავაქანთ პატარძალივითა! „მშუქნიერო ალექსანდრა“, რომელიც მოჰყავს მაგალითათ (ცენზურა) რეცენზენტს თავის საწინასწარმეტყველოში, როგორც რომანტიულის მიდრეკილებისა, სრულებით ცილია, ცილი იმისთანა, რომელსაც ინკვიზიციის აგენტებიც არ იკადრებენ. „მშუქნიერი ალექსანდრა“ არის გამომხატველი იმ წმინდა გულწრფელი აზრისა და გრძნობისა, რომელიც ყველა გრძნობა გაუცივებელის კაცისათუს მიუცილებელია; აქ არ არის იმ მომეტებული და გაზვადებული

ოცნებაები და ცნობის სიმთვრალე, რომელიც ეთქმის რომანტიულსა; აქ არის გრძნობა და გრძნობა ჰეშმარიტი, შეუშლელი და პოეტური. ერთი უმთავრესი ღირსებათაგანი პოეტისა არის ნიჭი კაცის გულისთქმისა და იმის შინაგანის ცხოვრებისა სურათულათ გამოსახვა, რომელიც წერეთელში ცხოვლათა სჩანს. გარდა ამისა, როგორც ეპიკოსი მოკლეს ლექსებში წერეთელი კიდევ შეუდარებელია ჩუენს მელექსეებში, წერეთლის ნიჭი იქნება ყოველთჳს მოძრაობაში, წარმატებაში და განვითარებაში, თუ პატრონი უბეჯითებს, შეიმუშავებს და მისცემს შესაფერის საზრდოსა. მაგრამ ამასაც კი ვიტყჳთ, რომ წერეთელი ვერ დასწერს ვრცელს პროზას და თუ დასწერს ჯიმშერიძეს[1] შორის დარჩება (ცენზურა)... ...ჩუენ დარწმუნებითა და ბეჯითად ვიტყჳით, რომ ჭავჭავაძე მოკლე ლექსების წერაში ისე დაბლა სდგას წერეთელზედ, როგორც კვერნაკი[5] იალბუზზედ[6]. ესეც კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუმცა არც წერეთელია ამცდარი იმასა, რომ განვლენა არა ჰქონდეს ამაზედ სხუა მწერლებსა; მაგრამ ეს იმ განვლენაზედ მაღლა დგება და თითონ ეს იხდის მონათ თავიზედ განვლენილს თხზულებასა და აძლევს თავის ძლიერებას, თავის ხასიათს, თავის ფორმებს, თავის გზასა.

ქერელი ბექა.

ღვიმელი (ალექსანდრე ცაგარელი)

ჩუენი დროების მწერლები

... ამ უკანასკნელ დროშიდ უ. ჩუბინაშვილმა[1] გამოსცა: „ქართული ქრესტომატია, ან გამოწერილნი სტატიები სხუათა და სხუათა ჩინებულთა მწერალთაგან". აი კიდევაც ეს წიგნი გვიჩვენებს ჩუბინაშვილის ხელოვნებას და გამგეობას ლიტერატურაშიდ...

...ამ ჩუენი დროის მწერლების ერთი ლექსიც არა აქუს დაბეჭდილი. მიჩვენოს უ. ჩუბინაშვილმა ორი მწერლის გარდა, რომელიც შეედრებოდეს უ. წერეთელს და ი. ჭავჭავაძეს? ეჭვი არ არის, რომ ვერც ერთი იმისაგან დაბეჭდილი ლექსი (ორი მწერლის გარდა) ვერ შეედრება წერეთლის და ჭავჭავაძის ლექსებს: იმაშიდაც ეჭვი არ არის, რომ ეს ორი ჩუენი მწერლები ისე ამაღლებულნი არიან წარსული საუკუნის მწერლებზედ ნიჭით და ტალანტით, როგორც მზე მიწიდგან. - მაშ, რამ აიძულა უ. ჩუბინაშვილს ამგვარი მოქმედება? თავის მოყვარებამ! იცით რა თავის მოყვარებამ? რადგან ორივე მწერლები იმის ხელის გულზედ გაიზარდნენ[2] და იმის „კოკოზა ხელიდგან" მეცნიერების და ტალანტის ნამყოფი გამოიტანეს, იმას სასირცხოდ მიაჩნდა, თუ როგორ უნდა დაიბეჭდოს თავის „ქრისტომატიაშიდ" ბავშვები მწერლების ლექსები...[3]

...შეადარეთ ეს ლექსები და თქვთ ცოტა გრძნობის მექონი ქართველიც დაინახავს, რომ თუ რა განსხვავებაა მათ შორის! მაგრამ პირველს ამ სამს პოეტებთაგანზედ კი ვიტყვი, რომ არა თუ ქართულ ლიტერატურაშიდ, რუსული ლიტერატურის პოეტებზედაც მაღლა დგას გენიით. ვიტყვი თამამად: პუშკინიც[1] და ლერმონტოვიც[2] შორს მოიტოვა.

20 აპრილი, 1865 წ. ღვიმელი

დიმიტრი ჯანაშვილი

მახე

„პირს — ფერობა, უკან ზრახვა არა თქმულა საფარსაგო,
პსჯობს ტყუილით ქვე ყოფასა ზე სიმართლით ავიბარგო;
ვაპის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო,
და მაზედ სული არ წაეწყმინდო რა გინდ ხორცით დავიდაგო-[1].
დავით გურამიშვილი[2].

...1865 წლის „ცისკრის“ ივლისის №-ში, ვიღაცა უფ. ღვიმელი, თავის სტატიაში „ჩუენი დროების მწერლები“, ძლიერ უწყრება ჩუენს მამა-პაპას იმაზედ, რომ იმათ გაჩაღებული ლიტერატურა არ დაუტოვეს მის ბრწყინვალებას; ლანძღავს, რომ ისინი თვითონვე არიან მიზეზნი ჩუენი ენის დამცირებისა და გაუქმებისა, მაგრამ ახალ შთამომავლობაზედ კი იძახიან, რ...ვ სტანჯეთ ეგენიო“... ამ სახით მთელი ეს სტატია შესდგება მამაპაპის, ჩუბინოვის[3] და ერთისა, როგორც ეძახის პატივცემული კრიტიკოსი, ღვიმელი, „ქართულის მიწის შჯლის კრიტიკოსისა“ ლანძღვით, ძაგებით და დამცირებით, ჩუენი ენის დაცემის მიზეზის მამაპაპის კისერზედ მოხვევით; ერთის სიტყვით ამ სტატიის განსაკუთრებული ხასიათი არის ლანძღუა, მამაპაპის დამცირება და ახალგაზრდა შთამომავლობის ქება და მისი მფარველობა.

... უფ. ღვიმელი დიდ აღტაცებაში მოდის, როდესაც დაიწყებს ახლანდელ შთამომავლობაზედ ფიქრსა. წარსულ საუკუნოების შთამომავლობას კი დიდად უწყრება. არა, უფ. ღვიმელო, წარსულნი შთამომავლობანი, ჩემის აზრით, კარგნი იყვნენ, რაც შეეძლოთ და საჭირო იყო, იმათ ის აღასრულეს. მამული მტრისაგან მფარველობას ითხოვდა და იმათ თავიანთი სისხლით და მხნეობით დაიფარეს და რაც დაიცვეს მტრისაგან, რა უნდა გაეკეთებინა იმას იმის მეტი, რაც გააკეთა; ყველა შთამომავლობას თავისი დანიშნულება აქუს. იმის დანიშნულება მართველობის, ნაციის, ენის და სარწმუნოების დაცვაში მდგომარეობდა და თავისი როლი მშუენიერად აღასრულა...

...მეცხრამეტე საუკუნის შთამომავლობას ჯერ არაფერი არ გაუკე-

თებია ლიტერატურისათვს: ის ჯერ კიდევ ბურანშია და ქშენას ვერ ასვლია, — მასზედ ლაპარაკი იმ გვარათ, როგორც შენ ლაპარაკობ, მაშინ შეიძლებოდა, რომ იმას რამე საკეთილო გაეკეთებინოს. იმას ჯერ არაფერი არ გაუკეთებია, მაგრამ შენ კი ძლიერ აქებ და იმას თითქმის ცაში აიყვან...

...მაგრამ, უფ. ღვიძელო, თქუენ სტატიაში ეს ყველაზე უფრო გასაკვირვია, რომ თქუენ ჩუბინოვს იმისთვის ლანძღავთ, რომ იმას თავის ქრესტომათიაში ილ. ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსები არ დაუბეჭდია. ეს ძლიერ გწყინსთ და ამისთვს იძახით, რომ დავ. ჩუბინოვმა „ინჩი მინჩიც არ იცის“. განა ეს მართალია? იმან არაფერი არ იცის?! განა შენზედაც ცოტა იცის?! „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომ ჩემზედ მეტს იწველიდესო“, ჩუქნში ანდაზად არის ნათქუამი. ამ ანდაზის ძალით მეც ვიტყვი, რომ უფ. ჩუბინოვს ისეთმა კაცმა უნდა დასცინოს, რომ იმაზედ ბევრი იცოდეს და ბევრი გაეკეთებინოს... შენ იმას უფრო გადაურევიხარ და დაუკარგვინებია შენთვს დავთრები, რომ ილ. ჭავჭავაძესი და აკ. წერეთლისა ვერ დაგინახავთ ქრესტომატიაში ლექსები. ამას ისე დაუფიქრებიხართ, რომ წარმოგიდგენია: ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი ისეთი გენიოსები არიანო, რომ რუსთველს არ დაუვარდებიანო, და დავით ჩუბინოვს ამათი ლექსები როგორ არ დაუბეჭდია თავის ქრესტომატიაშიო!.. დ. ჩუბინოვს შენ გენიოსებთან ვგონებ არაფერი მტრობა და სიშურე არ უნდა ჰქონდეს. იმას მხოლოდ არ მოსწონებია და ამისთვს არ დაუბეჭდია... იმას რაც მოსწონდა, ის დაბეჭდინა. შენ ილ. ჭავჭავაძისა, აკ. წერეთლისა და სხვებისა ლექსები მოგწონს, — აიღე შენც რაც მოგწონს, ის დაბეჭდინე... ამასთანავე იმასაც გეტყვ, რომ როგორც შენ, აგრეთვე ილ. ჭავჭავაძეს და აკ. წერეთელს არაფერი არ გაუკეთებიათ. მართალია, იმათ შენზედ ბევრი უწერიათ, მაგრამ ეს იმათი მწერლობა არწერას უდრის, რადგან მისი სარგებლობა არ სჩანს, მათი თხზულებანი ხალხში არ გატანილა. გარდა ამისა, იმათ მეტი შეუძლიათ გააკეთონ, მაგრამ სიზარმაცისა გამო არ აკეთებენ, ამის გამო იმათი ნიჭი ჩუქნთვის სრულებით უნაყოფოა. რომ ნიჭიერნი არიან, აბა რას გვიკეთებენ? აბა რით გახდნენ ღირსნი თქუენის ქებისა და ღირსნი გვირგვინის? გენიოსები ხალხისათვს განა ეგრე უნაყოფო უნდა იყვნენ?! არა, იმათ არაფერი არ გაუკეთებიათ ისეთი, რომ დაფნის გვირგვინის ღირსნი იყვნენ, როდესაც გააკეთებენ, იმათი ღვაწლი ხალხში გავრცელდება, მაშინ ბატონი ბრძანდებით.

...მე ზევითა ვსთქვი, რომ უფ. ილ. ჭავჭავაძეს და აკ. წერეთელს არაფერი სარგებლობა არ მოუტანიათ ჩუქნი ხალხისათვსო. ეს სიტყვები ჩუქნგნით ახსნას ითხოვენ. ეჭვი არ არის, რომ მწერალი ხალხისათვს დიდი რამ არის. კარგ მწერალს შეუძლიან ხალხს სული ჩაუდგას, ფრთები გამოასხას, გაიტაცოს და მიიყუანოს მისი გენია მადლით საცხურებლად სიბრძნის ღირსებასთან. რაკაკვეელია, კარგ მწერალს კარ-

გი გამგონეც უნდა; მაგრამ ერთი კაცის გენია მთელი ხალხის გენიაზეც მაღლა ვერ იდგება. მაშასადამე, სტყუიან ისინი, რომელნიც ამბობენ, რომ დიდსა ნიჭიერსა მწერალს ხალხი ვერ გაიგებსო. მწერალმა ოღონდ კი ხალხის ენით გამოხატოს თავისი მაღალი ჰაზრები, — ხალხი გაიგებს და კიდევაც შეისმენს... შეიძლება კაცობრიობის ისტორიაში იშვიათი მაგალითები ვიპოვოთ, რომ გენიოსი თავისი ნიჭით ხალხზედ მაღლა დგომილიყოს... ამ გვარნი მწერალნი დროებით წინ წარმოუძღვიან კაცობრიობასა მის ცხოვრების შესაცვლელად. ამ გვარი დიდი ღირსება და მნიშვნელობა კარგი მწერლისა მე იმას მაფიქრებს, რომ ჩუენ გენიოსებს, რაც უწერიათ, ის რომ ხალხში იყოს გამრავლებული, სარგებლობა იქნებოდა რამე ხალხისათუს...

1865 წელსა, 14 სექტემბერსა

დიმ. ჯანაშვილი

ალექსანდრე ცაბარელი

ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში

კაცია ადამიანი. მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა, გამოცემული მ. ბეთანიშვილისაგან,[1] პეტერბურგი, 1869 წ.

„ვაი, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ[2], რა ხნე გჭირსა![3]...

შოთა რუსთველი

არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება[4]...

ნიკოლოზ ბარათაშვილი

...ნუ დავივიწყებთ აგრეთვე მაღალ ნიჭიერ, ადვილ სასმენელ და საგრძნობელ, ტკბილხმოვან ლექსებს აკაკი წერეთლისას, რომელიც ახლო მისდევს ილ. ჭავჭავაძესა და ზოგიერთი ლექსის ღირსებით კიდეც სჯობია ბევრით ილ. ჭავჭავაძესა; მეტადრე ლექსებში სჩანს ესა. მაგ. ლექსები: „სიმღერა მკის დროს“, „მუშური“ და სხვა. მარტივათ და ცხადათ გრძნობის გამოთქმით, ხალხური ლექსთწყობის მიბაძვით ძალდაუტანებელი მიმდინარეობით, აგრეთვე მარცვლის სიტყვით და ზომით, წმინდა ნაციონალურ, თვითონ ხალხის ლექსებს შეადგენენ და მოაგონებენ კაცსა შეუთხზავ, ბუნებით პოეზიასა, მაგრამ საზოგადოთ აკაკი წერეთლის ლექსები ღარიბნი არიან გრძნობითა და ჰაზრითა: იმისი სიტყვა, რაც უნდა დიდ ღირს საგანზედ სწერდეს გულიდან არ ამოდის, გულწრფელობა არ ეტყობა, თითქოს ეთამაშება თავის ლექსსაც და მკითხველსაცო; ამიტომ არც გულს ეტანება იმისი ლექსი.—ჩემის ჰაზრით, უმთავრესი ხასიათი, კილო აკაკი წერეთლის პოეზიისა არ-

ის სატირული, იუმორული, მასხარათ აგდებითი მიმართულება: ჩვენი მდგომარეობა იმასაც კი იუმორისტად გახდის, ვისაც ეს ნიჭი არა აქვს და ვისაც კი ცოტაოდენი მაინც სატირის ნიჭი აქვს, იმას ახლა ჩვენში დიდი მნიშვნელობა და შემთხვევა აქვს გამოიჩინოს ერთი ორად, და დიდი ბედნიერება არის ამ გვარი მწერალი ჩვენის საზოგადოებისა და ხალხისათვის. — ჩვენდა საუბედუროთ, აკაკი წერეთელი ასეთი იუმორისტი და სატირიკოსი ვერ არის: ამის იუმორული ლექსები უფრო ლანძღავენ, ლაფში სვრიან კაცსა და არა გულს ეძგერებიან და სწიწკნიან — რაც უკურნებელია; ლაფს მოიბანს კაცი, ისე სალია, მაგრამ —ტყუილათ არ ამბობს არაკში დათვი გლეხის ცოლისაგან გალანძღული, ერთხელ დაკოდილ გულს ველარაფრით გაამთელებო;—ხანგრძლივ მაინც გასტანებს წყლული; ტყუილად არ არის ნათქვამი: „სიტყვით დაკოდილი, ხმლით დაკოდილზე უფრო ავი და მძიმეაო“. აკაკი წერეთელი, ასე ვთქვათ, თავის სატირის კალამსა ნაღველში კი არ აწებებს. როგორც ნამდვილი სატირიკოსის რიგია, არამედ თითქმის მელნის მაგივრად მარტო მღვრიე წყალსა ხმარობს. ამ გვარად იმის ლექსი ფუჭსავატი, უვნებელი და უძლურია. კაცს აცინებს და არ ატირებს, ეს უფრო ქართული შეკურთხება (გინება) არის, სანამ მაღალი ყვედრება და ღრმად ჩათუთქული (საზოგადოების სენისაგან) კეთილშობილი გულის ამოოხვრა და მრისხანედ ბზარის გახეთქა. ამ მაღალ ხარისხამდინ შემუშავებული სატირა ხელოვნებათ ითვლება...

20 (1 ნოემბ.) ოქტომბერი
მ ი უ ნ ხ ე ნ ი

სერგეი მესხი

„კრებული“[1]—მეექვსე და მეშვიდე წიგნი, 1872 წ.

დიდის სიამოვნებით ვკიდებთ კალამს ხელსა, რომ მკითხველებს „კრებულის“ მეექვსე და მეშვიდე წიგნებზედ მოველაპარაკოთ. მართლაც, ამ ორ წიგნში იმდენი ყურადღების ღირსი სტატიები და ბელლეტრისტიკული თხზულებებია დაბეჭდილი, რომ იმაზე გულ-დამჯდარათ ღირს მოლაპარაკება, ვიდრე ჩვენ ამ პატარა ბიბლიოგრაფიულ განხილვაში შევძლებთ.

...პატარა მოთხრობა აკ. წერეთლისა — „საუბარი ორთა შუა“, ისეთი რამე არ არის, როგორც ავტორის ტალანტს ეკადრება და როგორსაც ჩვენ მოველოდით. შედარებით რომ ვსთქვათ, ამ მოთხრობაში მხოლოდ გამოსჭვერს უფ. აკ. წერეთლის ტალანტი, რომელიც ბრწყინავს და სრულად მოჩანს იმისსვე „საპატიმროს სცენაში“... ჩვენის აზრით, აკ

წერეთელს ჯერ ისეთი არა დაუწერია რა, როგორიც არის იმისი „კრებულის“ მეშვიდე წიგნში დაბეჭდილი „სცენა საპატიმროში“. როგორც ნიჭიერი და დახელოვნებული მხატვარი ერთი-ორი კარანდაშის მოსმით გამოხატავს ხოლმე რომლისამე ადამიანის ანუ ბუნების სურათის სახეს, ისე ამ სცენაშიაც რამდენიმე კალმის გასმით გამოხატულია სხვა და სხვა ჩვენში მცხოვრები ხალხების ნაციონალური ხასიათი, ამათი გონების გამჭრიახობა, ჩვეულება, ზნე, ცრუ-მორწმუნება და სხვა თვისებები. სცენა წარმოადგენს საპატიმროს, სადაც სხვა და სხვა ჩვენებური ხალხების წარმომადგენელნი (ქართველი, იმერელი, ოსი, რაჰველი, სომეხი, მეგრელი, გურული, ურია) არიან დამწყვდეულნი. ამ სატუსაღოში შედის ადვოკატი, რომელიც აგრეთვე ნამდვილი ჩვენი ადვოკატის ტიპია, და გამოჰკითხავს თვითეულს ტუსაღს—თუ რა დანაშაულობისათვის არის დაჭერილი. ამათ პასუხში ნათლად ისახება ამ ხალხების ნაციონალური ხასიათი: ქართლელის „გლახაჭრიაშვილობა[2]“ და სიფიცხე, იმერლის ცრუმორწმუნეობა, ოსის შეხედულება კაცის სიცოცხლეზე და მარჯვე ბიჭობაზე, რაჰველის ცოტა არ იყოს ჰკუის სიმძიმე, გულმარტივობა (Наивность) და პატიოსნება, სომეხის ფულის სიყვარული და ამ სიყვარულისათვის ხანდახან მრუდე საქმეების ჩადენა, მეგრელის ქურდობა, გურულის სიფიცხე, სიამაყე და თავმომწონეობა და ურიის მატყუარობა.

მაგრამ ამ ხმელი სიტყვებით ვერ გადავსცემ მკითხველსა ამ „სცენის“ სიმშვენიერეს და ამიტომ ორ პატარა ადგილს მოვიყვან იმათთგან, ვისაც თვითონ სცენა არ წაუკითხავს. (სცენა)

არავის ეგონოს კია, რომ ეს ადგილები საუკეთესო ადგილები იყო „სცენაში“. არა, თავიდან ბოლომდი წაიკითხეთ და დარწმუნდებით, რომ ეს „სცენა“ ნამდვილი და ხელოვნური კალმით დახატული სურათია ჩვენი ცხოვრებისა. ერთი სიტყვით, ჩვენი აზრით, ამ უკანასკნელ წელიწადებში ერთ-ორ ლიტერატურულ თხზულებას გარდა, ამისთანა არაფერი არ გამოსულა ქართულ ენაზე.

ს. მ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

უფ. ვ. გამრეკელოვი[1] გვწერს ოზურგეთიდან, რომ ივნისის 10-ს იქაურ თეატრის მოყვარულებს აკ. წერეთლის სცენა „**ადვოკატის დილა**“ — წარმოუდგენიათ. „თუმცა ეს პატარა პიესა თვითონ ძალიან უფერული და თითქმის უაზრო რამ არის,[2] — ამბობს უფ. გამრეკელოვი, მაგრამ ყმაწვილებმა, რომელთაც ამ პიესის წარმოდგენა იკისრეს, ძალიან კარგად და სინდისიანად აღასრულეს თავისი როლებიო. განსაკუთრებით უფ. უსოვმა[3] ნამდვილად გამოხატა მეგრელი ისე, რომ კაცს ეგონებოდა, ნამდვილი მეგრელი გამო-

დის სცენაზეო. აგრეთვე უფ. მამულაიშვილმა[4] ცოცხლათ წარმოადგინა გურულიო, მაგრამ ცოტათი გადააჭარბა გურულის მიხვრა-მოხვრას და მეტყველებას".

გიორგი თუმანიშვილი

შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება

...საქმე იმაშია, რომ ჩვენი ახალი ხელოვნური მწერლობა შორს ვერ წავიდა, ის დიდიხანია შესდგა თ. ილ. ჭავჭავაძის და აკ. წერეთლის ლექსებზე, „კაცია ადამიანზე" და „მგზავრის წიგნებზე" [1]. ჩვენ ახალ მწერლობას უფრო პუბლიცისტიკური ხასიათი აქვს. ვერც ერთმა ჩვენმა მწერალთაგანმა, გამოსულმა სალიტერატურო ასპარეზზე ამ უკანასკნელ ათ წელს ვერ გამოიჩინა "შესანიშნავი პოეტური ნიჭი. ამ უკანასკნელ ათ წელს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში გვინახავს ბევრი ცოცხლად დაწერილი ფელეტონი, საფუძვლიანი პუბლიცისტური სტატია, მეტად საინტერესო პოლიტიკური წერილი, მაგრამ ნიჭიერად დაწერილი ქართული ლექსი ან სცენა ამ ათ წელიწადში გვინახავს ცოტა, და რაც გვინახავს; ის შეადგენს ძველი კალმის ნაწარმოებს, ხელოვნურად დაწერილი კომედია, მოთხრობა ან რომანი ხომ სრულებით არ შეგვხვედრია ჩვენ მწერლობაში ამ უკანასკნელ დროს...

...ჩვენ მწერლობაში ხელოვნურ თხზულებებმა ამ უკანასკნელ დროს დაჰკარგეს თავიანთი პირველი ადგილი. ჯერ მეფობდა აკაკის ფელეტონი, ეხლა მეფობენ პუბლიცისტური სტატიები და ცარიელი გაზეთური შენიშვნები. ამას გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ ჩვენ ეხლა გვაქვს სამი გაზეთი და არც ერთი ჟურნალი; ლექსები და მოთხრობები ან ობლად, ცალკე წიგნებათ გამოდიან ან გაზეთების მფარველობის ქვეშ მოიკუნტებიან რომელიმე გადაკარგულ კუთხეში უთვალავ კორესპონდენციების შუა. მაშ ჩვენი ვალია გადავათვალიეროთ ის მძლავრი პუბლიცისტიკაც. რომელსაც ეხლა ჩვენში პირველი ადგილი უჭირავს.

გიორგი თუმანიშვილი

ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება

...ილ. ჭავჭავაძის და ხანდახან აკ. წერეთლის ლექსს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ათიოდ, თხუთმეტიოდ წლის წინათ ჩვენ საზოგადოებაში იმიტომ, რომ ისინი უპასუხებდნენ იმ კითხვებზე, რომელნიც

დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევდნენ ჩვენ განათლებულობას. ჩვენ ეპოულობდით ამ ლექსებში ახალ გრძნობას, ახალ აზრებს.

აიღეთ „მუშა“[1]. ის დაიწერა იმ დროს, როცა ჩვენი განათლებულები თავიდან ფეხის ფრჩხილებამდე ბატონები იყვნენ. გარდა ორიოდ ახალგაზრდისა. დაცინვა ამ უგულო ბატონობაზე და ტირილი „მუშა კაცის“ უბედურებაზე ახალი რამ იყო ჩვენ მწერლობაში. იგივე ითქმის „პოეტზე“,[2] ამ ლექსის დაბადებამდე თითქმის მთელი ქართული პოეზია ჩაყლაპული იყო „ვარდ და ბულბულის“, „წალკოტისა და იადონის“, „ამ იყო ჰიკვიკის“ სიმღერებით. არავის არ აგონდებოდა, რომ პოეტი უნდა იყოს ხალხის შვილი და იმისათვის სულდგმულობდეს. ილ. ჭავჭავაძის „პოეტმა“ გვითხრა ახალი სიტყვა, კაცთ მოყვარეობით სავსე, მჭეველი ძმობისა და თანასწორობის.

[ილ. ჭავჭავაძის „პოეტი“].

ახლა გადაიკითხეთ „დიმიტრი თავდადებული“ და მიბრძანეთ, რაა ის ახალი აზრი, რომელსაც ის გამოგვითქვამს. იქ პოეტი დამღერის მეფეს, რომელმაც თავის დაღუპვა ირჩივნა, თავისა და თავის ქვეყნის დაღუპვას ერთად. იქ ძლიერი გმირობა არაფერია, მაგრამ რაც უნდა დიდი გმირობა იყოს, ის არაფერს ახალს არ გვეუბნება. ყოველ ანბანში სწერია: გიყვარდეს მოძმე შენიო, ვითა თავი შენიო[3]; თავ-განწირვით გიყვარდეს სამშობლო. ამგვარ უეჭვო ჭეშმარიტებაზე სიმღერა ეხლა, როდესაც თავში გერევა ათასი ძნელი გადასაწყვეტი საგანი, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფრად გვეჭაშნიკება, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასჯერ და ათასჯერ მეტი ზემოქმედება ექნებოდა ჩვენზე ილ. ჭავჭავაძის პოემას, თუ იმაში გამოყვანილი იქნებოდა ახალგაზრდა, ცხოვრებისაგან ჯერ არ გაფუჭებული კაცის ტანჯვა ერთ ლუკმა პურის შოვნაზე... იგივე ითქმის აკაკი წერეთლის ზოგიერთ ძველ და ახალ ლექსებზე. ამ მწერალს ადრე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მწერლობაში, ვინემ ილ. ჭავჭავაძეს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ პოეტური ნიჭი ამისაზე ნაკლები ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ დაშორებული იყო ის იმ ახალგაზრდობისაგან, რომელსაც დაეჩნდა რუსულ უკეთეს ჟურნალების ბეჭედი[4]. მაგრამ ვერც აკ. წერეთელმა აიცილა სრულებით თავიდამ ამ ჟურნალების, ანუ უკეთა ვთქვათ, ჟურნალის გავლენა და იმის „მუშურს“ ილია ჭავჭავაძის ლექსებზედ ნაკლებად არ მოჰყვანდა ძლტაცებაში ჩვენი დაწინაურებული საზოგადოება, იმიტომ რომ ამ „მუშურში“ გამოითქმებოდა იგივე სატირა, იგივე რჯული, რომლის მომტანნი იყვნენ რუსეთში ნეკრასოვი,[5] დობროლიუბოვი[6] და იმათი ამხანაგები და ჩვენში — ილ. ჭავჭავაძე.

მაგრამ ბევრმა წყალმა ჩაიარა „მუშურის“ შემდეგ და ბოლოს დროს კიდევ დაგვხვდა აკ. წერეთელი თავის ლექსებით „დროებაში“[7]. შარშან იმან[8] დაბეჭდა სხვათა შორის ორი ლექსი: პოემა „ორი ქართვე-

ლი“ და „სხვა და სხვა ერი“. პირველში აღწერილია ძველი ქართველების მამაცობა, მეორეში აღწერაა სხვადასხვა ერის თვისებისა:

სამოთხეში ღმერთი უპირატესობას აძლევს ფრანცუზებსო, რომელთაც თავის დროშაზე

დასწერეს: „თავისუფლება,
ძმობა და სიყვარულიო,
ვისაც არ ჰსურდეს ქვეყნისთვის
ღვთისაგან იყოს კრულიო!“
სწავლა და ხელოვანება
სიბრძნე და მეცნიერება
მისათვის უნდათ, რომ სხვებსაც
მისცენ მათ ბედნიერება!
შრომობენ შესანიშნავად,
გულ-გახსნით, პირ-მომცინარად
და ჯერ არავის უნახავსთ
უსაქმურად და მძინარად.

როგორც ხედავთ, მკითხველო, არც პირველ და არც მეორე ლექსში აზრი არ არის ახალი, ღირსშესანიშნავი; ყველამ კარგად იცოდა უფ. აკ. წერეთლის ლექსების გამოსვლამდისაც. რომ ძველი ქართველები განთქმულნი იყვნენ თავიანთ მამაცობით და მეტად მოსაწონი რამ არის თავისუფლების,. ძმობის და სიყვარულის სურვილი ქვეყნისათვის. როგორადაც სწავლის და ხელოვნების, სიბრძნის და მეცნიერების ხმარება საზოგადო სიკეთისათვის. ამგვარ ადამის-ჟამის ძველ ჰეშმარიტების დამტკიცება ვერ დააყრიდა ხეირს ვერც პოეტს აკ. წერეთელზე უფრო ნიჭიანს. იმათთვის წერა მოუხდება მხოლოდ გენიოსს: მხოლოდ იმას შეუძლიან გამოსძებნოს უეჭვო ჰეშმარიტებაში ახალი, ჯერ არ ნახული სხვებისგან კუთხეები და გამოგვიხატოს ესენი ახალ ფეროვან წამლებით.

აქ მოყვანილი მაგალითები გვიმტკიცებენ, რომ ეხლანდელ ქართულ გაზეთების მიმართულების გაგლენა ვერ აიცდინეს თავიდამ ვერც იმისთანა ნიჭიერმა პოეტებმა, როგორებიც იყვნენ ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი.

ვიმეორებთ: ქართული გაზეთი ან ჟურნალი აღარ არის თავის საზოგადოების წინამძღოლი, ის არის ეხლა მხოლოდ ამ საზოგადოების თანასწორი, იმის გამრთობი და იმისაებ მღეჭველი დაობებულ ჰეშმარიტებების. მაგრამ ყველგან გამოტყვრება ხოლმე იმისთანა გარემოება, რომელიც თავის ხასიათით სრულებით არ ეთანხმება იმასთან მოძდინარე გარემოებებს. „ერთი ალილო ხუცესსაც შესცდებაო“. შარშანდელ ქართულ მწერლობაში ჩვენდა მოულოდნელად დაგვხვდა ორიოდ ნაწერი, რომელიც თავის მიმართულებით სრულებით არ ეთანხმებოდა მთელ ქართულ ჟურნალ-გაზეთობას. იგივე აკ. წერეთლის სხვა ლექსი: „თვალების ახილვა“ („დროება“ № 80), ბავრელის[9] „ზამთარი“[10] და მეტად „არტაანიდამ წერილი“[11] („ივერია“ № 27) და „პოლიტიკური მიმოხილვა“[12] ზოგიერთ ნომერში „ივერიისა“,[13] მაგალითად ბერლინის ყრილობის შესახებ, დაწერილნი არიან ცხადად იმ განზრახვით, რომ ჩვენმა მითომ განათლებულმა საზოგადოებამ გაიგოს თავის ეხლ-

ანდელი მდგომარეობა და შესცვალოს ის. აქ ხსენებულ თხზულებებში ისმის ცხადად არა ჩვეულებრივი ახალ ქართულ მწერლობაში ქადაგება, სურვილი ახალ გზაზე ხალხის დაყენებისა.

„თვალის ახილვის“ დამწერს დაჰკარგვია ჰაბუკობის სათვალე და ნათლად უნახავს ამაოება ამ ცრუ და მუხთალ სოფლის, ამ სურათით გულმოკლული გვიამბობს

„გულმოკლული გამოვბრუნდი,
მსაჯულს ვსთხოვე სამართალი,
მაგრამ საწყლად რომ წავდექი,
ამარიდა მანცა თვალი!..

ზნეობითად დაჩაგრულსა
მომაგონდა მე მოძღვარი!
მიველ... ისიც მომეგება,
გადამსახა ლოცვით ჯვარი.

ჩემი ტანჯვა მოისმინა,
აუჩვილდა მასაც გული,
მკითხა: „შვილო დაცემის დროს
ხომ არ დაგკარგვია ფული?“...

ვერც ნათესავებმა და საყვარლებმა სცეს ნუგეში გულმოკლულს და დაჩაგრულსა. „დიდო მგელო! შენ სჯობიხარ, ამბობს გამწარებულად პოეტი, ნათესავს და მეგობარს; შენ თუ გშიან მოიტაცებ მთელ ჯოგიდან ერთსა ცხვარსა; ისინი კი გამაძლრებიც არ დაზოგვენ არცსა ერთსა!... თვალთმაქცობით ატყუებენ დაბლა კაცს და მაღლა ღმერთსა! კბილბასრო და ბრწყალმახვილო, გარეულო კატუნია! ვინც რომ შენ არ გამჯობინებს საყვარელსა... ვერ უცვნია!“...

თქვენ იქნება მითხრათ, მკითხველო, რომ ახალი არაფერია ბავრელის და აკაკი წერეთლის დაცინვაში ჩვენ ჩინოვნიკობაზე და საზოგადოთ ჩვენ განათლებულობის ცხოვრებაზე და „ივერიის“ გამოაშკარავებაში ევროპულ ცრურწმენისა, რადგან ამავე საგანზე არა ერთხელ მოგვითხრობდნენ „საქართველოს მოამბე“ [14] და პირველ დროინდელი „დროება“.

დიახ, თქვენ მართალს ბრძანებთ, თუ ამას გეტყვით, მართალია, ზემოხსენებული ნაწერები გამეორებაა იმის, რაც თქმულა ადრე, მხოლოდ ახალი ამბების დამატებით. მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ვერც ერთი ისეთ ახალ ჰეშმარიტებას ვერ იტყვით თქვენ დღეში, რომელიც კი როდისმე არ თქმულიყო, და ყოველი ჰეშმარიტება ითვლება ახალ ჰეშმარიტებად მხოლოდ მაშინ, როცა იმას ჯერ ვერ შერიგებია ხალხი.

ამიტომაც ზემოხსენებულ ნაწერების სიტყვები მიგვაჩნია ახალ სიტყვებათ, თუმცა ისინი არა ერთხელ წარმოუთქვამთ თავისებურად ადრეც. დიახ, მკითხველო, „საქართველოს მოამბის“ და პირველ დროინდელ „დროების“ შემდეგ ჩაგვირბინა ათმა, თხუთმეტმა წელმა, მას აქეთ ბევრი მითომ ცვლილება მომხდარა ჩვენ ცხოვრებაში: გლეხები განთავისუფლეს, ახალი სასამართლო შემოიღეს. ქალაქებს მიანიჭეს

თვით-მართველობა და სხვ.. მაგრამ დახე ჩვენ დაუნდობელ ბედს, თხუთმეტი წლის წინათ ნათქვამ სიტყვებს განგვიმეორებენ და ჩვენ ისეთ აღტაცებაში მოვყავართ იმათ, როგორც ადრე. ძველებური გაკიცხვა, ძველებური ქადაგება, ასე გვონია მოგონილნი არიან დღევანდელ დღისათვის, ასე გვონია წინ ფეხი არ გადაგვედგას ამ უკანასკნელ თხუთმეტიოდ წელს და ვსტრიალებდეთ ერთ ადგილას. ის ბატონები, რომელთ წინააღმდეგ ქადაგებდა ამდენი ხანი უკეთესი ქართული მწერლობა, დღეს გამოდიან ახალ სარჩულიან კაბებში და ამაყად დამღერიან: „არ ვსდევ ჟამთა ცელას, მე იგივე ვარ მარად და მარად“[15].

ჩვენდა სამწუხაროდ, იგივეს ვერ დამღერის ქართული ჟურნალ-გაზეთობა.

ალექსანდრე სარაჯიშვილი

ალმანახი[1]

შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან, გამოცემული
გრ. ჩარკვიანისაგან.[2] თბილისი 1879.

...„კრიჭ და ხრიშ“ (დალაქის თავგადასავალი) აკაკი წერეთლის პატარა მოთხრობაა. ეს ნიჭიერი კალმის ერთი გასმაა, პოეტური ცულტუტობა, მაგრამ, ჩემის აზრით, ამ ნაწერში გამოჩნდა მწერალის ხელოვნება, როგორც გრ. ორბელიანის ზოგიერთს მუხამბაზში („ლოპიანა“[3], „მკერვალი ბეჟანა“[4] და სხვ.). კაცი სხვის გულში უნდა ჩაძვრეს, გამოსჩხრიკოს მისი ფიქრი და გრძნობა, შეითვისოს მისი ენა და კილო. ერთის სიტყვით, თავისი თავი უნდა დაივიწყოს, სულ სხვა კაცად გადაიქცეს და მის მაგიერ ისე გვიამბობდეს, ვითომც ის სხვა კაცი გვიამბობს თავის ამბავს და არა მწერალი. ეს თვალთმაქცობა შეუძლიან მხოლოდ იმას, ვინც ადამიანის გული ზედმიწევნით იცის.

ა.

თეატრის მატიანე

გაბუნიას[1] ქალის ბენეფისი: „კინტო“, კომედია
აკ. წერეთლისა...

...განვიხილოთ გაბუნიას ქალის ბენეფისი. წარმოადგინეს ახალი კომედია აკაკი წერეთლისა „კინტო“... კომედიაში გამოყვანილია დარბაისელი და დამჯდარი ქალი, ქმარ-შვილის დიდად მოყვარული, სა-

ხელად სალომე[2] (გაბუნიას ქალი). ქმარი მისი ილია[3] (თომაშვილი)[4] ჩვილი ხასიათის კაცია. ადვილად ამყოლი, ლხინის მოყვარული. ცოლზედ გულგრილად არის: დულულა და უხასიათო არისო და ამისთანა ქალის სიყვარული არ მაკმაყოფილებსო. ამით სარგებლობს მისი მეგობარი სამსონ[5] (მაჩაბელი),[6] აღრინდელი მთხოვნელი სალომესი, რომელიც ცდილობს ეგები როგორმე ილია შეეაძულო და მე შემიყვაროსო. ამიტომაც სამსონი ატარებს ილიას ბაღებში, ლხინში და ქალებში ატარებინებს დროს. სალომე ფიქრობს, როგორმე ქმრის სიყვარული ხელმეორედ დავიპყრაო და ოჯახობას დაუბრუნო მისი თავიო. ამისათვის სალომემ შემდეგი ხერხი მოიგონა: გაღაიცვა კინტოს ტანისამოსი და დაესწრო იმ ლხინს, სადაც ილია თავისი ამხანაგებით ქეიფსა სწევდა. კინტურად ჩაცმული ხოლმე იღებს მონაწილეობას ლხინში და მღერის. ამ სიმღერიდამ ილია (რომელიც, რასაკვირველია ვერა სცნობს სალომეს) შეიტყობს, რომ ეს კინტო ჰყვარობს სალომეს. ილიას რასაკვირველია ეჭვიანობა აეშლება და ცდილობს გაიგოს მართალს ამბობს თუ არა, სახლში მიდის და რწმუნდება, რომ მართალია, რადგანაც თავის თვალით ნახა როგორ შევიდა კინტო სალომეს ოთახში. ილია გამოიწვევს მოწმეების წინაშე სალომეს ამ საქმის თაობაზედ. ჯერ-ჯერობით სალომე ვითომ არაფერიო, ბოლოს აუხსნის, რომ ის კინტო მე ვიყავიო. ამ გვარად სალომეს რაც უნდა, ის მოხდა: ხელმეორედ მიიზიდა ქმარი და დაუბრუნა ოჯახობას. სამსონი კი პირშერცხვენილი დაითხოვეს სახლიდამ.

სწორედ მოგახსენოთ კომედიის შინაარსი დიდი არაფერია, მაგრამ ნიჭიერმა ავტორმა მრავალი ცოცხალი სურათი ჩაურთო ამ საზოგადოდ ღარიბ შინაარს, რომელიც უფრო ვოდევილს შეეფერება, ვიდრე კომედიას. ამ ცოცხალი სურათების ძალით აკაკი წერეთლის კომედია სცენისათვის სასარგებლო პიესაა და იგი ღირსია, რომ მას საპატიო ადგილი მიეცეს ჩვენს რეპერტუარში.

დავით აბდუშელიშვილი

ბიბლიოგრაფია

„ივერიის“ [1] შარშანდელი მე-IV და ამ წლის I წიგნები

...აკაკის, „ახალი წლის“ გამო. ჭინჭველას რომ ფრთები გამოესხმება, ღმერთიც მაშინ გაუწყრებაო — ანდაზაა. თავისის წყრომისა და რისხვისაგან ღმერთმა დაიფაროს აკაკი, მაგრამ მასუკან, რაც ის ფრთიანი ჭინჭველივით დედა-მიწას მოჰშორდა და ჰაერში დაიწყო ფრენა, მისი ჩანგიც უწინდელ ხმას აღარა ჰსცემს. როცა ამ პოეტს დედა-მიწაზე

უდგა ფეხი, მისი ჩანგი ხალხის კვნესა და ტანჯულის მოთქმა იყო, მაშინ მისი გესლიანი ენა მომძლავრეთ და მჩაგვრელთ გულში ეკლათ ესობოდათ; მაგრამ ახლა მაღლიდგან ეს ხმა ხან ეშმაკების ზარათ და ხან ალილუიათ მოისმის. ეს უწინდელი ჩვენი შავ-ბედის ჭირისუფალი დღეს ან რაღაცას, პლეშჩეევივით², თავისთვის წუწუნებს, ან და ხეპრე ბულბულივით ვარდსა და იას დამღერის. „ახალ წელში“ პოეტი ამბობს: ნუ მილოცავთ ახალ წელსა, ბევრს ნაღველსა ვსვამ და მოვალშიდაც უნდა ვსვაო. ეს ხმა რომ მაღლა ჰაერიდან არ ისმოდეს, ჩვენ დავეკითხებოდით — ვინ არის ეს საბრალო ნაღვლის მსმელი და სიცოცხლე გამწარებული? იქნება ეს მწარედ მკვნესავი — საბრალო ტიტოვიჩია, რომელსაც თურმე ჯერ რაღაც შინაური დრამა გულს უთუთქავდა, შემდეგ გაზეთები უწყალოდ ტყავს აძრობდენ და დღეს, ყველასაგან მოძულებული, სულაც მოშორებია თავის მამულს!..

გამოსთქვით, პოეტო, ნათლად, ვის ეკუთვნის ეხლა თქვენი გული: თქვენსავე პირადოვან სურვილებს, კერძო ვისმეს თუ ხალხს? დარწმუნდით, რომ ხალხის ვაებით მკვნესავ გულს ყოველივე უბრალო ტანჯული ბანს ეტყვის, თაე ჭირისუფლად მოტირალად დაუჯდება, ან მჩაგვრელებს თავის ადუღებულ სისხლს შეასხამს, მეხს დასცემს და სიკვდილს ანატრებს! მაგრამ ვისაც ჩანგი ჩვენი ქვეყნის ცოცხლად მმარხვებს მოზარედ ეყოლებათ, ის ნურასოდეს ნუ მოელის ნამდვილ მამულის მოყვარეთ, გონიერთ, მხნეთ და თავგანწირულთა თანაგრძნობას!

ილია ჭავჭავაძე

შინაური მიმოხილვა

1882 წელი, სექტემბერი

ნიშანი ერის ჰასაჟი მოსვლისა... აკაკი წერეთელი გორსა და თელავში. მისი სიტყვა. — ანდერძი ჩვენის მამა-პაპისა. — გაუმარჯოს!

ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენშიაც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისათვის გარჯილი კაცისა, საჭაროდ მადლის გადახდა მისი, ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის მამულსა და თანამემამულესა. ამის შაგალითი ბ-ნ აკაკი წერეთლის მოგზაურობაა ამას წინათ გორში და ამ ბოლო ჟამს კახეთში. ერთგან და მეორეგანაც შესაბამის პატივით დახვედრია ქართველობა თავის პოეტსა და პირუთვნელის სიტყვით გამოუცხადებია თავისი მადლობა და პატივისცემა მისთვის, ვინც ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ამ ოც-და-ხუთს წელიწადში ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გუ-

ლს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის. ამ სიყვარულის აღფრთოვანებაში ბ-ნ აკაკის გამოჩენილი ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში. ბედნიერია, ჩვენის ფიქრით, აკაკი, რომ იღვაწა და თავისის ღვაწლის ნაყოფი სიცოცხლითვე თავისის საკუთარი თვალით ინახულა. ვამბობთ ინახულა, იმიტომ რომ საქართველოს და ქართველის სიყვარულისაგან არის წარმომდგარი ის პატივისცემა, რა პატივისცემითაც დახვედრიან ჩვენს პოეტს გორსა და თელავში, და ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თვითონ აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკვნესებია თავისი ტკბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართული. საცა წავიდა ბ-ნი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთა-ასხმული და გალონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართველისა, წინ დახვდა გულწრფელის პატივისცემითა და მადლიერებით აღსავსე გულითა. აგრეთვე თვითონვე იგემა ბ-ნმა აკაკიმ ნაყოფი თავისი დანერგულისა და დათესილისა.

ჩვენ ესეთი მიღება ბ-ნ აკაკი წერეთლისა აღვნიშნეთ, როგორც საუნჯეშო ამბავი, როგორც სასიხარულო მაგალითი და ნიშანი ჩვენის ცხოვრების წარმატებისა. მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი ფრიად შესანიშნავი საგანიც არის. ეგ არის სიტყვა აკაკი წერეთლისა თქმული თელავში კახელების წინაშე. ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ. არ იცით რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორატორის ხელოვნებისა დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს, და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია.

„ღმერთმა ჰქნას, შენ და შენისთანები მომავალშიც ბევრი გვყოლოდესო“, — უთქვამთ ბ-ნ აკაკისათვის. „ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი სიტყვაო, —უპასუხნია აკაკის: — რასაც დღეს ვჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმეო“. დიაღ, ბატონებო, ხვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერში. ამ იმედით, რომ ხვალე უკეთესი უნდა იქმნას, გულს იმხნევებს ამ დღევანდელის დღის ვაივაგლახით და ნაცარტუტით ტანში მოხრილი ადამიანი. ხვალე არ უნდა ჰგვანდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესსი, წინ-სვლა ადამიანისა ფუშ-სიტყვათ არ მიაჩნია. რაც არიან აწინდელნი მოღვაწენი ჩვენის ერისა—ღმერთმა ამრავლოთ, დიდი დღე და გამარჯვება მისცეთ, მაგრამ აკაკისა არ იყოს, ნუ ვიკმარებთ მას, რაც დღეს არის! ჩვენა გვჭირია ამათზედ ბევრად ძლიერნი, ბევრად ნიჭიერნი, ბევრად მომქმედნი. „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი ჰსჯობდეს მამასაო“ — დაუგ-

ვირგვინებია თავისი სიტყვა ბ-ნ აკაკის. ასეც უანდერძნიათ ჩვენ მამა-პაპებს, როშელთაც ჩვენთვის თავი დაუდვია, რომელთა ძვლებით ჩვენს ქვეყანას ზღუდე შემოვლებია, რომელთა სისხლით ჩვენი ქვეყანა მორწყულა. თუ ის დევ-გმირნი, რომელთ საქმენი სწორედ რომ დაუჯერებელნი არიან, ამბობდნენ, რომ ის ურჩევნია მამულსაო, რომ ჩვენი შვილები ჩვენა გვჯობდნენო, ჩვენ რაღა გვეთქმის, ჩვენ, რომელნიც იმათ წინაშე ქონდრის — კაცებად თუ ჩავითვლებით!...

ღმერთმა ადიდოს, ასახელოს, გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობინება ქვეყნის სამსახურში და რომელიც ეგრე ეჭირვება ჩვენს მშვენიერს მიწაწყალსა, ჩვენს საყვარელს საქართველოს! გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც. რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრად, და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძნობას, და არა ერთხელ გულს გოიცემს მამულის — შვილობისათვის.

არტურ ლაისტი

ქართული ლიტერატურა

წერილი

...ახალ ცხოვრებას უფრო შეეფერებიან ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ეს ორი პოეტი, თუმცა ურთიერთ შორის ძალიან განსხვავდებიან, მაგრამ ორნივე ერთნაირის მხნეობით და ძალით მოღვაწეობენ და ცდილობენ გაავრცელონ თავიანთ თანა-მემამულეთა შორის დაწინაურებული აზრები და იდეები...

...ილია ჭავჭავაძეს მხარს უმშვენებს აკაკი წერეთელი, რომლის პოეზიას დიდ ფასს სდებენ ქართველები. მის ლექსებს, ფრიად საინტერესო შინაარსს გარდა, ამშვენებენ აგრეთვე მეტის-მეტად ტკბილი და სუფთა ენა და ადვილი ლექსთა-წყობა.

უმეტეს ნაწილად ლექსის შინაარსად ის იღებს თანამედროვე ცხოვრებას, რომლის გულის-ცემა და ყოველი ცუდი და კარგი მხარე მას კარგად ეჩვის, წერეთელი დრამატიული მწერალიც არის...

შინაური ქრონიკა

ჩვენ გვქონდა შემთხვევა ჩვენის ჩინებულის პოეტის ა. წერეთლის ახალის პოემის „თორნიკეს“[1] გაგონებისა. შინაარსი ამ პოემისა ისტორიულია და შეეხება იმ დროს, როდესაც თორნიკე ერისთავი[2] 12000 მეომარი ქართველით წავიდა საბერძნეთში ბერძნების მისაშველებლად სპარსეთის მმართველის სკლიარუსის[3] წინააღმდეგ. რა თქმა უნ-

და, რომ როგორც ლექსი, ისე ენა აკაკის კალმის შესაფერია და ზოგიერთი აღწერილობა, მაგ.: ათონის მთისა[4] და დილისა, რომის წინად, ხელის-ხელ საგოგმანებ მარგალიტსავით ბუყვინაენ მთელს პოემაში. ჩვენს მკითხველებთან ერთად უნდა ვინატროთ, რომ ეს პოემა მალე დაბეჭდილიყოს.

იაკობ გოგებაშვილი

ბიბლიოგრაფია

„ნობათი“ [1], საყოველთაო პედაგოგიური ჟურნალი
იანვრის წიგნი

..სამაგიეროთ აკაკის პატარა ლექსი „ყმაწვილი და პეპელა“ შემკულია ყოველი ღირსებით, რომელიც კი მოეთხოვება საუკეთესო საბავშვო ლექსსა. თავდაპირველად უნდა შევნიშნოთ, რომ „ნობათის“ თანამშრომლებს ჯერ-ჯერობით ვერ ჩაუგდიათ თავიანთი ნაწერები შესაბამ კალაპოტში და ხშირად ძალიან მაღალ კილოზედ საუბრობენ, იმისთანა კილოზედ, რომელსაც ბავშვი ძნელად შესწვდება. აკაკის ლექსი სწორედ ზედ გამოჭრილია საბავშვო ჟურნალის დანიშნულებაზედ. იგი ადვილი, ფრიად ადვილი შესათვისებელია ბავშვისათვის როგორც შინაარსით, ასე ფორმით. იგი ხატავს სურათს, რომელიც ერთსა და იმავე დროს საზრდოს აძლევს გამომხატველობას, გონებას. (აცნობებს პეპელას ცხოვრებას) და გულს, რომელშიაც ჰბადავს სიბრალულსა. მეტადრე საუცხოოა თავი და ბოლო ამ ლექსისა. შუაგულიც რომ უდრიდეს მათ, სამაგალითო რამ იქნებოდა. მაგრამ უნდა გავტყდეთ, რომ შუა წელი ცოტა დაბლა სდგას თავსა და ბოლოზედ, როგორც ენის ჰარმონიითა და წყლიანობით, ისე აზრის განვითარებით. ჩვენ გვგონია, რომ პეპელას სიტყვები საკმარისს საბუთს არ შეადგენენ იმისთანა შებრალებისათვის, რომ ბავშვმა ფიცხლავ ხელი აუშვას მას, ბავშვმა, რომელსაც ისე უყვარს პეპელას დაჭერა და სინჯვა. პეპელას რომ უფრო მკაფიოდ გამოეხატა თავისი სიცოცხლის სიმოკლე და უფრო შესაბრალისი სიტყვები ეხმარა, უფრო მოსალოდნელი იქნებოდა მისი გაშვება ბავშვისაგან. ისიც ძალიან კარგი იქნებოდა, რომ პოეტს რამდენსამე სტრიქონში გამოეხატა ის ცვლილება სულისა ბავშვში, რომელიც მოახდინა პეპელას სიტყვებმა და რომლის შედეგი იყო მისი გაშვება. ყოველს შემთხვევაში აკაკის ეს ლექსი საუკეთესო საბავშვო ლექსია და შეადგენს ნამდვილს მარგალიტს იანვრის ნომრისას.

იაკობ სვიმონიძე

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

„თორნიკე ერისთავი"
ისტორიული პოემა თავ. აკაკი წერეთლისა

თავადი აკაკი წერეთელი, რომელიც ქართულ ლიტერატურაში უბრალოდ აკაკიდ არის ცნობილი, ყველაზე პოპულარულია მრავალ რიცხოვან ქართველ პოეტებს შორის. გაზეთი „კავკაზის"[1] პატივცემული კრიტიკოსის მაგალითისამებრ, ქართველ პოეტებს გავანაწილებთ რანგების მიხედვით, თამამად შემიძლია ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი დავასახელო სრულ გენერალად თუ არა ყოველ შემთხვევაში პოეზიის სტატსკი სოვეტნიკად მაინც. დიდი ნიჭის გამო აკაკი ყველაზე ნაყოფიერია ქართველ პოეტებს შორის და თუ მარტო მის პატარ-პატარა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გაფანტულ ლექსებს შევაგროვებთ, თავისუფლად შედგებოდა რამდენიმე დიდტანიანი ტომი. მართალია, მას ჯერ არ შეუქმნია ისეთი რამ, რაც მას უკვდავებას მოუტანდა, მაგრამ მომავალში ქართული ლიტერატურის ისტორიაში მას ყველაზე საპატიო ადგილი დაეთმობა, იმდენად მნიშვნელოვანია მისი დამსახურება მშობლიური ენისა და ეროვნული გამოღვიძების საქმეში. აკაკი უმეტესად პოეტი პუბლიცისტია. ქართულ ლიტერატურაში მასავით ზუსტად და დროულად ვერავინ ვერ ეხმაურება საზოგადოებრივ მოვლენებს. ის ლექსები, რომლებშიც იგი ამათრახებდა საქართველოს ბატონყმობასა და რეფორმამდელი ჩინოვნიკების მეკრთამეობას, მისი სატირის ინტენსიურ ძალაზე ყველაზე სრულ წარმოდგენას იძლევიან. სატირასაც გააჩნია. აკაკის სატირა მოწამლული ისარი როდია, რომელიც მიზანს აუცილებელ სიკვდილს მიაგებს; არა. ეს სატირა უფრო მოხდენილ თაიგულსა ჰგავს, რომლითაც ლამაზად შეასმევენ კაცს სამსალას. აკაკის მუზას ძალზე ეხერხება იუმორი და თუ იგი ვერ ამაღლდა საზოგადოებრივი მოვლენების ფართო და ღრმა ანალიზამდე, უმეტესად პიროვნებისადმი დაცინვაში მჟღავნდება და ეს გარემოება უნდა მივაწეროთ არა მისი ნიჭის შინაგან უძლურებას, არამედ გარეგან პირობებს, ასეთი ანალიზის განვითარების უნიადაგობას. მაგრამ აკაკის პოეტური მისია მარტო ერთი მხრივ როდი მჟღავნდება, არამედ მის დროშაზე გამოხატულია დადებითი მოვლენების ასახვის სურვილიც. განვსაზღვრავთ რა ქართველი პოეტის ტალანტის დამახასიათებელ თვისებებს და მის მსოფლმხედველობას, ჩვენი აზრი მხოლოდ მიახლოებით სწორად მიგვაჩნია, და არავითარი პრეტენზია არა გვაქვს, რომ ვამტკიცებთ მის უცოდველობას. მისი ნაწარმოებები ჯერ თავმოყრილი არ არის ერთად, ეს გარემოება კი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ

არც ერთი კეთილსინდისიერი კრიტიკოსი-ლიტერატორი ვერ გაბედავს თავისი საბოლოო განაჩენი გამოუტანოს მწერალს.

და, აი, პოეტმა იუმორისტმა, რომელმაც თავისი სახელი ქართველი მკითხველის პუბლიკაში მოიპოვა უმეტესად წვრილ-წვრილი ლექსებით და გონებამახვილი ფელეტონებით, ჩაიფიქრა შეექმნა ისეთი მთლიანი მხატვრული ნაწარმოები, რომლის სათაურიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველები თავიანთი ხასიათით, რომელიც მათი სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების წყობით ჩამოუყალიბებიათ, პოეზიის ყველა სახეობიდან ყველაზე მეტად პოემას სცემენ პატივს. მგზნებარე სიყვარული, სიყვარულის საგნის მოტაცება, მდევარი და მომტაცებლის დიდი ხნით ძებნა. შემდეგ თავგანწირული და ვაჟკაცური თავდასხმა მიუდგომელ ციხეზე, სადაც გამომწყვდეულია პოემის გმირის შეყვარებული, მზეთუნახავის ტყვეობიდან დახსნა, ქორწილი და გრანდიოზული, წმინდა ქართული ქეიფი, — აი ის ყველა ელემენტი, რომელზედაც აგებულია ცნობილი რუსთაველის კლასიკური პოემა.

ქართველთა ნამდვილი ცხოვრება, თითქმის მთლიანად ეძღვნება ბანკებთან და მევახშეებთან ფარიკაობასა და აუქციონის ჩაქუჩის დარტყმის მოგერიებას, ძალიან ცოტას შეიცავს პოეტურს და ამიტომ თანამედროვე პოეტები თავიანთი პოემების სიუჟეტებს დიდი ხნის გარდასული წარსულიდან სესხულობენ...

...ასეთია ქართველი პოეტის ახალი პოემის ჩონჩხი. ჩვეულებრივად მიღებულია, რომ ლიტერატურული ნაწარმოები განხილულ იქნეს თვალსაზრისის ორი წერტილიდან, თუმცა თვალსაზრისის მესამე წერტილი ლიტერატურულმა კრიტიკამ არც იცის, ე. ი. მხატვრული კრიტიკის თვალსაზრისით „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და საზოგადოებრივი კრიტიკის თვალსაზრისით, სადაც ამოსავალ წერტილად, კრიტერიუმად მიიღება ესა თუ ის სამოქალაქო მოტივი. როგორც ცნობილია, ამდაგვარი ლიტერატურა განსაკუთრებით ბატონობდა 60-იანი წლების რუსულ ლიტერატურაში და იგი გამოვლინდა კლასიკურად აბსურდულ ფორმულაში „ჩექმები სჯობია შექსპირსო“ [2]. პირველი თვალსაზრისი საერთოდ მიუღებელია აკაკის ნაწარმოებებისათვის, რადგან იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ განეკუთვნება პოეტთა იმ რიცხვს, ვინც „ტკბილ ხმათათვის“ არის შექმნილი. იგი პუბლიცისტი პოეტია. თუმცა არ იზიარებს პუბლიცისტი პოეტების ცოდვას პოეზიის გარეგნობის გამო. ქართული ლიტერატურა საერთოდ მდიდარია პოეტებით, აკაკის კი ბადალი არა ჰყავს ლექსის მოხდენილი ფორმისა და გარეგნობის გამო. აკაკის ლექსები თავიანთი სიმსუბუქით, მოხდენილობით და მუსიკალობით არაფრით არ ჩამოუვარდება პუშკინის [3] ყველაზე სანიმუშო ნაწარმოებებს. ამიტომ აკაკის ნაწარმოებებს უნდა შევხედოთ საზოგადოებრივი კრიტიკის თვალსაზრისით, მაგრამ სამწუხაროდ აქაც ეს ოსტატური კალმის გრანდიოზული ნაწარმოები მცირე შინაარსს იძლევა. მთელ

პოემას წითელ ხაზად გასდევს აზრი — აუცილებელია სამშობლოს სიყვარული და მის ბედნიერებას უნდა ემსხვერპლოს ყოველი პირადული კეთილდღეობა და ინტერესები.

არტურ ლაისტი

აკაკი წერეთელი

როცა პირველად, 1884 წელს, ვეწვიე საქართველოს... ილია ჭავჭავაძესთან გავიცან აკაკი წერეთელი და რაფიელ ერისთავი[1]. ეს სამი მგოსანი ერთიმეორეს არც გარეგნობითა და არც სხვა რამით მიაგავდა.

... მაღალი აკაკი სხარტი იყო, როგორც ნამდვილი იმერელი, ისიც მაგარიჟე აგებულებისა იყო, მაგრამ სუსტი ნებისყოფისა. მისი სიტყვა მდინარებდა ილიასაზე ბევრად უფრო სწრაფად და მისი თვალები ჰმოძრაობდნენ სიტყვებივით მოუსვენრათ...

...ჩვენი გაცნობის პირველ დღესვე, უკვე მივხვდი, რომ ეს ორი მწერალი განასახიერებდა მთელ მაშინდელ გონებრივ ცხოვრებას საქართველოისას.

იმ მწერლებზე, რომლებიც თავიანთი სამშობლოს ბეჭედს ატარებენ, გერმანელები იტყვიან ხოლმე: მათ მიწის სუნი უდისთო. აი აკაკისაც მთელ თავის სიცოცხლეში თან სდევდა სუნი იმერეთისა და იმერული მიწის...

როგორც ილია ჭავჭავაძე, აკაკიც თავის დროზე უფრო დაწინაურებული იყო და ეხებოდა ისეთ საკითხებს, რომლებიც მისი ახალგაზრდობის დროს ჯერ კიდევ არ მომწიფებულიყვნენ ქართველთა გონებაში. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღითვანვე იგი ამათრახებდა ყველაფერს, რაც კი არ მოსწონდა თავის თანამედროვეთა ზნესა და ხასიათში. ყველაფრის განკიცხვის ამ მისწრაფებამ, რასაც შეეძლო შეეფერხებინა საღი განვითარება სახალხო ორგანიზმისა, წაიყვანა იგი სატირისაკენ, მრავალ მოვლენათა დაცინვისაკენ. ასეთი იყო მისი განწყობილება ცხოვრების უფრო ნათელ დღეებში, ხოლო როდესაც რაიმე შემთხვევა ან მოვლენა გააღიზიანებდა ან დაასევდიანებდა, იგი სამსალასაც ურევდა თავის სატირაში...

მახსოვს, როცა აკაკი გამოსცემდა თავის „კრებულს“[2], შიგ ხშირადა ჰბეჭდავდა ცერძო ხასიათის ლექსებს, რომლებიც მხოლოდ მაშინ იქნებოდნენ გასაგებნი, თუ მკითხველნიც გაცნობილნი იქნებოდნენ იმ გარემოებასთან, რომელშიაც ითხზებოდნენ ეს ლექსები. მე მაშინ მივაქციე აკაკის ყურადღება ამას და ვურჩევდი — კვლავ აღარ დაებეჭდნა ასეთი ბზე კრებულში. მან გაიღიმა და მითხრა, რომ არჩევანი თვით მისთვისაც ძნელი იყო. მაგრამ მეტად სასიამოდ დაჰრჩა, როდესაც გამოვ-

თქვი აზრი მის ზოგიერთ ლექსებზე, რომელთაც მუდამ აღტაცებაში მოყავდი ხოლმე. გულახდილათ ვუთხარ, რომ, ჩემი აზრით, ის, როგორც ჰეშმარიტი ლირიკოსი, გაცილებით მაღლა დგას ილიაზე, რომ ის მღერალია, ილია კი იდეური პოეტი-მეთქი...

...ჩვენი ნაცნობობის პირველ ორ წელს აკაკის ხშირად ვხედავდი ქართულ თეატრში, რომელიც იმ დროს იშვიათად იყო ხოლმე სავსე, თუმცა კი მაშინდელი მთავარი მსახიობები, რომელთაც საძირკველი ჩაუყარეს ქართულ დრამატიულ ხელოვნებას, ბუნებრივი ნიჭით იყვნენ მომადლებულნი.

ქართული თეატრალური საზოგადოება ჯერ კიდევ მცირე იყო და რეპერტუარიც ღარიბი. აკაკი ხშირად მარტო იჯდა ლოჟაში, სადაც ხანდახან ეწვეოდი ხოლმე. ის არ ჰფარავდა ჩემს წინაშე, რომ ქართული თეატრის სიღარიბე აწუხებდა მას, მაგრამ მარწმუნებდა, წლითი-წლად ამჩნევს პაწია გაუმჯობესებას და იმედოვნებდა, რომ მე-19 საუკუნის პირწურულამდე ქართული თეატრი მომაგრდებაო.

ასეც მოხდა, და საზოგადოება ყოველ წელს იზრდებოდა. ამ საუბარში თეატრზე ვხედავდი, თუ რა ძლიერად უყვარდა აკაკის თავისი სამშობლო და ჰფიქრობდა მისი კულტურის ამაღლებისათვის. ის მუდამ იდგა თეატრის ახლოს, აწვდიდა რამოდენიმე მაღალ ლიტერატურულ ღირსების პიესას და გულმოდგინეთ ამხნევებდა მსახიობთ. მისი პიესები, შესაძლოა, რომ სავსებით არ ეთანხმებოდნენ სცენიურ ხელოვნების მოთხოვნილებათ, მაგრამ უხვად შეიცავენ სილამაზეს, კაცთა თავისებურ განჭვრეტას და დიდ სიამესა ჰგვრიან მკითხველს. დიახ, ქართველნი თავს არ გაანებებენ მის კითხვას და არა მხოლოდ იმისათვის, რომ მათში მდიდარი, ცოცხალი მომაჯადოებელი პოეზიაა, არამედ იმისათვისაც, რომ მათი შინაარსი არ არის მარტო უბრალო მოთხრობა და რომ ის ნაყოფია აკაკის მდიდარი ფანტაზიისა.

აკაკი თეთმპყრობელი ჩვეულე იყო პოეზიისა ხელოვნების სამკვიდროში...

ის გახლდათ ჰეშმარიტი მგოსანი, მდიდარი ფანტაზიით, ენაწყლიანობითა და გრძნობით, მხატვარი და ჰკუამახვილი მჭევრმეტყველი.

ვინ სიტყვებს რომ ეუსმენდი და სახეში რომ ვუცქეროდი, მომაგონდა, უნებლიედ რამოდენიმე მისი ლექსი და დრამა და უდიდეს სიამესა ვგრძნობდი, რომ ჩემ წინაშე ვხედავდი იმ მდიდარი პოეზიის წყაროს.

როდესაც ესეირნობდი მასთან და ყველა გამომვლელი პატივისცემით სალამს აძლევდა, გავიგე, რომ მას შეეძლო ეამაყნა და თავი ეგრძნო ერეთის გონების მფლობელად. იგი ხომ პირველი და ერთად-ერთი მგოსანი იყო თავის სამშობლოისა, მაგრამ ისეთი დიდებული, ბრწყინვალე, რომ შეგვეძლო გვეწოდებინა სახელი ახალი სიცოცხლის გამომფხიზლებელისა. ბუნებამ მასში თავი მოუყარა ჰკუის ყოველგვარ ღირ-

სებას... მაგრამ ბუნება არასოდეს ჰყოფს ადამიანს სრულს და თავის რჩეულთა და საყვარელთაც უტოვებს ნაკლთა და სისუსტეთ. ხანდახან ცოდვათაც კი. მე მგონია, რომ აკაკი იყო ნებიერი ბუნებისა და ბედისა, მაგრამ მეტისმეტად იყო დაჯერებული თავის უპირატესობაში.

აკაკიმ მისცა თავის ხალხს უმდიდრესი განძი უდიდესი სხვა და სხვაობისა. წაართვით საქართველოს აკაკი და... დარჩება ლირიკის ადგილი, რომელიც ალბათ დიდხანს ვერ შეივსება.

ჩემი აზრით, აკაკი ყველა თავის პოეტურ თხზულებაში იყო ლირიკოსი ანუ გრძნობის მგოსანი, მისი დრამებიც და ეპიური პოემებიც ისევე ატარებენ ლირიკულ ხასიათს. მისი ცოცხალი ბუნება ვერ იტანდა ეპიკურ ობიექტივობის ბორკილებს და ამიტომ არიან მისი პოემები და დრამები სავსენი ლირიზმით, როგორც ბაირონის[3] თხზულებანი. ეს ძლიერი ლირიზმი, ეს ძლიერი მოქმედება გრძნობათა არ აქარწყლებენ მკითხველის შთაბეჭდილებას და პირიქით, უფრო აცხოველებენ კიდეც. როდესაც ვკითხულობ პოეტურ ნაწარმოებს, არა ვფიქრობ ხელოვნების წესებზე და, თუ ნაწარმოების სილამაზემ გამიტაცა, ეს წესები მავიწყდება კიდეც. რაიღა ითქმის აკაკის თხზულებაზე! მისი პოეტური მემკვიდრეობა იქცა ძვირფას განძად ქართველი ხალხის, რომელიც მეტად გაღატაკდებოდა, ეს საუნჯე რომ დაეკარგნა. მე აკაკის ლექსების კითხვა უდიდეს სიამესა მგვრის და აღვნიშნე, რომ ასეთივე შთაბეჭდილებას სტოვებენ ისინი ქართველთა უმრავლესობაზე. აკაკის პოეტური სული სცხოვრობს არა მხოლოდ მის წიგნებში, არამედ განაგრძობს ცხოვრებას საქართველოს ყოველ კუნჭულში, მკვიდრთა გულსა და გონებაში.

თუ ჩვენს თავსა ვკითხავთ, რა შეადგენს აკაკის ლექსების უდიდეს ღირსებასაო, ამ კითხვაზე არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით გამოპასუხება. ჩემი აზრითა და გემოვნებით, ყველაზე უფრო ლამაზადა და ძლიერად ის დამღეროდა საქართველოსადმი სიყვარულს, სევდას მისი ბედისას და მომავლის სასოებას. თავის გრძნობებს იგი ხშირად მომხიბვლელი ენით გამოხატავს, ისეთი მომხიბვლელი ენით, რომ სულსა და გულს სწვდება ხოლმე.

მაღალ ხელოვნებამდე მიდის აკაკი ბუნების სიმშვენიერის აღწერაში, მაგრამ არ დასდევს წვრილმანსა და ჰკმაყოფილდება საერთო სურათებით.

აკაკი იყო არა მარტო მგოსანი სილამაზისა და სიყვარულისა, არამედ მძლავრი მეგობარიც დაბეჩავებულთა, დამცირებულთა და შეურაცხყოფილ ძმათა; მეხად ევლინებოდა ფარისეველთ. მჩაგვრელთა და კაცობრიობის სხვა მათ მსგავს მტერთ...

თავის თხზულებათა ზნეობრივი მხარე აკაკის დროშასავით მაღლა ეჭირა და ამ დროშით კიდევ უფრო მომაგრდება იგი თავისი ხალხის ხსოვნაში.

როცა ქართველნი დღესასწაულობდნენ აკაკის იუბილეებს, მას უკ-

ვე დასრულებული ჰქონდა თავისი სამწერლო მოღვაწეობა, ხოლო ნელა და მოხუცებულობის სნეულებასთან ბრძოლით დაასრულა თავისი ვრცელი სიცოცხლე. გარდაიცვალა იმერეთს, თავის სამშობლოში, მაგრამ დასაფლავებულია საქართველოს დედა-ქალაქში, თავისი დიდების რაყიფის [4], ილია ჭავჭავაძის გვერდით.

მართლა იყვნენ იგინი რაყიფნი? დიახ, მაგრამ ეს რაყიფობა ლიტერატურაში არ გადასულა და კერძო ცხოვრებაშიაც შეუმჩნევლად არსებობდა. გულახდილი მეგობრები არ ყოფილან, მაგრამ აშკარად არ აჩენდნენ მიზეზს თავიანთ ცილობისას და ამისათვის არიან ორთავენი პატივსაცემნი. კარგად ვიცნობდი მათ, და ვიცი, რომ შეცილება და წარმატება, ერთისა და მეორე მხრითაც, იყო მიზეზი ფარული იჭვიანობისა, მავრამ ისინი მალავდნენ თავიანთ გრძნობათ. უნდა ითქვას, რომ ორთავენი, როგორც ნამდვილი ფილოსოფოსნი, ისე ებყრობოდნენ ერთიმეორეს.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში იგინი თითქმის ერთმანეთის გვერდით იდგნენ საქართველოს გონებრივ ასპარეზზე და მაღლა იჭერდნენ და იცავდნენ მის იდეალებს. ორთავე ერთნაირი სიყვარულით, ერთნაირი გულისწყრომით, ერთნაირი თავდავიწყებით ებრძოდნენ ყველას, ვინც კი ზურგი აქციეს თანამემამულეთ და სამშობლოს მომავლის რწმენას; თვით უმძიმეს დროშიაც კი არ ჰკარგავდნენ იმედსა და თავიანთი ვრცელი სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიაც კვლავა ჰხედავენ ქართული ერის კულტურული ცხოვრების აღორძინებას.

შინაური ქრონიკა

ევროპიელი მწერლები უფრო და უფრო აპყრობენ თავიანთ ყურადღებას ჩვენს ცხოვრებას და ლიტერატურას. ბ. არტურ ლეისტი [1], რომელიც შარშან კავკასიაში მოგზაურობდა, დრო-გამოშვებით ჰბეჭდავს თავის წერილებს კავკასიის ლიტერატურაზედ ერთს ნემეცურს საკვირაო ჟურნალში [2]. იგი აღტაცებით ლაპარაკობს იმ გონებითს მოძრაობაზედ, რომელიც დაეტყო კავკასიას და ამ წლის ნაწარმოებთა შორის ქართულ ლიტერატურაში ღირსეულად იხსენიებს აკაკის „თორნიკე ერისთავს“. ეს პოემა, ლეისტის სიტყვით, „შეეხება საქართველოს წარსულიდან ამოკრეფილ საგანს, და, ჩვენდა უნებურად, გადავყავართ იმისთანა აღელვებულს დროში, როდესაც ჯერ კიდევ ნამდვილი ქრისტიანული გრძნობებით გატაცებული კაცნი სცხოვრობდნენ. ამისათვის წერეთლის პოემა თითქოს „ბიბლიურად“ [3] ჰხიბლავს კაცს და წინ გადაგვიშლის მრავალს სურათს საქართველოს სახელოვანი წარსულისას“.

დავით სოსლანი (კეზელი)

ქართული თეატრი

აკაკი წერეთლის კომედია „კინტოს“ განხილვა. აკაკის გამოსელა ანტრაქტებში

ეს ორჯერ გვინახავს აკაკის სამ-მოქმედებიანი კომედია „კინტო“ სცენაზედ. ორ-ჯერვე უკმაყოფილოდ გამოვსულვართ თეატრიდან, მაგრამ მადამ სტალის[1] სიტყვები: „ვინც ყველაფერს შეიგნებს, ის ყველაფერს აპატიებსო“, გაგვხსენებია და სასტიკობა ლმობიერებაზედ შეგვიცვლია. ამ აზრის მნიშვნელობას ცოტა ქვეით შევიტყობთ. ერთი საუკეთესოთაგანი მეთოდი, ნამეტნავად პოეტური თხზულებების დაფასებისა, გახლავთ, ესრეთ წოდებული, **ისტორიული მეთოდი.** ბევრჯერ საუკეთესო მწერალი, თუ თავისი ნიჭის მნიშვნელობა აწონილი აქვს და თუ სურს რაიმე სარგებლობა მოუტანოს თავის ხალხს და საზოგადოებას, იძულებულია უღალატოს ხელოვნების სასტიკ მოთხოვნილებებს და, თუ შეიძლება ასრე ვსთქვათ, თავი დაიმდაბლოს საზოგადოების გუმოენების და გონებითი მოთხოვნილებების ზომამდე. მაგალითად, ოც-და-ათი-ორ-ოცი წლის შემდეგ რომ რომელიმე კრიტიკოსმა აიღოს და გაარჩიოს ჩვენის პოეტის აკაკის „კინტო“, უეჭველია რომ ბევრს საყვედურს უძღვნის და სასტიკად შესტუქსავს ჩვენს გამოჩენილს პოეტს; შეიძლება იმ უნიჭო, მეჯღანე მწერლების სიაშიც ჩასწეროს, რომელნიც სხვადასხვა საუკეთესო მწერლებიდამ ჰგლეჯენ აზრებს, აკონკებენ, აჯღანებენ და რაღასაც უშნო, ულაზათოსა ჰბადენ. მაგრამ როდესაც ისტორიულს მეთოდს მიჰმართავს, ე. ი. შეისწავლის აკაკის თანამედროვე ეპოქას, როდესაც ჩვენი საზოგადოება გოდფრუას ცირკში[2] და გლდანელის[3] ჭიდაობაზედ კისერს მიიმტვრევდა და სამშობლო თეატრში კი დიდი ხვეწნა-მუდარა და თითქმის ძალადობა იყო საჭირო, რომ ვინმე შეგეტყუილებინა, მაშინ მთლად მიუტეხებს ავტორს იმ დანაშაულს, რომელიც მას „კინტოს“ დაწერით დრამატიულის ხელოვნების წინაშე ჩაუდენია. საანბანო ჭეშმარიტება შეიქნა, რომ ყოველი პოეტური თხზულება, და ნამეტნავად დრამატიული, — უნდა იყოს სარკე, რომელშიც უნდა იხატებოდეს ნამდვილი ცხოვრება. აკაკის კომედიის თვით სიუჟეტიც და თვით გმირებიც ამ სოფლიერნი არ არიან. მაგრამ თავით ბოლომდე ისეთი ეფექტებით არის სავსე, იმდენი ყიჟინა და ჟრიამულია, რომ ჩვენს საზოგადოებას, რომლის გემოენებაც კარგად შეუსწავლია პატიოცემულს ავტორს და მისთვის შეუფერებია, ძრიელ მოსწონს და „კინტოს“ სანახავად სიამოენებით მიდის. ამით აიხსნება რომ, წარსულ კვირას, ნოემბრის 3. იმდენი ხალხი დაესწრო. რომ ალაგიც აღარსად იყო, ხალხიც ძლიერ კაი გუნებაზედ იყო—იქამდინ, რომ არამც თუ ძრიელ უხვად ტაშის კვრით და „ბრავოს“ ძახილით დაასაჩუქრეს მოთამაშენი, ვიდრამაც „ამ უფულობაში“ საჩუქ-

რის მირთმევაც გაბედა: ...წარმოდგენამ საზოგადოდ რიგიანად ჩაიარა და უფრო უკეთესად ჩაივლიდა, რომ მესამე მოქმედებაში კინტოებს მეტის-მეტი ბღარძუნი არ დაეწყოთ იმერელთან, როდესაც სალომე [4] (ანდრონიკოვისა) [5] თავის ქმარს ილიას [6] (მაქსიმიძე) [7] ატყობინებს და უტყდება თავის ოინებში, — და ქ. გიორგობიანისას [8] მეტის მეტად არ გადაეჭარბებინა კაბის წევა და ბუქნობა. ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და რაც ერთხელ ასიამოვნებს, დაჟინებული თავს შეაზიზღებს. განსაკუთრებით ქ. ანდრონიკოვისას თამაშობაზედ უნდა ვსთქვათ: რომ ნამდვილს კინტოზედ უფრო კინტო იყო, თუმცა მაყურებელნი ერთობ კმაყოფილნი დარჩნენ. ჩვენის ფიქრით, თუმცა სალომე ჰბედავს და კინტოს ტანისამოსით ორთაჭალას მიდის, მაგრამ არ უნდა ივიწყებდეს, რომ ის ქალია და არა ყარა-ჩოღელი ბიჭი. ეს უფრო ავტორის ბრალია, რომელსაც სალომე მეტისმეტად არეულ ტიპადა ჰყავს დახატული. სალომე სრულიადაც არ ჰგავს... მაგრამ, უკაცრავად, ჩვენ დაგვავიწყდა, რომ კინტო თეატრებში ხალხის მისაზიდავად არის დაწერილი და მასზედ კრიტიკული მსჯელობა მეტი იქნება"... კიდევ მით იყო შესანიშნავი ეს წარმოდგენა, რომ პირველად გამოჩნდნენ თეატრში ისინი, ვინც ყოველთვის მოვალეა დადიოდეს.

აკაკის სურათზედ

ვისაც კი ქართული ანბანი უსწავლია, ყველამ იცის აკაკის სახელი. ყველა ახალი დროის პოეტებზედ, აკაკის სახელი უფრო მეტად გავრცელებულია ხალხში და თითქმის კიდეც დაიმსახურა სახალხო პოეტის სახელი. ჩინოვნიკი, მოსწავლე, მღვდელი, ერი, ყველა ერთნაირად ეტანება ჩვენის პოეტის ლექსებს, ზეპირად სწავლობენ და მღერიან. მაგრამ ვისაც აკაკი დროების გასატარებელ მგოსნად მიაჩნია, ის ძრიელ შემცდარი იქნება. ჯერ ლიტერატურულ კრიტიკას არც ნიადაგი აქვს, რადგანაც აკაკის თხზულებანი არ შეკრებილან და არ გამოცემულან და ადრეც არის, რადგანაც ძარღვი ჯერ კიდევ მაგრად უცემს და ჩანგის ძირს დაშვებამდე, ჩვენდა სასიხარულოდ, კიდევ დიდი ხანი გაივლის; მაგრამ დრო მოვა, როდესაც პირმცინარი და ბედნიერი პოეტი 'ისტორიის პირუთვნელი სამსჯავროს წინაშე წარსდგება და ეს მოუსყიდველი მსაჯული, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, ერთს უპირველესთაგანს ალაგს დაუნიშნავს ჩვენის ენის გამშვენიერების ისტორიაში. ოცდაშვიდი წელიწადი შესრულდა, რაც აკაკი ჩვენი ლიტერატურის ასპარეზზედ გამოვიდა და ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის ყოფილა თავ-გამოდებული და დაუღალავი მესვეური. ამ ხნის განმავლობაში, ვიმეორებთ ჩვენ, აკაკი ყოფილა და არის კიდეც ის მგრძნობიარე თერმომეტრი, რომელიც შესამჩნევ კვალს სტოვებდა და სტოვებს ჩვენს ლიტერატურაში. ვინც აკაკის გზაზედ შესდგება, ის თავის სიცოცხლეში ვარდს ვერ მოკრეფს და „სიტკბოზედ მწარეს

უფრო მეტს დაჰლევს“, როგორც თვითონ ამბობს, მაგრამ ეს კი უტყუარია, რომ ის ხალხი, რომელიც იმისთანა კაცებს ვერ წამოაყენებს, რომელნიც პირად ბედნიერებას საზოგადო ბედნიერებას ანაცვალებენ,—დაღუპულია, ვისაც თავისი ნიჭი მარტო ტკბილი ხმების ჟღერაში გაუტარებია, იმას სიცოცხლე ტკბილად გაუტარებია. მაგრამ აკაკი პოეტი-პუბლიცისტია, ყოველთვის დღიურს ვარამს შეჰხებია და ამიტომაც სრული უფლება აქვს სთქვას:

ნახევარი ცხოვრების გზა გავლილ,
სიტკბოზედა მწარე მეტი დავლილ!

მაშასადამე, აკაკი სწორედ ის პოეტია, რომლის იდეალიც ჩინებულად აქვს დახატული მეორე ჩვენს წარჩინებულს პოეტს, ილ. ჭავჭავაძეს, ამ სიტყვებით:

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა,
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა! [1].

ძალიან ხშირად თითქმის გენიოსი პოეტი პოეზიის ერთს რომელსამე ნაწილში იჩენს ძლიერებას და სხვებში მთლად უძლურია. მაგ. წარჩინებული დრამატურგი ერთს უბრალო ლირიკულს ლექსსაც ვერ დასწერს. ლირიკოსი უხეირო მოთხრობასაც ვერ მოახერხებს და სხვა. ან ჩინებული მელექსე მტკნარი უნიჭოა პროზაში და ან სამაგალითო მეპროზე სულ ჯაგლაგია ლექსში. რუსეთისა და ევროპის ლიტერატურა რომ არ შევაწუხოთ, ჩვენს ლიტერატურაშიც არის ამის მაგალითები: გრ. ორბელიანის [2] და ნ. ბარათაშვილის [3] ლექსები სამაგალითოდ დარჩებიან ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ მათი პროზა კი სწორედ ბალღურია. მაგრამ ეს ორი უპირველესი მწერალნი ჩვენის დროისა, აკაკი და ილია სხვათა შორის, იმით არიან შესანიშნავნი, რომ ლექსშიაც და პროზაშიც თითქმის ერთნაირის ნიჭის ძალას იჩენენ. შედარებით ილიასთან აკაკის კი უფრო ფართო სარბიელი აქვს და ყოველ მხრივ თითქმის ერთნაირად ნავარდობს. არც ერთი ნაწილი ლიტერატურისა არ მოიპოვება, რომ აკაკის თავისი მჭრელი კალამი არ ეცადოს და თითქმის ყველგან ერთნაირად გაუმარჯვნია. განსაკუთრებითი კილო აკაკის ლექსებისა არის სატირა (დაცინვა), მაგრამ აკაკის სატირას ერთი განსხვავებული თვისება აქვს. ეს არ არის ის მოშხამული ისარი, რომელიც მოხვედრის უმალვე გკლავს. აკაკი ტკბილის ხმით, დაყვავებით გიტყუებს და შხამს ისე გასმევს, რომ ვერც კი იტყობ. ერთი სიტყვით, აკაკის სატირა ცალის თვალით გატირებს და ცალი თვალით გაცინებს. ჯერ არავის იმდენი არ დაუცინია ჩვენი საზოგადოებისათვის (ჩვენში კი დარჩეს და უფრო მეტის ღირსნი ვართ, რადგანაც სასაცილო მხარე ერთობ ბევრი გვაქვს), რამდენადაც აკაკის, მაგრამ მაინც აკაკის უფრო ბეჯითად კითხულობენ და ზეპირობენ, მელას თა-

ვისი მახრჩობელა უყვარდაო, ნათქვამია. აკაკი იცინის, მაგრამ ვისაც მისი დემონური ხარხარი სიმხიარულის და სრული კმაყოფილების ნიშნად მიაჩნია, დიდად შემცდარი ყოფილა, თავისი სიცილის ხასიათი თვით პოეტმა ერთის მშვენიერის ლექსის შემდეგს სიტყვებში გამოხატა:

ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია, —
რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარია.

აკაკის ჩვენი სცენის წინაშეც დიდი ღვაწლი მიუძღვის. მის კალამს ეკუთვნის შემდეგი დრამატული თხზულებანი: ა. „ძველსა და ახალს შუა," — კომედია ოთხ მოქმედებად; ბ. „კუდურ-ხანუმ", დრ. 3. მოქ.; გ. „კინტო", კომ. 3. მოქ.; დ. „ბუტიაობა", ვოდევილი 1 მოქ.; ე. „რეპეტიცია", ვოდ. 1 მოქ.; და ვ. „თამარ ცბიერი", დრ. 4. მოქ.; ეს ორიგინალური თხზულებანი და ერთიც ნათარგმნი მოლიერიდამ[4] „სკაპენის ცუღლუტობა". „ძველსა და ახალს შუა" და „რეპეტიცია" ჯერ არ უთამაშნიათ სცენაზედ, დანარჩენებს ქართულს რეპერტუარში შესამჩნევი ალაგი უჭირავთ და მაყურებელთა სიმპატია სრულიად მოინადირეს; ნამეტნავად პროვინციაში ისრე წარმოდგენა არ გაიმართება, რომ „ბუტიაობა" არ ითამაშონ. იმედი გვაქვს, რომ ახალი დაწერილი დრამა „თამარ ცბიერი" იქნება ერთი საუკეთესოთაგანი დრამატული თხზულება ქართულს ენაზედ.

დავით სოსლანი

ბიბლიოგრაფია

„თამარ ცბიერი"

(ოთხ აქტიანი დრამატული პოემა. თხზულება აკაკისა)

ქართველმა პოეტმა აკაკიმ, რომელსაც ნაწილობრივ ჩვენი მკითხველიც იცნობს, ახლახან გამოსცა ახალი დრამა ლექსად ზემოდასახელებული სათაურით. ადგილობრივ პრესას არ შეუძლია დუმილით აუაროს გვერდი ქართველი პოეტის ამ ნაწარმოებს მარტო იმიტომაც, რომ ქართველი საზოგადოებრიობა თითქმის მთელი წელია მასზე ლაპარაკობს.

დრამის სიუჟეტი ისტორიულია. ავტორმა ძალიან შეიბორკა თავი, შეეშინდა ცოტათი მაინც გადაეხვია ისტორიული ჭარგისათვის და თავის შემოქმედებით ფანტაზიას თავიდანვე განუმზადა პროკრუსტის სარეცელი[1]...

ძალიან ნიჭიერი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი[2], რომელიც მე-18 საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა, ძალზე მუქ ფერებში და ღრმა გულისტკივილით აღწერდა მაშინდელი ეპოქის ზნეობის დაცემას. სწორედ იმ ხანებში ცხოვრობდა დედოფალი თამარი[3], ახალი ქართული

დრამის გმირი, რომელშიც განსახიერებული იყო მისი ეპოქის ყველა მანკიერება.

ერთი სიტყვით ამ ქალის ცხოვრება, მამაკაცების მფლეთავი სფინქსი[4] ქალის ცხოვრება მდიდარ მასალას იძლევა, დიდ გაქანებას აძლევს მხატვრის ფუნჯს. სამწუხაროდ აკაკიმ რატომღაც ვერ მოახერხა დაუფლებოდა ამ მასალას. იმერეთის დედოფლის თამარის ეპოქა თავისი გარყვნილებით მკვეთრად გამოირჩევა საქართველოს ისტორიაში, მაგრამ აკაკის დრამა ამაზე არაფერს ამბობს. მოქმედ პირთა ხასიათები უაღრესად ძუნწად არის მოხაზული. ქარგაც უაღრესად უბრალოა, როგორც ეს ხდება სახელდახელოდ გამომცხვარ თანამედროვე ყოფით კომედია-დრამებში. დრამის მთავარი გმირი თამარიც დიდ ცოდვილად არ არის წარმოდგენილი. არ არის ნაჩვენები, რომ ამ ქალის მშვენიერებასა და ვერაგობას კლდეც კი ვერ უძლებდა. თამარი ძველი ეგვიპტის ფარაონის პენტეფრიას[5] ცოლია, არც მეტი და არც ნაკლები, რომელიც უძლური აღმოჩნდა იოსების[6] წინაშე. ამ ვერაგმა ქალმა მხოლოდ მშვენიერი იოსები ვერ აცდუნა და შურისძიებად საშინელი დანაშაული დასწამა. დედოფალი თამარის ცბიერება ამ მზამზარეულ რეცეპტს ვერ სცილდება; ამ გახრწნილ ქალს უბრალოდ აცოფებს პოეტი გოჩას[7] სიბრძნე, თავდაჭერა და მისადმი გულგრილობა. ქალი გადაწყვეტს ან ზიანი მიაყენოს გოჩას ვითომდა მოჩვენებით თავდაჭერილობას, ანდა დაღუპოს იგი. ესაა დრამის მთელი ქარგა. მეორე მოქმედებაში თამარი ყველა ღონეს ხმარობს, მაგრამ გოჩა, რომელსაც ქალი გარყვნილების გამო სძულს, თავისი თავის ერთგული რჩება. ქალი ყვირილს ატეხავს და მის ყვირილზე შემოსულ მსახურებს უბრძანებს შეკოჭვეთ გოჩა და ხაროში ჩააგდეთ, რადგან „თქვენი დედოფლის შეურაცხყოფა განიზრახაო“ (ზუსტად ისე როგორც პენტეფრიას ცოლი მოექცა იოსებს). უდანაშაულო პოეტს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. უკანასკნელ მეოთხე აქტში, როცა გოჩა გურიელის[8] წინაშე დგას და ბრალს დებს ხასიათის სისუსტეში, სცენაზე შემორბის თამარი და აცხადებს, გოჩა უდანაშაულოა და ითხოვს მე მაპატიეთ მისი სიცოცხლეო. თავად თამარი საწამლავს სვავს და თავს იკლავს. როგორც ეტყობა დიდი ხნის წინ მიყრუებულმა და გაქვავებულმა სინდისმა მაინც გაიღვიძა ამ გარყვნილ ქალში...

დრამა აკაკისათვის ჩვეული მსუბუქი და სასიამოვნო ლექსით არის დაწერილი.

ჯანი (აკაკი გაჩრაძე)

ქართული თეატრი

ქართულის დრამატულის საზოგადოების დასისაგან კვირას, რვა თებერვალს წარმოდგენილი იყო ჩვენის უსაყვარლესის პოეტის აკაკის ოთხმოქმედებიანი ისტორიულ-დრამატული პოემა „თამარ ცბიერი“. ეს

დრამატული პოემა ეხება XVIII საუკუნის დასაწყისს, როდესაც გიორგი მთავარი[1] იმერეთში გამეფდა და ცდილობდა საქართველოს შაჰ-აბასისაგან[2] დახსნას, მაგრამ მუხთალმა ბედმა უმტყუნა და თავისი მეუღლის თამარის[3] წყალობით იმის ოცნებას ფრთა შეეკვეცა. სასოწარკვეთილი ხალხი ბარბაროსის სპარსელების მსხვერპლად გახდა და ზნედაცემულმა თამარმა თავისი პირუტყვის ინსტიკტის დასაკმაყოფილებლად აუარებელი ხალხი ამოაჟლეტინა მტრების მახვილს. გიორგი მეფე მხნე და მამაცი კაცი იყო, მაგრამ სუსტი ხასიათი ჰქონდა. ქმრის ხასიათის სისუსტით თამარი სარგებლობდა და თითის-ტარსავით ატრიალებდა მას. ამ გვარს თამარის საქციელს ყოველთვის უკუღმართი შედეგი ჰქონდა. თამარი მიჯნურობით ატარებდა დროს და მეფე მაგრა ეჭირა ხელში თავის მომხიბლავის გარეგანის შეხედულებით, სამეფო კი თანდათან ძალას ჰკარგავდა.

ამ დროს გამოდის ცხოვრების ასპარეზზე მგოსანი — გოჩა[4], რომელიც ებრძვის უკუღმართობას და ცდილობს აღადგინოს დაცემული სამშობლო. მგოსნის აზრით მიზეზი ყოველივე უბედურობისა, რომელიც საქართველოს ეწია, თამარია, და ამისათვის ცდილობს იმის მოკვლასა... სიყვარულით გატაცებული თამარი ღონისძიებას ხმარობს გოჩას მახე დაუგოს და სიყვარულის მორევში ჩაითრიოს, მაგრამ მგოსანი იმოდენად მტკიცე ხასიათისაა, რომ იმის მოხიბვლას ვერას გზით ვერ ახერხებს გაცბიერებული თამარი; მგოსანს სრულიად სხვა საგნისთვის უცემს გული და სხვა საქმისთვის აჟღერებს ჩანგს. თამარმა რადგანაც განზრახვა ვერ აისრულა ცილის დაწამებით პოეტი საპატიმროში ჩაამწყვდევინა. წამებული მგოსანი ნეტარებით იხსენებს დიდ თამარს[5], რომლისთვისაც შოთამ[6] ჩანგი ააჟღერა. როდესაც ყოველივე აშკარავდება, დედოფალს თავის თავი მსხვერპლად მოაქვს; საწამლავით თავს იკლავს და მეფისგან უკანასკნელს მიტევებას ითხოვს.

რამოდენად დაახლოებულნი არიან ეს ტიპები ისტორიულს სინამდვილესთან, ამისას ჩვენ ვერას ვიტყვით, მხოლოდ არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავსტოვოთ ის მოვლენა, თუ რა რეალურად და ხელოვნურად არის გამოხატული ამ ისტორიულის დრამატიულის პოემის მომქმედ პირთა ხასიათები. ლირიკულს მხარეს ამ პოემაში უპირველესობა უჭირავს და კაცის სულზედ ჰარმონიულად მოქმედებს: გადაჰყავს ზეციურს, უხილავს ქვეყანაში და სრულის ნეტარების საგრძნობელით ავსებს კაცის დაჩაგრულს არსებას: ამ წუთს შენ კმაყოფილი ხარ შენის ბედისა და ბედნიერათ გრძნობ შენს თავსა. რომელს მონოლოგს აიღებთ, რომ ყოველსავე წინადადების წაკითხვის შემდეგ ტანში ჟრუანტელმა არ გაგირბინოთ, კაეშანი არ გაგიჩარჭოთ. აი როგორ აქვს განვითარებული აკაკის ლირიკული მხარე. რაც ლექსთა წყობილებას შეეხება, ხომ როგორც ყველა აკაკის ლექსები შეუდარებელია და ენა მსუბუქი.

დრამატულს მხარეს თავისი საკუთარი კანონები აქვს. დრამის მწე-

რალი არ უნდა გამოვიდეს ამ ჩარჩოდგანა, რადგანაც თუ დაცულნი არ არიან ეს კანონები, თხზულებას ეკარგება ძალა და ჯეროვანს შთაბეჭდილებას ვერ ახდენს მაყურებელზე.

ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკიც ვერ ასცდენია ამ სენს და ზოგიერთს ადგილებში ნამდვილად ვერ არიან დაცულნი დრამატიულნი მხარენი.

თამარი და მგოსანი ნამდვილად არიან დახატულნი, მხოლოდ მეფის ტიპი მკრთალად არის გამოყვანილი: კაცს ვერ შეუგნია მისი ხასიათი, ამ ტიპს კულისებში უფრო მეტს ამოქმედებს და ალაპარაკებს, ვიდრე სცენაზედ.

აგრეთვე ხელოვნურად დახატულია ორი დარბაისელი: სახლთუხუცესი[7] და მსაჯულთუხუცესი[8]. ხუმარა[9] ნათლად გვიხატავს იმ ცხოვრებას, როდესაც ყველა მეფეს თანმხლებლად ჰყავდათ მასხარები კაეშნის გასაქარვებლად. მისი როლი შემკულია სხარტულის სიტყვებით, ეს ჩვენ უეჭველი გვგონია, როგორც დრამატიულის, აგრეთვე ლირიკულის მხრითაც...

ჯანი

ნიკო ნიკოლაძე

კრიტიკა

აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე 2 მაისს 1889 წელს

ამ კვირის გმირათ შეიქნა ქართველთა მგოსანი აკაკი რ. წერეთელი ამ მწერლის სალიტერატურო ღვაწლის მადლიერმა დაფასებამ მიხეილის საადგილმამულო ბანკის (ქუთაისშია) საერთო კრების მიერ ძლიერი და სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი საზოგადოების ყოველ წრეზე. და არა მარტო ქართველი საზოგადოების. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ გაცხარებული საერთო ლაპარაკის დროს ამ ფაქტის შესახებ სრულიათ არ მოისმის რაიმე უთანხმოების, ან წინააღმდეგობის ხმები, ყველა დიდიდან დაწყებული პატარამდე კმაყოფილია იმით, რომ მგოსანს დაუნიშნეს ეს, არსებითად რომ ვთქვათ, მეტისმეტად მცირე—1500 მანეთის პენსია. „ნოვოე ობოზრენიე"[1]-მ აღნიშნა ეს ფაქტი და სრული თანაგრძნობა გამოუცხადა მას. ამიტომ მე მეტად მიმაჩნია ამავე საგანზე ლაპარაკი. ეს თავისთავად იგულისხმება. მარა, რადგან ამ სასიამოვნო ფაქტმა გამოიწვია, თუ გააძლიერა ინტერესი მგოსნის მოღვაწეობისადმი იმ მკითხველებშიც-კი, რომელნიც ქართულ ლიტერატურასა და მის მწერლებს გაგონებით თუ იცნობენ, — ამიტომ მე აუცილებელ საქმედ მიმაჩნია სრულიად სხვა მხარეს შევეხო: მე მინდა თ. აკაკი წერეთლის სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ ჩემი თუნდაც გაკვრითი შეხედულება გამოვთქვა. დავიწყოთ იქიდან, რომ თ. აკაკი წერეთელი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ნამდვილი და ჰეშმარიტი პოეტია. ეს

ცოტაა. ის ერთათერთი მგოსანია უკანასკნელი საუკუნის ნახევრის ქართველ მოლექსეთა შორის. ამას იმ მნიშვნელობით ვამბობ, რომ მათ შორის მხოლოთ აკაკი წერეთელს აქვს ბუნებიდან მიმადლებული ის სპეციალური ნიჭი, რომელიც პოეტებს ქმნის. ამას გარდა ეს იშვიათი სიკეთე უკანასკნელ დროის დანარჩენ ქართველ მოლექსეთა შორის (მათი საბელი — კი ლეგიონია) მინიჭებული ქონდა, და ისიც ხელმოჭერილათ, მხოლოდ გ. მ. ქოჩაკიძეს (ჭალადიდელი) [2], რომელმაც სამოცდამეათე წლების მიწურულში ის იყო გამოანათა ქართულ ლიტერატურაში, მარა მალე ჩაჭკნა, გაცილებით ადრე, აყვავებამდი. მხოლოდ თ. წერეთელს შეუძლია ამოუდგეს გვერდში მეორმოცე წლების მეორე შესანიშნავ ქართველ პოეტს თავ. ნიკ. ბარათაშვილს, — და ამ ორმა მგოსანმა სავსებით ამოწურა მიმდინარე საუკუნის საქართველოს ნამდვილი პოეზია, მხოლოდ მათ შეიტანეს ამ პოეზიაში სუბუქსა და სადა ფორმასთან ერთად ცოცხალი, უკვე ღრმად ჩაბეჭდილნი ხალხის ხსოვნასა და შეგნებაში, დატოვებენ წაუშლელ კვალს, რომელიც მარტო ბუნებრივი პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ პირთა კუთვნილებაა. თავ. აკაკი წერეთლის სალიტერატურო ნიჭის ძალა პირდაპირ საოცარია. შეიძლება სრულიად გადაუჭარბებლად ვთქვათ, რომ ის თავისი ბუნებრივი ნიჭით ყველა კავკასიის თანამედროვე მწერალზე, პოეტსა და პროზაიკოსზე მაღლა დგას, სრულიად გამოუკლებლივ. ყველა ჩვენგანზე გაცილებით მეტია მასში დაუფასებელი ნიჭი, მწერლის უზენაესი ძალა, ელექტრონის ნაკადის მსგავსათ მკითხველების გულის გამსჭვალველი ყოველთვის, რაზედაც არ უნდა დაიწყოს მან ლაპარაკი. ის აფხიზლებს, აღვიძებს, ფეხზე აყენებს დამბლადაცემულებსაც-კი და ტოვებს საუკუნო წაუშლელ კვალს არამარტო თავისი აზრით, არამედ მისი გამომხატველი ფორმითაც, — და თითქმის ფორმით უფრო, ვიდრე აზრით. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რითაც მარტო ქართველურად გულუხვ ბუნებას შეეძლო დაეჯილდოებინა მწერალი, უზომოთ და თავდაუჭერელათ მიცა მან თ. აკაკი წერეთელს და იმგვარს ფარგლებში, რომელზედაც ოცნების უფლებაც კი არ აქვს არც ერთს თანამედროვე კავკასიელ მწერალს.

გულუხვათ დაჯილდოებული ასეთი იშვიათი ნიჭით, თავ. აკაკი წერეთელი ყრმობის წლებიდან გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე, 1857 წელს, ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს. ქართულ ლიტერატურაში შეუძლებელია რასმე შეედაროს ის შთაბეჭდილება, რომელიც მისმა პირველმა ლექსმა მოახდინა. მხოლოდ რუსულ ლიტერატურაში შეიძლება შეგვხვდეს ამის მსგავსი რამ, სახელდობრ, პუშკინის [3] ახალგაზრდა მუზის პირველი ნაბიჯებით გამოწვეული შთაბეჭდილება. ყველა ერთობით, ნასწავლებიც და უვიცებიც, შიხვდნენ, რომ ასო წ-ით მორცხვათ ხელმოწერილ ლექსებში ჟღერს „ლექსის არმონია“, რომლის, ა. ნ. მარკოვის [4] გამოთქმით, ღვთიური საიდუმლოების ძებნა ბრძენთა წიგნებში ამაო შრომა იქნებოდა. ამ ლექსების ენა განირჩეოდა წმინდა ხალხური

კილოს მანამდე გამოუცდელი სიმშვენიერით და სისუბუქით, იმ კილოსი, რომელიც სრულიათ თავისუფალი იყო მწიგნობრული ხელოვნებისა და განსაზღვრულობისაგან. საზოგადოთ, თავ. აკაკი წერეთლის სალიტერატურო მოღვაწეობის პირველი დღიდან უკანასკნელამდი, მან ქართულ სიტყვიერებაში მოიპოვა და სავსებით შეინარჩუნა ისეთივე მნიშვნელობა, როგორც პუშკინსა აქვს რუსული ლიტერატურის ისტორიაში, თავისი თხზულებებით ენისა და ფორმის მხრით.

მან პირველმა, და მერე ყველაზე უფრო მეტათ თავის მოძმეთა შორის, მძლეთ დაუახლოვა ლიტერატურის ენა ხალხურს იმით, რომ მიანიჭა მას საოცარი მოქნილობა და გრაცია, გამომეტყველება და მდიდარი გამოთქმა. და რადგან ეხლა მე ვწერ არა დიფირამბს, არამედ კეთილსინდისიერ შეხედულებას პოეტის მოღვაწეობაზე, ამისათვის, ყოველგვარი გაუგებრობისა და ცალმხრივობის ასაცთენათ, უნდა დავუმატო ჩემს მსჯელობას, რომ ეს მსგავსება თავ. აკაკი წერეთლის როლისა ქართულ ლიტერატურაში და პუშკინის მნიშვნელობა რუსულში, საუბედუროთ, მხოლოდ ენითა და ფორმით განისაზღვრება.

ვაგლახ, რომ ქართველმა მგოსანმა ვერ შეძლო რუსის მსგავსი გამხდარიყო და ძირიანად შეეცვალა თავისი სამშობლოს სალიტერატურო ნაწარმოებთა არა მარტო ფორმა, არამედ შინაარსიც. ეს დიდი პატივი — მშობელი ხალხის სალიტერატურო ძალთათვის ახალი და ღირსეული მიზნების მინიჭებისა — ქართულ ლიტერატურაში წილათ ხვდა არა თავ. აკაკი წერეთელს, არამედ მეორე მწერალს, თავ. ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც, ამის გამო, სრული უფლებით პირველი ადგილი დაიჭირა თანამედროვე ქართულ ლიტერატურის სათავეში. ამ ორი მწერლის ნიჭისა და როლების შედარება ერთმანეთთან ყველაზე უფრო გარკვევით დაგვანახვებს თვით თავ. აკაკი წერეთლის ბრწყინვალებას, ამიტომ მე ნებას მივცემ ჩემს თავს ცოტათი ავსცდე საგანს. როგორც პოეტს, თავ. ილია ჭავჭავაძეს თავ. აკაკი წერეთლის ნიჭის ნამცეციც-კი არ მოეპოვება. მისი ლექსები ნახელოვნებია, მძიმე, არა მხატვრული და ბევრი ოფლითა და რიტორიკით გაჟღენთილი. ისინი არა თუ თავისით, ბუნებრივათ არ ებეჭდებიან მკითხველის ხსოვნას და შეუწყვეტლათ არ გაისმიან ყურებში, გინდა თუ არ გინდა მათი დამახსოვრება მაინც, არამედ მაშინაც-კი არა რჩებიან ხსოვნაში, როცა მოწაფესავით საგანგებოდ იზეპირებენ მათ. საქმის კარგი მცოდნისათვის ეს ჩემი ნათქვამიც საკმარისია და, მიუხედავათ ამ უსაზღვრო განსხვავებისა, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ამ ორი კორიფეის ბუნებრივ ნიჭთა შორის, მაინც თ. ილია ჭავჭავაძემ და არა თავ. აკაკი წერეთელმა, დაიჭირა ქართულ ლიტერატურაში პირველი ადგილი და მისცა მას მიმართულება საესებით სწორი და შეურყეველი. აზრის ნათელსაყოფად ისევ შედარებათა ენას მივმართავ და, მაგალითად მოვიყვან რუსების მეორე სახელგანთქმულ მგოსანს, ნეკრასოვს[5]. ვინ არ იცის, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ ნიჭის მხოლოთ

სპეციალურ პოეტურ მხარეს, გრაციის, მხატვრულ სახიანობისა და უბრალოების მხრით ნეკრასოვი ვერ შეედრება ისეთს მეორეხარისხოვან მწერალსაც-კი, როგორიც არიან ა. ნ. მარკოვი და გრ. ა. კ. ტოლსტოი[6]. მარა ნეკრასოვის პოეტური ნიჭის ამ თანდაყოლილი სისუსტის მიუხედავად, ისიც ხომ უეჭველია, რომ მან რუსული ლიტერატურის ისტორიაში, როგორც პოეტმაც — კი, მოიპოვა სრულებით არა მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა, რასაკვირველია არა თავისი ნახელოვნები, უშნოთ მოჭრილი, უხეში, ტლანქი და რიტორული ლექსის ფორმით, არამედ მისი შინაარსით, იმით, რომ მან პირველათ შეიტანა რუსულ ლიტერატურაში ის ელემენტები, რომელიც მანამდე ხანდახან და შეუმჩნეველათ, თუ ამოყოფდნენ თავს პუშკინისა და ლერმონტოვის[7] ზოგიერთ ქმნილებაში. რადგანაც ეს ელემენტები რეალურ ცხოვრებიდან არის ამოღებული და სავსებით ეთანხმება მისი სწორი გავითარების საჭიროებას, განა უბედურება იქნება, რომ ისინი უხეში საშუალებითა და ხელოვნური ფორმით იყვნენ შეჩხირებული პოეზიაში? ისიც საკმარისია, თუ შთაბეჭდილება იქნება გამოწვეული, თუ იქნება შთაგონების ძალა. მაშინ შინაარსის დიდი ძალა და მათი სიცოცხლის უნარი თვით უსულო ფორმითაც-კი თავისას გაიტანს.

მოგვეველინებიან ახალი მგოსანნი, მხატვრული ალღოთი, „ლექსის არმონიით" დაჯილდოებულნი, — აი, ისინი განაგრძობენ დაწყებულ საქმეს და თავიდან აიცდენენ მიმართულების მამამთავრის ნაკლოვანებებს. რასაკვირველია, პოეტური შემოქმედების ბუნებრივი კანონები შეუბრალებელი და დაუძლეველია. ხეკრასოვს ეს მშვენივრად ესმოდა, როცა მწუხარებით ამბობდა: — «Песнь моя бесследно прозвучала, и до народа не дошла она»-ო (ჩემმა სიმღერამ უკვალოდ გაიხმაურა და ხალხამდი მას არ მიუღწევიაო)[8]. მაგრამ არც ეს არის უბედურება. ადრე თუ გვიან ის ხალხს მიწვდება, თუგინდ შემდგომი დროის ხელოსანთა მიერ — „გარდაქმნილი სიმღერების" მეოხებით, რომელნიც პოეტური აღმაფრენითა და სიტყვის უნაკლულო მუსიკის ძალით იქნებიან დაჯილდოებული. ამგვარათვე, თუ თავ. ილია ჭავჭავაძის ლექსებმა ვერ მიაღწია ხალხს, რომელმაც, საბედნიეროთ, პირდაპირის გზით და ერთბაშათ შეითვისა აკაკი წერეთლის ლექსების უმრავლესობა, — მიუხედავად ამისა, ქართველი საზოგადოების გონებრივ ცხოვრებაზე და მის მომავალ განვითარებაზე თავ. ილია ჭავჭავაძის ლექსებმა თითქმის უფრო დიდი გავლენა იქონიეს. მერე, რატომ? საიდან ჩნდება ბუნების კანონების ეს ვითომდა დარღვევა? ეს საკითხი არა თუ საყურადღებოა, არამედ დიდად გამწვრთნელიცა, როგორც ახლავე დავინახავთ. შეადარეთ ერთმანეთს ორივე ქართველი მწერლის არა მარტო ნიჭი, არამედ მათი მოღვაწეობაც. ერთი — შედარებით ნაკლებად დაჯილდოებული ბუნებისგან, ყოველთვის შეუსვენებლათ ავარჯიშებდა მთელ თავის ძალღონეს, რომ თავისი ნიჭისთვის მიეცა მთელი ის განვითარება და ძლიერება, რომელიც

მისაწვდომი იქნებოდა მისთვის. ნების, შეურყეველი ხასიათისა და ცხოვრების მიზნების მპყრობელი,—ის არ შეუშინდა შრომას, ამ უკანასკნელის მთელ სიმძიმესა და უფერულობას. ის სწავლობდა, კითხულობდა სხვა მწერლებს, იკვლევდა ცხოვრების საკითხებს — და თავისი გონებრივი განვითარებით მის თანამედროვე განათლებულ პირებს გაუთანასწორდა. შეიძლება აქ ის საზღვარსაც გადაცდა, როდესაც ისეთ რამეს მოკიდა ხელი, რასაც ამ გონებრივი მუშაობის დროს ყველაზე ძნელათ ერეოდა, რადგან ეს ყველაზე ნაკლებათ შეეფერებოდა მისი გონების თანდაყოლილ თვისებებს, — სახელდობრ გადამეტებულ მსჯელობასა და ფილოსოფიას. მარა ეს არ არის საყურადღებო. უმთავრესი ის არის, რომ მწერალი სწავლობდა, ცოდნით იშურვებოდა და მუდამ გარკვევით ახსოვდა მას, რო თანდაყოლილი ჰკუა მხოლოდ ამ გზით მოიპოვებს ბელადობას თანამედროვეებზე, განმავლობას ჩამომავლობაზე.

და მან ყველა ამას ზედმიწევნით მიაღწია, — მიაღწია იმიტომ, რო თავის თანაშემაშულეთა შორის ის იყო თითქმის ერთათ ერთი მოღვაწეებით, შეურყეველი ხასიათითა და შრომის მოყვარეობით დაჯილდოებული. შესაძლებელია, ნაკლულევანებაც ჭონდეს, — ბევრ რამეში მე არ ვეთანწილები მის შეხედულებებს, კვერს არ ვუკრავ მის მოქმედებას, — მარა, მიუხედავად ამისა, ის, უეჭველია, ადამიანია, ეს — ძალაა. მისი მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ისეთ სპეციალურ დარგშიც — კი, როგორიც არის პოეზია, რომელიც თავის მსახურთაგან, განსაკუთრებულ გრძნობიერებას, განსაკუთრებულ ალღოიანობას, განსაკუთრებულ ნერვებსა და ტვინს ითხოვს, — ადამიანს, სრულიათ მოკლებულს ასეთს მადლს, შეიძლებია წარმატებით სელა და თავისი კვალის აღბეჭდა უდიდესი სარგებლობით თანამედროვეთა და ჩამომავლობისათვის. მეორემ — კი, ჰეშმარიტათ და გამოჩენილ პოეტათ დაბადებულმა, სრულიათ არ დაატანა თავს ძალა, თავისი შეუდარებელი პოეტური ნიჭი არ აღჭურვა მისი განმავლობის ყველა აუცილებელი ელემენტით და ამიტომაც, იგი ვეღარ გაცილდა თავისი შიშველი ბუნების პირველ ყოფილ სიწმინდესა და უბრალოებას. ის გვხიბლავს, როცა მისი სიმღერა მოგვესმის, გვხიბლავს ვით შეუდარებელი ბულბული, მაგრამ ამით თავდება ყველაფერი. მისი სიმღერა არც მოკვდება, არც დავიწყებას მიეცემა; ოჰ, ეს უტყუარი ჰეშმარიტებაა! მარა მან ქართულ ლიტერატურაში ვერ დაიჭირა ის მთავარი ადგილი, რომელიც მას დაბადებით ეკუთვნოდა. ზარმაცმა მონამ, მან მიწაში დაფლა ღვთის მიერ ბოძებული მძლე იარაღი — და მისი ხალხის ლიტერატურამ ვერ ისარგებლა მისი მოღვაწეობიდგან ყველაფერი იმით, რის მოცემაც შეეძლო ამ ბუმბერაზ ტალანტს, თავისი თავის თვითონვე შემმუსვრელსა და მტერს, ტალანტს, რომელსაც სიკმარისი იყო მხოლოდ ხელი გაენძრია, ეშრომა, რომ გენიოსობამდე გაზრდილიყო. განა უაღრესათ საწყენი არ არის ეს?

მე უკვე ვწერდი ამას წინათ, გ. ვ. სალტიკოვის ნიკროლოგში, თუ

როგორი მნიშვნელობა მიანიჭა მან თვის ტალანტს მძიმე და შეუწყვეტელი მუშაობით მის სრულსაყოფელათ. განსვენებული სატირიკოსის უახლოესი თანამშრომელი, ნ. კ. მიხაილოვსკიც [10], საგნის ამ მხარეს შეეხო თავის წერილში "ჩეხრინის[11] შესახებ. ჩვენი პუბლიცისტიკის ამ წერილიდან ვსარგებლობ შემდეგი სტრიქონებით («Русская ведомость» [12]; 1889 г. № 119): „მე ყოველთვის მაოცებდა შჩედრინის შრომის მოყვარეობა. თვითონ ისიც ამაყობდა ამით. ის ამტკიცებდა კიდეც, რომ მან ლიტერატურაში სახელი მოიხვეჭა არა ტალანტის საშუალებით, რომელიც მისი აზრით, სრულებით არ იყო თვალსაჩინო, არამედ განუწყვეტელი შრომით. ერთხელ, ბავშვების აღზრდის შესახებ ლაპარაკის დროს ის მარწმუნებდა, რო მეტათ, თუ ნაკლებ ნიჭიერ მწერლათ ყველას შეუძლია გახდეს, — საჭიროა მხოლოდ ყმაწვილი სიყრმიდანვე შეეჩვიოს წესიერათ, და განუწყვეტლათ შრომასო: „რასაკვირველია, თუ ის იდიოტი არ არის, ან მათემატიკოსიო", დაუმატა მან და, მგონია, აქ გულისხმობდა იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს განსაზღვრულ სპეციალურ ნიჭსა და სრულ უნიჭობას შორის. ვერც ერთსა და ვერც მეორეს შემთხვევაში, ჩანს, ვერაფერს გახდები და მის ფარგლებში კი ყველაფერს მისწვდები შრომით". დეე, ამ სიტყვებს ჩაუფიქრდეს ყველა ჩვენი ნიჭიერი მწერალი. დეე, მათ ჩაიბეჭდონ გონებაში დიდებული მწერლის ეს ანდერძი. მხოლოდ ნიჭით, მხოლოდ ტალანტით შორს ვერ წახვალ. როგორც ცეცხლის, ისე, უნდა ე'შინოდესთ მათ ტაშისცემისა, დიდების და ფიმიამების, რადგან ყველაფერი ეს დამღუპველად მოქმედებს მწერლის განვითარებაზე. ვით უდიდესი სიკეთე ქვეყნიერებაზე, ისე უნდა შეინახოს მან გულის სიღრმეში სამარადისო უკმაყოფილება თავისი თავით და თავისი ნაწერებით, შეუსვენებლათ უნდა ილტვოდეს ის უფრო მეტისა და მეტი განმაელობის მოპოვებისაკენ თავის თანამოჭალაქეთა უმრავლესობის გონებაზე. ასეთი უკმაყოფილების უქონლობა, შეერთებული თავისი საქმის ზერელეთ შესრულებასთან და თავისი განვითარებისათვის საჭირო სურვილის უქონლობასთან, თხრის საფლავს, რომელშიც უდროოთ დაიმარხა თავი თითქმის ყველა ჩვენმა სამწერლო ნიჭით დაჯილდოებულმა პირმა. პირველი გამარჯვებით დამთვრალნი ისინი უფრო ხშირათ, ეჩვევიან ბრბოს იაფი ტაშისცემით თავისი სმენის დატკბობას და როცა ვერ ამჩნევენ მის გაძლიერებულ გრადაციას, ავადმყოფურ გულღვარძლიანობას ეძლევიან. ისინი ვერ იტანენ კრიტიკას, რომელშიც ხედავენ არა გულწრფელ მისწრაფებას მომავალი წარმატებისა და გაუმჯობესებისაკენ, არამედ დაფნისა და გვირგვინის მითვისების დაბალ სურვილს. არ ესმით მათ, საბრალოებს, რომ ამ დაფნასა და გვირგვინებს, ეკლიანების გამოუკლებლათ, ანიჭებს და ართმევს მათ არა კრიტიკა... ვხედავ, რომ ძალიან ავცთი ჩემ მთავარ საგანს, თავ. აკაკი წერეთელს. ისევ მას დაეუბრუნდები: მარა, რადგან მის დასახასიათებლათ ადგილი აღარ მყოფნის, ამიტომ, სიტყვის შესამოკლებლათ, დავკმაყოფილდები ერთი შესა-

ნიშნავი ლექსის მოტანით, რომელიც ეკუთვნის გრ. ა. ტოლსტოის, ყოველი მხრით ნამდვილ მგოსანს, რომელსაც ისეთივე მრავალი ღირსება აქვს, როგორც თავ. აკ. წერეთელს. რასაც რუსის პოეტი თავის თავზე წერდა, ჩემის რწმენით, სავსებით შეეფერება ქართველ პოეტსაც:

Господь, меня готовя к бою,
Любовь и гнев вложил мне в грудь,
И мне десницею святою
Он указал правдивый путь;
Одушевил могучим словом,
Вдохнул мне в сердце много сил,
Но непреклонным и суровым
Меня господь не сотворил.
И гнев я свой истратил даром,
Любовь не выдержал свою,
Удар напрасно за ударом
Я, отбивая, устаю.
Навстречу их враждебной вьюги
Я вышел в поле без кольчуги
И гибну раненный в бою [13].

(როცა უფალმა ბრძოლისათვის მომიწოდა, მრისხანება და სიყვარული ჩამბერა გულში და თავისი წმინდა მარჯვენით ჰეშმარიტი გზისაკენ მიმითითა — ძლიერი სიტყვით აღფრთოვანება მომმადლა მან და უსაზღვრო ძლიერება მომანიჭა, მარა შეუპოვარი და მკაცრი არ შეუქმნივარ მე უფალს, და ჩემი რისხვა უნაყოფოთ ამოვაშრე, სიყვარული ბოლომდე არ შემრჩა; ერთი მეორეზე ამაოთ ვიგერიებ მტრების იერიშებს — და ვიღალები. მათი მტრული ძალების წინააღმდეგ მე უჯავშნოთ გამოვედი ბრძოლის ველზე და, სასიკვდილოთ დაკოდილი, ვიღუპები).

ოჰ, თავ. აკაკი წერეთელში რომ იყოს ნების იმდენივე ძალა, რამდენიც მასში ტალანტის ძალა არის, მას რომ ჰქონდეს თავისი ვალდებულობის სიმძიმისა და დიდებულობის შეგნება, ვალდებულობისა, რომელიც მას ეკისრება თვით ფაქტით ბუნების მიერ მისთვის ტალანტის მინიჭებისა, ჯერ კიდევ არ იქნებოდა მისთვის დაგვიანებული, რომ თვლემისაგან განთავისუფლებულიყო და მთელი თავისი თვალწარმტაცი ახოვანებით ამართულიყო. ის ჯერ კიდევ არ არის მოხუცებული, და შრომა თავის გასავითარებლად არაოდეს არ არის დაგვიანებული... მარა მე იმდენად გულუბრყვილო არა ვარ, რომ ასეთი მოჩვენების მსგავსი იმედებით გავირთო თავი. რაც უნდა იყოს, მე დარწმუნებული ვარ, რო მისი როლი, მისი ტალანტი, მისი მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში საუკუნო გამწვრთვნელ მაგალითათ გამოადგება ყველას ჩვენს მომავალ სალიტერატურო სარბიელზე მოღვაწე პირს, რომელნიც ისწავლიან — ჩვენი თაობის ადამიანებზე უკეთ — ხალხისათვის თავდავიწყებულ სამსახურს, ღვთისაგან ბოძებულისა და მათ მიერ მონდომებით განვითარებულ ნიჭთა მთელი ძალღონით.

ორგვარი აზრი აკაკის ლექსებზე

როგორც ჩანს, მეორე წიგნათ გათავდა აკაკის წვრილ-წვრილი ლექსები 1857 წლიდან დაწყებული, ვგონებ 1891 წლამდე. ჩვენი საზოგადოება დიდი ხანია ნატრობდა აკაკის ლექსების ერთად შეგროვებას და, აი, ახლა „ქართველთა ამხანაგობის“ [1] შემწეობით კიდეც ვეღირსეთ ამ სასურველ საქმეს. ჩვენ ახლა წინ გვიძევს ორივე წიგნი ჩვენის საყვარელის პოეტისა და სიამოვნებით ვკითხულობთ და შეძლებისდაგვარად მსჯავრს ვდებთ. მაგრამ ჩვენი მსჯავრის დადება რა საჭიროა: უმჯობესი იქნება ყური დავუგდოთ ჩვენი საზოგადოების მსჯავრს ამავე საგნის შესახებ.

ჩვენს საზოგადოებაში აკაკის ლექსების ნაკლ-ღირსების შესახებ ორი სხვა-და-სხვა აზრი ტრიალებს. ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა წუნსა სდებს, არარად სთვლის ხსენებულ ლექსებს, ხოლო მეორე აქებს, ადიდებს და თაყვანსა სცემს პოეტის ნიჭსა და მის ნაწარმოებებს. პირველი ბანაკი ღაღადებს, რომ აკაკის ლექსებში დედა-აზრი, ანუ უცხო სიტყვებით, იდეია არ მოიპოვება, წარა-მარა და მოუფიქრებელი ნაწარმოებიაო და სხვა. „ჰკითხულობ, ბატონო, აკაკის ლექსებს და დასასრულ კი არა გრჩება-რა ხელთაო“, — სჩივიან პირველი ბანაკის წარმომადგენლები. თავისი აზრის დასასაბუთებლად შედარებით მეთოდს ხმარობენ ხოლმე ისინი. „აი, ბატონო, ილიას (ჭავჭავაძის ლექსები!) ყოველ სიტყვაში ღრმა აზრია! კითხვის დროს დიდ შთაბეჭდილებას ახდენს კაცზე და დასასრულ ერთი რამ აზრი გრჩებათ ხელთაო!“ თუმცა აკაკის ენას და ლექსთწყობილობის ხელოვნებას გადაჭრით უარს ვერ ჰყოფენ, მაგრამ თითქოს დასამცირებლად, „სუბუქ ენას“ უწოდებენ. „უბედურებააო, გაიძახიან, რომ აკაკის აზრის დაფარვა არ ეხერხება, ყველაფერს მოუბოდიშებლად დაგახლის თავზე და მკითხველს ერთ წამსაც ვერ ჩააფიქრებსო“. უწუნებენ აგრეთვე ბუნების აღწერას და სხვა.

მეორე ბანაკს კი, პირიქით, პირველ მობანაკეთა შეხედულება სასაცილოდაც არ ჰყოფნის. „ჩვენ მისთვის მოგვწონს აკაკის ლექსებიო, ამბობენ ესენი, რომ ყოველ ლექსში კარგი აზრი გამოსჭვივის, რომ ლექსი აზრს შეჰფერის და აზრი ლექსსა, რომ ჩვენმა პოეტმა მალულობიას თამაში არ იცის, რომ ის პირუთვნელი, მხნე და დაუღალავიაო“.

ჩვენ რაღა გვეთქმის? ისა, რომ მხოლოდ ჩვენში არის შესაძლებელი ასეთი დაფასება საზოგადო მოღვაწეობისა! მერე რით უნდა აიხსნას ჩვენი ასეთი საქციელი? რა მოგახსენოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის მხეცები, სახელდობრ: დათვები, მგლები, ვირები და სხვა, რომელზედაც პოეტს არა ერთხელ უნადირნია, და ის გვამნი, რომელთაც პოეტი იუდებს, ფარისეველებს და მოღალატეებს უწოდებს, თავიანთი მხრითაც აი

ასეთი ადამიანები შურის ძიებას ჰფიქრობენ და ხმა-მაღლა ღაღადებენ, რომ აკაკის ლექსები ჩირადაც არა ღირსო. იმათ აჰყოლიან ზოგიერთებიც, რომელთა თვალნი არ აღეხვენ მზერად და ყურნი სმენად, და ბანმოძახილ კრიმანჭულს კი ეუბნებიან ხოლმე. ან არა და ზოგიერთებს კიდევ მართლა და ვერ გაუგიათ პოეტის სულის კვეთება! აქ სამწუხარო და სავალალო მხოლოდ ისაა, რომ ჩვენში ასეთ უვიც პირთა აზრსაც გასავალი აქვს! ახლა ჩვენც გავკადნიერდებით და ჩვენს შეხედულობასაც არ დავფარავთ საზოგადოებისაგან ამაევე საგანზე.

ამ საუკუნის ერთ მესამედზე მეტია, რაც აკაკის საზოგადო ჭირვარამისათვის თვალ-ყური მიუპყრია და ხელში ჩანგი აუღია იმის ჰანგზედ სამღერლად. ამ დროის განმავლობაში მას არც ერთი თვალსაჩინო მოვლენა არ გამოჰპარვია ჩვენს ცხოვრებაში, რომელზედაც პირუთვნელად ხმა არ ამოეღოს, არ „დაეყეფოს". მაგალითისათვის დავასახელებთ მხოლოდ რამდენსამეს. იმ დროს, როცა ბატონ-ყმობა კიდევ სრულს თავისს ძალაში იყო, მაგრამ ის-ის იყო ძალა ეწრიტებოდა ამ ადამიანის დამამცირებელ მოვლენას, პოეტი გულ-შეუდრეკლად მიამართვინებს ხოლმე თავის ბატონისათვის:

ოხ, დარდების ამშლელო, ჩემის გულის ხაზი ხარ!
თავ დახრილი მიტომ ვარ, რომ კისერზე მაზიხარ!

ქვევით კიდევ:

ძლიერმა სუსტი მნახე, დაჩაგვრა შეიძელი!
მაშ ახლა რაღად სწუხარ, ახალ დროს რო მოელი?

დაჰკრა თუ არა ბატონ-ყმობის გაყრის საათმა, პოეტმა მაშინვე შეაცვლევინა დედებს თავის ჩვილებისათვის საღიღინო ნანინას კილო:

შენს ვაჟკაცობას მომასწრებს მე ღვთის-მშობელიო,
მამი-შენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელიო:
შენი ვარსკვლავი სხვა არის! — ბედმა გიცინაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იაყ-ნანინაო.

დედის თმას ნუ მაწეწინებ, ნუ ჩამაცმევ შავსო!
სხვებ რა გიჭირს: ხომ შეიტყვე, ბატონი არ გყავსო!

დიდი-კაცის შვილს სკოლაში გვერდთ მიუჯდებიო:
აბა, შენ იცი, ბიჭო-ჯან, როგორ ეცდებიო:
ძველ ბატონიშვილს სწავლაში ნუ ჩამორჩებიო,
გლეხსა ნიჭი არა აქვსო, არ აფიქრებიო!..
შენი დაჩაგრული ძმები შენ უნდა იხსნაო,
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იაყ-ნანინაო!

ამჩნევს თუ არა პოეტი მუქთა-მყლაპავების, იუდების, ფარისევლებისა და მოღალატე მაბეზღარების გამრავლებას, გადის სანადიროთ, თან

ბიჭავს თავისი მურია, რომელიც ერთი-მეორეზე აგდებს ხოლმე ამ მხეცებს ტყიდან, ჰკბენს და სიცოცხლეს უმწარებს იმათ. იწყება თუ არა ჩვენში რაიმე საზოგადო საქმე, როგორც, მაგალითად ბანკების დაარსება, თეატრის განახლება და სხვა, მაშინვე მათ ნაკლ-ღირსებაზე და მოპავალ ბედ-იღბალზე ააყღერებს ხოლმე თავის ჩანგს.

რადგან აწინდელი ცხოვრება მხოლოდ წარსულის შედეგია, საჭიროა, პირველის კარგად შეგნება-შესწავლისათვის უკანასკნელსაც ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. ჩვენი პოეტიც აგრე შვება. იმას შეუსწავლია ჩვენი წარსული, შეუნიშნავს იქ ჩვენთა წინაპართა სულის სიდიადე, ამოუკითხავს იმათი გულის ნადები. პოეტს იმ შორეულის, ჩვენის წარსულის მაღლობებიდან თვალი გადმოუვლია აწინდელის ჩვენის ყოფა-ცხოვრებისათვის და ნათლად დაუნახავს ჩვენი სისუსტე, უძლურება, გაჭარწყლება, დაცემა, დაქვეითება... ეს გარემოება მას სულს უხუთავს, გულს უწყლულებს; ის მუდამ დასტირის იერემიასებრ [2] ჩვენს ასეთ ხვედრს, მაგრამ სასოწარკვეთილებას მაინც არ ეძლევა, იმედი მაინც არ უქრება გულში და მუდამ მომავალ ბრწყინვალე ბედის ვარსკვლავს გვიქადის, მღიმარე ბედზე გვიშვერს ხელს. პოეტი მოუთმენლად ელოდება იმ დროს, როცა ყველა საზოგადოების წინსვლის შემაფერხებელთ ზიზღით დაუწყებენ მზერას, როცა დადგება ის დრო, რომ „ზედ აფურთხებდნენ იმათ საფლავზედ“. ამის მოლოდინში ის ჩანგ-მომართული დგას საშინელს წყვდიადში, აღმოსავლეთისაკენ უპყრია თვალი, რომ პირველმა შენიშნოს განთიადის ნიშნები და თავისი ჩანგი, რომელსაც ამდენ ხანს „ეშხით არ უჟღერია“, ეშხით ააჟღეროს და გული, რომელსაც „ტკბილად არ უძგერია“, ტკბილად ააძგეროს.

როგორც ჩანს ამ მცირეოდენ მაგალითებიდანაც — კი, აკაკის თავის მოღვაწეობის საგნად აუღია ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. ამ სივრცე შანძილზედ ის შეჰხებია ყველა თვალსაჩინო და რაიმე მნიშვნელოვან საკითხს, რაც ჩვენ ცხოვრებას წინ წამოუყენებია. ასე რომ, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მას ჩვენის ცხოვრების სარკე და თავისი დროების ჰეშმარიტი შვილი. ერთი წარჩინებული რუსის კრიტიკოსი (დობროლიუბოვი [3]) როცა არჩევს ეკატერინე II [4]-ის დროინდელ სატირას [5], იმ წუნსა სდებს მას, რომ თვალსაჩინო და საჭირბოროტო საკითხებისათვის გზა აუქცევია და წვრილმან და უმნიშვნელო რამეებს გამოსდგომია. მაშასადამე, ჩვენ მით უმეტესი ფასი უნდა დავსდვათ აკაკის მოღვაწეობას, რადგან, როგორც დავინახავთ, ასეთი ნაკლი მას თავიდან აშორებული აქვს.

თუმცა ყოველგვარ ლიტერატურულ ნაწარმოებს შინაგან ღირსებასთან ერთად გარეგანი შნო და სილამაზეც მოეთხოვება, მაგრამ კიდევ უფრო გაცილებით პოეტურ ნაწარმოებებს და განსაკუთრებით მათ შორის ლექსებს. პოეტური ნაწარმოები, რაც უნდა მდიდარი იყოს შინაარსით,

თუ გარეგან შნოსა და ლაზათს მოკლებულია, ადამიანზედ ღრმა შთაბეჭდილებას ვერ ახდენს, ჰარმონიულად გრძნობების აშლა არ ძალუძს.

ყოველი ეს ღირსება, უნდა ვსთქვათ, აკაკის ლექსებს სავსებით აქვს. ზოგჯერ პოეტი პოეზიის მხრივ უმაღლეს წერტილამდის ადის, როგორც, მაგალითად, ლექსებში: „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა", „ერთხელ გნახე" და სხვა. ბუნების აღწერაც კარგად ეხერხება აკაკის; მაგრამ ის მხოლოდ მშვიდსა და წუნარს ბუნებას გვიწერს. საუცხოოა „ამაო ძებნაში" განთიადის აღწერა. საზოგადოდ აკაკის ლექსებს საუცხოო თავისუფალი მიმდინარეობა აქვს, საკვირველი ენის სიმკვირცხლე და ზედ-გამოჭრილობა, საუცხოო რითმა და მრავალ-ფერობა.

ამით გავათავებ, ჩემო მკითხველო, ჩემ მცირე შენიშვნას აღებულ საგანზედ და თქვენთან ერთად ვეცდები სხვათაგან ვრცელს განხილვას აკაკის ყოველ გვარის ნაწარმოებებისას.

თ. კიკვაძე

ჩიორა (არტემ.ახნაზაროვი)

ორი ახალი წიგნი

(საბიბლიოგრაფიო შენიშვნა)

„აკაკის ნაკვესები", წიგნი პირველი, შეკრებილი და გამოცემული თ. სახოკიას[1] მიერ

...„უპირველეს ყოვლისა, ეს პაწია წიგნაკი, ჩვენ მიერ პირველად დასახელებულ ბ-ნ ვ. მ. ყიფიანის[2] დედის წიგნისაგან იმით განირჩევა, რომ ამას „წინასიტყვაობა" აქვს დართული. წინასიტყვაობა თავის მწერლის, ან შემდგენელის საკუთარ შესავალს შეადგენს და თითქმის, უმეტესად, იმიტომ იწერება, რომ დამწერ-დამსტამბველმა განმარტოს იმ წიგნის მნიშვნელობა, რომელსაც თავისი სიტყვა წაუძღვარა... თ. სახოკიას თავისის პაწია წიგნაკის 63 პაწია ფურცლიდგან ექვსი ფურცელი წინასიტყვაობისათვის მოუნდომებია. ამ წინასიტყვაობაში იგი აკაკის ნიჭიერს უწოდებს, რაც, რასაკვირველია, უიმისოდაც ყველამ იცის; თავის მიერ დაბეჭდილს ნაკვესებს — კი, „ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტებს" ეძახის. („ჩვენ (თ. სახოკიამ) განვიზრახეთ ამ ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტთა თავი ერთად მოვუყაროთ და ცალკე წიგნაკებად დავბეჭდოთო").

ჩვენც წაგვიტყუა ამ სიტყვებმა და გადავფურცლეთ წიგნაკი, რომ ხელისხელ საგოგმანებელ მარგალიტებით დაემტკბარიყავით. ვიდრე საზოგადოთ ვიტყოდეთ რასმე თვით შინაარსისას უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნს სახოკიას სრულიად აურევია და უბრალო ნაკვესების შედგენაც — კი

არა სცოდნია. ამ აკაკის ნაკვესებში ბევრი ისეთია, რომ აკაკის სულ არ ეკუთვნის, მაგრამ იმის სახელი აქვს მიკვესებული, მაგალითებრ, მე-9 და მე-55 გვერდზედ დაბეჭდილნი; ზოგი აკაკის შესახებ არის ნათქვამი, მაგრამ სხვათაგან; ზოგს არავითარი მარილი არა აქვს სიტყვა-მოსწრებულობისა და უხამსად არის ნათქვამი, სულ ერთია, ვისიც უნდა იყოს, მაგალითებრ მე-57—58 გვ. დაბეჭდილი; ზოგი ყოველად წარმოუდგენელია, რომ აკაკის ეკუთვნოდეს და ზოგიც... მაგრამ ამის შესახებ შემდეგ...

წიგნაკის მე-59 გვერდიდგან მე-63 გვერდამდე დაბეჭდილია დამატებით ვიღასიც ვითომდა მოსწრებულად ნათქვამი სიტყვები, რომელთ შესახებ არას ამბობს თ. სახოკია, აკაკისაა, თუ არა. თუ სათაურს მივყევით წიგნაკისას, უეჭველად აკაკისად უნდა ვიგულისხმოდ, მაგრამ ჩვენ გავბედავთ და ვიტყვით, რომ იგი თვით თ. სახოკიას უნდა ეკუთვნოდეს და არამც და არამც არა აკაკის, და აი, რადა:

ამ დამატებაში, სხვათა შორის, სასაცილოდ არის აგდებული ბ-ნი გ. წერეთელი [3] და ჟურნალი „კვალი“ [4]. ყოველად დაუჯერებელია, რომ აკაკიმ, რომელიც ამ ჟურნალში ჰმუშაობს და ბ-ნ გ. წერეთელთან ერთად თანამშრომლობს, თვით გ. წერეთელს და „კვალს“ დაცინვით ასეთი ეპითეტი მიჰკერძოს: („ქვეყნის სიქადული, ჩვენი დიდება, ჩვენი პოეტი, ბელეტრისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ისტორიკოსი, არქეოლოგოსი, პალეოგრაფოსი და პოლიტიკოსი, რომელიც წელებზედ ფეხს იდგამს, აუღია თავისი არღანი და გაჰყივის: მე ვარ, რაცა ვარ, მეთაური მესამე დასისა, შემაერთებელი ჰაიოსტანისა [5] და ერაცისტანისა [6] და უპირველესი კანდიდატი ტფილისის მოურავის ადგილისაო“. ან კიდევ „კვალს“ „ქრომო-პნევმო-პოტოტიპო-ლიტოგრაფიული სამეცნიერო ყვერული დაარქვას).

ამ ამონაწერის უქართველობას ვინა სჩივის, უზრდელობა და არა საკადრისობაა სანაღველო, თუ არ დაივიწყებს, რომ წიგნი შემკულია არღანჩიკის შენიშვნებით და ვიღაც მეოთხე დასელის ნატვრით (თვით თ. სახოკია თუა?), რომელიც ისეთის ლექსიკონით არის შეზავებული, რომ იმის ბაგიდგან ამოშვებას კინტოც იუკადრისებს.

ვიმეორებთ, ამ დამატებაში აკაკის არაფერია, იგი თავით ბოლომდე თვით თ. სახოკიას შინაგან ბუნების ნაყოფია და დიდი ცოდვაა, რომ პატივცემულს მწერალს ვინმემ ასეთი უკადრისობა ათქმევინოს. რა-კი ასე გავარჩიეთ, ვისი რა არის ამ წიგნში ჩართული, ეხლა ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ ზოგიერთ იმ ნაკვესის შესახებ, რომელიც თვით აკაკის სახელით არის დასტამბული. ამ „ნაკვესებში“ ბევრი ისეთია, რომ ადამიანს ჯერ გააოცებს, მერე აწყენს და დასასრულს წიგნაკს გადააგდებინებს. უბრალო ზრდილობა და თავაზიანობაც კი არ არის დაცული ამ „ნაკვესებში“, თორემ მართებულობას ვინ მოთხოვდა, იმ მართებულობას, რომელიც აუცილებლად სავალდებულოა ყოველის საზოგადო საქმისთვის და მეტადრე დასტამბული სიტყვისათვის. ეს „ნაკვესები“ — კი

არა, შაირებია, უხამსი, ურიგო, უკადრისი, უწმაწური, პირ-ახეულად ნათქვაძი შაირები, როშელთა გაგონებაზედ ქუჩაშიც — კი მართებული ადამიანი ყურს აარიდებს და ფეხს აუჩქარებს, რომ ჩქარა გავიარო და არა გავიგონო-რა სმენისათვის საჩოთირო. აი, ასეთი შაირები ერთ კონად არის ამ პაწია წიგნაკში შეკრული და ლამაზად დასტამბული, რომ უფრო უკეთ შეიძლოს გავრცელება ხალხის გახსარყვნელად და ზნეობის გასათახსირებლად. ჩვენ ვერ გავბედავთ ამ „ნაკვესების“ ამოწერას, მაგრამ რომ ლიტონ სიტყვად არავინ ჩამოგვართვას ეს ნათქვამი, იმათთვის, ვისაც წაუკითხავს, ან ვინც ამიერიდან იმდენად თამამი იქნება, რომ იყიდის და წაიკითხავს, აღვნიშნავთ იმ ადგილებს, სადაც ეს ნაკვესებია წიგნაკში დაბეჭდილი: მე-8, 12, 13—14, 17—18, 19—20, 43—44, 48—49 გვ. და სხვ.

ვიმეორებ: გააოცებს ადამიანს ასეთი უმართებულო, ასეთი წრეგადასული სიტყვა-პასუხი.

ეხლა ვიკითხოთ: ნუ თუ ის თ. სახოკიასთვის „ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტები აკაკის ბაგეს ანუ კალამს ეკუთვნის? დასაჯერებელია, რომ ყველას საყვარელმა მწერალმა ასე ჰკრას წიხლი იმას, რაც მანვე საკუთარის ნიჭით შეჰქმნა და უკვდავჰყო? რასაკვირველია არა და ათასჯერ არა. ან-კი რა საფიქრებელიაო, მეტყვის მკითხველი. ოღონდათაც რომ საფიქრებელი არ არის და ასეც ვფიქრობ, ჩემო პატივცემულო მკითხველო, მაგრამ მე მინდა რომ არც მიზეზი იყოს ხელ-დასახვეველი და ამიტომ მიკვირს: აკაკი რადა სდუმს აქამდის, რატომ თამამად არ გამოვა და არ უარყოფს ამ უწმაწურის ენით შეთითხნილსა და იმის სახელით დასტამბულს შაირებს?! მან უეჭველად უნდა აიყაროს ეს ბრალი, ამას საზოგადოებაც ავალებს, თავისი ლიტერატურულ თავმოყვარეობაცა და ადამიანური მართებულობაც...

იქნებ პატივცემულს მწერალს იმ ჟურნალის იმედი აქვს, სადაც ივი ჰშრომობს, და გულში ამბობს, ის გამოესარჩლება ჩემს ასე უკადრისად შებღალულს სახელსაო. ეს იმედი ტყუილია, რადგან „კვალმა“ აი რა სიტყვები უძღვნა ამ წიგნაკს.

(„ჩვენ იმ უწმაწურს ნაკვესებს მკითხველს ვერ ვკადრებთ წასაკითხად. ვისაც ცნობისმოყვარეობა აქვს, მივუთითებთ წიგნაკის მერვე გვერდზედ და დამატებაზე. არა ვგონებ, ასეთი უშვერი ზმა და ლანძღვა-გინება აკაკის ენას ოდესმე წარმოეთქვას. ეს უფრო სახოკიასებური უნდა იყოს. მაგრამ გონიერი რომ უგნურს ხელში სამართებელს მისცემს, ნულარ დაემდურება, თუ უგუნურმა პირველათ ბმ გონიერსაც გამოჰკრას ყელი“).

როგორც ჰხედავთ, ამ ამონაწერიდან, „კვალმა“ ჯეროვანი სარჩელი და სამსახური ვერ გაუწია თავის სულის ჩამდგმელ თანაშრომელს.

„კვალის“ ასე ჰო-არად ნათქვამ სიტყვის შემდეგ აკაკი უცნაურად

ვალდებულია გადაჭრით განაცხადოს თავისი სიტყვა და მკითხველებს განუფანტოს ის ეჭვი, რომელიც თ. სახოკიას მიერ დასტამბულმა ნაკვესებმა კი არა, ჟურნალმა „კვალმა“ დაჰბეჭდა იმის შესახებ.

ჩიორა.

ზაქარია ჭიჭინაძე

აკაკი

...უნდა ითქვას, რომ აკაკი გაჰყვა ქართველთა საკეთილო გზას, თუმცა ქართულს მწერლობას შეუდარებელ მნათობ ვარსკვლავად აღმოუჩნდა და თავის მკვეთრ ბასრ ცხოველის მოხითხითეს კალმით განაცხოველა და განაბრწყინა დაძინებული მწერლობა, მაგრამ მან კი მის ძიების მეოხებით დაკარგა ბევრი რამ, შინაურს ცხოვრების საქმეებს ადრიდგანვე მოსცილდა და განშორდა, მის მამა-პაპის ქონებათა შორის კავშირი და ზედამხედველობაც მოსპო. აკაკიმ დაივიწყა თავისი მემკვიდრეობითი უფლება, მამულები, შეძლება და ძალა, ყველაფერს მიანება თავი, ყველაფერი დატოვა, მისთვის საჭირო გახდა მხოლოდ ის, რაც დღიურ ცხოვრებისათვის იყო საჭირო, რასაც მისი საზოგადოება თხოულობდა, დანარჩენი დრო, შრომა და საქმე ამან ქართულ მწიგნობრობისათვის მოინდომა, ქართულ ენაზედ ტკბილი და მარგალიტი ლექსების წერისათვის. მართალია, ამის მეოხებით მან ბევრი რამ დაკარგა, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ ეს დასაკარგი მის უიმისოდაც დაიკარგებოდა, უამისოდაც წაუვიდოდა ხელიდან, გინდა ქართულ მწერლობის სამსახური არ აღმოერჩია თავის სამსახურათ. მართალია დაკარგა ის, რის შენახვაც მისთვის შეუძლებელი იყო, მაგრამ მის მაგიერ ხომ ჰპოვა ის, რაც მის მსგავსად სხვებმა უფრო ბევრათ მასზე ბევრიც დაკარგეს, მაგრამ შემდეგში ვერა ჰპოვეს —რა, ვერ იპოვეს ის, რაც აკაკიმ იპოვა... დიდება ღმერთს რომ აკაკის ეს მაინც არ მოსვლია. აკაკიმ თუ დაკარგა ბევრი რამ, მის მაგიერ მან უფრო დიდი სიმდიდრე ჰპოვა, ყველა ქართველის გულში პატივი მოიპოვა და სიყვარული. მამულის შვილისათვის ამაზე ძვირფასი რა უნდა იყოს?..

...აკაკი, როგორც გულშემატკივარი მგოსანი თავის ქვეყნის ერისა, კარგად მცნობია ქართველის უმიწაწყლო გლეხის ცხოვრების, ეს ხომ თავის ლექსებიდანაც ხშირად უღაღადნია...

აკაკიმ ბევრი გაჭირვება გამოიარა, ბევრი შევიწროება, მაგრამ მას არსად და არას დროს თავის მიზნისათვის ერთი გოჯის ტოლადაც არ უმტყუნია. ეს ყოველთვის მღელვარებაში იყო, ყოველთვის დვრტვინვაში, ამას ცალკე თავის გარემოება აწუხებდა და უფრო მეტი თავის თანამემამულეთა უქონელ შეუძლო მშრომელის ერისა. იგი ყოველთვის ისეთ ხალხთან იდგა ახლოს, ყოველთვის ამათ ცხოვრებას ეხებოდა თა-

ვის ლექსებით და ის დღესაც ესეა, იგი მოურიდებელია ყველა კაცის მისაღებათ ყოველგან და ყოველთვის...

...ნიჭიერმა მგოსანმა ქართულ ენაზე შრომა დაიწყო თუ არა, მან მაშინათვე მიიქცია ყურადღება თავისკენ, ამის პირველი ლექსი „ცისკარშია“ [1] დაბეჭდილი 1858 წელს, ერთი წლით გვიან ილია ჭავჭავაძემდის. ორივე ერთ დროს მოევლინენ ქართულ მწერლობას ცის მანანასაით, ორივე ერთ დროს გამოვიდნენ სამშობლო მწერლობის ასპარეზზე, ორივემ ერთნაირად გაითქვეს სახელი საქართველოში, ილია ჭავჭავაძემ ქართლ-კახეთში და აკაკიმ იმერეთში. აკაკი, როგორც კარგი მგოსანი იმერეთისა ერისაგან და მასთან მთელი ქართველებისაგან ადრიდგანვე იქმნა ცნობილი, ცნობილი მით უფრო, რადგან ამის ლექსებს ერთობ დიდი ზეგავლენა ჰქონდა ქართველს ხალხზე, ყოველს პირზე ამის ლექსი ანდამატურს გავლენას ახდენდა, მკითხველი რაც გინდ მდაბიო იყოს, აკაკის ლექსი მისთვის მაინც გაუგებრათ არ დაშთება, გაგების გარეშე მოწონებაც დიდი ეძლეოდა, ამის ტრფიალება მალე იღგზნება მკითხველის გულში. ერთხელ აკაკის ლექსების შესახებ მე ვკითხე „ცისკრის“ რედაქტორს ივ. კერესელიძეს [2]: — პატივცემულო ბატონო ივანე! ერთი გამაგებინა, თუ როცა აკაკის ლექსები იბეჭდებოდა ხოლმე „ცისკარში“ ნეტა იმ დროის მიძინებულ-მიმკვდარებული ქართველობა როგორ აღებდა ამ ლექსებს თვალს, როგორ კითხულობდნენ, რას ამბობდნენ ჩვენი ძველი მწერლები, ან ხალხი, ძრიელ კარგია ვიცოდეთ ამაზე რამე არა მარტო აკაკის შესახებ, არამედ ყველა შენი თანაშრომლების და ნამეტურ ილია ჭავჭავაძის, დ. ჭონქაძის [3] და სხვების.

— შოითმინე, გეტყვი, შვილები არ დამეხოცება, რომ აკაკის ლექსებმა პირველს დროიდგანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება, საზოგადოებამ პირველს ლექსებიდანვე შეიდგინა მისი საიმედო დასკვნა და ბრწყინვალე მომავალი. ეს მალე გამართლდა, მისი ლექსი როცა „ცისკარში“ იბეჭდებოდა, იმ ნომერს ყოველთვის უფრო მეტს ვბეჭდავდით, რადგანაც იმერეთიდან იმ წიგნებს იბარებდნენ ხოლმე და ხან ხელისმომწერლებსაც ვიძენდით. ეს ჩემის თვალით ვნახე, მე რომ არ მენახა, ამას სხვა ვიღა ნახავდა, აკაკის სწორედ ეს ღირსება გახდა მის მიზეზად, რომ მეც მიუძღვენ მას ერთი ლექსი, შევამკე დიდის ქებით. მამაშვილობამ, სწორედ უნდა ვსთქვა, რომ აკაკის მაშინათვე შეეამჩნიეთ პოეტური ნიჭი, როცა მის ნაწერს მივიღებდი, მაშინ სიხარულით აღარ ვიცოდი რა მექნა, მიტომ რომ ხალხში ძალიან კითხულობდნენ აკაკის ლექსებს...

...დღეს ჩვენს მწერლობაში აკაკის შეუ-ბოსილი ადგილი უკავია, იგი ჩვენში ნამდვილ მამულისშვილათ ითვლება, მისი ნაწერები ამას ცხადად მოწმობს და ამტკიცებს. იგი შეუდარებელია ჩვენს მწერლობაში, იგი არამც თუ მარტოთ ქართულს მწერლობაში, არამედ დღეს მისი ცალი რუსეთშიაც არავინ არის რუსთაგანი. ეს მაღლა სდგას ყველა ძველსა და ახალ მგოსნებზე. ამის გვერდით მათ მგოსნებიდგან ჩვენ ვერავის ამოვუყენებთ.

აკაკი რომ რუსად დაბადებულიყო, დღეს იგი იქნებოდა მათი დიდება, მათი სიამაყე, ამისათვის მგოსნის სიცოცხლის დროსვე დაედგათ ძეგლი, რადგანაც ეს მათთვის მოუელენელი მოვლენა იქნებოდა. რაც აკაკის ქართულს ენაზედ ლექსები აქვს ნაწერი, იგი რომ რუსულს ენაზედ წერა, ფიქრი არ უნდა, რომ მაშინ იგინი მთელს ევროპას შესძრავდნენ და სიამაყით დაიწყებდნენ საუბარს, ქებას და ამის ლექსების უმეტეს ნაწილს ეხლავე გადასთარგმნიდნენ ევროპულს ენებზე. ჩვენში კი ასეთი მადლით-ცხებული, ნიჭით საესე მგოსანი შთება ისე, ისე ამგზავრებს თავის ყვავილოვანს დროს და მწერლობას, რომ ქართველთ მისი ლექსების სრული რიგიანი გამოცემაც არ გვაქვს.

ქართველს ერს შოთა რუსთაველის შემდეგ არავინ ბოვლენია აკაკის მსგავსი. მართალია, ილია ჭავჭავაძეც მადლით ცხებული მწერალ-მგოსანია, მაგრამ ეს უფრო ჰაზროვნების მიმყოლია, ეს ყოველს თავის ლექსს სთხუზავს, ჰკაზმავს, ამშვენებს და ისე ჰბეჭდავს, ამით ილია ჭავჭავაძე საკმარისათ ამაღლებს თავის ღირსებას, ასეთივე ღირსებისა გახლავსთ სხვა ნაწერებშიც. აკაკი შობილია ნამდვილ მგოსნათ ზეშთაგონების ძალდაუწებისაგან ამაღლებულის ნიჭით, როგორც შოთა რუსთველი, ამას ქართველი ერი თვალხილული გრძნობს, მთელი ქართველობა ამტკიცებს, მთელი ერი.

...დღევანდელ ქართველობაში აკაკის ლექსები ისე გავრცელდა, როგორც უკვდავი „ვეფხისტყაოსანი". ქართველობა როგორც შოთა რუსთაველის ბრწყინვალე სახეს იცნობს, ისევე აკაკისას, ქართველ ერს აკაკი ძრიელ უყვარს, ამის ხილვას ყველგან ნატრულობენ, ყველგან ეტრფიან ამის ცნობას, ამის სახეს, ამის ხსენებას, ამის ხსენებამ ყველა ქართველის გულში დაიკავა ადგილი, წავა დრო, გაივლის თაობა, მოვა მეორე თაობა, მესამე, მეოთხე და აკაკის ხსენება უფრო წინ წავა, იგი უფრო გავრცელდება საერთოდ ქართველთა გულში, იგი რუსთველის მარჯვნივ დაიკავებს საუკუნო ბინას...

...რაც აკაკის შესახებ ქართველ მელექსეთაგან ქებით ლექსები დაწერილა, რაც ეს ლექსები დაბეჭდილა, იგი რამდენიმე ტომი გამოვა, მათში ბევრი მშვენიერი ლექსი აღმოსჩნდება, ბევრი ლექსი დიდხანს არ დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას. ამ ლექსებიდან ცხადად გამოჩნდება, თუ როგორ უყვარს ქართველს ერს აკაკი და მისი ლექსები.

კაცთმოყვარეობა, პატიოსნება, თანასწორობა და ერთმანეთის სიყვარული ამის ლექსებში სუყველგან გამოისჭვრიტება, ეს სამკაულები მის პირველს ყმაწვილობის დროის ლექსებიდანვე ეტყობა. ყველა ამ ქადაგებასთან მკაცრათ შეკავშირებულია მისი უზომო მამულის სიყვარული... აკაკი ძალიან ელტვის და ეტრფიალება ჭეშმარიტებას და სიმართლეს, ნამეტურ თანასწორობას. ამისათვის სულ ერთია თავადი, აზნაური და გლეხი, ეს ყველას ერთნაირად უცქერის, ყველას ერთნაირად ემსახურება.

მისთვის წოდებითი გარჩევა სულ არ არსებობს და ყველას ერთნაირად ეხება თავისი ბასრის კალმით...

...ძველ ქართველ გმირებზედაც კაი შეხედულება აქვს აკაკის, ამას მათი ერთად ერთ ღირსებად ისიც სწამს და ჰყოფნის, რომ ძველი გმირები თავდადებულნი ქართველნი იყვნენო, მამულის სამსახურისთვის თავებს არ იშურებდნენ, მათი დრო ასეთს ვაჟკაცობას თხოულობდა, იგინი თავიანთი დროის კვალად ასრულებდნენ მოვალეობასო, მათი ამაგი უხვია საქართველოზედო. აკაკის ჩვენი ძველი და ახალი ისტორიაც კარგად აქვს შესწავლილი, ისტორიის გარდა იგი ჩვენს ძველს მწერლობასაც კარგად იცნობს, ზეპირი ამბები და ბევრი რამ ძველებური ამბებიც იცის... აკაკის ჭკნე და თავდადებული შრომა გვაუწყებს, რომ თუ მან კარგა ხანს იცოცხლა, მაშინ იგი ბევრს რამეს ძველებურს ამბავს დაგვიწერს, ბევრ რამ ძვირფას ლეგენდებსაც გაგვილექსავს, როგორც „გოგია მეჩონგურე",.. ძვირფასი მგოსანი ქართველ ხალხს მით უფრო უყვარს, რადგან იგი ამ ერს კვალ-და-კვალ მისდევს ჭირში თუ ლხინში, ამის ბასრი ენა ყოველთვის მტერია ბოროტების, ყოველთვის მომხრეა კეთილის, ყოველთვის დამცინველია უსამართლობის, მქადაგებელი პატიოსნების, კაცთ-მოყვარეობის. ძმობის, თანასწორობის და თავისუფლების. აკაკი როგორი გვამიც ლექსებშია, ისეთივე ცხოვრებაში, არც მეტი არც ნაკლები, ამას სახეზე ნიღაბის ჩამოფარება ერთობ სძულს...

...ჩვენი ხელოვანი მგოსანი სიტყვების წარმოთქმაში, ლექსების კითხვაში და კამათშიაც მეტათ ჩინებული ტკბილი ქართველია. მისი ქართული ენა ყველას ატკბობს, მისი ლაპარაკი ქართულს ენაზედ ლექსების კითხვა სწორედ რომ საუცხოო და სასიამოვნო რამ არის, ხმაც მშვენიერი აქვს, გამოთქმაც, ქართული ენაც ლამაზათ, კარგად იცის, მის ლაპარაკს ყველა ქართველი ეტრფის, ყველას ესმის მარტივი ქართული. ჩვენ აკაკი პირველად ვნახეთ სცენაზე 1876 წელს თფილისის თეატრში, როცა პირველი ქართული კონცერტი გაიმართა. ამ კონცერტში იღებდნენ მონაწილეობას აკაკი, ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი[4] და სხვები. აკაკიმ ეს საღამო დაამშვენა თავის ბრწყინვალე ლექსების კითხვით. ეს კონცერტი ქართულს ენაზე პირველი მაგალითი იყო, პირველი საქმე და უნდა ითქვას, რომ თვით კონცერტმაც სამაგალითოთ ჩაიარა, რადგან მას'ში მონაწილეობას იღებდნენ ყველა ჩვენი გამოჩენილი მწერლები...

...აკაკის ეს კეთილი თვისება გახდა იმის მიზეზათ, რომ დღეს მას იმერეთში საერთოთ სცემენ პატივს, გლეხი, აზნაური და თავადი. ბევრი თავის შვილს სახელათ ნატვრით აკაკის სახელს არქმევს, რომ მისი შვილი ძვირფას მგოსნის მოსახელე იყოს. აკაკის სახელი დღეს იმერეთში ყველამ იცის. პატარა ბავშვმაც კი. ბევრს რუსთველის სახელი არც კი გაუგონია, „ვეფხისტყაოსანი" არ წაუკითხავს, მაგრამ აკაკის სახელი კი იცის, იცის რომ აკაკი მგოსანია და მასთან კაი ლექსებს სწერს. ასეთს ღირსებას ჩვენში ბევრნი არ ღირსებიან, ვიტყვი, რომ მეთერთმე-

ტე საუკუნიდან მოყოლებული ჩვენს დრომდის ქართველ ერში ისე არავის სახელი და ლექსებია გავრცელებული, როგორც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, აკაკის ლექსები და დიდად პატივცემულის და ამაგდარის ილ. ჭავჭავაძის პოემები. ამ შესანიშნავ გვამთ ნაწერები მალამოა უმრავლესი ქართველთათვის...

...რაც მე თვალი გამიხელია და მიკითხავს ჩვენი სახალხო მელექსეების ლექსები, მოგახსენებთ მიუდგომლათ, რომ ყველა მათთვის თუმცა სადათ, მაგრამ აკაკის კილო თვალ-ხილულათ შემიცვნია... ასეთ რიცხვში ძლიერ ბევრნი არიან აკაკის ნიჭიერ კალმის მბაძველნი და ერთი ამათგანი არის ბატონი ევანგულოვი[5], დღევანდელს ქართულს მწერლობაში დავითაშვილის[6] ფსევდონიმით ცნობილი... მისი სადა, მაგრამ წმინდა მელექსეობის მოქალაქურს უმანკოებას ისე არავისი კილო ეტყობა, როგორც აკაკის... შეიძლება ზოგიერთმა აკაკის მელექსეობის სკოლის და გავლენის გამო ეჭვი აღიარონ... მაგრამ მე ვიტყვი რომ... ჩვენთა უახლესთა ხელოსანთა უსწავლელ მგოსნებს ცხადად ეტყობათ ჩვენი სიტყვაკაზმული მგოსნების გავლენა და ნამეტურ აკაკისა, ვისაც ეს არ ატყვია, ის თავის მელექსეობის შნოთი ძველებურს ნებაიათურ გზას ადგია, ხშირად მისი წყობილი ლექსები და რითმები ძველებურს ცრუმორწმუნეობით სავსე ოცნებას წარმოადგენს, ასეთის ცრუმორწმუნეობის ნიშნები ჩვენგან მოწონებულ მგოსნებსაც ეტყობათ, მაგრამ ისე კი არა, როგორც იმათ, ვისაც ჩვენ უახლესი დროთა ბრწყინვალე კალმის გავლენის ქვეშ არ გაუვლიათ. ამიტომ აკაკის და მის ლექსებს მე ვაძლევ დიდს პედაგოგიურს ღირსებასაც ცნობილ მელექსეების წინაშე.

შეიძლება ძვირფას ბატონს აკაკის და ილია ჭავჭავაძეზე უკეთესი მგოსნები ქართველებს სხვებიც ჰყვანდეთ, ამ მგოსნებს ლექსებიც კაი ქონდეთ, მაგრამ რაც შეეხება ისეთს გავლენას და სახელის ისე გავრცელებას ხალხში, როგორც პატივცემულთ აკაკის და ილია ჭავჭავაძეს, ამას კი მოკლებული იყოს. ქართველი ერი და ნამეტურ დასავლეთ საქართველო არც ალ. ჭავჭავაძის[7] ლექსებს იცნობს, არც გრ. ორბელიანის[8], არც ნ. ბარათაშვილის, არც სხვების, თუ იციან რამე, ისევ ილია ჭავჭავაძის ბრწყინვალე კალმის შესახებ უმეტესად „გლახის ნაამბობი“[9]-თ, „გლახა ჭრიაშვილი[10]“-თ და წვრილი ლექსების და მოთხრობების კითხვით. ამათ გარდა სხვებს ბევრს არ იცნობს ქართველი ერი და დარწმუნებული ვარ, რომ არც მომავალში გაიცნობენ მაინცა და მაინც, რადგანაც ამ მწერლებთ ნაწერები თანამედროვე ქართველთ გონებით მოთხოვნილებას ისე ვერ ასრულებს, როგორც ქართველი ერის დრო და გარემოება საჭიროებს და თხოულობს. მათში არ გამოისჭვრიტება მოქალაქური განვითარების და აღორძინების მიმზიდველობა... ამის მხრით აკაკის ლექსები ბევრათ მაღლა სდგას, ეს ლექსები დიდხანს იცოცხლებენ, მაშინაც კი, როცა ქართველნი ევროპულის სწავლა-განათლებით დაირაზმებიან და აღიპურვებიან, როცა ქართველებში მოქალაქური დიდ-სულოვნება აღორ-

ძინდება. მაშინ ჩვენი დროის მგოსნებთან მხოლოდ აკაკისა და ილიას ლექსები დაშთებიან საკითხავათ. შეიძლება ბევრის მწერლის ნაწერებმა დაკარგოს თავისი დროის მნიშვნელობა, მაგრამ ამათი ნაწერები კი ამ მსჯელობისაგან განრისხებული იქნება.

ამ ორი ბრწყინვალე მწერლის ნაწერები დაამშვენებენ მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიას. მთელს ამ საუკუნეში ჩვენმა კეთილშობილმა წოდებამ მხოლოდ ეს ორი უშესანიშნავესი ბრწყინვალე მწერლები წარმოშობა, მხოლოდ ეს ორი გვამი გამოვიდა მოქალაქეობის ასპარეზზე. მხოლოდ ამათ აუქციეს გზა და კვალი ძველ ქართველთ მწერალთ გზასა და კილოს. ამათ შემოიტანეს ქართულს მწერლობაში ცხოველი გრძნობები, უწმინდესი ჰაზრები, დიდთაგან პატარის დაჩაგვრის გმობა, მდიდართაგან ღარიბის ანიავება, მებატონისაგან ყმის უსამართლოთ დაჩაგვრა, მოხელეთაგან უსამართლობის განთესვა, მეკრთამეობა და ბევრი კიდევ სხვანი. ამის მხრით ჩვენს ისტორიაში ერთობ დიდი ადგილი დაეთმობათ ამ პირებს: აკაკის, ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს[11] გიორგი წერეთელს[12], ანტონ ფურცელაძეს[13], ნ. ნიკოლაძეს[14], ს. მესხს[15], პეტრე უმიკაშვილს[16] და ივანე კერესელიძეს, რომელთაც შექმნეს ახალი მწერლობა და რომელი ახალი მწერლობაც აკაკიმ და ილია ჭავჭავაძემ თავისი ბრწყინვალე კალმით მოჰარგეს, გაამშვენიერეს და გააბრწყინეს. ამათი გავლენა მარტოთ სიტყვა-კაზმულის და მხატვრობის ძალით არ დაემჩნა ქართველთ სულიერს და ხორციელს მხარეებს, ამათი ნაწერების იდეიას პედაგოგიურის მხრითაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ამათ ნაწერებმა გამოსწურთნა მთელი გუნდი რიგიანი მოქალაქე მამულისშვილებისა.

თვით აკაკისა და ილ. ჭავჭავაძესაც, როგორც ჩინებულთ გვამთა ქართველთა, ერთობ კარგი კავშირი აქვთ ერთმანეთში, ორივე ერთმანეთის დიდი მოყვარულნი არიან, ორივეს სწამთ ერთმანეთის მნიშვნელობა. ამაგი, მამულის სიყვარული და პატივისცემა. მთელი ქართველობა ილე უწზერის ილია ჭავჭავაძეს და აკაკის, როგორც უშესანიშნავეს გვამთ, როგორც ღირსეულ მწერალთ. ახალგაზრდობა მამათ სთვლის მათ, აკაკი სამი-ოთხი წლით ილიაზე უმცროსია და ამიტომ ეს ძვირფასი მგოსანი, ეს ძვირფასი ქართველი და ძველ ქართველთა ზნისა და ხასიათის მქონი აკაკი—ილია ჭავჭავაძეს მეუფროსობით უმზერის და ამიტომ მას უპირატესობასაც ანიჭებს, თავისაზე მაღლა აყენებს, სადაც უნდა იყვნენ ეს ორი ძვირფასი გვამნი და იქ რამე საქმე იქმნეს, აკაკი მაშინათვე პატივით და უპირატესობით მიმართავს ილია ჭავჭავაძეს, უპირატესობით მიმართავს იმიტომ კი არა, რომ მას თავის თავი მის ტოლათ არ მიაჩნდეს, არა, უპირატესობით ანიჭებს მეუფროსობის მეოხებით, რასაც ქართველთ ძველი დარბაისლური ზნე და ხასიათი აუცილებლად თხოულობს, ურომლისოდაც ქართველნი ძველათ ვერ გაძლებდნენ, ვერ იცხოვრებდნენ... ქართველთა ეს წეს-ჩვეულება აკაკის კარგად აქვს შესწავლილი და ამიტომ იგი ილია ჭავ-

პაჭაძეს დიდის თავაზითა და პატივისცემით იხსენებს ყოველთვის, ასევე დიდის პატივისცემით მოიხსენია მან ილია ჭავჭავაძე 1882 წელს, როდესაც კახეთში მგზავრობდა და თელავში მშვენიერი სიტყვაც წარმოსთქვა ნადიმის დროს...

ი. ჭავჭავაძემაც კარგად იცის აკაკის ასეთი შეხედულება და აღიტომ იგიც მეტის უაღრესობით ეპყრობა აკაკის სიყვარულსა და პატივისცემას, აკაკის ძვირფასი სახის ვრცელი სურათი ამშვენებს „ივერიის“[17] რედაქციის დარბაზს. ამათ შესახებ ცნობა აქ მიტომ ვოვიტანეთ, რადგან საჭიროა ვიცოდეთ, თუ ამ ორ ბრწყინვალე გვამთ როგორი კავშირი და დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთში. ეს ორი ძვირფასი ხელოვანი მგოსანი — მწერლები ერთ დროს გვყვანან და ამათ პირად საქმეების და განწყობილების კი რომ არა ვიცოდეთ-რა, ეს არ იქნება. მოკლეთ უნდა ვსთქვათ, რომ ამ ორ მწერალთ შორის დიდი მეგობრული კავშირი და ერთობა სუფევს. ამათ შორისაც რომ არ სუფევდეს ერთობა, მაშ სად უნდა იყოს ეს და ვისში, ესენი ხომ ჩვენი ერთობის მღაღადებლებად არიან მოვლენილნი.

რამდენი ხანი გავა, იმდენი უფრო აკაკის ლექსები გავრცელდება ქართველებში, რაც ხანი გაივლის, იმდენი უფრო განცხოველდება მისი სპეტაკი ჰაზრები და გრძნობები ქართველთ გულში, რამდენიც დრო გაივლის, იმდენი უფრო ხმარებაში შევა ქართველებში აკაკის ლექსები და უკანასკნელი ქართველისათვისაც ისეთ განძად გადაიქცევა, ისეთ გულის პირის გარდასაყრელ მალამოთ, სევდის განსაქარვებლად და უძლურის და გაჭირებულის გულის და სულის მოსალხენად, რომელსაც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ბევრი არ დაეტოლება. აკაკის ლექსები ბევრს სასოებაწართმეულს ქართველს მოაბრუნებს, ბევრს მისცემს ნუგეშს თვით უკანასკნელს გაჭირვების და განწირულების დროსაც კი, ბევრი ისულდგმულებს მისის ლექსებით, მისის მამულიშვილობით.

აკაკის ლექსები მომავალში ქართველთათვის მარგალიტათ გარდაიქცევა და როგორც ვსთქვით ზემოთ, ოდესმე, თუ სადმე დაიხატება სურათი ქართველთა მგოსნებისა, იქ ჩვენის მელექსეობის მამათ-მთავრის უკვდავი შოთა რუსთაველის გვერდით აკაკის და ილია ჭავჭავაძის სურათიც დაიხატება, რომელნიც დაამშვენებენ ქართველთა სიამაყეს.

აკაკი ქართველობის მეცხრამეტე საუკუნის დიდებული შოთა რუსთაველია.

ზ. ჭ.

1890 ჭ. ტფილისი.

თეატრის მატიანე

„ხანის ვეზირი“ კომედია 4 მოქმედებად. აკაკი წერეთლისა,
(აზრი ნასესხებია თათრულის პიესიდგან)

შაბათს, 31 იანვარს, ქართულს სცენაზედ წარმოადგინეს ზემოთ აღნიშნული ახალი პიესა. „ხანის ვეზირი“ ისეთი სუსტი პიესა გამოვიდა, ისეთი დაბალხარისხოვანი „თხზულება“, რომ, უკეთუ ავტორის ვინაობა არ გვეცოდინებოდა, უთუოდ უძღვნიდით აკაკის „საახალწლოს“.

წელიწადმა აბა რა ჰქნას,
რომ ცბიერობს ეს ქვეყანა
და სუყველა მწერალია,
ვინც კი იცის ანა-ბანა?

ახლა კი აბა როგორ ვკადროთ აკაკის სიტყვები დიდად პატივცემულ აკაკისვე. „ხანის ვეზირი“ იქნება ივარგებდეს საბავშვო სცენაზედ, ხოლო ჩვენს სცენაზე მისი წარმოდენა შეადგენს დანაშაულს, რომელიც არ ეპატიებათ თეატრის ბედ-იღბლის გამგეთ. კადნიერება არის იმათის მხრივ ასეთის „უსუსურობის“ მირთმევა იმ საზოგადოებისათვის, რომელიც იმათ ასაზრდოებს, ინახავს და ყოველ შემთხვევაში მეტის ყურადღებისა და პატივისცემის ღირსია, „ხანის ვეზირი“ მოკლებულია აზრს, აშენებულია ისეთ ეფექტებზედ, რომელიც შეშვენის ფეერიას და არა დრამატიულს ნაწარმოებს.

ყოველის წვლილის გამოკიდება და დაბეჯითებით გარჩევა „ხანის ვეზირისა“ ისევე არა ღირს, როგორც „ჩიტი ბღღვნად არ ღირდა, უკან დევნა მეტი იყოო“. ჩვენ მხოლოდ რითიმე უნდა ავხსნათ, განვმარტოთ ჩვენის ნიჭიერის პოეტის ასეთი მოულოდნელი შემთხვევა. ვინ აკაკი, ვინ „ხანის ვეზირი“.

უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც ყოველ კაცს, მეტადრე დიდს პოეტებს, აქვთ ხოლმე წამი „გამოღვიძებისა“, „შთაგონებისა“, როდესაც იგინი „ჰქმნიან“, კეთილაზროვნებენ, ადიან ფიქრისა და აზრის მწვერვალზედ. სამწუხაროდ, ნათელს ჩრდილიც თან დასდევს, მათს ცხოვრებაში დგება ხოლმე ისეთი დროც, როდესაც კაცის არსებაში ყოველივე მაღალი, დიდი „აღმაფრენა“ იძინებს, მისუსტდება. მაშინ თვით დიდი პოეტი ედარება სულ უბრალო კაცს. ეს უბედური წამი არაფერში ვარგა, მეტადრე „თხზვისა და შექმნისათვის“, ასეთს დროს დაწერილი თხზულება იქნება მხოლოდ საბუთი იმისი, თუ რაოდენის საფეხურით ძირს ჩამოსვლა და დაქვეითება შესძლებია ნიჭის მქონე კაცსაც. ასეთს წუთებში დასწერა ნიჭიერმა მოპასანმა[1]: „ოჰ, ღმერთო! ნეტავ არ მაცხოვრა და მაცოცხლა ისე, როგორც პირუტყვნი სცხოვრობენო“.[2]

ისეთივე გარემოებაში, როდესაც კაცის გონებას ჩრდილი მიადგება ჭოლმე ბურეემ[3] სთქვა: „სიყვარული არის ჭიდილი ორის გარყვნილებისაო“[4] და სხვ...

უეჭველია ასეთს გარემოებაში დასწერა ბ-მა აკაკიმაც „ხანის ვეზირი“...

არტისტები ბევრს ეცადნენ, როგორმე გამოსულიყო იმათის თამაშობიდან, მაგრამ ამაოდ: არარაიდგან რაიმეს შეჰქმნა ჩვენს დროში აღარავისა სწამს, და ვერც იმათ მოახერხეს.

მე გახლავარ

ვასილ წერეთელი

კრიტიკული წერილები

წერილი მეორე

სამი პოეტი

აკაკი წერეთელი

ნ. ბარათაშვილი[1] არ ეხებოდა საზოგადო კითხვებს, საზოგადო ურთიერთობას. იგი მოიწვევდა თავის წრის კაცებს პირადი განვითარებისაძმი. იგი იყო მწერალი ერთი წრისა. აკაკი პოეტია მთელი საზოგადოებისა, მთელი ხალხისა; იგი ეხება ყოველ წრეს საზოგადოებისას და მოიწვევს პროგრესისადმი ყველას ერთიანად. პროგრამა ნ. ბარათაშვილის პოეზიის იყო უფრო ვიწრო; აკაკიმ გააფართოვა პოეზიის პროგრამა მით, რომ მიაღებინა მონაწილეობა პოეზიას ცხოვრების ყველა ინტერესებში. მიზეზი ამგვარი განსხვავებისა ამ ორ პოეტს შორის ის არის, რომ ბარათაშვილი ცხოვრობდა იმ დროს, როდესაც ჩვენში შეუძლებელი იყო ფიქრი საზოგადო კითხვებზე. იმ დროს ერთად-ერთი სახსარი ერის გამოფხიზლებისა, გაძოღვიძებისა იყო სწორედ ლიტერატურული განვითარება იმ წრისა, რომელიც სათავეში უდგა ერის ცხოვრებას, და ბარათაშვილიც ამ განვითარებისადმი მოიწვევდა ამ წრეს. როდესაც აკაკიმ დაიწყო თავისი მოღვაწეობა, მაშინ კი ძირიანად შეირყა ძველი საფუძველი: ათავისუფლებდნენ გლეხებს და მას უკან ჩვენმა ცხოვრებამ მიიღო სულ სხვაგვარი მიმართულება: გლეხმა და ყოველმა იმან, ვინც იჩაგრებოდა წინად, დაიწყეს უფრო თავისუფალი, უფრო დამოუკიდებელი ცხოვრება; რასაკვირველია, რომ ვერც ლიტერატურა დარჩებოდა უწილო ამ საზოგადო მოძრაობაში. ლიტერატურამაც მიაქცია ყურადღება, ანუ, უკედ რომ ვსთქვათ, დაეხმარა ამ მოძრაობას და ყველას ამას უნდა ემოქმედნა, რასაკვირველია, პოეტის მგრძნობელ სულზე და უნდა მიექცია მისი ყურადღება საზოგადო

კითხვებზე. ერთი სიტყვით, თუ აკაკის თხზულებებში, — როგორც მის თანამედროვე მწერლობაში, — საზოგადო ტენდენციაა, ეს უნდა მივაწეროთ საზოგადო ცხოვრების მოძრაობას, საზოგადო ინტერესების ერთმანეთთან შეხლას, ბრძოლას.

ვის მხარს დაიჭერს პოეტი ამ ბრძოლაში? რასაკვირველია, მის მხარეს, ვინც უფრო დაჩაგრულია, დამონავებულია. მე მისთვის მინდა ჩანგური, ამბობს პოეტი:

რომ დაჩაგრულს ამ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს,
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს.

ამასთანავე, პოეტს დიდი პატივისცემა აქვს ამ დაჩაგრულისა, რადგან იგია ერთად-ერთი პატიოსანი მშრომელი, მისი შრომით მდიდრდება ქვეყანა. ნ. ბარათაშვილი ჰხედავდა ამაოებას თავის გარეშე ყველგან, ამით აიხსნება მისი მწუხარებით სავსე პოეზია. აკაკის კი უფრო მხიარული შეხედულება აქვს ცხოვრებაზე, რადგან იგი დიდ მნიშვნელობას აძლევს ყოველ პატიოსან, თუნდ უბრალო, შრომას, საჭიროს საზოგადოებისათვის. ავიღოთ მაგალითად „სიმღერა მკის დროს“. ვინც არ დაუკვირდება, იმას ეს ლექსი უშინაარსო, უმნიშვნელო ეგონება. მაგრამ ამ ლექსშია გამოხატული სიხარული შრომისა, გამამხნევებელი ადამიანის სულისა, სასარგებლო სხეულისათვის, — სიხარული, რომელიც არის საფუძველი ეროვნული ძლიერებისა. როდესაც ამ ლექსს ვკითხულობთ, რაღაც სიხარულის ჟრუანტელი დაგვიელის სხეულში; ეს ჟრუანტელია გახსენება იმ სიამოვნებისა, რომელსაც ჰგრძნობს კაცი სხეულის მოძრაობის დროს. და ამით თქვენ გემატებათ სიყვარული ცხოვრებისა და შრომისადმი და პატივისცემა მშრომელისადმი.

შრომა მაშინ უფრო ნაყოფიერია და მაშინ უფრო სასიამოვნო, როცა თავისუფალია, როცა პირადი ღირსება მშრომელის არ არის დაჩაგრული. აქიტომ ასეთი სიხარულით და აღტაცებით მიეგება აკაკი გლეხების განთავისუფლებას ლექსში „იმერული ნანინა“, რომელსაც უძღვნის იგი საბატონო ყმების ახალ-შობილ შვილებს:

ღმერთს შენი ბედნიერება წინედ უსახავსო,
სხვებ რა გიჭირს, ხომ შეიტყე, ბატონი არ გყავსო!
გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო;
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერც გაგტეხს ჯალიო;
შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალიო;
ჭირისა და ავ თვალისგან გიხსნის უფალიო!..

მთელი ეს ლექსი სასიხარულო გრძნობის სხივებით ავსებს კაცის გულსა და სულს. თვით ენა არის მჩატე, თავისუფალი, მხიარული, ლამაზი.

შრომა გამოიწვევს პოეტის თანაგრძნობას, რაც უნდა დაჩაგრული და

შებორკილი იყოს იგი ავის პირობებისაგან, თუ კი მშრომელს სურს განთავისუფლება ამ პირობებისაგან, სურს გატეხა ბორკილისა, რომლითაც შებოჭილია: და თუ კი კაცი იმდენად დაეცა, რომ აღარც ბორკილი აწუხებს, თუ კი თავისუფლებას აღარ აფასებს მშრომელი, მაშინ თვით იგი წინააღმდეგია შრომისა, რადგან თავისუფლება არის უპირველესი პირობა, რომ ნაყოფი მოიტანოს შრომამ. აი პოეტის -სიტყვები ამ საგანზე:

.....დაცემული არის ორგვარი:
ერთს სურს ადგომა, უნდა თავის ხსნა,
და მეორე-კი გდია, ვით მკვდარი!...
ერთი მოელის კაცთაგან შველას:
ებრძვის თვის დამცემს, რაც შეეძლება;
მეორე ვერ გრძნობს ამაებს ყველას,
და მტერს პირუტყვებრ ემორჩილება!
პირველს თუ შეხვდე, შრომა უკურთხე,
ხელი მიეცი, წამოაყენე,
და მეორეს-კი ზედ დააფურთხე!...
იტირე, მაგრამ ზურგი უჩვენე!...

ნ. ბარათაშვილს თავისი პირადი განვითარებით ან სიტყვიერი ქადაგებით უნდოდა დაეცხრო თავისი აღშფოთებული სული, რომელიც ვერ ურიგდებოდა ამაო ცხოვრებას; აკაკი წერეთლისათვის კი ეს არ კმარა, ლიტერატურა მას საშუალებად მიაჩნია სხვა, უფრო მაღალი მიზნისათვის: იგი ეძებს ხსნას საზოგადო მოღვაწეობაში. ამიტომ ებრძვის იგი ყოველსავე ავ თვისებას კაცისა, რომელიც კი წინააღმდეგია ძმობისა, და გვისახავს გულში მძულვარებას ამ ორ-პირობისადმი, რომელიც არის საუბედუროთ, ყველგან ამ უკუღმართ დროში. პოეტი ჩივის:

ვნახე, რომ მეგობარი
თურმე იყო ხუმარი!...
და იმის სიყვარულიც
ჩემდამი კი სიზმარი!...
ვიხილე სწაელულები
მე სახელგანთქმულები,
ვნახე ტვინზედ ეწერათ:
უგნურების შვილები!

ქეთილ კაცთან მივედი,
მაზედ-ღა მრჩა იმედი...

ტკბილად დაიწყო სტვენა
მოჰხიბლა ყველას სხმენა
და ბროლის კბილებითა
დამალა შავი ენა.
სისხლით უყარდა ხელი
გულში ედვა მას გველი,
და შუბლზედ კი ეწერა
შავად: „ფარისეველი!“

მკითხველი დამეთანხმება, რომ ახლანდელი დრო წარმოადგენს მშვენიერს ნიადაგს ყოველგვარი წინააღმდეგობის და უკუღმართობის აღმოსაცენებლად. ვინ არ იცის, რომ ამ გამწვავებულ ბრძოლაში არსებობისათვის ყოველი კაცი ჰფიქრობს მხოლოდ თავის თავისთვის და ამიტომ, თვითოეულის ინტერესები ეწინააღმდეგებიან სხვების ინტერესებს. ვინ არ იცის, რომ გველივით შემპარავი პირფერობა და სიცრუე კარგი საშუალება არის ახლანდელ დროში, რომ კარგად წაიგვაროს კაცმა თავისი კერძო საქმე?... ამიტომ პოეტი გამოუცხადებს სასტიკ ბრძოლას ყველაფერს, რაშიც-კი გამოცხადდება ამგვარი ორპირობა. იგი ამბობს ფარისევლზე:

...ეგ რომ მუშტებით იმტვრევს მკერდს,
არ იცით, რომ თქვენც გატყუებსთ
და ეცრუება თვითონ ღმერთს?
აბა სინჯეთ — ერთხელ გარეთ
სადმე ჩუმათ მიეპარეთ,
მაშინ ნახავთ, რომ იმაე მუკს
გლეხ-კაცს ურტყავს თავში მწარედ.

აი კიდევ ერთი მაგალითი ამგვარი ორპირობისა:

ჯერ არ შემეძლო მომეხმარა კარგად ფარ-ხმალი,
როდესაც მამა ბრძოლის ველზედ სისხლად დასწურეს!

დედამ ოდეს სცნა ეს ამბავი, მას ელდა ეცა;
ცეღარ გაუძლო იმდენ ჯავრსა, მუცელს გადაჰყეა!

მაშინ ხელთ მიგდო ვიღაც უცხო მე დედაკაცმა,
ხელში ჩამიგდო კაკიები მან ერთი აცმა;
მით მომატყუა და ცრემლებიც მითი შემაშრო.
მაგრამ ნაცვალი დედის, იცით თქვენც, თუ რა არის!
გერისა კუჭი. მისგან ხომ ვერ გამოძღებოდა!
ოხ! მიეყაროს იმ კუდურსა თვალში ნაცარი,
რომ ობლის კვერი იმის ხელში გვიან ცხვებოდა!...

პოეტი გამოუცხადებს სასტიკ ბრძოლას აგრეთვე ყველა იმას, ვინც ვერ ამართლებს საზოგადოების ნდობასა და პატივისცემას, თუმცა დიდი ადგილი დაუჭერია. ამგვარი ლექსები მრავალი უწერია პოეტს. პოეტის სასტიკი ირონია და მდაბიო, უბრალო ენა, გასაგები ყველასათვის, მიწასთან ასწორებდა ამგვარ პირებს და ახდენდა ძლიერს შთაბეჭდილებას საზოგადოებაზე.

უმთავრესი მოტივი აკაკის პოეზიისა გამოითქმება ლექსში „გამოცვლილი დრო".

გამოიცვალა ქვეყანა,
ჩარხი უკუღმა ტრიალებს,
ვირი კოკობ ვარდს დაჰგალობს,
ბულბული ვირებრ ღრიალებს!
ზამთარში სიცხე გვაწუხებს,
ზაფხულში დგება ზამთარი;
სომეხმა ხრმალი აიღო,
ქართველმა სომხის დავთარი!
ქურდები სჭრიან სამართალს,
მართლებს უყრიან ბორკილსა,
და ქვეყნის მტერი იუდა
დასცინის მამულის-შვილსა.
ბრიყვი და უსწავლელები
თავში უდგია ჰკვიანებს...
გაჰქრეს ეს ჟამი ბარემ და
ნეტავი რას იგვიანებს!!...

კიდევ მეტის სიცხადით არის გამოხატული იგივე აზრი ლექსში „ახალი გზა“.

აქ მონება ჰკუა არის,
ორპირობა სიბრძნე დიდი,
და მას რჩება მოედანი,
ვინც კი არის მეტად ფლიდი!
ცოტა მაღლა ასასვლელად
ძმა ძმას იხდის კიბე-ხიდად;
მშობელს შვილი, შვილს მშობელი,
ქმარს ცოლი ჰსურს გასასყიდად.
აქ თვით სჯული ფარისევლებს
ხელთ უპყრიათ ბადე-ქსელად
ძლიერების საპირფეროდ,
უძლურების მოსაწველად!

მხოლოდ საწყალ მიწის მუშას
არავინ ჰყავს გამკითხავი,
მისის ოფლით თავს იკვებენ,
ქურქად მიდის მისი ტყავი!...

ამგვარად, აკაკი იყო ჩვენში პირველი პოეტი, რომელმაც გამოუცხადა ბრძოლა ახლანდელი დროების უკუღმართობას, წინააღმდეგობას. და იმ მტრობის და ორპირობის მაგიერ, რომელიც მოიტანა ახალმა დრომ, დასწერა თავის ბაირაღზე:

..... თავისუფლება,
ძმობა და სიყვარულიო,
ვისაც არ სურდეს ქვეყნისთვის,
ღვთისაგან იყოს კრულიო!...

მას უჭირავს მხნედ ეს ბაირაღი, და ვაი მას, ვინც ამ ბაირაღს უღა-

ლატებს: იმას მოელის საშინელი სასჯელი: მისი სახელი დაიწყეელება პოეტისაგან და საუკუნოდ შეჩვენებული გადავა შთამომავლობიდან შთამომავლობამდე. აკაკიზე შეიძლება ითქვას შემდეგი ადგილი ლექსიდან: „ჩემს მეგობარს“:

მაგრამ შენ შენთვის არ ჰფიქრობ:
ჰირი რომ გადგას კარზედა,
შენ მაშინ სტირი და ჩივი
სამშობლოს სატკივარზედა...

უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი თვისება აკაკის პოეზიისა. ყოველ მისს ლექსში გამოსჭვირის იმედი უკეთეს მომავალზე. ეს იმედი უნდა მივაწეროთ სამაგალითო საზოგადო ცვლილებას, რომელიც მოხდა პოეტის მოღვაწეობის დროს, — ბატონ-ყმობის გადავარდნას. ამ დიდმა საქმემ აუღელვა იმედებით გული ყველა მაშინდელ მწერალს და სიმართლეცა აქვს ამ იმედს: რა-კი ერთხელვე მოძრაობაში მოვა საზოგადო ცხოვრება, მისი შეჩერება შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია მდინარის შეკავება.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ აკაკიმ ღრმად შეიცნო ახლანდელი ცხოვრების ვითარება, მისი ავი და კარგი. და რადგან კაცი ყოველთვის ნათლად გამოთქვამს ხოლმე ყველაფერს, რაც კი ნათლად ესმის, ამიტომ აკაკიც უბრალო, ყველასათვის გასაგები ენით სწერს. უბრალო, მჩატე, ადვილი ენა არის შედეგი ღრმა, ნათელი ცოდნისა. ბუნდოვანი ენით მწერალი მხოლოდ თავის უცოდინარობას ჰფარავს. ჩვენში კი ბევრს ენის ბუნდოვანება სიბრძნის ნიშანი ჰგონია.

ენის სიმჩატე, სიადვილე, არ ნიშნავს ენის სისუსტეს. ეს სიადვილე, პირიქით, ძლევაა ადამიანისა ბუნებაზე და აკაკისაც სწორედ რომ დამორჩილებული, ძლეული ჰყავს ენა. ამგვარი ენა ბევრად უფრო სასიამოვნოა და უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე ძნელი გასაგები. რაც უფრო ადვილია ენა, იმდენად უფრო ძლიერია.

ამას გარდა აკაკის აქვს იუმორისტული ნიჭი, მისი ცოცხალი გონება, ადვილად აფარდებს ერთმანეთთან ცხოვრების ერთმანეთის წინააღმდეგ მოვლენებს და, ჰხატავს-რა ნათლად ცხოვრებას, გამოიწვევს ჩვენში სიცილს, რომელიც შეების მომცემიც არის და თან მწარეც.

ხელოვნური ნიჭი მარტო ენის სილამაზით არ გაიზომება. საჭიროა იდეალურად გამოხატვა ყოველისავე, რაც არსებობს ჩვენში ან ჩვენს გარეშე. აკაკის ნიჭი ამ მხრივ სრულიადაც არ ჩამოუვარდება გრ. ორბელიანისას[2] და ნ. ბარათაშვილისას. პირიქით, აკაკი კიდევაც აღემატება მათ ერთის მხრით: მან შეჰქმნა ქართული ლიტერატურული ენა, ასეთი დიდი მნიშვნელობა სხვას არაფერსა აქვს ჩვენი ცხოვრებისათვის. რომ აკაკის დიდი ხელოვნური ნიჭი აქვს, ამას ამტკიცებენ ხსენებული ადგილები მისი ლექსებიდან. ამგვარი მაგალითები შემეძლო მომეყვანა კიდევ მრავალი. აკაკის ზოგიერთ ლექსებში სჩანს, მსგავსად ჩაქუხისა, შეუდარებელი სისწრაფე, ძალა, მშვენიერება. მოვიყვანოთ მაგალითი:

...და მუზას გარისხებული
ვეტყოდი: „ხარ წყეული!...
რად წამართვი სიამე
და აღმიშფოთე სული!...
ცესმის ყოველგნით მტერობა,
განმიქრა მეგობრობა
მას აქეთ რაც შენ იწყე
მუზავ ჩემთან სტუმრობა!...
წამართვი ტახტად ცული,
ზედ დამდევ სიყვარული
და მას აქეთ აღარ მაქვს
შიგ არ-რა დაფარული!“...

ამ სიტყვების პასუხად აი რას ეუბნება პოეტს მუზა:

...განა ჰსური,
რომ გყავდეს მეგობარი?
აჰა ჩემი ჩანგური!
შენი კვნესით მოიწყენს,
შენი ლხენით მოილხენს,
და ცრემლში დამდნარ სიმებს
სიმღერით შესვამს, იდენს!

ან კიდევ სიტყვები მუზისა:

...ხან სიტკბო აიაფე,
ხან ნაღველი აქაფე!
ჭეშმარიტება აქე
და ბოროტი აკაფე!..,

ლექსი, რომლიდანაც არის ამოღებული ეს ადგილები, უნდა ჩაითვალოს შესანიშნავ ლექსად. რამდენი ასეთი მშვენიერი ადგილებია მის ლექსებში და ზოგიერთები მაინც კიდევ გაიძახიან. რომ აკაკის ლექსებს პოეზია აკლიაო! ვგონებ, უფრო იმ ზოგიერთებს აკლდეთ პოეზიის გაგება!

ავიღოთ აკაკის ხელოვნური ნიჭის ნიმუში პროზაში. რა მშვენივრად არის დახატული ძველი თავადიშვილის ტიპი მის „როსტომ წერეთელში“. უკეთ დახატვას ვერ ინატრებს კაცი! რა ცოცხლად, რა ჭეშმარიტებით აღგვიდგინა, ორი კალმის მოსმით ეს ტიპი და თან მთელი ჩვენი ძველი ცხოვრება? და დაუმატოთ ამას კიდევ, როგორც მაშინდელი ხალხის ხასიათს შეეფერება, მოცინარე, გულკეთილი, მხიარული კილო მისი იუმორისა! თამაღად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ აკაკის „თავგადასავლის“ რამდენიმე გვერდი უკეთ გვიხატავს იმ ცხოვრებას, ვიდრე ზოგიერთი მწერლის მოზლაზნილი მოთხრობა.

საზოგადოდ, აკაკის ენა პროზაში შეუდარებლად ხალისიანი, ცელქი, ლამაზი, ხმოვანი, სასიამოვნო გასაგონია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველის ყურს მეთორმეტე საუკუნის აქეთ არ სმენია ასე მშვენიერი ენა...

ლუარსაბ ბოცვაძე

აკაკის პედაგოგიური აზრების ღრმა ცოდნა

ყველა დიდებული ადამიანი, რომლისთვისაც ბუნებას მიუცია მაღალი ნიჭი, ნაზი გრძნობა და კეთილშობილური მისწრაფებანი, ერის საუკეთესო აღმზრდელად ითვლება. ბედნიერია ის ერიც, რომელიც წარმოშობს ასეთს დიდბუნებოვან ზეგარდმო მადლით სავსე ადამიანს, რომელიც შუქურ ვარსკვლავივით ანათებს სამშობლო ქვეყნის წყვდიადში, უნათებს მას ბნელ გზას, აძხნეულებს და უნერგავს გულში ადამიანურ გრძნობებს.

პოეზიას საზოგადოდ, ისეთი ღრმა მნიშვნელობა აქვს, რომ ის არას დროს არ კვდება, იგი თანაშეზრდილია ადამიანის სულთან და წარმოადგენს მისი სულიერი ბუნების უსაჭიროეს და უკვდავ ნაწილს. შექსპირი ამბობს: „უბედურია ის კაცი, ვინც ყურს არ უგდებს იმ ჰანგს, რომელიც გაისმის თითოეული ჩვენგანის სულშიო“[2]. მართლაც, პოეზია თავისი მომხიბლავი ენით, რომელიც ადამიანს გულის სიღრმემდე სწვდება, წარმოადგენს ისეთს განსაკუთრებულ ძლიერ ნიჭს, რომელიც აფხიზლებს ადამიანს და უღვიძებს მას მიძინებულს ძალას. უბრალო, უვიცი ხალხი პოეზიის გავლენით იღვიძებს გონებითს ძილისაგან, რადგანაც მასში ხედავს თავის თავს, პოეზია ჩასძახის მას იდეალურ აზრებს, რომელშიც იხატება ზნეობრივი სიმართლე, გამთბარი ღრმა კაცობრიული გრძნობით, რომელსაც შეადგენენ: სიყვარული, სიმხიარულე, სიმწუხარე, ჩივილი ან სამღურავი, წუხილი, იმედი, ეჭვიანობა, რწმენა და სხვა, რომელიც ბუნდოვნად გაისმის ყოველი ადამიანის საკუთარ სულში. მაგრამ ყველაზე უფრო მისი გამოხატვა, დასურათება და გადაცემა მკითხველთათვის ბუნებას ჭილად ურგუნებია რჩეულ პირთათვის — მგოსნებისათვის. პოეტურ ნაწარმოებებში გამოხატული საგულისხმიერო ჰანგები აღამაღლებს ადამიანს, კაცობრიობას, აშორებს მას გაქსუებულ ანგარებით ცხოვრებას, ჭელს უწყობს მკითხველს გახდეს სასურველი წევრი, როგორც თავისი ერისა, ისე კაცობრიობისა, მართლა არსებობდეს ქვეყანაზე, თუ არსებობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ჰქონდეს უსათუოდ შეგნებული სული, ხოლო ასეთი სულის ქონება ნიშნავს კაცობრიული გრძნობის ქონებასაც, იცხოვრო ქვეყანაზე თავისთვის და სხვისთვისაც, გაინტერესებდეს თავისი მოყვასის ბედ-იღბალი, გიყვარდეს ადამიანობა იმ საზღვრამდის, რომელშიც უნდა იყოს მოქცეული თავისი თავი, შენი ოჯახი, სამშობლო, კაცობრიობა, ბუნება და თვით ღმერთიც.

ამას ქადაგებდნენ ბუნების მიერ მაღალის ნიჭით დაჯილდოებული, ღვთისაგან რჩეული ადამიანები, ამასვე გვასწავლის ჩვენი საჭელოვანი პოეტის აკაკის ჩანგიც, რომლის მომხიბლავი ხმები გულის სიღრმემდის სწვდება მკითხველს — დაჩაგრულს იმედს აძლევს, ამხნევებს, თავის ჭნის გზას უჩვენებს და ერის მჩაგვრელს კი ისარივით ესობა გულში.

დიახ, ჩვენი დიდებული და საყვარელი მგოსანი აკაკი ჩვენი ერის გზის მაჩვენებელი, წინამძღვარი და დიდებული მასწავლებელიც არის, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში გზას უკვლევს ერს საუკეთესო ცხოვრებისათვის და, როგორც მაღალის გონებით, ნიჭით და გრძნობით აღჭურვილს ჩვენს საყვარელს მგოსანს უპირველესი ალაგი უჭირავს ჩვენი ხალხის მოკეთეების მცირე რაზმში...

ჩვენი მიზანია ამ სტატიაში განვიხილოთ ზოგიერთი პედაგოგიური მოსაზრებანი ჩვენის მგოსნისა. რადგანაც დღეს დღეობით სრული გამოცემა აკაკის ყველა ნაწერებისა არ მოგვეპოვება, ამიტომ, მაინც ვბედავთ შევეხოთ ამ საკითხს და ვსარგებლობთ ამ ჟამად მხოლოდ ზოგიერთი მასალით, იმედი გვაქვს ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდებით.

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ბავშვის აღზრდა ისეთს პირობებში უნდა იქნეს ჩაყენებული, რომელიც ხელს უწყობს მისი ნორჩი გონების აღზრდა-განვითარებას. უმთავრესი ამ პირობათაგანი ბუნება და მისი წიაღია, სადაც ბავშვი ხედავს მრავალ გვარ ცხოველ სურათებს, აკვირდება და სწავლობს მათ. ბუნებაში ყოველი სიტყვა ცხოველ სურათს წარმოადგენს, თითოეული გამოთქმა ცოცხალი აზრია, ბუნების ჰვრეტა და დაკვირვება ნორჩი გულის გამამტკიცებელია და შეადგენს ისეთს საღსა და ძლიერს აღმზრდელობითს ძალას, რომლის გარეშე საღი და ჭეშმარიტი აღზრდა ბავშვისა შეუძლებელია. ბუნება და მასთან სოფელიც მთელს სიცოცხლეს წარმოადგენენ. იქ არის ღვთიური ნიჭი გაფანტული, იქ არის სიცოცხლე მრავალგვარი ჭირვარამით და სიმხიარულით შეზავებული, იქ არის შრომა ადამიანისა, შრომა საღი და პატიოსანი, რასაც ადრე უნდა იცნობდნენ ბავშვები და პატივისცემით, თანაგრძნობით უყურებდნენ ისეთს შრომას, რომელიც უშინსკის[3] აზრით, „არის ერთადერთი ღირსეული ბედნიერება, რაც კი ხელმისაწვდომია კაცისათვის ქვეყანაზე".[4]

ჩვენი დიდებული მგოსანი აკაკი ამ საკითხს არკვევს თავის „თავგადასავალში" და სრულიად სამართლიანად ხსნის, თუ რა გავლენა აქვს ბავშვის ნორჩ გონებაზე სოფელში, ბუნების წიაღში მის აღზრდას. ამოვწერთ სიტყვასიტყვით ამ ადგილს: „ყმაწვილი, რომელიც კი სოფელში არ გაზრდილა ბუნებაზე სრულიად მოსხლეტილია, ის არის მოკლებული უპირველეს ბედნიერებას. ქალაქში გაზრდილ ბავშვს გენიოსიც რომ იყოს მისი მასწავლებელი, სიტყვით და ნახატებით ისე ვერ გააცნობს ბუნებას, როგორც სოფლელი იცნობს თავის საკუთარ ნახულობით. სოფლელს თვალწინ უდგას ყოველთვის ბუნება, მისი სხვა და სხვა ფერობით, გაცნობილი ჰყავს ყოველგვარი ოთხფეხი, ფრინველი, ქვემძრომი, მწერი, მცენარე და იცის მათი ზნე და ჩვეულება. ყველა მის თვალწინ იბადება, იშლება, იფურჩქნება, აჰყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება, — ყველა მათგანის ჰირისა და ლხინის თანამოზიარეა და ამიტომაც ეთვისიანება მათ. რომელ მხატვრობას შეუძლია გადასცეს ბავშვს ის, რასაც სოფელში მყოფი თავისი თვალით ჰხედავს? ავიღოთ თუ გინდა სულ უკანასკნელი: აი, მოდის

ფი თავისი თვალით ჰხედავს? ავიღოთ თუ გინდა სულ უკანასკნელი: აი, მოდის მოღრუჭუნებს დედა-ღორი და მას ცქრიალით უკან მოსდევს პატარ პატარა ჭყივილა გოჭები. ძუძუს ეხვეწებიან... დედა მიდის ჩრდილში სადმე და წამოგორდება მხართეძოზე: მისცვივდებიან შვილები და მიეძაბრებიან ძუძუებს: სიამოვნების ნიშნად აქიცინებენ პატარა გადაპრეხილ კუდებს და დედაც თვალდახუჭული დაჰხარის, დაღრუჭუნებს მათ... აგერ კრაეები კენტრუშობენ, თიკნები დახტიან... გოჭები ჭიდაობენ, კვიცები კოტრიალობენ და სხვანი — სულ მრავალ ფერობა და სხვადასხვა სანახაობა... უყურებს ბავშვი და თვითონაც გულშექნილი, ხტის და თამაშობს!.. ამაებს ყველას მოკლებულია ქალაქელი“.. („ჩემი თავგადასავალი“).

საზოგადოდ ბავშვებს ძლიერ უყვართ ცხოველები, რომლებიც მათ ხშირად ამხანაგობასაც კი უწევენ თამაშობის დროს. ვსთქვათ სოფელში, რაც ხშირად მოხდება ხოლმე, ბავშვი უვლის საქონელს, მცენარეს, შინაურ ფრინველებს და სხვ. გარდა იმისა, რომ ამ მოვლენით ბავშვი ზედმიწევნით სწავლობს ცხოველთა ბუნებას, ზნეს და ჩვეულებებს, სწავლობს აგრეთვე მოთმინებასაც. ვის არ შეუნიშნავს, რომ მოუთმენელი ბავშვი უდროოდ გადაშლის ჯერ გაუფურჩქვნელ ვარდის კოკორს, არ აცდის თავისუფლად გაშლას. ვის არ გამოუცდია ბავშვობაში თუ რა დიდ დროდ ეჩვენება ბავშვს მისი ქათმის კვერცხების დადებიდან, ვიდრე წიწილა გამოიჩეკებოდეს, ან თავისი ბაღის ალუბლის აყვავებიდან ნაყოფის დამწიფებამდის. აი სწორედ სოფელში, სადაც ბავშვების უმრავლესობა ამ პირობებში იზრდება, ძლიერ ჩქარა და არა მწარე გამოცდილებით ეჩვევა მოთმინებას, რომელიც შემდეგ ცხოვრებაში იფარავს მას მრავლის უსიამოვნებისაგან.

ამნაირად სოფელი მრავალფეროვან გონებითს საზრდოს აწვდის ბავშვს, ბევრსაც სწავლობს იგი. თავის დაკვირვებით და უფრო საყურადღებო ის არის, რომ სოფელში ბავშვი შრომასაც მალე ეჩვევა, შეიყვარებს მას და ჯანსაღობითაც ხომ ქალაქელი ბავშვი მას ვერ დაედრება. გლეხის ოჯახის სურათს სოფელში პოეტი ასე აგვიწერს: „გლეხის ოჯახი დილიდან საღამომდე სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევათ და ამიტომაც ბავშვების გრძნობა-გონება სუყოველთვის გართულია. კაცები დილითვე ადრე მიდიან სამუშაოდ ყანებში, თუ ტყეში, სადილი და სამხარიც იქ მიუდით და დაღამებამდე ძვირად ბრუნდებიან სახლში. ქალები კი საოჯახო საქმეზე ტრიალებენ. მათ ხელშია საქონლის მოვლა, ფრინველის პატრონობა, სახლის დაგვა-დასუფთავება, სადილ-ვახშმის მზადება და მრავალი სხვა საწვრილმანო რამეები. ბავშვი რომ თვალყურს ადევნებს იმათ მუშაობას, თვითონაც ძალაუნებურად მონაწილე ხდება და სწავლობს („ჩემი თავგადასავალი“).

საზოგადოდ განათლებულს ისეთს კაცს უწოდებენ, რომლის სულიერი და სხეულის ძალა წესიერად არის განვითარებული, მაგრამ ეს საზოგადო განმარტება უფრო მყვირალა და განუსაზღვრელ ცნებას წარმო-

ადგენს. ამიტომ ვეცდებით ავხსნათ თუ როგორ უნდა გვესმოდეს ეს განმარტება.

ყველა ადამიანი ვითარდება შეუცვლელი კანონის მიხედვით, რომელსაც თვით ადამიანის ბუნება წამოაყენებს. ეს კანონი უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ ყველა საღ ადამიანს ქვეყანაზე გაჩენის დღიდან თანდაყოლილი აქვს ნიჭი მხედველობისა, მსმენელობისა, შეხებისა, გემოვნებისა და ყნოსვისა, ან როგორც იტყვიან ხუთი გრძნობა; ამ გრძნობათა ორგანოების საშუალებით ნორჩი ბავშვი ცნობილობს ყველა მის გარშემო არსებულს საგნებს, იღებს მათგან შთაბეჭდილებათა, რომლიდგანაც ჩნდებიან ყველა წარმოდგენილობანი, ცნობები, მსჯელობანი, გრძნობანი, სურვილები და სხვ. ამ სახით, ყველა იმის შეთვისებით, რაც ბავშვის გარშემოა, ვითარდება ბავშვის ძალა და ნიჭიც. აქედან ცხადია, რომ ბავშვის წესიერი განვითარება მდგომარეობს ყველა იმ შთაბეჭდილებათა შეგნებით შეთვისებაში, რაც მოქმედებს ბავშვზე და რაც მის გარშემოა.

ჩვენი დიდებული მგოსანი ღრმად დარწმუნებულია, რომ ჩვენებური სწავლა-განათლება არ მისდევს ამ ბუნებრივ გზასა, უხვევს მას, ღობეყორეს ედება და შედეგიც სამწუხაროა. აი, რა ნამდვილ ჭეშმარიტს და საღს პედაგოგიურს აზრს გადმოგვცემს ჩვენი პოეტი: „ახალგაზრდა ნორჩ გრძნობათა გონებას ეჭირვება ვარჯიშობა მისთანა საგნებზე, რომელიც მის ახლოს, მის გარშემო არის, რომელსაც ის კარგად იცნობს და რომელზედაც, მაშასადამე, თვითონაც შეუძლია სჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა ყმაწვილი გაუგებრად იზეპირებს, მეხსიერებას ატანს ძალას, გონება უჩლუნგდება და კაჭკაჭ-თუთიყუშს ემსგავსება, და ამიტომაც დღეს ჩვენ ინტელიგენტებში მრავალი ქარაფშუტაა“. („ფიქრები ბუხრის წინ“). სრული ჭეშმარიტებაა! რომელი ნამდვილი პედაგოგი იქნება წინააღმდეგი ჩვენი მგოსნის აზრისა თუ არა ვინმე სინდისზე ხელაღებული გარეწარი მოხელე, რომელიც მოვლენილა ნორჩი გონების დამმახინჯებლად და ერის გადასაგვარებლად.

ყველაფრის შეგნება და შეთვისება, რაც ბავშვის გარშემოა, მაშინ არის შესაძლებელი, როცა ბავშვები ცხადად გრძნობენ, იგებენ მას და ითვისებენ თან-და-თანობით, საჭირო დროის განმავლობაში. სხვანაირად შეთვისებული ცოდნა, ცნობები, გრძნობები და სურვილები ბუნდოვანნი, უჯერო, უსაფუძვლო, ურიგო იქნება და, მაშასადამე, ამისთანა პირობებში ბავშვის მთელი განვითარებაც — უწესრიგობას წარმოადგენს. რაც ბავშვის გარშემოა, ყველაფერი ერთბაშად უწესრიგოდ ახდენს მასზედ შთაბეჭდილებებს და ისიც მხოლოდ გარეგანის სახით, თავის გარეგნობით. აქედან ცხადია, რომ სწავლების დროს თუ შევჩერდით მხოლოდ ბავშვის გარშემო არსებული საგნებიდან მიღებულს გარეგან შთაბეჭდილებებზე ბავშვს ეცოდინება მხოლოდ გარეგანი სახე საგნისა, ე. ი. ბავშვი საგანს მხოლოდ ზერელედ გაიცნობს და მასთან ეს ცოდნაც მოუწეს-

ბელ საგნებზე“ ნიშნავს ამ საგნების არა მარტო გარეგანის მხრით, არამედ ყოველი მხრით შესწავლას.

ბავშვი ჩნდება ქვეყანაზე, ცხოვრობს, იზრდება თავის ქვეყანაში, თავისიანებში. იმის გარშემოა ხალხი, ცნობები, ზნე-ჩვეულებანი და საზოგადოდ მთელი ცხოვრების სახე, აწმყო და წარსული, ადგილი და ყველა მისი ბუნებრივი სიმდიდრე. ყველა ეს ბავშვზე შთაბეჭდილებებს ახდენს, ბავშვიც იღებს ამ შთაბეჭდილებებს თავის გრძნობათა ორგანოების საშუალებით და შემდეგ ითვისებს მათ. წარმოდგენილებათა, ცნებათა, მსჯელობათა, გრძნობების და სურვილების შედგენით, რაც ბოლოს შეადგენს მთელს მის სულიერ სიმდიდრეს: ამასთან ერთად ხდება ბავშვის სულიერი განვითარებაც. ე. ი. თანდაყოლილი ნიჭი ვარჯიშობაშია გარეგან შთაბეჭდილებათა მიღებით და შეგნებით და ამ ვარჯიშობასაც შედეგად მოჰყვება განვითარება; გრძნობა, გონება ბავშვის უფრო მკვიდრი ხდება, უფრო ძლიერ და უკეთ შეეძლება მას შეითვისოს შემდეგი შთაბეჭდილებები, სწორედ ისე, როგორც ჩვენი მუსკულები, ჩვენი სხეულის ყველა ძალები და მთელი ჩვენი სხეული ვითარდება საზრდოობით, მოძრაობით და როშელიმე ფიზიკური მუშაობით. ყველა ჩვენგანმა გამოცდილებით კარგად იცის, რომ თუ ძალზე მეტსა ვჭამთ, ან ცოტას, ან ისეთს სასმელ-საჭმელს ვხმარობთ, რომელსაც ჩვენი სტომაქის მოშლა შეუძლია, ჩვენ ან ავად ვხდებით და ან ვსუსტდებით. თუ ძლიერ ავამოძრავებთ სხეულს, ან მძიმე ტვირთს ავიკიდებთ, წელს მოვიწყვეტთ. თუ ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობთ ფიზიკურად, ან ხელს ვკიდებთ ძალზე გადამეტებულს ფიზიკურ სამუშაოს, ძალა გამოგველევა და დავსუსტდებით. ცხადია, რომ ყველა ამ შემთხვევაში და ამის მსგავს შემთხვევებში ჩვენი სხეული წესიერათ არ განვითარდება; პირიქით, ჩვენი სხეული მიიღებს სნეულ განვითარების სახეს. რაც სხეულს მოუვა, იგივე დაემართება ჩვენი გონების განვითარებასაც, როცა გონების სავარჯიშოთ აღებულია სულიერ ძალასთან შეუფარდებელი და საზოგადოდ ურგები ძალა. რამდენია ეს ურგები მასალა, რასაც დღევანდელი დუხჭირი სკოლა აწვდის მოწაფეებს, ისიც ყველასათვის ცხადი უნდა იყოს.

მაშასადამე, როგორც სხეულის, ისე ჩვენი სულიერი ძალების წესიერი და საღი განვითარება ყოველი მხრით სასარგებლო ვარჯიშობაზეა დამოკიდებული. ეს ვარჯიშობა კი მიმართულია სულიერ ძალთა გასავითარებლად, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ და რასაც დიდებული მგოსანი გვირჩევს მდგომარეობის გარეგან შთაბეჭდილებათა მიღება-შეთვისებაში, იმ შთაბეჭდილებათა, რასაც ვიღებთ ყველა იმისაგან, რაც ჩვენს გარშემოა. რა არის ჩვენს გარშემო? ადგილი, სადაც ჩვენ ვიმყოფებით და ხალხი, თავისი ზნე-ჩვეულებებით, რომელთანაც ჩვენ ვცხოვრობთ, ათასფეროვანი ბუნება, რომელიც გარს გვარტყია. ეს ჩვენს გარშემო არსებული ცხოვრება შეადგენს ნამდვილს ბუნებრივს, შეუცვლელს და საკმაო მასალას ადამიანის ნიჭის ყოველი მხრით გასავითარებლად და, მაშასადამე.

საზოგადო განათლებისათვის. იმდენად საკმაო და აუცილებელია ყველა ეს, რომ თუ ის, რაც გარშემოა მოწაფეს საკმარისად შესწავლილი არა აქვს, ვერც სხვას მასზედ უშორეს მასალას შეიგნებს თუ მეტი განათლების მიღების მსურველია და პოეტის თქმისა არ იყოს, კაჭკაჭ-თუთიყუშებისა და ქარაფშუტების რიცხვი ჩვენში უფრო გამრავლდება.

დიდი მოვალეობა აქვს ამ მხრით, ჩვენებურს მასწავლებლებს, თავისი ერის ზნეჩვეულების შესწავლა, კარგის კარგად აღიარება და ცუდის დაძრახვა, დაგმობა, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის ერთს უმთავრეს პირობას შეადგენს. ამის აუცილებლობა აღწერილი აქვს ჩვენს მგოსანს ერთს გალექსილს „ნამდვილ ამბავში“ („გამზრდელი“), რომელსაც ავტორი უძღვნის ჩვენს პედაგოგებს. როდესაც გაზრდილი საფარ-ბეგი ჩადის უსინდისობას, პირშაობას, არღვევს ხალხის ზნე-ჩვეულებას, გმობს იმას, „რაც ქვეყანას მიაჩნია რჯულზედ უფრო უმტკიცესად“ საფარ-ბეგის გამდლის შვილი, ბათუ სულგრძელობით აპატიებს საფარ-ბეგს იმ შეურაცხყოფას, რაც უკანასკნელმა მიაყენა მის ოჯახს, მხოლოდ იგი ავალებს საფარ-ბეგს, რაც მან უსინდისო საქციელი ჩაიდინა, უამბოს თავის გამზრდელს ჰაჯი უსუბს. ჰაჯი უსუბი ნაღვლიანად მოისმენს მუხთლობის ამბავს და ბოლოს მოკვლას უპირებს თავის გაზრდილს.

მაგრამ უსუბ ეუბნება:
„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ“.

წარმოსთქვა და საფეთქელში
მიიჭედა ცხელი ტყვია!..
ჩაიკეცა სულთან-მბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია...

თუ გაზრდილი ცუდი ზნე ხასიათისა გამოვიდა და შეურაცხმყოფელი იმისი, რაც ქვეყანას, ხალხს წმიდათა წმიდათ მიაჩნია, ეს გამზრდელის ბრალიც არისო, გვეუბნება პოეტი მრავალმნიშვნელობით და ამას ხალხიც ბანს აძლევს შემდეგი სიტყვებით:

ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ავად ზრდილიო[5].

— II —

ბავშვის სულისა და სხეულის ერთ მოთხოვნილებათაგანს შეადგენს სხვა და სხვა გვარი თამაშობა. თამაშობა არის სხეულის ერთგვარი მოქმედებათაგანი. ეს მოქმედება არსებითად განირჩევა სერიოზულ სამუშაოსაგან. ყველა სერიოზულ სამუშაოს მიზნად აქვს დააკმაყოფილოს პრაქტიკული ცხოვრების რომელიმე მხარე, მაშინ როდესაც თამაშობას არაეითარი წინასწარი მიზანი არა აქვს დასახული, მაგრამ, როგორც გვამცნევენ გერმანელი ფილოსოფოსები, რომელთაც არსებითად გამოარკვიეს საკითხი თამაშობის შესახებ, იგი თავის თავად შეიცავს მიზანს, მოქმედებას და სიამოვნებასაც.

აწინდელი მეცნიერება ბავშვის ფიზიკურად განვითარებაში უპირველეს ადგილს თამაშობას უთმობს, რადგანაც გონივრულად მოწყობილი თამაშობა უფრო შეეფერება ბავშვის სულიერსა და სხეულის მოთხოვნილებას. გიმნასტიკა, რომელიც ცოცხალ ბავშვებს ისედაც ეჯავრებათ, აწინდელი საუკეთესო მეცნიერების მიერ დაგმობილია. ჩვენი სასიქადულო პოეტიც მეცნიერის თვალით ზომავს და ამბობს: „გიმნასტიკა მხოლოდ ტანჯვაა ბავშვის და სხეულის ჯორჯვა. სხვა და სხვა ნაწევრებს ადამიანის გვამისას განა ერთი და იგივე მოთხოვნილება აქვს?.. მე ეგები მარტო ფეხი მინდა ვავარჯიშო და იმ დროს ხელი შევასვენო. ყველაფერს თავისი დრო აქვს და ამ დროს თვითონ ბუნება უფრო უტყუვრად უჩვენებს. „გიმნასტიკის“ დროს კი წინააღმდეგ ჩემის მოთხოვნილებისა, უნდა მხოლოდ სხვის ბრძანებით ვიმოძრაო. მაგალითად, მე როცა სირბილი მინდა, ის გამაჩერებს ერთს ადგილზე, მომცემს ხელში მძიმე რკინებს, და, გინდა თუ არა, ხელები ავარჯიშეო... ხელოვნებას შეუძლია, რომ დაიმორჩილოს, ე. ი. დაამახინჯოს ბუნება. მაგრამ რომ შესცვალოს და თავისი სურვილით ვითომ გააუკეთესოს, არა მჯერა. აბა წარმოიდგინეთ ერთის მხრით თავისუფალი, შველივით მონავარდე, სოფლელი ბავშვი და მეორე მხრით „დაჩანჩურებული“ ქალაქელი ყმაწვილი!.. ფეხსაცმელი უჭერს და მაზოლები სტანჯავს... გამოსუდრულა ტანსაცმელში, მოძრაობა აღარა აქვს, ეუბნებიან: ჭკვიანად იყავი, რაც ჩვენ გირჩიოთ, მხოლოდ ის იკისრე შენცო!.. იმ საბრალოს ერთი გაკოტრიალება ქვეყანას ურჩევნია, მაგრამ განა გაბედავს, რომ ტანისამოსი დაისვაროს?.. იზრდება ბრძანებით მომავალი ჭლექი და მუმია“. („ჩემი თავგადასავალი“).

გარდა იმისა რომ პოეტი სრულიად უარ ჰყოფს გიმნასტიკას და მავნებლურად მიაჩნია იგი, რაც მისივე სიტყვებიდან სჩანს, ამონაწერიდანაც ის აზრი გამოდის, რომ ბავშვს ნაძალადევად არაფერი არ უნდა მოახვიო თავს, იგი უნდა იზრდებოდეს მისი ბუნების მიხედვით, მაშასადამე, „რაც ჩვენ გირჩიოთ, მხოლოდ ის იკისრე შენო“. ეს ნიშნავს ბავშვში ბუნებრივი ძალის განვითარების წინააღმდეგობას, ბავშვის სულიერი და ხორციელი ძალის ტანჯვას, რასაც სასტიკად ეწინააღმდეგებიან ყველა „თავისუფალი აღზრდის“ მოტრფიალენი.

აუარებელი ქართული სათამაშოები ზოგი ისეთია, რომელსაც სიმვოლური მნიშვნელობა აქვს, მაგალითად „ჭორობია“, ზოგი ისეთები, რომელიც ავითარებს ბავშვში თვითმოქმედებას, სიმკვირცხლეს, ფიზიკურ ძალას, ამხანაგურ გულითადს განწყობილებას. „აბა, რომელი გიმნასტიკა შეედრება „ბურთაობასაო“ — ამბობს პოეტი — ბურთაობის დროს თვალი, ხელი, თავი, ტანი და ყველაფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდესო“...

— III —

ერთი მთავარი საკითხი პედაგოგიკაში არის თუ როგორ უნდა მოეპყრას აღმზრდელი ბავშვს... ამ მხრით დიდად საყურადღებოდ მიგვაჩ-

ნია ჩვენი დაუღალავი მოღვაწის სასიქადულო პოეტის აკაკის წრფელი აზრი, წმინდა მეცნიერული შეხედულება იმაზედ, თუ როგორ უნდა მოეპყრან აღმზრდელები და მშობლები პატარა ბავშვებს.

მწარე, ნაღელიანი სიტყვებით მოგვითხრობს პოეტი თავის „თავ-გადასავალში“ იმ ამბავს, თუ როგორ სტანჯავდნენ საცოდავ ბავშვებს უდიერი აღმზრდელები ცალკე უხერხული სწავლებით, ცალკე ცემა-ტყეპით და უგულო მოპყრობით: „წარმოიდგინეთ 7—8 წლის ბავშვი დილის 7 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე მშიერ-მწყურვალი და მაშინ იგრძნობთ, თუ რა ტანჯვაში იყვნენ ის საწყლები. ზოგს გულს ეყრებოდა, ზოგს თავ-ბრუ ეხვეოდა და ეცემოდა ძირს, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა“.

დღევანდელ პირობებში მართლა გულასამღერევ სურათებს გვიხატავს პოეტი, თუ რა აუარებელი სასჯელი იყო სკოლაში შემოღებული „წკეპლა“ სტოროეებს ურმებით მოჰქონდათ ყოველ დღე ახალ-ახალი. მოსწავლის გალახვა ყველას შეეძლო დირექტორიდან დაწყებული „სტოროეებამდე“. მიზეზს არავინ კითხულობდა. ვინ იცის რამდენი დასნეულებულა, რამდენი დამახინჯებულა, და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოთაო, ნაღელიანად იგონებს პოეტი ბავშვობის დროს, ვერც ჩვენი საყვარელი მგოსანი გადარჩენია სკოლაში გამეფებულ სენს, სახაზავი დაუკრავთ და ეს სურათი ისე აღბეჭდილა პოეტის გონებაში, რომ გულიდამ დღემდინაც ვერ გადაუგდია. „წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც კიდევ გაურკვეველა ვწერ, ვინც ჩემ ნაწერებს დახედავს, გაუკვირდება, რომ ზოგან კარგი ხელითაა დაწერილი და ადგილ-ადგილ კი ნაჯღაბნი და გაუგებარი. ეს მაშინ მემართება, როცა ინსტიკტურად მაგონდება ხოლმე მაშინდელი ჩემი ტანჯვა. ეს შემთხვევა რა გასახსენებელი იყო, მაგრამ მიტომ ვამბობ, რომ მშობლებმა და მასწავლებლებმა იგულისხმონ, თუ რა ძნელია სათუთ ბავშვებთან სასტიკად მოპყრობა და რა შედეგი მოჰყვება ხოლმე“...

ერთ პატარა საყმაწვილო მოთხრობაში („პატარა ტარიელი“) ჩვენს საყვარელ მგოსანს გამოყვანილი ჰყავს ტიპი ღირსეული აღმზრდელისა, რომელიც „ცდილობს ნორჩი მოწაფეების გულში კეთილი სურვილი აღძრას და ახალგაზრდობა სწორ გზაზე დააყენოს“. ამისთანა განწყობილება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა აღმზრდელს და მოწაფეს შორის ნამდვილი მეგობრული კავშირი არსებობს. მხოლოდ ამ პირობებში შეუძლია მოწაფეს თავისი გული გაუხსნას მასწავლებელს და შიგ ჩაახედოს, მხოლოდ ამ პირობებში შეუძლიან მასწავლებელს მეგობრულის რჩევა-დარიგებით კარგს გზაზე დააყენოს გზადაბნეული მოწაფე. უწინამძღვროს მას და გაახდეს მოწაფისათვის ნამდვილი გზის მაჩვენებელი. „მასწავლებელი სიამტკბილობით და მამაშვილურად ეპყრობოდა მოწაფეს. დიტო (მოწაფე) აფასებდა მის ყურადღებას, სულითა და გულით უყვარდა მხოლოდ ის ერთად-

ერთად-ერთი კაცი და რომ გადაეხადა რითიმე მისი სიკეთე, მის საგანს საუცხოოთ სწავლობდა, მაშინ როდესაც სხვებისას ყურადღებასაც აღარ აქცევდა. ბევრჯერ საკმაო იყო ხოლმე იმ მასწავლებლის ერთადერთი ალერსიანი სიტყვა, რომ გაბოროტებული დიტო კარგ გუნებაზე დაეყენებინა. — ერთ საღამოს დაიბარა სახლში; დიტოც, რასაკვირველია, სიხარულით მივიდა მასთან. მასწავლებელი ისე კი არ დაუხვდა პატარა სტუმარს, როგორც უფროსი უმცროსს,—ამხანაგურათ მიიღო, მოისვა გვერდით და იმდენი ელაპარაკა სხვა და სხვა საქმეებზე, რომ სულ დაავიწყდა ბავშვს თავისი ვინაობა. პატარა სტუმარმა წარმოიდგინა, რომ ჩემ ტოლ მეგობარს ეუბნავარ გვერდითო, გაიხსნა ნელ-ნელა გული და თითო კაკლად უამბო თავისი თავ-გადასავალი".

საყურადღებოა ისიც, თუ როგორ გულდასმით, ოსტატურად უხსნის მასწავლებელი მეგობრულ ლაპარაკში მოწაფეს მის „კუდაბზიკობას". აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ და ვურჩევთ მსურველთ თვით წაიკითხონ ეს მოთხრობა, ვეტყვით მხოლოდ, რომ პატარა მოწაფე მთლად გამოაფხიზლა მასწავლებლის მეგობრულმა რჩევამ, ჰკუაში მოუვიდა მასწავლებლის დარიგება, „აღტაცებით ისმენდა მოძღვრის სიტყვებს და ტანში რაღაც უჩვეულო სანეტარო ჟრუანტელი უელიდა". გათავდა იმით, რომ „ერთმა წამმა შესცვალა სამარადისოდ დიტოს ბედი, სასიკვდილოდ თაედადებული ბავშვი გამობრუნდა, გამოცოცხლდა და გაუსვა სწავლას ხელი".

ყველა ადამიანში და მით უფრო ბავშვების სულში მოიპოვება კეთილშობილური გრძნობები, აღმზრდელის მოვალეობაა ამ გრძნობათა გამოწვევა მოწაფეში და მათ კეთილ გზაზე წარმართვა. ამას ახერხებს ჩვენი მგოსანის მიერ დასურათებული ტიპი მასწავლებლისა და ეს ტიპი იდეალურად უნდა მიაჩნდეს ყველას, ვისაც ახალთაობის ბედ-იღბალი აბარია.

...ჩვენი სახელოვანი პოეტი აკაკი არც ქალების აღზრდის საკითხს სტოვებს უყურადღებოდ. რომ მკითხველმა ნათლად დაინახოს ჩვენი საყვარელი მგოსნის შეხედულება ამ საგანზედ, აქვე მოვიყვანთ პირდაპირ მის აზრს: „სახლი როგორც უნდა გაანათო ელექტრონის სხივებით; თუ ოჯახში საკუთარი ცეცხლი არ ანთია და კერა გაცივებულია, სითბო არ იქნება. რაც უნდა განათლებულნი იყვნენ ჩვენი ქალები, თუ საკუთარ ნიადაგზე ფეხი არ უდგათ, ჩვენთვის ყოველთვის უნაყოფო და გამოუსადეგარნი იქნებიან!.. აბა, რა ქართველი ქალობა უნდა გასწიოს იმან, ვისაც „ქრისტე აღდგაც" კი ვერ ეხერხება რომ ქართულადა სთქვას, ყველაფერი იცის, გარდა თავისი ქვეყნისა. მარაოს იჭერს ხელში, რომ მუნჯურად აალაპარაკოს და ნევსის აღება კი არ შეუძლია, რომ შვილს პერანგი გაუკეროს!.. ღმერთმა ქაშისაგან ვერ გაურჩევია და შვილი სათამაშო დედოფალა ჰგონია! ცხადია, რომ დღევანდელი ჩვენი ქალები, ძველ ქართველ ქალებთან, იმ ნამდვილ დედებთან, მისატოლებელი კი არა, სახსენებელიც

არ არიან. საჭიროა, რომ ცოტათი მაინც მივამსგავსოთ ძველებს და ისეთი სასწავლებელი დავაარსოთ, რო ნაკლი შევუესოთ.

...ქალები! ქალები! და კიდევ ქალები!.. ჯერ ისინი უნდა დავაყენოთ ღვთისა და კაცის სასიამოვნო და სასარგებლო გზაზე, რომ მერე იმათაც გამოგვიზარდონ ნამდვილი ქართველები და არა მისთანა უსაქმური და მხოლოდ წარამარად მოქალაქე თავხედი კუდაბზიკები, რომელთაც არც უხნავთ ოდესმე, არც უთესიათ და მხოლოდ უდროოთა და უადგილოთ ნამგალს სხვის კალოზე ატრიალებენ და „ჰოოპუნას“ ნაცვლად „ჰკა მაგასაო“ იძახიან და უთითებენ იმათზე, ვისაც მართლა რამე უმუშავნიათ, და ღვაწლი მიუძღვით!!!“...

როდესაც ეს სტრიქონები პირველად დაიბეჭდა, ზოგმა ჩვენმა ქარაფშუტა, ვითომც და მოღვაწეებმა მორთეს განგაში და მოჰყვნენ თავისებურ დასკვნას — აკაკი იდეალს წარსულში ხედავსო და, წინმსვლელობის მაგიერ, უკან დახევას გვიქადაგებსო. პედაგოგიურის და ჰეშმარიტის თვალსაზრისით, რომ განეხილათ აკაკის აზრი ყველა იმ დასკვნამდე უნდა მისულიყო, რომ ხალხის განათლებას თუ საფუძვლად ეროვნული ნიადაგი არა აქვს, თუ ამ განათლებას და თავის ცხოვრებას ერი წარსულზე არ ამყარებს, აწმყოზე არ ზრუნავს და მომავალზე არ ფიქრობს, ის გადაშენების გზაზეა და ვინც ამ გზას ადგას იმათ შესახებ პოეტი სამართლიანად ამბობს: „გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია, მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია“.

ანტონ ფურცელაძე

აკაკი

(მისი 50 წლის დღესასწაულის გამო)

ძვირად თუ რომელსამე პოეტის სახელს ჰქონია ამგვარი მომხიბლავი ძალა ხალხის გონებაში, რაც ამ სახელს. აკაკი!.. ილია! აი ორი სახელი, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ტკბილად ჰხიბლავდა და აამაყებდა შემეცნებული ქართველის გულს!

ეს დაფასება და ეს პატივი, რაც ამ პატარა ქართველმა ერმა უჩინა ამ ორს თავის სათაყვანო მოღვაწეთა, ძვირად თუ უჩენია უფრო ძლიერსა და განვითარებულს ხალხს თავისი დიდებული მწერლებისა და მოღვაწეებისათვის.

ვინც შეესწრო და ნახა ის დიდებული სამგლოვიარო პროცესია, რომელიც უჩინა მთელმა საქართველომ წამებულს და დაუვიწყარ ილიას, ის უეჭველია დარწმუნდება მაზედ, რომ ქართველ ერს სცოდნია თავის მსახურთა და მოღვაწეთა ფასი...

ქართველობამ ერთი თავისი დიდება ჩაუშვა საფლავში უმაგალითო დიდებით და უკვდავ ჰყო მისი სახელი ქართველთა ხსოვნაში. ახლა აგვირგვინებს ცოცხლათვე უკვდავების გვირგვინით თავის მეორე საყვარელს მგოსანს აკაკის.

დიახ. უნდა იყვეს საუკუნოდ დამკვიდრებული ქართველთა ხსოვნაში სახელი ამ ორი დაუვიწყარი ქართველისა.

რა იყო ქართველობა, როდესაც ეს ორი ახალგაზრდა, კალმით მხატვარნი და სახით მართლაც და კალმით დახატულნი, გამოვიდნენ სამწერლო და საზოგადო ასპარეზზე. ქართველობა იყო ღრმა გულის ძილში. დამყარებული წესი იყო გაღმერთებული ქართველთა გონებაში. მეოცდაათე წლების ტრადიცია იყო ჩამჭრალი ქართველთა საზოგადოებაში. ნ. ბარათაშვილის[1] შეუდარებელი ლექსების აზრები რჩებოდნენ ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა, და ის დასტიროდა „მარტოობას სულისას". და ჰნუგეშობდა: რომ, ცუდად არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება, და გზა უვალი მაშინ თელილი შთამომავლობას მაინც დარჩება.

სწორედ ამ დროს გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე ილია და აკაკი. და ამათ უცებ ააფეთქეს ახალგაზრდობათა ინტელიგენციის გული. თვისის მახვილის კალმით, გაუტეხარი გულით და თავის გამეტებით, რაც ხანი უფრო და უფრო გადიოდა, იკვეთავდნენ მოზარდ და მოსწავლე ახალგაზრდობის გონებასა და გულს. ამათს შეჰმართეს ხელი და მისცეს ცეცხლი იმ დამყარებულს ბოროტს, იმ წეს-წყობილებას, სადაც მძლავრობა. მტარვალობა, უთანასწორობა გაბატონებულიყო, სადაც ყოველს ცოცხალს აზრს, ცოცხალს გონებას, ყოველს სიცოცხლისადმი წარზიდულობას ედო ბორკილი, ჰქონდა სული შეხუთული. და ეს ორი გმირულად მომქმედი ახალგაზრდა არა დრკებოდა არა მუქარასა, არა რისხვასა წინ. და ეს მაგალითები უფრო ამხნევებდა მოზარდობას, უფრო ამაგრებდა და ამკვიდრებდა მათს გულს და გონებაში რწმენას, რომ მართალი საქმის მოგება შეიძლებოდა საქმის შეგნებით, გაუტეხრობით და ამ საქმისათვის გაბედული თავგანწირვით.

იწყო აზრმა მოძრაობა. ჩაჰნათა უკუნეთის ბნელს ჩაქსოვილს სანათურში. ახალგაზრდობამ თანდათან მოისვა თავზედ ხელი, წაეტანა სინათლეს, დაიწყო კვლევა გარემოებისა, რაზედაც იყო დამყარებული და დამკვიდრებული ბოროტება. ეს ახალგაზრდობა თან და თან მრავლდებოდა და ძლიერდებოდა. ამათ ჰნახეს რომ ქვეყნის საქმეზედ დასაყენებლად კალამს უთუოდ უნდა დახმარებოდა სიტყვაც და მიჰმართეს სიტყვის ძალას, შეუდგნენ საქმეს. ხალხი მოვიდა გონს, გაიმართა წელში, და ბოლოს ხომ ვნახეთ, რომ პოეტის სიტყვა მართალი ყოფილა, „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს". ქართველობა გამოეხიზლდა, გამოერკვა ძილიდან და გააოცა ქვეყანა თავისი სულის ძლიერებით, თავგანწირულობით საქვეყნო-საქმისათვის. დეე, ეს სიცოცხლის ჩენა თუნდაც ათასი შეცდომილებითაც ყოფილიყო სავსე, დეე დროებით ვნებაც მისცა ქვეყანას, დეე,

ამ მოძრაობამ თავი წამოაყოფინა ქვეყნის ნაძირალობას, რომელმაც გასვარა, ბოლო მოუღო ამ წმინდა საქვეყნო საქმეს; მაგრამ ამ საქმეს ვერვინ შეეცილება მას, რომ ეს იყო წმინდა საქმე, ამან დაანახვა ქვეყანას, რომ ეს ერი არა ყოფილა მკვდარი, მას ჰქონია ძალა არა მარტო თავის დაცვისა, არამედ შეძლებია მოძღვრება უფრო ძლიერი ერისაც მომავლის დასაცველად და საკაცობრიო საქმეების წარსამატებლად.

და ეს ორი სასიქადულო ქართველი — ილია — აკაკი — იყო ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში წინამძღვარი და მოძღვარი ამ ქართველობის გამოფხიზლებისა, რისაც მომსწრენიც შევიქენით ჩვენ ამ ჩვენს დღეებში. დეე ზოგში ახალგაზრდობამ უსწრო ამათ წინ, მაგრამ თავი დროშა მაინც იყო ამ ორის ხელთ და ამ დროშაზედ ეწერა: „აკაკი, ილია". ამათი ძუძუთი იყო ეს ახალგაზრდობა აღზრდილი და ამათის დროშის ქვეშ ნაწრფენნი.

დიახ! ქართველმა ერმა ჩაასვენა საფლავს უმაგალითო დიდებით ილია და მით უჩვენა ქვეყანას, რომ იცის ფასი თავისთა მსახურთა და მოღვაწეთა. დღეს დიდის დიდებით უმართავს დღესასწაულს თავის საყვარელს პოეტს აკაკის, რომლითაც ეს ერი კვლავად დაამტკიცებს რომ „ცოცხალია არ მომკვდარა", და ეს ერი არის სიცოცხლით სავსე, აქვს ძალა შეჰქმნას ბედნიერი მომავალი, თუ რამე უძლეველი ბოროტი არ შეუხუთავს ხელს, არ დაადებს მის გონებას ჩამახშობელს და შემხუთველს ბორკილს.

გაუმარჯოს ჩვენს სასიქადულო აკაკის და გაუმარჯოს ერს, რომელმაც იცის ფასი და პატივი თვისთა აღმზრდელთა და მოძღვართა საკეთილო საქმეში!

ილაკობ ფანცხავა

აკაკი

მე სხვა ადგილსა და სხვა დროს აღვნიშნე (ი. ფანცხავა, თხზულებანი გვ. 257 — 258), რომ წარსული საუკუნის ქართული პოეზიის ძირითადსა და ნიშანდობლივ თვისებას ნ ა ღ ვ ლ ი ა ნ ო ბ ა შეადგენს. ამ „ნაღვლიანი მდუღარების" ერთი საუკეთესო წარმომადგენელი არის აკაკი. აკაკიმ ეს ნაღვლიანობა თავისი ჩანგის მარადის სასიმღერო კილოთ გაიხადა. მას თითქმის ერთი სიტყვა, ერთი ლექსიც არ წასცდენია, ერთი პოემაც არ მოეპოვება, სადაც ეს კილო ნაღვლიანობისა არ იყოს შიგ ჩართული, ჩაგვირისტებული. „ჩემო ჩანგო, ტკბილად არ გიუღერიაო", სევდა ნაკრავი წამოიძახებს მგოსანი. მან კარგად იცის, რომ ეს „ნაღვლიანობა სარკეა დღევანდელი ჩვენი ბედისა". ეს ბედი მას ანიჭებს საშინელ „ჩუმათ ტანჯვას", რომლის გასაქარვებლად უჯობს ცრემლი ღვაროს, თუმცა იცის, რომ ცრემლი მამა-კაცს შეარცხვენს, არ შეშვენის. მგოსნის ნაღვლიანობის წარმომშობელი და მსაზრდოვებელი დღევანდელი ბედისწერა შხამავს მის

მომშობელი და მსაზრდოებელი დღევანდელი ბედისწერა შხამავს მის ჩანგს, მისს სიმღერას. ჩემი ჩანგიო, იტყვის საშინელი გულის ტკენით მგოსანი, — სამარის კარზე ყღერს და ეს ყღერა არის მოთქმა და ზარიო. გულს ეს უფრო უსერავს, რომ მას კარგად აქვს ნაგრძნობი და შეგნებული მთელი შვენიერება „ტკბილ ზევსური“ ხმისა. ის კი არა, ეს უკანასკნელი ხმა სწორეთ მისი სფერაა, მისდამი კუთვნილი და ზეგარდმო შთანაბერი ჰანგია. მაგრამ ეს ჰანგი უკვე დაიშონავა „ნაღვლიანმა მდუღარებამ“, და ეს მარადის მის ცრემლებს აფრქვევინებს. „ტკბილ-ზევსური“ დიადი ჰანგი კი მხოლოდ „ხან და ხან, ათასში ერთხელ წაცთება“. მაგრამ ეს ისეთი დიდებული ჰანგია, რომ იგი მგოსანსაც და მსმენელსაც მოგვრის ხოლმე დიად სიამეს, თუმცა წამითს და ხან-მოკლეს! ამ ტკბილ-ზევსურთან ერთად მგოსანმა შეიმუშავა და შეითვისა „მწარე ზარის“ ხმაც, რომელიც ბას, ვით მარადის მყოფ ჰირისუფალს უფრო შეშვენის, ამ ორ გვარმა კილომ ყღერისამ წარმოშობა აკაკის ორ-ხმოვანი ჩანგური, მართლაც, მგოსანი ბუნებასა და ზეცას ტკბილ ზევსური ხმების საყღერათ დაუნიშნავს, ეს მადლი მისთვის ზენაარსს უხვათ შთაუბერია და ამ დროს კი „დღევანდელი ჩვენი ბედი“ მას იძულებულ ჰყოფს უაღრესათვე განივითაროს „მწარე ზარის“ ხმა, რადგან მხოლოდ ეს ხმა შეშვენის ჰირისუფალს. ასე ორ ცეცხლ შუაა მომწყვდეული ჩვენი მგოსანი, რომლის ხელთ არის „საიდუმლოება ყღერისა“. იგი „ხან ლხენის, ხან მწუხარების“ ჰანგზე აყღერებს თავის ჩანგურს. ამ ჩანგურის „ზეციური ხმა“ „ორ-ხმოვანათ გამოისმის“, რადგან ორ-გვარია მგოსნის გრძნობაც:

ნაღვლიანობა ხარკია
დღევანდელ ჩვენი ბედისა
და სიტკბოება-ოცნება
შორეულ სხვა იმედისა .

ამ ჩონგურს ორი მიზანიც აქვს:

რომ დაჩაგრულს ამ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს.

გულის პასუხში კი აკაკი უკვე დაწვრილებით აგვიწერს, თუ რა რიგათ შეზავებულ-შემზადებული აქვს მას „საიდუმლოება ყღერისა“:

ცრემლში მილესავს ნაღველი
და მელნათ ის მიხმარია.
შიგ თაფლი არის ნარევი
და ზოგან ცხადი ძმარია.

ჩვენ ვხედავთ, რომ აკაკის ძალზე ეხერხება „ტკბილ-ზევსური“ ხმა. იმასაც ვამჩნევთ, რომ მან ძალზე განავითარა და გაამშვენიერა „მწარე

ზარის“ ხმაც. მაგრამ იგი, სხვა მდგომარეობასა და პირობებში რომ ყოფილიყო, შეიძლება სრულიადაც არ იმღერებდა: მისი ამღერება სატრფოს მიერ არის გამოწვეული; მისი მღერის მიზეზიც სწორეთ ეს სატრფოა:

თუ მე გიმღერ, მშვენიერო,
ეს სულ შენი ბრალია.

ეს სატრფო მიზეზია, რომ მგოსნის ჰანგი ორხმოვანია. „ტკბილ ზევსური“ და „მწარე ზარის“ ხმის გამომცემი. რადგან ასე ბედითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აკაკის ჩანგურის ჟღერის კილოსთვის მის სატრფოს, ამიტომ ჩვენთვის სავალდებულოა ვიცოდეთ, ვინ არის, ან რა თვისებების მქონი და მატარებელია ეს სატრფო.

აკაკი თვით დაგვასწრებს ამ კითხვით: „მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი? და ჩვენი მგოსნის ორმოც და ათი წლის ნაღვლიანი მდუღარებიდან ცხადად გავიგებთ, რომ ეს სატრფო, მგოსნის მუდმივი საზრუნველი და საფიქრებელი საგანი, სხვანაირი სატრფოა. ეს არ არის პირად გრძნობათა დასაკმაყოფილებელი სახიერება. მაგრამ არც გამშრალი განყენებულებაა, რომლისადმი ტრფობა აღგზნებულ მგოსანს გრძნობის ძლიერებასა და სიღრმეს არ ანიჭებდეს, ან ხელს უშლიდეს.

ეს სატრფო საკვირველი და, თუ გნებავთ, ახირებული სატრფოა. ეს სატრფო „ცოცხალ-მკვდარი“, „ძველი ტურფა“, „დღეს მკვდარივით მძინარი“ არსება, მგოსანი კი ამ სატრფოს „ჟირისუფალია“. იგი ტურფა მიჯაჭულია, მას ყვავუყორანი ეხვევა და დაფლეთილი გული აქვს ამ ყვავ-ყორანთაგან. ამ სატრფოს სადიდებლად მგოსანი აღმართ-აღმართ ავიდა და მაღლობზე შესდგა. ე. ი. მგოსანი ყოველ ნაირ პირად ღირსებას შესწვდა, იგი თვით უკვდავი გადიქცა. მაგრამ მაინც ნეტარება ვერ იგრძნო და მისი პირადი სიამოვნება მოშხამა, რადგან ამ მაღლობიდან გადიხედა და ნახა, რომ მისი სატრფო „სხვას მონებდა“. ამით დაისერა სული და გული მგოსნისა და მას ვეღარაფერი კურნავს გარდა ლოდებისა. აღგზნებულ მგოსანს ეს ტურფა „ეგულება ციხეში, ცხრა კლიტულში მჯდომარე და შეთვისებას უპირებს გაიძვერა მოყვარე“. თან და თან მგოსანი ფარდასა ხდის და გვამცნობს, რომ ეს მისი სატრფო მარტო და მხოლოდ მისი საკუთარი სატრფო როდია. მგოსნის ეს ტურფა სხვების, მთელი ერის სატრფიალოცაა. ამიტომ მგოსნის ნაღვლიანობა საერო კვნესაა, რომელიც მას ცრემლებს აფრქვევინებს, მაგრამ:

ნუ ვინ ცდილობს ამ ცრემლებში
ნახოს კერძო სიყვარული.

ალ-მოკიდებული მგოსანი მაყურებელს შესძახებს: „რას მიქვიან პირადი მწუხარება“.

მართალია, ეს სატრფო მთელი ერის სატრფიალო საგანია, მაგრამ ეს

ხელს როდი უშლის, მგოსანი თვით მთლად ერთიანათ აღეგზნოს მისდამი სიყვარულითა და ტრფიალებით:

ეშვენიერო, შენ გეტრფი,
შენი მოხა ღრთგული.
შენთვის სულდგმულს შენგანვე
შეწირვია მიძღვრის ეს გული.

მგოსანი ამ სატრფოზე ფიქრითაა გატაცებული, მის მეტი აღარც რა ახსოვს, არც რა აგონდება და ვერც ვერაფერს ხედავს. ყოველი და ყოველივე ამ სატრფოს მოაგონებს. მგოსანი ისე შებოჭილია ამ სატრფოზე ფიქრით, რომ მთვარესაც კი იგი სატრფოს ამსგავსებს და ამ დროს „უკვდავსა და სრულს გრძნობდა სიყვარულს“. მგოსანს ეშინია, ეს სატრფო არავინ მიიბიროს და მას ხელიდან არ გაუსხლტეს, ამიტომ ის ტკბილათ არწმუნებს სატრფოს, რომ

სიყვარული ჰსჯობს, რაც ძველია
საუკუნო მეგობრობის მცველია.

მგოსანი აღტაცებით წარმოიდგენს, რომ მისი სატრფო უკვე თავისუფალია და მუდმივი მისი ზრუნვაც ეს არის:

მინდა რომ ჩემსა სატრფოსა
ხელფაფე ი.ავისუფალსა.

მაგრამ ეს სატრფო თავისუფალი არ არის. იგი სხვას მონებს, ამიტომ მისი საქციელი გაუბედავია. ეს გაუბედავობა სატრფოსი კი მგოსანს ათას გვარ უსიამოვნო ფიქრთ აუშლის. ხან იმ შეგნებით ნუგეშობს, რომ დარწმუნებით გონია, „ორთავ ვიცით, ფიცით მტკიცით გრძნობა ჩვენი შეგვრტყვია“, თუმც „ორივეს გვსურს და ვერ გვითქვამს აღსარება“. ხანაც მგოსანს ეჭვი შეეპარება სატრფოს მისდამი გრძნობაში და ამიტომ ზიზღსა ჰგვრის მას სატრფოს საქციელი და შეახვეწებს, ეტყვის რა, ფურთხის ღირსი ხარო. ხან კი სასოების სატრფოს სიყვარულით და ამ დროს გასალკლდევებული მგოსანი მედგრად შესძახებს:

ტურფავ, შენი გულისათვის
ქვეყანას გადავიმტერებ.

მგოსანი რწმუნდება, რომ სატრფოს მხოლოდ თავისუფლების შემდეგ შეეძლება გულახთილი აღსარება და ნამდვილი გრძნობის გამოაშკარავება. ამიტომ მგოსანი ათას ხერხსა და საშუალებას იგონებს, რათა ეს სატრფო გაახთაისუფლოს. ამ მიზნის მისაღწევად მგოსანი მშვიდი და მუყაითი მუშაკი ფუტკარია, რომელიც მთელ მიდამოს დაუზარებლად მიმოფრენს ხოლმე და ამ მიდამოს ყვავილებიდან კრებს, აგროვებს ძვირფას საზრდოს, თაფლსა და სანთელს თავისი სატრფოსათვის; და, აი, აქ

იძენს მგოსანი, ფუტკრათ წარმოდგენილი, ყოველ ცოდნას, ყოველ გვარ სესხს, რომ თაფლი ყვავილებიდან აგროვოს, ამით სატრფოს საზრდო არ გაუმოაკლოს და სანთელიც იქონიოს ხატის წინ მარადის, უწყვეტლივ საპარპალებლათ. საგულისხმოა, რომ აკაკი ასე ხშირად ასწერს ხოლმე ფუტკარსა და მის კეთილ მოქმედებას. ხშირადვე თავის მნიშვნელობას ფუტკრისას ადარებს. მაგრამ ხედავთ ცხოვრების ულმობლობას და საშინელებას?! ამ უწყინარ მუშაკსაც კი კეთილ შრომაში ხელს უშლიან; ამიტომ ეს სუსტი და უწყინარი არსება იძულებულია ამ შრომის უზრუნველსაყოფათ მარადის იქონიოს გაშვერილი წვეტიანი ისარი. აქვე აღვნიშნოთ, რომ აქედანაც ცხადად ჩანს, რომ ცხადს სიყალბესა ჩადიან და საზიზღარ ცილს სწამებენ მგოსანსა და მის ერს ის ბრიყვები, რომელნიც ქადაგებენ, რომ აკაკის სატრფოსადმი სიყვარული შოვინისტურიაო. როცა ხედავს მგოსანი, რომ წვეტიანი ისარი არ კმარა ცოცხალ-მკვდარი სატრფოს მოსაბრუნებლად. ახლა იგი სხვა საშუალებას გამოსძებნის. მას ჰგონია, რომ საჭიროა, მოიძებნოს გმირი, რომელმაც უნდა გადალახოს მთა და ბარი და უკვდავების წყაროს წყალი იშოვოს სატრფოს საპკურებლათ. — მგოსანი იტყვის:

ჩვენც გმირი გვინდა დღეს, ძმაო,
უკვდავებისა მძებნელი,

რომელიც ხელში ჩაიგდებს წყაროსა,

მოაქვს და სნეულს ასხურებს,
რომ ადგეს... გაიხაროსა.

ხან კი ლოდინით მოდუნებული მგოსანი იმ იმედით ღა იბრუნებს სულს, რომ დრო თავისას იზამს და სატრფო გაუთავისუფლდება:

მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი,

მაგრამ ეს ლოდინი გადამეტებულ დროს მოითხოვს, რომლის განმავლობაში, „გაიძვერა მოყვარემ“ შეიძლება გადიბიროს სატრფო და მაშინ მეტი-ღა იქნება ამ სატრფოს განთავისუფლებაზე ფიქრი. ამიტომ მგოსანი მოუთმენლობას განიცდის. „გაიღვიძე, გვეჩქარებაო“, იტყვის მგოსანი და საბედითო კითხვის გადაწყვეტა სურს გაჩაღებული ომით: ამ დროს გალომკაცებული მგოსანი ნესტანისათვის ხელობს, შიშველ ხმალს ხელსა სტაცებს და მტრის სისხლით იღებავს ჰაღარას. მგოსანი ბეჯითი რწმენით არის აღტყინებული, რომ სატრფო, ასე იქნება თუ ისე, ბოლოს მაინც მისი იქნება, თავისუფალი და პირ-ახდილი გამომეტყველი თვის უფსკრულ გრძნობათა. ამიტომ ამ დროს მგოსნის შეჰმუხვნილ შუბლს სასოების შუქი ეფინება და იგი მხნე და გაბედულია:

მაგრამ, დავივმტვრე, არ მოვიღუნე,
მსურს მატყუებდეს მისთვის იმედი.

ან კიდევ:

გულს ვერ გავიტეხ ქართველი,
ვერ დავიჩლუნგებ ძველ ხმალსა.

ხომ ვნახეთ, რომ მგოსანმა ამდენ გზით და ამდენ ნაირათ აგვიწერა თავისი სატრფო, რომელიც მას მიუწვდომელი, უკვდავი სიყვარულით უყვარს, და ეს არ გვაგონებს ქვეყნიერობას. მაგრამ ბოლოს მგოსანი მაინც აშკარათ გვეტყვის, რომ ეს საკვირველი სატრფო სრულებით უდრის, ეთანაბრება მის სამშობლოს. ეს სამშობლო სწორეთ იმ ნაირათვე აქვს დახასიათებული, იმ გვარი თვისების მექონია და ისეთსავე ზე-მოქმედებას ახდენს მგოსანზე, როგორსაც სატრფო. ამიტომაც აკაკის სატრფო და სამშობლო ერთი და იგივეა: არც ერთი განმასხვავებელი თვისება არ მოიპოვება მათ შორის. სამშობლო სნეული მგოსნის მკურნალია და იგი მისი ხატია. თვით მგოსანი კი ამ ხატის წინ ასანთი სანთელია, და იწვის, დნება კიდეც მგოსანი როგორც ხატის წინ, ისე თავის სატრფოს წინაშე. ამ მდგომარეობით იგი ნეტარობს:

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა;
და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,
საკვირველია ეს განა?

ამის შემდეგ ჩვენთვის სრულიად ცხადია, თუ ვიზედ ამბობს აკაკი შემდეგ სიტყვებს:

შენ გეტრფოდი, შენვე გეტრფი,
საიმედო ჩემ საფიცარს!
და შენ მხოლოდ ახატიხარ
ამ ჩემ წმინდა გულის ფიცარს!

როგორც ვხედავთ, აკაკის პოეზიის საგანი მხოლოდ და მარტო სამშობლოა, რომელიც მისთვის ხან სატრფოა, ხან ტურფა და ხან ნესტანი ცხრა კლიტულში მჯდომარე. სადაც უნდა იყოს და რა დროსაც, მგოსანი ყოველგან და ყოველთვის მხოლოდ სამშობლოზე ეღერს. ეს სამშობლო მისი სამლოცველი ხატია, ნუგეშის მცემელი და იმედის მომგვრელია; ეს სამშობლო მისი მკურნალია და მისივე ნაშტთა მიმბარებელი. სამშობლო ტკბილი დედაა, რომელიც მას სიკვდილის შემდეგ კალთას გადააფარებს. აი, ამ ერთგვარ გრძნობათა სფერაში ტრიალებს აკაკის მთელი გრძნობიერება, აზრი და ფიქრი. იგი ამ წრეშია მომწყვდეული. ამის გარეშე მას არაფერი აინტერესებს, ანუ უკეთ ვსთქვათ, ყოველივე და ყოლიფერი მისი ფაქიზი გრძნობის მომწამვლელია. აქედან ჩანს, რომ ეს გრძნობათა ასატკებელი ფარგლის სრული მჭიდრო და მკაცრი შემოზღუდვაა. სულის ასეთი ვითარება ნამდვილი წამებულის, წმინდანის, ან მდაბიურათ რომ ვსთქვათ, ხელი ადამიანის სულის ვითარებაა. და აკაკიც სწორედ ამ ერთ

გვარ და მუდმივ ფიქრზეა გადამკვდარი. იგი მუდამ „საერო კვნესით მარად გულ-მოკლულია“. ამიტომ საგანიც აკაკის პოეზიისა მუდამ საეროა, მუდამ ერია, სამშობლო და სხვა არაფერი. იგი არ არის ერთი რომელიმე წრის ან წოდების მღერალი: იგი „მგოსანია ერის“. ამ საშინელ საერო კაეშანს სხვა ჩვენი მგოსნები ასე მუდამ და შეუწყვეტლივ როდი ემონებიან, როდი ემორჩილებიან. პირიქით ისინი ამ სიმწვავეს თითქოს გაურბიან, თითქოს მისი ეშინიათ. ამიტომ ზოგი მათგანი ამ სახმილს მითი ინელებს, რომ წარმოიდგენს განვლილი ისტორიის დიდებულ ხანათ და ამ ისტორიის გმირთ ეთაყვანება. ზოგიც ცდილობს, გაეტაცვინოს მგრძნობელობასა და უტყვი ბუნების დიად, თვალის წარმტაც სანახაობათა, და ამით გულში ჩაიკლავს ხოლმე საერო კვნესას. ზოგიც ამ ნაღვლიანობას ცით იყუჩებს, რომ დასტირის „ბედისაგან დაჩაგრულის“ „შრომის შვილის“ აუტანელ ბედ-შაობას...

ჩვენი მგოსანი ხელათ ქცეულ სატრფოს მარადის გუნდრუკს უკმევს და მარადის იმ ზრუნვაშია, რომ ეს მსახურება, ეს თაყვანისცემა შესაფერი სილამაზითა და მშვენიერებით იყოს წარმოებული. აქედან რასაკვირველია, აშკარაა, რომ აკაკის პოეზიის გარეგანი მოკაზმულობა სრულს მშვენიერებას წარმოადგენს: არსად ერთი გადამეტი სიტყვა, არსად ზომას გადასული წამცთარი გრძნობა. მისი ჩანგურის ხმა ტკბილია და ამ ჩონგურის „კრინმანჭი წკრიალი ხელახლად მოეწყურევება“ ხოლმე მსმენელს, იმდენად იგი სასიამოვნო სასმენია. გარეგანი სამოსელი შეფერებული აქვს შინაგან დიდ გრძნობას. მგოსანიც ხომ იმის ცდაშია, რომ ეს თავისი მღერა ისეთი ძრიელი მშვენიერებით იყოს შემოსილი.

რომ ჩემი მღერით აგზნილი
რაყიფი ტარიელობდეს:
ქაჯთა ებრძოდეს ლომ-კაცი,
ნესტანისათვის ხელობდეს-ო.

ქიტა აბაშიძე

აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი

აკაკი წერეთლის ერთ საუკეთესო თვისებათაგანს ცხოვრების შეხარულება შეადგენს. ეს განსაკუთრებული თვისებაც არის ჩვენის ლიტერატურის კორიფეებისა და მთლად ჩვენი ერისა. ამდენ ტანჯვასა და ვაებას ჩვენმა ერმა სწორედ იმიტომ გაუძლო, რომ ყოველთვის იყო: „იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა“. რა უბედურებასაც არ უნდა განიცდიდეს იგი „მღერასა“ და „შავის ბედის ბრძოლას“ არასოდეს არ დააგდებს.

ასეთია ჩვენი ერის დიდებული მგოსანიც. მისი „გული მკვდარია“,

„ნახევარი ცხოვრების გზა გაულევია, სიტკბოზედა მწარე მეტი დაულევია“ მაგრამ მაინც „სულ იცინის, არ სტირის“ იმიტომ, რომ მისთვის პირადი მწუხარება არ არსებობს, „თუ ხალხშია, ძალით ღრუბელს ადარებს“ და მოწყენით მაზედ მტერს არ ახარებს, რომ არა სთქვან მაზედ: „რა ოხერია“.

რასაკვირველია, აქ მეწვრილმანურ უდარდელობაზედ არ არის ლაპარაკი, არამედ იმ სიმხნისა და შეუდრეკლობის შესახებ, რომელიც რუსთაველისაგან აქვს ნაანდერძევი ჩვენს ლიტერატურას. მისი საუკეთესო გმირი ნიადაგ ამას ქადაგობს, ნიადაგ ამ აზრით არის გამსჭვალული:

ჰხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზამცა ნელად სტირსა,
ჭირსა, შიგან გამაგრება ასე უნდა ვით ქვიტკირსა![1]

ამ გმირმა კარგად იცის:

არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა,
წესი არის მამათაგან მოჭირვება, ჭირთა თმენა![2]

მას ყოველთვის:

უკვირს წადილი კაცისა ჭკვიანისა,
რა მჭეუნვარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა ძალისა?[3]

და აკი „სულმნათმა [4] მასაც ასწავა ეგ საიდუმლო ჟღერისა“.

ნახევარი საუკუნის თავისის მოღვაწეობის ხანაში არცერთხელ არ უღალატნია აკაკის იმედისა და სასოებისათვის. იგი სულ ყოველთვის იმით იყო გამხნეებული, რომ:

არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს;
ვინც შენატრის იმის სიკვდილს
უმალ მასვე დაამიწებს.

და კარგად იცის ვინ „არ მომკვდარა“. არ მომკვდარა და მხოლოდ სძინავს მის სატრფოს, მისი ცხოვრების მანათობელ ვარსკვლავს, საგანსა და ძარღვს. მის ნესტანს ქაჯთაგან ცხრა კლიტულში დატყვევებულს, რომლისთვისაც ჩვენი ტარიელი ხელობს და რომლის განთავისუფლებისათვის იბრძვის იმ იარაღით, რომელიც მეორე დიდმა პოეტმა „ხმალზედ უფრო ძლიერ მჭრელად აღიარა“.

სიმხნევე და „ჭირსა შიგან გამაგრება“ სახელოვანი სიკვდილის უპირატესობა ნაზრახ სიცოცხლეზედ ეს პოეტის დევიზია, მისი მცნებაა და ვინც ამას ღალატობს აკაკი მას შეუბრალებელის ზიზღით ეკიდება, თუ გინდ ეს მისი სიცოცხლის იდეალი და მშვენება ნესტანიც[5] იყოს. ის დაცემული არსება „რომელიც გდია ვით მკვდარი, და მტერს პირუტყვებრ ემორჩილება“, ეერავითარ სიბრალულს ვერ მოიპყრობს მხნე-მებრძოლი

პოეტის გულში და არა თუ სიბრალულს, ფურთხის ღირსად არ მიაჩნია და ზურგს უჩვენებს მას. საოცარის სიმკაცრით პოეტი თავის სამშობლოს, რომლისთვისაც სული აქვს განწირული, ამას ეუბნება: „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოო!“ ზამთრისაგან დაჩაგრული პოეტის გული გაზაფხულის პირველი მერცხლის დანახვისთანავე უცნაურს ძალასა გრძნობს, სასოება ფრთას გაშლის და გულის ძგერით გაიძახის:

მოვესწრები რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა;
ვნახავ ჭორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

სიზმარში მას ნინო [6], ქეთევან [7] და თამარი [8] ეჩვენება, ვითა სიმბოლო საქართველოს მატერიალურისა და ზნეობრივი ძალისა.

თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი
და ქეთევანსა — წმიდა მოწამობის;
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისაჲ
ნიშანი დიდის ქრისტიანობის!

მათი ნახვა კი პოეტს ყოველთვის იმედისა და სასოების სიმბოლო ცისარტყელას დაანახვებს. აკაკის პოეტიც ხომ სიხარულისა და სიცოცხლის შვილია. ცხოვრების ძალით აღვსილი და ბუნების ძლიერებით გაჟღენთილი.

მამად მზე ჰყავს, დედად — მთვარე,
ვარსკვლავები — წვრილ და-ძმადა;
ცა ქუდად არ მიაჩნია,
დედამიწა ქალამნადა.

ამგვარი პოეტისათვის სიკვდილიც კი არ არსებობს, არამედ მისთვის ცხოვრება დაუსრულებელი გარდაცვლაა ერთის ნივთიერებისა მეორეში, დაუსრულებელი გარდაქმნაა ცხოვრების ნაწილთა და ძალთა. სატრფოს საფლავის მძებნელს პოეტს, სრულიადაც არ შეაშინებს მისი დაკარგვა, სრულიადაც გულს არ გაუტეხს, ძიებას იგი თავს არ ანებებს, ვით ავთანდილი და ტარიელი ნესტანს და კიდეც იპოვის:

სამად გაშლილა ის ერთი
ვარსკვლავად, ბულბულ, ვარდათო,
თქვენ ერთმანეთი რადგანაც.
ამ ქვეყნად შეგიყვარდათო.

ამ პანტეიზმამდის მისულს პოეტს ველარა შეაშინებს რა ამ ქვეყნად. მან სიკვდილი დაიმორჩილა, სიკვდილს თვალში თვალი გაუყარა და ფილოსოფიური რწმენა დაებადა, რომ ამ ქვეყნად არაფერი არ ისპობა, არ კვდება, არამედ იცვლება და იშლებაო; და პოეტს ეხლა თამამად შეუძლია უთხრას თავის თაეს:

უგ არის, რასაც ეძებდი.
მორჩი და მოისვენეო,
დღე დაიღამე აწ ტკბილად
და ღამე გაითენეო.

და გულდაჯერებული ამასვე გვამცნობს:

მენიშნა... აღარ დავეძებ
საყვარლის კუბო სამარეს,
აღარც შევჩივი ქვეყანას
და არც ვღერი ცრემლებს მდუღარეს

ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს ვყნოსავ,
ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა,
და რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამომითქვამს ენითა!
ისევ გამეხსნა სიცოცხლე
დღემდის რომ მწარეთ კრულ იყო,
ახლა კი ვიცი, სადაც ხარ,
სამგან გაქვს ბინა სულიკო.

ასეთია დასკვნა, ეპილოგი აკაკის მთელის პოეზიისა. მისი პოეტურის ცხოვრების ტრაგედიისა, ტრაგედია უნდა ეწოდოს მა რა, ბრძოლას დაუსრულებელს და მოუსვენარს იდეალის განსახორციელებლად, მართლის უამ ოხერისა და კვნესის ლეჩაქ ახდილის სატრფოსათვის, ნიადაგ იმის ფიქრს, რომ სხვას არ გამოუფინოს გულ მკვდარმა მგოსანმა, თვისის სულის კაეშანი და გულის სევდა ოხერა. ტრაგედიაა მა რა, ბრძოლაა მა რა, ნახევარი საუკუნის განმავლობაში იმის ცდა, რომ საყვარლის საფლავისათვის მიეგნო, მიეგნო დასაფლავებული იდეალი და საგანი ცხოვრებისა. ეს ტრაგედია პოეტის სიცოცხლით აღსავსე მხნე ბუნებამ დაამთავრა გამარჯვებით, პოეტმა მიაგნო „საყვარლის კუბო სამარეს და კიდევაც მოისვენა“.

პოეტს კიდევ ის ბედნიერება ეღირსა ისეთის ძლევა მოსილის გამარჯვებისათვის, რომელიც არც ერთ ქართველ დიდ პოეტს სიცოცხლეში ჯერ არ ღირსებია, და ამაშიც მას ბედმა საოცრად გაუღიმა და მართლაც თითქოს ბუნებას, რომელმაც მამად მზე მიუჩინა და დედად მთვარე, პოეტს თავისის საყვარელი შვილისათვის არაფერი დაუშურებია. აღტაცებული ერი, მადლობელი და თაყვანისმცემელი დღეს მუხლს იყრის მის წინაშე და ყველანი, საქართველოს მთელი კუთხისა და ყურის, შვილნი ყველანი დღეს ერთს სახელს იმეორებენ, თავისს დიდებულის მგოსნის სახელს იმეორებენ და მისივე სიტყვებით მიმართავენ მას:

ჩანგურს სიმები გაუბი
მომართე ნელა-ნელაო
შეუხმატკბილე ერთმანეთს,
ოდელა-დელა-დელაო!

ჩანგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო;
სხვა და სხვა კუთხის შცხოერებნი,
ოდელა-დელა-დელაო!
კმარა ამდენმა ცრემლებმა
სიმები დაგისველაო;
ეხლა დაუკარ, დამღერე
ოდელა-დელა-დელაო!

კიტა აბაშიძე

აკაკი წერეთელი

დღეს მთელი საქართველო დღესასწაულობს საეროვნო დიდებულ დღეს. ...არ უნდა იმას თქმა, რომ აკაკი წერეთელის დიდი ნიჭი, ძლევამოსილი და ბრწყინვალე, საკმაო საბუთია და საკმაო მიზეზი დღევანდელ დღესასწაულისათვის. ხოლო იმასაც ვერ აუხვევთ გვერდს, იმასაც ვერ დავტოვებთ უყურადღებოდ, რომ რაც უნდა დიდებული ნიჭი ჰქონდეს აკაკის, თუ ელვარება და შუქი ამ ნიჭისა ისეთს საგანს არ ევლებოდეს თავს, ისეთს საგანზედ არ იყოს მიქცეული, რომელიც დიდ საეროვნო საგანს შეეხება, მაშინ შესაძლოა და უეჭველიც ეს ნიჭი ასეთს საერთო აღტაცებასა და საერთო ენტუზიაზმს არ გამოიწვევდა. ისეთს მდგომარეობაში მყოფს ერს, როგორშიაც ჩვენა ვართ, მარტო ნიჭის ობიექტური მხარე ვერ მოხიბლავს ასე ღრმად და ვერ გაიტაცებს. მას მხოლოდ ის ნიჭი გაიტაცებს, ის ნიჭი მოულბობს გულს, თვალზედ ცრემლს მოსწმენდს და გულში ნუგეშის სხივებს ჩაუშუქებს, რომელიც ერის მთავარ სატკივარს ყურადღებას მიაქცევს, ერის გულის წუხილს, გულის საიდუმლოს ცხადსა ჰყოფს.

აკაკის ნიჭის სიდიადეს სხვა ვერაფერი დამამტკიცებელი საბუთი უნდა იმის მეტი, რომ იგი საოცარის გულთა-მხილაობით, უცნაურის დაჟინებით ამ ერთს წყლულს აქცევს ყურადღებას და ორმოცდაათის წლის თავის ბრწყინვალე და მშვენიერებით აღსავსე პოეზიის საგნად გაიხადა ერის სავალალო საგანი. რომელიც გინდა მისი პოეზიის საუკეთესო მარგალიტი აიღეთ, თუ იგი ამ საგანზედ ფიქრისა და სევდის შექმნილი ცრემლი არ არის, ღვთაებრიობით აღბეჭდილი, მგოსნის თვალებზედ ობოლ მარგალიტებად ქცეული.

სიყმაწვილიდან სიბერემდის პოეტის სატრფო იგია,

ვინც ეგულება ციხეში,
ცხრა კლიტულში მჯდომარე

და ვისაც

შეთვისებას უპირებს
გაიძვერა მოყვარე.

იგია, ვისაც ნიადაგ ხვეწნით და მუდარებით ერთსა და იმასვე ეუბნება: ხან მიაძახებს:

ჰინჯარში ნუ ვარდები
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!
შეიბრალე თავი შენი, იცოდე
მაგ შარბათში საწამლავს სვაე, იცოდე.

ხან ანუგეშებს

გაუმაგრდი განსაცდელს
აიტანე ტყეეობა!
გშვენის ნესტან-დარეჯნის
მაგალითი... მზეობა.
ტარიელი დაგეძებს
გავარდნილი დღეს ველად,
ავთანდილი ფრიდონით
მოდის გამოსახსნელად.

მგოსნის ჩანგურია ერთად-ერთი

საუნჯე წმინდა.. დილაო,
წარსულისა და მომავლის
სიცოცხლის გზა და ხიდიო.
ქვეყნის ჰირი და ლხინიო,

იგია

სამშობლოს სისხლი და ხორცი,
მისივე ნაღველ-ტკივილიო.

ეს ჩანგურია, რომელიც მგოსანს გულზედ განუყრელად ჰკიდია, მისთვის, რომ

მისი სამშობლოს სიცილი
და მისი მწარე კვნესაო
ორივე ერთად სიმებმა
შიგ გულში ჩაიკვნესაო.

მისი სიმები მარადით მას აწვდენდა საუცხოო ჰანგებით ცასა და ქვეყანას, ბუნებასა და ადამიანს

გახსოვდეს
შენი სამშობლო ტკბილიო,
ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს
არ ეთქმის ქვეყნის შვილიო.

და ბოლოს მთელი მისი ლექსების გვირგვინი, თუ შეიძლება ვთქვათ, დასკვნა მთელის მისის ლირიზმისა, იმ ლირიზმისა, რომელმაც უცნაურად

და მომხიბლავად შეადუღა თვით უპირველესი და თვით უსაზოგადოესი გრძნობა სიყვარულისა და ტრფობისა. მისი ძებნა და პოვნა სულიკოსი — ეს მისი მთელის ფილოსოფიის გამომსახველი შედევრი ისე, როგორც მისი ტრფობის სევდის უღრმესი და უძლიერესი გამომეტყველი ტრილოგიური ლექსები — რა არის თუ არ იგივე სატრფოსათვის კვნესა, მისთვის ბრძოლა გულთან და სულთან, მისდამი ლტოლვა და მისი დაუშრეტელი წყურვილი.

იგი ეძიებს მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში იმ სატრფოს, რომელიც არის:

ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
ფეხშიშველა, თავზედ-ღეჩაქ ახდილი.

იგია მარადის მისი ჭირისუფალი, ყოველთვის მისი მწუხარების ალით დამწვარი. როცა იგი მის რჩევას ყურადღებას არ აქცევს, როცა

არ უსმინა მწუხარებით დადაგულს,
მით დაასო საუკუნოთ დანა გულს.

თავის თავს საუკუნოდ წარწყმენდილად გრძნობს:

ჩემო თავო, ვეღარ გკურნენ წამალით,
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით,
იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით.

და იმ სასოწარკვეთილებამდისაც კი მიდის, რომ თავს ეუბნება

დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარადის!
ხელ დაკრეფით განისვენე მარადის.

მაგრამ ეს სიტყვის მასალაა, და მისი სატრფოს შეცდომით

მით ჯოჯოხეთს მარად გულით ატარებს
თუ მარტოა თავს მომაკვდავს ადარებს
თუ ხალხშია, ძალით ღრუბელს ადარებს.

და ამის შემდეგ სადაც არ გაინძრევა, ბუნების რომელ ნაწილსაც არ შეხედავს, მარტო „სულიკოს“ ეძიებს და ბოლოს კიდევაც იპოვის და აღტაცებული გულის ხმა ეუბნება:

ეგ არის რასაც ეძებდი
მორჩი და მოისვენეო
დღე დაიღამე აწ ტკბილად
და ღამე გაითენეო!
სამად გაშლილა ის ერთი
ვარსკვლავად, ბულბულ, ვარდათო
თქვენ ერთმანეთი, რადგანაც
ამ ქვეყნად შეგიყვარდათო.

ამით ნუგეშით ცემული მგოსანი კმაყოფილი გვეუბნება:

მენიშნა, აღარ დავეძებ
საყვარლის კუბო-სამარეს,
აღარც შევჩივი ქვეყანას
და არც ეღრი ცრემლებს მდუღარეს!
ისევ გამეხსნა სიცოცხლე,
დღემდი, რომ მწარეთ კრულ იყო
ახლა კი ვიცი, სადა ხარ,
სამგან გაქვს ბინა, სულიკო.

ხანგრძლივი მოღვაწეობა დიდებულ მგოსნისა ამ ერთის ფიქრით, აზრითა და გრძნობით არის გაჟღენთილი, ამ ერთის საგნისაკენ არის მიმართული ქართველი ერის დამარხულის ბედნიერებისაკენ, რომელსაც ეს ერი შეგნებულად თუ შეუგნებლად იძიებს, გარეშე ამისა იგი მკვდარი იქნებოდა, რომ ჩვენის ერის გულში ღრმად არის ეს გრძნობა დამარხული და რომ ეს გრძნობა უდიდესი და უძლიერესი გრძნობაა. ამის დამამტკიცებელი ისიც კია, რომ დიდებული მგოსანი, რომლის დღესასწაულში დღეს მთელი საქართველო იღებს მხურვალე მონაწილეობას, ამ ერის შვილია, რომ ამ მგოსნის საუცხოო ნიჭი მარტო ამ საგანს, ერის მთავარ სევდასა და კაეშანს დასტრიალებდა თავზედ, მის დაუსრულებელ ჰირისუფლობას კისრულობდა. ნურავინ იტყვის, რაიმე სხვა უკეთესი და შეურყეველი საბუთი მოიძებნებოდეს სადმე.

მეორე საბუთი იმისი, რომ ჩვენს ერს, მის და ჩვენდა საბედნიეროთ, გრძნობა არ დაჩლუნგებია, რომ იგი ლეშად არ გადაქცეულა, ის არის, რომ დღეს იგი აღტაცებით დღესასწაულობს იმ მგოსნის ნახევარ საუკუნის მოღვაწეობას, რომელიც ერის ჰირ-ვარამის დაუღალავი გამომსახველი იყო. მისი ციური ლექსები, რომელიც ერთსა რასმე ჩასძახებდა სანუგეშო საიმედოდ ამ ერს, ერთი რამეთი იმხნევებდა გულს — ხშირად გატეხილსა და დანაღვლიანებულს:

არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს
და ისეეე გაიღვიძებს;
ვინც შენატრის იმის სიკვდილს
უმალ მასვე დაამიწებს.

მაშ, მოიხარეთ ქედი დიდი მგოსნის წინაშე, რომელმაც ჩვენ მწარე ტკივილს სანეტარო მალამო მოსცხო. თაყვანი ვსცეთ იმ მგოსანს, რომელსაც თავის უკვდავის საუცხოო ჩანგურის სიმები მარადის იმისათვის ჰქონდა მომართული, რომ ლეჩაქმოხდილი და ფეხ-შიშველი სატრფოს ბედი ეტირა და, მისთვის ნუგეშისა და იმედის ახალი ძალი ჩაენერგა. ვაშა და ვაშა უთხარით იმ მგოსანს, რომელმაც ჩვენს ვაებასა და სევდას სამაგალითო ჰირისუფლება გაუწია და რომლის სამაგალითო პოეზია ხან გულსაკლავად მკვნესარ თარად გვეელინებოდა, რომლის წყალობითაც

შორს მივყავართ მომხიბვლელსა ოცნებას,
არვის მონებს შემკობილი ეს მხარე.

ხან ქვეყნის ჭირისა და ლხინის ჩანგურად, რომელიც დედის ძუძუს რძესთან ერთად ნაზად ყურში ამ ნანინას გვიმღეროდა: „შვილო მამულის გულისთვის სისხლი დაღვარეო"; ეს საუცხოო პოეზია ხან ობოლ ვარდად გვეჩვენებოდა, რომელიც საყვარლის საფლავს ფარვიდა, ხან სულგანაბულ ბულბულად, რომელიც ამ საფლავს დაჰყვნესდა და დაჩიკჩიკებდა, ხან კაშკაშ ვარსკვლავად, რომელიც ამ საფლავზედ აფრქვევდა სხივებს.

თაყვანი ვსცეთ მას და მიუჩინოთ ადგილი ჩვენის ერის სულის დიდებასა და საუკეთესო განძში — ქართულ ლიტერატურაში, რომელიც მან მეტად ღირსეულად დაიმსახურა. მიუჩინოთ მას ადგილი ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის გვერდით. მომავალს მივანდოთ იმის განსჯა, ვის ეკუთვნის პირველი ადგილი ამ სამში. დღეს დღეობით კი იგი ორივეზე უფრო ბედნიერია, ვინაიდან იგი ხედავს ძალებს და აღტაცებულს ერს, მის წინ თავმოხრილს, მის წინ სიხარულისა და სიყვარულის ცრემლების მფრქვეველს, მაშინ როდესაც ის ორნი...

მაგრამ დღევანდელ დღესასწაულში ყველაფერი დავიწყებას მივცეთ და ერთის ხმით და ერთის გრძნობით შევძახოთ მხცოვან დიდებულ მგოსანს:

სულ-მნათო მადლი შენს გამჩენს,
დიდება ერსა შენს შემქმნელს!

გიორგი ჯავახიშვილი

ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა

იშვიათად შოიპოვება იმისთანა საყვარელი ეროვნული პოეტი, როგორიც აკაკი წერეთელია. და ეს ასეა არა მარტო მიტომ, რომ აკაკის პოეზიის უმთავრესს მოტივს შეადგენს ეროვნული იდეა, ნაციონალური გრძნობა, არამედ უფრო იმიტომ, რომ აკაკიმ უკეთესად და უადვილესად, ვიდრე სხვა რომელიმე ჩვენმა მგოსანმა, გამოსთქვა რაც ერს, როგორც ეროვნულ ერთეულს, უნდა ეგრძნო და ეტარებინა გულში.

ამის დასამტკიცებლად საკმაოა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ არც ერთი საზოგადო მოვლენა ჩვენის ერის ცხოვრებაში არ დარჩენილა შეუმჩნეველი აკაკის მიერ. ყოველთვის იგი ჰპოვებდა ამონაძახს აკაკის მუზაში, და აკი ამიტომაც არც ერთი მგოსნის ლექსი არ არის ისე გავრცელებული, როგორც აკაკის.აკაკი გახდა ერის, როგორც ერთეულის, მისწრაფებათა და ჭირ-ვარამთა გამომთქმელი, ეროვნული მგოსანი. ვის არ ახსოვს, რომ ჯერ ისევ ამ რამოდენიმე ხნის წინათ გადადიოდა ხელიდან

ხელში აკაკის ხელთნაწერი ლექსები, რომელიც სასიმღეროთ იყო გადაღებული, და რომლის შესწავლა მიაჩნდა ვალად ყოველთვის სამშობლოს ბედზედ გულ-შემატკივარს ქართველს. ერთი სიტყვით, აკაკი, როგორც პოეზიის ფორმის მხრივ, აგრეთვე მისი შინაარსით, ყველა ქართველ პოეტზედ მეტად ემსახურებოდა ეროვნულ გრძნობის და იდეის განვითარებას და გაღვიძებას ქართველ საზოგადოებაში.

აკაკი როგორც სხვა ჩვენი მოღვაწენი მე-60 წლებისა, გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე განსაზღვრული მიმართულებით და გრძნობით. ყველა მათ აკავშირებდათ სამშობლოს სიყვარული, სევდას ჰგვრიდა სამშობლოს დაცემა და ენატრებოდათ ბრწყინვალე მომავალი მისი... აი, ის საზოგადო სარჩული, რომელიც აერთებდა მე-60 წლების მოღვაწეებს. მართალია, მათ მსოფლიო მხედველობაში ადგილი ჰქონდა აგრეთვე სოციალურ მოტივებსაც, მაგრამ სხვა და სხვანაირად ჰქონდათ შეზავებული ეს ორი ელემენტი. დღევანდელის ჩვენის მცირე შენიშვნის საგანს შეადგენს ნაციონალური ელემენტის აღნუსხვა აკაკის პოეზიაში. და ჩვენ გვგონია, რომ ამით შეგვიძლიან დავასურათოთ ეს ელემენტი, როგორც საზოგადო ყველა ჩვენი მოღვაწის დამახასიათებელი, რადგან აკაკიმ უფრო სავსებით და უკეთესად განავითარა ეს ელემენტი თავის პოეზიისა, ვიდრე სხვა რომელიმემ.

სამშობლო ქვეყნის დღევანდელმა დაცემამ აკაკის მიახედვინა წარსულისაკენ. იქ, იმ წარსულში ეძებდნენ ჩვენი მწერლები თავის მომავლის პასუხს... რაკი აწმყო არ წყალობდათ, რაკი ზიზღით ეჯავრებოდათ თვისი აწმყო, წარსულში უნდა ეძებნათ გულის დამამშვიდებელი და იმედის მომცემი ნიშნები, აკი ნახეს კიდეც — როგორც შედეგი ჩვენის წარსულის ამ გვარი კვლევა-ძიებისა, დაიწერა ქართულ ენაზედ ბევრი ისტორიული მოთხრობა, პოემა, დრამა. ამ მხრივაც აკაკის უპირავს პირველი ადგილი, რადგან მისი ისტორიული პოემები და დრამები საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ ვნახევით, რომ იმ თვალსაზრისის მიხედვით, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ მაშინდელი ჩვენი მგოსნები. წარსულის დასურათხატება უნდა გამოსულიყო წარსულის გაიდეალება, ე. ი. წარსულის კარგი მხარეების გათვალისწინება, იმიტომ რომ ეს ამხნევებს ახალგაზრდობას და უჩვენებს მისაბაძველ მაგალითს.

ამნაირ ჯგუფს აკაკის პოეზიისას ეკუთვნის: „ბაგრატ დიდი“, „ორი ქართველი ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი“, „პატარა კახი“, „ნათელა“, „ბაში-აჩუკი“ და სხვა.

ჩვენ რომ თავი მოვუყაროთ და მოკლეთ ავწონ-დავწონოთ ყველა ზემორე ჩამოთვლილი ნაწარმოებთა შინაარსი, მაშინ ადვილად შეგვიძლიან მოკლეთ დავახასიათოთ დედა აზრი ავტორისა. „სამშობლოს სიყვარული“, „სამშობლოსათვის თავ-დადება და თავ-განწირვა“—ის პსიხიური საფუძველია, რომელზედაც აშენებულია მთელი შინაარსი ამ ნაწარმოებთა.

„ბაგრატ დიდი“ ეხება ლანგ თემურის[1] დროს, თვალწინ გვიხატავს იმ

წვალებას, რომელშიც შთავარდა საქართველო მონღოლების[2] მიერ. ცოცხალი სურათი ბრძოლისა, რომლითაც დახვდა ქართველი ამ მთელ ქვეყნიერობის დამპყრობს კაცს, იშლება თქვენ თვალწინ. მონღოლებსაც უკვირთ პატარა ქართველი ერის გმირობა და აი მგოსანი გვიხატავს, თუ როგორ ცდილობენ და კიდეც აღწევენ მიზანს სამშობლოს დახსნისას მეფე ბაგრატი[3] და მისი შვილი გიორგი.[4]

ამავე მონღოლების დროს ეხება მეორე ძველებური ამბავი „ნათელა". ეს ქალი საყვარელი გმირია ჩვენი მგოსნისა, იგი იდეალია ქართველი ქალისა, რომელსაც საერო ჰირ-ვარამი და ზრუნვა უფრო მაღლა აქვს დაყენებული, ვიდრე პირადი ინტერესები. ცოტნე დადიანიც[5], რომელიც დახატულია ამავე პოემაში, ხომ ერთ-ერთი საუკეთესო გმირია საქართველოსი, წამებული მამულისათვის.

ტყუილი იქნებოდა, რომ ჩვენ მგოსნებს ეგალობათ წარსულის დიდებაზედ, რადგან მათი სამშობლო „მრავალ ტანჯული" იყო. სადიდებელი იყო ის მედგრობა და თავგანწირვა, რომლითაც იტანდნენ უწინდელი ქართველნი თავის დაუსრულებელს წვალებას. ხშირი მონობა ჰბადავდა არა მარტო გმირთა, არამედ არა სასურველ ტიპებსაც... შური, მტრობა, ჭიშპობა და თვით ღალატი ხშირი ყოფილა ქართულ ისტორიაში. მგოსნისათვის ეს არც დამალულია. მაგრამ რადგან მისი მიზანი როდია ამ ნაკლის აღწერა, ამიტომაც მას ჰსურს მარტო ის უჩვენოს დღევანდელს საზოგადოებას, თუ ამ ზნეობრივ დაცემის დროს ხალხი როგორ იკვლევს გზა-კვალს ზნეობრივ განახლებისაკენ, როგორ იკრებს ძალას საზოგადო დაცემის გამოსწორებისათვის. ერთ ამნაირ მაგალითს ჩვენი წარსულიდგან იღებს აკაკი, როდესაც სწერს თავის დრამატულ პოემას: „თამარ-ცბიერს". დანაწილდა საქართველო შვიდ სამთავროდ, თითოეულ სამეფოს და სამთავროში იჯდა მეფე ანუ მთავარი, და მათ ყველას გარს ეხვია თავისი ამალა. ამ ნიადაგზედ აღმოცენდა სხვა და სხვა მეფეების შეჩიშპება, განვითარდა პატარა სასახლეების გარყვნილება. საზოგადო ინტერესი შეეწირა კერძოს, სამშობლოზე ზრუნვა—არშიყობას. ასეთივე იყო იმერეთის მეფის გიორგი გურიელის[6] და მისი მეუღლის თამარ დედოფლის[7] კარი... თამარ დედოფალს მთელი თავისი სიცოცხლე არშიყობაში გაეტარებინა, საყვარლებს იცვლიდა, როგორც ხელთათმანს და ვერ მოენელებინა. რომ ვერ დაიმორჩილა აქამდისინ გული სასახლის მგოსნის გოჩასი[8]. მისი ქალური თავმოყვარეობა შელახულია და მზადაა სამშობლოც გაჰყიდოს, ოღონდ კი თავისი ვნებათა ღელვა დაიკმაყოფილოს. აქ იწყება ქალის გრძნობის ბრძოლა საზოგადო ინტერესებთან. გოჩა კი ეკუთვნის იმ პირთ, რომელთა იდეალია, არა ეს ზნე-დაცემული თამარი, არამედ ძველი თამარი[9]. იგი თავის აზრსა და მისწრაფებას, სხვა კარისკაცებსავით როდი ჰმალავს, იგი პირდაპირ ამხილებს დედოფალს თუ რას უქადის თამარი მამულს. გოჩა ადგენს შეთქმულების გეგმას, რათა დაიხსნას მეფე გიორგი და სამშობლო თამარის გავლენისაგან. ამ შეთქმულებაში იღებენ მონაწილეობას

ბევრნი სასახლის პირნი და მარტო უცაბედმა შემთხვევამ ვერ აასრულებინათ განზრახვა... გამომჟღავნდა შეთქმულება. გოჩას და მის ნათლულს, თამარის მოახლეს ცირას[10], გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა. მაგრამ გოჩა ყველას ენანება, ყველამ იცის, თუ რა ამოძრავებდა გოჩას ამ დროს. მეფემ თუმცა არ იცის ნამდვილად გოჩას ვინაობა, ხოლო როცა იგონებს წარსულს, მის სამშობლოსადმი სიყვარულს, ვერ გაუმეტნია და უნდა პატიება. მაგრამ გოჩა გამოტყდება და ამბობს, რომ შეთქმულების მოთავე ისაა და არა ცირა. გოჩას აღსარება საუკეთესო სურათია ამ ნაირ კაცთა, ვისაც აზრად ჰქონდათ საქართველოს გაერთიანება... გოჩას მიერ ხშირ-ხშირად დედოფლის მხილებამ ბოლოს გავლენა იქონია ამ გარყვნილ არსებაზედ... და სწორედ მაშინ, როდესაც გადაუხადა სამაგიერო გოჩას სიყვარულის უარყოფისათვის, მასში გაიღვიძა სულ სხვა გრძნობამ, იგი განახლდა სულიერათ... მოინანია თავისი წარსული და ამ წარსულისა ისე რცხვენიან, რომ სიცოცხლე აღარ უნდა... სულით და გულით განახლებული, გვირგვინითა და სამკაულით აღჭურვილი, თამარი გამოდის, საჯაროთ აცხადებს ყველას წინ, რომ მგოსანს არა აქვს ბრალი... აღიარა:

წარსული ჩემი ბნელში მავალი
გადავაყოლე შემცდარ გულის თქმას...
აწ ვემონები უმაღლეს აღთქმას...
...მეფეო, გცოდე როგორც ქმარს
და როგორც მეფეს მოგფინე ბნელი,
შეგცოდე ცის და ქვეყნის წინაშე
შენდობას ითხოვს მაგდალინელი.

თამარი ღევს საწამლავს, კვდება, მაგრამ იგი სულიერათ განახლებულია. ამნაირათ. თუმცა დრამა „თამარ ცბიერი“ აშენებულია ისტორიულ ფონზედ. ბოლოს იღებს საზოგადო კაცობრიულს ხასიათს.

შაჰ-აბასის[11] დროის ამბავს ეკუთვნის აკაკის ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“. აქაც დედა-აზრი მდგომარეობს მასში, რომ აკლებული საქართველო ღონეს იკრებს არა მარტო ფიზიკურათ, სულიერადაც ახლდება და თავის გმირობის წყალობით სძლევს თავისზე უმრავლეს მტერს. ავტორს აქვს აღწერილი, თუ უცხოთა ბატონობამ როგორ დასცა ზნე-ჩვეულება ქართველთა, როგორ იბადებიან თვით საზოგადოებაში იმისთანა ადამიანები, როგორც ბაში-აჩუკი[12], ბიძინა ჩოლოყაშვილი[13], შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებია[14] და სხვანი, რომელთაც თავის სიცოცხლის მიზნათ დაუდვიათ სამშობლოს განთავისუფლება და მტრების საქართველოდან განდევნა. ჩვენ წინ იშლება მთელი რიგი ისტორიულ პირთა-მოღალატეთა: ჯანდიერის[15], მაყაშვილის[16]; მამულის ერთგულთ: ბიძინასი, მოძღვრის კირილესი[17], ბაში-აჩუკის და ქალის, ზაალის ცოლის მელანოსი[18].

შაჰ აბასის დროთი არ თავდება საქართველოს ტანჯვა... მე-18 საუკუნეშიც ქართლ-კახეთს აწუხებდა ხან ლეკი, ხან სპარსელი. თეიმურაზ მე-

ფის[19] სიბერის დროს საქმე ისე გაჭირდა, რომ კახეთში ორთავ მხრივ მტერი კარზედ მომდგარიყო. აქაც წინ უდგათ მამულიშვილთ ან „სიკვდილი სახელოვანი“, ანდა „სიცოცხლე ნაძრახი“. და აი აქ უჩნდება მამულს ახალი გმირი, 17 წლის პატარა კახი[20]. თავის ხუთმოქმედებიან დრამაში „პატარა კახი“ აკაკის აქვს აღებული თემათ ეს საინტერესო მომენტი საქართველოს წარსულისა. ეს იყო ერის უკანასკნელი გაბრძოლება დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოსაპოვებლად. კიდეც მიაღწიეს ამას, მაგრამ როგორც ვიცით, მარტო დროებით. აღა-მაჰმად-ხანის[21] შემოსევამ ბოლო მოუღო ამ განახლების ხანას. ამ დრამაში ჩვენ წინ წარმოსდგება ნამდვილი ხალხური გმირი გელა[22], რომელსაც ყველაფერი შეუწირავს მამულისათვის და მაინც ისევ მამულზედ ჰფიქრობს. ომში უკლავენ თავის უკანასკნელ იმედს — ქალს, ხოლო როცა გამოდის, ჯერ მეფეს ულოცავს გამარჯვებას და მერე დასტირის თავის ქალს. გელა ჰქადაგობს, აგროვებს ხალხს საომრათ, უკვირს, როგორ შეიძლება შინ ჯდომა, როდესაც გარეთ მტერი სდგას. აქვე არიან გამოყვანილნი მამულიშვილები: გივი[23], გამზრდელი პატარა კახისა, ხომ სულიერი მოძღვარია წარჩინებულ პირთა და მოთავე ამ საქმის.

საქართველოს ჰქონია დიდების დღენიც, როცა ის სხვასაც კი ჰშველოდა და, რასაკვირველია, მგოსანს არ შეეძლო არ მიექცია ყურადღება ამნაირ ხანისათვის. დასწერა მშვენიერი პოემა: „თორნიკე ერისთავი“. აკაკი აღწერს აქ დავით კურაპალატის[24] დარბაზობას და ნადიმობას, ბრწყინვალე კრებას...

ბედნიერია მეფე და მისი ხალხიც... მათ მარტო ის აწუხებს, რომ ერთი საუკეთესო მამულიშვილთაგანი თორნიკე[25] აპირობს ბერად აღკვეცას და სამშობლოდგან წასვლას... მეფე დიდ უარზეა... მაგრამ იძულებულია, დასთანხმდეს. მალე საქმე ისე ტრიალდება, რომ თორნიკე ერისთავი მტერთა მიერ შეწუხებულ ბერძენთა თხოვნით მოდის მოციქულათ დავითთან[26] და სთხოვს შველას საქრისტიანო საბერძნეთისათვის. მეფეც ჯარს აგროვებს და მთავარ-სარდლად ნიშნავს თორნიკეს... გამარჯვებული ქართველი ჯარი დიდის ნადავლით ბრუნდება შინ და იმართება აქ მშვენიერი დახვედრა... თორნიკე კი ისევ ათონისაკენ[27] მიაშურებს... იგი მიდის იქ ხელმერეთ ერთად გაბრიელ ბერთან[28], თანვე მიაქვთ ნახევარი ნადავლისა და აშენებენ მშვენიერ ლავრას კარის მღვთისმშობლისას[29], რომელიც დიდხანს იყო წმინდა მთაზედ[30] მატარებელი და მადიდებელი ქართველთა სახელისა. აქ იზრდებოდნენ ქართველნი ყმაწვილნი, აქვე იწერებოდა მრავალი წიგნი. ერთი სიტყვით ათონი გახდა განათლების ცენტრათ საქართველოსთვის. ამ ხანის დასურათხატებით აკაკიმ დაიკმაყოფილა თავისი ეროვნული სიამაყის გრძნობა...

ჩვენ მოკლეთ განვიხილეთ შინაარსი ისტორიულ ნაწარმოებთა. მართალია, დედა-აზრი მათში მომეტებულ ნაწილად ერთმანეთს მიაგავს, მაგრამ ასეთი იყო თვით საქართველოს ბედი. მიუხედავად ამისა, აკაკის

თხზულებებს რომ კითხულობს კაცი, დაღლას ვერა გრძნობს, რადგან თუ დედა აზრი მომეტებულ ნაწილად ერთი და იგივეა, განვითარება მისი სულ სხვა და სხვა გვარია. მაგალითად განახლება საზოგადოებისა, თავდადება მაშულისათვის სხვა და სხვა მხრივაა გათვალისწინებული „თამარ ცბიერში", „პატარა კახში", და „ბაში-აჩუკში". პირველში უფრო იმაზედაა მიქცეული მგოსნის ყურადღება, რომ გვიჩვენოს როგორ ხდება სულიერი განახლება საზოგადოებისა საზოგადო დაცემის დროს, ესე იგი როგორ მზადდება ის ნიადაგი რომლის შემწეობით შესაძლებელია თვით ფიზიკური განახლებაც — მტერთაგანაც თავდახსნა საქართველოსი... „პატარა კახში" და „ბაში აჩუკში" კი ავტორს აქვს აღწერილი თვით ეს უკანასკნელი მომენტი ეროვნულ მოძრაობისა — უცხო მონობის მოშორებისა. თუ დავუმატებთ, რომ პოეტურ ფორმის სიმდიდრე მგოსანს აძლევს საშუალებას უფრო გაასხვაფეროს თავისი ნაწარმოებნი, რომ მშვენიერი ფორმა ლექსისა ჰხდის ადვილად თვით განმეორების წაკითხვასაც, კარგად მიხვდებით, თუ რაშია აკაკის სიძლიერე და რატომ მისი ისტორიული ნაწარმოებნი არ მოსწყენია არავის, და სხვათა-კი ძალიან ხშირად. ჩვენ ზევითვე აღვნიშნეთ ის ნიადაგი პსიხიურ განვითარებისა ჩვენის მწერლებისა, რომლებზედაც აღმოცენდა მათი მისწრაფება წარსულის დასურათებისაკენ: აწმყო არ სწყალობდათ და წარსულში ჰპოვებდნენ სანუგეშოს. იქვე ეძებდნენ მისაბაძველ მაგალითს, რომ ახალგაზრდობას გაუღვივონ იგივე გრძნობა, რაც ძველებს აცხოველებდა... მათი მიზანი როდია მარტო აღწერა წარსულისა ანდა მისი ქებათა-ქება, არა ისინი თან ზრდიან ახალთაობას, ამხნევებენ და ეს უკანასკნელი მოტივი ისეთი მძლავრია, რომ თვით ისტორიულ ნაწარმოებებშიც კი გაცნობებს ხოლმე თავის თავს. მაგალითად, როდესაც გამარჯვებული, ამაყი შინ და გარეთ ბედნიერი ჯარი ბრუნდება საქართველოსკენ, მგოსანი მას ამღერებს იმ მშვენიერ სიმღერას, რომელიც უფრო შეეფერება გაჭირვებაში ჩავარდნილს ერს, ვისაც იმედი მხოლოდ მომავლისა აქვს. ესე იგი, სწორეთ ამნაირ მდგომარეობაში მყოფს, რომელშიაც ქართული ეროვნება იყო მე-60 წლებში ანდა წინათ. ამ ლექსს, სიმბოლიურათ გამომხატველს საქართველოს ისტორიულ ბედისას, დღესაც მღერიან ხშირად: „კავკასიის ქედზედ იყო ამირანი[31] მიჯაჭვული"...

ამ სიმღერით აკაკიმ, ერთის მხრივ, ალეგორიულად გამოხატა საქართველოს წარსული ბედი, და მეორე მხრივ, გამოსთქვა ის გრძნობა და იმედი, რომელიც აცხოველებს ამ ერს თავის ისტორიულს ბედში.

ესევე გრძნობა აცხოველებს მგოსანს ლექსში „ავადმყოფი". იგი ადარებს საქართველოს მარტო ავადმყოფს და არა მკვდარს, როგორც ეგონათ სხვებს.

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს,
და ისევე გაიღვიძებს...

ანუ კიდევ, თორნიკე ერისთავის შესავალში

...არ მომკვდარა
გაიღვიძებს ისევ ერი.

მართალია მგოსანს ღრმად სწამს ეს მომავალი, მაგრამ მაინც იგი გულგატეხილი არის აწმყოთი, საზოგადო დაცემით და მართლაც, არც ერთი ნაკლი ჩვენის საზოგადოებისა, არც ერთი შეცდომა მისი ეროვნების წინაშე მგოსანს არ გამოჰპარვია ყურადღებიდან. თვის გესლს იგი მუდამ ასხამდა ამ საზოგადოებას ეროვნული გადაგვარების გამო.

იგონებს რა ძველ ქალებს თავის ლექსში პროზიდან „ბოდვა", იგი შემდეგნაირად ამკობს მის დროინდელ ქალებს:

დრო წავიდა, სხვა მოვიდა
დღე წავა და ღამე ჰშობა...
აი ჩვენი საჩივარი .

ამნაირად მგოსანი უჩივის საზოგადო გრძნობის მოჩლუნგებას და აქედან იბადება სატირული ელემენტი მისი პოეზიისა. როგორც ვხედავთ ამ ეროვნულ გრძნობიდან, გულიდან გამომდინარეობს იგი. უკეთ ვსთქვათ, მგოსანი ჰკიცხავს საზოგადოებას, როგორც ქართველი და საზოგადოდ აქვს დახატული ძველი ქართველი დედა, ძველი ქართველი რაინდი თავის მამულის სიყვარულითა და საქმიანობით. ჩვენ შორს წაგვიყვანდა აკაკის პოეზიის ამ ელემენტის აღნუსხვა მით უმეტეს, რომ ეს არც ისე საჭიროა, რადგან ყველას ეხსომება მისი მოსწრებული და გესლიანი ლექსი ჩვენს ნაკლზედ გამოთქმული. საკმაოა გავიხსენოთ მარტო მისი ლექსი:

სკუკა მკლავს, სკუკა მაწუხებს
მიხუთავს დიხანიასა,
გადავგორდები პასტელზედ,
დავიწყებ მეჩტანიასა .

რათა წარმოვიდგინოთ, როგორც ხასიათი ამ ნაირ ნაწარმოებთა, აგრეთვე მათი მნიშვნელობა...

ჩვენ რაც შეგვეძლო, მოკლეთ განვიხილეთ აკაკის პოეზიის ეროვნული მხარის ხასიათი, მისი საფუძველი, ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა და განვითარდა ეს ელემენტი მისის პოეზიისა. თავი და თავი საფუძველი, რასაკვირველია, არის მარტივი ყველასათვის ადვილად გასაგები და თან თანდაყოლილი სამშობლოს სიყვარული, რომელსაც არც დასაბუთება სჭირია... ეს პირველშობილი და სადა, განუვითარებელი და გაურთულებელი გრძნობა გამოთქმული აქვს აკაკის თავის ლექსში, რომელიც აქვე მოგვყავს.

ცა-ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო?...

ვინც გადიკითხავს ამ ლექსს, ადვილად მიხვდება, რომ აკაკის ამ მხრივ თითქმის ბადალი არც კი ჰყავს ჩვენს მწერლობაში, ისე სადად, სწორათ და მისთანვე ძლიერათ გადმოცემულია ეს გრძნობა აკაკის მიერ. რასაკვირველია, ამ მხრივაც, ესე იგი ფორმის მხრივ აკაკიმ უფრო მეტად, ვიდრე სხვამ დააკმაყოფილა ეროვნული გრძნობა ხალხისა. მისი ლექსი უკვდავია. ჩვენ აქამდე მივაქციეთ ყურადღება მარტო ერთ მხარეს აკაკის პოეზიისას, მართალია, ეროვნული ელემენტი მის პოეზიაში შეადგენს უმთავრეს მოტივს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ აკაკი სხვა კითხვებსაც ეხებოდა თავის ნაწერებში. ისიც ეტრფოდა გლეხთა, მათ გაჭირვებას... მაგრამ ეს არ შეადგენს საგანს დღევანდელის ჩვენის მწერლისას. ჩვენ განგებ ავირჩიეთ განსახილველად ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა იმიტომ, რომ აკაკის პოეზიაში ჯერ ერთი ეს ელემენტი უმთავრესია და მეორე უკეთესად განვითარებულ და დახასიათებულ-დასაბუთებული. გარდა ამისა, აკაკი ამ მხრივ შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო წარმომადგენლად ჩვენის მე-60 წლების მწერლებისა. იგი თავის პოეზიაში ახასიათებს განსაზღვრულს ხანას და მიმართულებას ჩვენს კულტურულ განვითარებაში — ეროვნული გრძნობის გაღვიძების და ეროვნული ერთიანობის იდეის. შთანერგვას.

რასაკვირველია, ამით არ აღინუსხება შინაარსი ჩვენის კულტურისა, რაც გინდა ღარიბი იყოს იგი, ჩვენ ვიცით, რომ ამასთან ერთად ღრმა მნიშვნელობას ჰპოვებს ჩვენში სოციალური მოტივი და ელემენტი ჩვენის ცხოვრებისა, მაგრამ მასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ეროვნული მხარეც იყო და არის ჩვენს ცხოვრებაში დღესაც განვითარებული, რომ მას ახლო განვლილ წარსულში ეჭირა უფრო საპატიო ადგილი, რომ ქრონოლოგიურად ის უფრო ადრე განვითარდა, ვიდრე მეორე სოციალური ელემენტი. ერთი სიტყვით, აკაკიც, როგორც უკეთესი გამომხატველი ამ მხარის ჩვენის კულტურისა და ამ ხანის ჩვენი ეროვნული ზრდისა, წარმოადგენს განსაზღვრულს ისტორიულს ტიპს, რომლის მნიშვნელობა ჩვენს წარსულში დიდი არის.

თანიგელო (ნიკო ლორთქიფანიძე)

საჭირბოროტო საკითხები

III

მამული თუ სასუფეველი?

(იუბილეს გამო)

...ჩვენს ისტორიას მართლაც რომ ყოლია ისეთი ადამიანები, რომელთაც შეუწირავთ ერისათვის თვით სულიც კი.

ასეთ ადამიანებზე განსაკუთრებულის ყურადღებით შესდგება აკაკი,

მათ უძღვნის საუკეთესო ნაწარმოებს, მათ ექომაგება და მათს თეორიასაც კი ადგენს და ავრცელებს.

ასეთს ადამიანებში პრომეთეს[1] სისხლი სჩქეფს, პრომეთესი, რომელმაც ოლიმპოსზე[2] ნეტარებას კაცთა ბედნიერება არჩია და ღმერთთა სამყოფიდან ქვეყნად მოიტანა ცეცხლი, ბერკეტი კაცობრიობის განვითარებისა... აკაკის ყოველი სიტყვა გაჟღენთილია კაცთმოყვარეობით, უმწეოთადმი სიბრალულით, სათნოებით.

მაგრამ ვაგლახ ამ წმინდა გრძნობას, ამ პრინციპებს, თუ ისინი შეეჯახნენ ერის ინტერესებს: მაშინ ღრმა სიყვარული სიძულვილად იქცევა და სათნოება-სიმკაცრედ.

ავიღოთ, თუ გნებავთ, პოემები: „თორნიკე ერისთავი“ და „ბაგრატ დიდი“. სწორედ ამ პოემებში აღნიშნული მხარე აკაკის პოეზიისა უფრო ნათელყოფილია.

თორნიკემ, უებარმა სპასალართ უხუცესმა მოვალეობა უკვე მოიხადა ქვეყნის წინაშე, მოხუცდა. სულზე ფიქრის დრომაც მოუწია. თუმც მისისაე სიტყვით „ხორციელ ნეტარებას“ ჰკარგავს თან შეზრდილთა, მეფისა და სამშობლოს მიტოვებით, მაგრამ მაინც აღიკვეცება ბერად: მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ დასჭირდა ქართველ ერს, ქართველთა ჯარს თორნიკეს მადლიანი წინამძღოლობა. თორნიკემ იცის, რომ ამით ცოდვილს სულს ბევრს დააკლებს, მაინც სტოვებს მონასტერს, ადგენს ომის უმკაცრესს გეგმას — სხვათა შორის ბრძანებას გასცემს:

თუ მოახერხონ,
რაც ხიდებია სუყველა ერთად
ქვეშიდან ისეთ გვარად დახერხონ,
რომ ზედ შემდგარი ლაშქრის სიმძიმე
მომეტებული ვერ აიტანონ:
ჩასტყდენ ჰალისის მდინარე წყალში
და მტრისა ჯარიც თან ჩაიტანონ!..

და ასეთ მძვინვარეთ გაუმასპინძლდა თორნიკე უკუგაქცეულს და არა მომტევ მტერს!

რატომ? მთავარი მიზეზი ქართველთა გალაშქრებისა სკლიაროს ბარდაველის[3] წინააღმდეგ პოემის პირველი გადაკითხვით თითქოს იყო სურვილი საქრისტიანო საბერძნეთი ეხსნათ უსჯულოთაგან, მაგრამ როგორც კათალიკოსის ბაასი თორნიკესთან, ისე კიდევ უფრო უკანასკნელის მოხსენება მეფისადმი ომის შედეგის შესახებ ამტკიცებს, რომ დედა-მიზანი საქართველოს ტერიტორიის მფლობელობის გაფართოება იყო.

მეორე პოემა „ბაგრატ დიდი“ ნამდვილი აპოლოგია არის რჯულის უარყოფის და ყოველივე ხერხის ხმარების სამშობლოს სახსნელად. ბაგრატმა[4] სჯულის გამოცვლით და ცბიერის მოხერხებით სრულიად დააბრმავა „გულით ურწმუნო, სულით ობოლი“, საქართველოს გამაოხრებელი,

ლენგ-თემური[5]. დააკვირდით მაგალითად ამ იეზუიტურ ფიცს[6] დატყვევებულ ქართველის მეფისას:

ვფიცავ მე ზეცით გულთა მხილავსა
და მასთან ყოველ წმინდათა ძალებს
რომ დრო ვერ შესცვლის და ვერ დამიჭრობს,
დღეს რომ გულში მწვავს, მე იმა ალებს!
რასაც დღესა ვგრძნობ, მე ის რწმუნება
კუბოს კარამდე მიმყვება რჯულად
არა, ძლიერო, მაგ ეპეებითა,
გეტყობა, მსახავ გულში ორგულად.

ბაგრატი აქ ფიცულობს, რომ შენს, ლენგ-თემურის მტრობასა და შურისძიებას არ დავივიწყებო; ირანის ბატონს კი ჰგონია ერთგულებას მეფიცებაო და ამიტომ უპასუხებს ამ ფიცზე:

მე? არასოდეს!.. მაგას ნუ ჰფიქრობ!
განა არ ვიცი, რაა ქართველი?

სულით მაღალი და გულით მტკიცე
მისი განზრახვა უზაკველია..

უზაკველად! გულწრფელად! პირდაპირ! — ვის არ უნდა, რომ იმოქმედოს? მით უმეტეს ქართველის რაინდულს ხასიათს ყოველთვის პირდაპირობა ერჩია, მაგრამ რა ჰქნას ბაგრატმა, დატყვევებულმა, აოხრებულის ქვეყნის ყოფილმა მეფემ, როდესაც იცის, რომ უცხოთა ბატონობა დაღუპავს მის ქვეყანას:

რა გინდ ღირსებით შემკულიც იყოს,
ვერ იქმს დედობას დედი-ნაცვალი?
თუ შვილზედ სასო თვით არ ასწვია,
განზედ უპირავს ყოველთვის თვალი.

და ამიტომაც ბაგრატი ამბობს:

არც ეს ქვეყანა, არც ის ქვეყანა
მე აღარ მინდა, არც ერთი არ მსურს,
სანამ ლენგ თემურს სამაგიეროს
არ გადვუხდი და არ მივაგებ შურს..
მაგრამ რა გვარად? ტყვე ვარ უძლური!
მოსწყდა ქართველი მისი გმირობით!
და ძლიერ ხალხთან რაღას გავაწყობთ
ჩვეულებრივის პირ-და-პირობით,
თუ არ ხერხითა და ცბიერობით?
და განვიზრახე მე მოტყუება
ლენგ-თემურისა სულის გაწირვით,
და აწ, უფალო, შენია ნება!
ლენგ-თემურ თუ არ მაჰმადიანსა,
არ მიენდობა სრულისა გულით!..

და მაშ, მოხუცო... აჰა, მიზეზი,
თუ რად მიყურებ შეცვლილსა რჯულით.
ჩემის სამშობლოს გამოხსნისათვის
უკანასკნელად ეს მოვიგონე
და საქიროც რომ დავივიწყე
სული ჯოჯოხეთს მით დავამონე.
ვიცი, იქ ტანჯვა უკუნისამდე
არ მომეშლება, არ არს ადვილი!
მაგრამ ვინც მამულს სულსაც არ სწირავს,
იმას არ ჰქვიან მამულის-შვილი!..

ბაგრატის სულის კვეთება აღსრულდა. თემურმა ბაგრატის ცბიერებით და გონებით მოჯადოებულმა, ჩააბარა მოსისხლე მტერს საუკეთესო ჯარი, რომელსაც დახვდნენ ბერდუჯის[7] ერთ-ერთ ხეობაში ქართველთა გმირნი თვით ბაგრატის შვილის გიორგის მეთაურობით, და ისე გასწყვიტეს სპარსელები, რომ არ დაუგდიათ აღარც მთხრობელი. სამშობლოს წყლული კვლავ განიკურნა.

ასეთი პოლიტიკის მომხრე არ შეიძლება ვიყოთ: თუ ორი-სამი მტკიცე ხასიათის ადამიანი ცბიერებს ერთი დარგიდან, პოლიტიკიდან, მეორე დარგში, ყოველ-დღიურ ცხოვრებაში არ გადაიტანს, მაგიერათ ერი, ასეთი პოლიტიკის მიმდევარი, სულიერად ეცემა, ფლიდდება და ირყვნება. თანაც ასეთ მლიქვნელობას ძვირად მოაქვს სასურველი შედეგი. ყოველ შემთხვევაში ადამიანზე, რომელსაც ყოველიფერი შეუწირავს სამშობლოსათვის, სულიც კი, არ შეგვიძლია პოეტთან ერთად არა ვთქვათ:

ასე იღვწოდა მამულისათვის
თავგანწირული ის წინაპარი
და, რომ მის ხსოვნას თაყვანი არ სცეს,
მისთანა ჩვენში აბა ვინ არი?!

სანდრო (ალექსანდრე ჩხეტია)

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა ახალ თეატრში. „პატარა კახი“ აკაკისა

რეპერტუარის სისუსტე და სიღარიბე ქართული თეატრის ერთ ერთი ძველი ნაკლოვანებაა. გულუბრყვილობა იქნებოდა ჩვენის მხრივ, გვეფიქრა, რომ ახალი თეატრი, ახალი რეჟისორი და ხანგრძლივი მზადება წლევანდელ სეზონისათვის უეცრად ამოავსებს ამ ნაკლს და უეცრივ დასძლევს რეპერტუარის სიღატაკესო. ამის იმედი არ გვქონია. მაგრამ მართალი უნდა მოგახსენოთ, არც იმას მოველოდით, რომ ქართული თეატრის ეხლანდელი ხელმძღვანელნი „სამშობლოს“, „პატარა კახს“ და

„ღალატს“ ვერ გასცილდებოდნენ. სწორედ გულსაკლავი სანახაობაა! ჩვენს დროში დრამატული მწერლობა ისეთის სისწრაფით ვითარდება და ისეთს ფართო ადგილს იჭერს ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში, რომ მას ამ მხრივ ეხლა ტოლი არც კი ჰყავს. ქართული თეატრი კი მისჩერებია დახავსებულს, ვითომ ისტორიულს და ნაციონალურს დრამებს და გულმოდგინედ იმეორებს იმას, რაც დიდი ხანია მოსწყინდა დიდსაც და პატარასაც. ისტორიული დრამების სახელით ქართულს სცენაზე ყოველთვის დიდის ხალისით გამოჰქონდათ ისტორიული ფეერიები, რომელთაც ფანტაზიის ნიშან-წყალი ჩვეულებრივ ძლიერ მოუსუსტებდათ, და ეს ჩვეულება წლევანდელს სეზონსაც ვერ დაუძლევია. ხშირად გვსმენია და წაგვიკითხავს საყვედური ქართულ საზოგადოებისადმი, თეატრს არა სწყალობსო. რაც უნდა ძლიერ გასწყრენ ჩვენი თეატრის გამგენი, მაინც პირდაპირ უნდა ვუთხრათ, დამნაშავენი თვით არიან და არა საზოგადოება. ხალხს თეატრი სულიერ საზრდოდ უნდა და არა იმიტომ, რომ გროშები მოგროვდეს სათეატრო კასსაში. თეატრის ხელმძღვანელნი კასსურ თვალსაზრისში ძლიერ გამჭრიახნი არიან, ხოლო სცენიდან სულიერ საზრდოს მოწოდებაში კი მეტად ჩლუნგი. ერთხელ-ორჯერ, სამჯერ რომ უქმად გაატარებს ადამიანი მთელ საღამოს ან დილას თეატრის დარბაზში, შემდეგ მას ისე აუცრუვდება გული, რომ ველარაფრით ველარ მოინადირებ. „სამშობლო“, „პატარა კახი“, „ღალატი“ და ათასი სხვა ამგვარი ფეერია ქართულ თეატრს თანდათან წინ კი არა, უკანა სწევს. თუ თეატრის ეხლანდელ ხელმძღვანელებს თითონ ვერ მოუხერხებიათ რიგიანი პიესების არჩევა, ეს ფრიად სამწუხარო მოვლენაა, უფრო სამწუხარო, ვიდრე ის, რომ ქართველი არტისტები როლს იშვიათად სწავლობენ ხოლმე.

„პატარა კახი“ უფრო ზღაპრულ გულუბრყვილობის კილოზე დაწერილი პოემაა, ვიდრე დრამა. აქ ადამიანები ისე მარტივ ფიქრების და გრძნობების მატარებელნი არიან, მათი ინტერესები ისეთ სწორ და უხლართო ხაზებს ჰგვანან, რომ კაცს ეგონება, ამ პოემაში მოთხრობილი ამბავი სადღაც ტიკინების ქვეყანაში მომხდარი არაკი იქნება, თორემ დედამიწის ზურგზე ასეთი ანგელოზებური სიმარტივე რა დასაჯერებელიაო. „პატარა კახის“ ზოგიერთი ადგილი ხელი-ხელ საგოგმანებ პოეტურ მარგალიტებს შეიცავენ, — ეს უეჭველია, მაგრამ მთლად კი იგი მეტის მეტად სუსტი ნაწარმოებია. არაფერი არ გვეთქმის იმის წინააღმდეგ, რომ ზოგჯერ „პატარა კახისთანა“ დრამებიც დასდგან ქართულ სცენაზე, მაგრამ მხოლოდ ზოგჯერ, როგორც გამონაკლისი...

„პატარა კახი“ იმ გვარი პიესაა, რომ მისი ასრულება სცენაზე მოითხოვს არტისტებისგან არა თამაშს, არამედ დეკლამაციას. არტისტებს ფრაკებისა და სერთუკების მაგიერ რომ ჭრელაჯები აცვიათ, ამით დეკლამაცია დრამატულ თამაშობად არ გადაიქცევა. დეკლამატორისათვის უპირველესი პირობა ლექსის გაზეპირებაა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არტისტებს ამ მხრივ წუნი არ დაედებათ. აკაკის მსუბუქი და მომხიბვლელი ლექსი თითქმის ყველამ კარგად იცოდა ზეპირად...

როგორც ვთქვით, „პატარა კახში“ არტისტულ ნიჭს გასაქანი მეტად შეზღუდული აქვს. მაგრამ მიუხედავად ამისა მსახიობებმა სული მაინც ჩაბერეს მას.

იაკობ გოგებაშვილი

ქართული პოეზიის იალგუზი

წარმოიდგინე, მკითხველო, მაღალი მთის წიაღიდან გამოვარდნილი ანკარა წყარო, რომელიც მუზიკალური შხუილით ძირს ჩადის და ბჩენს ვეებერთელა მორევს უწმინდესის წყლისას. ეს ბროლისებური მორევი შეუდარებელი სარკეა ბუნებისა. მასში მშვენივრად იხატება მისი ნაპირების მცენარეულობა, მასში კამკამებს ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მასვე თავისს სარკედ ხმარობენ ღრუბელნი ცისანი. ამავე დროს ამ კამკამა მორევის ძირში ისე ცხადად სჩანს ყველაფერი, რომ თვითეულს კენჭს ადვილად დასთვლი. სწორედ ამას, ამ საარაკო სიწმინდეს და სიცხადეს მოტყუებაში შეჰყევხარ. შენ ეს მორევი თხლეი გგონია. მაგრამ, აი ჩაუშვი შიგ ვეებერთელა ჭოლოკი, და მან ძირის ნახევრამდისაც ვერ უწია. მორევი მეტად ღრმა აღმოჩნდა.

სწორედ ამისთანა თვისებისაა ის პოეტური და ლიტერატურული ზღვა, რომელიც შეჰქმნა აკაკის მაღალმა ნიჭმა. ეს ზღვა თხელი გეჩვენება, რად? იმიტომ, რომ საარაკო კაშკაში გააქვს და შიგ ყველაფერს მეტად ადვილად და ცხადად ხედავ. ხედავ არა მარტო შენ, დიდი, არამედ რვა-ცხრა წლის შეგნებული ბავშვიც, და ეს უფრო ატყუებს. მაგრამ აი მოიკრიბე გონება, ღრმად ჩააკვირდი აკაკის თქმულებათა შინაარსს, შეუდარებელს ფორმას, და აღტაცებაში მოგიყვანა მისმა საოცარმა კაზმულობამ, მისთა აზრთა და გრძნობათა სიღრმემ, მისმა მისწრაფებათა სიმაღლემ. განსვენებულმა დავით ერისთავმა[1] „სამშობლოს“ ავტორმა ერთხელ მითხრა: „პეტერბურგში ყოფნის დროს «Вестник Европы»-ს[2] რედაქციაში წავიკითხე რუსული თარგმანი თორნიკე ერისთავისა და ყველა მსმენელი გააოცა მთელის პოემის მაღალ-კაზმულობამაო. როცა გაზეთს „კავკაზში“[3] დაიბეჭდა ფელეტონად თარგმანი პატარა ქმნილებისა: გვირგვინი დავით მეფისა (Вход царя Давида) საუკეთესო რუსი ინტელიგენტები აღტაცებაში იყვნენ და ამბობდნენ: «Какая редкая художественность, какая высота мыслей, какая глубина тонких чувств» (რა იშვიათი კაზმულობაა, რამ სიმაღლე აზრებია, რა ღრმა და წმინდა გრძნობებია). ამ სამი იშვიათი ღირსების ბეჭედი აზის აკაკის ყველა ქმნილებასა, ხოლო ამ სამს ღირსებას, ერთად შეზავებულს და ერთ დონეზე დაყენებულს, ვპოვებთ მხოლოდ დიდს ტალანტებში, მსოფლიო გენიოსებში, მაშასადამე...

თავის საუკეთესო გმირს მეფე ერეკლეს კახელებმა დაარქვეს მეტ სახელად პატარა კახი. რად? იმიტომ, რომ მისს მაღალს ფსიხიკასა და ფიზიკაში, როგორც ფოკუსში, განხორციელებული იყო ყოველი ღირსება და თვისება კახელებისა. აკაკის მაღალი ბუნება იტევს თავის წიაღში არა ერთს კუთხეს ჩვენის სამშობლოისას, არამედ მთელს საქართველოს, აკაკი პატარა საქართველოა. მაგრამ ამ დიდებულს სახელს მარტო მას ვერ დაუსაკუთრებთ, რადგანაც, თვით აკაკის სასიხარულოდ და ჩვენდა სანუგეშოდ, პატარა საქართველოში, სხვანიც გვყავს: რუსთველი, ილია, ნ. ბარათაშვილი[4], გრ. ორბელიანი[5], ვაჟა-ფშაველა[6], მსოფლიო ტალანტები, გენიოსები ასეთს ძლიერს და ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდნენ მკითხველებზე, ისე ხიბლავდნენ მათ, რომ ბევრი ხდებოდა მათი მიმბაძველი, მათი მიმდევარი. აკაკიმ შექმნა თავისი საოცარი გავლენით მთელი სკოლა პოეტებისა. თითქოს ყველა ჩვენებურს მეორე ხარისხოვან პოეტს აზის ბეჭედი აკაკისა, ესენი ყველანი პატარა აკაკები არიან. ასეთი მოხიბვლა შეუძლიან მხოლოდ გენიალურ პოეტურს ნიჭსა, რომელსაც არ ემორჩილებიან მხოლოდ იმისთანა უთავისებურესი მგოსნები, როგორც ვაჟა-ფშაველა.

ყველა მსოფლიო გენიოსები უმჯობესი მამულიშვილები იყვნენ. მათ სხვებზე მეტად, ძლიერად უყვარდათ სამშობლო, როგორც საუკეთესო შვილს მეტობით უყვარს თავისი ღირსეული დედ-მამა. აკაკი განხორციელებული მამულიშვილობაა. მას საქართველო ისეთივე გაგიჟებით უყვარს, როგორც ტარიელს უყვარდა ნესტან დარეჯანი. რასაც უნდა სწერდეს აკაკი, ლექსით თუ პროზით, ყველაში გამოსჭვივის აპრიალებული სიყვარული სატრფო სამშობლოსი. ამ მხრივ აკაკიზე ზედგამოჭრილია გრ. ორბელიანის ლექსი: „მისი ფიქრი, მისი სიტყვა თუ არ შენდა, არსად იყოს, შენთან მის დღე ბრწყინვალებდეს, უშენოდა დაებნელოს“[7].

ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰბადავს ძლიერს სიყვარულს კაცობრიობისას. მსოფლიო ტალანტები, გენიოსები, დიდი პატრიოტები, ამავე დროს დიდი მოყვარენიც იყვნენ კაცობრიობისა, ასეთია აკაკიც. ამ ფართე კაცთმოყვარეობით აიხსნება ის ფაქტი, რომ აკაკის დიდი სახელი აქვს არა მარტო ქართველებში, არამედ სხვა ხალხებშიც... ნელ-თბილი კოსმოპოლიტობა ჰბადავს ნელ-თბილს მამულისშვილობასა, და ეს ნელ-თბილობა, როგორც მკითხველს მოეხსენება, სრულიად უნაყოფოა, როგორც სამშობლოსათვის, ისე კაცობრიობისათვის, აი, რისათვის აკაკი მტერია ამ ნელთბილობისა და ისე აფასებს და მაღლა აყენებს გულ-წრფელს და მხურვალე მამულისშვილობას ყველა მოღვაწეში. როგორც დიდს გულს მხოლოდ დიდივე გული იცნობს სავსებით და ყველა თანაუგრძნობს და უყვარს, ისე დიდის ნიჭის ღირსება სრულად ესმის მარტო დიდს ნიჭსა, მარტო ის გრძნობს განსაკუთრებულს პატიოსნებას, მარტო იგი აფასებს ღირსეულად. ასეთს იდეურის ურთიერთობის მაგალითს ვპოვებთ, მაგალითად, გიოტესა[8] და შილლერს[9] შორის. მაშინ როდესაც ბევრნი ში-

ლერს მაღლა აყენებდნენ გიოტეზე, თვითონ შილლერი სრული გულწრფელობით უპირატესობას აძლევდა თავისს მეგობარსა. აკაკის და ილიას შორის პირადს მეგობრობას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ იდეური ურთიერთობა და პატივისცემა კი დიდი იყო. ამ მხრივ აკაკი შილლერს გვაგონებს. წაიკითხეთ თელავში ნათქვამი სიტყვა აკაკისა, კამათი მისი ილიასთან ვეფხისტყაოსნის შესახებ, ბოლოს მისი სიტყვა ილიას დაკრძალვის დროსა და თქვენ დიდს სიამოვნებას იგრძნობთ, როდესაც დარწმუნდებით, რომ აკაკი უპირატესობას აძლევს ილიასა. და ეს მომხიბლავს შთაბეჭდილებას მოახდენს ჩვენს ჩამომავლობაზე. როდესაც გაჭრება ჰორები აკაკის კერძოდ ნათქვამის შესახებ ილიაზე... სწორედ ამის გამო უნდა სწყენოდა აკაკის ფრაზა ბ-ნი ვ. წერეთლისა: „აკაკი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი ლიტერატურაც არ იქნებოდაო“[10]. რითაც მიწასთან ასწორებდა ყველა სხვა მგოსნებს რუსთველიდან დაწყებული ილიამდე.

მაღალნიჭიერნი გვამნი ნამდვილი დემოკრატები იყვნენ და არიან. როგორც მაღალი პსიხიურის აგებულების პატრონნი, იგინი სხვებზე მეტად გრძნობდნენ იმ სოციალურს უსამართლობას და უთანასწორობას, რომლის წყალობით, ზემო კლასები ყარან სიმდიდრისაგან, მშრომელი ხალხი კი ყარს სიღატაკისაგან. გრძნობდნენ და მედგრად ქადაგობდნენ ამ უსამართლობის მოსპობას, გათანასწორობას, ძმობას, ერთობას. ასეთივე ქადაგება ძლიერად გაისმის აკაკის ლექსებში და პროზაში. მხოლოდ იგი კლასთა ბრძოლას თავის სამშობლოში არ ამწვავებს, რადგანაც კარგად ხედავს, რომ ჩვენში სიმდიდრისაგან ახლა აღარავინ ჰყარს და ჩვენებურს კლასს სიღარიბის ნატისუსალი ასდის ყოველად უკუღმართ გარემოებათა მეოხებით. აკაკის იდეალია: აღორძინება მთელის ჩვენის ხალხისა მისი ქართველური თავისებურებითურთ. კუჭმაძღარი ერთფეროვანი ნახირის შექმნა კი ეწინააღმდეგება მთელს მის ბუნებას. ხალხი აკაკის გულწრფელს დემოკრატობას კარგად გრძნობს და ამიტომ უფრო მხურვალედ უყვარს იგი, ვიდრე არისტოკრატებს, თუმცა აკაკი ჩამომავლობით არისტოკრატია.

ზოგს მსოფლიო პოეტს აღმოჩენა მოუხდენია იმისთანა სფეროში, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს პოეზიასთან. გიოტემ, მაგალითად, ბოტანიკა გაამდიდრა იმისთანა აღმოჩენით, რომელიც გენიალურს ბოტანიკოსებსაც კი აზრად არ მოსვლიათ. ჩვენი აკაკის ნამოქმედარშიც მოიპოვება მსგავსი პოეტი. ჰიათურის შავს ქვას არაფრად აგდებდნენ არც ჩვენებურები და არც უცხოელნი, თვით სპეციალისტებს გეოლოგებს იგი მიაჩნდათ უბრალო და უსარგებლო ქვად. მაგრამ ჩვენმა სახელოვანმა მგოსანმა სხვა თვალით შეხედა, ლითონად დასახა ეს ქვა და ამცნო ქვეყანასა და ეს აღმოჩენა გახდა წყაროდ ხალხის გამდიდრებისა.

თვით ნაკლულევანებითაც აკაკი მსოფლიო ტალანტებს გავს. ზოგნი მათგანი მოგაგონებდნენ სახარების ჩიტებს, რომელიც ხვალინდელს დღეზე სრულიადაც არ ზრუნავდნენ: ფული მათ ხელში არ მიეცემოდათ, რად-

განაც ბზესავით აბნევდნენ, და დღეს ფულიანნი, ხვალ უკაპეიკოთ და უსახსროდ რჩებოდნენ. ასეთია აკაკიც. გატაცებულის მაღალი იდეებით, იგი ყურადღებას სრულიად არ აქცევს ცოდვილის ცხოვრების პირობებსა და მუდამ გასაჭირშია. სხვა ხალხის გენიოსებს — ეს ძვირად არ უჯდებოდათ, რადგანაც მათნი სამშობლონი შემძლებელნი ქვეყნები იყვნენ. საქართველო კი ამჟამად გაღატაკებულია, და ამის გამო სახარების ჩიტების მსგავსებას შეიძლება მეტად დიდი უბედურება მოჰყვეს. შეიძლება უდროოდ დავკარგოთ ის, ვისიც მაღალი ნიჭი საარაკო დაუმჭკნარობას იჩენს და ძალუძს გაამდიდროს ჩვენი ლიტერატურა მაღალ-ნიჭიერი ქმნილებებით თუნდა ას წლამდინ...

სამართალი და საზოგადო სიკეთე მოითხოვს ისიც ვთქვათ, რომ ზოგნი გენიოსები, უმაღლეს წერტილამდე ასულნი იდეათა სფეროში, ცხოვრებაშიც ნამდვილნი ბრძენი იყვნენ და ყოველად ღირსეული ღონისძიებით მეტ-ნაკლებობით უზრუნველად ჰყოფდნენ თავის სიბერესა და დამოუკიდებლობასა. ასეთი იყო, მაგალითად, სოფოკლი[11], პირველი პოეტი ძველის უნიჭიერესის საბერძნეთისა, შექსპირი[12], დიდება და ამპარტავნება ინგლისისა, გიოტე, პირველი პოეტი გერმანიისა და სხვანი. ჩვენში ამავე ტიპს ეკუთვნოდა ძველს საქართველოში რუსთაველი, ახალში—ილია, ერთიც და უკანასკნელიც. აკაკის შესახებ ამას ვერავინ იტყვის: იგი მამითაც და დედითაც ნამდვილი ქართველია, და თავისი გენიალური ნიჭით მშვერმეტყველურად მოწმობს ჩვენის ერის ნიჭიერებასა.

ვინც აკაკის ქმნილებებს დაახლოებით გაიცნობს, ვინც შეიგნებს სრულიად მისი მაღალი ნიჭის ღირსებას, დააკვირდება მის საოცრად მაღალსა და განიერს შუბლს, რომელიც უდრის შექსპირისა და გიოტეს შუბლს, იგი უსათუოდ იტყვის — აკაკი რომ ნორმალურს პირობებში და ნორმალურს სკოლაში აღზრდილიყო, იგი მსოფლიო გენიოსების რიგში საპატიო ადგილს დაიჭერდაო, როგორც დაიჭირა პატარა, მაგრამ დამოუკიდებელის ნორვეგიის შვილმა, იბსენმაო[13]. თვით ჩვენს ნიჭიერ ერს რომ ღირსებოდა ნორმალური პირობები, თუნდ ფინლიანდიის ავტონომია, მისი მდგომარეობა ახლა სრულიად სხვა იქნებოდა, და აკაკიც კიდევ უფრო დიდებული მგოსანი შეიქმნებოდა, მაგრამ საუბედუროდ, ის, რაც ჩვენმა ერმა მე-18 საუკუნის დამლევს სასურველ ნავსადგურად მიიჩნია, დახავსებული ჭაობი აღმოჩნდა, რომელშიც ლამის ჩაიხრჩოს. სწორედ ამ ჭაობის ატმოსფერამ დაუშალა აკაკის და მის ტოლს ჩვენებურს მგოსნებს მსოფლიო გენიოსებად გამხდარიყვნენ... ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ უსასიქადულესი მგოსნის ორმოცდაათის წლის იუბილეის მთელი ქართველობა შავი ზღვიდან მოკიდებული დაღესტნამდე აღტაცებით გადაიხდის, და ამ დღესასწაულში მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო დიდნი, არამედ ნორჩი ქართველებიც, რომელთათვის სასიქადულო იუბილარმა შექმნა ბევრად მეტი საუცხოო ლექსები და მოთხრობები, ვიდრე სხვა ჩვენებურმა მგოსნებმა.

აკაკი და „მსოფლიო გოდების“ პოეზია

აკაკის მარგალიტივით აწყობილს ქმნილებას ერთი ჰანგი უფრო გაბედულად და თითქმის განუწყვეტლივ დამღერის, უკეთ ვთქვათ დაჰკვნესის. ამ ჰანგს პესსიმისტური ელფერი სდევს, იგია „მსოფლიო გოდების“ მეთოდი. რომელიც მოისმის დასავლეთის და აღმოსავლეთის პოეტთა ნაწერებში. იმ პესიმისტთა ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნის მეფე სოლომონ — ებრაელი [1], ომარ ხაიამ სპარსელი [2], ბაირონ ინგლისელი[3], ლეოპარდი იტალიელი[4] და სხვანი, უერთდება თანამედროვე ჩვენი პოეტი. ამ დიდებულს მგოსანს. უკმაყოფილო მწერალთა მსგავსად შესისხლხორცებული აქვს განსაკუთრებით სალირიკო პოეზია და თვით დრამა-ეპოსში იგი უცვლელად რჩება გრძნობის მოციქულად და მქადაგებლად. თვით სალირიკო დარგშიაც მის ჩანგს აღერებს ორგვარი სიუეტი: სატირა და ელეგია, ჭმუნვის და გაკილვის სიმები, ანუ როგორც თვითონ გვამცნებს „ცრემლში ნალესი ნაღველი და ნაღველიანი მწუხარება“. იგი ხშირად ემდურის თავის ხვედრს, უბედო თავს, მოსთქვამს მწარედ გულის მოდუნებას და ოცნების გაქარწყლებას. გაუქრება რა ნაზმანები „საამური ჩვენება“, თვალწინ გადეშლება „პირშავი სამშობლოს“ სურათი. აქ, ამ „სოფლად“ შეუწყნარებელია და შეურიგებელია: დაიარება „მარტოკა — ობლად, დევნილი ყველასაგან საქმით და სიტყვით“. პოეტის გულში ჩასახული „იდეალი ვერსად მოინახა“. წინააღმდეგ, მისმა „ეკლით ნაჩხვლეტმა“ არსებამ განიცადა ბევრი ტანჯვა, ვაება: მეგობარმა უღალატა, სატრფომ სხვაზე გასცვალა, ცხოვრებამ ტკბილი წყაროს მაგივრად მწარე სამსალა შეასვა და ასპარეზი იავარდის მაგივრად ჯინჭრით მოუფინა. მოწამებრივმა სევმ პოეტი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა და გულამოსკვნილს ათქმევინა: წარსული აღარ მარგებს, მომავალი მენანებაო. ქვეყნიური ამაოების შეგნებამ გაუღვიძა სიკვდილისადმი მისწრაფება: „ღმერთსა ვევდრებ, რომ მეღირსოს საფლავში დაძინება, სჯობს სულ განქრეს კაცი, რადგან მტვერია“. ამაობათა ამაოება და ყოველივე ამაო[5], ამბობს მეფე სოლომონი. პესსიმისტი ლეოპარდი ამასვე განიმეორებს და იტყვის: მე შევნატრი მიცვალებულთ და, მხოლოდ მათთან მსურს ხვედრის გაცვლაო. ამათ ბანს აძლევს ჩვენი ხელოვანი პოეტი და დაასკვნის გამოცდილი და დაკვირვებული გონების ძალით: „სიცოცხლე არის მონება, და სიკვდილი განსვენებაო“. ამ გვარათ, დიდებული ქართველი მგოსანი წარმომადგენელია იმ სალიტერატურო მიმართულებისა, რომელსაც ეწოდება „მსოფლიო გოდების პოეზია“.

კრიტიკული ესკიზი

ნ. ბარათაშვილი[1], ილ. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი სამებაა, რომელიც წარმოადგენს ქართველი ერის სიწმინდეს, დიდებას, მშვენებას და სიამაყეს — მე-19 საუკუნის განმავლობაში. სამივემ ქართული პოეზია ააყვავეს და ევროპის პოეზიას ამოუყენეს გვერდით. თუ ინგლისელები ამაყობენ ბაირონით[2], ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ბარათაშვილით; თუ ფრანგები ამაყობენ ვიქტორ ჰიუგოთი[3], ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ილია ჭავჭავაძით; თუ რუსები ამაყობენ პუშკინით[4], ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ აკაკი წერეთლით.

ის ერი, რომელსაც შეუძლია ერთ ხანაში ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის წარმოშობა, არ მოკვდება, — ამისთანა ერს დიდებული მომავალი აქვს.

აკაკი წერეთელი განხორციელებული პოეზიაა, ის ქართული ხელოვნების ჰენიოსია. მისი ლირიკა უკვდავია, — აქ მუსიკა და პოეზია ერთათ არის შედუღებული. აკაკი წერეთლის პოეზიაში თავმოყრილია მთელი ქართველი ერის სულისკვეთება, ფიქრი, გრძნობა, მისწრაფება. აკაკი წერეთლის პოეზია — ეს ქართველი ერის ფიქრია, ქართველი ერის გრძნობა, ქართველი ერის მისწრაფება, მისი გულის ნადები. პოეტი, რომელიც ასე სრულად, ასე ღრმად გამოხატავს მთელი ერის სულსა და გულს, ჰეშმარიტათ ჰენიოსია.

აკაკი წერეთელმა პოეზიის ყოველ დარგს დააჩნია თავისი ძლიერი კვალი, მაგრამ შეუდარებელი, სწორუპოვარი და უკვდავი ის ლირიკაშია. აქ აკაკი წერეთელი თამამად შეგვიძლია გვერდში ამოვუყენოთ მსოფლიო ლირიკოსებს. გრძნობა სხვა არის, მისი გამოხატვა, გადმოცემა კი სულ სხვა. აკაკის ნიჭის სიძლიერეც იმაში მდგომარეობს, რომ თავის გრძნობებსა და მათ მიერ აღძრულ ფაქტებს პოეტი იმდენად მკაფიოდ, ნათლად და სრულად გამოხატავს, რომ ჩვენც ვიმსჭვალებით პოეტის ფიქრითა და გრძნობით.

აკაკი წერეთელი ეროვნული პოეტია. მისი პოეზია ქართველი ერის გულის ნადებია და სულის კვეთება. ის მუდამ ქართველ ხალხს, ქართულ ცხოვრებას, ქართველების ბედ-იღბალს დასტრიალებს თავს;—ამავე დროს აკაკის ლირიკა მსოფლიო ლირიკაა. აი ამაში მდგომარეობს აკაკის ნიჭის სიდიადე: ეროვნულს ნიადაგზე მან შეჰქმნა მსოფლიო პოეზია.

პოეზიის გარეგანი სიმშვენიერე აკაკი წერეთელმა უმწვერვალესათ განავითარა; ამ მხრივ მან თითქმის სამზღვარს მიაღწია და ჩვენს მწერლობაში ხომ სწორი არა ჰყავს. როდესაც ჰკითხულობთ აკაკის ნაწერებს, მხოლოდ მაშინ გრძნობთ მეტის სიცხოველით, თუ რა არის ჰეშმარიტი პოეზია და რაში მდგომარეობს მისი სიმშვენიერე. გგონიათ, რომ ყოველი

ადამიანი ისე უნდა ლაპარაკობდეს, როგორც აკაკი წერეთელი სწერს. მე არ ვიცი პოეტი, რომლის ნაწერებში რითმა იმდენად ბუნებრივი და ძალდაუტანებელი იყოს, როგორც აკაკის პოეზიაშია.

როდესაც დაუკვირდებით იმ ენას, რომლითაც აკაკიზე ადრე სწერდნენ და შეადარებთ მას აკაკის ენას, დაინახავთ ნათლათ, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის აკაკის ქართული სალიტერატურო ენის წინაშე. თანამედროვე სამწერლო ენა აკაკი წერეთელმა შექმნა; მან გაამარტივა, გაამდაბიურა, გაამდიდრა, გაამშვენიერა ქართული ენა და ერთნაირად ადვილად გასაგები გახადა ის ყველა ქართველი მკითხველისათვის. არ არსებობს ისეთი გრძნობა, ისეთი აზრი, ისეთი ფიქრი, რომლის მკაფიოთ გამოხატვა არ შეიძლებოდეს აკაკის ენით.

აკაკი წერეთელმა უკვდავყო ქართული პოეზია და ქართული ენა და ამით მან უკვდავჰყო თავისი თავი.

კიტა აბაშიძე

თ. აკაკი წერეთელი

(სალირიკო პოეზია)

I

ქართული რეალური ლირიზმის საუკეთესო წარმომადგენელი აკაკი წერეთელია, რომლის სალირიკო ლექსებზედ გვექნება აქ ბაასი.

თუ გნებავთ გაიგოთ, რა განსხვავება არის რომანტიულსა და რეალურის ლირიზმის შორის, აიღეთ ნ. ბარათაშვილის[1] ლექსები და შეადარეთ აკაკი წერეთლის ლექსებს. ბარათაშვილი ისეთ გრძნობათა შესახებ ლაპარაკობს, რომელთა გამოთქმა „მოკვდავთა ენას არ ძალუძს“, ისეთი გრძნობებით არის გამსჭვალული, „რომელთა სახელი კაცთა ვერ დასდვან“. მისი ფიქრები „ლაჟვარდის ცისაკენ მიისწრაფვიან და მის იქით ეძიებენ სადგურს, მაგრამ იქამდის ვერ მიაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან“. ბარათაშვილს „გულ-დახურულთა მეგობარი“ ბუნება უყვარს და „სწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის“ და ამიტომ განმარტოებულ ფრიალო კლდეზედ მდგარ ალვის ხის ფოთლების შრიალთა სმენა იცის და „მრავალ დროის მოწმე, უტყვის მტკვრის ბუტბუტს მიმართავს სევდიანი ფიქრთ გასართველად“. ბარათაშვილსულით მარტოობას დასტირის, უმაღლესი სასოწარკვეთილებით აღსავსე პირად, ინდივიდუალურ, განსაკუთრებულ, არაჩვეულებრივ გრძნობებს გვისახავს საოცარი ნიჭით; ერთის სიტყვით, ბარათაშვილს პოეტზეკაცად, არაჩვეულებრივ ადამიანად მიაჩნია, პოეზია კი ღვთის „

რად, შესაფარად, უდაბნოდ მდგრად, სად ენთო მარად უქრობელი, წმინდა ლამპარი, ანგელოსთაგან იკვროდა სად დავითის ქნარი და განისმოდა ცრურთ დასთა გალობის ზარი"[2].

აკაკი წერეთელი პოეტსა და პოეზიას სულ სხვაგვარად უცქერის პოეტი ის ფუტკარია (ეს ეპითეტი ძლიერ უყვარს აკაკი წერეთელს და ხშირადაც ხმარობს). დიაღ, პოეტი „ფუტკარია, ხატის ბუზი, ზეცის მუშა, შორს მიფრინავს სამუშაოდ, მიიმღერის, უხარია! ყვავილიდან ყვავილებზე გადაბზუის, გაძმობზუის, აქაც წუწნის, იქაც წუწნის სათაფლ-სანთლო მასალასა, არ იზოგავს ღვთის მოცემულს არც ნიჭსა და არც ძალასა". პოეტი თ. აკაკი წერეთლისა „არც დიდია, არც პატარა, არც ბატონი და არც მონა, არც მიწის არის, არც ცისა, შუა კაცია უბრალო, ხან მიწის არის, ხან ცისა". თ. აკაკი პირად განსაკუთრებულ გრძნობათა გამოსახვას გვერდს უხვევს და მარტო საერთო, საზოგადო, ჰირ-ვარაშზედ ლაპარაკობს. თვით უდიდესი და უძლიერესი ინდივიდუალური გრძნობა სიყვარულისა აკაკი წერეთლის პოეზიაში რაღაც საოცნებო, არაჩვეულებრივ გაჰაეროვნებული არსებისადმი არის მიმართული და ამგვარად ეს გრძნობა სიმბოლიურ სახეს ღებულობს. „მისი სატრფო უწინ ტურფა, დღეს კი ლეჩაქმოხდილი" — ეს ხომ მისი სამშობლოა. ამგვარად, თ. აკაკი წერეთელი გამომხატველია საზოგადო, საერთო ჰირვარამისა და სევდისა. მისი ტანჯვა ხალხის უმეტესობის ტანჯვაა. მისი სევდა და მწუხარება ერის კვნესა-გოდებაა, მისი სასოება და იმედები ერის ლტოლვილებაა და სურვილებია.

ბუნება იმდენად იტაცებს, რამდენადაც საერთო მისწრაფებათა გამომსახველია; სიცოცხლე და სიკვდილი იმისდა მიხედვით ეინტერესება, თუ რა დამოკიდებულება აქვს მის სათაყვანო საგანთან. ამ მხრით თ. აკაკი წერეთლის მწერლობა მეტად ერთგვარია. მთელი მისი ლექსების საგალობელი საგანი ერთი და იგივეა, ერთსა და იმავე ჰანგზედ მღერის; მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეს სრულიადაც არ ამცირებს პოეტის ნაწერების არც ღირსებას და არც მნიშვნელობას. ისტორიულად და ფსიქოლოგიურად სრულიად ბუნებრივია და მისაბვედრი, რომ ჩვენს მგოსანს მარტო ერთი ფიქრი და აზრი უტრიალებდეს თავში. ეს მწერლის მოქალაქობრივ სიკეთესაც ამტკიცებს, ხოლო ესთეტიკურად, ჩემი აზრით, პოეტის ხელოვნება მით უფრო მაღლა არის დასაყენებელი, რამდენადაც ერთსა და იმავე საგახს ღრმად და ყოველი მხრივ დაგვისურათებს.

ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა ცხოვრებაში იმდენად რთულია და მრავალმხრივი, რომ ერთი კაცის ხელოვნება ვერც კი შეძლებს საგნის სიღრმე-სიგანით გამოსახვასა და აღწერას; ამიტომაც, როცა ნიჭიერი პოეტი ერთსა და იმავე მოვლენას რამდენჯერმე შეეხება, რამდენჯერმე აიღებს თავისი გალობის საგნად, მით უფრო დაამტკიცებს ხელოვნების შეგნებასა და უნარს, ვინემ მაშინ, როცა ყოველთვის სულ სხვადასხვა

ჰანგებზედ მომჯართავს თავის ჩანგს და საგნის სხვადასხვა მხარეს დაგვანახვებს.

ამით არც ის მინდა ვთქვა, რომ თ. აკაკი წერეთლის პოეზიას საგნის მრავალგვაროვნობა აკლდეს, ანდა მთელი მისი მწერლობა ერთ საგანს ეხებოდეს. არა, თუ გნებავთ პატარა ლექსები, რიცხვით მეტი. სხვადასხვა საგანს ეხება და არა ერთსა და იმავეს, მაგრამ საუკეთესო ნაწილს თ. აკაკის პოეზიისას და ამ საუკეთესო ნაწილის უმეტესობას საგნად ერთი და იგივე აზრი და ფიქრი აქვს, რომელიც მთელი მოაზრე და გონიერი საქართველოს მთავარი აზრი და ფიქრია.

როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე[3] უნდა ჩაითვალოს სიყვარულის მგალობელ პოეტად, რომელსაც ეს საინტერესო და სიცოცხლის მიმნიჭებელი გრძნობა მოშხამული და მოწამლული ჰქონდა საერთო კვნესისა და გმინვის გამო, ისე თ. აკაკი წერეთელიც იმ „სატრფოს“ მგოსნად უნდა დაისახოს, რომელსაც საერთო არა აქვს-რა ხორციელ სატრფოსთან. მაგრამ პოეტის საოცარმა ნიჭმა განახორციელა, სული ჩაუდგა, ნამდვილ „ცხრა-კლიტულში დამწყვდეულ ნესტან-დარეჯნად“[4] გაიხადა და მისი ტარიელობა[5] თავს იდვა და დღემდე დაუღალავად ისეთივე სიცოცხლით, ისეთივე გატაცებით თავს ევლება ამ „სატრფოს“:

მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არის?
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
ფეხ-შიშველი, თავზედ ღეჩაქ-ახდილი.

სიჭაბუკიდან პოეტი იმაზედ კვნესასა და ოხვრაშია; სტირის უბადრუკი და წარსულს დროებას ოცნებით ეძებს:

მთა კლდეს შეჰბღავის, ჩასძახის ქვესკნელს,
წყალსა მიჰყვირის მსწრაფლ მიმავალსა,
მაგრამ ვერ ჰპოვებს ნუგეშის — მცემელს
და ეშრავლდება წყლული საწყალსა.

რა, ნუგეში უნდა ნახოს ან კი ბუნებაში, როცა ყოველსავეს ბუნებაში და თვის ბუნებას მისთვის ერთი აზრის საზომავით სჭვრეტს პოეტი:

მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,
ქვესკნელი საფლავს და ძვლებს გამხმართა,
რომელნიც ანდერძს მოგვაგონებენ
მსხვერპლად შეწირელთ ჩვენთ წინაპართა.

სიჭაბუკიდან იმ დრომდის, ვიდრე პოეტს „გული წყლული შეექმნა, სული კრული, სახე მჭკნარი, თმა ჭაღარა“, არ არის ისეთი შემთხვევა, არ არის ისეთი გარემოება, რომ თავის საყვარელი სამშობლო არ აგონდებოდეს. პოეტს „თავი ტარიელი ჰგონია ოცნებით გარემოცულსა, უხმობს ფრიდონს[6] და ავთანდილს[7]“, რათა „მხარი მხარს მისცენ, ხელი ხელს, ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს, მოელის ტურფა გამომხსნელს“.

თვით ბუნებაც-კი განხორციელებული თანამგრძნობი მეგობარია მგოსნის, მისი თანამოაზრე. ბუნების მშვენიერება მისთვის მოწამლულია, რაკი გული სევდითა აქვს მობურვილი. მისთვის ციხე ცოცხალი არსებაა, თავისებური პოეტი, რომელსაც „აგონდებოდნენ ტკბილნი დრონი, თვისი პატივის და დიდებისა, ოდეს გმირთა გმირი მისი პატრონი, ჩხუბების შემდეგ გამარჯვებული, პირდაპირ იმას მოაშურებდა“. დღეს კი ეს ამაყი ციხე „ტკბილი დროს მგოსანი, იყო ტანჯვაში და შეპმუხვნილი, ამაყი სახე მას ჩაეხატა მდინარე წყალში“.

ზემოთაც მოვიხსენიეთ, პოეტს „მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ, ქვესკნელნი საფლავს და ძვლებს გამხმართა“.

მუსიკის საკრავები მისთვის იმავე დაჟინებულის აზრისა და ფიქრის აღმძვრელია. როცა მწყემსის სალამური ესმის, რომელიც „გაჰკივის მთა და ველში, ტკბილსა ხმასა ცაში ჰკარგავს და სევდისას შავს ქვესკნელში“ მაშინ პოეტის ფიქრი მის ხმას „გარს ეხვევა, ვითა ძმა ძმას და მისი კვნესა აგონებს საქართველოს მწარე მოთქმას: ხან თათრები აკვნესებენ, ხან თურქები აოხრებენ, ხან სკვითები, დროს შერჩევით, მყუდროებას უშფოთებენ“.

მეზურნის შიქასტას სულ-მოშხამული მგოსნის გული ძგერით თახუგრძნობს, ვით სნეულსა მისივე მსგავსი სნეული და მუდარებით მიჰმართავს:

ახ, მეზურნევ, დაჰკა, დაჰკა!
გამაგონე ეგ სევდის ხმა!
მაგაშია ჩემთა ძველთა
მამაცური ოხვრა-მოთქმა,
გამიხურე ჰანგით გული,
ეგებ დასდნეს მწუხარება,
და ჩემთ თვალთა გადმოსთხიონ
ნაღვლიანი მდუღარება.

მაგრამ იმას კი

ნურვინ ცდილობს, იმ ცრემლებში
ნახოს კერძო სიყვარული,
იქ იქნება საიდუმლო
გულ—გამხეთქი, დაფარული!

თარიც უყვარს ჩვენს მგოსანს, ვითა სიმბოლო საეროვნო მუსიკისა: თარი „გულსაკლავად მკვნესარი, მწუხარების უკუმყრელი რომ არი, სიმები რომ დაიწყებენ ჟღერასა, სული შფოთავს, გული შეიქმს ძგერასა. ყურსა უგდებს უცნაურსა ციურს ხმას, იორკეცებს აღტაცებით გულისთქმას და შორს მიჰყავს მომხიბლავსა ოცნებას.“ ეს ოცნება იმდენად დიდია, რომ იმასაც კი ჰხედავს, ვითომ „არვის ჰმონებს შემკობილი ეს მხარე“.

მისთვის სულ ერთია, სად, რა დროსა და გარემოებაში ესმის მუსიკა. ყველგან და ყოველთვის მუსიკა ერთ ფიქრს აუშლის ხოლმე, ერთს რასმე აგონებს, თითქოს ყოველთვის და ყოველგან მუსიკას, ამ თავისთავად უპირატესად და უგრძნობელ რასმე, მარტო ჩვენი მგოსანი ჰქონდეს სახეში და მისი სამშობლო მხარე; „სიმნი მკვნესარნი სამარის ხმითა ზედ დასტირიან რაღაც საგანსა და უცნაურის თანაგრძნობითა ეს ჩემი გულიც ეტყვის მათ ბანსა“, ამბობს პოეტი ერთ ლექსში, რომელიც რუსეთში უნდა იყოს დაწერილი, და განაგრძობს: „ღმერთო, რად მიყვარს ეს მწარე მოთქმა, ვეტრფიალები ამ ჩემსა ჩანგსა, მხოლოდ ამისი ეს მაცდური ხმა გულს გადამფერავს მოდებულს ჟანგსა. ეს არის ჩემი თანამგრძნობელი, ეს ისმენს მხოლოდ ჩემს აღსარებას, მეალერსება ვითა მშობელი და ცრემლით ადნობს ჩემს მწუხარებას. აი, ეხლაც ჩემი გონება, სიმთ გააცოცხლეს, აამღელვარეს, მომცეს წარსულთა დროთ მოგონება და გარდმიტანეს სამშობლო მხარეს“.

ძლიერ ადვილი გასაგებიცაა, რომ მგოსანი ხშირად გვიხატავს მუსიკის გავლენას მის განწყობილებაზედ. მუსიკა თავადაც რომ არ იყოს ერთი უწარჩინებულესი შტო იმ დარგისა, რომელსაც ხელოვნებას ეძახიან და ღვიძლი ძმაც არ იყოს პოეზიისა, თ. აკაკი წერეთელს მუსიკის გამომსახველი იარაღი, ჩანგი და სალამური, პოეზიის სიმბოლოდ აქვს მიღებული და მათი შემწეობით გვამცნობს დიდ მნიშვნელობასა და ძალას პოეზიისას. თემურ ლენგის [8] ტყვე „გულ-დაღალული, დამწვარი“, ქვეყნის იმედსა და ხსნას არც თვალმარგალიტში ხედავს, არც ცრემლებში, რადგანაც „დამჭკნარი ვარდი ცრემლებით არ განედლდება, არაო, მარტო ცრემლები ქვეყნისათვის საშველად არ კმარაო“, არც ხანჯალში, რადგან იმის გამარჯვების იმედი არა აქვს. ხსნის იმედი მას იმ „წმინდა და დიდ საუნჯეში“ ჰგონია, რომელიც წარსულისა და მომავლის სიცოცხლის გზად და ხიდად მიაჩნია—ჩანგურში, იგი, მისი აზრით, „ქვეყნის ჭირი და ლხინია, სამშობლოს სისხლი და ხორცი, მისივე ნაღველტვინია“. ეს ჩანგური მგოსანს გულზედ დაუკიდია და ვერ გაეყრება, გინდ ბოვლოს ტყვეობით კიდით კიდეო, „მისი სამშობლოს სიცილი და მისი მწარე კვნესაო, ორივე ერთად სიმებმა შიგ გულში ჩაიკვნესაო. მგოსანი სიმებს ჩამოჰკრავს, ხმას ცასა აწვდენს ჰანგებით და ის ხმა ტყვედ ქმნილ ბაგრატსაც მოესმა ღვთისა განგებით, მოესმა: „ბაგრატ გახსოვდეს შენი სამშობლო ტკბილიო, ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს, არ ეთქმის ქვეყნის შვილიო“. ეს ჩანგური ტყვედ ქმნილი მგოსნისა სავსებით სიმბოლოა აკაკი წერეთლის პოეზიისა. ამიტომაც არის რომ ასე უყვარს ჩანგური, რომელსაც მეგობრული კილოთი ემუსაიფება: „ჩანგურო! ჩემო ჩანგურო! ოცნების ზღვაში მცურავო, შენი კრინმანჭი წკრიალი ხელახლად მომეწყურაო, ჯორა გაქვს ია-ვარდისა, სიმნი-ბულბულის ენაო, ფრთები გასხია არწივის, შეგფერის აღმა ფრენაო: მიმაფრენ, მეც თან დაგყევარ, წამის-წამ კიდის-კიდეო! ველარ

მერევა სიკვდილი მე შენსა გადამკიდესო, დიდება შენსა მოვლენას, ციური ტკბილო ძალაო! დაადნა გული შენს სიმებს და სული დაიცალაო".

ჰეშმარიტად სადიდებელია პოეტისათვის მისი ჩანგური, მისი პოეტური ძლიერი ნიჭი, რომელმაც, მართლა რომ უკვდავი გაჰხადა იგი ჩვენი ერისათვის. მართლაც რომ მის გადამკიდეა, სიკვდილი მას ვერ ერევა და ვერც მოერევა, ვიდრე ქართული ენა არსებობს.

II

პოეტს რეალისტს, თ. აკაკი წერეთელს, პოეტზედ სრულებით სხვაგვარი შეხედულება აქვს. მისთვის პოეტის „ღმერთებთან ლაპარაკი" გაუგებარია. იგი სრულებით წინააღმდეგია იმ აზრისა, რომ პოეტს „ცა ნიშნავდეს და ხალხი ზრდიდეს, მიწიერი ზეციერსა", როგორც ამბობს მეორე ჩვენი დიდი პოეტი [10]. თ. აკაკის პოეტი „არც დიდია, არც პატარა, არც ბატონი და არც მონა, გულს ესობა ხან ისარი, ხან სუნნელი ვარდის კონა, ხან უგნურია, ხან ბრძენი, ხან არც ის არის, არც ესა, გარემოების საყვირი, არც მიწის არის, არც ცისა, მის გული, სარკედ ქცეული, ბუნების ნათავხედია, მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ, რასაც შიგ ჩაუხედია; ენაც მას ამბობს, რაც სმენას სხვისაგან გაუგონია, ან თვალს უნახავს და ჭკუას გაუზომ-გაუწონია, თქვენ რომ გგონიათ, არ არის, სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა, შუა კაცია უბრალო, ხან მიწისაა, ხან ცისა"; ამ პოეტს „ცრემლში ულესავს ნაღველი და მელნად ის უხმარია, შიგ თაფლი არის ნარევი და ზოგან ცხარე ძმარია, ზოგს ეტკბილება, ზოგს არა, მაგრამ რა მისი ბრალია? ბულბული ვარდს და ეკალზედ თანასწორ მომღერალია"; საწერლად გული უხმარია, კალმად ენა, „საწვერმახვილო ის არი, ხან სამკურნალო მალამო, ხან სასიკვდილო ისარი, მისი ქება და დიდება, მისი ლხენა და ჭირი ქამანჩაა და სტვირი".

უკეთესი განმარტება პოეზიისა და პოეტისა, რეალიზმის შეხედულებით, ძნელი წარმოსადგენია. რეალიზმის განმარტებით, პოეტი უბრალო მომაკვდავია, დროისა და გარემოების წყალობით „სტვირითა და ქამანჩით" აღჭურვილი, „შუა-კაცია უბრალო, არც მიწის არის, არც ცისა, და ხან მიწის არის, ხან ცისა". ამ მხრით თ. აკაკი წერეთელმა, ახალ განმარტებასთან ერთად, ჩვენს პოეზიას კვალიც დაამჩნია. ერთ ადგილას თ. აკაკი წერეთელი ბრძანებს: „საზოგადოდ მე ხელოვნებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდიო და ისე მიმაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღთაგანი დღიურ ავკარგიანობის საბრძოლველ-სამსახურადაო; თუ რამე ხელოვნური გამომსვლია ხელიდან, ეს ძალაუნებურად და შემთხვევით მომხდარა, თვარა ის ჩემს დღეში არა მქონია ფიქრათ, რომ მომავლისათვის ვწეროო". ამ სიტყვებს ძალაუნებურად უნდა დავეთანხმოთ, იმიტომ რომ თ. აკაკი

წერეთელი აქ მარტო ჩვეულებრივ კეკლუცობის გარდა ნამდვილი გამოსახველია იმდროის შეხედულებისა ლიტერატურაზედ. თ. აკაკი ხომ სამოციანი წლების მწერალთ ეკუთვნის. იმ დროს მწერლობა საზოგადოდ იმ აზრისა იყო, რომ ხელოვნება უბრალო იარაღია დღიური ჟირ-ვარამის „საბრძოლისო-სამსახურისო“, როგორც თვით აკაკი ბრძანებს. მწერლობას (სიტყვაკაზმული მწერლობა გვაქვს სახეში) პუბლიცისტური მნიშვნელობა ეძლეოდა და ამიტომაც რუსეთში და ჩვენშიაც, რუსეთის ზეგავლენის ქვეშ, სიტყვა-კაზმული მწერლობა პუბლიცისტიკად გადაიქცა.

ზემორე მოყვანილ ჩვენი მგოსნის სიტყვებში ცხადად გამოსჩანს ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს რომანტიკულსა და რეალურ ლიტერატურას შორის და ეს განსხვავება არის უფრო ხშირად მიზეზი იმ დაუსრულებელი კამათისა, რომელიც ატყდება ხოლმე ეგრეთ წოდებულ წმინდა ხელოვნებისა და უტილიტარული ხელოვნების[11] მოსარჩლეთა შორის. რეალური ფილოსოფია, და მის გავლენის ქვეშ რეალური ესტეტიკა, არა სცნობს არავითარ საუკუნო და აბსოლუტურ საგნებს. მისთვის არსებობს მხოლოდ განუწყვეტელი ცვლილება მოვლენათა შორის. „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა“-ს რეცეპტზედ შექმნილი, ამიტომაც მისთვის მნიშვნელობა და აზრი აქვს მხოლოდ „დღიურ ავკარგიანობას“.

რომანტიზმი კი, იდეალების ფილოსოფიის ზეგავლენის ქვეშ, „მოვლენათა შორს“ დაფარულ კავშირს იძიებდა. მისი აზრით, ყოველივე ცვალებადი და სწრაფი — მავალი მოვლენა ცხოვრებისა და ბუნებისა გამომხატველია რაიმე დიადი შ ი ნ ა ა რ ს ი ს ა და ა ზ რ ი ს ა, რომლის მიწვდომა და გაგება მხოლოდ ღმერთთან დაახლოებულ ადამიანთ შეუძლიათ, მხოლოდ ზე-კაცთ ეხერხებათ მოვლენათა ასეთი ფარული შინაარსის შეგნება და ამიტომაც პოეზია მათთვის წინასწარმეტყველებაა და პოეტი წინასწარმეტყველი. მათი აზრით, პოეტის მოვალეობაა ბრბოს, ხალხს, უბრალო მომაკვდავს „წინ წარუძღვეს“, ღმერთთან ილაპარაკოს და ამ ლაპარაკის შედეგი ხალხს ამცნოს.

ეს განსხვავება პოეზიის საგანთა შორის ბადებს მიზეზს ზემოხსენებული კამათისას წმინდა ხელოვნების დამცველთა და უტილიტარული ხელოვნების მოტრფიალეთა შორის. პირველთათვის დღიური ავ-კარგიანობა, დღიური ჟირ-ვარამი პუბლიცისტიკის საქმეა და არა სიტყვაკაზმულ ხელოვნებისა და პოეზიისა, ხოლო, მეორეთა შეხედულებით, სწორედ პოეზია უნდა ემსახურებოდეს ამ „ავ-კარგიანობის“ გამტკიცებასა-გაუმჯობესებას.

თ. აკაკი წერეთელი შემცდარია, როცა ამბობს, რომ მომავლისათვის არა ვსწერდიო და თამამად შეგვიძლია მოვახსენოთ, რომ შესაძლოა დიდ ნაწილს მისი სატირებისა და პუბლიცისტური ლექსებისას და წერილებისას აწ უკვე მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდეს, როგორც თვითვე

აღიარებს, მაგრამ მისი სალირიკო პოეზია კი მომავლისათვის არის შექმნილი და მის ლექსებში მხოლოდ იმასა აქვს საუკუნო მნიშვნელობა, რომელსაც საუკუნო დიადი აზრი და ფიქრები აქვს საგნად, ანდა დღიური ავ-კარგი, მაგრამ უკვდავი „ხელოვნებით“ შექმნილი; ერთი სიტყვით. მის ნაწერებში ის არის უკვდავი, რაც უკვდავ და საუცხოო ფორმით არის შემოსილი, ან ის, რასაც ფორმით საუკუნო სიმშვენიერესთან ერთად კაცობრიობის საუკუნო საფიქრალი საგნები აქვს აღებული.

პოეზიის საუკუნო და სამარადისო საგალობელ საგანთა შორის კი იქნება ყოველთვის კაცთა შორის დამოკიდებულება და ამ დამოკიდებულების უძლიერესი, ფატალური და საიდუმლო კავშირი სიყვარულისა: კაცისა და ბუნების დამოკიდებულება, ესე იგი, კაცზედ ბუნების დიად მოვლენათა გავლენა და კაცის სიცოცხლის დასასრული, საიდუმლოებით და საუკუნო სევდით მოცული, სიკვდილი და გახრწნა ჩვენი არსებისა.

სამშობლოს გოდება არ არის საუკუნო და დაუსრულებელი გრძნობა, ვერც სამშობლოს ქება-დიდება და ხოტბის შესხმა წარიტაცებს ყოველთვის მგოსანს. სამშობლოს ტირილი, სამშობლოს ტრფიალი მხოლოდ მაშინ არის პოეზიის საგანი, როდესაც სამშობლო განსაცდელშია, და, რაკი ეს აცილებული იქნება, საგანიც პოეზიისა თავისთავად ჰქრება. აბა მიჩვენეთ რუსის პოეტი, რომელიც სამშობლოს ეტრფიალებოდეს, ანდა რუსეთის მონგოლებისაგან დაპყრობას სტიროდეს, ანდა მის უცხო ხალხის კლანჭებიდან დახსნას ლამობდეს, ან საფრანგეთის მწერალი მიჩვენეთ, ან დღევანდელი იტალიელი, რომ თავის პოეზიის საგნად სამშობლოს გალობა გაეხადოს. უფრო საყურადღებოა იტალიის მაგალითი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც თავისი პოეტების და მწერლების პირით მოსთქვამდა სამშობლოს ბედ-იღბალს.

არის მხოლოდ ერთი მხარე თ. აკაკი წერეთლის პოეზიაში, რომელიც უკვდავად ჰქმნის მის პატრიოტულ ლექსებს (ე. ი. მის საუკეთესო სალირიკო ლექსებს), ეს ის მხარეა, რომ მან სიყვარული სულიერიდან უსულოზე გადაიტანა, თუმცა ეს უსულოც რაღაც კონკრეტულია და ადვილად გასაგები. ის (და მასთან ერთად ილია ჭავჭავაძეც) ამ დიდ სულიერს, ამ ერთ დიდ არსებას — თავის საყვარელ სამშობლოს, ისეთი ენით ელაპარაკება, თითქო ნამდვილი, გულ-წარმტაცი და მომხიბვლელი სატრფო უჯდეს გვერდით. აბა მიბრძანეთ, რა შეედრება მის ტანჯვას, მის სასოწარკვეთილებას, მის სევდას, როცა ხედავს, რომ მის სატრფიალო „თავ-შეხვეულ“ მიჯნურს შეიყვარებს და გულსაც მისთვის აძაგერებს.

რომელი პოეტის სევდას ჩამოუვარდება, თუ არ აჯობებს, თ. აკაკი წერეთლის სევდა მის „ალმართ-აღმართ“-ში?

როცა პოეტი შემცდარსა და მოხიბლულ სატრფოს ემუდარება: „ჭინჭარში ნუ ვარდები, ნუ გგონია მანდ ია და ვარდები, შეიბრალე შენი

თავი, იცოდეს მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდეო", და როცა მისთ სატრფო გულ-გრილად მიიღებს ყოველ რჩევას და ვედრებას დადაგულის მისის მიჯნურისას, მგოსანი, უდიდესის სევდით მოცული, ტანჯული და თავგანწირული, „დაღმართ-დაღმართ დაუყვება წამმალით" და „საუკუნოდ ხელ-დაკრეფით განისვენებს". ლამის აქ, ამ ქვეყანაში, რომელმაც ერთის წუთის წინათ ისე ეშმაკურად მოხიბლა, „სიცოცხლე აგრძნობინა", „სული და გული აუდუღა", რომელმაც ერთის წუთის წინათ აღიტაცა ისე, რომ კინაღამ გულში არ ჩაეკრა მას: ეხლა აქ, ამ ქვეყნად, მისი მიმზიდველი აღარა დარჩენილა-რა და მიიჩქარის იქ, „სად ელიან ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით". ჩვენი პოეტისათვის სიყვარული არც საკურკურო რამ არის, არც მტანჯველი, რომელსაც წყევითა და კრულვით იხსენიებენ; ეს სიყვარული მისთვის თვით იდეალია, თვით შინაარსია ცხოვრებისა, „ცისა და ქვეყნის კავშირი და თან შუამავალი". უიმისოდ მისი ცხოვრება წარმოუდგენელია. პოეტი გამოდის საგმირო სამოქმედოდ და თავს განიწირავს „ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან დასახსნელად იმიტომ კი არა, რომ საყვარლისაგან ალერსი მიიღოს, და დაფნის გვირგვინი, არა. მისთვის ამ საყვარელი არსების გაუგებრობაა სატანჯველი. პოეტს არ შეუძლია ამ საყვარელს იმისთანა კაცის ხელში ხედავდეს, რომელიც „საწამლავში შარბათს ასმევს", რომელიც ვარდებით ეკალში იტყუებს, ეშხით ათრობს, ბოლოს, როცა ბევრის აღთქმით, ბევრის ხერხით ჩაითრევს და შეაცდენს, „ზედ შედგება ფეხით, დაიმონებს, ცრემლებს ადენს, ლეჩაქს მოხდის, გააშიშვლებს, ბანგს შეასმევს, დააძინებს, გამოუზრდის მონად შვილებს და თვითონვე მას დაცინებს". ამ სატრფოს მისი მომხიბვლელისაგან დახსნა, განსაცდელისაგან განთავისუფლება იდეალიც არის და გზაც ამ იდეალამდე მიმყვანი. პოეტის ტანჯვა და ვაება, სიხარული და აღტაცება მითი არის სიმპატიური და თაყვანისსაცემელი, რომ სრულიად უანგაროა, სრულიად არ ემჩნევა, რომ ვითომ უნდოდეს თავისი ტანჯვით იკოხტაოს, რადგან წრფელი გულით იტანჯება, და წრფელ გრძნობას კი კოხტაობისა და პრანჭვისათვის არა სცალიან.

პირიქით, შეხედეთ რა ხასიათის სიმტკიცეს იჩენს პოეტი, რა სტოიკურ დიდებულებას ჩემობს, როცა „ხალხში, ძალად ღრუბელს ადარებს," „მოწყენით მტერს თავზედ არ აცინებს, რომ არა სთქვან მაზედ: „რა ოხერია!" მაგრამ ვინ ჩაიხედავს აქ, მის გულში, ვინ დაინახავს, რა ტანჯვა და წამება ტრიალებს იქ, რა „მწუხარების ალი" სწვავს. დიდებულია ეს ტანჯვა გულ-მკვდარი ადამიანისა, მით უფრო დიდებული, რომ არც შავი თვალების მოღრუბლვას გამოუწვევია და არც პირადი უბედურების გრძნობას, იმიტომ რომ „ვიღას ახსოვს თავისი სატკივარი, თუ სატრფოც ჰყავს იმ დროს მას ცოცხალ-მკვდარი?" ეს ტანჯვა გამოწვეულია ისეთი გრძნობითა და სურვილით, რომლის დაკმაყოფილებისა და აღსრულების უიმედობა ცხოვრებაზედაც კი უარს ათქმევინებს მგოსანს:

ღმერთსა ვევედრებ, ღმერთო, მომეცი ნება,
რომ მეღირსოს საფლავში დაძინება,
სჯობს, სულ განკრეს კაცი, რადგან მტეერია,
ამ ტანჯვისგან საფლავში დამიფაროს.
რომ ამ გულზედ მე მიწა დამეყაროს,
ეგება მაშინ სატრფომ აქ გაიაროს,
ჩემს საფლავზედ ცრემლები დააღვაროს,
რომ სხვებმაც სთქვან: „ხედავ რა მწუხარია“.

მაგრამ იქაც-კი, საიქიოსაც, თავის საყვარელს ვერ განშორდება, იქაც იმ იმედით მიდის, რომ ოდესმე საყვარელი მის საფლავს ცრემლებს დააყრის და, თუ ამას თითონ ვერ გაიგებს, სხვები მაინც დაინახავენ და იტყვიან: ამ კაცის ტანჯვამ ტყუილად არ გაიარა და ბოლოს მაინც ცრემლმა ცრემლი გამოიწვიაო. მართალი უნდა ვთქვათ, ამ მხრით ჩვენმა პოეტებმა ჩინებული და დიდად შესანიშნავი შექსოვა იტვირთეს ორი გრძნობისა: პატრიოტიზმისა და სიყვარულისა; ერთმანეთს ისე შეადუღეს ეს ორი გრძნობა, რომ ერთი მეორის შინაარსად და ფორმად გახადეს, ერთი მეორის აზრად და სიმბოლოდ და ეს ისეთი ხელოვნებით მოახდინეს, რომ ხშირად გიძნელდებათ გაიგოთ, რომელ სატრფოს უგალობს პოეტი, ქაჯებისაგან მოტაცებულ ცხრაკლიტულში დამწყვდეულ ნესტანს, თუ უბრალო, ჩვეულებრივ საარშიყო-სალაღობო არსებას, რომლის გულზედ შემდეგი ზედ-წარწერაა გამოფენილი:

გამოცვლილა სიყვარული
აქ ოთხმოცდა ცხრამეტჯერა.

III

აკაკი რეალისტი პოეტია და, რასაკვირველია, როგორც ეგრეთს, სიყვარულის იმ მხარისათვის უნდა მიექცია ყურადღება, რომელიც რეალიზმის მამამთავრების აზრით, არის ერთადერთი ღირსი ყურადღებისა, ე. ი. ფიზიოლოგიური მხარე ამ გრძნობისა, რადგან, რეალური ფილოსოფიის აზრით, სულიერი მხარე სიყვარულისა შეთხზულია ოცნების მოყვარე იდეალისტებისაგან და რომანტიკოს პოეტებისაგან. ამ აზრს ადგია თ. აკაკი წერეთელიც, მაგრამ სწორედ ამ გარემოებამ, რომ ვარდბულბულიანს იგი ხმარობს სიმბოლოდ დიდი გრძნობის — სამშობლოს სიყვარულის — გამოსახატავად, შეაჩვია აკაკი წერეთელი იმ აზრსაც, რომ სიყვარული დიდი მოთხოვნილებაა კაცის არსებისა და ამიტომ სერიოზულად უყურებს და უფრო ხშირად მის იდეალურ და საუკუნო მხარეს აძლევს ისეთს მნიშვნელობას, რაც არა სჩვევია რეალურ პოეზიას.

ზოგან მგოსანი სიყვარულის ნამდვილ ნატურალისტურ დახასიათებას გვაძლევს. „ეს გრძნობა მის ძარღვებში სისხლს აღელვებს პილპილითა

შეკაზმულს, ხან ჯოჯოხეთს, ხან სამოთხეს წამ-დაუწუმ იცვლის გული!“ ეს შარბათიო, ამბობს იგი, მე რომა ვსვამ, „ხან მწარეა და ხან ტკბილი, და არ ვიცი, რა ვარჩიო მე, სიცოცხლე თუ სიკვდილი“. და თავის თავსვე ამგვარ რჩევას აძლევს: „ტკბილ შარბათსა დაეწაფე, მწარეს აარიდე თვალი, სადაც ვარდი აკოკრდება, იქ ეკალიც ხომ იჩენს პირს. მაგრამ ბრძენი მხოლოდ ვარდს ჰკრეფს, ეკალზედ კი არ ახევს ცხვირს. ქალიც ვარდის ჯაგი არის, ეკალთან აქვს ყვავილები, ორში ერთი აირჩიე, თვითონ ჯაგს თავს რად ევლები!“ მგოსანს საეჭვოდ მიაჩნია, რომ ციური მშვენიერება ქვეყნად გვეჩვენებოდეს „ბროლ-მკერდა, სახე ნათელის, ალვის ხის ტანის არსებაში“, ღიმილი მას მატყუარად მიაჩნია, და მხოლოდ თვალები, ეს შემკრები ფოკუსი სიყვარულის ძალებისა, „თვალები არიან გამცემი დაფარულისა“, „შეყვარებული ლამაზი ქალი სხივმომფენ ვარსკვლავსა ჰგავს“, ვარსკვლავმა უცბად მოწყვეტა იცის და ცის წყვდიადში იღუპება. „მოწყვეტილი ვარსკვლავი — გულგაგრილებული ქალია“; მოწყვეტილი ვარსკვლავის მაგიერი ათასია ცაზედ, მაგრამ მუდამ მნათობად ისიც ნუ გეგონებაო, ურჩევს ჭაბუკს პოეტი. სიყვარულის ფიზიოლოგიური მხარეც აქვს შენიშნული პოეტს, ერთხელ ნახული ტურფა, რომელმაც გული აუძგერა, იყო „პირეთერი, ტანად სარო. სათაყვანო სანეტარო, ბროლ ფიქალზედ ვარდ ღაწვები, ბროლ ბადახში, ბაგე-ლალი, ბაგეთ ტკბილათ დასაწები, შავ ხუჭუჭ-თმა, ნაწნავ-ბევრი, წამწამ ხშირი, წარბებ-ტევრი კერძოდ — ყველა სიყვარული — ერთად სიყვარულის წევრი“. როცა სიყვარულს ქვაკუთხედად ბროლ-ფიქალი აქვს, წარბებტევრი და წამწამი ხშირი, რა თქმა უნდა, იგი ხან მოკლეა და ცვალებადი. სულ დიდი საუკუნე მისი, 10—15 წელია. ამის შემდეგ მარტო სევდით აღსავსე მოგონება რჩება იმ წუთებისა, როცა „მიჯნურის ხელსა სატრფოს გულ-მკერდში ხშირად გაჰქონდა ფართხალი და მის ბაგეთ სატრფოს ყელში კრთოლვით უძებნიათ ხალი; ერთმანეთის ეშხით მთვრალნი სიჭაბუკით ამაყობდნენ და, დრო რომ წლებს უწამლვიდა, იმას კი ვერ ატყობდნენ“; 15 წლის წინათ შვენებით აღსავსე ქალ-ვაჟი, დროისაგან გაძრცვილნი, ხედავენ რომ „უკბილობით ბაგეები მათ პირში შეუვარდათ და ის ყელიც დასჭკნობია, რომელიცა მათ უყვარდათ“. ან კი სხვაგვარად როგორ უნდა იქნეს, როცა „ტრფობის ბუდეა მშვენება, თავდები სიჭაბუკეა და ეს ორივე აკლია, ვისაც ჭაღარა უმკია; სიჭაბუკე და სიბერე ორი სხვადასხვა კიდეა, ერთი რომ ჯაჭვით აბია, შეორე ბეწვზე ჰკიდია. ის გაზაფხულის იაა, გარს ეხვევიან ვარდები, ეს შემოდგომის ფოთოლი, სიო ჰკრავს, ჩამოვარდება. და გაშრა ტრფობის აუზი, გულში ძველი-ღა არხია, მოდგება ცხობისმოყვარე, თან გადმოჰყვება სურვილსა, მაგრამ უკანვე იქცევა, რომ ვერ მოიკლავს წყურვილსა, სიჭაბუკესა მიმართავს, მასთან დაიჭერს კავშირსა, პატარა ნაპერწკალი სჯობს დიდს, მაგრამ ცივსა ნახშირსა“. ეს კიდევ დროის ზეგავლენაა და თუ მარტო ეს იყო სიყვარულის საფლავი, კიდევ არა-

ფერი, მაგრამ სიყვარული ერთგვარი ჟინია, რომლის დაკმაყოფილების შემდეგ ერთობ უგრილდებათ მიჯნურთ გული, იქ თუ წლები იყო, აქ დღეებია სიყვარულის ხანგრძლივობის გამომხატველი. „რაც იყვნენ, იგინივე არიან, იგივე აქვთ ორთავ ძალა, მაგრამ დრომან ხარბი გული გააძღო და მით შესცვალა. ვარდს ეკალი თან ხლებია, იჩხვლიტება მწარედ ხშირად, ტრფიალების ტკბილსა ბადაგს, ნაღველი აქვს თურმე ძირად და ერთმანეთის ეშხით დამთვრალნი“, რაკი გამოფხიზლდებიან, მალე გადაიტანენ ეშხს სხვებზედ, ფიცს გასტეხენ და ერთმანეთს უღალატებენ ხოლმე, და ეს კანონია თვით ბუნებისაგან დადებული, რომლის შეშლა კაცთ არ ძალუძსთ. ამგვარი მალია და სწრაფლ წარმავალი ნეტარება სიყვარულისა, „სიყვარული წამ ტკბილია და ხანგრძლივ მწარე, ჯერ აკვანი ნეტარების, მერე კუბო და სამარე; დღეს მისია, ხვალ სხვისია, უგზო უკვლოდ მოარული... დიდის ხნობით მაღალ გრძნობით ის არავის არ ახარებს და წამიერ სიტკბოებას საუკუნოდ წაუმწარებს, მაგრამ მაინც ყველა ეძებს, ცოცხალი ვით დაიწუნებს, ვინ არის, რომ იმ ერთ წამში არ გასწირავს საუკუნეს?“ ხორციელება სიყვარულისა, წუთიერება ამ გრძნობისა და მისი ცვალებადობა ასე მშვენივრად აქვს დახატული პოეტს. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ტრფობას თ. აკაკი წერეთელი სიმბოლიურ იარაღად ხმარობდა სხვა დიდ გრძნობათა გამოსახატავად; ამ გარემოების გამო თვით სიმბოლიურ იარაღსაც სხვანაირად დაუწყო ყურება და სიყვარულის იდეალური მხარეც ნათლად და მშვენივრად დაგვანახა.

სიყვარული ჩვენი მგოსნისათვის სრული ნიჭია, „გულსა, მისგან დახაზულსა, ველარ ჰკურნებს დრო და ჟამი“. ამგვარად, სიყვარულისაგან გამოწვეული ტანჯვა დაუსრულებელია, რომელსაც დროც კი ვერ სცელის და სიყვარულისაგან მოძულებული არსება მარტო ხორცით კი არ ობლდება, არა „სულსაც სტოვებს საწყლად, ობლად. ამ ობლობის სამკურნალო ერთი მხოლოდ საფლავია. სიყვარული „წამ-ტკბილი და ხანგრძლივ მწარე“ მგოსნისათვის სამოთხის ძალია, ურომლისოდაც სიცოცხლე ავია.

სიყვარული ერთგვარი მონებაა, მაგრამ ეს მონება არასოდეს არ დაამცირებს არავის. შვენების ღვთაებისაგან ჯაჭვით დაბმული ნეტარობს და გაიძახის: „ვიშ, სიყვარულო! ჩემს გულსა რა ტკბილი ჯაჭვით დაებიო“. „სიყვარული არის სჯული, ტრფიალება — წმინდა ლოცვა, მოტრფიალთა საუბარი არის დიდი აღსარება, მათი ხვევნა, მათი კოცნა, საიდუმლო ნეტარება“. აქ, თუ გნებავთ, პოეტი თვით სიყვარულის ფიზიოლოგიურ მხარეს იდეალური შუქით მოსავს, რაკი ბუნების საიდუმლოების გამომხატველად გარეგან გრძნობის ხორციელ მხარეს სახავს.

სიყვარული უძლეველი რამ ძალია, უკვდავი და სრული, რომელიც ბოლო ჟამს სიტკბოების წამს ნაღველ — ძმარად გარდაექცევა კაცს. სულს აწვეთებს შხამს და გულს მით უწვავს, „რომ მისგან მარად აწ

მიეფარა“ და სიყვარულის დამკარგავს „ოცნება უქრება, ვნება ეშხამება და სიცოცხლის გაქრობაც სანატრელად უხდება“. თუ სიყვარულისაგან გამოწვეული ტანჯვა სიცოცხლის მომშხამველია, თვით სიყვარულიც „ყოველ სნეულებაზედ ძნელია, შეყვარებულთათვის ნათელიც კი ბნელია, აგრძნობინებს უცნაურს რაღაცა ციურს ძალსა, და ეს ბიჭი სიკვდილ-სიცოცხლის სწორად ჩასათვლელია; ან ავად და ან კარგად გარდაქმნის ერთი-ორად, იმისდა მიხედვით, თუ რა ღირსებისაა სატრფო საგანი; თუ შეხვდა ღირსეულ სათაყვანოს, სიყვარული მას განუმტკიცებს გონებას, აუმაღლებს მით სულს“. რაც ბუნებითად მასში კარგი მოიპოვება, აყვავდება, იხარებს, ვითა უმანკოება, „ვითა სხივი ცით მნათობის გაანათებს ქვეყნად ბნელსა, ისე ესე სიყვარული განუქარვებს ჭირსა ძნელსა, სოლომონის სიბრძნეს მისცემს, სამსონისა ძლიერებას და, გინდ შავი დღეც დაადგეს, არ მოაკლებს ნეტარებას“. „მაგრამ თუ შეხვდა უღირსს, ზნეობითად დაცემულს, ვაი იმის სიცოცხლეს. საფლავამდე დაშხამულს“. ხანდისხან თ. აკაკი წერეთელს სიყვარულისა გრძნობა იმ ხარისხამდე აჰყავს, ისეთ სამეფო ტახტზედა სვავს და ისეთი შარავანდედით ამკობს, რომ ბარათაშვილის გარდა ვერც ერთ ჩვენ ლირიკოსს ვერ უკისრებია ეს. თუ ხორციელება სიყვარულისა თ. აკაკის უნდა აღეწერა, როგორც რეალისტს პოეტს, თქვენ ხედავთ, რომ ამ მხრით იმდენ ძლიერებას კიდევ ვერ იჩენს, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე, ხოლო, როცა სიყვარულის მაღალ მხარეს ეხება, უფრო ძლიერ ნიჭს იჩენს ჩვენი პოეტი და, თუ ვერ ბარათაშვილობს, ყოველ შემთხვევაში გენიოსი პოეტის მაღალი შეხედულების ღირსეული მემკვიდრე ხდება, „შენ, სიყვარულო! — ამბობს აკაკი, — ცისა და მიწის კავშირო და შუამავალო, შენ, რომლის ერთ წამს, იმ სანეტაროს, მზა ვარ, სიცოცხლე მთლად განაცვალო, შენ, ვისაც უგნურთ უმეტესობა (დააკვირდით ამ სიტყვებს, თუ რომანტიკოსის მედიდურება არ გამოსჭვივის მასში) ვერ გიგრძნობს, ვერც გცნობს, მხოლოდ ცილს გწამებს“.

და შენ მაგიერ შენი სახელით
ის აღიარებს პირუტყვულ წამებს,
შენდა და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო,
გამოუთქმელო კაცთა ენითა,
შენგან მგოსანი ფრთებ-შესხმული ვარ
და მონავარდე აღმაფრენითა.

დამერწმუნებით ამის შემდეგ, რომ სიდიადე და მშვენიერი სულიერი მხარე ამ დიდი გრძნობისა ჩვენს პოეტს სავსებით ჰქონია შეგნებული. თან ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მისთვის ყოვლად შეუძლებელია თუნდაც ერთი წუთი ისეთი თავდავიწყებისა, რომ სიცოცხლის საგანი თვალ-წინ არ ედგას. მისთვის ყოველივეს იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი თავს ევლება მისი აზრისა და ფიქრის სამარადისო საგანს. თუ სატრფო უყვარს, რომელსაც საქვეყნოდ უცხადებს: „შე-

მსჭვალული ვარ მე სიყვარულით, მსურს გული მხოლოდ შენთვის ვაძგერო და გეტრფიალო სულით და გულით-ო", ეს იმიტომ, რომ ის არის ქალი, „ჭეშმარიტი გრძნობით აღვსილი, რომ აასრულა მშობელის ვალი და გამოზარდა მამულის შვილი". „შენ გენაცვალოს კეკლუცი ყველაო", ეუბნება ასეთ სატრფოს მგოსანი „ოხერიც იყოს მათი მშვენება".

მე შენ არ გეტრფი მშვენებისათვის,
არც თითები გაქვს ბროლივით თლილი,
მე გიამბორებ ხელზედ მისათვის,
რომ მაგით გეპყრა მ ა მ უ ლ ი ს შ ვ ი ლ ი,
შენ მკერდს ვემთხვიო, მაქვს მე სურვილი,
თეთრი რომ არის, მისთვის კი არა,
არა... მისთვის, რომ მ ა მ უ ლ ი ს—შ ვ ი ლ ი,
პეშმარიტ დედას მაგ გულში გეპყრა.

მგოსნისათვის ჩალის ფასადაც აღარ ღირს ქალის მშვენება, თუ გინდ იგი იყოს „თვით სარკე ხელოვნებისა, შემკული გარეგნობითა, „რომელიც" თვალსა სჭრის და გულს იტაცებს ანდამატურის ძალით" — ასეთს ქმნილებას პოეტი მაინც ვერა სცემს თაყვანს, „მიტომ რომ მისსა მშვენებას აკლია გვირგვინ — ბეჭედი, აწმყოში სულის ჩამდგმელი და მომავალში იმედი — ეს არის ნერგი ოცნების, ღრმად გულში ჩამარხულისა, სახის ა ღ მ გ ზ ნ ე ბ ი ბ ე ჭ ე დ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა".

ეს აზრი და გრძნობა ისე აქვს გამჯდარი ძვალ-რბილში ჩვენს მგოსანს, რომ თვით უძლიერესის ტრფობის წამები გარეშე ამ ფიქრისა ვერ წარმოუდგენია, როცა იგი სატრფოს იწვევს: „უდაბურსა უცხო მხარეს გადავფრინდეთო, იქ შევეტკბოთ ორთავ მყუდროთ, მტრედებივით დავიბუდოთ, რ ო მ ს ი ა მ ი თ, მ ა რ ტ ო დ მ ა რ ტ ო ნ ე ტ ა რ ე ბ ი თ განვლიდეთ დროთო, მაშინ ერთის გულის თქმითა შეთანხმებით და ლოცვითა ღმერთს ვაეედროთ, საქართველო იცვას ისე, როგორც ცვიდაო".

ამაზედ უფრო შორს წასვლა აღარ შეიძლება ერთი რისამე აჩემებასა და დაჟინებაში. სამშობლოს სიყვარული, ეს ის წერტილია, რომელიც რადიუსებით შეერთებულია თ. აკაკი წერეთლის პოეზიის ყოველ ანბანსა და სტრიქონთან. ეს ის მზე არის, ის პლანეტა[12], რომელსაც გარს ახვევია მთელი დაუშრეტელი წყარო მისი ლექსთა წყობისა; ეს ის კანდელია, რომელიც ანათებს თ. აკაკის არა თუ მთელ ნაწარმოებს, არამედ იმის ნაწარმოების წყალობით მთელ არე-მარეს ჩვენი ღარიბის ლიტერატურისას; ეს ის ვარსკვლავია, რომელიც დღე და ღამ თვალწინ უდგას პოეტს; ეს ის უხილავი ანგელოზია, გინდა ნაზი ღმერთი პოეზიისა, რომელიც ჩასჩურჩულებდა პოეტს ღვთიურ სიტყვებს მისი ლექსებისასა; ეს ის საღმრთო ჩანგია, რომელსაც უხილავი რამ ძალა უწყობდა სიმებს, და რომლის ჰანგებზედ იყოლებდა მგოსანი ჩვენი ლიტერატურის და-

მამშვენებელ გალობას, კვნესით და გოდებით აღსავსეს, ქებათ-ქებას საყვარელის სამშობლოსადმი, რომლის მწუხარე და სევდიანი კილო და თანაც იმედითა და სასოებით აღსავსე ჰანგი სამარადისო მშვენებად შეიქმნა ქართულის პოეზიისა.

კაცთა შორის დამოკიდებულება იმდენად ეინტერესება ჩვენს პოეტს, რამდენადაც იგი გამომხატველია „სულთან გულის გადამბმელის ძალისა“, რომელიც ყოველთვის თვალ წინ უდგამს ქართველს ფერ-მიხდილ საქართველოს; ბუნებასა და კაცთა შორის დამოკიდებულებაც ამაეე საზომით იზომება. რამდენადაც ბუნების სურათი აღმძვრელია ეროვნული გრძნობისა და რამდენადაც იგი სამშობლოს ბედის სიმბოლოა, მბოლოდ იმდენად არის საინტერესო. აი, თუ გნებავთ, საქართველოს ისტორია ამგვარად აღწერილი:

მზე ჩაესვენა ბრწყინვალე ქართლის
და მან დაჩრდილა მიწ არე-მარე,
დაბნელდა... მაგრამ მაინც მის ბეღზედ
ბოლოს გამოჩნდა შუქ-მფენი მთვარე,
ლაჟვარდ ცაზედა წუნარად მცურავი
პირ — ბადრი, ნაზი, პირ — მომცინარე,
და მას თან ახლდა მის თანამსრბოლი
ერთი ეარსკვლავი მოსხივ — ცისკარე,
მაგრამ ამ დროსაც მოულოდნელად
აღმოტყდა სუსხით რისხვის გრიგალი,
აღმოსავლითა გადმოიტანა
შავი ღრუბელი დიდი, დიდ — ძალი:
ცა-მოწმენდილი, ლაჟვარდოვანი
დაიფარა და დაბნელდა არე!
ვით გველეშაპმა მზეთ-უნახავი,
ისე ჩაყლაპა ღრუბელმა მთვარე.

და ამ სურათს თვითვე აგვიხსნის მგოსანი: „აი სურათი ქართლის ბედისა, როდესაც განქრა მისი თამარი“.

მთელი ბუნებაც საქართველოსი, მისი წამების უტყუარი მოწამეა და ან კი როგორ აუაროს გვერდი პოეტმა ყოველ ნაბიჯზედ თვალში წამოჩხირებულ ფაქტს:

მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,
ქვეყნელი საფლავს და ძვლებს გამხმართა,
რომელნიც ანდერძს მოგვაგონებენ
მსხვერპლად შეწირულ ჩვენ წინაპართა.

ბუნების სანახაობა თითქო ჩვენი ბედის სურათიაო.

„აი მდინარე აქაფებული ქვე მიაქანებს ასწლოვან ხეთა, მალ-მალ ტალღით სცემს განრისხებული და სურს დაგლეჯა კლდოვანთ კიდეთა, რომ სწრაფლ მორეცხოს მან სისხლი ძველი, მის კიდეებზედ გადა-

თხეული, მაგრამ კიდეთა შეუკრეს ხელი და მის გამოა აღელვებული“. განა თუ ეს სურათი არ არის იმავე ლეჩაქ — მოხდილის და ფეხშიშველის ნესტან დარეჯანისა, ქაჯთაგან ტყვედ ქმნილისა, ხოლო სხვაგვარად კი დახატული. მაგრამ აქ ცოტას შევცდი, ეს არის სასურველი სურათი და არა სურათი ნამდვილი. სინამდვილე კი სხვას გვეუბნება: ტურფა, ცხრა — კლიტულში ჩაკეტილი, სრულიადაც არა ჰგავს მდინარეს, რომელიც მისგანაა აღელვებული, რომ კლდეთ შეუკრეს ხელი, წინააღმდეგ, რამდენად უფრო ძლიერად უჭერს ხელს, იმდენად უფრო მოსვენებით გრძნობს თავის თავს, იმდენად უფრო განცხრომაშია და დამშვიდებული. ამიტომაც, ეს სურათი პოეტის ოცნებაში ჩასახული საგნისაა და არა უტყუარი რამ ნამდვილი.

პოეტს ბუნება თავის თანამოაზრედ მიაჩნია, მისი ფიქრისა და აზრის სრულ მეგობრად ისე, როგორც ჩანგი და ზურნა მიაჩნია მისი სევდისა და კვნესის გამომსახველად: ბუნებას თითქო ესმოდეს მგოსნის კვნესა და გოდება, თითქო ისიც ლეჩაქმოხდილი სატრფოს სიყვარულით იყოს გაგიჟებული, თითქოს მასაც შეეძლოს ჰყავდეს ასეთი სატრფო და ამ სატრფოს ნესტან დარეჯანი ერქვას; ბუნებას აი რა დიდი საქმე უკისრია; „თუ გნებავთ გაარჩიოთ წმინდა ბრე წინაპრების და მტრების ბილწი მტევრი“, თვალ-ყური ადევნეთ, თვით ბუნებას განუსაზღვრავს ესა: „იქ ეკალიც ამოდის; სადაც მტერი მარხია, და სადაც ჩვენმა ძველმა წმინდა სისხლი დაჰღვარა, აქ მოდის ყვავილები და ზოგანაც ვარდის ხეა“.

ბუნება კიდევ უფრო სიცხოველესა და გრძნობიერებას იჩენს, კიდევ მეტად განსულიერებულია და განხორციელებული პოეტის ხელში, როცა „გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს, მამა-დავითსა ავედრებს, აბარებს ქვეყნის მოყვარეს, მთა-წმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა, მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს თავდადებულის საფლავსა. დადუმებულა მთა-წმინდა, ისმენს დუდუნსა მტკვრისასა, მდინარე ნანას უმღერის რაინდსა ურჩსა მტრისასა“. თქვენ კარგად იცით ვისი საფლავია ეს, დიდებული განძი დღევანდელი საქართველოსი[13], და აწ თქვენთვის ადვილი მისახვედრია, რომ დაუღალავი მგოსანი თავის სამშობლოს ერთ სურვილს, ერთ თხოვნას უცხადებს ქვეყანასა და ბუნებას, იმ ბუნებას, რომელიც ასეთ მეგობრობას უწევს მას, ასე უჭერს მხარს. ეს თხოვნა დიდი არ არის, პოეტის თქმის არ იყოს: „დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო, ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!“ და ვინ იცის საიდუმლოება ბუნების მოვლენათა, ვინ იცის დაფარული კავშირი მოვლენათა, ვინ იცის, იქნება ეს სამშობლო მიწაც კმაყოფილი იქნეს და ბედნიერი ისეთი მგოსნის დასაკუთრებით, რომელმაც შეიძლება უსულო ბუნების ფიქრებიც კი სავსებით შეიგნო.

როგორც სიყვარულს, ისე ბუნებასაც პოეტისათვის მხოლოდ მაშინა აქვს მნიშვნელობა, თუ იგი დიად საგნის მოტრფიალეა, ნიადაგ მასზე ფიქრებით აღსავსე, თორემ სხვა სულ ერთია მგოსნისათვის და „ბუნება გაზაფხულზედ საპატარძლოდ მორთულია და ჰფეთქს მის ძალი, ზამთრით გამოღვიძებული, რაც კი ქვეყნად გაჩენილა, უენოა თუ აქვს ენა, სულიერსა, თუ უსულოს საზოგადო ჰქონდესთ ლხენა“.

პოეტის გაზაფხული თუ არ მოსულა ჯერაც კიდევ, არას დასდევს, „თუნდ ხმელეთიც აბიბინდეს და აჰყვავდეს კიდის კიდე“. შესაძლოა ბუნების სიმშვენიერეში მგრძნობიერმა მგოსანმა დაინახოს, რომ „ქვეყნიერად გადმოსულა სასუფევლით სიყვარული, იწვევს ყოველ სულიერსა, რომ მიჰმადლოს სიხარული, ცას და დედამიწას შეამყარებს ეს ქორწილი“ — ეს მისთვის რა ხელსაყრელია? — მხოლოდ მას ერთს ამ ფერხულში არა აქვს წილი, „სანამ მისი საყვარელი ქაჯებსა ჰყავთ ცხრაკლიტულში, ვინ აღირსებს სასუფეველს, ჯოჯოხეთი უძევს გულში“.

სიყვარულის გრძნობის არ იყოს, თ. აკაკი წერეთელმა მშვენივრად იცის კავშირი ბუნებასა და ადამიანს შორის, გამოუცდია მისი გავლენა ადამიანზედ. „ბუნება მისთვის შემოქმედების სარკეა, და ნეტავ თუ იყოს ქმნილება; სჭვრეტდეს და არ გრძნოს მან ნეტარება“. მასაც უგრძვნია სიმწარე სულით მარტოობისა და ხშირად მიუმართავს ბუნებისათვის, როცა მის საბრალო გულს უგრძვნია საჭიროება გრძნობის გამოთქმისა, მჭირდავი კაცის თვალისათვის ზურგი შეუქცევია, მარტოობა ამოურჩევია, „და მთა, კლდე, ტბები, მდინარე, ველი, მიწა და ქვანი გაუხდია მისის კვნესის მოწმედ“, უგრძვნია — რა ტკივრთი დაფარული ტანჯვისა, მისი ვისთვისმე გაზიარება მოუწადინებია და უსულო საგნებისათვის შეჩივლება გადაუწყვეტია, ეგებ მათ მაინც იგრძნონ მისი სიმწარე. ბედს მისთვის ერთი მხოლოდ ბუნება „დაუნიშნავს მუდამ — ნუგეშად“, ჩვეულებრივად ტკბება ბუნებით და გაიხარებს, „ქვეყნად ყურს უგდებს ტკბილი ბუნება და ზეცით ეშხით დაჭათის მთვარე და სევდისაგან გარე მოდებულს ბნელს გაუნათლებს მას სალმრთო ელვა!“ ამგვარი გამეგობრება ბუნებისა ჩვენთვის ნაცნობია, ბარათაშვილიც ხომ დამაფიქვრელ, ვერან, უდაბურ მთაწმინდას მიჰმართავდა ხოლმე კაცთა უგულობით დეენილი და მტკვრის დუდუნს დაეკითხებოდა თავისი ქვეყნის ისტორიას. ჩვენი პოეტიც ნუგეშსა და იმედს ხედავს ბუნებაში, ხანდისხან ის წმინდა პანთეისტურ ექსტაზში მოდის, როცა ტკბილ ნეტარებით შეზავებული სანახავობა ბუნებისა „სალამოს ხანზედ სამოთხისაკენ იტაცებს გულსა, რომ საიდუმლო სასიქადულო კაცსაც ბუნების შეატყობინოს და, სადაც ჭკუა სცდება და სტყუა, იქ მარტო მხოლოდ გულს აგრძნობინოს“, მაშინ პოეტი გრძნობს, „რომ არის ზეცა აღსილი რაღაცა ძალით საგზნობით და ეს ქვეყანა, ყოველგნით ყოველგან თავს უხრის შემქმნელს მადლით საგრძნობითა“. მაშინ ბუნება ხორცშესხმულ არსებად წარმოუდგება: „დახეთ ამ მთვარეს, სხივმომფი-

ნარეს, თითქოს ტკბილ სევდით ივსებსო გულსა, მოკაშკაშენი, მოჩიქჩიქენი ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა, ძალთა დიდება, შექმნათა ქება არს საიდუმლო მათი სიმღერა! ქვეყნით ბუნება, ბანს ეუბნება და ეს ბანია მის გულის ძგერა, ყვავილთა ენა არს სუნნელთ ფშვენა, საგალობელად აღმა კმეული, წყალთა ჩქრიალი, ფოთოლთ შრიალი, ბალახთ ბიბინი რაღაც გრძნეული. ბუნების მაყურს, საქორწინოდ სულს ეკავშირება, ზე ემატება და ეხლა ის გრძნობს საიდუმლოდ სცნობს, რომ არის კაცში ღვთისა ხატება!“ ასეთი პოეტური ფილოსოფიით და ფილოსოფიური პოეზიით არის აღსავსე აკაკი წერეთლის შეხედულება ბუნებაზედ, მაგრამ არა მარტო ლირიკული მხარე დაგვიხატა მან ბუნებისა, ე. ი. არა მარტო ბუნების მოვლენათა შინაგანი კავშირის გამოფენა იდვა თავს, არამედ გარეგანი ბუნების მშვენიერი სურათებიც მოგვცა. ასეთი არის შესანიშნავი ადგილი „თორნიკე ერისთავიდან“ ბრძოლის წინ დილის აღწერა:

ვითა ეთერი მზეთუნახავი,
საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს,
სახეს ვარდის ფრად იღებავს გრძნობით
და იელვარებს სურვილით თვალებს,
ისე განთიადს ცისკრის ვარსკვლავი
ლაჟვარდ ცაზედა კაშკაშით თრთოდა
და ფერ-მიხდილად ნათელ-ძღიერი
მზისა ამოსვლას ეშჭით შეტრფოდა.
თითქოს ქვეყანაც, მით მოხიბლული,
გამსჭვალულიყო მისის თანგრძნობით
და უგალობდა „ციურ ნანინას“
საიდუმლო და უცნაურ გზნობით.
სუნნელთა მფენი დილის ნიავი,
ბალახთ ბიბინი, ფოთოლთ შრიალი
ბანსა აძლევდნენ ღვთიურს ნანინას
და ათანხმებდა მათ ძალთა-ძალი.
ციურის ნიჭის მისაღებელად
ვარდმა კოკობმა თავი ახარა;
ცრემლად დაეცა გულზედ მანანა,
ააელფერა და გააბარა!....
თურმე ბულბულიც ამას უცდიდა:
თავისებურად იწყო მან სტვენა,
თითქოს უნდოდა, მით მოეტანა
ცოდვილ—ქვეყნისთვის კურთხევა ზენა!
მაგრამ ამა დროს საზარელის ხმით
უცბად რაღაცამ დაიგრიალა
და მით სიხარბემ ჯოჯოხეთისამ
გამოიჩინა ბოროტი ძალა.
შეიქმნა ბუკის, საყვირის ცემა,
ასტყდა ჰიჰყინი, ზურნის საზარი...
აჰა, თენდება და ემზადება
სისხლის სათხევლად ორიენ ჯარი.

პოეტმა ბუნებასთან ადამიანის კავშირი საუცხოოდ და სავსებით დაგვიხატა. ხოლო ისეთი მშვენიერი ლექსით დაგვისურათა ბუნების ძლევამოსილი გავლენა სიყვარულის გრძნობაზედ, რომ უკეთესის წარმოდგენა ძნელიც არის. გულდათუთქულ საყვარლის საფლავის მაძებარს „ვარდი ნიშნად თანაგრძნობისა თავდახრით შეეგება და ცვარ-მარგალიტი ციური დაბლა ცრემლებად დაყარა, სულგანაბულმა ბულბულმა შეიფრთქიალა, ყვავილს ნისკარტი შეახო, ჩაიკვეს-ჩაიჭიკჭიკა, თითქოს თქვა „დიახ, დიახო; — მოციმციმე ვარსკვლავმა სხივები გადმოყარა და იმ დროს ყურში ჩურჩულით ნიავმა გაახარა". ამგვარად მისი სიყვარულის თანამგრძნობი, მისი გრძნობის ეხო თვით ბუნება შეიქმნა. ცა, დედა-მიწა და პირუტყვნი:" „სამათ დაშლილი ის ერთი: ვარსკვლავათ, ბულბულ, ვარდათო" და იმ დღიდან ტრფობის ქურუმი მგოსანი

.ბულბულს ყურს უგდებს, ვარდს ყნოსავს,
ვარსკვლავს შეჰყურებს ღრენითა
და, რასაცა გრძნობს ის იმ დროს,
ვერ გამოუთქვამს ენითა.

ამგვარად, დაარსდა საუკუნო კავშირი მგოსანსა და ბუნებას შორის, მათ შორის მეგობრობის ხიდი გაიდვა და, ვინ იცის, იქნებ ეს სამად დაშლილი სიყვარული იგივე მისი სამარადისო სატრფოსადმი გრძნობაა, რომელსაც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე აგონებს ცაზედ ვარსკვლავი, ირგვლივ ტყე, ბუჩქნი და ვარდი მისი მიჯნური ბულბულით; თვალს მოციმციმე ვარსკვლავი აგონებს სატრფოს, ქაჯებისაგან მოტაცებულს, მის ყნოსვას ვარდი და ია აღვიძებს და იმავე სატრფოსაკენ მიახედვინებს, ხოლო მის სმენას ბულბული ატკბობს და ჩასძახის ზეციურ ჰანგებს მოძმეთა გასაღვიძებლად.

სიყვარული, ბუნებასთან კავშირი და სიკვდილ-სასიცოცხლე — აი დიდი საგნები, რომელსაც ეხება მსოფლიო ლირიკა და ქართული ლირიკული ლიტერატურაც აღსავსეა მაღალ-ნიჭიერ და დიდებული ლექსებით, რომელთაც აქვს შინაარსად ბუნებისა და სიყვარულის გამოხატვა. მაგრამ სიკვდილ-სიცოცხლე კი ნაკლებ იპყრობდა ქართველ მგოსანთა ყურადღებას. არც ჭავჭავაძეები, არც ორბელიანები, არც ერისთავები[14] არ შეხებიან ღრმად ამ საგანს. ეს კიდევ არაფერი. ქართველი ერის სულის კაეშნის გენიოს ბარათაშვილის ყურადღებასაც კი არ იქცევდა ეს მძიმე საგანი, მხოლოდ ერთხელ, ისიც წერილში და ისიც რუსულ ენაზედ — აღგვიწერა საიდუმლო სევდა სიკვდილის სიმბოლოს სასაფლაოისა, თორემ ლექსში ერთი სიტყვაც არ უთქვამს. გასაოცარია, რატომ იზიდავდა ასე სუსტად ეს საგანი ჭმუნვით აღსავსე ჩვენს მგოსნებს, რომელთაც ყოველივე ხელს უწყობდა სიკვდილზე ეფიქრათ, სიცოცხლე დაეგმოთ და სიკვდილს მიგებებოდნენ როგორც დამხსნელ ძალას. მეშინია თქმა,მაგრამ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ

ეს არის მისი ბრალი, რომ ქართველები მეტად ნაკლები ფილოსოფოსები ვართ. ძალიან გვაკლია სიღრმე ბუნებისა, ამიტომაც გვერდს უვლის ჩვენი ლიტერატურა თვით უდიდესსა და უმძიმესს საგანს პოეზიისას, რომელიც უცხოელ ლირიკოსთ ყოველ მხრივ აქვთ დახატული. არც თ. აკაკი წერეთლის ჩანგს მოუცლია სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოების აღსანიშნავად, ამ მოვლენისაგან აღმძვრელი გრძნობების გამოსახატავად. მისთვის, როგორც ყოველივეს ამ ქვეყნად, ისე სიკვდილსა და სიცოცხლესაც მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც მთავარი აზრის გამოხატვას შველის. სიცოცხლე იმდენად მიაჩნია საჭიროდ, რამდენადაც იგი ემსახურება სამშობლოს. სამშობლოსთვის თავგანწირული მგოსნის სიცოცხლეს იგი ხატის წინ ანთებულ სანთელს ადარებს.

ის საიდუმლო პარპალით
ბნელს ფანტავს თვისი ნათელით,
მყუდროდ, უხმოდ და უძრავად
დნება, ვით მსხვერპლი დიადი,
რომ მადლით გაასპეტაკოს
თვალ-უწდომელი წყვედიადი!
მივსჩერებივარ ამ დიდ ძალს
ჟწარ ტკბილად ჩაფიქრებული
მეცა უსიტყვოდ, უძრავად,
ცის სვეტად გაქვავებული;
რაღაც უცნაურ ერთობას
ვხედავ სანთელს და ჩემ შუა,
მხოლოდ ვგრძნობ... თვარა ვერ სწვდება
ჩემი ჰკუა და გონება;
სანთელი მგოსნის ხორცია,
სიცოცხლე — მოკლე პატრუქი,
ნათელი — ჰკუა გონება,
იმათგან გამონაშუქი.
ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა
და რომ ვიწოდე, ვდნებოდე,
არ შევიძლია მეც განა?
კი მაგრამ, — (განაგრძობს სევდა
მორეული პოეტი)
მნათე არსად სჩანს
ჩემთან მოშტანი ცეცხლისა,
ის მოციქული მომავლის
მსგავსი პიკჩიკა მერცხლისა.

ყოველივე განმარტება ამ მშვენიერი ლექსისა მეტია, თქვენ ნათლად ხედავთ აქ სიწრფელესა და სიდიადეს მაღალი გრძნობისათვის თავგანწირულებისას.

სიკვდილი თ. აკაკი წერეთელს მიაჩნია რაღაც არასანატრელად და

ორ ჰირში ერთის არჩევას ამჯობინებს, მხოლოდ დღე-ნიადაგ იმას იმეორებს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“ და იმაზედ კი თავის დღეში არ დაფიქრებულა პოეტი, თუ სიკვდილის წინაშე ან სახელოვანი სიცოცხლე რა არის და რა ფასი აქვს. გაბიაბურებულსა და მოტყუებულ სატრფოს, ლეჩაქ-მოხდილს, გაშიშვლებულს და ფეხით გათელილს ეუბნება:

იცი მე რას გირჩევ,
ვით სნეულსა და ავადმყოფს?
თუ ორ ჰირში ერთს აირჩევ,
გარყვნას ისევ სიკვდილი სჯობს.

საფლავისკენ თუ მიისწრაფის, იმიტომ, რომ „შავ საფლავამდე მტრობა ვეღარ ჩაჰყვება ძალმიხდილ მკვდარსა და მცილებელთა შავნი საქმენი ფერს ვერ უცვლიან თეთრსა სუდარსა“. სიკვდილი განსვენებაა „გრძნობათაგან“, რადგან საუკუნო ძილით განსვენებული ვეღარასა გრძნობს. თუ პოეტი „საფლავისაკენ მიეშურება“, იმიტომ, რომ იქ „იხილავს ის განსხვავებას, უგრძნობლობითა იმ უმწარტკბილით ბოლოს მოუღებს რა მოთმინებას საუკუნოსა უფსკრულის ძილით“. ნაღვლიან მგოსანს, რომელსაც შავ-ბედი ეწვია და ფრთებდაკვეცილმა ოცნებამ მთლად წაუწყმიდა იმედი და სიცოცხლე გაუმწარა, ასე ურჩევს გონება:

დააცხრე გულის ვნებაო,
სიცოცხლე არის მონება,
სიკვდილი განსვენებაო.

თ. აკაკი წერეთელმა პოეტი ფუტკარს შეადარა, ბზუილა მოუსვენარსა, რომელიც „დაბზუის, დაფრინავს, ქვეყანას თაფლუჭს უმზადებს და სანთელს უნთებს ზენასა, და, ვინც ხელს უშლის შრომასა, იმის დროზედ კბენასაც არ იშლის“. არც თ. აკაკი წერეთლის მუზას მოუშლია დროზედ კბენა ხელის შემშლელისა. თ. აკაკი წერეთლის სატირაც, როგორც რეალური, ბევრად განირჩევა რომანტიულისა და კლასიკური სატირისაგან. თუ კლასიკური სატირა[15] სასაცილოდ ხდიდა კაცის საზოგადო ნაკლულევანებას (სიძუნწეს, სიმხდალეს, სიბოროტეს და სხვა) და რომანტიკოსებს თავიანთი კბენის ღირსად მარტო ბოროტი სულები და ღმერთები მიაჩნდათ, თ. აკაკი წერეთელი უფრო მდაბიურ საგნებს ეხება. უმეტესი ნაწილი მისი სატირისა პირადობას ეხება და ხშირად მეტად რიგიან პირადობასაც. ამგვარი სატირა, უნდა ვთქვათ, თ. აკაკის სუსტი მხარეა. მისი „კბენის“ მსვერპლნი გამხდარან ისეთნი, რომელთაც თავის დღეში მისი შრომისათვის ხელი არ შეუშლიათ. საკმაოა გააჯავროს პოეტი ვინმემ, ბრალიანია თუ უბრალო იგი, რომ პოეტმა თავისი შხამიანი ისარი მომართოს; სხვას გარდა, ამ შემთხვევაში, იგი ისეთ დანა-

შაჭლსაც კი ჩადის. რომ თავის დიდებულ თანამეკალმესაც არ დაინდობს ხოლმე. და ამისათვის მის სატირას უფრო ხშირად კერძო პირადობა აქვს ხოლმე, რის გამო უკომენტარიოდ ძნელი გასაგებიც არის. სწორედ ეს დარგი მწერლობისა უნდა ჰქონდეს თ. აკაკის სახეში, როცა წერს: „უმეტეს ჩემ ნაწერს დღეს იმდენად დაკარგული აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც დრო და ჟამი იცვალა და მხოლოდ მაშინ იგულისხმება, როცა მოვიხსენიებთ იმ გარემოებას, რასაც გამოუწვევია ჩემი მხრით რომელიმე გვარი მწერლობა“-ო. თუ აქ თავისი პუბლიცისტური და სატირული ლიტერატურა ჰქონდა მხედველობაში თ. აკაკის, სრული ჭეშმარიტებაა სწორედ. მაგრამ ამ დარგშიაც მოიპოვება ერთგვარი ლექსები, რომლებშიაც თ. აკაკიმ მისი ნიჭის საუკეთესო მხარე გამოიჩინა. ეს გახლავთ მისი არაკები. მართალია, როგორც საზოგადოდ, ისე მისი არაკებიც გადმოკეთებულია, მაგრამ აქ სწორედ გადმოკეთება ნიშნავს გადმოჭართულებას. ეზოპის[16], ლაფონტენის[17] და კრილოვის[18] არაკების შინაარსი ნამდვილი ქართული მოტივებით აქვს გადმოცემული და სწორედ დიდი ხელოვნებითაც (მაგ. „დემიანოვა უხა“ — „ჰირველეული თამადა“ აკაკისა). არაკებშიაც სწორედ იმათ უნდა დავუთმოთ უპირველესი ადგილი, რომელიც პოეტის მთავარ აზრს ეხება. ამათში კი შედევრად „ალექსი“ უნდა ჩაითვალოს, რომლის ეგრეთ წოდებული მორალი ეს უნდა იყოს: „მელა კუდულა და მასთან მურა, რომლებიც წელან მეგობრათ სწამდა. მრისხანე ძალით, თვალის ბრიალით ულრენდენ და თან ილეწდენ კბილებს! და მაშინ ცხვარმა, შიშით შემკრთალმა, ცრემლით ურჩია საბრალო შვილებს: აწ კი გვმართებს, ამ მინდვრებს და მთებს გამოველხოვოთ — მონა ვართ მელის... გვაწევს ღვთის რისხვა, ს ა ნ ა მ ა ნ ჩ ვ ე ნ ს ხ ვ ა ა რ გ ა მ ო გ ვ ი ხ ს ნ ი ს და ა რ გ ვ ი შ ვ ე ლ ი ს... ვმონოთ ჯერ შავბედს, ნუ ვკარგავთ იმედს: სოფელი ბრუნავს ალმა და დალმა. რომელმაც ჩვენ არ მოგვასვენა — ეგებ დაგლიჯოს მელაც იმ ძაღლმა და ჩვენც მაშინა... ჩუ! შემაშინა რაღაც ჩვენებამ, ამბობს „ფრთხილათო!“ ჯერ ვსხვერპლი უნდა უმანკო წმინდა, განსაწმენდელი შვილისშვილადო. ეს რა წარმოთქვა. ყელს შეიბა ქვა ნიშნათ მონების... დადუმდა ცხვარი ძირს თავდახრილი — იწყო ტირილი... დღესაც არ ჰჭრება იმის ცრემლთ-ღვარი, იმ არე-მარეს, ჩაგრულ მწუხარეს გულ მოსაკლავად რწყავს ის ცრემლთ ღვარი.. და რომ შეაშროს ის ცრემლი ერთ დროს, მისთანა გმირი ჯერ არსად არის.“

ამით ვათავებთ ჩვენ თ. აკაკი წერეთლის პოეზიის შესახებ ბაასს. ჩვენ არ ვეხებით არც მის პროზას, არც მის პოემებს, არც მის დრამატიულ ნაწარმოებებს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენი წერილის უმთავრესი საგანი სალირიკო ლექსებია და მეორეც იმიტომ, რომ პოეტის ნიჭი, რომელმაც შექმნა დიდებული ნაშთი და ღრმა კვალი გაატარა ჩვენს ცხოვრებაში, სწორედ ამ ლექსებში გამოიხატა სავსებით. მისი ისტორიული პოემა „თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატი“, დრამა „თამარ

ცბიერი“ და „პატარა კახი“, მისი „ბაში-აჩუკი“, ერთი და იმავე აზრით აღსავსენი, სულ სამშობლო ისტორიის იდეალიზაციაა და ამ მხრით იგინი ნამდვილი რომანტიული ნაწარმოებნი არიან და მარტო პოეტის პირადი შეხედულების გამომსახველი. ეს პოემები და დრამები გვარწმუნებენ, რომ ძველ საქართველოს მზეზედ არც ერთი შავი ლაქა არ ყოფილა, ყველანი მხნენი იყვნენ, გულადნი, მამაცნი, ყოველი სიკეთითა და მშვენებით აღსავსენი. ბერი ბერობას არ კადრულობს, პოლიტიკური მოღვაწეა და თავგანწირული მოწამე, მეფე ისე ადვილად სწირავს თავის გვირგვინთან ერთად თავის თავს და სკიპტრასთან ერთად—სულს სამშობლოსათვის, თითქო ფლავის ჭამა გადაეწყვიტოს. ზნე დაცემული დედოფალი, ვნებათა ღელვის უძირო ზღვა, თვალის დახამხამებაში იცვლება ანგელოზად და სწირავს არა თუ თავის ვნებას, თავის სიცოცხლესაც შეურაცხმყოფელ სატრფო მგოსანს და მისი აზრის განხორციელებას შველის. ომში ყოველთვის ერთი ქართველი ათასზედ იმარჯვებს, სიბრძნეში და ომის ტაქტიკაში ქართველები სჯობიან. ეს ყველა გაზვიადებული და პოეტის ოცნებით შეფერადებული წარმოდგენაა სინამდვილისა. თქმა არ უნდა, დიდი გმირული სული უნდა სდგმოდა იმ ერს, რომელმაც ამდენ აოხრებას გაუძლო, მაგრამ ისიც მართალია, რომ, თუ დიდ გმირებს გვერდით დიდი სულით დაცემულები არა ჰყოლოდა, ჩვენი ბედის ჩარხი სხვა რიგად დატრიალდებოდა.

მე მგონია აკაკიზე რისამე მთქმელს და ამ ნათქვამის გამგონესაც თავში უტრიალებს ერთი აზრი, ეს აკაკის და ილიას შედარებაა. ეს სურვილი სრულიად სამართლიანია და კანონიერი. ორი დიდი მწერალი, წარმომადგენელი ჩვენი ტურფა მხარის, ორი საუკეთესო კუთხის (იმერეთის და კახეთის) ბალა-უნებურად აღგიძრავსთ შედარების სურვილს და, რაკი შედარება იქნება, ადამიანს აზრად მოუვა, რომელი მათგანი სჯობია, ან უმაღლესათ სდგასო.[19] მაგრამ ამ საკითხზედ პასუხის გადაჭრით მიცემა ყოვლად შეუძლებელია.

ხშირად შემიდარებია ქართლისა და იმერეთის ბუნება. კორტოხის იქით მწირი ბუნებაა; გაშლილი ველი, ერთფერი და ერთგვარი, ირგვლივ მთები და გორაკები გაცრცვნილი და ქვა-კლდით აღსავსე, შუაში მდორე და მღვრიე „მრავალ დროის უტყვი მოწამე“ მტკვარი „მიბუტბუტებს“, აქა-იქ ციხე ქალაქთა ნანგრევი მოსჩანს, ცა როგორღაც გახუნებული ფერის არის, იმერეთის ლაჟვარდ ცასთან შედარებით, მწვანეს როგორღაც გადამწვარის, გამხმარის ფერი ადევს. მაგრამ ყოველივე ეს თქვენში ღრმასა და აღმოუფხვრელ, წარუხოცველ შთაბეჭდილებას იწვევს, თქვენი გული სევდითა და ვარამით ივსება, თქვენი თვალის წინ იშლება სურათი ჩვენი ტანჯული სამშობლოისა, თქვენი თვალი თითქო აგრე ხედავს ათასგვარი ხალხის ჯარს, რომელსაც თავისი ძლევა-მოსილი მსვლელობა აღუსრულებია საქართველოზედ და თავისი მტრობისა და გამარჯვების სამარადისო კვალი ცეცხლითა და მახვილით აღუნიშნავს

ჩვენი სამშობლოს ავანგარდის გულმკერდზედ. ეს გაცრცენილი მთები, ეს ციხის ნანგრევები, დროთა ვითარებისაგან ძაძით შემოსილი, თითქო ბედკრულ სამშობლოს გლოვენო; ასე გგონიათ, გუშინ იყო დამწვარი და გადაბუგული მონგოლთა და სპარსთაგან: ეს სანახაობა საუკუნო მჭუნვარების ბეჭედს ასვამს თქვენს გულს, თქვენ გულსა და გრძნობას იტაცებს ეს აოხრებული მიდამო და ღრმათ ჩაგაჩნდებათ ხსოვნაში სასიცოცხლოდ და სასიკვდილოდ.

ამ „ჯართა ველზედ“ თქვენ ხედავთ, რომ ერთი ციხის ნანგრევის გვერდით თავმოყრილია მცხოვრებნი, თითქო წიწილები კრუხს შეჰფარებიანო (შედარებაც აკაკის არაკიდანაა), რაკი ყვავ-ყორანის უცნაური ჩხავილი გაიგონესო, ერთმანეთს მიჰკვრიან, რომ მტერს თვალი აუხვიონ და, თუ აღარა გაეწყობა-რა, მერე ერთი ძალით შეებრძოლონ. აქვე შუშის ღუღუნს გაიგონებთ, იმ უცნაურ კვნესითა და სევდით აღსავსე ღუღუნს, „მწუხარეს ვით გლოვის ზარსა“, რომელიც „თუ სევდას მობერს დაჩაგრულს გულსა, უკუჰყრის კიდეც, ვით ქარი ღრუბელს“. ეს ღუღუნი გამომხატველია მთელი საუკუნოების ქართველის ტანჯვით შემოსილი გოდებისა და კვნესისა, ეს ღუღუნი აღმოსავლეთის პესიმიზმის ნათესავია, იმ პესიმიზმის, რომელსაც ბუდა[20] და ქრისტე[21] ჰყავდა მოციქულებად—იგი ერთხმივია, მონოტონური, მაგრამ ამასთან ღრმა გულის ძირიდან აღმონაკვნესი „ნაღველ-ძმრით“ შეზავებული, და ერთხელ გაგონილი საუკუნო სამახსოვროდ რჩება სმენასა და გონებას. მთელი ეს ბუნება, ბუნების ნაწილი-ტყე და ველი, კაცი და მისი სიმღერა და ლაპარაკი მელანქოლიითაა აღსავსე. თავდაპირველად კაცს თითქო კიდევაც გულგრილადა და ნაწყენად სტოვებს, მაგრამ თანდათან თავისი ერთგვარი ღრმა სევდიანი სახით ჰიპნოტიურის ძალით ხიბლავს და იზიდავს ადამიანს და ბოლოს ჯამარადისოდ იმონებს. ასეთი არის, ბატონებო, „განდეგილის“ ავტორის პოეზია.[22]

სულ სხვა აზრია კორტოხის აქეთა ბუნება. ყოველი ნაბიჯი სულ სხვადასხვა სანახაობას წარმოადგენს: აგერ ველი, აგერ მინდორი, აგერ გორაკი, აგერ მდინარეებით დასერილი ხეობა, ხე, ტყე და მწვანე ბალახი ათასფერია; მართალია მწვანეა, მაგრამ ეს მწვანე ათასგვარი ტონისა, ნიადაგ მოცინარი და მხიარული ბუნებაა. აქ ნანგრევებიც კი სულ მწვანე ხავერდითაა შემოსილი, თითქო დარდი თავის დღეში არ ეგემოს და სადღესასწაულოდ მორთულიყოს, აქ მდინარე ანკარაა და ჩქარი, გატაცებული ეკვრის გულში ტურფა მიდამოებს, მისი სარკე წყალში იხატება „ცა-ფირუზ“-„ხმელეთ-ზურმუხტი“. აქ ადამიანთა მოსახლეობა ერთი მეორეზედ მოშორებით არის, თითქოს ბუნების სიმშვენიერით გამაძღარ კაცს კი სჭირდებოდეს თავისი მსგავსის სიახლოვე, აქ ზამთარშიაც კი ია-ვარდი ჰყვავის.

ამ მხარეს რომ შეხედავ, ასე იფიქრებ, კაცს აქ თავის დღეში სევდა სიზმარშიაც არ უნახავს და კვნესის ხმა შორიდანაც არ მოსმენიაო.

აქაური სიმღერა ცელქი და ცქრიალაა, კრიმანჭულებით აღსავსე ადვილად მისახვედრი და გასაგები, მაგრამ ადვილადვე დასავიწყებელი. სულ მთლად ერთიანად ამ სანახაობას არც სიღრმე აკლია და არც აზრი და მშვენიერების რამ ღმერთია. ასეთი სურათი თუმცა ისეთ ღრმასა და მშმუნვარე ბეჭედს ვერ ასვამს კაცის სულსა და გულს, მაგრამ სამაგიეროდ უეცრად გხიბლავთ, თავს გაყვარებთ, იგი თავისი სიცხოველით სასოებისა და იმედის აღმძვრელია და ჭირსაც კი სიცილით უხვდება. აქ „უსულონიც და უასაკონიც“ კი იცინიან და მხიარულობენ, ჩიტნი გალობას ამბობენ, ფოთოლნი ტაშს უკრაენ და მდინარეც კი, თითქო ლეკურს თამაშობსო, მარდად მისრიალობს სიცილ-კისკისით, ეშმაკურად უვლის ზურმუხტით შემოსილ მიდამოს და თითქო ყურში უჩურჩულებს ტყესა და ველს, ქვასა და კლდეს: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებსო“.

ასეთი არის, ბატონო, პოეზია იმ ტრილოგიისა, რომლის მადლიცხებული ავტორი სიყმაწვილიდან „აღმართ-აღმართ მიდიოდა, მოხიბლულის და შემცდარის სატრფოს სანახავად“ და მისის გულგრილობით დადაგულმა „ნახევარი სიცოცხლის გზა გალია, სიტკბოზედა მწარე მეტი დალია, მაგრამ მაინც არ შორდება მწუხარება და ჭირი“, და ბოლოს თუმცა თავი „უბედურად“ დასახა, რაკი სატრფო მისი მტრად გარდაექცა, მაგრამ გული მაინც არ გასტეხია, გაზაფხულზედ მაინც „მერცხალი“ შეუფრინდება ხოლმე, „გაზაფხული, გაზაფხულიო“ — შესძახებს, „გულს იმედი დაესახება და სასოებაც ფრთას გაშლის“ ხოლმე და გამამხნევებელი ფიქრებით მოცულია; „ახლოს არის მომავალი, მოესწრება, რაც უნდოდა ზამთრისაგან დაჩაგრულსა, ნახავს ქორწილს ბუნებისას, გაიგონებს მის მაყრულსა, დაჰყნოსს ვარდსა გადაშლილსა, უკვრეტს ნაზად დახრილ იას და ბულბულიც გააგონებს ძველებურად ტია, ტიას“.

თ. აკაკი წერეთელი ერთი იმ სამ დიდ პოეტთაგანია,[23] რომელნიც აცისკროვნებენ ამ საუკუნის ჩვენ ლიტერატურას. პირველი ამ პოეტთაგანი „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“[24] დაუსრულებელი თავგანწირულებითა და ლმობიერებით აღსავსე სასოწარკვეთილებისა და კაეშნის მგოსანი იყო. მეორე კი მხნე და მამაცი მგოსანი იყო. „დღეინდელობით“ აღშფოთებული, მისი მედგარი და სასტიკი მსჯავრის მდებელი: წყევითა და კრულვით მომხსენებელი იმ ცხოვრებისა, რომელსაც უწოდებდა „ცოდვის სადგურს, სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს განსაცდელსა მას ეშმაკისასა, სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ, ვითა მპარავი და მტაცებელი, სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია, სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა, სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა, სად თვით სიტურფე და სათნოება ეშმაკის მახე და ცდუნებაა“.[25]

მიუხედავად ასეთი მკაცრის შეხედულებისა ცხოვრებაზედ, „განდე-

ვილობის“ მაინც უარმყოფელი იყო და წინასწარმეტყველი ნუგეშისა და იმედის სიმბოლო „შვიდფერიანის სარტყელის ცისა“. ეს დიდი პოეტი ჩვენის ერის შეგნებულის უმცირესობის მედროშე იყო: ხოლო მესამე კი თვით თ. აკაკი წერეთელი, მთელი ჩვენის მცირედაც არის, გონებაში ჩახედულის ნაწილის სასოებისა და უიმედობის, ტირილისა და სიცილის „სარკეა“. მთელის უმეტესობის სევდა-ოხვრისა და სიმღერა-გალობის მეჩანგურეა და მესალამურე; ბულბულია დღედაღამ განუწყვეტლად მყეფარი სატრფო ვარდის „დაზრობის“ გამო; უნუგეშო ტარიელია, „რომელსა ცრემლი სდის შეუშრობელი“ ნესტანის ქაჯთაგან ცხრაკლიტულში დამწყვდევის გამო. იგი „ფუტკარია, ბზუილა მოუსვენარი, ხატის ბუზი, ზეცის მუშა, რომელიც სულსა სწირავს და გულს უძღვნის ღვთის და კაცის ტკბილ სამსახურს და, ვინც ხელს უშლის შრომის დროს, მხოლოდ იმისი მკბენარია“. იგი ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში „სანთელი“ იყო, რომელიც „საიდუმლო პარპალით ბნელს“. ჰფანტავს თავის ნათელით და მყუდროდ, უხმოდ და უძრავად დნება, ვით მსხვერპლი დიადი, რომ მადლით გაასპეტაკოს უწდომელი წყვდიადი“.

მაშინ რაკი ასეა, დაე, მთელი მისი ქვეყანა, ე. ი. მთელი მისი ერის გული, მადლობით აღსავსე გული, მგოსნის სახატედ იყოს, რომელშიაც ექნება მას სამარადისო და ხელუხლებელი ბინა ერის თანაგრძნობისა და სიყვარულისაგან აღგებული თაყვანის-ცემისა და დიდებისაგან შეხურული.

ნარკანი (ნიკო კურდღელაშვილი)

აკაკი პარიზში

მას შემდეგ, რაც აკაკი პარიზშია, იქაურ ქართველობას განზრახვა ჰქონდა აკაკისათვის თავისი პატივისცემა და სიყვარული გაეზიარებინა. გვინდოდა მოგვეწვია სხვა და სხვა მოწინავე რედაქციათა წარმომადგენელნი, თუ პოლიტიკური მოღვაწენი საფრანგეთისა (ორი-სამი). მაგრამ ასეთი ფართე განზრახვა ოცნებად დარჩა. ხოლო 2 დეკემბერს (ახალი სტილით) მოვახერხეთ მცირე სერობის გამართვა აკაკის პატივსაცემად. სერობას დაესწრო აკაკი თავისი შეუღლით და შვილით... და შთელ პარიზში მყოფი ქართველობა 50 კაცამდე. სერობა გამსჭვალული იყო ქართულის ელფერით და ერთსულოვნებით, რამაც აკაკიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შიგა და შიგ სიტყვებიც ითქვა.

კნეინა კატო მიქელაძის სიტყვა: „დიდო მგოსანო! დღეს ჩვენთვის უცხოეთის ცივი უჩვეულო ატმოსფერა თბილსა და საამ-ტკბილო გრძნობათ შეიცვალა ჩვენს გულში, და თავი სამშობლოში

გვეგულება, მხოლოდ უფრო განათლებულსა და ბედნიერში. ის, რაც ბავშვობიდან სატრფიალო საყვარელი იყო ჩვენთვის, აქ გვყავს იგი, ჩვენი ერის ბურჯი, სათაყვანო აღმზრდელი.

50 წელიწადი იბრძოდი ჩვენი ტანჯული სამშობლოს გამოსახსნელად, ჩვენი ეროვნული ცხოვრების ასაღორძინებლად. ამ ნიადაგზე ერთხელაც არ შეგიწყვეტია არც შენი უკვდავი ჩანგის ჟღერა და არც მამულიშვილური ბრძოლა. კავკასიის მთებიდან შენი „დაფი და ნაღარა“ სხვა და სხვა ხმაზე გაჰკიოდა, რომ სასოწარკვეთილ და მიძინებულ ერისათვის ძილი დაეფრთხო და კვლავ სასიცოცხლო გმირული სული შთაგებერა. ბავშვები გებრალებოდით და ჩვენი სამშობლოს ტანჯვას იმდენად სუბუქად გადმოგვცემდით, რამდენადაც ნაზი იყო თვით ჩვენი მაშინდელი გრძნობა, ბუნება. ამისათვის ერთი და იგივე შინაარსი წლოვანებისა და გვარად ხვდებოდა ჩვენს გულს.

ჰაუ, ჰაუ, ქორო ნუ ფრენ ამ ეზოში დილ-დილასო,
ვერ მომპარავ, არ გაგატან ჩემს პატარა წიწილასო.

გვაფხიზლებდი შენ ოდესღაც, შენს პატარა მკითხველს.

კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო და მტრები კი ყვავ-ყორანი.

ეუბნებოდი დიდებს; და შენი სხივოსანი ბასრი ისრებით დიდო პოეტო, არღეველი წყვდიადს, გულს უჭრიდი ამ ყვავ-ყორნებს და ერეკებოდი მიჯაჭვულ სამშობლოს ტკივილების შესამსუბუქებლად. ამ ბრძოლაში რამდენი დაბრკოლება არ გეღობებოდა წინ, რამდენი სიმწვავე არ განუცდია შენს ღვთაებრივ ცეცხლით აღგზნებულს გულს? მაგრამ შენი დიადი უკვდავი სულიერი ძალა, იმდენად ძლიერი იყო, რამდენადაც ჩლუნგი და უსიცოცხლონი შენი მოპირდაპირენი:

შეუმზადო მით ქვეყანას თაფლი, ზეცას სანთელიო,
რომ აქ წმინდათ შეიწიროს და ანათლოს აქ ბნელიო
ვინც მე იმ დროს ხელს შემიშლის ქვეყნის მტერი ის არიო,
და მისთვის მაქვს შომართული გესლიანი ისარიო.

დაჰკიოდი მათ, და ვაი იმ ურჩს, რომელსაც შენი მჭრელი ისარი მიზანში ამოიღებდა. საქართველოს ცამ უკვე გუნდრუკათ[2] გადმოგაკმია[3] თავს შენგან შემზადებული სანთელი და ხალხის სახელით პატარა გოგონამ თაიისი უმანკო ნორჩი გულით მოგიძღვნა შენდამი თაფლათ ჭცეული ხალხის გრძნობები, რათა სამარადისოდ დაიტკბო, გმირო მგოსანო, ხანგრძლივი ღელვით მრავალ მწვავ განცდილი მებრძოლი გული. აღსრულდა, დიდო მგოსანო, შენი შორს მჭვრეტელობა, რომლითაც გვასულდგმულებდი ჩვენ:

ნაშთი ძველი დიდებისა არ გამქრალა ჯერაც ცველა
დღესაც მისი შარავანდით ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა.

და ეგ ნიშანი ისე არასოდეს არ უნახავს საქართველოს, რაც მან თავისი დამოუკიდებლობა დაჰკარგა, როგორც შენს საიუბილეო დღესასწაულში. ერმა, რომელმაც თავისი უკიდურეს მონობის დროს წარმოშობა აკაკი, იმ ერის მონობის ჯაჭვის ქვეშ დარჩენა შეუძლებელია. ამირანი შეტოკდა, შეინძრა შენდა პატივსაცემათ და ამით თავის სიცოცხლის ძალაც დაგვანახვა, ყვავ-ყორნები დააფრთხო მისმა შენძრევამ. ვხედავთ უტყუარს ნიმუშებს შენი წინასწარმეტყველების აღსრულებისას:

მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს დასწყვეტს გმირთა გმირი,
სიხარულით შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი.

ამ ნიშნით შევკრებილვართ დღესაც აქ, და გთხოვთ ძიიღოთ, დიდო მგოსანო, ჩვენი გულითადი მადლობა იმ მამულიშვილური და ფაქიზი გრძნობებისათვის, რომელთაც გვიღვიძებდა შენი უკვდავი ჩანგის სიმთა ჟღერა, როგორც ადამიანს და როგორც ქართველს. მოგილოცავ რა სასურველათ დაგვირგვინებულს დიადს მოღვაწეობას, სასოებით ვსვავ შენს სადღეგრძელოს და ვისურვებ მრავალ წელს გვყავდე თავ-მოსაწონებელ ნიმუშათ, ჩვენო სიამაყევ, ჩვენო დიდებავ!

მსურს დროს წარეტაცო შენგან განვლილი
მრავალი წელი მწარ-ნაღვლიანი,
და სიჭაბუკეს სიცოცხლის ძალა
მარად ცეხლ-მფრქვეველი იმედიასა.
ორთავე ერთათ მსურს დაგიბრუნო
ძვირფას სიცოცხლის სადღეგრძელებლად,
მით ხნოვანების ჩამოგხსნა ტვირთი
ძალის და ღონის შესაზავებლათ.
რომ ჩვენს სამშობლოს, შენს ტურფა სატრფოს
ბრძოლაში ველის ჰყავდე მაშველათ,
კიდევ და კიდევ ნაღარას ცემდე
მის ტყვეობიდან გამოსახსნელად![4]

მელიტონ ქელენჯერიძე

აკაკი წერეთელი,
როგორც მგოსანი მამულიშვილი

აკაკის 50 წლის იუბილემ ნათლად დაგვანახვა ჩვენ, ვინ არის ის ქართველი ერისათვის. მეტი პატივი, მეტი აზვირთება, აღზევება სუ-

ლისა, მეტი ერთსულოვნება და მეტი სიყვარულ-ბედნიერება იმაზე, რაც ამ დღეს საქართველომ მიუძღვნა თავის მხცოვან მგოსანს, აღარ შეიძლება! საუკეთესო მამამთავარნი პოეზიისა: შილლერი[1], შექსპირი[2], გეტე[3], მიცკევიჩი[4], პუშკინი[5], ბაირონი[6] და სხვანი ამისთანანი სიამაყით დადგებოდნენ ჩვენი მხცოვანი აკაკის ადგილზე ამ დღეს! ევროპის საუკეთესო ერებიც თავ-მოწონებით წარმოიდგენდნენ თავს ერთი ბოხჩა „საქართველოს ადგილზე!“ ეს იუბილეი უუდიდეს ეროვნულ დღედ ჩაითვლება საქართველოს თვითცნობიერების ისტორიაში და ამ დღის მომსწრე ქართველს თამამად შეუძლია ერთად აკაკისთან წარმოსთქვას თავის ერზე: „არ მომკვდარა!... მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“... აკაკი მრავალმხრივია და მრავალფეროვანია თავის ნაწერებში; იგია დრამატურგი, ლირიკოსი, პუბლიცისტი, მორალისტი, მოძღვარ-პედაგოგი და საუცხოო ორატორი ენა-მეტყველი, საკვირველი სტილისტიკი. მაგრამ ყველა ამაებში მისი სახელი ყველაზე უფრო უკვდავჰყო მისმა მსუბუქმა ენამ და ლირიკამ.

აკაკის ენა რომ დავაფასოთ, საჭიროა მისი თანამედროვე მგოსნებმწერლების ენის ნიმუშებს გავეცნოთ: აბა ვნახოთ!

აკაკიზე არა ნაკლებ ვაჟა-ფშაველამ[7] და ალ. ყაზბეგმა[8] თავიანთი ნიჭიერი ნაწერები ქართიულეთის პროვინციალიზმით გარყვნეს და მით ის სამსახური გაუწიეს თავიანთ თავსაც და ქართველ მდაბიო ხალხს და სკოლას, რომ აქ მათი ნაწერების ხმარება თითქმის შეუძლებელი ხდება. აბა, მიბრძანეთ, რომელს გლეხს და შეგირდს შეუძლია ასეთი ენის ხმარება და გაგება:

ვაჟა:

მაცნე მოიდა შატილსა:
ქისტებმა[9] მოგვცეს ზიანი,
დაგვიწიოკეს მწყემსები,
ავნია, ავი ზნიანი.
ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი,
საფიხვნოს თავში დაჯდების,
სიტყვა მაუდის გზიანი;
ბევრ ქისტს მაჰკრა მარჯვენა,
სცადა ფრანგული ფხიანი.
ქისტებს წაუსხამს ცხენები,
ალუდაისიც ფხიანი[10]....

ჩვენი ბუმბერაზი ილიაც რამდენად ძლიერია ენით, იმდენად მძიმეა, იგი რასაც იტყვის, კლდეა, მეხია, მტრისათვის. ზღვადაუშრეტელია მისი ენის სალარო, მაგრამ ამავე დროს მისი ენა მტკვარსავით მდორე, ერთფერი და მღვრიეა. აკაკის ენა თერგივით და რიონივით ჩქარია, ბასრია, მწველია და ცეცხლის ალივით მომდები, ან წარმტაცი, ტკბილი, თაფლიანი, ძირმწარე და ნაღველი. იგი სჩქეფს, დუღს მაჭარივით, თუმცა

ამავე დროს წმინდაა სარკესავით, ბროლივით, ცის ნამივით, მთის ნაკადულივით, მსუბუქი, ცქრიალა, მალხაზი, მოქნილი, ჰადრაკული, კლიშანჭური, თასმასავით მოქნილი, მისაგრეხ-მოსაგრეხი. ავიღოთ მაგალითად, როგორ ესაუბრებიან სამშობლო მთას ჩვენი მგოსნები: ილია, ნ. ბარათაშვილი და აკაკი.

ი ლ ი ა

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,

მახსოვს ყრმა ვიყავ ძლივს მოსული გონს და ცნობასა
რომ სიდიადე თქვენი მგვრიდა კანკალს, ჟრუანტელსა,
მე თრთოლვით ვსჭვრეტდი ლაჟვარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს
და შევნატროდი ყმაწვილურად თქვენს ზემო მხარეს...
მომწონდა თავი, რომ დაბადება თქვენს შორისა მხვდა,
თქვენი ღვიძლი ვიყავი შვილი![11]...

ნ. ბარათაშვილი

ჰოი მთა წმინდავ, მთაო წმინდაე, ადგილნი შენნი,
დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი,
ვითარ ჰშვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს საღამოს, დაჰშთენ ამოს, ციაგნი ნელნი!
ვითარი მაშინ იდუმალება დაისადგურებს შენს არე-მარეს!

რა სანახავი წარუტყვევეს თვალთა მაშინ შენ ტურფა სერზედ მდგომარეს!
ძირს გაშლილს, ლამაზს ველსა ყვავილნი, მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა...
და ვით გუნდრუკსა ხამადლობელსა, შენდა აკმევენ სუნნელებასა.[12]

აკაკის ენა

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო.
ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა, —
შენს ნახვას დაეჩქარეო.
წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.
გულში იფეთქა სიამემ,
სეფეები უკუეყარეო —
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელ-ახლად გამიხარეო....

ძველ მამა-პაპურ რაინდობას აკაკი ასე გვიხატავს:

ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები
ვინ მოგვითხრას მათი საქმე
უთვალავი საგმირონი
და ან მათზე გადმოსული
მადლი ღვთისა და მირონი?...

თორნიკე ერისთავს[13] ასე აგვიწერს მგოსანი:

ახოვანი, მშვენიერი
თეთრ-წვერა და თეთრ თმიანი,
წინ წამოდგა სასაუბროთ
მოწიწებით ტკბილ ხმიანი.

საქართველოს მამაცობაზე:

ეს პატარა საქართველო
ჯარასავით დატრიალდა,
გადიწერა რა პირჯვარი,
გაფოლადდა და გასაღდა.
სისხლით მორწყეს ტყე და ველი,
შეიღება წითლად მდელო...
აღდგომის კვერცხს დაემსგავსა
ეს პატარა საქართველო...

აი ენის ძალაზე რას ამბობს თვითონ:

ხმალზე უფრო ძლიერათ სჩრის
პატარა და რბილი ენა,
გაჰკვეთს ხვანჯსა უგნურების,
მისი ტყვეა ხშირად სმენა!
ხან გონება გამოცდილი
მას მოიქნევს მრავალ-გვარათ,
ხან მფარავი ხვაშიადის,
გული აგებს გრძნობის ფარად.
დროზე უნდა მოხმარება,
მხმარებელიც გონიერი, —
რომ ხან ნაღვლით გაილესოს,
ხან ძირ-ტკბილით ენის წვერი.
თორნიკემაც ნაღველ-თაფლად
გრძნობა გულში ჩაიყენა
და სიმართლის ხელით მასში
ამოუწო მისი ენა.

ქალის სიმშვენიერეს ასე აგვიწერს:

ცაში ვარსკვლავი ვარსკვლავზე
ღვთისგან დანათესია,
მაგრამ იმათში ყველაზე
შუქურა უკეთესია!..
ბევრია საქართველოში
პირთა მზე, მზეთუნახავი;
მაგრამ ნათელას რომ სჯობდეს,
არავინ არის მნახავი.
ტანადობა აქვს ალვის ხის,
და თვალადობა მთვარისა...
ღიმილი ცისკრის ვარსკვლავის
სხივოსან მოელვარისა.
ვარდს მიუძღვნია ელფერი,
სინაზე — ტურფა იასა;
ზედ შუქი მოუფენია
სამოთხის კარსა ღიასა...

ქალის უკუღმართობას ასე ხატავს:

აქაც არის, იქაც არის,
არც ჩვენია, არც სხვისაო;
თავად ფრთხილი, თანამგრძნობი
მხოლოდ სხვისი მარცხისაო!
ფარ-ხმალი აქვს სათვალ-მაქცო,
არც რკინის და არც ხისაო,
აღმა ხნულში მხმარებელი
სადაღმართო ფარცხისაო!
მისი ღვაწლი შეაჩვენოს
მაცხოვარმა კაცხისაო!

და მერე დასძენს სხვაგან:

დრო წავიდა, დრო მოვიდა
დღე დაწვა და ღამე შობა,
ზრასტის ვეტყვი ზოგიერთ ქალს!
აღარ ესძის გამარჯება!

ქალის ალერსი:

ნანინა, იაე, ნანინა,
ნანაო, ვარდო ნანაო!
იმ ქვეყნის ნორჩო ყვავილო,
ამ ქვეყნის გამოცანაო!
ვარდი გთხოვს ფეროვანებას
და ია სინაზესაო;
მოთინათინე მნათობო
სჩაგრავ მთვარეს და მზესაო.
შეშურდა ცისკრის ვარსკვლავსა
თვალების ელვარებაო!

და განთიადი შემკრთალი
შენგან ბნელს ეფარებაო!
სხვა დედას ვის გაუზდია
ოცნება შენისთანაო!
ხმელეთი საბურთალად გაქვს
და ზღვაა შენი სანავო.
მშვენიერების გვირგვინო
და სიბრძნის გამოცანაო!
ნანინა, იავ, ნანინა!
ნანაო, ვარდო, ნანაო! (თამ. ცბიერი. IV, სც. I)

ქვეყნის უკუღმართობაზე, — მაისხარა:

მაღლით ცეცხლის წვიმა მოდის,
დაბლა დგება სისხლის ღვარი.
ცა და მიწა გადაბრუნდა
გაგვისწორდა მთა და ბარი!
მწყერს მიმინო შეეშინდა,
კურდღელს—მწავარ-მაძებარი;
შეეარდენი შეაშინა
მტრედმა, დასცა შიშის ზარი!
ძმა ძმას სწირავს, მამა—შვილსა,
მეგობარსა — მეგობარი...
ცაო, ცაო მოიწმინდე,
დაგვიყენე ისევ დარი!
შეეარდენო ფრთა გაშალე
ცის კამარას თავი ჰკარი...
მეგობარო, მოიგონე
გულითადი მეგობარი,
უსამართლოდ საკანში ჭის
განწირული ცოხალ-მკვდარი...
მოსთქვამს ქვეყნის ურჯგობას,
კვნესის, სტირის მისი ქნარი!
ამას ასე მოგახსენებთ
დღეს მასხარა, ენამწარი,
ნუ შერისხავთ მართლისათვის
გესმით მისი ნაუბარი?!

სიყვარული

მზის სხივები აკოკრებენ
მაისის ვარდს სასურველად
და ცის ნამი გულში ხვდება
გასაფურჩქნელ გასაშლელად.
ეშხი შენი სხივად მომხვდა,
სიყვარული — გულის ნამად!
და შენი ვარ, შენთვის დავსჭკნე,
ნუ გამკიცხავ, ნუ მგმობ ამად!

ვ ა ჟ ი:

ავგაროზად გულს დავიდევ
წიგნი შენგან მონაწერი.
სული მივე საკურთხეველად;
საყდრად—გული ანაძგერი,
ფიქრად გრძნობა. გრძნობა ლოცვად,
ორივ ერთად—საარაკოდ!...
თავი ჩემი ზედ დავადევ,
დასაწველად საზვარაკოდ!...

ასეთია მეტ-ნაკლებად აკაკის ენა.

ახლა მივმართოთ აკაკის ლირიკული პოეზიის შინაარსს, მის იდეალურ მხარეს

ლექცია პირველი

აკაკი დაიბადა 1840 წელს, ე. ი. იმ დროს, როდესაც მთელს ევროპაში და კერძოდ რუსეთში გამეფებული იყო ხელოვნებაში საზოგადოდ და კერძოდ ლიტერატურაშიც ეგრეთწოდებული **იდეალიზმი**, რომლის მთავარ პაპად უნდა ჩაითვალოს გერმანელების ფილოსოფოსი გეგელი.[14] რუსეთში იმდროს, ე. ი. ორმოციან წლებში იდეალიზმის საუკეთესო წარმომადგენელნი იყვნენ კრიტიკაში ცნობილი ბელინსკი[15] და პოეზიაში — პუშკინი.[16]

იდეალისტური მიმართულება ხასიათდება იმით, რომ ხელოვნების დევიზად აღიარა ფორმულა: „ხელოვნება ხელოვნებისათვის და არა ცხოვრებისათვის“, ე. ი. ლიტერატურა ცხოვრებასა და მის მოთხოვნილებას კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ მაღალ, მომავალ იდეალებს სახავდეს, ხატავდეს, ესტეტიკურად აკმაყოფილებდეს, ასიამოვნებდეს თვით მთხზველს, გინა მკითხველს. ცხოვრებისაგან წამოყენებულ ჰირვარამს და საკითხებს ამნაირად იდეალიზმმა გვერდი აუარა და სწორედ ეს იყო მიზეზი მისი შეჩერებისა.

მოგეხსენებათ, საზოგადოდ უკიდურესობა და ნამეტანი გაზვიადება, თავ-გასულობა ერთი მოვლენისა იწვევს, ჰბადებს საწინააღმდეგო მოვლენას, რეაქციას, ან რეაქცია ოპოზიციას — რომლის მიზანია—შეაყენოს თავ-გასული, წრეს გადასული და უკიდურესობამდი მისული მოვლენა და თვითონ დაიჭიროს დროშა ხელში. ასე, ამ ბრძოლაში, ხან ერთია ქვეშ და ხან მეორე, ე. ი. ხან ერთი იმარჯვებს და მეორე ემხობა, ისევ, ხან მეორე. — წრეს გადასულმა იდეალიზმმაც გამოიწვია საზოგადოების მხრით პროტესტი და წარმოშობა ლიტერატურაში საწინააღმდეგო მიმართულება — რეალიზმი, რომელმაც დაისახა თავის მიზნად არა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, არამედ „ხელოვნება ცხოვრები-

სათვის", ე. ი. მწერლობა, გინა სხვა დარგი ხელოვნებისა, უნდა ემსახურებოდეს ბრძოლას და მოსპობას ბოროტებისას, რათა კაცთა შორის განმტკიცდეს ბედნიერება. ეს მოხდა 60-იან წლებში, როცა აკაკი 20 წლის ყმაწვილი იყო, მანაც და ილია ჭავჭავაძემაც სრული თანაგრძნობით ჩაჰკიდეს ხელი ამ ახალ მიმართულებას, გადმოიტანეს იგი სამშობლოში და შექმნეს ახალი რეალური მიმართულება ქართულს მწერლობაში, რომლის სათავეში თვითონ დადგნენ. მათ პირველი ბიჯიდანვე მკაფიოდ დაისახეს ეს რეალური გზა და შეუდგნენ ბოროტებასთან ბრძოლას.

ილიამ თავის „პოეტში" ასე დასახა ეს გზა:

— მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით ფრინველმა გარეგანმა,
არა შარტო ტკბილ ხმათათვის გამომგზავნა ქვეყნად ცამა:
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა.
დიდის ღმერთის საკერთხეელის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო ჰმუნვასა და სიხარულში,
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით დამედოგოს მტკიცე გული.
მაშინ ციდამ ნაპერწკალი თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ, მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის
ცრემლსა.

აკაკიც ამ გზას დაადგა სავსებით:

მისთვის მომცა ღმერთმა ენა, სიმართლისთვის გაეწირო;
ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო, თუნდა ქვითაც დავიკირო.
მოძმის ვიყო შემ¯ე პირში, ვიხარო და გავახარო;
რაც კი ვნახო მასში ცუდი, გამოვსთქვა და არ დაეფარო.
დეე, მტანჯონ მართლისათვის, მე იგი არ გავიკვირვო
მხოლოდ მინდა, რომ რითიმე ბოროტება დავიპირო.

მეორე ლექსში „ჩონგური" („ვარდის ხმაზე") —

მე ჩონგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განმტკიცოს აზრი წმინდა
გულს სიწმინდით ახურებდეს.
ერთი ჰქონდეს მას საგანი,
პარმონია მისი ხმების
ცხოვრებაში იყოს ბანი
ხან ღხენის, ხან მწუხარების,
რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს;
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს!...

ამ იარაღით და გეგმით გამოდის ახალგაზრდა აკაკი ცხოვრებაში და საქმეს ეძებს. ცხოვრებაც ჩვენში უხვ სამკალს უმზადებდა ახალ მუშაკს.

ეს ის ხანა იყო, როცა გამოვიდა ღირსახსოვარი და საისტორიო მანიფესტი იმპერატორ ალექსანდრე მეორისა ბატონ-ყმობის მოსპობის შესახებ.[17]

გლეხობისათვის ის გაზაფხულის მერცხალი იყო, კისერში ჩამჯდარი უღელი უნდა მოეხსნა და თავჩაღუნული გლეხობისათვის თავი ზევით, ცის სინათლისაკენ უნდა აეწია. სამაგიეროდ მებატონეებისათვის მანიფესტი მაჯლაჯუნად გადაიქცა. ბევრს გაეგონება, მის წაკითხვაზე ქუთაისში გაბრიელ ეპისკოპოსს[18] ერთმა თავადმა ამოღებული ლეკურით შეუტია. გამწარებული მემამულეთა კლასი ერთი შეინძრა, შეფართხალდა, მაგრამ უნიადაგოთ დარჩენილმა ფეხი წინ ვერ წასდგა, დაიბნა, შეჩერდა, შეეჩვია და შეურიგდა.

აკაკიმ ფრთები შეისხა გლეხების ბედნიერებით და მათ გვერდში ამოუდგა თავისი ჩანგით, რომელიც მერცხალივით დასჭიკჭიკებდა გაბედნიერებულს გლეხობას და ცეცხლს აყრიდა უსამართლო მებატონეებს.

ამ საკითხმა პირველი ადგილი დაიჭირა აკაკის პოეზიაში და საუკეთესო მისი იდეოლოგი შეიქმნა. იგი ასე ალაპარაკებს მონა-გლეხს ბატონ-მემამულესთან:

ახ, დარდების ამშლელო,
ჩემი გულის ხაზი ხარ!...
თავდახრილი მიტომ ვარ,
რომ კისერზე მაზიხარ.
დამტკბარს ვეროდეს გხედავ
ჩემთან მუდამ ბრაზი ხარ;
უჩემოდ გამრჯელი ხარ;
თუ მე მხედავ ნაზი ხარ!...
რომ იცი, რაღად მკითხავ,
ასე რისთვის ვღონდები
შენთვის ჩემო ბატონო,
რომ სულ შენ მავონდები!

ძლიერმა სუსტი მნახე,
დაჩაგვრა შეიძელი!..
მჯშ ახლა რაღაც სწუხარ,
ახალ დროს რომ მოელი!

მეორე ლექსში: „მუშური“, კიდევ უფრო ცხოველად გვისურათებს აკაკი მონა-მუშის უნუგეშო მდგომარეობას:

სიმინდსა თოხნა დავუწყოთ,
ერთხმად დავძახოთ მუშური;
ეგებ მაშინ დაგვავიწყდეს,
რომ გლეხნი ვართ უბედური!
მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისიც გვმართებს სამსახური,
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი,
უპატრონო, უბედური!
ყველა თავში გვიჩაჩქუნებს,
გარეშე და შინაური,
ცხელსა მიწას უხვად ალბობს
ოფლი ჩვენგან მონაწური.
ჩვენი ჯაფით მონაყვანი
სხვასთან მიდის საზღო პური,
შინ ცოლ-შვილს სიმშილი გვიკლავს,
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?
მათსა საზრდოს სხვა იტაცებს
სტირის ცოლი მეძუძური,
შიმშილისგან რძე უშრება;
წიევის შვილი უსუსური!

ასე ბნელოდა გლეხის გულში, როცა აკაკიმ პირველი ბიჯი შესდგა ცხოვრებაში. მაგრამ მთის გადაღმიდან განთიადმაც ამოატანა და გლეხის გულში მალე ჩანათება დააპირა. მოჰბერა ახალმა სიომ და მონობის ჯაჭვმა ლაწანი დაიწყო ცოტ-ცოტად. გლეხმა, ტვირთმძიმეობას შეჩვეულმა, თითქმის ვერც კი იგრძნო ახალი სიო, არა სჯეროდა. მაგრამ აგერ ერთგული დარაჯი და მერცხალი გვერდით უდგია, რომელიც მისი ცხოვრების ბარომეტრად გადაიქცა და მოატანა თუ არა თავისუფლების შუქმა, ჩვენი ფხიზელი მგოსანიც გვერდით ამოუდგა გლეხს და სულ სხვა ჰანგებზე დაუწყო მას ჩურჩული ყურში:

მარტოხელა ბიჭი იყავ,
შენ ხელთ იყო არემარე,
ბევრჯერ სისხლი დაათხიე,
მწუხარების ოფლი ღვარე;
ბნელი იყო!... ბნელი იყო;
არსით ჩანდა შენთვის მთვარე,
დღეს ხომ ხედავ ცისკრის ვარსკვლავს?
შეხტი ბიჭო... გაიხარე!

. . . . . .

ვიცით, ცისკარს რომ მოჰყვება
თანვე სრული გათენება!

. . . . . .

გწამდეს, გწამდეს, ხორცს შეისხამს,
რომ გხიბლავდა ის ოცნება!...

მართლაც „ცისკარს“ გათენება მოჰყვა და თანაც ჩვენი მგოსანი უფრო კაი გუნებაზე შეიქმნა და ყღერის ჰანგიც დროის შესაფერად შე-

სცვალა. „პატარა გლეხის ბიჭი“ თუ წინათ „მწუხარების ოფლს ღვრიდა“, დღეს სიამოვნებით და ნებივრობით „გაბუტულა“, ჩასუქებულად „უდარდელად“, „ტკბილად“ სძინავს. დედაც გულდამშვიდებული ასე ტკბილად დაღიღინებს შვილს აკვანში ნანინას:

შენს ვაჟკაცობას მომასწრებს მე ღვთის მშობელიო..
მამიშენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელიო:
შენი ვარსკვლავი სხვა არის, ბედმა გიცინაო!
იავ-ნანა. ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!
სხვებრ რა გიჭირს? გენაცვალე. ნურას იზამ ავსო!
დიდი კაცის შვილს სკოლაში გვერდს მიუჯდებიო,
აბა შენ იცი. ბიჭო-ჯან, როგორ ეცდებიო;
ძველ ბატონიშვილს სწავლაში ნუ ჩამორჩებიო,
გლეხსა ნიჭი არა აქვსო, არ აფიქრებიო!..
ჩინოვნიკებიც არიან ჩვენი გამწვალეო,
ჩვენ საქმეზე როცა მივალთ, გვეტყვიან: „ხვალეო“,
და ჩვენ როცა დაგვსაქმებენ, მაშინ კი-„მალეო“!
ამას შენ ვეღარ გეტყვიან, შენ გენაცვალეო!

ახალმა დრომ გლეხის გულიც თანდათან გაადიდა და მის ცხოვრებას იდილიური, სანეტარო, მყუდრო ხასიათი მისცა. გლეხი ეხლა კი არ მოსთქვამს—ღიღინებს რადგან ეხლა სხვისი სამსახური აღარ მართებს, მის საზრდოს ვერავინ ვერ წაიღებს, დედას „ძუძუ აღარ გაუშრება სიმშილისგან“. დღეს შრომა თუმცა მისიცვია, მაგრამ სამაგიეროდ, შრომის ნაყოფიც მისია. უწინ სულ ბატონი დასჯყიოდა თავზე და შუაღამეზე ზეზე აგდებდა, დღეს კი თუმცა უფრო ადრეც დგება, მაგრამ არა იძულებით, არამედ თავისი ნებით, ბედნიერებით, ხალისით; ბატონის ნაცვლად მას დღეს მასავით „ოხერი“ და „უბრალო“, შუა კაცი ყავს გამომღვიძებელი, ე. ი. მგოსანი, მისი ახალი ტოროლა და მამალი, როგელიც ისე დაყივის მას:

ბიჭო მამალმა იყივლა,
აპირებს გათენებასა,
მუშა ხარ, ტკბილ ძილს ერიდე,
როგორც შირსა და სნებასა...
ადექი ღმერთი ახსენე,
დაეხედოთ იმ ჩვენ ყანასა,
გულ-გასაყვებად დანამულს
ნიავი უმღერს „ნანასა“.

შემდეგ ამისა აკაკი გვიხატავს იდეალს მუშაკისას. სწორედ რომ მაღლიანი კალმითა და სპეტაკთ ფერებითაა ეს იდეალი დახატული აკაკის ლირიკაში. ის რას ალაპარაკებს ის გლეხს:

— ვისაც რა უნდა უყვარდეს,
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი:
მიყვარს პირ წმინდა ნამგალი,
მისი ყანაში ტრიალი!...
თავი მოუკვდეს ზოგიერთს,
რომ იტაცებენ სხვისასა..
საწყალ კაცს ჯიბეს აჭრიან,
ურცხვად ივსებენ ქისასა!...
ქორი ვარ, სხვას რომ მოვტაცო?
რათ გავიშაო პირი მე?
გარს შემოვევლე ჩემს გუთანსა
ჩემი სახნისის ჰირიმე!!
რით დავიბნელო სიხარბით
სამიწე წუთის თვალები?
ხერხსა, ხელეჩოს, სატეხსა,
ნაჯახს-ცულს ვენაცვალები!
რაც ჩემი ურმის არ არის,
სახლში არ შემიტანია!
ღმერთმა მაშოროს, რაც ჩემის
ოფლით არ გამიბანია!

უწინ ვინ მისცემდა გლეხს „სატრფიალოს“? არა თუ მიწა და შრომა, ცოლი და შვილიც კი არ იყო მისი საკუთრება! დღეს კი მიწაც და შრომის ნაყოფიც დაისაკუთრა და მითი ხარობს!...

ხარობს და ბოროტადაც არ ხმარობს. ვინაა, როდი ავიწყდება და როდი იბერება. იგი შესტრფის სულ ცოტა რაიმეს, ბევრს არ მისდევს, რომ ზოვიერთ წურბელასავით გული არ გაუქვავდეს, არ გაუცივდეს და ოქრომ არ დაიმონავოს და თვითონაც ბატონი არ შეიქნეს ბოლოს! ჩვენი მგოსნის იდეალია, რომ გლეხიც და ყოველი კაციც „ცოტას სჯერდეს“ და „პატიოსნება შეინახოს“ და ცოტათი ბედნიერად სთვლიდეს თავს! მხოლოდ ამ საშვალო, ზომიერ ცხოვრებაში სახავს აკაკი შესაძლო ბედნიერებას და მართლაც რომ მისი მოძღვრება, რომელიც სავსებით ქრისტეანულია, განხორციელდეს, მაშინ ქვეყანაზე ის კაცთაჭამიაობა, რომელიც დღეს გამეფებულა, ყველგან მოისპობოდა!

აბა დაუგდოთ ყური აკაკის „უდარდელ კაცსა“:

ყველასათვის კარგი მსურს,
ბოროტების მტერი ვარ,
გულში არ შევუშვებ შურს
და მით ბედნიერი ვარ!...
მე ბევრს არას დავეძებ,
რაც მაქვს, ცოტას ვჯერივარ,
ქვრივ ობერს არას ვტაცებ,
ისეც ბედნიერი ვარ!...
პატიოსან ოფლსა ვღვრი,
მეც მუშაკად ვწერივარ;

უსაქმურ კაცს ვუყვირი
„მხედავ, ბედნიერი ვარ!“
ხან მაქვს წყალი და პური
ხან და ხან მშიერი ვარ,
მაგრამ ბედს არ ვემდური,
მაინც ბედნიერი ვარ!...
პატონიც ვარ, ყმაცა ვარ,
ჩემთვის ყველაფერი ვარ!
ხომა ხედავთ, რაცა ვარ?
ვარ და ბედნიერი ვარ!...

მაგრამ მოგეხსენებათ, კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო! და რადგანაც ამ უკუღმართს დროში „გამგონე“ ცოტაა, ამიტომ აკაკის პატიოსან კაცსაც ცოტა ჰყავს ამხანაგი, ბევრი სულ სხვა იდეალებს შესტრფის, „ცოტას დაჯერება“ როდი უნდა, და ოქროსა და კუჭის თაყვანისცემაში და უკან დევნაში ყველაფერი ადამიანური მაღალი გრძნობა-ღირსებანიც ხელიდამ გაუშვა შეუმჩნეველად. ამნაირად საქმით ცხოვრებაში ორმა ტიპმა მოიყარა თავი: „პატიოსანმა ღარიბმა შრომის შვილმა“ და ზნეობრივად განადგურებულმა კუჭის მოტრფიალეებმა და გაუმაძღრებმა.

რა დამოკიდებულება უნდა იყოს მათ შორის აკაკის აზრით? როგორ უნდა უცქეროდეს პირველი მეორეს? როგორ და -პატიოსანი ღარიბი მაინც თავის სიღარიბე-სიპატიოსნით უნდა ამაყობდეს — ბედნიერებდეს და უპატიოსნო მდიდარი კი ებრალებოდეს, როგორც დაცემული კაცი. მართლაც. აი რა შეუბრალებლად ეკიდება აკაკის პატიოსანი ღარიბი „უპატიოსნო მდიდარს“

გინდ მშიოდეს, გინდ მწყუროდეს,
დავდიოდე ტიტლიკანა;
არ ვინატრებ შენს ქონებას,
არ მსურს ვიყო შენისთანა!

. . . . .

კარგად ვხედავ, შელახულო
გრძნობითა და გონებითა,
რომ ყიდულობ თაღლით გრძნობას
ძალითა და ქონებითა!
შენთვის არ სცემს არა ვისი
პეშმარიტად გული წმინდა!...
არა! არა! მაგ შენს ცრუ ბედს
არ შევნატრი! არად მინდა!

ამ საზიზღარ ჯგუფს ჩვენი მგოსანი აკუთვნებს იმ პირებს,

ვინც რომ მშრომელს და ტვირთმძიმეს
ხელ-მოსაწყობ ნივთად სთვლიან,
იმათ ნაშრომს, ოფლით ნაშოვნს
გასთვლიან და გამოსთვლიან.

აკაკის გული ვერ ითმენს ასეთ უსამართლობას. თვით „ჩონგურიც“ ხომ იმისათვის მოაწყო მან, რომ „დაჩაგრულს თვალზე ცრემლი შეუშროს“ „და მჩაგვრელს—კი გულში ისარივით ესობოდეს!“. იგი ყველას მუხლმოდრეკილი „ევედრება“, ყველას „ძმობას აფიცებს“:

კაცი რომ ნახო შენ დაცემული-ო,
თუ რად დაეცა, მიზეზს ნუ ეძებ!
შენი ვალია შეგტკივდეს გული-ო!

მაგრამ ისიც კიაო, რომ თუ „დამცემს პირუტყვულად“ დაუმონებია და ბრძოლას აღარ აპირებს, იგი აყენების ღირსი არაა და ხმას ნუ გაცემო!

როგორც ხედავთ, აკაკი სავსებით თანამედროვე მოაზრეა და დროის შვილი, ნათლად, მკაფიოდ და უშიშრად გამომხატველი მისი ჰირ-ვარამისა და მებრძოლი ბოროტებასთან, რომელსაც უსამართლობა ჰქვია.

მეორე მოტივი, რომელიც წითელი ძაფივით არის გავლებული აკაკის ლირიკაში, გახლავსთ ჩვენი-ქართველების უთავბოლობა, უყაირათობა, უმომჭირნეობა, ცხოვრების არ ცოდნა, ფლანგვა ქონებისა და ამისაგან წარმოშობილი დაუდევრობა, ზარმაცობა, კოტრობა.

დახასიათება ქართველისა ამ მხრით

როდის ჰამს ცოტას?

თუ სუნი მოჰკრა სახრავს? ნერწყვი და პირის წლაკუნი აუტყდება. ნამეტური დიდ-კაცობა.

ის წლიდან-წლამდე კუჭს ემსახურება, ჯერ ღორის ქონით გაძღება, მერე ღვინით ჩაფერავს და იქვე გაგორდება, თუ მუცელზე გაბერავს, ვახშმობამდის იხვრინებს, ცხვირს ასტვენს, ვახშმად კი ნაკლებსა ჰამს: ხუთი გირვანქა რას აწყენს?! დილას გავა, სეირნობს, ტორტმანით ადგამს ბიჯსა და მოჭედილი ხმალი უკან მიაქვს მის ბიჭსა.

ა ხ ლ ა კ ნ ე ი ნ ე ბ ი?!

წიგნი სძულთ, ოჯახობის მათ არა რა გაეგებათ,
გულზე ხელის დაკრეფა მიაჩნიათ საქებრად;
სადილ-ვახშმის მზადებას პატივს სულ არა სცემენ;
მიართმევენ-შესჭამენ, თუ არა-ბიჭებს სცემენ;
სტუმრობა და ბალები სულ არ გამოეპარებათ;
იქ ჰორებს შეიტყობენ და ეს აქვთ ნეტარებად!...
სულ რომ ბევრიც იჯავროს, ვინ გაუგონებს ქმარსა!
ულვაშებს შეურცხვენენ, ცხვირში ადენენ ძმარსა!
ეტყვიან: „გაქრა ის დრო, ძველ დროს ნუღარ
მოელი,
ჩვენ ქალბატონები ვართ, რათ გაეისვაროთ ხელი?

ძვირფასად გამოგვაწყვეთ, გინდ აიღეთ ვალები;
აბა რისთვის შემირთეთ? თქვენ დაგიდგა თვალები!
ამ გვარად მათი ქმრები ეარდებიან ვალებში;
პოლოს, ყაზარ, კარაპეტ კი მათით მდიდრდებიან!..

სხვა ადგილას აკაკის კნეინა ასე სტირის:

რად მინდოდა სითეთრე!
ვუოფილყავ მოშავო?
და თქვენ-კი არ გამეცნეთ
შალომა და მოშაო!
იტიროს ჩემმა ქმარმა
ბეღლებმა და კალომა!
ვაი რამდენს იცინებს
ჩვენზედ მოშა... შალომა!

ახლა მესამე კნეინა რას ამბობს?

გუშინ გვქონდა მოლხენა,
დღეს რად მოგვიწყენია?
რად ჩაგვეარდნია ენა?
ხომ არაფრის გვრცხვენია?!

მიზეზი კი ისაა, რომ „უფულობას არ სწუხდნენ“ და „ვაჭრებს იპირებდნენ“, ხისიას ართმევდნენ და ვექსილებს უცვლიდნენ! ვაჭარიც სიამოვნებით წვერზე ისვამს ხელს, ფულებს არ სთხოვს, ოღონდ ვექსილი გამოაცვლევინოს და ფული ზედ-და-ზედ შესვას.

შედეგი ამისა? „მოწყენა და ენის ჩავარდნა“.

ფიფინაშვილი ნისიებზე მოდის, ხარაზოვი ჯავრობს ფულის დაგვიანებისათვის;

და წვრილ-წვრილი ვაჭრები
შემოდიან დას-დასად!
სირმები და ნაჭრები
უჯდებათ ოხრის ფასად!
ცოლი ქმარს ებუტება,
ქმარი კი ცოლს ემდურის;
ყველას გული უკვდება,
ყველა სიმწრის ოფლსა ღვრის!

ვგონებ განმარტება არ უნდა, თუ რამდენად სერიოზულია ეს საკითხი ჩვენ ნივთიერად დაქვეითებულ ქართველებისათვის და რომ აკაკისთანა პირში მთქმელი ბევრი დაგვებადებოდეს, შეიძლება ქართველის უთავბოლობას მოეღოს ბოლო!

ლექცია მეორე

აკაკის მორალური ფილოსოფია ძლიერ საღი და მარტივია, როგორც საზოგადოდ მისი მთელი პოეზია, ეს ფილოსოფიაც რეალურს ცხოვრებასთან არის მჭიდროდ გადაჯაჭვნილი. მას საზოგადოდ არ უყვარს სულ აღმაფრენა და მიწაზე მცხოვრებთა ჭირ-ვარამისთვის ყურის ათლება. აკაკის აზრით კაცი რომ პირუტყვისაგან განირჩეოდეს, საჭიროა: მაღალი ზნეობა, სარწმუნოება და განათლებული გონება. ის ნატრობს, რომ ყველას სიმართლისაკენ ეჭიროს თვალი, არც უფროსს და არც უმცროსს არ ებნეოდეს კვალი: მწყემსი იყოს კეთილი, რომ ცხვარი ტკბილად სძოვდეს და ბოროტი კეთილსა უწყალოდ სისხლსა არა სწოვდეს. მართალს ამბობდეს ენა, სწორად ისმენდეს ყური, რომ არ დასჩაგროს ტყვილად გარეშემ შინაური!

აგრეთვე საჭიროა განათლება, რომ კაცმა თავისი უფლება დაიცვას და „მოიხმაროს“. რომ ქვეყნის მომავალს ბედს არ სწყვეტდნენ უმეცრები და მოედანზე იდგნენ ნამდვილი ბედაურები.

კაცები კაცებს ჰგვანდნენ მამულიშვილობით და ქალები ქალებს გავდნენ ზრდილობით. ამის იარაღია კულტურა, საღი გონება. მხოლოდ მაშინ გაარჩევს კაცი „საქვეყნო საქმეს“ „პირად ანგარიშიდამ“ და „მამულსაც მაშინ მოხდის სირცხვილს“.

თუ ასე შეგნებულია კაცი, მხოლოდ მაშინ შეუძლია თავგანწირული მუშაობა, აღგზნებული გულით ჩაჰკიდოს ხელი საქმეს, რომ „ნაშრომს ბეჭედი დასდოს“. მხოლოდ მაშინ შეიძლება სხვების მოზიდვაც და მუშაკთა წრის გაფართოებაც.

ცხოვრების სარკე, აკაკის აზრით, ზნეობრივად ქრისტეა[19] და ყოველმან ადამიანმა მას უნდა მიბაძოს, რომ „ცხოვრების კვალი არ გამრუდდეს“. განსაცდელში „სამსონისებრივი გამაგრება“[20] საჭირო, აგრეთვე „ბომონების“[21] დამხობა, ძმისათვის ფიქრი და სიკვდილი, მაშინ „შენსა ღვიძლს ჩანგზე დამღერს მგოსანი“ და „იმ ხმით“ სხვების „გულსაც ააძგერებს“.

— „იყავ უმანკო, ვითარცა მტრედი და მეცნიერი, ვითარცა გველი! ურჩევს მგოსანი ჭალადიდელს[22].

უამისოდო, კაცი ნახევარი არსებააო.

— თუ უმანკოა, მხოლოდ ვით მტრედი,
და აღარა აქვს სიბრძნე მას გველის,
მაშინ მოელის საწყალს შავ-ბედი;
და ქვეყნად შვებას ნუღა მოელის!

ყველას მიენდობა ის მაშინ და „ისე გაჰგლეჯენ, ვით მტრედსა ქორიო“. თუ სიბრძნე აქვს კაცს და უმანკოება არა, მაშინ ის მყუდროდ

ვერ იცხოვრებს, ცივი თავმოყვარეობა, ამპარტავნობა შეიპყრობს მის არსებას, სხვას სულ ჰკბენს და გარეგნულად რომ ბედნიერი გეჩვენებათ, შიგნი გულში მაინც მოუსვენარია.

მაშ მხოლოდ ნეტარ არს იგი კაცი
ვინც უმანკოა და მეცნიერი!
მისი სიცოცხლე არის ორკეცი,
ის არის ქვეყნად სრულ ბედნიერი!
აეიც და კარგიც მას ეყურება,
თვით არ იზამს ავს, სხვას ავს აცილებს,
მოძმეთ უმანკოთ ემსახურება
და სიცოცხლესაც მითი იტკბილებს!

მაგრამ, მოგეხსენებათ ცხოვრებაში გველიც ბევრია, მტრედი ცოტა, ხოლო გველის სიბრძნე და მტრედის უმანკოება ერთად შეზავებული — კი ძლიერ ნაკლებად, იშვიათად გვხვდება.

კაცი ხშირად კეთილია, მაგრამ ბრმაა, ბრიყვი, ხშირადაც ბრძენია, მაგრამ სატანასავით ცივი და ბოროტი. ხოლო ბოროტი და კეთილი ჰიდაობაშია, რაც კი ქვეყანა არსებობს და აქედამ კი ის წარმოსდგება, რომ აკაკის აზრით ქვეყანაც „არეულია“, „ჭრელია“, „თვალთმაქცია“, „ცვალებადია“, კაცის „მახე და ბუდეა“, „დღევანდელს ლხენა-სიცილს ხვალ გადააქცევს ოხვრადა“. კაცი მისი „მაჩანჩალაა“, „ჰიანჭველაა უსუსური“, „ადამის სისხლმა ცხოვრება არია“, „ჩვენ საქმესა და სიტყვას შუა ზღვარია“, მთელი ცხოვრება ძალაზეა აშენებული, აკაკის აზრით:

კაცობრიობის სინდისს აბა რა მოუტანია?
ადრინდელ ბარბაროსობას დღეს ჰქვია დიპლომატია!
უსამართლობა წინ მიდის კანონიერის გზებითა:
სრული უფლება ეძლევა სხვა და სხვა კონგრესებითა.
სჯულის ფიცარი გაფხიკეს, ზედ მცნებად აღარ სწერია;
და ისტორია ჩვენ დროში მეპორე დედაბერია!
რაღაა ქვეყნის დიდება!
ჰეშმარიტება არს ძალა!
წესები ისევ ძველი, მხოლოდ გზა გამოიცვალა!

პირველად, როცა გამოუცდელი ვიყავ, ეს როდი ვიცოდი! ისე ბუნდად ვიხედებოდი, თითქოს სათვალეები მქონდა თვალზე!

ამის მიზეზით,

სადაც მივიხ-მოვიხედე,
მომეჩვენა ია-ვარდი,
და მოკრება რომ მინდოდა,
შიგ ჭინჭარში გადავვარდი!

დავიშუშხე, მეგობარს სამკურნალოდ მივმართე, მან წყლულზე ძმარი გადამასხაო, მერე საყვარელს მივმართე და ის უსიამოთ დამხვდა, მე „ნაძდვილი ნაღველი გამილესა“ და თვითონ სხვას გადახვია „ხელიო“:

„მივაშურე ნათესავებს“, მაგრამ კარები ჩამიკეტეს და ძილი მოიგონესო, მსაჯულს მივმართე და საწყლად რომ მივედი, თვალი ამარიდაო. მას აქეთ სოფელს თავი დავანებე, ტყე-ტყე დავდივარ, სათვალეები იქით გადავაგდე და პირდაპირ რომ ვუცქერ ეხლა, ძლიერ მიხარია. მაგრამ რა გამოვიდა მერე? უფრო და უფრო დავრწმუნდი, რომ ქვეყანაზე კაცი არ ყოფილა, კაცს ისევ მხეცი და პირუტყვი სჯობია: მაგალითად, დათვი ზოგიერთს ნათესავს სჯობია, მოძღვრებს — მელა, საყვარელს-კატა და სხვა.

ასე ამნაირად კაბინეტში და სკოლის კედლებში შეწებილი გეგმები და აზრები მალე დაენგრა ჩვენს მგოსანს. ვარდის ფერი იმედები შავ ფიქრებზე შეეცვალა და სიცილ-სიმხიარულე-იჭვებზე და მწუხარებაზე. მას თურმე ამხანაგიც აყოლია ამ უბედობაში. იგი სწერს თავის ამხანაგს, ლორთქიფანიძეს:[23]

საბრალო გულო, დროა გამოსთქვა,
დღეს თავისუფლად შენი ტანჯვანი...
სომ გახსოვს, ოდეს კაცს ანგელოზად
და სასუფეველად სოფელს სახავდი?
ვინ დაგიბრუნოს ის ნეტარი დრო,
როს ცრუ ოცნებას შენ მონად ჰყავდი!
და აჰა რას გრძნობ? თუ გიყვარს კაცი
და კიდევ მოგწონს ეს ცრუ სოფელი?
ვგონებ, ვერ უძლებ, მგრძნობელო გულო,
კიდეც ემდური სოფლის ბრუნვასა!...
ანგელოზებად ვისაც სახავდი,
ისინი, ხედავ, გესვრიან ქვასა!...

მეორე ლექსში „ახალგაზრდა პოეტს“ ურჩევს, „ხალხში სამართალს ტყუილად ნუ ელი“, „მართალი ურიის ფართალივით წამხდარა, თურმე ჩვენი ენა გვღუპავს ჩვენ და თუ ვისმე უნდა შიმშილით არ მოკვდეს, ისევ ფარისევლობას მიჰყოს ხელი, დიდ კაცს წინ გაუგორდეს“, „ზურგით ასწმინდოს მის ფეხთა მტვერი“.

ასე, რაც შეტს ეცნობა ძგოსანი ცხოვრებას, უფრო და უფრო უტყდება გული და სწამს, რომ ამდენს „სამკალს“ ერთი მუშაკი ვერას უქმს, უყივის გმირებს, მაგრამ ხმას არვინ სცემს. რაკი მარტოობას გრძნობს, გულიც უტყდება.

იკითხავს კაცი აკაკის სიტყვებით: „ჩვენი სასიქადულო მოწინავე ქართველთა რაზმი სადღა იყო? ნუთუ მარტო აკაკი იყო სწავლით აღჭურვილი? იყო და ბევრიც იყო; მაგრამ მათ შორის დიდი უფსკრული გაჩნდა თავიდანვე.

აკაკი ამბობს:

უნებურად იმათ რაზმში
ვითვლებოდი მე სხვა რადა.
თუ არ ვინმე „ცეტ-ბასილად",
ხუმარად და მასხარადა?
მართლაც მათის შრომის დროსა
ბევრჯერ განზე მიძინია,
და ქვეყნისთვის რომ ტიროდნენ,
აკაკურად მიცინია!...
და ამგვარად გამოვტყდები,
მათ ნაშრომში არ მაქვს წილი!...
აბა როგორ მივყოლოდი
დიდ მამლებსა მე-წიწილი?
მხოლოდ ჩემთვის ვწიკწიკობდი!
ახლაც მარტოდ ვიწიაქებ!...
მართალია ძნელი არის
მარტოობა ამა სოფლად
მაგრამ უღირსს ამხანაგსა,
მირჩევნია დავრჩე ობლად.

ამრიგად ისინი მტრის ბანაკში მოემწყვდნენ, ვისგანაც მგოსანი თანაგრძნობასა და შველას ელოდა, ასე რომ საზოგადოება ორ უთანასწორო წილად გაიყო: ერთი მხრით ბრბო და ნაძირალებია და მეორე მხრით ერთადერთი „ობოლი" მებრძოლი-მგოსანი.

მართალია, აკაკის აზრით საზოგადოებაში კიდევ არიან სულიერნი, ადამიანის სახელს რომ ატარებენ, მაგრამ მგოსანს მათი არ ეშინია. იყონ „ნეტრალები", ე. ი. სეირის მაყურებელნი, მრწმეები ბრძოლის ველზედ. ისინი არც აქეთ არიან, არც იქით, არც ავი შეუძლიათ, არც კარგი, ვინც გაიმარჯვებს და შეაშინებს, მათ გაჰყვებიან ცხვრებივით უკან. ესენი ცარიელი ჰურები არიან, რასაც ჩასძახებენ, იმასვე ამოსძახებენ, რადგან საკუთარი არც რწმენა აქვთ და არც გრძნობა.

ამათთან ახლოს დგანან ის „მსწავლულები," რომელნიც „ფუტუროს" მოგვაგონებენ, თუმცა შორიდამ ქვეყნის მანათობებად გვაჩვენებენ თავს. ისინი მუდამ ლაყბობენ, ყველაფერში ეჩრებიან, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ საქმისათვის ზრუნავდნენ, არა-დროს მოსაკლავად თავის განდიდებით და უშინაარსობით. თუ ყურს დაუგდებ, მხოლოდ ამას გაიგონებ მათგან:

ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა, ეს ეს არის... ის ის არის!...
ფიცით, გვითხრეს სხვებმა სხვისი, რომ უქნია ვიცღას რაცღა!...

და თუ ჰკითხე, ვის უქნია, რა და სად, ეს არც ერთი არ იცის!...

სხვა ჯურის „მსწავლულებიც" არიან, აკაკის აზრით. მათი ბედნიერება ჩინი და კაკარდაა! ვაი, რომ კაკარდა ორზე მეტი არაა შემოღებული, თორემ ათსაც გაიწკაპავდნენ შუბლზე და გულზე!

დიდი სიბრძნის ნიშნად მიაჩნიათ კანის გამოცვლა! ჩოხის ტარება და ქართულად ლაპარაკი სირცხვილად აქვთ მიჩნეული. წვერებსაც სხვა გემოზე უნდა პარსვა და კრეჭა, თორემ ველურებში ჩათვლიან!

ესენი მუდამ გაბუტვით დადიან, უსწავლელებთან „ზაფრის ქარები მოსდით“, „სიბრძნე გულში აღარ ეტევათ“, „მოუშვიათ ბაკები“, „მთელი ნაცია სძულთ“, სამაგიეროთ ძლიერ ეადვილებათ „ტანცი-მანცია“ და „აპელაცია“. მათი დევიზია „იქ შესვლა, სადაც თბილა, სადაც ტკბილა, თორემ თუ მე არ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილა“.

ისინი უფრო შებრალებას იწვევენ ნამდვილ ადამიანთაგან, ვიდრე შიშს და ბრძოლას.

იმათ ბევრი არა შეუძლიათ რა, მხოლოდ ცხოვრების სურათსა და შთაბეჭდილებას ახდენენ, აფუჭებენ. ასე რომ, მაინცადამაინც ანგარიშში არ არიან ჩასათვლელნი!...

სამაგიეროდ საზოგადოებაში ნამდვილი „იუდებიც“,[24] „მოღალატენი“ და „ფარისევლებიც“[25] არიან და საფრთხეც აქაა დიდი პატიოსან გვამთათვის. ესენი ხუთვენ ადამიანის გრძნობებს, რადგან მათი გადამკიდე კაცი ენას ვერ სძრავს, თავში გატარებულ ფიქრებისაც კი ეშინია.

მინდა რომ ვსთქვა, მაგრამ რა ვსთქვა
უსამართლოდ ალაგმულმა?
ჩემი გრძნობა უნდა უხმოდ
შიგ ჩაიკლას წყლულმა გულმა!
მე ამ ლაგამს წაეიძრობდი,
არ მაქვს სხვისი მორიდება;
მაგრამ რა ვქნა, რომ ხელმარჯვედ
ჩემიცე ძმა მეჰიდება!...

პოეტი ზიზღს უცხადებს ასეთ იუდებს და ქვა-გუნდას აყრის თავზე მათ:

ჩამოდექით! შორს, შორს ჩვენგან!
აგვიღია თქვენზე ხელი,
შევიტყვეთ, რომ იუდა ხართ,
ნამდვილ ისკარიონტელი!

მაგრამ იუდას რომ მოშორდა, „ფარისეველი“ ამოეტუზა გვერდში:

შეხედეთ ფარისეველსა,
ლოცვითა ღამის მთეველსა
ცხადად ბოროტის დამგმობსა
ჩუმად კი ცოდვის მდეველსა!

მათი წყალობით მთელი ქვეყანა აჭრელებულია, მონასტერი არეულია, ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს, კაცის კულტურამ ბედნიერების ნაცვლად უფრო გადარია ქვეყნიერება.

აჭრელდა ჩვენი ქვეყანა,
ხალხიც აირ-დაირია;
. . . . .
მართალ მტყუანის გარჩევა
სწორეთ რომ გასაჭირია...
ვის თვალშიც ბეწვი არა სძევს,
მისაში თურმე დვირეა,
ვინც რომ სპეტაკად მიგვაჩნდა,
ის თურმე სულ შავ პირია.
ზურგს უკან ყველა ღაღადებს,
პირში კი მთქმელი ძვირიას...
ჩარხი უკუღმა ტრიალებს
ვირი კოკობ ვარდს დაჰგალობს,
ბულბული ვირებრ ღრიალებს!
ქურდები სჯრიან სამართალს,
მართლებს უყრიან ბორკილსა
და ქვეყნის მტერი იუდა
დასცინის მაშულისშვილსა!
ბრიყვი და უსწავლელები
თავში უდგია ჰკვიანებს...
გაჰქრეს ის ჟამი ბარემდი,
ნეტავი რას იგვიანებს!!

რა ეშველება ქვეყანას, სადაც ყველა „გამხეცებულა“, „გაბეცებულა“, „დაყრუებულა“, სადაც ყველა რომ ერთად შეაწებო, „ერთ კაცად არ ღირან?“

რა ჰქნას ერთადერთმა მებრძოლმა მგოსანმა, ბევრიც რომ იტიროს და ითავცემოს?! გმირებს უყივის და არავინ პასუხს-არ აძლევს. გაჩუმდეს? გულზე ხელი დაიჭიდოს? კი, მაგრამ პოეტის გული რომ ბუნებით ზღვა არის? რომ ვერ მოისვენებს? გული რომ არ უშვება? ან რაა ის ზღვა, რომელიც ერთხელაც არ აღელდება? ის ხომ მყრალი ტბაა, გველ-ბაყაყების ბუდეა! არა, ზღვის გული სავსეა საუნჯით, რომელიც მაშინ გამოჩნდება, როცა ზღვა ადუღდება, აზვირთდება, აბუმბერაზდება, ნაპირებს გადმოსკდება და თავის გულს მზის სხივებს და ადამიანს გაუხსნის.

ასეთი ზღვაა პოეტის გულიც, აკაკის აზრით მისი მოსვენება ისე არ შეიძლება, როგორც ზღვის სრულიად გაჩერება. პოეტის გული უფსკრულია, თვალმარგალიტების სალაროა, ის თვალ-მარგალიტები მისი მყუდროების დროს დაფარულია ყველასათვის, ამიტომ პოეტმა ზღვას უნდა მიბაძოს,

არ უნდა ეკრძალოს მრისხანე გულის ღელვასა.

მან „ძილის დროს ჭუხილი არ უნდა მოშალოს და სიბნელის დროს — ელვა“.

ჩვენი მგოსანი სიტყვიდან საქმეზე გადადის და 50 წელი მართლაც „ჭუხს“, „ქვეყნის ძილის“ დროს და „ელავს“, როცა ირგვლივ წყვდიადი-

თაა მოცული ადამიანთა ცხოვრება. ის ეუბნება ცხოვრებას: ან სიკვდილი და ან სიცოცხლეო!

მამად მზე მყავს და დედად მთვარეო,
ვარსკვლავები წვრილ და-ძმადო,
ცა ქუდად არ მიმაჩნია,
დედამიწა ქალამნადო.

მართალია, „ქვეყნის შვილი, ქვეყნის მოძმე ქვეყანაზე ყარიბი ვარო“, მაგრამ „მაშინ უფრო მდიდარი ვარ, როცა უფრო ღარიბი ვაროო“. რაკი ქვეყანა ორპირია და პირში მთქმელი ვერსად ვიპოვეო, მე ვბერავ გუდასა, — ამბობს აკაკი:

ხელში ავიღე სტვირია,
მსურს ყველა ღირსად შევამკო,
მათ ვუთხრა მე შაირია;
ვინც უნდა იყოს, რა მგამა,
გინდ დიდი, გინდა მცირია,
გამოჩნდეს, ვინც-კი დასჩაგრა
ქვრივ-ობოლი და მწირია,
გავსინჯოთ მათი საქმენი,
გამოვუჩხრიკოთ ძირია
და შევუმუროთ საქვეყნოდ
იმათ ცხვირი და პირია!...

როგორც მგოსანმა, მხოლოდ ერთად-ერთი მოსაუბრე და მეგობარი იშოვა: ეს არის მისი „სტვირი“, „ჩანგი“, „ჩონგური“.

ბევრი ჭირი მოჰგვარა მას კარზე ამ ერთგულმა მეგობარმა, მაგრამ მაინც ის ურჩევნია სხვას, რადგან ორივენი სიმართლის მოსამსახურენი არიან და ამით ნუგეშობენ. საუცხოო სულიერს ბრძოლას გვიხატავს აკაკი ამ ჩანგის თაობაზე. ბევრჯერ დასწყევლა მან თავისი ბედი და საქმე, გაჭირვებულმა ქვეყნის ბოროტებით განზე გადააგდო ჩანგი, მაგრამ მაინც ვერ მოისვენა.

მოდი ჩემო ჩანგურო,
მსურს ისევ გემსახურო,
გამღერო სულ სიმართლე
და ბევრი მოგამდურო!
ოდეს შენი მომტანი
მე მუზი გავიცანი,
თითქო ხელ-ახლად ვიშვე
და თავიც მაშინ ვსცანი.
სულმა ჰგრძნო უცხო ძალი,
გულში ამენთო ალი;
ვნახე თურმე ბრმა ვიყავ
და გავახილე თვალი...

მაშინ ავიღე ხელში
და ვიწყე სამღვთო ჟღერა...
რასაც თვალი ჰხედავდა
გულიც მის თქმას ჰბედავდა,
და იმ დღიდან მშვიდობა
მკოსნისათვის გათავდა...

ისე გამამწარა ქვეყნის ჭირმაო, რომ დავჯედ იმედდაკარგული და სულ „კურცხალი“ ვყარე თვალთაგანო. მაგრამ მოფრინდა მუზი და მითხრა, რას უზი, რით არ გახსნი გრძნობების აუზსაო.

მუზი ასე დასჩიჩინებდა:

ხან სიტკბო აიაფე,
ხან ნაღველი აქაფე,
ჰეშმარიტება აქე
და ბოროტი აკაფე.

მაგრამ ამისთანა რჩევით იყო ის, რაც ჭირი გადვიკიდე და ახლაც ხომ მოვტყუვდი და კიდევ სანანებელი საქმე ჩავიდინეო. მის შემდეგ რაც მუზამ იწყო სტუმრობა ჩემთან, მეგობრობა გამიჭრაო და ბევრიც ვაგინე ჩემს თავსაც და მუზასაცო.

მუზა მაინც არ მომეშვაო. მოვიდა და მითხრა, აი ეს ჩანგი იქნება შენი მეგობარიო: იგი

შენი კვნესით მოიწყენს,
შენის შვებით მოილხენს
და ცრემლში დამდნარ ნაღველს
სიმებათ შესვამს, იდენს!...

დავიჯერე მუზის და შემდეგ ამისა, ეს „ჩანგია“ ჩემი „ნუგეშიო“, გრძნობით ვიდებ უბეშიო და ზედ ხან „ტკბილ გრძნობას დავლიღინებ“ და ხან „სევდას დავხვნეშიო“.

ახლა რაკი ფარად მუზა მდევს უკან და მეგობრად გვერდში ჩემი ჩანგიო, სულ არაფრის მეშინიაო.

ცრემლში ნალესი ნაღველი
მინდა რომ მელნად ვიხმარო,
საწერლად მივსცე გლახ გული,
ფრთა კალმად აღარ ვიკმარო!
მის ნაცვლად ენა ჩავუწო,
საწვერმახვილო ისარი!...
ხან სამკურნალო მალამო,
ხან სასიკვდილო ისარი!...
თავგანწირულად პირდაპირ
შევეკიდები ქვეყანას!
რას მომცემს ან რას წამართმევს,
გული რომ დამწყდეს, მისთანას?

თუ არ სიკვდილით... სიცოცხლით
ვერვინ შეგეშლის ბოდვასა
და გამოვიტან საქვეყნოდ
დაფარულ მადლს და ცოდვასა.

ბევრი უტრიალა ბოროტებას, ბევრი სდია უკუღმართობას და ბოლოს, თავზარდამცემ დასკვნამდე მივიდა მებრძოლი მგოსანი: იმ დასკვნამდე, რომ ქვეყნად კაცის სამეფო კი არ ყოფილა, არამედ მხეცების. ის სულიერი, ადამიანს რომ ეძახდნენ, ნადირი, პირუტყვი გამოდგა და მასზე უარესიც. ადგა მგოსანი და ისევ პირუტყვებს მიმართა და მათში უფრო მეტი თანაგრძნობა იპოვა, ვიდრე ადამიანში.

კუდ-ქიცინა და დიდყურა,
ჩემო ძაღლო, ჩემო მურა,
სუყველამ ჭირი მოგკიდოს,
ვინც მე ტყვილად დამემდურა.
რადგან კაცში მეგობარი
უსასყიდო არსად არის,
სულ ძებნათ რომ გადეღალოთ
და ათი მთა და ბარი,
აწ მეგობრად გირჩევ შენა!
თუმც პირუტყვო, არ გაქვს ენა,
მაგრამ გშვენის კუდის ქნევა
ერთგულების გამოჩენა.
მე რომ სევდით მიწუხს სული,
შენც გიღრინავს მაშინ გული...
და მოლხენას რომ შემატყობ,
ჩემს სიხარულს შუა იყოფ...
ბევრნი ტყვილად თავს იმკობენ,
კაცნი ვართო, ამაყობენ,
მაგრამ მხოლოდ შენ გბაძავენ:
ძაღლობენ და ვერ იტყობენ.
უსაქმერად ტყვილად ჰყეფენ,
საზრდოს სუნით დაეძებენ.
ძლიერს ფეხებს უსლაქვენ
სუსტებს კი საზრდოს სტაცებენ.
აწ მე და შენ ვინადიროთ
და მკვრეტელი გავაკვირვოთ,
მოედანზედ გამოვაგდოთ
ის მხეცები დავიჭიროთ.

ამნაირად მგოსანი თავის მეგობარ-მურიათი დადის სოფელ-სოფელ და აგდებს ბუნაგიდან სხვა და სხვა ორფეხა მხეცებს. მათში ზოგია „თავმოსვილა“, ზოგი „კუდაბზიკა“, ზოგი „თავდახრილი ღრუნჩია“, რომელიც „სხვის ეზოს სწმენდს და თავისას-კი სვრის“, ზოგი მელა, რომელმაც „ყველა მოინელა“ და ზოგიც „მგელი მყრალი და ქვეყნის ჯომგდები“.

როგორც ხედავთ, მეტი გამწარება ცხოვრების უკუღმართობით და მეტი ბრძოლა აღარ შეიძლება! კარგ მთქმელს რომ კარგი გამგონე ჰყავდეს, ქვეყანას რა უჭირდა მაშინ კიდევ, მაგრამ, აკაკის აზრით, ხშირად კაცი ისე „შუბლგასქელებულია“, რომ „მგოსნის ერთგულება“ და მისი „მურიას ყეფა“ არც კი ესმის. აი ამიტომაა, რომ ბოროტებასაც თითქმის არ აკლდება ცოდვილს ქვეყანაზე. როგორც, საღმრთო წერილის[26] მოძღვრებით, ყველაზე დიდი ცოდვა მომაკვდინებელი და მიუტევებელი — სულის წმინდის[27] გმობაა, ისე, აკაკის ენაზე, ყოველი ცოდვა მიეტევება კაცს და გადაგვარება და მამულის ღალატი-კი არა. „კრულ იყოს მისი სახელი, ვინც მთა გასცვალოს ბარზედა! თვის ტომის დამწუნებელსა ჰირი მიუვა კარზედა. გადაგვარების მოსურნე, ბუნებისაგან კრულია! მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია!!!“

გადაგვარება და მტკიცე მამულიშვილობა, აკაკის აზრით, აღზრდაზეა დამოკიდებული უმთავრესად. ბავშვი აკვანშივე „ეროვნული ნაკადულით“ უნდა იზრდებოდეს და არა „დედინაცვლის შრატით“.

დედის რძესთან ვინც შესწოვა
მისი ქვეყნის სიყვარული,
მას გაუწმენდს სულსა და გულს
ეროვნული ნაკადული,
მაგრამ შრატსა დედინაცვლის
ვინც კი დააჯერა გული,
იმას უწევს ნაღველ-შხამად
ცხრა მთას იქეთ ნაკადული.

ამ დედინაცვლის ხსენებაზე მგოსანს თითქმის ზაფრის ქარები მოსდის. თავის „სატრფოს“, რომელიც „ციხეში ეგულვება, ცხრა კლიტულში მჯდომარე“, ასე უმოძღვრის მგოსანი: „გაიძვერა მოყვარე — ტკბილს გასმევს და ტკბილს გაშმევს, შეზავებულს ბანგითა“.

დედის ხმაზე გიმღერის
დედინაცვლის ჩანგითა.
გაუფრთხილდი ნუ გჯერა
მაგის ტკბილი ნანინა,
შენზე წინეთ სხვაც ბევრი,
მოჰსიბლა, შეაცდინა.

ამავე აზრებს უქადაგებს აკაკი ყოველს დედას, რომელიც ასე დამღერის შვილს აკვანში:

პატარა იადონო და ვარდის კონაო
გაიზეს და გაიზარდე, პატარა მთვარეო,
შეისწავლე და შეიტკბე სამშობლო მხარეო!
ანუგეშე, სადაც ნახო, მოძმე მწუხარეო!
შვილო მამულის გულისთვის სისხლიც დაღვარეო!

ჩვენ ძველებმაც მაგგვარადა
მტერი აშინაო;
იავ-ნანა, ვარდო-ნანა,
იავ-ნანინაო.

მესამე ლექსში: „ქართველი ქალი“ სერზე სდგას და უნდა შეიტყოს, ომი რით გათავდა: ვინ გაიმარჯვა, თათარმა თუ სოლომონ დიდმა[13] ომში ქალს სამი ვაჟიშვილიც ჰყავდა გაგზავნილი. უცებ შიკრიკს მოჰკრა თვალი და ამბავი ჰკითხა. პასუხად მიიღო:

ვაი ჩემს თავს!.. სჯობს დამებას
ცოდვილი და მწარე ენა! (ეუბნება შიკრიკი)
ვხედავ შენზედ უჩხავლია
შავბედითსა ყორანს შავსო!
რაღა გითხრა მე საბრალომ
შენ შვილების დამკარგავსო!

ქალმა უთხრა:

სუ!... არ გკითხავ!
ჯერ მითხარი შენ ესაო:
თათრებს დარჩა გამარჯვება
თუ ჩვენს ძლიერ მეფესაო!

როცა შიკრიკმა უამბო სოლომონ დიდის გამარჯვება, ქალი გამხიარულდა და ახლა კითხა შვილების ამბავი:

აბა ახლა მომიყევი,
რა გადახდა ჩემ შვილებსო.

შენი პირმშო აღარა გყავს, — მიუგო შიკრიკმა, —

ალექსანდრე მოგიკლესო;
უმცროსი ძმა მიეშველა;
იმასაც დღე უმოკლესო.
თათრის ტყვიამ გაუხვრიტა
ორთავ გულის ფიცარიო;
მოკვდნენ, მაგრამ სახელი-კი
ნახეს დაუვიწყარიო!...
დედას ცრემლი უნებურად
წამწამებზე შეუჩერდა;
ნაცრის ფერი გადაედვა,
გული ხშირად აუძგერდა.
მაგრამ ეს სთქვა — გამიზრდია,
ქართველ ქალსა ქართლის შვილი!
ეს ნაღველი დედისათვის
მწარე არის და თან ტკბილი!
მამულისთვის მიშობია
მისი ჭირის სანაცვლოდო:
„ქართველ დედებს ვალად გვაძევს,

ამ ჭირს უნდა გავუძლოთო.
ესა სთქვა და ისევ ჰკითხა:
საშუალმა რაღა ჰქნაო?
ამოიღო ძმების სისხლი?
თათრის მძორის დადგა ძნაო?
არა, ჩემო ქალბატონო,
ვერ გაგებედავ ტყუილსაო,
ეს სახელი არ უნახავს
ქალაჩუნა თქვენს შვილსაო!
უფროსი და უმცროსი ძმა
მტრის რაზმში რომ გაჰკიოდა,
საშუალო ტყეში იწვა,
გულ-მუცელი ასტკიოდა:
ეს რომ ესმა, ქართვლის ქალი
უცნაურად დაიღრიჯა,
ამოჰყარა ძუძუები,
მოთქმით თავი მოიგლიჯა.
„ვაი ლეჩაქს შერცხვენილსა,
ვაჰ ძუძუებს გაკიცხულსო,
ვაი დედას, თითქმის პირშავს,
რა მახვილი მეცა გულსო!
არ ვსტიროდი იმ ორ შვილს,
ომში მოკლულს გმირულადო,
ვიგლოვ ცოცხლად დარჩენილსა
უსახელოდ... ვირულადო!..

ასე. ჩვენი მგოსანი თან და თან უახლოვდება და შედის იმ წმიდათწმიდაში, რომელსაც კაცობრიობის ენაზედ სამშობლო ეწოდება და რომელსაც აკაკიმ „ხატი“ უწოდა „მსოფლიო სახატეზედ“. აქ იწყება აკაკის პოეზიის ყვავილები, უკვდავება და გვირგვინი.

რაც აქნამდის ვსთქვით აკაკიზე, ის მხოლოდ შესავალი იყო მისი პოეზიის თაიგულში, დიდ, უკვდავ, სახელოვან და მამულისშვილ აკაკიზე ახლა ვიწყებთ საუბარს.

საქართველო აკაკის ღმერთია, ღვთაებაა, განხორციელებული სიყვარული და მშვენიერებაა. მისი ბადალი ერი ისტორიამ არ იცის და მიტომაცაა, რომ ის მისი ხატია, თვითონ სანთელი და პატრუქია და 70 წელია, რაც მის წინ ნელ-ნელა, მაგრამ ტკბილად და ამაყობით იწვის, დნება და იფერფლება. სამშობლოს ძველ დიდებაზე მას ჟრუანტელი მოსდის ტანში და ბედნიერია, რომ იგი ქართველია. „ძეისტორიენიო, — ამბობს ერთ ადგილზე აკაკი, — სიძველეთა მკვლევარნი გაოცებით ეკითხებიან თავიანთ თავსა: რა მიზეზი იყო და რით აიხსნება, ზეციურ სასწაულათ, თუ ქვეყნიურ გრძნეულებათ, რომ ამ პატარა საქრისტიანო ქვეყანამ მოიგერია მასზე მოზღვავებული მტერი, ის ძლიერი მაჰმადიანთა ერი, რომელმაც გაუჭირველად დაამხო დიდებული ბიზანტია და დაინაწილა სლავიანთა სამთავროები“. „ისტორიული სიმართლე მალა-

პარაკებს და არა პატრიოტული გატაცებაო, — ამბობს მეორე ადგილზე აკაკი, რომ ჩვენ ქართველები ვეკუთვნით რჩეულ ხალხს და ჩვენი წარსული გასაოცარია. უძველესი დროიდან დაწყებული, მისთანა ხალხი არავინ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოზღვავებოდეს!... ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, მონღოლეთი, საბერძნეთი და სხვანი... სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალებოდნენ... საქართველო იდგა, როგორც სალი კლდე ზღვის პირათ, რომელსაც უზარ-მაზარი ტალღები ზე ეხლებიან, მაგრამ დაუძლურებულნი და ქაფათ ქცეულნი უკანვე იქცევიან...“

ეს სასწაული... ქართველი ქალი იყო. ის ჭირშიც და ლხინშიც მეუღლეობას უწევდა ქმარს და შვილებს გმირებად უმზადებდა ქვეყანას, მომავალს.

დიდება იმათ დედობას!
დიდება იმათ სახელსა!
იმათ სხივებზე დღეს ჩვენში
ქალი თვალს ვეღარ ახელსა!

ძველთაგან დაწყებული ჯერ არ ყოფილა დედამიწის ზურგზე მისთანა საისტორიო ერი, რომელსაც სხვა და სხვა გვარ უბედურების მიზეზად ქალი არ დაესახელებინოს... მაგრამ „უნაკო კანონი არ იქნებაო“ და ძველ ხალხებშიც ერიენ... ქართველები, რომელნიც სულ სხვა თვალით უყურებდნენ ქალებს. უფლებით გათანასწორებულ ამაზონელებს[29] პატივისცემით ეპყრობოდნენ და უკეთესს მათგანს გაოცებით იხსენიებდნენ, როგორც მაგალითად საოცარ მედეას[30] და გრძნეულ თირთაის[31], კოლხიდელ ქალებს... ქრისტიანობის დროს დედაკაცი კიდევ უფრო ამაღლდა მამაკაცის თვალში საქართველოში... პირველობა ყორიფელში ქალებს დარჩათ, ერგოთ.

აქ ნინო, თამარ, ქეთევან[32]
სამარადისოდ ქებულან,
დედა გვირგვინად ზეგარდმო
კურთხევით გაბრწყინვებულან...

თამარ დედოფალი[33], რომლის მეფობის დროს სიკვდილით არავინ დასჯილა, უძტკიცებს მის შემდეგ გვირგვინოსნებს, რომ ქვეყნის გაერთგულება და ამაღლება შეიძლება მხოლოდ სიტკბოებით, ლმობიერებით და სიყვარულით.

აი ეს სამი ქალი, ეს „მთიებთა სამაია“, ნათლის სვეტად წინ უძღოდა ჩვენს დედებს, ქართველ ქალებს და მათდა სადიდებლად, უნდა გამოვტყდეთ, რომ არც იმათ უღალატნიათ ისტორიულ სიმართლისათვის და ღირსეული მიმდევარნი ყოფილან ამ სამთა წინამორბედთა.

თამარ ცბიერმა[34] რომ გოჩა[35] მგოსანს უსაყვედურა, რატომ მკვდარ

თამარ დედოფალს [36] ეტრფიალები და მე ცოცხალ თამარს კი არაო, გოჩამ ასე უპასუხა:

მაგას რად ბრძანებ აბა, ბატონო,
განა თამარნი ქვეყნად კვდებიან?
საუკუნოდამ საუკუნოში
ისე, ჯით მთვარე, გაახლდებიან.
მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იწყება
მათი სიცოცხლე დაუვიწყარი
და სათაყვანოდ სამარადისოდ
საერო გულის ეღებათ კარი...
მე რომ ვუგალობ ის სხვა გრძნობაა,
რუსთველებრივი, ტარიელური!
ის ნუ გგონიათ, თქვენ გულის ფხანება
საყოველთაო... ყოველ დღიური.
მხოლოდ რჩეული ცისა და ქვეყნის
აღმაფრენითა იმას მისწვდება
და დანარჩენი უმეტესობა
იმ ძალს ვერ იგრძნობს, ისე მიწდება.

ახლა შევხედოთ, ვინაა მეორე ქალი ჩვენი მგოსნისა

მაგონდება შახ-აბაზი [37]
მთელს კახეთზე გულმღელვარე
და იმის წინ ტყვე წამდგარი
ქალი ეშხით მოელვარე.

შახი ჰკითხავს ქალს ტყვეს:

ჩვენება ხარ, თუ ნამდვილი მიწის შვილი?
თავს გვირგვინი გეკადრება
და რას ნიშნავს ფეხთ ბორკილი?
„ჩვენს სისუსტეს და თქვენს ძალას!“
ქალი მტკიცედ ეუბნება: —
ალბათ ღმერთთან შემცოდე ვართ...
კურთხეულ არს მისი ნება!...
— ვხედავთ, მაგრამ შენდა თავად
ჩემ წინაშე რა გაქვს ბრალი?
ნუთუ მართლა ბრძოლის ველზე
გამოდიხარ სუსტი ქალი?
— რატომ არა?... ქალი რომ ვარ,
უფრო ჩვილი არ მაქვს გული!
აქ მარხია ჩემის ქვეყნის
ერთგულება-სიყვარული.
და ეს არის, დღევანდელ ჭირს
რომ მიქარვებს... მიადვილებს!...
მამა-პაპათ მიანდერძეს,
რომ გადაესცე მეცა შვილებს...
მამა არ მყავს!... თათრის ომში

მოკლულია ჩემი ქმარი!...
შვილები ჯერ არ დაზრდილან...
მე-ღა დაერჩი მეომარი.
ვერ ვაპმევდი ოჯახს სირცხვილს!
მომეხადა უნდა ვალი:
მამაკაცის მაგიერათ
მე ავიღე ხელთ ფარ-ხმალი.
და ავიღე განა მიტომ,
რომ ბორკილზე გამეცვალა?...
ეჰ, რა ვუყოთ? ... ნათქვამია:
„აღმართსა ხნავს მეტი ძალა!"
ერთით ერთზე ვერ მოჰბედავ...
გუნდით ებრძვი ყოველ ქართველს!...
ხომ ქალი ვარ, მაგრამ ერთი
მეც ვერ დამრევს თათარი ხელს...
— „ბაშვადონუმ!" — შახმა ბრძანა, —
ქალი უნდა ამისთანა!
ვხედავ რითაც მიმკლავდება
ერთი ბოხჩა ეს ქვეყანა...
ეს ბრძანა და სარდლებს უთხრა:
შეაყენეთ სისხლის ღვრაო!
მზემან შუქი მომაფინა,
ენება გულის დამიცხრაო!...

მესამე ქალი — ნათელა[38] თავის ქორწილში ოდიშის მთავართან ცოტნე დადიანთან[39] საყოველთაო ლხინის დროს მოწყენილია. ქმარი ეკითხება, საწერეთლოს, შენი სამშობლო ციხის მოდინახეს[40] დატოვებას ხომ არ წუხო. ქალი ეუბნება:

ჩემო ხელმწიფევ? შენთან მყოფს მომაგონდება მე ვინა?
მაგრამ სხვა რამემ შორიდან საგრძნობლად გულზე მიკბინა!
ვეღარ მოვისმენ გულგრილად „შადსა" და „მრავალჟამიერს" -—,
სანამდის საქართველოში ბატონად ვხედავ ქვეყნის მტერს.
თვალწინ მეხატვის ერთი რამ, ისა მკლავს და ის მაღონებს;
ლიხს იქით მოძმე ქართველი ყმად გაუხდიათ მონღოლებს!
დღეს აქ ლხინი გვაქვს საერთო ყანწ-აზარფეშის ტრიალი;
იქ კვნესა ისმის დაპრილთა და ქვრივ-ობლების ღრიალი!
ხომ ხედავ ამდენ ვაჟკაცებს, გმირთა გმირთ, ლომთალომებსა?
ცოდვა არ არის ესენი ერიდებოდენ ომებსა!?
აქ რას უსხედან? წავიდნენ... შენ უწინამძღვრე, მთავარო!
და მეცა თქვენთან, იცოდეთ, მამულის მსხვერპლად მზა ვარო!

წინადადება მხიარულებით მიიღეს, საომრად წასვლის თადარიგს შეუდგნენ და ნათელამაც ასე დაამღერა ჩანგურს:

ჩანგურს სიმები გაეუბი, მოვმართე ნელა-ნელაო;
შეეუხმატკბილე ერთმანეთს: ოდელა-დელა-დელაო!
თავის ჰანგებზე, თავის ხმით წკრიალებს ყველა ერთადო,
ერთი-მეორის თანხმობით: ოდელა-დელა-დელაო!

ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შველაო,
რომ არ გაფუჭდეს ჩონგური: ოდელა-დელა-დელაო!
ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები: ოდელა-დელა-დელაო!
ჩვენც ხომ სიმების სისუსტემ სინათლე დაგვიბნელაო!...
ბნელში რა სასიმღეროა: ოდელა-დელა-დელაო?!
შორიდან შემოგვეპარა მტერი, ვით ტურა-მელაო
და სულ სხვა ხმებზე გვამღერებს, არ მოსწრონს „დელა-დელაო!"
მწერიც კი ცხოვრობს თანხმობით, ფუტკარი!... ჰიანქველაო!...
და ჩვენ რათ ვმღერით ცალ-ცალკე: ოდელა-დელა-დელაო?!
ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელაო!..
მტრებს „ვაი-დედა" ეძახოთ და ჩვენ ვთქვათ: „დელა-დელაო!"...

როდესაც ნოინმა [41] ნათელას შეხედა და გაეცნო მის თავდადებას და საარაკო გმირობას, მსგავსად შახაბაზისა

— სთქვა: „საქართველოს მფარველი
დიდი ყოფილა... ძლიერი!
სადაც ყოფილხარ, გაზრდილხარ,
რათ უნდა გაქრეს ის ერი?!"

ამ სახით ... ჩვენი ძველი დედები

სამაგალითო ყოფილან:
ქვეყნისთვის თავი დაუდევსთ,
რადგანაც მისთვის შობილან,
გამოუზდიათ შვილები
სამშობლოს მსხვერპლად, ზვარაკად
და მით გვაძლევენ მაგალითს
თითქოს ზღაპრულად, არაკად!

აი მიზეზი, აკაკის აზრით, ჩვენი ძველი დიდებისა, ძლევამოსილებისა! ჭალი იყო კეთილი გენი საქართველოსი და თუ რამ კარგი და თვალსაჩინო მოიმოქმედა საქართველომ, ეს კაი დედებისა და კაი ცოლების წყალობითო.

ასეთი შუქმფენია მთელი წარსულიც საქართველოისა აკაკის პოეზიაში. მისთვის ეს ძველი საქართველო, ეს „ხატი" აკაკისა, საფლავში კი არაა, მკვდარი კი არაა, ზეზეა, ცოცხალია, ხორც შესხმულია, თავზე ადგია ეხლანდელს თავის აჩრდილს და კიდევ სხივით აშუქებს ჩვენ დაკნინებულ დროის წყვდიადით მოცულს კუთხეებს. ვერ აუწერია და ვერ წარმოუდგენია ძველი დიდება და ღირსება ერისა. აბა დაუგდეთ ყური ჩვენს მგოსანს; როგორ ხატავს იგი ძველ საქართველოს და მის „ცას-ფირუზსა, ხმელეთს — ზურმუხტს".

ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა, და ან ცაზე ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?
ვინ მოგვითხროს მათი საქმე უთვალავი, საგმირონი;
და ან მათზე გადმოსული მადლი ღვთისა და მირონი?

წაშთი ძველი დიდებისა არ გამქრალა ჯერაც ყველა...
დღესაც მისის შარავანდით ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!..
შვიდ სამთავროს მოგვაგონებს მოელვარე ის შვიდფერი
და გვამღერებს: „არ მომკვდარა, გაიღვიძებს ისევ ერი!“

ახლა მოვისმინოთ რა იყო საქართველო ბედნიერ წუთებში, ლხინის დროს:

მეფე დავით კურაპალატს [42], ჰქონდა ერთხელ წვეულება:
მშვიდობის დროს ჩვენს მეფეებს ჰქონიათ ეს ჩვეულება.
საქართველოს ყოველ კუთხით მოეყარა თავი ერსა;
იღხენდნენ და გაჰკიოდნენ ერთხმად „მრავალჟამიერსა“.
და მართლაც რომ ჰშვენოდათ მაშინ იმათ ეს მოლხენა,
რადგან იმ. დროს გადმოსული იყო ქართლზე მაღლით ზენა:
გარე მტერი დათრგუნვილი შუღლს მათ ვეღარ უბედავდა
და შინაგან მშვიდობასაც, ვინ იყო რომ ვერ ჰხედავდა?
ამით გული უხაროდათ ბატონს და ყმას, ყველას ერთად,
კაცსა კაცად აფასებდნენ, ადიდებდნენ ღმერთსა ღმერთად;
საქმის დროზე მუშაობდენ, უქმე — დღეზე მოილხენდნენ,
მეფე ხალხს და ხალხი მეფეს სიამესა გულს მოჰფენდენ.
შთვრალობა და „სადღეგრძელო“ სათვითოო არ იცოდნენ;
ჩვენი ლხინი რომ ენახათ, სირცხვილითაც დაიწვოდენ.
პირველ ხმაზე ახსენებდენ საქართველოს და უფალსა,
დღეგრძელობით თაყვანს სცემდენ მეფესა და დედოფალსა;
ბოლოს გმირებს იგონებდენ, მამულისთვის ომებში მკვდარს,
და მღვდელმთავრის კურთხევითა ჰსვამდენ იმათ შესანდობარს...
სულ ამითი თავდებოდა მაშინდელი სადღეგრძელო,
თუმცა მათში მეტი იყო საქები და სასახელო.
ამგვარივე იყო იმ დღეს ზომიერი ჭამა და სმა...
მოილხინეს, გაშაირდნენ და ერთმანეთს სტყორცნეს მათ ზმა.

ასეთი იყვნენ ჩვენი გმირები ჭირშიცო. აი რას ამბობს აკაკის თორნიკე ერისთავი ბაგრატ მეფის [43] წინაშე:

მწარ წარსულის მოგონებით თქვენ წინ მთქმელი ვარ ამისა,
რომ მომსწრე ვარ საქართველოს შავი დღის და ვარამისა...
ბევრს თქვენგანს ის არც კი ახსოვს, იქნებოდით მაშინ ბალღი,
მაგრამ მე კი დღესაც გულზე მაშინდელი მაზის დაღი!
ცამან რისხვით მოგვიქუხა, საქართველოს ადგა ბუნდი,
მონავრულათ გვესეოდა ყოველის მხრით მტრისა გუნდი.
მოგვაწვენ და მოგვაზეირთდენ ერთიანად ჩასანთქმელად...
რაც რომ მაშინ ჭირი ვნახეთ, ძნელი არის აწ სათქმელად.
ეს პატარა საქართველო ჯარასავით დატრიალდა,
გადიწერა რა პირჯვარი, გაფოლადდა და გასალდა...
მოხუცი თუ ახალგაზრდა, ერისკაცი თუ სამღვდელო,
ყველა ერთმხრივ მიიწევდა ერთი ჰქონდა ყველას ღელო!
სადღა იყო განსხვავება? რის ბატონი? ან ვისი ყმა?
ყველა ერთად შეკავშირდა, ერთი ჰქონდათ მათ გულისთქმა:

რომ გულწრფელად მოეხადათ ქართველის შვილებს მათი ვალი
და სიკვდილით გამოეხსნათ ჩვენი ქვეყნის მომავალი!
მამა-პაპის განთქმულ ფარ-ხმალს უმატებდა შვილი ფასსა
იმითი, რომ ლომკაცურად შეებმოდა ერთი ასსა.
„ჰკა მაგის“ ხმა ყოველის მხრიე მოისმოდა მტრის საზარი
და იმ გრგვინვას ბანს აძლევდა საორკეცოდ მთა და ბარი.
სისხლით მორწყეს ტყე და ველი, შეიღება წითლად მდელო;
აღდგომის კვერცხს დაემსგავსა ჭირნახული საქართველო!
განახევრდა ქართველობა... მაგრამ მტერს კი სძლიეს მათ ღვთით
და თამამად დაიძახეს: „საქართველო აღსდგა მკვდრეთით!“
და მართლაც რომ გამოიხსნეს განწირული, სულთამბრძოლი
და გადმოსცეს შვილიშვილთა, მარგალიტი ვით ობოლი!
მხედართმთავარ-უხუცესად იყო მაშინ იოვანე,
შემდეგში რომ ბერად შედგა, დღეს ულუმბოს აქვს სავანე.
სანამ მტერი გარს გვეხვია, მძვინვარებდა, ვითა ლომი,
გოლიათის შებმას ჰგავდა მისი ბრძოლა, მისი ომი.
მტრისა ისრით გამხვრეტელი ხმალს ულეწდა, ფარს უხევდა;
ხშირად მამა-პაპის სისხლზე თაეისასაც ზედ ანთხევდა...
ჯოჯოხეთის რისხვა იყო მისი რისხვა, მისი ვნება;
სანამდის კი მტერს ჰხედავდა, არ იცოდა მოსვენება.

ბოლოს მოხუცდა და მითხრა:

თორნიკ, პა, შენ გჭონდეს სარდლობა და ჩემი ხმალი,
ეინძლო ღირსად აასრულო მომავალში შენი ვალი!...

და მე თუ როგორ შევასრულე ეს ანდერძი, შენ თვითონ განსაჯეო.
ახლა მოვუსმინოთ მეორე გმირს მტრების ურდოში ტყვედ მყოფს:

ბევრჯერ შიშველს და სიცივეს ძაღლივით ავეღრენიავარ,
მაგრამ იმავ დროს მე აღმა აღუფრენიავარ..
და მითქვამს: „თუ უმსხვერპლოდა ეერ გაიხარებს ქვეყანა,
ღმერთო მიმიღე ზვარაკად, ყელში გამერჭოს მე დანა..
და მით ასრულდეს ანდერძი, გადმონაცემი ძველთაგან;
იხსენ, უფალო, ჩემ გამო ქვეყანა განსაცდელთაგან!

აგერ ვახტანგ გორგასლანი[44] ხმალს კიდებს ხელს, „ბაყათარს“[45] მივარდება და შუაზე გააპობს, ოსებს „იალბუზს იქით“ მიერეკება, „ქვესკნელს კანონებს უჭედავს“, „სპარსეთს ლაგამს სდებს“, ინდოეთს „თავზარს სცემს“, „ანტიოქიას“ ეკლესიის თავისუფლებას სტაცებს ხელიდამ“, ზეცას „ზარის რეკას“ უგდებს ყურს, „ძველებს ანდერძებს დიაცურ არ სტეხს“, „მტერს ან მაჰკლავს, ან შეაკვდება“ და „ვალის შესრულებით მეორე დგმას უადვილებს ცხოვრებას“. „ოთია[46] და დათუნა“[47] წუნკალ ალლიფოლადს[48] გაჰკიდებიან და სიცოცხლე მოუსპიათ“. „გოგია მოხუცს სასხლავი უკავია ხელში“, ქვეყანას სწმენდს და შვილებს „ჭუდს ხურავს თავზე“. ქართველი მეომრები დროშას მოაფრიალებენ და მტრის დაჭრილი ყურებით საესე ზანდუკი მოაქვთ ტრიუმფად ..

აკაკის ნოინი [49] გაოცებულია ქართველების ხასიათით:

არავის ებრძვის, პირიქით, დამხთურად მეომარია!
ეინც მის ქვეყანას არ ერჩის, მოძმე და მეგობარია.
არსად გაუდის მოყვრობა და არც მტერები აკლია,
მაგრამ ხომ მაინც პირწმინდად ჯერაც ვერავინ დასძლია?!
რა გამოვიდა, რომ ეძლიეთ! განა ძლევაა ეს ძლევა?!..
რაც უფრო ჭირში ეარდება, მით სიმხნეც მეტი ეძლევა.
... არას ითხოვენ! ...ზეიადად, ამაყად იტანჯებიან!..
რაღაც მომაელის იმედით და სასოებით კვდებიან.

შაეი ბედი საქართველოს (გვეუბნება აკაკი სხვა ადგილზე)

ძველთაგანვე უღლად აწვა
ბევრი ნახა აოხრება, დაქცევა და ცეცხლით დაწვა,
მაგრამ მაინც უცნაურად, არ ჰქრებოდა... არ კვდებოდა.
იმ ფერფლიდან ისევ წმინდად ის ორბივით ახლდებოდა.
მსოფლიო ცხოვრებაშიაც, ქართველსაც უძევს კვალიო:
შიგნიე ოფლი და გუთანი; გარე — სისხლი და ხმალიო!
დედა-ენა და ერობა ქრისტეს სჯულს უკავშირაო,
მათს დასაცველად ოთხკუთხივ ომები გაახშირაო!
და მართლაც არწიე-ლომობდა ქართველი მაშინდელიო!...
დედაც სხვა იყო იმ დროში, სხვაგვარი შვილის მზრდელიო!
მათი ნანინაც სხვა იყო; არ ჰგავდა ეხლანდელსაო,
მონურსა გასაკიცხაესა, სიყრმითვე გასახრწნელსაო!...

ამიტომ აკაკი როცა ხატის წინ ანთებულ სანთელს ხედავს, გვეუბნება:

რაღაც უცნაურს ერთობას ვხედავ სანთელს და ჩემს შუა!
სანთელი ჩემი ხორცია, სიცოცხლე — მოკლე პატრუქი,
ნათელი — ჭკუა-გონება, იმათგან გამონაშუქი.
ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა,
და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე, არ შემიძლია მეც განა?

და მართლაც რომ „იწვის" და „კვდება" იგი ამ თავისი ხატისათვის ეს 50 წელიწადია! დიახ! ის ამ „ხატით სულგრძელობს, სასოებს და უიმისოთ მისთვის სიცოცხლე რაღაც ფიქციაა, არარაობაა, ცარიელი სიტყვაა! აკაკი და მისი ხატი სამშობლო ერთს არსებას წარმოადგენენ: აკაკი — საქართველოა და საქართველო აკაკი, მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა შეუძლებელია.

ლეჭცია მეოთხე

ძველი საქართველო, როგორც ვთქვით, სათაყვანოა, შუქ მფინარია, მაგრამ ახლა რაღა ეართო, ჰკითხულობს აკაკი?! ახლანდელი, მონური, გასაკიცხავი, სიყრმითვე გასარყვნელი ნანინა ხომ არა ჰგავს ძველი დე-

დების ნანინასაო?! და აი, აქ იმსხვრევა აკაკის იმედით საესე, მხიარული ჩანგი და ჯადოსნურად იცვლება მგოსნის გულში მოღიტინე და მკბენარ მატლად, მჩხაკანა ყვავად! თუ პირველი ჩანგი დახაროდა და დამღეროდა მხიარულ ჰანგებს ბედნიერ საქართველოს, სამაგიეროდ, მეორე ჩანგი დაჰკვნესის და დასჩხაკის ეხლანდელს უბედურს საქართველოს!

მისთვის ვეღარ ვმღერ, როგორც ბულბული, რომ გულში ვარდი აღარ მიყვავა
მის ნაცვლად ეკლით ამევსო გული და ზედ ყორანი შავი დამჩხავა!
მეხსიერება დროსა წარსულსა უსუსტრად, მტრულად, მარად მაგონებს,
ძით მომავალი მიშფოთებს სულსა, წარსული გულს მწყვეტს, აწმყო, მაღონებს.

სადღა არიან იოანე — თორნიკეები, ოთია — დათუნები, ცოტნე — ვახტანგები, თამარ — ნათელები?! [50] აი რას ეუბნება მგოსანს ეხლანდელი „სიყრმითვე გარყვნილი“ გმირი:

როდესაც ჩემ წინ სუფრაზე ცხელი, შუშხუნა მწვადია,
მაშინ მე სამშობლოსათვის — ყოველი კარგი მწადია!
როცა გადაეკრავ ნუნუას თასს — ყანწით, გინდა კულითა,
მაშინ მეც ზეცას ვაეედრებ ამ ჩემს სამშობლოს გულითა.
მაგრამ ესენი სუყველა თუ აღარ მექნა ხელათა,
წიხლსა ეკრავ შინაურობას და გავიჯრები ველადა.
და შენს ქართულს და საქართველოს ფეხებზე დავიკიდებო!

აი, ასეთი მამულიშვილების შემხედვარე მგოსანს თვალ-და-თვალ უტყდება გული და ემჩნევა უნუგეშობა.

აღარ გვაქვს გრძნობა, დავკარგეთ გონი,
გაგვიქრა სული მამა-პაპური!
ჩინი შეგვექნა ჰკუის საწონად და ძმობის ნაცვლად ბოროტი, შური!
ადგილი იგი, სადც ჩვენ წინაპარს სისხლი უღვრია თავ-განწირულსა!
შეილთ გვეზიზღება დღეს აღარ გვიყვარს
და ვერ გვიხურვებს გაყინულს გულსა!...

ამის ნაცვლად ერთმანეთს ჰკლავენ ღალატით და პირში ფარისევლურათ უცინიან ერთი მეორეს ძმებიო! პოეტი ვეღარ იჭერს თავს:

ფარისეველო! გაუტანელო!
სხვასთან თავმხრელო, შინ ორმოს მთხრელო,
ნაგავის მყრელო, შენ ჰრელო გველო!
რამ შეგაძულა, სთქვი, საქართველო?!

და ბოლოს მოყვება წყევლას და რისხვას:

ნურვინ ისხამს სხვის ქურქსა
და ნუ სცვლის თავის ენასა,
თორემ ბოლო დროს მოიმკის
უსუსტარ ცრემლთა დენასა!

მგოსნის სიტყვა და მუქარა კანონიერია.

მამის სული გაუშვიათ, პაპისას — კი იგონებენ;
დედას დედინაცვალზედა სცვლიან და თავს იწონებენ!
ნუ თუ შინ ვერ მოუნახავსთ ვერც ცოცხალი და ვერც მკვდარი,
ღირსი მათის ყურადღების სახსოვი და საქებარი?

ეკითხება მგოსანი ყველას და პასუხი არაა! სადღაა ან ძველი ქალებიო!

დრო წავიდა, სხვა მოვიდა, დღე დაწვა და ღამე შობა...
ზრასტის ვეტყვი ჩვენს ქალებსა, აღარ ესმით გამარჯობა!

უწინ მარიამი ერქვათ, ეხლა მაშინკათ გადაუკეთებიათო! მათს საქციელს რომ ძველმა ქალებმა შეხედონ, სირცხვილით დაიწვებიანო!

სძულს წარსული, აწმყოს ეტრფის,
მომავალში მისთვის ბნელა.
იმდენს ჰგრძნობს და იმდენს ფიქრობს,
რამოდენსაც ბუზ-პეპელა!...

მგოსანს ბოღმა აწვება მამულიშვილების ასე დაცემით და ვერ წარმოუდგენია, თუ რამ გადააგვარა და გაანადგურა იგინი, მიტომ ასე ამკობს მათ:

ეჰ, ქართველო, აბა მითხარ ვინა ხარ?
მოწინავეს ჩამორჩი, უკანაზე წინა ხარ,
უცხო კაცად არ ვარგხარ, აღარც არა შინა ხარ,
ორთა შუა აგდიხარ, სანაგველას ფინა ხარ!
პირში მთქმელი არ გიყვარს, მართლისთვის ილანძღები,
თუ გშია, პატრიოტობ, შენ მოძმესაც უწყრები;
მაგრამ მაშინ-კი სხვა ხარ, როდესაც გამოძღები,
თავი ქონით გაქვს სავსე და ტვინით კი ფეხები!

ისეთს გზას დასდგომიხარ, რომ უფსკრულისკენ მიყავხართ და რამ დაგაბრმავათ ისე, რომ ვერ ხედავთ საფრთხესო! რათ ღორდებით თვალთმაქცობით და საბავშვო სატყუარებითო!

ჩიტო, ჩიტუნიებო! შინ ღომის წუნიებო,
სხვის სახლში შაქრის ჭამით, არ გახდეთ უგუნებო!
ნუ გსურთ სხვისი ალერსი, პატივი უკეთესი!..
ეგ სულ ეაჰრული არის ანგარიში და წესი,
თორემ პირადობითა, საკუთარ მინდობითა,
არავინ არ გაგიტანსთ, არც ძმობით, არც დობითა!
თავზედ რომ ვარდს გადებენ ქვეშ ეკალს გიმზადებენ;
სულ სტყუიან, იცოდეთ, რასაც რომ გიქადებენ...

მაგრამ „ჩიტებს“ მოწამლული შაქარი გატკბობიათ, განსაცდელზე აღარ ფიქრობენ, დაღუპვის გზას ადგიან და რაღა ანუგეშებს სამშობლოს

ჭირისუფალს მგოსანს?! მკითხველო, ერთს წუთს წარმოიდგინეთ ის თავდაპირველი დედა, რომლის ერთ-ერთი ნუგეში — შვილი უფსკრულიკაენ შირბის, პაპელას მისდევს და ის-ის არის უნდა თავდაყირა გადაეშვას უფსკრულში! დედა თმა-გაწეწილი კივილ-წივილით მისდევს და თან მეტის შიშით მუხლებიც ეკვეთება: ასეთს დედას მოგვაგონებს ამ ლექსებში აკაკიც. ის „წიოკობს“, „თვალთაგან ნაღვლიან მდუღარებას ანთხევს“ „ქვეყნის ჭირით დაიტვირთა“, „ცა ჭირს ჭირზე ათოვს“ მას, უკან მისდევს თმა გაწეწილი თავის გაუკუღმართებულს სამშობლოს ვედრებით, მუქარით, რჩევით, გაფრთხილებით, დედის ყოველი საშუალებებით, მაგრამ ურწმუნო შვილს აღარ ესმის მისი და ესაა რომ ამწარებს მას, ჭანცს ულევს! გაგონებას ვიღა ჩივა, კეთილისათვის ბოროტათ არ უმასპინძლდებოდეს! მგოსანიც ბედს ემდურის და მამულსაც მწარე საყვედურებით ავსებს:

ჰეი, სამშობლოვ, სხვებისთვის დედავ,
ჩემთვის კი ავო დედინაცვალო,
ვიცი დაიბან პილატებრ ხელსა
და იტყვი, რომ ხარ შენ დღეს უბრალო
ჩემს ტანჯვაში და ჩემს განსაცდელში.
მაგრამ მსურს გითხრა მე საყვედური
მხოლოდ მისთვის, რომ უნდა გათავდეს
ჩემი შენდამი აწ სამსახური.
სული და გული, ბუნების ნიჭი,
სიჯაბუკე და წამი ყოველი
შენ შემოგწირე და რა მივიღე
სამაგიერო მე სასყიდელი?
უსამართლობა, მტრობა და დევნა,
ცილის წამება გულის საკლავი,
და საუკუნო განსასვენებლად
მოსწრაფებული შავი საფლავი!

მერე მგოსანი ასე არჩევს: შინაურს მღვდელს შენდობა არა აქვსო, ახლოს არ წამიკარეს და მოდი გავშორდები, წავალ შორს, იქნება იქიდამ უკეთ ვიმოქმედო და ხელშეუშლელად ვემსახურო მამულსო! ხედავთ?! მხოლოდ შორდება ხორციელათ, მაგრამ სულით და გულით მაინც ვერსად ვერა! მეტი სიყვარული იქნება!

სიტყვით, საქმით და სურვილით
მე ნადევნი ყველასაგან,
ჩემი ნებით და სურვილით
აწ კი წავალ, დროა, სხვაგან.
ვეთხოვები იმა მხარეს, სადაც ვიყავ ნაწამები,
სადაც ტკბილი არ მქონია, არა თუ დღე, არც წამები,
სადაც მხოლოდ პირადობას, არც ზომა აქვს, არც საზღვარი
და „საერთო“, „საზოგადო“ არ იცან, თუ რა არი,
სად მოქმედობს სუსტი სმენა, ავი ენა, ხარბი თვალი!

სადაც არ სწამთ და არც სჯერათ საიმედო მომავალი.
ვერ შევსძლებ, რომ შევურიგდე სკვითურ რიგს და იმა წესსა!...
და უბრალოდ რად ვიტანჯო? ისიც კმარა, რაც მაკვნესა!
წავალ სხვაგან და იქიდან ვადევნებ მას ყურს და თვალსა.
და უფრო ხელშეუშლელად ემსახურებ მის მომავალსა.

მგოსანი მიდის!... მაგრამ ვაი ასეთს წასვლას! ვაი ამ გაყრას! .იცით რა წუთია ეს წუთი? მგოსნის გულში უიმედობის ქვითინი ისმის; სული ხორცს ეყრება, სიცოცხლე სიკვდილს ებრძვის.

წარმოიდგინეთ უნუგეშო მდგომარეობა იმ დედის, რომელმაც ეს ეს არის თავის ერთად-ერთი შვილი, სიცოცხლის ყვავილი ცივს სამარეში უნდა ჩაუშვას, და საუკუნოდ მოაცილოს მას თვალი! ამ სულიერს გენის განიცდის აკაკიც სამშობლოს უნებურათ მოშორებაზე!

გამოსათხოვარი სიტყვა გულს ეკალივით ეხება, ლახვარივით ხვდება და უბედური მგოსანი გებრალება ამ უნუგეშო მდგომარეობაში. მისი გამწარებული ენა მდუღარებას ამოანთხევს, შორდება საყვარელს სანს, მაგრამ სულს და გულს მის უბეშივე ანთხევს ცრემლ ნაღვლად და ცარიელი ჩონჩხი, მოჩვენება ეყრება მას!. აი ეს გამოსათხოვარი სიტყვა:

მე რომ მიყვარდი, ის სიყვარული მოკვდავთა ენით არ გამოითქმის!...
შენ იყავ ჩემი სიტყვა და საქმე და თვით მიზეზიც წრფელი გულისთქმის!...
სიყმაწვილიდან მწარ სიბერემდე ოქრო-ქსოვილად გეფინებოდი.
და ვით ხატის წინ, წმინდა სანთელი შუქ-მოპარპალე უხმოდ ვდნებოდი.
შენის მოხიბვლით გამოწვეული წინ მიმიძღოდა მეც ის ნათელი
და ჩემი ნატვრაც მხოლოდ ის იყო, სამაგიერო და სასყიდელი!
ვფიქრობდი შენ წინ წვითა და დაგვით წმინდად დადნობას, ტკბილად გაქრობას.,
მაგრამ სიწმინდის წაბილწვაც თურმე არაფრად უჩანს შურსა და მტრობას!..
ან რაღა მეთქმის? კურთხეულ იყოს მიუწვდომელი მაღლით განგება!...
ჩემი ნათელი ბნელად გეჩვენა და წყევლა-კრულვად ქებათა-ქება!
უნდა მოგშორდე იძულებული!... მშვიდობით, მაგრამ ვაი მშვიდობას,
თუ უნებურად შეგცოდე რამე, სულგრძელი იყავ! ვითხოვ შენდობას.

პოეტი მიდის! რაც სთქვა აუსრულდა! სხვაგანაა, მაგრამ ვაი მისთანა ყოფნას! რომ ვერ სძლებს! რომ უზომოთ სტკივა გული, მაგრამ მაინც ვერ ივიწყებს უბედურს სამშობლოს, რადგანაც იგი ღმერთია და ხატი მისთვის და სადაც უნდა წავიდეს, მაინც ვერ დაემალება მას. ახლოს რომ იყო, თითქმის რცხვენოდა, ეკრძალებოდა ამ „სატრფოს“ და სრულიად ვერც კი უბედავდა ალერსს. ახლა თვალით ვერ ხედავს და უფრო თამამია: რასაც კი შეხედავს, ყველაფერში სატრფოს, სამშობლოს ხედავს, მას მოაგონებს, რაღაც მსგავსებას ჰპოვებს მათში და ტკბილი ჟრუანტელი უვლის ტანში!

აგერ სალამური, ეს ყმაწვილობის განუყრელი მეგობარი მოაგონდა, თითქოს მისი ხმა კიდეც ესმის, ყურში უღიტინებს და აი რა გრძნობებით მიეგებება პოეტი ამ ილლიუზიას:

სად ხარ ჩემო სალამურო, — ხმა ტკბილო და საამურო,
რომ შენის ხმით ჩრდილოეთში ქართველს გული გამიხარო!
როცა მწყემსი გიპყრობს ხელში და გაჰკივის მთა და ველში,
ტკბილსა ხმასა ცაში ჰკარგავს, და სევდისას შავს ქვესკნელში,
მაშინ ფიქრი ჩემი შენს ხმას, გარს ეხვევა ვითა ძმა ძმას
და შენი კვნესით მაგონებ საქართველოს მწარე მოთქმას.
ხან თათრები აკვნესებენ, ხან თურქები აოხრებენ,
ხან სკვითები დროს შერჩეით მყუდროებას უშფოთებენ!
მაშ უწყალო სალამურო, მტირალო, არ საამურო,
რად მსურს შენი ხმა ვისმინო და ქართვლის ბედს მოვემდურო?!
მაგრამ ზოგჯერ რომ ტკბილი ხმა სანუგეშოდ მიჰფრენს აღმა,
თავ-განწირულს მამულისშვილს წარმოვიდგენ მაშინ ქართველს:
მტერს შეჰყვიროს: „ჰკა მაგასა!“ გამოსული ბრძოლისა ველს.
აბა ეს ხმა, სალამურო, ტკბილ ხმოვანო, საამურო,
აროდეს არ მომყირჭდება, ძალ-გიძს მუდამ მომაწყურო!
ქართულად ჰკვნეს, ქართულად სტვენ, ქართველის გულს ამით
ულხენ,
ხასიათს და ჩვეულებას წინაპართა გვაგონებ ჩვენ...
მაგრამ, ჩემო სალამურო, გრძნობით მსტვენო, საამურო,
აღარავინ გიგდებს დღეს ყურს, სჯობს ისევ მწყემსს ემსახურო!...

დაუგდო ყური მგოსანმა და იქ შორს შიქასტის ხმა მოესმა, ისევ ნაცნობი ხმა, ისევ ძველი საქართველო მოაგონდა და აუდუღდა გული! ნაცნობმა ხმამ საოცნებო წარსულში გადააფრინა და აწმყოს რომ შეუდარა, სევდით აივსო და, თავი ვეღარ შეიკავა, მიაძახა მეზურნეს:

ახ, მეზურნევ, დაჰკა, დაჰკა! გამაგონე ეგ სევდის ხმა,
მაგაშია ჩემთა ძველთა მამაცური ოხვრა, მოთქმა!
გამიხურე ჰანგით გული, ეგებ დასდნეს მწუხარება!
და ჩემთ თვალთა გადმოსთხიონ ნაღვლიანი მდუღარება!
ვიცი, ცრემლი მამა-კაცსა შეარცხვენს და არ შეშვენის,
მაგრამ მიჯობს ჩემათ ტანჯვას, ცრემლი ვღვარო, არა მრცხვენის
ნურვინ ცდილობს, იმ ცრემლებში ნახოს კერძო სიყვარული!...
იქ იქნება საიდუმლო, გულ-გამხეთქი, დაფარული!...

ნახევარი ცხოვრების გზა გავლილ, სიტკბოზედა მწარე მეტი დავლილ,
არ მშორდება მწუხარება და პირი, მაგრამ მაინც სულ ვიცინი არ ვსტირი!
რას მიქვიან პირადი მწუხარებაჲ მოკვდეს კაცი, თუ პირუტყვს ედარება!
ვიღას ახსოვს თავისი სატკივარი, თუ სატრფო ჰყავს იმ დროს მას ცოცხალმკვდარი,
მაგრამ იცით ჩემი სატრფო ვინ არი? ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი!
ფეხ-შიშველი, თავზედ ლეჩაქ ახდილი, უგრძნობლად ჰხდის საწყალს
საღათას ძილი!
თავს ვადგივარ მისი პირისუფალი, თუმცა გულს მწვავს მწუხარების მე ალი.
მაგრამ მაინც ვიცინი სამნაირად და მკერეტელთაც ესა აქვთ გასაკვირად:
პირისუფალს მხოლოდ ცრემლი შვენისო. ეს იცინის... როგორ არა სცხვენისო!
რა იციან, რომ ეს გული მკვდარია... და სიცილი ზოგჯერ ცრემლზედ მწარია!...

ამ მოშხამულს გრძნობებს ცოტა შეღავათს აძლევს ისევ „მკვნესარნი სიმნი“, ჩანგის „მწარე მოთქმა“, „მხოლოდ მისი ეს მაცდური ხმა გულს გადაფერავს მოდებულს ჟანგს“, „ის არის მისი თანამგრძნობელი“, „ეალერსება, ვითა მშობელი, და ცრემლით ადნობს მის მწუხარებას“. ისმენს, რომ „სიმებმა“ მგოსანის „გონება“ გააცოცხლოს, აამღელვაროს, მისცეს წარსულთა დროთმოგონება და გადიტანოს სამშობლო მხარეს!“

ახლა სულ ამ მკვნესარ სიმებს დასდევს უკან და მათ ხმაზე, მშობლიურ ხმაზე, გამწარებული ეძებს დაკარგულს „სატრფოს“ — სამშობლოს. ძებნის დროს სულ ელანდება, ეჩვენება სატრფო, წყალწაღებულივით, ნაფოტი და ხავსიც კი მაგარ ბურჯად ეჩვენება და ხელს სჭიდებს, იქნება ამ მოშხამულ გრძნობათა ზევიდან გამოვიდეს, იქნებ სატრფო იპოვოს, მაგრამ ხსნა არაა! ისევ მოტყუვდა, სასტიკად მოტყუვდა და სენი გაუორკეცდა!

მიყვარს თარი გულსაკლავად მკვნესარი,
მწუხარების უკუმყრელი ის არი!..
მით ვიეიწყებ ამ ქვეყნისა მე მცნებას,
შორს მივყავარ მომხიბლავსა ოცნებას:
ქვეყნიერად ვხედავ... ვხედავ სამოთხეს,
ათასფერად შეხამებულს მის კუთხეს;
ყვავილებსა, სუნნელების მფშვინავსა
და ბულბულსა ზედ საამოდ მსტვინავსა.
ცით მოწმობენ ვარსკვლავები და მთვარე!
არვის ჰმონებს შემკობილი ეს მხარე,
რაღგანც ელის განთიადის ცისკარსა!
ის სამწუხროდ არ გააღებს მის კარსა!
რა ხალხია? რა ხალხია აქ მდგარი!
ერთობა და სიყვარული აქ ძმური!
აქ ქალები ვარდივით იშლებიან,
წმინდის საქმით და გრძნობით იგზნებიან,
სამშობლოსთვის შეუწირავთ მთლად გული
და უსტვენენ ისე, როგორც ბულბული!...
ეს ქვეყანა ეგებ ჩვენი მხარეა?
მაგრამ არა!... ვიცით რომ სიზმარია,
სიმი შეწყდა... თარმა ხმა შეიცვალა,
ოცნებამაც დაჰკარგა მისი ძალა,
თვალ-წინ ჰქრება საამური შვენება:
ბაღის ნაცვლად სხვა რამე მეჩვენება!

ასე სამწუხაროდ გაუთავდა ჩვენს სნეულს მგოსანს თავისი ტკბილი ოცნება! თურმე რას ეტრფოდა? სამშობლოს სამოთხედ[51] გარდაქცევას? მაგრამ სადაა! სულ გაუქრა თვალთაგან „სატრფო“ და მგოსანსაც თითქმის სიგიჟე დაეტყო მეტის სევდით. გავარდა ველად, ეძებს ხელივით. ტრიელივით, თანაც უხმობს გმირებს, უყივის ავთანდილს, ფრიდონს... ბოლოს თვალი მოჰკრა „სატრფოს“, გაექანა მისკენ, მაგრამ რომ არ ენახა

ის ერჩია! მისმა ნახვამ დამწვარზე მდუღარე გადაუსხა! ისევ უფსკრულის პირზედ დაინახა და შიშის ზარი დასცა თავზე ამ სანახაობამ. სერიდამ დაინახა, რომ ისევ „სხვას მონებდა“, „გაუკვირდა და სთქვა: მტერს როგორ მონებდა?“.

მოხიბლული და შემცდარი, ის არი!...
ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!
მივაძახე: ჭინჭარში ნუ ვარდები!
ნუ გგონია იქ ია და ვარდები?
შეიბრალე თავი შენი, იცოდე!
მაგ შარბათში საწამლავს სვავ, იცოდე.
არ მისმინა მწუხარებით დანაგულს
და დამასო საუკუნოდ დანა გულს!

მერე თავს ჰკიცხავს, თუ ამაზე მეტი ნდობა აღარ მქონდა სატრფოსი, ნეტავ ამდენი მაინც აღარ მეძებნა ტყუილად!

აღმართ-აღმართ მიედიოდი ნეტა რად?
თუ ამ სერზედ თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?
ჩემო თავო! ვეღარ გკურნენ წამალით!
დაღმართ-დაღმართ დაუყევი,) წა, მალით!
იქ ჩაბძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!
დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად, ის,
ხელდაკრეფით განისვენე მარადის!

განისვენოს, მაგრამ ვინ იცის, რომ იქაც, სამარეშიაც, არ ჩაყვება ეს სევდები და იქაც არ მოეწამლება ყოფა! ამაზე რო დაფიქრდა, მგოსანი ერთს კითხვას აძლევს თავს: რა მიზეზი უნდა იყოს, რომ „სატრფო“ მას ასე შეუბრალებლად ეპყრობა, ასე უღვთოდ აცვავს ჯვარზე?[52] იქნებ ვერ მიუხვდა სიყვარულს და იქვის თვალით უყურებს? იქნება გაუგებრობის ბრალია! რაკი ამ აზრმა გაუელვა; მგოსანი ისევ მოიცემს გულს, გამხნევდება, მიუტრიალდება „სატრფოს“ და ხან თავს აბრალებს, ხან არწმუნებს ღრმა სიყვარულში

რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
გეფიცები, ტურფავ, შეგიყვარდები!
ცაზედ მზეა, ქვეყანაზედ შენა ხარ!
შეცდომით ძირს ჩამოსული ზენა ხარ!
შაქრის გულო, ბულბულისა ენა ხარ!
სიხარულო, ჩემი გულის დენა ხარ!
ეჭიით ნუ მიხვეტ, დამიბრუნე ვარდები!
რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
გეფიცები, ისევ შეგიყვარდები!...
ჩემსავით რომ შეგიყვაროს, ვინ არი?
ვინ გაღმერთოს, ციურად მომცინარი,
თუ არ მევე?... გინდა ვიყო მძინარი,
შენი სახე მაინც ჩემ თვალთ წინ არი;

თუ გამიქრა, კლდეზე გადავარდები!
აწ რაღა ვარ შენგან ტრფობას ჩვეული?
გაყრის წამი ჩვენი იყოს წყეულიI...
სჯობს შევრიგდეთ! ფეხთქვეშ დავიგვარდები!..

ამნაირად თვითონვე მგოსანმა დასთმო შეურაცხყოფა, თავმოყვარეობა და შეურიგდა სატრფოს, რადგან მის მოშორებამ დაასნეულა და დააავადა!

ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო:
ვერ ავიტანე ობლობა, სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა, შენს ნახვას დავეჩქარეო.
წინ მომეგებენ ღიმილით, შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავნი, მოკაშკაშ-მოელვარეო.
გულში იფეთქა სიამემ, სევდები უკან ვყარეო —
ია და ვარდი დამჭკნარი ხელ-ახლად გამიხარეო,
ცა-ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო; სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები შენზედვე მგლოვიარეო.
ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო — და რომ მოვკედები გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო!
დედა შეილობამ, ბევრს არ გთხოვ — შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო ჩემო სამშობლო მხარეო!

ასე იწყება ახალი საგალობელი, ჰიმნი აკაკის თვალცრემლიან პოეზიაში და მისი მწუხრიც თან-და-თან უახლოვდება მხიარულს დილას, ეტყობა, რომ შორს არ უნდა იყოს გათენება; ნაღველი და თაფლი, ბნელი და ნათელი ერთი მეორეს ეჯიდებიან, ერთმანეთში ირევიან და, თუ კაცი ძაან დააკვირდება, წინდაწინვე შეიტყობს, იგრძნობს მაინც რომ ნათელმა უნდა სძლიოს ბნელს, დილამ — მწუხრს, სიცოცხლემ — სიკვდილს, იმედმა — უიმედობას.

ამ გარდამავალი ხანის დამახასიათებელი ნიშნებია ის, რომ აკაკი ახლა ადამიანს ნაკლებად ელაპარაკება, იგი უმეტეს ნაწილად გარე'მე ბუნებას ესაუბრება, ეალერსება, მაგრამ ესეც ხომ მისი სატრფოა, მისი „ცა-ფირუზ-ხმელეთ ზურმუხტი, მისი სამშობლო მხარე?“ მხოლოდ ერთი მხარეა კი, მხარე ტურფა, უკვდავი, მუდამ ცქრიალა და მალხაზი, ნაზი და წარმტაცი, ამასთანავე „მოწამე მრავალ დროების, მაგრამ უტყვი“ [53]. (ნ. ბ.).

მაგრამ როცა ბუნების ლხინს შესცქერის მგოსანი, ეს სურათი, ეს ციური, ღვთიური უკვდავი ჰარმონია მის გულში კონტრასტებს სძრავს და დისჰარმონიას იწვევს. მხიარული სურათი შავს სურათებს აგონებს და

უხატავს გულში. სამაგიეროდ პოეზია უფრო მაღლდება და ფაქიზდება, უკედავდება ამ საუცხოო შედარებებით და კონტრასტებით. აბა ვიგემოთ!

ვარდი ჰფშვენს და ბულბული სტვენს,
დაკაშკაშებს მოწმად მთვარე;
ვარსკვლავები ზე დაჰფეთქენ, უთვალყურებს არე-მარე!
ქვეყნიერად გადმოსულა, სასუფევლით სიყვარული,
იწვევს ყოველს სულიერსა, რომ მიჰმადლოს სიხარული!...
ცა და მიწას შეამყარებს ბუნებისა ეს ქორწილი,
მაგრამ მე კი, მხოლოდ მე ერთს ამ ფერხულში არ მაქვს წილი,
სანამ ჩემი საყვარელი ქაჯებსა ჰყავთ ცხრაკლიტულში,
ვინ მაღირსებს სასუფეველს ჯოჯოხეთი მიძევს გულში!

აქ, როგორც ხედავთ, ჯოჯოხეთი [54] თავდება! მეორე ლექსში კი პოეტი ქვევით მიდის და იმედს ამჯობინებს, ვიდრე უიმედობას, თუმცა პირდაპირ არ ამბობს, რომ ის იმედოვნებს: მხოლოდ ის, რომ იტყვიან, ენამ უყიელაო:

საპატარძლოდ მორთულია პოკეკლუცე გაზაფხული
და ჰფეთქს ძალი ბუნებისა ზამთრით გამოღვიძებული!
რაც-კი ქვეყნად გაჩენილა, უენოა თუ აქვს ენა,
სულიერს თუ უსულოსა საზოგადო აქვს დღეს ლხენა;
ყველა ერთგვარ მოუხიბლავს გაზაფხულს თვალ-მშვენიერსა
და იმღერენ საიდუმლოდ ერთხმად „მრავალ ჟამიერსა“.
მხოლოდ ჩემი გაზაფხული არ მოსულა ჯერაც კიდე,
გინდ ხმელეთიც აბიბინდეს და აჰყეავდეს კიდის-კიდე,
სანამ მე ჩემი სურვილი, კოკორშივე მეგულვება,
რას მიქვიან გაზაფხული, და ბუნების განახლება,
ჩაგრამ როცა აკოკრდება, გაიშლება, აყვავდება
და იმისი სურნელება არე-მარეს მოედება,
მაშინ მხოლოდ!... მხოლოდ მაშინ მე მომივა გაზაფხული
და მოგიკვდეთ, თუ სიმღერით არ დავჩაგრო მე ბულბული!

ასე, პოეტის გულში რიერაჟი იწყება, თენდება თანდათან და მისი ყვავის ჩხავილიც გათავდა, ახლა მერცხლის ტია-ტია ესმის და თვითონაც თანდათან ახლდება, ცოცხლდება, გმირობა ეტყობა, იმედი ხორცს ისხამს. აბა დაუგდეთ ყური, რა ესმის მას მერცხლისაგან:

დღეს მერცხალი შემოფრინდა, ჰიკჰიკითა გადმომძახა
„გაზაფხული! გაზაფხული!“ გულს იმედი დამესახა.
მივდექ სარკმელს გადვიხედე, არე-მარე მესხვაფერა!
სასოებამ ფრთა გაშალა, გულსა მკრა და ამიძგერა!
სენი მეცა გაზაფხულის, უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი, თუ გულსა რაღას ვიტეხ?... ახლოს არის მომავალი!
მოვესწრები, რაც მინდოდა, ზამთრისაგან დაჩაგრულსა:

ვნახავ ქორწილს ბუნებისას, გავიგონებ მის მაყრულსა!
დავჰყნოს ვარდსა გადაშლილსა, ვუპკრეტ ნაზად დახრილ ია
და ბულბულიც გადმომძახებს მისებურად „ტია-ტიას“!

მეორე ადგილზე მეტი გმირობა ეტყობა:

მაშ რაღად მინდა სიცოცხლე მე, აწმყო გამწარებულსა,
თუ ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს ვხედავ მას აოხრებულსა?
მაგრამ იმედი, ცის ნიჟი რომ გამიელვებს გლახ გულსა,
თავი ტარიელ მგონია, ოცნებით გარემოცულსა.
ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს, მხარი მხარს მივსცეთ ხელი
ხელს,
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს, მოელის ტურფა გამომხსნელს!
რა ვუყოთ თეთრი მერიოს? სისხლით შეეღებავ ჯაღარას
და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ ამ ჩემს დაფსა და ნაღარას!...

რო აკვირდება მკვდარ-ცოცხალს სატრფოს ჩვენი მგოსანი, რაღაცა საიმედო ნიშნებს ატყობს და გაბედულად წინასწარმეტყველებს.

არ მომკვდარა!... მხოლოდ სძინავს, და ისევე გაიღვიძებს!..
ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამიწებს!
ბევრის ბრძოლით დაღალულსა ეჭირვება მოსვენება!...
შემცდარია, ვინც გულს იტეხს: წესი არის და ბუნება!
ჩვენ კი ჩვენდა თავად გეტყვით: გულსა სწამს და ჭკუას სჯერა,
რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა მომავალი ბედისწერა!..
არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს!...

აი რას სწერს იგი ვახტანგ ორბელიანზე[55]:

ეწვის გული ანაძგერი წარსულისა მოგონებით;
ფიქრს აღელვებს შავად, ავად მოშხამულა მწარ-გონებით,
ოხრავს, ჰკვნესის, მოსთქვამს, გოდებს და იძახის მსგავსად ყვავის,
რომ იყერი მისი ძველი მისებურად ვეღარ ჰყვავის!
...ეჰ, მგოსანო, აღმოსავლეთს შეხედე და ნუ იტეხ გულს:
იქ შენიშნავ ჩვენის ბედის ვარსკვლავს, ობლად გამოხატულს,
მსგავსთა მოგვთა, ეც თაყვანი იმ ნიშანსა წინამორბედს
და შენც ოქრო-გუნდრუკ-მურად თავი უძღვენ იმ ჩვენ „იმედს“,
ნუ, პოეტო, ნუ... ნუ სტირი, ბედის ვარსკვლავს ვხედავთ რაკი!...
კმარა ცრემლი!... საქმის დროა!... მსხვერპლი გვინდა და ზვარაკი.

თვითონაც ხომ „ზვარაკია“ და „მსხვერპლი მამულისა!“ თვითონაც ხომ „აღმოსავლეთის“ იმედით სულდგმულობს! აბა რაა მისი 50 წლის მოღვაწეობა, თუ არა „მსხვერპლი“, ზვარაკი და „საქმე“... ეხლაც ხომ ჯაღარას „ინით“ იღებავს და გმირობას არ აგდებს. აბა დაუგდეთ ყური:

გაეკაებივარ შავ ბედსა, დაედიეარ შეუპოვარი!
ვერ შემაშინებს რისხვით ცა, ჰირზედ ჰირისა მთოვარი!
არ უღალატებ სინდისს, თავს შევინახავ წმინდათა!
ოფლით მოვრეცხავ სამშობლოს, იმ წმინდა სისხლით ღებულსა,

რომ შევეყაროო პირნათლად იქ ჩვენს წინაპრებს ქებულსა!
ჩონგურო, ჩემო დიდებავ, და ძლიერებავ, კალამო,
ზოგჯერ ფინთიხო გულისა, ზოგჯერ წყლულისა მალამო!
ნუ გამომილევ ძალ-ღონეს საბრალოს მუშაკს მთესველსა,
მებრძოლსა გულ-გაუტეხელს, ბნელში იმედის მკვესელსა!

და ჩვენც ვუსურვოთ, რომ „ძალღონე“ და „იმედი“ არ დალეოდეს ჩვენს „მუშას“. ვუსურვოთ, რომ მისი ნინოს[56]... „სიზმარი“ ცხადად გამხდარიყოს და აღმდგარიყოს ქართველი ერი, დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი. „მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას“ უფალი

გაუმტკიცებდეს აღმაფრენასა და თვის საქებრად, სადიდებელად
არ ავიწყებდეს იმ ტკბილს ენასა,
რომლითაც თამარ[57] ბრძანებას სცემდა, ქეთევან[58] მარად ღმერთს
აღიდებდა
და ნინო ძისა მცნებასა მისგან რჩეულს ერს უქადაგებდა.

რადგან თვით მგოსანს

უნდა რომ მისსა სატრფოსა
ხედავდეს თავისუფალსა,
რომ ძალით ვერ აშინებდნენ, ვერც ნებით უხვევდნენ თვალსა!
უნდა რომ მისი სახელი გაისმას ძველებურადა
და მისიანნი ყველანი, ერთად სცხოვრობდნენ ძმურადა!
უნდა რომ მისსა დიდებას დამღერდეს რუსთველის ქნარი,
და იღვიძებდეს იმ ხმაზედ ტაშის კვრით ხალხი მძინარი!

მეხუთე ლექცია

ახლა გადავავლოთ თვალი მას, რაც აკაკის კალამს მიუძღვნია ჩვენთვის. აკაკის კალამმა სამი ღვაწლი დასდო საერო საკურთხეველზედ და მიუძღვნა ერის გულს თავის წვლილად.

1. თანამედროვე მდგომარეობა საქართველოისა პირველი დღიდანვე, აღიარა უკუღმართ მოვლენად, დედინაცვლის შრატედ, აჩრდილათ მისა, რასაც საქართველო წარმოადგენდა პირველად. რა ნაირი ბოროტება არ ნახა ამ უკუღმართს ცხოვრებაში? „გადაგვარება“, „მთის გაცვლა ბარზე“, „თვის ტომის დაწუნება“, „ძმის ჭიდაობა ძმაზე“, „სხვის სახლში შაქრის ჭამა“, და „ბანგით დაძინება“, „ფარისევლობა“, „იუდობა“, „მელაკუდობა“, „მცონარეობა“, „უყაირათობა“ და ყველა ამას ომი გამოუცხადა, გაუკაჟდა, „ბოდვა ვერავინ შეაშლევინა“, „ცა ქუდად არ მიიჩნია და დედამიწა ქალამნად“, ცოდვა მადლი გარეთ გამოიტანა და დროში ერთ წუთსაც არ დაუშვია 50 წლის განმავლობაში. ამ მხრით აკაკი საქართველოსთვის ის არის, რაც ქრისტე ურიასტანისათვის. მას სხვისთვის არა სცალოდა, აკაკი საქართველოს ჭირ-ვარამს მოუნდა, იგი შინაურმა საქმეებმა შეიწირა, მსოფლიოსთვის არ მოაცალა, არც თვითონ გამოედ-

ვა, სხვისი აყოლით, ღობე-ყორეს, რადგან იცოდა, რომ როცა შინ ბავშვებს შიათ, კოკორას გარეთ რა უნდაო? სამაგიეროთ მან სამოქმედო ასპარეზად ჩვენი ქართული ოჯახი აირჩია და შიგ ტრიალებს და ფუსფუსებს 50 წელია! არ დაზოგა არც შრომა და ოფლი, არც ცოცხით ხვეტა და წმენდა, არც წყევლა-კრულვა ოთარაანთ ქვრივივით, არც ღამისთევა, არც ყივილი გაღვიძებისთვის, არც ლოცვა „ხატის წინ“, არც „სანთლათ დადნობა“, არც „პატრუქად დაწვა“, „არც წიაქობა“, არც გაფრთხილება, რომ მისი „სატრფო“ „ჭინჭარში არ გადავარდნილიყო“, არც ვედრება, არც მუქარა, არც წინასწარმეტყველება, არც იმედით გამხნევება და დღესაც „ინით იღებავს ჭაღარას“, რომ მტერმა დასუსტება და დაძაბუნება არ შეამჩნიოს და ახალმა გმირებმაც მოასწრონ ბედათ გამოსვლა და მოხუცის გამხნევება, როცა ის თამამად, გულდამშვიდებით იტყვის: „აწ განმიტევეთ მშვიდობით მე მონა თქვენიო“.

2. მეორედ, რაკი თანამედროვე ცხოვრებამ სანუკვარო ვერა მისცა რა, აკაკიმ მოსძებნა მამულის წარსული და გაოცდა!... თურმე რაც ვყოფილვართ, მაშინ ვყოფილვართ და რატომ სირცხვილით არ ვიწვით ეხლანდელი მამულის შვილებიო. ეხლანდელ მშრატე ამღერეულ გუბესთან ძველი „ეროვნული ნაკადული“, წმინდა ერის გულივით და სპეტაკი ცის ნამივით, ცის აიაზმათ მიიმჩნია და რომ დაეწაფა ზედ ხარბად, დღესაც ვერ სცილდება მას! თურმე რა ყოფილა ძველი „ჭირი“, ძველი „ლხინი“, ძველი „შრომა“, „გმირობა“, „სარწმუნოების ეროვნებასთან შემტკიცება“, „შვილისთვის თავზედ ქუდის დახურვა“, „ნინო“, „ქეთევან“, „თამარი“, „ნათელა“[59], „ქართველი დედა ძუძუებ გადმოყრილი“ შვილის ლაჩრობის გაგონებაზე, თორნიკე, ბაგრატი, ცოტნე, გორგასალი, იოანე, ჯოჯიკი, გივი, ოთარი, გოგია, დათუნა[60] და სხვები. რაკი გემო უნახა წარსულს დიდებას, საფლავში ჩაუძვრა, იქ გული დაუფრთხო მამა-პაპათ გვამებს და ჯერეც არ გამაძღარა მათი სიყვარულით. მათი ძვლები საფლავებში აანგრია, არ დააყენა, ფეხზე წამოყარა, ხორცი შეასხა, იარაღი ისევ ხელში მისცა და უთხრა: შეხედეთ, რას გიგავსთ შვილები, შეიბრალეთ, შეიცოდეთ, დაეხმარეთ, ძველი დიდება დაუბრუნეთ, თქვენი შუქით წყვდიადი გაუბნიეთ, მამულიშვილობა ასწავლეთ, თქვენს მადლს ნუ მოაკლებთ, თორემ ცუდათაა მათი საქმეო. თან აწმყოს შვილებსაც კიჟინი დასცა, ჰაი თქვე ლაჩრებო, სოროებში შემძვრალნო, სხვის ბანგით და შაქრით, ნანინათ დაძინებულნო, შეხედეთ მამა-პაპებს, სად თქვენ და სად ისინიო, მიბაძეთ, გამხნევდით და მამულს სირცხვილს ნუ აჭმევთო. ისწავლეთ მამა-პაპათაგან დიდსულოვნება, გმირობა, ჭირთა შინა გამაგრება, შეხედეთ, რა ჰქნა „ერთმა ბოხჩა საქართველომ“, როგორ „ჯარასავით დატრიალდა“, როგორ აღდგომის კვერცხივით შეიღებაო“.

3. მესამედ, დიდებულ წარსულის დამკარგველთ და აწმყოს უნუგეშოთ შემხედვარეთ მომავალზე მიგვითითა, თან გარეშე უსულო ბუნებასაც სული ჩაუდგა, ერთად დაგვიყენა და გვითხრა: თუმცა თითონ აწ არა-

ფერი აღარა ხართ, მაგრამ ღმერთი მოწყალეა, ზურგი წარსულის შუქით გაინათლეთ, პირი აღმოსავლეთის განთიადით, სმენა გაზაფხულის ბულბულის „ტია-ტიათი“ დაიტკბეთ, შეხედეთ და მიაშტერდით, „როგორ ჰფეთქს განთიადი“, „ბუნებამ ძალა იჩინა“, „ბინდი გაფანტა“, „გარს ხათელი მოიფინა“, „მომავალთ მიეგება“, „რომ საბოლოოდ მოსამკალი კვალი დასდოს“...

შეხედეთ: ვარდს „ეშხით გული გაუღია“, „ნაზი ია თავს იწონებს“, „სიო ნაზათ აბიბინებს ყვავილებს და ფიანდაზად ეფინება მათ“, „ბუნების ძალი ჰფეთქს, ყველას საზოგადო აქვს დღეს ლხენა“, „ქვეყნიერად გადმოსულა სასუფევლის სიყვარული, იწვევს ყოველს სულიერსა, რომ მომადლოს სიხარულით“ და ამ საერთო ლხინში, ხოროში, ცისა და ქვეყნის ფერხულში ბუნების საუცხოო ჰანგებში ჩვენც მიწიერნი — ზეცას აგვაფრინა აკაკიმ თავის პოეზიით, თავის მუზის ძლევა-მოსილის ფრთებზე...

ამიტომ აკაკის იუბილე იყო საქართველოს აღდგომა და მით შესრულდა იუბილარის წინასწარმეტყველება:
„არ მომკვდარა!... გაიღვიძებს ისევ ერი“!... დიაღ, არც მომკვდარა და კიდეც გაიღვიძა!... და ეს გაღვიძება ზეზე ადგომის წინამორბედია.

ახლა ვიკითხოთ რა არის აკაკი?! მეტყვიან ქართველი დიდი პატრიოტიაო! ვერაა სრულად ნათქვამი! განა ე. ორბელიანი მისი უკვდავი „იმედი“-თ პატრიოტი არაა? გრიგოლ ორბელიანი?[61] ნ. ბარათაშვილი[62]? ი. ჭავჭავაძე? ალ. ყაზბეგი? გ. ერისთავი?[63] დ. ერისთავი?[64], რ. ერისთავი?[65] მამია გურიელი?[66] დ. ყიფიანი?[67] დ. ბაქრაძე?[68] გ. წერეთელი?[69] განა ყველა ესენი დიდი მამულისშვილები არ არიან?! მაგრამ აკაკის მამულისშვილობა რომ მათს მამულისშვილობას შევუწონოთ, ისე ბევრად გადასძლევს თავისკენ, როგორც მთელი საქართველო დასახლებულს მის შვილებს! აკაკი თვით ქართველი ერია, ერთ სხეულში მოქცეული და ერთ ადამიანად ჩამოსხმული! რაცაა ქართველი ერის ბუნება, ისაა აკაკის ბუნებაც, რა სიგრძე-სიგანისა არის ქართველი ერის გული, იგივე სიგრძე-სიგანე აქვს აკაკის გულსაც, რა ღირსებანი მოიპოვება ქართველ ერში, ის აქვს სავსებით აკაკისაც და რაც ნაკლი აქვს ქართველ ერს, ის ნაკლი აქვს აკაკისაც, ერთი სიტყვით ქართველი ერი — აკაკია და აკაკი ქართველი ერია. აკაკის მცოდნე — ქართველი ერის მცოდნეა, აკაკის მოყვარე-მეგობარი ქართველი ერის მოყვარე-მეგობარია და აკაკის მტერი და ორგული ქართველი ერის მოძულარი. აკაკი ცოცხალია, ქართველი ერი ცოცხალია, ქართველი მალხაზია, აკაკიც მალხაზია, ქართველი მსუბუქია, აკაკიც მსუბუქია, ქართველი კეთილია, აკაკიც კეთილია, ქართველი ლაღი და გაბედულია, აკაკიც ლაღი და გაბედულია, ქართველი თოფის წამალია, აკაკიც თოფის წამალია. ქართველი წინდაწინ მოუფიქრებელია, აკაკიც მერე ფიქრობს, როცა მოიმოქმედებს, ქართველი უხვია, აკაკიც უხვია. ქართველი უმომჭირნოა, უყაირათოა, აკაკიც ცხოვრებაში უყაი-

რათოა; რაც ქართველთ ისტორიამ მოიმოქმედა, ის აკაკის გულმა და თავმა გაიმეორა და გადაადუღა, რაც ქართველმა იდეალი შობა, აკაკიმ მას ხორცი შეასხა და სულიერ არსებად აქცია. ქართველი ერის გულის ნადები, სული, იდეა და წარსული მხოლოდ აკაკიმ იცნო უტყუარად, ამიტომ აკაკის ნაწერებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ერის შესწავლის საქმეში. აკაკი ქართველი ერის ტყუპია, მისი სახეა, მისი სამშობლოა, მისი სარკეა, მისი სულია, მისი გენია, მისი გრძნობა-სურვილების, ღირსება-ნაკლოვანების განხორციელებაა.

აკაკის ცხოვრება ქართველი ერის ცხოვრებაა, მისი ისტორიაა, საქართველოს ისტორიის განმეორებაა და გაგრძელებაც. განმეორება მისი წარსულისა, ახალი ისტორიაა მისი ახლად, კულტურულად მეორედ შობისა. აკაკის ბედი საქართველოს ბედია, მისი სულის ტრაგიზმი — საქართველოს ტრაგიზმია, მისი ჰირ-ვარამი — საქართველოს ჰირ-ვარამია, აკაკის პროტესტები — ქართველი ერის პროტესტია, აკაკის იმედები — საქართველოს იმედებია. აკაკის იდეალები — საქართველოს იდეალებია, აკაკის „მომავალი განთიადი“ საქართველოს განთიადია. აკაკი წინამორბედია საქართველოს მაცხოვრისა და ეს მაცხოვარიც მის უკან მოდის.

საქმე იმაშია მხოლოდ, ერი იცნობს და მიიღებს მას, თუ ჯვარს აცვამს! მაგრამ, იმედია, თუ წინამორბედის დღესასწაულს დიდებულად შეეგება, მაშინაც არ შეირცხვენს თავს და პურ-მარილით მიეგებება მას.

ა. ხახანაშვილი

აკაკი და მსოფლიო გოდების პოეზია

„ცრემლში ნალესი ნაღველი მინდა რომ მელნად ვიხმაროო“, გვაშცნევს ჩვენი სახელგანთქმული პოეტი და განუწყვეტლივ იმეორებს ამ გრძნობა-აზრს „ჩემ შარბათში ნაღველს ვჭვრეტ და ვარდში ეკალს“, კვლავ გვაგონებს იგი, მწუხარებით გულდაწყვეტილი, „შხამ-ნაღველი და ძიმწარე კალამსა და ცრემლები ამ ჩემ შემკრთალ წერასა“, გაიმეორებს და ღრმა ხაზს გაუსვავს ამ დედა-ძარღვს თავის ქმნილებისას. ეს ჰანგი, რომელსაც აკაკი თითქმის განუწყვეტლივ დაჰკვნესის, მის პოეზიას აძლევს პესიმისტურს ელფერს და გარდაჰქმნის მსოფლიო გოდების მელოდიად“.

თითოეული მძლავრი პოეტის ნაწერებში შეგვიძლიან გამოვნახოთ ისეთი ნაწყვეტები, რომელნიც დაახასიათებენ წინაღებულს აზრს, კრიტიკის მიდრეკილებას. ჩვენ არ ვაპირებთ ვერაგობით დიდებულს მგოსანს თავს მოვახვიოთ ტენდენციური მისწრაფება. დააკვირდით მის მრავალგვარ ნაწერებს და თვით დარწმუნდებით, რომ ერთი სიმი უფრო ხშირად ჟღერს, ერთი გრძნობა უფრო ხმამაღლივ გაისმის: ეს ის გრძნობაა,

რომელიც პოეტისათვის „ცრემლში ნალესი ნაღველია“, ანუ „ნაღვლიანი მდუღარება“; ამით აიხსნება, რომ მთელი კრებული მისი ნაწარმოებისა გაიყოფება ორ დარგად: სატირად და ელეგიად. აკაკი ეკუთვნის იმ მწერალთა ჯგუფს, რომელსაც ასულდგმულებს და აღაფრთოვანებს „მსოფლიო მწუხარება“. ამ „მსოფლიო გოდების“ პოეზიის ებრაელთა შორის წარმომადგენელია მეფე სოლომონ [1], რომელმაც ჭმუნვარებით აღიარა არარაობა მსოფლიო დიდებისა: „ამაობა ამაობათა და ყოველივე ამაო“ [2]. მას ბანს აძლევს სპარსელი პოეტი ომარ ხაიამი [3], იტალიელი ლეოპარდი [4], ინგლისელი ბაირონი [5] და სხვ. საინტერესოა, რომ აკაკის ყურადღება ახალგაზრდობაშივე მიიპყრო იმ მსოფლიო ჭმუნვის მგოსანმა, რომელიც გამეფდა მთლად ევროპულს პოეზიაში, და სთარგმნა ბაირონით „გოდება ებრაული“ და „იაფთაას ასული“ [6].

არც გასაკვირველია, თუ ჩვენი პოეტიც გაიტაცა ბაირონის მიმართულებამ. დაფერფლილი საციონალური გრძნობა, დაჩაგრული საზოგადოება, მივიწყებული წარსული და უიმედო ანმყო თვისს მწუხარების ბეჭედს ასვავს პოეტის ნაზ გულს და სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს. პირადი უსიამოვნება მხოლოდ აცხოველებს ამ ზოგადს ჭმუნვას და სულის კვეთებას. ამიტომაც იგი ხშირად ემდურის ბედს, მოსთქვამს მწარედ „გულის მოდუნებას და ოცნების გაფანტვას“, იმედ გაცრუებულს პოეტს გაუქრა საამური ჩვენება და თვალთაგან გადეშალა „დედი-ნაცვლის, პირშავი სამშობლოს“ სურათი. იგი შეუწყნარებელი და შეურიგებელია ამ სოფლად, სადაც დაიარება მარტოკა — ობლად“, „დევნილი ყველასაგან საქმით და სიტყვით“. წადილი ვერ აუსრულდა, მისი იდეალი ვერსად მოინახა“. წინააღმდეგ, მეგობარმა უღალატა, სატრფომ სხვაზე გასცვალა, ცხოვრებამ ტკბილი წყაროს მაგივრად მწარე სამსალა შეასვა. ია ვარდის მაგივრად სარბიელი ჭინჭრით მოუფინა. ეკლით ნაჩხვლეტს პოეტს სასოწარკვეთილებამდის მიუღწევია, როცა გვამცნევს წარსული აღარ მარგებს მომავალი მენანებაო. ამ აღსარებით იგი უერთდება ლეოპარდს ქვეყნიური ამაოების შეგნებით და ლერმონტოვს [7] სიკვდილისაკენ მისწრაფებით: „ღმერთსა ვევედრებ, რომ მეღირსოს საფლავში დაძინება, სჯობს სულ განჭრეს კაცი, რადგან მტვერია“. თუ ლეოპარდი გაიძახდა, რომ მე შევნატრი მიცვალებულთ და მხოლოდ მათთან მსურს ხვედრის გაცვლაო, აკაკიც სწორედ ამ დასკვნას გამოიტანს ცხოვრების დაკვირვებიდან: „სიცოცხლე არის მონება, სიკვდილი განსვენებაო“.

ნატალია გიგაური

აკაკის იუბილეის გამო

...იმ თავითვე აკაკის კალამი ღაღადებს: მოძმის კეთილდღეობას, სამშობლოს აყვავებას! ის შესტრფის მუდამ, საქართველოს! დაკვნესის საქართველოს დაუძლურებას... და, ჭებათა-ჭებით ამკობს თავის ლექსებში.

იმ ჭართველ დედებს, რომლებიც ოდესმე ზრდიდნენ მამულისათვის თავდადებულ შვილთ! აკაკი გულის სიღრმემდის გრძნობს გლეხის მჭმუნვარე მდგომარეობას; როგორც ილია ჭავჭავაძე, აგრეთვე აკაკიც გამოსთქვამს მუშის ნაღველს, რომელიც დღიური ლუკმისათვის ბევრ სიმწარეს იტანს.

აკაკის ენა პირდაპირია და მკვეთრი, შეუპოვარი. ჰგმობს სიმუხთლეს და უსამართლობას. ის არავის მიეფერება — და, იქნებ ამიტომაც, თავის ცხოვრებაში, ბევრი მოწინააღმდეგენი აღმოსჩენია. უსამართლოდ ის ხშირად გაუმწარებიათ, მაგრამ, ენა მახვილ აკაკის სარკაზმული ე. ი. მწარე დაძცინავი ღიმილი, მუდამ ოხუნჯური კილო—მოწინააღმდეგის გულს ისარივით მოხვედრია.

ილ. ჭავჭავაძე დიდებული მწერალი იყო და მგოსანი; იმის ნაწერები მეტად ღრმა აზროვანია და გრძნობიერი, მაგრამ იმავე დროს, ილიას ლექსთა წყობილების კილო ვერ შეედრება აკაკის მარტივ მუსიკალურ ენას; და ამ მხრივ, როგორც მგოსანს, ეგონებ, აკაკის პირველი ადგილი უნდა ეჭიროს.

ორიოდე ლექსი აკაკისა რომ მოვიყვანოთ ნიმუშათ, ისიც კმარა იმის დასახასიათებლად, და დავინახავთ, თუ, რითმაც როგორ ლბილათ და საამოთ ხვდება ჩვენს ყურთა სმენას. ავიღოთ ლექსი „მუშური“, ვნახოთ რას გამოსთქვამს ამ ლექსში:

სიმირდსა თოხნა დაეწყოთ,
ერთ სმათ დავსძახოთ მუშური,
ეგებ მაშინ დაგვავიწყდეს,
რომ გლეხი ვართ, უბედური!
მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისიც გვმართებს სამსახური...

ბოლოს ამ სიტყვებით ათავებს:

განვაგრძოთ ძმებო, მუშური,
ჩვენი სევდის განმქარი,
ბანს გვეტყვიან ნაღვლიანად
არე-მარე, მთა-და- ბარი!
ნუთუ, გულ გრილად უყურებს
ჩვენს ტანჯვასა მაცხოვარი!? და სხვ.

განა ამ სიტყვებში არ გამოიხატება, რომ მგოსანი აკაკი, თითონ ფუფუნებაში აღზრდილი თავადი — გულის სიღრმემდის შთაუჭვრეტდა გლეხის გულის მოძრაობას, თანაუგრძნობდა იმის ნაღველს, იმის გაჭირვებას და გამოსთქვა მათი სევდა, სხვის გასაგონათ!

ბევრჯერ გამიგონია ზოგიერთებისაგან: „ეგ იყო, სწერა! მერე მაგით რა გაგვიკეთაო?!“.

ესლა ჩვენა ვსთქვათ: „განა ეს ცოტაა? — ეს არაა დასაფასებელი,

რომ გულშემატკივარმა გლეხისათვის — გულის ძგერით ჩანგი ააკვნესა მის უიღბლობაზე? — რომ მდიდართა და ზოგიერთ უგულო მებატონეთ მიუთითა გლეხებისკენ — ამხილა საყვედურის კილოთი, ბევრს სინიდისიც გაუღვიძა!

დიაღ, ორმოცდა ათი წელიწადია აკაკი მოღვაწეობს და განაგრძობს თავის ერის გულ შემატკივრობას — მათს გამოფხიზლებას.

ახლა ხანს, საერთო ამოძრავების დროს კი, ცდილობდა თავისის რჩევით, მათ შეოკებას... ბევრმა კი ვერ გაიგო იმის გაფრთხილება, მიაწერეს იმის „ვითომცდა“, „ჩამორჩენილობას“ და უკიჟინებდნენ: „აკაკი, ილია და თქვენი თანამოაზრენი ჩამოგვრჩით, ჩვენ გაგისწარით გონებაგახსნილობით, ძველ მწერლებს! თქვენ საჭირონი აღარა ხართ, არც არა გაგიკეთებიათ-რაო“ და სხვ. მაგრამ ბოლოს გამოვიდა დასკვნა, რომ აკაკი რასაც წინასწარ გრძნობდა, ის ახდა... იმის წინასწარმეტყველობა გამოიხატა მის მიერ დაწერილ „მამლის ყიივილში“, რომელიც იმ ხანად, ცალკე წიგნაკადაც გამოვიდა. იმის შინაარსზე ახლა არ ვილაპარაკებთ. ვიტყვით მხოლოდ, სასიხარულოა, რომ დღეს საერთოდ შეკრებილნი, ყველა აღტაცებით ვდღესასწაულობთ აკაკის იუბილეის!

აი, რას ვკითხულობთ ერთ-ერთ იმის ლექსში, სათაურად: „იმერული ნანინა“.

დიდი კაცის შვილს სკოლაში გვერდ მიუჯდებიო,
აბა, შენ იცი, ბიჭოჯან, როგორ ეცდებიო!
ძველ ბატონის შვილს — სწავლაში ნუ ჩამორჩებიო,
გლეხსა ნიჭი არა აქვსო, არ აფიქრებიო!...
შენი დაჩაგრული ძმები, შენ უნდა იხსნაო
იავ,ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო...

დიაღ, ის ნატრობს გლეხების სწავლა განათლებას, რომ იცნონ იმათაც ამ სოფლის ცრუ გამოცანა.

აკაკი ამბობს რომ თავადი, გლეხი და ყველანი ძმანი ვართო, სწავლაა პირველი და უკანასკნელი ადამიანისათვისაო.

ამბობს ამას — და, იმავე დროს, თვით აკაკი ზრდილი და თავაზიანი ბავშვებთანაც კი, სულაც იმას არ ქადაგებს, რომ ზრდილობა და უნცროს-უფროსობა არ იყოს; პირიქით, ის აფასებს ადამიანში ზრდილობას და, უფროსისადმი პატივისცემას.

ვამბობდი ზემოთ, რომ აკაკი სიმართლეს ეტრფის, — დავსძენ: ჰაბუკობისას ლომ-გული ის კლდეებრ უდგა ყოველ უსამართლო წყენას და გმირულად გაჰქონდა თავისი.

მოვიყვან აქვე ნაწყვეტს ერთი ლექსიდან, სადაც აკაკის ჩანგი ჟღერს:

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს!
განამტკიცოს აზრი წმინდა
გულს სიწმინდით ახურვებდეს!

რომ დაჩაგრულს ამ სიმღერით
თვალს ცრემლები ეშრობოდეს;
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით —
ისარივით ესობოდეს!
გამიქვავდეს მაშინ ენა,
თუ რომ ვისმე მივეფერო;
და გამახმეს ეს მარჯვენა,
თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო;
რაგინდ ბედით ვიყო კრული,
საშინელიც მექნეს ბოლო,
არ შედრკება ჩემი გული,
გინდა ქვითაც დავიქოლო!

ეს ლექსი საკმაოდ ახასიათებს მის დამწერს.

აკაკის უყვარს თავისი საქართველო! მისთვის სტირის, მისთვის ილხენს! და რომ ის სიყმაწვილითვე მსურველი ყოფილა — სიკვდილის შემდეგ, თავის სამშობლო მიწას იქმნას მიბარებული, ამტკიცებს ის ლექსიც, რომელიც გამოუთქვამს მაშინ, როცა უცხო ქვეყნიდან — თავის სამშობლოში დაბრუნებულა ავადმყოფი. აი, ეს ლექსიც, სათაურად: „განთიადი“, რომლის უკანასკნელ სამ ტაეპს აქვე მოვიყვან:

ცა-ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..
ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო,
და რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
დედა, შვილობამ, ბევრს არ გთხოვ
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!

ამ ლექსით აკაკიმ სიცოცხლითვე თითქო უანდერძა თავის სამშობლოს, „ჩემი სურვილი ეს არისო!“

ახლა, არ შემიძლიან არ მოვიყვანო ორიოდე სიტყვაც აკაკისა, ზოგიერთ ქალების შესახებ, — თავის ლექსებში თუ როგორ ამხელს იმათ. რომლებიც თავის სამშობლო ენას იწუნებენ და სხვა ენაზე ჟღურტულებენ და ამით თითქო, თავიც მოსწონთ!

ერთ ლექსში ამბობს: „ზრასტის“ ვეტყვი ჩვენს ქალებს, რადგან „გამარჯობა“ აღარ ესმითო!... ვეტყვი, მაგრამ სადა ვნახო? ღს ხომ სახლში არ დადგებაო? დილით ადრე კატასავით ის ხომ კარში გამოხტებაო!!.. ე. ი. ქართული ლაპარაკი ეთაკილებათ და სახლში საქმის კეთებაო, და მარტო სეირნობას უნდებიანო.

აბა, ახლა, ზოგიერთი ქალები ამისათვის აკაკის შემოსწყრენ, უსამართლობა არ იქნებაო; თუმცა, ამ შემოწყრომას კი, აკაკი არად ჩააგდებს, მაგრამ: ასეა თუ ისე; დავამთავრებ მით, რომ აკაკის — უსამართლობის გამო ბევრი წყენა შეხვედრია. ის ყოველ საწყენის ღიმილით მხედვარი, დღესაც ღიმილით ისმენს ბევრს თავისთვის არა სასიამოვნოს; ისევ თავისებურად ოხუნჯურის კილოთი, ეპასუხება ხოლმე თავის მოწინააღმდეგეთ; მაგრამ ამ ღიმილში გამოიხატება არა მარტო დაცინვა. არამედ გულჩათხრობილი სევდიანობა, და ზოგჯერ — თითქო მეტად-ღა მიაჩნის პასუხის გაცემაც — კი, წინანდებურად... და... იცინის კი!... დიაღ, იცინის!!... როგორც ერთ თავის ლექსში ამბობს: „რა იციან, რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეაო"... მოიღალა იმის ახოვანი ბუნება, ჭეყნიური უჯიათობით... ხედავს რა თავის გარშემო გაუტანლობას, და უმეტეს ნაწილად ისეთს, რომელთაც მხოლოდ თავისი პირადი ანგარიშები აქვსთ სახეში, და მხოლოდ ფარისევლურად ატყუებენ ერთმანეთს: რწმუნდება, რომ საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი საუკუნოები უძევს წინ, ვიდრე იმ გვარ „გულწრფელი" და „ნამდვილი ადამიანურის გრძნობით" შემკულნი მოევლინებოდეს, როგორსაც თითონ ნატრობდა. თუმცა... არ შეიძლება კი, არ ხედავდეს — შედარებით წინ სვლას ხალხისას; მათში, რამოდენიმედ, სწავლა-განათლების წყურვილისა და ეროვნულ გრძნობის გაღვიძებას! — და ეს რამოდენიმედ, მაინც ანუგეშებს მას! და ზოგიერთ ყოფილ გმირთა მოგონებით ღიმმოსილი, მაინც იმედით შეჰყურებს მომავალს და შესტრფის თავის ზურმუხტოვან ბუნებას! თავის კოპწია საქართველოს!

მაშ, იყოს მრავალ-ჟამიერ ჩვენი აკაკის სიცოცხლე!

აკაკის სახელი ხატად ექნება გულში ყოველ ქართველს! მომავალში უკეთ გაიცნობს და შეიყვარებს თავისი ერი თავის მამასა და ხელმძღვანელს, თავის გულშემატკივარს, საქართველოს სიამაყე მგოსან აკაკის!

ა. თორაძე

აკაკისა და ილიას შემოქმედება

ამ ორ დიდებულ მგოსანთ ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ალაგი უჭირავთ. ისინი არიან ჩვენი ახალი მწერლობის დამამშვენებელნი. საუკეთესო წარმომადგენელნი. ქართველი ერის გენიალობა, მისი სულიერი ძალა და ნიჭიერება ნათლად გამოიხატება მათ უკვდავ ნაწარმოებებში.

ისინი დიდად განირჩევიან წინანდელ ქართველ მწერლებისაგან, როგორც მიმართულებით, აგრეთვე ენის მხრითაც და წერის მანერით.

აკაკი და ილია ერთსა და იმავე დროს გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე, ორივე ერთნაირი იდეალებით იყვნენ გამსჭვალულნი; როგორც

პირველის, ისე მეორე მგოსნის ჩანგის ჟღერის საგანს შეადგენს მამული, საქართველო, ოდესღაც სახელგანთქმული დიდებული, ახლა კი დაბეჩავებული, თავზე ლეჩაქახდილი, თვის შვილთა დაუდევრობით გაყრანებული და მიწასთან გასწორებული.

მგოსნები მუდამ თავის მრავალტანჯულ სამშობლოს ეკლებიან თავს, მას ეტრფიან. მის ბრწყინვალე წარსულს შენატრიან, თავიანთ წინაპართა საგმირო საქმეებს და ერის ძველებურ დიდებას გვიხატავენ საოცარის ხელოვნებით, თვალწარმტაც და გრძნობა-გონება დამპყრობელ სურათებით. ამ მხრით ჩვენი მგოსნების ნაწარმოებნი ერთი მეორეს ავსებენ, ასრულებენ.

ამგვარათ მათი ნაწარმოების წყალობით ჩვენ გვეძლევა შეძლება ნათლად და სავსებით წარმოვიდგინოთ ფასდაუდებელი ღვაწლი ჩვენი ერის სახელოვან მამულიშვილთა, რომლებიც გამოუთქმელის თავდადებით იბრძოდნენ საკვეყნო საქმისათვის, მამულის კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის. აი დიდებული სურათი მეფე დიმიტრისა [1], რომელმაც თავი დასდვა მამულისათვის და მით იხსნა იგი მტრის აკლება-აოხრებისაგან. აგერ შესანიშნავი სარდალიც თორნიკე ერისთავი [2], რომლის სიტყვა და საქმენი ერთგვარად გხიბლავთ და მოქმედობენ ადამიანზე თავისი ძლევამოსილებით, აგერაც მოძმეთათვის თავდადებული გმირი ცოტნე [3], ნოინის [4] სასტიკ სასჯელს თავისი ნებით მიცემული, ამხანაგური ერთგულების დასამტკიცებლად. ესეც სხივოსნური, შარავანდედით მოსილი სახე მეფის ირაკლი მეორისა [5], პატარა კახის, რომლის პიროვნებაშიც სავსებით გამოსახულია წინანდელი ქართველი მამულიშვილის სულიერი, ფიზიკური და მორალური ძალა და სხვა... — ერთი სიტყვით, ამ ორი დიდებული მწერლის ნაწარმოებში, თითქო ხორცს ისხამენ და საფლავებიდან ამოდიან, ცოცხლდებიან ჩვენი ძველი დიდების წარმომადგენელნი სახელოვანი მამულიშვილნი და თვალწინ გვეხატებიან მთელი თავისი სიდიადითა და ბრწყინვალებით. პოეტები გვაცნობენ მათ ზრახვათა და სულისკვეთების მიზეზებს, მათ მიერ ჩადენილ საქმეებს, თავგანწირულ ბრძოლას და სხვა ამგვარ ადამიანის მაღალ ზნეობის დამამტკიცებელ თვისებებს. მერე რა იყო ამ გაცისკროვნებულ პიროვნებათა შფოთვის, მათი დაუცხრომელი გულის ტოკვის და სულის დუღილის მიზეზი? მამული, რომელიც წინანდელ ქართველისათვის წარმოადგენდა წმიდათა-წმიდას, რომლის შეურაცხყოფასაც ის არავის აპატიებდა, რომელსაც ფარვანასავით მუდამ თავს ეკლებოდა და გამოუთქმელი თავგანწირულებით იცავდა მის შინაურ და გარეგან მტრების აკლება-განადგურებისაგან. ძველად პოეტის სიტყვით „ქართველს არად მიაჩნდა გაჭირება, თუ ქონდა თვის ჭერ ქვეშ თავისუფლება. მამულისათვის ომი მას კიღევაც ახარებდა: უწინ ქართველს უხაროდა მამულისთვის მტერთან ომი, ან მოკლავდა ან თავის თავს შეაკლავდა, როგორც ლომი", — ამბობს მგოსანი.

როდესაც სამშობლოს თანამედროვე ცხოვრებას უკვირდებიან, გუ-

ლი ნაღვლით ევსებათ ჩვენს დიდებულ მწერლებს. რამდენათ ბრწყინვალეთ ეჩვენებათ მათ წინანდელი ქართველის ცხოვრება, იმდენად დაჭვეითებულ და უნუგეშო სურათს წარმოადგენს მისი ახლანდელი მდგომარეობა. პოეტების სევდა-ვარამი, მათი გულის წუხილი და კაეშანი, ერის დაცემით გამოწვეული, რაც დრო გადის, უფრო და უფრო იზრდება, ღრმავდება და იპყრობს მთელ მათ არსებას; მაგრამ ჩვენი მგოსნები მაინც არ კარგავენ იმედს, არ იტეხენ გულს, არ ვარდებიან სასოწარკვეთილებაში და უმოქმედობას არ ეძლევიან, პირიქით, ისინი კიდევ უფრო მეტის თავგამოდებით და დაუზოგველობით ებრძვიან ცხოვრების იმ სასტიკ და ულმობელ პირობებს, რომელშიც იმყოფება მათი ბედშავი სამშობლო, და განა პოეტს არა აქვს საბაბი ბრძოლისა, როდესაც მისი სატრფო, ქაჯებისაგან ტყვედ-ქმნილი ნესტან დარეჯანი [6] ციხეშია დამწყვდეული და გაჭირვებას განიცდის? მგოსანი უზომოთ იტანჯება და მწარეთ მოსთქვამს თავის სატრფოს გამო, მაგრამ თავს იმაგრებს, სასოწარკვეთილებას არ ეძლევა და ცდილობს ყოველგვარი საშუალებით გაათავისუფლოს თავისი სატრფო ქაჯთა ტყვეობისაგან. დარწმუნებული, რომ მარტოოდენ საკუთარი ძალღონით იგი ვერ შესძლებს ამას, დაეძებს გმირებს, რათა „ხელი ხელს მისცენ, მხარი მხარს, ნესტან დარეჯან ქაჯებს ყავთ, მოელის ტურფა გამომხსნელს".

ნახევარმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც მგოსანი ხელობს თავის სატრფოს დახსნისათვის; ამასობაში მას სიბერეც შემოეპარა, დაჩაჩანაკდა კიდეც, მაგრამ სატრფოსადმი სიყვარული მასში ოდნავადაც არ შერყეულა, იგი წინანდებურის გატაცებით, თავდავიწყებით და მხურვალებით ცდილობს საყვარელი არსების განთავისუფლებას და ამ მიზნისათვის დაეძებს გმირებს ქართველთა შორის. „დაე აყვავდეს იმედი, გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა, გმირებს დაეძებს, უყივის ჩემი დაფი და ნაღარა", — ამბობს იგი, მაგრამ მისი ხმა რჩება ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, რადგანაც მეორე პოეტის სიტყვებისა არ იყოს, „სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვტირი, იგი არა გვყავს, მის მოედანი ჯაგით აღესილი, ვერანათ ქმნილა, გმირის დამბადი დიდი საგანი თქვენში სპობილა და წაწყმედილა" [7].

მაგრამ თუ თანამედროვე ქართველ საზოგადოებაში არ მოიპოვება ნამდვილი გმირები, მგოსნები ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ მომავალი თაობა მაინც აუცილებლად წარმოშობს მათ, ეს აზრი გულს უკეთებს, ამხნევებს ჩვენ პოეტთ და სატრფოს საბოლოო განთავისუფლებაში მაინც ეჭვი აღარ შეაქვთ. ამგვარია აკაკისა და ილიას პოეზიის მთავარი მოტივი, პათოსი. ახლა განვიხილოთ შემოქმედების გარეგნული მხარე. უპირველესათ ყოელისა საჭიროა ვიცოდეთ, რომ პოეტის შემოქმედების ინდივიდუალობა, მისი განსაკუთრებული ხასიათი, თავისებურება, სხვათაშორის მხატვრულ გარეგნობაშიც (ფორმაშიც) მხილდება. თუმცა ერთი და იგივეა ილიასა და აკაკის პოეზიის საგანი, მაგრამ ისინი ერთმანე-

თისაგან მაინც თვალსაჩინოთ განირჩევიან, რადგანაც განსხვავებულია ის გარეგანი ფორმა, რომლითაც თითოეული მათგანი გამოსახავს აზრს, ახორციელებს იდეას.

ილიას პოეზიას რეფლექტორული ხასიათი აქვს: ვიდრე კალამს ხელს მოკიდებდეს, წერას შეუდგებოდეს, იგი დაწვრილებით გეგმას ადგენს. წინდაწინვე ნათლად ითვალისწინებს სრულ შინაარსს თავის შრომის საგნისას და მხოლოდ შემდეგ ცთილობს მისცეს მას შესაფერი მხატვრული სახე. ამიტომაა, რომ ზოგიერთი პოეტის ნაწარმოების ფორმა არ შეესაბამება სავსებით მის შინაარსს; ისინი როგორღაც ერთმანეთისაგან დაშორებული გეჩვენებათ, არ შეადგენენ ერთ სულსა და ერთ ხორცს. დაკავშირებულნი არ არიან ერთმანეთთან ორგანულად, ერთ მთლიან ინდივიდუალურ სხეულს არ შეიცავენ.

აკაკის შემოქმედება კი, პირიქით, სტიქიურია, შეუგნებელი; იგი ჭმნის უგეგმოთ განუზომლათ, როცა შთაგონება მაღლით აღუგზნებს პოეტს გულს ციური ცეცხლით.

ილიას ყოველი დიდი და პატარა ნაწარმოები მთლიან ქმნილებას, ლამაზათ გამოკვეთილ ქანდაკებას წარმოადგენს, რომლის ზოგიერთ ნაწილსაც სჭირია შეკეთება-გამშვენიერება, მაგრამ, საერთოდ მაინც ერთ მთლიან, შეკრულ, დასრულებულ შენობის შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანის გრძნობაზე.

აკაკის ნაწარმოებნი, ზოგიერთი მისი სხვილი პიესები, შინაგანი, ლოგიკური მთლიანობის თვალსაზრისით არ არიან სრულნი, უნაკლონი, მაგრამ სამაგიეროთ, გრძნობით, ფორმისა და შინაარსის ოსტატურად შეზავება-შეხამების მხრით, მხატვრული ფერადების სიუხვით, ჰეშმარიტ პოეტურ აღმაფრენით და ენის სიმდიდრე-სინარნარით წარმოადგენენ იშვიათ ნიმუშს ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

ამნაირია საერთოდ ჩვენი დიდებული მგოსნების შემოქმედების ხასიათი; შემდეგ სტატიებში ჩვენ შევეცდებით ნათელვყოთ ეს მოსაზრება კონკრეტული მაგალითებით თითოეული მათი ნაწარმოების დაწვრილებით გარჩევის მეოხებით.

გამზრდელი (პოემა)

ერთ თვალუწვდენელ მთის მწვერვალზე იდგა ფაცხა, რომელშიც ცხოვრობდა ვინმე აფხაზი[8] „რთულ ცხოვრების უარმყოფი მცირედითაც კმაყოფილი". ერთი თვეა რაც ამ მთის შვილმა მოიყვანა ცოლათ სამეგრელოს ასული ნაზიბროლა[9], რომლის სიმშვენიერის გამოხატვა არ ძალუძს თვით პოეტსაც; ეს ორი ახალგაზრდა ხორჩი არსება განგებით ერთმანეთთან შეერთებულნი, სტკბებიან ურთიერთ სიყვარულით და „გრძნობენ ერთათ ამ ქვეყნადვე სასუფევლის ნეტარებას".

ერთ ბნელ ღამეს, საშინელი ელვა-ჭექის ჟამს, აფხაზს ესტუმრება

საფარ [10], რომელიც იყო დედამისის ძუძუთი გაზრდილი, როგორც ამ უკანასკნელის ნაამბობიდან ჩანს, მისი ასე უდროოთ მოსვლის მიზეზი არის მომხიბლავი სილამაზის მქონე ქალი — ზია ხანუმ [11], რომელიც „შვენებით განთქმულია, ბევრი კარგი ახალგაზრდა მისი ეშხით დაბმულია“. საფარიც მოხიბლა, დაიმორჩილა ამ ქალის წარმტაცმა შვენიერებამ, იგი მუდამ ამ ჯადოსნურ არსების შესახებ ფიქრშია გართული.

ზიახანუმ შემდეგი საქმის ასრულება დააჩემა თავის ბნედამორეულ, გაშმაგებულ მიჯნურს:

თუ გიყვარვარ და ხარ ჩემი მოყვარეო
ინალიფას [12] ლურჯი ცხენი ამ სამ დღეში მომგვარეო.

მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ თავმომწონე მთიელი, ინალიფა, განთქმული თავისი ვაჟკაცობით, გაბედულებით „თვის ბედაურს არ დაუთმობს ნებით გამჩენს, და თუ ვინმე ძალას იხმარს, შეაკვდება არ შეარჩენს“.

სხვა გზა არ არის, განაგრძობს სტუმარი.

მოპარვაა მხოლოდ ერთად ერთი ღონე,
თუმცა სხვა დროს არ იკადრებს ამას კაცი თავმომწონე.

ძიძიშვილი გულდასმით ყურს უგდებს საფარს, თუმცა მას არ მოსწონს ამ უკანასკნელის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესახებ მეტოქის ცხენის შეძენისა (მოპარვით) ქურდობის საშუალებით, მაგრამ, ეუბნება, რადგან „სიყვარულის ტკბილი სენი შენც შეგყრია, გზა აღარ გაქვს!.. უნდა გული დაუდვა და ემსახურო, რომ სატრფოს წინ შენ სირცხვილის ოფლი აღარ მოიწურო“ და თვითონ კისრულობს მეგობრისათვის ცხენის შოვნის საქმის მოგვარებას.

შენ ეგ საქმე მე მომანდე,
მე ვიზამ შენს მაგივრობას.
ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს
შეეწირავ შენს მეგობრობას.

ამ სიტყვების შემდეგ მასპინძელი გამოეწყობა სამგზავროთ და მიდის კიდევაც მეგობრის სურვილის ასასრულებლად.

უმადური სტუმარი სარგებლობს მასპინძლის საოჯახო კერის დროებით მოშორებით და ძალით ნამუსს ხდის თავის მეგობრის ცოლს და მით ხდება საქვეყნოდ ზნეობის დამრღვევი — შემლახველი და მეგობრული გრძნობის მოღალატე-გამტეხი.

მეორე დღეს, რიყრაჟზე, ბრუნდება მასპინძელი, რომელიც „მოაგელვებს ლურჯ ბედაურს“ თავის მეგობრისათვის, ხოლო რა შედის ქვაბში, სადაც ეგულება თავისი სათაყვანო არსება და ხედავს, რომ „ნაზიბროლა ჩუმათ ტირის, პირს იხოკავს, იკაწრავს ყელს, მინგრეულს და

მონგრეულსა ხედავს იქვე, მის ქვეშაგებს“, იგი სწრაფ მიხვდება, რაც მომხდარა.

ზარმა დაჰკრა, ელდა ეცა!...
და რომ კრინტიც არ დაუძრავს,
იქვე უხმოდ ჩაიკეცა.

დიდხანს იჯდა რეტდასხმული ქმარი და უყურებდა ცოლის ტანჯვას; ბოლოს როგორც იქნა მოიკრიფა ღონე „მოეგო ისევ ჭკუასა“, მივიდა და უთხრა მტირალს:

ჩუ, ნუ სტირი, გენაცვალე!
რაც გინახავს — სიზმარია,
დაივიწყე ისევ მალე!
გადაიგდე გულიდან ეგ,
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის, ვით ლამპარი.

შემდეგ უახლოვდება საწოლს, სადაც სტუმარი ტკბილ ძილს მისცემია, აღვიძებს მას და ატყობინებს, რომ „დროა აწი ადგომის და გამგზავრების“.

საფარ უცბად წამოვარდება ზეზე, შემკრთალი და დარცხვენილი, მაგრამ როცა მასპინძლის მშვიდ სახეზე ღიმილს შეამჩნევს, გაიფიქრებს:

მაღლობა ღმერთს
არაფერი შეუტყვია
თვარა გულმკერდს გამიხვრეტდა
ხანჯლის წვერი და ან ტყვია.

მასპინძელმა შეუკაზმა სტუმარს ცხენი, თვითონ შეჯდა მოყვანილზე და ორთავემ მათრახების ტლაშუნით „ვიწრო გზით დაღმართი სულ კუნტრუშით ჩაატარეს“. როცა ჩავიდნენ მინდვრის პირათ, მასპინძელმა უცბათ შეაჩერა ცხენი და ხმა ამაღლებით მიმართა სტუმარს შემდეგი სიტყვებით:

საფარ ბეგო! პირშავობა
შენი ვიცი, შემიტყვია!....
და დღეიდან ჩვენ ორს შუა
მოციქული არის ტყვია.

ამ მოულოდნელ სიტყვებზე შეკრთა საფარ, დაედვა მკვდრის ფერი, „ჩაუვარდა ენა პირში, გაქვავდა და აღარ იძვრის“. ბოლოს უზომოთ შეწუხებული, სირცხვილით მიწასთან გასწორებული სტუმარი აღიარებს მეგობრის წინაშე თავის მიუტევებელ შეცდომილებას და მწარე ცრემლების ფრქვევით ემუდარება მას ტყვიით გულის გაგმირვას ნამუსის გასაწმენდათ, სამუდამო სულიერი ტანჯვის თავიდან ასაშორებლად:

ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს,
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინიდისი გამიმრთელე.

ამაზე მასპინძელი უპასუხებს:

არა, შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია.
დედიჩემის გაზრდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია.
. . . . . .
წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!
დღეიდან ჩვენ წმინდის გულით
ერთმანეთს ვერ მიევნდობით!...

ამ სიტყვებით ისტუმრებს ძიძიშვილი საფარს, ხოლო ავალებს, როცა უაბარდოში ჩახვიდე, სულ პირველად წადი ნახე ის მოძღვარი,

ვინც შვილივით გამოგზარდა
და უამბე შენის პირით,
რაც სირცხვილი დაგემართა.

საფარის გამზრდელი, ჰაჯი უსუბ [13] განთქმულია არც გვარით, არც ეაჟკაცობით,

არც სიმდიდრით, არც ქონებით —
ჰაჯი-უსუბ ცნობილია
მხოლოდ ჰკუით და გონებით.

და ამ უსუბთან მიდის საფარ-ბეგიც და ეუბნება „ყოველიფერს, უნებურათ რაც შეემთხვა". გამზრდელი გულმოდგინებით ისმენს ყოველ მის სიტყვას და დიდად დანაღვლიანებული თავის გაზრდილის მიერ ჩადენილი სიმუხთლის გამო, ოხვრით ეკითხება მას: მერე? მერე? რომ გაიგო რა თქვა ქმარმა

— მაპატივა შეცოდება,
როგორც ძმამ და მეგობარმა:
მხოლოდ ეს კი დამაკლა:
ნახე შენი გამზრდელიო
და მაგ შენი საქციელის
პასუხს მისგან მოველიო...

ჩემი პასუხიც ის იქნება, ეუბნება გამზრდელი, რომ ნამუსის გასაწმენდად ჩემი ხელით სისხლს დავღვრიო: ესა სთქვა და იმ წამსვე

შეაყენა ზედა ფეხზე
მან დამბაჩა გატენილი

მორჩილებით გულმკერდს უშვერს
საფარ მისი გამოზრდილი.

მაგრამ უსუბი უპასუხებს:

შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ!
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მან საფეთქელში „მიიჭედა ცხელი ტყვია“ და იქვე მსწრაფლ განუტევა სული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ-ჯერობით ქართული კრიტიკის ყურადღება არ მიუპყრია ამ პოემას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩვენ მიგვაჩნია საუკეთესო-ქმნილებათ აკაკის დანარჩენ მსხვილ ნაწარმოებებთა შორის. ეს არის ერთადერთი პოემა ჩვენი სახელოვანი მგოსნისა, რომელშიც წითელი ზოლივით გატარებულია ერთი მთავარი აზრი, იდეა, რომელიც ეხება კითხვა-აღზრდის გავლენას ადამიანის ბუნებაზე. პოემის დედა აზრით კარგი აღზრდა ვერ ყოფს ადამიანს სრულ ზნეობრივ პიროვნებათ, თუ მას ბუნებით არა აქვს თანდაყოლილი კეთილი თვისებები. ჩვენ არ შევეხებით იმას, თუ რამდენად მართალია ეს აზრი თავის თავათ, ყველაზე უფრო ჩვენ აქ ის გვაინტერესებს, თუ რამდენად ხელოვნურათ აქვს განხორციელებული პოეტს ეს, რა თქმა უნდა, არაორიგინალური შეხედულება აღზრდის ზეგავლენის შესახებ ადამიანის შინაგან არსებაზე. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ პოემის დედააზრი საოცარის ხელოვნებით აქვს გამოსახული ჩვენ დიდებულ მწერალს.

რომ მართლაც მარტო აღზრდა არ კმარა, ეს ნათლად მტკიცდება პოემის შემდეგი მაგალითიდან. საფარ-ბეგი, რომელიც აღზარდა ჭკუა-გონებით და წვრთვნა-აღზრდაში სახელგანთქმულმა ჰაჯი-უსუფმა, რომელიც იმდენად მაღალი ზნეობიანი პიროვნებაა, რომ თავის პირად დანაშაულად მიაჩნია თავისი გაზრდილის მიერ ჩადენილი ყოვლათ უმსგავსი და დაბალი მოქმედება, რის გამო საკუთარი ხელით იკლავს თავს; ეს საფარი, ვამბობთ ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ მისთანა შესანიშნავი და ყოვლათ უბიწო ადამიანის ხელმძღვანელობის ქვეშ აღიზარდა, ჩადის, მთის ხალხის შეხედულებით, მეტად მძიმე და მომაკვდინებელ ცოდვას, რომელიც საშვილიშვილოდ სახელს უტეხს, ჩირქს სცხებს მის პიროვნებას. აქედან ნათლად სჩანს, რომ თვით უშესანიშნავესმა გამზრდელმა ვერ შესძლო აღზრდა, შექმნა სრული ზნეობრივი ხასიათის მქონე პიროვნებისა, რადგანაც პოეტის სიტყვებისა არ იყოს, „მარტო წვრთვნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“. პოემა, როგორც ეს ჩვენ მგოსანს სჩვევია, მეტად უბრალო, ყველასათვის ადვილად გასაგებ და მასთან სურათიანი ენით არის დაწერილი; როცა ამ ნაწარმოებს კითხულობთ, თქვენ განიცდით ნამდვილ ესთეტიურ სიტკბოებას და არ ძეგძლიათ, ერთი წუთიც

არის, შეისვენოთ, მოშორდეთ მას, იმდენად გიტაცებთ და გიმორჩილებთ ცოცხლად, ხალისიანათ მოთხრობილი და ინტერესით სავსე ამბავი, რაც შეადგენს პოემის შინაარსს. შეუდარებელი ხელოვნებით ჩინებულათ განსახიერებული პოეტის ძლევამოსილი შემოქმედებითი ძალის მეოხებით, აქ თქვენ ბლომად შეხვდებით ბევრ სხვადასხვა პოეტურ შედარებათა ნიმუშებს, მრავალფეროვან ბუნების სურათებს, ქალის მომხიბვლელი მშვენიერების და მამა-კაცის ძმობა-მეგობრობის და ვაჟკაცობის დიდის ოსტატობით აღწერა-განმარტების მაგალითებს.

აი, თუ გნებავთ, ეს ადგილიც პოემიდან შემთხვევით აღებული, რომელიც ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორი მხატვრული სიძლიერით, მაგრამ უბრალოთ და იშვიათი ბუნებრიობით აქვს აღწერილი მგოსანს აფხაზის ფაცხა ჰექა-ქუხილის, მზიან დღის და მთვარიანი ღამის ჟამს.

როდესაც მთა ბარს და ვაკეს
ემუქრება წარღვნა ღელვას, —
ფაცხაც ღრუბელს გარს იბურავს,
ეკრძალება ჰექა-ელვას;
მაგრამ, როცა დაქათქათებს
თავზე იქვე მზე და მთვარე
და თვალის წინ ფიანდაზად
ეფინება არე-მარე,
მაშინ ფერთა უბრალობით
მომხიბლავათ ღამაზია
და იმასთან ყველა ტყუის
რაც კი ციხე-დარბაზია.

ამგვარათ აღწერა შეუძლია, მხოლოდ ნამდვილ მხატვარს, რომელიც დაჯილდოებულია ზეცით მონაბერი ნიჭით და აქვს უნარი მრავალფეროვან ცხოვრებისა და ბუნების მოვლენათა პირდაპირ გრძნობა-შეგნებისა.

პოემის დანარჩენ არა-ნაკლებად მხატვრულ ადგილებზე აღარ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ პოემის ყველა მოქმედ პირებად არიან მთის ხალხის წარმომადგენელნი, რომელთა ზნე-ჩვეულება სრულის სინამდვილით ჩინებულათ აქვს დახატული ჩვენს დიდებულ მგოსანს.

„ნ ა თ ე ლ ა“

(ძველებური ამბავი)

როდესაც აკაკის მთავარ ნაწარმოებთ ვარჩევთ, არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ, უყურადღებოდ დავტოვოთ მისი ფანტაზიის ერთი უძვირფასესი ნაყოფი „ნათელა“. ამ ნაწარმოების სული და გული არის უმშვენიერესი არსება, ქალი ქველი წერეთლისა [14], ნათელა [15], რომლის სიტურ-

ფე-სილამაზეც იმდენად ძლიერია, იმდენად მომხიბლავი, რომ პოეტს არ შესწევს ძალა მისი გარეგნობის გამოსახატავად. ამიტომ იგი მიმართავს თავის გრძნობა-გონებას და ურჩევს მას ცათ ამაღლებას ზეციურ ძალთა საიდუმლოების შესატყობად; მხოლოდ მაშინ გაბედავს იგი — „ხელი შეახოს ჩანგურსა“, მშვენიერი ნათელას ღვთიური სილამაზის გამოსათქმელად.

ბევრს განთქმულ მეომარსა და სახელოვან ვაჟკაცს აუნთო ცეცხლი გულში ჯადოსანმა; ყველას უნდა ამ სანეტარო არსების დაპატრონება, ოლათ შერთვა, „მაგრამ ნათელას პასუხი საერთოდ გადაჭრილია: „ჯერ ჩემი გული ყველასთვის, როგორც სამარე გრილია“-ო. მხოლოდ იმას შეუძლია დაეპატრონოს ნათელას გულს, ვისაც ძალუძს შემდეგი პირობის შესრულება: მას ოქროს მკედით შეუკერავს მშვენიერი თეთრი ჩოხა, რომელიც „წელში ეიწროა და წერწეტი, ბეჭებში კი განიერი“, ვისაც ეს ჩოხა ტანზე მოადგება, ის უნდა წავიდეს საომრად მტრებთან,

გვიჩვენოს ძალა მკლავისა,
ნახოს სახელი მისთანა,
რომ არ ენახოთ არც ძველათ:
ასოცი თავი მომართვას
ჩემი სარების სარქველათ,
რომ შემოეკლოს მესერათ
ამ ჩემ დიდ ციხე-დარბაზსა...
და მაშინ მხოლოდ ეს გული,
გასთბება.., დასდებს მას ფასსა.

საქართველოს ყოველი კუთხიდან გუნდათ და გუნდათ მოდიან გმირები წერეთლის ციხე-დარბაზში და შინჯავენ საბედისწერო ტანსაცმელს

მაგრამ... არ ერგო ის ჩოხა,
არავის ტანადობასა;
ეთხოვებიან ნათელას
და სჯერდებიან დობასა...

ერთხელ გულზე სევდამორეული და შავი ფიქრებით მღელვარე ნათელა მოწყენილი გადაჰყურებდა თავისი კოშკის სარკმლიდან მის თვალ-წინ მდებარე არემარეს. ადიდებული მდინარე ყვირილა დამაყრუებელი ჭექა-ღრიალით მორბოდა — მოიკლაკნებოდა, ნაპირებს ძალზე ეხეთქებოდა, თითქოს თავის კალაპოტიდან ამოვარდნა სურსო. უცბად ნათელამ შორით თვალი მოჰკრა თეთრ მერანზე მჯდომს უცხო მხედარს, რომელიც ელვის სისწრაფით მოაგელვებდა თავის ბედაურს აზვირთებულ მდინარისაკენ; რადგანაც ყველა ხიდი მდინარეს დაეხვეტა, მხედარმა თავისი მერანი პირდაპირ აქაფებული წყლის ზვირთებში შეაცურა, ცხენი და მხედარი, აბობოქრებული სტიქიონის ტალღებში გაეხვივნენ და გაქრნენ; ამ საშინელ სურათს გულის ტოკვა-ფანცქალით შეჩერებოდა გაფითრებული ნათელა და რომ მათი დაღუპვისათვის არ ეყურებია თვალებზე ხელები

მიიფარა, მაგრამ გაბედულმა მხედარმა სძლია მდინარის მძლავრ ზვირთებს და წყლის მეორე ნაპირას გასვლისთანავე თავბრუდამხვევი სიმალით მისცა თავისი ფეხმარდი მერანი ხმელეთის უსაზღვრო სივრცეს და ერთი თვალის დახამხამებაზე გაჩნდა ნათელას ციხის კარებთან. მაგრამ „იგი იქ ვერავის ხედავს სორციელს, მსოლოდ მაღლით მის წინ ჩოხა დაეშვა ფრიალით“, მხედარმა სწრაფად

აიღო ხელში, გაშინჯა,
ჩაიცვა, — ერგო კიდეცა!...
გაიორკეცა სურვილი,
მისთვის გაიხსნა კიდე-ცა...

და შემდეგ

კოცნა შესტყორცნა სარკმლისკენ
ძოახტა მარდად თეთრასა,
და რომელ გზითაც მოვიდა,
დაადგა ისევ იმ გზასაც

ნათელას გულში კი აღმოუფხვრელი კვალი დატოვა უცნობმა მხედარმა, რომელიც პოეტის სიტყვით: „წავიდა და თან წაიღო ნათელას სული და გული“.

ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე ხანი; ნათელას განუწყვეტლივ მოსდის და მოსდის ოქროს კაეები ზედ ჩამოხირხლული სამშობლოს მტრების თავებით. ას ოცს ერთიღა აკლია, რომელსაც მოუთმენლად მოელის თავმომწონე ასული თავადისა; გადის დრო და ჟამი, მაგრამ არც არავის უკანასკნელი თავი მოაქვს და არც არსად ჩანს ნათელას გულში უნებლიეთ ცეცხლის აღმგზნები უცნობი ჭაბუკი. გამოუთქმელია ნათელას მწუხარება, მხედრის სვე-ბედზე მუდმივი ფიქრით გამოწვეული; მას იგი მტრებთან ომში დაღუპული გონია და შავებით შემოსილი მწარე ცრემლს აფრქვევს — მარტოთ რჩენილი მაღლობზე მდგარი თავმომწონე კოშკის კედელთა შორის. ანაზდად ოთახის კარი იღება და ერთი მსახურთაგანი ატყობინებს მას წითელი ცხენითა და წითელი ტანსაცმლით მოსილის კიღაც უცნობის მოსვლას, რომელიც დაუყოვნებლივ ნათელას ნახვას თხოულობს. ნათელას სურვილისამებრ ოთახში შემოდის მოხთენილი ვაჟკაცი, ყრმა ვინმე, რომელიც ზრდილობიანათ მუხლთ მოიყრის და თაყვანსა სცემს მის დამწველ ლამაზ არსებას და — კადრებს:

მოვსულვარ თქვენი ტყვე,
პირობის შემსრულებელი

. . . . . .

და აწ მიიღეთ ჩემგან ძღვნათ,
ვით პირის სანახავიო,
ქვეყნის მტრისა და ორგულის,
ეს მეასოცე თავიო...

ამგვარმა მოულოდნელმა სტუმრობამ მთლად გააბრწყინა ნათელას მზისებრ სახე და გული. მღრღნელი სევდა-მწუხარება სწრაფლ შეიცვალა სანეტარო ლხენა-მხიარულებად; იგი ბავშვურმა აღტაცებამ აიტანა და აღელვებული ნამეტანი სიამოვნებით — მას ვინაობას ეკითხება:

ყრმამან მიუგო: „მაგისი
ძნელი არ არის ცოდნაო;
მთავრის შვილი ვარ, მთავარი,
დადიანი ვარ ცოტნაო.

ცოტნე დადიანი დიდებულ ქორწილს გადაიხდის, სამშობლო მხარეს, თავის ზვიად სასახლეში, რომელიც მედიდურად გადმოჰყურებს მდინარე ხობის ნაპირებიდან მის გარშემო მდებარე თვალუწვდენელ მიდამოს; საქართველოს ყოველი კუთხიდან აუარებელ ხალხს მოუყრია თავი თავადის სასახლეში; დიდი ლხინი და ქეიფი, სიმღერა და ღვინის სმაა გამართული, ხოლო ამ საერთო მხიარულებაში მონაწილეობას არ იღებს ნათელა; იგი დაღვრემილი ზის თავის ქმრის გვერდით და რაღაც გამოურკვეველ მწუხარებას მისცემია; როდესაც ცოტნე ეკითხება მას ამ, ჰმუნვა-ნაღვლიანობის მიზეზს, იგი ნელის, მაგრამ მეტად გრძნობიერის ხმით უპასუხებს: არ შემიძლია ვიმხიარულო იმ დროს, როცა „ლიხს იქით მოძმე ქართველი, ყმათ გაუხდია მონგოლებსო“.

დღეს აქ ლხინი გვაქვს საერთო,
ყანწ-აზარფეშის ტრიალი,
იქ კვნესა ისმის დაჭრილთა
და ქვრივ-ობლების ღრიალი!...
ხომ ხედავ ამდენ ვაჟკაცსა,
გმირთა-გმირს, ლომთა ლომებსა?
ცოდვა არ არის ესენი
ერიდებოდნენ ომებსა?!
აქ რას უსხედან? წავიდნენ!
შენ უწინამძღვრე მთავარო!
და მეცა თქვენთან, იცოდეთ,
მამულის მსხვერპლათ მზა ვარო!

ცოლის ამ გვარი სიტყვა-პასუხით აღფრთოვანებული უმჟღავნებს ნათელას: მე დიდი ხანია გამსჭვალული ვარ მოძმეთა დახმარების სურვილით, მაგრამ აქამდი ვმალავდი სიფრთხილის გამოეო; ახლა როცა ამერთა დიდებულნი შეთქმულან მტრის განსადევნათ და მონობისაგან სამშობლო ქვეყნის გათავისუფლებისათვის შემწეობას მთხოვენ, მეც გადავწყვიტე მოძმეთა დახმარება და ამ მიზნით გამგზავრება ჯავახეთს მათ საშველად:

ეს ხალხიც მიტომ შეეყარე,
რომ გამემეღავნა ყველა ეს...

მოსამზადებლად მე სხვა დროს
ხელს ვერ ვიგდებდი უკეთესს!

ამ სიტყვების შემდეგ მთავარი მიმართავს იქ მყოფს ლომგულ ვაჟკაცებს წინადადებით დანიშნულ დღეს ამერეთში გალაშქრების შესახებ მოძმეთა დასახმარებლად; ყველა აღტაცებით ეგებება ცოტნეს სიტყვებს და თავის სურვილს დახმარებისა და სოლიდარობისა ამერეთთან კიდევაც გამოსახავენ სმენის დამატკბობელის მშვენიერს სიმღერაში:

..... იცოცხლე
მრავალ ჟამიერ! ჟამიერ!
ჰირიც და ლხინიც საერთო
ქაშირი იმერ-ამიერ!...

იმ დროს, როცა ცოტნე მზა არის თავისი ლაშქრით ამერეთს გასამგზავრებლად, მას მოსდის შემაძრწუნებელი ამბავი, რომელიც ატყობინებს თავადს შეთქმულების გამეღავნებას. შეთქმულთა დაპატიმრებას და გაგზავნას ქალაქში შეუბრალებელი ნოინის სასტიკი სასჯელის მოსახთელად; მთავარი, უზომოდ შეწუხებული ეროვნების ნამდვილ ბურჯთა განსაცდელში ჩავარდნის ამბით, მიდის ა ნ ს თავის ამხანაგებთან მათი ბედის გასაზიარებლად. საშინელი, გულშემზარავი და გრძნობა-გონების აღმაშფოთებელი ტანჯვა-წამება გადაუწყვეტია ულმობელ ნოინს შეპყრობილი ქართველებისათვის: შიშველ ტანზე თაფლწასმულნი და შეკრულნი, ისინი დაუყრიათ საცოდავად ნოინის სასახლის ეზოს ერთ ალაგას, სადაც მზის საშინელის მხურვალებით დაოსებულ მათ ტანს დახვევია აუარებელი კოღო-ბუზი და გამოუთქმელ ტანჯვასა და ვაებას განიცდიან სახელოვანი მამულიშვილები. ცოტნე გაბედულათ შედის ნოინის ეზოში და ვაშას ძახილით სალამს აძლევს მამულისათვის თავდადებულ ქართველთ; შემდეგ მსწრაფლ ტანთ იხდის და თავისი ნებით ეძლევა ნოინის მიერ მისი ამხანაგებისათვის გადაწყვეტილ საშინელ სასჯელს. ნათელა, იგებს თუ არა ამას, იგი დაუყოვნებლივ მიეშურება ნოინის სახლისაკენ, პირბადით და შავებში გახვეული წარსდგება მრისხანე და წარბშეკრული დესპოტის წინაშე, რომელიც ქალის წარმტაცი მშვენიერებით მოხიბლული, დატყვევებული, წინ წასდგამს ბიჯს ლამაზი არსებისათვის ხელის შესახებათ, მაგრამ ნათელას ხელში უცბად გაელვებული ხანჯალი მალე დაუცხრობს გულს უეცრივ გრძნობა-მორეულ ნოინს. ქალის სილამაზით ძლეული, მისი გრძნეული სიტურფე-სიმშვენიერით დამონებული ნოინი მზათ არის შეუსრულოს ნათელას ყოველი მისი წადილი, უკანასკნელი უხსნის მას თავის მოსვლის მიზეზს და სთხოვს ქმრის გათავისუფლებას. ნოინი სრულს თავისუფლებას ანიჭებს როგორც ცოტნეს, აგრეთვე დანარჩენ ტყვე ქართველებსაც.

ამნაირია დაწვრილებით ჩვენი მგოსნის ნაწარმოების შინაარსი: უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ „ნათელა“-ში მოთხრობილი ამ-

ბავი შესახებ ცოტნე დადიანის გამგზავრებისა შეთქმული ქართველების სანახავათ, ერთგულებისა და უდიდესი ამხანაგური გრძნობის დასამტკიცებლად არ არის პოეტის მიერ გამოგონილი ზღაპარი, არამედ დამყარებულია ნამდვილ ისტორიულ საფუძველზე [16]. მეცამეტე საუკუნეში აღმოსავლეთი საქართველო ქართლ-კახეთი, მართლაც მონგოლთა მონობის მძიმე უღელში იმყოფებოდა; მტრის ვერაგობით და თავგასულობით შეეიწროებული ერი ახდენს შეთქმულებას, რომლის სული და გული არის რევა გამოჩენილი მამულიშვილი და მათ შორის ცოტნე დადიანიც. შეთქმულები, ამ უკანასკნელის გარდა, რომელიც ამჟამათ თავისას იმყოფებოდა, მოულოდნელად შეიპყრეს მონგოლებმა და ა ნ ს [17] გაგზავნეს ნოინ ქარმაღანთან [18], რომელმაც გამოუთქმელი სიმკაცრე გამოიჩინა ტყვე ქართველი დიდებულების მიმართ: როდესაც ცოტნე ამ ამბავს ტყობილობს, მაშინვე მიემგზავრება ა ნ ს საკუთარი ნებით, ხდება თავის ამხანაგთათავის მიყენებულ სასტიკ სასჯელის თანამოზიარე: მთავრის ამგვარი გმირული საქციელით განცვიფრებული ნოინი ათავისუფლებს სამშობლო ქვეყნის ერთგულ ქართველებს. რაც შეეხება ხათელას, იგი ჩვენი აზრით ლეგენდარული პიროვნებაა, როგორც პოეტისგან გაგვიგონია, ცოტნე დადიანის საფლავის გვერდით მდებარე ქვას ზედ აწერია: „ნათელა“. ხალხის წარმოდგენით ეს ნათელა ოდიშის მთავრის ცოტნე დადიანის მეუღლეა, რომელმაც თავისი გაბედული მოქმედებით იხსნა ქმარი და ტყვე ქართველები ნოინის ბასრი კლანჭებისაგან; ხოლო ჩვენმა ზეგარდმო ნიჭით ცხებულმა მგოსანმა გადაანასკვა ზემომოყვანილი ისტორიული ამბავი ხალხის ფანტაზიის მიერ შექმნილ თქმულებას ნათელას თაობაზე და მოგვცა ერთი დასრულებული მთლიანი ნაწარმოები;

აკაკის სხვილ ნაწარმოებთა შორის ყველაზე უფრო სუსტათ, გარეგნული გამოსახულების თვალსაზრისით და ენის მხრით, „ნათელა“ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ ვერც კი დავიჯერებდით (რომ თავად პოეტს არ დაეწერწმუნებინეთ), რომ ეს ნაწარმოები მისი შედევრის „თორნიკე ერისთავის“ შემდეგ იყო დაწერილი. მართლაც, რომ მოსალოდნელია, რომ აკაკის უაღრესი მხატვრული ნიჭი „თორნიკე ერისთავში“ ცხადად და ყოველ მხრით მხილებული ამდენად ჩამოქვეითდებოდა „ნათელაში“. მდიდარი და მოქნილი ენა მწერლისა, მრავალფერადოვანი და წარმტაცი პოეტური სახეების წარმომშობი მისი შემოქმედებითი ნიჭი — ფანტაზია „ნათელაში“ ვერ სახიერდებოდა მართებულად.

` ცხადია, რომ იმგვარი ნაწარმოები (სულ ერთია დიდია იგი ნაწარმოები თუ პატარა), რომლის შინაარსიც ვერ არის ჩამოსხმულ-ჩამოყალიბებული შესაფერი მხატვრული ფორმებით ისე, რომ მათი (ფორმისა და შინაარსის) ერთმანეთისაგან დაშორება, განცალკევება ყოვლად შეუძლებელი იყოს, არ წარმოადგენს სრულსა და ზედმიწევნით შესრულებულს ლიტერატურულ ქმნილებას, ხოლო იმგვარი პიესა არის ღირსი მაღალხელოვნური ნაწარმოების სახელწოდების, რომლის შინაარსიც და გა-

რეგბული გამოხატულება, აზრი და ფორმა დიდის ოსტატობით არიან ერთი მეორესთან შედუღებულ-შესისხლხორცებულნი, რაც პოეტური შემოქმედების გამოუცნობელ საიდუმლოებას შეადგენს.

სწორედ ამ შეხედულების თვალსაზრისით „ნათელა“ მიგვაჩნია სუსტ პოეტურ ნაწარმოებათ, რომელიც საესებით ვერ აკმაყოფილებს ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილების ყველა მოთხოვნილებებს; ტკბილ-მოუბარი და მოქარგული ენა მგოსნისა, მისი მეტათ მსუბუქი, ყველასათვის ადვილ მისაწვდომი ლექსი ხსენებულ ნაწარმოებებში ხშირად ღალატობენ მას; აქ მისი ლექსი უმეტეს ნაწილად პროზაიკული ხასიათისაა, სიცხოველეს და მხატვრულ სურათიანობას მოკლებული; ამის დასამტკიცებლად, საკმარისია გადავფურცლოთ თუნდ პირველი თავი „ნათელასი“, სადაც წმინდა პროზაიკული სიმარტივე-უბრალოებით არის მოთხრობილი ამბავი იმერეთსა და ამერეთს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების შესახებ.

სწორედ ამ დროს, სიბნელის დროს
მოევლინა ქართველს ჭირი!...
აღარც ძმობა, აღარც ყმობა,
აღარც სიტყვა, აღარც პირი:
ერთი ძუძუთ გამოზრდილი
ერთი დედის ორი შვილი
ერთს ჭირსა და ერთსვე ლხინში
შეთანხმებულ-გამოცდილი.
ამერი და იმერეთი
აირია, აეშალა!...
და ორივეს ჩამოაკლდა
სიმტკიცე და ძველი ძალა.

. .

ამით ისარგებლეს მონგოლებმა და

ჩამოაგდეს ქვეყანაში
სიღარიბე, სიღატაკე
მთა და ბარი გაასწორეს
შეაერთეს ზღვა და ვაკე

სად ამგვარი სადა და უფერო ენა მგოსნისა „ნათელაში“ და სად მისთანა ნარნარი, გულის საძირკვლამდის ჩამწვდომათ მოქარგული, ზოგან მქუხარი და ზოგანაც წყნარ-მოუბარი ენა მისი „თორნიკე ერისთავში“, მართლაც აბა კარგად დაუკვირდით, როგორის შეუდარებელი ხელოვნებით ადენს პოეტი სიტყვის ნაკადულებს ხსენებულ ნაწარმოებში:

.ვითა ეთერი მზეთუნახავი,
საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს,
სახეს ვარდის ფრად იღებავს გრძნობით
და იელვარებს სურვილით თვალებს,
ისე განთიადს ცისკრის ვარსკვლავი
ლაჟვარდ ცაზედა კაშკაშით თრთოდა

და ფერ-მიხდილათ ნათელ-ძლიერი
მზისა ამოსვლას ეშხით შეტრფოდა.
მაღლიდ ბრძოლის ველს, როგორც ხელის გულს,
ისე დაჰყურებს მთავარ-სარდალი,
წაღმა, უკუღმა, მარჯვნივ თუ მარცხნივ
ყოველი მხრისკენ სჩრის მისი თვალი,
მოწინავეე ჯარს, ტურფად დარაზმულს,
ოთხი ათასსა დაჰყურებს ჰაბუკს,
მხოლოდ იმ წამის მოლოდინესა,
როდესაც დაჰკრენ ნაღარას და ბუკს.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ, თუ საზოგადოდ ამნაირია საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს მიუდგომელ მკითხველზე ჩვენი მგოსნის ნაწარმოები, სამაგიეროთ ალაგ-ალაგ ჩვენ ვხვდებით ამ ნაწარმოებში ხელისხელ საგოგმანებელ მარგალიტებს, რაც ყოველ ეჭვს გარეშე სტოვებს მგოსნის მხატვრული ნიჭის ძლევამოსილებას. ამ მხრით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პოეტის შეუდარებელი აღწერილობა ნათელას ციური სილამაზისა. აი ეს ადგილი:

ცაში ვარსკვლავი ვარსკვლავზე
ღვთისაგან დანათესია,
მაგრამ იმათში ყველაზე
შუქურა უკეთესია!...
ბევრია საქართველოში
პირთამზე, მზეთუნახავი,
მაგრამ „ნათელას" რომ სჯობდეს,
არავინ არის მნახავი.
ტანადობა აქვს ალვის ხის
და თვალადობა მთვარისა...
ღიმილი ცისკრის ვარსკვლავის,
სხივოსან მოელვარისა.
ვარდს მიუძღვნია ელფერი,
სინაზე — ტურფა იასა;
ზედ შუქი მოუფენია
სამოთხის კარსა ღიასა.
გიშერი შავი თვალები
სამოთხის ჩამსახველია!
კოპებამდის სცემს ხუჭუჭი,
შავი, უკუნი, ბნელია.
ქალია, ქველი წერეთლის
პატრონი „მოდი-ნახისა".
უნებლიეთად დამგები
სასიყვარულო მახისა.

ამ ლექსის განმარტება ყოვლად შეუძლებელია; ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გრძნობა მისი, რადგანაც ამგვარია თვისება ყოველი ნამდვილი ხელოვნურათ შესრულებული ქმნილებისა.

აღსანიშნავია აგრეთვე, როგორც შინაარსით, ისე თავისი ფორმის ორიგინალობითაც, ერთი ფრიად ლამაზი ღრმა შინაარსიანი ლექსი, რომელსაც ამღერებს, თავისი ქმრის სიტყვებით გამხიარულებული ნათელა; ეს მშვენიერი ლექსი, რომელიც ყოველ „მოგიტარე“ ქალს აკერია პირზე, მაგრამ ძლიერ ცოტა თუ დაკვირვებია და შეუგნია მასში გამოთქმული პოეტის ობლათ შთენილი გულის სიღრმიდან აღმოხეთქილი დიადი და უკეთილშობილესი გრძნობა (საქართველოს დარღვეულის ეროვნული სხეულის გაერთიანებისაკენ მიმართული) მის სწვადასწვა კუთხეში მცხოვრებ შვილთა დაახლოებისა და შეერთების საშუალებათა, ეს ლექსი, ვამბობთ ჩვენ, მეტად ღრმა და დამაფიქრებელია, ვიდრე პირველი შეხედვით ეჩვენება მკითხველს:

ჩონგურს სიმები გავუბი,
მოვმართე ნელა-ნელაო;
შევუხმატკბარე ერთმანეთს
ოდელა-დელა-დელაო!
თავის ჰანგებზე თავის ხმით
წკრიალობს ერთად ყველაო,
ერთი მეორის თანხმობით:
ოდელა-დელა-დელაო.
ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შეელაო,
რომ არ გაფუჭდეს ჩონგური!
ოდელა-დელა-დელაო!
ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი
ოდელა-დელა-დელაო!
მწერიც კი სცხოვრობს თანხმობით,
ფუტკარი... ჰიანჭველაო!
და ჩვენ რად ვმღერით ცალ-ცალკე?
ოდელა-დელა-დელაო!

აქ ნათელას სიტყვები ჩვენი მგოსნის სიტყვებია, მისი ნაღვლიანი სიმღერა ჩვენი მგოსნის გულის სიღრმიდან აღმოხდენილი სევდიანი ჰანგია, მისი ცხარე ცრემლები ჩვენი მგოსნის ცრემლებია.

დასასრულ, არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ „ნათელას“ უკანასკნელი თავი, სადაც განსაცვიფრებელი ხელოვნებით არის აღწერილი ნათელას, ცოტნესა და ნოინს შორის გამართული ბაასი; აქ შესანიშნავ მხატვრობასთან ერთად ნათლად ჩანს მგოსნის უეჭველი უნარი ადამიანის სულის მოძრაობის ცოდნა-შეგნებისა.

აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელი დაიბადა 9 ივნისს 1840 წ., სოფ. ჭიხერეში. მამა მისი როსტომი იყო შეძლებული თავადი, რომელსაც ოჯახი მოწყობილი ჰქონდა ძველებურს დიდკაცურს წესზე. დედა მისი ეკატერინე, ივანე აბაშიძის ასული, მეფე სოლომონ მეორის[1] შვილის შვილი, ნასწავლი იყო კათოლიკე პატრებთან[2]. ხუთს წლამდის კაკო, როგორც სიყმაწვილეში ეძახდნენ აკაკის, გაბარებული იყო, ძველის ჩვეულების მიხედვით, გლეხის ოჯახში. აქ ჩაებეჭდა მგრძნობიერს გულში სიყვარული დაბალის წოდებისადმი და შეითვისა ხალხური გარდმოცემანი. დედ-მამასთან დაბრუნებული კაკო, მოექცა ფუფუნებით ბატონყმურს ნიადაგზე აღმოცენებულს ცხოვრებაში: 30 მოსამსახურე ფეხზე იდგა, სუფრაზე მღვდლის უკურთხებლად ლუკმის გატეხა არავის შეეძლო, სტუმრიანი სადილ-ვახშამი შეზავებული იყო მოსწრებულის სიტყვა-პასუხით, საღვთო წერილის[3] დამოწმებით, შოთა რუსთაველის ლექსებით.

წერა-კითხვა აკაკიმ ისწავლა ბეჭზე დედის და უფროსის დის ხელმძღვანელობით. სწავლასთან აღზრდაც თავისებური მისცეს: მიაჩვიეს შიმშილს, ფეხშიშველა სირბილს, მარხვის შენახვას და ეკლესიაში ლოცვას. ქართულად უკვე საკმაოდ განსწავლული იყო აკაკი, როდესაც შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც მეფობდა სასტიკი სისტემა, შიშზე და ცემაზე დამყარებული. კურსის გათავებამდე თავი დაანება ქუთაისს და წავიდა პეტერბურგს სამხედრო სამსახურში შესასვლელად. მაგრამ ჩქარა შესცვალა თავისი განზრახვა და შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე.

ამ დროს აკაკის უკვე ნაცადი ჰქონდა თავის ნიჭი მწერლობაშიაც, ჯერ ბავშვობაშივე დასწერა ტრაგიკული კომედია, სადაც გ. ერისთავის ზედგავლენით გამოხატა თავის მამის მოურავის ეშმაკური ხრიკები. პეტერბურგიდან როცა დაბრუნდა, პოეტმა დასწვა ეს პირველი თავისი კალმის ნაყოფი. 1858 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“ მისი ლერმონტოვიდან ნათარგმნი „პალესტინის რტო“. აქედან იწყება ისტორია აკაკის სალიტერატურო მოღვაწეობისა.

/პირველი მისი ორიგინალური და თარიღიანი ლექსი არის „საიდუმლო ბარათი“ (1859 წ.), მაჩვენებელი პოეტის ჰმუნვისა და ნუგეშის ძიებისა შორიდან მოწერილს ბარათში. „საიდუმლო ბარათო! გითხრეს: ეჭმენ მარადო სიხარულის მიმნიჭედ და სევდისა ფარადო“. ასოების მოხაზულობით მას სურს გაიგოს სატრფოს ამბავი, მოწყენის ან სიყვარულის ნიშნები ამოიკითხოს, გაიგოს რა გრძნობას აქსოვდა ან ვისი ხმა გაისმოდა წერის დროს: „ანგელოზი სუფევდა მის გულში თუ სატანა?“ ეს პატარა სანტიმენტალური რომანსი, დაწერილი ტკბილის და მსუბუქის

ლექსთ-წყობით, საუცხოოდ ახასიათებს ახალგაზრდა მგოსნის ვითარებას სამშობლოს გარეშე. „საიდუმლო ბარათით“ შეარყია აკაკიმ მესამოცე წლებში გამეფებულის დაძველებულის ენით ლექსთ-წყობა.

„საიდუმლო ბარათი“ სალირიკო ლექსია. ეს ის დარგია, რომელიც ეთვისება სხვაზე მეტად პოეტის ნიჭს და მიმართულებას. აკაკი ცნობილია აგრეთვე როგორც დრამატურგი, რომანისტი და პუბლიცისტი, მაგრამ როგორც ლირიკოსი იგი შეუდარებელია. ლირიკაში მან აირჩია ელეგია და სატირა, ჰმუნვა და გაკიცხვა. მგოსნის დანიშნულება და თავისი რწმენა აკაკიმ გამოსთქვა ლექსში „პოეტი“.

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი, ხან არც ისა ვარ, არც ისა!
გარემოების საყვირი, არც მიწისა ვარ, არც ცისა.
ნუ მკიცხავ, მნახო უგნურად, ნურც გაიკვირებ ბრძნობასა;
სულ სხვა ჰყავს ხელის უფალი ამ ჩემს გონება-გრძნობასა.
ეს გული სარკედ ქცეული ბუნების ნათავხედია:
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ, რასაც შიგ ჩაუხედია.
ენა მას ამბობს, რაც სმენას სხვისაგან გაუგონია;
ან თვალს უნახავს და ჰკუას გაუზომ-აუწონია.
თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ, სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!
შუა კაცი ვარ, უბრალო, ხან მიწისა ვარ, ხან ცისა.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ. რომ პოეტი „გარემოების საყვირია“, ესე იგი ენა მისი იმეორებს გაგონილს, გული ბუნებაში აღძრულის გრძნობის სარკეა, თვით პოეტი შუა-კაცია ცისა და მიწის შორის. ასეთი შეგნება პოეტის დანიშნულებისა სახავს აკაკის რეალისტ-მწერლად იმავე პროგრამით, რომელიც განახორციელა ილია ჭავჭავაძემ.

მეორე ლექსში უფრო უახლოვდება აკაკი ილია ჭავჭავაძის „პოეტის“ დანიშნულებას. იგი ამბობს: „მისთვის შობცა ღმერთმა ენა, სიმართლისთვის გავიწირო, ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო თუნდა ქვითაც დავიკირო: მოძმის ვიყო შემწე ჭირში, ვიხარო და გავახარო; რაც კი ვნახო მასში ცუდი, გამოვთქვა და არ დავფარო“. ამ გვარად ესაა ბრძოლა ბოროტებასთან, როგორც მოქალაქე მგოსანმა, თავის დროშაზე აღნიშნა. იგივე აზრი გაატარა ლექსში „ჩონგური“, რომლის დანიშნულებად აღიარა წმინდა აზრის განმტკიცება და სიმართლისათვის სამსახური“. მუზა ჩასძახოდა მგოსანს განუწყვეტლივ ერთსა და იმავე სიტყვებს: „ხან სიტკბო აიაფე, ხან ნაღველი აქაფე, ჰეშმარიტება აქე და ბოროტი აკაფე“. სიტკბოება და ნაღველი — ორი შედუღებული თვისებაა აკაკის პოეზიისა, ცხოვრების მიმდინარეობით და სამშობლოს მდგომარეობით დასახელებულნი შტონი იცვლებოდნენ მის ნაწერებში. თუ „სიმართლეს“ ემსახურება მისი „ჩონგური“, საქართველოს დაჰკვნესის მისი „სალამური“. პოეტი მას მიჰმართავს ჩრდილოეთში გადახვეწილის გულის გასახურებლად: „ქართულად ჰკვნეს, ქართულად ჰსტვენ, ქართველის გულს ამით ულხენ, ხასიათს და ჩვეულებას წინაპართა გვაგონებ ჩვენ“. განყენებულის სი-

მართლისათვის სამსახურს გვერდით ამოუყენა მეორე დანიშნულებაც: კერძოდ გამოხატვა საქართველოს თავგანწირულის ბრძოლისა წარსულში და მოსეულის განსაცდელის აშორება, გათვალისწინება და გაძღოლა აწმყოში. ასეთია აკაკის პოეზიის ფილოსოფია.

აკაკი მხურვალე მოსიყვარულეა თავის „ცა-ფირუზ“ სამშობლოსი, — მთელი საქართველო დაიტივა თავის ნიჭიერს ბუნებაში. მისთვის „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველა, სხვა და სხვა კუთხის მცხოვრები“. მამულის სიყვარულმა აკაკის განუცხოველა სიყვარული კაცობრიობისადმი (ლექსი „მგოსანი“), მისი იდეალია საერთო ძმობა და მეგობრობა. იგი ოცნებობს ერთა დაკავშირებაზე და მათ შორის სათნოებაზე. მის ქრისტეს [4] სარწმუნოებით განსპეტაკებულს ფანტაზიას წარმოუდგენია „უცხო მხარე“, სადაც გამეფებულია სიმართლე და თანასწორობა. „წავალ, — ამბობს აღტაცებული პოეტი, — სადაც სიღარიბეს ბოროტებად არა სთვლიან, სადაც პირად ღირსებებს ნაბოძვარში არ სცვლიან! სადაც ყველა თანასწორია, ერთს მეორის არ აქვს შიში, სადაც მოსპო ქრისტეს მცნებამ ფარისევლის ანგარიში“! პოეტისათვის ლოცვა და ლექსი ერთი და იგივე სულის მოძრაობის ნაყოფია, მისი ხვედრიც ქვეყნიურს ჯილდოს არ წააგავს: „ცოცხალს ტაში, მკვდარს გვირგვინი, აი მათი საჩუქარი“ („სცენიდან ნათქვამი“). „პოეტის პროგრამა“ ფართო და შეუზღუდავია, მას შეუძლიან ბულბულის სტვენაც და ყორნის ჩხავილიც. „ჰირში ზარს ვეტყვი საცრემლოს და ლხინში მრავალჟამიერს..., მაქებარი ვარ ერთგულის და მგმობი ქვეყნის მტერისა“, ამბობს პირუთვნელი მგოსანი, მოქალაქეობრივს გრძნობაში გაწვრთნილი და შეუპოვარი. იგი ლოცულობს სამშობლოს „ხატის წინ“, მაგრამ „სახატე“ მისი მთელი ქვეყანაა“. ფუტკარსავით იგი უვლის გარემოს, სადაც კი ეგულება „სათაფლ-სანთლო მასალა“. პოეტიც ფუტკარია კაცთა შორის: იგი აძლევს თაფლს და სანთელს სუყველა მსურველს და მაძიებელს.

მამულის და კაცობრიობისადმი სიყვარულის გარდა პოეტს სიმართლისთვის საბრძოლველად ამხნევებს თანაგრძნობა ახალგაზრდობისა, საზოგადოების მგრძნობიერის ნაწილისა. როცა შური, მტრობა, ბოროტება სულ ერთად გულგატეხილს პოეტს მოაწვება, ახალგაზრდის ერთი ღიმილი სამსონის [5] ღონეს აძლევს:

> ის ღიმილი ნიშანია ახალგაზრდა თანაგრძნობის
> და მიზეზი საორკეცო ჩემის მღერის, ჩემის გზნობის.

სიმართლის და სიყვარულის მოძულეთა წინააღმდეგ გასამკლავებლად პოეტს სჭირდება ამირანის [6] სიმტკიცე და შეუდრეკელობა. ბატონყმობის გადავარდნამდე იგი თამამად ეკვეთება მემამულეთა თვითნებობას. ბატონი გლეხს კისერზე აზის და სჩაგრავს. მის ჯაფით მოყვანილი პური სხვას მიაქვს და ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცება. გლეხის უნუგეშო მდგომარეობას ჩამოანათა თავისუფლების შუქმა და აკაკიმაც სიხა-

რულით აღნიშნა „ცისკრის ვარსკვლავი“ ცაზედა. შეიცვალა დრო და დედაც შვილს აკვანში ახალს ჰანგს დაღიღინებს: „მამი-შენის ბედის არ ხარ, ბატონი არ გყავსო“. გლეხის საზრდოს ველარავინ წაიღებს, იგი ახლა უფრო გულმოდგინედ იმუშაებს და მეტის სიყვარულით ნამგალს ყანაში დაატრიალებს. ზომიერი ცხოვრება აკაკის იდეალია:

> ყველასათვის კარგი მსურს, ბოროტების მტერი ვარ.
> გულში არ შევუშვებ შურს და მით ბედნიერი ვარ:
> მე ბევრს არას დავეძებ, რაც მაქვს, ცოტას ვჯერივარ,
> ქვრივ-ობერს არას ვტაცებ, ისევ ბედნიერი ვარ.

ლირიკოსის ნიჭი აკაკიმ აღბეჭდა თავის პატარა ლექსებში, რომელნიც შეიცავენ დიდმნიშვნელოვანის გრძნობის ანალიზს. ეს გრძნობაა სიყვარული, რომელსაც არა ერთხელ უბრუნდება პოეტი და კაცის გულის ღრმა ცოდნით გაარკვევს და გაშლის. ახალგაზრდობით განიცადა მგოსანმა წარმავალი აღტაცება, შემდეგ დამსხვრეულის იმედის სიმწარე იგემა, სიბერეში სატრფოს საფლავის ძებნას შეუდგა და გულმოსულმა სიტკბოების და სიმწარის შეგნებით ჩამოასხა საუცხოო ლექსი „სიყვარული“.

> სიყვარულო, ნიჭო სრულო, წამ ტკბილო, და ხანგრძლივ მწარეე.
> ჯერ აკვანი ნეტარების, შერევ კუბოვ და სამარეე.
> დღეს ჩემი ხარ, ხვალ სხვისი ხარ, უგზო-უკვლოდ მოარული!
> სად არს შენი დასაბამი? ან სადა გაქვს დასასრული:

ზოგი ჰყვირის, ზოგი ეედრის სიყვარულს, რომელიც დიდის ხნით არავის ახარებს და თვით წამიერს სიტკბოებას საუკუნოდ წაამწარებს, მაინც ყველა ეძებს მას და მზად არის ერთს წამში საუკუნო გასწიროს. პოეტს საკვეხურად მიაჩნდა, რომ „კლდე იყო მაგარ გულითა“, მაგრამ მოხვდა მასაც ბასრი სიყვარულისა და დაარბილა სანთელივით დასაგრეხადა. ის კი ვინც ცეცხლი გულში აუნთო, შორით ეჩვენება, „ვით ეშმაკში წამწყმედელი“. ეს ორი შედარება სიყვარულისა წამწყმედელის ეშმაკთან და ეულს დედოფალთან, რომელიც უგზო-უკვლოდ ტრიალებს ნეტარების და სიმწარის დასათესად, საუცხოო პოეტური სურათია. ლექსში „გამოთხოვება“ აღგზნებულის ცეცხლით დამწვარი, იგი მოსთხოვს თავის შრისხანე მფლობს და ღვთაებას მცირე ღიმილს, თუმცა იგიც მის გრძნობას ვერ ამშვიდებს და მწარედ ათქმევინებს: „მე ბედგამწყრალი უნუგეშოდ რად დავიბადე?“ კაცის გულის მცოდნე მგოსანი სამართლიანად აღიარებს ლექსში „გაუბედავი სიყვარული“, რომ მდუმარება ნამდვილი გრძნობის ნიშანია, ცხადად ტკბილი ღიმილი და ჩუმად ცრემლი მდუღარება. ამიტომაც დაასკვნის იგი:

> ათი წელი
> მეტად მწველი
> გულში გვაქვს ეს ნეტარება,

ვუგდებთ რა ყურს,
ორივეს გვსურს
და ვერ გვითქვამს აღსარება.

აკაკიმ შენიშნა ქართველ ტომში გან.სხვავება სიყვარულის გამოთქმაში და ეს აღნიშნა ლექსში „სხვა და სხვა გვარი სიყვარული". ქართლელის ქალისათვის სიყვარული ტრფიალებაა, „კაცის გული რკინად სა ხა, თვისი მასზედ ანდამატა". იმერელმა ამას ანგარიშიც დაუმატა; მისთვის ქალი კატაა და კაცი თაგვი. მეგრელმა სთქვა: „სიყვარული უნდა იყოს დაფარული", გურულმა კი იცის მხოლოდ გაბედული, „პირდაპირი, ვით შურდული". მისთვის კაცი ლომია და ქალი დედალი ვეფხვი. ორიგინალური, თავისებური შეგნება სიყვარულისა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თვალსაჩინო ჰყო ფსიხოლოგიურის ჭეშმარიტებით მხოლოდ აკაკის განსაკუთრებითმა ნიჭმა და დაკვირვებამ. რომანტიულის ელფერით შეამკო სიყვარულის გრძნობა ტკბილს და ნაზს ლექსში „სულიკო", სასიმღეროდ გადაქცეულს რომანსში. პოეტი ეძებს საყვარლის საფლავს და გულამოსკვნილი ეკითხება ვარდს, ბულბულს და ვარსკვლავს; „შენ ხომ არა ხარ სულიკო!" ამათ დასტური მისცეს ცრემლების დაყრით, ჭიკჭიკით და ციმციმით. პოეტი მიხვდა მაშინ, რომ „სამად დაშლილა ეს ერთი: ვარსკვლავათ, ბულბულ, ვარდათო, თქვენ ერთმანეთი რადგანაც ამ ქვეყნად შეგიყვარდათო". რომანტიულის პოეზიის თვისებანი უფრო მკაფიოდ ჩააქსოვა პოეტმა ლეგენდაში „გოგია მეჩონგურე". გოგია მიდის ომში სამშობლოს დასაცველად. დედა, და და ცოლი სათითაოდ აიღებენ ჩონგურს და დამღერიან მოშორებულის გოგიას მოსაგონებლად. დედა, რომელსაც შვილი ცხრა თვე მუცლით უტარებია, უცვლელად მისი მოსიყვარულეა, ოცნებით წარმოიდგენს დაჭრილს შვილს და ცხარე ცრემლებს ღვრის. დას გოგია იმიტომ უყვარს, რომ იგი ძმაც არი და მეგობარიც. ცოლისათვის ქმარი ადვილად გამოსაცვლელი ქამარია, ადვილად აიტანს ქვრივობას, რადგან გულში ტკბილი იმედი უღვივის. დედა, და და ცოლი სიმღერას ათავებენ გამოთქმულის სურვილით, რომ გოგიას თუ სიკვდილი არ ასცდეს, პირველი აქციოს ჩიტად და მეორე ბულბულად. გოგიას სახლში დაბრუნება აღარ ეღირსა. მისი სიკვდილის ამბავი მოუტანა მთხრობელმა. აუსრულდათ თხოვნა დედას და დას,—იქცნენ იგინი ჩიტად და ბულბულად. ვერ მოასწრო უდარდელმა ცოლმა თმის დავარცხნა და მოსდენილის კაბის ჩაცმა, რომ გაისმა წყეველის ხმა და ქვრივი აფრინდა ოფოფად; სავარცხელი დარჩა თმაში. ამ ლეგენდის შინაარსი აგებულია იმ იდეაზე, რომ ცოცხალთა და მიცვალებულთა შორის განუწყვეტელი კავშირი არსებობს. თვით ადამიანის გარდაქმნა ჩიტად (მოლაღურად), ბულბულად და ოფოფად ეკუთვნის მეტამორფოზას, რომელიც შეთვისებული ჰქონდათ რომანტიკოსებს.

ერთს სატრფოს, ერთს იდეას და მისწრაფებას მტკიცედ და უცვლელად ემსახურება აკაკის პოეზია: იგია სამშობლო, მამული, საქართვე-

ლო. პატრიოტულს ლირიკაში აკაკიმ, მსგავსად მესამოცე წლების მწერლებისა, აღტაცებით შეაქო ქართველთა წარსული ქველობა, თავისუფლებისადმი მიდრეკილება, ერთსულოვნება ჰირში და ლხინში. თავდაპირველად ქართველი ქალი იყო მიზეზი პატრიოტულის გრძნობის გაცხოველებისა და აღზრდისა. იგინი უმზადებდნენ ვაჟკაცებს მამულის და რჯულის დასაცველად. ლექსი „ქართველი ქალი“ შეიცავს იმავე იდეას, რომელიც გაატარა ილ. ჭავჭავაძემ დრამატიულს ეტიუდში „დედა და შვილი“. სევდით სავსე ქალი დაინახავს შორიდან შიკრიკს და მას გამოჰკითხავს „ქვეყნის ბედის წერას“. საბრალო დედა შეიტყობს, რომ ბრძოლის ველზედ მას შვილები დაჰკარგვია. მაგრამ იგი ამ ამბით არ არის შეწუხებული, მას უნდა შეიტყოს მხოლოდ: „თათრებს დარჩა გამარჯვება, თუ ჩვენს ძლიერ მეფესაო“. გაიგებს რა მტრის დამარცხებას, დამშვიდებით მოისმენს უფროსის და უმცროსის შვილის გმირულად სიკვდილის ამბავს. თვალზე მომდგარი ცრემლი შეიშრო და ნაცრის ფრად სახე მოკიდებულმა ეს სთქვა: „გამიზრდია ქართველს ქალსა ქართვლის შვილი! ეს ნაღველი დედისათვის მწარე არის და თან ტკბილი“. იგი გლოვობს მხოლოდ „საშუალს“ ვაჟს, ომის დროს ტყეში შეფარებულს და „ცოცხლად დარჩენილს უსახელოდ... ვირულადო“. ასეთები იყვნენ წინად ქართველი ქალები. ახლა კი, პოეტის აზრით („სამგვარი სიყვარული“, „ტარიელი“), ისინი გადაიქცნენ ქარაფშუტა არსებებად, როგორც ფატმანი [7] „ვეფხისტყაოსანში“ და მხოლოდ მომავალი აღზრდის მტკიცე ნესტან-დარეჯანებს: მათში შეერთდება თამარის[8] და ნინოს[9] ღირსება და ჩაირიცხებიან წმინდანთა წიაღში (ლექსი „მომავალს ქართველს ქალს“). სამშობლო წარმოდგენილი აქვს სატრფოდ, რომელიც ახლა „ცხრაკლიტულშია მჯდომარე“ და მას ცბიერებით შეთვისებას უპირებს „გაიძვერა მოყვარე“.

ტკბილს გაჰმევს და ტკბილს გასმევს, შეზავებულს ბანგითა;
დედის ხმაზე გიმღერის დედინაცვლის ჩანგითა,
გაუფრთხილდი, ნუ გჯერა მაგის ტკბილი ნანინა,
შენზე წინათ სხვაც ბევრი მოხიბლა, შეაცდინა.

განსაცდელი დიდია, მაგრამ სატრფო უნდა გაუმაგრდეს ნესტან-დარეჯანივით [10].

ქალის გმირული ხასიათი დასურათხატებული აქვს პოემაში „ნათელა“, რომლის შინაარსი აგებულია სახალხო ლეგენდაზე. მონგოლების ბატონობის დროა [11]. ამერი და იმერი გადაჰკიდეს მათ ერთმანეთს „სიცრუითა და ორპირობით“. საქართველო განიცდიდა მატერიალურს სიღარიბეს და ზნეობითს სიღატაკეს. ამ დროს ვარსკვლავივით ბრწყინავს ნათელა [12] ქალი ქველი წერეთლისა [13], მოდინახის [14] პატრონისა. ობლობაში გაიზარდა. ბევრს განთქმულს მეომარს უპირავს მასზედ თვალი, მაგრამ ნათელას გული ყველასათვის გრილია. საცოლოდ ვისაც ეგულე-

ბა იგი, მისი პირობა უნდა შეასრულოს: „მე ერთი ჩოხა შევკერე, თეთრი რამ.. .მშვენიერია! ვისაც ის ტანზე მოუვა, იმან ჩაიცვას, სხვამ არა! წავიდეს მტერში იომოს, გვიჩვენოს ძალა მკლავისა, წითლად შეჰღებოს საპირე ამ ჩემი ნახელავისა, ასოცი თავი მომართვას ჩემი სარების სარქველად"... გამოჩნდა ასეთი გმირიც, ადიდებულს ყვირილას ცხენით გამოვიდა, მოადგა მოდინახეს და მოართვა 120 თავი. იგი იყო ცოტნე დადიანი [15]. ქორწილი გაჩაღდა, მაგრამ ახალგაზრდა დედოფალი ნათელა გულგრილად ისმენს მრავალჟამიერს, რადგან საქართველოში მტერი ბატონობს. იმის სიტყვით აღფრთოვანებულნი იმერნი გაეშურნენ ამერთა მისაშველებლად ცოტნეს მეთაურობით. მონგოლებმა ამერთა შეთქმულება შეიტყვეს და მოთავენი შეიპყრეს. მოედანზედ ხელ-ფეხ-შეკრული ქართველები ჰყრიან. ცოტნე დადიანი გაჩნდა ამ მოედანზედ და ტყვეებთან დაჯდა ტიტველა. თავი გასწირა ნებითა და გააკვირვა სუყველა. მშვენიერი ნათელაც გაჩნდება ნოინთან და სილამაზით და გამბედაობით ჰხიბლავს მას. ნოინი მამაშვილურად ეპყრობა ნათელას და ათავისუფლებს ცოტნეს [16].

აკაკიმ წარსულის გასაბრწყინებლად ბევრჯელ ისარგებლა ისტორიულის სიუჟეტით თავის ნაწერებში. ამგვარია მისი დრამები „პატარა კახი", „კუდურხანუმ" და „თამარ ცბიერი". პირველში გმირად გამოყვანილია 17 წლის ბატონიშვილი ირაკლი [17], რომელმაც გაიმარჯვა თათრებზე, მეორე დრამის მოქმედება სწარმოებს XVI საუკ. ოსმალეთის საქართველოში. შინაგანს ბრძოლას განიცდის ელენე [18], კუდურ-ხანუმის [19] დისწული. თავის ინტერესების გულისათვის იგი ჩააგონებს ელენეს მაჰმუდ-ფაშას [20] ალერსი არ უარჰყოს და ახალგაზრდა მეგობარს არჩილს [21] უმტყუნოს. სამშობლოსადმი მოვალეობა და არჩილისადმი სიყვარული შეეჯიდებიან ელენეს მგრძნობიარე გულში. ელენე დრამატულს კონფლიქტს გამოხატავს შემდეგის სურვილით სატრფოს შესახებ. ხოლო ეს სატრფო საქართველოა.

მინდა რომ ჩემსა სატრფოსა ვხედავდე თავისუფალსა,
რომ ძალით ვერ აშინებდენ, ვერც ნებით უხვევდენ თვალსა,
მინდა, რომ მისი სახელი გაითქვას ძველებურადა
და მისიანი ყველანი ერთად სცხოვრებდნენ ძმურადა.
მინდა რომ... მაგრამ, ეჰ კმარა! ფრთა შეეკვეცოთ სურვილსა,
თორემ რა მოჰკლავს უფსკრულსა. მამულის-შვილის წყურვილსა.

მესამე დრამა „თამარ ცბიერი" შეეხება იმერეთის ცხოვრებას მე-XVII საუკ. ტახტზე ზის მეფე გიორგი, გურიის მთავარი [22]; მან წაიპილწა თავი უკანონო ქორწინებით: ცოლად შეირთო თავისი სიდედრი. ამის ცოლს ცბიერს თამარს [23] უყვარს მგოსანი გოჩა [24]. ეს კი მისი მტერია: ამის ჩაგონებით მოახლე ცირა [25] ნიკოს [26] დახმარებით განიზრახავს დედოფლის მოკვლას, როგორც ქვეყნის მაცნი პირისას. შეთქმულება გამომჟ-

ღავნდება; შგოსანს და ცირას სიკვდილით დასჯა მოელით. ქუთათელი[27] გოჩას გამოუჩნდება მფარველად. მგოსანი თამამად აღიარებს, რომ იგი იყო შეთქმულთა მოთავე და მოურიდებლად გაჰკიცხავს მეფეს, რომ მან ვერ გაამართლა იმედი მტერთა მოგერიების საქმეში და შეიქმნა მონად სამეფო ტახტზედ. თამარმაც გული მოიბრუნა გოჩასკენ და აღიარა, რომ ცილისწამებით გაუტეხა მას სახელი, დედოფლის პატივის შელახვა მოახვია მას კისერზედ. იგი გრძნობს ქვეყნის წინაშე დანაშაულს და თავს იწამლავს, გოჩა ახლა კი ხედავს მასში „სათაყვანო მშვენიერებას". მომაკვდავი დედოფალი ინანიებს და მეუღლეს ორს სურვილს გამოუცხადებს: იხსნას ქვეყანა მტარვალთაგან და გოჩას ნუ მოიშორებს. გოჩა, მგალობელი დიდის თამარისა[28], სამშობლოს ერთობის და ბედნიერების იდეის მატარებელია. ამის პირით ღაღადებს აღფრთოვანებული პატრიოტი, რომელსაც სიცოცხლეც კი განწირული აქვს „საამქვეყნო ძღვნად".

აკაკიმ გამოიყენა უძველესი თქმულება, ცნობილი საბერძნეთის ისტორიაში, ხუთ-მოქმედებიანს დრამაში „მედეა". კოლხიდის მამასახლისის ასული[29], დახმარებას გაუწევს იაზონს[30] ოქროს მატყლოსანის ვერძის შეპყრობაში და გაჰყვება მას საბერძნეთში. პოეტმა ისარგებლა ამირანის შესახებ დარჩენილის ლეგენდებით და მედეას განახლებული სურათი დაგვიხატა და ხელოვნურად დააფერადა მოქმედება ძველებურ ჩვეულებათა დახმარებით.

ისტორიულის დრამების გარდა აკაკიმ დასწერა რამდენიმე პიესაც თანამედროვე ცხოვრებიდან, გადმოაკეთა მირზა-ფატალ-ახუნდოვის[31] სამ მოქმედებიანი კომედია „ხანის ვეზირი" და მოლიერის[32] „სკაპენის ცუღლუტობა"; დასწერა ვოდევილი „ბუტიაობა", ოთხ-მოქმედებიანი დრამა „ახალი გმირი", რომელშიაც გამომძიებელი ხოსრო გირკანელი[33] მოატყუებს ღარიბს ქალს ქეთო ჩიტაძეს[34] და შემდეგ შეირთავს მდიდარს მარო რაზმაძეს[35]; ხუთ-მოქმედებიანი კომედია „გაიძვერები", სადაც გაკიცხულნი არიან გაზეთის რედაქტორი, გამომძიებელი და ბოქაული. „სცენები სპატიმროში" ახასიათებენ ციხეში შეპყრობილის ქართველის, ოსის, მეგრელის, რაჭველის, გურულის და სომხის თვისებებს და წარმოადგენენ მდიდარს ეთნოგრაფიულს მასალას ეროვნულის ფსიხოლოგიის შესასწავლად. „ადვოკატის დილა" შეეხება კანონის და ხალხის შეხედულების მოურიგებლობას, რა არის სამართლიანი და რა უსამართლო*.

ისტორიულის სიუჟეტით აკაკიმ ბევრჯელ ისარგებლა აგრეთვე პოემების, მოთხრობების და ლეგენდების შექმნაშიაც. ამ ნიადაგზე წარმოიშობნენ პოემა „ბაგრატ დიდი", „სოლომონ მეფე", „თორნიკე ერისთავი".

---

* ახალი დროის მიმდინარეობა დაასურათა ოთხ-მოქმედებიანს დრამაში „რეაქცია", რომელიც დაიბეჭდა 1910 წელს.

მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ და ლექსი „ვახტანგ გორგასლანი“. ეს უკანასკნელი გვამცნევს საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებას ბერძენთა დამოკიდებულებისაგან. „ბაგრატ დიდი“ შეეხება თემურლენგთან [36] ქართველთა მამაცურს გამკლავებას. „ბაში-აჩუკი“ ისტორიული მოთხრობაა მეჩვიდმეტე საუკუნისა. ქართლ-კახეთი განიცდის დიდს უბედურებას. ქრისტიანობა დაეცა, ქართულს ენაზედ ლაპარაკი სამარცხვინოდ მიაჩნდათ, მეფენი მაჰმადის რჯულს მისდევდნენ და შეიქმნენ სპარსეთის ქვეშევრდომნი. ამ დროს ახმეტის ბატონი ბიძინა ჩოლოყაშვილი [37], რომელმაც მტკიცედ დაიცვა მამა-პაპური სარწმუნოება და ჩვეულება, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავების დახმარებით მოლაპარაკებას გამართავს არაგვის ერისთავ ზაალთან სპარსელების საქართველოდან გასადევნელად. მასთან შიკრიკად გზავნიან ბაქრაძეს [39], საწერეთლოდან გადმოსულს, რომლის მეტი სახელია ბაში-აჩუკ, რადგან ქუდის მაგივრად ატარებდა ფაფანაკს*. ზაალ ერისთავს, სიძეს ბიძინა ჩოლოყაშვილისას, გარდა ამ მოწვევისა ქვეყნის ამაოხრებლების წინააღმდეგ, მღვდელმა კირილემაც [41] უამბო საკვირველი სიზმარი, როგორ გაათავისუფლა სამმა მხედარმა ალავერდის ტაძარი [42] გველეშაპისაგან. შეერთდნენ მართლაც დიდებულნი თავადნი ჩოლოყაშვილი, ქსნის და არაგვის ერისთავები და იხსნეს კახეთი მაჰმადიანებისაგან, მაგრამ თვით ამ გამარჯვების მოთავენი და გმირები დაიღუპნენ სპარსეთში. ბაში-აჩუკი [43], გამოჩენილი ცხენოსანი და მობურთავე, გადასახლდება იმერეთში თავის დით პირიმზისით [44], რომელიც იპოვა შუამთის მონასტერში [45]. პირიმზისას მიათხოვებს აბდუშაჰილს [46], გამაჰმადიანებულს ქართველს, რომელიც კვლავ დაუბრუნდა საქართველოს ეკლესიას და შეიქმნა აბდუშელიშვილების წინაპარი. მოთხრობაში ჩართულია ეპიზოდური სცენები. აი ერთი მათგანი. ერთხელ აბდუშაჰილი შეხვდება ტყეში ერთს თვალწარმტაც ლამაზს ქალს, რომელიც შეუყვარდება. შემდეგში ის ნახავს ამ ქალს მოკლულს და დამარხავს. ბევრჯელ უტირნია აბდულშაჰილს მის საფლავზე და ოცნებას გაუტაცნია შორეულს მოგონების სამეფოში. ერთხელ, როცა ამ გრძნობით იყო მოცული, მას თვალწინ წარმოუდგება სატრფო: იგი არ იყო აჩრდილი, იმ სოფლით გამოცხადებული. აღმოჩნდა, რომ მოკლული ყოფილა არა მისი სატრფო პირიმზისა, არამედ მისი და პირიმთვარისა [47], ყველაფრით მისი მსგავსი. მოთხრობა ასურათებს საქართველოს გაჭირვებულს მდგომარეობას მე-XVII საუკუნეში და ისტორიული ქარგა უნაკლოდ დაცულია. მოთხრობაში ორი თვისება იქცევს მკითხველის ყურადღებას: იდეალიზაცია ქართველის გმირებისა და დიდაქტიკური მიზანი, რომელიც სამხატვრო ღირსებას არაფრით ავნებს.

დამრიგებელი და მოძღვრებითი ხასიათი აქვს აგრეთვე პოემებს

---

* ბაში-აჩუკ ოსმალურად ნიშნავს თავ-შიშველს და აგრეთვე იმერელს.

„თორნიკე ერისთავს“, „აღმზრდელს“, „კიკოლას ნაამბობს“, — არაკებს „ალექსის“ და „კუდაბზიკეთს“.

პოემა „თორნიკე ერისთავი“ ოთხს კარად არის დაწერილი და ასურათებს მრავალ-მნიშვნელოვანს ხანას საქართველოს ისტორიაში. იგი შეეხება ათონზე [48] ქართველთა სავანის დაარსებას დავით კურაპალატის [49] დროს. თორნიკე ერისთავი [50], მეფის სპასალარი, გადასცემს თავის ხმალს ორბელიძეს [51] და თვით ბერად წავა მთაწმინდაზედ (ათონზედ), სადაც წმ. ათანასეს მონასტერში [53] უკვე მოღვაწეობდა მისი ნათესავი იოანე ვარაზვაჩე [54]. ამ დროს სკლიაროსი [55], „მთავარი ბარდაველი“, აუჯანყდა ბიზანტიის იმპერატორს ბასილს [56] და იძულებულ ჰყო უკანასკნელი მიემართნა დავით კურაპალატისთვის დახმარების სათხოვნელად. ათონის მამების ამორჩევით იმპერატორის წერილი საქართველოს მეფესთან წამოიღო თორნიკე ერისთავმა. აქ იგი აკურთხა კათალიკოსმა არსენმა [57] და მეფემ 12000 ქართველის მეომრით გამოისტუმრა აჯანყებულთა წინააღმდეგ. სკლიაროსთან ომში დაიღუპა ორბელიძე, მაგრამ გაჭირვების წამს გაჩნდა თორნიკე და გამარჯვება ქართველებს დარჩათ. მთავარ-სარდალი თორნიკე ერისთავი უხვად დაჯილდოებული იქნა იმპერატორისაგან. ბოძებული განძი მან მოახმარა ათონზე ივერიის მონასტრის აშენებას, თანახმად რჩევისა ბერის გაბრიელისა, რომელიც ღირს იქმნა მიეღო სასწაულთ-მოქმედი ღვთის მშობლის ხატი „კარისა“ [58]. ამ სიუჟეტით ისარგებლა აკაკიმ პოემის შესაქმნელად. ბრძოლის ველი, ბუნების სურათები, სულის მოძრაობის ანალიზი შეერთდნენ ამ ნაწარმოებში შთაბეჭდილების გასაძლიერებლად. აი ერთი სამაგალითო ნაწყვეტი:

ვითა ეთერი, მზეთუნახავი,
საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს,
სახეს ვარდის ფრად იღებავს გრძნობით
და იელვარებს სურვილით თვალებს,
ისე განთიადს ცისკრის ვარსკვლავი
ლაჟვარდ ცაზედა კაშკაშით თრთოდა
და ფერ-მიხდილად ნათელ-ძლიერი
მზისა ამოსვლას ეშხით შეტრფოდა.

მეორე სურათი, მსგავსათ ილ. ჭავჭავაძის „განდეგილისა“, მიძღვნილია ათონის მონასტრის აგებულებისადმი.

ღრუბელზე მაღლა, ორბის საბუდარს,
არჩევ-ჯიხვების მაღალ სამთავროს,
წმინდა მამებსა გამოუქვაბავსთ
კლდეში სახლები, ოდესმე, ერთ დროს.
აღარა სჩანან დღეს ის მამები,
აწ აიაზმას ვერ გვასხურებენ,
და მაღლობიდან ის საღგურებიც
ჩვენს შავ-ბედს შავათ გადმოჰყურებენ.

„კიკოლას ნაამბობი“ შეეხება აღა-მაჰმად-ხანის[59] დროს, იმგვარსავე მწარე დროს, როგორიც იყო ხანა, აღწერილი მოთხრობაში „ბაშიაჩუკი“. ირაკლი მეფეს[60], ზურაბ წერეთლის[61] წინამძღოლობით იმერეთის მეფე სოლომონ II[62] უგზავნის 1200 კაცს სპარსელების წინააღმდეგ. ჯარი უკან დაბრუნდა გაჭირვების წამს და მხოლოდ 200 კაცმა და მათ რიცხვში კიკოლამ[63] მისცა მხარი ქართველებს. კიკოლა ომში დაიჭრა და მხოლოდ თურმანიძის[64] განთქმულმა ექიმობამ ფეხზე დააყენა. თურმანიძე სამშობლოდან გამოექცა ზურაბ წერეთლის რისხვას, რადგან მათ გვარში დარჩენილი საექიმო ცოდნა არ გასცა. მორჩენილი კიკოლა დაბრუნდა იმერეთს, მაგრამ წერეთლის შიშით გაიქცა ახალციხეს. ეს რომ გაიგო ზურაბ წერეთელმა, სიკვდილით დასაჯა მისი მამა. ამიტომ კიკოლამ განიზრახა წერეთლის მოკვლა, მიეპარა მის სახლს ნადიმობის დროს, ესროლა თოფი, მაგრამ მტერს ააცდინა და მერიქიფეს მოახვედრა. კიკოლა გათოკეს და აწამეს, მაგრამ მაინც მოახერხა გაქცევა და უსახლკაროდ დარჩენილი დაძრწის აქა-იქა. თვით სოლომონ მეფესაც ეწვია შავი ბედი: იგი გაიქცა ოსმალებში და მხოლოდ ზურაბ წერეთელი გაბედნიერდა რუსის გენერლის ღირსებით.

„ალექსი“ არის ყმაწვილებისთვის დაწერილი ზღაპარი. „ცხრა მთას გადაღმა იდგა პატარა, ლამაზი გორა, რომელიც მუდამ თვის სიმაღლიდან რაღაც მოლხენით დამზერდა ჭალას“. აქ გაჩნდნენ ჩიტები, რომელთაც სამკვიდროდ აირჩიეს თითო ხე და მორთეს სტვენა „მარად და მარად“ ეს ტურფა მხარე ეკუთვნოდა ერთს მშვიდობიანს ცხვარს. უზრუნველად დანავარდობდა მთა და ბარად კმაყოფილი ცხვარი, ვიდრე გაიგებდა, რომ სხვა მხეცები უპირობენ დამონებას. მაშინ ცხვარმა სამფლობელო გალავნით შეჰკრა და მტერი კუდ-ამოძუებული დაბრუნდა უკან. ცხვარს ეყოლა ამ დროს კრავები, რომლებიც „სილამაზითა და სინაზითა ერთმანეთს სჯობდნენ“. ცხვარს მოსწყინდა თავის არემარეზე და საძოერად გავიდა გალავნის გარედ. კრავებს დაუბარა კარი დაეკეტათ და მხოლოდ მის სამჯერ „ბეს“ და „ბეკეკას“ თქმაზე გაეღოთ. მოტყუებით მგელმა მოინდომა შესვლა, მაგრამ კრავებმა გაუგეს ტყუილი და გადევნეს. მხოლოდ გამოუცდელობით გააგებინეს, რა ნიშნით უღებდნენ დედას კარს. მგელმაც ისარგებლა ამით და მეორედ „ბე-ბეკეკე“ სამჯერ შესძახა. კარი გააღეს და მშიერმა მხეცმა გადაყლაპა „ნიკორაები“. დაბრუნებულმა სახლში ცხვარმა დაიწყო ბღავილი და დაედევნა მტერს. დროზე მოასწრო გამაძღარს მგელს. ამოჰკრა ფაშვში რქები და გადმოაყრევინა ჯერ ისევ ცოცხალი შვილები. მგელი მოიგერია, მაგრამ მელამ კი დაღუპა. ამან შეაპარა ცხვრის სამფლობელოში მურა, ჯერ სტუმრად მოიკატუნა თავი და შემდეგ კი მურას დახმარებით გაბატონდა და ცხვარი ყმად გაიხადა.

თანამედროვე ცხოვრების ბეჭედი აზის დიდაქტიურს პოემას „გამზრდელს“ (ნამდვილს ამბავს). აბხაზს[65] ცოლად ჰყავს მშვენიერი მეგრელის ქალი ნაზიბროლა[66]. ყაბარდოელი საფარ[67] ეწევა თავის ძმო-

ბილს ძიძის შვილს აბხაზს და სთხოვს დახმარება გაუწიოს ლამაზის ზიახანუმის [68] შერთვაში, რისთვისაც საჭიროა ინალიფას [69] ცხენის მოპარვა. აფხაზი თითონ წავა ცხენის მოსაპარავად და სტუმარს სახლში დასტოვებს. მასპინძლის დაბრუნებამდე სტუმარი მასპინძლის ცოლის პატივს შელახავს. დაბრუნებულმა აფხაზმა შეიტყო ძმობილის სამარცხვინო საქციელი, მაგრამ ხელი არ ახლო, დაავალა მხოლოდ ეამბნა ყოველივე თავის აღმზრდელის ჰაჯი უსუბისათვის [70]. საფარმა აასრულა ეს დავალება და უამბო ყველაფერი თავის აღმზრდელს. ამან შეაყენა ფეხზე დამბაჩა. საფარს ეგონა აღმზრდელს იმისთვის უნდოდა ესროლნა და მკერდი მორჩილებით მიუშვირა. მაგრამ ჰაჯი უსუბ ეუბნება: „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?! სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცათ ვერ გამიზრდიხარ“! წარმოსთქვა ეს აღმზრდელმა და დაიცა ტყვია საფეთქელში.

მოთხრობა „პატარა ტარიელი“ ეკუთვნის აგრეთვე დიდაქტიკურ ნაწარმოებთა რიცხვს. გმირი მოთხრობისა დიტო ცალქალამანიძე [71], „ვეფხის ტყაოსნით“ გატაცებული ეტრფის ერისთავის ქალს. ამათმა დაახლოებამ ჩქარა გამოიღო თავის ნაყოფი. „ორივე დაქვეითდნენ სწავლაში. კნიაჟნას აუკრძალეს დიტოსთან მეგობრობა, ხოლო თვით გულდამწვარი გმირი ნუგეშს ჰპოებს მასწავლებლის იმ დარიგებაში, რომ ტარიელს ადამიანი ახლა უნდა ემსგავსოს არა ფიზიკურის ღონით, არამედ ფართო განათლებით. დიტო ბეჯითად შეუდგა მეცადინეობას, ოქროს მედლით გაათავა გიმნაზია, შემდეგ უნივერსიტეტი და დაუბრუნდა თავის სიყმაწვილის დროს არჩეულს სატრფოს, რომელმაც აგრეთვე გამოჩინებით დაამთავრა სწავლა და შეიგნო ისტორიის შესწავლით მოვალეობა ქართველის ქალისა.“

ქალის იდეალად პოეტმა დასახა გარდა რუსთაველის ნესტან-დარეჯანისა [72] სამი ისტორიული პირი: ნინო, ქეთევან და თამარი [73], რომელთაც უძღვნა ლექსი პოემაში „თორნიკე ერისთავი“. იქ, სხვათაშორის, ამბობს: „ენახა: ქვეყნად ჩამოსულიყო ნინო, ქეთევან და თვით თამარი. თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი და ქეთევანსა — წმინდა მოწამობის. ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა — ნიშანი დიდი ქრისტიანობის“. შეერთებით, შეწყობით იგინი გალობდნენ:

მიეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გადმოსახე ძლიერათ ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველი ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!..
და შენ საქებრად, სადიდებელათ
ნუ დაავიწყებ იმ ტკბილ ენასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!

აკაკი საქართველოს არა ერთხელ წარმოგვიდგენს ქალის ხატებით და გვიმტკიცებს რწმენას, რომ სამშობლოს და დედის აწინდელი მდგომარეობა გარდამავალია. იგი „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“. დედათა კითხვას უძღვნა მოთხრობა „სამგვარი სიყვარული“ და მრავალი სალირიკო ლექსი. ჭეშმარიტი სიყვარული სწამს მგოსანს მხოლოდ დავაჟკაცებულს ასაკში, რაც შეეხება ამ გრძნობას ორს მოწინავე ხანაში, იგი სიმტკიცეს მოკლებულია და მხოლოდ ვნებათა ღელვას აქმაყოფილებს.

აკაკიმ სალირიკო პოეზიას უფრო თვალსაჩინო კვალი დააჩნია. მის ელეგიებში და სატირებში გამოთქმული გრძნობა იმდენად ძლიერი და ბუნებრივია, რომ აკაკი ეროვნულს ფარგალში ვეღარ ეტევა და თამამად შეუძლიან გვერდით ამოუდგეს მსოფლიო მწერლებს. მისი სატირა ქართველის ერის გულის ნადები და სულის კვეთებაა, მისი ელეგია არკევს ფსიხოლოგიურის დაკვირვებით საკაცობრიო საკითხს და მსოფლიო სავანს. ღრმა თვალსაზრისი და ნაზი გრძნობიერობა სწორუპოვრობით გამოითქვა ლექსებში: „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“, „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“, „აღმართ-აღმართ მიედიოდი მე ნელა“, „ახ, მეზურნევ, დაჰკა, დაჰკა“, „რომ იცოდე ჩემი გულის დარდები“. ქართველმა მწერალმა მიაღწია ამ პატარა სალირიკო პიესებში პოეზიის მწვერვალამდე. ჰეინეს[74] ლექსებს იგი გვაგონებს როგორც გარეგანის მუსიკალურის ჰარმონიით, აგრეთვე შინაარსით და ფსიხოლოგიურის ანალიზით. მახვილმა ენამ და ნაღვლიანმა გულმა მეორე ფორმაც შეითვისეს ფიქრის, გრძნობის და მისწრაფების გამოსახატავად. ეს ფორმაა—სატირა. რომელიც იმგვარადვე განავითარა გულის ნადების გამოსათქმელად, როგორც ელეგია. „ფარისეველი“, „არაბი ფაშა“, „ახალი სამართალი“, „პატრიოტი“, „იუდა“, „ვაჭარს“, „ბოდვა“, „ხარაბუზა და ფუტკარი“, „გამდიდრებულხარ, ბატონო“, და სხვა. აი, მაგალითად როგორ არის გაკიცხული „პარტიობა“ თავად-აზნაურობაში: „დამდეგ მაისს დაიწყება შინაური ომი: დასდასებად გამოდიან მარშლობის მდომი, ზოგს შაშხები აიმედებს, ზოგს ზუთხი და ომი“. ცრუ პატრიოტს ახადა პირბადე და სამარცხვინო ბოლზე მიაკრა ის, ვისაც პატრიოტობა ესმის მრავალუამიერის სიმღერად. პოეტმა დაჰგმო დედა-ენის დავიწყება, გადაგვარება. ფუქსავატი სიამაყე, ორპირობა და გაუტანლობა. სატირულის შინაარსისაა აგრეთვე მისი „სიცოცხლე და სიკვდილი“, „მოგზაურობა კახეთში“, ორიგინალური და ნათარგმნი იგავ-არაკნი: „მამალი და ძაღლი“, „ვირი და მგელი“, „მთიული“, „კატა“, „დათვი და მელა“, „კაცი და დათვი“, საყმაწვილო არაკი „დედოფალას ღამის თევა“ და სხვ. საყმაწვილო წიგნში „გადია“ მოაქცია რამდენიმე არაკი და ამბავი: „კურდღელი“, „ნაცარქექია“, „ბრიყვი და ჭკვიანი“, „მოსწავლე და მასწავლებელი“. აკაკიმ სახალხო პოეზიას და თქმულებასაც მიაქცია ყურადღება და მხატვრულს ლექსებად გადააკეთა: „წმ. გიორგი და წმ. ილია“, „ვარდი და ეკალი“. აკაკის ეკუთვნის აგრეთვე მრავალი საპუბლიცისტო წერილი, სადაც უფრო ხშირად

ჰკიცხავს ბანკების წყალობით წარმოშობილს განხეთქილებას. თუ ახლა გავითვალისწინებთ მის მრავალ მნიშვნელოვანს მოღვაწეობას, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მის ნაწერებში პესიმისტური ელფერი სჭარბობს. „ცრემლში ნალესი ნაღველი და ნაღვლიანი მწუხარება“ უფრო ხშირად გაისმის მის პოეზიაში. იგი ხშირად ემდურის თავის ხვედრს, უბედო თავს, მოსთქვამს მწარედ გულის მოდუნებას და ოცნების გაჭარწყულებას. გაუქრება რა ნაზმანები, „საამური ჩვენება“, თვალწინ გადეშლება „პირშავი“ სამშობლოს სურათი. აქ, ამ სოფლად იგი შეუწყნარებელი და შეურიგებელია: დაიარება მარტოკა, „ობლად“, „დევნილი“ ყველასაგან „საქმით და სიტყვით“. პოეტის გულში ჩასახული „იდეალი ვერსად მოინახა“. წინააღმდეგ, მისმა „ეკლით ნაჩხვლეტმა არსებამ“ განიცადა ბევრი ტანჯვა, ვაება: მეგობარმა უღალატა, სატრფომ სხვაზე გასცვალა, გიჟი ოცნება გაუქრა, ცხოვრებამ ტკბილის წყაროს მაგივრად მწარე სამსალა შეასვა და სარბიელი ია-ვარდის ნაცვლად ჭინჭრით მოუფინა. მოწამებრივმა სევმ და იმედის გაქარვებამ პოეტი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა და გულამოსკვნილს ათქმევინა, წარსული აღარ მარგებს, მომავალი მენანებაო. ქვეყნიურის ამაოების შეგნებამ გაუღვიძა სიკვდილისადმი მისწრაფება:

და ღმერთს ვეედრებ: ღმერთო, მომეცი ნება,
რომ მეღირსოს საფლავში დაძინება!
სჯობს, სულ განკრეს კაცი, რადგან მტვერია.

„ამაოებათა ამაოება“ [75], ამბობს ებრაელთა მეფე-მწერალი ბრძენი სოლომონი[76]; იტალიელი პესიმისტი ლეოპარდი[77] ამასვე განიმეორებს და იტყვის: „მე შევნატრი მიცვალებულთ და მხოლოდ მათთან მსურს ხვედრის გაცვლაო“. ამათ ბანს აძლევს ჩვენი ღირსეული მგოსანი, რომელიც ამბობს: „სიცოცხლე არის მონება და სიკვდილი განსვენებაო“. ამგვარად, დიდებული ქართველთა პოეტი წარმომადგენელია იმ სალიტერატურო მიმართულებისა, რომელსაც ეწოდება „მსოფლიო მწუხარების პოეზია“. აკაკი მგოსანია საქართველოსი, მაგრამ ამასთანავე საკაცობრიო და მსოფლიო მწერლობაშიაც დაიჭირა საპატიო ადგილი თავის გრძნობიერის სალირიკო ნაწარმოებით.

აკაკიმ შექმნა მთელი სკოლა ახალგაზრდა პოეტთა, რომელნიც ჰბაძავენ თავის მასწავლებელს. გარეგანი ენისა და ლექსის სიმშვენიერე და ნათელი, სრული სურათი გახდა მათთვის მიუღწეველს მაგალითად.

საზოგადოებრივი აზრები მე-19 საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში

მე-60 წლების მწერლობაში გადაჭრით იყო აღძრული საკითხი საზოგადოებრიობისა და ინდივიდუალიზმის ურთიერთობის შესახებ. ამ პრობლემის გადაწყვეტის დროს მწერლობაში უმთავრესი ყურადღება მიაქციეს საზოგადოებრივ იდეალებს. ყოველივე ღირებულება უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივი, უკეთ რომ ვთქვათ, მოქალაქეობრივი თვალსაზრისით იზომებოდა. საერთო „სარგებლობა“, საზოგადო სარგებლობა, საერო სარგებლობა იყო ის საზომი, რომლითაც მესამოცე წლების მოღვაწე ყოველს ღირებულებას აფასებდა. აქედან წარმოდგინდება მე-60 წლების სიტყვა-კაზმული მწერლობის პუბლიცისტური ხასიათი. ამ ტენდენციამ ბევრი რამ დააკლო ილიასა და აკაკის პოეტურ შემოქმედებას, და უმეტესად ილიას. ილია უფრო გაეტაცნა პუბლიცისტიკას პოეზიაში და თუ ილია პოეზიაშიც პუბლიცისტობდა, აკაკი პუბლიცისტიკაშიც პოეტობდა, ამიტომაა აკაკის პოეზია უფრო ფაქიზი, უფრო ჰაეროვანი, თუ ავრე ითქმის. ამიტომაც ილია დაუშრეტელი წყაროა საპუბლიცისტიკო თემისათვის და აკაკი საესთეტო კრიტიკისათვის. ეს პოეზიაში პუბლიცისტობა შემდეგ პოეტებსაც სჭირთ, თვით ჩვენ დრომდე, რაც ჩვენი აზრით, იქიდან წარმოსდგება, რომ ისინი თავისებურ ბედში მყოფ ერის შვილნი არიან. ძლიერი სახელმწიფოს, მრავალრიცხოვან და ძლევამოსილი ერის შვილს შეეძლო „დღისა სიცხადისათვის“ ზიზღით თვალი მოერიდებინა, ჰაეროვან პოეზიის ღმერთის ფრთათა ქვეშ მიბნედილიყო და განეცხადებინა:

> **Мы рождены для вдохновенья**
> **для звуков сладких и молитв** [1].

მაგრამ საქართველოს შვილს არ შეეძლო არ ეთქვა სრულიად წინააღმდეგი მგოსნის დანიშნულების შესახებ:

> მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
> ვით ფრინველმა გარეგანმა,
> არა მარტო ტკბილ ხმათათვის
> გამომგზავნა ქვეყნად ცამა [2].

პოეტს რეალისტს არ შეეძლო ეღიარებინა სიმღერა — სიმღერისათვის, პოეზია—პოეზიისათვის, ხელოვნება-ხელოვნებისათვის, ყოველივე ეგ საშუალებაა ერთ დიდ მიზნისათვის და ეგ მიზანია „ქვეყნის სამსახური“, ქვეყნის სარგებლობა.

> მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
> მიწიერი ზეციერსა,
> ღმერთთან მისთვის ელაპარაკობ
> რომ წარუძღვე წინა ერსა -ო [3].

და აი დასაბამი და გასაღები იმისა, თუ რა უნდოდა ეთქვა ილიას თავის „განდეგილში“. ჩვენის აზრით, „განდეგილი“ მოქალაქეობრივი თვალსაზრისით განხილული საკითხია უმთავრესად. თუმცა, რა თქმა უნდა, განდეგილობის ფსიხოლოგიური და ფილოსოფიური მხარეც არ არის უყურადღებოდ დაგდებული. ილიას მარტოოდენ სიტყვის მასალად კი არ უთქვამს: „რად მიყვარს მყინვარი, თავის განდეგილობისათვის, რომელსაც ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავკარგი მაღალ შუბლზედ ერთს ძარღვსაც არ აუტოკებს“-ო, ან და კიდევ: „წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავისი ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახით“-ო [4]. აი, სწორედ აქ არის დასაბამი იმ დედა-აზრისა, რომელიც განაგებდა მე-60 წლების მოღვაწეთა რწმენას და, რომელიც საფუძვლად უდევს აკაკის „თორნიკე ერისთავს“, ილიას „განდეგილს“ და ა. ყაზბეგის [5] „მოძღვარს“. როგორც ხელოვანი კომპოზიტორი ავითარებს და ართულებს ხოლმე ერთ მოკლე მუსიკალურ წინადადებას, ერთს მარტივს თემას, აგრეთვე, „საზოგადოების სამსახური“ იყო ის მთავარი მოტივი, რომელიც საფუძვლად დაედო დასახელებულ ნაწარმოებთ. მე-60 წლების მოღვაწეთ განდეგილობა აინტერესებდათ არა როგორც მეტაფიზიკური პრობლემა, არამედ როგორც საზოგადოებრივი საჭირბოროტო საკითხი. პუბლიცისტიკაში რომ გადავიხედოთ, იქ აკაკი დაგვხვდება და გვებაასება იმის შესახებ, რომ პოეზია საუკეთესო იარაღია საზოგადოებრივ აზრთა გასავრცელებლად და გასამტკიცებლადო, და თუ ამ აზრისა იყო უაღრესად პოეტი აკაკი, სხვისი რა სათქმელია... მაგრამ ნუ გადავსცდებით აღნიშნულ ფარგალს და საბუთები ისევ სიტყვა-კაზმული მწერლობიდან ავიღოთ.

უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ „გლახის ნაამბობში“ დახატული მოძღვარი [6] ანტიპოდია „განდეგილისა“. თუ ილიამ ამ უკანასკნელის მაგალითით უარჰყო განდეგილობა, მოძღვარის პიროვნება მისაბაძ მაგალითად დაგვისახა. თუ განდეგილი [7] განდგომია ცხოვრებას და „სულისათვის ხორცი“ უწამებია, თუ მას დაუვიწყნია ტოლ-მეგობრები და მთელი კაცობრიობა და „თავისთვის“ სასარგებლო, სამარადისო საქმეს შესდგომია, თუ მას უკუ უგდია ხანმოკლე წუთი სოფელი, რომ ამით დაუსრულებელი ნეტარება მოეხვეჭა თავისი „უკვდავი“ სულისათვის, მოძღვარი (გლახის ნაამბობი) თვით ხალხში ცხოვრობს და მიზნად დაუსახავს ქვეყნის სამსახური: „ჩვენი თავი, ჩემო ძმაო, არც დედისა და არც მამისია, იგი ქვეყნისა არის: ჯერ ქვეყანა და მერე დედა და მამა“ [8]. ყაზბეგის ონოფრე?! [9] ერთი მხრით, კიდეც ამართლებს თითქოს განდეგილობას. მართლაცდა, თუ სადღაც მთაში, უდაბურს ადგილას განმარტოებით მცხოვრებ ადამიანს ამდენი სიკეთის დათესვა შეუძლია, ესოდენ მადლით შეიმოსება და მოყვასისადმი სიყვარულს და მისთვის თავის დადებას ცხოვრების მიზნად დაისახავს, თუ ამ ქვეყნად იმისათვის ცხოვ-

რობს, რომ ღვთის სახელით და მის სადიდებლად კეთილ საქმეზე იყოს გადადებული, მაშინ ჩვენ რაღა გვეთქმის ქება დიდების მეტი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ონოფრე სრულიადაც არ არის ტიპი განდეგილისა, რომელსაც ყოველივე ამქვეყნიური უკუ უგდია და ლოცვითა და ღაღადისით მისტიურად უერთდება უზენაესს. ონოფრე უფრო საიდეალო საზოგადო მოღვაწეა, ვიდრე სარწმუნოებრივ ნიადაგზე გაფანატიკოსებული დაყუდებული. მისი სიცოცხლის „სიყვარულია“ და კეთილი საქმე, და ამას შედეგად იმ სოფლად საუკუნო ნეტარება მოჰყვება, დეე, იყოს ნება უფლისა.

სარწმუნოებრივი შეხედულებით საიდეალო განდეგილობა ის არის, როგორც იყო სვიმონ მესვეტე [10]. ონოფრე კი თუმცა განშორებია სოფელს და სადღაც გამოქვაბულში განდეგილად სცხოვრობს, მაგრამ „ონოფრე ემსახურებოდა ხალხსა, სცხოვრობდა მისთვის, და მაშინაც კი როდესაც ყველასაგან განმარტოებული უზენაესს სულით უერთდებოდა, არ ივიწყებდა მოძმეთ. გულმხურვალე მოციქულად შექმნილი, სცდილობდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის... „არაოდეს მამა ონოფრეს არ ენახა განსაცდელში მყოფი კაცი ისე, რომ თავის თავზე ზრუნვა არ გადავიწყებოდა. პირველადვე სხვის ‘შვილის გულის თქმა არ გაჰღვიძებოდა“ [11]. თუ ილიას განდეგილი სრული ანტიპოდია „გლახის ნაამბობში“ დასურათებული „მოძღვარისა“, ეს უკანასკნელი სულიერი ძმაა ონოფრესი. იგივე აზრები, იგივე სიტყვა, იგივე საქმე.

აკაკიმაც აღძრა საკითხი პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობისა „თორნიკე ერისთავში“, და ისიც, რასაკვირველია, განდეგილობის, და ფუჭ სიტყვიერების წინააღმდეგია. „თვინიერ საქმის ლიტონი სიტყვა უწყი მკვდარ არსო“. იმეორებს მგოსანი საღვთო-წერილის სიტყვებს თვით განდეგილობის წინააღმდეგ, თუმცა ამაზე საღვთო წერილის სიტყვებით ამართლებენ ხოლმე განდეგილობას.

აკაკიმ თავისი მოქალაქეობრივი მრწამსი კათალიკოზს [12] ათქმევინა: „ნუთუ შენ მართლა რამე გგონია ცარიელ სიტყვით ღვთისა დიდება? განა ღვაწლია ხორციელისგან

ამა სოფლისა კრძალვა-რიდება?
და ეს ქვეყანა შენებით სავსე,
შემოქმედების გამომსახველი,
ნუ თუ ბიტომ გვაქვს მონიჭებული,
რომ ჩვენის ნებით ავიღოთ ხელი?
ეიხცა იწუნებს თავმოყვარეობით
ამ მიუწედომელ დიდსა ქმნილებას
და უარსა ჰყოფს კანონიერსა
ბუნებ‹ს ყოვლგვარ მოთხოვნილებას,
ის უარსა ჰყოფს თვით შემოქმედსა.

ჩვენ აქ არ შევალთ იმის განხილვაში, რამდენად სწორი ტიპია კათალიკოზი, ან იმისა, შეეძლო თუ არა თვითონ ბერს, ასეთი არგუმენტებით

ესარგებლა რელიგიური კამათის დროს. ვიტყვით მხოლოდ, რომ თორნიკეს [13] შეეძლო ეს არგუმენტები მიებრუნებინა და კათალიკოზის სიტყვასა და საქმეს შორის წინააღმდეგობა აღენიშნა, რადგანაც კათალიკოზიც ხომ უარყოფდა, როგორც ბევრი, ბუნების ბევრგვარ მოთხოვნილებას. აქ ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერესებს დავამტკიცოთ, რომ ჩვენს მწერლობაში მთელი მოდგმა იყო ერთგვარი შეხედულებისა განდეგილობაზე. ილია, აკაკი და ყაზბეგი უარყოფენ განდეგილობას ყოველ ნიადაგზე. იმათ ნაწარმოებებში ვხედავთ, რომ თვით შემოქმედის სიყვარულიდან გამომდინარეობს მისი სახელით წუთისოფლის უარყოფისა და განდეგილობის გაკიცხვა მაშინ, როდესაც მეორე მხრით, უზენაესთან შეერთებისათვის ამართლებენ განდეგილობას.

წმინდა ავგუსტინი [14] თავისებურად იმეორებდა დიდებული იდეალისტის პლატონის [15] აზრს, რომ ადამიანის ღვთაებრივი სული მხოლოდ ტყვე არის ყოველივე მატერიალურისა, ხორციელისაო. საუკუნით საუკუნემდე ერთი და იგივე დებულება სხვა და სხვა გენიალურ პიროვნებათა შემეცნებაში სხვა და სხვა, სრულიად საწინააღმდეგო დასკვნას იძლეოდა. მაშინ, როდესაც ერთნი მთელის სამყაროს უკუგდებით ლამობდნენ უზენაესის შეგნებას, მეორენი სწორედ ამ ხილული ქვეყნის მიღებით ჰფიქრობდნენ უხილავის განჭვრეტას. საშუალო საუკუნეებში მრავალ ასტრონომიულ საიდუმლოების გამორკვევამ თითქმის რელიგიურ ექსტაზამდე მიიყვანა არა ერთი და ორი მოაზროვნე: ჰხედავდნენ რა მსოფლიოს ჰარმონიას და თითქოს მტკიცე მიზანშეწყობილებას, აქედან ისინი უზენაესის, გამგე ძალის, არსებობას ასკვნიდნენ. აკი ჩვენი მგოსანი, გრ. ორბელიანიც [16] განცვიფრებულია:

ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს,
მის ფერ-უთვალავს შვენებას,
სიბნელეს აჭრობ ნათელით,
სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას-ო [17].

ჩვენი მგოსნები მოწადინებულნი იყვნენ საზოგადოებისათვის ეჩვენებინათ ერთი მხრით მისაბაძი მაგალითი მოღვაწისა და მეორე მხრით განდეგილობას (ყოველგვარს) აცლიდნენ იმ შარავანდედს, რომლითაც იგი იყო შემკული.

ვიცით რომ ქრისტემ უდაბნოთ დაჰყო
ის ორმოცი დღე ლოცვა-მარხვითა
მაგრამ ის, იმ დროს, იმა ლოცვითა
ქვეყნად საერთო საქმეს ძრახვიდა.
და როდის დარჩა მეუდაბნოედ,
განა ამ სოფელს ის უარყოფდა?
თუ დადიოდა დაბად და სოფლად?
(„თორნიკე ერისთავი“)

აქ კათალიკოზის მსჯელობა მთავრდება, რომლის წინააღმდეგ თორნიკეს სათქმელი ვერაფერი უპოვია. ვერც განდეგილის მსჯელობამ და თავის მართლებამ გაუძლო მწყემსი ქალის [18] მარტივ ფილოსოფიას: „გამკვირვებია მე ეს ამბავი“, ამბობს იგი, რომ ამ მიუვალ კლდეში ადამიანი სცხოვრობსო... „მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?... განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის ქვეყანას ღვთითვე დაბადებულსა? ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო ასე ლამაზად წუთისოფელი? განა მისთვის, რომ ადამიანმა შეაჩვენოს და აიღოს ხელი?“..[19].

აქაც განდეგილი ვერ პოულობს პასუხს, თუმცა ერთი არსებითი შესწორება აქაც შეიძლებოდა მოპირდაპირეს შეეტანა.

საქმე ის არის, რომ განდეგილს და თორნიკეს უსაყვედურებენ „ქვეყნის“ უარყოფას, მაშინ როდესაც მათ ამისი ბრალი არ მიუძღვით. მათ „ეს ქვეყანა შვენებით სავსე“, „ასე ლამაზად მორთული წუთისოფელი“ კი არ დაუტევებიათ, მათ უარჰყვეს მხოლოდ საზოგადოება, მისი სამსახური, ხელი აიღეს საამქვეყნიო ხორციელ მოსახვეჭელზე და საიმქვეყნიოსათვის დაიწყეს ოცნება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ უკიდურესობათ, როგორც ცოცხლივ გახრწნილება, ორმოში ჩაჯდომა, ე. ი. უკიდურეს ასკეტიზმს, მაშინ დავინახავთ, რომ განდეგილობა სრულიადაც არ არის „ლამაზად მოკაზმულ სოფლის“ უარყოფა. ვინც თავის სამუდამო სამყოფელად ისეთ გასაოცარ შვენების ადგილებს ირჩევს, საიდანაც თვალწარმტაცი ბუნება, ვით ხელის გულზედ, გადაშლილია; ვინც მაღალი მთის მწვერვალიდან ღრუბელთ გროვას ზევიდან დასცქერის; ბუნების ყოველს დიადს მოვლენას თვით იმის სამფლობელოში შესცქერის და ჰექა და ელვა გრგვინვას თითქოს ხელით იჭერს, იგი ცხადია, კი არ განშორებია ბუნების სიმშვენიერეს, პირიქით, როგორც ესეთი, თვით მის სამფლობელოში შეჰრილა, რათა მისი ბუმბერაზობა უმწვერვალესობამდე განიცადოს. რა საჭირო იყო უარყოფა ამ „შემოქმედების გამომხატველ, შვენებით სავსე ქვეყნისა“, როდესაც სწორედ მისი განცდა აახლოებდა ადამიანს შემოქმედთან! აბა, გადაჰხედეთ ჩვენი ძველი მონასტრებიდან მის გარშემო გადაშლილს ბუნებას, განიცადეთ ყოველი კუთხის თავისებური მშვენიერება, უსმინეთ ბუნების ჰანგთა იდუმალს ჰიმნს და მაშინ ადვილი ასახსნელი იქნება, რად მიიღტვოდნენ მაინცა და მაინც ტყეებში და კლდე-ღრეებში. ვისაც ბუნების სიმშვენიერის განცდა ხორციელ სიამოვნებას ავიწყებდა და ვინც მისი ხილვით უმწვერვალეს ექსტაზამდე აღწევდა, სჩანს, მზგავს ბუნებოვანი ყოფილა იმ მგოსნებისა, რომელნიც ერთი მხრით მის სიმტკიცესა და უდრეკ ენერგიას. ხან საღამო ჟამზე მთაწმინდის მაღლობზე იძენდნენ (ნ. ბარათაშვილი[20] „შემოღამება მთაწმინდაზე“), ხან კიდევ იმ ადგილების ხილვით, სადაც: „ბუმბერაზ მთანი მდუმარედ, ცათამდე აყუდებულნი, სხედან ვით მდევნი, სპეტაკნი, ყინულ-გვირგვინით შემკულნი“[21]... (გ. ორბელიანი, სადაც მყინვარი აქვს აღწერილი). განსხვავებას მხოლოდ იმაში და-

ვინახავთ, რომ განდეგილი უმწვერვალესი ეგოისტია! მას ადამიანი ყურადღების ღირსადაც არ მიაჩნია, იმისი ჭირი და ლხინი მისთვის უცხოა. იგი განშორებია ცხოვრებას, წუთი-სოფელს, ყველა მის წვრილმან პრობაულ მოთხოვნილებას, ინტერესს, და მარტოდ-მარტო სტკბება ბუნების მშვენიერებითა. მგოსანი კი სანთელივით იწვის და ჩვენ გვინათებს; მას არ ძალუძს ნაგრძნობ-ნაფიქრი ჩვენც არ გაგვიზიაროს, არ განგვაცდევინოს ის სიტკბოება, რასაც თვითონ განიცდის; იგი თითქოს გადამცემი პუნქტია ჩვენსა და ბუნებას შორის. და შემდეგ მოჰყავს მაგალითი იმისა, თუ როგორ უყვარს ყაზბეგის ონოფრეს ბუნება... ესთეტიურ-ფილოსოფიურ მხარეს რომ თავი დავანებოთ და ამ ბაასის უტილიტარული მხარე გავითვალისწინოთ, საგულისხმოა ეგ გონიერი ეკონომია ბუნების ენერგიისა და სიმდიდრის ექსპლოატაციისა. ბუნების სიმშვენიერეს და ტრფიალს ისე გაეტაცინებოდნენ ხოლმე ხშირად ისინი, რომელთაც სწამდათ „ერთი ღმერთი“, რომ მათი მოძღვრება პანტეისტურ მსოფლმხედველობაში გადადიოდა. „ურწმუნონო, გადაჰხედეთ მთელ სამყაროს, მთელ ამ ბუნებას; ნუ თუ ყოველივე მოციმციმე ვარსკვლავი, ყოველივე უბრალო მღილიც კი, თითოეული ფოთოლი ან მასზე მთრთოლვარე ნამი არ გიმტკიცებთ, რომ ქვეყანა მიზან-შეწონილად გაჩენილა და ყოვლად „ბრძენ“ და „შემძლე“ „სულისაგანაო“, ჰღაღადებდნენ ისინი, ვისაც სურდათ, თუ ვერ დაგვიმტკიცებდნენ, დავერწმუნებინეთ მაინც უზენაესის არსებობაში: ამიტომაც მუდამ ღმერთთან მუსაიფობდნენ ბუნების სიმშვენიერის ეს საუკეთესო დამფასებლები და ყოველივე არსში ღვთის სახეს ხედავდნენ. რა თქმა უნდა, ილიამ „განდეგილში“ საერთოდ ეს გვითხრა: ადამიანი რამდენიც უნდა ეპოტინოს მაღლა ცას, იგი ამ ცოდვილი ქვეყნის შვილია და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულიო, მაგრამ მთელი მე-60 წლების დამახასიათებელი ტენდენციაც თვალსაჩინოა: „განდეგილობა“, „მიუკარებლობა“ რელიგიურ ნიადაგზედაც შეუწყნარებელია და მით უმეტეს საზოგადოებაში, საზოგადოებრივ. ურთიერთობაში. უფრო ცხადად ეგ „თორნიკეში“ და „მაყვალაში“ სჩანს, რადგანაც აქ საკითხი პირდაპირ არის დასმული (კათალიკოზისა და თორნიკეს ბაასი: ონოფრეს მოღვაწეობა, „გლახის ნაამბობის“ გმირის მოძღვარი), განდეგილში კი საკითხი უფრო საზოგადოდ არის აღებული.

და თუ განდეგილსა და თორნიკეს უმტკიცებენ... „ეს ქვეყანა შვენებით სავსე, შემოქმედების გამომხატველი“ არ უნდა დაგეტოვებინაო, აქ მსჯელობაში ლოღიკური შეცდომაა შეტანილი: საკამათო საგანს შეუმჩნევლად სცვლიან. საქმე ის არის, რომ ჩვენს მწერლებს სწორედ საზოგადოებისაგან განდგომა, ხალხის სამსახური და სხვა საზოგადოებრივი ინტერესები ჰქონდათ მხედველობაში, თორემ განდეგილობის იდეა, თავის ვიწრო მნიშვნელობით, ერთი თავისი მხრით ისეთ სფეროში იმყოფება, რომელსაც კრიტიკა არ უდგება და სრულიად ბუნებრივია ბუნების სიმშვენიერით ტკბობა, მისი სიყვარულით აღტაცება, ეგ ხომ სული-

ერი განწყობილებაა, რომელიც იდეალისაკენ მისწრაფებაში გამოიხატება და მეორე მხრით კიდევ განცდა ბუნების მშვენიერებისა. მიზანი განდეგილობისა არის: ვითარცა მამა ზეციერი, ვიყოთ სრული; და ამ იდეალისაკენ მისწრაფება ხომ დაუსრულებელია. ამიტომაც არის იგი იდეალი, მიუღწეველი; იდეალი, რაწამს იგი მიღწეულია უკვე აღარ არის იდეალი. მაშასადამე, ჩვენი მწერლები თვით განდეგილობის იდეას კი არ შესჩიდებიან და არ დაუგმიათ, პირიქით, „განდეგილში“ იგი იმარჯვებს და აი როგორ: ვიცით, რომ საღვთო წერილის [22] მიხედვით „გულის თქმაც კი“ („არა გული გითქმიდეს“ [23]) ცოდვაა ქრისტიანისათვის, და განდეგილმა ხომ ვერ დასთრგუნა ბუნება და გულისთქმით შეხედა დედაკაცს. ამით დაირღვა სარწმუნოებრივი კანონები და შემცოდიც უნდა დაისაჯოს. ცხოვრება და ბუნება მაშინ იქნებოდნენ გამარჯვებულნი, რომ განდეგილის ეს ბუნებრივი სურვილი ან დაკმაყოფილებულიყო, ან სასჯელი მაინც არ მისდგომოდა „დამნაშავეს“; აქ კი განდეგილი ვეღარ იტანს ცოდვის სიმძიმეს და კვდება. მაშასადამე, განდეგილობის იდეა გამარჯვებულია. განდეგილმა ვერ შესძლო განდეგილობის მოთხოვნილებათა მტკიცე სამსახური და ამიტომაც სასტიკად დაისაჯა. მიუხედავად ამისა, „განდეგილში“ მეღავნდება, რამდენადაც კი შესაძლებელია მიუხვდეთ მწერლის გულისთქმას, რომ ილია უარყოფით უცქეროდა განდეგილობას და ამაში არავითარი წინააღმდეგობა იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს უარყოფა ეკუთვნის „განდეგილობას“, „მიუკარებლობას“, „განმარტოვებას“ საზოგადოებიდან, საზოგადოებრივ ცხოვრებიდან, საზოგადო სამსახურიდან.

კიტა აბაშიძე

ილია და აკაკი

(მოძღვარი და წინასწარმეტყველი)

აკაკის დიდებულმა დასამარებამ ცხადჰყო, რომ ქართველ ერს ეს ორი სახელი — ილიასი და აკაკისა — განუყრელად, განუშორებლად აქვს დასვენებული მის სამლოცველო სახატეში.

ის ვინც ეცდებოდა ამ ორი სახელის განცალკევებას, ერთიმეორის დაპირისპირებას, უეჭველად მოლიპულ გზაზე დაადგებოდა და თვითვე იგრძნობდა, რომ ფეხი წაუსხლტებოდა თუ დროზე თავს არ შეიმაგრებდა. ეს ორი სახელი დიად მოძღვართა ქართველი ერის გენიოსობამ, ქართველი ერის ისტორიული ცხოვრების ქარტეხილმა ერთად შეაკავშირა, შესჩიდა — მათი განშორება ვერ შესძლო თვით ყოვლის დამამხობელმა სიკვდილმა.

* * *

საერთო თვისება, არსებითი ხასიათი ილიასა და აკაკის მწერლობისა არის მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა და წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა, — ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ სიტყვებს.

ავიღოთ დიდებული ქართველი ლირიკოსი ნიკო ბარათაშვილი[1] — ეს გენიოსი ქართველის ტანჯვისა და ნაღვლისა: შეუდარებელი გამომხატველი ქართველის დასევდიანებული გულის კვნესისა, — იგი ნამდვილი და ჰეშმარიტი გამოძახილია ხუნდებგაყრილი ქართველის არსებისა. მართლაცდა, იგი სწორუპოვარი, ცხადი ხატებაა მონობით დაქანცული, ჭანცგაწყვეტილი ქართველის გულის და სულის ოხვრა-ვაებისა.

მაგრამ ბარათაშვილი მაინც ამ ფარგალს ცრემლთა ღვრისას, გოდებისას ვერ გასცილებია. მას ვერ გამოურკვევია და ვერ შეუგნია ნამდვილი მდგომარეობა ერისა სამშობლოისა და ინსტინქტურად, ფატალურ ძალთა ზეგავლენის ქვეშ, ვით ებრაელთა წინასწარმეტყველი[2], „დაჯდა მტირალი და გოდებდა გოდებასა ამას იერუსალიმსა ზედა“[3]. ბარათაშვილი იმ დროის შვილია, როცა საქართველო უდიდეს უბედურებას განიცდიდა.

თვით უსაშინელესი მდგომარეობა დაავადებული ორგანიზმისა, — საზოგადოებრივია იგი ორგანიზმი თუ კერძო ადამიანისა, — სწორედ მაშინ არის, როცა იგი გამოურკვეველია, როცა ბურანშია, გრძნობა დაჩლუნგებული აქვს, გონება დაბნეული.

ნიკო ბარათაშვილის ეპოქა ასეთი იყო.

ერს მაშინ წარმოდგენილი არ ჰქონდა ნათლად თავისი უბედურება. ტემპერატურა ჩვენი ეროვნული ორგანიზმისა ძალზე აწეული იყო — როცა მსჯელობა შავი აჩრდილით დაჩრდილულია, ხოლო მაჯისცემა ისე მისუსტებული, რომ თვით ფაქიზი და გენიოსურად მახვილი სმენა ბარათაშვილისა ყრუდ მოსჩანდა მის წინაშე. ჩვენი სევდის მგოსანს ნათლად ამჩნევია ბეჭედი ამ შავ-ბედი დროისა და მის შემოქმედებას ცხადად აკრავს დაღი ამ საშინელი ეპოქისა.

- აქა-იქ გაუბედავად, კანტი-კუნტად თუ გაისმის მის კვნესაში გარკვეული რამ, მაგრამ ისე მქრალად, ისე ჩუმად, რომ ეჭვი გებადება და სრულიად საფუძვლიანი ეჭვი: ჰქონდა თუ არა გათვალისწინებული ტანჯულ გონებას და „მახვილ სულს“ მგოსნისას „სატრფო ავადმყოფის“ მდგომარეობა.

აი თვით ცხადი, თავზარდამცემი საბუთი და სურათი მაშინდელი ჩვენი ვითარებისა: ბარათაშვილის „სულით ობოლ“ ნიჭისთვისაც კი არ იყო ნათელქმნილი, ვინ და რა იყო ის „ბოროტი სული“, რომელიც სულსა და გულს უშხამავდა მასა და მის მშობელ ერს: ვინ და ან რა იყო ის „თვალბედითი შავი ყორანი“, რომელიც საქართველოს და მისი მგოსნის ცხოვრებას საბედისწეროდ დასჩხაოდა?

ერთგვარი ატროფია, ერთგვარი გრძნობათა და აზრთა მოდუნება იყო მაშინ გამეფებული.

ასეთი მდგომარეობა ყოველგვარი ორგანიზმისა, თავისთავად კრიტიკული, იმდენად მტანჯველი თითქო არც კი არის, ვინაიდან თუ გრძნობა შენი შებოჭილია სენით — ვეღარც კი გრძნობ მწარე ტკივილებს, ამ სენით გამოწვეულს, მაგრამ ყოველ ავადმყოფობას აქვს თავისი კრიზისი, თავისი საბედისწერო მომენტი, რომლის შემდეგ სნეული ან პირს იბრუნებს სიცოცხლისაკენ, ანდა სისწრაფით დაექანება ცივსა და ნესტიან სამარისაკენ.

ილია და აკაკი სწორედ იმ დროის შვილები იყვნენ, როცა საეროვნო ორგანიზმმა ამ კრიტიკულ ხანას გადააბიჯა, სიკვდილს გადარჩა და სამშვიდობოსაკენ მოიხედა, გრძნობაზე მოდიოდა.

თანაც ტკივილები, სევდა და ვარამი თითქო უფრო მწვავე, უფრო მტანჯავი შეიქნა, ვინაიდან ეხლა დასნეულებული ორგანიზმი გონებაზე იყო მოსული და ყველა ამას გრძნობდა და განიცდიდა მტკივნეულობით.

მაინც და მაინც ავადმყოფი მორჩენის გზას დაადგა და ამის უეჭველი სიმპტომები გამოაჩნდა: ძლივს შესამჩნევი, მაგრამ მაინც კიდევ დაეტყო საიმედო, სასოების აღმძვრელი ნიშნები გამომრთელებისა.

რასაკვირველია, ამგვარი სენით შეპყრობილ არსებაში ჩამარხულ იდუმალ ძალთა აღორძინების შეგნება და შემჩნევა მარტოოდენ დიადი გონების, დიადი ნიჭის აქიმს შეეძლო, მისი სენის დიაგნოზი და პროგნოზი მხოლოდ ღვთაებრივად დაჯილდოებული გულის მესაიდუმლეს ეკუთვნოდა, და ამგვარი იყო სწორედ ეს ორი პიროვნება, ორი კორიფეი ჩვენი ლიტერატურისა: ილია და აკაკი.

მათ ჩანგში გაისმა პირველად მძლავრი და მომხიბლავი წინასწარმეტყველება და მოძღვრება, რომელიც საქართველოს შვილს წარსულის ცეცხლზე ანთებული ლამპრით მომავლის გზას უნათებდა.

ჩვენს ღვთივ კურთხეულ მოძღვრებს შუბლზედ აქვთ მკაფიოდ გამოსახული სხივოსანი შარავანდედი მოძღვრისა და წინასწარმეტყველისა. ჩვენი აწმყოთი იგინი გულდათუთქულნი და გულმოწყლულნი არიან; სამართლიანად შეეძლოთ გაემეორებინათ ამ აწმყოს შესახებ იერემიას[4] სიტყვა: „განმაძღო მე სიმწარითა, დამათრო მე ნაღვლითა[5]“-ო.

და იმეორებდნენ კიდევაც:

ცრემლში მიღესავს ნაღველი
და შელნად ის მიხმარია

აკაკი არ ამბობს ამას?

იგინი ჩვენს დღევანდელ ვითარებას ამათრახებენ და ვით სასტიკი ჰიეგოვა[6] წყალვა კრულვით იხსენიებენ ჩვენს დღევანდელ ყოფას. „დღიურ სიცხადით გულდაჩაგრული“ მოძღვარი „ფურთხის ღირსადაც“ კი ჰხდის იმ საქართველოს, რომელიც დაცემულა, „გდია ვით მკვდარი, და მტერს პირუტყვებრ ემორჩილება“.

მეორე კი, თავის „აჩრდილსა“ და „განდეგილში“, ისეთ სურათს მოგ-

ვცემს ჩვენი ეხლანდელი გათახსირებისა და დაღუპვისას, რომ ადამიანი თავზარდაცემული რჩება რამოდენიმე ხანს. და ეს სურათები გაგონებენ სწორედ ებრაელთა წინასწარმეტყველებს[7], გაგონებენ სასტიკ უფალს ისრაილისას, რომელიც მეხთა მტეხის რისხვით აძაგებს მის მიერ რჩეული ერის ზნეობრივ დაკნინებას[8].

საქართველოს შვილს „დღეს არც კი სწამსო სამშობლოს აღდგენა“ და იგი „დაუგდია ვით ტაძარი გაუქმებულიო“.

საქართველო გავერანებულია, აოხრებული, გატიალებული ყოველნაირად.

ჯვ არვის დიდსა, თუ პატარასა
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,
დავიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული.

და მგოსანი ამნაირ უცნაურ საყვედურსა და ბრალდებასაც კი არ დაიშურებს თავის ერისათვის:

გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წაწყმედილა
გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას
დაგინგრევიათ დიდი მამული
. . . . . .
თქვენგან გმობილი უცხოს კალთის ქვეშ
ვითა ობოლი შეფარებულა.

ეს გრძნობა დღევანდელობის უარყოფისა უაღრეს წერტილამდეს არის მიყვანილი „განდეგილში“, სადაც სააქაოს სწყევლის „ვით ცოდვის სადგურს“.

ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა.
სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა,
განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოველი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა...

ამაზე უფრო ძლიერი ხომ იერემია წინასწარმეტყველსაც არა უთქვამს რა.

გავიხსენოთ მისი წინასწარმეტყველების ადგილები და ვნახავთ, რომ ჩვენს შედარებაში გადაჭარბებული არა არის რა.

„კაცადი მოყვასისაგან თვისისა ურიდენით, და ძმათა თქვენთა ნუ ესავთ, რამეთუ ყოველი.

„ძმა წიხლითა წიხლვიდეს, და ყოველი მეგობარი ზაკულად ვიდოდის".

„კაცი ძუინად მოყვსისა თვისისა მოკიცხარობს, ჰეშმარიტებაი არა თქვას; ასწავა ენამან მათმან თქმაი ტყუილისა. მიხუჭდეს და არა მოაკლდეს მიქცევად.

„ვახში ვახშსა ზედა, ზაკვაი ზაკვასა ზედა, არა ინებეს ცნობაი ჩემი — იტყვის უფალი".[9]

ხოლო არცერთი ჩვენი მოძღვარი, დღევანდელი სიმწარის სავსებით შემგნები, მომავლის სასოებასა და რწმენას არ ჰკარგავს — ვით ებრაელთა წინასწარმეტყველნი.

იგინი მყობადის შესახებ იმედით აღვსილნი არიან, შარავანდედით მოსილ სასოების გაშლილი ფრთებით მიისწრაფიან მომავლისაკენ; გენიოსური ძლიერებით გვარწმუნებენ, „აწმყო თუ არა გვწყალობს მომავალი ჩვენია" და ავადმყოფი საყვარელი „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს"-ო. არაერთხელ უნახავთ მათ ჩვენება უცნაური, გულისამატკებელი და ვით ჩვენება იეზეკიელისა[10], ეს გამხდარა მათი ცხოვრების ყავარჯნად და გზის მანათობელ ვარსკვლავად.

მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაჟვარდსა
შვიდ-ფეროვანი სარტყელი ცისა
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა.

და არაერთხელ მგოსანს უგრძვნია დიადი წამები აღტაცებისა.

ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,
ერთს ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა.

რასაკვირველია, ჩვენს მოძღვართა და დაბადების წინასწარმეტყველთა შორის არსებობს რადიკალური განსხვავებაც: განწყობილება მათი მეტად სხვადასხვაგვარისა და სხვადასხვა ფერისაა. ჩვენს მგოსნებს ჩვენი ქვეყნის ტანჯვა და ვაება სრულიადაც არ მიაჩნიათ წარსულში ჩადენილი რაიმე ცოდვის, გინდ დანაშაულის შედეგად და სასჯელად.

წინააღმდეგ, მათ თვალში ჩვენი უბედური ყოფა და ვითარება ერთგვარ ისტორიულ უსამართლობასაც წარმოადგენს.

ჩვენს წარსულში ჩვენი მოძღვრები არ თუ არ იძიებენ და არცა ჰპოვებენ მიზეზს ჩვენი დღევანდელი ვითარებისას, წინააღმდეგ, წარსული მათთვის ერთგვარი ბრწყინვალებით არის შემოსილი.

ცხადია, იმას ვერავინ შესწამებს, ასეთ დიად ადამიანთ გათვალისწინებული არა ჰქონდეთ ჩვენი ისტორიული ცხოვრება მთელი სიგრძე-სიგანით, მათ მკვეთრ მხედველობას არ გადაშლოდეს თვალწინ მთელი შეუფერებელი სურათი ჩვენი განვლილი ცხოვრებისა, ხოლო „წარსული“ მათთვის ერთგვარი სიმბოლოა, ერთგვარი ხატებაა იმ ცხოვრებისა, რომელიც აუცილებელია ყოველი ერისათვის. წარსული, რომელშიაც ჩვენ ვიყავით ჩვენი ბატონ-პატრონი, თავისებური პოლიტიკური სიმბოლოა. ეს ის აკვანია, რომელიც თამარ დედოფალს[11] „ბაზალეთის ტბის ძირას“ ჩაუდგამს და რომელშიაც „ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი“: ეს ის ნესტან-დარეჯანია[12], რომელიც „ციხეშია, ცხრა-კლიტულში მჯდომარე“ და რომელსაც

ტარიელი დაეძებს გაუარდნილი დღეს ველად
ავთანდილი, ფრიდონი მოდის გამოსახსნელად.

საერთო ჩვენ მგოსანთა და ებრაელ წინასწარმეტყველთა შორის კი ის არის, რომ იგინი წინად ხედვენ და წინად გრძნობენ მომავალს; მათ შესისხლხორცებული და შეთვისებული აქვთ ტანჯული სული და დაავადებული გული ბორკილებით შეურაცხყოფილი ერისა; მათ გასაოცრად გამახვილებულ სმენას, მათ უზენაეს მხედველობას არ გამოჰპარვია ცხოვრების ძალთა დაფარული განაწილება, რომელიც უბრალო მომაკვდავისათვის დაჩრდილულია. და იგინი წინასწარხედვენ და წინასწარმეტყველებენ, რომ ერი განკურნების, მკვდრეთით აღდგომის გზას ადგია, მათ სწამთ ეს მთელი თავის ღვთივ მშვენიერის ძალითა და გონებით და ამ რწმენას, ამ პოეტურ აღმაფრენას საფუძვლად უდევს ის, რაც მათთვის ცხადია ერის სულის არსებაში, ამ არსების თვით მიმალულ კუნჭულებში.

ძალიან შორს არიან ჩვენი მოძღვრები ეგრეთწოდებულ „მესიანიზმისგანაც“[13], რომელიც ამა თუ იმ ერს მიაკუთვნებდა განსაკუთრებულ როლს ადამიანთა ისტორიასა და ცხოვრებაში. ამ რწმენის აღმსარებელთა აზრით, ამა თუ იმ ხალხს უნდა წარმოეშვა „მესია“[14], მხსნელი და მაცხოვარი ქვეყნისა, რომელსაც ელის დიდი ხანია კაცობრიობა. იგინი ფიქრობდნენ, რომ ამა თუ იმ ერს უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევაც დაკისრებული ისტორიისა და განგებისაგან ერთა შორის პირველობა, კაცთა ცხოვრების წინსვლის მებაირაღტრეობა, მეთაურობა და წინამძღვრობაო.

ჩვენს მგოსნებს ასეთი მედიდური და შეუსაბამო როლი თავის დღეში არ მოუხვევიათ თავისი „დიდჭირნახული“ ხალხისათვის.

მათთვის „მამული საყვარელი“, „ტურფა მხარე“ დედაღვთისას წილხდომილი — განაწამები და გვემულია:

უწინ ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
ფეხშიშველი, თავზედ ლეჩაქ მოხდილი
მოხიბლულა, შემცდარია ის არი
ალერსით მთვრალს ვერ უცვნია ისარი.

ეს ტურფა, ნამდვილ თავგანწირულ მიჯნურს ზურგს შეაქცევს.

ის სხვას ასმევს ნექტარს ნეტარებისას
სხვას თავს ევლის, სხვას შეპხარის, სხვას შესტრფის.

მათი მოთხოვნილება მოკლებულია ყოველგვარ „მესიანურ“ პრეტენზიას და შეიცავს მხოლოდ და მარტო სრულიად ადამიანურ, ყოვლად ჩვეულებრივსა და აუცილებელს.

მათი სურვილია „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოს“[15], „მამული საყვარელი“ აყვავდეს, გაიღვიძოს. მგოსანს სურს, მის მხარეს

ხედავდეს თავისუფალსა
რომ ძალით ვერ აშინებდნენ
ვერც ნებით უხვევდნენ თვალსა; — სწყურია, —
რომ მისი სახელი გაითქვას ძველებურადა,
და მისიანნი ყველანი ერთად სცხოვრობდნენ ძმურადა.

მათი სანატრელი ის არის, მათი სატრფო „თვით ოხერ და მოუველელი ოსმალეთის“ ანაბრად არ იყოს დაგდებული, „მის დამღუპველ ოსმალეთს“ არ ახარებდეს. მათი ლტოლვა ის არის, მათი სატრფო თავისი ბედისა და იღბლის გამჭვედი თვით იყოს, თავისი ცხოვრების ფერის მიმცემი თვით იყოს. როგორც ხედავთ, ეს ისეთი რამ არის, რაც არ შეიცავს არც ისტორიაში რაიმე განსაკუთრებული როლის მითვისებას, არც კაცობრიობის ცხოვრებაში რაიმე განსხვავებული ადგილის დაჩემებას.

რასაც იგინი ელტვიან, ისეთი რამ არის, რომლის ნება და უფლება ყოველ მონასა აქვს, მონას გაბედულს, რომელსაც სამარცხვინო ჯაჭვები ვეღარ შეუგუებია, საზიზღარი უღელი ვეღარ შეუთვისებია და წმინდა აღშფოთებით აღვსია გული და ბორკილების დასამსხვრევად გამზადებულა.

ჩვენი ორი ციური გვირგვინით შემოსილი მგოსნის მთელი მოძღვრება წინასწარმეტყველების ცეცხლითაა აღგზნებული, ღვთაებრივ კოცონზედაა შექმნილი და ამით იქცევა დაუშრეტელ წყაროდ ერის აღზრდისა, შეურყეველ საკურთხეველად საეროვნო ლოცვისა და სასოებისა. ამიტომაც არის, რომ ეს ორი სახელი ქართველი ერის გულში განუთიშველია და ილია და აკაკი ხსოვნაში იმგვარადვე განუცალკევებელია, როგორც მოსე[16] და აარონი[17], ესაია[18] და იერემია.

ის ვინც მოისურვებს მათ გაყოფას, მათ გათიშვას, ის ქართველი ერის სულის მთლიანობის განაწილებას ეცდება და ეს სულ ტყვილად დაკარგული შრომაა, სრულიად უნაყოფო ცდა. იგინი ორივე ერთ სიმაღლეზე დგანან პოეზიის სამეფოში.

ქართველი ერის ტრაგედიულ ცხოვრებაში ილიას ნიჭი მამაკაცური ნიჭია, ძლიერი, სასტიკი, მეხთა-მტეხი, „მრისხანე და შეუპოვარი“, რო-

გორც მიქელანჯელოსი[19] და ფიდიასისა[20], ბაირონისა[21], კორნელისა[22] და გოეთესი[23].

აკაკის ნიჭი — ქალწულებრივი ნიჭია, „ბედნიერი ნიჭი", — როგორც ილია ამბობს; ნიჭი ნაზი და ნარნარი, მსუბუქი და მომხიბველი — ვით ნიჭი პრაქსიტელისა[24] და რაფაელისა[25], რასინისა[26], შელისა[27] და შილერისა[28].

ვინ გაბედავს და ვინ იტყვის, ამ გენიოსთა შორის რომელი უფრო რჩეულია აპოლონის[29] მიერ, უფრო სათნოა მისთვის?

ილიასა და აკაკის ნიჭის სასწორი ქართველი ერის გულია და ამ სასწორის აზარმაცი ქართველი ერის გონება; ერს მათთვის საუკუნო სანეტარო ადგილი აქვს მიჩნეული მის გულში, და არასოდეს სასწორი არც ერთისაკენ არ გადიხრის.

ილია მოკვდა, როგორც წინასწარმეტყველი ქვით ჩაქოლილი, ეკლის გვირგვინით მორთული, და ამგვარად მისი სიკვდილი მშვენიერი და წარმტაცი სამარადისო სახე შეიქნა მოყვასთათვის თავდადებულ მოძღვრისა.

სიკვდილმა აკაკის აღუბეჭდა სახეზე საუკუნო, წარუხოცელი ხატება წინასწარმეტყველისა და მით დაადასტურა სიდიადე მისი მოძღვრებისა.

ილიას ეკლის გვირგვინი საბედისწერო საფეხური იყო აკაკის დაფნის გვირგვინისა. აკაკის დაფნის გვირგვინში სინანულის ცრემლები იყო ჩაწნული, იგი აუცილებელი შედეგი იყო ილიას ეკლის გვირგვინისა. ამ ორ დიად მოძღვართა აღსასრულიც კი განუყრელი წინასწარმეტყველური, მასწავლებელი სახება შეიქმნა „სიმწარითა გამაძღარისა და ნაღვლითა დამთვრალის" ქართველი ერის ცხოვრებისა.

ხ ო მ ლ ე ლ ი

აკაკი — როგორც დიდი ეროვნული მგოსანი

(აკაკის ნაწერები, პირველი და მეორე წიგნი, მარსვეტაშვილის გამოცემა, 1913 წ.)

1.

1890 წელს თბილისში დაარსებულმა „წიგნების მბეჭდველ ქართველთა ამხანაგობამ"[2] დასტამბა აკაკის ლექსები ორ ტომად. 1913 წელს აკაკის ნაწერები ორ წიგნად გამოუცია ჩვენს ცნობილ ქველმოქმედს ბ. ი. მანსვეტაშვილს, რომელსაც ყოველივე თადარიგი და ხელმძღვანელობა წიგნების საამდროო გამომცემლობის „იმერეთის"[3] პატრონის ბ. ისიდორე კვიცარიძისათვის[4] მიუნდვია.

ეს საქმე ი. კვიცარიძემ პატიოსნად და კეთილსინდისიერად შეას-

რულა, ესე იგი აკაკის ნაწერების გამოცემა სუფთად და ლამაზადაც დაპირებულ ვადაზე შეუსრულა მკითხველ საზოგადოებას, რაც ძალიან იშვიათი ამბავია ქართული გამომცემლობის ისტორიაში. ამასთანავე, გარეგანი, ტექნიკური მხარეც გამოცემისა უნდა უნაკლულოდ ჩაითვალოს, და კორექტურული შეცდომებიც თითქმის არ გამოიძებნება ამ გამოცემაში. ამისთვის „იმერეთის“ ხელმძღვანელს ქართული მკითხველისაგან მადლობის მეტი არაფერი ეთქმის. მაგრამ უფრო დიდი მადლობის ღირსია ჰეშმარიტად ი. მანსვეტაშვილი, რომელიც ასე გულწრფელად დიდად აფასებს ქართლოსიანთა ერის მეცხრამეტე საუკუნის დიდებას — აკაკისაც და იმის ნაწარმოებთა მკითხველსაც. მან განიზრახა აკაკის ყველა ნაწერების გამოცემა მთლად ისე, როგორც ცნობილმა მკურნალმა მიხეილ გედევანიშვილმა[5] ილიას ნაწერებისა. გამოცემის ხარჯს, რაც ფული გადარჩება, ეს სულ მგოსან აკაკის გადაეცემა და იქიდან ერთს გროშსაც არ აიღებს ი. მანსვეტაშვილი. ამ უკანასკნელმა კვიცარიძეს წინადადება მისცა, რომ მან მოიწვიოს მცოდნე ლიტერატორთა კომისია, რომელიც შეეცდებოდა აკაკის ნაწერების თავმოყრას, სისტემაზე დაალაგებდა და ასე გონივრული ლიტერატურული შრომით სასახელოდ დააგვირგვინებდა ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს...

...დიადობა ქართველი ერის ახალი სულისა გამოიხატა ნამეტურ ლიტერატურაში, რომელსაც აღუჩდნენ ახალი იდეების, გრძნობათა და ფიქრების, ახალი ზნეობის კაცები და სათავეში მოექცნენ მას. „თერგდალეულები“ იყვნენ ჩვენში პირველი პიონერნი, პირველი მერცხლები, რომელნიც ბედნიერად და სასიხარულოდ მოევლინენ ქართველთა ახალ ცხოერებას და ლიტერატურას, ღრმად, ნიჭიერად ჩაიხედეს ქართველი კაცის გულში, მშვენიერი სიტყვებით ხელოვნურად აღწერეს მისი ცხოვრება, სურვილები და სამერმისო მისწრაფებანი, და, ამნაირად, სამარადისო სახსენებლად გახადეს თავიანთი კალმით ნახატი სურათები, თავისი საკუთარი ნააზრები და ნაფიქრალნი, მთელი იმ დროის შემოქმედება...

იმ დროის ერთმა დიდმა ამირანმა[6]—აკაკიმ უკვდავების სული ჩაბერა და საუკუნოდ მიანიჭა ქართულ ლირიკას და ლიტერატურას ღვთაებრივი, უნაზესი ფორმები სუბუქად გამოთქმისა და აღმაფრენისა...

აკაკიმ ჩაუდგა სული ახალ ქართულ მწერლობას, ქართველობას გულში ჩაუნერგა სასიცოცხლო დიდი იმედები მომავლისა, დიდად სულგრძელი და მტკიცე ხასიათი ჰირში მოთმინებისა, ქველობისა... ჩემი ფიქრით, მთელი ჩვენი პატარა, მაგრამ მეტად ტურფა მშობლიური ქვეყნის არე-მარეზე არ იყო არც ერთი ქართველი, რომ იმასავით დაახლოვებული, დანათესავებული, სულით და გულით დამეგობრებული ყოფილიყო ჩვენში ყოველი წრის, ყოველი წოდების, ყოველი ასაკის ქართველთან, ორივე სქესისა და ყველა სარწმუნოებისა — როგორც ეს ჩვენი თანამედროვე დიდი ივერიელი — მგოსანი აკაკი. ქართველი კაციც, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, მდიდარი თუ ღარიბი, მოხუცი, თუ ჰაბუკი, ერი, თუ ბერი,

ქალი თუ კაცი, მასში ეძებდა და პოულობდა თავისი ფხიზელი ნიჭის და ცოდნის ძალთა გამოხმაურებას, გამოქომაგებას, გამხნევებას. ...ქართველობასაც სწორედ ასეთი სულგრძელი ამირანი ესაჭიროებოდა ამ ნახევარი საუკუნის დიდად განსაცდელიანი დროის განმავლობაში, როცა იგი ახლად იკრებდა თავის შემოქმედ ძალებს, ჭაბუკობდა, ევროპული ცოდნის და ცხოვრების გამოცდილების შეძენის ხანაში იყო სულერთიანათ ჩაყურყუმალებული.

და განვითარებაც ქართველთა ნორჩი აზროვნებისა, მხატვრობისაც და ლიტერატურისაც მიდიოდა თანდათან წინ, თუმცა ძალიან ბევრ ხელის შემშლელ პირობებში იყო მომწყვდეული. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ამ ვითარებამ სძლია ყოველი ხელის შემშლელი დაბრკოლება და ლიტერატურა ჩვენი, განსაკუთრებით ქართული ლირიკა, დიდი ბგოსნის მადლიანი მოღვაწეობით ავიდა უაღრეს, უშესანიშნავეს ხარისხამდე.

არ არის ლიტერატურის არც ერთი დარგი, საცა აკაკის თავისი წვლილი არ შეეტანოს. თავისი დიდი ნიჭის შესაფერი ლირიკის გარდა, სადაც იგი მეფეთა მეფის ტახტზე ზის, პუბლიცისტიკა, ფელეტონი, დიდად მახვილი, სარკასტული, ცოცხალი, ძლიერი ტალანტით აღსავსე „ცხელ-ცხელი ამბები“, იმის ბელეტრისტიკა და დრამა, კომედიები, მეცნიერული ნაშრომები და ლექციები, პედაგოგიური და ისტორიული ნაწერები — ყველა ამ ნაწარმოებით გამდიდრებულია ქართული ლიტერატურის სალარო, რომელიც ერთ უდიდეს, უმდიდრეს განძს წარმოადგენს ქართველთა გონების განვითარების ისტორიაში....

აკაკის მომადლებული აქვს რაღაც განსაკუთრებული, იუმორისტული ტალანტი. მგოსნის ცოცხალი, მგზნებარე გრძნობა-გონება ძალიან ადვილად, სრულიად დამოუკიდებლად, ორიგინალურად კვეთს ულმობელი ცხოვრების მოვლინებათა წინააღმდეგობას, დიალექტიკას და, როცა მხატერულად გამოხატავს მას ხოლმე, მკითხველში და მაყურებელში იწვევს სიამის, დიდი ნეტარების მომგვრელ სიცილს, და თან ნაზს, მეტად მწარე სიცილსაც. ამგვარი განსაკუთრებული, მარტო და მხოლოდ მისი ტალანტის თვისება, მთელ მის თაობაში და ამხანაგობაში მარტო იმას, ერთს ჰვდა საჩუქრად ბუნებისაგან და ამან უფრო შეაყვარა ქართველობას ეს საოცარი, ჩვენი ქვეყნის მუდამ შობლაშვილი საოცნებოდ მომღიმარი შვილი.

1908 წლის გასულს ამ უპირველეს ქართველ მგოსანს შეუსრულდა ორმოცდაათი წელიწადი მას შემდეგ, რაც იგი სამწერლო ასპარეზზე გამოსულა და იღვწის თავისი ერის სასახელოდ.

ამისთვის დიდად მადლიერმა საქართველოს შვილებმა, განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა, სქესისა, აკაკის ყველგან დიდი დიდებით გადაუხადა იუბილე და ეს იუბილე იდღესასწაულა ჯერ ჩვენში არნახული, არგაგონილი ზეიმით და ძლიერებით.

აკაკის სახელი ქართველთა ამაყობის და დიდ სულოვნობის, შემოქმე-

დების სიმბოლოა და ამ სახელს ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, როგორც ალექსანდრე პუშკინს[7] — რუსთათვის, ადამ მიცკევიჩს[8]— პოლონელთათვის. დიდი სამწერლო ტალანტით ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებულს, რომლის ნიშანდობლივი თვისება იმაში გამოიხატება, რომ მას სრულიად დამორჩილებული, დაძლეული ჰყავს ქართული ენა, მისი სახატვრო სალიტერატურო ფორმები, რომლის წყალობითაც მან შეჰქმნა მთელი სკოლა ლირიკოსთა და მეფელეტონეთა, და თავისი მეტად მძლავრი, უნაზესი, უმშვენიერესი გრძნობებით ცოცხლათ დახატა ქართველობა ჭირსა და ლხინში, წარსულშიც და აწმყოშიც. მგოსანი ერთი უდიდესი მოტრფიალეა სახალხო ზეპირსიტყვაობისა და პოეზიისა, მთელი არსებით ჩაყლაპულია ქართველის ერის სახალხო შემოქმედებით და იქიდან, ამ უძირო, დაწმენდილი ზღვის უფსკრულებიდან იღებს ძვირფას მარგალიტებს და ქმნის გასაოცარ ხმებს და მელოდიებს.

2.

აკაკის ქართველი საზოგადოება და ხალხი, აგრეთვე, ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა აღმერთებს. ქართველი მანდილოსნებიც მისდამი ღრმა სიყვარულითა და უზომო პატივისცემით არიან გამსჭვალულნი. მკაცრი და ულმობელი კრიტიკა ვერ უპოვის მას და მის ნაწარმოებს ვერავითარ ნაკლს, ვერავითარ ხინჯს ამ დიდად მოსიყვარულე გულის, იშვიათი ტემპერამენტის პატრონ ივერიელს, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი იღვაწა და იღვწის დღესაც ეკლით და ნარით მოფენილს ჩვენი სამშობლო ლიტერატურის ასპარეზზე.

აკაკი გასული საუკუნის სამოციანი წლების მწერალთა გუნდს ეკუთვნის და ამ მწერალთა შორის მას უპირავს უპირველესი ადგილი; ვითარცა ლირიკოსი იმას საქართველოში ბადალი არა ყავს და თავისი შესანიშნავი ტალანტით, სიღრმით, ძლიერებით და სინაზით მას უთანასწორდებიან მხოლოდ ორი დიდი ივერიელი — შოთა რუსთაველი და ნიკოლოზ ბარათაშვილი[9].

როგორც პროზაიკი, აკაკი ძალიან დიდი მხატვარია ცხოვრების, ადამიანთა სულის და გულის ღრმა მცოდნე და ყველგან თავის ნაწარმოებში იძლევა დახატულ ხასიათებს და ტიპებს, რაც შეადგენს ხელოვნურ ნაწარმოებთა დიდ სამკაულს ყველგან და ყოველთვის.

აკაკი წმინდა, ნამდვილი, ხალასი რეალისტია. ცხოვრების ყოველდღიურ ამბავს, ფაქტს იგი უყურებს პირდაპირ, წინდაწინვე გაუმზადებელი აზრით და ხატავს ამ ფაქტს გაუზვიადებლად სწორედ ისე, როგორი შთაბეჭდილებაც ამ ფაქტმა მოახდინა მასზე, რასაკვირველია, საკუთარი შემოქმედებითი ტალანტის განცდით. მგოსანი-მხატვარი ყოველთვის თავის სურვილებს და იდეალებს, თავის გრძნობა-გონების ძალებს უთანხმებს ცხოვრების ფაქტებს ხოლმე და ასე ქმნის იგი თავის ნაწარმოებს. ამას-

თანავე ზომიერება არსად არ ღალატობს აკაკის და, ამიტომაც, მისი ნამოქმედარი არას დროს არა ღლის ადამიანს. პირიქით, იწვევს სიცოცხლეს, ხალისს და სიამის მომგვრელ ნეტარებას. ამიტომაც, ქართველ მწერალთა შორის აკაკის უპირველესი ადგილი უჭირავს და დიდად თავმოსაწონებელი მწერალი-მოღვაწის სახელი აქვს გავარდნილი ქართულ, რუსულ, სომხურ, პოლონურ, და საზღვარგარეთულ ლიტერატურაშიაც...

.... ახლა ჩემ თავს ნებას ვაძლევ მკითხველს წარუდგინო ჩემი აზრები და შეფასებანი აკაკის დიადი ტალანტისა, რომელიც სხვადასხვა დროს ჩემ კრიტიკულ წერილებში გამომითქვამს.

ახალ ქართულ პოეზიას, ჩვენდა საბედნიეროდ, მუდამ ასულდგმულებდა და აცხოველებდა ყოვლად პატიოსანი, წმინდა საერო აზრები და გრძნობანი. ამ გრძნობებს და აზრებს მტკიცე კავშირი ჰქონდა ცხოვრებასთან და განსხვავებული ხასიათით, შინაარსით და ელფერით აღბეჭდეს ჩვენი გრძნობა-გონების და ზნეობის დღეინდელი ვითარების საქმე.

ერის ხანგრძლივ ცხოვრებაში ხშირია ხოლმე ისეთი ისტორიული გარემოება, როდესაც ერისავე სულსა და გულს, სხვადასხვა აზრებს, გრძნობებს და ოცნებათა მისწრაფებას უხატავს მხოლოდ ერთადერთი პოეზია, საკუთრივ ლირიკა. ამიტომაც, ლირიკას დიდი თვალსაჩინო, ღრმა მნიშვნელობა და ძალა ჰქონდა ყოველთვის, ყოველგან და აქვს ახლაც, იმის და მიხედვით, — თუ როგორია ვითარება, ან საზოგადო ყოფა ერის ცხოვრებისა. ლირიკა ხშირად სარკესავით გამომხატველია, დამნახველია ერის გულის ჩივილისა, მდუღრისა, საშინელი ტანჯვა-მწუხარებისა. ან ბედნიერების, ნეხიაოულების, სიცოცხლის დამატკბობელი დრო-ჟამის, სადღესასწაულო სასიამოვნო ამბების აღმომთქმელია. განსაკუთრებით ქართველთათვის, ჩვენს ბედში მყოფი ერისთვის ლირიკა შეიქმნა თითქმის ერთადერთი უტყუარი, ჰეშმარიტი გამომხატველი ჩვენის სულისა და „გულის ნადებთა“, ჩვენი აზრებისა და გრძნობათა წმინდა სარკე. საქართველოს უპირატეს შვილებს, დიდი ხანია, რაც ლირიკის საფარველქვეშ შეუფარებიათ თავი თვისი. აქ გადაუშლიათ დაჭრილი, გამწარებული გულის დარდები და აუმეტყველებიათ ენა, მომეტებულ ნაწილად, უსაზღვრო და ღრმა მწუხარების აღმოსათქმელად. მაშასადამე, ლირიკა ქართველთათვის ის წმინდა და მდიდარი სალაროც გამხდარა, სადაც შეუმწიკვლელად დაცულა და შენახულა ერის ძვირფასი სამკაული, ქვეყნის უკეთეს შვილთა ღრმა ნააზრი და ნაგრძნობი, სული და გული...

მარა, ვაი... რომ ლირიკა სიხარულისა და ლხენის არ იცის ჩვენმა ახალმა ლიტერატურამ. წუთი-სოფლის ბრუნვამ, დიდი ხანია, ხელი აიღო ბევრი ვაებისა და ჰირბოროტების მნახველ ქართველობაზე. ცხოვრებამაც დამტუქსველი და ანჩხლი დედინაცვლის სამსახური გაუწია ჩვენს საზოგადოებას და საქართველოს სასიქადულო მგოსანთა მგრძნობიარე, მღელვარე გული მწარედ ააკვნესა და... შეწუხებული „ობოლი სულის ოხვრა“ შექმნა უსაზღვრო, მეტად მძიმე და აუტანელი. ეგ სახელოვანი „ობოლი

სული“, რომელიც ნაღვლიანად „ჩონგურს“ ჩაკითხავს: „ნეტავი, ოდეს ხმა მხიარული შენგან მსმენოდესო“[10] და, „ქართლის ბედზე“, რომელსაც „მოაკლდა თავისუფლება“, — წვეთ-წვეთად აფრქვევს მდუღარე ცრემლებს, ზღვის ზვირთსავით შფოთავდა და „პატარა კახს[11], სოფიოსა[12] და სოლომონის[13] პირით, ცეცხლმოკიდებული ეკამათებოდა, რომ მან ასე მოულოდნელად „გადასწყვიტა ბედი ქართლისა“; საოცარი „თავგანწირულის სულის კვეთებით“ და აღელვებული „გულის კვნესით“ უარყოფს, „შორდება მამულს“, თავის „წინა-პართ საფლავებსა“ და მიწა-წყალს!

მეორე, ამნაირადვე და ამ მიზეზითვე გაბოროტებული საოცარი მგოსანიც, აი, რა ბასრ და მჭრელ სიტყვებს აფრქვევს გულის საკირიდან:

ცრემლში ნალესი ნაღველი,
შინდა, რომ მეღნად ვიხმარო,
საწერლად მივსცე გლახ გული
ფრთა კალმად აღარ ვიკმარო.
მის ნაცვლად ენა ჩავუწო,
საწვერმახვილო ის არი!...
ხან სამკურნალო მალამო,
ხან სასიკვდილო ისარი.
თავგანწირულად პირდაპირ
შევეპიდები ქვეყანას!...
რას მომცემს, ან რას წამართმევს,
გული რომ დამწყდეს მისთანას?...

რა გარემოება იყო ისეთი მძიმე და აუტანელი, რომ ასე საშინელად, ძლიერად და ღრმად გამწარდენ ეს რჩეულნი? ადვილი საკითხია, განა?!...

სიხარულის, სიტკბოების და ლხენის, თუმცა „ჰმუნვის მახვილი გულსა მსობია“ მგოსნ[ის], — ალექსანდრე ჭავჭავაძის[14] საფლავს გულის-ჩამწყვეტი ცრემლებით დასტირის გამწარებული მგოსანი:

შენ არ დაგწვია ჩვენსავით გული...
თვარა სხვა გვარად,
მწარედ და მარად...
გესლით და ნაღვლით იწყებდი ძგერას...

და ესენიც ურიასტანის დიდებულ წინასწარმეტყველივით[15] მუდამ გოდებენ:

სანამ ჩემი საყვარელი
ჭაჯებსა ყავთ ცხრა-კლიტულში,
ვინ მაღირსებს სასუფეველს,
ჯოჯოხეთი მიძევს გულში!...

და ამ „სრულიად ურწმუნოს გრძნობითა და გონებით“ ის უნდა

რომ სამშობლო მტრის სისხლითა
იღვბავდეს ჰაღარასა!...

თუმცა სულის ასეთი მღელვარებითა და შფოთვით არა, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი და აკაკი, მაგრამ ამავე გრძნობას ხატავს მესამე პოეტი, — ილიაც:

დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი, — მიხარიან, რომ ეგრედ შვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში [16]...

მწარე, ლოდივით მძიმე, აუტანელი გრძნობა იპყრობს პატიოსანი ბუნების ადამიანს, როდესაც ესმის ასეთი ღრმა და ძლიერი ოხვრა, აღშფოთებული სულის უძირო წუხილი, გოდება... ხელოვნურად დიდი ნიჭიერებით ჩამოსხმულ ლექსთა საოცარ ხმებს გადუბირებელი არსება მაშინვე ემორჩილება, სულის სიღრმემდე ჩააქვს იგინი და სრულიად იკვეთება. და ეს იმიტომ, რომ აქ იხატება და სულდგმულობს სამშობლოსადმი უღრმესი, თავდადებული სიყვარული, ადამიანის გამაცოცხლებელი, მაღალი გრძნობა და ანკარა წყაროს წყალივით სპეტაკი აზრი, რომელიც საკვირველი მღელვარებით, შფოთვითა და ოხვრით გულის საიდუმლო ფსკერიდან ამოაქვს საყვარელ მგოსნებს... დიახ, დიდად შესანიშნავია, საყურადღებო და დასაფიქრებელიც ასეთი ხასიათი ჩვენი ახალი ლირიკისა და ეს საგანი ღირსია იმისა, რომ იმაზე როდისმე ვრცლად ვისაუბროთ, თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო...

მე აღვნიშნე აქ მარტო საგანი და ხასიათი ჩვენი ახალი ლირიკისა. ხოლო გარეგანი ფორმაც, ტექნიკური მხარე ლექსებისა და ენაც დიდად განსხვავებულია იმ პოეტების ნაწარმოებთან შედარებით, რომელთა საგანი, მომეტებულ ნაწილად, იყო სიხარული, ჭალის ტრფობა და სიყვარული, უდარდელი ლხენა და „სიამენი სოფლისანი“. ახალი ლირიკის წარმომადგენელთა შორის, ორი სრულიად დამოუკიდებელი და ორიგინალური მგოსანია, ამ მხრით, დიდად შესანიშნავი. ერთია ნიკოლოზ ბარათაშვილი და მეორე — აკაკი. გარეგანი ფორმით მოკლედ ჩამოსხმული ამ მგოსანთა ლექსნი იმდენათ მშვენიერი, ტურფა, საუცხოო, მუსიკით აღსავსეა, მდიდარი ფანტაზიის სურათთა უბრალოდ, მარტივად გამოკვეთით იმდენად ძლიერია და ენერგიული, რომ პატიოსანი კაცის გულს ღრმად აატოკებს და სრულიად მოინადირებს, დაიმორჩილებს... განსაკუთრებით აკაკის, მარტო პოეტისა კი არა, თვით განხორციელებული პოეზიის — აკაკის მშვენიერი და ტურფა ჩონგურის აღმოთქმანი საოცრად მოქნილი, მკვეთრი, მასთან „ნაზი, ნარნარია“, და მით უფრო ძლიერია. პოეტის „ჩონგურის“ ენა მშობელი ერის გულის მესაიდუმლეა და საკვირველი ხმებით ხატავს იმის წმინდასა და სპეტაკ გრძნობათ, სურვილთ, ოცნებათ, სიხარულთ... სიხარულთ, რომელნიც ხშირად, ძლიერ ხშირად, ფერსა და კილოს იცვლიან და გარდაიქმნებიან გამწარებული გულის სიღრმიდან ამომსკდარ უკმარობის კივილად... კვნესად... ნაღვლიან წუხილად, სევდიან ღიმილად და პოეტს მაშინ...

ის ღიმილი ხელთ უპყრია
მტრისთვის ხმლად და მოყვრის ფარად!...

აკაკის ლირიკის საოცარს ფორმას, ტექნიკურ მხარეს განცვიფრებაში მოყავს თვით პოეტის მტრებიც, რომელთაც განუსაზღვრელი ზიზღითა და ირონიით უღადრავს გულ-მკერდს და უშხამავს სიცოცხლეს ძლევამოსილი მგოსანი. პოეტმა სრულიად შეითვისა სახალხო ენის, საუბრის საიდუმლო ხმა და კილო და ქართულს ლიტერატურაში, ამ მხრით, მოახდინა მთელი რევოლუცია. მაღალი ტალანტის მქონე აკაკის ლირიკა მიუახლოვდა გენიოსობის საზღვარს და ქართველთა ხალხისა და საზოგადოების სულის მოძრაობა, ცხოვრება, პოეზია აღიბეჭდა მის ნაწარმოებში: მასში პოვა მან თავისი გულწრფელი და ჭეშმარიტი გამომხატველი*...

---

* მდგომარე 1915 წელს გაზ. „თემის“ № 205-ში პატივცემული ლიტერატორი, გიორგი მიხ. თუმანიშვილი[17] დიდად საყურადღებო მოგონებას წერს აკაკიზე. ავტორი აღნიშნავს რომ რუსეთში, სამოციან წლებში სალიტერატურო ფორმას არაიეთარ მნიშვნელობას არ აძლევდენ, პუშკინს და ლერმონტოვს[18] დაცინოდენ. მაშინ წამდაც მხოლოდ ბუნების მეცნიერების სარგებლობაო...

ბელინსკის[19] შემდეგ, რუსული კრიტიკა „სამოქალაქო ვალდებულებაზე“ წერდა აღტაცებით და აქეთკენ მოუწოდებდა მგოსნებს და მწერლებს. ამიტომაც, არ იყო კრიტიკა მხატვრულ-ფსიქოლოგიური, წმინდა ლიტერატურული (რასაკვირველია ესთეტიკური კრიტიკა არ იქნება სრული, თუ იგი სოციოლოგიურ მეთოდს არ ხმარობს), არამედ იყო პირდაპირ „სამოქალაქო“, პუბლიცისტური, რომელიც უარს უოფდა ესთეტიკურს თვალსაზრისს მხატვრულ ნაწარმოებთა ანალიზის დროს. ჩერნიშევსკი[20], დობროლიუბოვი[21], პისარევი[22] ხომ, რასაკვირველია, მიხაილოვსკი[23] შინაარსს აქცევდნენ დიდ უურადღებას... Плеханов[24], წერს ჩვენი დროის ერთი კრიტიკოსი — Марксистъ, считающий, что достоинство художественного произведения определяется в последнем счете удельным весом всего содержания», — всем они ушли от Белинского в сторону торжествующей общественности и этики. Поэт-гражданин и учитель — такова формула русской критической мысли этого периода. Эстетика— второстепенное в искусстве, для моралиста она-даже зло!!...

ასეთივე ამბავი მოხდა საქართველოშიც. „საქართველოს მოამბეში“[25], სადაც თავმოყრილი იყო მთელი ქართველი განათლებული ახალგაზრდობა, აკაკი წერეთელს არ ეხედავთო, წერს ჩვენი ლიტერატორი. ნიკო ნიკოლაძის[26] „კრებულ-დროებაში“[27] იბეჭდებოდა აკაკის ლექსები და ფელეტონები... კრიტიკა აკაკიზე სდუმს. ამაზე არამცთუ მთელ სტატიებს, მოკლე შენიშვნებსაც ვერ ეპოულობთო...

ვისაც დაველაპარაკებოდი ქართველ განათლებულ მწერალს, ახალგაზრდებს აკაკის პოეზიაზე, ყველასგან მხოლოდ დაცინვა მესმოდაო. ერთი სიტყვით, მაშინდელი თაობის თვალში მგოსანი უნდა ყოფილიყო მოძღვარი, მორალისტი, რომელსაც ახალი იდეები, ახალი პორალები უნდა ექადაგებინა და სრულებითაც არ აფასებდა სიცოცხლის და სულის მოძრაობის, ადამიანის ხასიათისა და გრძნობათა ხელოვნურად დახატვის, მშვენიერების თეორიას სრულიად უარს უოფდა...

უნდა გამოვტყდე, მეც, ჩემს სიყმაწვილეში, გულწრფელად გატაცებული ვიყავი ასეთი მიმართულებით... და 1887 წ., როგორც მახსოვს, კრიტიკული სტატიაც დავსტამბე ორ დიდ ფელეტონად მაშინდელ გაზ. „ივერიაში“[28] და გავარჩიე აკაკის შეხედულებანი და აზრები, რომელიც მან გამოთქვა თავის შესანიშნავ ფელეტონებში („ივერიაში“-ვე)[29]. იმ ჩემს სტატიებში მე უშესანიშნავეს ფალავნად და უდიდეს მგოსნადაც ილია გამომყავდა, აკაკი კი იჩრდილებოდა... ასე დაუნდობელი იყო კრიტიკა აკაკის შესა-

ამგვარად, ქართულმა სალიტერატურო ენამ მიიღო და შეითვისა სიტურფე და მშვენიერება განსაკუთრებით მაშინ, როცა გატარებულ იქნა იგი, — რუსულად ვიტყვი, «сквозь пламя поэтов» ...აშიტომ მე მგონია, ქართული ენის შესახებაც იგივე უნდა ითქვას, რასაც ამბობს ემილ ზოლა[30] ფრანგულისაზე: საჭირო იყო თაობა ლირიკულ პოეტებისა, რომ ენა გამხდარიყო ფართო, მოქნილი და ბრწყინვალე იარაღიო. და აი, მართლაც, აკაკის შემდეგ, მთელი ჩვენი აწინდელი პოეტები: ჭალადიდელი[31], გრიგოლ უმწიფარიძე[32], გრემელი[33], გრიგოლ აბაშიძე[34], ცახელი[35] და სხ. და მოლექსე იოსებ დავითაშვილიც[36], ამ მხრით, აკაკის სკოლას ეკუთვნიან და ზოგი იმათგანი, როგორც მაგალითად დავითაშვილი, პირდაპირ აღიარებს აკაკის თავის „საყვარელ მოძღვრათ და ოსტატათ"...

აი, ამ სახელოვან მგოსანთა ლირიკამ ჩაბერა უკვდავი, ძლიერი და მაღალი სული აღორძინებისა ქართულ ლიტერატურას, გაუფართოვდა მას ასპარეზი და საზღვარი მრავალ საერო სასარგებლო და პატიოსან აზრთა და გრძნობათა ჩაგონებით და, ბოლოს, მიანიშა კიდეც იმდენი ზნეობრივი და, მაშასადამე, საზოგადოებრივი ძალა და მნიშვნელობაც, რომ თვითეულ პატიოსან ქართველს შეურცხვენლად შეუძლია იმედითა და სასოებით უყუროს თავის მშობელი ერის გრძნობა-გონების ვითარების საქმეს, ხალისი და მხნეობა მოიმატოს, სული მოიბრუნოს და წრფელი გულითა და სინდისით შეუდგეს თავის ქვეყნის წმიდა, უანგარო სამსახურს...

მაგრამ, მოგეხსენებათ, ქვეყნის სამსახურისა და რაიმე სამკვიდრო კეთილის განხორციელებისათვის მარტო ხალისი და მხნეობაც არა კმარა. ამისათვის რომ მართლა ცარიელი ხალისი და მხნეობა იყოს საკმარისი, მაშინ ხომ ჩვენებური ტრეტიაკოვსკებიც[37], რომელთა სახელი ლეგიონია. პირდაპირ დიდ-დიდ საზოგადო მოღვაწეთა და უკვდავთა შორის ამოყოფდენ თავს!... მე თქვენ გეტყვით, ხალისი არა აქვთ, თუ? მაგრამ, მადლობა ღმერთს, ბედნიერ გარემოებას, დიდი ხანია, დაუცავს და დაუფარავს საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი ურიცხვ და უტიფარ მჯღაბნელთა შემოსევისაგან და მისი მადლი უკვდავებისა მიუნიშებია მხოლოდ რჩეულთათვის,

---

ხებ... მაგრამ ამ ოცი წლის წინათ, წერს ბ-ნი გ. თუმანიშვილი, აკაკი დააფასა კრიტიკამ..

როგორც მოგეხსენებათ, ამ ოცი წლის წინათ ჩვენში ერთად ერთს გაზეთს „იევერიას" გვერდში ამოუდგა ჟურნალი „კვალი" [38], რომლის კრიტიკული ვანყოფილება ე ჩამაბარა: აკაკიმ, გიორგი წერეთელმა [39] და ივანე მაჩაბელმა [40].

მე მიხსნა „ისტორიულმა მატერიალიზმმა, რომელიც, სამოციანი წლების თაობისა და „ნაროდნიკების" [41] წინააღმდეგ, უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა მხატერობას, პოეზიას და სალიტერატურო ფორმების მშვენიერად ხმარებას ნაწარმოებში. მეც, ჩემს კრიტიკულს სტატიებში, პირველად საქართველოში 1893 წ. ჟურ. „კვალის" ფურცლებზე შევაფასე აკაკის ლირიკა და დავამტკიცე, რომ აკაკის ბადალი ლირიკოსი საქართველოს არც ყოლია, არცა ყავს-მეთქი[42]. დღეს, მადლობა ღმერთს, ამ ჩემს აზრებს ქვანიც-კი ღაღადებენ... 1893 წელს ეს აზრები მთელ რევოლუციას წარმოადგენდა და მეც დაუზოგველი ლანძღვა-გინება მერგო წილად მაშინდელ — „იევერიაში"..

სპეტაკი ტემპერამენტის, წმინდა და მაღალი ზნეობისა და მოაზრე ადამიანთათვის.

დიახ! ქვეყნის სამსახურისათვის, უპირველესყოვლისა, საჭიროა ბუნებითი, თანდაყოლილი ტალანტი, ძლიერი ძალა და უმაღლესი მადლიც, რომელსაც ბუნება ყველგან ხელმოჭერით იძლევა...

მაგრამ... მარტო ბუნებრივ ტალანტსაც, ხალისთან ერთად, არ შეუძლია რაიმე თვალსაჩინო, მკვიდრი ნაყოფი შეძღვნას საზოგადოებას და დაიმსახუროს საქვეყნო ყურადღება. მარტო ბუნებრივი ტალანტი ვერ გახდის შესანიშნავ და სასარგებლო მოღვაწედ, ვერ აიყვანს მას მაღალსა და პატიოსან, უწმინდეს მოქმედების ხარისხამდე. უკეთილშობილესი და თოვლივით სპეტაკი სულიერ მოქმედებისთვის ამ ქვეყნად საჭიროა, უმეტესად, „ღვთიური ნაპერწკალი“, ესე იგი, ბუნებრივი, თანდაყოლილი მაღალი თვისებანი სულისა, მასთან გრძნობა-გონების და ზნეობის უპირატესობა ადამიანის არსებისა...

მკითხველს ვრცლადაც ვუჩვენეთ, მგონია, რომ აკაკის მაღალი თვისებანი სულისა მემკვიდრეობითაც ჰქონდა თანდაყოლილი...

ჩვენ გაკვრით გვქონდა აღნიშნული ნ. ბარათაშვილის წინათ ქართული პოეზიის ხასიათი. აქ დავუმატებთ, რომ მუსიკალური მხარეც პოეზიისა, ქალების „ეშხით“ დამთვრალ მოშაირეთა მიერ სიმღერების თხზვა, ჰარმონიული სიტყვების ასხმა და მეტრიკული სიმშვენიერე ლექსთა ძველებურ ქართველ მგოსანთათვის წარმოადგენდა ერთს უმთავრეს და ძირითად მოთხოვნილებას, არა თუ მარტო ლექსების თხზვის დროს, უბრალო მუსაიფისა და დარბაისლური საუბრის დროსაც. ვინც ამ მოთხოვნილების დამცველი და გამახორციელებელი იყო, იგი მიაჩნდათ პირველ მჭერმეტყველად, შესანიშნავი სიტყვა-პასუხის გამომთქმელად და უპირატეს მგოსნათაც, რომელსაც დიდი პატივი და სახელი ჰქონდა დამსახურებული მაშინდელ საზოგადოების უმაღლეს წრეებში. საგანი და შინაარსიც ამგვარ მგოსანთა პოეზიისა იყო ხორციელი სიყვარულისა და ტრფობის, ნამდვილი „ეშხის“ ლირიზმი, ლირიზმი ქალის ფიზიკური სილამაზით დატკბობის სურვილებზე და ვაჟკაცობის, ლხენის აღტაცებულ შექებაზე გადამკვდარი. მთელი სპარსული პოეზიაც, რომელიც „აძლევდა“ ტონს, შინაარსს და მიმართულებას მაშინდელ ქართულს საერო ლიტერატურას, შეიცავდა ამავე საგანთა გარშემო მუდმივს ტირილსა და ალერსს. სულის გამაფაქიზებელი მორალური გრძნობანი, მაღალი ზნეობრივი შეხედულებანი ადამიანზე, განვითარებული, შეერთებული ფხიზელი აზრისა და ფიქრების წარმოდგენანი და იქვეები სრულიად უცნობ ხილს წარმოადგენდა ამ ღარიბი და გამოცარიელებული ლიტერატურის ესთეტიკის მიდამოებში. სხვაგვარი პოეზია იმ დროში წარმოუდგენელიც იქნებოდა, რადგან გარემოება არ უწყობდა ხელს, არა თუ აზიას, ევროპასაც კი...

მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სპარსული და ქართულ პოეზიის მიდა-

შოებშიც შოინახება, ვით ვრცელ და გადამხმარ უდაბნოში ოაზისები, შეტად ძვირფასი და შდიდარი მარგალიტები; და მთელი ქართული კლასიკური საერთო ლიტერატურა წარმოადგენს მხოლოდ ერთად-ერთ მარგალიტს „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც თავისი საერთო დედა-აზრით გაშორდა მაშინდელი გამოცარიელებული ქართული ლიტერატურის ესთეტიკის ფარგალს, და მთელი ერის სულიერ აგებულებაზე დიდი ზედმოქმედობა და ღრმა შთაბეჭდილებაც მოახდინა: საიდან წარმოსკდა ასეთი ახალი და დიდად ცხოველი ნაკადული? ეს საგანი ამჟამად ძნელი გადასაწყვეტია და ჩვენ სიფრთხილე და საკუთარი გამოცდილება ნებას არ გვაძლევს სხვების ფეხის ხმას ავყვეთ. მხოლოდ ორი გარემოება კი ნამდვილ ისტორიულ ფაქტად უნდა მივიღოთ—ერთი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ზეციდან არ მოევლინებოდა ქართველობას; მეორეც ისა, რომ „სულმნათი“ რუსთაველის შემდეგ, ამოდენა ისტორიის დრო-ჟამის მანძილზე მხოლოდ და მარტო პოეტი დავით გურამიშვილის[13] ქნარი შეეხო თავისი თანამედროვე ცხოვრების უბედურ ყოფასა და „ჟამთასიავეს“...

ახლა-კი, მთელი ამ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, სამშობლო ლიტერატურის არე-მარეზე ჩვენ გრძნობა-გონებას იპყრობს მხოლოდ ორი დიდი ორიგინალური მგოსანი. ერთია — „ჭკუით ურწმუნო, სულით უნდო...“ ნ. ბარათაშვილი და მეორეა — აკაკი წერეთელი. აკაკის შესანიშნავი, ტურფა ლირიკა გამსჭვალულია მთელი ჩვენი ერის ცოცხალი მოტივებით. და იმისი ლექსთა ყვავილი იმიტომაც მოქმედებს ასე ძლიერად — თითოეულ ქართველზე და მის ესთეტიკურ გრძნობებს ისე საუცხოოდ აკმაყოფილებს, რომ აკაკი თვით წააგავს ქართველობას. განსაკუთრებული, ორიგინალური თვისება აკაკის ჭნარისა ის არის, რომ იგი თავისებურად, ნამდვილ აკაკისებურად სულ სხვანაირი გულის აღტაცებით აერთებს, ახამებს ხოლმე თავის საკუთარ და ჩვენი ერის წმინდა ჰაბუკურ გრძნობათა გულწრფელობას, ალალ-მართლობას და მასთანვე ღრმა სკეპტიკურ, ბევრჯერ დამცინავის და მწარე ირონიით აღსავსე აზრის გამოხატულებას. აკაკი განხორციელებული, წმინდა აღფრთოვანებული დიადი ივერიელის შესანიშნავი ტიპია, რომელიც მთელი თავისი არსებით ხატავს ჩვენი ერის მხნეობას, გმირობას და ენთუზიაზმს.

მართლაცდა, აკაკის პირადი, ინდივიდუალური გრძნობანი, სურვილები, მისწრაფებანი, საზოგადოდ მთელი იმისი სულიერი აგებულება, როგორც სარკე, ისე ხატავს მთელი ქართლოსიანთა ერის მაჯის-ცემას, გულის ნადებს, მწუხარებას და აღტაცებას, სულიერ მხარეს, განურჩევლად წოდებისა და სოციალური მდგომარეობის უსწორ-მასწორობისა...

აი, ეს იყო, რომ მე აკაკის ვუწოდე დიდი პოეტი და, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემ რომელსამე კრიტიკას ტუჩებზე უკმარობის და დამცინავი ღიმილი დაეხატა. ამ ჩემ კრიტიკანს მე კარგად ვიცნობ. იგია რუსეთის, ეგრეთწოდებულ „კრიტიკის“ დიდი თაყვანისმცემელი,

რომელიც სალირიკო პოეზიაშიც, როგორც ფილოსოფიურ მშრალს ტრაქტატებშიც, მხოლოდ დიდ-დიდ, მყვირალა ფრაზებს და იდეებს ეძიებს. მაშინ, ბარემ, ავხსნა აქვე ჩემ აზრს მარტო... ამ ვაჟბატონისათვის.

მე ისეთს პოეტს ვუწოდებ დიდს, რომელმაც შეძრა ჩვენი სულის ქნარი, რომელიც თავისი პოეტური წარმოდგენის ცხოველმყოფელი ძალით გაშორდა პირად, ვიწრო ინტერესების ფარგალს და თავის ნაწარმოებში ხელოვნურად დახატულ სურათებად განახორციელა მთელი ერის მწუხარებაც და აღტაცებაც, სულის თქმა და გულის ძგერაც. დიდ პოეტს, მიუცილებლად, ბევრისაგან ბევრი რამ საერთო აქვს ჩვენთან, ვიდრე უბრალო მომაკვდავს. დიდი პოეტი მთელი ერის ჭირის და ლხინის თანაბრად გამომხატველია:

...ხან ტრედებრ აღმა ფრენს მოწონებით
ხან გველივითა ქვესკნელში ძვრება;
მარა ყოველთვის თვის მოქმედებით,
ის ბზოლოდ მაძულს ემსახურება.
ვერ შეაშინებს მას სოფლის ღელვა,
მხნეთ მიაცურებს ივი თვის წრფელ ნავს
და, გზას უნათებს რა საღმრთო ელვა,
ის სიბნელიდან ნათლად გამოყავს.

დიდი პოეტის პირადობა წარმოგვიდგენს შემკრებელობით ერთ გამოხატულებას ყველა სხვა დანარჩენ პირადობისას და გამოთქმისას. და, სწორედ ამიტომაც, დიდი პოეტის ქნარი მუდამ მოახდენს ხოლმე საერთო შთაბეჭდილებას ყოველ ადამიანზე, განსხვავებულიც რომ იყოს ამ ადამიანების სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების ინდივიდუალური პირობანი.. სულ ყოველიფერს რომ თავი გავანებოთ, ჩემი კრიტიკანი, იმედია, იმაში მაინც დამეთანხმება, რომ აკაკის სალირიკო პოეზია ჩვენი ერის ცოცხალი მუსიკის მოტივებია და, სწორედ ამიტომაც, ეს მოტივები მთელი ახლანდელი ქართველების სასიმღერო პოეზია შეიქმნა. მუსიკა ყველა ხელოვნებას შორის გვირგვინია და აკაკიც უაღრესი ხელოვანია ამ სფეროში. აკაკის ლირიკა ერთიანი სიმღერაა. ეს ხომ ფაქტია და, წარმოიდგინეთ, აკაკი ამ მხრივ რუსთველს, არა თუ გაუთანასწორდა, წინ გაუსწრო კიდეც.

ი. ანთაძე

დიდებული აკაკის ხსოვნას

აღარ გვყავს ის, ვინც მუდამ სცდილობდა თავისი მშვენიერი სიტყვებით ერის მწუხარება გაექარვებინა — იმედად შეეცვალა — უიმედობა, უძლურობა — ძლიერებად.

აკაკი გარდაიცვალა.
მან პირნათლად შეასრულა თავისი აღთქმა:

ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!

სულ უკანასკნელ წუთებშიაც-კი, როდესაც საშინელი სენი ნელ-ნელა იმორჩილებდა მის სხეულს, ტკივილისაგან აკანკალებული ხელით მგოსანი სწერდა სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალულ სიტყვებს ახალი პოემისას („ომი").

ბოლოს ხელიც გაუჩერდა.

ისევ იწყო ნელ-ნელა გამობრუნება, მაგრამ... 25 იანვარს დიდებული მგოსნის ჩანგურის ჰაეროვანი სიმები გაწყდა.

მთელი თავისი სიცოცხლე, თავისი ნიჭი და უნარი მგოსანმა სავსებით შესწირა საყვარელ სამშობლოს და არც ლხინსა და არც ჭირში არ დავიწყებია, რომ ნიჭი, რომელიც განგებამ მას მიანიჭა, ეკუთვნოდა ხალხს სიკეთისა და სიმართლის სამსახურად: „მე ჩანგური მისთვის მინდა..." მართლაც ვის ლექსებშია ის მშვენიერი, ნაზი და ლაღი სიტყვები, რომლის აზრი და სიმფონია ქართველის გულს მალამოდ ხედება და მთელი არსებით თავისკენ იზიდავს? ვის არ სმენია, რომ გაჭირვებული, შეწუხებული გლეხიც-კი თავის კაეშანს მისი სიტყვებით განაჭარვებს? ლხინსა და ტირილში ყველგან ერთნაირად გატაცებით წარმოსთქვამენ ხოლმე მის ლექსებს და ხალხიც იცნობს თავის სიამაყეს, თავის აკაკის!

უსაზღვროა სიყვარული მგოსნისა სამშობლოსა და ადამიანისადმი. ლხინშიაც-კი ვერ ივიწყებს ის ტანჯული ერის მდგომარეობას და ატირებული „ნათელას" პირით გვამცნევს მთელ სიდიადეს თავის სიყვარულისას.

მგოსანმა არ იცის სიყვარული გარეშე მშობელი ერისა, „მე გოგია მისთვის მიყვარს" —, ამბობს პოეტი „გოგია მეჩონგურეში":

რომ თავიდან ფეხებამდე
ის მამულის შვილი არი
თვის მარჯვენას მისთვის ხმარობს
და მისთვის ღერს მისი ქნარი?

მშობელი ერიც სავსებით იზიარებს თავის პირმშო შვილის სიყვარულს, რომელმაც გაამშვენიერა ერის ბურჯი-ენა, ხალხს უყვარს თავისი დიდება, თავისი აკაკი, და ყოველ ოჯახში სასიხარულოდ მიაჩნიათ როცა ახლად მოტიტინე ბავშვი ეროვნულ თვითშემეცნებას აკაკის „მამა პატარა ქართველით" იწყებს.

ექვს წლამდე გლეხის ოჯახში გაზრდილმა მგოსანმა კარგად შეითვისა ღარიბი გლეხის ჭირ-ვარამი და ის, რაც ჩასწვდა პატარა კაკოს ფაქი-

გულში, არასოდეს არ დავიწყებია „დიდ“ აკაკის და მისი ჩანგი მედგარი მოსარჩლეა გაჭირვებული ხალხისა, ის არ ივიწყებს, რომ შრომა და არა მუქთა-ხორობაა ადამიანის ნუგეში, და საუცხოოდ გვიხატავს გლეხის სიხარულს და სიამაყეს, როცა ის მომწიფებულ პურში ტრიალებს:

ვისაც რა უნდა უყვარდეს,
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი:
მიყვარს პირწმინდა ნამგალი,
მისი ყანაში ტრიალი...

ის, ვისაც ადვილი საშოვარი და სხვის უბედურებაზე თავისი კეთილდღეობის აშენება ენატრება, გლეხს წარმოუდგენია ქორის მსგავსად, რომელთანაც გამკლავება მუშას ხშირად უძნელდება. მას სძულს ასეთი ადამიანი და თავმომწონედ ამბობს:

ქორი ვარ, სხვას რომ მოვტაცო?
რად გავიშაო პირი მე?
გარს შემოვეველე ჩემს გუთანს,
ჩემი სახნისის პირიმე!

საკმარისია ეს ორი ტაეპი ავიღოთ, და დავინახავთ, რომ მგოსანმა მიაგნო მუშის სულის კვეთებას და მასთან ერთად განიცდის ყველაფერს, რასაც ამბობს: უკვდავმა შოთა რუსთველმა სთქვა: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“-ო.[1] და მართლაც — ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი სიცოცხლე მუშისა ძალე მოკლედ, მკაფიოდ და თანაგრძნობით გამოხატა ჩვენმა დიდებულმა მგოსანმა. ასეთი ლექსები და სხვა ნაწარმოები მგოსანს მრავალი აქვს და ყველაში ნათლად არის გატარებული:

გამიქვავდეს მაშინ ენა, თუ რომ ვისმე მიეფერო,
და გამისმეს ის მარჯვენა, თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო!

ლაღი სიყვარული ადამიანისა და სამშობლოსადმი, რომელიც მგოსნის გულში ღვივოდა, მის გენიოსურ ნიჭს აორკეცებდა და დაუშრეტელი მხნეობით ავსებდა. სწორედ ამ სიყვარულმა მისცა ძალა და შეძლებაც შებრძოლებოდა ძველ ენას მწერლობაში და შეეტანა შიგ დაბეჩავებული ხალხისათვის გასაგები ენა. მგოსანს ესმოდა, რომ ხალხური ენით გამოთქმული აზრი უფრო შეაყვარებდა ხალხს დაჩაგრულ ადამიანს და სწავლა-განათლების სურვილს აღუძრავდა. მართლაც, ახალი ლექსები ძალიან გავრცელდა ხალხში და მათი ციური ჰანგებით მოჯადოებული მოწინააღმდეგენიც აკაკის მიერ შემოტანილ ახალ მიმართულების წინაშე ქედს იხრიდნენ და გზას ულოცავდნენ.

აკაკი და ილია არიან მამამთავრები დღევანდელი მწერლობისა და ყველას, ცოტად თუ ბევრად მცოდნეს ქართველ მწერლობისას, და არ მცოდნესაც უყვართ თავისი დიდებული მწერლები.

ორმოცდაჩვიდმეტ წელიწადს მოღვაწეობდა მგოსანი სამშობლოს

საკეთილდღეოდ და კარგად ჰქონდა შეთვისებული მისი ავ-კარგი. გამჭრიახი მოღვაწე თავის მოსიყვარულე გულით გრძნობდა, რომ სამშობლოს უმთავრესი ნაკლი საზოგადოების დაქსაქსულობა იყო.

ამის გამო იყო, რომ საქართველომ ნელ-ნელა დაჰკარგა ყველაფერი, რაც ჰქონდა, და ბოლოს საქმე უმაღლესი წოდების გადაგვარებაზე მიდგა. საფრთხე მოელოდა ენასაც, რომელსაც უკვე ადვილად ივიწყებდნენ, და ენასთან ერთად ეროვნებასაც ჭურჭსავით იცვლიდნენ. ასეთი მდგომარეობა სულს უშფოთებდა მგოსანს, და ის სწყეველის ყველას, ვინც კი ანგარების გამო ივიწყებს მშობელ ერს:

კრულია მისი ხსენება,
ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,
თვის ტომს ღალატობს და მითი
აპირებს მაღლა ფრენასა.

მაგრამ როდესაც გულის წყრომა გაუვლის, მგოსანი ნაზი სიმღერით თავს ეველება სამშობლოს და ჩვენთვის შეუმჩნეველად გულში გვინერგავს ერთობისა და სიყვარულის გრძნობებს.

მგოსანი ქართველებს ადარებს ჩანგურის სიმებს, რომლებიც, მართალია, სხვა-და-სხვა ჰანგზე, მაგრამ ყოველთვის — „ერთი მეორის თანხმობით“ წკრიალებენ, და-

ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შველაო,
რომ არ გაფუჭდეს ჩანგური...
.
ჩანგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო...
ჩვენ ხომ სიმების სისუსტემ
სინათლე დაგვიბნელაო!...

რა ხელოვნებით არის აქ გამოხატული ეროვნულ-საზოგადოებრივი გრძნობები!

პოეტს სწამს, რომ ერთ-ერთი გრძნობა გაიმარჯვებს და მსმენელს მგოსანთან ერთად აღიარებინებს, რომ ერთობა ჩვენთვის ტახტია...

დ. კასრაძე

ა ქ ა კ ი

... სამუდამოდ გამოგვესალმა ჩვენი ცხოვრების მესაიდუმლე, მთელი მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი კულტურისა და წინსვლის სინთეზი, კაზმული ლიტერატურის მოკაშკაშე ვარსკვლავი, რომლის მსგავსი საქართველოს ერთიც არ ახსოვს, თუ ნეტარ თამარ მეფის[1] ოქროს ხანის[2]

გვირგვინს, დიდ შოთას არ მივიღებთ მხედველობაში. ეს დანაკლისი მით უფრო გაასკეცდება, თუ გავიხსენებთ ჩვენს დღევანდელ ყოფა-ცხოვრებას, ჩვენს აწეწ-დაწეწვას, დღეს უფრო, როდესაც გვჭირია გამოცდილი მესვეური, რომელიც გვიხსნიდა დაქსაქსულობისაგან, და მამობრივი სიყვარულით და რჩევით მოახდენდა ჩვენს აზრთა და ძალთა შეთანხმებას და შეხედულებას! აკაკი მთელ თავის სიცოცხლეში ის სულმნათი ოქრომჭედელი იყო, რომელიც ჯადოსნური ლითონით ლექსთა წკრიალა რგოლებს სჭედდა და ნარნარი სხივებით ჰქსოვდა იმ საუცხოო შესარიგებელ პლატფორმას, რომლის სახელწოდებაც სამშობლოს სიყვარული იყო, ჩაფხუტ ჩამოხრილი პატარა საქართველო.

წარჩინებული გვარის შვილი, წოდებით თავადი, სულით ფაქიზი და აღფრთოვანებული ჩვენი მგოსანი დაიბადა დაბა საჩხერეში 9 იანვ. 1840 წ. სოფლის კეთილი მდებარეობა, მწვერვალთა ხრახნილები, ღელეთა ნარნარება და ფირუზოვან ჩარდახ გადმოხურული ხევ-ხუვები ჩხრიალა ნაკადულებითურთ პატარა კაკოს დედის ძუძუსთან ერთად ასაზრდოებდნენ სიმკვირცხლის, სინაზისა და მშვენიერებისადმი მისწრაფებით. რვა წლამდინ სოფელში რჩება. სოფელია მისი აკვანი, მისი სულიერი და ფიზიკური გამფურჩქნელი, დალოცვილ ჯანმრთელობისა და სილამაზის ამყვავებელი წყარო. აკაკი ცელქობს. აკაკის ყოველისფერი აინტერესებს. გლეხის ოჯახი, კალო-საბძელი, გუთანი, ბაღები, ტოლებში სირბილი, დიდი დედების ზღაპრებისა და ამბების თხრობა—აი ის აღზრდითი პირობები, რომელთაც კეთილი ზეთისხილის შტოს ყვავილი გამოიღებს მის მომავალ ბედის გადასაწყვეტად..

რვა წლის კაკო მიაბარეს ქუთაისის გიმნაზიაში. აქედამ იწყება მისი დამახინჯების პერიოდი,.. რვა წლის განმავლობაში აუწერელი მოთმინებით იტანს სულის შემხუთველ მარწუხებს, რვა წლის განმავლობაში იტანს სატანჯველს. აი, ოთხი თვეც უკლია... ცოტაც... ცოტაც და მორჩება... მაგრამ ამაყმა სულმა ვეღარ შესძლო, შეხუთული ფრთები გაშალა, ბოლომდე ვერ გამოსცალა ამგვარი შხამის ფიალა და თავისუფლებისაკენ გაჰკრა დეზი! ეხლა ყრმა კაკო უსაზღვროდ ბედნიერად გრძნობს თავსა, თვითონვე უნდა გზის გაკვლევა.... დაუყოვნებლივ ილტვის ქუთაისიდან და პეტროგრადში ამოჰყოფს თავსა, სადაც კანტი-კუნტად მიედინებიან ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობა. ცხოვრების უმწიფო შვილი, სრულებით გამოუცდელი, ბედის ანაბარად რჩება, ჰსურს ერთგვარი ლატარია მოატრიალოს, რომლის ისარი მუდამ სამხედრო მუნდირზე მიუთითებდა. მას სურს მხრები ეპოლეტებით დაიმშვენოს. ამისათვის კი ერთგვარი ნიადაგი უკვე მომზადებული იყო. ჩვენი ახალგაზრდობა უმთავრესად ჩინ-მენდლებზე იყურებოდა. ეს არც ისე გასაკვირი იყო. იმ დროს ჯერ კიდევ დამცხრალი არ იყო ომის ზარიანი ხმა. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხე ჰბორგავდა, ვიდრე ყოველი სამთავრო რუსეთის ანექსიაში შევიდოდა. აქა-იქ ყოველდღიური აჯანყება, ამბოხი შინ და გარეთ, სპარსეთ-

ოსმალეთის აულაგმელობა — აი ყველა ის მიზეზი, რომელიც ხმალ-კაპარჭზე აფიქრებინებდა ჯანღონით სავსე ჩვენს არწივ ახალგაზრდობას! სამშობლოს სამსახური—აი მათი დევიზი! ყველანი ერთურთის მოწინააღმდეგე ბანაკთა გასამარჯვებლად იწვრთვნებოდნენ, ზოგნი აჯანყებულთ, ზოგნი რუსეთის მომხრეთ, მაგრამ არა ღალატით არამედ სრულის რწმენით, თითოეული მათგანი გულწრფელად დარწმუნებული იყო იმაში, რომ ამ გზით სამშობლოს დიდ სამსახურს უწევდნენ, მის გაფურჩქვნას და კეთილდღეობას ემსახურებოდნენ. შესაძლებელია აკაკიც ერთერთ ჯგუფს ეკუთვნოდა, ამგვარი სტიქიით იყო გატაცებული, შეიძლება ისიც, რომ ფანტაზიის კეკლუც პერსპექტივებში თავის სამშობლოს მხსნელ რაინდად წარმოედგინა თავი! ეს კია, რომ უზომოდ სწყუროდა სამხედრო სასწავლებელი. თუ პეტროგრადში მყოფი ჩვენი ახალგაზრდობა არა, ვინ იცის, მას თავის ოცნებისათვის მიეცა გზა, მაგრამ აქ მოხდა სასწაული. ჩვენი ახალგაზრდობა დაბეჯითებით ცდილობს, რომ მისი ნიჭი არ ჩაიკლას. მათი მეოხებით აკაკი გაეცნობა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციას, ეზიარება მის აზრებს, თავისუფლების წყურვილს. ღრმა სევდა მოიცავს. უსაზღვროდ მოკაშკაშე კარს ჩაკეტავს, დაუკვირდება სინამდვილეს და გონების თვალით განსჯვრეტს მეოცნებე ჭაბუკის იდეალთა უსუსურობას. იგი მიხვდება, რომ საქართველოს ზურნის ჭიჭყინი და ბუკ-ნაღარის ხმა სამუდამოდ შეწყვეტილა! გაჰქრა დამოუკიდებლობის დრო! დადგა საშინელი მომენტი, როდესაც საქართველო ვეღარ გამოსჭედავს საკუთარი სახელით თავის დამოუკიდებლობის ფოლადის მახვილს! ჩვენი გმირთა ფარ-შუბი ვეღარ დაიწყებს გულის ამფეთქებელ საამო წკრიალს! რომ ქართველ გმირთა ყივილი საქართველოს ძლევის დროშის ქვეშ ვეღარ გახდება მთა და ბარად! არა, ყველა ამის დრო წასულია! ახლა გვჭირია სხვა ფოლადი, სულ სხვა მახვილი! და აი, აკაკის მოწოდების ალღოც იღვიძებს. ყრმა გულის სულიერი ბრძოლა სხვა ჰორიზონტისაკენ გაჰკრავს ფრთებსა! მისი გული გაიჭიმება სამშობლოს სანუკვარ ზურმუხტოვან ველად, სადაც მინდვრის ყვავილთა ნარნარებით მრავალფეროვნად აფრიალდება საქართველოს წამებული და დაფხრეწილი დიადი დროშა! არა, აკაკი ვეღარ წავა ტლანქ იარაღის შესაჯურველად! ის უნდა გახდეს ჩვენი კულტურის ამწევი და გამფურჩქვნელი ფერმენტი! ის მნათე იქნება!... დაუმონებელი მებუკე. და აი, აკაკიც უშველებელ ნახტომს აკეთებს და სამხედროდან პირდაპირ უნივერსიტეტში, აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე შედის, სადაც მისი აზრით შეეძლებოდა საჭირო ცოდნის შეძენა, რომ სამშობლოს მომზადებული სახით დაჰბრუნებოდა.

უნივერსიტეტიდან იწყება მისი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. 1858 წელს თვრამეტი წლის კაკო გზავნის ჟურნალ „ცისკარში“[3] ლერმონტოვის[4] „პალესტინის რტოს“. ოთხი წლის განმავლობაში, მართლაც საუცხოოდ ემზადა, თავის სპეციალურ საგნებს გარდა არა თუ გაიცნობს

რუსეთის მწერლებს, არამედ ზედმიწევნით შეისწავლის განსაკუთრებით პუშკინს[5] და ლერმონტოვს, აგრეთვე, ჩერნიშევსკის[6], ბელინსკის[7], დობროლიუბოვს[8], პისარევს[9], ტურგენევს[10] და სხვა.

რა იყო ამ დროს საქართველო? მეტად უფერული რამ, მისი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება სრულს სიკოტრემდე ჩამოვიდა. ბატონყმობის მძიმე უღელი ჰსრისავდა ჩვენს გლეხ-კაცობას. ჩვენი მწერლება კი აღმოსავლურ ჰანგებს იქით არას ჰხედავდნენ და არც თუ სურდათ დანახვა; საქმე ის იყო, რომ ამ მხრითაც არ სჩანდა ორიგინალობა. ერთად-ერთი ნ. ბარათაშვილი[11] იყო, რომელმაც ევროპულ ჰანგებს გაუღო კარი, მაგრამ მეტად ნაადრევად ჩაჰქრა, რომ თავის მოწოდებისათვის ბოლომდე აეღო ალღო და ეს პროცესი როგორმე დაესრულებინა. ამიტომ არის, რომ მის პოეზიას არ ეტყობა სრული განთავისუფლება, მიუხედავად მისი გენიოსური აღმაფრენისა, მაინც სპარსულ „ვარდბულბულიანის“ არტახებშია შებოჭილი. ამ მიმდინარეობის შეჩერება წილად ხვდა აკაკის. იგი მსუბუქი ნელის ნიავ-ქარობით გამოაქროლებს აპოლოს[12] მზიურ ხომალდს. მისი მეტყველება არ მოსწონთ მამებს, მათ ეუცხოვებათ ეს სიმსუბუქე; ძველს, ჩაქუჩსავით მძიმე ფოლადის ენას შეჩვეულ სმენას არაფრად ეპიტნავებოდა აკაკის ჰაეროვანი წკრიალა პოეზია, რომელიც თერგსავით კი არ მოჰქუხდა, არამედ ზვირთის სუბუქი შრიალით მოისმოდა, თითქოს შუაღამისას მთვლემარე წყაროს მოჩახჩახე მთვარის შუქში მოტივტივე ნაძვის ხეებს საამო ზღაპრებს მოუთხრობსო. რაღა თქმა უნდა, ამას ვერ აპატიებდნენ ჩვენი „მამები“, რომელთაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს თერგ-დალეულ შვილებს, რომელთა რიცხვშიც ითვლებოდნენ ილია, აკაკი, ნიკოლაძე[13] და სხვა.

თქმა არ უნდა აკაკი მარტო პოეზიის ქურუმად არ დარჩებოდა. ჯერ დღესაც, როდესაც ასე თუ ისე მოვმწიფდით და შეიძლება ერთგვარი დიფერენციაცია მოვახდინოთ, ვერ ავცდით ენციკლოპედისტობის საჭიროებას, ასე რომ, ჩვენი ლიტერატორი ერთსა და იმავე დროს პოეტიც უნდა იყვეს, სოციოლოგიც, ექიმიც, მხატვარიც, პუბლიცისტიც და არა თუ პუბლიცისტიც, ხშირად მეჩექმეც კი, რომ შიმშილით არ მოკვდეს და თან ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხებსაც ჯეროვანი პასუხი გასცეს. რა თქმა უნდა, მაშინ ეს ადვილი წარმოსადგენია, აკაკისაც უხდება მრავალფეროვანი მუშაობა. იგი დატრიალებს, თავის მადლიან მოჭარბებულ ენერგიას უზომოდ ხარჯავს და აი, მას ვხედავთ თითქმის ყველა დარგში. თავის ტემპერამენტით იგი არა თუ საუცხოო მგოსანია, თვით პუბლიცისტიც, მოპოლემიკე! ხან მერცხლის ენით შეგასმენს „გაზაფხულს“, ხან მთელს მიმდინარეობას ეწინააღმდეგება, ილაშქრებს, არღვევს, ხან იცავს, ხან კიდევ მთხრობელია, ოხუნჯობს, აფორიზმებს აბნევს, მხატვრობს... კრიტიკოსობს... სწრაფი იუმორი და გესლიანი ირონია („ცხელ-ცხელი ამბები“), დამცველი და ბრალმდებელი დაუღა-

ლავი საქმიანობა და მოუსვენრობა, — აი მისი მოღვაწეობის უმთავრესი ხაზები! არ არის არცერთი დაწესებულების დარგი, სადაც მას არ შეეხედნოს, ვაი მას ვისაც წაეკიდებოდა! არ მოეშვებოდა, ვიდრე კუდით ქვას არ ასროლინებდა! მაგრამ ეს რაა, შინაურებთან გამკლავებას როდი ჰქმაროდა, საჭირო იყო უფრო მაღალ სფეროში გადასვლა. როგორც სამშობლო ენის ფრთხილი დარაჯი იგი მოურიდებლად კამათობს, სჩივის, აკრიტიკებს საშინელს რეჟიმს და მოითხოვს სამშობლო ენის უფლებებს! ახლა დაუმატეთ ზღაპრებისა, ხალხურ ლექსების, იგავების კრება, შემდეგ თეატრი, ჟურნალ-გაზეთობა, ბანკი და ათასი სხვა რამ და მაშინ წარმოიდგენთ აკაკის ღვაწლის სიდიადეს, მის ძრავალფეროვან ნიჭს, მის უკვდავ მადლსა!

მაგრამ უდიდესი ღვაწლი, როგორც ზემოთ გაკვრითა ვსთქვით, ეს გახლავთ ენის გაფაქიზება, გასუმბუქება. ყმაწვილობითვე შეყვარებული ბუნება მის ნაწარმოებში საოცარ განსახიერებას ჰპოულობს. აიღეთ სანიმუშოთ განთიადის აღწერილობა, პოემიდან „თორნიკე ერისთავი“ და მაშინ, მხოლოდ მაშინ წარმოიდგენთ ჩვენი ქურუმის ჯადოსნობას! იქვენ დაინახავთ თუ მისი გრძნობა, ბუნების წიაღში ჩაწვდომა როგორ სიდიადით მოუხერხებია, რომ მისი სიკეკლუცე მზიურ დღესასწაულის ჰიმნათ აგვიწერა! მისი მხატვრული ოცნება ახალ მითოლოგიად გადაგვიშალა და ღმერთებს დაშორებულთ მოგვაწყურა ახალ ღმერთების ხილვა, რომელთა ქვეშაც კვლავ სამშობლოს სახელი იქნებოდა წარწერილი სხვადასხვა სახით, სხვა და სხვა ფერადებით („პატარა კახი“, „ნათელა“, „თამარ ცბიერი“, „თორნიკე ერისთავი“ და სხვა). ჩვენი საბრალო ენა, რომელიც არც ერთ სახელმწიფოში არ ისწავლება და თვით ჩვენს მამულშიაც ხშირად შეურაცხყოფილია თვით ჩვენგანვე, აკაკის წყალობით იპყრობს სხვა ერთა ყურადღებას, მის ნაწარმოებს სთარგმნიან, აღტაცებაში მოდიან! თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გატყავებული აპოლონი[14] თვით კუზიან და მახინჯ ეზოპზედაც[15] უმსგავსოთ გამოიყურება, მაშინ ერთი ათად მნიშვნელოვანი გახდება აკაკის პოეზია, როდესაც მხურვალე გამოძახილს ჰპოვებს ყოველგან თვით ამ „გატყავების“ შემდგომაც კი! საყოველთაოდ შორს გასული მისი სახელი შემთხვევითი როდია: ამას თვით ჟინიანი ფორტუნა მოითხოვს. იგი ფერია აპოლონს მოუხმობს და მისი მზიური ეტლით მოტაცებულ მგოსნის სახელს ერთი ქვეყნიდან მეორეში გააქროლებს! აკაკი მგოსანთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც მგოსნობით იხვეჭენ სახელს? არა. იგი თვით მგოსნობასა ჰქმნიდა და სწორედ ეს არის მისი უდიდესი ღირსება! მისი მასწავლებელი ერთად-ერთი შოთაა და ხალხური დაუშრეტელი გენიოსობა, რომელიც თვით მის დიდებულ აღსრულებამდე საუცხოო ფერადებს აწვდიდა ხელთუქმნელი პალიტრიდან...

რუსები პუშკინზე ამბობენ: „პუშკინი ჩვენი ავლადიდება არისო!“ თუ ეს შეუძლიათ ნაკლები იურიდიული უფლებით სთქვან პუშკინზე,

მით უფრო სრულის უფლებით შეგვიძლიან ვსთქვათ ქართველებმა, რომ ჩვენი ქურუმი, მართლაც, მთელი ჩვენი ავლადიდება იყო! როგორც დიდებულმა მოძღვარმა გვიჩვენა გზა, შეჰქმნა მიმდინარეობა და აჰა, როდესაც მოიქანცა, ნელა მისდო განსასვენებელ ყურთუკზე თავი და „დამშვიდებით მიიძინა“. ბედნიერია მგოსანი, რომ სამარადისოდ მორჩა ტანჯვა, მაგრამ უფრო უბედნიერესი იქნებოდა, თუ მისი გული, ახალგაზრდა საქართველო, მის ნაამაგდარსა და ნაშრომ-ნაღვაწევს კეთილგონიერად მოიხმარს და შეიყვარებს მას, რასაც ჩვენი მხცოვანი მწყემს-მთავარი დიდი ქურუმი თავის ღმერთ-ხატად ისახავდა; სამშობლოს სამართლიანობას და... შრომის სუფევას!..

ივ. გომართელი.

აკაკი

ბავშვი ვიყავი, როდესაც ის პირველად ვიხილე. მთელმა გარეგნობამ, განსაკუთრებით კი იშვიათმა თავმა შემიბოჭა ბავშვის ყურადღება და შემიყვარდა მისი ლამაზი, მომხიბლავი სახე.

სიჭაბუკეს წამოვეწიე, როდესაც პირველად დავეწაფე მის პოეზიას; ნორჩი გული მოჰხიბლა, მოაჯადოვა მისმა მოსხლეტილმა, ცქრიალა, მარდმა, ბროლივით წმინდა სიტყვამ.

მე შემიყვარდა მისი ლამაზი, მომხიბლავი სიტყვა.

ყრმა ვიყავ, როდესაც პირველად გავიცანი ის. მე დამატკბო, დამათრო მისმა ტკბილმა, საამოდ მოჩუხჩუხე ენამ.

მე შემიყვარდა მისი ლამაზი, მომხიბლავი ენა.

ღრმად ჩავიხედე მის პოეზიაში. შიგ დავინახე გული, რომელიც სამშობლოს კეთილდღეობის სამსხვერპლოზე ღვთიურის ცეცხლით იწვოდა.

დავიჩოქე და სიყვარულით ვეამბორე ამ ლამაზ, მომხიბლავ გულს...

ყმამა განვლო, მომწიფებული გონება დარწმუნდა, რომ ის ხედავდა გენიოსს და მე თაყვანი ვეცი ქართველი ერის დიდებას, ქართველი ერის სიამაყეს. განგებამ ყოველისფერი მისცა მას, რომ ის დიდებული ყოფილიყო, და დიდებული იყო.

განგებამ ისურვა, რომ ის უკვდავი ყოფილიყო, და ის უკვდავი გახდა.

განგებამ ყოველივე იღონა, რომ ის ბედნიერი ყოფილიყო, და ბედნიერი იყო. როდესაც მთელი საქართველო ერთხმად ამბობდა: ჩვენი აკაკიო, ამაზე მეტი ბედნიერება ქვეყნად არ არსებობს.

ის, რაც ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა მახვილითა და სისხლით ვერ შესძლეს, აკაკიმ კალმით შესძლო: მან გააერთიანა მთელი საქართველო; მთელმა ქართველობამ აკაკის გარშემო მოიყარა თავი და არა თუ შეიგნო, იგრძნო, განიცადა ეროვნული მთლიანობა.

აკაკი იყო უდიდესი, უძლიერესი მჭედელი ჩვენი ეროვნული გათვითცნობიერებისა და მთლიანობისა.

ქართველმა ხალხმა მასში იცნო თავისი თავი, მასში იწვამა თავისი მომავალი და შეიყვარა ამიტომ ის ისეთის სიყვარულით, რომელიც მარტოდ უკვდავთა, გვირგვინოსანთა ხვედრია!

განა აკაკი გვირგვინოსანი არ იყო? ოჰ, მერე როგორი! თვით კეისარსაც შეენატრებოდა მისი გვირგვინი.

აკაკის გვირგვინი არც ხელით შეიქმნება, არც ფულით შეიძინება, არც ძალით მოიპოვება, — ის განგებამ არგუნა მას და ხალხის, მთელი ერის სიყვარულმა თავზე დაადგა.

მოხდენილი და თვალტანადი, ლომივით გამომეტყველი და ბავშვივით კეთილი, ენა ტკბილი და სახე სპეტაკი — ღირსეულად ატარებდა ამ გვირგვინს.

— საქართველოს უგვირგვინო მეფეო, მასზედ ამბობდნენ.

რა გაუგებრობაა?

გვირგვინოსანზე უფრო გვირგვინოსანი-აი აკაკი!

აკაკიზე ვინ იტყვის — მოკვდაო?

ვერავინ, — ის თავის არსებაში დაბადებიდანვე უკვდავებას ატარებდა.

ის მზე იყო, რომელსაც ყველგან სინათლე და სითბო შეჰქონდა. მარტო მისი პიროვნება სიხარულით, სიტკბოებით, სიამოვნებით ავსებდა ყველას. მისი ენა, მისი ტკბილი სიტყვა ყველას ათრობდა, მისი სიცილი ყველას ამხიარულებდა.

სიცოცხლე, სიხალისე, მხიარულება, აღფრთოვანება—აი რას აბნევდა უხვად აკაკი მუდამ მხიარული, მუდამ აუწერელი ღიმილით გაბრწყინებული, მაშინაც კი, როდესაც ცრემლში ნაღველსა ჰლესავდა.

ვიდოდი ხალხში შეუპოვარად
პირ-ბადიანი და მომღიმარი,
მაგრამ კი ჩუმად მიწურავს ღვარად
ოხვრით ნართავი ცრემლები მწარი.

და ეს უკვდავი ადამიანი, რომელიც თითქოს იმისათვის დაიბადა, რომ მუდამ მხიარული, მუდამ მოღიმარი ყოფილიყო, ჯოჯოხეთს ატარებდა გულში!

ეს ჯოჯოხეთი მისი საყვარელი სამშობლოს სვე-ბედი იყო. ეს მზეჭაბუკი, ეს მზესავით ნათელი, ბრწყინვალე და სახე-სპეტაკი, ცრემლში ნაღველსა ჰლესავდა და მელნად ხმარობდა! ბუნებისაგან ყველაზე უფრო იყო შემკული და ამიტომ ყველაზე უფრო იგრძნო, ყველაზე უფრო ღრმად განიცადა სამშობლოს ტრაღედია, და, როდესაც ის პირბადიანი და მოღიმარი ეჩვენებოდა სხვებს, იმის გულში ამ დროს ცეცხლი გუგუნებდა.

და მან უარყო ყოველივე, რაც მას, „სამცონარეო დიდებას“ უქადდა და

სული და გული, ბუნების ნიჭი,
სიჭაბუკე და წამი ყოველი

თავის ბედმწარე სამშობლოს შესწირა.

საქართველოს აღორძინება,—აი აკაკის არსებობის, მისი სიცოცხლის მიზანი. ეს დაუშრეტელი წყარო სიკეთისა და სიყვარულისა შეუბრალებელი იყო, სასტიკი, მკაცრი, როდესაც ვინმე მას ამ გზაზე გადაეღობებოდა.

იმისი სიყვარულით სავსე თვალები მრისხანების ისრებს აფრქვევდნენ, მისი ლამაზი, ცქრიალა, კოპწია სიტყვა გახურებულ რკინად იქცეოდა, მისი ტკბილი ენა გესლისა და შხამის მახვილად გახდებოდა, მისი ხალისიანი ღიმილი საშინელ დაცინვად, როდესაც ის მტერს დაინახავდა; — ამ დროს აკაკიმ არ იცოდა შებრალება-ის მრისხანე ღმერთი იყო, რომელიც მიწასთან ასწორებდა ყველას, ვისაც კი ნიშანში ამოიღებდა.

მტერი კი მისთვის იყო ყველა, ვინც მისი სამშობლოს აღორძინებას რაიმე თვისებით ან მოქმედებით ხელს უშლიდა.

რუსთველის შემდეგ საქართველოს არ ჰყოლია მთელის თავისის არსებით, ბუნებით ისეთი სრული ოლიმპიელი, როგორც აკაკია. ამავე დროს ოლიმპზე ცხოვრება მას ჭირივით სძულდა.

შუა კაცი ვარ უბრალო.

და ეს დიდებული ადამიანი, მართლაც უბრალო, სადა, თავმდაბალი, ყველას ძმა და ამხანაგი იყო.

რატომ?

იმიტომ, რომ აკაკი სრული დემოკრატი იყო მარტო რწმენით კი არა, მთელის თავისი არსებით.

არ მოვიმადლებ, არ მინდა
მამაპაპური წყალობა...
სამცონარეო დიდება
და მათი ჩამომავლობა!

აკაკიმაც დემოკრატიის გზას მიმართა სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი მოწინავე წოდება, მომქმედი ინტელიგენცია მონის პოლიტიკითა სცდილობდა თავისი ეროვნული იდეალების განხორციელებას.

უდაბნოსა შინა ობლად გაისმოდა აკაკის ხმა.

ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა?

მაგრამ მას სწამდა, მან იცოდა, რომ სიმართლე მისკენ იყო და არაფრისა არ ეშინოდა.

და ეს დიდებული ადამიანი მთელი თავისი სიცოცხლე იბრძოდა ღვთიურის ცეცხლით, ღვთიურის ნიჭითა და მადლიანი კალმით.

დადგა დრო — ჩვენ ვნახეთ, ჩვენ ხომ მოწმე ვიყავით — აკაკის ძახილმა გამოაღვიძა, გამოაფხიზლა მთელი ქართველი ერი...

ბევრი ჩვენი მხცოვანი მოღვაწე შედრკა ამ მოძრაობის წინაშე. აკაკი სიხარულით, პირზე ღიმილითა და მხიარულათ მიეგება მათ.

სხვანაირად ვერც მოიქცეოდა ის ადამიანი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე თავისი საყვარელი ნესტან დარეჯანის[1] — საქართველოს აღორძინებისათვის იბრძოდა. აკაკიმ სამშობლო მიიღო მიძინებული, მოდუნებული; ჩვენ დაგვიტოვა გამოფხიზლებული.

აკაკიმ სამშობლო მიიღო დაქსაქსული, დაჭუცმაცებული: ჩვენ დაგვიტოვა შეკავშირებული, შედუღებული.

აკაკი მთელი თავისი სიცოცხლე ზრდიდა თავის გულში ქართველი ხალხის ეროვნულ გათვითცნობიერებას და მან თვითონვე იხილა ნაყოფი თავისი ბრძოლისა და ტანჯვისა: ქართველი ერი აკაკის გარშემო გაერთიანდა.

თაყვანი ვსცეთ დიდებული ადამიანის წმინდა ნეშტს და მის წინაშე აღთქმა დავდოთ, რომ იმის ეროვნულ იდეალებს საერთო ძალღონით ვემსახურებით.

გ. თუმანიშვილი

აკაკი წერეთლის მნიშვნელობა ქართულ მწერლობაში

(ბოგონება)

ახლა ყველასათვის ცხადია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს განსვენებულ აკაკი წერეთლის პოეზიას ქართულ მწერლობაში. ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენმა დიდებულმა პოეტმა გაჰკაფა ახალი გზა სამშობლო ლიტერატურაში. ის იყო ქართველი პუშკინი[1], დაუახლოვა მწერლობა ხალხს და ხალხი მწერლობას.

ის საკვირველი ცოცხალი ენა, ის მოსწრებული სიტყვა, რომელიც შემოიტანა პოეტმა ქართულ პოეზიაში, უკვდავად ჰხდის პოეტის ღვაწლს. ამ უკანასკნელ ოც წელს ეს ყველასათვის ცხადი იყო, მაგრამ ადრე, სანამ ამ ჰეშმარიტებას შეითვისებდნენ ჩვენში, განსვენებულ პოეტს სულ სხვა თვალით უცქერდნენ კრიტიკა და საზოგადოება, და პოეტმა ბევრი ტანჯვა გამოიარა.

აკაკი გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე მეხამოცე წლებში წარსული საუკუნისა. იმ დროს სალიტერატურო ფორმას რუსეთში არაფერ-

მნიშვნელობას არ აძლევდნენ, პუშკინსა და ლერმონტოვს[2] დასცინოდნენ. ახალგაზრდობას, სწამდა მხოლოდ ბუნების მეცნიერებით სარგებლობა. დიდად პატივს სცემდა კრიტიკასა და პუბლიცისტიკას, მაგრამ ჭმინდა ხელოვნებას და პოეზიას ზურგს უქცევდა. ასეთივე მიმართულება მეფობდა ჩვენშიაც. „საქართველოს მოამბეში“[3], სადაც განათლებულმა ქართველმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი, აკაკი წერეთელს ვერ ეხედავთ. მხოლოდ ცოტა გვიან კირ. ლორთქიფანიძის[4] კრებულ „ჩონგურში“[5] შევხვდებით ორიოდ ლექსს აკაკისას, გ. წერეთლის[6] და ნ. ნიკოლაძის[7] „კრებულშიც“[8] პირველად დაიფასა ის და იქ შეგვხვდება აკ. წერეთლის ლექსები, მაგრამ ძლიერ იშვიათად. კრიტიკა სდუმს. იმაზე არამც თუ მთელ სტატიებს, მოკლე შენიშვნებსაც კი ვერ ვპოულობთ.

როცა დაველაპარაკებოდი მაშინდელს განათლებულს ახალგაზრდებს აკაკის პოეზიაზე, მესმოდა მხოლოდ დაცინვა. ყველა ერთხმად ამბობდა: ლექსი ხელოვნურად არის დაწერილი, მაგრამ აზრი ვერაფერია შიგ. ყველა თხოულობდა, რომ პოეტს, როგორც მასწავლებელს, ან მოძღვარს, ესწავლებინა რამე მკითხველისათვის, ან ექადაგნა რამე ახალი რწმენა, თითქო ყველას დავიწყებოდა, რომ ხელოვნებას სხვა დიდი დანიშნულებაც აქვს — ხელოვნურად დახატვა სიცოცხლისა და ადამიანის გრძნობისა.

მაგრამ საზოგადოებისა და მწერლობის ასეთმა გულის სიცივემ არ აცივნა პოეტს გული მწერლობაზე. ის დაუღალავად მუშაობს, სწერს ჟურნალებისა და გაზეთებისათვის, სწერს თეატრისათვის, სწერს დიდებისა და პატარებისათვის, სწერს ლექსებს, ფელეტონებს, მოთხრობებს, ზღაპრებს, იგავებს, პიესებს, სცენებს, ისტორიულ და ეკონომიურ სტატიებს. სწერს კრიტიკას, აგროვებს სახალხო პოეზიის ნაწარმოებს, ბეჭდავს იმათთვის საკუთარ ჟურნალში, კითხულობს ლექციებს. ასეთი დაუღალავი და ნიჭიერი მოღვაწეობა ბოლოს და ბოლოს დააფასა საზოგადოებამ და კრიტიკამ. მაგრამ ყველაზე ადრე პოეტი დააფასა ხალხმა. ხალხში ზეპირად სწავლობენ აკაკის ლექსებს, ყველგან მღერიან მის სიმღერებს. აკაკი შეიყვარა გაზეთების უბრალო მკითხველმა, თეატრის მაყურებელმა. აკაკი შეიყვარეს ყმაწვილებმა და ბოლოს აკაკის მნიშვნელობას მიხვდა კრიტიკაც, ის დაუნდობელი კრიტიკა, რომელიც დიდ ხანს უნდობლობის თვალით უყურებდა ნიჭიერ პოეტს.

მე ამით მინდა ვთქვა, რომ ნამდვილი ნიჭი ყოველთვის გაიგნებს თავის გზას და გამობრწყინდება, რაც უნდა დამალონ ის ხალხისაგან და საზოგადოებისაგან. რო დაველაპარაკებოდით ხოლმე პოეტს, გვეგონა, რომ იმისთანა მხიარული კაცი ქვეყანაზე არსად მოიპოვება, ნამდვილად კი იმის გული ჰკვნესოდა, რადგან არსად ნამდვილად დაფასებული არ იყო. საზოგადოებაში იმისი ეშინოდათ, ეშინოდათ იმისი ბასრი ენისა. მწერლობაში ერთბაშად ვერ გაეგოთ იმის მიმართულება, იმის ენა თითქო ჰფარავდა იმის მაღალ იდეალებს, ღრმა სიყვარულს სამშობლოსადმი.

მაგრამ მოვიდა დრო, როცა ყველასათვის ცხადი გახდა მისი ნიჭის სიძლიერე.ამას ვეღარავინ ვერ აღუდგა წინ და ორმოცდაათი წლის იუბილე იყო სახალხო სიხარული და უსაზღვრო აღტაცება.

ვსევოლოდ ჩაგოვეცი

„კიევსკაია მისლი“.! საქართველოში ეროვნული გლოვაა. გარდაიცვალა ეროვნული ქართველი პოეტი, მხცოვანი და კეთილშობილი აკაკი წერეთელი. ან და, როგორც გულითად მოსიყვარულეობით მას უწოდებდნენ, უბრალოდ სახელით — აკაკი....

ეს საკმარისი იყო.

მე ვნახე ეს მშვენიერი ადამიანი და საუცხოო სახალხო პოეტი სულ ახლა, ტფილისში ყოფნის დროს.

მან ძლიერ დამაინტერესა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, თუ ვინ მაინტერესებდა...

გოლოვინის[2] პროსპექტზე ნელა მოდიოდა მოხუცი და თითქოს არავის არ უცქეროდა თავისი დიდრონი მოელვარე თვალებით, საუცხოო პირისახით, რომელსაც შემოვლებული ჰქონდა მოვერცხლული, თეთრი წვერი, სპეტაკი, როგორც დილის თოვლი.

მაგრამ გამვლელნი შეხვედრისთანავე ნაბიჯს ნელა სდგამდნენ, ქუდებს იხდიდნენ და მოკრძალებით თავს უკრავდნენ.

განსაკუთრებით კი ბავშვები. ისინი შეჩერდებოდნენ, მაშინვე ქუდს მოიხდიდნენ და სიხარულით გაბრწყინებული სახეებით მიესალმებოდნენ ხოლმე.

ვინ არის ეს კაცი რომელსაც თქვენ თავს უკრავთ? — ვკითხე მე. — როგორ? -ნუთუ თქვენ არ იცით? ეს ხომ ჩვენი აკაკია. ჩვენი პოეტი... წერეთელი.

ძლიერ მასიამოვნა ქართველი ხალხის ასეთმა მოპყრობამ პოეტისადმი.

მე ვამბობ „ხალხის“, რადგან მას ყველა იცნობდა, იგი ყველასი მახლობელი იყო, ყველასათვის ძვირფასი: როგორც ნათესავი და საყვარელი.

შემდეგში მე არაერთხელ შევხვედრივარ მას.... იგი ხანდახან მოვიდოდა ხოლმე საზოგადო კრებაზე, სადაც მას საერთო ყურადღებით და მზრუნველობით ეპყრობოდნენ; აქ იგი, უკვე ღრმა და სუსტი მოხუცი, თითქოს დავიწყებას ეძლეოდა... გამოცოცხლდებოდა, გადადიოდა შორეულს წარსულში.

მისი გასაოცარი თვალები თითქოს ქვეყნის იქითა მხარეს იცქირებოდნენ და ის სანახაობა, რომელიც ამ თვალების წინაშე იშლებოდა, თითქოს არაფრით არ აშინებდა მათ, არც აშფოთებდა.

თვალები მისი მშვიდი და ნათელი იყო... და მთელი სახეც დამშვიდებული და ნათელი და პირისახის ნაოჭებიც კი მბატევრულის გაბრწყინებული სხივებით იშლებოდნენ.

იშვიათი სილამაზის სახე. იწვევდა მხატვარსა და მოქანდაკეს.

გულკეთილი, გულსადა, იგი ისეთ ბავშვად ეჩვენებოდა კაცს, როგორც ნათქვამია: — ამისათვის არის სასუფეველი[3]. არაეის სმენია მისგან სიტყვა საწყენი ან ლანძღვა. ყველასათვის იგი იყო კეთილშობილურ სულიერ სიმაღლის სიმბოლო.

ყველამ იცოდა, რომ მიუხედავად მოხუცებულობისა, მიუხედავად მხედველობის სისუსტისა, — სამოცდათხუთმეტი წელი ცოტა ხანი არ არის? — მაინც გართულია სალიტერატურო მუშაობით, რაღაცასა სწერს, მუშაობს რაღაც ახალი პოემის შესაქმნელად. თანამედროვე თემაზე, და ყველანი ელიან, ამ პოემის გამოქვეყნებას, რომელშიაც, იმედოვნებდნენ, უნდა გამოსახულიყო საქართველოს სულიერი განწყობილება, მისი გულისნადები.

— აკაკი პოემასა სწერს. მალე გაათავებს, შობისთვის, — ასე ამბობდნენ მცოდნენი.

შემდეგ კი უეცრად გავრცელდა ხმა, აკაკი ავად გახდაო. იგი დაბრუნდა თავის სახლ-კარში საჩხერეში, მის მშობლიურ ბუდეში, რომელიც მათ წინაპართ ნაანდერძევი ჰქონდათ ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნეში მეფე კონსტანტინეს[4] დროს.

იქ მას ავადმყოფობამ სძლია, და თუმცა პოეტს გრძნობა არ დაუკარგავს და უკანასკნელ დღეებში კი მეგობრებს იღებდა და შათ ხალისით ესაუბრებოდა, მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო, რომ საქართველოს პოეტის საათები უკვე დათვლილია.

მე გულდასმით ვადევნებდი თვალყურს გაზეთებში სახელოვან მოხუცის, მხცოვან პოეტის ავადმყოფობის მსვლელობას. როდესაც გულგასაკეთებელ ამბებს ვკითხულობდი, მეჩვოდა, რომ ეს ხდებოდა მხოლოდ მისი მეგობრების დასამშვიდებლად, მიტომ რომ ამ დასამშვიდებელი ცნობების გვერდით იბეჭდებოდა ხოლმე პოეტის ავადმყოფობასთან დაკავშირებული ცნობები უფრო გარკვეული ხასიათისა...

ძნელი წარმოსადგენია, საქართველოს მწუხარება, რომელიც ამ დაკარგვამ გამოიწვია! მიტომ რომ ძნელი წარმოსადგენია ცოცხალი ადამიანი, ასეთი საყვარელი და მეტიც — საღმერთებელი ყოფილიყოს, როგორც აკაკი.

მეგობარი. საყვარელი ქართველი ხალხისა, მისი მგოსანი, იგი იყო ხალხისათვის მთელი ეროვნული პოეტური სილამაზის ცოცხალი განსახიერება. ძნელი განსასაზღვრელია, რა მიიღო აკაკიმ ხალხისაგან და რა აჩუქა მას: რადგანაც ყველაფერი ერთი სულისაგან შეიქმნა, რომელიც ერთიანად არსებობს ხალხის მრავალგვარ შემოქმედებაში და რომელმაც პოეტის სული ძვირფას საჭურჭლედ აირჩია.

იგი მღეროდა, -და მისი სიმღერები ხალხის საკუთრებად ხდებოდა, მისი მისაწვდომი.

ხალხიც მღეროდა და პოეტის სულში ინთებოდა და ბრჭყვიალებდა მრავალფეროვანი ძვირფასი თვლები იმავე ხალხურ პოეზიისა.

სალიტერატურო ბრძოლის ასპარეზზე იგი გამოვიდა და ოცნებისა და აღორძინების ხანაში ილ. ჭავჭავაძესთან ერთად მან ჩაუყარა საძირკველი ხალხურობას, რომელმაც გასწყვიტა კავშირი ფეოდალიზმის ნაშთებთან.

ილ. ჭავჭავაძე სწერდა მოთხრობებს, რომელშიაც ხატავდა ხალხის ტანჯვას ბატონყმობის ბორკილებში, აკ. წერეთელი კი ყურს უგდებდა ხალხის სულისკვეთებას და მისი მისწრაფების, ლტოლვილების, სევდისა და მწუხარების პოეტი იყო.

მისი სიმღერა ხალხის გულს მისწვდა, მასთან ერთად იცოცხლებს საუკუნოდ, რადგანაც ხალხი უკვდავია, მაშ უკვდავია პოეტიც.

სამსონ დადიანი

საზოგადოებრივი აზრები აკაკის პოეზიაში

....ოფლით მოვრეცხავ სამშობლოს,
იმ წმინდა სისხლით ღებულსა,
რომ შეეყაროს პირნათლად
იქ ჩვენ წინაპრებს ქებულსა!...
აკაკი

არა, არ უნდა სტიროდეს დღეს ქართველი ერი! სატირალი მაშინ გვექნებოდა, მას თავისი ნიჭი, თავისი ძალა და ენერგია მსხვერპლად რომ არ შეეწირა თავისი სამშობლოსათვის. დღეს თუ ხვალ უნდა აღსრულებულიყო გარდაუვალი კანონი გულქვა ბუნებისა და ქართველი ერიც ბრძნული სიდინჯით გადიტანს მწუხარებას, როდესაც მშობლიური მოსიყვარულე თვალით გადახედავს მისი ღირსეული შვილის ნაამაგარს.

...სული და გული, ბუნების ნიჭი
სიჭაბუკე და წამი ყოველი
შენ შემოგწირე და რა მივიღე
სამაგიერო მე სასყიდელი-ო?

უსაყვედურა პოეტმა თავის სამშობლოს ჟამსა სასოწარკვეთილებისასა, რადგანაც თვითვე გრძნობდა თავისი ღვაწლისა და სამშობლოს წინაშე დამსახურების სიდიადეს. შეგნება თავისი მნიშვნელობისა იმის მაჩვენებელია, რომ იგი შეგნებულად დაადგა იმ თავითვე იმ გზას, რომელმაც პოეტს უკვდავება მოახვეჭია, რადგანაც უკვდავია ქართველი ერი და აკაკის სახელიც მის გულშია სამარადისოდ აღბეჭდილი. შეუძლებელია არ-

სებობდეს ქართველი ერი და როდისმე ამოიშალოს მის ისტორიაში ის უმშვენიერესი ფურცლები, რომელნიც დასწერა თანამედროვე საქართველოს მამამთავარმა ილიამ და აკაკიმ! თითქმის ერთად შემოადგეს ილიამ და აკაკიმ ფეხი თავის „ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტ“ სამშობლო მხარეში და ერთნაირად შესწირეს აკაკისავე პირით რომ ვთქვათ, „იმ თავიდან ამ ბოლომდე სულ სწორი გზით მიმავალი ცხოვრება“

საჭი სამარადისო საკითხი გამხდარა პოეზიისათვის დაუშრეტელ წყაროდ, ისეთივე ძველია სამივე, როგორც თვით ქვეყანა და იმდენადვე მიუწვდომელი და გადაუწყვეტელია, ვით თვითონ შემოქმედი.

გაჩნდა თუ არა, უკეთ, იგრძნო თუ არა ადამიანმა თავისი ადამიანობა, იგრძნო თუ არა მან თავის გარშემო ბუნება, იგი მას ნათესაური კავშირით გადაება; იგი იქიდან იღებს სიმწარესა და სიამეს და ხან სწყევლის და ხან კი ეტრფის. გაჩნდა თუ არა ადამიანი, მას იმწამსვე თავში გაუელვა, საიდან მოველ და საით წავალო: დღესაც ამის პასუხი ვერ უპოვნია. მთელი მსოფლიოს ხელოვნება იმას სცდილობს იმ საზღვარს გადალმაც გადაიხედოს, საითკენაც ემპირიული მეცნიერება არ იხედება და ამით გვხიბლავს, რადგანაც იდუმალობა აღიზიანებს ჩვენს გრძნობა-გონებას. როგორ შეეხო აკაკი ამ სამარადისო საკითხებს? გასაოცარია, რომ აკაკისათვის თითქოს არც კი არსებობს უსაშინელესი და უძლიერესი მოვლენა, რომელიც შხამავს ყოველი ცხოველი არსების შეგნებას და რომელსაც სიკვდილი ეწოდება! აკაკი თითქმის არც დაფიქრებულა სიკვდილის ულმობლობაზე, ერთი ლექსიც კი არ გაუმეტებია იმისათვის და თუ ერთხელ დაფიქრდა წუთისოფლის ხანმოკლეობაზედ და ინატრა სიკვდილი, ისიც ანაზდეულად და იმდენად სიცოცხლით სავსეა იგი, რომ უიმედობას ხანგრძლივად ვერ ემორჩილება, ერთი ძლიერი შერხევით ჩააქრობს სევდის ალს და იმედიანად დასძახებს:

არა! აყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჰაღარა,
გმირებს დაეძებს, უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა!

როგორ მოერია, როგორ დასძლია პოეტმა სიკვდილის საშიშროება? ამის ახსნა ჩვენ მის ნებისყოფაში, ხასიათის სიმტკიცეში და მოქალაქეობრივ ფანატიკოსობაში უნდა ვეძიოთ. იმ ადამიანისათვის, რომელსაც საზოგადოებრივი, საერთო, საერო გაუბატონებია ინდივიდუალურზე, პირადულზე, რომელსაც ადამიანის არსებობის მიზნად ქვეყნის ინტერესების სამსახური, მისთვის მსხვერპლად განწირვა უმაღლეს საგმირო საქმედ გაუხდია, იმისათვის სიკვდილი საშიშროების კი არა, პირიქით, ამ მიზნის განხორციელების აუცილებელი შედეგია. და ეს ფსიხიკა რომელისამე ერთი ეპოქის, რომელისამე ერთი ჯგუფის ან კლასის ფსიხიკა არ არის, მაგრამ ყოველთვის გამოცხადდება ხოლმე საზოგადოებრივ ცხოვ-

რეჩის არაჩვეულებრივი რყევის დროს. ან რომელისამე ახალი იდეის ღაბადების ჟამს. არ არსებობს სიკვდილი მორწმუნე მაჰმადიანისათვის ისევე, როგორც არ არსებობდა იგი პირველ ქრისტიანთათვის; არ არსებობდა სიკვდილი საშუალო საუკუნეებში სარწმუნოებათა უპირატესობისათვის მებრძოლთათვის ისევე, როგორც არ არსებობდა იგი გალილეისათვის[1], რომელსაც სიკვდილის საშიშროება დააძლევინა სიმართლის სიყვარულმა. მით უფრო ძლეულია სიკვდილი ასეთ ადამიანთა ფსიხიკაში, რომელთა ბუნება მთლიანია, და, მაშასადამე, მთელი თავისი არსებით ეძლევიან ერთს იდეას. ასეთ იდეად კი მესამოცე წლებს, იმ დროის მოღვაწეებს და განსაკუთრებით ილიასა და აკაკის, დასახული ჰქონდათ ეროვნული იდეა, ერი და მისი ბედნიერება. აკაკიმაც. როგორც ილიამ, პირადი ბედნიერება, ნეტარება, ტკბობა, სიყვარული მსხვერპლად შესწირეს „ქვეყნის“ ინტერესებს. იმიტომ უყვარს პოეტს „ცა-ფირუზ, ხველეთ-ზურმუხტი“ სამშობლო მხარე, რომ. ყოველი ბორცვი, ყოველი საფუძლოდ მოდუდუნე ნაკადული, ყოველი ხევი მას თავის ქვეყნის დიდებულ წარსულს აგონებს. მშობლიური ბუნება ისე დაუკავშირდა მის სულს, რომ უსიტყვოდ ესმით მათ ერთურთის გულისთქმა. როს პოეტს გულის მღრღნელი სევდა ეწვევა, თითქოს ბუნებაც თანაუგრძნობსო, მოღრუბლილი გაღმოჰყურებს მთაწმინდა[2] მოდუდუნე მტკვარს, მაგრამ აღტაცების დროს კისკასით ეგებებიან მას სამშობლო ცის მზე და მთვარე. სამშობლო მიდამოებზე იგი კითხულობს სისხლით დაწერილ ისტორიას თავისი სამშობლოისას. მგოსანს ეს მიდამო უყვარს იმდენად, რამდენადაც მასთან დაკავშირებულია თვით მისი ერი, რომლის კეთილდღეობისათვის ზრუნვა დაისახა მგოსანმა თავის მოწოდებად.

პესიმისტის სახელით მონათლულია ჩვენში ნ. ბარათაშვილი[3], მაგრამ შეუძლებელია პესიმისტი უწოდოთ ისეთ პოეტს, რომელმაც ირწმუნა:

> „... ცუდად ხომ მაინც არ ჩაიცლის, ეს განწირულის სულისკვეთება
> და გზა უვალი, შენგან თელილი მერანო ჩემო მაინც დარჩება-ო[4].

პესიმიზმი ჰქრება იქ, სადაც ჩაისახება მიზანი და ბარათაშვილმა, ხომ მოუძებნა მიზანი თავის არსებობას! „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოსო“.[5] ამბობდა იგი და ან... „და ჩემ შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდესო“,[6] მე ვხედავ აქ ბარათაშვილისა და აკაკის ბუნების მსგავსებას.

მაგრამ სადაც არსებობს იმედი მომავლისა, უნდა არსებობდეს რწმენაც აწმყოსი, ილიასა და აკაკის თაობა იყო ახალი ეპოქის დამწყები. ახალი აზრების მთესველი და მაშასადამე მას მომავლის იმედებიც ჰქონდა.

> ჩვენ უნდა ჩვენი ეშვათ მყოობადი,
> ჩვენ უნდა მიესცეთ ღრმავალი ხალხს-ო[7].

ამბობდა ილია და იგი დაუღალავად, ღრმად რწმენით, ისეთი რწმენით, რომელიც გორასაც ადგილიდან დასძრავს, იღვწოდა ამ მომავლისათვის,

არ მომკედარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებსო

ამბობდა აკაკი. თუ ზოგიერთ გულმოსაკლავ მოვლენით წამით დაღვრემილობას მიეცემოდა და „თავს ვერ გრძნობდა ნეტარად“, იგი ისევ იმედიანად განაგრძობდა:

... დე, დაზამთრდეს, სუსხმა დაგვკრას,
ქარიშხალმაც გვბეროს ველით!...
ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
თუ გაზაფხულს კი მოველით!...

ფსიხოლოგიურათ შეუძლებელი იქნებოდა მათ ასეთი რმედი არ ჰქონოდათ, რწმენა საუკეთესო მომავლისა და ის კი გაეკეთებინათ, რაც მათ გააკეთეს. საიდან უნდა მიეღოთ ხალისი, ენერგია თუ სატრფო მათ უსულო ლეშად მოსჩვენებოდათ?!

აკაკი ალეგორიებით მწერალი პოეტია, თუ აგრე ითქმის. ჩვენმა მდგომარეობამ დიდი ხანია ქარაგმებითა და ალეგორიებით ლაპარაკს შეგვაჩვია და აკაკიც იძულებული იყო ელინთა[9] ძველ მწერალ ეზოპესავით[9] ორაზროვანი ლექსებით გამოეთქვა თავისი აზრი. აქ არის სწორედ აკაკის დამახასიათებელი თვისება, რომ იგი სწორედ საპროგრამო ლექსებსა სწერდა, მაგრამ მიუხედავად ტენდენციისა, მისი ლექსი ყოველთვის მხატვრული და ფაქიზი იყო, რადგანაც, როგორც მაღალი ნიჭის პატრონი პოეტი, იგი მუდამ მხატვრული სურათებით აზროვნებდა. მოხდენილ შედარებათა გამოძებნაში მას ბადალი არა ჰყავს. აკაკის ლექსებში მთელი ბუნებაა გაცოცხლებული, გაპიროვნებული. ბულბული მისთვის თავისებური აზრისა, იდეის ხატებაა; ფირუზი ცა, ზურმუხტოვანი ხმელეთი, მთაწმინდა, მტკვარი, ვარსკვლავები, ქარი, წვიმა ყოველივე ეს ალეგორიულად ალაპარაკებული ბუნებაა; მთელი მისი პოეზია რაღაც უცნაური შაირებისა და ზმების ხლართულია, მაგრამ ეს უცნაურობა ჰქრება, თუ ვიცით ხერხი ამ ქარაგმების წაკითხვისა, თუ გვაქვს გასაღები ამ მთლიანი მუსიკალური ნაწარმოებისა და ეს გასაღები კი ეროვნული ინტერესია. შორეული წარსულიდან აკაკი ისეთ საგმირო საქმეთ მოგვითხრობს, რომელთაც ახლაც არ დაჰკარგვიათ სულის ამამაღლებელი და აღმაფრთოვანებელი ძალა და მნიშვნელობა.

ეროვნებას იგი ხეს ადარებს, მაშულიშვილთ ფოთლებს და ხეს რომ ფოთლები დასცვივა, ამით მას არა დაუშავდება რაო,[10] ამბობს იგი. პირიქით, ჩვენ რომ ერს შევეწიროთ, ამით ნიადაგი განოყიერდება და ეროვნული ხე ფესვებს უფრო გაიდგამსო. პოეტი სამშობლოსთვის სუ-

ლის განწირვასაც მოითხოვს და ბაგრატ დიდს[11] სამაგალითოდ გვაგონებს, თემურ-ლენგის[12] მოსატყუებლად რჯულიც რომ გამოიცვალა:

ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს,
არ ეთქმის ქვეყნის შვილიო

სამშობლოსათვის თავის განწირვა ბედნიერებად მიაჩნია ცოტნე დადიანს[13] და როდესაც შეთქმულობის თანამოაზრე მისი ამხანაგები მტერს ჩაუვარდა ხელში, იგი უშიშრად მიდის და სიამით იზიარებს მათს ტანჯვას და პოეტიც გვიჩვენებს ცოტნეს და გვასწავლის მასავით სიმტკიცეს, მეგობრობას, ურთიერთის გატანას. ჩვენი წარსულის საუცხოოდ მცოდნე აკაკი ღირსეულ პატივს სცემდა მას, მაგრამ მას სძულდა იქ არსებული სოციალური უსამართლობა, რომელიც ერის უმრავლესობას აწვა კისრად. მას სძაგდა ბატონ-ყმური ურთიერთობა და აგრეთვე ცხოველმყოფელი სიყვარულით უყვარდა მას გლეხკაცობა, როგორც ერის ბურჯი. ეს სიყვარული არ არის სიყვარული ლიბერალისა, რომელიც თავის „უმცროსს ძმას“ ზევიდან ქვევით სიბრალულით დასცქერის, ეს არ არის სიყვარული არც ისეთი ინტელიგენტისა, რომელიც სცდილობდა სათაკილო წარსული და წინაპართა ცოდვები ამ სიყვარულითა და სინანულით ჩაეჩრდილა. პოეტს გლეხი უყვარდა იმიტომ, რომ იგი მისი გამზრდელი იყო. იგი იცნობდა მის მდგომარეობას; გლეხი მას უყვარდა იმიტომ, რომ იგი დაჩაგრული იყო და მგოსნის ჰუმანური ბუნებაც მას თანაუგრძნობდა.

... ოხ, დარდების ამშლელო,
ჩემი გულის ხაზი ხარ!
თავდახრილი მიტომ ვარ,
რომ კისერზედ მაზიხარ.

აი, გლეხის გულის თქმა, რომელიც უკვე მონურად არა ხრის ქედს არსებული უსამართლობის წინაშე, რომელიც უკვე გრძნობს თავისი უბედურების მიზეზს, პოეტი ნანასთან ერთად თავისუფლების სიმღერებს უმღერის გლეხობას და ამზადებს მათ ახალი ცხოვრებისათვის.

გაიზრდები გენაცვალე თავისუფალიო,
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერ გაგტეხს ვალიო

იგი მოუწოდებს ახალს თაობას:

შენი დაჩაგრული ძმები, შენ უნდა იხსნაო

მგოსანი გრძნობს თუ რა სიყვარულითაც არის დაკავშირებული მიწის მუშა მიწასთან და იმიტომაცაა „მუშური“ ასეთი სიყვარულით სავსე და გრძნობით გამთბარი:

ყანაო, მუშის სამოთხე,
გლეხის დიდება, ყანაო!
ცისკრის სხივებმა შეგმოსეს,
და ნამმა გადაგბანაო.
დაგქროლა დილის ნიავმა
ალერსით გითხრა ნანაო,
ჟუჟუნა წვიმამ ზედ დაგკრა
ზურმუხტად აგამწვანაო!

აკაკის პოეზია ენერგიული მოქმედების პოეზიაა; იგი არ ჰქადაგებს მოთმინებას და კმაყოფილებას, იგი გვაქეზებს სამოქმედოთ, მოგვიწოდებს „სამკლად“ ერთად გავიდეთ და უკანასკნელი წლების გამოღვიძების დროს სიხარულით დაჰძახა: „ამას ველოდი-მოვესწარ“-ო.

ამგვარად, უმთავრესი მოტივი აკაკის პოეზიისა, ეროვნული მოტივია, რადგანაც აკაკის დროინდელ თაობას შეგნებული ჰქონდა, რომ ეროვნული სახე მშრომელ მასაშია შენახული და მხოლოდ მას შეეძლო ეტვირთა კიდეც მთელი ერის ბედ-იღბალი, აკაკიც ამ მშრომელის მგოსნად გამოვიდა, იმის გულისთქმას ეცნობოდა.

პიროვნება და მისი ინტერესები; საზოგადოება, ქვეყანა და მისი ინტერესები, ანტაგონისტები არიან, იშვიათად ერთდებიან ისინი და მათი შეთანხმება დიდ სიძნელეს წარმოადგენს. აკაკის ასე ცხადად არ დაუსვამს და ერთმანეთისათვის არ დაუპირისპირებია ეს ორი შცნება, მაგრამ გზა-და-გზა, ცხადია, ისიც უნდა შეხებოდა ამ საკითხს და იმანაც სწორედ „საზოგადოებრივს“ მისცა უპირატესობა „ინდივიდუალურზე“. ზევითაც დავინახეთ, რომ იგი პიროვნებას პირდაპირ მოვალეობად უსახავდა შესწიროდა საერთო კეთილდღეობას და ეს ერთეული ხომ ერი იყო. თუ მისი ჩანგი გმირს დაეძებდა, ისევ იმისათვის, რომ ამ ერისთვის, სამშობლოსათვის საგმირო საქმე ჩაედინა. იგი თუ ხედავდა ირგვლივ უსამართლობას, ამ უსამართლობისათვის ცას არ შეჰლაღადებდა, ცას არ უსაყვედურებდა, არამედ ისევ ადამიანთ აგონებდა, რომ ამ ქვეყანად უბედურებისა თუ ბედნიერების წყარო ისევ ადამიანია და მასზევე იყო მისი ხსნაც დამოკიდებული. იმიტომაც იმედებით სავსეა პოეტის გული, რომ მისი იდეალები, მისი მისწრაფება არ მიაჩნია განუხორციელებლად, შეუძლებლად. აკაკი იმედების, განსახორციელებელი, საღი იმედების პოეტია და იმედიც ის არის, რომ გაჩნდებიან გმირნი, რომელნიც ემსხვერპლებიან „საერთოს“.

როდესაც გავითვალისწინებთ აკაკის მთელ ხანგრძლივს მოღვაწეობას, ვხედავთ რომ უმნიშვნელოდ არ ჩაუვლია ჩვენთვის ამ იმედების მთესველი პოეტის ღვაწლს. ჩვენი თანამედროვე საქართველო სწორედ ამ იმედებით შექმნილი, ამ იმედებით აღზრდილი სიცოცხლით სავსე ქვეყანაა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყოველს თესლს შესაფერი ნიადაგი უნდა შეხვდეს ნაყოფი რომ გამოიღოს, და მგრძნობიერმა პოეტის გულმა

თავიდანვე შეიტყო, რომ სამშობლოს კერა მხოლოდ დაფერფლილი იყო და შიგ კი ცეცხლი იყო შენახული.

მაშასადამე თუ აკაკი მიუხვდა ხალხის გულის თქმას, ხალხმაც იცნო მასში თავისიანი. პოეტმა თამამად გაშალა ფრთა, რადგანაც მის ქნარს ერმა ყური დაუგდო; თუ აკაკიმ გადასტყორცნა ხალხში დიადი იდეები და უკვდავებას ეზიარა, უკვდავია ის ერიც, რომელმაც თავის გულში პოეტს სამარადისო ძეგლი დაუდგა. თუ აკაკი გახდა დიდებული შვილი ქართველი ერისა, ქართველი ერიც ღირსეული მშობელია ღირსეული შვილისა. მესამოცე წლებამდე მიაწიეს ყველა ერთა ეროვნულ მისწრაფებათა ძლიერმა ტალღებმა, რომელნიც ნაპოლეონის[14] მხედრობამ აბობოქრა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. არ დარჩენილა არც ევროპაში, არც რუსეთში არც ერთი ერი, რომელსაც არ გაღვიძებოდეს სურვილი არსებობისა და იმ დროს არა ერთი და ორი გმირი მისცა ეროვნულ იდეას. სწორედ ამ დროს მისცა ქართველებსაც ბრწყინვალე თაობა მე-60 წლებისა და ამ თაობის უდიდესი წარმომადგენელია აკაკიც. ამ ეროვნული ჰიმნის ხმაზე შემოდგა ფეხი მან სამშობლოს სამოღვაწეო ასპარეზზე და თვალებიც მან მაშინ დახუჭა საუკუნოდ, როდესაც ერთხელ კიდევ აგორდა ტალღა სხვა და სხვა ეროვნებათა ცხოვრებისა.

სიმონ ხუნდაძე

დიდებული აკაკის ბრწყინვალე ხსოვნას

„დიდებული ადამიანები სიკვდილის შემდეგაც ჩვენთან რჩებიან, სცხოვრობენ".

რუსეთის ერთ მწერალს უთქვამს: „საქართველოს ისტორია წარმოადგენს ისეთს ხანგრძლივსა და რთულს დრამას, რომელსაც ასი შექსპირიც[1] ვერ ამოწურავსო". ამ სიტყვებში ისტორიული ჭეშმარიტებაა გამოხატული: ქართველი ერის თავზე მრავალი საუკუნოების მრისხანე ქარტეხილმა გადაიარა და მისი მყუდრო, ეროვნული ცხოვრება შეარყია... საუკუნოებით მოზღვავებული მტრები დაუნდობლად კაწრავდნენ ქართველი ხალხის სულსა და გულს და ცდილობდნენ მის დედამიწის ზედაპირიდან ხრულიად მოსპობას... მაგრამ რაინდი ქართველი „მრავალჟამიერის" სიმღერით შეუდრეკელი სიმტკიცით მიისწრაფოდა ბრწყინვალე მომავალი ცხოვრებისაკენ, ვინაიდან მისი ნება და სურვილი მტკიცე და შეუდრეკელი იყო, ვით სალი კლდე...

დავკარგეთ ჩვენი პოეზიის უდიდესი ჭურუმი აკაკი... დავკარგეთ ის, რომელმაც ბეჩავი ერის სამსხვერპლოზე ჩაუქრობელი ლამპარი აანთო ეროვნული თვითშემეცნებისა... დავკარგეთ ის, რომლის გამჭრიახი ჯკუა-გონება ჩასწვდა ერის სულის სიღრმეში და იქ დაგუბებული ლტო-

ლვა და მისწრაფებანი თავის საბრძოლველ საგნად გაიხადა... დავკარგეთ ის, ვინც მშრომელი მასის გათვითცნობიერებაში შეუდარებელი როლი ითამაშა...

მიწის გაცივებულ კალთებს უნდა ამოეფაროს ის, რომელმაც მთელი კულტურული ეპოქა შექმნა ქართველი ერის ცხოვრებაში... სამუდამოდ დადუმდა ის მშვენიერი ენა, რომლის ვარდისფერ სიტყვებით მოჭარგული სურათები თვალს ატყუებებდა და სულსა და გულს ხიბლავდა ნეტარებით, ხოლო მომჯადოებელ სურათებში ჩაქსოვილი გონების „ვზიურ“ მარგალიტებრ გრძნობასა და აზროვნებას ფრთოსან მისწრაფებით მსჭვალავდა და უკვდავების ცხოველ-მყოფ სხივებით დამთვრალს „მშვენიერ ცხოვრებისაკენ“ მიაცურებდა... მოგვიკვდა ის, რომლის ღვთიური ცეცხლით გაღვივებული პოეზია მტკიცე და შეუდრეკელი მოწოდება იყო საქართში ტყვეთ მყოფ ლეჩაქახდილ ნესტან დარეჯანის[2] დასახსნელად... სიკვდილის ცივი დუმილი გადაეფარა იმის ბაგეებს, რომლის ღვთიური სიტყვა მზის ცხოველმყოფელ სხივებივით ეფინებოდა ქართველ ხალხში და ჩაუქრობელ იმედის სხივს ანთებდა მათ გულში.

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“. ეს ცრემლის მორევში შობილი მუსიკალური აკორდია, რომელიც ახე ატკბობს და ახალისებს ქართველ ხალხს და სანატრელი მომავლის იმედს ღრმად უნერგავს გულში...

მაგრამ ნუ თუ მართლა მოკვდა ჩვენთვის აკაკი? არა, ის არ მომკვდარა, მოკვდა მხოლოდ სხეული, სული კი, სპეტაკი სული მარად გააშუქებს ჩვენს დაბეჩავებულ ცხოვრებას, ვით ცხოველ-მყოფ მზის ბრწყინვალე სხივები... აკაკიმ თავისი ღვთიური ნიჭის წყალობით გადალახა დროისა და სივრცის საზღვრები, სძლია სიკვდილის შავი აჩრდილი და უკვდავ პიროვნებად გადაიქცა... მისი სიცოცხლით სავსე პოეზია მარადის გაგვამხნევებს და დაგვატკბობს; მისი ღვთიური სიტყვა კვლავ ანთებს იმედის სხივებს ჩვენს გულში და კვლავ ლაღი სიხალისით წაგვიყვანს ახალ ცხოვრებისაკენ...

მე დარწმუნებული ვარ ამ უბედურობის დროსაც არ უღალატებს ქართველი ხალხი შოთას პირით გამოთქმულ ჩვეულებას: „ჭირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა ვით ქვიტკირსა[3]...

სტ. სიმონ ხუნდაძე

28 იანვარი. 1915 წ.

ი. ც.

აკაკის ჩანგი

(მოკლე მიმოხილვა)

კაცს ბულბულის ენა უნდა ჰქონდეს და ია-ვარდების მგრძნობელობა, რომ სავსებით დახატოს, სავსებით კი არა, დაახლოებით მაინც გადასცეს მსმენელებს ის ზეაღტაცება, ის ზემგრძნობელობა და სინარ-

ნარე აკაკის პოეზიისა, რომელი პოეზიაც ანგელოზთა გალობა გეგონებათ და „დღიურ სიცხადით“ გულდაჩაგრულს ტრფობისა და უკვდავების მთაზე გაყენებთ.

აკაკის ლირიკული ლექსები სიტყვიერი მუსიკაა, თუკი ასე შეიძლება ითქვას. — მუსიკა გულის სიღრმემდე ჩამწვდომი, მუსიკა გამხეცებულ ადამიანის დამამშვიდებელიც კი, მუსიკა ენამზეობისა და ქართული ენის კაზმულობისა.

აკაკის ლირიკული ლექსები, ეს ღვთაებრივი გამოხატვაა ჩვენის მშვენიერის ქვეყნის სიკეკლუცისა, ჩვენის სამშობლო მთების მედიდურობისა და გულჩათხრობილობისა, ჩვენის ერის გულის ტკივილისა, ჭირისა თუ ლხინისა.

აკაკის ლირიკული ლექსები ეს ღვთაებრივი გამოხატვაა ჩვენს ზაფხულის ნიავისა, რომელი ნიავიც ისე საყვარლად აბიბინებს ხოლმე ყვავილ-ბალახებითა და ყანა-ჯეჯილით დაფენილ ველ-მინდორს საქართველოსას.

ლამაზი, სუბუქი, ტკბილი ქართული სიტყვები მარგალიტებად აუსხავს ჩვენს ღვთიურ მგოსანს და დიად ჰანგებათ ქცეული სიტყვები იგი ჯადოქრულის ძლიერებით გატკბობთ, გხიბლავთ, გამხილებთ და გატირებთ. თუ კი რუსეთს შეუძლია იამაყოს პუშკინით! და მსოფლიო პოეტთა შორის საპატიო ადგილი დაეთმოს, ჩვენ უფრო შეგვიძლია ვიამაყოთ აკაკის პოეზიით!... აკაკის „პოეტი“ „ფუტკარია, ხატის ბუზი, ზეცის მუშა, შორს მიფრინავს სამუშაოთ, მიიმღერის უხარია! ყვავილიდან ყვავილებზე გადაბზუის, გადმობზუის, იქაც წუწნის, აქაც წუწნის სათაფლ-სანთლო მასალასა, არ იზოგავს ღვთის მოცემულს არც ნიჭსა და არც ძალასა“! პოეტი აკაკი წერეთლისა —

არც დიდია, არც პატარა,
არც ბატონი და არც მონა,
არც მიწის არის, არც ცისა,
შუა კაცია უბრალო
ხან მიწის არის, ხან ცისა!

აკაკი პირად გრძნობებს გვერდს უხვევს, მას არ ახსოვს თავისი თავი, იგი განხორციელებული ტრფიალია, უკვდავი მგოსანია, სიმბოლიური მღაღადებელია საერთო, საზოგადო, საქვეყნო საქმისა. მისი სატრფოა (ერთადერთი სატრფო) „უწინ ტურფა, დღეს კი ლეჩაქ-მოხდილი“! თქვენ ალბათ მიხვედრილი ხართ, რომ ეს სატრფოა-საქართველო! მაშასადამე, აკაკი წერეთელი გამომხატველია საერო გრძნობათა, საქვეყნო ჰირ-ვარამისა, მისი ტანჯვა-ტანჯვაა ხალხის უმრავლესობისა. ყველაფერი, რაც კი ქვეყნად არსებობს, ზღვა, ცა, მიწა, თუ წყალი, მთანი თუ ღრენი, სულიერი თუ უსულო, ყველაფერი მეთქი, ენას იდგავს პოეტის ხელში და ერთსა და იმავე „სატრფოს“ შესტრფის, შესჩივის,

აფხიზლებს, მკურნალობს, სდარაჯობს. მართალია, სამშობლოსათვის ვოდება არ არის დაუსრულებელი გრძნობა, მაგრამ, ვიდრე „სატრფო“ ავად არის, ვიდრე იგი გზაკვალაბნეულია, ვიდრე იგი ლეჩაქმოხდილი და გაუპატიურებულია, ვიდრე იგიც არ გამოფხიზლდება და ბედნიერი ბედნიერთა შორის არ ჩაერევა. მგოსანს გული საგულეს არა აქვს და მისთვის „მზეც არ ანათებს.“ სამშობლოსათვის თავგანწირული მგოსანი თავის სიცოცხლეს ხატის წინ ანთებულ სანთელს ადარებს:

ის საიდუმლო პარპალით
ბნელს ფანტავს თვისი ნათელით,
მყუდროდ, უხმოდ და უძრავად
დნება, ვით მსხვერპლი დიადი,
რომ მადლით გაასპეტაკოს
თვალუწდომელი წყვდიადი!
მივსჩერებივარ ამ დიდ ძალს
მწარ ტკბილათ ჩაფიქრებული,
მეცა უსიტყოდ, უძრავად,
ცის სვეტად გაქვავებული.
რაღაც უცნაურ ერთობას
ეხედავ სანთელს და ჩემს შუა.
მხოლოდ ვგრძნობ... თვარა ვერ სწვდება
ჩემი ჭკუა და გონება;
სანთელი მგოსნის ხორცია
სიცოცხლე მოკლე პატრუქი
ნათელი ჭკუა-გონება
იმათგან გამონაშუქი.
ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
და რომ ვიწოდე, ვედნებოდე,
არ შემიძლია მეც განა?
კი მაგრამ, —
მნათე არსად სჩანს,
ჩემთან მომტანი ცეცხლისა
ის მოციქული მომავლის
მსგავსი ჰიკჰიკა მერცხლისა.

ამ დიდებულ და ზეპოეტურ ლექსიდან ნათლადა სჩანს უმთავრესი შოტივი აკაკის ლირიკული პოეზიისა და სწორედ ამაზე უნდა მიმექცია თქვენი ყურადღება. აქედანვე ნათლად სჩანს, რომ მისი „ხატია“ სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“, ე. ი. სჩანს, ის, რომ ჩვენი პოეტი მლოცველია არა მარტო თავის ქვეყნისა, არამედ მთელი კაცობრიობისაც და თუ უფრო ხშირად თავის ქვეყნის ბედსა თუ უბედობაზე ჰფიქრობს, — უნდა რომ ეს ქვეყანა ღირსეული წევრი შეიქმნეს საერთაშორისო მეჯლისისა.

რაკი აღვნიშნეთ უმთავრესი მოტივი აკაკის პოეზიისა, ახლა, ადვილად გავითვალისწინებთ და განვიცდით აკაკის უთვალაე მშვენიერ ლექ-

სების მრაველ შტოიანობასაც. მათი სათითაოდ ჩამოთვლა არც საჭიროა და შეუძლებელიც არის, მათ მღერის და ამბობს მთელი საქართველო, მთელი ჩვენი ახალთაობა. თითოეულმა წერა-კითხვის მცოდნე ქართველმა იცის, რაც არის პოეტის გულისტკივილი და როგორის ძლიერებითაც არის გამოთქმული ეს გულისტკივილი, მე მინდა, ასე ვსთქვათ, ხაზგასმით აღვნიშნო მხოლოდ ორი შტო, ორი დიდი შტო აკაკის პოეზიის უმთავრესის მოტივისა, დედა ძარღვისა. ერთი შტო გახლავთ სიყვარული, მეორე შტო კი-დღევანდელი ქართველი ქალების დაწვრილმანება და გადაგვარება.

პოეზიის საამქვეყნიო და საიმპოფლიო საფუძველი არის სიყვარული. ამ გრძნობას უგალობენ ყველა ქვეყნისა და დროის პოეტები. ეს გრძნობაა მათი შთაგონება, მათი ზეაღმტაცი, მათი სამოთხე[2] და ჯოჯოხეთი[3]. აკაკიც, როგორც უდიდესი ლირიკოსი ჩვენის მწერლობისა, თავს დასტრიალებს სიყვარულის ჰანგებს, ვინაიდან უსიყვარულოდ ადამიანი მხოლოდ „უსულო ლეშია“. დამავიწყდა მეთქვა, რომ აკაკი რეალისტი პოეტია და როგორც ეგრეთი-ერთის ჩვენის კრიტიკოსის[4] სიტყვებით რომ ვსთქვათ — „სიყვარულის იმ მხარისათვის უნდა მიექცია ყურადღება, რომელიც, რეალიზმის მამათმთავრების აზრით, არის ერთადერთი ღირსი ყურადღებისა. ე. ი. ფიზიოლოგიური მხარე ამ გრძნობისა, რადგან რეალურის ფილოსოფიის აზრით, სულიერი მხარე სიყვარულისა შეთხზულია მეოცნებე პოეტებისა და იდეალისტებისაგან.[5]

ამ აზრს ადგია აკაკი წერეთელიც, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ ავტორი ბელეტრისტიკაში იგი ხმარობს სიმბოლოდ დიდი გრძნობის — სამშობლოს სიყვარულის გამოსახატავად, აკაკი შეაჩვია იმ აზრს, რომ სიყვარული დიდი მოოხოვნილებაა კაცის არსებისა და ამიტომ უფრო სერიოზულად უყურებს და უფრო ხშირად მის იდეალურ და საუკუნო მხარეს აძლევს მნიშვნელობას, რაც არა სჩვევია რეალურ პოეზიას (კ. აბაშიძე, „ა. წ. ქუთაისი 1908 წ.), თუმცა სიყვარულის ხორციელობასაც თავისებურ წარმტაცის ენით გვიხატავს:

„სიყვარული ჩემს ძარღვებში სისხლს აღელვებს პილპილითა შეკაზმულს“, ან კიდევ ეს

შარბათი მე რომა ვსვამ
ხან მწარეა და ხან ტკბილი.
და არ ვიცი რა ვარჩიო
მე სიცოცხლე, თუ სიკვდილი!.
ტკბილ შარბათსა დაეწაფე,
მწარეს აარიდე თვალი,
სადაც ვარდი აკოკრდება,
იქ ეკალიც ხომ იჩენს პირს,
მაგრამ ბრძენი მხოლოდ ვარდს ჰკრეფ.
ეკალზე კი არ ახევს ცხვირს!
ქალიც ვარდის ჯაგი არის,
ეკალთან აქვს ყვავილები,

ორში ერთი აირჩიე,
თითონ ჯაგს თავს რას ეცლები?!

ან კიდევ:

ტრფობის ბუდეა მშვენება,
თაფლებაი სიჭაბუკეა
და ეს ორივე აკლია
ვისაც ჰაღარა უმკია.
სიჭაბუკე და სიბერე
ორი სხვადასხვა კიდეა,
ერთი რომ ჯაქვით ხბია
მეორე ბეწვზე ჰკიდია.
ის გაზაფხულის იაა,
გარს ეხვეიან ვარდები.
ეს შემოდგომის ფოთოლი,
სიომ ჰკრა ჩამოვარდება,
და გაწრა ტრფობის აუზი
გულში ძველიღა არხიკ
მოდგება ცნობის მოყვარე.
თან გადმოჰყვება სერეილსა,
მაგრამ უკანვე იქცევა
რომ ჯერ მოიკლავს წუერვილსა,
სიჭაბუკესა მიჰმართავს,
მასთან დაიწერს კავშირსა,
პატარა ნაპერწკალი სჭობს
დიდს, მაგრამ ცივსა ნახშირსა.

ასეთის გატაცებით და აღფრთოვანებით უგალობს პოეტი სიჭაბუკეს. სიყვარულის ხორციელობას, მაგრამ ყველა ამას პოეტი დროებითად, წარმავალად სთვლის, უკვდავ და ნამდვილ სიყვარულის ღირსად მხოლოდ ის ქალი მიაჩნია, რომელიც არის

ჰეშმარიტებით გრძნობით აღსილი,
რომ ასრულა მშობელის ვალი
და გამოპარდა მამელის შვილი.

შენ გენაცვალოს კეკლუცი ყველა — ეუბნება მგოსანი ასეთ ქალს, ოხერიც იყოს მათი მშვენებაო:

მე შენ არ გეტრფი მშვენებისათვის,
არც თითები გაქვს ბროლივით თლილი,
მი ვიამბორებ ხელზე მისათვის,
რომ მაგით გეპყრა მამულიშვილი —
შენ მკერდს ეემთხვიო მაქვს მე სურვილი.
თეთრი რომ არის, მისთვის კი არა,
არა... მისთვის რომ მამულიშვილი
ჰეშმარიტ დედას მაგ გულში გეპყრა!...

როგორც ხედავთ, პოეტის მთელი არსება, მთელი გრძნობა და ფიქრი ისევ და ისევ სამშობლოს დასტრიალებს. სამშობლო პოეტისათვის ის საკურთხეველია, რომელზედაც მსხვერპლად მოაქვს პირადი სიცოცხლე, პირადი ბედნიერება, მთელი თავისი ღვთიური ძალა და ნიჭი. აი, ამიტომ არის აკაკი უკვდავი მგოსანი ჩვენის ქვეყნისა. ამიტომ არის, რომ ყველა ქართველს თვალწინ უდგია მისი შარავანდედით შემკული სახე და მირონცხებული მაღალი შუბლი.

სამშობლო და მისი გამოფხიზლება-გაბედნიერება — აი ის მზე, რომელიც აბრწყინებს აკაკის პოეზიას, ამ მშვენებასა და სიამაყეს მეცხრამეტე საუკუნის ჩვენის მწერლობისას. თითქმის სამოცი წელიწადი, აკაკის დაფი და ნაღარა „უყივოდა გმირებს“ და გვასწავლიდა, გვიჩვენებდა გზას ცხოვრებისას, გზას გამოფხიზლებისას. გავა დრო და, მგონია, ვერც ერთი ქართველის გაყინული გული ვერ გაუძლებს ამ ყიჟინის, ამ მხილების ღვთიურ ცეცხლს და თანდათან გალხვება, გათბება გაყინული იგი გული ქართველისა და პოეტთან ერთად „ხატად გაიხდის სამშობლოს და სახატედ კი მთელ ქვეყანას“. მაგრამ დღესდღეობით კი, საუბედუროთ ჯერ კიდევ ბევრია ჩვენში იმისთანა, რომელიც ჩვენის პოეტისაგან აღგზნებული ცეცხლს არ ეკარება და დღიურ სიცხადით გაოგნებული. სინათლეს გაურბის!... პოეტის აზრით სხვათაშორის, ასეთები არიან ჩვენი ქალების უმრავლესობა — ეს ბურჯნი გადაგვარების გზაზე შემდგარი ოჯახებისა.

„ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ გარდაუცვალა მათ გული ცხოველ“![7] „გულსაკლავად გვამცნო უკვდავმა ბარათაშვილმა[8], ხოლო ჩვენი ქალების ცხოველი გულის გამოცვლა სავსებით და ძლიერებით დაგვიხატა აკაკიმ. ჩვენი ქვეყნის დიადი ქურუმი, რასაკვირველია, გულგრილად ვერ უყურებდა ჩვენი ქალების გადაგვარებას და ამიტომაც თავისებურის ნაღველითა და შხამით აღნიშნა ეს უბედურება ჩვენის ქვეყნისა. გაიხსენეთ მისი სატირული ლექსები მოპარუსკე ქართველი ქალების შესახებ, მოიგონეთ თუნდა ლექსი:

ერთხელ, მხოლოდ ისიც ძილში,
ქართველ ქალთა ვნახე კრება.

ან მოიგონეთ თუნდა შემდეგი ნაწყვეტი ერთი ლექსისა:

მიყვარს, კალინა, მალინა,
მძულს ვარდები და იაო,
სამშობლო რასა მიქვიან
მეწყერსაც წაუღიაო!...

და თქვენ წინ გადაიშლება მთელი სურათი ჩვენის ახალთაობისა თუ ოჯახის წევრთა აღზრდა-გაწვრთნისა და არ შეგიძლიათ ზიზღით არ მოიხსენიოთ ქართველის დამამახინჯებელი პირობები...

მე პირადად ძალიან შორსა ვარ იმ შაბლონურ აზრზე, ვითომც ქალები—ქართველები იქნებიან იგინი თუ სხვა ტომისანი—მხოლოდ სამზარეულოსა და ოჯახის დაწმენდა-დარეცხვისათვის იყვნენ დაბადებულნი, მაგრამ დამახინჯებული დედა რომ დამახინჯებულ თაობას აღზრდის, ეს ეჭვს გარეშეა და ვისაც უყვარს ქვეყანა და მისი მომავალი, ჩვენ დიდებულ პოეტთან ერთად უნდა შევიძულოთ არაბუნებრივი აღზრდა ჩვენის შვილებისა, სულ ერთია ვაჟი იქნება იგი, თუ ქალი. მით უმეტეს, რომ ჩვენი ხალხი არაფერ განსხვავებას არ ხედავს ამ ორ სქესის უფლებათა შორის, პირიქით, ქალს უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს იგი ერისა თუ კაცობრიობის წარმატების საქმეში. ევამ[9] დაღუპა ქვეყანა და ევამვე უნდა ააშენოს იგი ქვეყანა. ასეთია ცხოვრების ლოღიკა და ვინც ქალებს მხოლოდ ტიკინებათა სთვლის და ზრდის, ის არის პირველი მტერი ქვეყნისა და მომავლისა, ასეთივე აზრისაა ჩვენი მგოსანი აკაკიც ქალების შესახებ და აკი ამიტომაც ასე სასტიკად ამათრახებს ჩვენის ცხოვრების გადამგვარებელ პირობებს.

როგორც ძნელია ზღვის კოზით ამოწურვა, ისევე ძნელია აკაკი წერეთლის პოეზიის მოკლე საუბარში განმარტება და ამიტომ ჯერ-ჯერობით ვკმაყოფილდები იმით, რაცა ვთქვი, თუ მე გავკადნიერდი და გესაუბრებით, ეს იმიტომ, რომ თქვენთან ერთად გავითვალისწინო ჩვენი თანამედროვე საზოგადოების ყოფა-მდგომარეობა, ჩვენი მწერლობის ვითარება და მცირედად მაინც აღვნიშნო ის დიდი ამაგი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ჩვენმა მწერლებმა დასდვეს თავის ქვეყანასა და ხალხს.

ბარათაშვილი — ეს „სული ობოლი“ და მწუხარება ჩვენის ქვეყნისა, ილია—ეს აზრი და ფიქრი ჩვენის ერისა და აკაკი—ეს გრძნობა და ტრფობა ჩვენის ხალხისა—აი, ის სამება, რომელთაც უკვდავ და უზრუნველ ჰყვეს ჩვენი ხალხის გამოფხიზლებისა და ფეხზე დადგომის საქმე. ეს სამებავე არის ჩვენის ენისა და მწერლობის აყვავების თავმდებიც.

ი. ც.

გ. რცხილაძე

აკაკი

აკაკი უკვდავების შარავანდედით შეიმოსა. დიდებულმა მოხუცმა სათილისმო ძლიერების სტვირით ხელში გაიარა ცხოვრების სარბიელი და მის გულის სიღრმიდან ამონაკვნესმა პოეტურმა ჰანგებმა დასწნეს ურღვევი გვირგვინი, რომელსაც ვერ დააჭკნობს ჟამთა სრბოლა და ბედის სიმკაცრე. გაივლის ხანი, დავიწყებას მიეცემა ბევრი რამ, რაც პირადად გვახსოვს ან წაგვიკითხავს და სხვისგან შოგვისმენია აკაკის შესახებ, მაგ-

რამ ის ხელთუქმნელი ძეგლი, რომელიც აღიმართა ქართველი ერის გულში პოეტის სიცოცხლითვე, ის ძეგლი კი შეუდრეკელი დარჩება. ერი უკვდავია სულიერად და ქართული ეროვნული სულის ზრდას კი აკაკიმ მთელი თავისი მდიდარი ნიჭის ნაკადული შეუერთა. აკაკის უხვ ბუნების მოელვარე ნაკვესები ფართოდ გავრცელებულია ჩვენი ხალხის ყველა წრეებში და გარეშე მაყურებელნი ხშირად ფიქრობენ, აკაკი სახალხო პოეტიაო. შემცდარი შეხედულებაა. აკაკი ერის გულის მესაიდუმლეა, მაგრამ აკაკის პოეტურ შემოქმედებაში ხელისხელ საგოგმანები გამოხატულება ჰპოვა არა მარტო იმ საყოველდღეო მარტივმა ჰირ-ვარამმა, რომელიც შეადგენს ეგრეთ წოდებულ „სახალხო პოეტის“ ერთადერთ თემას. არამედ ამასთანავე ერთად საყოველთაო ეროვნულმა ზრახვამ, ეროვნულმა იმედმა და წყლულმა.

აკაკის მოღვაწეობა ამ ნახევარი საუკუნის წინად დაიწყო, როდესაც ტერიტორიულად დაქსაქსული ქართველი ერი დანაწილებული იყო წოდებრივად და ეკონომიურად, ყმებად და ბატონებად, როდესაც არავითარი გამაერთიანებელი ძალა არა სჩანდა, გარდა განვლილი ისტორიული წარსულისა და ღრმა უიმედობა დასადგურებული იყო ქვეყნის გულში.

„ვეი“ და „ვეი“ წარსულსა,
„ვეი“ და „ვეი“ აწსაცა.
თუ მომავალი იცვლა
ხალხთად გულს არ ადოსა!

ასე ახასიათებს ჩვენი პოეტი იმდროინდელ საქართველოს სახეს, მაგრამ ეს სავალალო მდგომარეობა ჰქმნის იმის სულში არა უიმედობის გრძნობას, არამედ მომავლის იმედს. იმედიანობის საფუძველს პოეტისათვის შეადგენდა დიდებული წარსული ერისა, რომლის ისტორიაშიდაც იგი მრავალად პოულობდა ეროვნულ სიმტკიცის დამატყვევებელ სურათებს და რომელსაც იგი ხარბად ეწაფებოდა, ხოლო სურათი კი მომავლის იმედისა თვით პოეტის შემოქმედებას უნდა შეექმნა. წარსულს ჩვენი პოეტი თავისებურ პოეტურის აღმაფრენით ალამაზებდა, აკოპწიავებდა და აქ აგროვებდა იმ სულიერ ძალას, რომელსაც წარბშეუხრელად უნდა გადაელახა სასოწარკვეთილი აწმყო მომავლის იმედით. წარსულის „პოეტიზაცია“ თუ შეიძლება ასე ვთქვათ, აუცილებელი გარდასასვლელი საფეხური იყო იმ იმედიანობისაკენ, რომლითაც დღეს უკვე გაერთიანებული ქართველი ერი თამამადა და გაბედულად უცქერის თავის მომავალს. აკაკის პოეტური შეგნებით ძველ ქართველთა ძვირფასს თვისებას შეადგენდა სარწმუნოებრივი სიმტკიცე, სიტკბოება წოდებრივ ურთიერთობაში, ადამიანური ღირსების ცნობა ყოველ პიროვნებაში, შრომისმოყვარეობა, გულის სიმხიარულე, ეროვნული მთლიანობის შეგნება, მეფისა და ხალხის საურთიერთო სიყვარული, მშვიდობისმოყვარეობა და თავგანწირული ბრძოლა მტრებთან, როცა კი ისინი შემოესეოდნენ. ამ

საგმირო ხაზებს ჰხედავდა ჩვენი პოეტი ძველ საქართველოში, რომლის ისტორიიდანაც მან ამოღებული აქვს შინაარსი თავის ისტორიული პოეტურ პოემებისათვის („თორნიკე ერისთავი", „თამარ ცბიერი") და სხვა. თავის თავად ცხადია, რომ ამ ისტორიულ პოემებში აკაკის შემოქმედებითი ნიჭი ფართოდ ჰშლიდა კალთებს და სიყვარულით საცსე სურათებით ჰქარგავდა მის დედა-აზრს. აი როგორ აგვიწერს ჩვენი პოეტი საქართველოს ბედნიერებას დავით კურაპალატის[1] დროს:

საქართველოს ყოველ კუთხით
მოეყარა თავი ერსა
იღხენდნენ და გაჰკიოდნენ
ერთხმად „მრავალჟამიერსა".
და მართლადაც, რომ შვენოდათ
მაშინ იმათ ეს მოლხენა,
რადგან იმ დროს გადმოსული
იყო ქართლზე მადლი ზენა:
გარე მტრები დათრგუნვილი
შუღლს მათ ვეღარ უბედავდა
და შინაგან მშვიდობასაც
ვინ იყო, რომ ვერ ჰხედავდა?...
ამით გული უხაროდათ
ბატონს და ყმას ყველას ერთად
კაცსა კაცად აფასებდნენ,
ადიდებდნენ ღმერთსა ღმერთად;
საქმეს დროზე მუშაობდნენ,
უქმე დღეზე მოილხენდნენ,
მეფე ხალხს და ხალხი მეფეს
სიამესა გულსა ჰფენდნენ.

საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენი პოეტის ნიჭი საქართველოს ისტორიიდან სწორედ ისეთ სურათებს ეტანებოდა, რომელნიც ამხელდნენ, რომ ერის მთლიანობას, ერთსულოვნებას და თავგანწირულ გმირულ ბრძოლას მშვიდობის მოსაპოვებლად ხშირად დაუხსნიათ ჩვენი პატარა სამშობლო უდიდესი განსაცდელისაგან. ძველი ბედნიერი საქართველო ერთგვარი პოეტური კონტრასტი იყო იმ საქართველოს პირისპირ, რომელსაც პოეტი თვითონ ჰხედავდა, და ეს კონტრასტი ხშირად ხდებოდა აკაკის ნაღვლიან სიმღერის შინაარსად. ერთ ლექსში მაგალითად პოეტი ნატრობს, ნეტავ ჩიტად გადავიქცე, რომ ცის სიმაღლიდან გადმოვცქერო „ჩემს სამშობლო მხარესაო".

მხარეს, მაგრამ რა მხარეს ოდესმე ბედნიერსა,
დღეს კი ჭირში ჩავარდნილს, დღეს კი ცოცხალ-მკვდარ მხარეს,
სადაც ის აღარ არის, რაც რომ ძველად ჰყოფილა!
სადაცა ძმა ძმასავე მხოლოდ უთხრის სამარეს.

ვნახავ იმ ბრძოლის ველებს, სადაც ბედი სწყდებოდა,
მტერი, მგონი, შემუსვრის ანგარიშში სცდებოდა,
რადგანც ქართველს იმა დროს თავი ავიწყდებოდა.
ბრძოლა!... სჯული და ენა კი მითი მტკიცდებოდა.

წარსულის დიდება და სიცოცხლის წყურვილი ერთგვარ პსიხოლოგიურს აუცილებლობად ჰქმნის მომავლის იმედს, ან, თუ გნებავთ, ოპტიმიზმს. ეს ოპტიმიზმი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ პოეტებსაც ჰქონდათ, მაგრამ იგი სუსტი იყო და უენერგიო. ნ. ბარათაშვილიც[2] არ იყო სრული უიმედობის და სასოწარკვეთილების პოეტი, მაგრამ იმის იმედი დაჩრდილული იყო, ეს იმედი იმის პოეზიაში ჯერ საკმაოდ გამაგრებული არ იყო. მომავლის იმედი განსაკუთრებულის პოეტურის ძლიერებით და დამატყვევებელი მშვენიერებით სწორედ აკაკიმ გამოჰხატა. პოეზიის უძლიერეს სურათებს თითქმის ყოველთვის საფუძვლად რაიმე ხალხური თქმულება ან ლეგენდა ედება. აკაკის შემოქმედებითმა ნიჭმაც ამირანის[3] სახალხო თქმულებაში ჩამოასხა ის სულიერი განწყობილება, რომელიც შეადგენს იმის პოეზიის მთავარ ძარღვს და უდიდეს სამკაულს. აი თვით სურათიც:

კავკასიის ქედზე იყო ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი დაჰხვეოდა, დაფლეთილ ჰქონდა გული,
ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის გულს ცეცხლი არ ნელდებოდა,
და რაღაცა მანქანებით გული ისევ მთელდებოდა.
ჰქონდა პირში მოთმინება, არც კვნესოდა, არც ოხვრიდა,
უსამართლო ძლიერებას მონურად თავს არ უხრიდა!
ბოლოს მაინც გამარჯვება დარჩა, ყველა გააცა
და ის ღვაწლიც მაგალითად შვილი შვილთა მან გადმოსცა.
კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვავ-ყორანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა-გმირი!
სიხარულათ შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!

მდიდარი ფაბულა, ენერგიით სავსე გულისთქმა და მკვეთრი ენა—აი, რა ჰქმნის ამ ლექსს პოეზიის შედევრად. აკაკის გულს ღრმად სწამს და ჭკუას სჯერა, რომ „ჯერ კიდევ არ გამქრალა მომავალი ბედისწერა“, ამიტომ ჩასძახის თავის სტვირს ქვეყნის გასამხნევებლად:

არ მომკვდარა!... მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!....

მომავლის იმედი და „დღეს კი ცოცხალ-მკვდარი მხარე“ — ეს ორი ისეთი მცნებაა, როველთაც შინაგანი დაკავშირება ესაჭიროებათ. რა

თქმა უნდა, „ცოცხალმკვდარი“ ქვეყანა თავის თავად, თუ იმის ცხოერებას არსაიდან არავითარი ცვლილება არ ეწვია, იმედების განხორციელებას ვერ მოიტანს. პირველი და აუცილებელი პირობა აკაკის დამაღონებელ ჯაჭვის გასაწყვეტად, სისუსტისაგან მიძინებულ ავადმყოფის გასაღვიძებლად და მოპიკჭიკე მერცხლის მიერ ნაუწყებ გაზაფხულის მოსასვლელად არის შეგნება იმ ხალხის მიერ, რომელსაც აკაკის მუზა დასტრიალებდა მუდამ თავს, შეგნება და ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც და რაც მას ცოცხალ-მკვდრად ჰქმნის. აკაკის მგრძნობიარე გული ნათლად ჰხედავს ამ საჭიროებას და იმისი მახვილი მუზა სწორედ ამ შეგნებისა და ბრძოლის გამოსაწვევად ამართავს ლირას. ადამიანის მოვალეობაა, ყველა დაცემულს და დავრდომილს გულმტკივნეულად მოექცესო, ამბობს პოეტი, მაგრამ ყველა დაცემული ერთგვარი არ არის:

ერთი მოელის კაცთაგან შველას
ებრძვის თვის დამცემს რაც შეეძლება;
მეორე ვერ ჰგრძნობს ამაებს ყველას
და მტერს პირეტყვებრ ემორჩილება!.

პირველს შეგნება აქვს, ბრძოლას ეწევა, შველას ელის—ამას პოეტის აზრით, ხელი უნდა მისცეს და წამოაყენოს, მეორეს კი ადამიანობა აღარ აქვს, ის გაპირუტყვებულია — იმას, პოეტის აზრით ადამიანმა უნდა შეაფურთხოს, იტიროს, მაგრამ ზურგი უჩვენოს. როგორ უყურებს ჩვენი პოეტი ამ სენტენციების თვალსაზრისით საქართველოს? ამ მძიმე საკითხს თვით პოეტი აყენებს და შემდეგ მოკლედ, მაგრამ თავზარდამცემ სისასტიკის სიტყვებით უპასუხებს: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო!“

განახლებისათვის და აღორძინებისათვის შეგნება და ბრძოლაა საჭირო, საქართველოს კი არც ერთი მოეპოვება, არც მეორე. პოეტის აზრთა ვანვითარება თითქოს გაუვალ კლდეს მიადგა, კრიტიკული მომენტი გაჩნდა. პოეტი ან ყველა თავის მომავლის იმედებს უნდა დაეთხოვოს, და ან რაიმე გმირული ნებისყოფით ეძგეროს ამ კლდეს და გაარღვიოს იგი. პოეტი ამ უკანასკნელ საშუალებას მიმართავს. შეგნებისა და ბრძოლის გამოსაწვევად პოეტი, საქართველოს თავმოყვარეობას ლახავს, „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო!“-ო შესძახის იგი თავის სათაყვანებელ სამშობლოს. აქ იბადება აკაკის სატირა და ჰუმორი. როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, აკაკის თანამოკალმე დიდებული ილიაც ხშირად მიჰმართავდა სატირასა და ჰუმორს, იმ დროს ის ლოღიკური აუცილებლობა იყო. აკაკის და ილიას ნაწერებში სატირასა და ჰუმორს რომ ადგილი არ ჰქონდეთ, მათი მოღვაწეობის წრე დასრულებული არ იქნებოდა.

ეროვნული და საზოგადოებრივი თვითშეგნება ადამიანის ზნეობრივ სურათის ერთ-ერთი კუთხეა. ყოველად შეუძლებელია, ერი აღორძინების გზას დაადგეს, თუ ერის შემდგენელი ადამიანები ზნეობრივ ღირსებებს

მოკლებულნი არიან. პირიქით, ზნეობრივად მომწიფებული ადამიანი აუცილებლად ადრე თუ გვიან საზოგადოებრივ იდეალების და საზოგადოებრივ ძიძდინარეობათა ძოზიარე ხდება. ამიტომ, რაკი აკაკის პოეტურს განვითარებაში საჭირო შეიქნა სატირა და ჰუმორი, იმის საგნად უნდა გამხდარიყო არა მარტო ქართველი საზოგადოების ეროვნული შეუგნებლობა, არამედ ამ საზოგადოების სრული შინაგანი სიმახინჯე. თავისთავად ცხადია, რომ აკაკი სატირისა და ჰუმორის საგნად უმთავრესად სწორედ ეროვნულ-საზოგადოებრივ ნაკლოვანებებს გაიხდიდა. მაგრამ ცხადია ისიც, რომ აუცილებლივ ცხოვრების სხვა მხარეებსაც შეეხებოდა. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ აკაკის სატირა უფრო სასტიკი და უფრო შკაცრი სწორედ მაშინ არის, როდესაც იმისი კალამი ჰშოლტავს საზოგადოებრივ და ეროვნულ სიდუხჭირეს, თავის სატირებში განსაკუთრებით ხშირად ეხება ჩვენი პოეტი ქართველ საზოგადოებაში აზრის დაქსაქსულობას, გაუტანლობას, ეროვნულ გადაგვარების ტრფიალს, სამშობლოს სიყვარულის უქონლობას, უშინაარსო პატივმოყვარეობას, და სხვა. ზოგჯერ აკაკის კალმის ქვეშ სატირა არაკის სახეს იღებს. აი ერთი ნიმუში აკაკის სატირისა:

ამან ეს სთქვა!... იმან ის სთქვა!
ეს ეს არი!... ის ის არი!
ამას ეს ქვა!.. იმას ის ქვა!
ეს ისარი!.. ის ისარი!
ვიცით, გვითხრეს სხვებმა სხვისი
რომ უქნია ვინცღას რაცღა!..
გაჩნდეს კბენა!.. ნძგა, მაგას.. სსი!
მიავ, მიავ! აცხა, აცხა?
ძაღლი კატას ემუქრება,
კატა მტრულად ძაღლს უყურებს!
მოედანი კი ვირს რჩება...
მღერის, აპანტურებს ყურებს!

აკაკი ჰგრძნობს, რომ ის საქართველო, რომელიც დაჰხვდა მას თავის მოღვაწეობის დასაწყისში, ძალიან დაშორებულია იმ დროს, როცა შომავლის იმედები განხორციელებას იწყებენ. აკაკი სცდილობს ეს დრო მოაახლოვოს და ამიტომ შიჰმართავს სატირას. მაგრამ ვერავითარი სატირა და ვერავითარი ძალა ვერ წასწევს ასე ძალუმად და ასე უეცრად ერს წინ, რომ „ცოცხალ-მკვდარმა მხარემ“ უეცრივ დაიწიოს თავი ბედშაობას. იმ ბედნიერ დროს ის ბავშვები თუ მოესწრებიან, რომლებიც ჯერ არ დაუმონავებია თავის გავლენისათვის აწმყოს. ბავშვები განსაკუთრებით იმ სიყვარულის და ყურადღების ღირსნი არიან, როგორც კონკრეტული სახენი შომავლის იმედისა. ჩვენი პოეტიც სწორედ ბავშვებს და მათ აღმზრდელ ქართველ ქალებს უძღვნის უნაზეს თავის გრძნობებს.

აკაკის „იავნანას“ ჩვენს დროში საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დაჰმღერიან ქართველი დედები ქართველ ბავშვებს და აკვანშივე ასწავლიან თავისუფლების სიყვარულს, თვითშეგნების საჭიროებას, თავგანწირულებას და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აკაკი ეგრეთწოდებულ „ქართველ საზოგადოებას“ სასტიკად ჰკიცხავს, როგორც ერთს უარყოფითს ელემენტს. პირიქით, იგი იმედიანად უცქერის შრომის ხალხს, გლეხს და მუშას, მათთან ერთად ღიღინებს შრომის სიმღერებს და ამზადებს საქართველოს დემოკრატიულს ნაწილს. „გლეხის აღსარება“, რომელიც გლეხის გულის ნადებს გვამცნობს, აკაკიმ დასწერა ჯერ ისევ ბატონყმობის დროს, როდესაც ხალხი იმის გაუქმებას ელოდა. აქ ძალუმის კალმის მოსმით არის დასურათებული გლეხის ჩაგვრა ბატონისაგან, რომელიც მუდამ ბრაზით სავსე უცქერის მშრომელ გლეხს. ახალი დროის მოლოდინში ბატონი შეწუხებულია, მაგრამ მაინც თავისას არ იშლის და კვლავ გულამღვრეული უცქერის გლეხს. „რად არ მეტყვი: „ძმები ვართ მოდი მომხვიე ხელიო“? ეკითხება გლეხი და თვითონვე აღნიშნავს ამ შეურიგებლობის ნაყოფს. ერთმანეთის მოპირდაპირენი საერთო მტერს წინააღმდეგობას ვერ გაუწევთ, მამული ვერც ერთს ვერ გვიმსახურებს და შთამომავლობას მოგვამდურებსო. მაშინ, როდესაც გლეხობა ბატონყმობის ღელე-ქვეშ იტანჯებოდა, ამ ლექსს, უეჭველია, დიდი უკმაყოფილება უნდა გამოეწვია ბატონების წრეში, რადგან, ბატონები აქ ნათლად დაინახავდნენ, რომ აკაკი, იმერეთის დიდი მებატონე წერეთლების წარმომადგენელი, ბატონური სულისკვეთებით კი არ იყო გაჯერებული, პირიქით, მთელის თავის არსებით და მომავლის იმედებით შრომის შვილს ეკუთვნოდა. ცნობილი ლექსი „გავლეს ოთ, ძმებო, ნამგალი!“ ეს კლასიკური მუშური სიმღერა მხოლოდ ისეთს პოეტურ კალამს შეეძლო დაეწერა, რომელიც შრომის პსიხოლოგიით გულწრფელად გატაცებულ პოეტს ეჭირებოდა ხელში.

ეს გზა, რომელსაც აკაკი მისდევდა, ახალი გზა იყო, ეკლიანი და მწარე. სულიერი გმირობა და სამშობლოს უდიდესი, ულრმესი სიყვარული იყო საჭირო, რომ ადამიანი ამ ეკლიან გზას არ ასცდენოდა. აკაკი თვითონაც კარგად ჰხედავდა, რა მძიმე ტვირთის ზიდვას შეუდგა. მაგრამ მაინც მთელი თავისი სიცოცხლე ერთგულად ეწეოდა უღელს. უნდა გვახსოვდეს, იმ დროს საქართველო უდაბნო იყო, სადაც დიდებულ ილიას სიტყვით კაცი არ მოიპოვებოდა გულის გასანდობად. ეს მარტოობა და უტოლ-ამხანაგობა აკაკის, როგორც დიდ სალირიკო ნიჭის მატარებელს, არ შეიძლებოდა არ გამოეხატა თავის ლექსებში და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი წყება ერთიმეორეზე ძლიერი ლექსებისა სწორედ აკაკის ამ პირად სულიერ განცდას გადმოგვცემს. ეგრეთ წოდებული პირადი ბედნიერება და კეთილდღეობა აკაკისათვის, რომელიც დაური-

დებლად ჰკიცხავდა საზოგადოებრივ უკუღმართობას და ზნეობრივ დაცემულობას, რა თქმა უნდა, მიუღწეველი იყო.

ჩემს სამშობლოს კარგად ვიცნობ,
მომიყვია კიდით კიდე;
მართლის თქმით და გულწრფელობით
ჰირი ჰირზედ გადვიკიდე!
აქ მონება ჰკუა არის,
ორპირობა სიბრძნე დიდი,
და მას რჩება მოედანი,
ვინც კი არის შუტად ფლიდი!

როგორც ამ სიტყვებიდან სჩანს, თითონ აკაკის ნათლად ესმის, რატომ არ სწყალობს მას ბედი, მაგრამ ეს შეგნება მაინც არ სპობს იმ სულიერ განწყობილებას, რომელსაც მარტოობა და ყბედობა იწვევს. როდესაც აკაკი ამ თავის უზენაესად პირად სულიერ განცდაზე ჰფიქრობს, იგი ნაციონალურ შემოქმედების ფარგალს სცილდება და საყოველთაო საკაცობრიო მუზას ეწაფება. კლასიკური ლექსი „ჩემო თავო ბედი არ გიწერია“, თამამად შეიძლება გვერდში ამოუდგეს მსოფლიო მწერლობის და პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს. აქ აკაკი ქართველი პოეტი კი არაა, უკვე ჩსოფლიო პოეტია. იმის შემოქმედება აქ იმ უმაღლეს მწვერვალს აღწევს, სადაც ეროვნული კონკრეტობა ისპობა და უთმობს ადგილს საყოველთაო საკაცობრიო წინააღმდეგობას რეალურ და იდეალურ ქვეყანათა შუა. ის, რასაც პოეტი ეტრფის მთელი თავისი არსებით, ის, რაც პოეტის ტრფიალების საგანია, არა თუ თვითონ არ დაეძებს პოეტს, პირიქით მუდამ მტრულად უცქერის მას. რა თქმა უნდა, ეს წინააღმდეგობა პოეტის გულს სცარავს, სევდას აგრძნობინებს, ნაღველს ასმევს და სიცოცხლეს აწყევლინებს:

თავო ჩემო ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო ეშხით არ გიეღერია!
ჩემო გულო ტკბილად არ გიძგერია
რადგანც სატრფო ვხედავ ჩემი მტერია.

მაშასადამე, პოეტისათვის პირადი ბედნიერება მიუწვდომელი და შეუძლებელი ყოფილა, და თუ ეს შეუძლებელია, რისთვის-ღა იცოცხლოს ადამიანმა? ამ საკითხს, რომელთანაც ლოღიკურის აუცილებლობით მიგვიყვანა აკაკის პოეზიის განვითარებამ, მხოლოდ საყოველთაო მსოფლიო ღირებულებათა სფეროში შეიძლება მოეძებნოს პასუხი, ჩვენი დიდებული მგოსანი აკაკიც სწორედ ამ მსოფლიო ღირებულებათა წიაღში შედის თავის ჩანგურით და იქიდან გვამცნევს:

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს!

დიდებული მგოსანი მთელი თავისი სიცოცხლე ქართველი ერის მასწავლებელი იყო. ბევრი რამ გვასწავლა დიდებულმა მგოსანმა ჩვენ და კიდევ დიდ ხანს იქნება იგი ქართველ ახალ თაობათა გამზრდელი.

სავსონ დადიანი

აკაკი როგორც ცისა და მიწის შვილი

„როდესაც ერს თავისი დიდებული წარსულისაგან აღარაფერი დარჩენია გარდა მწარე მოგონებებისა, აწმყოში საიმედოს ვერაფერს ხედავს და მომავალი კი ბურუსით არის მოსილი, მაშინ მვოსანნი, რომელნიც ხალხის უმაღლესი გრძნობათა დუღილის ნაყოფნი არიან, გულამოკვნესით დასტირიან ერის დამსხვრეულ იმედებს, თუ აქამომდე სახმატკბილოდ ყღერდა მათი აღფრთოვანებული ჩანგი“-მეთქი, ვსწერდი ამ რამდენსამე წლის წინად, და დღეს, როდესაც აკაკის ნამოღვაწარს ერთხელ კიდევ ვითვალისწინებთ, გადაჭრით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ აკაკი იმ ეპოქის შვილია, როდესაც ქართველმა ერმა იმ ბურუსით მოსილ მომავალშიც გადაიხედა, იგრძნო „გაზაფხულის სუნი“, მისმა სასოებამ ფრთა გაშალა, გულსა ჰკრა და აუძგერა. რეალური, გარკვეული პროგრამა მაშინ მუშავდება ხოლმე, როდესაც ფართო ახალი იდეები სისხლხორცში გაუჯდება ხალხს, როდესაც ერი დაისახავს მიზანს და ამ მიზნის განსახორციელებელ გზის ძებნას დაიწყებს. მესამოცე წლების თაობას არ ჰქონდა ასეთი გარკვეული პროგრამა, მაგრამ ილიას და აკაკის თაობამ გამოჰკვეთეს, აღნიშნეს ის მისაღწევი მიზანი, გადისროლეს ხალხში ცხოველმყოფელი იდეები, ეროვნული იდეები და მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ იდეების პროპაგანდას შეალიეს თავიანთი გოლიათური ენერგია და ნიჭი. აკაკის სამწერლო მოღვაწეობაში რომ ვეძებოთ გარკვეული, ლოღიკურად დასრულებული პროგრამა, შეიძლება ასეთი ვერ ვიპოვნოთ, მაგრამ მას ის დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის, რომ მან მოამზადა ნიადაგი ერის გულში და გონებაში ისე, რომ მისგან ჩაყრილ საძირკველზე მტკიცედ ჩამოყალიბებულიყო უკვე გარკვეული პროგრამა.

ეგრეთწოდებულმა „თერგდალეულთა“ თაობამ მკაფიოდ აღნიშნა ახალი ხანა, ახალი მიმდინარეობა, ახალი საზოგადოებრივობა ჩვენს ცხოვრებაში და მწერლობაშიაც, იმათ დაამყარეს რეალური მიმართულება. პუბლიცისტიკაში თუ სიტყვაკაზმულ მწერლობაში აკაკი თავდაპირველად პოეტისაგან მოქალაქეობრიობას, მასწავლებლობას, წინამძღოლობას მოითხოვდა და ამით ხელოვნებას თითქოს წინასწარ მიზანს, დანიშნულებას უსახავდა და „სარგებლობის“ საზომით უახლოვდებოდა. როგორც ილია, აგრეთვე აკაკი თავისი პოეზიის საგნად საერო საჭიროებათა და მის მსახურებას სახავდა და იქამდისაც კი მივიდა, რომ პოეტს ის ცოტა-

ოდენი მისტიური ხასიათიც კი ჩამოაცალა, რომელსაც ილია აძლევდა. „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“-ო, ამბობდა ილია, მაშინ როდესაც აკაკიმ სრულიად გაძარცვა პოეტი იმ ჰაეროვანი სამოსელიდან და იგი სარკეს შეადარა. პოეტი არაჩვეულებრივი რამ მოვლენა არ არისო გვარწმუნებდა იგი: „არც ცისა ვარ, არც მიწისაო“. იგი მხოლოდ სარკეა, რომელიც იმის სახეს გვიჩვენებს, „რასაც შიგ ჩაუხედია“-ო. მისი მოთხოვნით პოეტი მხოლოდ იმას უნდა გვიჩვენებდეს, რაც მის გარშემო ობიექტურად არსებობს, მაგრამ ამ თეორიის უკიდურესობა და უსამართლობა თვით მის პოეზიას ეტყობა. ისეთი დიდი ნიჭით დაჯილდოებული და დიდ-ბუნებოვანი პოეტი, როგორც აკაკია, ვერასოდეს დაკმაყოფილდება მის გარშემო არსებულის ფოტოგრაფიული გადმოცემით, იგი ვერ იკისრებს სარკის როლს, რადგანაც ეს ერთის მხრით შეუძლებელიცაა, და მეორე მხრით, — დიდი ნიჭის მწერალი ერთობ ძლიერი, განუმეორებელი და ორიგინალური ინდივიდუალობაა და მისი სულიერი ცხოვრების სურათიც იქნება აუცილებლად.

მიუხედავად იმისა, რომ აკაკი სიტყვით წმინდა წყლის რეალისტობას კისრულობდა და თითქმის ნატურალისტობამდიც კი მიდიოდა, სინამდვილეში თითქმის ერთადერთი უმშვენიერესი ქურუმია წმინდა ხელოვნებისა და თავისი ლირიკა თვით გენიალობის საზღვრებამდე მიიყვანა.

მეცნიერებასაც კი და მით უმეტეს ხელოვნებას საერთოდ და პოეზიას განსაკუთრებით შეუძლებელია წინადვე აღებული მიზანი დავუსახოთ; არ შეიძლება მგოსნის შემოქმედებას წინდაწინვე შევუკვეთოთ აი ამას ემსახურე, აი ეს აქე, ეს აძაგე, ესა და ეს მიზანი დაისახეო. ხელოვნება, პოეზია თავისუფალია, ვით გული კეკლუცისა, რომელსაც ბრძანებით თავს ვერავინ შეაყვარებს. ჩვენ ვერ ვეთანხმებით ერთი მხრით იმ რეალიზმს, რომელსაც მგოსანი სარკესავით მექანიკურად ცხოლოდ იმის გადმომცემი ჰგონია, რაც შიგ ჩაიხედავს, მაგრამ მეორე მხრით ვერც იმ თეორიას შევურიგდებით, რომელსაც აქაოდა ხელოვნება თავისუფალი უნდა იყოსო, უკანმოუხედავად აღიარებს! „ხელოვნებას არა აქვს მიზანი გარეშე ხელოვნებისაო“. ორივე ეს შეხედულება კარგა მოძველებულია და სიმართლე ამათ შუა მდებარეობს. მართალია, ხელოვნებას არ უნდა ჰქონდეს დიდაქტიური ხასიათი, თუმცა იგი არ უნდა ხელმძღვანელობდეს „სარგებლობის“ საზომით, მაგრამ ეს „სარგებლობა“, ეს „დიდაქტიკა“ მას თავისთავად თან სდევს.

ხელოვნების ასპარეზი ემოციათა სფეროა და იმ ნაწარმოებს ეწოდება ნამდვილი ხელოვნური, რომელიც შეძლებს ჩვენში მაღალ ემოციათა გამოწვევას და ამით ჩვენ სულიერად აღგვამაღლებს. ხელოვნება დღიურ სინამდვილის ნიადაგზეა აღმოცენებული, იგი ამ სინამდვილით სარგებლობს, მაგრამ ბუნება ადამიანისა ისეთია, რომ იგი ამ სინამდვილით ვერ კმაყოფილდება, ნებას აძლევს თავის სურვილთ, ახვევს მათ

ფანტაზიის ჰაეროვან სამოსელში და ისახავს საიდეალო ოცნების სამყაროს. ხელოვნება ტენდენციურად არ აშენებს იმ ნეტარების სამეფოს, არამედ ჭეშმარიტი ხელოვანი გენიალური ინტუიციით სჭვრეტს არსებულის დასაწყისს და სასურველს მიზნებს და, რაც უნდა განუვნებული ხასიათისა იყოს ხელოვნური ნაწარმოები, რაც უნდა უყურადღებოდ სტოვებდეს არსებულს და მით უმეტეს ადამიანის მწუხარებასა და სიხარულს, იგი მაინც ამ ადამიანისთვის იღვწის, იგი მაინც ადამიანისათვის ეძებს სამოთხეს და სწუხს ადამიანისათვის, თუ ეს ცხოვრება მას ჯოჯოხეთად განუცდია.

პოეზიას, მუსიკას, და საერთოდ, ხელოვნებას ზოგიერთნი მეტ ბარგად სთვლიან: იგი მაძღართა და უსაქმურთა გასართობ საგნად მიაჩნიათ და ვითომ იგი სრულიად უსარგებლო იყოს ხალხისათვის. მიეცით ჯერ ხალხს პური არსობისაო, ამბობს ეს შეხედულება, თითქოს ადამიანს არ ჰქონდეს კიდევ უმაღლესი მისწრაფება: მაგრამ ეს შეხედულება, ასე ვთქვათ, არისტოკრატული შეხედულებაა დემოკრატიულ მანტიაში გამოხვეული და იმ შემცდარ აზრზეა აგებული, თითქოს ხალხს არ შეუძლია მისწვდეს ხელოვნებას, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და ხალხი კი ვითომ მთელს ხელოვნებას ერთ ჭოთან ლობიოში გასცვლისო. ნამდვილად კი ხელოვნება სწორედ მაშრალთა და ტვირთმძიმეთა ხვედრი უნდა იყოს და აკაკის ნაზი ლირიკაც ამ ხასიათის ხელოვნებას ეკუთვნის, რომელიც ადამიანს სულიერად ამაღლებს, გვიდგამს სულს მტკიცეს, გვწვრთნის, გვასწავებს სიმართლესა და აქედანაც თავის თავად წარმოდინდება მისი უმაღლესი სარგებლობაც.

ვერ ვიტყვი, უკიდურესმა რეალისტურმა შეხედულებამ პოეტზე, აკაკის პოეზიას არ ავნო-მეთქი: მის ზესთაბუნებრივს შემოქმედებას მისი ერის დუხჭირ ცხოვრებამ ისარი ჰკრა და ხელი შეუშალა მისი პოეზია მსოფლიო ხასიათისა გამხდარიყო.

ბევრი მხრით დაემსგავსა ჩვენი ცხოვრება, ჩვენი საზოგადოებრივი განვითარება რუსეთისას და ერთი ამ მსგავსებათაგანი ისიც არის, რომ როგორც იქ, ისე ჩვენს მხატვრულ მწერლობას წილად ხვდა ერთდაიმავე დროს სხვა და სხვა როლი შეესრულებინა.

თუ რუსულ მწერლობის შესახებ შეეძლო ეთქვა აკადემიკოს პიპინს [1]: ამ მწერლობამ გაუწია რუსეთის საზოგადოებას სამსახური არა მარტო ესთეტიკის მხრით, არამედ იგი იმავე დროს ტრიბუნიც იყო, პარლამენტიც და სკოლაცაო, ისევე ითქმის ჩვენს მწერლობაზედაც. ჩვენი ერის სულიერმა მისწრაფებამ, საზოგადოებრივმა თეორიამ შორს გაუსწრო საზოგადოებრივ პრაქტიკას და ცხოვრების რეალობას და დღიურ სიცხადის ქმნა და გარდაქმნა პოეზიას მოახვია.

დიდმა ილიამ ვერ შესძლო მხოლოდ „ტკბილ ხმათათვის“ დაეგდო ყური და წმინდა პოეზიის ჰაეროვან ფრთათა ქვეშ განესვენა და აქაც, აკაკი ებრძვის თავისი სულის პოეზიის ღმერთისკენ მისწრაფებას. იგი ჩას-

ჩერებია თავისი ერის, თავისი ხალხის საამჟეყნო ადამიანურ ვაებას და მისთვის მოსთქვამს ჟამსა მწუხარებისასა, ბისთვის ჰგალობს ჟამსა აღმაფრენისასა;

ისეთი ნიავი არ გაფაჩუნებულა ჩვენს სამშობლოში, რომელსაც აკაკი არ გამოხმაურებოდეს, რომელსაც არ შეეტოკებიოს პოეტის სულიერი სიმშვიდე. ჩვენი ქვეყნის აწეწილი ცხოვრების თვით უმნიშვნელო დღიური მოვლენებიც კი არ გამოპპარვია მას შეუმჩნეველად, არც ერთი არ დაუგდია მას შეუფასებლად. გასაკიცხი კი მის დროინდელ საქართველოში აწინდელზე ნაკლები არ იყო, რადგანაც ის იყო დრო ძველ ღირებულებათა ხელ-ახლად შეფასებისა, მაშინ შეხდებოდა ახალი ცხოვრება ახალ ნიადაგზე, იბადებოდა ახალი მოქალაქეობრიობა, ირღვეოდა ძველი ადათი და ჩვეულება. აკაკი იძულებული იყო მაშინდელ სადღეისო კითხვებისთვის ანგარიში გაეწია და თავისი მსჯავრი დაედო, მაგრამ ერთს საკითხზე ხანგრძლივი დაკვირვებისათვის თვითმბორგავი ცხოვრება ნებას არ აძლევდა და დრო არ ჰქონდა მათ სიღრმეში ჩაეხედა. მიუხედავად ამისა, როდესაც იგი, ასე ესთქვათ, საპროგრამო ლექსებს კი არ სწერდა და სადღეისო საკითხით აო იყო გართული, იგი ხემიკ.ეებების ისეთ სიმაღლებდე აღწევდა, საიამდის ბოლოლდ რიეულხი აღწევენ სოლმე. განყენებული საკითხები შეუძლებელია ბოაზროვნე ადამიანს არ აინტერესებდეს და აკაკის პოეზიასაც ეტყობა, თუ როგორ განგებ, ძალდატანებით გვერდს უქცევდა პოეტი ეგრეთწოდებულ სამარადისო საკითხებს, რადგანაც მას განსაზღვრული, გაძორკეული პროგრამა ჰქონდა მოქმედებისა... იგი უახლოვდებოდა თვით პოეზიას ამ ქვეყნიური, თავისი ერის კონკრეტული საჭიროებათა საზომით. პოეზია საუკეთესო იარაღია საქვეყნო სამსახურისთვისაო, ამბობდა იგი და ამ საამქვეყნო საქმეს იგი ესთეთიკოსის თვალით იმდენად არ უყურებდა, რამდენადაც რეალისტისა. ამიტომაც არის, რომ დიდი ნაწილი მისი ლექსებისა, როგორც აგრეთვე ილიასი, დღეს თითქმის გაუგებარია ჩვენთვის უკომენტაროთ; მხატვრული, უტენდენციო ნაწარმოები კი დროისა და სივრცის გარეშე სდგას და ყველასათვის გასაგებია, რადგანაც პოეზიის ენა ყველასათვის გასაგებია, მშვენიერებით ტკბობა ყველას შეუძლია, მეტ-ნაკლებად რასაკვირველია. საერთო ტენდენცია გონებრივ ნაწარმოებში იმით არის სახიფათო და არ არის სასურველი, რომ ადვილია მისი დაჭანება, როგორც ბარცხნივ, აგრეთვე მარჯვნივ, როგორც კეთილისაკენ, ისე ბოროტისაკენ. ჩვენი, განსაკუთრებით მესამოცე წლების მწერლობა, ტენდენციოზური იყო, მაგრამ, რადგანაც მთელი ამ თაობის მოღვაწეობა ნაკარნახევი იყო მთელი ერის დაჩაგრული მდგომარეობით, ეს ტენდენციაც ამ დაჩაგრულის ქომაგობით, სამსახურით დახასიათდება და ამიტომაც არის რომ ამ ტენდენციურმა მწერლობამ იპოვა ადგილი ჩვენს გულშიც, რადგანაც ჩვენ ყველანი ამ დაჩაგრული ერის შვილები ვართ. ამ ტენდენციოზობამ, პოეზიის პროგრამამ ავნო აკაკის პოეზიას, რო-

გორც ასეთს, მაგრამ მეორე მხრით დასახული და განზრახული „სარგებლობა“ მაინც მოუტანა თავის ერს, ერიც ხედავს ამ ღვაწლს და აღტაცებული დიდებას უგალობს პოეტს — მოქალაქეს, პოეტს — მასწავლებელს, პოეტს საქართველოს მთლიანობის ქურუმსა და მომღერალს.

რომ შევადაროთ აკაკის, ან საერთოდ მესამოცე წლების მწერალთა შეხედულება პოეზიაზე ჩვენი უკვდავი გენიოსის შოთას შეხედულებას, დავინახავთ, რომ შოთას თეორიაში და მის განხორციელება „ვეფხისტყაოსანში“ მეტი ელემენტია ზოგადკაცობრიული და მარადიული. პოეზიას შოთა თავდაპირველად საღვთო საქმედ სახავს:

> შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
> საღვთო საღვთოდ გასაგონი, სულისაცა დიდი სარგი-ო [2].

ამბობს იგი. პოეტნი და მათი პოეზიის მიერ დასახული ქვეყანა ის უშორესი წერტილია, სადამდისაც მიუღწევიათ მათ, მაჩვენებელია იმისა, თუ რა სიმაღლემდე ასულა თვით ერი ამ პოეტთა მშობელი, რადგანაც რაც უნდა გენიოსი იყოს პიროვნება, რაც უნდა ზესთაბუნებრივ მოვლენად გვეჩვენებოდეს, იგი მაინც მისი ერის შვილია და ყოველივე სიკეთე, მისი დამახასიათებელი, უეჭველად თვით ერსაცა სჭირს. შოთამ გაარღვია შედარებით ვიწრო ფარგალი ეროვნებისა და ზოგადკაცობრიულ გენიას ეზიარა და ეს მოხდა იმიტომ, რომ თვით ქართველი ერი მეთორმეტე საუკუნისა იმდენად გალაღდა, რომ მიაღწია ზოგადკაცობრიულ შემოქმედების წერტილს. მეთორმეტე საუკუნეში ე. ი. იმ საუკუნეში, როდესაც შესაძლებელი გახდა ერისათვის ასეთი გენიოსის წარმოშობვა, ცხადია, ქართველი ერი არ უნდა ყოფილიყო გნებავთ ისტორიულად, გნებავთ პოლიტიკურად, გნებავთ სულიერად საარსებო ჰირვარამის ქვეშ მოდრეკილი და ამიტომაც მის გამომხატველ პოეტსაც შეუმუშავებია ფართო თეორია შემოქმედებისა, რადგანაც ლაღი იყო და ფართო თვით ფსიხიკა შემოქმედისა. დავაკვირდეთ ახლა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს, გავითვალისწინოთ მისი მდგომარეობა ყოველმხრივ და დავინახავთ, მივხვდებით, რომ საქართველოს სხვანაირი ფსიხიკა ექნებოდა, სხვაგვარი ხორციელი და სულიერი მოთხოვნილება ჰქონდა, და, მაშასადამე, საპოეტიკო თეორიაც სხვანაირი ექნებოდა. უკვდავი გენიოსია შოთა, რომლის სულიერი შემოქმედება ცოცხალი სურათია მის დროინდელ საქართველოსი, მისი ერისა, უკვდავი მგოსანია ყველა ის პიროვნება, რომელიც ამ სასწაულს მოიმოქმედებს და უკვდავი გენიოსია აკაკიც, რომელიც უზენაესი შემომქმედის მიერ შექმნილი უკვდავი სურათია მეცხრამეტე საუკუნის საქართველოსი.

უკვდავი მგოსანი

დღეს საქართველოში კიდით-კიდემდე სამგლოვიარო ზარი გაისმის. დღეს მთელი ქართველი ერი, დიდი და პატარა, ღრმა ძაძით შემოსილა, მდუღარე ცრემლს აფრქვევს, მწარედ ჰგოდებს გულ-ჩათხრობილი.

ვის ჰგლოვობს, ვის სტირის ასეთი ცრემლით ქართველი ერი? რამ მოიცვა სევდა კაეშნით მისი მტკიცე, მაგარი გული? რამ დაატეხა რისხვის გრიგალი მის გმირულ სულსა? ეგზომ ძალზე რამ შეუკრა მას წარბსახე, სხვიმის გაშლილი. თითქო მუდამ უდარდელი, მღიმარი? საქართველოს „ცა-ფირუზი“ ჯანყ-ბურუსით რად მოცულა? მის ნშვენიერ წარმტაც მთებსა შავი ნისლები რად გადაჰკვრია? ჰირ-ვარამის ცეცხლში ნაწრთობს, მრავალტანჯულს ქართველის სულს განა შვენის ვაი-ვიში, ცრემლთა ფრქვევა?

იცით ვის სტირის, ვის ეთხოვება უკანასკნელად ქართველი ერი? — დიდებულ მგოსანს, პოეზიის დიდსა ჭურუმს, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში გრძნეულ ჰანგებით, მწყობრი მუსიკით ქართველის სმენას ატკბობდა. მის გრძნობებს აფაქიზებდა: თავისი ქვეყნის დიდებულს შვილს, ზენა მადლით უხვად ცხებულს, შარავანდედით მოსილს მოხუცს, სახელოვან ქართველს კაცსა; ხალხის გულის ფიქრთა-ზრახვათა მესაიდუმლეს, დიდს მამულიშვილს; მის ცხოვრების, მის სულისკვეთების ღრმა მცოდნეს, რომელიც თავის უკვდავ ჩანგზე ამ ფიქრთა-ზრახვებს ზეაღმაფრენ სიმფონიით აწყობდა: სამშობლოს უაღრესად მოსიყვარულეს, მის დიდ ჰირისუფალს — მოზარეს, ჩვენს საყვარელ აკაკის.

ჩვენში, ხალხში სიტყვა აკაკი მგოსნის სინონიმია, ხალხის წარმოდგენით, აკაკი და მგოსანი თანასწორი ცნებაა. მგოსნობა, — ეს მხოლოდ აკაკის ბუნებაა და მგოსანიც მარტო აკაკია, — ასე ჰფიქრობს იგი. სხვისი მგოსნობაც, — ეს იგივე აკაკის კუთვნილებაა, ისე, როგორც ყოველი ციხე-კოშკი საქართველოში დიდი მეფის თამარისაა[1], ვინაიდან მისი ღრმა რწმენით, არ არის მგოსანი და არც მგოსნობა გარეშე აკაკისა. მიწის მუშაკს, ხალხის შვილს, რომ ჰკითხოთ: აბა, თუ იცი, მითხარი, ვის ეძახიან პოეტსა, რა ადამიანია პოეტი? — ის მყისვე ასე გიპასუხებთ: როგორ არ ვიცი, ბატონო, პოეტი აი ის „აკაკიაო“.

აი ეგზომ დიდია, ცნობილი სახელი აკაკისა, როგორც მგოსნისა. დღეს საქართველოში არ არის არც ერთი კუთხე, არც ერთი მივარდნილი ადგილი, სოფელი, სადაც მისი ან სახელი არ გაეგონოთ ან რომელიმე მის ლექსს არ მღეროდნენ, პოეზიას, და ნამეტურ სალირიკო. — ეს მისი სამფლობელოა, სადაც იგი, კანდელივით, დღემდის მარტოდ-მარტო ერთი ბატონობს, მარტოდ-მარტო ერთი ანათებს... ამ სამფლობელოში, რუსთაველის შემდეგ, მას მოცილე და სწორი არავინ ჰყავს. ზესთასადარო

მისი ნიჭი დიახ აქ ბრწყინავს, აქ ლაღობს, აქ ანთებს ცეცხლსა. ხან ცას სწვდება, ხან მიწას მისი სიმღერა, მისი ლექსი, მსუბუქი, ცელქი, ცქრიალა, ვით ანკარა მთის ნაკადი, და ოდეს ცოდვილ მიწის მკერდზე დანავარდობს, ნიჭი იგი, შუქ-მფინარე და მახვილი, მუდამ ერთს რამეს ეტრფის, ერთს ღვთაებაზე ლოცულობს — სამშობლოზე, მშობელ ერზე, მშრომელ ხალხზე.

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოკვდები
შენზედვე მგლოვიარეო.

ასე უგალობდა თავის საყვარელ, სათაყვანებელ სამშობლოს აკაკის ციური ქნარი. მრავალი უკვდავი ლექსი აკაკისა, ეს სამშობლოს დიდებული ჰიმნია, მასზე შეთხზული საგალობელი, რომელშიც მის უკუღმართ აწმყო-ბედზე ხან მკვნესარე, სევდა-გლოვის ჰანგებია დაწყობილი, ხან კი დიდი იმედი გამარჯვებისა მომავალში.

„ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!“ ამბობს ერთს თავის ფართოდ გავრცელებულს ლექსში, სიმღერაში სასიქადულო მგოსანი, ხოლო ეს არ არის სასოწარკვეთილება სიკვდილისა, უილაჯობისა. პირიქით, შავ ფიქრებს, ჰმუნვა-გლოვას მის პოეტურ ნაწარმოებებში მუდამ ახლავს გულს იმედი დასახული, მზე ნათელი, ტანჯვა-ნაღველის გამქარვებელი, ხმა გმირული, გამამხნევებელი.

წარსული გულს მწყვეტს, აწმყო მაღონებს
მომავლისაგან თუმც ბევრს მოველი
. . . . . .
მერცხალი რომ კიდეც მოკლა
მაინც მოვა გაზაფხული!
.
არა, აყვავდეს იმედი, გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა...
გაიღვიძებს გმირთა-გმირი,
სიხარულით შეიცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი.

აი ამ სიტყვებით ამხნევებს პოეტი ქართველი ადამიანის სულს — ღრმად სწამს ჩვენი ერის უკეთესი მომავალი და ამიტომ სუსხი ზამთარში მას ვერ აშინებს. ხსნის იმედი მას არასდროს არ სტოვებს და რაც დღეს მხოლოდ სანუკვარ ოცნებათ მიჩნეულია, ის ხვალ ხორცს შეისხავს, სინამდვილედ გადაიქცევა...

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, რომელსაც ეკუთვნის აკაკი თავისი მწერლობა-მოღვაწეობით, ქართველ მწერალთა მთელ გუნდს, მთელ თაობას არ გაუკეთებია იმდენი ეროვნული გათვითცნობიერებისა და აღორძინებისათვის, მისი ვინაობის გამორკვევისათვის, რამდენიც გააკე-

თა აკაკის მადლიანმა კალამმა და დიდებულმავე ქვეყნის მოამაგე ილიამ. ქართველს ქართველობა ვინ ასწავლა? ერს ერობა ვინ ჩაუნერგა? ერის სულსა და გულში ვინ ჩაიხედა? მის გულში ჩაგუბებული უკვდავ ქნარზე ვინ გადმოიღო? — ორმა დიდმა საქართველოს ბუმბერაზმა — ილიამ და აკაკიმ.

გარნა წარსულ წელთა მგოსანთაგან დაუვიწყარი სხივმნათი, აკაკი მით განსხვავდება, რომ მშრომელი ხალხის გულის იდუმალ ზრახვებს ასე ღრმად ვერავინ ჩასწვდა, როგორც აკაკი. ისეთი აღმტაცი მშვენებით, ისეთი მსუბუქი. ნაზი გასაგები ენით ვერავინ მოგვითხრო ტიალი სოფლის, ბეჩავი გლეხის ჭირ-ვარამი, მისი ყოფა-ცხოვრება, როგორც აკაკის მაღალმა ნიჭიერმა, შეუდარებელმა პოეტურმა შემოქმედებამ. ესაა მიზეზი, რომ ქართველი ერის მშრომელი ნაწილი, ყველაზე მეტად აკაკის პოეზიას დაუახლოვდა, დაუნათესავდა, მასში იპოვა თავისი გულისნადები, თავისი სულის სწრაფვანი. ესაა მიზეზი, რომ ხალხი აკაკის ლექსებს სხვაზე მეტად იცნობს, მღერის მათ, სწავლობს — ზეპირობს ყოველ მის სიტყვას, მისი ჩანგის ციურ ხმებს დიდი—კდემა-კრძალვით უგდებს ყურს. მაღალი წრიდან გამოსული აკაკი ხალხის შვილია, მგოსანი დემოკრატი, მშრომელი ხალხის მოზარე. გლეხს, მის მდგომარეობას, მის გაჭირვებას თუ ლხენას, მისი სულის მოძრაობას აკაკი ხშირად მიმართავს თავის პოეზიაში. ერთს ცნობილ ლექსში დიდებული მგოსანი თავის ჩონგურზე სიმთა ჟღერის საგნათ ამას ჰსახავს:

რომ დაჩაგრულს ამ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გელში ბგერით
ცაარავით ესობოდეს.

მეორე მის ლექსში „მუშური“ ამასაც ვკითხულობთ:

ყველა თავში მიჰაჭკუნებს
გარეშე და შინაური.
. . . . . .
ჩვენი ჯაფით მოყვანილი
ხასთან მიდის საზრდო პური.

„გლეხის აღსარებაში“ გლეხი ბატონს ეუბნება:

თავხრილი მიტომ ვარ,
რომ კისერზე მაზიხარ.

ან და კიდევ „იმერულ ნანინაში“. რომელიც მან უძღვნა საბატონო უმების ახალშობილ შვილებს, მგოსანი ამ სიტყვებით დამღერს:

გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო,
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერ გაგტეხს ვალიო,
. . . . . .

შენი დაჩაგრული ძმები შენ უნდა იხსნაო,
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო!

აი რა შეგნება შეაქვს მგოსანს ამ ცხოვრების მაშვრალთა მსოფლმხედველობაში! აი რას ასწავლის მგოსანი-გვირგვინოსანი უმწეოს, გულგატეხილს ქვეყნის მარჩენალს, ჯაფისაგან წელ-მოწყვეტილს, რომლის ოფლი, მისივე თქმით, „უხვად ალბობს ცხელსა მიწას“.

დიახ, „გვირგვინოსანი“, რამეთუ არ ვიცით ჩვენი დროის ქართველი მგოსანი ზე-მაღლით მისებრ დიდი, მაღალი, მკვეთრი, ბრწყინვალე. მაღლი იგი გრძნეული ძალაა, სხივთა მფენი, სიცოცხლის წყარო, და ვინც ასეთი განძის მპყრობელია, განა იგი გვირგვინოსანი არ არის, მეფე თავის ტოლთა შორის?!..

არ. ჯ.-შვილი (არჩილ ჯაჯანაშვილი)

აკაკი წერეთელი

...აკაკი ორნაირად უნდა დაფასდეს. როგორც პოეტი შემომქმედი და როგორც პოეტი რეფორმატორი. ძალა მისი პოეტური შემოქმედებისა ერთნაირი იქნებოდა ყოველთვის, რა დროსაც არ უნდა დაბადებულიყო იგი. შეიძლება გარეგნული სახე მისი პოეზიისა სხვადასხვანაირი ყოფილიყო. შეიძლება ფორმები, რომლებშიაც ჩამოისხმოდა მისი პოეტური შემოქმედება. ადგილისა და დროის მიხედვით, სულ სხვანაირი ყოფილიყო, ვიდრე ეხლა, მაგრამ ის ღვთიური ნაპერწკალი ნიჭისა, რომელიც თანდაყოლილი აქვს პოეტს, მაინც თავისას გაიტანდა და თავს იჩენდა.

მაგრამ აკაკი მარტო ასეთი პოეტი არ იყო. ივი ამასთანავე ერთად იყო პოეტი-რეფორმატორი. იგი დაიბადა და თან მოიტანა არა მარტო უნარი პოეტურ შემოქმედებისა, არამედ ძველი ფორმების გარდაქმნისაც. ქართველ ხალხს უწინაც ჰყოლია დიდი პოეტები, განა დიდი პოეტი არ არის ბესიკი [1], ალ. ჭავჭავაძე [2], გრ. ორბელიანი [3], ნ. ბარათაშვილი [19] თითოეული მათგანი დიდ შემოქმედ ინდივიდუალურ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ, ამასთანავე ერთად, თითოეულ მათგანს საპატიო, მაგრამ მაინც განცალკევებული ადგილი უჭირავს ჩვენს მწერლობაში.

აკაკი წერეთელი ამ ძხრით ზემოხსენებულ პოეტებს არა ჰგავს. მან მოგვცა არა მარტო მხატვრული ნაწარმოებნი, რომელთაც თავის თავად უდიდესი მნიშვნელობა აქვს, არამედ მან გარდაქმნა ძველი ფორმებიც და შექმნა ახალი ფორმები პოეტურ სურათების ჩამოსაყალიბებლად.

აკაკის წყალობით პოეზია ხალხურ ენას ეზიარა და ამით საუკუნო, განუყრელი ძაფი გააბა ხალხურ ენასა და პოეზიას შორის. ამიტომ მოხდა, რომ არც ერთ პოეტს არ ჰხდომია ჩვენში ისეთი პოპულარობა, რანა-

ირიც აკაკის ერგო. პატარა ქართველი აკაკის ლექსით ეთვისება მშობლიურ ენის ტკბილ ჰანგებს, გლეხი თუ მუშა ხშირად დაჰღიღინებს აკაკის ლექსებს. ერთის სიტყვით, აკაკი ღრმად ხალხოსნურ პოეტად გარდაიქცა. ეს კი განსაკუთრებით მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც პოეტის ენა ხალხის ენაა და ხალხის ენა პოეტის ენაა.

ამისთანა პოეტი შეუძლებელია განცალკევებულად მდგარიყო. იგი ხალხის გულის სიღრმიდან იღებდა ძალას და ამიტომ განსპეტაკებული, გალამაზებული ისევ ხალხს უნდა დაჰბრუნებოდა. ასეც მოხდა, აკაკი პოპულარული გახდა არა მარტო თითონ, მან და მისმა პოეზიამ წარმოშობა მთელი რიგი პოეტებისა, რომელნიც ახალის, მსუბუქის ენით სწერდნენ და მით თანდათან უახლოვდებოდნენ ხალხს. ამ რეფორმატორობის ნაშრომთავარი იყო აკაკი. ამიტომ მისი მნიშვნელობა ერთიორად უფრო დიდი და თვალსაჩინო ჰხდება.

განსვენებულ არჩილ ჯორჯაძეს[5] თავის ინტელიგენციის ისტორიის ნარკვევებში[6] მშვენიერად აქვს დახატული სურათი იმ ბრძოლისა, რომელსაც ახალი თაობა აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ეწეოდა ძველ თაობასთან ენის გარშემო. ერთის შეხედვით ეს ბრძოლა თითქოს უმნიშვნელო რამ არის, მაგრამ, თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ თვითოეული ასოს შესახებაც კი მთელი საჟურნალო პოლემიკა ასტყდებოდა ხოლმე, ცხადი გახდება ჩვენთვის, რაოდენი გამბედაობა და დაჟინება იყო საჭირო, რომ ძველ ტრადიციებზე აღზრდილ თაობისათვის ქედი მოეხრევინებინათ. იწყებოდა თეორეტიკული კამათი ქართული მართლწერისა და საზოგადოდ სტილის შესახებ. აი, სწორედ ისეთ დროს გაისმოდა აკაკის მსუბუქფრთიანი მადლიანი ქართული. ქართული იგი, ძველთა თვალსაზრისით ვულგარული, ნელ-ნელა აწვეთებდა ყურში ტკბილ მშობლიურ ჰანგებს ქართველ საზოგადოებას, აყვარებდა ქართულ ენას და იდუმალ სიმებს აბამდა პოეზიის ქურუმთა და ხალხს შუა. პროგრესი ენის კულტურაშიც არის და აკაკი წერეთელიც ამ კულტურის ერთი უდიდესი მუშაკთაგანი იყო.

ტრიფონ ჯაფარიძე

სხვანაირი სიკვდილი

(აკაკის დასაფლავების დღე)

აკაკის გარდაცვალების გამო მთელი საქართველო გლოვის წყვდიადმა მოიცვა...

განა შეიძლება დღევანდელი გლოვის სავსებით აღწერა? ვისი გონება ჩასწვდება დღევანდელი საერთო მწუხარების უფსკრულს? ვის შეუძ-

ლია ენით ან კალმით დახატოს ის სურათი, რომელსაც დღეს საქართველო წარმოადგენს? არა — ეს არ შეიძლება; ამის სურვილი უკაზღვრო სითამამე იქნება. ერის ცხოვრებაში არის ხოლმე უღრმესი მომენტები, ისტორიული წუთები, რომლის საზღვრებით ახსნა არ ხერხდება და, აი, სწორედ დღევანდელი სურათიც ასეთია.

როგორ წარმოიდგინოს ქართველი კაცის გონებამ, რომ აკაკი აღარ არის? როგორ დაიჯეროს ქართველის გულმა, რომ აკაკის ტკბილი ჰანგი შესწყდა და მისი მშვენიერი ენა დადუმდა? როგორ შეუთანხმდეს ქართველი იმ ულმობელ აუცილებლობის კანონს, რომ ის ვეღარ დაინახავს აკაკის მოცინარე, ფართო სახეს, გრძნობათა საუცხოო გამომხატველს მის თვალებს და ერის ყოველგვარი წყლულით ამოძრავებულ მის ბაგეს?

სწორეთ ძნელია სიკვდილი! უცნაური რამ არის ეს საიდუმლოება ბუნებისა: ადამიანის გრძნობა-გონების აღმაშფოთებელია ეს ბნელი უძლეველი ძალა!!!

„აკაკი მოკვდა", „აკაკი აღარ იქნება" ეს სიტყვები დაუჯერებელია: ენა იტყვის, მაგრამ გონება არ მიიღებს; თვალი გვამცნობს, მაგრამ გული არ მიიკარებს; სინამდვილეს ოცნება მოერევა, გონებას გრძნობა გადალახავს — და აკაკის სიკვდილს არავინ არ დაიჯერებს, არავინ დაიჯერებს და ასეც უნდა იყოს, მიტომ, რომ სულ სხვა არის ბუმბერაზის სიკვდილი. ერის ბელადისა და ისტორიული ეპოქის მეთაურის სიკვდილი სხვანაირია...

თუმცა სიკვდილი უძლეველი ძალაა, მაგრამ როცა ეს მოვლენა ისეთ პირებს მიუახლოვდება, როგორიც იყო აკაკი, მაშინ სიკვდილს ელფეთი ეკარგება, მისი მომძსპობი და გამანადგურებელი ძალა სუსტდება, უცებ სულ სხვა სურათი გვეხატება თვალწინ: — ბნელ სფეროში იმედის ვარსკვლავი ანათებს, სიკვდილის სამოსელში სჭექს ხმა აღდგომისა, წყვდიადს თან მოსდევს დიდი ნათელი და, აი, ამ დროს დიდებული პიროვნება ქვეყნიდან ზეცას გადადის; სული მისი ნათლად უზენაესს მიემართება, გვარი აქ რჩება და სათაყვანებელ კერპად ! ისახება; უცებ ხალხის თვალწინ იმართება დიადი ძეგლი, რომლის დასაწყისი — საფლავი — ხალხის გულში ითხრება, წვეროკი ზეცას მიეშურება, რომელიც გზის მაჩვენებელ რწმენის ვარსკვლავად ისახება, აი, ასეა დღესაც. აკაკის სიკვდილი სხვანაირია. აკაკის სიკვდილი არის დაგვირგვინება მისი ბრწყინვალე წარსულისა. აკაკის სიკვდილი არის ცხადი ბეჭედი მისი მრავალფეროვანი შემოქმედებისა. აკაკის სიკვდილში მისი აღდგომაა ჩასახული, აკაკის სიკვდილი დასაწყისია ამაღლებისა!

ეს არის ხვედრი დიდებული პირებისა. სიკვდილის დღიდან იწყება მათი სიცოცხლე. სიკვდილი მხოლოდ სცვლის მათი არსებობის სახეს: ქვეყნიური, დროებითი არსებობა იქცევა ზეციურათ და უკვდავათ. ამ პირთა ბინა ხალხის შეგნება-ხსოვნაში ისახება. გამომხატველათ კი ისტორიის ფურცლები და ხალხის აღსარება იქცევა.

აკაკი სიცოცხლეშივე თითქმის კერპად გადაიქცა. აკაკის პიროვნებას ქართველი ერი ერთგვარ თაყვანსა სცემდა. ეს მოვლენა ღირშესანიშნავია და თუმცა დაწვრილებით ამის ახსნა და გაშუქება დღეს უადგილოა, მაგრამ მოკლეთ მინდა, მკითხველო, დაგისახო ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა ჩვენში ასეთი ღრმა სიყვარული და პატივისცემა აკაკისადმი.

ქართველი ხალხი არ შემცდარა, როცა აკაკი დიდად დააფასა და კერპათ დასახა. აქ ქართველს არ გადაუჭარბებია: ეს მოხდა თავის თავად, მოხდა მიტომ, რომ უნდა მომხდარიყო, რადგან აკაკი მარტო პოეტი და მწერალი კი არ იყო, აკაკი სულ სხვა დროის შვილი იყო და სულ სხვა გამოსახულება არგო მას წილათ უზენაესმა.

აკაკი მაშინ მოევლინა სამშობლო ქვეყანას, როცა ქართველი ერი ხანგრძლივი ტანჯვა-ვაებით წელში იყო გატეხილი, გონებრივი ძილით მოცული, უნდა გამოფხიზლებულიყო. ეს იყო მესამოცე წლები.

მაშინ ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ერის აღორძინებასა და გათვითცნობიერებას. მაშინ დაიდგა საკურთხეველი ეროვნული მსახურებისა და, აი, ეს საკურთხეველი ქართველი ერის დამამშვენებელმა განათლებულ მოღვაწეთა ჯგუფმა აღმართა. ამ ჯგუფში აკაკი საპატიო მუშა იყო. აკაკის მოწოდება იყო მხატვრულად და გრძნობით სავსე ტკბილი ჰანგით სამშობლოს წყლული აეწერა და ჩაბინებულ მოძმეთა სმენა აეძრა. აკაკის ხვედრი იყო, რომ მას, როგორც ბუნებით მგოსანს, ხმა შეწყობილი ნაზი მუსიკით ქართველის გულში გრძნობა აენთო და სამშობლოს სიყვარული შიგ ჩაეთესა. ეს შეასრულა დიდებულმა მამულიშვილმა. მშვევრი ენა, გამჭრიახი გონება, ცოცხალი ოცნება და მხატვრული ნიჭი ამკობდა აკაკის და მან საუცხოოთ დახატა ბნელი წარსულიც, საოცარი აწმყოც და სანატრელი მომავალიც.

აკაკიმ დასახა იდეალად სამშობლოს სიყვარული, აღიარა სატრფო მცნებათ მისი სამსახური, პირადი მაგალითით ხალხს წინ წაუძღვა. აკაკი შეიქმნა ნამდვილი მოძღვარი ეროვნული მოძრაობისა და მისწრაფებისა. თვით პიროვნება აკაკისა იქცა სამშობლოს სიყვარულის განხორციელებათ. აკაკი შეიქნა სამშობლოს ჰირისუფალი. აკაკის პიროვნებაში ქართველი ერი ხედავდა თავის ისტორიული განახლების დედაბოძს და სწორედ აკაკი იყო ეროვნული თვითცნობიერების ბურჯი.

აკაკის პოეტობა იყო საუცხოო იარაღი ეროვნული იდეალების გამოსახატავად და ხალხის შეგნებაში აღსაბეჭდათ. აკაკის პოეზია ისეთი ბუნებრივი ხასიათით განსხვავდება, რომლის ბადალი მსოფლიო ლიტერატურაში უნდა ვეძიოთ, პეპელას ფრენა, ჩანგურის სიმთა ჟღერა, ნამგლის წკრიალი, ბულბულის სტვენა, ჩიტის ჭიკჭიკი, ფუტკრის ფარფატი, ღელის ჩხრიალი, ფოთლის შრიალი — ყველაფერი საიდუმლოებას უკარნახებდა აკაკის. ყოველგვარ ბუნებრივ მოვლენას აკაკის მუზა ასულდგმულებდა, ალაპარაკებდა, სიცოცხლის სახეს აძლევდა — ამეტყველებდა.

აკაკი იყო მედგარი დამცველი დედაენისა. იშვიათი მცოდნე ძველი ქართული ენისა, აკაკი შეიქნა შემოქმედი ახალი ქართული ენისა. მისი შემოქმედებითი ნიჭი ენას აკეთებდა, ალამაზებდა, აცოცხლებდა, მხატვრულად ასურათებდა. აკაკი იყო ენის მასწავლებელიც და შემნახველიც. აკაკი იყო ფუძე დედა ენისა, სალარო ენის სიმდიდრისა. აკაკი ყველას უნერგავდა დედა-ენის განუსაზღვრელ სიყვარულსა და პატივისცემას.

აკაკი იყო იშვიათი მოყვარული ხალხისა, მას ღრმად სწამდა. რომ ხალხშია ძალა შემოქმედებისა და მოძრაობისა, ამიტომაც აკაკი მტერი იყო წოდებრივი მიდრეკილებისა და ყოველგვარი დაქსაქსვისა. აკაკის მედგრათ ეპყრა ხელში საჭე ერთიანობისა. აკაკის საუცხოოდ ესმოდა ხალხის გულისკვეთება, მისი მუზა ჩასწვდა ხალხის სულის საიდუმლოებას და დიდებულათაც გააშუქა და გააცისკროვნა იგი. აკაკიმ აამღერა ხალხის გული და აამღერა მდაბიო გუნდი. დიდებულმა ჭურუმმა ნაკურთხი ენით შეიყვანა ხალხი პოეზიის წმინდა წმინდათაში და აგრძნობინა მისი გემოვნება. ამას მიხვდა ხალხი და კიდევაც სთქვა, რაც განიცადა, მიტომაც ეს ჭურუმი ხალხმა კერპათ დასახა და თვალები იმას მიაპყრო.

აკაკი სამშობლოს ჰირისუფლობდა. თავისი კერძო ცხოვრება სამშობლოს მსხვერპლათ მიართვა. თუმცა ის ქვეყნათ დიდ გაჰირვებას განიცდიდა, მაგრამ ადვილათ იქარვებდა. აკაკიმ ქვეყნიური პატივიც უკუაგდო და ტანჯვაც გმირულად აიტანა. ნახევარი საუკუნე ატარა მან ჯვარი ცხოვრებისა და სამშობლოს სიყვარული მაინც არაფერს ანაცვალა. სიცოცხლით ეს დაამტკიცა და, როცა ნათლად მიიცვალა ანდერძათ მაგალითი დაგვიტოვა.

აკაკის დასაფლავების დღე — ისტორიული დღეა ჩვენთვის. ასეთი წუთი ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს, სავსებით იპყრობს ხალხის ყურადღებას და წარუხოცელ კვალსა სტოვებს ერის შეგნებაში. ასეთი წუთი სასწაულებრ აერთებს ერის ისტორიულ წარსულს აწმყო და მომავალთან და მჭიდროთ აკავშირებს მისი ცხოვრების ყოველ მხარეს. ასეთი წუთი ასულდგმულებს ერის გონებრივ მოძრაობას და საერთო ფუძეს უკეთებს მას. ყოველგვარი სხვადასხვაობა ცხოვრებისა, დაყოფა საზოგადოებისა, უთანხმოება, კერძო მიმდინარეობა ამ დიდებულ წუთს ქრება, ისპობა და მთელი ერი ერთი აზრით, ერთი გრძნობით იმსჭვალება და ეს ერთობა და მთლიანობა საუკუნო იარაღით იბეჭდება ერის ისტორიაში. ძლიერია ეს ბეჭედი! საიმედო და ალმაფრენია ეს მომენტი; აქ იბადება ერის კარგი მომავალი; აქ იწყება ერის განახლების ხანა. აქ იჭედება ბეჭედი ერის ბედნიერების. აკაკის იუბილე, მოგზაურობა და დასაფლავება ღმოუფხვრელია ქართველი ერის ისტორიიდან. ეს სამი სურათი ალბეჭდვაა აკაკისა ჩვენი ერის შეგნებაში და დიადი დაგვირგვინება მისი უკვდავი მოღვაწეობისა. სულ სხვა პიროვნება იყო აკაკი და სულ სხვანაირია მისი სიკვდილი.

აკაკის პოეზია

მხოლოდ ორი რამე მსურს აღვნიშნო ამ პატარა წერილში.

პირველად ის, რომ აკაკი მარტო ერთი კლასის მგოსანი არ იყო, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ.

ის ყველა პარტიასა და კლასს, მდიდარსა და ღარიბს, ნასწავლსა და უსწავლელს, დიდსა თუ პატარას თანასწორად ეკუთვნოდა, ამიტომ გარდაქმნა მან ქართველი ხალხი ქართველ ერად; ამიტომ იყო ის ეროვნული პოეტი და ამიტომ ჰქონდა მას შემკრებლობითი მნიშვნელობა!

დიაღ! აკაკი იყო ეროვნული საერთო გულისთქმის გამომხატველი პოეტი, ერთი რამეა კიდევ აკაკის პოეზიაში ღირსი განსაკუთრებული ყურადღებისა. ეს არის ნორჩი, უმანკო, ქალწულებრივი, ნაზი, უზადო, და შეულახველი მჩქეფარე გრძნობა, რომელიც წარმოადგენს მისი პოეზიის ნიშანდობლივს, დამახასიათებელ თვისებას.

შეუდაროთ მას ამ მხრივ მეცხრამეტე საუკუნის პირველი მესამედის აზრთა და გულისთქმათა გამომხატველი დიდი პოეტი ბაირონი[1], მოღრუბლული ბრიტანიის ეს ურჩი, მედიდური და ამპარტავანი შვილი, თვითონაც მოღრუბლული იყო, როდესაც გარეგნულად მხიარულობდა, მაშინაც კი დარდი და ცეცხლი სწვავდა, ჰქეჯნიდა მის მშფოთვარე, მოუსვენარ გულს. და მართალი იყო მისი ცოლი[2], რომელმაც მას ერთხელ უთხრა: დედამიწაზე შენებრ გულმწუხარე ადამიანი არ არისო. ბაირონის გული და გრძნობა იმ საკაცობრიო სევდასა და მწუხარებას გამოხატავდა, რომელიც მაშინდელმა რეაქციამ წარმოშვა.

ხოლო მით იყო დიდი, რომ მსოფლიოს მწუხარებას შეუერთა თავისი აღშფოთება, პროტესტი იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ გაბატონებულიყო, და ტიტანისებური ბრძოლა გამოუცხადა მთელ საზოგადოებას, რომელიც მოთმინებით ატარებდა მონობის მძიმე უღელს. ის ერთსა და იმავე დროს იყო ტიტანი[3] და სატანა[4], რომელიც საშინელი ძლიერებითა და სარკაზმით სწყევლიდა და დასცინოდა ადამიანთა ქედმოუხრელობასა და ფარისევლობას, ორპირობასა და ვერაგობას, სიმკაცრესა და სილაჩრეს. მაგრამ დაუკვირდით კარგად მის გმირებს. ისინი იბრძვიან, მაგრამ თითქმის არ იციან რისთვის, რადგან სასოება წარკვეთიათ და რწმენა შერყევიათ. სულიერი წონასწორობა აღარ მოეპოვებათ და სიცოცხლე მოყირჭებიათ! მათი სული ეჭვებს შეუპყრია და გული საწამლავს გაუმწარებია! და იბრძვიან უიმედონი და უიდეალონი! აკაკი ახალ გაღვიძებული საქართველოს შვილია. ის პირმცინარე, ცელქი, ცქრიალა, მხიარულია და მის გარეგნობას სავსებით ეთანხმება მისი სულიერი განწყობილებაც. „შემცდარია, ვინც გულს იტეხსო“, ამბობს ის ერთ მშვენიერ ლექსში. ის სულით ჭაბუკია, ახალგაზრდაა სიკვდილამდის. და, როდე-

საც ტირის, მაშინაც კი იცინის, მისი სიცილი ახალგაზრდული, უმანკო სიცილია და მისი ტირილი — უმანკო ქალწულის ტირილია. ის იცინის, რადგან უხარია, რომ თუ თვითონ არა, მომავალი თაობა მაინც მოესწრება მის სანატრელ იდეალს. და სტირის, რადგან ჯერ კიდევ არ ასრულებია ნატვრა. მას სწამს, რომ „ია და ვარდი“ არ დასჭკნება და მისი სამშობლო კვლავ ელირსება ბედნიერებას. ამიტომ მის სულს ორჭოფობის ნასახი არ აჩნია და მისი რწმენა მთლიანია.

რას მივაწეროთ ასეთი განსხვავება?

იმას, რომ ქართველ ერს აქამდის შეულახველად, უზადოდ და უნაკლულოდ შეუნახავს და დაუცავს თავისი ნერვიული სისტემის სინორჩე. სიახლე. ეგებ ამის მიზეზი ისიც იყოს, ჩვენში რომ დღემდის სოფლის ცხოვრებას ქალაქურზე უპირატესობა ჰქონდა. ალბათ იმასაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ჩვენი ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტი სამშობლო, რომ ზომიერი ჰაერით, ანკარა წყლებითა და ნაყოფიერი ნიადაგით უხვად მომადლებულია. მაგრამ, როგორიც უნდა იყოს ეს მიზეზი, უეჭველია, ქართველი ერის სიცოცხლის ძალა, ანუ პოტენციური ენერგია რომ დიდია და ეს სიცოცხლის ძალა სჩქეფს საზოგადოდ ქართულსა და მეტადრე აკაკის პოეზიაში.

ეს ფაქტი კი თავის მხრით იმას მოწმობს, რომ ქართველ ერს სიცოცხლე არ მოყირჭებია და, პირიქით, ეხალისება, სწყურია. და. ვინც პირუთვნელად შეისწავლის საზოგადოდ ქართულ ლიტერატურას და კერძოდ აკაკის პოეზიას, ეს დასკვნა უსათუოდ დაებადება!

ამგვარად აკაკის პოეზია — ქართველი ერის ხასიათსა და გულისთქმას სავსებით გამოხატავს. ამიტომ მოიპოვა მან სამარადისო ბინა და უკვდავება ქართველი ერის გულში.

გრ. გიორგაძე

სიტყვა საჩხერეში

კიდევ რამდენიმე წუთი და დიდებული მგოსანი მთაწმინდას[1] გაეშურება, რომ იქ, ქართველმა ერმა თაყვანი სცეს საუკეთესო თავის შვილს და დიდებას. ქართველი ერი მგოსნის ჭირისუფალია. რით დაიმსახურა აკაკიმ ქართველი ერის ჭირისუფლობა? რა აკეთა აკაკიმ ნახევარი საუკუნის განმავლობაში? როგორ მოიხმარა მან ის დიდი ნიჭი, რომელიც მას ზეცამ უბოძა? რა იდეალებს ემსახურებოდა ის? რა იყო ძარღვი მისი მოღვაწეობისა და უმთავრესი სიმი მისი ჩონგურისა?

ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ აკაკი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართველი ერის სინდისი იყო, სინიდისი მიუდგომელი, შეუპოვარი სამართლიანობის მედგარი დარაჯი.

ოჯახი, საზოგადო დაწესებულებანი, წოდებები, სწავლა-აღზრდა, სა-

სამართლო, ლიტერატურა, პოლიტიკური მიმდინარეობა, — ყველა ამას თავს დასტრიალებდა აკაკის მიუდგომელი დაფასება და მაკურნებელი იუმორი. და ის მოურიდებლად შოლტით ხელში ერეკებოდა იმ ტაძრიდან, სადაც მსახურებდა, ყველა მათ, ვინც შელახავდა ამ ტაძარზე აღბეჭდილ ჭეშმარიტებას, რომლის სახელი ადამიანობაა.

ადამიანობა, — აი აკაკის საზომი ყოველი მოვლენის დაფასებისა. ვინც უღალატებდა ამ ჭეშმარიტებას, ის ვერ აცდებოდა მგოსნის რისხვას, ვინც უნდა ყოფილიყო ის: თავადი, აზნაური, ინტელიგენტი, მღვდელი, ბერი, გლეხი თუ მუშა, ხოლო ადამიანობა იხატება ძმობა, ერთობა და სიყვარულში, რომელიც მგოსნის სიტყვით, თაფლია ცხოვრებისათვის.

თაფლია ცხოვრებისათვის
ძმობა, ერთობა და სიყვარული
და ღირს დალიოს ამ ძიებაში
ადამიანმა სული და გული.

ძმობა, ერთობა და სიყვარული მიმართული მამულის აყვავებისაკენ, — აი აკაკის პოეზიის უმთავრესი სიმი. ამ ადამიანობას, ძმობას, ერთობას და სიყვარულს ის ეძებს წარსულში, აწმყოში და სურს იხილოს მომავალში.

სიყვარული თავის ერის და. სხვა ერებისა, ძმობა-ერთობა წმინდა იდეალების მისაღწევად, მამულის ასაყვავებლად — აი რას მღეროდა აკაკი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

ამას მღეროდა აკაკი და მას უსმენდა სულგანაბული ქართველი ერი. უსმენდა, რადგან აკაკი ჩვენი საუკეთესო გრძნობების მეფე იყო, მეფე მხნე, წმინდა, წყნარი და მომცინარი.

მეფე იყო, რადგან ხელთ ეპყრა ქნარი, რომელსაც ხალხური სიმები ამშვენებდნენ.

აი ასეთი ხალხური და ადამიანობის ქნარით იგი შეცურდა ცხოვრების ზღვაში. მაგრამ აქ ვერ ნახა მან ძველებური ქართველი თავდადებული, შეუპოვარი, თავისი ინტერესების დამცველი; ორპირი, წელში მოხრილი, დაცემული ქართველობა მის გულისწყრომას იწვევდა და ამ საქართველოს სამართლიანად ეუბნებოდა:

ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო.

სამაგიეროდ ის თაყვანს სცემს პირდაპირ, მამა-პაპის ანდერძის აღმსრულებელ საქართველოს, და ეს მან საქმითაც დაამტკიცა. ორი დიდი მომენტის მოწმე იყო აკაკი: მე-60 წლების — დიდი რეფორმების ეპოქის და ჩვენ თვალწინ გავლილ ხალხურ მოძრაობის [2].

აკაკი, არისტოკრატი შთამომავლობით, სულით გლეხობის მეგობარი და მესაიდუმლე იყო. როდესაც მან ჩაიხედა გლეხის სულსა და გულ-

ში, მან განიცადა ის, რასაც ბატონ-ყმობით შებორკილი, უფლება-აყრილი გლეხობა განიცდიდა.

დროშაზე „მიწა და თავისუფლება“ ეწერა. მან აღიმაღლა თავისი მკვეთრი ხმა გლეხობის დასაცავად და ეს ძლიერი ხმა, მისი ფანდურიდან გამოშვებული, გულში მოხვდა მებატონეთ; ცისე შიგნიდან გატყდა: მებატონე აკაკი გლეხების დამცველად გამოეიდა და ეტრფოდა იმ დროს, როდესაც გლეხი სრული თავისუფალი მოქალაქე გახდებოდა.

ამ გამოსვლით მან ბევრი წარჩინებული მებატონე გადაიკიდა, სასიკვდილოდ არ ინდობდნენ მას, მაგრამ შეუპოვარი დამცველი გლეხის პირით ასე ამხელდა მებატონეთ:

მაშ ახლა რაღას სწუხარ, ახალ დროს რომ მოელი?
რათ არ მეტყვი: „ძმები ვართ, მოდი მომხვიე ხელი“.

გამართლდა ხალხის მეგობრის აკაკის მოლოდინი, სამართლიანობამ გაიმარჯვა და განთავისუფლებულ გლეხის შვილს ასე მიესალმა მისი მეგობარი აკაკი:

გაიზარდე გენაცვალე, თავისუფალიო,
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერ გაგტეხს ვალიო.

ამრიგად, აკაკიმ თავდაპირველად თავისი ჩანგური მშრომელი ხალხის დასაცავად ააღერა და ეს ჩანგური ერთ წუთსაც ხელიდან არ გაუგდია.

მოხუცი აკაკი ისეთივე იყო, როგორც მესამოცე წლებში 25 წლის აკაკი: აკაკი არ ეკუთვნოდა იმ ჯგუფს, რომელიც ალმაცერად უმზერდა განვლილ ხალხურ მისწრაფებას, ის იზიარებდა მშრომელი ხალხის იმედებს და მოხუცი ასე ამხნევებდა მას:

ნუ გამოილევ მაგ იმედს,
ეგ იყოს თქვენი საგანი...
მუშებო, თქვენი მარჯვენა,
იკურთხოს ოფლით ნაბანი.

ეს თქვა მან, ვინც ხალხის სულის კვეთების, მისწრაფების და გრძნობების მესაიდუმლე იყო...

ფილიპე მახარაძე

აკაკი და ხალხი

დღეს ასაფლავებენ საქართველოს სიამაყეს, ქართული ენის სწორუპოვარს ხელოვანს აკაკის. მთელი ქართველობა თვალცრემლიანი აცილებს მის წმინდა ცხედარს. თვით აკაკის არაფრათ სწამდა გასვენების ცე-

რემონია: ეპვის თვალით უყურებდა იგი ყოველივეს, რასაც კი მიცვალებულის გარშემო ჩადიოდნენ ხოლმე, და კიდეც აღბეჭდა ეს შეხედულება „სიზმარში“, მარა მასაც სჯეროდა, რომ ბავშვები, ქალები და მდაბიო ხალხი, ე. ი. დემოკრატია და ერის ის ნაწილი, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში უფრო გულწრფელია, მისი დაკარგვით ყველაზე მეტად დამწუხრდებოდნენ. არც უღალატნია მის წინათგრძნობას. ეს ესე არის სწორეთ და მისი რწმენაც საფუძვლიანი იყო.

როგოროც თითონაც აღუნიშნავს და მისი თანამედროვენიც მოწმობენ. (იხ. გ. თუმანიშვილის [1] წერილი).[2], აკაკი და მისი პოეზია თავდაპირველად ქალებმა და ხალხმა შეიყვარეს. „ხალხმა მიცნო და ხალხმა აიძულა ინტელიგენცია, მასაც ეცნო“, არა ერთხელ გამიგონია მგოსნისგან.

ასეც უნდა მოხდარიყო. აკაკი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ჩვენს ინტელიგენციაში და მაღალ წრეებში გამეფებული ბალიაღობისა. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე შეებრძოლა იგი ნაწინდელს ძველ თაობას. რომელმაც „აკაკიები-ბაკაკიების“ [3] სახელით მონათლა მთელი ახალი თაობა, ხოლო თვით აკაკი, ქართული ენის მშვენიერებათა ეს დაუშრეტელი წყარო ენის გამრყვნელათ გამოაცხადა. ებრძოდა აკაკი თავის წოდებასაც, როცა ამათ დაიჩირეს ხელში ცხოვრების საქე და, ადამიანის ჩვეულებრივი ლოღიკის თანახმად, თვით შეიქმნენ იმავე ბალიაღობის დამცველნი. ებრძოდა აკაკი მათზე უფრო ახალგაზრდებსაც, რადგანაც ვერც მათში დაინახა დამოუკიდებელი, ხალხის გრძნობათ გამოძთქმელი და მისი ნების ამსრულებელი მოღვაწეები. არ იყო აკაკი კმაყოფილი არც იმ მიმართულებით, რომელსაც გაყვა უკანასკნელ ხანებში ჩვენი დემოკრატია და მშრომელი ხალხი, მარა ყველაზე მეტი პატივისცემით მაინც უკანასკნელს ეპყრობოდა და გულახდილად განუცხადა მას თავისი გრძნობა და შეხედულება (იხ. ლექსი „ზოგი რამ“, უძღვნის ს. დ-ს). თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აკაკი ამ მხრივ შეუღარებელი იყო. მან არ იცოდა ნათელ-მირონობა საზოგადო საქმეში. აჰაო და, ეს მიმართულება პატრიოტულია და მის ცოდვებს ხელი უნდა დავაფაროთ, არ უთქვამს არასოდეს ჩვენს უაღრესს პატრიოტს, ის ებრძოდა ყველას, თუმცა მისი ზღვა გული ყველას იტევდა და განუსაზღვრელი ნიჭი ყველასათვის სანუგეშო რასმე შექმნიდა ხოლმე. აი რით აიხსნება ის, რომ მტერი და მოყვარე, მეგობრები და თაყვანისმცემლები, და თვით ისინიც კი, ვინც ცოცხალს შეწუხებისა და წყენის მეტს არაფერს აჟუნებდნენ, დღეს თვალცრემლიანი მისდევენ მის ცხედარს. დიახ, იგი ყველას კბენდა, მარა ყველასი გახმკურნებელი მალამოც თანა ჰქონდა.

დღეს ბრმაც კი დაინახავს, რომ აკაკიმ თავის გარშემო მართლაც მთელი ერი შემოიკრიბა. ეს ისეთი ტრუიზმია, რომ მისი გამეორებაც კი უხერხულათ მიმაჩნია. აკაკის სიმაღლემდე არც ერთ ჩვენს მოღვაწეს არ მიუღწევია, ყველას სახელი სხვადასხვა ჯგუფთა და მიმდინარეობათა შორის არის განაწილებული. თუ ერთს დემოკრატია ეპატრონება, მეორე

შეძლებულ კლასთა, ან მისი ხელქვეითი ინტელიგენციის საკუთრებად არის ცნობილი. მათი ჯგუფობრივი ხასიათიც აშკარაა და თითოეული მათგანი თავისუფლათ ეცევა ამ ფარგალში.

სულ სხვაა აკაკი, მას ყველა ეპოტინება, ყველას უნდა მისი მარადგანდედის სხივი იწილადოს. უფლებაც აქვთ, განსვენებული იაკობ გოგებაშვილის [4] თქმისა არ იყოს — „აკაკი საქართველოა" [5], საქართველო კი — ყველა ქართველის სამშობლოა და, რომელი ჩვენგანი დაუთმობს მას სხვას, თუნდ ქართველსავე!! მოსწყვიტეთ ახალ საქართველოს აკაკი, ჩამოაშორეთ ჩვენს კულტურას ყოველივე ის, რაც აკაკის მოღვაწეობაზე არის დაყრდნობილი, ან ამ ბუმბერაზ ხის ტოტებს, რომელიც მის ამონაყარს წარმოადგენს, და დაინახავთ, რომ მთელი ნახევარი საუკუნით და მეტითაც უკან დავიხევთ.

რა თქმა უნდა, ასეთი სიდიადის მიზეზი მარტო მისი პიროვნება არ არის, პირიქით. თვით აკაკი არის ჩვენი ერის სიდიადის, მისი გამოფხიზლების ნაყოფი. მარა, რადგანაც ერმა მის არსებაში გამოასურათხატა თავისი შემოქმედების უმაღლესი ძლიერება, თვით იგიც სათაყვანო გახდა.

მგონია, შემცთარი არ ვიქნები, თუ ვიტყვი ქართველი დემოკრატიის ისტორია სწორედ აკაკის გამოსვლით იწყებათქო. აკაკის გამოსვლამდე ჩვენი მწერლობა თავისთვის იყო, ხალხი კიდევ თავისთვის, სწორედ აკაკის პირით მოითხოვა ხალხმა თავისი შესაფერისი ადგილი მწერლობაში და, საზოგადოდ კულტურის წარმართვაში. აკაკიმ შემოიტანა მწერლობაში ხალხური ენა, მან შეისისხლხორცა ისინი. მისიცე დასმარებით მოხდა ის სასწაულიც. რომ ჩვენი სამწერლო ენა იგივე სახალხო ენაა და ამით ქართველობა ბევრს სხვა მოწინავე ერებზე უფრო ბედნიერია.

პირველად აკაკიმ გაანაცხადა, რომ ერი თვით ხალხია; ხალხის საერთო საქმეების წარმმართველი. ხალხში პოულობდა იგი თავისი ზეშთაგონების წყაროს, მასში ეძებდა შემოქმედების მასალასაც: იგივე ხალხი მიაჩნდა მას უდიდეს პოეტათ და ბრძენათაც. ეს თავისი შეხედულება შეინარჩუნა მან ბოლომდი, რასაც მოწმობს მისი ანდერძიც.

სწორეთ ამ მხრით არის ყველაზე უფრო შესანიშნავი მისი მოღვაწეობა.

მიუხედავად იმისა, რომ უფრო ხშირად ჩვენი მგოსანი წარსულს უმღეროდა და იქ ეძებდა თავის იდეალს, მას ღრმად სწამდა თანამედროვე ხალხის გონიერი ალღო და მხოლოდ მისგან მოელოდა „ტყვეობაში მყოფ სატრფოს" განთავისუფლებას.

ეს რწმენა განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ჩვენს პოეტს ძველ საზოგადო მოღვაწეთა შორის, თუ სხვა პოეტები გაკვრით და შემთხვევით შეჩერდებოდნენ ხოლმე ხალხზე, აკაკი მას ხშირად უბრუნდებოდა და უმღეროდა შრომას და შრომის შვილს. მართალია, ის არ იდგა პროლეტარულ თვალსაზრისზე, არ ინაწილებდა ჩვენი წმინდა წყლის დემოკრატიის მრწამსს, სავსებით, მარა, მისი მოსწრებული თქმისა არ იყოს, „არსად

არ უთქვამს: „არ გაუმარჯოს პროლეტარიატსო“ და ვერც იტყოდა როგორც ხალხის გულის მესაიდუმლე, „მუდამ მასთან მყოფელი“, აკაკი თავისი არსებით გრძნობდა ხალხის ძალის სიდიადეს და ხალხთან იყო განუყრელი.

იმ დროს, როცა ჩვენი სხვა მოღვაწეები ხალხის კანისცელით შეშინებულნი ან მისი ამოძრავებით დამფრთხალნი განზედ იდგნენ თუ არ ებრძოდნენ მას, აკაკი ხალხს, მის სტიქიას უმღეროდა.

აბა, გაიხსენეთ რომელი ჩვენი პოეტი შეხვდა გლეხთა განთავისუფლებას ისეთი თანაგრძნობით, როგორც აკაკი? პირველათ მან უმღერა „გაპუტული გლეხის შვილს“ თავისუფლება, მისმა უკვდავმა „ნანინამ“ აუწყა გლეხს გათენების მოახლოება; იგი მიეგება გლეხის შვილის თვალის გახელას სიხარულით!...

აკაკი იყო ერთ-ერთი პოეტი ჩვენში, რომელმაც მერცხლის ჭიკჭიკით მიიჩნია ოთხმოციანი წლების რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა.

აკაკი არ შეუშინებია არც 1904 წლის აბობოქრებულს მოძრაობას[6]. მხოლოდ მას არ მიუბრუნებია ამ ღროს ზურგი ხალხისაკენ იმის გამო, რომ ზოგიერთი მხარე ამ მოძრაობისა არ მოსწონდა.

აი, ეს არის ის დიდი ძალა,
რომელსაც ჰქვია რაღაც სტიქიაო .

იცნო მგოსანმა თავისი გამჭრიახი გონებით ეს დიდი ისტორიული მოვლინება და ხალხის გამოფხიზლებით „მაყოფილმა უგალობა მას თავისი „რწმენა“.

ბადლობა უფალს, რომ მოვესწარი
ჩემი სურვილის ასრულებასა
და ვით ბულბული, დაბერებული
მეც დროს ვუგალობ „ქებათა-ქებასა“.
მართალი არის სისხლი იღვრება
არა მოითხოვს ამას ბუნება!
წყალი ხორცსა ბანს და სისხლი სულსა,
ამას გვიმოწმებს თვით ქრისტეს ენება.
თითო-ოროლა კარგიც იჭრება,
რომ იმარგლება სიმინდის ყანა,
მარა ამიტომ მის გათოხნაზე
ხელს იღებს ხოლმე ქვეყანა განა?
მყრალ ბალახებთან ზოგჯერ უეცრათ
იჭრება ხოლმე ვარდი და ია!
საქმე არ არის ერთი და ორში!
საქმეა მხოლოდ თვით იდეის!?..
ხალხი მღელვარებს, ვაშა მის ღელვას!?..

როგორც ხედავთ, მუდამ ხალხის გრძნობათა გამომთქმელი და მასთან მყოფელი არც აქ ღალატობს იგი მას.

პრაქტიკულ პოლიტიკაში ჩვენი ხალხი განსაზღვრულ მიმართულე-

ბას გაყვა. ეს მიმართულება თითქმის ყველა ძველებმა და მის გარეშე მდგომმა ახალგაზრდებმაც აითვალწუნეს. ხალხის ბტრათ გამოაცხადეს. აკაკიც არ ეთანხმებოდა მას ბევრში; მარა მიმართულება სახალხოთ იქცა, და აკაკი ხომ ხალხს არასოდეს არ გაჭცევია, მან ხალხი, მიმართულებაც შეიგუა და შეიტკბო; შესძლო მისი პირუთვნელად დაფასება;

შენი შეცდომა სჯობია,
მძინარის შეუცდენასა!..
გაწუხებ, მარა შენს ძვირს კი
ვერ ვათქმევინებ ენასა!
სადაც გულწრფელი შრომაა,
იქ ნუღარაფრის გრცხვენია!
შეცდომა წარმავალია —
ქერცლივით გასაცვენია.

ეუბნება აკაკი ამ მიმართულებას.

შემცდარი იყო, თუ არა ეს მიმართულება, ამის კვლევას ნუ გამოვუდგებით, შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ამაზე მგოსანს, მარა კითხვა ეს კი არ არის, ძვირფასი და დასაფასებელი აქ ისაა, რომ აკაკიმ სწორეთ იმ დროს იცნო და საჯაროთ აღიარა ამ მიმართულების გულწრფელობა, როცა მას ყვავი და ყორანი ესეოდა, ბრუნდი და მართალი მის მოღალატეობაზე ლაპარაკობდნენ და თვით მისი მოღვაწეობის მოზიარენიც კი გაურბოდნენ.

არც ამით დაკმაყოფილდა მგოსანი. ერთ თავის ნაწარმოებში ის შეეხო იმ მხარესაც, რომელსაც ასე დაჟინებით უსვამდნენ ხაზს მიმართულების მოწინააღმდეგენი და ცდილობდნენ ამით გაეტეხათ მისთვის სახელი, წაერთმიათ ხალხისაგან მინიჭებული ნდობა. მკითხველი მიმხვდარი იქნება, რომ სახეში მაქვს ზოგიერთი ყოფილი რაზმელებისა და „ერთობის კაცების“ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი. ამ მოვლენებს მოწინააღმდეგენი მოძრაობას აწერდნენ და მის ნამოქმედარათ ასაღებდნენ.

აკაკიმ ამ მოვლენებზედაც შეაჩერა თავისი გონიერი თავი, ასწონ-დასწონა იგი და როგორც მოსალოდნელი იყო მისი გამჭრიახობისაგან, გაარჩია ღვარძლი პურისაგან. „ნამდვილ ამბავში“ მან შესანიშნავად დახასიათა ის ელემენტები, რომელნიც დროისა და გარემოების მიხედვით ხან ერთს ღმერთს სცემდნენ თაყვანს და ხან მეორეს. ასეთი ერია, რა თქმა უნდა, ხალხშიაც და აი, ესენი გამოიყვანა აკაკიმ გამოსუქინსინებულის სახელით.

ამ ბოლო დროს ერთგვარი ხალხი გამრავლდა ჩვენში, რომელსაც არც ღმერთი სწამს არც... ამ გადაგვარებულებს შრომა ეზარებათ და საშოვარზე უჭირავთ თვალი!... თუ მოახერხეს დღეს კაცს მოკლავენ ფულის გულისათვის, ხვალ საყდარს გასტეხენ, აქ ვისმეს მოატყუებენ, იქ ჩამორჩებიან და ამ გვარათ! როგორც ურიის სახლში მირონი, ისე იმათ გულში არა არის რა წმინდა!... ოღონდ კი უშრომლათ შეიძინონ

რამე, აქეთაც არიან და იქეთაც. მოძრაობის დროს ბევრი მათგანი ტერორად იყო გასული და იმ დროს, როცა ნამდვილი სოციალისტები ციხეში იყვნენ გამომწყვდეულნი, ისინი ხალხს ატყუებდნენ და ცარცვავდნენ. მათი სახელით ბევრ რასმე ცუდს ჩადიოდნენ და ნამდვილ სოციალისტებს სახელს უტეხდნენ. სანამ დრო ჭონდათ, იქით იყვნენ და რეაქცია რომ დადგა, აქეთ გადმოვიდნენ, მთავრობას მიმართეს: ზოგი სამსახურში შევიდა, და ზოგმაც ჯაშუშობას მიყო ხელი, რომ რამე შეეძინა. აი ესენი არიან „გამოსუქინსინებულები“.

ასე პირუთვნელად, საღათ და უბრალოთ შესძლო აკაკიმ იმის დაფასება რაც ჯერ კიდევ შეუგნებელი და გაუგებარია ბევრი მოფილოსოფე თავისათვის.

მარა არც ამაზე შეჩერებულა ჩვენი უკვდავი მგოსანი. ხალხთან მისი კავშირი იმდენად მტკიცე და მჭიდრო იყო, რომ არც პრაქტიკულ პოლიტიკაში უნდოდა მისი ჩამოშორება. მიუხედავად აზრის სხვადასხვაობისა. იგი დარწმუნდა, რომ ხალხის საუკეთესო წარმომადგენლობა მხოლოდ შეძლებულ კლასთაგან ათვალწუნებული მიმართულების კაცებს შეეძლოთ და ხალხის სურვილით მორჩილმა განიზრახა ხელი შეეწყო ხალხის ნდობით აღჭურვილი პირის ამორჩევისათვის და აშკარათ მიემხრო ე. გეგეჭკორის[7] კანდიდატურას.

ახლა მეტია იმის გახსენება, თუ რამდენი დაუმსახურებელი და უსამართლო წყენა შეახვედრეს მას ამის გამო. ბევრს უკვირდა აკაკის ასეთი ქცევა; ბევრი სხვადასხვა მოსაზრებით ხსნიდა მის უკანასკნელ გამოსვლას. მარა ყოველი ასეთი მიკიბულ-მოკიბული ახსნა უადგილო იყო, ჩვენთვის სრულიათ ადვილი ასახსნელია ეს შემთხვევა: აკაკი ყოველთვის ხალხთან იყო. მისი ჭირი უჩნდა თავის ჭირათ და ხალხის შვება თავის ლხენათ, და, რა გასაკვირველია, თუ აქაც, ხალხს ამოუდგა გვერდით. მისი ნდობა ხალხისადმი იმდენად ღრმა იყო, რომ აქაც ირწმუნა მისი სიმართლე — მას სჯეროდა ხალხი ბოროტს არ მიენდობოდა გულით და აქაც ფეხდაფეხ გაყვა მას.

ზევით გაკვრით მოვიხსენეთ, აკაკი თავის იდეალს წარსულში ეძებდა თქო და ეს საზოგადოდ, მისი პოეზიის შესახებ მართალიცაა, მარა არა სავსებით. წარსულში პოეტი პოულობდა თავისი სხივმფინარე ნიჭით გაცისკროვნებულს მოღვაწეებს და მათ წარმოგვიდგენდა სამაგალითოდ. რადგან მიმდინარე დუხჭირ ცხოვრებაში ვერ ხედავდა მათ ბადალს. მარა, როცა ხალხის ზღვა აბობოქრდებოდა, ხალხის გაცნობიერების ნიშნები იჩენდა თავს, აკაკი ტაშის კვრით მიეგებებოდა ხოლმე და ბოლოს და ბოლოს მისი უაღრესი რწმენა და იმედიც ისევ ხალხი იყო. ის აღიარებდა, რომ მომავალი ხალხის ხელთაა და ხალხი მხოლოდ ბრძოლით გამოსჭედავს თავის ბედს. უმოქმედოს და სხვის ხელში შემყურეს იგი „ფურთხის ღირსად“ თვლიდა.

წარსულის სიყვარულს ხრახლოდეს დაუხშავს მისი გონების თვალი

იმდენად, რომ თუ აწმყოში რამე სანუგეშო იყო, შეუმჩნეველი დარჩენოდა. მაგალითად მოვიყვან უბრალო შემთხვევას. ზევით მოხსენებულ „უბრალო ამბავში“ აკაკიმ აღნიშნა ახალი ქალის ტიპი. მხოლოდ გაკვრით, ერთი შტრიხით მოიხსენია იგი განსვენებულმა, მარა, ესეც საკმარისია მისგან. იქ ვკითხულობთ, რომ ერთი გლეხის ქალს, თავისი წრისა და მდგომარეობის შესაფერი ბედი მიადგა კარზე — შეძლებული, ჯამაგირიანი და შემოსავლიანი. ეს ვაჟი —„სტრაუნიკად“[8] იყო, ქალმა იცოდა, რომ იგი სოფლების აოხრებისა და აწიოკების მონაწილე იყო და ამის გამო. წინაალმდეგ მშობლების სურვილისა, მათი რჩევა-დარიგებისა, უარზე დადგა: „ძაღლთა პირს არ წავყვებიო! ოქროში რომ ჩამსვას და თვალმარგალიტით შემკედოს, მაშინაც არ მინდა ქვეყნის მძარცველიო. იმას რომ წავყვე, მერე რაღა პირით შევხედო სოფელსო“. ესე მსჯელობს სოფლის გამოუცდელი გოგო, ხალხის შვილი. აბა მიმოიხედეთ მაღალ წრეებში, რამდენია ასეთი რწმენის მიმდევარი? როგორც ხედავთ, აქ მხოლოდ ერთი ხაზია გასმული. მარა ესეც ძვირფასი და დამახასიათებელია. ეს ქალი მომავალი ტიპის ჩანასახია. იგი ნაყოფია „ხალხის ჩვენში გამოღვიძებისა“, რომელსაც პოეტი „მოელოდა“, და არც ეს დარჩა მას შეუმჩნეველი. სამწუხარი მხოლოდ ის არის, რომ პოეტი ვერ მოესწრო ამ ახალი ტიპის განვითარებას, — რადგან ბუნების კანონმა თავისი ქნა. ასე მჭიდრო იყო მგოსნის კავშირი ხალხთან და ამიტომაცაა, აკაკი ეგზომ ძვირფასი ხალხისათვის და ხალხი მისთვის. ამიტომაც შეეძლო მას წარბშეუხრელად შეხედროდა, როგორც ხალხს ისე მის ხელმძღვანელ პარტიას და ეთქვა: ჩვენ ვთესეთ და აწ თქვენ მომკეთო!

ასეთია მისი მრავალფეროვანი მოღვაწეობის ერთი მხარე, რომელზედაც დღესვე მივიჩნიეთ შეჩერება. ამის შემდეგ მეტი და უადგილოა კითხვა: თუ ვის ეკუთვნის აკაკი? იგი თვით ხალხია, „აკაკი საქართველოა“, მხოლოდ ახალი, მომავლის საქართველო და ნურავის გაუკვირდება, რომ ხალხი ასე გულწრფელად დასტირის მას. მისი სამარე ქართველი ხალხის გულია. იგი უკვდავია, მარა მისი მოშორება მაინც მძიმეა და ამიტომ დღეს გლოვის დღეა; და ამავე დროს დღეს აკაკის უკვდაეების გამოცხადების დღესასწაულიცაა; თვით ხალხის, მისი შემოქმედების ძლიერების ცნობის დღეა.

მაშ ვირწმუნოთ, რომ ასეთი შვილის დამკარგავი ერი, კიდევ შესძლებს თავისი გულის მესაიდუმლის წარმოშობას და მით ვინუგეშოთ თავი...

არიელი

სიტყვა, წარმოთქმული აკაკის დაკრძალვის დღეს ერევნის მოედანზე [1]

ჩემზე უკეთ სხვები მოგახსენებენ აკაკის დიდი ნიჭისა და ღვაწლის შესახებ. მე მარტო იმას აღვნიშნავ, რომ თვით თავისი სიკვდილით მან ახალი შესამჩნევი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას, ყველას დაანახვა, რომ მის გლოვაში ერთი გრძნობა და გული ჰქონია მთელს ჩვენს ერს, მხარეს, წოდების, ქონების, ასაკის, სქესისა და თვით პარტიის განურჩევლად. მისმა კუბომ გარს შემოირტყა და ერთნებას ძმურად დაუმორჩილა ყველა ჩვენი მიმართულების მეთაურები, რომელთაც წინეთ ეგონათ, ვითომ მათ შორის საერთო არა მოიძებნება-რა. იმედი ვიქონიოთ არა მარტო გლოვაში, ყველა სხვა ჩვენს საერობო საქმეში და გასაჭირში გამოგვადგება ამის შემდეგ ეს მადლიანი მაგალითი. ხედავთ რამხელა ჯარი გვყოლია?... ოღონდ შტაბი არსად გაგვაჩნია, ურომლისოთ ამ განსაცდელით სავსე დროში, ერი არა თუ წინ ვერ წაიწევს, ვერც კი გასძლებს. იქნებ აკაკის ხსოვნამ ის სასწაული მოახდინოს, რომ დღევანდელი ჩვენი ერთობა და ერთი ხელმძღვანელობის მორჩილება ისეთივე მუდმივი გახადოს მამულის სახეიროდ, როგორც უკვდავი დარჩება ჩვენში აკაკის სახელი.

ვინმე. (გერსამია სერგო)

მგოსანი აკაკი

გაკვრით

„ქართულათ ჰკვნეს, ქართულათ სტენ,
ქართველის გულს ამით ულხენ"
აკაკი

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ქართველმა ერმა დაჰკარგა პოლიტიკური თვითარსებობა და დაჰკარგა არამარტო იმიტომ, რომ მტრის მახვილმა სძლია ქართველის მხნეობას, არა, ეს იყო გამოხატულება უფრო ღრმა დაფარული ცვლილებისა, რომელიც მოხდა ერის სულში უფრო წინ და უფრო ადრე და გადასწყდა „ბედი ქართლისა", და მისმა მოწინავე შვილებმა წინად-გრძნობით გაიგეს მისი შეუჩერებელი სვლა დაღუპვისაკენ. ეს მოხდა მაშინ, როდესაც გმირი სააკაძის [1] სახით დამარცხდა საქართველოს მთლიანობის იდეა [2], და უგუნურ შვილთ საკუთარის ხელით უგრძნობლად დამარხეს ეროვნული იდეალი, მისი მომავალი. აქ

არის მთელი ცეცხლი და სიღრმე საქართველოს ტრაგედიისა, რომ მან თვით უარყო თავისი თავი! რღვევა ულმობელი და დანაწილება. აი საბედისწერო შედეგი ამ უარყოფისა. მოიღუნა, ვით ცვილი, ქართველის ფოლადი, მოკვდა ერის სული და გაიხრწნა მისი სხეული...

მოდუნდა მისი ამაყი სული და იმედის წილ მის გულში სევდამ უსაზღვროდ, უსასოობამ დაისადგურა. ამოიშრიტა ერის სალაროში ზნეობრივი ძალა და განსაცდელში ჩავარდა თვით მისი ფიზიკური არსებობა. მან ვეღარ ჰპოვა თავის არსებაში ძალა და სიმტკიცე წინ დასდგომოდა დროთა ნიაღვარს. ცვალებად ბედსა, და თავისი ცხოვრების სადავენი სხვას გადასცა. აი, ამ ზნეობრივი დაკნინების და კულტურული სიკვდილის ნიშანი იყო პოლიტიკური თვით არსებობის მოსპობა. დასრულდა საქართველოს ტრაგედია, რომელიც თითქმის ოცი საუკუნე სწარმოებდა; და ერთხელ აყვავებული დაინთქა უზადო ჟამთა ტრიალში ქართული სული...

საქართველო რუსეთს შეუერთდა. ნახევარმა საუკუნემ განვლო, ხოლო ქართველი ერი ჯერ კიდევ ვერ გამორკვეოდა ისტორიულ კატასტროფას და თითქოს სულგანაბული თავდავიწყების ბურუსში ძალას იკრებდა ახალი ცხოვრებისათვის... აღსრულდა! იტყოდა მტერი, ოდეს შეხედავდა საქართველოს ასე დაავადებულს.

მართლაც, ჩვენი ერი თითქოს შეუჩერებლივ მიექანებოდა არ-ყოფნის ფსკერისაკენ, რათა იქ დაძირულიყო მისი ტანჯული სული. ქართველმა ერმა დაჰკარგა იდეალი, რწმენა საკუთარი ძალისა და უიმედობის ალში ჩაიფერფლა მისი მწუხარებით აღტკინებული გული.. მაგრამ კვლავ ღვივოდა ქართული სული, ვით ნაპერწკალი უკვდავი, და ფენიქსებრ[3] კვლავ ფერფლისაგან იშვა იგი...

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იწყება საქართველოს აღორძინება, და მისი წინამორბედი არიან ჩვენი მგოსანნი. მათ შავი რიდე მოჰხვიეს ქართველის ნაღვლიან სახეს და ნაზ, მომხიბლავ ჰანგებში ამხილეს ქართველი ერის სევდა, მისი დაუქრობელი მწუხარება. ამ მგოსანთა შორის აღსანიშნავია ჩვენი აკაკი, რომელმაც დროთა ნიაღვარს მოსტაცა უკვდავი სახე მშობელი ერისა და შეუცნობელობის ღამიდან შეცნობის დღეში გამოაცხადა მისი კვნესა-ნაღველი, საუკუნეობით განცდილი. აი აქ არის უმთავრესი ძარღვი აკაკის შემოქმედებისა. მან ღრმად განიცადა ქართველის ერის ტრაგედია: ღამის წყვდიადში, როდესაც დაუდგრომელი მსოფლიო ძილში ისვენებს, მან დაიჭირა ქართველი ერის გმინვა და განთიადზე, როდესაც სხივ გაშლილი მზე ცის თაღზე აინთება, მან იგრძნო ცეცხლი ტანჯვისა და ყველა ეს ტკბილ ჰანგებად გარდაქმნილი ლოცვად ზეცას წარუგზავნა.

აკაკის ჩანგი მხოლოდ ერთისთვის მუსიკობს, მხოლოდ ერთს შესტრფის, და თავს ეღება. ვით პეპელა, ნაზად ზედ დაჰფრინავს, ხან საამურ, ციურ ჰანგებს უმღერის, ხან კი ნაღვლიანად დაჰქვითინებს დაობ-

ლებულს თავის მიჯნურს — სამშობლოს. მგოსანი უსმობს შორეულ აჩრდილს ქართველი ერის სულისას, და ევლინება იგი ნაზი ასულის სახით. და ეს ასული, სიმბოლო ეროვნული გენიისა, მას დაუსახავს სატრფოდ და „მისთვის ხელობს, მისთვის მკვდარი“. იგი, პირიმზე. ქაჯთ შეუპყრიათ, ვით ნესტანი [4], და ტყეებ ქმნილი ელის ტურფა გამომხსნელს, სიყვარულით დაწყლულებული მგოსნის გულს ესმის შორეული კვნესა ტანჯულისა და ისწრაფვის მის საშველად. იგი მზად არის ფერფლად დაიწვას სატრფოსათვის, ვით სანთელი ხატის წინა. იგი ამბობს:

რაღაც უცნაურ ერთობას
ვხედავ სანთელს და ჩემ შუა...
სანთელი ჩემი ხორცია,
სიცოცხლე მოკლე პატრუქი
ნათელი—ჰკუა-გონება,
იმათგან გამონაშეკი.
ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
და რომ ვიწოდე, ვდნებოდე
არ შემიძლიან მეც განა?!

აქ მისი ცეცხლეული სიყვარული მშობელი ერისადმი რელიგიურ ექსტაზში გადადის. და ამ გმირულ თავდავიწყებაში ისმის ზე-ქვეყნიური აღმაფრენა. ასე მარტივად, უშუამავლოდ გამოთქმულ ძლიერ გრძნობაში მოსჩანს წრფელი, თავ-განწირული სიყვარული, რომელიც სალ-კლდეს მოალბობს, ქვას ცრემლს დაადენს და მამულისშვილთ თავს დაავიწყებს.

იმიტომ ამაღლდა აკაკი ეროვნული მგოსნის ღირსებამდის, რომ იგი თავის არსებაში ღრმად განიცდიდა მშობელი ერის ტანჯვას და შემოჭმედი ნებით მხატვრულ სახეს აძლევდა ერის სულში დაგუბებულს უზომო, გამოუთქმელ სევდას. ასე გახდა იგი ერის მოზარე, მისი გულის მესაიდუმლე. მშობელი ერის ტანჯვით იწვოდა იგი, და ამ ცეცხლში ჰპოვებდა ზე-შთაგონების წყაროს. მაგრამ აქვე მზადდებოდა თვით მგოსნის შემოქმედების ტრაგედია. მგოსანს სურს მხატვრულ მთლიან სახეში დაატყვევოს ერის სული, მაგრამ ერი, როგორც იდეალური მთელი, არ არსებობს მის ფანტაზიაში; და არ ძალუძს მგოსანს სხეული შეასხას ერის მახინჯ, დარღვეულ სულს. მგოსანი ეძებს მას (მთლიან სახეს) და ჰპოვებს მხოლოდ წარსულში. მაგრამ მისთვის წარსული არ არის კერპი დამსხვრეული და ცრემლის ნიაღვარს არ აფრქვევს მასზედ: აქ შესანიშნავია ის დაფარული ფსიქოლოგიური მომენტი, რომელიც საფუძვლად უძევს მის აუღელვებელს სიმშვიდეს — ეს არის იმედი, რომელიც რელიგიური რწმენის ხასიათს იღებს, იმედი, კვლავ აღსდგება ძველი ნანგრევებიდან ახალი ივერია [5]. მის ნაღვლიან მელოდიების უკან მოსჩანს სხივი წარუხოცელი იმედისა, რომელიც არღვევს „საქართველოს ცხოვრების“ ბნელს უკუნს და წინ მიუძღვის მგოსანს ცხოვრების გზაზე. ცას შეხედავს, დაი-

ნახავს ცისარტყელას, რომელიც „შეიდ სამთავროს მოგვაგონებს მოელვარე ის შვიდ ფერი და გვიმღერებს, არ მომკვდარა, გაიღვიძებს ისევ ერი". მაგრამ, რა მოშორდება მისი თვალი წარსულს და თანამედროვე ისტორიულ სინამდვილეს დააკვირდება, მისთვის ნათელი გახდება ქართველის სიმახინჯე, მისი სულიერი არა-რაობა. მგოსნის ჩვეულებრივი მოღიმარი იუმორი, გულ-კეთილი დაცინვა გესლიან გაკიცხვაში გადადის და მისი კეთილშობილური გულის წყრომა სჭექს და გრგვინავს. იგი მოურიდებლად ჰგმობს ქართველი ერის გადაგვარებას, სამშობლო ენის დავიწყებას, რომელშიც დაიმარხა საუკუნოებით განცდილი და ნააზრევი, განსახიერდა და ფორმა შეისხა ქართული გენიის სტიქიურმა შემოქმედებამ. ხედავს მგოსანი, როგორ დაუკარგავთ ცრუ-მამულიშვილთ კულტუროსნობა და დარჩენილან მხოლოდ ცხოველნი, და თავიანთ პატრიოტობას მრავალ-ჟამიერში, კახურ ღვინოში და შუშხუნა მწვადებში ჰხედავენ. მათ მიზნად დაუსახავთ მხოლოდ „სმა, ჭამა დიდად შესარგი" და ჩინის მიღება, თუნდ ქვეყნის და სამშობლოს ორგულობით, ღალატით. აქ ვეღარ ითმენს მგოსანი, ოლიმპიური სიმშვიდე და მახვილი ირონია სტოვებს მას, და თქვენს თვალწინ სდგას გამეხებული სამშობლო კერის ქურუმი, რომელიც ცეცხლს აწვიმებს:

აღარ ჰაქვს გრძნობა, დაკარგე გონი,
გაგვიქრა სული მამა-პაპური!
ჩინი შეგვექნა ჰკუის-საწონი
და ძმობის ნაცვლად — ბოროტი შური.
ადგილი იგი, სადც ჩვენ წინაპარს
სისხლი უღვრია თავ-განწირულსა,
შეილთ გვეზიზღება დღეს, აღარ გვიყვარს
და ვერც გეიხურებს გაყინულს გულსა!

ასე გრგვინავდა ძველად ერის სევდით შეპირვებული იერემია[6]. აქ მგოსანი სასტიკია. მას სძულს მახინჯი თანადროულობა, რადგან უყვარს შორით მოციმციმე განთიადი ივერიისა.

მაგრამ ზოგჯერ მგოსნის რისხვის კილო ნაზ, მელოდიურ ელეგიად შეიცვლება. ნაზი მელანქოლია, ვით მაისის გამჭირვალე ბინდი, გადაეკვრის მაშინ მის ლექსებს, და სევდა-რეულ ემოციათა ნელი ტალღები სულს ატყეევებენ. აგერ მგოსნის თვალწინ სდგას ლაღი, ამაყი ბუნების შვილი, მწყემსი. რომელიც სალამურს აკვნესებს და მშობელ ბუნების მკერდზე განაბნევს შეუცნობელ სევდის ჰანგებს. მის მოთქმაში მეტყველებს ცვალებადი ბედის ტრიალი და წუთი-სოფლის სიმუხთლე, და ყველა ეს მგოსანს აგონებს „საქართველოს მწარე მოთქმას". აკაკი ჰკითხავს:

მაშ უწყალო სალამურო,
მტირალო არ საამურო,
რად მსურს შენი ხმა ვისმინო
და ქართველის ბედს ვემდურო?!

მაგრამ ზოგჯერ რომ ტკბილი ხმა
სანუგეშოდ მიჰფრენს აღმა,
და ჩემს გიჟთა ოცნებათა
ხარბად ინთქავს უფსკრული ღრმა,
თავ-განწირულს მამულის მცველს
წარმოვიდგენ მაშინ ქართველს...
ქართულად ჰკვნეს, ქართულად სტვენ,
ქართველის გულს ამით აღსენ!

მისთვის უკვარს მგოსანს ეს მწარე მოთქმა და სევდიანი ღუღუნი მწყემსის სალამურისა, რადგან მასში ისმის მთელი ნაღველი, კვნესა-ვაება ქართველი ერისა, რადგან „ზოგჯერ ჩუმ ტანჯვაში არის დიდი ნეტარება“ (აკაკი). აბა ახლა ყური დაუგდეთ, როგორ შეჰვედრის მგოსანი მეზურნეს.

ახ, მეზურნეე, დაჰკა, დაჰკა,
გამაგონე ეგ სევდის ხმა,
მაგაშია ჩემთა ძველთა
მამაცური ოხერა-მოთქმა.
გამახურე ჰანგით გული,
ეგებ დასდნეს მწუხარება
და ჩემთ თვალთა გადმოსთხიონ
ნაღვლიანი მდუღარება.

აქ აკაკის ლექსის მუსიკალობა შეუდარებელია. ლექსი ჰარმონიულ აკორდებად იშლება და ყურს ატკბობს მომხიბლავი, სიტყვათა უკან მოციმციმე, უჩინარი მელოდია. აქ აკაკიმ სძლია თვით სინამდვილეს: თუ „სალამურში“ სევდა იპყრობს ჩვენს გულს, აქ ემპირიული მწუხარება ადგილს უთმობს ესთეტიურ ტკბობას, და მასში ჰქრება გულზედ შემოწოლილი ნაღველი.

აკაკის სამწერლო ასპარეზზედ გამოსვლის დროს მოხდა ერთი დიდი ცვლილება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელიც საფუძვლად დაედვა განახლებულ ცხოვრებას. ეს იყო გლეხთა განთავისუფლება[7]. დაიმსხვრა ადამიანის ღირსების გამანადგურებელი და ეროვნული ძალ-ღონის დამლუპველი მონობის უღელი, და ქვეყანამ შვებით ამოისუნთქა, მაგრამ მაინც არ მოისპო ბოროტი და უსამართლობა, და განთავისუფლებულს ხალხს ახალი ბატონი გამოუჩნდა. მგოსანმა დაჩაგრულთა უფლებების აღსადგენად მოიხმარა თავისი ჩანგური. მან ბრძოლა მოუწიდებლად გამოუცხადა ყოველგვარ უსამართლობას და ჩაგვრას. მგოსანი ამბობს:

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს ახრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს;

რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს,
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს.

ეს მებრძოლი სული დამახასიათებელია აკაკის პოეზიისა. მას არ შეუძლიან გულგრილათ უყუროს ცხოვრების უკუღმართ ტრიალს და თავის ჩანგს ხმარობს საზოგადოებრივ უსამართლობასთან საბრძოლველად.

აკაკი ხალხის გულის მესაიდუმლე შეიქმნა. იგი მეტად ახლო სდგას მათ ფსიხიკასთან, პირდაპირ და უშუამავლოდ იზიარებს მათ ტანჯვას, მათ იმედებსა და სურვილებს, შეუდარებელის სიმარტივით გადმოგვცემს სიცოცხლის სტიქიურ სიხარულს და უსამართლო ცხოვრების უღელ-ქვეშ გამოწრთობილ სევდას. მისი სიტყვები ღრმად სწვდება ხალხის გულს, რომელიც მხოლოდ იშვიათს გადაეშლება მთელი თავისი სიმდიდრითა და სიღრმით. ხალხიც გრძნობს ამ სულიერ სიახლოვეს და თავის საყვარელ, სათაყვანებელ საგნად ჰხდის მას, ხალხს ეხერხება აკაკის ლექსების საშუალებით მისცეს სახე, ხორცი შეასხას თავის განცდათ, გულისთქმათ. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ საქართველოს ყველა კუთხეში შეგიძლიათ გაიგონოთ აკაკის ლექსები: „ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“, „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“, „აღმართ-აღმართ მიედიოდი მე ნელა“, „სულიკო“, „გაზაფხული“ და სხვანი.

აკაკის პოეზიას თან სდევს ნაზი მელანქოლია და ამ მხრივ ის ჭეშმარიტი ეროვნული მგოსანია. მართლაც, ქართველის სულს სჩვევია უხმო, გამოუთქმელი სევდა, აბა, ყური დაუგდეთ მთვარიან ღამეში მოღიღინე მეურმეს. რამდენი ურვა და შეუცნობელი მწუხარება ისმის მის „ჰარი-ჰარალოში“, რომელიც ხალხის გულში დაგუბებული სევდის ნაკადია. აქ სტირის და კვნესის მთელი ერი.

დიდებულმა შოთამ სევდის სამოსში გამოჰხვია ეს ცრუ სოფელი, დაუნდობელი, მუხთალი ბედი, რომელიც „წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი“ [8].

შეუდარებელმა ნ. ბარათაშვილმა მოგვცა მინაზებული გულის ოხვრა-კვნესა, რომელმაც შეიყვარა საიდუმლოება სიცოცხლისა უმეტესად, სანამ თვით სიცოცხლე.

ხოლო ჩვენმა აკაკიმ ნაზ რითმებში გამოჰკვეთა ნაზი სევდა. მან მისცა ზოგიერთებს საბუთი აკაკი „მსოფლიო მწუხარების მგოსნად“ გამოეცხადებინათ[9], მაგრამ ეს მართალი არ არის. მის ლექსებში ცხადად გამოჰკრთის ღრმად განვითარებული ინსტიქტი და წყურვილი სიცოცხლისა:

აღმართ-აღმართ მიედიოდი მე ნელა:
სერზე შევდექ ქმუნვის ალი მენელა...
მზემან სხივი მომაფინა მაშინა
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა

ეს სიხარული სიცოცხლისა უფრო ღრმად და ნათლად სჩანს ხალხურ ლექსებში („გაზაფხული“ და სხვა), რადგანაც ხალხის საღი სული უფრო ღრმად განიცდის ამ სიხარულს.

აი კიდევ „ქებათა-ქება“, ეს საუკეთესო ნიმუში მსოფლიო ლიტერატურაში. იგი მშობელი ბუნების საგალობელ ჰიმნად, ლოცვად ჩაითვლება

ვიშ ამ საღამოს, მშვიდსა საამოს
ტკბილ-ნეტარებით შეზავებულსა,
რა უცნაურად, მაღლით ციურად
სამოთხისაკენ იტაცებს გულსა...
„აჰა! ვგრძნობ მეცა, რომ არის ზეცა...
დახეთ ამ მთვარეს, სხივ-მომფინარეს!
თითქოს ტკბილ სევდით ივსებსო გულსა!
მოკაშკაშენი, მოთამაშენი
ვარსკვლავნი ირგელივ აბმენ ფერხულსა...
და ახლა მეც ვგრძნობ, საიდუმლოდ ვცნობ,
რომ არის კაცში ღვთისა ხატება!“

მსოფლიო უხილავი ჰარმონია დაუსრულებელ არსის სიდიადე იწვევს მგოსანში რელიგიურ აღტაცებას. აქ მგოსანი ტკბილ ქართველში ეპყრობს უსაზღვრო გრძნობას, და ენებული სული ერთვის უზენაეს ძალთა-ძალასა; ტყვევნილი მომხიბლავი, ზე-ამფრენი ჰარმონიით:

მგოსანი ჰკითხავს:
რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა
ეს საიდუმლო ღვთიური ძალა?

და თვითვე მიუგებს:

შენ სიყვარულო, ცისა და ქვეყნის
კავშირო და თან შუამავალო!
შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო,
გამოუთქმელო კაცთა ენითა

აქ აკაკი გადმოგვცემს იმ მსოფლიო ცეცხლეულ გრძნობას, რომელიც არის დასაბამი თვით სიცოცხლისა და ყოველი არსისა. მგოსანმა გენიალური ინტუიციით განჭვრიტა მსოფლიო საიდუმლო, ხოლო უსაზღვრო გრძნობით შეპყრობილი ვერ პოულობს სიტყვას გამოსათქმელად. აქ მისი ლექსი მთით დაქანებულს ნაკადსა ჰგავს, რომელიც ანკარა წყალში ჭიის სხივებს ათამაშებს, ხოლო მთვარიან ღამით ნაზი ლიკ-ლიკით არეს ჰბინდავს.

* * *

დღეს ჩვენი ერი გლოვობს დიდებულ მგოსნის აკაკის დაკარგვას, მის სიკვდილს. მაგრამ „ვით მოკვდება, ვინც სამოთხის აღმაფრენით სახე

ნახა?!“ (აბაშელი [10]) უკვდავია აკაკი მშობელი ერის ხსოვნაში! იგი ქართველთა ი ა ნ უ ს ი ა[11].(იანუსი ძველ რომაელთა ღმერთი იყო, რომელთა წარმოდგენით იანუსი გამოხატავდა დროს. მას ჰქონდა ორი სახე: ერთი თითქოს წარსულისაკენ იყურებოდა, ხოლო მეორე სახით — მომავლისაკენ). ერთის მხრით წარსულს გაჰყურებს, სადაც მარხია ჩვენი დიდება, ჩვენი კულტურა, ხოლო მეორე მხრით გზნებული თვალით იყურება მომავლისაკენ, სადაც უნდა აიგოს ახალი ტაძარი ტანჯული ერისა.

თვით გახდა გზად და ხიდად და შეაერთა ორი ნაკადი ჩვენი ცხოვრებისა!...

კორნელი კეკელიძე

სიტყვა აკაკის შემოსვენებაზე ქაშვეთის ეკლესიაში [1] 5 თებერვალს 1915 წ.

არაერთხელ შეხვედრია ჩვენი დედაქალაქი საქართველოს პირმშოს აკაკის. არაერთხელ გვსტუმრებია ჩვენი უებარი ჩვენი მგოსანი. აჰა, დღესაც გვესტუმრა ის ჩვენ, მაგრამ, ვაი, მუხთალო ბედო, გვესტუმრა სულ სხვა პირობებში: დღეს მას უხვდება არა ვიწრო წრე პირადი ნაცნობ-მეგობრებისა, არამედ მთელი საქართველო, კასპიიდან პონტამდე[2], იალბუზიდან [3] არარატამდე [4]: დღეს მას ვიღებთ არა სალონ-დარბაზებში, არამედ ტაძრის მაღალ თაღებს ქვეშ, სადაც გაისმის არა სიცილი და „მრავალჟამიერ“, არამედ ტირილი და გულის დამწველი „უფალო შეიწყალე“ [5]; დღეს მას ეგებება საქართველო არა იმისათვის, რომ განცხრომას მიეცეს მასთან შეხმატკბილებულ ბაასში, არამედ რათა განუმზადოს მას ადგილი სამუდამო განსვენებისა. სადაა მისი სიტყვა-ბასრობა, სულისა და გულის წარმტაცი ენა-ტკბილობა? ბაგე სდუმს, ენა აღარ მეტყველებს. შესწყდა ჟღერა იმ სიმთა, რომელნიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ტკბილ ნანინას დამღეროდნენ ახალ დაბადებულ, განახლების გზაზე დამდგარ საქართველოს; ოცდაექვს იანვარს „დაადნა ამ სიმებს გული პოეტისა და „სული დაიცალა“, დაიცალა სწორედ იმ დღეს, როდესაც დაობლებული საქართველო დღესასწაულობდა თავის სასიქადულო მეფის, დავით აღმაშენებლის[6] წმინდა ხსენებას. საგულისხმოა ეს გარემოება! იქ, საშუალო საუკუნის ცის კამარაზე, დინჯად კაშკაშობს გვირგვინოსან მეფის სხივი, აქ, მე-19 საუკუნეში, საქართველოს ამკობს და ასულდგმულებს ესეთივე მძლე, მხოლოდ „უგვირგვინო“ მეფე, მფლობელი სულისა და გულის, დიდებული ჩვენი აკაკი. გარეშე მტერთაგან დაუძლურებული და შინაური უთანხმოებით დაქუცმაცებული და დარღვეული საქართველო, შეუწყვეტელ ომიანობით და ფეოდალურ არისტოკრატიისაგან გაღატაკებული და სოციალურად დაჩაგრული ქართ-

ველი ხალხი საშუალო საუკუნეთა შავბნელით მოცული და ველურ ურ-
დოთაგან დაჩრდილული ეროვნული სული, — აი რა ჰხვდა წილად და-
ვით მეფეს [7], რომელმაც ხანგრძლივი თავისი მეფობა შესწირა საქართვე-
ლოს შეკრება-აღშენებას, მის პოლიტიკურ და კულტურულ ძლიერების
შექმნას. ეკონომიურად აყვავებას და სოციალური სამართლიანობისათ-
ვის ბრძოლას. არა უკეთეს პირობებში მოუხდა მოღვაწეობა ჩვენს
„უგვირგვინო მეფეს," ჩვენს აკაკი „აღმაშენებელს". თავისი ხანგრძლი-
ვი სიცოცხლე მან შესწირა ლეჩაქახდილ სამშობლოსათვის პატივის დაბ-
რუნებას, მის განათლებას და ყოველ მხრივ აღორძინებას. ტყვირთმძიმე-
თა და დაჩაგრულთა შემსუბუქებას. მან შეაერთა და მთლიანობის გზაზე
დააყენა საქართველო. რის მოძასწავებელია მისი მრავალმეტყველი კუ-
ბო: ამ კუბოს წინაშე მუხლს იყრის დღეს მთელი ქართველობა, განუ-
ჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და
კლასობრივ იდეალებისა. მას სწყუროდა საკუთარი თვალით დაენახა —
რას მოუტანდა მის სათაყვანებელ სამშობლოს ჩვენს წინაშე გადაშლილი
უმაგალითო მსოფლიო ტრაღედია, და ამისათვის ემუდარებოდა, „შავ-
პირ ბედს": „სულს ნუ ამომხდი, მაცალე, დახამხამება თვალისი". მაგ-
რამ... არ დასცალდა! მან, როგორც მოსე წინასწარმეტყველმა [8], მიგვიყ-
ვანა ჩვენ აღთქმულ ქვეყნის [9] კარებამდის და შიგ ვერ შეგვიყვანა, ვერ
შეგვიყვანა იმიტომ, სწორედ ამ კარებთან გამოგვსხლიტა ულმობელმა
სიკვდილმა ხელიდან მისი თავი. ცხოვრების ზღვა ჰქუხს და ჰღელავს,
ტალღას ტალღაზე აგორებს, ზვირთს ზვირთსა სცემს ის და ბედკრულ
ჩვენს სამშობლოს, პატარა ნავივით, ერთი კიდიდან მეორესკენ ისვრის.
მართლაც, რომ ეხლა გვჭიროდა ჩვენ ისეთი საიმედო ხელმძღვანელი,
როგორიც იყო აკაკი, მაგრამ თითქოს განგებ ეხლა შეწყდა მაჯის ცემა,
ეხლა გაუვარდა ხელიდან საჭე, მოთქმიდე საქართველო, ძაბა ჩაიცვი
ამერეთო, თმა გაიშალე იმერეთო! იტირე სამშობლოვ, იტირე. ერთი მე-
ორეზე ხელიდან გეცლება საუკეთესო შვილები! დაკარგე შენი დიმიტრი
ყიფიანი [10], მაგრამ გეგულებოდა ილ. ჭავჭავაძე, მოგიკლეს ილია, სამაგი-
Eროთ შეჰხაროდი აკაკის. დღეს კი გემშვიდობება აკაკიც, ის მიდის იქ,
სადაც განისვენებენ დიმიტრი და ილია — „მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო. სამარეს, მამა დავითსა ავედრებს, აბარებს ქვეყნის მოყ-
ვარეს". მაშ ვისი ამარა რჩები, ვინ შეგიყვანს შენ აღთქმულ ქვეყანა-
ში, სადაა შენი ისო ნავიო? [11] შორს უცხოეთში გადახვეწილი, სიკვდი-
ლის სარეცელზე მწოლიარე ებრაელთა პატრიარქი იაკობი [12] ასე მიჰ-
მართავდა უნუგეშოდ დარჩენილ, გულდათუთქულ შვილებს: „შემოკრ-
ებით და ისმინეთ ჩემი, ძეთა იაკობისათა, ისმინეთ ისრაილ, მამისა თქვე-
ნისა, მე შევეძინები ერსა ჩემსა, დამფალთ მამათ ჩემთა თანა!" აჰა, წი-
ნაშე ცხედარი ჩვენი მხცოვანი პატრიარქი, რომელიც გვიდებს უკანას-
ნელ ანდერძათ დაეასაფლაოთ ის ისეთ ადგილს, „სადაც ხედაედეს ყო-
ველდღე მოზარდულ ქართველ თაობას", მტკიცედ შევინახოთ მამა-პაპი-

სეული მიწაწყალი, რათა გაშიშვლებულნი. ძვალნი მისნი მუდამ სამშობლოში ჰგრძნობდნენ თავს; ის გვემუდარება ვიცხოვროთ ისეთ ერთობით და სოლიდარობით, რომ მუდამ უკვდავი იყოს მისი ლამაზი სიტყვები: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“! მუხლი მოვიდრიკოთ ამ გვამის წინაშე და ღრმად ჩავინერგოთ გულში მისი უკანასკნელი ანდერძი: ამით ჩვენ სანეტარო სიტკბოებას ვაგრძნობინებთ მის უკვდავ სულს, რომელიც მთაწმინდის მწვერვალიდან დაუძინებელ გუშაგივით „თვალს ავლებს არე-მარესა და გულის პასუხს ნარნარად უმღერის ტურფა მხარესა“! სალამი შენ და უკანასკნელი „მშვიდობით“, დიდებულო მგოსანო, ამ შენგან გაღმერთებულ „ტურფა მხარესაგან“!

დ. კასრაძე

დიდი მგოსნის გარდაცვალება

მზემან მეტი რაღა გიყოს:
აჰა, ბნელი გაგითენე! [1]
შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი.

თქვენ იცით, მკითხველო, ვინ იყო აკაკი? ოჰ, როგორ არ იცით! უეჭველია ბევრს თქვენგანს უნახავს: ზოგს კი შეიძლება თვალით არ ენახოს, მაგრამ ის კი შეუძლებელია, რომ მისი სახელი არ გაეგონოს!

ან რა დასაჯერებელია! ადამიანი, რომლის ხმაც თვით ზეცას შესწვდა, რომლის ლექსებს შინ თუ გარეთ მღერიან, დიდისა და პატარისათვის უჩინარი არ იქნებოდნენ და განსაკუთრებით „ნაკადულის“ [2] მკითხველისათვის, რომელთაც არაერთხელ ექნებოდათ ბედნიერება აკაკის ლექსით დამტკბარიყვნენ.

მაგრამ ეს არ კმარა, რომ ამით დავკმაყოფილდეთ და ვთქვათ — აკაკის სრულად ვიცნობთო! საკითხავია, რატომ შეიძრა მთელი საქართველო მის გარდაცვალების გაგონებაზე? რატომ მოიყარა მთელმა ქვეყანამ პატივისცემით მუხლი მისი ცხედრის წინაშე? რატომ? იმიტომ ჩემო კეთილნო, რო აკაკი დიდი მგოსანი, დიდი ქურუმი იყო, რომელიც ჩვენც გვეკუთვნოდა და სხვებსაც, მიწასაც და ცასაც!

ოჰ, რომ იცოდეთ, — რა ძნელია ასეთ ადამიანების გამოჩენა! ხშირად მათ გამოჩენას მთელი საუკუნეობით ელოდებიან! ერი, ვისაც არა ჰყავს აზრთა და ზრახვათა, ისტორიის გამომხატველი, ვერაფერი ერია, სახსენებლადაც არ ღირს! კურთხეული საქართველო იმითაა ბედნიერი, რომ წარმოშობა ისეთი სულმნათი პიროვნებანი, როგორც იყო შოთა, გურამიშვილი [3], ნ. ბარათაშვილი [4], ილია, აკაკი...

მაგრამ ამ ჟამად, ამ დიად სურათთა გაშუქებაზე კი არა, არამედ

მსურს თქვენი ყურადღება აკაკიზე შევაჩერო და გაგაცნოთ მისი ღვაწლი...

სამშობლოში დაბრუნებისას აკაკი მხარში ამოუდგება იმ დროს ჩვენ ცხოვრების ასპარეზზე გამოსულ ილიას, ნიკოლაძეს [5], მესხს [6], მაჩაბელს [7], ყველანი ესენი ჩვენი ისტორიის ახალი მნათობნი არიან, რომელთაც შესძლეს საქართველოსთვის ახალი ცხოვრების გზის აღმოჩენა. ჩვენი სამშობლო მათ ჩამოსვლამდე არეულ-დარეული იყო: ერთმანეთისა არა ესმოდათ-რა, მასთან, ბატონყმობის მძიმე უღელი სტანჯავდა ჩვენს გლეხ-კაცობას. აი, ამათ აიმაღლეს ხმა, შეეცადნენ დიად საქმეს, საერთო წადილში საქართველოს გაერთიანებას..

ამ ერთობის შექმნაში აკაკის მიუძღვის დიდი ღვაწლი. განა არ გაგონიათ, ან არ გისწავლიათ „ნათელას სიმღერა"? აბა, დაუკვირდით აკაკიმ მთელი საქართველო ჩონგურს შეადარა, თუ მისი სიმები აწყობილი და შეხმატკბილებული არ არის, იცოდეთ, ვერაფერ სიმღერას გაიგონებთო. ჩანგური კი —

. . საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო, —
სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებნი,
ოდეღა-დეღა-დეღაო!

და, აი, აკაკიც ნათელას [8] სახით სწუხს, რომ დაქსაქსულ ქართველებს ვერ შეუგნიათ გაერთიანების დიდი მადლი. იგი ხედავს, რომ ბუნებაში ყველგან თანხმობაა, სიყვარული, ერთობა: მწერიც კი რა არის — ისიც კი ეშველება ერთი-მეორეს... უყვარს.

და ჩვენ რად ვმღერით ცალ-ცალკე
ოდეღა-დეღა-დეღაო?

გვეკითხება მგოსანი, მართლაც, ამ მადლიანმა მხილებამ, ამ მომავალმა დარიგებამ გონზე მოიყვანა ქართველობა, იგრძნეს, რომ მათ შორის არაა განსხვავება, რომ საჭიროა ერთობა...

მაგრამ არა კმარა ეს გაერთიანება: საჭიროა, რომ მოისპოს ცხოვრებაში უპირატესობა, წოდებათა მიხედვით ადამიანის ღირსების დაფასება. აკაკი გვასწავლის, რომ საჭიროა ადამიანში ვიცნოთ ადამიანი. გლეხი სამარცხვინო თვითქმნილება კი არ არის, არამედ ქვეყნის მარჩენალი. და, აი, აკაკი მთელი რიგ ლექსებით მხატვრულად აგვიწერს გლეხის გაჭირვებულ ცხოვრებას. გლეხის ღიღინში პოეტი გამოსთქვამს, რომ ეს მუშაკი არ არის შეუგნებელი ადამიანი, იცის, რომ იგი „უბედურია, იცის, რომ „მარტო თავისთვის არ მუშაობს", რომ „სხვისი სამსახურიც მართებს", „ქვეყანას აცხოვრებს", მაგრამ მაინც იტანჯება, გასრესილია, მისი ცოლ-შვილი სტირის. შიმშილს განიცდის, დედას „ძუძუ უშრება", მაგრამ მისი ყურის-მგდებელი ერთადერთი არე-მარეა...

ასეთი მწვავე სიტყვებით გვიხატავს აკაკი ცხოვრების უმადურობას, გაჭირვებას, მაგრამ ყველაზე მეტად მისი ყურადღება სამშობლოზეა მიქცეული. ხედავს, რომ ის „სნეულია“, „სძინავს“... ბევრს ჰგონია, რომ ავადმყოფია, მოკვდა, მაგრამ მგოსანი გვარწმუნებს, რომ ეცდებით, ავადმყოფს მხოლოდ დროებით დაუხუჭავს თვალი, რომ —

ჯერ კიდევ არ გამჭრალა
მომავალი ბედის წერა!!!

ამ ავადმყოფ სამშობლოს სხვა და სხვა სახით აგვიწერს, გვაჩვენებს წარსულში მის დიად სახეს, კეკლუც სანახაობით გვაჯადოებს და გვაწყურებს სიცოცხლეს, განახლებას. აი, დიდებული სიზმრის სანახაობა: ქვეყნად ჩვენი მნათობნი — ნინო [9], ქეთევან [10] და თამარი [11] ჩამოსულან. გვირგვინოსანნი გაბრწყინებული სახით იჩოქებიან და საქართველოსთვის აღავლენენ ლოცვას, იმ ლოცვას, რომლის შესწავლა ისევე სავალდებულოა, როგორც მორწმუნეთათვის „წმინდაო ღმერთო“-ს. აი ამ ლოცვის ნიმუშიც:

დედაო ღვთისავ! შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდ-ჰირ-ნახული.
შეუნდევ ცოდვა, ნუ ააღებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული!
მიეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გადმოსახე ძლიერი ჯვარი,
რომ აღადგინო ჭართველი ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!

ასე ლოცულობს ჩვენი მგოსანი საქართველოს. მისი ფიქრი, მისი გონება მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მხოლოდ საქართველოსკენ იყო მიქცეული. ზღაპრებით, იგავებით, მის ბედს გამოხატავდა, ამირანის [12] სახით, მართალია, — „ყვავ-ყორანი“ ეხვევა კლდეზე მიჯაჭვულ გმირ ამირანს, მართალია — ფრინველნი გულს უკორტნიან, მაგრამ სიამაყეს და სიცოცხლის წყურვილს, ხსნის იმედს ვერავინ წარუხოცს, მისი „გული ისევ მთლიანდება“...

ამ იმედით შეჰხარის აკაკი „სამშობლოს გაფურჩქნას, ამ იმედით შესტრფის მომავალ თავისუფალ ახალგაზრდა საქართველოს! ამიტომ მას სჭირია საღი თაობა, ჯანსაღი ახალგაზრდობა. მას სჭუოლს, ღამურებად მიაჩნია ის პირნი, ვინც დაივიწყა დედა-ენა, ვინც უარყო თავისი ტომი, ჩამომავლობა. ხომ გახსოვთ ეს ზღაპარი? თუ არა, მოგაგონებთ... ამ მწარე ბედმა ნაგვიანებად ჰკუა ასწავლა ღამურას, და აი რა ანდერძს სტოვებს იგი:

კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!

თვის ტომის დამწუნებელსა,
ჰ-რი მიუვა კარზედა!

მაგრამ არა კმარა „თვის ტომის არ დაწუნება“, — საჭიროა შეუნება.

აკაკისაგან შეუმჩნეველი არ დარჩა ერთი სამწუხარო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში: ეს გახლავთ ცრუ მამულიშვილობა, ანუ ცრუ პატრიოტიზმი. ზოგსა ჰგონია, სამშობლოს დიდ სამსახურს ვუწევ. თუ ვიძახი:—„ქართველი ვარ“, ანუ ვსვავ და ეჭამ „ქართველურად“. „მრავალჟამიერსა“ ვმღერიო, და ამ სმა-ჭამისა და ქეიფისათვის კი ნელ-ნელა მამულსა ჰყიდის, აღარაფერს არ იტოვებს შინ. ასეთი მამულიშვილობა, ანუ პატრიოტობა თვით მოსისხლე მტერზე უარესია! აკაკი ჰკიცხავს, მიწასთან ასწორებს ამგვარ „პატრიოტებს“, ჩვენ გვჭირია სულ სხვაგვარი მამულიშვილები: ისინი არიან, ვინც თავის თავს პატივსა სცემს, ვისაც შეუგნიათ მნიშვნელობა თავიანთი მამულისა, სამშობლოს სამსახური. მოვალეობა, კაცობრიული მოპყრობა ანუ ადამიანობა. ნუ ვჩაგრავთ ერთურთს, გეიყვარდეს, შევიყვაროთ სამშობლო, ვისწავლოთ წინაპართა ღვაწლის დაფასება, პატივისცემით მოვეპყრათ მათ ნაღვაწს. გავფურჩქნოთ მათი ნაამაგარი, და აი, მაშინ დადგება სანეტარო „გაზაფხული“, მაშინ შეიძლება ითქვას:

დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჰეკჰეკითა გადმომძახა:
გაზაფხული... გაზაფხული-ო

აი უმთავრესი მისი ნაანდერძევი დარიგებანი: აი, რას ჩაგვჩურჩულებდა აკაკი. რას გვასწავლიდა, საითკენ გვიწევდა! ბერე რა ლამაზი, რა კრიალა ლექსებით გვესაუბრებოდა! გეგონებათ ნაკადული მოჩუხჩუხებს, წყარო და მინდვრის ყვავილები ზღაპრებით ართობენ საყვარელ მგოსანსო.

სწორედ ამიტომ იყო, რომ აკაკის ქართველმა ხალხმა მეფური ზეიმი გადაუხადა 1908 წელს, 50 წლის მოღვაწეობის სადღესასწაულოდ...

დ. ნახუცრიშვილი

ძვირფასი აკაკის ხსოვნას

აკაკი გარდაიცვალა... „სხვა სახედ“ შეიცვალა, სხვა სახედ გარდაიქცა... მართლაც რომ სახე, ე. ი. გარეგნობა გამოიცვალა მხოლოდ და არ კი მომკვდარა. არსება მისი, სული და გული უკვდავია და სამარადისო საუკუნო არა მარტო ჩვენთვის, არამედ სხვისთვისაც, უცხოთათვისაც: ყველას შეუძლიან ისწავლოს მისგან, თუ როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს სამშობლო, როგორ გულით უნდა ემსახუროს მას...

უკვდავსა და დაუშრეტელს წყაროს წარმოადგენს მისი პოეზია.

სუნნელოვანს, შემკულს, მრავალფეროვანს თაიგულს თვალწარმტაც მარგალიტებისაგან შეკონილს, რომლის მზერა ადამიანს არ მოეწყინება.

იგია სრული და უნაკლო ჰანგი, რომლის მოსმენა ადამიანს უფრო მეტად უნდა, რაც ხშირად ისმენს.

აკაკი იყო სანთელი, რომელიც იწვოდა სამშობლოსათვის. აკაკი გვასწავლიდა მუდამ: „ერთობა ჩვენთვის ტახტია,

მტრებისთვის სახრჩობელაო“.

შეერთებულს ქართველობას უნდა ემუშავნა თავის განვითარებისთვის ხანგრძლივად და მუყაითად, მაშინ ეღირსებაო ნამდვილი ადამიანური ცხოვრება. მანამდის კი მოთმინება და მოთმინება...

გაუმაგრდი განსაცდელს, აიტანე ტყვეობა,
გვეწია ნესტან-დარეჯანს მაგალითი მზეობა...

როგორც ნესტან-დარეჯანს [1], მრავალ განსაცდელსა და პატიჟთა გამოვლილს, აუსრულდა დიდი ხნის სურვილი და გულის წადილი, აგრეთვე მისი ივირფასი სამშობლო ეღირსება თავის სანატრელ მისწრაფებათ.

ვ. ოგჩელი (ვარლამ გურჯანაძე)

აკაკი

რით დაიმსახურა აკაკიმ ასეთი ერთსულოვანი პატივისცემა და სიყვარული?

აკაკი იყო ნამდვილი მგოსანი. ნამდვილი მწერალი ამ სიტყვების ფართე მნიშვნელობით. ღიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა უკანასკნელ ცხოვრების წუთამდე მას არ გაუგდია ხელიდან კალამი, სიკვდილამდე მხოლოდ ერთ პროფესიას ემსახურებოდა. იგი არ გაუტაცნია არც ჩინ-ორდენებს, არც საზოგადო დაწესებულებებში თბილ საპატიო ადგილების ძებნას. იგი დაშორებული იყო ამ დაწესებულებებში არსებულ წუმპეს. იგი როგორც სიმართლის მოსამსახურე, მარად მოსარჩლე, გამოდის მხოლოდ სიმართლისა და, „როგორც ბოროტების მტერი“ დამგმობი სიმრუდისა. „გამიქვავდეს მე ის ენა, თუ რო ვისმე მივეფერო, და გამიხმეს ის მარჯვენა, თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო“. ამ პრინციპით გამსჭვალული იგი არ ეკუთვნოდა არა ერთს ჩვენში არსებულ და მოქმედ პოლიტიკურ პარტიას. ამიტომაც მისი სული არ იყო პარტიული, ჯგუფური ფანატიზმით გაჟღენთილი. ბავშვობაში გლეხის დუხჭირ ცხოვრებას გაცნობილი, გლეხის შვილებთან სიყრმიდანვე აღზრდილი, გლეხის ცხოვრებასთან კარგად გაცნობილი აკაკი 60-იან წლების მოღვაწეთა რაზმში ეწერება. მაღალ კეთილშობილურ გრძნობებით გატაცებული იგი მაშინდელ ჩვენ საუკეთესო მოღვაწეებთან ილიასთან, ნ. ნიკოლაძესთან [1],

ს. მესხთან [2] და სხვებთან ერთად გამოდის ბატონყმური წეს-წყობილების წინააღმდეგ, გლეხის განთავისუფლების მომხრედ და ჩაგრულთა მოსარჩლედ.

მუშებო, თქვენი მარჯვენა
იკურთხოს ოფლით ნაბანი,
მიწაა თქვენი ღვაწი
და ღაქვარდა ცა საბანი!
მიმხვდარი არის ეგ თქვენი
შეუბღალავი გონება,
რომ პირუტყვსავით არ შვენის
ქართველ კაცს სხვისი მონება.

სამშობლოს ბედნიერებას, გლეხკაცობის განთავისუფლებას, მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას მგოსანი ხედავს მხოლოდ სწავლა-განათლებაში, შეგნებაში, ერის კულტურულად და ეკონომიურად აღორძინებაში.

სამშობლო მგოსნის სათაყვანებელი ხატია. მას უყვარს სამშობლო არა ისე, როგორც ზოგიერთს ცრუ „პატრიოტებს", არამედ ჰეშმარიტის გულით, ჰეშმარიტის გრძნობით. მას უნდა შეაერთოს ყველა და შეერთებული ძალით მიაღწევინოს მიზანს

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა
და რომ ვიწოდე, ვდნებოდე
არ შემიძლია მეც განა?
ერთობა ჩვენთვის ტახტია.
მტრებისთვის სახრჩობელაო,
მტრებს ვაი დედა ვაძახოთ,
ოდელა დელა დელაო...

„ძმობა, ერთობა, თავისუფლება" მშობელი ხალხის განთავისუფლება, აი რა იყო და არის აკაკის მთელ ნაწარმოებთა დედააზრი. ისტორიული დრამები, „პატარა კახი", „კუდურ ხანუმ", „თამარ ცბიერი", პიესები: „ხანის ვეზირი", „სკაპენის ცუღლუტობა", „ბუტიაობა", „ახალი გმირი", „გაიძვერები", „სცენები საპატიმროში", პოემები: „ბაგრატ დიდი", „სოლომონ მეფე", „თორნიკე ერისთავი", „ბაში-აჩუკი", მრავალი სალირიკო ლექსები, იგავ-არაკები, პოლემიკური ხასიათის წერილები, საკუთარი ჟურნალი „კრებული" [3] სხვა მრავალი — აი რა ეკუთვნის აკაკის კალამს, მის კალმის ნაშრომს.

ქართველმა ერმა არ დაივიწყა თავისი საყვარელი მოღვაწის სამსახური, და თუ „არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს"[4], არც ერი ვარგა თუ ცოცხალი მკვდარს დაემსგავსოს, ჰყავდეს მოღვაწე და მისი ღვაწლი არ დააფასოს.

დიახ, აკაკის ღვაწლი მშობელმა ერმა არ დაივიწყა და არც დაივიწყებს არასოდეს.

მოზარდი თაობა ღრმად აღიბეჭდავს გულში მხცოვანი მგოსნის ნა-ანდერძევს, დროგამოშვებით მიმართავს მის სურათს და წრფელის გუ-ლით აღიარებს:

სულ-მნათო, მადლი შენს გამჩენს!
დიდება ერსა შენს მშობელს,
და ძეგლად სამარადისოდ
ნეტარ ხსენება ამ სოფელს!

ალ. ჟიჟინაძე

სიტყვა ტფილისის ქართულ გიმნაზიის წარმომადგენლის ბ-ნის ალ. ბეს. ჟიჟინაძისა

გრძელი და ძნელი ისტორიული გზა გამოიარა ჩვენმა ერმა. ამასობა-ში ურიცხვი მტერნი გარს ეხვივნენ მას, რომ შეემუსრათ იგი და ხელთ ეგდოთ მშვენიერი, თვალწარმტაცი საქართველო. ხანგრძლივს ბრძოლაში კლდედ იქცა იგი, ლომის ძალა მოიცა და ვინ იცის რამდენი გმირობა გა-მოიჩინა.

ვინ დათვალოს ზღაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?
ვინ მოგვითხრას მათ საქმე,
უთვალავი, საგმირონი!

(აკაკი)

ასე მოახწია მე-19 საუკუნის კარებამდის. მაგრამ განუწყვეტელს ბრძო-ლაში, როდესაც ერთზე ასი მოდიოდა და ათასი, ერი-ვაჟკაცი დაიღა-ლა — დაიქანცა.

ბევრის ბრძოლით დაღალულა
ეჰვირება მოსვენება!

ეს „წესი არის და ბუნებაო“ — ამბობს ჩვენი აკაკი. დიაღ, ეჰვირება მოსვენება, და ლომ-ვაჟკაცი წვება-იძინებს. ხანგრძლივია ეს ძილი და საშიში. ერს მაჯა მისუსტებია, ველარ სუნთქავს უწინდულად; მისი მკერ-დი ისე ღონივრად და დინჯად ველარ ღელავს. მყუდროებაა გარშემო სა-მარისებური და, დიდი ილიას თქმისა არ იყოს, „არსაიდამ ხმა, არსით ბა-ხილი! მშობელი შობილს არრას ეტყოდა, ზოგჯერ — კი ტანჯვით ამოძა-ხილი ქართველის ძილშია კვნესა ისმოდა!“[1] აღარ ისმის ქართველთა საერთო კიჟინა მტრის წინააღმდეგ: „ჰკა. მაგასაო“. საქვეყნო საქმის

გრძნობა აღარ ტრიალებს მათ გულში: პირადს სარგებლობას აღუმაღლებია ხმა და ყორანნი თავს დასჩხავიან საქართველოს. აღარაა, „მამაპაპური მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური (ამბობს ილია), სახელისათვის ამაყი თრთოლა, მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა“ [2].

მაგრამ ნუ თუ ეს უკანასკნელი ამოსუნთქვაა გმირი საქართველოსი? ნუ თუ უნდა გაჰქრეს მისი სახელი?... არა, საქართველო ღვთისმშობლის წილ ხდომილია: ღმერთი არ გასწირავს ერსა, ქრისტეს ჯვარისთვის წამებულსა.

ამ დროს, როდესაც მიღეჟულად სცემდა გმირის გული და ყველას ეგონა მოჰკვდაო, საქართველოს ჰორიზონტზე ამოცურდა ვარსკვლავთა გუნდი; მას მოევლინენ მუშაკნი სამოციანის წლებისა. ამ გუნდში არიან დიდებულნი მკურნალნი და აღმზრდელნი და მათთან ერთად საღი მოაზრენი, ახალი გზის მკვლევარნი. ერთი მკურნალთაგანი მაჯას უშინჯავს ღრმად მიძინებულს ერს და ამბობს:

არ მომკვდარა!... მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!...
ვინც შეანატრის იმის სიკვდილს,
უმალ მასვე დაამიწებს!.

მკურნალი თავს დასტრიალებს სნეულს: არც დღით, არც ღამით, მოსვენება არ იცის იმ იმედით, რომ „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და როდესაც გაიღვიძებს, მოიგონებს იმათ სახელს, ვინც დღეს იმას არ ივიწყებს!“.

შენა ხარ, დაუვიწყარო აკაკი, ის მკურნალი! შენ გაგვაცოცხლე, შენ გაგვიღვიძე გულში იმედი და აკი, შენის თქმისა არ იყოს, არც დაივიწყეს ამაგი?! აჰა, მოსულან საქართველოს ყოველი კუთხიდან შენი თაყვანისმცემელნი და მუხლს იყრიან შენს წინაშე! შენი დიდი ღვაწლის მოწმენი არიან ჩვენი კაეკასიელი მეზობელნიც და მოკეთენიც, რომელნიც დღეს ძმურად იზიარებენ ჩვენს მწუხარებას შენის გარდაცვალების გამო.

თვითონ მე, დიდებულო მკურნალო, საკუთარის თვალით ვარ მნახველი შენის განუწყვეტლივ მზრუნველობისა ქართველი ერისათვის. მის განსაკურნებლად მარტო რეცეპტებს კი არ სწერდი, მარტო კაბინეტურს შრომას კი არ ეწეოდი: არა, იმ დროს როდესაც შემოქმედებითი ნიჭი შენი ჰქმნიდა ხელის-ხელ-საგოგმანებელ მარგალიტებს ქართული პოეზიისას, რომელნიც უკვდავნი იქნებიან ქართველთათვის, შენ ჩვენი სამშობლოს ხან ერთ კუთხეში გაჩნდებოდი ხოლმე, ხან მეორეში, ადგილობრივ ადევნებდი თვალს, იკვლევდი ჩვენს ზნეს, ჩვენს ნაკლულევანებას, და გზა და გზა გვკურნავდი სენისაგან. ვის არ ახსოვს შენი „ცხელ-ცხელი“ ამბები გაზეთს „დროებაში“?[3] რამდენი მწვავე პეშმარიტება წარმოგითქვამს იქ, რამდენ ბოროტ ადამიანს მოჰხვედრია გულში შენი კალმის ისარი, სამსალაში ჩანაწები და მით გისუფთავებია ჩვენი გული

უდიდესი გრძნობის აღზრდისათვის, რომელსაც ჰქვია გრძნობა საზოგადოებრივობისა, გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა. როდესაც შენ ამ დაუცხრომელი მუშაობის დროს გაჩნდებოდი ხოლმე საქართველოს რომელსამე კუთხეში, შენი მახვილი კალმის შიშით სუყველანი, რომელნიც ჩრჩილივით ჰხრავდნენ ჩვენი საზოგადო საქმის საფუძველს, რომელნიც ღალატობდნენ მოძმეთ და პირად ინტერესებს თაყვანს ცემდნენ —ამისთანები აქა იქ მიიმალებოდნენ ხოლმე და სულგანაბულნი იყვნენ, ვით შინაური ფრინველნი, რომელთაც მაღლიდგან შიშის ზარი დასცა ქორმა და განფანტა აქეთ-იქით. ახალგაზრდანი, სპეტაკნი, ვინც ჯერ გაურყვნელი იყო წუთის სოფლისაგან, ვაჟნი და ქალნი, აღტაცებით მიგელოდნენ და დიდ სიამოვნებას განიცდიდნენ შენის ნახვით. „აკაკიმ ესა სთქვა, აკაკიმ ასე იმახვილა და აკაკიმ თავისი ახალი თხზულება წაგვიკითხა“ და სხვა, — აი რას იმეორებდნენ ხოლმე დიდხანს, როდესაც შენ მათ მოშორდებოდი და გადინაცვლებდი სხვაგან სხვა სნეულთა საკურნებლად.

ისინი, ვისაც ქვეყანა და ქვეყნის საქმე საშუალებად გაეხადა პირადის სარგებლობისათვის, დაუნდობელს გეძახოდნენ და მართლაც მათთვის დაუნდობელი იყავი, შენ არ ზოგავდი მათ, პირდაპირ გულში უმიზნებდი შენს მახვილ კალამს მისთვის, რომ ისინი შენს „სატრფოს“ ბუროსს ახვევდნენ გარშემო და „ჭინჭარში“ და ნარ-ეკალში აგდებდნენ. ისიც მახსოვს, რომ ერთხელ გისაყვედურეს: „რას ნიშნავს, რომ აკაკი ხშირათ იმ პირთა წრეებშიდაც არის ხოლმე, რომელნიც მის მოწონებულ გზას უფრთხიან და სულ სხვა აზრებს ემსახურებიან?“ შენი პასუხი იყო: მკურნალის მოვალეობაა მტერსა მოყვარეს არ არჩევდეს, უველგან შედიოდეს და უველას ჰკურნავდესო. ჭეშმარიტად ასეც იქცეოდი; არავის ერიდებოდი, ვერაფერი გაბრკოლებდა: აღმართი და დაღმართი; მშვენიერი წალკოტი, თუ ეკალნარი და ჭინჭარი — სულ ერთი იყო შენთვის, უველგან უნდა შეეშუქებია შენ მაღალ ნიჭს, ყოველგან უნდა აღმოეჩინა რამე ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ერის სასიკეთო, ან თუ რამ იყო მავნებელი მისთვის. უველგან ეძებდი და ჰკითხულობდი: „ჩემი სატრფო სად არის, ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?“.

მისთვის დავფრენ მოუსვენრად, რომ მოვძებნო ყვავილიო!
გულის წვენი ამოვსწუწნო, სამკურნალო რამ ტკბილიო,
შევუმზადო მით ქვეყანას თაფლი, ზეცას სანთელიო,
რომ იქ წმინდათ შეიწიროს და ანათოს აქ ბნელიო.
ვინც მე იმ დროს ხელს შემიშლის, ქვეყნის მტერიც ის არიო
და მისთვის მაქვს მომართული გესლიანი ისარიო! (აკაკი)

ზნეობრივი მკურნალობა შენი მრავალგვარი იყო; მას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი შეესო უველა ჰასაკს ოთხი წლის ყრმიდან დაწყებული ვიდრე ეჟკაცობამდის. შენმა მრავალფეროვანმა კეკლუცმა ენამ უველა მოჰხიბლა: დიდი და პატარა, აზნაური და გლეხი,

შვილები და მშობლები, მოსწავლენი და მასწავლებლები. ყველა აატიკტიკა, ყველა აალაპარაკა, ყველას გულს შეეხო და აღზარდა მასში ნაზი გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა. ყოველი წოდება ერისა, ყოველი დასი, ყოველი პროცესია გაიმსჭვალა გრძნობით, რომელიც მეტად სუსტი იყო ჩვენში, როდესაც შენ და შენი გუნდი გამოხვედით ასპარეზზე. მაშინდელი საზოგადოება თუ დაცინვის ღიმილით უცქეროდა თქვენისთანა მშრომელებს და სიგიჟეთა სთვლიდა ქართული მწერლობისა და ქართული საქმეებისათვის სამსახურს, ამჟამად საზოგადოებაში და ხალხში სასტიკად ჰკიცხავენ ყველას, ვინც პირს არიდებს ქართველობას. მაშინ თუ თქვენ მიერ დაარსებული თბილისში ერთი გაზეთიც ძლივს არსებობდა, ახლა არათუ ამ ჩვენ დედა-ქალაქში, სადაც უკვე რამდენიმე ქართული გაზეთი იბეჭდება, პროვინციებშიდაც კი გამოდის გაზეთები, რომელთაც ყოველდღიური შინაარსია ფიქრი და ზრუნვა ქართველთა ცხოვრების განვითარებისა და გაუმჯობესებისა. მაშინ თუ ქართველი დედებისაგან ხშირად გვესმოდა თავმომწონედ ნათქვამი გულის მომწყვლელი სიტყვები: „ჩემს ვაჟს, იმას კი ვენაცვალე, ისე უსწავლია რუსული, რომ ქართული სულ დავიწყებია და ველარ ლაპარაკობსო“, ეხლა მრავალსა ვხედავთ ქართველ დედას, რომელთაც აღუზრდიათ შვილები ქართულის გრძნობით, ქართული სიტყვიერების მოტრფიალენი და მოღვაწენი ქართულის საქმისათვის. მაშინ თუ არ არსებობდა ქართული სკოლა და არავინ ზრუნავდა ქართული ენის სწავლებისათვის, ახლა ბევრია ხალხში მასწავლებელი, რომელსაც საღვთო ვალად მიაჩნია ასწავლოს ყრმათა ქართული ენა და ამასთანავე ქართული გრძნობა გაუღვიძოს გულში და აღუზარდოს, ვინც ამის წინააღმდეგი არის, მას სასტიკად ეპყრობიან და სასირცხვილო ბოძზე აკრავენ.

აი რა ღვაწლი მიგიძღვის შენ, ჩვენი ერის წინაშე და ჰეშმარიტად — გეკუთვნის დიდებული ზნეობრივი მკურნალისა და აღმზრდელის სახელი.

ჩვენო დიდო აკაკი, მახსოვს შენი სიტყვები, რომლითაც შენ მიჰმართე ერთხელ ჩვენს სამშობლოს, — „ცა-ფირუზ ხმელეთ ზურმუხტსა: „ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს, ზე კალთა დამაფარეო, დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“. აგისრულდა შენი გულის წადილი. ახლა მიმავალმა მთაწმინდას [4] დიმ. თავდადებულთან [5] და ჩვენს ძვირფას ილიასთან უკანასკნელად გადაავლე თვალი საქართველოს ყველა კუთხიდან მოზღვავებულს ხალხს და იქ რომ მიხვიდე დიდ ილიასთან, მიუტანე მას ჩვენი ამბავი, არ მომკვდარა, უკვე გაიღვიძა-თქო და თუმცა იგი გულნაკლულად არის ჩვენზე მისი უმანკო სისხლის დანთხევისათვის, მაგრამ დიდსულოვანია, გულს მოიბრუნებს ჩვენზე და კარგი ამბის მიტანისათვის გადაგკოცნის. ინახულე აგრეთვე ჩვენი დიდებული წინაპარნიც — დიდი დავით [6], უძველესი მხედართ მთავარი, უკვდავი შოთა, სხივმფენი თამარ [7], გმირი ირაკლი [8] და სხვანი —

„გუნდნი და გუნდნი ვაჟკაცნი, მამულის მფარველნი“. უთხარ მათ, ღვაწლი მამა-პაპათა არ გამქრალა-თქო; მკლავით ძლიერნი ქართველნი, რომელნიც მუდამ იბრძოდნენ ქრისტეს სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის, ახლა მსოფლიო ომში ჩაბმულან და ლომებრ იბრძვიან, რომ თავისი სისხლით საუკეთესო მერმისი დაუმზადონ თავის სამშობლოსათქო:

მშვიდობით, დიდებულო მგოსანო! გეთხოვებით ქართული გიმნაზიის მოწაფენი და მასწავლებელნი...

8 თებერვალი, 1915 წ. თბილისი.

მიხეილ ხერხეულიძე

სიტყვა

გენიოსთა შემოქმედების სალაროს კიდევ ერთი განძის მიმმატებელი მოაკლდა. ხალხთა კეთილდღეობის იდეალებს, ხალხთა აზროვნების ჰორიზონტს ერთი ჩირაღდანიც ჩაუქრა... აკაკის გარდაცვალების ხმა სულ უბრალო ადამიანის გულსაცა სწვდა და სამგზის საშინელი მწუხარების გამოძახილი გამოიწვია...

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან აკაკი ისეთი დიდსულოვანი ბუმბერაზია, რომელმაც მშრომელი ხალხის გონებრივად და ზნეობრივად აღმზრდელი ნაწარმოებნი დაგვიტოვა. რომელმაც სამშობლო მხარის სიყვარული უსაჭიროეს გრძნობად დასახა და თავისუფლების იდეალები გვიქადაგა...

აკაკის კდემა-მოსილ სულს, მის მორჭმულ არსებას ვერ წარმოუდგენია თუ მისი ბედკრული სამშობლო მარადის მწუხარებაში იქნება; მას ვერ დააჯერებთ სიკვდილს იმ ერისას, რომელსაც ქედი არავის წინაშე მოუხრია... და ეს დაუჯერებლობა, ეს გენიოსური შორს-მჭვრეტელობა შესაძლებლობის სახეს იღებს უფრო მაშინ, როდესაც ერთის მხრივ საქართველოს წარსულს და მეორე მხრივ აკაკის შემოქმედებას გავითვალისწინებთ. და რომ აკაკი ჰეშმარიტი მუშაკია, რომ იგი სიმართლის ემბლემაა, ამას გვიმტკიცებს მისი ჩანგის მედგარი ჟღერა, რომელსაც აკომპანიმენტურ ჰანგად ზედ ერთვის ტკბილი ღიღინი:

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა
გულს სიწმინდით ახურებდეს...

დიახ, ბატონებო! ეს ორი მოტივი: სამშობლოს სიყვარული და სიმართლის ქადაგება, მისი უმთავრესი დევიზია, ეს ორი გრძნობა ხალხთა გათვითცნობიერების კანდელია...

აკაკი და ზეპირსიტყვიერება

(მისი ფონდის შესახებ)

გასული თვე დიდებული მგოსნის აკაკის გლოვის თვე იყო. მისი სიყვარულით გაერთიანებული საქართველო გლოვობს თავის საუკეთესო შვილს. ყველას სურს სიტყვით თუ კალმით გამოხატოს მისი ღვაწლი სამშობლოსადმი, გაგვითვალისწინოს მისი სამსახური, სავსებით დაგვიხატოს მისი სურათი, მაგრამ ამაოდ! ყველა გრძნობს, რომ ვერ უთქვამს ის, რისიც თქმა უნდა, ოდნავადაც ვერ დაუხატავს ის, რისიც დახატვა სურდა. ხოლო, როდესაც ჩვენი მგოსნის სახელს ვახსენებთ ხოლმე, მის სპეტაკ სახესთან ერთად თვალწინ გვეშლება დიდებული სურათი. ეს სურათი რთულია... ამ სურათში ჩაქსოვილია მთელი საქართველოს ნახევარი საუკუნის ისტორია, მისი თვითშეგნების განვითარება, ერთობის ქადაგება, მამულის სიყვარული, საუცხოო პოეზია და დიდებული ენა, საუცხოოა ეს სურათი, რომელსაც ყველა გრძნობს, ყველას თვალწინ უძევს, მაგრამ ამჟამად არავის ძალუძს სიტყვით გადმოგვცეს, კალმით დაგვიხატოს. ასეთია საიდუმლოება ხალხის სულ-მნათისა! ხოლო ორი რამ თვალსაჩინოდ სჭარბობს ამ სურათში, სიმშვენიერე პოეზიისა და სიკეკლუცე ენისა. აკაკის ენა! ეს ის ენა არის, რომლის ყველას ეშინოდა და იმავე დროს ყველას უყვარდა! ეს ის ენა არის, რომელიც ყოველთვის, გულს მოგვხვდება ხოლმე და საუკეთესო გრძნობებს აგვიშლის; ეს ის ენაა, რომელიც ყოველთვის აღგვაფრთოვანებს, ეს ის ენაა, რომელიც ყველას ერთგვარად ესმის, დიდსა და პატარას; გლეხს და მუშას, განათლებულს და გაუნათლებელს. ეს ენა განსპეტაკებული ხალხური პოეზიის ენაა, ხალხური პოეზიის შვილია, მისებრ მსუბუქია, ხან ნაზია, ხან ჯადოქარია, მაგრამ ყოველთვის საყვარელია, ყოველთვის მომხიბლავია. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, აკაკის რომ დედის ძუძუსთან ერთად ხალხური ჰანგები არ შეეთვისებია, ხალხური ზღაპრები, ლექსები და არაკები არ ჩანერგოდა გულში, „აკაკი ჩვენთვის აკაკი“ აღარ იქნებოდა, ქართული პოეზიის ქურუმად და ქართული ენის მეუფედ ვერ გახდებოდა. ჩვენთვის სულერთია, ხალხურმა პოეზიამ შეიპყრო და მოჰხიბლა აკაკი, თუ აკაკიმ შეიპყრო და შეითვისა ხალხური პოეზია, მაგრამ, ცხადია, ესენი, ერთმანეთში გაითქვიფენ და საუცხოო რამ წარმოშვებს. აკაკის პოეზია და ენა შექმნეს.

ქართული ხალხური სიტყვიერება დაუშრეტელი ზღვა არის, რომელიც კოვზით არ ამოიწურება. ამ ზღვაში ათასი აკაკისებური პოეტის ნაწარმოებია გალესილი, მთელი ქართველი ერის ისტორიაა შერთული. მასში იხატება ჩვენი ხალხის სიბრძნე, გონების სიმკვირცხლე, მსოფლიო

თვალსაზრისი, მისი სულის კვეთება, სიმღერა-გალობა, გლოვა-გოდება, ზნე-ჩვეულება და შემოქმედებითი ნიჭი. ეჭვს გარეშეა, სახალხო პოეზიამ იქონია დიდი გავლენა საუკეთესო ჩვენს მგოსნებზე, მაგრამ იმავე დროს ყველა საუკეთესო ნაწარმოები ჩვენი პოეზიისა და ლიტერატურისა გადავიდა ჩვენს ხალხში და სახალხო სახე მიიღო. უკვე ცნობილია ხალხური ვეფხისტყაოსანი, ხალხური როსტომიანი, ბეჟანიანი, ამირანდარეჯანიანი და სხვა. მაგრამ კარგად რომ გამოვიკვლიოთ და სრულად შევკრიბოთ ხალხური პოეზიის ნაშთები, შეიძლება აღმოჩნდეს ბევრი ისეთი ნაწარმოები, რომელიც ერთ დროს კარგად ცნობილი ყოფილა, ავტორიც ჰყოლია, მაგრამ ჩვენამდის არ მოუღწევია და ავტორის სახელიც გაქრალა, ხოლო ეს ნაწარმოები ზოგჯერ სრულად, ზოგჯერ ნაწყვეტებად სახალხო პოეზიას დაუცავს. ერთი ასეთი მაგალითი ეხლა ხელში გვაქვს. ვის არ გსმენიათ ხალხური ლექსი — სიმღერა დავით აღმაშენებლის [1] შესახებ:

როს ნაჭარმაგევს მეფენი შეიდნი მე პირად დამესხნეს,
თურქი, სპარსი და არაბნი საზღვართა გარე გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამისა მომქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს [2].

ჩვენ მიერ პოვნილი „ხელმწიფის კარის გარიგება“ [3] გვამცნევს, რომ ამ ლექსის ავტორი ყოფილა ისტორიაში კარგად ცნობილი არსენ იყალთოელი [4], დავით აღმაშენებლის თანამედროვე და მოძღვარი, ხოლო არ ვიცით, ეს განცალკევებული ლექსია, თუ ნაწყვეტია მთელი პოემისა. უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ შესანიშნავი აბესალომ და ეთერის [5] ამბავი ერთი მთლიანი პოემა იყო რომელიმე მგოსნისა, ხოლო დროთა ვითარებაში დაიკარგა და მისი ნაწყვეტები სახალხო პოეზიამ შეგვინახა, მთლიანად ის ჯერ არავის ჩაუწერია, მაგრამ ნაწყვეტებიც დიდებული რამ არის, თუ ეს პოემა აღმოჩნდა და მთლიანად ჩაიწერა, ვეფხისტყაოსანს არ ჩამოუვარდება.

არავის ისე კარგად არ ესმოდა ჩვენში სახალხო სიტყვიერების მნიშვნელობა, როგორც აკაკის. ის გრძნობდა თავის შემოქმედების ძირითად კავშირს სახალხო პოეზიასთან და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე საფუძველი ჩაეყარა ხალხური სიტყვიერების შეკრებისათვის. ამ მიზნით „კრებული“ [6] დააარსა 1897 წელს და პირველ ნომერში [7] ამ კრებულისა შშვენივრად განგვიმარტა მნიშვნელობა ზეპირსიტყვაობისა, ლექციებიც გვიკითხა, ზოგი ნიმუშები კიდეც დაბეჭდა, მაგრამ საჭირო დახმარება ჩვენში ვერ ჰპოვა. ჩვენს სასიქადულო მგოსანს ხშირად უთქვამს, ქართველი ერი არ გაქრება, თუ მისი სახალხო პოეზია არ დაიკარგაო, ჩვენ ვიტყვით, ის ერი არ გაქრება, რომელსაც აკაკი მოეელინა...

სიტყვა

თქმული ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქალთა საზოგადოების ! მონდობილობით ბაბო მჭედლიძის ასულის მიერ

არა! აყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა.
გმირებს დაეძებს, უყივის —
ჩემი დაფი და ნაღარა!...

ასე გაიძახოდა მზცოვანი მგოსანი მუდამ. ის მუდამ ჟამს ამუსიკებდა თავის ენას და თავის დაფით და ნაღარით უყივოდა გმირებს, დაეძებდა, იკრებდა თავის გარშემო და აღმაფრენით ჩასძახოდა:

დასთესეთ, თესლი კეთილი
შესარგო მამულისაო
და ნახავთ ნამგლის ტრიალსა
„ჰოპუნით“ მომკელისაო...

და, აჰა! ჩაჰქრა იმედები, ჩაქრა კანდელი, ჩაქრა ამუსიკებული ენა — აკაკის უმტყუნა ჭაღარამ და ჩვენი სამშობლოს საუკეთესო დარაჯი, ჩვენი ბედკრული ერის საუკეთესო ქურუმი ხელიდან გამოგვეცალა. დიახ! დაიწვა ხატის წინ ანთებული წმინდა სანთელი, აკაკი წარგვიტაცა შეუბრალებელმა სიკვდილმა და მასთან ერთად წარიტაცა ჩვენი აღმაფრენა, საუკეთესო ზრახვანი და გულისთქმანი... დღეს ტირის მთელი ქართველობა, დღეს მოსთქვამს ის, ვისიც გული მაინც ძგერს თავის მრავალტანჯული სამშობლოსადმი სიყვარულით, ვინაიდან აკაკისთან ერთად ჩაესვენა წრფელი, ნაზი, ნარნარი, წმინდა გრძნობა სამშობლოს — ერისადმი სიყვარულისა. დღეს ტირის და მოსთქვამს ბნელ კუნჭულში მიმალული, ბნელ სარდაფში თავჩაქინდრული მუშა, რადგან აკაკისთან ერთად ჩაესვენა გრძნობა ღარიბ-ღატაკთა სიბრალულისა; დღეს ტირის გულამღვრეული, უშინაარსოთა ბრბო, რადგან აკაკისთან ერთად დღეს მიწას მიაბარებს მათ მუდმივ დამრიგებელს, მათ მამხილებელს ადამიანს; დღეს ტირის და მოსთქვამს ახალგაზრდობა, რადგან მათ დაკარგეს საუკეთესო მასწავლებელი, საუკეთესო მამა-მგოსანი-აღმზრდელი. ერთი სიტყვით, დღეს ვალალებს ყველა და ამ სივალალეს ბანს აძლევს: ხე, ბუჩქი, მთა თუ ველი, ტყე თუ მინდორი — ყველა ერთგვარ გულისთქმას მოუცავს.

რამ გამოიწვია ასეთი ტანჯვა, ასეთი სივალალე? ვინ იყო აკაკი, რა, იყო, რას ემსახურებოდა, რა აზრები ასაზრდოებდა მას? ამ კითხვაზე ძლიერ ადვილათ მოგიგებენ — არა მარტო უზენაესის ნიჭით დაჯილდოებულნი, არა მარტო ის, ვინც მსოფლიოში ყველაზე მაღლა დგას,

ამას მოგითხრობს და გეტყვის უბრალო, ღონე-მიხდილი მათხოვარიც: კი. კითხეთ ბავშვს, კითხეთ მოხუცს, ახალგაზრდას, ყველა ერთნაირ პასუხს მოგცემთ, ვინაიდან ისინი ყველა ერთნაირის მოწიწებითი გრძნობით არიან განმსჭვალულნი აკაკისადმი. აკაკი ხომ ლამპარი იყო. წმინდა ლამპარი, რომელიც ერთნაირად გზას უნათებდა ყველა იმათ, ვინც სიბნელეში დახშულან? აკაკი ხომ ფარვანა იყო, რომელიც თავს დაფარფატებდა ყვავილებს და არ ზოგავდა ღვთისაგან ბოძებულს არც ნიჭს, არც ძალას, არც ღონეს, რომ ხალხი საერთო ჰირ-ვარამისაგან ეხსნა?

მ.ს ხომ „ცრემლში ულესავს ნაღველი და მელნათ ის უხმარია“, რომ უფრო მკაფიოდ, უფრო მჭრელათ ემოქმედნა მის სიტყვებს უშინაარსოთა ბრბოზე? მარა, ყველა ამასაც რომ თავი დავანებოთ, მის მოღვაწეობას გვირგვინს ადგამს, მის პიროვნებას უკვდავების სამოსელს აცმევს ერთი რამ საგანი: ეს საგანი სამშობლოა, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში განიცდის ტანჯვას სხვის მიერ და, რომლის გული წარუშლელი იარით არის დადაგული. თავის სატრფო სამშობლოს ის ყოველთვის ეუბნებოდა ხოლმე:

ჰინჯარში ნუ ვარდები,
ნუ გგონია იქ ია და ვარდები,

და. როდესაც სატრფო ამ დარიგებას არ მიიღებდა ხოლმე, ის სრულ სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. ის იყო ტარიელი[2], რომელიც თავს სწირავს თავის სამშობლო ნესტანის[3] დახსნისათვის, ტარიელი, რომელიც გარბოდა მინდორ-ველად, ეძებდა მეგობრებს, რომლებისათვის ხელი უნდა გაეწოდებინა და შეერთებულის ძალით ნესტანი ქაჯთა ტყეობიდან ეხსნათ...

ის სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, როდესაც გადახედავდა თავის სამშობლოს დაობლებულს, მიყრუებულ ტყე-ველს და სასოწარკვეთილივე მოუბრუნდებოდა ქართველ კაცს და ეუბნებოდა:

აბა, მითხარ, ვინა ხარ?
უცხო კაცათ არ ვარგხარ, აღარაცა შინა ხარ,
ორთა შუა აგდიხარ, სანაგველას დარი ხარო.

მარა, აჰა! გადახედავდა რა ის თავის წინაპართა ნამოქმედარს, გადახედავდა რა იმ ციხე-კოშკებს, რომელნიც ჩვენ წინაპართა აღუგიათ მტრისაგან დასაცავად, გადახედავდა ცათ აღმართულ იალბუზის[4], მყინვარის[5], კავკასიის ქედებს და იმედით, იმ იმედით, რომელიც მუდამ ჟამს მისი განუყრელი თანამგზავრი იყო, წარმოსთქვამდა ხოლმე:

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს...

და, სწორედ ასეთ მოიმედის დაკარგვაზე მოთქვამს დღეს მთელი ქართველობა და ამ მოთქმას უერთდებიან დაობლებული, ბედისაგან მწარედ და-

ტანჯული ქართველი დედები, რადგან ისინი დღეს მიწას აბარებენ თავიანთ მხნე დარაჯს, მათთვის თავდადებულ, დაუღალავ მუშაკს, ჭირისუფალს, რომელიც თავს დასტრიალებდა მათ მწარე ხვედრს, მათ დაცემას, და მუდამ სახეში უყენებდა ძველ დედებს, რომ ახლებს მათ კვალზე ეარათ... მან იცოდა, რომ იქ, ნინო[6], თამარ[7] და ქეთევან[8] სამარადისოთ ჭებულან და „აღუზრდიათ გმირები სამშობლოს მხსნელად და ზვარაკად". ის გუნდრუკს[9] უკმევდა ამ დედებს, მარა წუხდა, რომ „იმათ სხივებზე დღეს ქართველი ქალი თვალს ვეღარ ახელს", წუხდა, რომ მათ სამშობლო უკვე დაეწყებიათ და აღარ უზდიან მას გმირებს...

ნაზი, ნარნარი, ღვთაებრივი დედა აკაკისაგან განპიროვნებული, თავის შვილს გასაზრდელად სხვას კი არ მიაბარებს, არამედ თვითონ მიუჯდება აკვანს და ნაზადვე დამღერის:

ანუგეშე, სადაც ნახო მოძმე მწუხარეო,
შვილო, მამულის გულისთვის სისხლი დაღვარეო.
ჩვენ ძველებმაც მაგვარადა მტრები აშინაო,
იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო.

და დღეს დარწმუნებული იყავით, რომ დაჩაგრული დღევანდელი პირობებისაგან ქართველი დედაც ეცდება არ დაკარგოს აკაკის ნაანდერძები, დარიგებანი... ამიერიდან ქართველი დედა ეცდება მიზნად და იდეალათ დაისახოს: „ნინო, ქეთევან და თვით თამარი". და მაშინ, უთუოდ შემოფრინდება მერცხალი და აკაკის საფლავს ჭიკჭიკით გადასძახებს: „გაზაფხული, გაზაფხულიო"... და მაშინ გაზაფხულის იმედიც ხომ გულს ჩაგვესახება?!...

იოსებ მაჭავარიანი

სიტყვები...

აკაკი! რა ცხოველი სიტყვაა ქართველისათვის! რამდენ იმედს აგითამაშებს, რა ტკბილად შეიჭმს გული ძგერას, როდესაც გონების თვალწინ წარმოგიდგება ციური ღიმილით გაშუქებული მისი ღვთაებრივი სახე. რა სანეტარო სიამოვნების მორევში შესცურავ, როდესაც ყურში ჩაგწვდება მისი შეუდარებელი, ცისა და ქვეყნის შემაერთებელი საგალობელი სამშობლოს სიყვარულისა...

ბევრს მისი სამშობლო სულიერად მკვდარი ეგონა. დიდხანს სძებნა აკაკიმ თავის „სულიკო"[1] და იპოვა იგი მტერ-მოყვარისაგან გაეერანებულ საქართველოს სასაფლაოზე: იუდასაგან[2] გაყიდული ობოლი სული საქართველოსი იქ ლერწმად აღმოსულიყო და დამუქრებით აძართულიყო მაღლა ზეცისაკენ, რომ იქ მიეტ:ნა ჩვენი ქვეყნის მწარე ამბავი და საჩივარი. მაგრამ იმავე დროს მეგობრულად მოსისინე ნიავი გრიგალად ქცე-

ულა, დასჯახებია და ძირიანად მოუთხრია. სამშობლოს მწყემსმა აკაკიმ ხელთ აიღო წაქცეული ლერწამი და გამოსჭრა იმისაგან უკვდავი სალამური, ჩაჰბერა თავის ღვთაებრივი სული და შესტყორცნა არე-მარეს მაცოცხლებელ ჰანგთა ტალღები. რაოდენი კვნესა, რაოდენი შვება, რა დიადი გრძნობა, რა მშვენიერებაა ჩაქსოვილი მის ჰანგებში. როდესაც ისმენ ამ საუცხოო ჰარმონიას, სავსებით გრძნობ მშობელი ერის ჭირ-ვარამს, მის სულის — კვეთებას, მის სულიერ სილაღე-სიდიადეს და სრული სინამდვილით ხედავ მას მთელი მისი ღირსებით, მთელი მისი ნაკლით. მხოლოდ ვერ ამჩნევ, სად თავდება აკაკი და სად იწყება საქართველო, ისე განსახიერებულა ეს ეროვნული დევგმირი თავის ერის პიროვნებაში. თითქოს ძალთა-ძალს სავსებით მხოლოდ მისთვის დაეთმოთ შოთასაგან დანატოვარი შემოქმედების საიდუმლო ქნარი! და მასაც ამოეღოს თავისი გული, გარდექმნას იგი საქართველოს სიყვარულის გრდემლად და ზედ ეჯდოს სამშობლოს ბედნიერება! აკაკის ჰანგთა მუსიკობაში განუწყვეტლივ ისმის ხმა ასეთი მუშაობისა და ნათლად ხედავ, თუ სამშობლოს გასაერთიანებლად რა ღვთაებრივი ძალით ჰგრეხს იგი უწყვეტ სიმებს ჩვენი სულისას, როგორ ჰკრებს მისგანვე გამოფხიზლებულ ჩვენი აზროვნების სხივებს და როგორ სწნავს ამ სხივებისაგან საქართველოს უკვდავების გვირგვინს. აი, უზენაესი შემოქმედება ეროვნული გმირისა! და აკაკის ხანა საქართველოს ისტორიაში არის განახლებულ საქართველოს ცხოვრების განთიადი: მას ეწოდება აკაკის დილა! და ახლად ამოსულმა საქართველოს მზემ უკვე ჰკრა თავის მაცოცხლებელი სხივები საქართველოს გულს, ააძგერა იგი, უკვდაებების წყურვილით და გალომებული ქართველი ერი დღეს ებრძვის სამშობლოზე მოზღვაებულთ მტერთ. სამუდამოდ შეერთებული აკაკის ჩონგურის გარშემო მთელი საქართველო დაეძებს და უყივის სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირებს, და აკაკისაებ ძლევამოსილი ქნარი, საშვილიშვილოთ აჟღერებული, მოითხოვს ჩვენგან: არ დავგმოთ იმის ჭაღარა და არ დაეუშვათ ძირს მისგანვე ზეაღმართული ეროვნულ-დემოკრატიული დროშა, მისივე ცეცხლის სიტყვებით მოვარაყებული: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი!“

ივ. გომართელი

სიტყვები...

უძველეს დროს, როდესაც ქვეყანაზე არც მწუხარება იყო, არც ბოროტება, არც სევდა, არც კვნესა და არც ცრემლები, მშვენიერი, ცქრიალა, მალხაზი მზე-ქალი სცხოვრობდა. უცხო მგზავრმა სკივრი დაუტოვა, ჩემს მოსელამდე თავი არ ახადოეთ და გაუდგა გზას. დრო გადიოდა,

მგზავრი არსად ჩანდა, მზე-ქალს კი მოთმინება დაეკარგა, უნდოდა გაეგო, რა იყო სკივრში.

მოთმინების ძაფი გასწყდა, მზე-ქალამ ახადა სკივრს თავი და შეშინებულმა ისევ ხელი გაუშვა. სკივრის თავი დაიხურა, მაგრამ იქაურობა აივსო საშინელი დამანჭული, ბოროტი ქმნილებებით: ესენი იყვნენ — მწუხარება, შური, მტრობა — ყოველივე, რაც ადამიანის გულს სევდით ავსებს.

მზე-ქალამ საშინელი ტკივილი იგრძნო გულში. მან პირველად იგემა, თუ რა იყო სევდა და მწუხარება, დაეყრდნო სკივრს და დაიწყო ტირილი.

სკივრის თავი ნელ-ნელა აიხადა, იქიდან ამოვიდა სპეტაკი სახის ქალწული, მოეფერა მზე-ქალს და სევდა გაუქარვა.

— ვინა ხარ შენ! ეკითხება გაოცებული მზე-ქალი.

მე ვარ იმედი. მართალია, ბოროტება თავისუფლად დანაყარდობს ახლა და სთესავს ყველგან მწუხარებას, მაგრამ მე მუდამ შენთან ვიქნები და ნუ გეშინიაო. იყო პასუხი.

— მზე-ქალი ჩვენი კეკლუცი საქართველოა.

სკივრი მისი ბედი.

მართალია, ის ბედით გალაღებული არასოდეს ყოფილა, მაგრამ როდესაც ბედი ერთხელ კიდევ სცადა და სკივრი ახადა, რომ მეგობარი ეხილა, ჭირს ჭირი მოუმატა, რაც ებადა, ისიც კი ვერაგულად, მოტყუებით დაჰკარგა.

ჩვენს ცხოვრებას სევდის შავი ღრუბელი გადაეფარა, იმედი დაიღუპა; სასოწარკვეთილებამ მოიცვა ყოველივე.
ამ დროს გაისმა გამამხნევებელი ხმა.

ნუთუ ჯერ ვერ შეგინიშნავს
ის ვარსკვლავი როგორ ბრწყინავს!
შენი არის!.. ბედს გექადის!
მიეგებე, ნუღარ გძინავს!
მოემზადე, ახალო დრო
შესამკობლად გვირგვინს გიწნავს.
დიდებაო ძველის ძველო
დღეს სნეულო საეკველო!
გულს ნუ იტეხ, წამოდექი
ნეტარების მომლოდნელო!

ეს იყო აკაკი, რომელიც იმავე ბედმა მოუვლინა ჩემს სამშობლოს ნუგეშათ. ჩვენი სამშობლოს ცისარტყელამ წარმოშობა ის ქართველი ერის იმედად.

და მას შემდეგ ქართველი ერი კი არ კვნესის, მარტო იმის კვნესაში იმედის ღიმილიც არის-ის აკაკის ღიმილია.

მოვა დრო და თავს აიშვებს.
იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა გმირი!

მთელი თავისი პოეზიით აკაკიმ შეჰქმნა მშვენიერი ოცნება, ჩვენც გაგვიტაცა. იმედი აღგვიდგინა; ჩვენ გვრწამს, ჩვენ გვჯერა, რომ ეს ოცნება სინამდვილეთ იქცევა და

ჩვენს ბედკრულ სამშობლოს
სიხარულათ შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი.

ქართველი ერის სევდა და ღიმილი, ქართველი ერის მწუხარება და მხიარულება, ქართველი ერის სინამდვილე და ოცნება, ქართველი ერის იმედი და ნუგეში. ქართველი ერის საუკეთესო, უწმინდეს გრძნობათა თვალწარმტაცი თაიგული — აი, აკაკი.

ხორციელ დიდებაში და ფუფუნებაში დაბადებულმა უარჰყო ყოველივე პირადი ბედნიერებაც და მწუხარებაც. წმინდა სანთლად დაენთო სამშობლოს საკურთხეველზე, დნებოდა, იწოდა, იწოდა და დნებოდა, სანამ ბოლომდე არ დაიწვა. სამშობლოს ბედიღბალთან სრული შედუღება, სამშობლოს გულში საკუთარი პიროვნების სრული გათქვეფა — აი აკაკი.

და არ გეგონოსთ, რომ ის ბრმა თაყვანისმცემელი იყოს სამშობლოსი, არა.

ჩემი ხატია სამშობლო
სახატე მთელი ქვეყანა

ჩვენ სრული უფლება გვაქვს — ვიამაყოთ ამ სიტყვებით. აქ აკაკიმ გამოჰხატა მთელი ქართველი ერის რაინდული ბუნება.

„სხვა ხალხის უბედურობით, რომ ჩემი ხალხი იყოს ბედნიერი, ეს არ მინდა. და არც ჩემ ხალხს შევწირავ მსხვერპლად რომელიმე ერს. ჩემი სურვილია, რომ ყველა თავთავისთავად ბედნიერი იყოს ერთი-მეორის გადაუკიდებლად — აი აკაკის სიტყვები.

ძმობა, ერთობა, მეგობრული კავშირი კაეკასიის ერთა შორის, — აი აკაკის სურვილი.

განათლებული, გაბრწყინებული, ძლიერი საქართველო, რომელიც არც სხვას იმონებს, არც ვისმე ემონება, — აი აკაკის ოცნება.

და ამ ოცნების განხორციელებას შესწირა მან მთელი თავისი სიცოცხლე. ის ჯოჯოხეთს ატარებდა თავის არსებაში, მაგრამ მაინც იცინოდა, გული სევდით ევსებოდა, მაგრამ ღიმილი მაინც არ შორდებოდა იმის ტუჩებს. ცრემლებს ჰღვრიდა, მაგრამ მაინც იცინოდა — იცინოდა, რადგანაც სწამდა, რომ მისი სამშობლო კვლავ აყვავდებოდა, სწამდა და ეს რწმენა მთელი ქართველი ერის რწმენათ აქცია. ისეთი ნაზი, ისეთი დამათრობელი, ისეთი ჯადოსნური სიმები გააბა მან ჩვენს გულსა და სამშობლოს შორის, რომ ეს სიმები აღარასოდეს აღარ დაწყდება, მათი ტკბილი ხმები ნიადაგ გააღვივებენ ჩვენს გულში იმ ცეცხლს, რომელსაც რომ სამშობლოსადმი სიყვარული ეწოდება.

და როდესაც ჩვენს სამშობლოს გაუთენდება ის გაზაფხული, რომლის მოახლოებასაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა აკაკიმ, ეს იქნება დიდებული დღე, მაშინ მთელი ქართველი ერი გაიძრობს შავებს, სამხიარულოთი შეიმოსება, წელში გაიმართება, სადღესასწაულო ფერხულს გამართავს მთაწმინდაზე და დასძახებს: გაუმარჯოს ჩვენს კოხტა სამშობლოს და საუკუნო ხსენება და დიდება ჩვენს საყვარელ აკაკისო.

გიორგი

აკაკი, როგორც მგოსანი

(მასალა კრიტიკისათვის)

„შენმა ჩანგმა აღგვამაღლა,
შენმა ჩანგმა გვასახელა
და შენს სახელს იმეორებს
მოწიწებით ჩვენში ყველა.“
ს ი ლ ო ვ ა ნ ი.

მე-19 საუკუნის ქართველ მგოსან-მწერალთა შორის ტყუილა დაუწყებთ ძებნას მგოსანს, რომელსაც ისე მოეხიბლოს საზოგადოება, ხალხი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, როგორც აკაკის.

მე-19 საუკუნის ქართველ მგოსანთა შორის ტყვილა დაუწყებთ ძებნას მგოსან მწერალს, რომლის ნაწარმოებს, რომლის შემზადებულს სულიერ საზრდოს ისე დასწაფებოდეს ხალხი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, როგორც აკაკისას.

მე-19 საუკუნის მწერალთა შორის ვერ იპოვით იმისთანა მგოსანს, რომლის არსებაშიც ისე უხვად მოეყაროს თავი უტყუარ, მგოსნურ თვისებებს, როგორც აკაკის არსებაში.

როგორი მგოსანია აკაკი?

აკაკი — ეს ისეთი მგოსანია, ისე მრავალმხრივია მისი უტყუარი ნიჭით აღსავსე არსება, რომ მისი დახატვა, გვარიანიც კი, შეუძლებელია დღეს, როცა ჯერ კიდევ თვალები ცრემლითა გვაქვს სავსე. აკაკის რიგიანათ დაფასება-დასურათება ვერ შეძლო შვიდმა დეკემბერმაც კი, იმ შვიდმა დეკემბერმა, რომელიც სამახსოვრო დღედ დარჩება მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. აკაკის რიგიანი დასურათხატება, მასზედ რიგიანი მსჯავრის გამოქვეყნება ვერ შესძლო რვა თებერვალმაც კი, იმ რვა თებერვალმა, რომელმაც ერთ გრძნობად გადააქცია მგოსნის ფასდაუდებელი ჩანგური — საქართველო და ამ უკანასკნელის საყვარელი სიმები — ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი. აკაკის სრული დაფასება მომაღლის საქმეა, როცა პირუთვნელი კრიტიკა

თვით წმინდა მოვალეობად დაისახავს მგოსნის ყოველმხრივ განხილვა-გარჩევას.

ამ ჟამად კი ჩემი სურვილია მკითხველის ყურადღება მივაქციო აკაკის. როგორც მგოსნის, თვალსაჩინო თვისებებზე, იმ თვისებებზე, რომლებიც ნათლად იხატება იმ ადამიანის გონებაში, რომელსაც გაუცვნია ხელოვანი მგოსანი, შეუსწავლია მისგან განსპეტაკებული ენა და შეუსისხლხორცებია მგოსნის თხზულებანი.

პირველი უტყუარი თვისება, რომელიც იქცევს ჩვენს ყურადღებას, რომელიც გვხიბლავს და გვიწვევს საყვარელ თანამემამულის თაყვანისაცემად არის ის, რომ აკაკი ბუნებით მგოსანია. ზეგარდმო მონიჭებულ პოეტურ მადლს მოუკალათებია აკაკის არსებაში: ეს ფასდაუდებელი პოეტური მადლი მუდმივი თანამგზავრია საყვარელი მგოსნისა: ის არ სტოვებს მას სიყმაწვილეში, არ სტოვებს ვაჟკაცობაში და, რაც გასაკვირველია, არ ანებებს თავს ღრმა მოხუცებულობაშიც. მოხუცების დროსაც, ისე, როგორც სიჭაბუკის ხანაში, მუზა აკაკისა განუშორებლად დაფრინავს ამ უკანასკნელის ჭაღარა წვერებთან და, ჩვენდა სასიამოვნოდ, აძლევს მას ძალას კვლავინდებურად დაატკბოს ქართველი კაცის სმენა მადლიანი ჩანგურის ჟღერით.

იმ დროს, როცა სხვა ზოგიერთ „ძალით მგოსნებს“ ემჩნევათ ნაძალადევი ლექსის თხზვა, მუზის ძახილი, რითმების ძებნა, ხელების ფშვნეტა, ლექსის ერთი ხანის დაწერიდან მეორე ხანის დაწერამდის ხანგრძლივი შესვენება, — აკაკიში ამაების მსგავსს ვერაფერს იპოვით. მისი ლექსი ჩამოსხმულია, თავისუფალია, მსუბუქია, ადვილი გასაგებია, უბრალოა, ტკბილია, არავითარი ნაძალადევობა არ ეტყობა.

აკაკის ლექსის გონიერი მკითხველი მშვენივრად ამჩნევს, რომ მგოსანი უმაღლესად დაჯილდოებულია ბუნებით, თანდაყოლილი პოეტური ნიჭით. აკაკის ლექსის სრულიად უბრალო, მაგრამ ამასთანავე დამაფიქრებელი შინაარსი, ძალდაუტანებელი მიმდინარეობა ცხოველ და სპეტაკ ჯზრ-გრძნობათა, სასიამოვნო მუსიკალურ-ჰარმონიული ენა, სიტყვისა და ლექსის ხელოვნება, — ყველა ესენი ისე არიან ერთი მეორესთან შესისხლხორცებულნი, რომ გონიერ მკითხველს აფიქრებინებს — პოეტს უთუოდ სრულიად მზა ზე-შთაგონება გადააქვს ქაღალდზედაო, აფიქრებინებს, რომ პოეტი მხოლოდ გადამწერის როლს თამაშობსო. მართლაც და ნიჭიერი მგოსანი უცვლელად აქვეყნებს მას, რასაც უკარნახებს მგოსანთა ღმერთი და დიდ ღირსებათ უნდა ჩაითვალოს აკაკისათვის ის გარემოება, რომ ის ნაკარნახევში შეცდომას არ უშვებს, იმდენად დაჯილდოებულია ციური ნიჭით. საყვარელი აკაკი გულწრფელად აღიარებს ერთს თავის ლექსში, რომ ის მხოლოდ იარაღია მუზის ხელში, აი რას ამბობს იგი:

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ისა ვარ, არც ისა
გარემოების საყვირი
არც მიწისა ვარ, არც ცისა.
ნუ მკითხავ მნახო უგნურად
ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა,
სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი
ამ ჩემს გონება-გრძნობასა.

აიღეთ კრებული აკაკის ლექსებისა, წაიკითხეთ პირველ გვერდზე მოთავსებული ლექსი: ამ ლექსის წაკითხვა ისე იმოქმედებს თქვენზე, რომ უთუოდ აღგეძრებათ სურვილი ამ ლექსის ქვევით დაბეჭდილი ლექსის წაკითხვისა, ამ უკანასკნელის წაკითხვა გამოიწვევს თქვენში შემდეგი ლექსის წაკითხვის სურვილს და, ასე, რამდენს ქვევით მიდიხართ, იმდენად უფრო დიდია თქვენი სურვილი ერთი ლექსიც არ დასტოვოთ წაუკითხავი იმ წიგნში, სადაც თავმოყრილია ძვირფასი მგოსნის ლექსები. რას ამტკიცებს ეს? იმას, ჩემი ფიქრით, რომ აკაკის ლექსები ნაძალადევი არ არის, იმას, რომ ამ მარგალიტი ლექსების დამწერის არსებაში დაბუდებულია ღვთიური მადლი, ნამდვილი პოეტური ნიჭი: იმას, რომ მუსიკალურ-ჰარმონიული ლექსების შემთხზველი ბუნებით მგოსანია და არა „ძალით მაცხონე“ — მერითმე პოეტი, რომლის ლექსთა კრებულის პირველ გვერდზე დაბეჭდილი ლექსის წაკითხვის შემდეგ ზანტად შლით რამოდენიმე ფურცელს და კითხულობთ, თუ, რასაკვირველია, ლექსის სათაურმა მიიქცია თქვენი ყურადღება, თუ არა და საჩქაროდ დაკეცილი წიგნი იქ ყურეში მოადენს ტყეპას.

აკაკი რომ ბუნებით მგოსანია, ეს ყველაზე უფრო, ცხადად იქიდან ჩანს, რომ მას ლექსის წერა არ შეუწყვეტია ღრმა მოხუცებულობის დროსაც. მან უკანასკნელი ლექსი დასწერა მაშინ, როცა ხანგრძლივი სიცოცხლით და მუდმივი შრომით დაქანცული ემორჩილებოდა ბუნების კანონს — კვდებოდა...

აკაკის კალამი მუდამ სველი იყო დღიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა თვით ცივ სამარემდის. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც მშვენიერად იცის მგოსანმა, რომ ის ციური მადლი, ის „ციური ნაპერწკალი “, რომელიც მის არსებაში ჩაბუდებულა, ის ჩანგური, რომელიც განგებას მისთვის უჩუქნია, მისი თანამგზავრია, მისი საკუთრებაა თვით სიკვდილამდის:

შენი ქება და დიდება,
შენი ლხინი და ჭირია, —
მაღლიდან გადმომაძახეს
ქამანჩაა და სტვირიო...
კუბოს კარამდე მიგყვება
ვით ძმას და მეგობარსაო

და რომ მოკვდები, შენს ამბავს
გადასცემს მთა და ბარსაო

ერთგულმა მუზამ აღუსრულა დანაპირები საყვარელ მგოსანს: მიყვა კუბოს კარამდე და... განშორდა. განშორდა, მაგრამ არ დაივიწყა მეორე დანაპირებიც: მგოსნის დიდების ამბავი გადაეცა კიდით-კიდეს; მთა და ბარს, არე-მარეს, ქართველებს და არა ქართველებს. ამის დამამტკიცებელ საბუთად ხომ საუკუნოდ დარჩა რვა თებერვალი.

იმ მრავალ დაუფასებელ თვისება-ღირსებათა შორის, რომლებითაც დაჯილდოებულია მგოსანი, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გულახდილობას. დიახ, აკაკი გულახდილი მგოსანია. გულწრფელობა — ეს საუკეთესო თვისება ადამიანისა საზოგადოთ და კერძოდ მგოსნისა, თავიდგანვე — სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროიდან ემჩნევა აკაკის. მას მშვენივრად ესმის დანიშნულება მწერლისა, ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა ხალხისა და სინიდისის წინაშე. „მწერლობა, — ამბობს აკაკი, — უცნაური სარკეა, სადაც ქვეყნის ძველი და ახალი ავკარგიანობა უმეტნაკლებოდ, უნდა პირდაპირ იხატებოდეს და არა კერძო საპირადო სანავარდო სარბიელი. მწერალი კი დიდი მოძღვარია ქვეყნისა, რომელსაც ყურს უგდებენ აწ და მარადის და მიტომაც მისი მოვალეობა ღვთისა და კაცის წინაშე დიდია! კერძოობით რამ საპირადო, მტერ-მოყვრობა, მისიან-სხვისიანობა და სხვ. მის გულს არ უნდა ეკარებოდეს. ვინც ამას გადაუხვევს, ის არის ჭეშმარიტების გამყიდველი, იუდას! თანაზიარი".

აკაკი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროიდანვე განიმსჭვალა იმ აზრით, რომ გზა, რომელიც მან აირჩია და რომელზედაც ის უნდა იდგეს, ეკლიანია, უსწორმასწოროა და მისი რიგიანი გაკაფვა-გათელისათვის საჭიროა იარაღი, იარაღი საიმედო, ორივე გვერდით მჭრელი. ამ გვარ იარაღად მგოსანმა სცნო და აირჩია პირდაპირობა, გულწრფელობა:

გამიქვავდეს მე ეს ენა,
თუ რომ ვისმე მიევფერო
და გამიხმეს ეს მარჯვენა
თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო...
სხვისი ლხინით ხომ ვიხარებ,
თუ რომ ჩემს თავს დავრჩი ავად
და მაინც არ ვაღიარებ
შავს თეთრად და თეთრსა შავად

ნიჭიერი მგოსანი სრულიად დარწმუნებული იყო იმაში, რომ მხოლოდ პირდაპირობა მოსპობს სისაძაგლეს და ბოროტებას, დასცემს რაც დასაცემია და გაანადგურებს რაც გასანადგურებელია; აკაკი მშვენივრად ატყობს თავიდანვე, რომ მისი სიტყვა-მოქმედება საზოგადოების ერთი ნაწილისათვის იქნება სამკურნალო მალამო, მეორე ნაწილისათვის კი ძირმწარე, ზოგს ეტკბილება, ზოგს არა: მან ძლიერ კარგად იცის, რომ მისი გულწრფელი, გულახდილი, პირდაპირი სიტყვა და საქმე გაყოფს მგოსნის

ჩანგურის მსმენელებს ორ ნაწილად: მოყვრებად და მტრებად. მაგრამ ყველა ამაებს ის გულგრილად შეხვდება, რადგანაც იცის თუ რა არის მგოსნის დანიშნულება.

მაშ, ნუ გწყინს გულო, კაცთაგან გმობა,
სელი გეძახონ, ნუ გეწყინება.
შენ კი დაადექ შენ წმინდა აზრსა
და აღასრულე დანიშნულება.

გულახდილობას, — ამ საუკეთესო თვისებას ისე ღრმადა აქვს ფესვი გადგმული საყვარელი მგოსნის არსებაში, რომ ეს თვისება მუდმივი თანამგზავრია მისი, მის ხანგრძლივ ცხოვრებაში. ამ საუცხოო თვისების მეოხებით აკაკისათვის ერთია: დიდი და პატარა, მოხუცი და ჭაბუკი. გლეხი, თავადი და აზნაურიც, ნასწავლი და უსწავლელი, მთიელი და ბარელი; ყველას მოურიდებლად. თამამად უმასპინძლდება მისი ტკბილ-მწარე ენა.

გულახდილობის ამ ძვირფასი თვისების შედეგია, რომ უკვდავი მგოსანი მოევლინა საზოგადოებას თავისებურ სამწერლო ნივთებით შეიარაღებული:

ცრემლში მილესავს ნაღველი
და მელნად ის მიხმარია,
შიგ თაფლი არის ნარევი
და ზოგან ცხარი ძმარია.

„ცრემლი, თაფლი, ნაღველი და ძმარი“ — აი, რა და რა ერთი მეორეში გათქვეფილი ნივთიერებისაგან შესდგება ის მელანი, რომელსაც პირდაპირობის მოყვარე მგოსანი ხმარობს. სად ინახავს იგი ამ მელანს? გულში — აი. რა არის გულახდილი ადამიანის საწერელი. ნეტავი რაღაა მგოსანის კალამი? ენა. დიახ, ენა — ხან სამკურნალო მალამო, ხან სასიკვდილო ისარი. აკაკის საუკეთესო საკრავია ჩანგური, რომელსაც

ჯორა აქვს ია-ვარდისა,
სიმი — ბულბულის ენაო,
ფრთები არწივის ასხია,
შეშვენის მაღლა ფრენაო .

და ამგვარ თავისებურ სამწერლო ნივთიერებით შეიარაღებული გულახდილი მგოსანი კისრულობს: აქოს, რაც საქებია და აგინოს, რაც საგინებელია, დაიცვას და ემსახუროს ჭეშმარიტებას და სიმართლეს, დასცეს და მიწა გაუთხაროს ბოროტებას. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადოს მჩაგვრელებს, წრფელი სიყვარული უძღვნას მოყვასს საზოგადოდ, უძლურსა და დაჩაგრულს განსაკუთრებით.

გულახდილობის ამ ადამიანურ თვისება-ღირსების წყალობით აკაკი ყველაფერს კისრულობს, არაფერს არ ერიდება, თუ, რასაკვირველია, ამას მოითხოვს საზოგადო საქმე. არავის არ შეუძლია შეაჩეროს გულახდილი მგოსანი:

თუ არ სიკვდილით... სიცოცხლით,
ვერვინ შემიშლის ბოდვასა
და გამოვიტან საქვეყნოდ
დაფარულ მადლს და ცოდვასა.

ჰეშმარიტების მქადაგებელ მგოსანს, ადამიანის დამამცირებელი პირბადე არ უყვარს: რაც აქვს გულში, ის გამოაქვს საქვეყნოდ;

რადგან პირდაპირი თქმა
არის მისი ხელობა.

და ეს თვისება გულახდილობა ერთი საუკეთესო სამკაულთაგანი იყო აკაკისათვის, როგორც ნამდვილ ხელოვან-მგოსნისათვის.

* * *

აკაკი შეუდარებელი „ბნელში იმედით მკვესელი“ მგოსანია. ამ უტყუარ თვისება-ღირსების წყალობით მან ძლიერ შეუწყო ხელი ქართველი ერის თვითცნობიერების გაღვიძება-გაფურჩქნა-გაფართოებას.

აკაკის გრძნობიერი გული ვერ შეურიგდა იმ სურათს, რომელიც დახვდა რუსეთიდან დაბრუნებულ ნიჭიერ ახალგაზრდას თავის მრავალტანჯულ სამშობლოში. რას ხედავდა იგი?

ერთის მხრით მდიდრები, მეორეს მხრით ღარიბები, ერთის მხრით სიცილ-ხარხარი, მეორეს მხრით გოდება-ტირილი; ერთის მხრით კმაყოფილნი ბედისა, მეორეს მხრით უკმაყოფილონი.

გრძნობიერი ახალგაზრდა ხედავდა მშობელ ერს ღრმა ძილში მყოფს, ერს, რომელსაც დავიწყებოდა თავისი წმინდა მოვალეობა, დავიწყებოდა თავისი წარსული, ერს, რომელსაც ვერ გაეგო თავისი აწმყო, ერს, რომელიც, თითქმის მკვდარიაო, არ იცქირებოდა იმედის თვალით მომავლისაკენ.

საზარელი იყო სურათი ქართველი ხალხის გადაგვარების გზაზედ დადგომისა. ყველგან „შენ-ჩემობიას“, ყველგან „საპირადოს“, ყველგან გაიძვერობას და ძმის საფლავის თხრას, ყველგან, მგოსნის სიტყვებით,

მართალს სიტყვას
დახურული ქონდა კარი
და მცარცველებს ქონდათ ხელში
ბურთ-მოედან, მთა და ბარი.

ყველგან მგოსნისვე სიტყვებით გამრავლდნენ ორ სკამზე მჯდომნი, რომლების ხელობად გადაქცეულიყო: „კუდის ქნევა, ფეხის სლაქვა“.

ნიჭიერი მგოსანი ხედავდა საზოგადოებრივ მაჯის ცემას უმაღლეს საფეხურამდის მისუსტებულს და ელფერ-დაკარგულს; ხედავდა, რომ ოდნავ-ღა ბეუტავდა ჩვენი მწერლობა. ხედავდა მწერლებს, რომლების

ჩანგის ულერა ქართველ საზოგადოების უმრავლესობის გულს არ სწვდებოდა, მის სულს არ აშფოთებდა, ვერ იწვევდა საუკეთესო მომავლისათვის საბრძოლველად. ვერ არკვევდა ხალხს საღათას ძილისაგან.. დიდებული მამულიშვილი მშვენივრად გრძნობდა, რომ სამშობლო ენა ჩირქმოცხებული, წიხლ-ჩაკრული, გაუპატიურებული, ითხოვდა ბრძოლას წიხლ-ჩამკერელებთან, ითხოვდა გაფურჩქვნა-განსპეტაკებას.

მგოსანი ხედავდა, რომ მშობელი ერი საშინაო ჯურღმულს მისდგომოდა შიგ გადასაჩეხავად; ხედავდა და გრძნობდა, რომ მისი გადარჩენა შეიძლებოდა დაჩლუნგებული და მიძინებული ქართველი ხალხის თვითცნობიერების გაღვიძება-აღდგენით და მანაც ამ საშუალებას მიჰყო ხელი. აკაკიმ მომართა თავისი ჩანგური, მიიღო შემდეგი ბრძანება მუზიდან:

ხან სიტკბო აიაფე,
ხან ნაღველი აქაფე;
ჰეშმარიტება აქე
და ბოროტი აკაფე

მგოსანი გამოდის სამოქმედოთ, გამოაქვს თესლი წმინდა, უღვარძლო, პოეტური აღმაფრენით ჰკვესავს ბნელში, ებრძვის ათასგვარ დაბრკოლებებს: ვაჟკაცური, ამირანისებური[2] გაუდრეკელობით ჰკაფავს ეკლიან გზას. თავისი ძლიერი და პირუთვნელი კალმით ამათრახებს ყველას და ყველაფერს.

„ბნელში იმედის მკვესელ“ აკაკის ვერ აშინებს ის გარემოება, რომ მისი დროის ქართველი ხალხის მდგომარეობა სამწუხაროა, რომ ჯერ ამ ხალხის სამშობლოში თავისუფლად დათარეშობს უსამართლობა და ფერხული გაუბამს. მგოსანი არ ეცემა სულით და ამასვე ურჩევს თანამემამულეებს, იწვევს ამ უკანასკნელს ერთსულოვანი ბრძოლისათვის.

მაგრამ ძმებო, ნუ შედრკებით!
სასხლავს მივყოთ ყველამ ხელი,
ეკალს ძირი ამოვუგდოთ,
სისხლით ვღებოთ მთა და ველი!...
ეკლნარშია მწარ სიცოცხლეს
ვარდნარშია სჯობს სიკვდილი.
ამ აზრით უნდ იმსჭვალოდეს
მამულისა კარგი შვილი.
უსამართლო ძლიერებას
საუკუნო არ აქვს ძალი,
უძლეველი საბოლოოდ,
არის მხოლოდ სამართალი

აკაკი მუდამ იწვევდა თანამემამულეებს წინსვლისათვის; ის მუდამ დაკვნესდა თავისი ერის უნუგეშო მდგომარეობას და საუკეთესო საშუ-

ალებად ამ მდგომარეობიდან გამოსვლისა ასახელებდა ბრძოლას უფლებისათვის, ბრძოლას ადამიანობისათვის

ვინ ნახა თავისუფლება,
ტანჯვით და მოთმინებითა!..
კმარა ცრემლი! საქმის დროა
მსხვერპლი გვინდა და ზვარაკი,
ფუ შერცხვეს კაცი სხვის მონა
და დღიურ ღუკმის მდევარი

მიუხედავად იმისა, რომ აკაკის ცრემლები სცვივა მისი დროის სამშობლოს მდგომარეობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ სურათი საზარელია — მგოსანი არ იტეხს გულს, მას ვერ იმორჩილებს უიმედობის გრძნობა, იმედი ბრწყინვალე მომავლისა განუშორებლად აქვს გულში მხცოვან პოეტს. ეს იმედი ლამპრად მიუძღვის მას დღიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა ციე სამარემდის და ამაგე იმედს უნერგავს გულში თანამემამულეებს...

ბნელში იმედით მკვესელ აკაკის ვერ აშინებს სატრფოს დროებით დაუძლურება, ძილი. მან მშვენივრად იცის, რომ სამშობლო, კი მართალია, ავადმყოფია, მაგრამ ესეც კარგად იცის, მორჩება ეს ავადმყოფი თუ არა. მგოსანი სრულის იმედით წინასწარმეტყველებს:

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გახეღვიძებს...
ბევრის ბრძოლით დაღალულსა
ეპირვება მოსვენება!...

ბნელში მკვესელ აკაკის ვერ აშინებს ის გარემოება, რომ თანამედროვე ქართველი ქალი აჩრდილიც აღარაა ძველი ქართველი დედისა. იმედი იმისა, რომ მომავალში ქართველი ქალი თავისი ღირსება-თვისებებით ბევრათ გაუსწრებს წინ ძველ ქართველ ქალს, განუშორებლად აქვს გულში მგოსანს და ეს უკანასკნელიც თამამად წინასწარმეტყველებს. აი რას ეუბნება ის „მომავალ ქართველ ქალს“:

ეაფასებ შენს სრულ არსებას,
ვადიდებ სულ-ანთებულად
თაყვანს ვცემ შენში თამარსა
და ნინოს შეერთებულად,
მალე გიხილვენ ამ ქვეყნად
ძმებიცა აღტაცებული
და იქაც წმინდა წიაღში
ჩაგრიცხავს დედათ კრებული .

ბნელში იმედით მკვესელ აკაკის ვერ აშინებს ის გარემოება, რომ მისი დროის ქართველი „საპირადოს“, „შენ-ჩემობას“ გაუტაცნია, რომ მისი დროის ქართველი საცოდავი მონა, მორჩილი და ლაჩარია; მგოსანს

სწავს, რომ ქართველი გაიღვიძებს, გაიგებს და შეისწავლის თავის უნუგეშო ანწყოს, მოიგონებს თავის დიდებულ წარსულს, გამოერკვევა და ბრწყინვალე იდეით გამსჭვალული, გაეკაფება წინ ადამიანობის და უფლების მოსაპოვებლად.

მგოსანი საესებით დაიმედებულია იმაში, რომ მისი მშობელი ერი მომავალში გაზრდის გმირებს, მამულისა და ქვეყნის სასარგებლო ადამიანებს. ვის შეუძლია დააჯეროს იგი წინააღმდეგში? რა ვუყოთ, რომ თანამედროვე საქართველოს არ ყავს გმირები:

მართალი არის, მაგრამ რა?
რისთვის დავკარგო იმედი?
გმირს წინა უძღვის ყოველთვის
უძღური წინა-მორბედი...
არა, აყვავდეს იმედი!
გულს ვერ გამიტეხს ჰაღარა
გმირებს დაეძებს... უყიეის
ჩემი დაფა და ნაღარა!

ორმოცდა-ხუთმეტი წლის განმავლობაში სიმწარე, ტანჯვა, შური, მტრობა და „მდევნელთა დიდი კრება“ მუდამ გარს ახვევია ბნელში იმედით მკვესელ აკაკის, მაგრამ იმედი გამარჯვებისა, იმედი ბრწყინვალე მომავლისა განუშორებელი თანამგზავრია მისი.

„ბნელში იმედით მკვესელი“ აკაკი არ ჩერდება არავითარი მუქარისა და რისხვის წინ, ვერავითარი დაბრკოლება ვერ აჩერებს თავისი წმინდა მოვალეობის შენგნე ადამიანს... ან კი რამ უნდა მიატოვებინოს მას საყვარელი საქმე? რა ძალას შეუძლია მიატოვებინოს მგოსანს ის ადამიანური მისწრაფება, რომელიც მას დაუსახავს ცხოვრების მიზნად. აკაკიმ ხომ თავგანწირული ბრძოლით და მეცადინეობით კიდევაც მოიხვეჭა საუკეთესო, ორივე გვერდით მშვილი იარაღი, რომლის მ'ოლოდ ერთი შეხედვაა საჭირო, რომ შური, მტრობა, ბოროტება და „მდევნელთა დიდი კრება“ აჩრდილივით სადღაც გადაიკარგოს. ამგვარი იარაღია მგოსნის ხელში ერთნაირი „ღიმილი“, მაგრამ დაუგდოთ ყური თვით მგოსანს:

ერთი გვარი რამ ღიმილი
სამსონისას მაძლევს ღონეს
და მაშინ გინდ ჯოჯოხეთიც
შემეჩიდოს თავმომწონეს.
არ შევდრკები... გულით გმირსა
და მებრძოლსა მრაეალ-გვარად
ხელთ მიპყრია ის ღიმილი
მტრისთვის ხმლად და მოყვრის ფარად;
ეს ღიმილი ნიშანია
ახალგაზრდათ თანაგრძნობის
და მიზეზი საორკეცო
ჩემის მღერის, ჩემის გზნობის

ეს ახალგაზრდათ თანაგრძნობა საუკეთესო რამ განძია ჩვენი ძვირფასი მგოსნისათვის: ეს ხომ მისი წმიდათა წმიდაა. მგოსანმა გაიმარჯვა... მიაღწია მიზანს. განუხორციელდა იმედი... თავისი მომაჯადოებელი პოეზიით მიიზიდა თავისკენ ახალგაზრდობა, აიფეთქა ამ უკანასკნელის გული, აამოძრ-აამუშავა მისი გონება, გამოიწვია სამოქმედოთ, ცხოვრებაში გაბეფებულ უსამართლობასთან საბრძოლველად და ამ გვარად. ბნელში იმედით მკვესელ-მთესველმა მგოსანმა, ძლიერ შეუწყო ხელი ქართველი ერის საღათას ძილიდან გამორკვევას, ამ ერის ფერდაკარგულ თვითცნობიერების აღდგენა-განმტკიცებას...

აკაკია მგოსანი პატრიოტი: ის მამულის შვილია ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. აკაკის საუკეთესო სიტყვაა „სამშობლო". ამ უკანასკნელის სიყვარულს უკავია მგოსნის არსებაში პირველი ადგილი. თავის მრავალტანჯული სამშობლოს სიყვარულმა შთაბერა მას ის მწარე ჰანგები. რომლებიც აკაკის მკითხველის გულს ალბობს, სულს უმშვიდებს და აუფრთოვანებს. სამშობლო ხომ ყველაფერია მგოსნისათვის; ის ხომ შისი დაუფასებელი საუნჯეა, ის ხომ მისი წმიდათა წმიდაა...

სამშობლოს სიყვარულმა მისცა მას ის თავგანწირული გამბედაობა და ისიც იმისთანა შავ დროს, როგორიც იყო აკაკის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დრო—თამამად ენთხია „ცრემლში ნალესი ნაღველი", ემათრახებია გალაღებული და აღვირაყრილი მებატონეები, გამოემეზღურებინა ცხოვრების ნაძირალების ბნელში მოქმედება და დღისით-მზისით ეჩვენებინა ქვეყნისათვის მათი „საქმენი საგმირონი".

აკაკის ახსოვს სამშობლო დღისით, ახსოვს ღამით, ახსოვს სახლში, ახსოვს გზაში, ახსოვს ძილში და სადაც კი უნდა იყოს სამშობლო აგონდება:

შენთან არს გული, გინდა სად ვიყო
ცხრა მთას იქით, თუ ზღვის განაკიდე
ტკბილად გიგონებ, დაუვიწყარო
რა გინდ შენს გამო სისხლის ცრემლს ვღვრიდე.

როგორ გაჭირვებაშიც უნდა ჩავარდეს მგოსანი, — იმას მაინც ახსოვს სამშობლო, არ ავიწყდება ის და მზათ არის ემსახუროს სიტყვით და საქმით; მზათ არის მსხვერპლათ შეეწიროს სამშობლოს კეთილდღეობას, თუ ამას გარემოება მოითხოვს, თავისი სიცოცხლეც კი:

გინდ ქვეყანაც ამიმტერდეს.
მზად იყოს რომ მაცვას ჯვარზე,
ჯოჯოხეთიც მისი რაზმით
სამაცდუროთ მადგეს კარზე
არ შევდრკები... მაშინ შენის
მეგობრობით აღტკურვილი.

როგორც ყოველ კეთილგონიერ ადამიანს, თუ ეს უკანასკნელი გადაგვარების გზაზე არ დამდგარა, ისე აკაკისაც უყვარს ის ადგილი, ის

სულისჩამდგმელი ქვეყანა, სადაც შობილა, გაზრდილა და უსროლია ისარი.

ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები
შენზედვე მგლოვიარეო.

როგორც ყოველ კეთილ გონიერ ადამიანს, თუ ეს უკანასკნელი გადაგვარების გზაზე არ დამდგარა, ისე აკაკისაც უყვარს ის ენა, რომელ ენაზედაც მას პირველად მოესმა მშობლიური ნანინა და ალერსი.

კრულია მისი სახელი,
ვინც დაგმობს დედა-ენასა.

როგორც ყოველ კეთილგონიერ ადამიანს, თუ ეს უკანასკნელი გადაგვარების გზაზედ არ დამდგარა, ისე აკაკისაც ის ერი უყვარს, რომლის შვილიც არის და მსურველია, რომ ის ხალხი, რომელსაც უცხოვრია ქვეყანაზედ არა ერთი და ორი საუკუნე, რომელსაც ქონია თავისი წარსული, თავისი საკუთარი მწერლობა, სიტყვაკაზმული ლიტერატურა, საუკეთესო შვილები, — კვლავ აყვავდეს, კვლავ გაიფურჩქნოს, კვლავ ჩაერიოს კაცობრიობის ფერხულში და ამ პატარა ერმაც შეიტანოს თავისი წვლილი კაცობრიობის წინსვლის საქმეში.

მგოსანი მოუთმენლად ელის იმ ნეტარ დროს, როცა მის მრავალტანჯულ სამშობლოში ადგილი აღარ ექნება იმ საზარელ, გადაგვარების სურათს, რომელსაც ხედავს იგი. მგოსანი ფიქრობს, ოცნებობს („ოცნება თარზე") სამშობლოს მომავალ ნეტარ დღეებზე, როცა განთავისუფლებული ათასგვარ უსამართლობისაგან „არვის ჰმონებს შემკობილი ეს მხარე".

მწარე სინამდვილე სამშობლო ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობისა დიდებულ მომავლის შვილს გულს უგმირავს, სიცოცხლეს უმწვავებს:

მაშ რაღათ მინდა სიცოცხლე
მე აწმყო გამწარებულსა,
თუ ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს
ეხედავ მას აოხრებულსა?
სანამ ჩემი საყვარელი
ქაჯებსა ჰყავთ ცხრა კლიტულში
ვინ მაღირსებს სასუფეველს,
ჯოჯოხეთი მიძევს გულში.

აკაკის მადლიან კალამს ეკუთვნის არა ერთი და ორი საუცხოო ჰანგებით შეზავებული პატრიოტული ლექსები, სადაც იხატება სამშობლოსადმი უღრმესი, უანგარო სიყვარული. აკაკის უყვარს, ეტრფის, ემსახურება სამშობლოს მთელი თავისი აზრებით და ამნაირსავე უანგარო სიყვარულს მოითხოვს თანამემამულეთგან:

მაგრამ ვინც მამულს სულსაც არ სწირავს
იმას არ ეთქმის მამულის შვილი.

პატრიოტიზმი აკაკისა არ არის შოვინისტური:[4] მგოსანს სურს თავისუფლება ყოველ ჩაგრულ ერისა, ვინც უნდა იყოს ეს უკანასკნელი, ისე, როგორც თავისუფლება და ბედნიერებაც ენატრება კერძოდ მრავალტანჯულ ქართველი ერისათვის. აკაკი შფოთავს, მწარ სიტყვებით უმასპინძლდება ძლიერს, როცა ის შეუბრალებლად ფეხს ადგამს უძლურს და გადაყლაპვას უქადის მას.

რა გაეწყობა! ძლიერო,
იცი დღეს გრჩება ყოველი!
მაგრამა „ხვალე" რას გეტყვის,
იმას შენ დღეს არ მოელი,
ჰეშმარიტება ჩაგრულ ერს
გამოუგზავნის მოციქულს...
და თვალს აუხელს მძინარსა
და დაანახვებს მაგ შენ გულს;
მაშინ იქუხებს, იელვებს
ხალხთ ძალი მიძინებული
და მეხს დაგატეხს კერპ თაზედ
წარსულზედ შენანებული.
გაგარონინებს ქვესკნელსა
გინდ მაღლა იყო ცათამდე
და შეაჩვენებს შენს სახელს
უკუნით-უკუნისამდე!

ჩვენი ძვირფასი მგოსნის გული ტოკავდა, მთელი არსება ეშხამებოდა, როცა ძლიერმა ინგლისმა ერთ მუჭა ბურებს[5] ფეხი დაადგა და მოინდომა მათი აღგვა პირისაგან მიწისა. აკაკი გულის ფანცქალით ადევნებდა თვალყურს ამ უთანასწორო ომს და, თუ არ ვცდები, თავისი ზიზღი ძლიერი ინგლისისადმი და თანაგრძნობა ჩაგრული ბურებისადმი გამოთქვა ერთ თავის ლექსში.

დიახ, მხცოვან მგოსანს სურს ბედნიერება ყოველი ჩაგრული ერისა ისე, როგორი ბედნიერებაც სურს თავისი მშობელი ერისათვის. არც შეიძლებოდა აკაკის არსებაში, როგორც დიდბუნებოვანი ადამიანის არსებაში, დაიბუდოს სხვა გვარმა სურვილმა.

მას მუდამ ახსოვდა თავისი გრძნობიერი გულიდან აღმოხეთქილი საუცხოო სიტყვები:

ვით სნეულსა თანაუგრძნობს
მისივე მსგავსი სნეული.

ისე პოეზია აკაკისა, როგორც ჩაგრული ერის პოეზია, ესარჩლება, თანაუგრძნობს, იმედს უძღვნის ყოველ ჩაგრულ ხალხს, ვინც უნდა იყოს ეს უკანასკნელი.

თავისი დროის დიდებული შვილი აკაკი ძლიერის სიტყვით მოუწოდებს თანამემამულეებს თავისი უფლებისა და ადამიანობის მოსაპოვებლად; აი რა აწერია მის დროშას:

რაც ძალადობით წაიღეს
ვინ დაიბრუნებს ნებითა?
ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა.
არ სჯობს რომ კაცმა გმირულად
ბრძოლაში სული დალიოს,
ვიდრე სხვის ნება-ბრძანებით
მან საწამლავი დალიოს?

ამ სიტყვებიდან კაცმა შეუძლებელია ის დასკვნა გამოიყვანოს, ვითომ აკაკი გამსჭვალული იყოს სეპარატისტული გრძნობით. ნიჭიერი მამულიშვილი ძლიერ კარგად იცნობს მშობელ ერს, მშვენივრად იცის, რომ ეს უკანასკნელი ამხანაგობასა და მეგობრობას გაუწევს ყველას, ვინც უნდა იყოს ის, თუ, რასაკვირველია, „გველურ კბენას და წურბელაებრ სისხლის წოვას“ არ დაიწყებს: ხოლო მაშინ კი, როცა ამგვარ არა ადამიანურ მოქმედებას — „გველურ კბენასა და წურბელაებრ სისხლის წოვას“ — ექნება ადგილი, მაშინ, კი, ჩაგრულის მოციქული, ჭეშმარიტების მომხრე მგოსანი, სიცოცხლის მომსპობ გველისა და წურბელას მოსაცილებლად ლესავს ხანჯალს და ზედ დამღერის:

შენი პირიმე ხანჯალო
რკინაო ხვარასნისაო,
შენ ერთად ერთო იმედო
მტრისაგან გამოხსნისაო.
გლესავ და გლესავ, ხანჯალო,
გამოგიფერავ პირსაო,
შენ უნდა ეძმო და ეყმო
მტრისაგან დაჩაგრულსაო...
შენ მიმეგზავნე მტრის გულთან
მიუძღვენ ჩემი სალამი,
ის ვითომ საწერელია
ჩაერჭვე როგორც კალამი,
მისი წითელი მელნითა
შემაღებინე ჰაღარა,
იმისი კვნესა იქნება
ჩემი დაფი და ნაღარა!...

აკაკი არ ეკუთვნის იმ პატრიოტთა რიცხვს, რომლებსაც გარდა თავისი სამშობლოსა აღარაფერი სწამთ, რომლებსაც სამშობლოს გარეთ სული ეხუთებათ და ვერავითარ სიამოვნებას ვერ პოულობენ — სხვანაირად რომ ვთქვათ, აკაკი არ არის ცალმხრივი, ვიწრო პატრიოტი. მას უყვარს თავისი სამშობლო, უყვარს მთელი ქვეყანაც; უყვარს მშობელი

ერი. უყვარს სხვა ერებიც. რომ ეს უბრალო სიტყვებათ არ ეჩვენოს ვისმეს — ჩავიხედოთ მგოსნის არსებაში, აი რა სიტყვებს გავიგონებთ მისგან.

ხატია ჩემი სამშობლო
სახატე მთელი ქვეყანა.

როგორც ნათლად ჩანს, აკაკის ლექსის ამ ორი ტაეპიდან, მგოსნის სალოცავი ხატია სამშობლო მხარე; სახატე კი ის ტაძარია, რომელშიდაც თავსდება მთელი კაცობრიობა. მგოსანს უყვარს ხატი — სამშობლო, უყვარს ტაძარიც, სადაც ასვენია მისი საყვარელი ხატი, ე. ი. მთელი ქვეყანა. ამ ტაძრის გაფურჩქვნა-აყვავება, მასში მყოფ მლოცველების-კაცობრიობის წინსვლა საუკეთესო მომავლისაკენ, მათში გამეფებული ძმობა, ერთობა, თავისუფლება, — ყველა ესენი ხომ გაამშვენიერ-გააბრწყინვებს მგოსნის სალოცავ ხატს — სამშობლოსაც. ეს მშვენიერად ესმის ნიჭიერ მამულიშვილს და მისი სურვილია ეს ტაძარი იყოს წმინდა და ამ ტაძარში მლოცველი, რომელი ხალხიც უნდა იყოს იგი, ყოველგვარ ადამიანურ თვისებებით შემკულ-შემოსილი. აი რა არის მგოსნის სურვილი. აი რა არის მგოსნის მისწრაფება...

აკაკის წმინდა და უანგარო იდეალია, რომ ადამიანთა შორის გამეფდეს ძმობა, ერთობა, თავისუფლება და სიყვარული; მის გონებაში იხატება ის დიდებული ქვეყანა, სადაც აღარ ექნება ადგილი იმ გულის მომწამვლელ და სულის აღმაშფოთებელ სურათს, რომელსაც ხედავს ის იმ ტაძარში, სადაც, სხვა ერების ხატებთან ერთად, მისი ძვირფასი ხატიც ასვენია.

დიახ, მგოსანი ოცნებით მიისწრაფის იმ უცხო მხარისაკენ, სადაც სიყვარულსა და თავისუფლებას მოუკალათებია.

წავალ სადაც ბოროტებას,
კეთილ საქმედ არა სთვლიან,
სადაც პირად ღირსებაებს
ნაბოძვარში არა სცვლიან
სადაც ყველა თანსწორია
ერთს მეორის არ აქვს შიში,
სადაც მოსპო ქრისტეს მცნებამ
ფარისეველის ანგარიში.

ამისთანა ქვეყანა იცის მგოსანმა მხოლოდ ერთად ერთი. ეს ქვეყანა ჯერ კიდევ კაცობრიობის ოცნებაში იხატება, ის ჯერ მხოლოდ იდეალია, საითკენაც მიისწრაფის კაცობრიობა...

ახლა კი მწარე სინამდვილით გულდაკოდილი მგოსანი სტირის და ოხრავს იმ უნუგეშო მდგომარეობის გამო, რომელშიაც იმყოფება მისი საყვარელი ხატი-სამშობლო და ის ტაძარი, სადაც სხვებთან ერთად, ეს ხატი ასვენია — მთელი მსოფლიო. ყველგან მთელ ტაძარში გამეფებუ-

ლია: ბოროტება, ერთი მეორისაგან ჩაგვრა, ოხვრა-კვნესა, მაძღრები და მშივრები, მდიდრები და ღარიბები, უძლური და ძლიერი... ეს სურათი მგოსნის გულს ისარივით ესობა, ხან კი ბრწყინვალე მომავლის იმედი შეღავათსა ჰგვრის:

გულს მესობა ხან ისარი,
ხან სუნელი ვარდის კონა.

არც შეუძლია მგოსანს, როგორც დიდბუნებოვან ადამიანს, გულგრილად უცქიროს ამ საზარელ სურათს, ხალხთა შორის გამეფებულს. მგოსანი ხომ, როგორც თვითონ ამბობს, „ქვეყნის შვილი, ქვეყნის მოძმეა“ და, როგორც ამისთანას, თავის ჩანგურის საგნად აუღია არა მარტო მრავალტანჯული ქართველი, არამედ საზოგადოდ ადამიანი, ვინც კი ქართველისებრ მდგომარეობაში იმყოფება...

* * *

თვითოეული ადამიანი, ვინც უნდა იყოს ეს უკანასკნელი, ნასწავლი გინდ უსწავლელი, დიდი თუ პატარა, ჭაბუკი გინდ მოხუცი, — საჭიროებს ხორციელ საზრდოს გარდა, სულიერ საზრდოსაც. თუ სულიერ საზრდოს ადამიანი მოკლებულია, ის შორს ვერ წავა პირუტყვების სამეფოდან. მაგრამ სულიერი საზრდოც არის და სულიერი საზრდოც. უბრალო მკითხველს ყოველგვარი სულიერი საზრდოს მიღება-მონელება არ შეუძლია, ამისათვის ის მწერალი, რომელიც აწვდის ხალხს იმისთანა ნაწარმოებს, იმ გვარ სულიერ საზრდოს, რომლის ადვილად მონელება მკითხველს შეუძლია, რომელიც ხვდება მის გულს მალამოდ, ამისთანა მწერალი სრულიად სამართლიანად იჭერს პირველ ადგილს იმ მწერლებს შორის, რომლებიც ხალხის სულიერ მხარეს ემსახურებიან.

მე-19 საუკუნის ქართველ მგოსანთა შორის ვერ მიმითითებთ მეორე მგოსანზე, რომლის კალმის ნაყოფს, რომლის შემზადებულ სულიერ საზრდოს ისე დასწაფებოდეს ხალხი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, როგორც აკაკისას...

აკაკიმ შთაბერა მშობლიურ ლიტერატურას სული ხალხური, გარდაქმნა იგი სულიერ საზრდოს დაუშრეტელ წმინდა წყაროდ, რომელსაც ეწაფება არა მარტო წერა-კითხვის მცოდნე, არამედ სრულიად უსწავლელნიც კი.

ნიჭიერმა მგოსანმა მშვენივრად გაიგო და შეისწავლა სულიერი მდგომარეობა მშობელი ერისა! მშვენივრად სცნო თუ როგორ სულიერ საზრდოს მოითხოვდა ხალხი, რა იყო ამ უკანასკნელის მისწრაფება, სულისკვეთება; მისი წარსული, აწმყო და მომავალი და ამისდა მიხედვით მომართა თავისი უკვდავი ჩანგური, ამ ჩანგურის სიმები გამოაბა სამშობლოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრების გულს და ხალხის ჭირვარამისდაგვარად დაუწყო მზადება სულიერ საზრდოს. შრომა მგოსნისა დაგ-

ვირგვინდა უტყუარი ნაყოფით. ხალხი დაეწაფა მის ნაწარმოებებს, მიიღო, შეითვისა, მოინელა და ამ საზრდოს შემამზადებელი აკაკი — კი გადაიქცა ხალხის მეგობრად. ხალხის საყვარელ მგოსნად. დიახ, აკაკია მგოსანი ხალხოსანი.

ვინ იტყვის, რომ მე-19 ს. აკაკის მოწინავე ზოგიერთ მგოსნებსაც ხალხის ტკივილებისდაგვარად არ მოემართოთ თავიანთი ჩანგი, მაგრამ ვიტყვი თამამად, მათგან შემზადებულ სულიერ საზრდოს აკლდა „საკმაზი“, რაცაა მიზეზი იმისა, რომ ხალხი, განსაკუთრებით მდაბიო, ჯერ სულ არ მიეკარა ამ საზრდოს და თუ მიეკარა ვერ შეითვისა, ვერ გაიგო, ვერ მოინელა იგი და ზურგი უჩვენა მას — სულიერ საზრდოს, ზურგი უჩვენა ამ უკანასკნელის შემამზადებელ მგოსნებსაც. არა თუ აკაკის მოწინავე მწერლები, მგოსნის თანამედროვე მწერალთა შორისაც თითქმის დიდი უმრავლესობა ხალხს ვერ დაახლოებია, ხალხის გულში ადგილი ვერ მოუპოვებია.

სულ სხვაა აკაკი! თითოეული მისი თხზულება მომჯადოვებელია, მარტივი ენით ხალხის გემოზე შეთხზულ-შეკაზმული.

აკაკიმ თავის პოეზიაში სრულიად მარტივად გამოამზეურა ქართველი ერის უბედური ცხოვრება, მისი სულის მოძრაობა, მისი გრძნობები, მისი სასოება და იმედი. აკაკის პოეზია — ეს ის უცნაური სარკეა, სადაც მრავალტანჯული ქართველი ერი ნათლად ხედავს თავის თავს წარსულში, აწმყოში და მომავალში.

აკაკიმ, უკეთ რომ არ შეიძლება, ისე შეისწავლა სახალხო ენა, ამ უკანასკნელის საიდუმლო ხმა, კილო; მშვენივრად იცის საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი, მათი ზნე-ჩვეულებანი, თვისება-ხასიათი, სამაგალითოდ იცნობს მშრომელ გლეხს მის ბედსა და უბედობას, მის მოქმედება-მისწრაფებას; იცის მდგომარეობა საწყლისა და დაცემულისა, ობლისა და ღარიბების, იცნობს მშვენიერებით აღსავსე საქართველოს ბუნების სურათებს, ტყეს, მდინარეებს, მინდვრებს, მთებს, ცხოველებს, ფრინველებს. ყველა ამაების დასურათება-დახასიათებაში, ხალხის გემოზე მოწვნა-მოკაზმვაში ცხადად სჩანს აკაკის ხალხოსნობა.

აკაკიმ მშვენივრად იცის, თუ როგორ სულიერ საზრდოს მოითხოვს მდაბიო მკითხველის გაუწვრთნელი გონება, თუ როგორი ნაწარმოებით შეიძლება შეანძრიოს მისი სულიერი მხარე. აკაკიმ ერთნაირად მოინადირა ყველას გული, როგორც დიდის, ისე პატარასი, როგორც ჭაბუკის ისე მოხუცის, როგორც მაღალი ნასწავლის, ისე უბრალო წერა-კითხვის მცოდნესი.

აკაკის მარგალიტი ლექსი გამეფდა საქართველოს მთელს სივრცეზედ, მისმა ლექსმა მოიპოვა ალაგი ყველასაგან და ყველასთან, როგორც ძდიდარის, ისე ღარიბის, როგორც გლეხის, ისე თავად-აზნაურობის სახლში. აკაკის ლექსს სიამოვნებით კითხულობს ყველა განურჩეველად სქესისა და წოდებისა...

საქართველოს მთელ სივრცეზედ ვერ იპოვით იმისთანა სოფელს, ქალაქსა და დაბას, სადაც აკაკის სახელი ოქროს ასოებით არ ჭონდეთ ჩაწერილი გულში ამ ადგილების მკვიდრთ.

საკმაოა ახსენოთ სიტყვა „აკაკი“, გვარის მიუმატებლად, რომ გონების თვალწინ დაინახოს საყვარელი ადამიანი მან, ვისაც უნახავს სახე მხცოვანი მგოსნისა და სახეზე დაეტყოს სურვილი მგოსნის გაცნობისა მას, ვისაც არ უნახავს იგი.

აკაკის ლექსებმა მოიპოვეს უკედავი ადგილი ქართულ სიმღერებში, ყველგან და ყოველთვის ქალაქში თუ სოფელში, მთაში და ბარში, ყანების მარგლისა და წმენდის დროს, პურის მკისა და მგზავრობის დროს, სად არ ნახავთ მის სიმღერებს, სად არ იპოვით მოღიღინეს, რომ საყვარელ მგოსნის რომელიმე ლექსს არ ხმარობდეს მოსათვალავად.

ძნელად იპოვით იმისთანა ქართულ ოჯახს, სადაც კი აკვანი დგას, რომ ღედა ჭირვეულ პატარას, მგოსნის „იავნანა-ვარდონანა“-ს ღიღინით არ აწმენდ-აძინებდეს. ვერ იპოვით იმისთანა ქართველ მოგიტარეს, რომელსაც თავი მოაქცს გიტარის ცოდნით, რომ აკაკის მუსიკალურ-ჰარმონიულ ლექსებს არ ამღერებდეს და სიმღერათ წარმოთქმული ლექსებით ერუანტელს გერიდეს მსმენელებს. რომელ საკრავს აიღებთ: ფორტეპიანოა ის, თუ გრამაფონი, ჭიანურია, ფანდური, თარი თუ ნაღარა, რომ აკაკის ლექსები მათ გარშემო არ ფრინავდეს და მათზე არ იმღერებოდეს. რას ამტკიცებს ყველა ეს, თუ არა აკაკის ხალხოსნურ-მგოსნობას?

დიახ, აკაკია მგოსანი ხალხოსანი!... მან მოიპოვა ალაგი ყველგან და ყველას გულში. ხალხს იგი იცნობს... ხალხი მას იცნობს...

* * *

საქართველო, ეს აკაკის სიტყვით — „ცა-ფირუზ, სმელეთ ზურმუხტი“ მხარე-ნამდვილი აკვანია ბუნებით პოეტებისა. საქართველოს კეთილუცი ბუნება, მუდამ მხიარული, მოწმენდილი ცა, ყოველ ფეხის გადადგმაზე საუცხოო, გრძნობების აღმძვრელი, ბუნების სურათები, ეჭვი არაა იწვევენ ქართველი კაცის არსებაში პოეტურ აღშაფრენას...

მაგრამ რა ჰქნას მარტო ბუნებამ თუ ცხოვრება ქართველი კაცისა მოშხამულია, რით გაშალოს მუზამ ფრთები თავისუფალ საფრენად, თუ საქართველოს არემარე გამანადგურებელი ატმოსფეროთი არის გაჟღენთილი. რაფერ მოიკალათოს პოეტურმა მადლმა ახალგაზრდა ქართველის არსებაში, თუ ეს უკანასკნელი ბავშვობიდან გონების დამჩლუნგებელი, ენის დამვიწყებელ მხარეში ვარდება და ხანგრძლივი მასში ფხარკალის შემდეგ დამტვრეულ-გალატაკებული ცხოვრების მონა, მორჩილი ხდება.

ბედნიერ გამონაკლისს შეადგენენ ზოგიერთები, რომლებიც ან ბუნებით ძლიერი ნიჭის წყალობით, ან რაიმე შემთხვევით გადარჩებიან ამ საფრთხის კლანჭებს. მაგრამ ეს ზოგიერთებიც საჭიროებენ ხელმძღვა-

ნელს, მათაც უნდათ წერთვნა, ესაჭიროება მასწავლებელი. გამათანამებელი. ამგვარ მასწავლებლათ მოევლინა ჩვენი საყვარელი აკაკი ზოგიერთ ქართველ მგოსნებს, რომლებმაც მოიხელეთეს სახელი და გახდნენ ჩანგის ტარების ღირსი. აკაკის გრძნობით სავსე ლექსებმა მოხიბლეს ისინი. ამ ლექსებიდან ისწავლეს მათ ენა, ფხიზელი შეხედულება ქართველი ხალხის უნუგეშო მდგომარეობაზე და, დიდებული მასწავლებლის ჩანგურის ხმებით მოხიბლულებმა, თვითონაც მომართეს ჩანგი და, შეძლებისდაგვარად, შეიტანეს თავისი წვლილი ჩვენი ლიტერატურის წინსვლის საქმეში.

აკაკის უტყუარი ნიჭით შექმნილ თხზულებებს ყოველთვის ჰქონდა, აქვს და, ეჭვი არაა, რაც დრო გავა უფრო და უფრო ექნება ზნეობრივ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ის ვინც გულმოდგინედ დაეწაფება აკაკის პოეზიას, შეისწავლის და შეითვისებს მის ნაწარმოებს, ის, რა თქმა უნდა, აკაკიში დაინახავს იმ გზის მაჩვენებელ ადამიანს, რომელსაც მივყავართ სასურველი ცხოვრებისაკენ. რას არ იპოვის მის ნაწერებში მკითხველი: ცხოველი და სპეტაკი გრძნობა, წმინდა აზრები, კაცთ-მოყვარეობა, პეშმარიტების მომსრეობა, ბოროტების სიძულვილი, სიყვარული და თანაგრძნობა დაცემულისა, მამულისა და სამშობლო ენის უანგარო სიყვარული, ვაჟკაცური მოთმინება გაჭირვების დროს, აზნაურისებური ბრძოლა სული მოვალეობის წინაშე და სხვა მრავალი ხელის ხელ საგოგმანებელი მარგალიტები. ყველა ეს დიდ ზეგავლენას ახდენს მკითხველ-მსმენელზე და იწვევს ამ უკანასკნელებს სიკეთის სათესად, ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ზრდის და ანვითარებს მათში ზნეობრივ მხარეებს და უღვიძებს საუკეთესო მომავლისაკენ მისწრაფების სურვილს. აკაკის კალმით დაფერილებულ მარგალიტ ლექსებიდან ქართველი სწავლობს და ითვისებს სამშობლო ენას, ავარჯიშებს ანვითარებს ამ ენაზე ჭკუა-გონებას, იცხოველებს იფაქრებს სულსა და გულს.

აკაკი საუკეთესო შვილია მე-19 საუკუნის ქართველი ერისა. იმისთანა შავ დროს, როგორც იყო მგოსნის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დრო, აკაკისთანა მამულიშვილი ხომ მესიის[6] როლს თამაშობს. აკაკი ხომ ნამდვილი მოციქული, რომელიც იერემიასებრ[7] დასტირის საქართველოს დაცემას, დაუძლურებას; ძლიერის გამომეტყველის ენით ასურათ-ხატებს ქართველთა სისუსტეს, სამარცხვინო მონობას, სილაჩრეს; აკაკი ხომ საუკეთესო ნუგეშისმცემელია, ის ხომ მუდამ უქადდა თანამემამულეებს ბრწყინვალე მომავალს, წყლულების მომაშუშებელ „ხვალეს“, აკაკი ხომ მახარობელია კეკლუც გაზაფხულისა, ის ხომ მქადაგებელია ძმობის, ერთობის, თავისუფლების... აკაკი ეს ის ადამიანია, რომელსაც:

ავიც და კარგიც მას გაეგება
თვით არ იზამს ავს, სხვის ავს იცილებს
მოძმეთ უმანკოთ ემსახურება,
და სიცოცხლესაც მითი იტკბილებს.

ხან მტრედებრ აღმა ჰფრენს მოწონებით
ხან გველივითა ქვესკნელში ძვრება
მაგრამ ყოველთვის თვის მოქმედებით
ის მხოლოდ მოძმეთ ემსახურება.

დიახ, აკაკი მაჩვენებელია იმისა, რომ ქართველ ხალხს სიკვდილი არ უწერია, რომ მომავალი მისი წინ არის.

მე სრულიად არ მაკვირვებს ის გარემოება, რომ მე-12 საუკუნის ქართველმა ერმა წარმოშობა შოთა რუსთველი. მე-12 საუკუნე ხომ ოქროს ხანა იყო ქართველების ცხოვრებაში: ეს ხომ ის დროა, როცა საქართველოს მთელს სივრცეზედ დუღს და გადმოდუღს მშვიდობიანი და უდარდელი ცხოვრება: ეს ხომ ის დროა, როცა სხვა მრავალ გონებრივ დარგთა შორის გაიფურჩქნა და აყვავდა ლიტერატურა; ეს ხომ ის დროა, როცა საქართველოს კეკლუცი ბუნება მოიფინა ნიჭიერი მწერლებით: ეს ხომ ის დროა, როცა სამშობლო ენა—ეს საუკეთესო განძი-გაიფურჩქნა და აყვავდა. გასუქდა და განსპეტაკდა: ეს ის დროა, როცა სამშობლო ენა გვრგვინავდა და სუნქდა სასამართლოში, როცა სამშობლო ენაზე ითესებოდა მეცნიერება-მოძღვრება-მცნებანი, როცა სამშობლო ენა მუსიკობდა თვით ცხოვრებაში. დიახ, ეს იყო ხანა სინათლისა და აი ამ სინათლეში გაანათა ბუნებით დაჯილდოებულმა შოთამ, რომლის ნიჭის ზრდა-განვითარებას ვერაფერი ხელს ვერ უშლიდა.

მე-19 საუკუნის ნიჭიერი მგოსანი ყველა ამაებს მოკლებული იყო; მან ისუნთქა მოწამლული ჰაერით, იფხარკალა იმ მახეში, რომელშიც ფხარკალებდა არა ერთი და ორი ქართველი ახალგაზრდა, იპოტინა იმ სიბნელეში, რომლითაც მოცული იყო ქართველთა არე-მარე და სწორეთ ამ სიბნელეში გაანათა, ჩვენდა სანუგეშოდ, ნიჭიერმა მამულიშვილმა — აკაკიმ. აი მე რა მაკვირვებს!...

აკაკის მნიშვნელობა ერთი ორად უფრო გაიზრდება ჩვენს თვალში, თუ ვიტყვით, რა როლს თამაშობდენ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის აკაკის მოწინავე მწერლები. ნებას მივცემ თავს პატარა შედარება მოვიყვანო: სოფელში ბავშვები ცეცხლის დანთების დროს დააწყობენ წვრილ-წვრილ ფიჩხებს ნაკვერცხალზედ და მოყვებიან ლოცვას: „კიზი-კიზი-ნობელა, დანა-საბართებელა, ჯერ ამას მოუკიდე, მერე სორის შეშასა".

ბავშვების ეს ლოცვა მაგონდება, როცა უკვირდები აკაკის მოწინავე მწერლების ღვაწლს ჩვენი ლიტერატურის წინაშე. ამ მწერლების ღვაწლი იმაში გამოიხატება, რომ გარეშე და შინაურ მტერთაგან შევიწროებული ქართული ენა და ლიტერატურა, რომელიც ძლიერ მოგვაგონებს თავის უფერულებით ნაცარ-გადაფარებულ ნაკვერჩხალს — შეინახეს, არ გააქრეს, მაგრამ ძლიერი ლიტერატურული ცეცხლის გაჩაღება კი ვერ შესძლეს, სორის შეშის მოტანა ვერ იკისრეს. ძლიერი ლიტერატურული ცეცხლი გააჩაღეს 60-იანი წლების მწერლებმა, რომელთა შორის აკაკის თვალსაჩინო ალაგი უკავია როგორც უტყუარ თვითარს ხელოვან-მგოსან მწე-

რალს. აკაკიმ დაიწყო ლიტერატურული შენობის, უკეთ რომ ვსთქვათ, დანგრეული შენობის აგება და კიდევაც ჩაუდო მაგარი მასალისაგან შემზადებული საძირკველი და მასზედ მუშაობდა ნიჭიერი მგოსანი თვით სიკვდილამდე.

ეჰვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ თუ აკაკისაგან დახსნილ-გაფურჩქვნილ-გალამაზებული ენა გაბატონდა ქართველი ერის ცხოვრებაში, თუ აკაკის ნაანდერძები მოძღვრება-მცნებანი მიიღეს და განახორციელეს ცხოვრებაში მგოსნის თანამემამულეებმა, იმ შემთხვევაში ცეცხლი ლიტერატურული, აკაკისაგან გაჩაღებული, ერთი ორად უფრო გაძლიერდება და შენობა ლიტერატურული, რომლის საძირკვლის ჩაწყობაში აკაკის თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის, სასურველად დამთავრდება...

ეჰვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ თუ აკაკის ტკბილი, მხატვრული ენა გაბატონდა ქართველი ერის ცხოვრებაში, თუ აკაკის გამომეტყველ და მსუბუქ ენაზე წვრთვნა-ვარჯიშობა-აზროვნებას ეღირსა ქარფველი ახალგაზრდის ცხოვრება, — ეჰვი არაა, ვიმეორებ, ეს ენა აღზრდის აკაკიზე ბევრად უფრო მაღლა მდგომ მგოსან-მხატვრებს, რომლებიც, შთაბერავენ ძლიერს და მაღალს საკაცობრიო სულს ჩვენს ლიტერატურას და გამოიყვანენ ამ უკანასკნელს მსოფლიო ასპარეზზე.

ივ. გომართელი

ა კ ა კ ი

ცხოვრების გზაჯვარედინზე — იქ, სადაც საზოგადო და საპირადო ერთი მეორეს შორდება, პირქუში დედაბერი იჯდა და ცხოვრების ძაფს რკინის თითისტარზე ართავდა.

ურიცხვი ხალხი ზღვასავით ღელავდა.

საპირადოსკენ მიმავალ გზაზე ტევა აღარ იყო. ერთი მეორეს ეცილებოდა გასწრებას.

მეორეზე კი აქა-იქ მოსჩანდნენ მიმავალნი.

ყრმა ვინმე უცხო შესდგა დედაბრის წინაშე და გადაშლილ მანძილს გაუსწორა თვალი.

— მითხარ, საით წავიდე, რომ მიზანი ჩემი ვპოვო?... ეკითხება ის დედაბერს. დედაბერი ხმას არ იღებს და შეუჩერებლად ართავს ცხოვრების ძაფს. პასუხის მომლოდინე ყრმას გულმა უკარნახა:

რადგან არ დასდევ არცა პატივსა,
არც დიდებასა ამა სოფლადა,
ბრმად რომ არ ჰმონებ საზოგადო აზრს
და შეუპოვრად დახვალ ობლადა —

ამიტომ გაჰსწი იმ გზით, საითაც ცოტაა მიმავალიო.

ყრმა გაუდგა გზას. დიდხანს იარა შეუსვენებლივ. იმის წინაშე უდაბ-

ნო გადაიშალა. დაჭანცული შედგა. კლდის ძირს ჩამოჯდა ქვაზე და თვალები დახუჭა, რომ უფრო სრულად ჩაძირულიყო ფიქრთა მორევში. მას მოაგონდა დედ-მამა, დები, ძმები, ნათესავები, ოჯახი... ყურში თითქოს ვიღაცამ ჩასძახა: დაბრუნდი, დაბრუნდიო.

არასოდეს, — წარმოსთქვა მან,
არ დავაგდებ მე ამ გზასა,
რა გინდ იყოს ეკლიანი,
ვიცი სხვებიც მომყვებიან
ჩემებრ, შავ-ბედ-ეტლიანნი.

წაბოდგა ზეზე, რომ განეგრძო გზა; მის წინაშე შავით შებურვილი ქალწული იდგა: სახე მისი უსაზღვრო, აუწერელ, გამოუთქმელ სევდას შეეპყრო.

— მითხარ, ვინა ხარ ან საიდგან მოსული? — ეკითხება ყრმა.

— აი, დალიე და გაიგებ. უპასუხა ქალწულმა და ყრმას სურა გაუწოდა. ყრმა მოწყურებული იყო. ის დაეწაფა სურას.

— ყვავილთა სურნელება, ფრინველთა გალობა, ცისარტყელას ფერადები, მზის სიცხოველე და სინათლე, ვარსკვლავთა ციალი, მთვარის საიდუმლოებანი, ცისა და ქვეყნის სილამაზე მაგ სურაშია შენი ერის ოხვრასა და ცრემლში გალესილი — წარმოთქვა ქალწულმა — ვინც ერთხელ დალევს ამ სასმელს, იგი თავისთავს აღარ ეკუთვნის.

მაშ ვის? დაეკითხა ყრმა.

— უკან გამომყევი და გაიგებ.

დიდი მანძილი გაიარეს... ერთს უცხო წალკოტს მიადგნენ.

რასაც კი თვალი ისურვებს,
ან გული მოინატრებსო,
სულ აქ ყოფილა ღვთის მადლით
სრულად ვერავინ აჰკრებსო.

წალკოტის მცხოვრებნი საღათას ძილით იყვენ შეპყრობილნი. არ ეძინა მზეთუნახავს, მაგრამ წალკოტს გველეშაპი დაჰპატრონებოდა და მზეთუნახავის დღე დათვლილი იყო.

საუცხოო სანახავი იყო მზეთუნახავი, — ის იტანჯებოდა და ტანჯვაში უფრო მშვენიერი იყო.

— აი, ვის ეკუთვნი შენ, მიუთითა ქალწულმა ყრმას მზეთუნახავზე. შენ უნდა იხსნა ის განსაცდელისაგან.

— მაგოდენა ღონე მე სად შემწევს! ოხვრით მიუგო ყრმამ და თვალები მზეთუნახავს მიაპყრო.

— შენ უნდა გააღვიძო საღათას ძილით შეპყრობილნი და მათი საერთო ძალა იხსნის მზეთუნახავს.

— რითი, რა საშუალებით?

— აი ჩონგური. ჩამოჰკარ თითები და გამოაღებინე ციური ხმები, რომ-

ლებიც მკედარსაც კი ააყენებენ საფლავიდან — მიუგო ქალწულმა, გაღასცა ჩანგური და უკრა, ვითარცა მოჩვენება.

ყრმამ ახედ-დახედა ჩონგურს, გადასინჯა სიმები, ჩამოჰკრა თითები და გაისმა უცხო სიმღერა:

გავკაებივარ შავ ბედსა,
დავდივარ შეუპოვარი!
ვერ შეშაშინებს რისხვით ცა,
ჰირზედა ჰირის მთოვარი!
არ ეეღალტებ სინიდისს,
თავს შევინახავ წმინდადა,
და ჩემს სიცოცხლეს ვიგულებ
ჩემის სამშობლოს წინდადა.
ოფლით მოვრეცხავ სამშობლოს,
იმ წმინდა სისხლით ღებულსა,
რომ შევეყარო პირნათლად
იქ ჩვენ წინაპრებს ქებულსა!
და აქ კი შესანდობარსა
ჩავარაკრაკებ კელითა
და შემოვძახებ თამამად
გრძნობით აღსილის გულითა:
ჩონგურო, ჩემო დიდებავ,
და ძლიერებავ კალამო
ზოგჯერ ფინთიხო გულისა,
ზოგჯერ წყლულისა მალამო!
ნუ გამომილევ ძალ-ღონეს
სანამ ბეშას-მთესველსა,
მებრძოლსა გულ-გაუტეხელს,
ბნელში იმედით მკვესელსა...

ამ დღიდან ყრმას ჩონგური ხელიდან აღარ გაუგდია, სანამ მისი გული ჩონგურის სიმებს არ დაადნა, სულიც არ დაიცალა...

ვინ არის მზეთუნახავი? ცხრა-კლიტულში მჯდომარე, ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტოვანი, მრავალტანჯული, მაგრამ ტანჯვაში კიდევ უფრო ბრწყინვალე ჩვენი ტურფა სამშობლო.

შაეით შებურვილი და უსაზღვრო სევდით შეპყრობილი ქალწული?

ჩვენი სამშობლოს ბედი.,

ვინღაა ის უცხო ვინმე ყრმა, მებრძოლი გულგატეხილი. რომელიც გაჭირვებასა და შავ ბედს ჩონგურით და სიმღერით უხვდება? ჩვენი ტკბილი აკაკი.

ჯადოსანი, რომელიც თავის სევდას მხიარულებათ მოგაჩვენებსთ და გოდებას სიმღერათ: ჯადოსანი, რომელიც თაეის ჭმუნვას ღიმილათ დაგანახვებსთ და ცრემლებს სიცილათ.

— აი აკაკი.

თუ ილია ფიქრია საქართველოსი, მისი გონიერება — აკაკი გრძნობაა

ქართველი ერისა, ქართველი ერის გული, ქართველი ერის სულთა სწრაფვის, იმის უწმინდეს გრძნობათა მეტად ძლიერი, მეტად ლამაზი ტალღა.

ქართველი ერის სიხარული და მწუხარება, ქართველების სიცილი და გოდება, ქართველი ერის ღიმილი და სევდა, ქართველი ერის ზრახვანი, ოცნება და იმედი, შეურყეველი იმედი, რომ მომავალი მაინც მისია, — აი მთელი შინაარსი ამ ტალღისა. თეთრი ქაფი ამ ტალღაზე მოლივლივე — ეს ხომ აკაკის სიცილია, სიცილი, რომელიც იმედის სხივად ჩაქსოვილია მთელს მის პოეზიაში.

სიტყვის ღმერთი, რომელიც სიტყვას კიდეც ათამაშებს, კიდეც ამღერებს, კიდეც ატირებს, კიდეც აცინებს — აი აკაკი.

არავის სიტყვა ისე არ უყვარს, როგორც აკაკის.

სამაგიეროდ სიტყვასაც ისე არავინ არ უყვარს, არავის ისე არ ემორჩილება, როგორც აკაკის.

რუსთაველმა სიტყვა მარმარილოდან გამოჰკვეთა — სიტყვა მშვენიერი, სიტყვა დიდებული, სიტყვა მზიური, სიტყვა უნაკლოთ შემოხაზული.

აკაკიმ სიტყვა ქართველი ერის დაკოდილ გულიდან ამოსჭრა, საკუთარს ცრემლსა და ნაღველში ამოავლო, შიგ ჩააწნა, ჩააქსოვა სიმღერა, სევდა, ცრემლები, შხამი, იმედი, და გარეშემო სიცილის ლამაზი სამოსელი შემოავლო.

აკაკის სიტყვა მთელი ქართველი ერის სიხარული და სევდაა, ჰმუნვა და სიცილი, — მთელი ქართველი ერის რწმენაა, სასოება და იმედი. აკაკის სიტყვა — დაუდგრომელი, მუდამ მოძრავი, ცელქი, ცქრიალა. კოხტა, ლამაზი, მოსხლეტილი, მალი და ბასრი — ერთსა და იმავე დროს კიდეცა მღერის, კიდეც იცინის, სევდით იწურება, იმედით ივსება და შხამსა და გესლში დაფერილ ისრებს აფრქვევს.

სიმღერით ის აღვიძებს და სულიერად ამაღლებს აკაკის სამშობლოს, რომლის აწმყო სურათი მას სევდით ავსებს.

შხამიანი ისრებით ის გულს უგმირავს სამშობლოს მოღალატეებს, მტერსა და ორგულს.

სიცილითა და იმედით ამხნევებს ყველა გულგატეხილს.

რა გინდ ბედით ვიყო კრული,
საშინელიც მჭონდეს ბოლო,
არ შედრკება ჩემი გული,
გინდა ქვითაც ჩავიქოლო.

მუდამ მხიარულს, მუდამ ხალისიანს, მუდამ სიცოცხლით აღსავსეს. მას ყველგან სიცოცხლე, ყველგან სიხალისე, ყველგან იმედი და მხიარულება შეაქვს.

ის მარად ჯოჯოხეთს ატარებს გულით, მუდამ ქვეყნის ჭირით არის დატვირთული, მაგრამ მაინც მხიარულია, მაინც იცინის და სხვასაც ამხიარულებს, სხვასაც აცინებს:

არ მშორდება მწუხარება და ჭირი
მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვსტირი!

ხოლო თუ ჩაუკვირდებით აკაკის სიცილს, შიგ ბლომად დავინახავთ ცრემლსაც, სევდასაც.

მაშ სად არის სათავე, მიზეზი, ამ „ბნელში იმედით მკვესელის“ სევდისა?

დაბადებული მწის მგოსნად, სიკვდილს რისთვისა ნატრობს? დაბადებული სრული ბედნიერებისათვის ცრემლებს რატომ აფრქვევს?

სანამ ჩემი საყვარელი
ქაჯებსა ჰყავთ ცხრა-კლიტულში,
ვინ მაღირსებს სასუფეველს, —
ჯოჯოხეთი მიძევს გულში.

ვინ არის ეს შეუბრალებელი საყვარელი, რომელიც მგოსანს არსად არ შორდება, მოსვენებას უკარგავს, სტანჯავს და აწამებს?

ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
ფეხშიშველი და თავ ღეჩაქ მოხდილი, —
უგრძნობლად ჰხდის საწყალს საღათას ძილი!
თავს ვადგივარ მისი ჭირისუფალი.

აი, ვინ ყოფილა აკაკის სატრფო, აკაკის საყვარელი!
ჩვენ ვიცოდით, რომ სამშობლოს სიყვარული ადამიანის მოვალეობაა. ჩვენი პოეტების უმრავლესობა ამ სიყვარულს გონებას უმორჩილებს. აიღეთ, რაფიელის[1] უკვდავი ლექსი: „სამშობლო ხევსურისა“.

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულეის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითა ეჩვეულვარ, ჩემი სამშობლო ის არი[2].

დიდებული სიტყვებია, უკვდავი; მაგრამ ყოველი სიტყვა აქ გონების ნაკარნახევია, ნაფიქრი.

თვით უკვდავი ილია მამულის სიყვარულს ვალად აღიარებს და ამით მას გონებას უქვემდებარებს.

აკაკიმ მამულის სიყვარული მშრალ გონებას ხელიდან გამოჰგლიჯა და გულში მოათავსა. მამულის სიყვარული მისთვის მოვალეობა კი არ არის, გრძნობაა, ძლიერი, წარმტაცი, დამათრობელი გრძნობა.

სხვებმა შეგვაგნებიეს ეს სიყვარული.

აკაკიმ კი გვაგრძნობინა გულით; მთელის ნერვებით გვაგრძნობინა და ამ გრძნობის სინაზე, სიწმინდე, ძლევა-მოსილება და მომხიბლავი, დამათრობელი სიტკბოება მთელს არსებაში გაგვიტარა.

სამშობლოსადმი სიყვარულში აკაკიმ იმდენი გრძნობა, იმდენი ალერსი, ისეთი ნაზი, მომხიბლავი, დამატყვევებელი სევდა შეიტანა, რომ ჩვენ

ყველას აგვინთო ცეცხლი ამ სიყვარულისა და თვისი სევდა ეროვნულ სევდათ გადააქცია, — მთელს ერს აგრძნობინა ეს სევდა.

სამშობლო მან დაგვიყენა თვალწინ მშვენიერ ქალწულად ნესტან-დარეჯანათ[3], რომლის მარტო ხილვა ადამიანს სიყვარულით ათრობს, აჯადოებს:

მშვენიერო, შენ გეტრფი
შენი მონა, ერთგული,
შენთვის სულდგმულს, შენადვე,
შენთვის მიძგერს ეს გული!
მეგულები ციხეში,
ცხრა-კლიტულში მჯდომარე,
შეთვისებას გიპირებს
გაიძვერა მოყვარე...
გაუფრთხილდი, ნუ გჯერა
მაგის ტკბილი ნანინა,
შენზედ წინად სხვაც ბევრი
მოჰხიბლა, შეაცდინა.
გაუმაგრდი განსაცდელს,
აიტანე ტყვეობა
გშვენის ნესტან-დარეჯანს
მაგალითი... მზეობა.

რომელ შეყვარებულს გამოუთქვამს ასე უბრალოდ და თან ასე ძლიერათ თავისი გრძნობა?

აქ სამშობლოსადმი სიყვარულის მშრალი მოვალეობა არ არის. აქ თვითონ სიყვარულია, აქ ანკარა ნაკადულია სპეტაკი, ძლიერი, თვისი დამავიწყებელი, სევდით და იმედით სავსე გრძნობისა.

ამის შემდეგ მზათა ხართ დაეკონოთ სამშობლო მიწას, ეაღბოროთ მას და პოეტთან ერთად შემოსძახოთ:

ცა-ფირუზ, ხშელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო.

სამშობლოზე მგლოვიარე, სამშობლოს ჭირისუფალი — აი აკაკი. განა ყველა ჩვენი დიდი პოეტები სამშობლოს ჭირისუფალნი არ არიან, სამშობლოზე მგლოვიარენი?

კი, მაგრამ აკაკის სევდა და გლოვა მაინც უფრო ნუგეშიანია, იმედით სავსე, გამამხნევებელი, სულის ჩამდგმელი, ადამიანის გმირათ გაღამქცევი.

აიღეთ მესამოცე წლების მოღვაწენი.

ყველა სამშობლოს ბედს უტრიალებს გარშემო; უმრავლესობა თავის იმედებს ამყარებს გარეშე ძალაზე — მთავრობის კეთილ განწყობილებაზე, წყალობაზე, კარგის თვალით შემოხედვაზე და სხვ.

აკაკი სულ სხვა გზას ადგია და ამით ის ძირიანათ განირჩევა ჩვენი ძველი მოღვაწეების დიდი უმრავლესობისაგან.

აკაკიმ თავიდანვე გამოაცხადა თავისი რწმენა:

რაც ძალადობით წაიღეს,
ვინ დაიბრუნებს ნებითა?
ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა?

ან და —

სხვისი იმედი რას არგებს
თავისუფლების მძებნელსა?

ერთადერთი იმედი აკაკის ხალხისა აქვს.

ხალხი უნდა გამოფხიზლდეს, წელში გამაგრდეს, გონებრივად და ქონებრივად მოღონიერდეს და თვითონ გახდეს თავისი ბატონ-პატრონი — აი აკაკის შეხედულება. და მართლაც, მან მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის გამოფხიზლებას მოანდომა. მან მოსტაცა მზეს ცეცხლი, დაინთო გულში, აენთო სამშობლოს სამსხვერპლოზე, დაიწვა, დაიფერფლა და თავის მიზანს კი მიაღწია.

მისი სიტყვები:

— მაშინ იქუხებს, იელვებს
ხალხთ ძალი მიძინებული

წინასწარმეტყველებასავით აღსრულდა: ხალხის მიძინებულმა ძალამ მართლაც იქუხა, იელვა.

ჩვენ ვიხილეთ ბრწყინვალე მზე ამ ქუხილისა და ელვისა. მან ცოტა ხნით გააშუქა ჩვენი ბნელი ცხოვრება და ღრუბელს ამოეფარა...

აკაკი მაშინ იმ ხანაში იყო, როდესაც ადამიანი ასეთ მოვლენას თუ მტრულად არა, გულგრილად მაინც უყურებს.

როგორღა უყურებდა აკაკი?

„დღევანდელს ამბებს ისე შევხარით — სწერს ის — როგორც დედა შეჰხარის შვილის პირველი ბიჯის ადგმას. ახალი ფეხადგმული ბარბაცებს, აქეთ-იქით ეხლება უსწორ-მასწოროთ, ეცემა, მაგრამ დედა გაორკეცებულის სიფრთხილით ადევნებს თვალყურს, რომ არსად გადაიჩეხოსო. სიხარულით უხარია — კი, რადგანაც დარწმუნებულია, რომ მისი შვილი კუტი არ არის და რომ წამოიზრდება, მაშინ უდედოდაც სწორად გაივლის. ჩვენც ველით იმ დროს და სიხარულით შევყურებთ დღევანდელ დღეს“. გავიხსენოთ შესანიშნავი ლექსი, რომელიც მან უძღვნა ამ ხანას:

სიყმაწვილიდან მოხუცებამდე
ეს მაწვა გულზე, როგორც რომ ლოდი,
და ხალხის ჩვენში გამოღვიძებას
ერთხელ ოდესმე მეც მოველოდი.

მადლობა უფალს, რომ მოვესწარი
ჩემი სურვილის ასრულებასა,
და ვით ბულბული დაბერებული
მეც დროს უგალობ „ქებათ-ქებასა“.
ხალხი მღელვარებს, ვაშა მის ღელვას!

ამას სწერს სამოცდაათი წლის აკაკი!

ჰეშმარიტად ვაშა, ათასჯერ ვაშა. მარტო დიდ მგოსანს კი არა — დიდ მოქალაქეს, რომლის გულსაც თვით ყოველად შემძლებელი დროც კი ვერა-ვითარ დაღს ვერ აჩენს.

ასეთ ადამიანზე სხვაგან ლოცულობენ. იმის ყოველ სიტყვას წმინდად ასრულებენ, ჩვენ კი იმის ანდერძსაც კი ფეხქვეშ ვთელავთ!

მე მოგახსენებთ იმ ანდერძზე, რომელიც იმის ნაწარმოებშია. რა სწერია ამ ანდერძში?

ნუ დაჰკარგავთ ეროვნებას და გაუფრთხილდით სამშობლო მიწა-წყალსო. აი. რა გვიანდერძა ჩვენი მამულის უდიდესმა მოამაგემ.

დაე, კრულ იყოს, შეჩვენებულ მისი სახელი, ვინც დღეის შემდეგ ეს ანდერძი აკაკისა გასტეხოს.

კრულ იყოს, შეჩვენებული მისი სახელი, ვინც საქართველოს მიწა-წყლის თუნდაც ერთი მტკაველი, ერთი ხელის დადება ქართველ ხალხს დაუკარგოს.

ᲡᲝᲡᲝ ᲛᲐᲮᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲠᲘᲗᲘᲐ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ?

...რითი აიხსნება ის იშვიათი მოვლენა, რომ ერთმა ადამიანმა შესძლო შთელი ერის სათაყვანებელი გამხდარიყო? — იმით, ბატონებო, რომ აკაკი იესოსავით! ტანჯულთა და მაშვრალთა მოსარჩლედ მოევლინა ჩვენს ტანჯულს მხარეს. აკაკი ხედავს კაცთა შორის გამეფებულ ბოროტებას, და მიზნად ისახავს ამ ბოროტებასთან ბრძოლას, შინაური იქნება ეს ბოროტება თუ გარეული — იმისთვის სულ — ერთია. აკაკის თავისი ერი უყვარს, მას ეტრფის, მისით ცოცხლობს, და ვაი იმას, ვინც შეეცდება თავისი სათაყვანებელი ერის აბუჩად აგდებას.

მაგრამ, არ გეგონოთ, ბატონებო, რომ ამ თავის საყვარელ ერში ყველაფერი წესზედ იყოს, არაფერი აწუხებდეს?... არა, ბატონებო, აკაკი აქაც ხედავს დიდ ბოროტებას, ხედავს, რომ მდიდარი ღარიბს სჩაგრავს, ნასწავლი უსწავლელს სტუქსავს, აბუჩად იგდებს. ესენი თავიანთ ბედნიერებას მშრომელი ხალხის — დემოკრატიის უბედურებაზე აშენებენ. და, აი, აქაც აკაკი დემოკრატიის ბანაკში დგება და თავისი მადლიანი კალმით მიწასთან ასწორებს დემოკრატიის მტრებს... ჩაიხედეთ, ბატონებო, აკაკის

გულში და შიგ დაინახავთ მთელ საქართველოს თავისი ჰირ-ყარამით, და-აკვირდით, უფრო ღრმად და თქვენ დაინახავთ მთელ საქართველოს დემოკრატიის ერთგულ დარაჯს.

მგოსანი კი დემოკრატიაში ხედავს ერის მაცოცხლებელ ძალას, ამისთვინ არის, რომ სხვისგან აბუჩად აგდებულ ენას, რომლითაც ქართველი გადაგვარებული ინტელიგენცია თაკილობს ლაპარაკს, ჩვენი უკვდავი აკაკი თავის მომხიბლავი კალმით ამშვენიერებს, ალამაზებს ამ ენას და აწვდის მშობელ ხალხს შესანახად. ქართველი დემოკრატია აკაკის ენით ლაპარაკობს, მღერის, სტირის.

აკაკი და დემოკრატია ერთად ატარებენ ეროვნულ საუნჯეს — ენას. ამავე დემოკრატიაში ხედავს მგოსანი მომავალ ბედნიერ ქვეყანას: ის გლესის შვილს ნანინას უმღერის, მოუწოდებს გასაღვიძებლად და როცა გლესი ერკვევა საღათას ძილიდან, აკაკი გახარებული შესძახებს: „ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელაო"...

ი. ჯართაგავა

აკაკი, როგორც სატირიკოსი

წინასიტყვაობა

აკაკი დიდი სატირიკოსია. მის მახვილ გონებასა და არწივისებურ თვალებს არ გამოჰპარვიათ არც ერთი ჩვენი ეროვნული სენი და ნაკლოვანება. სამშობლოს უღირსობისა და დაცემის გამო შეუწყვეტლივ კვნესის მისი მოსიყვარულე გული და მწარე ცრემლებს ღვრიან მისი თვალები. პოეტმა თავისი ცრემლები ნაღველში გალესა, საწერლად იხმარა თავისი გული, ნაცვლად კალმისა ტარისა, ბასრი ენა ჩაუწო ამ საწერელში და ამ არა ჩვეულებრივის მასალის და იარაღის საშუალებით დაჰხატა საქართველოს დაბეჩავებისა და გადაგვარების საშინელი სურათი. არ გადაურჩა მის სასიკვდილო ისარს — ბასრ ენას — არც დიდი და არც პატარა, არც ერი და მღვდელი, არც ქალი და კაცი, არც ნასწავლი და უსწავლელი, არც მდიდარი და ღარიბი, არც მეგობარი და მტერი, არც შინაური და გარეული. ყველა იქმნა პოეტის მიერ ღირსეულად, მიუდგომლად დაფასებული და აწონილ-დაწონილი.

უმაგალითოა აკაკის დაკვირვების სიღრმე-სიფართე, მისი შორსმჭვრეტელობა. ჩვენი ცხოვრების ასე ფართედ და ნათლად გათვალისწინება-წარმოდგენის პროცესში მას, ღვთაებრივი ნიჭის გარდა, ძლიერ შველოდა „სამშობლოს კარგად ცნობა". აკაკის პოეზია, კერძოდ მისი სატირული ლექსები, საუკეთესო პოეტური მასალაა ქართველი ხალხის გონებრივი, ზნეობრივი, და ქონებრივი მდგომარეობისა და რაკი „პირდაპირი თქმა

„აკაკის ხელობა იყო“, ეს ისტორია უნებლიეთ დაიხატა ძლიერ შავის საღებავით.

რასაკვირველია, ხასიათი და ელფერი ამ პოეტურის ისტორიისა უმთავრესად თვით ჩვენი ცხოვრების მდგომარეობაზეა დამოკიდებული და არა პოეტის წინასწარ დასახულ მიზნისაგან არის გამოწვეული. „მწარედ, სიტყვებით ავით, მარად ნაღველით“ აკაკი იმისათვის მღერის, რომ „დღისის სიცხადით“ „დაჩაგრული და გულდამწვარია“. იგი მოურიდებლად, თითქმის შეუბრალებლად ჰკიცხავს, აძაგებს, ჰგმობს, კრულავს, სამარცხვინო ბოძზე აკრავს ყველა უღირს ქართველს. პირველი შეხედვით, შეიძლება ადამიანმა იფიქროს: აკაკის შეზიზღებია, საბოლოოდ შესძულებია და გაუწირავს „დაცემული“ თავისი მოძმეო. მაგრამ ეს ასე როდია. პოეტის დიდი სიძულვილი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულზეა დამოკიდებული, ამ სიყვარულით არის გამოწვეული. პოეტის „მარად ტკბილ“ გულში არ ჩანელებულა, არ ჩამქრალა სიყვარული მოძმისადმი, მაშინაც კი, როდესაც, როგორც თვითონ ამბობს, ამ მოძმეებმა „ორჯერ-სამჯერ სასიკვდილოდ გაიმეტეს“, „გული გავიკაჟეო, — მოგვითხრობს აკაკი, — მოთმინება ფარად ვიხმარე და ცოდვილი მოძმე მაინც არ შევიძულეო“...

დიდია, დაუფასებელია ღვაწლი აკაკისა, როგორც სატირიკოსისა, თავისი მკაცრის და მოურიდებელის მხილებით მან თანდათან გონს მოიყვანა „სნეული სამშობლო“; დაჟინებულის და სამართლიანის დაცინვით გაათვითცნობიერა „გონებით დაბრმავებულნი“, „დაცემულებს“ ჩაუკვესა სურვილი წამოდგომისა და იმედ დაკარგულებს „აუყვავა იმედი“, ასეთმა თავგანწირულმა და სასარგებლო მოღვაწეობამ თვით ხშირად „ყბად აღებული“, „დევნილი“ და „გულგატეხილი“ პოეტი აამაღლა, ღმერთ-კაცად გახადა ერისათვის.

რას დასცინის აკაკი? რა ატირებს მას?

სატირალი და სავალალო ბევრი რამ იყო „ფურთხის ღირსი“ „ახალი ქართლის“ ცხოვრებაში.

ნაწილი პირველი

„წეერმახვილი ისარი“ სატირისა აკაკიმ თავდაპირველად და უმთავრესად ქართველ ქალებს ესროლა.

მგოსანი ცხადად ხედავდა, რომ ძველი სათნო დედების ნაცვლად საქართველოს „რუსულად მოჟღურტულე“ „მაშინკები“ მოეღინათ. ეს ახალი ფორმაციის დედები მხოლოდ შთამომავლობით, სახით, გარეგნულად ქართველები იყვნენ; სულიერად, მიმართულებით, ზნე-ჩვეულებით და აზროვნებით კი კარიკატურას წარმოადგენენ. მას ძლიერ კარგად ესმოდა, რომ სწორედ ამ „სხვა ენით აჟღურტულებიდან“ იწყება გაფუჭება და დაცემა ჩვენის ეროვნებისა. ნათლად ისიც ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ენა ეროვნების სალაროა. მასშია დაცული ხალხის სულიერი,

ზნეობრივი და გონებრივი სიმდიდრე. რომ ენა სარკეა, სადაც ერის მისწრაფება, იდეალები და ხასიათი ნათლად გამოიხატება; რომ ენა ცენტრია, სადაც თავს იყრის წარსული და აწმყო ერისა; რომ ენა ცოცხალი ისტორიაა ერის ზრდა-განვითარებისა და თავგადასავლისა და რომ საზოგადოდ ენა დედაძარღვია ეროვნებისა, მისი საძირკველია და როდესაც ეს ძარღვი გაწყდება — ერიც გაჰკრება; როდესაც ეს საძირკველი შეირყევა — ერიც უძლურდება; როდესაც ენა ირყვნება — ეროვნებაც ირყვნება...

ყველა ამას ღრმად გრძნობდა პოეტი და ამიტომ თავის „სატირულ ლექსებში დაუზოგველად, მოურიდებლად დაჰგმო, გაჰკიცხა „ქართველი ქალი“, რომელმაც „დედა-ენა არ იცის, სძულს კიდეც დავიწყებული“.

თუ მოვიგონებთ ნ. ბარათაშვილის[1] მაიკოს[2] და შევადარებთ აკაკის „სანელოვანს“ და „ქებულს“ ქართველ ქალს, შევნიშნავთ, რომ ორიენსათვის „ქარსა ჩრდილოსა“ შეუცვლია „გული ცხოველი“. განსხვავება იმაშია, რომ ბარათაშვილის „მაღალ საზოგადოების“ მაიკოს, გადაგვარების გზაზე დამდგარს, გაუვლია მხოლოდ ერთი ხანა იმ პროცესისა („ქართული იცოდა, ისიც დავიწყნია, რუსული მაინც ვერ უსწავლიათო“, დასცინის ნ. ბარათაშვილი). აკაკის „ქებულ“ ქალს კი გადაგვარების უმაღლეს წერტილამდის მიუღწევია.

როგორც სჩანს, დროთა მსვლელობას ქართველი ქალი არამც თუ არ გამოუფხიზლებია, პირიქით, მთლად დაუბრმავებია. ჩვენი ქალები ისე გაფუჭებულან, საშიშ-სახიფათო შექმნილან ეროვნებისათვის. უეჭველია, ასეთი დედები არა ერთსა და ორს ორგულ და მოღალატე შვილს შესძენდნენ ბედკრულ სამშობლოს. ასეთი დედები გამრავლდნენ ჩვენში მას შემდეგ, რაც საქართველოში შემოაშუქა (!) „ახალმა ცივილიზაციამ“ ბალმასკარადების, ევროპული ტანისამოსისა, ბრჭყვიალა ეპოლეტებისა და სხვა განმანათლებელ „პენციონების“ სახით. ამ ახალმა „ცივილიზაციამ“ ღააბრმავა და დაარეტიანა პირველ ყოვლისა ჩვენი მოწინავე წოდება, განსაკუთრებით ამ წრის „მაიკოები“.

ცნობილია, რომ ქალი მამაკაცზე უფრო შემთვისებელია ყველა იმისა, რაც მას გრძნობას უღიტინებს, რაც გარეგნულად ბრჭყვიალა და მოლამაზებულია. ახალ ცხოვრების ზიზილ-პიპილმა ქართველ „ქალბატონებს“ დააცდუნა, შეაბრუა „თამარ, ქეთევან და ნინო“[3], ე. ი. სამი უდიდესი ქრისტიანული სათნოება, სამი საძირკველი ჩვენის ისტორიისა და საზოგადო არსებობისა: სამშობლოს სიყვარული, თავგანწირვა მისთვის და სარწმუნოების უმწიკვლო შენახვა.

ეს სენი აკაკის შეუმჩნეველი არ დარჩენია, რასაკვირველია, და მწარე სატირულ ლექსად აღნიშნა.

თუ სუყველაფერი წმინდა და საამაყო შესძულებია „მოპაჟალუსტე“, ნერვებაშლილ „ქალბატონს“. მაშ საინტერესოა ეიცოდეთ, რას ეტრფის იგი, რას სცემს თაყვანს? ამაზე პოეტი უპასუხებს: რომ ის ალმერთებს

„მოდნებს“, ე. ი. ახალი ცხოვრების ბრჭყვიალა ზედა-პირს, უაზრო დროს გატარებას, არშიყობას.

ეს „ქალბატონები“, რა თქმა უნდა, „არ კადრულობენ ქართულ ჩაცმა-დახურვას“, „ნახევრად ტიტვლები არიან, თითქოს აპირობენ ცურვასო, კაჭკაჭივით მეტყველებენ, კალიასავით დახტიან“: მათ ჟუჟუნა თვალებში მხოლოდ ის იხატება: „მე ჩემი დღე და სოფელი უნდა დავლიო ბალშიო“. აკაკი, დაწვრილებით აგვიწერს ამ გადაგვარებულ „ქალბატონების“ დროს ტარებას. მეოჯახეობას და ცხოვრებას იდეალს და გესლიანად ჰკიცხავს მათ..

ახალი დროის ქართველმა „ქალბატონებმა“ ეკონომიურად გამოუთხარეს ძირი ქართულს ოჯახს: მამა-პაპათა სისხლით მორწყული მიწა-წყალი, მამულ-დედული, სხვებს ჩაუყარეს ხელში. ვინ არ იცის, რომ უდარდელი ცხოვრება სიღატაკით თავდება. ეს საუცხოოდ აქვს აღნიშნული აკაკის თავის სატირაში, სადაც გადმოცემულია „გაღატაკებული კნეინას მოთქმა“.

ფუქსავატი ცხოვრება თუმცა გასაკიცხი და ქონებრივად დამღუპველია, მაგრამ ის ისე მაინც არ არის ზნეობრივად სამარცხვინო და დამამცირებელი. როგორც გარყვნილება, ნამუსის დაკარგვა. ქართველ ქალებში სავალალოდ ასეთი ჯურის „ქალბატონებიც“ გაჩენილან. მათ შეულახავთ ტრადიციული ოჯახური სიწმინდე, გაუნადგურებიათ „ბელელი და კალოც“. ასეთი ქართველი ქალი ჰყავს აკაკის მხედველობაში, როდესაც ამბობს, სიმდიდრე და თვლები „საყვარლებში გააბნიაო“. ქართველი ქალი უფრო უცხოელს ეტანება, მისი ალერსი და ტრფიალი უფრო სასიამოვნოდ მიაჩნია და ის კი არ ესმის რომ ეს უცხოელი დაიკმაყოფილებს რა ვნებათა ღელვას, „მერე ზედ შედგება ფეხით... ლეჩაქს მოხდის, გააშიშვლებს“...

აკაკის გონება ვერ შერიგებია ქართველი ქალის ასეთ, ზნეობრივ დაცემას და თავის ლექსში ამბობს: „გარყვნას ისევ სიკვდილი სჯობიაო“.

ქართველი ქალის უსაქმურობასა და „მოდნით გატაცებას“ „ბელელ-კალოს“ განადგურების გარდა თან მოსდევს აუცილებელი უთანხმოება და არეე-დარევა შინაურ, ცოლ-ქმრულ ცხოვრებისა. აწეწილ ოჯახში, სადაც ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს, ნორჩმა თაობამ ვის უნდა წაჰბაძოს: გაქარაფშუტებულ დედას, თუ გადაგვარებულ მამას? აკაკიმ ძლიერ კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აზრიანად მოწყობილ ოჯახს, რომლის უმთავრეს ძარღვად, საძირკვლად ცხოვრებაში ჩახედული დედა მიაჩნდა. აკაკიმ იცოდა, რომ ერის სახესა და თავისებურებას შეგნებული დედები იცავდნენ, ხოლო შეუგნებელი, მჩატე დედები ერის დამღუპველნი არიან. ამისათვის ის სიტყვით, თუ საქმით, სიცილით, თუ ტირილით, პროზაში თუ პოეზიაში სულ იმის ნატვრაში და ცდაში იყო, რომ როგორმე ჩვენი ოჯახი გამობრუნებულიყო, მის კერაზე „საკუთარი ცეცხლი დანთებულიყო“. რადგანაც ოჯახის ბურჯად დედა მიაჩნდა, ამისათ-

ვის პოეტი ხან გაიცხვით, ხან კი დატკბობით ქართველ ქალს აქებდა, რათა მას თავისი მოწოდება პირნათლად აესრულებინა.

როგორც მოგეხსენებათ, ხელოვანნი, კერძოდ პოეტები, საზოგადოდ ორნაირ ლიტერატურულ ხერხს ხმარობენ კერძოდ ადამიანისა და საზოგადოების გასათვითცნობიერებლად. ერთი ამ ხერხთაგანია—პირდაპირი გაკიცხვა, მხილება ე. ი. სატირა. მეორე ხერხია: ფანტაზიის წყალობით ისეთი იდეალური პიროვნების შექმნა, რომლის დაგვარი შეიძლება სინამდვილეში იშვიათად მოიძებნებოდეს ან სრულებით არ მოიპოვებოდეს, მაგრამ სასურველი კი არის, რომ იყოს, არსებობდეს, გაჩნდეს, რათა მისაბაძ მაგალითად გახდეს ყველასათვის. ორივე ამ ლიტერატურულ ხერხს ერთის მიზნისაკენ მივყავართ და ჩვენს უკვდავ აკაკის, როგორც დიდს ხელოვანს, ერთნაირად ემარჯვებოდა სატირაც და იდეალიზაციაც. ორივე ხერხს ბრწყინვალედ ხმარობდა. ასე იქცეოდა სხვათა შორის, ქართველი ქალების შესახებაც.

როგორც დავინახეთ, დიდებულმა მამულიშვილმა მწარედ დაჰგმო ფუქსავატობა, ზნეობრივი დაცემა და გადაგვარება თანამედროვე დედებისა, ბევრს ამათგანს მოხვედრია და დღესაც ხვდება გულში მგოსნის ძლიერის ხელით ნატყორცნი სატირული ისარი. ზოგიერთი დედა დაუფიქრებია პოეტის მართალ სიტყვას, გულახდილ და გაბედულ მხილებას და ზნეობრივად გამოუმჯობესებულა, გაკურნების გზაზე დამდგარა, ან სრულიად განკურნებულა. ამ რიგად აკაკის, სატირიკოსის უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ქალების ზნეობრივად გამომთელებასა და გათვითცნობიერებაში.

ნაწილი მეორე

ცნობილია, რომ ინტელიგენცია ერის ცხოვრების ყვავილია. ნამდვილი ინტელიგენცია ერს მომავლისაკენ უკაფავს გზას, იცავს მის საუნჯეს — „ენას, საყდარს, სარწმუნოებას“, ასახელებს თანამოძმეებს სამშობლოს წარსულში, უშუქებს აწმყოს, ითვალისწინებს მომავალს. ასეთია ინტელიგენცია იმ ერისა, რომლის ცხოვრებაც წესიერად მიმდინარეობს. იქ კი, იმ ერში, სადაც გამქრალა თვითცნობიერება, სადაც გადაგვარებული დედები უკუღმართად ზრდიან შვილებს, სადაც შერყვნილია სამშობლო ენა და სადაც ყოველ წრეში გამეფებულია უშინაარსო, უიდეალო ცხოვრება, — იქ, ასეთ ერში ინტელიგენციაც საზოგადოების შესაფერია, ე. ი. უქმი, უიდეალო, ფუქსავატი, ორპირი, გაუტანელი და ფლიდი.

თუ მოწინავე და გათვითცნობიერებული ერის ინტელიგენციაში შეგხვდებათ თითოროლა გონება და ზნეობა დამახინჯებული ინტელიგენტი, „ნასწავლნი“ და „დიპლომიანნი“, საქართველოში ხომ მათი რიცხვი ფრიად დიდია. რასაკვირველია, აკაკის ეზიზღებოდნენ ასეთნი მუხანათნი. პოეტი დასცინის ქართველ „ნასწავლთა“ და „რუსეთუმეთა“ უზრდელობას,

უშინაარსობას, ჰკუამცირობას, გამოუსადეგარობას, მოღალატეობასა. პოემის ნაწყვეტში „რუსეთუმეში“ გამოყვანილი ჰყავს გმირებად ძველი დროის მამა და ახალი „ნასწავლი“ შვილი. მგოსნის სიმპატია მამისაკენაა. მამის პირით აკაკი დაწვრილებით ჩამოსთვლის შვილების თვისებებს, — იმ განძს, რომელიც მათ უცხოეთიდან მოუტანიათ. თურმე „შვილებს“ ღაბე არ სძინავთ, სულ თამაშობენ „ვიოტსა“ და „ფას“ ყვირიან. ღღე კი ღამედ გადაუქცევიათ“. შინ არ ჩერდებიან, ვერ ისვენებენ, წარა-მარა და უმიზნოდ დაეხეტებიან, თითქოს „ჭარი უდგათ ფეხშიო“. ამავ დროს ვალებს იდებენ და ოჯახს აღარიბებენ. დედ-მამას და უფროსებს პატივს არ სცემენ. მათი მოურიდებლობა იქამდე მიდის, რომ მამებს „ერთის ღერძიდან უყვირიან“. სანამ რასმე იტყოდნენ სული ხვდებათ, ქლოშინობენ. თითქოს „აზრი გაუფრინდათო“. აკაკიმ იშვიათის ხელოვნებით გამოაჭანდაკა შერყვნილი და უპადრუკი სახე „ნასწავლი“ ვაჟბატონებისა და მომავალს მრდგმას წინ დაუყენა იმის საჩვენებლად, თუ რა ზომამდის ამდაბლებს, აპირუტყვებს „ნასწავლ“ ადამიანს ეროვნული თვითცნობიერების დაკარგვა. აკაკის სატირულმა ლექსებმა, თამამმა მხილებამ შესამჩნევად გაასაღა ჩვენი დაავადებული ცხოვრება: „აკაკი-ეული სიცილი“ მოეელინა ჩვენ ერს უებარ წამლად. აკაკი, როგორც დიდბუნებოვანი კაცი, ყოველ პარტიულ და წოდებრივ წრის გარეშე იდგა და ერთნაირის მოურიდებლობით კიცხავდა თავისიანებს და სხვისიანებს. აკაკი მწვავედ ჰკიცხავდა იმ წრის ხალხს, რომელსაც თვითონ ეკუთვნის. ე. ი. ნასწავლ ახალგაზრდების წარმომადგენლებს. აკაკის არც აუხვევია პირდაპირი გზისათვის. არ შეუბოჭავს თავისი ჰკუაგონება პარტიულის დისციპლინით და დამოუკიდებელი სულით თავისუფალი მედიდურად ჩაესვენა ციეს სამარეს.

თუ აკაკი „თავისიანების“, ამხანაგების, ახალი დროის „ნასწავლ“ ყმაწვილების მხილებას არ მოერიდა, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორის სიცხადით დაინახავდა პოეტი ძველის თაობის, კერძოდ „დიდკაცობის“ დაცემასა და დაკნინებას.

სწორედ აკაკი დასცინის „დიდკაცების“ „კუჭის“ და „მუცლის“ სამსახურს, გონებრივ ჩამოქვეითებას. ამ წოდებას პოეტის შეხედულებით დაუკარგავს ისტორიული თავისი ღირსება-ვაჟკაცობა, სმლის აზრიანად ხმარება, ტარება. ქართული ხმალი, ეს სიმბოლო მაღალის ერთგულებისა — „დიდკაცობას“, ახლა მხოლოდ მოსართავ-მოსაკაზმად საგნად გახდია, თეითონ არც ატარებს, ბიჭებს დააქვთ უკან. ისე ღალეშებულან. ამ ვაჟბატონებს დაუკარგავთ სულის სიმშვიდეც. დაუკარგავთ მასთან ერთად: მამა-პაპათა პირდაპირობა, უანგარობა და კეთილშობილება... „ქვეყანა და ქვეყნის საქმე კაჭკაჭივით აქვთ გაგებული“, „ქვეყნის მტერი და ორგული ენის წვერზე აუგიათ“. ეს ვაჟბატონები ერთგულება-მხნეობას მაშინ იჩენენ, როდესაც „მშობლის მკვლელს ახლავთ“ და მას მონურის ერთგულებით თვალებში შესცქერიან. პრინციპი, ზნეობრივი მოვალეობა,

ეროვნული თავმოყვარეობა სომ მათთვის სრულებით არ არსებობს. „დიდ-კაცობა“ ერს არა თუ არ რგებს, პირიქით, წურბელასავით სწუწნის მის სისხლს; „თვისი ტომისგან იკერავს თბილ ქურქს“.

აკაკი ასე მოურიდებლად ჰკიცხავს იმ წოდებასაც, რომელსაც დაბადებით თვითონ ეკუთვნოდა. აკაკი არ მოერიდა არც დედ-მამის წყენას, არც მონათესაეების გულისწყრომას და საზოგადოდ არც „დიდ-კაცობის“ სიძულვილს და დეენას. თავის მწარე სიმღერით სამარცხვინო ბოძზე გააკრა გარყვნილ-გაფუჭებული „მოწინავე ქართველთა რაზმი, უთავბოლოდ აღშურვილი, უცხო ფერადი მონაკაზმი... საჩინო და ჩინთა დასი!“.

ასეთი საქციელი, რასკვირველია, პოეტს მომაკვდინებელ ცოდვად ჩაუთვალეს და ახლობლებიც არა ჰყავდა მადლიერი.

I

ნაწილი მესამე

როგორც ზემოთ ვნახეთ, აკაკიმ გაჰკიცხა ჩვენი ახალი დროის ქალები, ახალი დროის „მხსნელებელნი“ და ბრწყინვალე „მოწინავე ქართველი რაზმის“ წარმომადგენელნი. ამას გარდა მგოსანმა მწარედ დაგმო საზოგადოდ ქართველების ზნე-დაცემულობა, გონებრივი სიღატაკე და ოჯახური მოუწყობლობა. მგოსანს განსაკუთრებით გულს უკლამს ოდესღაც მტკიცე და საძმობლოს ერთგულ ქართველის სამარცხვინო გაუტანლობა და მოღალატეობა და სამშობლოს „იუდებს“, „საქართველოს მოძულეთ“ საშინლად გმობს. ესენი მზად არიან სამშობლოს „ყელში ხელი მოუჭირონ“, ან „გულში ტყვია ჰკრან“: „მათ გაჰქრობიათ სული მამა-პაპური, ჩინი შეუქმნიათ ჰკუის საზომი და ძმობის ნაცვლად, შური და შუღი“. ამათ პოეტი უძღვნის ბოლმით სავსე ლექსს — სატირას: „აღარ გვაქვს გრძნობა“. ამ ლექსში ჩვეულებრივი „აკაკისებური სიცილიღა“ როდი არის. ეს ნამდვილი აბობოქრებული ზღვის ტალღათა აძგერებაა! ეს თვით ღმერთ-კაცის წყეველა-კრულვაა! პოეტი ერთგვარად ძლიერია როგორც მსუბუქ და ტკბილ-მწარე დაცინვაში, ისე აღშფოთებულ გმობა მხილებაშიც. სატირულ ნიჭის ორგვარ თვისების ასეთს თანაბარ სიძლიერით შევრთებას ერთს პიროვნებაში ძალიან იშვიათად ვხვდებით მსოფლიო ისტორიაშიც კი.

მოღალატეობას, მაბეზღრობას, გაუტანლობას ღრმად გაუდგამთ ფესვი საქართველოში. აკაკი ხედავს ამ სამარცხვინო სენს, უზომოდ სწუხს და გულის ვარამს საჯაროდ გამოსთქვამს ლექსში: „სცენიდან ნათქვამი“.

„რა ტანჯვის ცეცხლი უნდა ნთებულიყო პოეტის გულში, როდესაც მან საჯაროდ მაბეზღარ-მოღალატის სახელი უწოდა სათაყვანებელ სამშობლოს შვილებს და მით ზნეობრივ კოცონზე დასწვა მათი სამარცხვინო პიროვნება! აკაკი საჯაროდ ჰკიცხავს არა ერთს, ორს, ან რამდენიმე ფაქტს ქართველების ზნეობრივად დაცემისას; არა, — ის ასაზოგადოებრივებს ამ მომაკვდინებელ მოვლენას, უმეტესობის თვისებად აცხადებს მას.

აკაკის ვერ გამოეპარებოდა, რომ ქართველებში ბევრი იყო თვალთმაქცი, ორპირი, ცრუ, ის პირადად ბევრს იცნობდა იმისთანებს, რომელნიც სტიროდნენ, ქვითინებდნენ, „ცრემლმორეულს ხუჭავდნენ თვალსა“, მაგრამ „გულში კი სხვას გრძნობდნენ“ და „ახალს ბატონს იდეალად სახავდნენ“. საქართველოში მგოსნის რწმენით სიმართლე „წამხდარა და სცელია ფერი“... აქ სიცრუეს და ორპირობას „მარად თაყვანს სცემს ერი და ბერი“... საქართველოში აკაკის სიტყვით პირდაპირ მძარცველნიც ბევრია. მათ „ქვეყანა განწირული აქვთ გასაცემ-გასაყიდადა“. საქართველოში „სისხლხორცობა, ძმობა მოყვრობა, სიყვარული და ამხანაგობა იციან მხოლოდ საჩვენებლად“. მეგობრობა საქართველოში გამქრალა. მაგრამ „პარტიობა“ კი გაჩაღებულია, განსაკუთრებით ბანკების გარშემო. პოეტის სამუდამო ჰმუნვას ის როდი შეადგენს, რომ ირგვლივ ბნელი შემოგვესია. არამედ ის, რომ ეროვნების მაგარი ციხე შიგნიდან ტყდება. საერთოდ უკუღმართად ყოფილა როლები განაწილებული ოდესღაც გმირთა აღმზრდელ საქართველოში.

ბედკრულ საქართველოში ისეთი პირნიც კი გაუკუღმართებულან, რომელნიც ჩვენის ცხოვრების ყვავილნი უნდა ყოფილიყვნენ—ქართველი პოეტი. მწერალი და სულიერი მამა მოძღვარი. ზოგიერთს ქართველს პოეტს ისიც ვერ შეუგნია, როდის უნდა მომართოს ჩანგი სამხიარულოდ და როდის სამგლოვიაროდ. ყველაზე დამაფიქრებელი მოვლენა ის არის, როდესაც მწერლობა — ცხოვრების სარკე — წინასწარ განზრახვით თაღლითობს, თვალთმაქცობს საპირადო მიზნის მისაღწევად. აკაკი სამწუხაროდ აქისთანა პოეტებს ხედავს.

ვინ იცის ძველი მნიშვნელობა სასულიერო წოდებისა? ჩვენი ლიტერატურა თავდაპირველად უმთავრესად სასულიერო იყო. ჩვენი პირველნი მთარგმნელნი და მერე ორიგინალურნი მწერალნი სასულიერო პირნი იყვნენ. ჩვენს მონასტრებში ენთო ლამპარი ცოდნა — მეცნიერებისა. მოზარდ თაობის აღზრდა-განათლება, პედაგოგიური მეცნიერების გადმოწერგვა, საღვთისმეტყველო და საბუნებისმეტყველო მეცნიერების შემუშავება; ხელოვნების სხვადასხვა დარგის — მხატვრობის, მუსიკის, პოეზიის შექმნა-გავრცელება — ყველა ეს მე-19 საუკუნემდე უმთავრესად სასულიერო წოდების ხელში იყო. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჭია-ღუისაგან დახრული ჩვენი გუჯრები და სიგელები, ძველი სასულიერო და საერო წიგნები, ულმობელ დროისაგან და ქართველურ უმეცრებისაგან დანგრეულ-შეურაცხყოფილი. ჩვენი ეკლესია-მონასტერნი და მათი გალავნები ხომ ხმამაღლა მოგვითხრობენ სამაგალითო მოღვაწეობას. დღეს ასეთი მამები აღარ არიან. მე-19 საუკუნეში ჩაესვენა სხივი მათის წარსულდიდებისა. მათაც დაეტყო დალაჩრება-გადაგვარება, როგორც ჩვენის საზოგადოების დანარჩენ ელემენტებს.

აკაკი ხედავდა სამღვდელოების გაუკუღმართებას და მიუხედავად თავისის ღრმა სარწმუნოებისა და საზოგადოდ ეკლესიისადმი პატივისცემის,

დაჰგმო მისი ზნეობრივი სიწამხდრე და მის დამახასიათებელ თვისებად ანგარება და ვერცხლ-მოყვარეობა აღიარა.

ნაწილი მეოთხე

აკაკის აქვს ისეთი ლექსებიც, სადაც მას თავისი რწმენა-შეხედულების სინტეზი მოუხდენია, საზოგადო დასკვნა გამოუტანია საქართველოს დაძაბუნების შესახებ. „კაცი იყოს, გინდა ქალი, ყველა ჩვენში არის გლახაო“, გადაჭრით ამბობს პოეტი. იყო აკაკის სულიერ განწყობილებაში ისეთი უკიდურესი მწველი მომენტიც, როდესაც მან შემდეგი საშინელი სიტყვებით წარმოსთქვა სათაყვანებელი სამშობლოს შესახებ:

იმას კი ვიტყვი, თუნდა მომკალით:
ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო!

ასეთი სასტიკი საშუალება მიაჩნდა აკაკის უსაჭიროეს, დროის შესაფერ წამლად სამშობლოს განკურნებისათვის. ტკბილ-ხმოვან სიმღერას ასეთ დროს იგი დანაშაულად სთვლიდა. ასეთი გზა ეკლიანია და პოეტსაც არ ასცდა დევნა. („თვალს მიხვევენ, ენას მგლეჯენ და მაგდებენ საკირეში“).

ეჭვს გარეშეა, რომ „გახმატკბილებული“ სიმღერა აკაკისაც ენატრებოდა, რადგანაც ის თავისის ნიჭის თვისებით უმთავრესად „ტკბილ-ხმოვანი“ მგოსანია, ნაზი ლირიკოსია, მაგრამ სხვა რამ იყო საჭირო და იგიც „მწარედ და მარად, სიტყვებით ავით, გესლით და ნაღვლით“ იწყებდა სიმღერას.

აკაკი შეგნებულად დაადგა „თავის გზას“, გზას პირადის ცხოვრების უარყოფისას. მას არასოდეს არ გადაუხვევია ამ გზისათვის, არ ცდილა მოეხვეჭა „ძალი, დიდება, პატივი, ქება,“ „მაგრამ მის ცხოვრებაში იყო ისეთი მომენტები, როდესაც მასაც, როგორც ადამიანის შვილს, ენატრებოდა მყუდრო ცხოვრება, საამო, ხმა-ტკბილი შემოქმედება, მოძმის „გზა სიყვარული“. და „ზეცამდე სულთ ამაღლება“.

აკაკის ზოგიერთ ლექსს გადამეტებული აღშფოთება ეტყობა. ზოგიერთს მათგანში აკაკი აზვიადებს თანამოძმეთა დანაშაულს და კერძო ჯგუფის, ან წოდების დანაშაულისათვის მთელს ერს პასუხს აგებინებს. ეჭვს გარეშეა — ზოგიერთ ლექსს-სატირას პასკვილის სუნიც უდის; ეს გარემოება არ ამცირებს ჰეშმარიტ მოქალაქის აკაკის სატირულ მოღვაწეობის მნიშვნელობას ქართველებისათვის. საზოგადოდ სატირული შემოქმედება ისეთის ხასიათისაა, რომ ძნელია, თითქმის შეუძლებელია ამ დარგში იდეალური ობიექტივობა, პოეტური ზომიერების დაცვა. სატირა მომეტებულ შემთხვევაში უალრესად სუბიექტური ლირიკული ნაწარმოებია, ის აღშფოთებული გულის ნაყოფია. საყურადღებო აქ ის არის, რომ პოეტს აღაშფოთებდა არა პირადი ანგარიში და თავმოყვარეობა, არამედ საზოგადო-

ებრივი უკუღმართობა და სურვილი სამშობლოს სამსახურისა. „ჟინი და მტრობა ამ ჩემს გულს არ ეკარებაო“, გადაჭრით ბრძანებს პოეტი და ჩვენ რა ნება გვაქვს, მას არ დავუჯეროთ.

ვიორგი ნიორაძე

აკაკის პოეზიის ესთეთიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა

ის იყო შემოდგომა თავდებოდა... წვიმდა და თანაც ძალიან ციოდა. მატარებელში მგზავრებს ფანჯრები დაეკეტათ და ნაღვლიანი სახეები ერთმანეთს ბისჩერებოდნენ. მე კუთხეში ვიჯექი და თანამგზავრებს ვათვალიერებდი.

ჩემს გვერდით მდიდრულათ გამოწყობილი ქუთაისელი ქალი იჯდა და თავის რვა წლის ქალიშვილს, რომელსაც თალიკოს ეძახდა, რაღაცას ემუსაიფებოდა. იქვე ახლოს ვიღაც ევროპელი იჯდა და ჟურნალებს ათვალიერებდა. მივუახლოვდით სადგურ შორაპანს. მგზავრებმა ბაქნისაკენ დაიწყეს ყურება. აი, მატარებელიც გაჩერდა. აირია ხალხი, ცოტა ხნის შემდეგ გაიღო ჩვენი „კუპეს“ კარები და აკაკი შემოვიდა. მგოსანი საჩხერიდან თბილისს მიემგზავრებოდა. მან ყველა იქ მყოფს თვალი გადაგვავლო და სკამზედ ჩამოჯდა. როდესაც მატარებელი დაიძრა და სულის შემხუთავი მოწყენა ჩამოვარდა, მგოსანი პატარა ქალს, თალიკოს, გამოელაპარაკა:

— მე ვერ მიცნობ? — ტკბილად ჰკითხა აკაკიმ პატარა გოგოს.

— ვერა. დარცხვეინით უთხრა თალიკომ და თითი ტუჩებზე მიიდვა.

— ჩემი სურათი ხომ გინახავს?

თალიკომ გვერდზე გახედა მგოსანს, კარგად დაუკვირდა მის ნათელ სახეს, გაწითლდა და ნაზი ხმით უპასუხა:

— არა, არ მინახავს.

— აბა, მითხარი რა ლექსები იცი ზეპირად?

—ლექსები?... ლექსები ვიცი, დედამ დამასწავლა, აი, თუნდაც, „პეტუშოკ, პეტუშოკ, ზალატოი გრებიშოკ“...

— კიდევ რა იცი?

— კიდევ, ეს ვიცი: „ჟილ-ბილ უ ბაბუშკი“...

— მეტი არაფერი იცი?

— როგორ არა, — უპასუხა თალიკომ და კიდევ ერთი ზეპირად დასწავლილ რუსულ ლექსს მოუყვა. თალიკო დიდის წვალებით კითხულობდა ლექსებს. მის სახეს არავითარი გამომეტყველება არ ეტყობოდა. სიტყვები არ ესმოდა და თუთიყუშივით სრულიად შეუგნებლად ლაპარაკობდა.

— აბა, ახლა ქართული ლექსები მითხარი, — ნაზი ალერსით და დამშვიდებული ხმით უთხრა აკაკიმ.

ამ სიტყვებზე თალიკომ დედას შეხედა, თითქოს უნდოდა ეკითხა, რატომ არ მასწავლეო. მაგრამ დედამ შვილს თვალი აარიდა და მორცხვად თავი ძირს ჩაღუნა. მგოსანმა კი მძიმედ ამოიხვნეშა და განცვიფრებულს პატარა ქალს თავზე ხელი დაუსვა.

ვინ იცის, მაშინ რას ფიქრობდა მგოსანი? როგორი სულის ტკივილებს ჰგრძნობდა, როდესაც ხედავდა, თუ როგორ ამახინჯებდნენ ნაზი არსების ბუნებას! როგორს შეუფერებელს პირობებში ზრდიდნენ ამ ანგელოსს! ნეტავი პატარა გოგონას!

ეს სურათი ახლაც თვალწინ მიდგია, როდესაც ვხედავ ჩვენს ოჯახებში უკუღმართ სწავლა-აღზრდის წესებს. უკუღმართს, ვამბობ მიტომ, რომ ბევრს მშობლებს არა აქვს შეგნებული აღზრდის ძირითადი კანონები და თვითონვე ამსობენ ნორჩ არსებაში ყოველივე კარგს, ყოველივე ნათელს.

ვაი იმ ბავშვებს, რომლის ჭკუა-გონებას შეუგნებლად რკინის სალტა შემოაკრეს და მით დაუბნელეს მაღალი გრძნობების გამაცისკროვნებელი შუქი; მშვენიერების აღმაფრთოვანებელი ძალა გულში გაუჭრეს, დაავიწყებიეს მოძმის და სამშობლოს სიყვარული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ასეთ ბავშვს კიდევ შესწევს ძალა მშვენივრათ გაიაროს საშუალო სასწავლებლის კურსი. დაამთავროს უმაღლესი სასწავლებელი და „იარლიკით“ ხელში დაბრუნდეს შინ, მაგრამ, დააკვირდით თქვენ მის ცხოვრებას და თქვენც შეამჩნევთ, რომ რაღაც დიდი დანაკლისის ბეჭედი აზის მთელ მის ცხოვრებას. სიცოცხლეს. მას კარგად შეუსწავლია სხვადასხვა საგნები და ნიჭიც ხელს უწყობს ემსახუროს, როგორც თავის სამშობლოს, ისე მთელს კაცობრიობას. მაგრამ დახეთ უბედურებას! მას დაუკარგავს მუშაობის ხალისი, თავისი თავი ობლად დაუსახავს, ცხოვრებას გაურბის, თითქოს მისი ეშინიაო. საერთო საქმეს არ თანაუგრძნობს და არც მჭიდრო კავშირს იჭერს საზოგადოებასთან. ის მას გაურბის. წმინდა იდეალები მას გულს არ უხალისებს, მერმისი გულს არ უხარებს და რაღაც გამოურკვეველის აპატიით შეჰყურებს ყველაფერს. ვერ წარმოიდგენთ რა რიგ საცოდავია ასეთი ყმაწვილი! და ვინ იცის, რამდენი ყავს ჩვენს კურთხეულს სამშობლოს ასეთი შვილები?!. რა აკლია, იკითხავთ, ამ ყმაწვილს? რა უწყალებს გულს? რა ხვევს მას ცხოვრების ბურუსში? რით არ გრძნობს თავისთავს მთლიან ერთეულად? რათ არ ეტანება სასარგებლო შრომას სამშობლოსა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ? ამის პასუხი ერთია და მეც ამაზე გიპასუხებთ გამოჩენილი პედაგოგის პირით: ასეთს ყმაწვილს არ აქვს ის შინაური ძალა, რომელიც ყოველ ცოცხალ არსებას თანამოძმის სარგებლობაზე მუშაობის ხალისს უღვიძებს. მას აკლია მსოფლიოსა და კაცობრიობის სიყვარული. მას არ აქვს ცხოვრების

ცოცხალი ინტერესი. მას არა აქვს ცხოვრებასთან ის კავშირი, უროშლისოდაც არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია წმინდათ შეინახოს ჩვენში რწმენა საუკეთესო მერმისისა.

თუ ყმაწვილს ხასიათი აქვს და თანაც საქმის კეთება ეხალისება, ის ამ შემთხვევაში თავის თავს არ მოაწყენს ცხოვრებაში. მას შეუძლია ჰპოვოს სიამოვნება ბუნებაში, ხელოვნებაში და ყოველთვის იშოვის თავის შესაფერ სამუშაოს. როგორი აუტანელიც არ უნდა იყოს ის პირობები, რომელშიც მას მოუხდება მუშაობა, ვინც უნდა გადაეღობოს წინ მის წმინდა იდეალებს, ყმაწვილს ყოველთვის შეუძლიან მათთან ბრძოლა, სულით არასოდეს არ დაეცემა, ცოტათი თუ ბევრად თავის მიზანს მიუახლოვდება და მით ჰპოვებს ცხოვრებაში უმაღლეს ბედნიერებას. ასეთი შრომა არის საჭირო ადამიანისათვის, ასე შრომობენ განათლებულს ქვეყნებში და მხოლოდ ასეთს შრომას შეუძლია მისცეს საშუალება საზოგადოებას, ხალხს, მთელს კაცობრიობას გააუმჯობესოს თავისი ცხოვრება

ამიტომ არის საჭირო თავიდანვე ჩავუნერგოთ ბავშვს ის საღი, მთელი შრომის საყვარელი ხასიათი, რომელიც კეთილად ქმნის ყოველს პატიოსანს შრომას და ანიჭებს ადამიანს უმაღლეს ნეტარებას, სიტკბოებას. ამიტომ იყო, რომ თავს სწირავდნენ სწავლა-აღზრდის საქმეს კომენსკები[2], პესტალოცები[3], ლოკკები[4], დისტერვეგები[5], ლიუტერები[6], ჟან-ჟაკ რუსოები[7] და სხვა და სხვა, რომლებიც ასწავლიდენ კაცობრიობას იმ ძირითად აღზრდის წესებს, რასაც შეეძლო მიემატებინა ჩვენი ცხოვრებისათვის ბრჭყვიალა მოციმციმე ვარსკვლავები.

პედაგოგიკისა და დიდაქტიკის ეს გენიოსები ხმამაღლა გაიძახოდნენ, რომ ადამიანისათვის არ კმარა ჭკუის ფორმალური განვითარება, ცოდნის შეძენა. ამასთან ერთად აუცილებელს საჭიროებას შეადგენს და დედა-ბოძად უნდა დაედოს ბავშვის ფსიხიკის მაღალ გრძნობების და წარმოდგენის განვითარება, რომლებიც თავის თავად ადამიანს უმტკიცებს ხასიათს და პატიოსან შრომისათვის ახალისებს. აი, სწორედ ამ ხასიათის განმტკიცებას, რომელიც ადამიანში ბადებს საქმის გაკეთების ხალისს, უღვიძებს ინტერესს და გემოვნებას ცხოვრებაში, უღვიძებს უნარს ჰპოვოს ცხოვრებაში სიამოვნება, დასტკბეს ბუნების და ხელოვნების სიმშვენიერით, მიაქციოს ყურადღება თავის განვითარებას და მოძმის სამსახურს— აი ასეთი ხასიათის და გრძნობების განმტკიცებას ჰქვია ესთეტიური აღზრდა...

ამ აღზრდას თავიდანვე უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, რომ ადამიანი საზოგადოების სასარგებლო წევრი შეიქნეს: მაგრამ რა გზით, რა საშუალებას უნდა მივმართოთ ამ მიზნის მისაღწევად? ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ვსარგებლობთ პოეზიით, იმ პოეზიით, სადაც ხელოვნურათ არის დასურათებული მაღალი გრძნობები, მისწრაფებანი. იმ პოეზიით, რომელიც გვასწავლის გავარჩიოთ ბნელი სინათლისაგან, სიკეთე ბოროტი-

საგახ, გვასწავლის მოძმისა და კაცობრიობის უანგარო სამსახურს, გვავიწყებინებს დღიურ ჰირ-ვარამს, დაგვაფრენს ოცნების მხარეში და მით გვიქარვებს მწუხარებას, ასეთი პოეზია შექმნა აკაკი წერეთელმა და ჩვენ, პედაგოგებს, მოგვცა ფასდაუდებელი განძი ბავშვების აღსაზრდელად. არც ერთი ქართველი მწერალი ისე არ შეგვიძლია ჩავთვალოთ ბავშვების აღმზრდელად და ნორჩი გრძნობების განმავითარებლად, როგორც აკაკი. მისი პოეზია ცხოვრების სახეს ფერუმარილით არ კაზმავს და გვიჩვენებს ნამდვილს ბუნებრივს სიმშვენიერეს, სინათლეს.

მაგრამ ისეთს დიდ ნაწარმოებში, რომლებიც აკაკის შემოქმედების ნიჭს ეკუთვნიან, ჩვენ ვგრძნობთ და ვსარგებლობთ არა მარტო ესთეტიურ აღმაფრენით. არა, ჩვენ მასში ეხედავთ მთელი მსოფლიოს მხიარულებას და ტანჯვას, ჩვენ მასში ვპოვებთ კაცობრიობის გრძნობების და სურვილების მისწრაფებას და ჩვენც საშუალება გვეძლევა მის პოეზიაში ამოვკრიბოთ აუარებელი მასალა ბავშვის ზნეობის გასაფაქიზებლად, მის სწორ გზაზე დასაყენებლად.

როდესაც ბავშვს გული ნაზად აუძგერდება პოეზიის სიმშვენიერით და მისი ბუნება აღფრთოვანებულია და გაცისკროვნებული ამაღე პოეზიის ჰეშმარიტი სილამაზით, მაშინ ჩვენ შეგვიძლია მის ნორჩ გულში ღრმად ჩავნერგოთ სიყვარული, მაღალი გრძნობები, რომლებიც მრავლად არიან ჩაქსოვილი აკაკის მხატვრულ ნაწერებში. ამ რიგათ აკაკის პოეზია სავსებით აღწევს ამ დანიშნულებას. აკაკის პოეზიაში მხატვრულს სიმშვენიერეს ცოცხალ ქსელათ აქვს ჩაწნული იდეური, მაღალ — ზნეობის ასამაღლებელი, წმინდა გრძნობები. მგოსანს მხატვრული სიმშვენიერე საშუალებად გადაუქცევია, და მიზნათ ჰეშმარიტება, ზნეობის გაფაქიზება დაუსახავს. ამ მხრივ მგოსანი საესებით უახლოვდება რუსეთის ფილოსოფოსის ვლადიმერ სოლოვიოვის[8] აზრს: „მხატვრული სიმშვენიერე ის ფორმაა, რომელიც უფრო ღრმათ აგრძნობინებს ადამიანს ჰეშმარიტებას და სიკეთეს“. დიახ, ღრმათ ხვდება სულსა და გულს აკაკის პოეზია და უღვიძებს კეთილ გრძნობებს, როგორც ბავშვებს, ისე დიდებს.

* * *

საჭიროა, რომ ბავშვს აკვანშივე ვაგონებდეთ სამშობლო ენის ტკბილს ხმებს და როდესაც ბავშვი ტიტინს დაიწყებს და გაიგებს ჩვენს ნალაპარაკევს, მაშინ საჭიროა უამბოთ მას ზღაპრები, ადვილ გასაგები პატარა მოთხრობები, სასაცილო არაკები და სხვა. ჩვენ ხშირად გვქონდა შემთხვევა დავრწმუნებულიყავით, თუ როგორი ინტერესით უგდებენ ყურს პატარა ბავშვები, როდესაც მათ ადვილ გასაგებს საინტერესო რამეს უამბობენ, თქვენ უნდა უყუროთ, თუ როგორ ცდილობენ მერე თვითონვე მოყვენ, რაც გაიგონეს და ამნაირათ ეჩვევიან სწორს ლაპარაკს, თანაც უღვიძებათ სიმშვენიერის სიყვარული, უკავშირდებიან საზოგადოებას და მასთან ერთად მთელ მსოფლიოს. ამ დროს ჯერ კიდევ სანამ ბავშვი ანბანს ისწავ-

ლის. ბეტად საჭიროა ასწავლოთ დიდებული მგოსნების პატარა ლექსები. დაე. ამ ლექსებს სავსებით ნუ გაიგებენ. მაგრამ ხომ მიეჩვევიან მშვენიერ რითმას, ცეზურას, ლამაზ სიტყვებს, მხატვრულ გამოთქმას და ამნაირათ ბავშვობიდანვე შეუმჩნევლად განავითარებენ გემოვნებასა და შეიყვარებენ პოეზიას.

ამ შესახებ აკაკის ნაწერები ფას-დაუდებელი რამ არის ბავშვების სწავლა-აღზრდაში, ამას გრძნობდა მგოსანიც, როცა მატარებელში პატარა თალიკოს ეუბნებოდა: „აბა, ქართული ლექსი მითხარი. რა იცით?“ ჩვენ არას ვიტყვით მის ენის სილამაზეზე, ხმოვან მუსიკალურ ლექსთა წყობაზე. ბე ბსოლოდ აღვნიშნავ, რომ ბევრს მის ლექსს და სხვა ნაწერებს სარჩულათ დიდი ზნეობრივი და აღმზრდელობითი იდეა აქვს. აი, მაგალითად, ავიღოთ აკაკის „პატარა ტარიელი“.

მოთხრობას „პატარა ტარიელს“ დამრიგებელ-აღმზრდელობითი ხასიათი აქვს. ამ მოთხრობის გმირს დიტო ცალქალამანიძეს[9] გაიტაცებს „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა და ისიც თავისთავს ტარიელს[10] შეადარებს და ნესტან-დარეჯანად[11] ერისთავის ქალიშვილს თინას[12] დაისახავს. დიტო ოცნებას ეძლევა და სწავლაზე გულს იცრუებს, თავ-გასულობას მოუმატა და მეზობლებს თავი მოაბეზრა. „იმ უბანში, სადაც ცალქალამანიძის ოჯახი იყო, მოსვენება აღარავის ჰქონდა მისგან: კატა არსად გაეცეოდა: ვისიც უნდა ყოფილიყო, თვალს მოჰკრავდა თუ არა, გამოუდგებოდა, დაიჭერდა, ხან კოცნიდა, ხან კედელს ახლიდა. ვითომ ტარიელის ვეფხვ-ლომებიაო. პატარა ლეკვებსაც აწვალებდა, შორიდან ესვროდა ხოლმე ქვებს; პატარა ბიჭებს. რომელსაც კი დაიბრიყვებდა, უმიზეზოთ და უწყალოდ ანარცხებდა მიწაზე“.

ამასთანავე დაიწყო ტრაბახობა, „იგინებოდა“, იბერებოდა და სწავლაში კი თან და თან იჩუტებოდა. ამ ხანებში თინამაც აიცრუა გული სწავლაზე. გამართა დიტოსთან მიმოწერა და ვერის სასაფლაოზე საღამოობით იბარებდა. ერთს საღამოს, როდესაც დიტოს და თინას ხანგრძლივი ტიტინის შემდეგ სასაფლაოზე დაღამდათ, უცბათ სასაფლაოს ქვიდან თვალგამოკუსულმა ბაყაყმა დაიძახა „ტყვიაო“. ბაღშვები შეკრთენ. აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედეს, ვერავინ დაინახეს. ბაყაყმა სამჯერ კიდევ დაიძახა: „ტყვია, ტყვია, ტყვიაო“! ბავშვები შეკრთენ, აკანკალდნენ. თინას გული შეუწუხდა, პატარა ტარიელი დიტო დაფრთხა, იკადრა ტარიელობაზე ხელის აღება, დაავიწყდა მისი ნესტან-დარეჯანი, მიატოვა გულწასული თინა და მოკურცხლა შინისაკენ. იმ დღიდან რცხვენოდა თინას შესედრა და სირცხვილით თავს ვერსად ყოფდა. ამხანაგებმა გაიგეს და დასცინოდნენ. დიტო საშინლად სწუხდა თავის საქციელს. ის გრძნობდა თავის დანაშაულს, მაგრამ არავინ ჰყავდა პატარა დიტოს სწორ გზაზე დამყენებელი. იმ გიმნაზიაში, სადაც დიტო სწავლობდა, ერთი ქართველი მასწავლებელი იყო. ამან შეატყო დიტოს ცვლილება, დაიბარა თავის ბინაზე, ყველაფერი გამოჰკითხა და შემდეგ მეგობრული რჩევა-დარიგება მისცა. მას-

წავლებელმა აუხსნა დიტოს სწავლის სარგებლობა, განუმარტა, რომ საჭიროა სამშობლოსათვის ტარიელ-ავთანდილობა![13], მაგრამ მათ ეხლა ფიზიკურ ძალას კი არ უნდა მიმართონ, როგორც ძველად იყო, არა, „ღღეს სწავლა-მეცნიერებაზეა ყოლიფერი დამოკიდებული; მკლავის ძალა გრძნობა-გონების ძლიერებით შეიცვალა, ფარ-ხმლის ადგილი ენამ დაიჭირა და მშვილდისრისა — საწერ-კალამმა“, მასწავლებლის ამხანაგურმა დარიგებამ დიდი გავლენა იქონია დიტოზე. „სასიკეთილოდ თავგადადებული ბავშვი გამობრუნდა, გამოცოცხლდა, გაუსვა სწავლას ხელი და ოქროს მედლით გაათავა გიმნაზია. შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი და დაუბრუნდა თავის სიყვარულის ღროს არჩეულს სატრფოს, რომელმაც აგრეთვე გამოჩინებით დაათავა სასწავლებელი. ეს მშვენიერი მოთხრობა ვინ იცის რამდენ ყმაწვილს დაანახვებს ცხოვრების ცუდ მხარეებს, დააყენებს სწორ გზაზე და შეაჩვევს საქმის მუყაითობას.

ახლა თვალი გადავავლოთ მის შესანიშნავ არაკს „ალექსის“, სადაც ბეროსანი გვასწავლის დაჩაგრულთა თანაგრძნობას.

„ცხრა მთის გადაღმა იდგა პატარა ლამაზი გორა, რომელიც მუდამ თავის სიმაღლიდამ რაღაც მოლხენით დამზერდა ჭალას“. ეს საუცხოო მხარე ეკუთვნოდა ერთს მშვიდობიანს ცხვარს. ერთს ხანს ცხვარს არაფერის შიში არ ჭონდა და ისიც უზრუნველად დანავარდობდა მინდორ ტყეებში. მაგრამ როდესაც გაიგო, რომ მას დამონებას უპირებდნენ სხვა მხეცები, ცხვარმა თადარიგი დაიჭირა. მან გალავანი შემოაკრა თავის სამფლობელოს და მტერი კუდამოძუებული გაისტუმრა. ამ დროს ცხვარს ეყოლა კრავები, რომლებიც „სილამაზითა და სინაზით ერთმანეთს სჯობდნენ“. როდესაც ცხვარი თავის არემარეს გასცილდებოდა და შორს წავიდოდა საძოვრად, შვილებს დაუბარებდა — კარები მაგრად ჩაეკეტათ. გაუმაძღარმა მგელმა ბოინდომა კრავების შეჭმა. ის მიადგა გალავანს და მოტყუებით უნდოდა შიგნით შესვლა. კრავებმა გაუგეს ეშმაკობა და მგელი იძულებული გახდა უკან წასულიყო. მაგრამ მგელმა ისარგებლა კრავების გამოუცდელობით და გაიგო, რა ნიშნით უღებდნენ კარებს თავის დედას კრავები. როდესაც მეორედ მოადგა მგელი გალავნის კარებს „ბე ბეკეკე“ სამჯერ შესძახა. კრავები მოტყუვდნენ, კარები გაუღეს ნადირს და ბოროტმა მგელმა გადაყლაპა „ნიკორაები“. შემდეგ მუცელგამობერილი მგელი წავიდა სახლში ძუნძულძუნძულით. დაბრუნებულმა ცხვარმა დროზე მოასწრო მგელს, „ამოჰკრა ფაშვში მრისხანემ რქები, გააპო ჩქარა და გამოყარა ისევ ცოცხლები თავისი შვილები“. ამ ნაირათ ცხვარმა მგელი მოიგერია, მაგრამ მელამ კი დაღუპა. ამან შეაჩვია ცხვრის ადგილ-მამულში მურა, ჯერ სტუმრად მოიკატუნა თავი და მერე მურას დახმარებით გაბატონდა და მონათ გაიხადა ცხვარი. მას აქეთ „დადუმდა ცხვარი, ძირს თავდახრილი! იწყო ტირილი... დღესაც არ შრება იმის ცრემლთ ღვარი! ....იმ არემარეს ჩაგრულს. მწუხარეს გულმოსაკლავად რწყავს ის ცრემლთ ღვარი... და რომ შეაშროს ის ცრემლი ერთ დროს, მისთანა გმირი ჯერ არ-

სად არის“. აი, როგორი ფაქიზი გრძნობით ეკიდება აკაკი მოტყუებულს კეთილს ადამიანს, ადამიანს და მასთან ერთად ესეც განიცდის მის ტანჯვას და ჩვენც გვასწავლის დაცემულის სიყვარულს. უდანაშაულო ცხვარი ჩვენში სიბრალულს იწვევს და ვინ იცის ახლა საბრალოს მოტყუებულს და დამონებულს რა საზიზღარ ბრალდებას ახვევდნენ თავზე. შეიძლება ესლაც უძახის რუხი „მგელი მის კრავს: „ხმა გაიკმინდეთ, შენ დამნაშავე ხარ იმიტომ, რომ მე წყალი მწყურიაო“.

მეტად ღრმა აზრი და იდეა აქვს სარჩულათ აკაკის თითქმის ყოველ ლექსს, მოთხრობას, დრამას და სხვა. თქვენ მის ნაწერებში ჰპოვებთ საუცხოო სურათებს, ადვილად გებულობთ დედა-აზრს და ამავე დროს ფილოსოფიური აზრი პოეზიის სილამაზეს არ ჩრდილავს.

ეს არაჩვეულებრივი მხარე აკაკის გენიალური შემოქმედებისა თქვენ თვალწინ გიშლით წიგნს, გამცნობთ ადამიანის გულის წმინდა საიდუმლოებას და გაყვარებთ კეთილს. მისმა მუზამ არ იცის არც სივრცე და არც დრო და არც მის პოეტურს „პროგრამას“ აქვს საზღვარი. მგოსანს შეუძლია მოთქმაც და თავდავიწყებული მხიარულებაც, ტკბილი ლოცვაც და მხიარული სიმღერაც, ამიტომაც არის, რომ ის ბულბულის სტვენასაც ახერხებს და ყორნის ჩხავილსაც, „ჟირში ზარს იტყვის საცრემლოს და ლხინში მრავლ-ჟამიერს“, „მაქებარია ერთგულის და მგმობი ქვეყნის მტერისა“, მას უყვარს სამშობლო, მაგრამ სახატედ მთელი ქვეყანა დაუსახავს.

ამრიგად, აკაკის პოეზიას თქვენ ამჩნევთ მრავალფეროვნებას, რომელშიც ისახება მგოსნის საყვარელი სახე, სახე მისივე შექმნილი სატრფოსი: ეს სახე იპყრობს მთელ მის არსებას და მგოსანიც მის სამსახურშია, მის შესახებ გულახდილად ამცნობს მსოფლიოს სერიოზულ ზნეობრივს გულის წადილს, მაღალ გრძნობებს, მისწრაფებას, ყველა ამას ზეციურ ჰანგებში ადნობს და ისე უგალობს მომაკვდავთ ციურს ხმებს. მის ნაწერებში თითოეულ ფეხის გადადგმაზე გესმით სიყვარულის და სიმართლის აღფრთოვანებული სიმღერა. სულ ერთია, სადაც უნდა იყოს მგოსანი, რასაც უნდა უმღერდეს, თქვენ ყველგან გრძნობთ ესთეტიურ სიმშვენიერესთან ზნეობრივს სულის სიტკბოებასაც. აი, თუ გნებავთ, გაყევით მგოსანს მთის მწვერვალისაკენ, სადაც მერცხლის ბუდესავით პატარა ფაცხა მოსჩანს. აქ, ამ ფაცხაში პოეტი გვასწავლის სულგრძელობას, მეგობრის სამსახურს და თუ კაცმა ბოროტება ჩაიდინა, მას მგოსანი აგრძნობინებს სინდისის ქენჯნას, რომ სიკვდილამდე ეყოს საკვნესად, აი, თქვენ წინ სვიმონ შაყაშვილი[14], გაიძვერა და გაუტანელი კაცი, მოძმის სისხლსა სვამს, სამშობლოს მტრათ გადაქცევია, მაგრამ მგოსანი მას თავს არ ანებებს და სასტიკად სჯის მას.

სულ ერთია, სადაც უნდა იყოს მგოსანი, ის ყველგან ჰპოვებს კარგს. მგოსანი არასოდეს იმედს არ ჰკარგავს და როგორი დაცემულიც უნდა იყოს ადამიანი, გულში მაინც ისახავს მის აღდგენის იმედს. ამიტომაც

არის, რომ აკაკი ხშირად ტკბილათ ეალერსება ხალხს და საოცარის ლმობიერი ყურადღებით ეპყრობა, ვინც უნდა იყოს. მართალია, მის ნაწერებში თქვენ შეხვდებით მკაცრ ირონიას, მაგრამ ეს ირონია არასოდეს არ შეურაცხყოფს ადამიანის პიროვნებას, ხელს არ ახლებს მის წმიდათა წმიდას. ირონიას და საზოგადოთ მწარე ენას მაშინ მიმართავდა ხოლმე მგოსანი, როდესაც ხედავდა უკუღმართობას და გრძნობდა მოძმის დამცირებას. მაგრამ თუ მის წინ ცოდვას მოინანიებდნენ, მგოსანი ყოველთვის სულგრძელობას იჩენდა და დანაშაულს აპატიებდა. მისი ხან დახან მკაცრი საქციელი, მისი მწარე ეპიგრამები, მიმართული სიმართლის აღსადგენად. არავის პიროვნებას არ შელახავდნენ, შურს გულში არავის უტოვებდნენ და კიდეც ამიტომ არის, რომ აკაკის პოეზიას აზის დაღი მთელი კაცობრიობის, თანამოძმის სიყვარულისა.

დიახ, კაცობრიობის და მოძმის სიყვარული, დაჩაგრულის, დაცემულის ფეხზედ დაყენება, სამშობლოს უანგარო სამსახური და სხვა მაღალი გრძნობები წითელ ზოლივით გასდევს მთელ მის პოეზიას და მგოსანიც ვეღარ ეტევა ვიწრო, ეროვნულს ფარგლებში და მსოფლიო მწერალთ გვერდში უდგება.

მგოსანს „ყოველთვის კარგი სურს, ბოროტების მტერია... და მით ბედნიერია“, „არ უშვებს გულში შურს“, რადგან კარგად იცის, რომ, როდესაც გულში შური შევა, „მაშინ სულიც დასნეულდება“, ეს კი პოეტს მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნია.

ამიტომაც არის, რომ აკაკის ასე უყვარს უბრალო, მართალი გულის ადამიანები, რომლებიც შურის ძიების შხამს გულში არ ატარებენ. არ მელაკუდობენ და პირში მთქმელნი — მტერზედაც პირდაპირ მიდიან.

თქვენ განცვიფრებაში მოდიხართ, როდესაც ხედავთ, თუ როგორ დიდს სულგრძელობას იჩენს აბდუშაჰილი[15], ეს უთვისტომო ადამიანი. ის ქურდულად არ ეცემა თავის მტერს ბაში-აჩუკს[16] და როდესაც პირი-მზისა[17] გაეცნობა აბდუშაჰილს, რომელსაც სიტყვას ართმევს, იარაღი არ იხმაროს და წაიყვანს გამოქვაბულში, სადაც ბაში-აჩუკია, იქ აბდუშაჰილი არ სტეხს ვაჟკაცის სიტყვას და დაინახავს რა ბაში-აჩუკს, ერთხანს გაოცდება, გაშტერებული შეჰყურებს მას, შემდეგ ხელებს მაღლა აპყრობს და ამბობს: „დაილოცა ღმერთო, შენი უცნაური განგება! ვეძებდი როგორც მტერი და შევხვდი როგორც მოყვარე!“ დაუკვირდით ამ სცენას და თქვენც იგრძნობთ, რომ რაღაც დიდსულოვანი, მტკიცეთ სიტყვის შემსრულებელი არის ეს უთვისტომო აბდუშაჰილი. მის გულს შხამი ამოუღეცხია და არ სტეხს სიტყვას. ახლა მოიგონეთ მისი სიყვარული, როდესაც შუაზე გაჩეხილს საყვარელს ქალს ნახავს და თავის დათ წოდებული პირიმზისა ჰგონია, ის მაშინ საოცრად დაიყვირებს, რეტი ესხმის და როდესაც გონს მოვა, უსულო გვამს ცხარე ცრემლს აფრქვევს და მერე იქ-

ვე წყაროს ახლოს თავის დაუვიწყარ განძს საიდუმლოთ სამარეს აბარებს.

ამდენ ხანს განგებ შევჩერდით აბდუშაჰილზე. მე მსურდა დამენახვებია, თუ როგორ ახერხებდა აკაკი ამ გადაგვარებული ადამიანის წმინდათა წმინდაში ჩაეხედა, ბრწყინვალე შუქით გაენათებია და ემცნო ჩვენთვის მისი სულის საუკეთესო თვისებები. ამ მხრივ აკაკიმ არ იცის არც დრო და, როგორც ადრე ვსთქვით, არც სივრცე. ის აღადგენს წარსულ დროს, გადასრიალდება უცხო მხარეს და იქ უცხო ტომებში მოსძებნის მაღალ გრძნობებს და აღადგენს უთვისტომოს. ერთი საუკუნიდან სხვა საუკუნეში გადაეა და იქ სჭვრეტს ბუნების და ადამიანის სიმშვენიერეს. ბიძინა ჩოლოყაშვილი[18], ეს ბუნებისაგან უნაკლულოდ შემკული ადამიანი, ხომ წარსულ საუკუნეებში იყო მიმალული, მაგრამ აკაკიმ ის მოძებნა, გააცოცხლა და მამულიშვილისათვის თავდადებულ გმირს თავისი ძმური სალამი უძღვნა.

* * *

აკაკისათვის ყოველი ადამიანი მშვენიერებაა, თუნდაც ეს ადამიანი დაცემულიც იყოს, თვით მიეთ-მოეთს ჯანდიერს[19], რომელიც „აქითაც" არის და „იქითაც", დროს შეყურებს... ხან წაღმა ხნავს და ხან უკუღმა ჰფარცხავს". აკაკი არ ეპყრობა სასტიკად და უცდის მასში სინიდისის გაღვიძებას. დადგა დრო, ჯანდიერი გონს მოდის, მასში სინდისი იღვიძებს და ისიც მოძმის საკეთილდღეოდ იბრძვის. ამისთანა ჯანდიერები ბევრი ჰყავს მგოსანს ნახსენები, მათ თავს არ ანებებს და თავისი ლამაზი, მომხიბველი ჰანგებით უღვიძებს მიძინებულ სინდისს და ამ რიგათ აყავს თავისი თაყვი მგოსანს აღზრდის მისიის უმაღლეს მწვერვალზე.

გრძნობით სავსეა გული სხვა მხარეს გადახვეწილი მკურნალი თურმანიძისა[20], რომელიც ზურაბ წერეთლის[21] რისხვას გაექცა იმერეთიდან და სათათრეთში თავი შეაფარა. მკურნალი თავის სამშობლოს არ ივიწყებს და, რა დაინახავს თავის მოძმის შვილს, „ძმობას" უცხადებს და ძმურ მზრუნველობას იჩენს.

„კიკოლას ნაამბობში" ჩვენ ვრწმუნდებით, თუ როგორ მოსწონს აკაკის გულწრფელი, შეუმჩნეველი გმირები, როგორიც არიან კიკოლა[22], ქაიხოსრო[23] და სხვ. ეს გმირები პოეტს იმედს აძლევენ და ამართლებენ მის გულის ნადებს და ჩვენ გვჯერა, რომ ზნედაცემულ ზურაბთან ერთად არიან კეთილი ადამიანები, რომლებიც ცხოვრებას გვაყვარებენ.

აკაკი ჩვენ გვაცნობს ზნეობით მაღალს თორნიკე ერისთავს, რომელიც ომის დროს ლომივით იბრძვის, მტერს რისხვას სცემს, მაგრამ, რა შესწყდება ომი, თორნიკე ლმობიერათ ეპყრობა მტერს და აძლევს ბრძანებას:

..... განურჩეველად
ჭართეელი იყოს, გინდა სპარსელი,
გინდა ბერძენი, გინდა სომეხი,
სულ ერთიანად მოჰკიდეთ ხელი,
სიკვდილი ყველას ათანასწორებს,
თეისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს!
ვეცადოთ ყველამ და ნუ დააკლებთ
დაჭრილებს მოვლას და მკედრებს სამარეს,
ნურვინ გაბედავს დატყვევებულებს
რომ მიაყენოს შეურაცხყოფა!

ასე ისურვა დიდმა სარდალმა თორნიკე ერისთავმა და ეს სურვილი იყო მთელი მხედრობისა. აქ თქვენ თორნიკე გასწავლით კაცთმოყვარეობას, გვაყვარებს ბედისაგან დაჩაგრულს, თორემ „ლხინში მყოფი, რომ შენ ძმათ მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია, კაცი ის არის, შენც ის გიყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“[25].

აკაკი ჯერ დაასურათებს ცხოვრებას და შემდეგ გიამბობს, თუ რა შედეგი მოყვება „კეთილს“ და „ბოროტს“ ცხოვრებას. მგოსანი თქვენ გაგაცნობთ ორ ძმას „ერთგულს“ და „ორგულს“. „პირველი ქვეყნის სამსახურში და ერთგულებაში გაღარიბებული და მეორე კი ორგულობით გამდიდრებული. უმეტესობის ჭკუა თვალშია და რაც შიგ არ ეჩხირება, მას ვერ ხედავს! „ორგულს“ ზოგი სიბრიყვით, ზოგი შიშით და ხათრით, ზოგი ანგარიშით პატივსა სცემდნენ და ხელს აფარებდნენ: „ერთგულა“ კი ყველგან და ყველასაგან უსამართლოდ იჩაგრებოდა. ასე ლევდენ ეს ძმები თავის დღესა და სოფელს. ერთად დაიხოცა ორივე ძმა. „ორგულა“ იგლოვა ხალხმა, დიდი პატივით დაასაფლავა და მარმარილოს ფიქალი დაადვა ლოდათ. „ერთგულას“ სიკვდილი კი ბევრს არ შეუტყვია. არც არავის უგლოვია: აიღეს, ჩაავდეს საფლავში და მიაყარეს მიწა სამადლოდ.

მეორე დღეს გაიარეს მწყემსებმა და ნახეს, იმ ახალ საფლავთან ამოსულა უცხო ბუჩქი, რომელსაც მშვენიერი ყვავილი გამოუღია და ზედ ბულბული დაჩიკჩიკებს. ის ბუჩქი იყო გვამი „ერთგულასი“, ყვავილები — მისი ქველი საქმეები და იმ ყვავილებს ფერს აძლევდა შიგ გამჯდარი, ქვეყნის საერთგულოდ დანთხეული სისხლი და ოფლი. მისი ანგელოზიც ბულბულად შემოსხდომოდა და უგალობდა მის სულს. ნახეს, გაუკვირდათ და თქვეს: „ეს რა მშვენიერება რამ ამოვარდნილა საფლავიდან ასე უცქრათო“?

თქვეს და დაარქვეს იმ ბუჩქს „ვარდი“. იმ ხანებშივე ზოგიერთებმა შენიშნეს, რომ „ორგულას“ საფლავზეც რაღაც მყრალი ბალახი ამოსულა და მწარედ იჩხვლიტებიან, ლოდს ქვეშ დაუბუდებია ბაყაყებს და საზარელი ხმით ყიყინობენ. ის ბალახი იყო „ორგულას“ გვამი, მყრალი სული მისი ქვეყნიური ღვაწლი და ბაყაყიც — ეშმაკი. ნახეს და გაუკვირდათ! თქვეს: ეს რა საშინლად იჩხვლიტებაო? თითქოს კაცსა ჰკლავენო! თქვეს და დაარქვეს „ეკალი“.

ეს საუცხოო ზღაპარი თქვენ გასწავლით ცხოვრებას, თქვენ ნათლად ხედავთ ამ პატარა ზღაპარში, თუ რა შედეგი მოყვება იმ კაცის ღვაწლს, ვინც მხოლოდ პირად „მე"-ს ემსახურება და მოძმისათვის არ ფიქრობს. ამისთანა კაცი ხომ კვალს არ აჩენს ცხოვრებაში და სიკვდილის შემდეგაც კი ზიზღით იხსენიებს მას შთამომავლობა. ხოლო ის ადამიანი, რომელიც მოძმისათვის თავს დებს, არასოდეს არ გაქრება ხალხის ხსოვნაში და მადლიერი შთამომავლობა მის საფლავს დახარის, სიამოვნებით იგონებს მის კეთილს საქმეებს და ბულბულიც უგალობს მის წმინდა საფლავზე ამოსულს ვარდს.

მგრძნობიარე გული ხათელასი[26] ვერ შეიგებია ლხინს იმ დროს, როდესაც „დაჭრილთა კვნესა და ქვრივ-ობლების ღრიალი" ისმის. ქვეყნის მტერსა და ვნების ამყოლს ბინძურ ნოინს[27] ნათელა ასწავლის სულგრძელობას, ზრდილობას და გაბედულათ, უშიშრათ ეუბნება, როდესაც უწმინდურ ნოინს, მშვენიერ ნათელას დანახვაზე წასძლია სულმა და აუძგერა გული ვნებათა ღელვამ:

შეჩერდი!.. ნუ მოხვალ!
რომ დაიმშვიდო სჯობს გული;
შენს სატრფიალოდ არა ვარ
ამ სიშორს-შორით მოსული!...
სათხოვარი მაქვს წმინდა რამ!...
მოგენდვე წმინდის გულითა!...
ნუ შეურაცხყოფ კაცობას,
ნუ დამდაბლდები სულითა!
ნუ შფოთავ! დაჯექ, დაწყნარდი,
და მოისმინე ვედრება!
სულგრძელობასთან ზრდილობას
ან რა სჯობს, ან რა ედრება?!....

ამ სიტყვაზე ნოინიც გონზე მოვა, მასში სინიდისი იღვიძებს, „უცხრება ვნებათა ჩვეული გული, უქრება სურვილი და ჟინი" და ხმის კანკალით უსმენს ნათელას და სწავლობს მისგან მაღალ ზნეობას. აქ მგოსანი, ვიმეორებ, იმედს არ კარგავს ადამიანში, ვინც უნდა იყოს იგი, რა ტომსაც უნდა ეკუთვნოდეს, ყველას ლმობიერათ ეპყრობა და უღვიძებს მიძინებულ სინდისს. მგოსანმა ნოინი სრულიად გარდაქმნა. ნოინმა, რომელსაც ეგონა, რომ ქალი მარტო ვნებისათვის იყო შექმნილი, ნათელას სიტყვებზე „იგრძნო რაღაც ციური, მიუწვდომელი ძალა!... გარდიქმნა მისი არსება, ბუნება გამოეცვალა, ხორცი დადუნდა, სული-სულსა ეტკბილა" და ისიც უმაღლესი სურვილით შეჰყურებს ნათელას, როგორც ღვთიურს, ფიცულობს მის მამაშვილობას, ნატრობს ნათელას „დობას" და ფიქრობს: „რა სჯობს, რომ გული უბიწო ციური ჯაჭვით დაებას!" ჩააკვირდით ამ სიტყვებს და თქვენ იგრძნობთ, თუ როგორ სრულიად გამოსცვალა მგოსნის კაცთმოყვარე გულმა ბინძური ნოინი, რომელიც აამაღლა მგოსანმა სულით და გააფაქიზა გრძნობით. განა ეს საუცხოო გაკვეთილები არ არ-

ის ადამიანის ზნეობის ამაღლებისა, რომ ხორციელი სიტკბოება უარყოს და სულიერი ნეტარება განიცადოს?

მდიდრულად მორთული ნოინის დარბაზიდან მგოსანი წაგიყვანთ თქვენ მთის მწვერვალზე. ცის მახლობლათ, გიჩვენებთ იქ „ღვიმის პირად მოწნულს, მოგრეხილს ფაცხას“, გაგაცნობთ ფაცხის პატრონს მთის შვილს აფხაზს[28], მის ცოლს მშვენიერს ნაზიბროლას[29]. და აი იმ მთის შვილებთან მგოსანი გასწავლით მეგობრობის სამსახურს. გადაგიშლით აფხაზის მგრძნობიარე, სათნოებით სავსე გულს და თქვენ იგრძნობთ, რომ ეს ღრმა, კეთილი გრძნობები ადამიანის სიმშვენიერეზეა აღმოცენებული, მხოლოდ მოქმედება ადამიანის სიყვარულზე დამყარებული. ამიტომაც არის, რომ ყოველი აფხაზის საქციელს აზის ბეჭედი უმანკოებისა და გულიც სავსე აქვს ჰუმანურის გრძნობებით. ენა კი უბრალო აქვს, თუმცა ღრმა აზრებს გამოსთქვამს.

აი რას ეუბნება აფხაზი თავის სტუმარს, საფარ-ბეგს[30], რომელმაც შეურაცხყო მისი საყვარელი ნაზიბროლა:

არა, შენ ვერ შეგეხება,
სასიკვდილოთ ჩემი ტყვია:
დედი ჩემის გაზრდილი ხარ,
მისი ძუძე გიწოვია...
რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმტკიცესად
რომ გასტეხე ის გეყოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესად...
წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!...
დღეიდან ჩვენ წმინდის გულით,
ერთმანეთს ვერ მიეენდობით!
მაგრამ ერთს კი დაგავალებ,
ამისრულე უეჭველად:
რომ მიხვიდე ყაბარდოში,
იცოდე რომ სულ პირველად
წადი ნახე ის მოძღვარი,
ვინც შვილივით გამოგზარდა
და უამბე შენი პირით,
რაც სირცხვილი დაგემართა.

ჩაუფიქრდით ამ პოემის სიტყვებს: „წადი ჩემგან შენდობილი, მაგრამ შორს კი და მშვიდობით“!.. და თქვენც იგრძნობთ პოემის დედა აზრს და მიუახლოვდებით ძირითად იდეას. თქვენ აქ განიცდით პოემის ღრმა ზნეობრივ გავლენას და თვალწინ დაგეხატებათ ზნეობით გასპეტაკებული მთის შვილი, აფხაზი. ნუთუ შესაძლოა ეჭვი დაებადოს ვისმეს, რომ პოემა არ ახდენს დიდ ზნეობრივ გავლენას ადამიანზე? ამაზე ეჭვის დაბადება შეუძლია მხოლოდ ისეთებს, რომლებიც, როგორც ამბობს ბელინსკი[31], თავის ცხვირის მეტს ვერას ხედავენ და ან ისეთს გაუნათლე-

ბელს მორალისტებს. რომლებიც მიჩვეულნი არიან ზნეობა მარტო ანბანურ სენტენციებში[32] დაინახონ. ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ საშინელ სულიერ ტანჯვას განიცდის საფარ-ბეგი და მისი აღმზრდელი ჰაჯი-უსუბი[33]. საფარ-ბეგის ტანჯვა ეს აფხაზმაც იგრძნო და როდესაც პირველმა უკანასკნელს თავი მოუხარა და მოკვდა სთხოვა, მაშინ აფხაზმა უთხრა:

რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე' უფრო უმტკიცესად,
რომ გატეხე, ის გეყოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესად.

თავისი მოწაფის საქციელმა მეტათ ააღელვა და ააშფოთა ჰაჯი-უსუბი. საბრალო აღმზრდელს არ იცოდა რა ექნა. ის განიცდიდა აუტანელს სულიერს ტრაგიზმს, მას სინიდისი ჭეჭნიდა და, აი კიდეც ნამუსის გასაწმენდად ის თავისივე ხელით თავისივე სისხლს ღვრის: მან შეაყენა ზედა ფეხზე დატენილი დამბაჩა და ცხელი ტყვია მიიცვედა საფეთქელში. აღმზრდელის სიკვდილი თქვენ ღრმად გაფიქრებთ, ანალიზს უშლებით საკუთარ „მე"-ს და თადარიგს იქერთ არ მოგიხდეთ საფარ-ბეგისთანა ზნეცაცვლილების აღზრდა. ამ მხრივ პოემას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ახლა მოიგონეთ განთქმული ეპიკაცები. დათუნა გოცირიძე[34] და ივანე კვიტაშვილი[35]. ამ ორ გმირს შორის შური ჩამოვარდება და ერთმანეთის მოსისხლე მტრები ხდებიან. მაგრამ ჩქარა იგრძნობენ დანაშაულს და ახალგაზრდა კვიტაშვილი უსიტყვოდ ეცემა მუხლის თაევებზე და ეხვევა მოხუცს დათუნას. მოხუცი მას წამოაყენებს, ჩაიკრავს გულში და ეტყვის: „შენ ჩემთან დამნაშაე ხარ და მე კი ქვეყნის წინაშე: სანამ გარეშე მტერი არ მოგვეერიებია, შინაური მტრობა რჯულის უარყოფაა და ორივეს ღმერთმა შეგვინდოსო!" ისინი აძლევენ მხარი მხარს და ერთად მიდიან მტრის წინააღმდეგ. „ნეტავ თუ ახლანდელი ქართველებიც, აბჯობს შეგოსანი, ასე დასთმობენ პირად უსიამოვნებას და განხეთქილებას, საზოგადო საქმისათვის".

დიახ, საზოგადო საქმისათვის სამსახურს, რომელიც თავის თაეად შობს კაცობრიობის სიყვარულს, ძმობასა და მეგობრობას, ხშირად შეხვდებით აკაკის პოეზიაში. ეს წმინდა გრძნობები იდეალად დაუსახავს მგოსანს და თქვენც მისი ნაწერებით კითხვის დროს ეძლევით ნეტარებას. ეს გრძნობები იპყრობს მთელს თქვენს არსებას და თქვენც პოეტთან ერთად ოცნებობთ ერთა დაკავშირებაზე და მათ შორის სათნოებაზე. აქ თქვენს ფანტაზიას წარმოუდგება ქრისტეს სარწმუნოებით განსპეტაკებული „უცხო მხარე", სადაც გამეფებულია სიმართლე და თანასწორობა, „სადაც სიღარიბეს ბოროტებად არა სთვლიან, სადაც პირად ღირსებას ნაბოძვარში არა სცვლიან! სადაც ყველა თანასწორია, ერთს მეორის არ აქვს შიში, სადაც მოსპო ქრისტეს მცნებამ ფარისეველის ანგარიში".

ამ რიგათ თქვენ ხედავთ, რომ „მგოსნისათვის ლოცვა და ლექსი ერთი და იგივე სულის მოძრაობის ნაყოფია“. რომელიც ადამიანის სულთ აამაღლებს და უღვიძებს წმინდა გრძნობებს.

* * *

წინა წერილებში ჩვენ განვეც მოვიყვანეთ აკაკის ნაწერებიდან სხვადასხვა ტიპები. ესენი არ არიან აკაკის პოეზიის საუკეთესო გმირები: ესენი არიან საშუალო ადამიანები და ჩვენი მიზანიც სწორედ ეს იყო: დაგვენახვებია, თუ როგორ ახერხებდა აკაკი ამ უბრალო ადამიანების თავისუფლათ დასურათებას, მათი ბუნების ღრმა ცოდნას. მათი სულის მისწრაფებას, შეთანხმებულს ზნეობრივს ჰეშმარიტებასთან, რომელიც მის პოეზიას უკვდაეების დაღს ასვამს და აძლევს საერთაშორისო ხასიათს. აი. სწორედ აქ იჩენს აკაკი თავის გენიალობას და ჩვენც მის მხატვრულს შემოქმედებაში ვეძებთ ცხოვრების იდეალებს.

მართალია, ცხოვრების იდეალების მოძებნა ადამიანს სხვა გზითაც შეუძლია, მაგალითად რელიგიით და ფილოსოფიური მსოფლმხედველობით, მაგრამ ესენი ისე ვერ მოქმედებენ ადამიანის ბუნებაზე, როგორც ხელოვნური შემოქმედება. რელიგია ყველაზე ერთნაირად არ მოქმედებს. ის უფრო დაბალ ხალხზე მოქმედებს და ასწავლის ზნეობას. კულტურული ხალხი, რომელიც მუდამ განვითარებაშია და თანაც ცვალებადია. რელიგიაზე გულს იგრილებს და თავის ცხოვრების იდეალებს სხვა გზით პოულობს.

ეს მოვლენა ადვილი ასახსნელიც არის. მშრალი ფილოსოფია, თავისი განყენებული. ხშირათ გაუგებარი ენით ისე ვერასოდეს ვერ გამოთქვამს და განავითარებს ზნეობრივს იდეალებს, რომ ყველასათვის გასაგები იყოს. მხოლოდ ხელოვნურს შემოქმედებას ძალუძს ყველას ერთნაირად ნათლად გადაუშალოს წინ ცხოვრების იდეალები და ან მოეხმაროს მათს შექმნაში.

ამნაირათ, ხელოვნებაში ხორც შესხმული მაღალი ზნეობრივი იდეალები ყველასათვის თვალსაჩინო, ადვილი მისახვედრი და მიმზიდველი ხდება და ჩვენც მთელის ჩვენის არსებით ვეწაფებით ამ წმინდა წყაროს, რომელიც „ცხოველ-ნაკადად ჩამდინარეობს ჩვენს სულს და გულში“, ახდენს სასურველს ცვლილებას ცხოვრებაში. ამ მხრივ დიდი გავლენა აქვს კაცის ბუნებაზე დრამატიულს ნაწერებს, სადაც ჩვენ ვხედავთ „კარგი“ და „ავის“ ბრძოლას და ამ ბრძოლაში კი ნათლად ირკვევა ნამდვილი სახე ცხოვრებისა.

ჩვენ არ შევუდგებით აკაკის ყველა დრამის მნიშვნელობაზე საუბარს. ვიტყვით მხოლოდ ორიოდე სიტყვას „თამარ ცბიერზე“.

„თამარ ცბიერში“ თქვენ ხედავთ საშინელ უწმინდურობას. მეფე გიორგი[36], გურიის მთავარი, თავს ირცხვენს უკანონო ქორწინებით: ის ცო-

ლად ირთავს თავის სიდედრს, თამარს[37]. უკანასკნელს კი უყვარს მგოსანი გოჩა[38]. ეს კი მისი მტერია. გოჩას სიტყვით თამარმა გარყვნა იმერეთი, რომელიც ბოროტების მორევში ცურავს. „მეფე, მთავრები და ერისთავები მან შეახეთქა ერთმანეთს ყველა. რჯულს გადუყენა სამღვდელოება და არსად არის იმისგან შველა“. მგოსანი თამარს ახვევს თავზე ქვეყნის უბედურებას და აქეზებს ცირას[39], რომ მან, ცირამ, ნიკო გურულის[40] შემწეობით „თამარს გულში ჩაურჭოს მახვილი“ და მით იხსნას სამშობლო განსაცდელისაგან. მართლაც, როდესაც თამარს სძინავს, ცირა აძლევს ხანჯალს თავის საყვარელს ნიკოს და აგზავნის მძინარე თამარის სარეცელისაკენ. მაგრამ ნიკო ვერ ახერხებს თამარის მოკვლას: როდესაც ნიკო დაინახავს თამარის თეთრს გულ-მკერდს, ის აღელდება და ხანჯალს ხელიდან აგდებს... შეთქმულება გამომჟღავნდება და ბრალს სდებენ ცირას და მგოსან გოჩას, რომლებსაც სიკვდილით დასჯა მოელით.

მეფეს არ ემეტება გოჩა სასიკვდილოდ და თავის თავს უსაყვედურებს, თუ რათ აჩქარდა და სასიკვდილოდ გასწირა „მესაიდუმლე და მეგობარი“.

ავჩქარდი, შევცდი... მაგრამ რაღა დროს
გვიანღა არი... გვიანღა არი!

თვითონ მგოსანი დაკითხვაზე თავის თავზე იდებს ბრალს და მეფეს სთხოვს ცირას ნუ დასჯის.

იმას არა აქვს დანაშაული,
მე მოვამზადე ის საღალატოდ,
მე აღელვე უმანკო გული.
..... ამით გვინდოდა
ტანჯულ ქვეყნისა წამოყენება,
მაგრამ არ მოხდა... და ჩემზედ აწ კი
ასრულდეს შენი ძალი და ნება.

ამ გულწრფელი სიმართლის აღიარება დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მეფეზე. თვით დედოფალიც გულს იცვლის გოჩაზედ და ხმამაღლა ამბობს, რომ მგოსანს არავითარი ბრალი არ მიუძღვის:

არ შეიძლება! შეაჩერეთ ეგ!
მგოსანს არა აქვს, იცოდეთ ბრალი!
ვით დედოფალი ახლა ვამტკიცებ,
რომ მტყუანია მაგასთან ქალი!

და შემდეგ კი თავის თავზე ლაპარაკობს:

ის ვინც სიკვდილით ვერ გამაძღარა
სიკვდილით იგრძნობს ის ნეტარებას!

ამ დროს გვირგვინითა და სადედოფლო სამკაულებით აღჭურვილი თამარი ახდის ბეჭედს თავს, შესწოვს საწამლავს და იქვე სულს დალევს.

თამარმა ვერ გაუძლო საშინელს სულიერს ტანჯვას და სიცოცხლეს გამოესალმა. ადრე ამ ცბიერმა ქალმა მთელი ქვეყანა არივ დარია და მის თავმოწონებას

ტრფობის სურვილით გარშემობერეილს,
თაყვანისცემით ემონებოდა მთავარი!
მსოფლიო კრების დაკანონებულს
აღთქმას მისთვის სტეხდა თვით მღვდელმთავარი!
მხიბლაჲი მისი ორკეცი ძალა
ხილულთ აბრმავებდა, ბრმას უხელდა თვალებს;
წაღმას უკუღმად, უკუღმას წაღმად
თითის ტარიყით ატრიალებდა.

ვახტანგ კოტეტიშვილი

აკაკი და საქართველო

„და ჩემს სიბრძნისთვის არ არსებობს გესმით სიკვდილი, არც ნაადრევი, არც გვიანი არ, არ არსებობს, და სიყვარული ჩემი, ჩემივ ანდერძის ძალით, აქ, აქ დარჩება, მას სიკვდილი ვერ მიეკაროს“. — ასე იტყოდა შეერთებული შტატების აწმყო-მომავლის დიდი ქურუმი უოლტ უიტმანი.[1] ასევე შეეძლო გაემეორებინა ჩვენი აწმყოს მოციქულს და მომაელის წმინდა წინასწარმეტყველს აკაკის. დიახ, არ არსებობს სიკვდილის სუნთქვა აკაკისათვის, ვიდრე არსებობს უკვდავება დიდი პიროვნებებისა. მის სახელს ვერ წაშლის ისტორია, ვიდრე მსოფლიო მატეანედან არ ამოხევს იმ ფურცელს, რომელზედაც საქართველოს „ბედის-წერა“ არის მოქცეული. აკაკი დარჩება ცოცხალ სულად, ვიდრე ცოცხლად იქნება სიტყვა ქართული. აკაკი ისე ზედმეტად ესხეულა საქართველოს, ისეთი ფაქიზი გრძნობით ეზიარა მას, რომ აკაკის საქართველოდან გამოყოფა-წარმოუდგენელია. აკაკი-ერთი მთავარი ნაწილთაგანია საქართველოს სხეულისა. სიცოცხლე მათი განუყოფელი და სიკვდილი — საერთო. მოაცალეთ აკაკი საქართველოს, და საქართველო დასახიჩრდება. და ამ აკაკი-საქართველოს ერთიანობას უფრო მძლეთ დღეს განვიცდით, როდესაც მისი სამარე შევიძინეთ, როდესაც ჩვენი გრძნობა ღელავს და რაღაც სიცივითა თრთის. ზედმეტად ძნელდება აკაკის შესახებ სიტყვის თქმა, ნაფიქრ-ნაგრძნობის გადმოცემა. არ გეგონოთ. აზრთა და წარმოდგენათა სიცოტაეე იყვეს ამის მიზეზი. სულაც არა. პირადად ჩემთვის. ზედმეტია მათი სიუხვე. მაგრამ ამ სიუხვის გვერდით მაინც მაკლია ჯეროვანი გამოთქმა. მიზეზი? — შეიძლება ის იყოს მიზეზი, რომ აკაკის ნაგრძნობი, — ჩვენში გადმოტანილი, მძლედ დუღს, და ეს დაუდუღრობა გვიშლის მისი დიადი შემოქმედების გარკვეულად დანახვა-გათვალისწინებას; შეიძლება აკაკი-საქართველოს გაერთიანება იყვეს იმის მიზეზი,

რომ ჯერ-ჯერობით მაინც დაკარგეთ მკაფიო ხაზები აკაკის დიადი სახიერებისა. აკაკი ჯერ არ გამხდარა საგნად ციცი აზრისა. აკაკი ჯერ არ დამკვიდრებულა ცნობიერების სფეროში, სამეფოში. იგი ჯერ კიდევ ცოცხლად არის ჩვენ ცხოვრებასთან შეერთებული. იგი ასევე დარჩება, ვიდრე მისი სულიერება. ჩვენში გადმოტანილი არ შენელდება, არ გადაიცვლება. მანამდე-კი. ვიცეორებ, აკაკი გრძნობა-განცდათა სამეფოშია დამკვიდრებული. აკაკი ქართველთა გრძნობის სამარეში არის დამარხული, და ქართველთ გრძნობაშივე კვლავ ცოცხალი, კვლავ მეტყველი. რატომ? მიტომ, რომ მასში ვპოვეთ ჩვენი სახე. აკაკიში ამეტყველდა საქართველო, და საქართველომ აკაკიში ჰპოვა თავისი ემბლემა. და როგორც ფოკუსში ერთ ადგილას იკრიბება სხვადასხვა მხარეთაგან მოფრქვეული სხივთა კონა, ისე ქართველი ერის სხვა და სხვა ნაწილმა აკაკიში ჰპოვა საერთო ადგილი. ეს იყო მასში ამეტყველებული ქართველობა, ქართველობა, როგორც შეგნება და ქართველობა, როგორც განცდა. აკაკის პოეზიის წარმტაც ტაძარში სწორედ ამ ქართველობას უჭირავს მთავარი ადგილი და მას გარს ეხვევა გარშემო აზიურ მზით ნაზარდი ყვავილები ნარნარ პოეზიისა. მისი პოეზია ცრავალ-მხრივი ეროვნული ტრაგედიაა. შექმნილი ცოცხლეული სიყვარულით. მისი შემოქმედება, მთლიანად ალებული, — ეს დიდი პოემაა, ლამაზი, ჰაეროვანი. სადაც ორი მთავარი მომქმედი პირია გამოყვანილი: ერთია—აკაკი, მეორე—საქართველო—აკაკის სატრფოს სახით გაპიროვნებული. მან შეჰქმნა რელიგია ეროვნებისა, რომ ამ რელიგიის საშუალებით აემაღლებინა ქართველი ერი. იგი მისტიურად ეუბნება იდრეკდა საქართველოს წინაშე, და მით გვაკრძნობინებდა მის ღვთიურ ძალვობას: მან შეჰქმნა ნაზი და თანაც მრისხანე სიმღერა, რომლის ინტერვალებს შორის მოათავსა ეროვნული სიყვარული. მან აუწყო სიმები ჩონგურს. ეომპარტა კადისნური ხელით. და სევდა-ნარევი ჰანგი გამოაცემინა. ძლიერი იყო ის ჰანგი. ქართული. წმინდა ქართული ღიღინი იყო. კვნესის არშია რომ აქვს ხოლმე გარსშემოვლებული. ეს ის ჰანგი იყო, ის სიმღერა, რომელიც ასულდგმულებდა ქართველ ერს. ეს ის სიმღერა იყო, რომლის ძალითაც გადაშალა საქართველოს დრამა, და ერის თვალსაჩინოდ გახადა იგი. ამ სიმღერაში გაისმოდა ტანჯვა და აღშფოთება მწერლის, რომელიც ხან სუსტდებოდა, ვით ჩურჩული ცისადმი მიმართული ლოცვისა, ხან კი ცეცხლდებოდა. სასტიკდებოდა ვით ქაფმორეული ტალღა, ულმობელი სტიქიონით კლდეს მინახეთჭი. მისი სიმღერა ხან სიყვარულის ცეცხლით პრიალდებოდა, ხან კი ტრფობის სიძულვილით იბინდებოდა. იგი ხან სარკასტული ხასიათით არღვევდა ჰაერს, ხან კი მშობლიურ სევდას ჩაიქსოვდა და მწუხრდებოდა. ხოლო ყოველთვის კი მისი ჰანგი მამულის სევდიან სახეს გარს ევლებოდა. პოეზია აკაკისა — მთლიანი ჰიმნია სიცოცხლისა, ეს ჰაეროვანი სონატაა ხალისიანი დუმილისა, ეს რეკვა ალიონის ზარისა, მზისკენ მიახლოებას რომ მახარობლობს ხოლმე. აკაკიმ ჯადოსნური ძალით აჰკრიფა ქარ-

თული ჰანგები, დაიწყო მღერა და აკი მთლად შემოიკრიბა კიდეც საქართველო. მან თავისი ლექსით ქართველობას გააგონა მელოდიური და თანაც ვაჟკაცური ქება წარსულ გმირთა, რომელნიც წმინდად ინახავდნენ სანუკვარ აღთქმას, და წმინდადვე გადასცემდნენ შთამომავალთ. ეს აღთქმა იყო დაცვა ქართული კერის, შენახვა ქართული სახის, თავისუფლების. ხოლო ეს იყო იარა აკაკის თანამედროვე საქართველოსი, და აკი არც მოუცდინებია ძახილი, რომლითაც უხმობდა ქართველ გმირებს. აკაკი ხომ ხიდია ძველი საქართველოდან ახალ საქართველომდე გადებული, რომელმაც გაიერთიანა ძალით შუა გაწყვეტილი მთლიანი ეროვნული სახე.

აგერ მისი საყვარელი საქართველო. აგერ ერეკლე რა მხიარული „მგზავრულით“ მოდის... არეული ამინდია. ხან მზე ხალისიანად დასთამაშებს, და მათი სახეც მხიარული ალით იღებება, ხან კი შავ ღრუბელთ ეროვა გალანძღვარება, და საქართველოსაც შავი აჩრდილი ადგება. ქართველი ერი შანც მოდის, და ზვიად „მგზავრულს“, ცეცხლებრივი საომარი სიმღერა სცელის, „ქართველო ხელი ხმალს იკარო“ — ეკსოვება ტყე-ჭალებს, და აყუდებული მთები მდუმარებით გულში ჰმარხავენ ამ გმირულ ხმებს... აგერ თორნიკე[2], ბერის ანაფორა მეომრის აბჯარზე რომ შეუცვლია. აგერ ელიზბარი, შალვა, და ბიძინა[3] მტრისაგან განგმირულები, აგერ პატარა კახიც[4].... გიორგი სააკაძე[5]... აგერ მეორე მხარეს ნინო, ქეთევან და თამარი[6], საქართველოს ღმერთს რომ ავედრებენ... აგერ ნათელა[7], აღმოსავლეთის დესპოტს რომ მოსტეხავს და თავის გმირობით საქართველოს მოსპობის აზრს რომ აცვლევინებს. აგერ ცოტა იქით ქართველი დედა, ამაყად და მტკიცედ რომ ხვდება ბრძოლის ველიდან მომავალ შიკრიკს. ორი შვილი გმირულად დაჰხოცია. ობოლი ცრემლი „წამწამებზედ შეუჩერდა“, მაგრამ არ იტირა, — „სუ, არ გაითხაო! — შეუტია შიკრიკს სასტიკი ხმით. — „შენ მითხარი ჯერ ესაო, თათრებს დარჩა გამარჯვება, თუ ჩვენ ძლიერ მეფესაო?“ — და როდესაც ვიღაც პასუხად: — „რასა ბრძანებ, ქალბატონო, განა გეძლევდა თათარიო?“ — შემდეგ იკითხა: — „აბა ეხლა მომიყევი, რაც გადახდათ ჩემ შვილებსო“. ორ შვილს გულის სისხლით დაუცავთ სიწმინდე სამშობლოს საკურთხეველისა. მხოლოდ მესამე შვილი, შვილი მხდალი ჰკლავს დედას ზნეობრივად: — „არა ვსტირი მე იმ ორ შვილს, ომში მოკლულს გმირულადო, ვიგლოვ ცოცხლად დარჩენილსა. უსახელოდ, ვირულადო“, რაოდენი სიძლიერე, რა უტეხი ნება და სასტიკი სიყვარული!! ეს ხომ იმ სპარტანელი დედის ნათესავია, რომელიც შვილს საომრად გამზადებულს მისცემდა ფარს და ეტყოდა: „ან მაგით, ან მაგაზეო“... და სტკბებოდა ამ სურათით ჩვენი მგოსანი, ნათელს უფენდა მის სახეს ეს გარდასული სანახაობა... მაგრამ... აგერ თითქოს მსოფლიოს უფსკრულიდან წამოიზლაზნა შავი ჩრდილი და მოადგა საქართველოს. ირგვლივ სიცივე გაიფანტა. ზღაპრულმა ფასკუნჯმა შეჰკრა კა-

შარა, დასწივლა და ამ წივილით რაღაც ამცნო ქართველობას. აკაკიმ იცნო ეს სურათი. ეს მისი სამშობლოს დღევანდელი სახე იყო. და შეძრწუნდა იგი. წარსულის წარმტაცი ხატება აწმყოს სურათით შეეცვალა, რომელსაც შავი არშია შემოვლებოდა. აქ კი მგოსნის სურვილმა აისხა ფრთა, შემოეველო კავკასიონს, რომ ენახა გულის რამ სალმობელი, მაგრამ ამაოდ. ურჩ და ამაყ ამირანს[8], ამ სიმბოლოს ქართველის ერისას „ყვავ-ყორანი ეხვეოდა, დაფლეთილი ჰქონდა გული“... მაგრამ ეს რა აღმოაჩინა მგოსანმა? რის ნიშანი უნდა იყვეს? ამირანს თუმც „გულს ცეცხლი არ ნელდებოდა“, მაგრამ „რაღაც მანჭანებით გული ისევ მთელდებოდა“, და ამირანი ხომ, ვიმეორებ, მისი ერის სიმბოლო იყო. და თუ მის ერსაც „გულს ცეცხლი არ ნელდებოდა“, ალბათ იმასაც „რაღაც მანჭანებით“ გული ისევ გაუმთელდებოდა. აქ კი ჩვენი „ბედისწერის“ მომღერლის იმედმა აისხა ფრთა, მის ბიბლიურ სახეს მზიური ღიმილი მოეფინა, და მას შემდეგ ეს ღიმილი არ მოშორებია. დიახ, საქართველოს ნისლიან ცხოვრების ნისლიან ცაზე აკაკიმ დაინახა ბედის ვარსკვლავი, იმედით გახალისებულმა ჩაჰბერა სალამურს და შექმნა სევდა-ნარევი შვების ჰანგი, საქართველოს ცეცხლით-მოვლილ მთაველთა შორის, მან ნაცრის ქვეშ ნაკვერცხალიც დაინახა, იწყო მისი გაღვივება და შექმნა კიდეც ეროვნული ცეცხლი. აკაკიმ წარსულის ნაანდერძევი გული გადაადუღა, წმინდა გრძნობით განბანა, ფაქიზ ლექსად ჩამოჰქნა და შექმნა ეროვნული სიმღერა. აკაკიმ ისტორიული რომანტიზმი მოიშველია, ძველი ნანგრევები აალაპარაკა, მოგვაგონა ბაირონის[9] გმირი, რომელიც ძველი ელადის[10] გმირებს მოუხმობდა და იტყოდა: „ნუთუ პლუტონოსს[11] არ შეუძლიან ხელ-ახლად შექმნა ახალი გმირის, რომ ამ ქვეყნიდან ერთი შეტევით შესძლოს განდევნა ავი მოსისხლის“ („ჩაილდ ჰაროლდი“ ბაირონისა). და აქ აკაკიმ განგვიმტკიცა ეროვნული ნება. გვიმღერა ჰანგი, და საქართველოც უსმენდა მგოსანთ-მთავარს. ნარნარი ხელოვანობით დახატა ექსტრაქტი ხალხის სულისა და მოგვცა სახე საქართველოსი; ელვისებური სინათლით გაანათა სიღრმე ჩვენი ცხოვრებისა, და სახეზე მსუბუქ ღიმ-ათამაშებულმა აღდგომა გვიწინასწარმეტყველა. „მშვენიერო შენ გეტრფი“-ო, უმღერდა — „ცხრა-კლიტულში მჯდომარე“ ნეტან-საქართველოს, და „მშვენიერი ტანჯვით პყრობილი, მაღალი ხმით აფრთხილებდა: „შეთვისებას გიპირებს გაიძვერა მოყვარე“-ო. და მიაღწია მისმა ხმამ ქაჯეთის ციხემდე. სატრფო-საქართველომ უსმინა მას, და მითავაზებულ შხამ-ნარევ შარბათზე უარი სთქვა. გაიძვერა მოყვარეს იმედი გაუცრუა. დაინახა ეს აკაკიმ შეყვარებულმა და განეფანტა შიში, საქართველოს „ბედისწერით“ გამოწვეული რომ უმღეროდა: „ბანგს შეგასმევს, დაგაძინებს, გამოგიზდის მონად შვილებს და თვითონვე შენ დაგცინებს“-ო. უსმინა ქართველმა ერმა, და იმედის უწმინდური ღერო გადაუტეხა ჩრდილოელ ძლევის მაძიებლებს. „არა! აჰყვავდეს იმედი, გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა“-ო, სთქვა მან, რადგან დარწმუნდა, რომ

მალე, სულ მალე „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი". მან ირწმუნა, დადგება დრო, დრო ამირანისა, და სიხარულის წარმტაცი მელოდიები აავსებენ ჰაერს. ყრუ, დაგუბებული სევდა საქართველოს სულის ზეიმად შეეცვლება, და ქართველი კვლავ ხალისიანად გამოეხმაურება მზეს. ამ იმედით აიღო ჩანგი, და ამ იმედზედვე გაიყინა მისი ბგერა. სიკვდილამდე აკაკი ამ იმედს არ მოშორებია, სიკვდილამდე აკაკის ეს იმედი გარს ევლებოდა. „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველა"-ო მღეროდა, და „ჩვენ რად ვმღერით ცალ-ცალკე"-ო, კვნესით გვეტყოდა. სურდა ხილვა მთლიანი საქართველოსი, და შეჰქმნა კიდეც. უხმობდა გმირებს მისი დაფი და ნაღარა და აკი შემოკრბენ კიდეც. ეს არის ახალი საქართველო. ილიას ანდერძი: „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი... ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი[12]-ო ირწმუნა ახალმა საქართველომ. და, აი, საქართველოს ციდან უკვე ნელ-ნელა იყრება ღრუბელთ გროვა და ბრწყინდება პერსპექტივა. მეცხრამეტე საუკუნის ტრაგედიის გვერდით იწყება ახალი დრამა, დრამა ჩვენი ეროვნული ამოძრავებისა. იქ, ქართველი ერის გულის სიღრმეში უკვე სწვარმოებს განუწყვეტელი დუღილი, შეუჩერებელი მოქმედება. იქ ცეცხლი ეროვნული ღვივდება და იდუმალი ზრახვა ერისა, აღორძინების ხანას, რენესანსს ამზადებს. იქ ვეღარ ატანს სუსხი დესპოტობისა, იქ ვეღარ სწვდება ტლანქი ხელი უბღებისა. გაღვიძებული ერის ჰენია ეძებს ახალ გზას, და ამ გზას ახალი საქართველო აკაფავს. და თუ ამ ორმოცდაათი წლის წინად დიდი ილია კითხულობდა: „აბა ქართველი და საქართველო" და თუ მაშინ პასუხს ვერ მისცემდით, დღეს კი შეგვიძლიან დიდებულ მგოსნის ლანდს მივმართოთ და ვუთხრათ: — „აი ქართველი და აჰა საქართველო!" ხოლო თუ თქვენში ეჭვმა გაიღვიძოს, გაიხსენეთ აკაკი, და თქვენ იქვნეულობას ფრთა შეეპრება, გაჰქრება. რაც იყო მიზანი სხვების, ის აკაკიმ შეასრულა, დააგვირგვინა და თვითონაც დაგვირგვინდა ერის მიერ. შეჰქმნა საქართველო მთლიანი და გადიცვალა კმაყოფილი. იმედი ჩვენზე ჰქონდა დამყარებული. ჩვენ ახალ საქართველოს გადმოგვცა ეროვნული დროშა და თვით კი წავიდა.

შალვა დადიანი

რეფერატი წაკითხული შალვა დადიანის მიერ

„ფოლადი თუ კაჟს არ მოხვდა და ნაპერწკლები არ გაჰყარა ისე ცეცხლი არ დაინთება"-ო—ბრძანებს ერთ თავის წერილში თვით აკაკი. ხოლო ცეცხლი, რომ მუდამ დალოცვილი მტერია სიბნელისა, ეს ვინ არ იცის.

სიბნელე კი საშინელი იყო იმ დროს და თვით ცხოვრებაც გაკაჟებული თავის ჭირ-ვარამში...

მეცხრამეტე საუკუნის განთიადზე საქართველომ დაჰკარგა მისი პოლიტიკური თავისუფლება, შეწყდა მისი ნორმალური მაჯისცემა და იყო ცხოვრება მდორე, მიძინებული, ერთის მხრით, შეჯაჭვული სხვა უცხო, უფროსის ბრძანებით, მეორეს მხრით, შინაური მონობით, საშინელი ბატონ-ყმობით.

მაგრამ, საბედნიეროთ, ცხოვრება არ ჩერდება ერთ კვალზე და აი ჩვენი ცხოვრების ზედაპირზეც გაჩნდნენ პროტესტანტები[1], თუმცა ესენი იყვნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო წარსულით მგლოვიარენი. საკმარისია დავასახელოთ თუნდა მხოლოდ ნ. ბარათაშვილი[2], რომ ჩვენი სიტყვა დასაბუთებული იყვეს. წმინდა და ანკარა იყო მისი პოეზია, ღრმა იყო მისი სევდა, მაგრამ ხალხის გულს მაინც ვერ ჩასწვდა იგი.

და აჰა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში უკვე გაიელვა აკაკი წერეთლის სახელმა. ფოლადი თითქო მოხვდა კაჟს და ნაპერწკლები გაჰყარა. იგი მართლაც შეეხო თავისი სათუთი საქმით ხალხის გულს, გამოუძებნა მისი სატკივარი და თუ ერთის მხრით ამბობდა: „ჩამომეხსენ ოსმალელო, რა გაქვს ჩემთან საზიაროვო“, ესე იგი თუ ერთის მხრით სწუხდა, რომ მისი ხალხი მედგარ პოლიტიკურ უღელში იყო მონათ გაბმული, მეორე მხრით მან უმღერა პირველი ნანინა „გაპუტულ გლეხის შვილს“. მან ორივე დიდი ფაქტორი მაშინღელის ჩვენის ცხოვრებისა უცნაურათ შეიგრძნო და ორივეს თავისი საპროტესტო, მახვილი კალამი შეახო.

მას აქეთია მთელი სამოცი წლის განმავლობაში მოხუცი თავის უცხო ჰანგებს ამ ორ კილოზე აყღერებდა. ერთის მხრით, სიკვდილამდის ნაღვლიო იყო შეპყრობილი, რომ მისი ტურფა ნესტან-დარეჯანი[3] დღესაც ქაჯეთის ციხის ცხრა-კლიტულშია მჯდომარე, მეორეს მხრით კი ხარობდა მისი მბცოვანი გული, რომ ხალხმა უკვე გამოიღვიძა, ხალხი გათვითცნობიერდა და თავის მრავალ ლექსებში სულ მას დასტრიალებდა თავს, მას ეფერება, მისი ნესტანის ხსნასაც მისგან მოელის, და ყველა ამ ნაწერებში მას კიდევ ის ახარებს, რომ ხალხი „უაპეკუნოთ“ იწყებს ცხოვრებას. ჩვენ ვიცით, რომ აკაკი მუდამ მოწინააღმდეგე იყო აპეკუნობისა, ჩვენი ცრუ-ინტელიგენციისა. თუ კარგა ჩავიხედავთ მის ცხოვრებაში, მთელი თავისი დღენი იგი ამ ცრუ-ინტელიგენტს ებრძვის და მუდამ მხილებასა და კრიტიკაშია. იგი მუდამ ოპოზიციაში დგას, ბანკის საქმეა ის, გაზეთის გამომცემლობა, თუ სახელმწიფო „დუმის“ არჩევნები. ამიტომაც ყველას კარგად გვახსოვს, რამდენი უსიამოვნებაც მიდგომია მოხუც მგოსანს ცხოვრებაში, მაგრამ იგი ფაფარს არ იდრეკს, იგი მაინც თავის არჩეულ გზას ადგას, მისი გული მაინც ხალხისკენ არის, მუდამ იმათ „უყვის მისი დაფი და ნაღარა“.

და თითონაც მისი პოეზიის მარგალიტებს ამ ხალხის გულიდან ჰკრეფს, აიღეთ მისი სულ უბრალო ლექსები. მაგალითისათვის „პატარა საყვარელი“, ან თუნდ „მინდორშია თეთრი ქვა, დავკარ ხელი არ ამყვა!

ქალო შენი სიყვარული საცა წაველ, თან წამყვა“, ან კიდევ „საღუმლო ბარათო“ და სხვა. ეს ყველა ხალხის შენაქმნია, მისი შაირებია. მაგრამ შემდეგ ხელოვანისაგან უცხოდ შემუშავებული და ისევ ხალხში ჩაბრუნებული. ასე რომ, ახლა თუ აკაკის ნაწერებს კარგა ვერ იცნობთ, ხშირად ვერც კი გაარჩევთ რომელია ხალხური და რომელი აკაკის. აგრეთვე იქცევა იგი თავის უფრო დიდ ნაწერებში. სხვადასხვა ლეგენდები, ზღაპრები და თქმულებანი მის მადლიან ხელში გულის წარმტაც პოეზიის თაიგულათ იკონება და კვლავ ხალხში ვრცელდება, როგორც მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. ვინ არ მღერის ჩვენში „სულიკოს“, „სიმები ჩვენ ვართ ყველაო“; „გინდ იყოს და გინდა არა“ ან „ოი ამის ვენაცვალე“ და მრავალ სხვას. მისი ლექსი ისე მსუბუქია, მუსიკალური და თან მარტივი, რომ პირდაპირ პირში გიძვრებათ და თქვენს გრძნობა-გონებაში მკვიდრ ბინას იდებს მისი ენა. სიტყვები თითქო ისეთი ჩვეულებრივია და უბრალო, რომ გგონიათ, ამას მეც ვიტყოდი, ეს სწორეთ საჩემოაო და ამაშია კიდეც უკვდავ აკაკის ჰენიოსობა. ის კი ხომ დამტკიცებულია, რომ ყოველივე ჰენიოსური, ყოველივე სიმართლე უბრალოა და მარტივი, მხოლოდ ამ სიმართლის მიღწევა, ამ უბრალოების გაგება კი არის მეტად სამძიმო, ფრიად არა ადვილი. ის, რაც თქვენ გგონიათ, რომ თქვენც შეგეძლოთ გამოგეთქვათ, პოეტმა სთქვა, თქვენ კი მას ვერასოდეს ვერ იტყოდით და სწორედ ამაშია კიდეც, თვით აკაკის სიტყვითვე რომ ვსთქვათ, „მგოსნობის ძალა“. ამიტომ არის, რომ ხალხს განსაკუთრებული სიყვარულით უყვარს აკაკი. ასეთი სიყვარული არ ღირსებია არამც თუ ჩვენში, არამედ სხვა განათლებულ ქვეყნებშიც ბევრს მწერალთაგანს. ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ აკაკი, როგორც მგოსანი, მიუღწეველი, თვით მსოფლიო მწერალთ შორისაც საპატიო ადგილს დაიკავებს. ამის დამამტკიცებელი შემდეგი გარემოებაც არის:

პოეზია საზოგადოდ მეტათ ფრთხილი პატარძალია და მას თუ, — ჰგონებენ ზოგიერთნი, — თუ დღიურ ჭირ-ვარამის პროზით შეეხე, იგი ჩამოსჭკნება და მისი სპეტაკი ლეჩაქი დაულაქავდება. აკაკისაც მთელს თავის სიცოცხლეში ორი მთავარი მოტივი ასულდგმულებდა: მისი ქვეყნის მონობიდან დახსნა და მისი ხალხის ბედნიერება. ეს, მოგეხსენებათ, უფრო პუბლიცისტიკის საქმეა. აკაკიც თავის ლექსებში არ ყოფილა ისეთი საკითხი მის დროს, წვრილმანი თუ მსხვილმანი, არ გამოხმაურებოდეს. იგი თითქოს პუბლიცისტიკურ თემებს ლექსავდა, შაირით აკეთებდა. ეს კი მეტად სახიფათო მანერაა წერისა. შეიძლება სამოქალაქო მოტივებმა სრულიად ჩაახშოს პოეტური აღმაფრენა, მაგრამ აკაკის ეს არ მოსვლია, რადგან იგი მართლაც სწორ-უტყუარ მგოსნად იყო, „ცის ნიჭად მოვლენილი“, ხალხურ ჰენიოსობის საუკეთესო გამომთქმელი და ამიტომაც ერთის შეხედვით მშრალი და უპოეზიო საკითხები, გასაოცარ, მომხიბვლელ მხატვრულ ფორმებში ჩამოასხა.

მაგრამ სურათი დასრულებული არ იქნება, თუ აკაკი არ მოვიხსენიეთ, როგორათაც სატირიკოსი. სატირა, როგორც მოგეხსენებათ ერთი დარგია ლიტერატურისა, ანუ ერთგვარი სახე, გამომთქმელობა მწერლობაში. მდაბიურათ რომ ვსთქვათ, ეს უფრო ხუმრობა-შეყოლებული გაკიცხვაა რომელიმე საზოგადო მოვლენისა, ან საგნისა. ეს არ არის უბრალო მახვილობა, ან უბრალო დაცინვა. სატირას უფრო მაღალი დანიშნულება აქვს. იგი უფრო მხილებაა, ერთ-გვარი საზოგადოებრივი სინდისის ქეჯნის მომგვრელი და ხშირად იგი თითქო ხუმრობის სამოსელში გახვეული, მაგრამ მისგან თქმული სიტყვა ულმობელია და სასტიკი. აკაკი მძლავრი სატირიკოსია.

ძვირათ ნახავთ სხვა მწერლობაშიც, რომ ერთსა და იმავე მწერალს აკაკისავით მარჯვეთ და მაღალ ხარისხოვნად შეეძლოს, ერთსა და იმავე დროს, უმშვენიერესი ლირიკული ლექსიც შეთხზას და თან მარდათ და მწვავედ მოიქნიოს სატირის მათრახი. აკაკი ორივე ამ დარგში სრული ბატონია საქმისა და მაღალი ხელოვანი, მერმე?—როგორც სამართლიანად აღნიშნა ამას წინათ კრიტიკოსმა იპ. ვართაგავამ[4], რომელი მხარეა ჩვენის ცხოვრებისა, რომელიც გამოპარვოდეს აკაკის სატირულ ისარს? საზოგადო დაწესებულებანი, ჩვენი გადაგვარებული ქალები, ცრუ მოღვაწენი, რომელთაც შემთხვევით და საზოგადოების სიბეცით მოუკალათებიათ ჩვენი ცხოვრების ზედაპირზე, სულიერნი მამანი და სხვა მრავალნი. მაგალითისათვის: — აკაკიმ კარგად იცის, რომ ერთი ქართველი საქმეში გმირია, ორი კი ჭირი. ეს მისი ნათქვამია და ამით უკვე გამოხატული აქვს, რომ ჩვენ ქართველები უმეტეს შემთხვევაში შურიანი და ჯიბრიანები ვართ და ამ მიზეზის გამო ვერც ერთი ჩვენი საზოგადო საქმე წინ ვერ წასულა, ვერ უხეირებია. აკაკი მშვენივრად ხედავს ჩვენს „რუსულად მოჟღურტულე" ქალებს, რომელთაც უყვართ „კალინა, მალინა," რომელთაც „შვილების აღზრდა ჭირივით ეზარებათ, ოჯახს გაურბიან და „სხვაგან აქვთ რეზიდენცია"; მანვე კარგად იცის რომ ესეთმა გადაგვარებულმა დედამ თუნდ კიდევაც იკისროს შვილის აღზრდა, ის შვილი ქართველი კი არ იქნება, არამედ გადაგვარებული ადამიანი. აკაკი ამ საკითხს ძალიან ხშირად უბრუნდება და ამ შემთხვევაშიაც მისი სატირა მუდამ დაუზოგველია, მკაცრი, სასტიკი; აკაკიმ ჩვენ ცხოვრებას ისიც შეამჩნია, რომ საზოგადო საქმეებს ხშირად უღირსნი ეპატრონებიან. მაგ: ერთი მისი ფრაზა ქუთაისის ბანკის არჩევნებზე: „სწორედ თქვენ უნდა აგირჩიოთ ბანკის დირექტორად, რადგანაც თქვენი ქება გვსმენია ჩვენ ჰორადო".

ამაზე უკეთესად საზოგადოების სიბეცეს და გაუკითხაობას ვინ დაგვანახვებს. არც კი იციან, როგორი კაცია, არაფერში არ გამოუცდიათ და მხოლოდ იმას ემყარებიან, რომ ასარჩევ კანდიდატის ქება „სმენიათ ჰორად". ეს ერთ ხალხურ თქმულებას გვაგონებს: „ვიღაცას ჰკითხეს: — როგორია ხოხობის ხორცი, გემრიელიაო? — დიაღ, გემრიელიაო. — მერე

შენ საიდან იცით? ჩემი ბიძაშვილის ბიძაშვილს უჭამია და ამტკიცებდა გემრიელიაო“. აკაკის აწუხებს აგრეთვე ჩვენი ცხოვრების წვრილმანობა, რომ ხშირად ჭორებსა და ნათლიდედების ღაღადისს ავყვებით ხოლმე საზოგადო საქმეებშიაც კი. ეს მშვენივრად გამოხატული აქვს „ფარეშების“ სიმღერაში“: „ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა, ეს ეს არის, ის ის არიო!“ ამით აკაკი გვითითებს ჩვენს შეუგნებლობაზე, გაურჩევლობაზე, რომ ხშირად ჩვენი ღონე და ენერგია იხარჯება ისეთ მითქმა-მოთქმის აყოლაში და მთავარი საქმე გვრჩება გაუკეთებელი. აგრეთვე აწუხებს აკაკის წვრილმან ადამიანთა ლაქუცი და მათი უპრინციპობა. „ქუცი, პაწაწინა მურია“. დღეს გიყეფს, უნდა გიკბინოს, რადგან სხვამ მოგისიანა, მაგრამ აბა შენ გადაუგდე პური?... დამშვიდდება „მურია!“ ესეც ჩვენი ცხოვრების ერთი სახე. რამდენს ვიცნობ დღესაც ჩვენ შორის ისეთ პირებს, რომლებიც „საითაც ქარი ქრის...“ იქით იბრუნებენ პირს. პირადი, წვრილმანი სარგებლობისათვის არა აქვთ საკუთარი აზრი, გარჩევა და ცხოვრების ფერხულში კი ჩაბმიან. საკუთარი არა აქვთ და რასაც კი გაიგონებენ „ყვირიან დალოცვილებიო“, ამბობს ერთხელ აკაკი ერთს სხვა ლექსში. საკუთარი აზრის უქონლობა, შურიანობა, გადაგვარება, წვრილმანობა და სხვა მრავალი ნაკლი ჩვენის ცხოვრებისა, აი რა არის საგანი აკაკის სატირისა. და ყველა ეს სატირული ლექსებიც როგორი მსუბუქია, ჰაეროვანი, ყველას გასაგები და თან რა უცხო ლექსთწყობის, როგორი ჰარმონიული. ეს ლექსებიც ელვასავით ვრცელდება ხალხში, მას ზეპირობს დიდი და პატარა ეგრევე ძალდაუტანებლივ, როგორათაც მის საუკეთესო ლირიკულ ლექსებს. მაგალითად „აღმართ აღმართ მივდიოდი მე ნელა“, „ათი წელი, მარად მწველი გულს მიდაგავს მღელვარება“ და სხვა...

მაგრამ მთავარი მნიშვნელობა მაინც აკაკისა არის მისი უდიდესი მამულიშვილობა. ცხოვრების არც ერთ ხანში არ ავიწყდება მისი „ცაფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი“ მხარე. იგი მისთვის არის დაბადებული და მისთვისვე მოკვდება. მას არ ავიწყდება, რომ ეს ქვეყანა ოდესღაც აყვავებული თავის საკუთარის ცხოვრებით, დღეს უფლება-ახდილი, თავისუფლებაწართმეული ძლივს მიაჩანჩალებს თავის ცხოვრებას და იმდენად დაჩაგვებულია, რომ თვით სურვილიც კი დაკარგულ თავისუფლების მოპოვებისა აღარა აქვს, თვით თავის შეგნებაც დაკარგვია.

ამის შესახებ ჩემს თავს ნებას მივცემ და მოვიყვან ერთს აკაკის მიერ თქმულ ანეგდოტს, თუმცა აკაკი კი ირწმუნებოდა, რომ ეს ანეგდოტი არ არისო. როდესაც ჩვენში პირველად ჩამოვიდა რუსის იმპერატორი ნიკოლოზ პირველი,[5] რაღა თქმა უნდა, ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა დიდის ამბით დაუხვდა და სწორედ მეფური პატივი სცაო. იმპერატორიც ისე მოიხიბლა ქართველთა მასპინძლობით, რომ ერთ ნადიმზე ცოტა შექეიფიანებულმა ბრძანა: ისე გულ-სავსე ვარ თქვენდამი მადლობით, რომ გაძლევთ ჩემს მეფურ სიტყვას, რასაცა მთხოვთ,

[illegible]ხო. ხადიძეს მყოფთ დიდი მადლობა მოახსენეს იმპერატორს და მეორე თუ მესამე დღეს აუდენცია გამოითხოვეს, დადგა დანიშნული დრო. ქართველთა დეპუტაცია წარუდგა იმპერატორს. სერიოზული, უხუმარო სახე დეპუტაციისა, მათი მოკრძალებული, მაგრამ მტკიცე კილო. ყველა ამან შეაფიქრიანა იმპერატორი, გაახსენდა მხიარულობის დროს მიცემული მისი სიტყვა და ამ უდრეკელ ადამიანსაც გულმა ბაგა-ბუგი დაუწყოვო. მოგვითხრობდა ჩვეულებრივის ტკბილის ღიმილით საყვარელი აკაკი. ჩვენ ვერ გავბედავდით ასეთი თხოვნით მოგვემართნა, მაგრამ თქვენმა მეფურმა მოცემულმა სიტყვამ გაგვაბედვინაო, მოახსენა დეპუტაციამ იმპერატორს. ნიკოლოზს ფერმა გადაჰკრა. აი ახლა კი ნამდვილად საქართველოს სამეფოს აღდგენას მთხოვენ, ეს რა მომივიდა, რათ მივეცი სიტყვაო... მაგრამ გულში მაინც გადაწყვიტა, რაც უნდა ეთხოვათ, როგორც ვაჟკაცს მისი სიტყვა კი არ შეეცვალა, და ყური მიაპყრო მომხსენებელს. დეპუტაციამ კი შემდეგი თხოვნა წარუდგინა: „დიდად გეკრძალებით ამის თხოვნით, მაგრამ გთხოვთ მიიღოთ მოწყალება, დიდ გასაჭირს განვიცდით ხელმწიფეო... და გთხოვთ ჩვენში მარილს დიდი ბაჟი აქვს და ეს ბაჟი მოხსენითო... იმპერატორმა თავისუფლად ამოისუნთქა და სიხარულით დათანხმდა, რომ მარილზე ბაჟი მოეხსნა. აი ასეთ, დაასრულა პირ-მომცინარე აკაკიმ, ჩვენ თხოვნის შნოც კი არა გვაქვსო.

და აი ამისთანა ბრმა და თავის გზაგაუგნებელ საზოგადოებაში დაიწყო აკაკიმ მზიურ სიტყვებით ქადაგება სათაყვანებელ სამშობლოს აღორძინებისათვის და თანდათან მისმა მიმართულებამ მოიპოვა მომხრეები, თესლი კეთილი მოხვდა ნიადაგს შადლიანს და ნელ-ნელა გაჩნდა კარგი ყანა, რომელსაც ახალს გათვითცნობიერებულს საქართველოს ვეძახით. სწორედ ამაზე ითქმის, რომ არარაისგან გაჩნდა რამეო. მართალია, ჯერ კიდევ სუსტია ეს ყანა, ჯერ კიდევ ჩვენს ქვეყანას ბევრი ეკალ-ბარდი აქვს შეზოდებული, მაგრამ უკვე მრავლად გაჩნდნენ მშრომელნი მხვნელნი და მთესველნი და, იმედია, მომავალში ჩვენს ტურფა ქვეყანას დამუშავებულ და ნაყოფიერ წალკოტად გადააქცევენ. ესეთი დიდი საქმე კი შეიძლეს აკაკიმ და მისაებრ ბუმბერაზმა ჩვენი ახალი ცხოვრების განვითარების დროს.

ამიტომაც იგი უკვდავია, იგი ყოველ უკვდავი ხალხის ხსოვნაში, უსათუოდ მწიფლიო მოწინავეებში ჩაირიცხება.

თვითონ აკაკი მეტისმეტად უბრალო აზრისაა თავის თავზე. „მე ბზოლოდ აჩრდილი ვარ მომავალი გმირისაო“, — ამბობს ის ხშირად. „ჩემს ნაწერებს მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა აქვსო“. მისი ნაწერების უკანასკნელ გამოცემაში ერთ ადგილას სწერია შემდეგი: „ამ ლექსს ერთ დროს ჰქონდა მნიშვნელობა და ეხლა კი არაფრად აღარა ღირსო“. მაგრამ როდესაც წაიკითხავთ თუნდა ამავე ლექსს, განცვიფრდებით: ისეთი ლამაზია ფორმის მხრივ, ისეთი აზრიანი შინაარსით. ავ-

ტორის ასეთი თავმდაბლობა კი კიდევ უფრო გხიბლავთ და მაშინ იწამებთ, რომ ჰეშმარიტი მწერალი, ხამდვილი ჰენიოსი ბავშვივით უმანკო და გულუბრყვილო უნდა იყოს. ყოველი მართლაც შესამჩნევი პიროვნება თავის თავზე დიდი აზრის არასოდეს არ არის. საზოგადოდ მგოსნებს უყვართ ხოლმე თავის გაღმერთება. „მეც ღმერთი ვარ ვიწრო წრეში“ ამბობს ერთი ჩვენი თვალსაჩინო მგოსანი. აკაკი, რომელსაც შეიძლება სხვაზედ უფრო შეეძლო ასეთი რამ ჩვენში ეთქვა, არაფერს ამ გვარს არ ამბობს. — უცნაური კაცი ვარო, ამას კი გვამცნობს, „ხან მიწისა ვარ და ხან ცისა, ხან არც ისა ვარ, არც ისა“. უბრალო მომაკვდავი ვარ, მხოლოდ ჩემში ერთგვარი გამომთქმელობის ძალაო.... ამაზე უფრო წინ ვერ წავა თავმდაბლობა და ეს საკვირველი თვისება მგოსნისა კიდევ უფრო გაუვარებს მას და უფრო გიახლოვებთ. იმიტომ რომ აქ აკაკი, ამ აღსარებაში გულწრფელია. იგი თვით ცხოვრებაშიც, ჩვენ ვიცით, რომ ეგეთი იყო. თავმდაბალი, ყველას თანაზიარი. ვის არ იცნობდა, ვინ არ იცნობდა. ესეც მისი ნიშანდობლი თვისებაა და ხალხი ყოველთვის ანგარიშს უწევს ადამიანის ასეთ თვისებებს.

დიდი ჩამომავლობის კაცი, წერეთლის გვარისა, მერმე კიდევ ისიც იმ დროში, როდესაც ჩვენ ცხოვრებაში ფეოდალიზმი მთავარი დედაძარღვი იყო მისი, უმაღლეს სწავლა-მიღებული, მშვენიერი შესახედავი ვაჟკაცი, ნიჭიერი, მახვილი მოლაპარაკე. ყოველივე ეს როგორც არა ერთხელ აღნიშნულა, დიდათ ხელს უწყობდა აკაკის პირადი ფუფუნებისათვის მიემართნა, როგორც ბევრს მის ტოლებს, მისი წრისა და მდგომარეობის ადამიანებს, მაგრამ იმან მაინც უბრალო ჩანგურის წვირა და ჯორაში გასცვალა ის, რასაც შოთა რუსთაველი „ეშმაკის კვერთხის ძირს“ ეძახდა.

ყოველი საზოგადო მოღვაწე პირად ბედნიერებას გამოწირულია, ეხლაც კი და კარგად წარმოიდგენთ, რა იქნებოდა მაშინ, იმ ყრუ დროს, როდესაც აკაკი საასპარეზოდ გამოვიდა, როდესაც არავითარი თანაგრძნობა, დაცინვისა და აგდების გარდა. თვით აკაკი ხშირად მოგვითხრობს მის თავგადასავალში, რომ მის მოღვაწეობას „ჩხირკედელაობას“ ეძახდნენ, ერთხელაც ერთმა ჩვენმა გავლენიანმა მწერალმა დამიძახა და მითხრა: — მესმის კარგა, რაც გაწუხებს, მართალი ხარ, მაგრამ რასაც შენ ფიქრობ, ის არ გამოვა და დაეხსენ, ისევ სამსახურში შედი, დაწინაურდი, ამით უფროც არგებ შენ ქვეყანასაო...

როგორც ვიცით, აკაკი არ აჰყვა ამ რჩევას და არც არასოდეს იგი არავითარ სამსახურში არ შესულა. იგი ისე დარჩა უბრალო მეშაირეთ და მესტვირეთ, როგორც ზოგჯერ თავის თავს უძახდა, კიდით კიდე მოარული, გამღვიძებელი თავის ხალხისა. გამზიარებელი მისი ჭირ-ვარამისა, მოტირალი მისი ბედისა, მღაღადებელი მისი საუკეთესო მომავლისა.

საუკეთესო ამხსნელი მისი მგოსნობის ძალისა თვით მასვე აქვს

საუცხოო მხატვრულ ფორმებით გადმოცემული ერთ პაწია ბიბლიურ მოთხრობაში. აღწერილია დავით წინასწარმეტყველის გამეფება[6] და საულის ამბავი[7]: ერთი განდეგილი ჰყავს გამოყვანილი, რომელიც რაღაც ჯოხებსა თლიდა და ზედ სიმებს აბამდა. ყველას ჩხირკედელაობათ მიაჩნდათ განდეგილის საქმიანობა, ვერც ჯოხი გამოიყენეს და სიმებისაგან ცხოვრების დასაბამ თოკებს გრეხდნენ, დასცინოდნენ კიდეც მოხუცს. ჯოხზე სიმები გადააბა, ხელი შეახო და აკვნესა რა, მაშინ კი იწამეს ძალა მგოსნობისა. უსათუოდ ავტობიოგრაფიულია ეს მოთხრობაც.

ეხლა, როდესაც ამ მშვენიერმა ცხოვრებამ განვლო ჩვენი ბუმბერაზ აკაკისამ, ჩვენთვის უკვე ნათელი და ცხადია, თუ როგორი შემცდარნი იყვნენ ისინი, ვისაც არ სწამდა აკაკის მოღვაწეობა.

„აკაკიებო, ბაკაკიებო, საიდან კნავით!“-ეს გვრგვინვა და ქუხილი მაშინდელი ცხოვრების მეთაურთა. ეხლა რა საშინელი დისონანსია ჩვენი ყურებისათვის. „სამსახურში შედი, დაწინაურდი, შეიძლება ამით უფრო არგო შენს ქვეყანასაო“. ეს სიტყვები უბრალო ფრაზა არ არის. ეს თითო იდუმალი დეკიზია მაშინდელი მოღვაწეებისა. „მთავრობასთან ვიყოთ კარგად, ის მოგვანიჭებს ყოველივესო“. ეს ლაქიური მრწამსი ძვალსა და რბილში ჰქონდათ მაშინდელებს გამჯდარი და ეგონათ, რომ ისევ, აკაკისა არ იყოს, ესეთი „პოლიტიკა სპარსეთისა“ იხსნიდა ქვეყანას. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რა შეცდენ ისინი და რა მართალი იყო აკაკი. ხსნა ზევით კი არ არის, ხსნა ქვევით არის, — ხალხში, მის უზაკველ გულში. ათრთოლდა მისი თრთოლით, ამკვნესარდა მისი. გმინვით და აი ჩვენა ვხედავთ, რომ იგი არ შემცდარა.

ხალხი უკვე დაადგა თვით შეგნებისა და თვითმოქმედების გზას. მართალია, ჯერ კიდევ შორსაა მისი სრული განთიადი, მაგრამ მოვა დრო და ხალხი გაიმარჯვებს. ხოლო ისეთ მოძღვრებს, როგორიც იყო აკაკი, ხალხი ჩაბეჭდავს თავის ხსოვნაში, და მისი მედგარი წინ-სვლით, მისი ერთობით, მისი კაცთმოყვარულ დიადი წინმსვლელობით, და არა კაცისამოობით, ერთა სოლიდარობით და არა ვიწრო ნაციონალიზმით კიდევ უფრო პატივსა სცემს მის სახელს, რომელიც იწოდა სანთელივით დიდი სახატის წინ და ეს სახატე იყო მთელი ქვეყანა.

ესეთი საქციელი, ერთი გზით მტკიცე სიარული, ჩვენი ხალხისა, დემოსისა, იქნება აღნიშვნა ჩვენი საყვარელის, დიდებული მგოსნის, ჩვენი აკაკის სათაყვანო ხსოვნისა.

ვახტანგ კოტეტიშვილი

აკაკი წერეთელი

ჯერ ისევ სველია აკაკის სამარე. ჯერ ისევ თალხებშია გახვეული საქართველო. ჯერ ისევ ცოცხლად ვგრძნობთ აკაკის სუნთქვას. ჯერ კიდევ ვერ შევრიგებივართ იმ აზრს, რომ მამადავითის მთაზე [1] ორი ახალი

საფლავი გვაქვს, ორი დიდი საფლავი. იქ მხოლოდ ჭავჭავაძის საფლავი გვეგულება. ჯერ ჩვენი გონება ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ იქვე ასვენია ცხედარი ჩვენი მგოსანთ-მეფის აკაკისა.

„ნაკადულის“[2] მკითხველები მოწამენი არიან იმ დიდი სანახაობისა, რომელსაც აკაკის დასაფლავება წარმოადგენდა, იციან როგორ აშფოთდა მთელი საქართველო, როგორ შეინძრა კიდით კიდემდე და მძიმე, ყრუ ხმა-ღა ალმოსკდათ, როდესაც ორი სიტყვა: „აკაკი გარდაიცვალა“-ელექტრონის ნაკადივით სწრაფად მოედო ჩვენს მხარეს. „ნაკადულის“ მკითხველების ყურამდე ისიც მიაღწევდა, რომ აკაკის კუბოს ამკობდა ერთი სადა გვირგვინი, ფრიად შესანიშნავი და საგულისხმო წარწერით: ეს იყო: „აკაკის — საქართველო“. მთელი საქართველო შემოიკრიბა მისმა ცხედარმა, დანაწილებული საქართველო შეაერთა მისმა სახელმა, მტრებიც კი დროებით შეარიგა მისდამი პატივისცემამ. ამგვარი დღე ცოტა ახსოვს ქართულ ისტორიას. აკაკის სიკვდილმა ნათლად დაგვიმტკიცა, რომ ყოფილა უმაღლესი ეროვნული საფეხური, სადაც სუსტდება ინტერესთა სხვადა-სხვაობა, და ერი, მთლიან სხეულად ქცეული მშვერად მეტყველებს. ცოცხლად დაგვანახა, რომ ქართველობა — ეს ზოგადი რამ არის, რომელიც ყველა წოდებისათვის თანაბრად ძვირფასი. და სანუკვარია. ეს მოიმოქმედა აკაკის აღსასრულის დღემ.

მაგრამ არ გეგონოთ, რომ ეს მხოლოდ უბრალო პატივისცემა იყო. დიდი ადამიანის სიკვდილით გამოწვეული, არა, აკაკი სიცოცხლეშივე შეიყვარა საქართველომ და საქართველოს უგვირგვინო მეფედ გამოაცხადა. რატომ? — იმიტომ, რომ მასში ჰპოვა თავისი სახე, იმიტომ, რომ აკაკი იყო მეტყველი საქართველო... მაგრამ როგორ? რა მოახდინა ასეთი? რა მოიმოქმედა, რომ ასე მუხლს იდრეკს მის წინაშე მთლად საქართველო? რა ჯადო-წამალი მოიხმარა, რომ ასე სასიყვარულოდ ააძგერა ყველას გული და თავის გარეშემო ხალხი შემოიხვია? რა მისცა მან საქართველოს, რომ საქართველომ ისეთი ხელთ-უქმნელი ძეგლი დაუდგა, როგორიც არის ერის სიყვარული? — გადავავლოთ თვალი აკაკის შემოქმედებას და იქ მოვძებნოთ მიზეზი, რომლის გამო შეუმკეს დაფნის გვირგვინით შეევრცხლილი მოხუცი თავი.

წინა წერილში ჩვენ ვისაუბრეთ ილია ჭავჭავაძის შესახებ და მოკლედ გავითვალისწინეთ შინაარსი და სახე მისი შემოქმედებისა. მაგრამ თითქოს ბუნებრივად ილიას სახელი ისე შეუკავშირდა აკაკის სახელთან, რომ აკაკის სიკვდილიც არ ყოფილიყო, მაინც ილიას გვერდით, ილიასთან ერთად, აკაკიზედაც უნდა გვეთქვა ჩვენი სიტყვა და ეს ადვილი ასახსნელია. ორივე ერთ დროს გამოსულნი სამწერლო ასპარეზზედ, ერთად დიდებულად აღიმართნენ ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე და თავისკენ მიიქცეს ყველას ყურადღება. ორივე სიბერემდე წინ უძღოდა ჩვენს ცხოვრებას. ყოველივე თრთოლა ცხოვრებისა თავიანთ ჩა-

ნგზე აჰკიდეს, გამოეხმაურნენ. ორივემ თითქმის ერთსა და იმავე კილოზე მომართეს ქნარი და უმღერდნენ ქვეყანას ცოცხალ ჰანგებს. ერთი იყო მთავარი ჰანგი ორივეს სიმღერაში, და ეს ჰანგი სამშობლოს სიყვარულს გამოსთქვამდა. სწორედ ამ მთავარ ჰანგის ერთიანობამ გამოიწვია მათი ჩვენ თვალში შეკავშირება ისე, რომ ერთი მეორისაგან თითქმის ვეღარც კი გაგვიშორებია. ხომ სიკვდილის შემდეგაც არ განაშორა ისინი ქართველმა ერმა. ილიას სამარის გვერდით გაუთხარეს აკაკისაც საფლავი, და ჩვენთვის სიცოცხლეშიც განუყრელნი შემოქმედებით, სიკვდილის შემდეგაც განუყრელად დავტოვეთ. ასეთია ჩვეულებად ქცეული სურვილი ქართველებისა, რომ აკაკი—ილიაზე ერთად იმეტყველონ. არც მე ავუხვევ გზასა და ილიას შემდეგ გადავშლი რვეულს აკაკის შემოქმედებისას. გადაშლისთანავე ჩვენს წინ ეროვნული საკითხი აღიმართება და მშობლიური ჰანგი ტკბილ მუსიკად მოეკვლინება ჩვენს სმენას. სწორედ ამისათვის გვიყვარს იგი ჩვენ, ამით დაიდგა მარადი ხელთუქმნელი ძეგლი. ჩვენ ვაფასებთ და სათუთად ვუვლით ამ გრძნობას, უძღებად უსმენთ ამ ჰანგს, რადგან ჩვენ ეს გვწყურია. ჩვენი ცხოვრება ისე იყო და არის მოწყობილი, რომ ამ ჰანგმა მიიქცია მთავარი ყურადღება, სხვას ყველას პირველობაში შეეჭიშპა, და ჩამოართვა კიდეც. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო: გვესაჭიროებოდა იგი და დღესაც გვესაჭიროება. ვერ გავსძლებთ უიმისოდ. ჩვენ მიყუჩებულ ცხოვრებას რხევა უნდა, რომ იგი ობს არ შეეჭმევინოს, უმოძრაობით გარე-მოცული. მოძრაობა გვეშვირება. ჩუმი, ეროვნული ძალის დუღილი, რომ ჩვენი ეროვნული ძალა არ მოისპოს, არ გადაშენდეს, და თუ დღეს არ მომხდარა ეს, ამაში დიდი ღვაწლი ჩვენ მწერლებს მიუძღვით, და მათ შორის უპირველესი — აკაკის.

გამოვიდა თუ არა სამწერლო ასპარეზზე, აკაკიმ მაშინვე ამ ჰანგზე მომართა თავისი ჩანგური, და ამ ხმაზე მღეროდა იგი სიკვდილამდე, მოხუცი გულ-გაუტეხელი. თავისი შემოქმედებით აკაკიმ გადაშალა მთელი ვითარება ქართველთ არსებობისა. მან გვიჩვენა მთელი შემადგენლობა ქართველი ერისა, გაგვაცნო, დაგვიხატა მისი ცხოვრება, აზრი, რწმენა-მისწრაფებანი. არ იცნობდა საქართველო თავის თავს ახალ წყობილებაში. სარკე არ ჰქონია, რომ შიგ ჩაეხედა და ერთხელ მაინც დაენახა საკუთარი სახე. აკაკიმ მისცა ქართველობას ეს სარკე და შეძრწუნდა ქართველობა, როდესაც შიგ საკუთარი სიმახინჯე დაინახა.

კითხულობდა ქართველობა აკაკის ლექსებს, და სირცხვილის ალმური მოეკიდა სახეზე: სცნობდა თავის თავს, დედას, მამას, და-ძმებს, ნათესავ-ნაცნობებს. ყველა შიგ იყო გამოყვანილი, ყველა გაკიცხული, ყველა გამათრახებული. ჩვენზე სწერსო, — ამბობდა ყველა დარცხვენით და მართალიც იყო. ყველა ისინი გახადა პოეტმა საგნად თავისი გესლიანი სიცილისა, ყველა აწიელა თავისი მკაცრი შოლტების ქვეშ. რატომ? ალბათ მიზეზიც ჰქონდა. როდესაც პოეტური ცეცხლი აკაკისა გაღვივდა, როდეს-

აც მოიმარჯვა კალამი, როდესაც გონების თვალით შემოევლო საქართველოს, რომ აეკრიფა ჰანგები, ეხილა სახეები და პოეტურად გარდაექმნა. სწორედ მაშინ ჩაისახა მისი მსუბუქი, გესლიანი და მასთან ერთად სიყვარულით გამოწვეული დაცინვა. სწორედ მაშინ გაჩნდა მისი სევდა, რომელსაც სიბერემდე ასაზრდოებდა დიდი მგოსანი. სამშობლოს სიყვარულით იყო აღსავსე აკაკი, როდესაც შეგნებულად აახილა თვალები; როდესაც პირველად აიღო კალამი, აკაკის მაშინვე სამშობლოს სახე წინ წარმოუდგა და აკაკიმაც მოისურვა ლექსის მიძღვნა. მაგრამ რად და რისთვის, ან ვისთვის? დაიგვიანა დღემ მგოსნის გაჩენისამ, და მის სიმწიფემდე საქართველოს გადარჯულება უკვე მოესწროთ. უნებლიეთ დაიგვიანა, საქართველოს სხეული უკვე აეკუწათ, ასოები საქართველოს სხეულისა უკვე ერთი-მეორისათვის განეშორებინათ, და აქეთ-იქით დაქსაქსულები საცოდავად-ღა ჰფეთქავდნენ სიკვდილის მოლოდინში.

აკაკიმ მიმოავლო ცეცხლით აღგზნებული თვალები, გაიმახვილა სმენა, მაგრამ თვალით ვერ არღვევდა ნისლს, საქართველოზე ჩამოწოლილს, სმენით ვერ გაიგო ქართული, რადგან მას აბუჩად აგდების ობი გადაჰკვროდა: იმ ენაზე აღარ ლაპარაკობდნენ, გაიგო, რომ რაღაც შხამნარევი კვამლი ჰბურავდა შშობლიურ კერას. შეძრწუნდა პოეტი. კვლავ მიმოავლო თვალი არე-მარეს და სასტიკი ხმით დაიძახა:

...ჩემი სატრფო სად არი,
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?—ო.

მართლაც, ნისლი ჰბურავდა. შავი ღრუბლები ზღაპრად გადასწოლოდნენ და სუნთქვას უძნელებდნენ მის სატრფო — საქართველოს. ხოლო მგოსნის აღშფოთება იქ აღწევს უმაღლეს ხარისხს, როდესაც დაინახავს, რომ მისი სატრფო მონად ქცეულა და სხვას ემსახურება. „გადვიხედე, —ენახე, რომ სხვას ჰმონებდაო". და აქ აღიცსო ნაღველ-ნარევი რისხვით, რომელიც არ განშორებია სიკვდილამდე და ხმარობდა ყოველთვის, როდესაც საქართველოს მტერს ხედავდა.

როცა უკვირდებით აკაკის შემოქმედებას, თითქმის ერთფეროვნად გვეჩვენება. ჰკითხულობთ მის ლექსებს, და ყველანი, როგორც ჯაჭვის რგოლები, ერთი მთავარი წერტილის გარშემო იკრიბებიან, და ეს მთავარი წერტილი მისი სამშობლოა. მაგრამ არ გეგონოთ, რომ აკაკი მოსაწყენი იყვეს. არა, თქვენ ერთნაირი ხალისით ჰკითხულობთ ყოველ მის ლექსს, რადგან შიგ შეტყუელებს ჭეშმარიტი ხელოვანი. ხელოვანი ხომ თავისებური ჯადოსანია. რაც მორიგი ადამიანისათვის მოსაწყენია და უბრალო, რაც ყოველ-დღიურობაში შეუმჩნეველია და უფერული, ის ხელოვანის ხელში გარდაიქმნება. მოსაწყენი და უბრალო დიდებულად და წარმტაცად იცვლება; შეუმჩნეველი — დიად სვეტად აღიმართება ჩვენ წინაშე, და უფერული კი, იმოსება რა დიდებით და მშვე-

ნიერებით, გეევლინება როგორც წარმტაცი რამ ხატება. ასეთია ძალა ხელოვნებისა. ასეთივეა შემოქმედება აკაკისა. თქვენ განუწყვეტლივ გეხებით მისი სიმღერა. სამშობლოს გარშემო აკინძული, ჰხედავთ მგოსნის ცრემლებს, — სამშობლოს გარშემო დაფრქვეულს, ხედავთ თვით მგოსანს, სამშობლოს სხივით გაშუქებულს. არ არის მის გარეშე მისთვის ღმერთი, არ არის მის გარეშე მისთვის მშვენიერება. არ არის მის გარეშე ხალისი და სიხარული. სამშობლოსა და მგოსნის შუა ისეთი ცოცხალი კავშირია, რომ ყოველგვარი თრთოლა სამშობლოსი პოეტის სულის თრთოლვას იწვევს, აღელვებს. მის ჰანგებზე აყოლებს მგოსანი თავის სიმღერას და საყვარელ სამშობლოს უწნავს გვირგვინს დიდებისას.

ეს კიდევ ცოტაა. მწერალი ისე არის გარემოცული სამშობლოზე ფიქრით, რომ ყველგან მის სევდიანი სახე ელანდება, რასაც კი ჩაუკვირდება, ყველგან მისი სევ-ბედი გაახსენდება. აგერ შორს, სადღაც მოისმის მკვნესარე ხმა მინაზებულ სალამურისა. მოქვითინე ნელ-ნელა სწყდება ლერწამს და დინჯად ეფინება არე-მარეს. უსმენს მგოსანი, და სალამურის მთრთოლვარე კვნესა აგონებს მწარე მოთქმას საქართველოსას, რომელსაც

ხან თათრები აკვნესებდნენ,
ხან თურქები აოხრებდნენ,
ხან სკვითები დროს შერჩევით
მყუდროებას უშფოთებდნენ.

აგერ ზურნის მჭექარე ხმა მოარღვევს ჰაერს, ახმაურებს ყველაფერს და ყველას საზეიმოდ იწვევს; სასტიკი და ცოცხალი ხმები სწრაფად სცვლიან ერთი მეორეს და ცდილობენ სამხიარულოდ კაცთა სისხლის შეთამაშებას. უსმენს მგოსანიც, და აქაც მშობლიური ხმები ეცნაურება. რიხიანი და ცოცხალი ჰანგი ზურნისა აგონებს წინაპრებს, და მშვენიერი სევდით პყრობილი მიმართავს:

ახ, მეზურნევ, დაჰკა! დაჰკა!
გამაგონე ეგ სევდის ხმა,
მაგანია ჩვენთა ძველთა
მამაცური ოხვრა, მოთქმა.

აგერ... ბუნებას გული კვლავ გადაჰხალისებია და მზის სიუხვით გატაცებულს, მოუხსნია თეთრი ჩადრი, რომ გულმკერდი გადაუშალოს მზის ცხოველ სხივებს. გაზაფხულებულა. თოვლის დამდნარ ლეჩაქიდან უკვე ამოჰყვეს თავი ყვავილებმა, და მოხვდათ რა მათაც მაცოცხლებელი შუქი, გახალისდნენ, იწყეს მხიარული სიცოცხლე. იქ იამ მოპარვით ახედა მზეს და დარცხვენილმა თავი ჩაღუნა, იქ გვირილამ ყელმოღერებით მიმოიხედა გარეშემო, და თითქო გახარებულმა მზეს შეს-

ცინა. აგერ სოსანიც როგორ მოკეკლუცებულა და რაღაც სინაზით ისიც ხალისიანად იღიმება. აგერ ფრინველნიც რა მხიარულ ფერხულში ჩაბმულან და, აღტაცებულნი სიცოცხლის განახლებით, უერთდებიან ბუნების ზეიმს. გამქრალა ზამთრის ყომრალი ფერი, და მოკრიალებულ ცის ჯალოზე მზის სხივები, ვნებით დამთვრალნი, ცეკვაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. არც ადამიანი დარჩა გულგრილ მაყურებლად: იმანაც მხიარულად შეჰღიღინა მოცინარ ზეცას. მაგრამ ამ საერთო მხიარულებას ვერ ეკარება ჩვენი მგოსანი. იგი გულხელდაკრეფილი განდგომილა და ძძახის: ჩემთვის ჯერ არ დამდგარა გაზაფხულიო. ვეძებთ მიზეზს, თუ რამ აიძულა მგოსანი, რომ ამ საერთო სიხარულის დროს იგი ვერ ხარობს, და გვესმის პასუხად:

სანამ ჩემი საყვარელი
ჭაჯებსა ჰყავთ ცხრა-კლიტესში,
ვინ მაღირაებს სასუფეველს,
ჯოჯოხეთი მიძევს გულშიო!.

ხედავთ სიძლიერეს მგოსნის სიყვარულისას, სამშობლოს გარეშემო შემოვლებულს? ხედავთ უზომო ტანჯვას, ჯოჯოხეთის სახით მგოსნის არსებაში მოქცეულს, სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეულს? ხომ ეს საყვარელი — მისი სამშობლოა, ტყვე-ქმნილი საქართველო, და ჭაჯები კი — მტრები, რომლებიც ჰბორკავენ ჩვენს ცხოვრებას, გვიძნელებენ არსებობას, გვიწამლავენ ჰაერს, და ყველა ამას მოქმედებენ მხოლოდ იმიტომ რომ ჩვენში ამოაშრონ ქართველობა, ამოსწოვონ ქართული სისხლი. და რა? განა დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ტყვეობას არ წააგავს? ხომ ჩვენ არავინ არ გვკითხავს, თუ რა გვინდა, რა წყლული გვაქვს; ხომ თვით ჩვენში დევნილია ქართული, ძალა წართმეული და არა-რად გამოცხადებული. და ქართველობაც იქამდის გადაგვარდა, რომ თვით სდევნის თავის ქართველობას, უარ-ჰყოფს მშობლიურ ენას და ეხმარება ჩვენი მოსპობის მაძიებელთ. მგოსანი ჰხედავდა, რომ მის სატრფოს წყლული ჰქონდა, რომ მას მზრუნველი ხელი ეჭირვებოდა, მის ნაცვლად კი უცხო ვინმე უშნოდ და ტლანქად უფათურებდა ხელებს, და ასე ტკივილის სიმწვავეს ერთი-ორად უზვიადებდა. ყველა ამის მაყურებელ მგოსანს როგორ შეეძლო უდარდელად ქეიფი ბუნების ნადიმზე. და აკი უარი სთქვა კიდეც. ნაღვლით დამძიმებულმა უარი სთქვა მონაწილეობის მიღებაზე. გაზაფხულს არ გაუღო გულის კარი, მხოლოდ ეს-ღა უთხრა: როდესაც ამისრულდება ოცნება, როდესაც ვნახავ ჩემს საქართველოს ლაღს, თავისუფალს, ამაყად ჩაბმულს ამ მხიარულ მაყრიონში.

მხოლოდ მაშინ დამიდგება
მე ბედ-კრულსაც გაზაფხული—ო.

ვიმეორებ, რომ აკაკის არ შეეძლო ბუნების ზეიმი გაეზიარა, როცა ამ მოცინარ, სურათის გვერდზე აღმართული იყო შავ-ბნელი სურათი მისი ერის დაჩიავება-დახურდავებისა, სურათი მისი ერის დენა-დაჩაგრისა. როგორ შეეძლო მხიარული მაყრიონი შემოეძახა იქ, სადაც ყველაფერი გადაგვარებულია და ვერანად ქმნილა, სადაც დავიწყებიათ თავისი ისტორია, წარსული, კულტურა და თვით ენაც კი.

სხვა ენით ამიღერტულდა,
ეზარებოდა ქართულიო.

აქ კი გაორკეცებულია ჩვენი მწერლის სევდა. აქ უკვე თვით ჩვენები ჩაბმულან ფერხულში და ერთგულად ეწევიან იმ უღელს რომელმაც ჩვენი გადაგვარება — მოსპობა უნდა მოიტანოს. ქართველი უარყოფს თავის ენას, შრომას უმსუბუქებს ჩვენი მოსპობის მაძიებელთ. ეს ხომ უმაღლესი წერტილია სიმახინჯისა. არ კადრულობდნენ და დღესაც (თუმცა უფრო ნაკლებად), არ კადრულობენ ქართულად საუბარს: — „ახლა არავინ ლაპარაკობს ქართულადაო", — გაიძახიან. ქართველს ეზარება საუბარი ქართულს ენაზედ, ყღურტულებს უცხოზე გონარეული.

ყველა ამის მოწამე იყო აკაკი. ხედავდა, თუ როგორ ჰბილწავდნენ მის წმიდა ტაძარს, როგორ აგინებდნენ მის სამლოცველოს, როგორ ჰხდიდნენ ლეჩაქს მის ძვირფას დედას; და გამოექომაგა. მიმართა ქართველობას, რომ იქნებ გამოეფხიზლებინა და სამშობლოს საკეთილდღეოდ აემოძრავებინა მათი გონება, მათი ნება. იგინი ხომ გადაგვარების გზაზე იყვნენ დაქანებულნი. მათ მტკიცე სიტყვა ეჭირვებოდათ. რომ შეჩერებულიყვნენ, რომ ეცნოთ სიავე დღისა და ცბიერობა-ცთუნება დაპატრონებულისა.

გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია...

ანდა:

ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა, და ნუ სცვლის თავის ენასა,
თორემ ბოლო დროს მოიმკი, უსუსტარ ცრემლთა დენასა.

ასე ეტყოდა იგი გადაშენების ბილიკზე წარმართულ ქართველობას, და თუ ამგვარი რჩევა ვერ აღწევდა მიზანს, თუ მისი ხმა ყრუდ რჩებოდა და უმნიშვნელოდ იკარგებოდა, მაშინ იგი სჯასტიკი და ულმობელი იყო. მკაცრი სიტყვა-გესლის არშია-შემოვლებული — აი მისი იარაღი ამდაგვარ დროს. მაშინ იგი შლიდა ქართულ ლექსიკონს და ჰკრ-

ეფდა ყოველ სიტყვას, რომლის შემწეობითაც შეძლებდა შხამ-გესლის ნთხევას.

ფარისეველო, გაუტანელო, სხვასთან თავ-მხრელო,
შენ ორმოს მთხრელო, ნაგავის მყრელო,
შენ ჭრელო ვეღო! რამ შეგაძელა, სთქვი, საქარ-
თველო.

აი, ასე ხვდებოდა საქართველო შინა-მტრებს: „თავი ქონით გაქვს სავსე და ტვინით კი ფეხებიო“, და მუდამ-ჟამს მის არარაობაზე მეტყველებდა. მას სურდა ენახა საქართველო ხალისიანი, ცოცხალი, მის ნაცვლად კი ხედავდა საქართველოს დავრდომილს, ჩანეულს. ეს კი უმთავრესად მისი შვილების, ქართველების ბრალი იყო; იგინი ჩამორჩნენ ცხოვრებას, მოხუცეს თვალი და ცხოვრებამაც აითრია იგინი. მოსწყდა წარსულს, დაებინდა აწმყო, და მომავალზე ფიქრსაც ხომ ვერ ბედავდა. მიხვდა მას აკაკიმ, ახედ-დახედა და მიმართა:

ეჰ, ქართველო, აბა მითხარ ვინა ხარ?
მოწინავეს ჩამორჩი, უკანაზე წინა ხარ,
ესხო კაცად არ ვარგიხარ, აღარცა რა შინა ხარ,
ორთა შუა აგდიხარ, სანაგველას ფინა ხარ — ო.

და აბა ამგვარი ქართველობა როგორ ჩაუდგებოდა ცხოვრებას სათავეში, როგორ წარმართავდა საკეთილოდ საქართველოს ცხოვრების დენას. აკაკი რომ უწუნებდა მათ ყოფას, რომ უკიჟინებდა სიცალიერეს, ხომ უნდა მიეცა რაიმე მცნება, რომ იმის-და მიხედვით ემოქმედნათ? ხომ უნდა ეჩვენებინა სურათი ნამდვილ ეროვნულ ცხოვრებისა.ეს აკაკიმ კარგად იცოდა. მას სურდა ყველა ეს ხელშესახებად და ნათლად ეჩვენებინა, ამიტომ მან უკან გვიბრუნა პირი, გადაგვიშალა საქართველოს ისტორია და ამოკრიფა მაგალითები, დახატა სურათი, რომლის ნათელ პირზე არც ერთი შავი წერტილი არ მოიპოვება. ყველანი ისეთი არიან სამშობლოს სიყვარულით გაცხოველებულნი, ისე მტკიცე ნების და უდრეკი სულის პატრონნი, რომ ძალაუნებურად მაინც აღტაცებით ადევნებთ თვალ-ყურს მათ მოქმედებას. ყველანი გულადნი, მაპატიენი, კეთილნი, სათნონი, ერთი სიტყვით ყველა იმ თვისებების მატარებელნი, რომელნიც საუკეთესოდ არიან მიჩნეულნი. აგერ თორნიკე ერისთავი,[3] რომელიც ბერად შემდგარა და მარტოობაში ლოცვით ავედრებს ღმერთს თავის თავს და მთლად ცოდვიან ქვეყანას. იგი განდგომია სოფელს და ამ მყუდრო სავანეს დაყუდებულა. მაგრამ სამშობლო განსაცდელშია, და იგიც ფარხმალს აისხამს, სტოვებს სავანეს, სამშობლოსაკენ მოეშურება, რომ განსაცდელი თავიდან ააცილოს. ასეთივეა მეფე, რომელიც ისეა გატაცებული ერის სიყვარულით, რომ თითქმის მოუფიქრებლად სწირავს თავს მამულის საკეთილდღეოდ. სა-

ქმარისია მამულს რაიმე განსაცდელი მოელოდეს, უბედურების ღრუბლები შეჯგუფდნენ მის ცაზე, რომ მთელი ქართველი ერი, ვით ერთი კაცი, აღსდგეს და გადასწყვიტოს ან გამარჯვებული სიცოცხლე და ან სახელოვანი სიკვდილი.

ასეთი იყო ძველი სურათი, აკაკის მიერ გაიდეალებული. მაგრამ მის სრულ საყოფად უნდა ვნახოთ, თუ როგორა ჰყავს დახატული აკაკის ქართველი ქალი ძველად. აკაკის ნათქვამია, რომ ქალი ბარომეტრია ერისაო. ვისაც სურს გაიგოს, თუ რას წარმოადგენს ერი, გაიცნოს ქალი, და ერის ვითარებაც თვალწინ დაეხატებაო. ისე რომ, თვით აკაკის მიერ წარსულის სურათის გასათვალისწინებლად აუცილებელია ქართველი ქალის ხილვა, რომ შემდგომ თვით საერთო სურათზე შევიდგინოთ აზრი. აგერ ქართველი ქალი, შაჰ-აბაზის[4] დროისა. მას აუსხამს აბჯარი და ბრძოლის ველზე გასულა, მამა არ ჰყოლია, ქმარი თათრის ომში მოუკლავთ. შვილები ჯერ არ დაზრდიან. ისღა დარჩენილა ოჯახში, მას უნდა მოეხადა ვალი სამშობლოს წინაშე.

— ვერ ვაკმევდი ოჯახს სირცხვილს,
მომეხადა უნდა ვალი,
მამა-კაცის მაგიერად
მე ავიღე ხელთ ფარ-ხმალი. —

ასე მიმართავს იგი ქალი შაჰ-აბაზს, როდესაც ტყვედ ჩაუვარდება და შაჰ-აბაზის შეკითხვაზე:

ნეთუ მართლა ბრძოლის ველზე
გამოსულხარ სუსტი ქალიო.

იგი ამაყად უპასუხებს:

—რატომ არა? ქალი რომ ვარ,
უფრო ჩვილი არ მაქვს გული?
აქ მარხია ჩემი ქვეყნის
ერთგულება სიყვარული—ო.

შაჰ-აბაზი გაოცდა, მთლად შეირხა სულის თანაბრობა, მოუტყდა ნება, და

„ზაშვალანუმ" ბოლოს ბრძანა
ქალი უნდა ამისთანა,
ვხედავ რითაც მიმკლავდება
ერთი ბოხჩა ეს ქვეყანა.

ხოლო თავის ჯარს კი მისცა ბრძანება:

შეაჩერეთ სისხლის ღვრაო,
მზეზმან შუქი მომაფინა,
ვნებათ-ღელვა დამიცხრაო.

ეი ასე, ქალმა თავისი გმირობით, მამულის ნაზი სიყვარულით და ჩჩვილი გულის ნაკარნახევი თავდადებით მოსტეხა ამაყი მტერი და ჩვენი მოსპობის სურვილზე უარი ათქმევინა.

აგერ კიდევ მეორე ქალი, მწუხარე და სევდიანი რომ გადმომდგარა სერზე, თვალები ორბისებრ შორ სივრცისაკენ მიუპყრია და მოუთმენლად ელის ბრძოლის ველიდან შიკრიკს. იგი მოვიდა, მაგრამ პირველად ეს-ღა უთხრა: „რაღა გითხრა მე საბრალომ, შენს შვილების დამკარგავსო“. მაგრამ, დახეთ ქალმა რა სასტიკად შეუყვირა, მკაცრად შეხედა და უთხრა:

სუ! არ გკითხავ! შენ მითხარი ჯერ ესაო,
თათრებმა დარჩათ გამარჯვება
თუ ჩვენს ძლიერ მეფესაო?

და როდესაც მიიღებს პასუხად:

„რასა ბრძანებ, ქალბატონო,
განა გეძლეოდა თათარიო?“
„ზარი დასცეს სერასქირსა,
არ მოსულან ჯერაც გონსა,
ქართველები ღმერთს მადლობენ,
და ადიდებენ სოლომონსა,

მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს:

აბა, ახლა მომიყევი
რაც გადახდა ჩემს შვილებსო.

მაგრამ რა ამბავი მოუტანა შიკრიკმა? ორი შვილი, უფროსი და უმცროსი ძმა, მტრის ტყვიას გაეგმირა, და ასე სისხლით დაეცვათ სიწმინდე მამულისა. ქართველ დედას ობოლი ცრემლი წამწამებზე შეუჩერდა, ნაცრის ფერი დაედო სახეზე, მაგრამ მაინც შეკითხვა განაგრძო: „საშუალომ რაღა ჰქნაო?“ მაგრამ მისდა საუბედუროდ საშუალო მხდალი აღმოჩნდა. იგი ურცხვად გამოეცალა იმ ცოცხალ კედელს, რომელიც მტრის ისარს მტკიცედ უხვდებოდა და მით სამშობლოს განსაცდელს თავიდან აცილებდა. მან დატოვა ძმათა ბანაკი და დაიმალა. შიკრიკიც იძიტომ ეუბნებოდა დედას:

ეგ სახელი არ უნახავს
ქალაჩუნა შენ შვილსაო.

და აქ მოკვდა დედა. აქ ჩაეფერფლა გრძნობა, და ნიშნად უმაღლესი მწუხარებისა —

მოთქმით თავი მოიგლიჯა,
ამოჰყარა ძუძუები,

და იწყო გლოვა ცოცხლად დარჩენილი შვილისა.

არა ვსტირი იმ ორ შვილსა,
ომში მოკლულს გმირულადო,
ვიგლოვ ცოცხალს, დარჩენილსა
უსახელოდ ვირულადო.

ასე ჰყავს დახატული ძველი ქართველი ქალი, ქართველი დედა აკაკის. მაგრამ დღეს?`აი აკაკის სიტყვები:

დღეს ერთი ქალი გამაცნეს, სახელოვანი, ქებული,
დედ-მამა ჰყავდა ქართველი, ქართლშია დაბადებული,
მაგრამ ისეა ნასწავლი, და. ისე განათლებული,
რომ დედა-ენა არ იცის, სძულს კიდეც დავიწყებული.

ამის გვერდით კი მამა-კაცი ამოტუზულა, რომელიც ამ ქალთან ერთად ეწევა მძიმე უღელს გადაგვარებისას, და რომლებიც ერთად შეერთებულნი ისე აღშფოთებენ ჩვენს მწერალს, რომ მწერალი მთელს საქართველოზე აფრქვევს თავის რისხვას და მიმართავს: „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო!“ ამგვარი მრისხანებითაც მას ქართველთა გამოფხიზლება სურდა, და ამ სატირ ფორმით მაინც თავის უნაზესი სიყვარული გამოსთქვა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ აკაკი ასე მკაცრად ამათრახებდა თანამედროვე ქართველობას, მიუხედავად იმისა, რომ ასე ბნელად ჰხატავდა სურათს ჩვენი დაჩიავება-დახურდავებისას, აკაკის მაინც იმედის სხივი გარს ევლებოდა და იმედიანად ამეტყველებდა. „ჯერ ცუდი სანახავია იმათი (ქართველების) მხარე მძინარი, მაგრამ თუ გამოიღვიძებს, ბედი იმათი წინ არი“. ამ გამოღვიძების იმედი კი დიდი აქვს მგოსანს. „არ მომკვდარაო!“ — გადასძახა ქართველობას და იმედის ყვავილი ჩაუნერგა ყველას გულში.

ჩვენ კი ჩვენდა თავად გეტყვით,
გულსა სწამს და ჰკუას სჯერა,
რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა
მომავალი ბედისწერა.

აი, ასე ჟღერდა მგოსნის ჩანგური, რომელიც დღემუდამ აფრთხილებდა ქართველობას, უქმნიდა სიმღერებს და მით უკიჟინებდა ნებას. იგი ესაუბრებოდა დიდ მიჯაჭვულ ამირანზე, რომელსაც „ყვავ-ყორანი ეხვეოდა, დაფლეთილი ჰქონდა გული“. თუმცა იქვე ახსნასაც მიაყოლებდა, რომ „კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი არის მთელი საქართველო, და მტრები კი ყვავ-ყორანიო“. მაინც შიშობდა, ვაი, თუ პატარებმა ვერ გაიგონ ჩემი ნათქვამიო და მათთვისაც სხვა ენით ალაპარაკდა.

ჰეე, ჰეე ქორო ნუ ფრენ
ამ ეზოში დილ-დილაო
ვერ მომპარავ, არ გაგატან
ჩემ პატარა წიწილაო.

ამით იგივე სთქვა, რაც ამირანის ლექსით, მხოლოდ ბავშვებისათვის ადვილგასაგებად. ორივე ლექსით კი სამშობლოს იმედიან მომავალზე გამოგვესაუბრა და მოგვიწოდა მოქმედებისაკენ. ამ იმედიან მღერით მან გადაგვიშალა ძლიერება სამშობლოს სიყვარულისა, აგვიპრიალა ცეცხლი ეროვნული, და მოგვცა მცნება. „არა, აჰყვავდეს იმედი, გულს ვერ გამიტეხს ჭაღარაო", —სთქვა მგოსანმა, როდესაც საქართველოს ცაზე ბედის ვარსკვლავს მოჰკრა თვალი და აახმაურა დაფი და ნაღარა გმირთ შემოსაკრებად. თუმცა იმგვარი გმირები ცოტანი მოიპოვებიან, მაგრამ ნიშნებია, რომ მათი რიცხვი მალე გაიზრდება, და ქართულ „გლოვის ზარს" მათი მხიარული „მაყრიონი" შესცელის. ყველა ამისათვის შეიყვარა საქართველომ აკაკი, ყველა ამისათვის დააგვირგვინა და აუგო ის ხელთუქმნელი ძეგლი, რომელსაც ერის სიყვარული ეწოდება.

მიხეილ აბრამიშვილი

გატეხილი პირობნება

(აკაკის სამარადისო ხსოვნას)

„რადგანაც სამარადისო ადგილთან დაკავშირებულია ჩემი გულისათვის ძლიერ ძვირფასი მოგონებანი, ამიტომ ვითხოვ, რომ როდესაც ღმერთი ისურვებს ჩემს მიხმობას, მიმაბარონ მიწას ჩემი სამოსახლო ქარის ეკლესიის გვერდით ს. სხვიტორში."

აკაკის ანდერძი

„თუ ხალხის სურვილი იქნება, წინააღმდეგი არა ვარ, სხვაგან დამმარხონ"

(იხ. „თემი" 206)

ფილოსოფოსი ჰეგელი ამბობდა, რომ ყოველი ერი მსოფლიოში მატარებელია რაიმე იდეისა, რომელსაც იგი ახორციელებს თავის ისტორიულ მსვლელობაშიო. თუ ეს თქმულება ჰეგელისა არ არის დამყარებული, მტკიცე რეალურ — ლოგიურ კანონებზე, ერთგვარს ისტორიულ ჰეშმარიტებას მაინც შეიცავს. ამ თვალსაზრისით, ქართველი ერის ისტორია თავის მსვლელობაში, მხოლოდ-ღა მძაფრი ტანჯვის იდეას თუ ახორციელებს. XIX ს. სივრცეზედ კი, იგი ტანჯვა უფრო მეტ მძაფრ ტრაგიკულ განცდათ იცვლება. ძველ დამონავებულ საქართველოში ინდივიდუალური ფსიხიკა არა სჩანდა, აქ პიროვნება გათქვეფილი იყო ეროვნულ ტრაგედიაში, არ ისმოდა მისი ცრემლთა ფრქვევა, განცდა მისი სისხლით მორწყულ მიწაზე იყო გართხმული. მთელი საუკუნეების განმავლობაში, მხოლოდ აქა-იქ ოდნავ თუ ამოანათებდა რო-

მელიმე ძლიერი პიროვნება, მაგრამ მყისვე სახე მისი შავი ბურუსით იმოსებოდა და ასე ინთქმებოდა პიროვნება საიდუმლოებით მოცულ ისტორიულ მსვლელობაში.

XIX საუკუნის ქართველი ერის ტრაგედია კი, უმთავრესად რამოდენიმე ძლიერ პიროვნებას ატყდება თავს და აქ მათი ტრაგედია მარტო პიროვნულ ინდივიდუალურ ელფერს კი არ ატარებს, არამედ მთელი ერის უხმო ტანჯვას იტევს თავის ფსიხიკაში. მაშინ როცა ებრაელთა ერმა განაწამებმა ამ ქვეყნიურ ტანჯვა-ვაებით, თითქმის უარყო ეს ემპირიული მსოფლიო და რელიგიურ ექსტაზში, დიადი ეკკლეზიასტის[2] პირით ამცნო ქვეყნიერებას „ამაოება და ყოველივე ამაოაო"[3].

ქართველი ერი მთელ ამ ტრაგედიაში მაინც შეუდრეკლად სდგას ცივ მიწაზედ და შორეული იმედით აღსავსე, ებრძვის ცხოვრების ვაებას, მხოლოდღა ცხოვრებითვე და არა მისტიური იდეებით. იგი ტანჯულია, მაგრამ ცხოვრებას მაინც არ შორდება და შორს შეჰყურებს ღრმა იმედით აღსავსე, მოკიაფე ვარსკვლავს თავისი ბედისას. ქართველის პიროვნებაც სწორედ აქ იყოფა ორ ნაწილად, იგი თუმცა სცხოვრობს ამ ემპირიული სიცოცხლით, მაგრამ თავისი მისწრაფებით, იგი შორეულ ბურუსით მოცულ საიდუმლოებაში სთხზავს გვირგვინს თავისი მომავლისას. ეს პიროვნების გაყოფა ყველაზე უფრო მძაფრად იგრძნო იმ მოხუცმა, ვინც ყველაზე უფრო მეტი სიმბოლოა ქართველი ერისა. ბუნებით ძლიერი ინდივიდუალისტი, ღრმა მარადიული იდეებით დატვირთული მგოსანი, გამოდის ცხოვრების ველზე; მაგრამ შავი ზეწარი, თავს ეფარება მის მშობელ ერს. მგოსნის ძლიერი სული იხუთება და იგიც გააფთრებული ლამობს, რომ შეახიოს საიდუმლოებას ზეწარი და შარავანდედით შემოსოს ტანჯული სახე ქართველი ერისა; მგოსანი ცრემლში ლესავს ნაღველს და თავის წკრიალა ჩანგს, სიმების მაგივრად ნერვებს აბამს და ყოველი სიმებზე ხელთ ჩამოკვრა საზარელ გმინვას გამოსცემს, მაგრამ ძლიერი პიროვნება მაინც არ ეცემა სულით და უფრო და უფრო გამობრძმედილი, მხნედ შეჰყურებს მომავალს. შავი ნაღველი, ტკბილ შარბათად იცვლება და სევდიანი ჩანგის მელოდიურ ხმას, დაფისა და ნაღარის ყიჟინი სცვლის და მგოსანი გამოდის, როგორც ნამდვილი მებრძოლი და იმედით აღსავსე ვაჟკაცი.

მგოსნის საყვარელ გმირებში, ყველაზე უფრო, ჩვენს ყურადღებას იპყრობს, ჭალარით მოსილი სახე თორნიკე ერისთავისა;[4] ეს მოხუცი, არა თუ მარტო რელიგიურ მისწრაფებებით არის აღსავსე, არამედ ცხოვრებაში ნამდვილი მებრძოლი გმირიც არის. იგი ორსახიანი იანუსია, რომელსაც ცალი ფეხი ამ ემპირიულ ცხოვრებაში უდგია, თავისი იდეებით კი მარადიულ სამყაროს უერთდება. თორნიკე ერისთავმა. მთელი თავისი სივაჟკაცე, სამშობლოს დაცვასა და სამსახურში გაატარა და მხოლოდ ღა, როცა მისი წვერი შეიმოსა ჭალარით, იგი შორდება ამ ქვეყანას და ათონის მთის[6] მწვერვალიდან აღაელენს ლოცვას შემოქმედ-

ისადმი; მას სურს, რომ ჩაექსოვოს მარადისობას, მაგრამ... ცხოვრების დაუსრულებელი ტანჯვა, კვლავ ითხოვს მოხუცს და იგიც ცხოვრებას უბრუნდება... გატყდა მთლიანი პიროვნება. თორნიკე ეძებს მყუდროებას, რომ ტანჯული და ღელვილი სული დააყუჩოს რელიგიურ ექსტაზში და მით უკვდავ-ჰყოს თავისი ინდივიდუალობა; მაგრამ ამქვეყნიური ემპირიული ცხოვრება, კვლავ ითხოვს მას და იგიც გამოდის, როგორც მებრძოლი გმირი.

თორ. ერისთავი ნამდვილი სიმბოლოა თვით მისი შემოქმედებისა. ძლიერი ინდივიდუალისტი მგოსანი, თუმცა ინით იღებავს ჰაღარას და გააფთრებული ლამობს, რომ გატეხოს ვიწრო ეროვნული რკალი, მაგრამ ამაოდ... წმინდა ხატის წინაშე წამდგარ მგოსანს, მაინც თავისი მშობელი ერის გმინვა უხმატკბილებს მელოდიურ ლოცვას. მგოსნის ემპირიული სახე თანდათან დნებოდა, ვით ანთებული პატრუქი და მისი ქნარი უკანასკნელ წუთამდე უყიოდა ქართველ გმირს. ყვავილი იგი, შორს იფანტებოდა საქართველოს მიდამოში და იწვოდა ქართველის გული, როს ესმოდა მელოდიური სიმთა-ჟღერა გრძნეულ მგოსნისა, და ივსებოდა ვაჟკაცური სიმტკიცით, როს გაისმოდა ძლიერი ხმა ბუკისა და ნაღარისა. მაგრამ დროთა ტრიალში გაბზარული სახე მგოსნისა თანდათან ტყდებოდა. ჰაღარა მგოსნის ბუკმა და ნაღარამ უკანასკნელად შეჰკივინა ქართველ გმირს. მიჯაჭვულმა ამირანმა[7] კვლავ წამოიწია და გააფთრებულმა მტვრევა დაუწყო საუკუნოებით ნაშენ ბორკილებს...

შავი ყორანი კი, ლეშით მაძღარი, შორიდან თავს დაჰფარფატებდა და თავის გულშემზარავ ჩხავილს განაგრძობდა.

მგოსნის პიროვნების ტრაგედია XIX ს. არანორმალურ ცხოვრებაში უნდა მოეძებნოთ. თუ ძველმა რუსთაველის საქართველომ თავისი გენიალური სული, ბარათაშვილის[8] ფაფარაყრილ მერანით დააგვირგვინა, ახალმა საქართველომ ბარათაშვილის მერანს ლაგამი ცოტა მოუჭირა და ზოგადკაცობრიულ და ინდივიდუალურ საკითხებით აღშურვილი სული ცივ დედამიწის პირზე განერთხო.

უპიროვნო საქართველო, აი რა შეიძლება უწოდოს მომავალმა ქართველმა მე-19 საუკუნის საქართველოს. მთლიანი დამოუკიდებელი პიროვნების ღაღადისი გარდა ბარათაშვილისა არა სჩანს, მაგრამ ისიც ვერ არის ფართედ გაშლილი, ფრთა მასაც შეკვეცილი აქვს. ილია, ძლიერი ნებისა და ფხიზელი გონების პიროვნება იყო, მას სურდა, არა თუ მარტო საქართველოს ეროვნული სახე აღედგინა, არამედ თავის პიროვნებაც ფართედ გაეშალა, მისი სიტყვა, ხშირად ძლიერ პათეტიკური და დამოუკიდებელი იყო; იგი ჰქუხდა ვით ქაფმორეული თერგი[9] და რჩებოდა მაინც გამძვინვარებული ვით ძლიერი მყინვარი[10]. მაგრამ მონობას ჩვეული, უპიროვნო საქართველო, აიტანდა განა, ძლიერ და მეტყველ პიროვნებას? მან გასტეხა ძლიერი სიტყვა

მგოსნისა მხოლოდ ველურად, მისი დასუსტებული სხეული, ლაჩრულად დასცა წიწამურის ველზე[11] ისე, რომ ძლიერმა ნებამ შეტევაც კი ვერ მოასწრო...

ილიამ და აკაკიმ შეჰქმნეს ეროვნული სახე ჩვენი, დროთა ტრიალში დამტვრეული, მაგრამ თავისი ინდივიდუალური პიროვნება კი დაჰკარგეს, მათ მოგვცეს ეროვნული სახე, თავისი პიროვნების უარყოფით. ილია, პიროვნების შენარჩუნებისათვის ბრძოლის ველზე დაეცა ვერაგულად. აკაკის სახე კი სულ მუდამ გამტყდარი გამოიყურებოდა,მან ვერ უარყო სავსებით თავისი სახე, რადგან პიროვნების სავსებით უარყოფა ეს მისი სამარადისო გაჭრობა არის. ვერც თუ მთლიანი სახე იხილა განმტკიცებული და ეს ტრაგედია საზარელი თან ჩაიტანა სამარეს.

გატეხილი პიროვნების უკანასკნელი აკორდი, ეს მგოსნის ანდერძში გამოიხატა, ამ რამდენიმე სიტყვაში ის სახე გამოიყურება, მთელ თავის სიცოცხლეში ტრაგიკულად რომ ატარებდა. მგოსანს სურს იქ დაიმარხოს; სადაც მისი ძვირფასი მოგონებები არის შეკავშირებული. მაგრამ... თუ ხალხის სურვილი იქნება, წინააღმდეგი არა ვარ სხვაგან დამმარხოთო. მგოსნის ტრაგედია დასრულდა. ჩამოშორდა მუდამ მებრძოლი ემპირიული სახე და გრძნეული სული წარვიდა მარადისობის წიაღში.

საჩხერე-სხვიტორის მცხოვრებლებმა თავისი სურვილი უხმოდ გულში ჩაიკლეს და ძლიერმა მოდინახემ[12] თავისი თავი მთაწმინდის[13] საიდუმლოებასთან მოხარა და სამარადისოდ ჩააბარა მას თავისი სიმბოლო.

ისტორიას ახსოვს ერთი დამაფიქრებელი შემთხვევა, როცა ძველ ელლადაში[14] შვიდი ქალაქი ეცილებოდა ერთმანეთს, თუ რომელ მათგანს ხვდებოდა წილად დიად ჰომიროსის[15] სამშობლოდ წოდებულიყო; დღეს კი ეს ცილობა გულახდილათ არ მოხდა, მაგრამ მოდინახეს საიდუმლოებით მოცულ ძლიერებაში თითქოს კვლავ გაისმის ის იდუმალი საყვედური, ძველ ელლინთა მშვენიერ ჰომიროსის გარშემო რომ ატყდა.

გრ. ვეშაპელი

აკაკი და საქართველო

ჩვენ თვალწინ ჯერ ხნობით არ დაჩრდილულა დიადი სახე ცხოველი აკაკისა. მაგრამ სახე იგი, ღვთივმშვენიერი, დღითი დღე ჰკარგავს თავის ადამიანურ წარმავლობის სინამდვილეს და ისახება მეორე სინამდვილე— სინამდვილე გენიოსის მარადისობისა.

განა აკაკის გარდაცვალებამ არ გაამრთელა ჩვენი გაბზარული ეროვნული სახე? განა მან არ დააცხრო რამდენიმე დღით ერის საყოველდღეო

ცხოვრება? განა მან არ გადაჭედა იგი ერთი გრძნობით, ერთი აზრით და ერთი ნებით?

აძგერდა სული ქართველი ერისა, ვითარცა სტიქიონი, ამერეთში და იმერეთში, შავი ზღვის პირიდან დაღესტნამდის, ამაყი კავკასიონიდან არსიანის[1] სისხლით მორწყულ ქედამდის. და ძგერა იგი იყო გლოვა დიადი ადამიანის გარდაცვალებისა. აკაკი — დიადი პიროვნებაა და როგორც ასეთი იგი თავდაპირველად საქართველოს ეროვნული გენიის ხატებაა. საქართველომ მიანიჭა აკაკის თავისი სულის ზენაარი განძი. აკაკიმ არ დამარხა, ვითარცა მონამ ბოროტმა, შთანერგული, რამეთუ „ყოველსა რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს“, არამედ შესძინა მას და უხვად წარუდგინა თავის სულის უფალს: აკაკის ზემხედველი სმენა და გონება სწვდა სამშობლო ერის გულისნადების იდუმალებას და ცხადჰყო მისი შემკრებლობითი აზრი და გრძნობა ცხოველი სიტყვით და სიტყვა იგი წინასწარმეტყველი იქცა მოქმედებად თვით აკაკის თვალთწინავე.

* * *

საბედისწერო ჟამს განიცდიდა ქართველი ერი, როდესაც იქმნებოდა აკაკის პიროვნება. მოისპო ქართველის სამხედრო, სამოქალაქო და საეკლესიო გამგეობა, სამართალი და განათლება... დაიშალა მასთან გადაწნული წოდებრივი წყობილება. დაინგრა ძველი, ნაცადი ფუძე ეროვნული მთლიანობისა... ახალი ფუძე კი, რომელსაც ისტორიამ არგუნა ეროვნების პატრონობა, ჯერხნობით დაშორებული იყო ნაციონალურ ორიენტაციას. ეროვნული იდეა განიცდიდა მწვავე კრიზისს. ახალი პოლიტიკური მდგომარეობის მიერ შექმნილი ფსიხოლოგიური ვითარება საეჭვოდ ხდიდა ერის შემოქმედების ბუნებრივ ზრდა-განვითარებას. ძველი კულტურული ორიენტაცია ახლო აღმოსავლეთისაკენ შეიცვალა ჩრდილოეთ იმპერიის გავლენით და როგორც ყოველთვის, ახალი კულტურის შეთვისებამ მიიღო გადაგვარების ზნე: გადაგვარდა ქალაქი, გადაგვარდა საერო და სასულიერო მაღალი წოდება. და პირველი ნიშანწყალი ამ გადაგვარებისა იყო სამშობლო ენის უარყოფა. „შეურაცხყოფით ვეპყრობოდით ამ ენას და ჩვეულებას, ამბობს მესამოციანელთა დროის მოგიკანი[2] — ნ. ნიკოლაძე[3] — ვიმეორებდით: ქართული ენა რაღას ვარგაო, ქართული ჩვეულება რის გამოსადეგიაო... კი არ გვეშინოდა ქართულად ხმის ამოღებისა, გვრცხვენოდა, გვეთაკილებოდა, გვეგონა გლეხკაცად „მუჟიკად“ ჩაგვთვლიან, თუ რუსულად არ ვისაუბრეთო“ („მამულის სიყვარული“). ეს ხომ ის დრო იყო, როდესაც ინგლისურ ხელთათმანებში გამოწყობილი მეფის მოადგილე თავს ევლებოდა მაღალ წოდებას და წვრთნიდა მათ ესტეტიურ ალღოს იტალიური ოპერით, რუსული დრამით, ცხენთა ჯირითით და ზეიმებით... ის ბრმა, მაიმუნური, გარეგანი წაბაძვა უცხო ქვეყნელების ზნისა და ცხოვრებისა, რაც ჩვენში დიდმა და

პკლიანმა ერნოლოვმა[4] ვერ მოახერხა, — ის ქართველებს ეორონცოვმა[5] ალერსით თუ ოსტატობით შეაპარაო, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — „ამ დროს, განაგრძობს მხცოვანი მამულიშვილი, — ორიოდე ახალგაზრდა კაცი გამოგვეზარდა, რომელთაც ქადაგება დაიწყეს წერით, თუ სიტყვით, ქართველები ვართო, ქართულ ენას ნუ დავივიწყებთო, ქართული მწერლობა აღვადგინოთო“. ერთი ამ „ოთხთაგანი“ გახლდათ აკაკი, — ისეთივე „რუსეთუმე“, როგორც ილია და ნიკოლოზი... აქ შორეულ ჩრდილოეთში, რუსული უნივერსიტეტის კედლებში მიეცა იდეური ფორმა აკაკის საქართველოსადმი სიყვარულს. მხოლოდ შორს ემპირიულ „ფურთხის ღირს“ საქართველოდან შეეძლო მას თავის უღირს თანამემამულეთა შეყვარება იმ დაუშრეტელი სიყვარულით, რომელიც აღვივებს აკაკის შემოქმედებას მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. აკაკიმ შეიყვარა საქართველოს შორეული, იდეალური სახე... მან შეიყვარა ერი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ებრძოდა მტერს. ოთხმხრივ შემოსეულს, თვის მიწის, სჯულის და სახელმწიფოს თვითარსებობისათვის და ეროვნული მთლიანობისათვის. მესამოცე წლებში ვითომდა განხორციელდა ეს მთლიანობა, მეთორმეტე საუკუნის შემდეგ პირველად წარუდგნენ ქართველთ შეერთებულნი პოლიტიკურად ქართლ-კახეთი, იმერეთი, მესხეთი, აფხაზეთი. უცხო იმპერიის სტრატეგიამ და დიპლომატიამ შეაერთა ისტორიულნი ნაწილნი საქართველოსი. მაგრამ თვით სული ქართველი ეროვნებისა მიმქრალიყო და ძლივსღა ღვივოდა. სჩანდა არა მთელი, არამედ მხოლოდ ნაწილნი და ეროვნების კულტი ელოდა თავის ახალ ჭურუმთ... მხოლოდ წინასწარმეტყველს ძალუძდა ეროვნული სულით ზიარება და მით გაკაჟებული პოეტური შემოქმედებით ანთება ცეცხლოვანი სვეტისა უჟამობის წყვდიადში დაბნეულ თანამემამულეთათვის. ასეთი წინასწარმეტყველი იყო აკაკი. მან უმღერა ქართველ ერს ის ახალი სიმღერა, რომელიც ხატავდა საქართველოს ახალ სახეს, ახალ გრძნობით, ფიქრითა და ლტოლვილებით. აკაკი სწვდა ახალ საქართველოს გულისნადებს, იგრძნო მისი ახალი ტანჯვა და არ დაივიწყა ძველიც. თავისი სულიერი სიღრმით მან მრავალი რამ შეიყვარა, მრავალი რამ შეიძულა და ყოველივეს მიხვდა.

ასეთია ეროვნული სახე აკაკის შემოქმედებისა; მაგრამ მას, როგორც ყოველივე გენიოსს, აქვს მეორე სახეც — სახე საკაცობრიო. გათიშვა ამ ორ სახეთა ურთიერთისაგან შეუძლებელია, სწორედ ისე როგორც გათიშვა თანამედროვე და სამარადისო მოშენტებისა. ჯერ კიდევ გოეტემ[6] სთქვა: „ვინც უაღრესად განიცდის თანადროულს, იგი სცხოვრობს სამარადისოდ, ყოველი დროისთვისო“... გარნა თანადროობის განცდას და მის ხელოვნურად გარდაქმნას ყოველთვის ეროვნული სახე აქვს... ამიტომაც თანადროულ ეროვნულია ყოველივე განძი საკაცობრიო, სამარადისო შემოქმედებისა... სერვანტესის[7] რომანი უაღრესად თანადროულია და უაღრესად ესპანური, მაგრამ მისი გმირის თავგადასავალი საკაცობრიო მნიშ-

ვნელობისაა. რუსთაველის პოემა ხორცშესხმული სინთეზია მეთორმეტე საუკუნის ქართველთა ეროვნული ცხოვრებისა, მაგრამ იგი ამავე დროს „სამარადისო ძეგლია“ ქართველთა გენიის შემოქმედებისა. და ასე, უაღრესი ნაყოფი ყოველივე ერის თანადროულ ფსიხიურ კულტურისა — საკაცობრიო სამკვიდრებელია. კაცობრიობის ხოროში, რომელშიც ისმიან სამარადისო ხმანი ეროვნებათა ცხოველმყოფელი სულისა, პირველად ჩაება ქართველობა მეთორმეტე საუკუნეში... მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში პოლიტიკურად და სოციალურად გაერთიანებულმა, მაგრამ სულით გაყრილმა საქართველომ აკაკის შემოქმედებით ხელახლა შეაბა კაცობრიობის სამარადისო ხოროს თავისი ცხოველი ხმანი და ხმა ესე, როგორც რუსთაველისა, ქართველი ერის შემოქმედებითი ძალით იყო გაკაჟებული.

* * *

სისხლით დიდგვაროვანმა, აღზრდილმა სათავადო ბუდეში, რომელსაც ახლაც მედიდურად დაჰყურებს ციხედარბაზი — „მოდინახე“ [8] — აკაკი სიყმაწვილეშივე ეზიარა ხალხის მხატვრულ შემოქმედების ცხოველმყოფელ ნაკადულს, შეჰკრიბა წარუხოცელი შთაბეჭდილებანი. ბუნების და ადამიანის ცხოვრებიდან და გარდაქმნა ისინი ქართულ სახეებში. სახიმეტყველება აკაკისა იგივე ქართული ეროვნული სახიმეტყველებაა, გარნა არა მარტივი განგრძობა არსებულ ხალხურ ეპოსისა და ლირიკისა, არამედ ის ლირიკაა, რომელსაც შეჰქმნიდა თვით ქართველი ერი, რომ იგი ყოფილიყო თავისუფალ განვითარების პირობებში და ამიტომ აკაკის ზენაარი ნიჭი წინასწარმეტყველობაა მიუწვდომელი ჯერ ხნობით უმრავლესობისათვის.

აკაკი ლირიკია — a outrance... თავდაპირველად მის ლირიკულ ლექსებში ფეთქს ის ზეგარდმო ნიჭი — ღვთიური გენია, რომლის წყალობით წინასწარმეტყველებს მგოსანი. აკაკის სულის მონათესავე დასავლეთით — ჰაინრიხ ჰაინე [9] ასე მღერის მგოსნის ბუნებაზე: „ხელოვნებაში, როგორც ცხოვრებაში, ყურადსაღებია მხოლოდ წყალობა ღვთისა“... ამგვარ მგოსანს, ზეგარდმო მირონცხებულს ვუწოდებთ ჩვენ გენიოსს... იგი უგებს პასუხს მხოლოდ ღმერთს და არა ხალხს... ხელოვნებაში, როგორც ცხოვრებაში ხალხს არ ძალუძს ჩვენი განკითხვა — გარნა მოკვლა კი...“ (რადგან-გერმანული ტექსტი ვერ აეწყო, ამიტომაც მოგვყავს ქართული თარგმანი პროზად. რედ.)

ასეთია აკაკის მრწამსიც; თავის „ქებათა ქებაში“ იგი მღერის — „შენ და მხოლოდ შენ ციურო ნიჭო, გამოუთქმელო კაცთა ენითა! შენგან მგოსანი ფრთებშესხმული ვარ და მონავარდე აღმაფრენითა“..

თ. კ. აბაშიძეს [10], რომლის აზრით აკაკი თავდაპირველად რეალისტი ლირიკოსია და არა რომანტიკოსი, რაღაც „ატავისტურ“ [11] განცდათ მი-

აჩნია რეალისტ მგოსნის ასეთი „მედიდურობა“, გარნა შეცდომაა აკაკის პოეტური მრწამსის ნაკლებ რომანტიულად ცნობა, ვიდრე ილიასა და ბარათაშვილისა [12]. თუ ბარათაშვილმა პოეზია „ღვთის ტაძრად“ მიიჩნია, სად ენთო მარად უქრობელი წმინდა ლამპარი“, თუ ილიამ ამაყად აღიარა: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა“-ო [13], განა აკაკი იმავე „ჭებათა ჭებაში“ არ მღერის: „და ახლა მე ვგრძნობ საიდუმლოდ ვცნობ, რომ არის კაცში ღვთისა ხატება! რამ ამამაღლა, ვინ მაგრძნობინა ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა? ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება ძლევამოსილად გარდამიცვალა?!...“.

აკაკი პირდაპირ ადარებს ჩანგის ბგერასა და ლოცვას და ორთავე დასაბამად ზეგარდმო შთაგონებას აღიარებს. მისთვის როგორც ლოცვა, ისე სიმღერა — აღელვებული სულის მძაფრი აქტია... ამიტომაც აკაკის ლექსთა კითხვის დროს ჩვენ ვგრძნობთ, როგორ ფეთქს მისი სული და როგორ ყვავიან მისგან გამოცხადებულნი ცხოველი ხმანი, სწორედ ისე, როგორც ფეთქს სიმღერა ხალხური, სიმღერა ყრმათა და მგოსანთა, ეს ჰაინისებური დახასიათება პოეტისა ზედ გამოჭრილია აკაკის შემოქმედებაზე.

ნათესაობა აკაკისა და ჰაინესი არ ამოიწურება ამით. ორთავეს ლირიკაში არიან ჩაწნულნი რელიგიური ჰანგები, გამოწვეულნი მგოსანთა ერთგვარი განცდით. როგორც ჰაინე, აკაკი გრძნობს ზეკაციურ ძალას და აძლევს მას ხორციელ სახეს: — „შემოქმედების სახევ, ბუნებავ, — ამბობს აკაკი, — ვინ ჩაგისახა ეგ ძლიერება?

ნეტავ თუ იყო ღვთისა ქმნილება,
გვერეტდეს და არ გრძნოს მან ნეტარება.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიაში უცხოა ასეთი რელიგიური ჰანგები და მით უფრო დიდია აკაკის ლტოლვილება საიდუმლო, იმაქვეყნიურ სამყაროსაკენ, რომელზედაც მგოსანი თეოსოფიურად [14] მღერს:

სადაც ჰკუა სცდება და ტყუა,
იქ მხოლოდ, გული ჰგრძნობს,
რომ აწის ზეცა, აღვსილი.
და რაღაც ძალით საგრძნობით,
და ეს ქვეყანა ყოველგნით, ყველგანა
თავს უხრის შემქმნელს
მადლით საგრძნობით!.

ღირსეული მემკვიდრე ბარათაშვილისა, გრიგოლ ორბელიანისა [15] და ჭავჭავაძისა [16], აკაკი რომანტიკოსია თავის ურეალისტურ ლექსებშიც. რომანტიკულია მისი პოეტური მრწამსი, რომანტიკულია მისი ლირიკა, როგორც პატრიოტული, ისე რელიგიური, ელეგიური და ეროტიული; გა-

ნა ილიაზე უფრო თაყვდაბალი წარმოდგენისაა პოეტზე აკაკი, როდესაც ამაყად სთხოვს რუსთაველს:

სულმნათო ჩვენცა გვასწაელე
ეგ საიდუმლო ქელერისა,
რომ ამისრულდეს წადილი,
მგოსანი ვიქმნე ერისა-ო.

და იგი მზად არის სანთელივით დადნეს ერის მგოსნობისათვის. ხატის წინ ანთებული სანთელი ხომ

მყუდროდ, უხმოთ და უძრავად
დნება ვით მსხვერპლი დიადი
რო მადლით გაასპეტაკოს
თვალუწვდომელი წყვდიადი.

და მაინც, ამბობს აკაკი

რაღაც უცნაურ ერთობას
ვხედავ სანთელს და ჩემ შუა
მხოლოდ ვგრძნობ...
თვარა ვერ სწვდება
ჩემი გონება და ჭკუა,
სანთელი მგოსნის ხატია,
სიცოცხლე მოკლე პატრუქი.
ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა
და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე
არ შემიძლია მეც განა?

აკაკი დნებოდა, იწვოდა ვითარცა წმინდა სანთელი, მთელი სიცოცხლე სალოცავ ხატის წინაშე. ხატი — ეს ის სატრფოა, ის ნესტანი საქართველო, რომელსაც ასე ემუდარება პოეტი:

მშვენიერო, შენ გეტრფი,
შენი მონა ერთგული
შენთვის სულდგმულს, შენგანვე,
შენთვის მიძგერს ეს გული.
მეგულები ციხეში,
ცხრაკლიტულში მჯდომარე,
შეთვისებას გიპირებს
გაიძვერა მოყვარე!

გაემაგრდი განსაცდელს
აიტანე ტყვეობა.
გშვენის ნესტან-დარეჯნის
მაგალითი, მზეობა.

• •

აკაკის მთელი ლირიკა, მთელი პოეტური შემოქმედება — ტარიელობაა ამ ცხრაკლიტულში დამწყვდეულ ნესტანისათვის[17] და რაინდული მსახურება ამ სატრფოსი უნებლიეთ გვაგონებს ჩვენ მეცამეტე და მეთოთხმეტე საუკუნეთა დიდებულ სიმბოლისტ, დანტე ალიგიერის[18] ბეატრიჩეს[19]. გარნა თუ დანტემ კონკრეტული, მიწიერი სახე ბეატრიჩესი გარდაქმნა ღვთიური გამოცხადების აბსტრაქტულ, გონებამიუწვდომელ სიმბოლოთ, — აკაკიმ პირიქით აბსტრაქტული ცნება ეროვნებისა გარდაქმნა ხორცშესხმულ და სულჩადგმულ სატრფოს სახედ და გარდა იმისა, რომ თვით შეიყვარა, შეაყვარა იგი მთელ ქართველობას... დანტეც და აკაკიც სიმბოლისტებია თავიანთი სატრფოს კულტით. ხოლო თუ ერთის სიმბოლიზმი გასულიერებაა რეალურ სახესი, მეორესი — განხორციელებაა იდეალურისა. და წინააღმდეგობა ესე თავდაპირველად აღმოსავლეთის და დასავლეთის სულის დაპირდაპირებაა პოეზიაში.

იტყვიან, აკაკის მიერ საქართველოს განესტანება — სიმბოლიზმი კი არა, უბრალო ალეგორიააო... გარნა თვით უაღრესი სიმბოლიზმიც ხომ ალეგორიის ნაცვალი სახეა? სიმბოლიზმი ხომ დასავლეთის, ევროპის მეცხრამეტე საუკუნის კუთვნილებას არ შეადგენს... იგი ძველია და საყოველთაო, ვით თვით კაცობრიობა? და დასაბამი მისი სწორედ აღმოსავლეთია... შეგიძლიათ „ათას ერთი ღამის“[20] ეპოპეის ალლეგორიები უწოდოთ. მხოლოდ ესეთი ალლეგორიები ათასწილ მეტად სიმბოლიურია, ვიდრე მოდერნისტული სახეები. და როგორც უაღრესად სიმბოლისტურია— დანტეს მითიური ალლეგორიები, — ასევე სიმბოლიურია აკაკის „ნესტანობა“, აწყობილი აღმოსავლეთურ-ქართულ ჰანგებზე.

სატრფო — მშვენიერი შორეული სატრფო აკაკისა, „დღეს მკვდარივით მძინარი, ფეხშიშველი, თავზედ ლეჩაქ ახდილი“ — ორმაგი და სამმაგი სახეა, ვითარცა გამოუცნობი სფინქსი[21] და ორმაგ-სამმაგია აკაკის ქურუმობაც. ისტორიული ინტუიციით აღჭურვილი აკაკი არ ეჭვობს თავის სატრფოს საბოლოო ბედში: მან იცის, რომ „საქართველო უცნაურად არ ჰქრებოდა... არ კვდებოდა... იმ ფერფლიდან ისევ წმიდათ ის ორბი-ვით ახლდებოდა“... გაკაჟებულ ამგვარ ქართველოსოფიით, აკაკი მღერის ხან ოპტიმისტურად, ხან პესიმისტურად ქართველი ერის დიად წარსულს, სანაღვლო აწმყოს და ნათელსაყოფ მომავალს... რამოდენად უარსაყოფია და სამწუხაროა აწმყო, იმდენად უფრო ძალოვანია აკაკის სიმღერაში წარსული—მომავლის ოპტიმისტური ჰანგები, და ეს ბუნებრივიცაა: უჟამობო პესიმიზმს კი არ აღვივებს წინასწარმეტყველში, არამედ მატებს მას მომქმედ ძალ-ღონეს... ებრაელთა ბიბლიის[22] პესიმისტური პოეზია ხომ არა ბაბილონის[23] ტყვეობის[24] ჟამს არის ნამღერი, არამედ სოლომონის[25] დიდების დროს... და სწორედ ნაპოლეონის[26] ლაშქრობით ფეხქვეშგათელილმა გერმანელმა შექმნა ყველაზე უფრო იდეალისტური

და მხნე პოეზია... აკაკის პოეზიაც—იდეალისტური და ოპტიმისტურია, მიუხედავად მისი საუცხოოდ აწყობილ ნაღვლიან ჰანგებისა. ასეთივეა ქართული სალამურის სიმღერა, როდესაც იგი გაჰკივის მთა და ველში: „ტკბილსა ხმასა ცაში ჰკარგავს და სევდისას შავ ქვესკნელში“. და ზოგჯერ ხომ სალამურის ტკბილი ხმაც სანუგეშოდ იპყრობს პოეტის ოცნებას...

სიმნი მკვნესარნი და სიმნი ტკბილ ხმოვანნი გადაწნულნი არიან აკაკის ჩონგურზე. აკაკი ჰკვნესს, როდესაც აღმართ-აღმართ მიმავალს თვალწინ წარმოუდგება შორეული სატრფოს სახე — საქართველო. ამაოდ ემუდარებოდა მგოსანი თავის მოღალატე ნესტანს, აგონებდა „მის ცხოვრების წმინდა წარსულს“, როდესაც იგი ვერავინ დაიმონა ვერც ნებით და ვერც შეცდენით. ამაოდ შესძახის ტარიელი [27] თავის მოღალატე ნესტანს, შემცდარ გზაზე დამდგარს, მტრის ალერსით გაბრიყვებულს:

მონის ფასად დაგიჯდება დღევანდელი ეგ ალერსი
ბევრის აღთქმით, დიდის ხერხით რომ ჩაგითრევს და შეგაცდენს..
ლეჩაქს მოგხდის, გაგაშიშვლებს, ბანგს შეგასმევს, დაგაძინებს
გამოგიზდის მონად შვილებს და თვითონვე შენ დაგცინებს!..

ამაოა ყოველივე მუდარა და აკაკი კვნესს:

გადვიხედე, ვნახე რომ სხვას ჰმონებდა;
გამიკვირდა, ვსთქვი: მტერს როგორ მონებდა?
მოხიბლულა... შემცდარია.. ის არი!...

გარნა პოეტის სული მაინც არ დაჰყვება „დაღმართ-დაღმართ“... იგი ისევ აღმართ-აღმართ მიიღტვის, თუმცა ჰხედავს, რომ სატრფო მისი მტერია... მიიღტვის წარსულის დიად ნავთსაყუდელში, მომავლის ნათელ სამკვიდრებელში... აკაკის სწამს მარადისობა საქართველოსი. მან იცის, რომ

მსოფლიო ცხოვრებაში
ქართველსაც უძევს კვალიო
შიგნით — ოფლი და გუთანი —
გარეთ სისხლი და ხმალიო...

ხმალმა უმტყუნა ქართველს, სამხედრო წყობილებამ... აკაკიმ იცის, თუ ვისი გახრწნილობის ბრალია დამხობა საქართველოსი, განა აკაკიმ არ განიმეორა პლინიუსი [28] პარაფრაზით — „საქართველო გვართა ბრძოლამ დაამხო“... აკაკისათვის საქართველოს სახელმწიფოებრიობის გახრწნა ასეთს სურათს წარმოადგენს: როდესაც უმეტესი ნაწილი მაშინდელ თავად-აზნაურობის გლეხობასთან ერთად ქვეყნის სამსხვერპლოდ იყო გადადებული, — ამ დროს სხვის კარზედ აღზრდილნი ერისთავ-დიდებულნი, რომელთაც ქვეყნის გამგეობა ეჭირათ ხელში, თვით მირბოდნენ მტრის მოსაყვანად (პუბლიცისტური წერილი)...

გარნა აკაკის გული მაინც არ უტყდება. მას სწამს, რომ: —

— ნაშთი ძველის დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც ყველა
დღესაც მისი შარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა,
შვიდ სამთავროს მოგვაგონებს
მოელვარე ის შვიდფერიო...

პოეტი, რომელიც ცისარტყელას შვიდფეროვნებაში საქართველოს შვიდ სამთავროთა სიმბოლოს ჰხედავდა, ვერ მიეცემოდა სასოწარკვეთილებას. საქართველო მისთვის ამირანია[29], ქართული პრომეთეოსი[30], რომლის ბედზე მღერის დავით კუროპალატის[31] ლაშქარი საბერძნეთიდამ დაბრუნების ჟამს:

— მოვა დრო და თავს ეშვებს
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი

და მაშინ კი პირობას დებს მგოსანი:

— მოგიკვდეთ, თუ სიმღერითა,
ვერ დავჩაგრო მე ბულბულიო

გარნა მისი ნესტან-ამირანი ისევ ისე დამწყვდეულ-მიჯაჭვულია, ახალი ქაჯეთის აღებას გმირი უნდა. და აკაკის მკვნესავი ტკბილი ჩანგიც უმღერს მერმისს გმირს. აქ პოეტის შემოქმედი ექსტაზი რელიგიურ ხასიათს აძლევს მის მამულიშვილურს გრძნობას. იბადება მესიანისტური იდეა[32]— ეროვნული გმირის გამოცხადებისა. გმირი ესე უნდა იყოს ძლიერი, ვინაიდან აკაკიმ იცის, რომ

რაღაა ქვეყნის დიდება
ჴეშმარიტება არს ძალა!

და ძალა ეს უნდა გამოსჭედოს თვით ერმა, წარსულის ანდერძით, წინაპართა აღთქმით თვითმყოფ ისტორიულ ცხოვრების განგრძობით. აკაკი დაუნდობლად უცქერის იმ ჰირისუფალთ („მარქველთ", აკაკის სახელწოდებით), რომელნიც ელოდებიან ნეტარ მესსიას უცხო, თუმცა ძლიერ ტომიდან, პოეტი იგონებს ბულგართ-ოსმალეთის მაგალითს და ეკითხება გულუბრყვილოთ: განა შეეძლო ბულგარეთს, რომ ოსმალეთს ამოდგომოდა გვერდში და მასთან ერთად მისის პროგრამით ეხელმძღვანელნა? — „რატომ არა, იტყოდნენ ჰირვეულები, თუ ორივე ეროვნება, ბულგარეთი და ოსმალეთი მარქსის მოძღვრებას აღიარებდნენ და ეკონომიურ მატერიალიზმს ჩაჰკიდებდნენ ხელსო! — მაგრამ სანამდის ეს იქნებოდა— ხომ ჩაიყლაპებოდა ბულგარეთი?" — დაასკვნის აკაკი. (იხ. მისი „ორი პუბლიცისტური წერილი") და, როგორც ნამდვილი ტარიელი, თვისტომ ავთანდილ — ფრიდონს[33] უკივის ნესტანის საშველად —

ეროვნებაც! ღვთის ნიჭი ხარ,
არც საპოვნი, არც საყიდი,
და მხოლოდ თვითარსებობა
არ-ს შენი გზა და ხიდიო .

გმირის მოლოდინე მგოსანმა იცის, რომ

გმირს წინა უძღვის ყოველთვის
ეროვნული წინამორბედი...
გმირებს უძახის..., უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა!...

აკაკი ელოდა, უყივოდა, ეძახდა ამ ნეტარ გმირს უკანასკნელ დღემდის... როდესაც ჰაღარა მოერია, მაშინაც კი არ დაცხრა საამირანო ცეცხლი პოეტის გულში: „სადა ხარ ჩვენში ჯერ გმირო, რომ ჰკურნო წყლული ხალხისა, და მტერს ძლიერად უგმიროო!“ — ეკითხება პოეტი საქართველოს და სიკვდილის განმცადი:

— არას ნატრობს მეტს აღარას
რომ სამშობლოს მტრის სისხლითა
იღებაჯდეს ჰაღარასა!

მხოლოდ სიკვდილის წინა ჟამს იგრძნო წინასწარმეტყველმა მგოსანმა, რომ გაინძრენ მიძინებული ტარიელი, ავთანდილ-ფრიდონი... რომ აჟგერდა სული საქართველოსი, რომ იგი მზად არის გარემოიცვას ეროვნული პიროვნების გამხმარი და ხსნილი ნაწილნი, რომ ისინი უკვე იმოსებიან ხორცითა და კანით, რომ დაჰბერა უკვე საქართველოს თანამდევმა უკვდავმა სულმა... და აკაკი როგორც წინამორბედი, მღერის:

— რა ვუყოთ, რომ ვერ მოვესწარ...
სიკვდილის წინ მაინც ვიგრძნობ
მომავალს ბედს?... და ამ გრძნობას
სულთან მბრძოლი თან ჩავიდნობ...
. . .
რომ მეც გედივით სიკვდილის წინეთ
ეცნაურ ჰანგზე ჩავიხმატკბილო,
და ვსთქვა გალობა საშვილიშვილო...

გედივით უმღერდა აკაკი საქართველოს სიკვდილთან მებრძოლი... და ამ გედისებურ მღერამ გააღვივა სიყვარულის ვნება ქართველთა გულში... აკაკის სახელი გადაიქცა ეროვნული კულტურის საგნად... თუ ძველად საისტორიო ცხოვრების გათენებისას ქართველ ტომთა მთლიანობას აკავშირებდა დიად წინაპართა წარმართული თაყვანისცემა, — ახლა ასეთივეა სიმბოლიური ჩვენთვის ილიასა და აკაკის წმინდა სახელნი...

ნურავინ იტყვის, რომ აკაკის რაინდული ტარიელობა საქართველოსათვის უარყოფდეს მის საკაცობრიო მნიშვნელობას.. აკაკის არ ძალუძ-

და არ ყოფილიყო ქართველი, ისე როგორც არ ძალუძდა ეროვნული მოქმედების და შემოქმედების უარყოფა ესპანელ სერვანტესს და იტალიელ დანტეს... გარნა აკაკის პოეზიაც ისეთივე სამკვიდრებელია კაცობრიობისა, როგორც პოეზია სერვანტესისა და დანტესი... და თუ მსოფლიო ლიტერატურა ჯერ ხნობით გვერდს უვლის ქართველთა გენიას, — ეს ხომ ჩვენი პოლიტიკური და სოციალური დაკნინების შედეგია, რომელმაც ფიზიკურ მცირე რიცხოვანებასთან ერთად გამოიწვია ჩვენი ხმის დაკარგვა საერთაშორისო განწყობილებაში...

მსოფლიო ომის ცეცხლითა და მახვილით იქედება ახალი ხანა კაცობრიობის ცხოვრებაში, აწყობილი ეროვნებათა თვითმყოფ არსებობაზე... ქართველმა ერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი მარჯვენა ძველებურად ძალოვანი და მხნეა. და სადაც, აკაკის სიტყვით, „ჰეშმარიტება არს ძალა“ — იქ ქართველ ერსაც ძალუძს თვითარსებობა...

აკაკიმ იგრძნო, იხილა თავისი ზემხედველი გონებით საქართველოს მერმისი სახე და სთქვა: — „ნათელი თვალით ეხედავ აღდგენილ საქართველოსო“.

როდესაც ეს წინასწარმეტყველება ცხადი იქნება, როდესაც ჩამოისახება ქართველთა მერმისი სახე, მაშინ მსოფლიოც დაუწყებს ალერსს აკაკის პოეზიას, მოევლინება მას ახალი ჰერცენი [34] და უწოდებს აკაკის, ისე როგორც გარიბალდს [35], — კაცობრიობის რაინდს...

ა. ალდანი

აკაკი და მისი პოეზია

...ყველა ერთხმად ამბობდა, რომ აკაკის სახით საქართველომ დაჰკარგა უდიდესი პოეტი მშობლიური ხალხისა. ამ სტატიებში ნათქვამია, რომ აკაკი იყო დიდი მებრძოლი როგორც საქართველოს ეროვნული სანუკვარი ფიქრებისა, ასევე მებრძოლი იყო კაცობრიობის უმაღლესი იდეალებისა.

ზემოთ აღნიშნულმა მწერლებმა თქვეს — რომ აკაკი მარტო ნაღვლიანი საქართველოს ჭირისა და ლხინის მომღერალი როდი იყო. იგი თავისი მომხიბვლელი სიმღერებით აკეთილშობილებდა თავის მრავალტანჯულ მამულიშვილთა სულსა და გულს. ამასთან იგი შემქმნელია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისა, რომელიც არ განსხვავდება ხალხის ენისაგან. აკაკის ღვაწლი, როგორც პოეტი-ნოვატორისა ამ მხრივ დაუფასებელია ქართულ ლიტერატურაში. ეს სტატიები იმდენია და ისე ვრცელი, რომ შეუძლებელია ყველა მათგანის მოყვანა, თუნდაც ნაწყვეტების სახით. ამ სტატიებისაგან მთელი ტომი შედგება.

სომხური პრესა

„ორიზონი"[1] — „ჰორიზონტი"

სომხური გაზეთი „ორიზონი" წერს: „დღეს ქართველი ხალხი მიწას აბარებს თავისი საყვარელ პოეტთაგანის აკაკი წერეთლის ცხედარს. შოთა რუსთაველის გენიის შემდეგ აკაკის ყველაზე საპატიო ადგილი უკავია. ჩვენ არ ვიცით მეორე სხვა ქართველი პოეტი, რომელიც პოეტი აკაკი წერეთლის პოპულარობით სარგებლობდეს.

აკაკის ყოველი ქართველი იცნობს. მისი ეღერადი, ლამაზი ლექსები მთელ ქართველ ხალხს უყვარს. აკაკი დიდი ლირიკოსი პოეტი იყო და თავდავიწყებით უმღეროდა საქართველოს მშვენიერებას, მის ჰაერსა და წყალს, ბალახსა და ხეთა სიმწვანეს, დიდებულ მთებს. იგი თავისი ლირიზმით ხიბლავდა მკითხველს და სასიამოვნო თვლემით ავიწყებდა მათ თავიანთ ყოველდღიურ გულის გამაწვრილებელ საზრუნავს.

აკაკი წერეთელი კარგად იცნობდა თავისი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს, მისი ბედნიერი და სახელოვანი დღეებით და გულთბილად, ლექსად გამოსთქვამდა ქართველი ხალხის თავს გარდახდილს. იგი უმღეროდა გამარჯვების დიდებას და აღაფრთოვანებდა მამაც ქართველობას.

ამავე დროს იგი ამათრახებდა მონობასა და გონებაჩლუნგობას.

სოფელში დაბადებული და ხალხის წიაღში გაზრდილი აკაკი წერეთელი ხალხის ჭირ-ვარამს საოცრივ სათუთად ეკიდებოდა და ცდილობდა მის დაყუჩებას.

წერეთელმა უდიდესი როლი შეასრულა როგორც მშობლიურ ლიტერატურაში, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთელი მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე თვალისმომჭრელ მნათობად იყო.

დღეს „ორიზონი" თავის მწუხარებას უერთებს ქართველი ხალხის გლოვას და თავს ხრის პოეტის ნათელი ცხედრის წინაშე.

„მშაკი"[2] — „მუშა"

გაზეთი „მშაკი" („მუშა") სტატიაში „ქართველი ხალხის გლოვა" წერდა:

„დღეს საქართველო ძაძებშია, მან დაჰკარგა თავისი უშესანიშნავესი შვილი, ხალხური შემოქმედებითი აზროვნების საუკეთესო წარმომადგენელი, უფრო სწორად მეორე ბრწყინვალე წარმომადგენელი შოთა რუსთველის შემდეგ.

ქართველი ხალხის საერთო გლოვა, ქართველი საზოგადოებრიობის, კულტურული და პოლიტიკური მიმდინარეობებისა და მიმართულებათა

ერთიანობა პოეტის კუბოს გარშემო იმის დადასტურებაა, რომ აკაკი წერეთელი დიდი სახალხო პოეტია, ქართველი ხალხის ჭირ-ვარამის მომღერალი, მისი იმედების, ფიქრებისა და ოცნების მომღერალი.

ეს მნიშვნელოვანი გარემოება ჩვენ ზნეობრივად გვავალებს ღრმა პატივისცემითა და თანაგრძნობით მოვეკიდოთ ჩვენი მეზობელი ქართველების საერთო სახალხო ნაღველს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველები და სომხები, როგორც ისტორიულად მეზობელი ხალხები პირველივე წლებიდან, ქრისტიანობის გარიჟრაჟზე, მჭიდრო კავშირით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი ისტორიითაც და მეზობლობითაც, ძალიან ხშირად ერთად იყოფდნენ მეზობლურ ჭირსა და ლხინსაც, დარდსაც და სიხარულსაც.

ეჭვი არ არის, რომ აკაკი წერეთელი დიდი პატრიოტი იყო და ყველაზე მაღლა ხალხის ინტერესებს აყენებდა.

ამასთან, პარადოქსი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დიდი პატრიოტები ანგარიშს უნდა უწევდნენ დიდ ჰუმანისტ კოსმოპოლიტებს. ჩვენთვის ცხადია, რომ მარტო დიდ ჰეშმარიტსა და გულწრფელ პატრიოტს შეუძლია იყოს ჰუმანისტი, მარტო ნამდვილ პატრიოტს შეუძლია გაიგოს, როგორც თავისი ხალხის არსებითი ინტერესები, ასევე ზოგადი საკაცობრიო. მას ესმის, რომ ხალხის იდეალების სამსახურით ზოგადსაკაცობრიო იდეალებსაც ემსახურება. თუ სომეხს სომეხი არ ეყვარება, ქართველს ქართველი, მას სხვაც არ ეყვარება, კაცობრიობასაც ვერ შეიყვარებს. ჩვენ ვაღიარებთ, რომ დიდ, ნამდვილ და გულწრფელ პატრიოტებს შეუძლიათ გატაცება, შეცდომის დაშვებაც, შეიძლება უსამართლოდაც კი მოექცნენ სხვა ერის კაცს, მაგრამ ეს გატაცება, ეს შეცდომები პატრიოტისათვის წუთიერი, სწრაფმავალი, და რა თქმა უნდა, ეს შეცდომები და გატაცებები როდი იწვნება პატრიოტის გვირგვინში ახალ-ახალ დაფნად. აკაკის უკვდავება მოუტანა პოეტურმა ნიჭმა. ხალხის წიაღის კეთილმა გრძნობამ, იმედებმა და მისწრაფებებმა. პოეტი თავის ხალხში ყოველთვის ნერგავდა კაცობრიობისადმი კეთილგანწყობილებას, სიკეთესა და სიყვარულს.

დღეს პატივს ვცემთ სახალხო შემოქმედების დიდი წარმომადგენლის აკაკი წერეთლის ცხედარს...

მუსულმანური პრესა

„იკბალი“ [3] — „იღბალი“

მუსულმანური გაზეთი „იკბალი“ თავად აკაკი წერეთელს უძღვნის დიდ სტატიას, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია:

„საქართველო ძაძებშია თავისი დიდი შვილის აკაკის გამო. ყველა ქართველი დღეს ტირის თავის სახელოვან პოეტს.

ყველა ხალხში არსებობს განსხვავებული კლასები, კატეგორიები თავისი განსხვავებული იდეებით, მიმართულებებითა და აზრებით. მაგრამ არიან სახალხო გმირები, რომელთა შესახებაც ყველა კლასი, ყველა კატეგორია ერთი აზრისაა. ისინი შეადგენენ არა ცალკეული კლასის, არამედ მთელი ხალხის საკუთრებას. სწორედ ასეთი გმირია თავადი აკაკი წერეთელი ქართველი ხალხისათვის, რადგან იგი უმღერის საქართველოს სულს, მის შვილებში აღვივებს სულიერ ძლიერებას, ამაღლებს მის გრძნობებს. საქართველოს შვილებიც, ვინც არ უნდა იყოს, ხალისით ეწაფება ამ სულიერ საზრდოს.

მაგრამ აკაკი არის არა მარტო ერთი რომელიმე ხალხის საკუთრება, არამედ იგი არის მთელი კაცობრიობის საკუთრება. ამ თვალსაზრისით აკაკი პირველ რიგში გვევლინება მთელი კავკასიის, შემდეგ კი მთელი მსოფლიოს პოეტად. შემდეგ გაზეთი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ კავკასიის ხალხებმა ერთმანეთის ენა არ იციან და არ იცნობენ ერთმანეთის ლიტერატურას, რის გამოც თავადი აკაკი წერეთლის ნაწარმოებები ქართველებს გარდა უცხოა.

რა კარგი იქნებოდა, რომ მშვენიერებისა და სიმართლის ამ კეთილშობილი მომღერლის ნაწარმოებები თათრულადაც გვეთარგმნა, რათა საშუალება გვქონებოდა გავცნობოდით კაცობრიობის ამ იშვიათ პროდუქტს.

რუსული პრესა

„ზაკავკაზსკაია რეჩ“ [4]

უბედურება დაგვატყდა.

ქართველი ხალხის დიდი პოეტი აკაკი წერეთელი განუკურნებელმა სენმა მოცელა.

საქართველო გლოვამ მოიცვა, მაგრამ საქართველოს ზარი მთელი კავკასიის უბედურება აღმოჩნდა.

და აი, ჩვენ ვხედავთ იშვიათ სანახაობას, საოცარ ამბავს. ხალხის დიდი გულშემატკივრის, ხალხთა სიყვარულის, ძმობისა და თავისუფლების მომღერლის ცხედრის წინაშე დავიწყებულია ყველა უთანხმოება, ყველა დავა და ჭიშპი, რომელიც შეიძლება ყოფილიყო ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენს წინაშეა ერთობისა და ძმობის მძლავრი დემონსტრაცია.

უპირველეს ყოვლისა, ამ ეროვნულმა დანაკლისმა მთელი ქართველი ხალხი, ქართველი საზოგადოების ყველა ფენა გააერთიანა და ისეთი სულიერი სიმტკიცე, შეხედულებათა და მისწრაფებათა ერთიანობა გამოამჟღავნა, რომ ქართველ ხალხს ახლა, როგორც არასოდეს, თამამად შეუძლია თქვას, რომ იგი არის ერთი განუყოფელი მთლიანობა...

რუსული პრესა

„კავკაზსკოე სლოვო“ [5]

თავადი აკაკის დიდი პოეტური ტალანტი, მისი ბრწყინვალე და უბადლო გარეგნობის ლექსი, ენის სიმსუბუქე, გამოთქმის სახიერება აიძულებდა მის პრინციპულ მოწინააღმდეგეებს აღფრთოვანებულიყვნენ ახალგაზრდა „იმერელი პოეტით“.

თავადი აკაკი წერეთლის პოეტური აზრების გარეგნული გამოხატულების სიმსუბუქე მართლაც რომ საოცარია. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, რომელიც საკმაოდ მდიდარია პოეტური ძალებით, მრავალი მიმბაძველის მიუხედავად, მას ბადალი არა ჰყავდა მიახლოებითაც კი.

ძველ ქართულ ლიტერატურაში ამ მხრივ მას მხოლოდ გენიალური შოთა რუსთაველი, პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი თუ შეედრება. აკაკის პოეზიის ენა ვირტუოზულობამდე მიდის, სადაც თვით ყველაზე რთული პოეტური იდეის გამოთქმის დროსაც კი, იგი ერთნაირად გასაგები და ხელმისაწვდომია როგორც მაღალი ინტელიგენტი ქართველისათვის, ასევე ჩვეულებრივი მდაბიოსათვის.

ამ გარემოებამ პოეტს უდიდესი პოპულარობა შეუქმნა საქართველოს ყველაზე შორეულ და მიყრუებულ კუთხეებშიც კი და ჭეშმარიტად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არ არის გლეხის ოჯახიც კი, სადაც აკაკის სახელი განსაკუთრებული სასოებით არ წარმოითქმებოდეს. პოეტის ლექსებს წერა-კითხვის უცოდინარი გლეხის გოგო-ბიჭებიც მღერიან და მრავალი ამ ლექსთაგანი დიდი ხანია ხალხური შემოქმედების ნიმუშად ჩაითვლებოდა, რომ არ გვქონოდა ლიტერატურული მოწმობანი, რომ ისინი დიდი პოეტის საკუთრებაა.

თავადი აკაკი უსათუოდ საუკეთესო წარმომადგენელია რეალიზმისა ქართულ ლირიკაში. მის პოეზიაში, განსაკუთრებით კი ცალკეულ ლირიკულ ლექსებში ყოველ ნაბიჯზე მოსჩანს მისი უსაზღვრო სიყვარული ხალხისადმი, სამშობლოსადმი, ქვეყნის ისტორიისადმი და მშობლიური წარსულისადმი. დიდად პოეტურია აგრეთვე ცალკეული ლირიკული ადგილები მის ლექსად დაწერილ ისტორიულ დრამებში.

რუსული პრესა

„კავკაზი“ [6]

... XIX საუკუნემ, გადატრიალებათა საუკუნემ მთელ კაცობრიობაში შეჰქმნა ახალი მეცნიერება, ახალი ლიტერატურა, ახალი ტექნიკა და საქართველოს არ შეეძლო ძველ გაგებაზე, ძველ კულტურაზე გაყინული-

ყო. საქართველოსთვისაც დადგა ახალი დრო და მასაც დასჭირდა ახალი სიმღერები. ისინი საქართველოს აკაკი წერეთელმა უმღერა. მან რუსთაველი ვერ შესცვალა, იგი ადგილიდან ვერ დასძრა და არც უცდია მისი დაძვრა, რადგანაც რუსთაველი მსოფლიოს პოეტია, წერეთელი კი თავისი ხალხის პოეტი. მან თავისი გავლენის სფერო პატარა მშვენიერი საქართველოს საზღვრებით შემოფარგლა.

თუ როგორი აღფრთოვანებითა და იმედებით გამოვიდა იგი თავისი ხალხის სამსახურად, მოწმობს მისი ლექსი „წმინდა დავითის სასაფლაოზე".

პოეტი ერთგული დარჩა თავისი სიტყვებისა მამულისათვის შეეწირა სიცოცხლე. მას ჯილდო და განდიდება არ უძებნია თავისი ლექსისათვის, თავისი შრომისათვის. და მოკვდა იგი, არა მარტო თავის მხარეში, როგორც ამას უწინასწარმეტყველებდა თავს, არამედ მშობლიურ სოფელსა და მშობლიურ სახლში. ამიერითგან პოეტი განისვენებს თავის სათაყვანო მამადავითის მთაზე, წამებულ რაინდთა შორის უკვდავი გრიბოედოვის [7] საფლავის გვერდით, ილია ჭავჭავაძისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის [8] გვერდით.

მაშინ როდესაც ა. რ. წერეთელი თავის მოღვაწეობას იწყებდა, ქართული წიგნის ბეჭდვა მხოლოდ ფეხს იდგამდა თბილისში. მწერლები თითებზე ჩამოითვლებოდა, მათი უმრავლესობა მაღალფარდოვანი ენით წერდა. პრესა არ არსებობდა, არ იყო სოფლის სკოლა.

ასეთ გარემოებაში რისი გაკეთება შეუძლია პოეტს, თუნდაც გენიოსს? მაგრამ ა. წერეთელი გულს არ იტეხდა. მან თავისი სიმღერებით შეჰქმნა მსუბუქი ლიტერატურული ენა, მდაბიოთათვის გასაგები და ამით გააღვივა მასებში წიგნისადმი ინტერესი. ასე თანდათან გავრცელდა წერაკითხვის ცოდნა, იზრდებოდა აკაკის პოპულარობაც, და შემდეგ დიდება. მისი ნაწარმოებებით ივსებოდა სახელმძღვანელოები, კრებულები, ცალკე გამოცემებიც გამოჩნდა. ამასთან, იზრდებოდა და ვითარდებოდა პოეტის ტალანტიც, რომელმაც საშუადღეო ბრწყინვალებას ოთხმოციან წლებში მიაღწია. მან მშობელ ხალხს მრავალი ლექსი, პოემა, მოთხრობა ლექსად და პროზად დაწერილი დრამატიული ნაწარმოები, ისტორიული და კრიტიკული ნარკვევი უძღვნა. მისი გაბედული და საკმაოდ პილპილიანი საგაზეთო ფელეტონები მკითხველთა წრეს ზრდიდა, მისი მოსწრებული აფორიზმები ხელიდან ხელში გადადიოდა.

მართალია, აკაკი მოუსვენარი იყო და მხოლოდ და მხოლოდ მაშინ წერდა, როდესაც შთაგონება ეწვეოდა, მაგრამ იგი ქართველთა შორის ყველაზე ნაყოფიერ მწერლად ითვლება. მისი ნაწარმოებები ათამდე მოზრდილ ტომს შეკრავდა.

1908 წელს საქართველომ იზეიმა ა. წერეთლის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ძნელია გადმოვცეთ თუ რა ერთსულოვანი აღფრთოვანება, როგორი ენთუზიაზმი გამოიწვია მან თავისი გამო-

ჩენით. ყველა ქართველი ცდილობდა რაღაცით მაინც გამოეთქვა თავისი აღფრთოვანება. პოეტს სახალხო ბელადის პატივი მიაგეს.

სამწუხაროდ, პოეტის საუკეთესო ნაწარმოებები თარგმნილი არ არის რუსულ ენაზე, რათა რუს მკითხველსაც შეეძლოს მისი ტალანტის სიძლიერისა და ხასიათის განსჯა. ისიც კი, რაც სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა რუსულ პრესაში, ერთად თავმოყრილი არ არის, თუნდაც ჩვენ ხელთ არსებული მასალები.

აკაკიმ თავისი შეხედულებანი პოეტის დანიშნულების შესახებ ჩამოაყალიბა ლექსში „პოეტი“. აკაკიმ ბრწყინვალედ იცოდა ქართული, იცოდა ძველი და თანამედროვე ხალხური ენა. მისი ლექსიკონი ძალზე მდიდარია, ამ მხრივ მას ტოლს ვერ დაუდებს ვერც ერთი ქართველი მწერალი. მისი რითმა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოდიოდა, მისი ლექსების უმრავლესობა და პოემების მთელი თავები თითქმის შეუსწორებლად არის დაწერილი. თუ, მით უმეტეს, იგი თავისი აზრებისა და გრძნობების, მეთოდების გადმოცემისას ცოტა ვიწროობას განიცდის, ეს ქართული ენის სიღარიბეს, „პოეზიის ენის“ სიღარიბეს კი არ უნდა მიეწეროთ, როგორც ამას ამბობენ მისი ნაცნობი მიუკერძოებელი რუსი და უცხოელი მეცნიერები და პოეტები, არამედ პოეტის აზრის სიღრმესა და მისი გრძნობების სირთულეს.

მისი მრავალი ლექსი დაწერილია წუთის გავლენით, მაგრამ არცერთ მათგანს აქამდე არ დაუკარგავს ინტერესი და მომხიბვლელობა. ასე მაგალითად ლექსი „ქართველი ქალი“, თითქოს პოეტს ახლანდელმა სისხლიანმა ამბებმა უკარნახა, სინამდვილეში ეს ლექსი ათობით წლის წინათ არის დაწერილი.

ამ ლექსში მოსჩანს საუკუნოებრივად ჩამოყალიბებული ხალხის სულისკვეთების ღრმა ცოდნა. პოეტი ამ სულისკვეთებას ამძაფრებს, აქეზებს ბრძოლის ველზე მიმავალ, მამულის მტერთან საბრძოლველად მიმავალ ქართველს, ამხნევებს ბრძოლაში, კიცხავს სილაჩრეს და ამავე დროს ზნეობრივ კმაყოფილებასა და ნუგეშს აძლევს ბრძოლის ველზე დაცემულ გმირებზე დამწუხრებულ მამას, დედას, ცოლს, დას, ძმებსა და შვილებს.

ასევე ამხნევებს პოეტის ტკბილხმოვანი ლირა მეხრესა და მეურმეს, მუშას და მთელ მშრომელ ქართველ ხალხს; მათში აღვიძებს ენერგიას და ნათელი მერმისის რწმენას; არ არსებობს ქართველი, წერა-კითხვის უცოდინარიც კი, რომელმაც აკაკის რამდენიმე ლექსი არ იცოდეს და მუშაობის დროს არ დაღიღინებდეს მათ თავისთვის. ქართველი ხალხი სანამ ცოცხალია არ დაივიწყებს პოეტს, მისი ფიქრების, ჭირისა და ლხინის, მისი ოცნებებისა და მისწრაფებების გამომხატველ პოეტს.

„რუსკიე ვედომოსტი“ [9]

თავადი აკაკი წერეთლის, საქართველოს გამოჩენილი პოეტის სიკვდილი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ქართველისათვის მეტად გულდასაწყვეტი ფაქტია, სამგლოვიარო და მძიმე დანაკლისის ფაქტი.

აკაკი — როგორც მას მთელი ორი მილიონი ქართველი უწოდებს, მართლაც რომ ქართველი პოეტი კი არა, საქართველოს პოეტია. იგი ღრმად ჩაეზარდა მშობელ მიწას მთელი თავისი არსების ფესვებით, მისგან იწოვდა თავის შემოქმედების უმდიდრეს ძალას და ამავე დროს იყო მეოცე საუკუნის მსოფლიო პოეზიის უბრწყინვალესი გამომხატველი, დიდი ჰუმანური იდეებით აღსავსე პოეზიის გამომხატველი. იგი რამდენადაც საქართველოს პოეტია, იმდენად კაცობრიობის უმაღლეს მისწრაფებათა პოეტია რასებისა და რელიგიის, სქესისა და ასაკის, საზოგადოებრივი რწმენის ამა თუ იმ სფეროს განურჩევლად, პოეტი-იგი სახეებით აზროვნებდა. ამ სახეებს მას ხალხი აწვდიდა, მისი ათასწლოვანი ტრაგიკული ბედი, მისი მიწა სილამაზით იყო ტოლდაუდებელი.

პოეტი-იგი ამ ყოფით ლეგენდარულ სახეებს პიროვნული განცდების შეუდარებელი ძალით, პირადული ტანჯვა-ვაებითა და ბედნიერებით ჟღენთავდა, ყოველ მის ლექსში ისმოდა მთელი მსოფლიო ადამიანიც და მისი ხალხის ადამიანიც, ადამიანი ყველა შეზღუდვის გარეშე.

საკმარისია ზერელედ გადავხედოთ მის ბიოგრაფიას განსვენებულ პროფ. ალ. ხახანოვის [10] „საქართველოს სიტყვიერების ისტორიის ნარკვევებში“, რათა გავიგოთ ამ უდიდესი პოეტისათვის რამდენად მახლობელი იყო ადამიანური სულის სიმაღლეთა ყოველგვარი გამოვლინება რაიმე კასტური, ეროვნული თუ რელიგიური გამოვლინების გარეშე. სწორედ ამაშია მსოფლიო პოეზიაში მისი სიკვდილის შემდგომი როლის მნიშვნელობა. ადრე თუ გვიან მის ნაწარმოებს ყველა ენაზე გაეცნობიან, რადგან ეს ნაწარმოებები აღსავსეა უჭკნობი მშვენიერებით. მათში წაიკითხავენ და დაინახავენ, რომ პოეტური შემოქმედების სახეები არა მარტო იკითხება, არამედ ხორცს ისხამს მკითხველის ფიქრითა და გრძნობებით, თუ რაოდენ ეხვეჭა უსურვაზივით პოეტის გენია მსოფლიოს გეოგრაფიული და ეროვნული საზღვრების განურჩევლად, და ამასთან როგორ შეზრდია მისი ძლიერი სული მის მშობელ მიწას, მის ხალხურ თვითგამორკვევასთან. მაგრამ, როგორც XIX საუკუნის დიდი პოეტების ღირსეულმა გამგრძელებელმა მემკვიდრეობად მიიღო მათი ღვთაებრივი თვისება მთელი თავისი შთაგონებით განეცადა პუშკინის [11] ოცნება მომავალზე.

არასოდეს დაივიწყებს პატარა ქართველი ხალხი, თუ როგორი მტკი-

ცე ხიდი გასდო მისმა აკაკიმ მისთვის მსოფლიო მშვენიერების, სიმართლისა და სიყვარულის დიად ტაძარში...

რუსული პრესა

„მოსკოვსკიე ვედომოსტი“ [12]

აღარ არის ქართული ლირიკის მეფე, მშვენიერი საქართველოს ბულბული, ქართული ხალხურ-ლიტერატურული ენის შემქმნელი.

საუკუნოდ დახუჭა თვალი თავადმა აკაკი წერეთელმა. მკითხველი მიხვდება, როგორი დიდი კოლოსი[13] დაკარგა პატარა მშვენიერმა საქართველომ, რომელსაც მრავალგზის უმღერეს პუშკინმაც, ლერმონტოვმაც [14] და მრავალმა სხვა მწერალმაც როგორც რუსმა, ასე უცხოელმა.

წაიქცა საქართველოს მელოდიისა და ლირიკის, სილამაზისა და სიტურფის, ამოუწურავი სატირისა და ხმაურიანი იუმორის, მარად ჭაბუკი კოლოსი. წაიქცა პოეტური აზრისა და სიტყვის მეფე, ქართული ხალხური ენის შემქმნელი და ოსტატი, დაეცა ქართული ლირის ერთადერთი მბრძანებელი...

იმის გარდა, რომ თავ. ა. წერეთელი ლირიკული პოეზიის დარგში მეფობდა, მან ქართული ლიტერატურა გაამდიდრა მრავალი სანიმუშო პროზაული ნაწარმოებებით. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება როგორც მშობლიური, ასევე რუსული ლიტერატურის წინაშე იმით, რომ მისთვის ჩვეული ოსტატობით მან შესანიშნავ ლექსებად თარგმნა ბაბუა კრილოვის იგავ-არაკების სრული კრებული, და ამით ცნობილი იგავთმწერალი ყველაზე პოპულარულ ავტორად აქცია სკოლის ასაკის ქართველი ბავშვებისათვის. მანვე თარგმნა პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის [15], მაიკოვის [16], ნიკიტინის [17], ნადსონისა [18] და მრავალი სხვა მწერალის რჩეული ლექსები.

მ. მ. (მიხეილ მღვდლიაშვილი)

ეროვნული ლირიკოსი

აწ განსვენებული მოღვაწის ნიჭი ვერ ჩაახშო ყოველდღიურმა ბრძოლამ. იგი დროს ყოველთვის პოულობდა თავისი არჩეული მოწოდების სამსახურად და სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენის აზრით, მისი დიდების უკვდავება. თავად ასე განსაზღვრავს თავის თავს, როგორც პოეტი:

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი
ხან არც ისა ვარ, არც ისა
გარემოების საყვირი....
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა...

ეს „გარემოების საყვირი“ ფლობდა უბადლო ნიჭს სიტყვის შესანიშნავ ყალიბში — ლექსად თუ პროზად ჩამოესხა თავისი გრძნობა და გუნება-განწყობილება, და მან მოასწრო ის, რაც ვერც ერთმა მისმა თანამემამულემ ვერ მოახერხა — თავისი ემოციები ხალხის ეროვნულ მონაპოვრად ექცია.

მისი ჟღერადი სიმღერები ყოველდღიური ყოფითი თემებით, ყოველთვის ეხმაურებოდა ტიპიურ განწყობილებას. მისი კეთილშობილი სასიყვარულო სიმღერები, ვაჟკაცური, ქალური თუ ყმაწვილ-ქალური, სხვადასხვა სამუშაოს შესრულების დროს სათქმელი, ჯარაზე რთვის დროს, თუ სხვა შინაური სამუშაოს დროს შესასრულებელი სიმღერები, მინდვრის სამუშაოების თუ ვენახში მუშაობის, თესვისა თუ მკის დროს სამღერი ლექსები, პოეტის მრავალფეროვანი მოწოდება სასარგებლო შრომის შესახებ, რომელსაც პოეტი ძველ-ებრაული გადმოცემის საპირისპიროდ ადამიანის გამაჯანსაღებელ და გამაკეთილშობილებელ ჩვევად თვლის, ამასთან, მათ მიიჩნევს წყევლად კი არა, მადლად; ყოველდღიური და საზეიმო სიმღერები, ჯარისკაცური, ყაჩაღური თუ ტუსაღის სიმღერები, მისი ბავშვთა ხოტბანი აკვნიდან დაწყებული დამთავრებული სასკოლო ასაკის მოზარდებისათვის, სტუდენტთა სიმღერები და სიმღერები სტუდენტებზე, აგრეთვე გარეგნულად ბრწყინვალე და სულიერად ნელთბილ ახალგაზრდობაზე, მისი ასობით გულში ჩამწვდომი ელეგიები, — ყოველივე ამან, რაც მრავალ თხზულებაში არის გადმოცემული, პოეტს უბადლო ლირიკოსის სახელი მოუხვეჭა. მისმა ოსტატურმა ხელმა ყოფითი სიმღერა ჰეშმარიტად წმინდა ხელოვნების სიმაღლეზე აიყვანა. მისი სიმღერის მრავალფეროვანი შინაარსი, ამომწურავად ამსახველი ქართველი ხალხის ცხოვრების, მისი შრომის და დასვენების, ნაღვლის და სიხარულის, იმედიანობის და იმედის გაცრუების, ყოველი წვრილმანისა, ყოველნაირად განსაზღვრავს ხასიათს, ცხოვრებასა და საქმიანობას იმ წრისა, რომელსაც ასე ხმიანად და ლამაზად გამოსახავს მხატვარი.

ვ. ვ.

თანამედროვე სტილის შემოქმედი

თავად აკაკიმდე, ქართველი პოეტები უმეტესად 16 მარცვლიანი ლექსით წერდნენ, ქართული ლიტერატურის მეთორმეტე საუკუნის კორიფეს შოთა რუსთაველის მსგავსად. მანვე მოუპოვა მოქალაქეობის

უფლება მსუბუქ 8 და 15 მარცვლიან ლექსებს. ამასთან, მისმა ლექსებმა, ისევე როგორც პროზამ ძირფესვიანი გადატრიალება მოახდინა ქართულ ლიტერატურულ ენაში.

ცნობილია, რომ ყველა მეტნაკლებად ცნობილ მწერალს თავისი ხელწერა აქვს. და მხოლოდ რჩეულნი თუ მაღლდებიან საკუთარი სტილის გამომუშავებამდე. თავადი წერეთელი სწორედ ასეთი, ქართველი ხალხის თვითშეგნების თანამედროვე ენობრივ გამოხატულების შემქმნელია. მან შექმნა სკოლა. მისი ენით წერს ეხლა ყველა ქართველი ლიტერატორი. თავადმა აკაკიმ გააკეთილშობილა ეგრეთწოდებული ზემოდასავლეთური საქართველოს ენა, თავად ღრმად განიმსჭვალა ლექსის მეშვეობით აზრის ზოგად ქართული გამოთქმის ჰეშმარიტი სულისკვეთებით. მან უკუაგდო დრომოჭმული და მოძველებული თქმები და ცოცხალი მეტყველება ჰეშმარიტად ეროვნულ სულისკვეთებას დაუმორჩილა, საკუთარი შემოქმედებით ახალი ცვლილებები შეიტანა ლიტერატურული ენის შემადგენლობაში და იგი გახადა სუფთა, მართებული, ნათელი, ზუსტი, კეთილხმოვანი და გამომსახველი. მისი მეტყველება უბრალოა, მაგრამ ხატოვანი, ცოცხალია და მასებისათვის ხელმისაწვდომი, ამასთან, ყოველთვის მხატვრულად მშვენიერი, სიზუსტით, გონებამახვილობით და თვალსაჩინო შედარებებით გაბრწყინებული. მისი მეტყველება იდეალად იქცა, რომლის მიღწევასაც ცდილობენ ახალგაზრდა მწერლები და ამ მხრივ ქართველი პოეტის დამსახურება მის მშობლიურ ენაში იგივეა, რაც დიდი პუშკინისა რუსული ლიტერატურული ენის მიმართ, პოეზიაში და პროზაში არ არის ფორმა, რომელშიც პოეტს კალამი არ ეცადოს და მისთვის არც ერთხელ უღალატია ბედს და წარმატებას. ყველაფერს, რაც კი „აკაკის“ ხელმოწერით იბეჭდებოდა, სიხარულით ჰკითხულობდნენ და ითვისებდნენ უცბად, ისიც უნდა ითქვას რომ ყველა მისი თხზულება საყოველთაო კუთვნილებად იქცეოდა.

ვ. ვ.

ტალანტის გაფურჩქვნა

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დამლევს ერთ-ერთ თავის გალექსილ საახალწლო ფელეტონში პოეტმა მესტვირის სახელით თავისი თანამედროვე საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოღვაწეებს მისალოცი კუპლეტები მიუძღვნა, სადაც გულკეთილი ხუმრობით ყველას თავისი მიუზღო...

და მართლაც 80-იანი წლების დადგომისთანავე პოეტის შემოქმედებითი ძალები მნიშვნელოვანი და ფართოდ ჩაფიქრებული პოეტური ნაწარმოებების შექმნამდე მაღლდება. გულისხმიერ და განზოგადების უნა-

რის მქონეს ძალა შესწევს თავისი სიუჟეტები უმეტეს წილად შეარჩიოს თავისი სამშობლოს წარსული ისტორიიდან. იგი თავის საოცარი ნიჭის წყალობით პოეზიის საოცრებებით ამდიდრებს მთელ სიტყვაკაზმულ თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. ერთმანეთის მიყოლებით იქმნება პოეზიის დღემდე ცნობილი სამიევ ფორმის ჰარმონიულად შერწყმული ნიმუშები.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: დრამატიულ პოემას „თამარ ცბიერი“, სადაც ქალისადმი ტრფობა და მისი მშვენიერება არის ნაწარმოების მოქმედების მთავარი მოტივი, ხოლო სიყვარულის პერიპეტიების, მისი მწველი და ჭირვეული მღელვარების გადმოცემაში პოეტს ბადალი არა ჰყავს.

ლექსად დაწერილი ისტორიული დრამა „პატარა კახი“, სადაც არაჩვეულებრივად არის დახატული უფლისწულის, მომავალში მეფე ერეკლე მეორის [2] ბრძოლები მის გარშემო შემოჯარულ ბნელ და ინერტიულ წრეებთან, რომელთაც არ სურთ, ანდა არ ძალუძთ ჰეშმარიტი პატრიოტიზმის სიმაღლეზე ავიდნენ და საძულველი მუსულმანების ძალადობის უღელქვეშ გმინავენ, და სადაც ახალგაზრდა გმირის არაადამიანური სწრაფვა გამარჯვებით მთავრდება. მას ბედმა არგუნა დაემსხვრია ურჯულო მტერთა საუკუნოვანი ბორკილები; ისტორიული პოემები: „ბაგრატ დიდი“, „ნათელა“, თანამედროვე ყოფითი დრამა „კუდურ-ხანუმ“, „ნამდვილი ამბავი“, „გამზრდელი“.

ა. ა.

პოემა „თორნიკე ერისთავი“

მაგრამ პოეტის შემოქმედების გვირგვინად სამართლიანად ითვლება მისი შინაარსით ეპიკური და გარეგნულად — განწყობით — ხასიათით ლირიკული პოემა „თორნიკე ერისთავი“, სადაც მთელი ელვარებით აკიაფდა პოეტის ნიჭი. ამ ეპიკური სიმღერისათვის ავტორმა შეარჩია თავისი სამშობლოს ისტორიული მომენტი, ჩვენი წელთაღრიცხვის მეათე საუკუნის დამლევი, როცა გაერთიანებულ და სვებედნიერ საქართველოში მეფე დავით კურაპალატი [3] მეფობდა. თავადმა აკაკი წერეთელმა მის მიერ ასახული ეპოქა აიყვანა შემოქმედების მწვერვალზე და გააპოეტურა საოცარი სურათებით. პოემის პირველი შესავალი ლექსებიდან დასკვნით სტრიქონებამდე ერთი ამოსუნთქვაა და მასზე სრულყოფილი, ლამაზი და მუსიკალური მომხიბვლელობის ნაწარმოები არ არსებობს მთელ ქართულ ლიტერატურაში, რომელიც საერთოდ მდიდარია პოეტური ნაწარმოებებით. ავტორმა ჩაიფიქრა გმირული ეპოპეა და არ შეეძლო ხარკი არ მოეხადა ბევრ ადგილას თავისი უსაზღვრო დაუძლეველი ლირიკული

განწყობილებისათვის, მაგრამ ეპოპეის ლამაზი და ამაღელვებელი მდინარება არ არღვევს მის მთლიანობასა და სისავსეს. და სურათი გამოვიდა, როგორიც იყო ჩაფიქრებული, გამომსახველიც და მკაფიოც...

...აი რამდენიმე სიტყვით ის ისტორიული ვითარება, რომელიც საფუძვლად დაედო პოემას.

თემა უსათუოდ მიმზიდველია ეროვნული ეპიკური მომღერლისათვის, აგრეთვე კეთილშობილიც ჰეშმარიტი ნიჭისათვის და თავისი უნდა მივუზღოთ ჩვენს პოეტს. მან ეს თემა სრულყოფილად გამოიყენა.

მან შეჰქმნა მთლიანი და მხატვრული პოემა, რომლის საგანი გახლავთ პატარა ქართველი ხალხის გმირობა დაგვირგვინებული ბრწყინვალე გამარჯვებით, სახელოვანი ვაჟკაცობა მტერთაგან ხელყოფილი ბიზანტიის სახელმწიფოს არსებობისა და ბერძენთაგან აღიარებული ქრისტიანობის დასაცავად.

მე ვერ გავბედავ მშრალი პროზით, გადმოგცეთ ამ მშვენიერი კომპოზიციურად შეკრული ნაწარმოების შინაარსი, რომელიც საქართველოში მხოლოდ განსვენებულ პოეტის შთაგონებულ კალამს ხელეყო (დაემორჩილა). მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ შეუდარებელი ოსტატობით არის დახატული შორეული წარსულის ყველა ყოფითი სურათი.

აქ გვხვდება მეათე საუკუნის ქართველის ყოველდღიური ცხოვრების აღწერა, მინიშნებულია ისიც, თუ ყველა როგორ ეჯიბრება ერთმანეთს ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში, როგორ ტკბილია დამსახურებული დასვენება, რომელიც ამხნევებს და ძალას მატებს ახალი ალოოთისათვის. ასახულია საეკლესიო და სახალხო ზეიმები, სცენა მხედართმთავრის [4] გასამართლებისა, რომელსაც ბრალად ედება, რომ მან მეფისა და ხალხის უნებართვოდ გადაწყვიტა თავისი კვერთხი გადაეცა ახალგაზრდა სარდალ ორბელიძისათვის [5], ხოლო თავისი თავი ღვთის სამსახურად გაემწესებინა, სახალხო ენთუზიაზმის აღწერა თანამოძმის, ერთმორწმუნე ხალხის დასაცავად, ჯარების შორეულ ბიზანტიაში გასამგზავრებლად...

ჯარს ვინ უსარდლებს? ეს კითხვა ყველას აწუხებს: მეფესაც, კათალიკოსსაც, სარდლებსაც, ხალხსაც. და აი, აქ მოდის მომქმედ პირთა თანამიმდევრული დახასიათება.

ყველა აღიარებს ახალგაზრდა ორბელიძის ძალას, ვაჟკაცობასა და ნიჭს, მაგრამ ისიც და სხვა სარდლებიც—ჯოჯიკი [6], გამრეკელი [7], სავარსამიძე [8], ჯავშანიძე [9], მთელი ხალხი, მეფე და კათალიკოსი არ ივიწყებენ გამოცდილი არწივის თორნიკეს [10] დიდებას და სიბრძნეს, მოსაზრებულობასა და დიდ საომარ გამოცდილებას.

თორნიკეს უდიდესი პოპულარობა და ამის გამო სახალხო რწმენა თორნიკეს დაუმარცხებლობისა ყველას აიტაცებს, და მორიდებული ბერის უარის მიუხედავად, იძულებული აღმოჩნდება მიიღოს მთავარსარდლის კვერთხი, წინ წარუძღვეს ჯარს შორეულ ლაშქრობისათვის.

ბიზანტიის, მისი გარდასული დიდებისა და ძლიერების, ახლანდელი პოლიტიკური დაცემის აღწერა, მტრებისა და მათი სარდლების დახასიათება, ლაშქრობის ხელოვნება, მაშინდელი გენერალური ბრძოლებისა და სისხლისმღვრელი შეტაკების შემდეგ ბრძოლის ველის აღწერა, მოწმობს ავტორისეულ კარგ მომზადებასა და ცოდნას იმდროინდელი საომარი სტრატეგიისა და ტაქტიკისა. ყოველ შესაფერ მომენტში ბუნებისა და ვითარების უბადლო აღწერა და ბოლოს ლაშქრობის დამთავრებისა და ბიზანტიის გათავისუფლების — ხსნის ამბავი, მტრის დამარცხება და ჯარების ძლევამოსილი დაბრუნება, მეფის, სასულიერო წოდებისა და ხალხის შეხვედრა თავის ვაჟკაც შვილებთან, რომელთაც საბელოვანი გამარჯვების დაფნის გვირგვინი დაიდგეს თავზე. ყოველივე ეს ისეთი ძალით, შთაბეჭდილებათა მთლიანობით და ცხოვრებისეული სიმართლისადმი ისეთი მკაცრი მიდგომით არის დაწერილი, ძირითადი თემის ისეთი ცოცხალი განვითარებით, ჩუმი მომხიბვლელობით, და, ამასთან, ისეთი მომაჯადოებელი ხატოვანებითა და სილამაზით არის დაწერილი, რომ კაცი პოემის კითხვას თავს ვერ დაანებებს, სულმოუთქმელად წაიკითხავს. პოემა არც ისე პატარაა, იგი 2200 ლექსს (სტრიქონს) ითვლის...

მადლიერმა ხალხმა განსვენებულ პოეტის უკანასკნელ სავანედ მამადავითის მონასტრის გალავანთან შეარჩია ადგილი.

ეს არც საზოგადოებრივი სასაფლაოა და არც თავადების საგვარტომო საძვალეა, მაგრამ აქ არის მომღერლის უფროსი თანამოძმის პოეტის ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი განსასვენებელი.

ორივე ილიაც და აკაკიც, სიცოცხლეში განუყრელნი იყვნენ სიყვარულისა და სიმართლის სამსახურის საკითხებში, ხალხი ერთ დროულად და სამართლიანად დიდხანს ამაყობდა ამ ორი კაცით მათ სიცოცხლეში და მათში ხედავდა თავისი უკვდავების განსახიერებას. დაე, თანაბარი პატივი მიეზღოთ ძვირფას ცხედრებს, განუყრელად ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, ისევე როგორც მათი შთაგონებული გენია განუყოფლად და მეგობრულად ასახავდა მხატვრულ შემოქმედებაში ხალხის ცხოვრებას, მისწრაფებასა და სულს იმ ხალხისა, რომლის საუკეთესო მარგალიტები თავად იყვნენ.

ალ. გარსევანიშვილი

აკაკი წერეთელი

პოეტს განსაკუთრებით ლირიკული ლექსების წერა უყვარდა. მისი შემოქმედების დამახასიათებელი ფორმაა ელეგია და სატირა. აკაკი წერეთლის პოეზიისათვის დამახასიათებელია სამოქალაქო მოტივების სიჭარბე. პოეტის შემოქმედება ასახავს მისი, როგორც მოქალაქის აქტიურ

ბუნებას და არა მეთვალყურისას. პოეტი აქტიურია და ძლიერ რეაგირებას იძლევა გარემო ცხოვრებიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე. მას ბრძოლა სწყურია და ამიტომ ყოფითი შთაბეჭდილებებით გამოწვეული გრძნობებიც პოეტის სულში ნაღვლიანია და სევდიანი. საერთოდ თავად აკაკის პოეზია შესანიშნავი თავისი იდეური სიღრმით, — უდაოდ პესიმისტურია. მაგრამ ეს პესიმიზმი არასოდეს არ მისულა განწირულობამდე. პოეტი დასაყრდენს ახალი თაობის „ღიმილში“ ხედავდა. ეს განწყობილება განსაკუთრებული სიძლიერით არის გადმოცემული ლექსში „ღიმილი“.

თუმცა აკაკის შემოქმედებაში ცხოვრების ასახვის მანერაში გამომჟღავნებულა უმთავრესად მისი ბნელი მხარეები, მაგრამ მისი პოეზიის საერთო ტონი მორსაა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გულგატეხილობისა და განწირულობისაგან. სიძულვილში, რომლითაც მისი ლექსების უმეტესობა არის გაჟღენთილი, სტრიქონებს შორის იგრძნობა ძლიერი და ხალასი გრძნობა. ეს სიხალისე პოეტში არა მარტო ახალი თაობის ღიმილით იყო გამოწვეული, არამედ ქართველი ხალხის ზნეობრივი სიძლიერის რწმენით.

თვითოეული ჩვენგანი უნდა ემსახუროს სამშობლოს, ხალხს, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა ცხოვრების ყველა სიძნელე, — აი ეს გვიანდერძა განსვენებულმა პოეტმა. საზოგადოების სამსახური ყოველი მოქალაქის უპირველესი მოვალეობაა. ვიწრო ეგოიზმით შეპყრობილი ადამიანები გაკიცხვის ღირსნი არიან. ეს კი, ვინც პირად ბედნიერებას, საზოგადოზე მაღლა აყენებს და სამშობლოს ღალატობს, გაკიცხვის კი არა, წყევლის ღირსია.

სამშობლოს სიყვარულის პირველი მაგალითი ახალგაზრდობას თავად განსვენებულმა პოეტმა უჩვენა. ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნახევარ საუკუნოვან ისტორიაში წუთით არ გაუგდია ხელიდან კალამი, მან ყველაფერი სამშობლოს სამსახურს შესწირა, სამშობლო უყვარდა ყოველი თავისი ამოსუნთქვით, ყოველი ნერვით და სისხლის წვეთობით. უყვარდა და სწამდა კიდეც მისი უკეთესი მერმისი.

მართალია, მამული დაჭანცული იყო ბრძოლებით, მაგრამ პოეტს სწამდა, რომ იგი ძალ-ღონეს მოიკრეფდა და კვლავ წამოდგებოდა „ვინც შენატრის იმის სიკვდილს, მას თვითონვე დაამიწებს“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოეტის ეს უდიდესი რწმენა ისმოდა მის ღრმად ეროვნულ ლირიკაში. სიმართლე მოითხოვს აქვე აღვნიშნოთ, რომ თავად აკაკის ხშირად უხდებოდა გამოსვლა ეროვნული შემოქმედების ვიწრო ჩარჩოებიდან, და თუმცა, პოეტი თავისი ნაწარმოებების სიუჟეტებს უმეტესად ქართული ხალხური ლეგენდებიდან იღებდა, მას შეეძლო ეს სიუჟეტები ზოგადსაკაცობრიო პრობლემების სიმაღლემდე აეყვანა, შეეძლო მათთვის შთაებერა სიმბოლური აზრი.

ქართველი ქალი და აკაკი

ყველა შემოქმედის შემეცნებაში ქალის ყოფა-არსებობის შესახებ აზრები გამოსჭვივის ერთ სამართლიან აზრად: — ქვეყნის ბედი და უბედობა ქალზეა დამყარებული.

მწამს, რადგან საკაცობრიო ისტორიის ყოველი ფურცელი ამ დებულების დამამტკიცებელია... არ არის სახელმწიფო, ერი, მართვა-გამგეობა, ან კერძო რამ ნაწილი, რომლის მამოძრავებელ ძალის, რომლის ამყვაებელ-წამგრაგენელის ერთ უმთავრეს ნაწილთაგანს მხევალი ღვთისა არ წარმოადგენდეს!... ქალს დაუსაკუთრებია ნაწილი იმ მრავალმხრივ საყურადღებო ბაქანისა, რომლიდანაც თვით განგების მეუფე სამყაროს შვილთა შვებასაც სთავაზობს და რისხვასაც ავლენს... და სწორედ ამ ბაქნიდან იწყება მიზანი ქალთა არსებობისა. სწორედ რომ ქვეყნის დასაბამიც ამას გვიმჟღავნებს და ქალთადმი ყურადღების მიპყრობას გვიკარნახებს... ისიც მართალია, რომ მრავალნი შემოქმედნი, ქალთა ვითარების განმარტებით, ქალებს „არარაობის" სახელითაც ნათლავენ, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომელიც მთქმელს ქალისათვის ასეთი სახელის გამოძებნას აიძულებს, განა ქალის მნიშვნელობის ანბანური ჭეშმარიტებისა და მისი როლის დიადობის ღაღადმყოფელი არ არის?!...

და აკაკიმ შვილმა იმ კურთხეულ საქართველოსამ, რომლის ვითარების ყოველ ნაკვთს ძლევამოსილი ქალის ხატებანი ხსნიდნენ, აკაკიმ, რომლის სამშობლოს ისტორიის ფურცლებს ზეგარდმო ნიჭით ცხებული, შშვენებით მომხიბვლელი მეფე ქალთა და ერის ასულთა ყოფა-ცხოვრების აღწერა ამშვენებს, გული თვისი გაიპო და ჩანგს თვისას გამოაცემინა ის ჰიმნი, რომლის აკორდში ქალის არსების მრავალმხრივობა გამოჰკრთის... აბა უსმინეთ მის გამოძახილს, თუ ერთ უმთავრეს მოტივს ქალის, ამ კაცობრიობის გამაერთიანებელ ჯაჭვის ერთ უმთავრეს რგოლთაგანის, ქართველი ქალის, ამ საქართველოს ჭირ-ვარამისა და ლხენა-ტრფობის განმსახიერებლის სულის, ეროვნულ-პოლიტიკურად განვითარების სურვილი არ წარმოადგენდეს!...

სწორედ ქალის ასეთი წინმსვლელობის იდეის გამოსახატავად, ქალის ზნეობრივად აღსამაღლებლად, აკაკიმ თავის კალმის ნაწრთობში თვით იგი ქალი წარმოგვიდგინა ორ ცენტრალურ ფიგურად: ქალი საქართველოს წარსულისა და ქალი აწმყოსი, საქართველოს ამ დაკნინების დროისა.

ნინო [1], ქეთევან [2] და თამარი [3] — ეს ერთიმეორისაგან სულიერად განუშორებელი კურთხეული სამება, ეს ქალთა დიდების სიმბოლიური ღვთაება, რომელიც ყველა შეგნებულ ადამიანისათვის სათაყვანებელ საგნად გადაქცეულა — აკაკის სიმთა წკრიალშიც დიდი ქებით იხსენიე-

ბა და ზეაღმტაცობის უმრავლეს საფეხურს აღწევს... „ღღიურ სიცხადით გულდაჩაგრულ“ აკაკის სიზმარშიც კი ეს პიროვნებანი ეცხადებიან ღა ნეტარების წამებს განაცდევინებენ... ესენი წარმოდგებიან იმ საიდეალო მშვენებად, რომელიც თვალებცათამდე პყრობილ ღვთის მსასოებელ ანგელოსთა გუნდს ქართველთა გამამხნევებელ ხმას გამოაცემინებს...

და, აი, კურთხეული ერის კურთხეული შვილი ნათელაც [4]... როცა გაკაჟებულ ქართველთ პირდაპირობით ვერავინა სძლევდა, ხოლო როდესაც

ერთი ძუძუთი გაზრდილი, ერთი დედის ორი შვილი,
ერთს ჭირსა და ერთსვე ლხინში შეთანხმებულ, გამოცდილი —
ამერი და იმერეთი აირია, აიშალა
და ორიეს ჩამოაკლდა სიმტკიცე და ძველი ძალა —

როცა ეს მოძმეთა შორის „ხიდის ჩატეხა“ გარდაიქცა მონგოლთა იმ მხიარულ საგნად, რომლის შემწეობით მათ საქართველოს ერთი ნაწილი ხელთ იგდეს, ქართველთა გმირნი საშინელ განსაცდელში შთააგდეს და უფრო მეტის რისხვით იმუქრებოდნენ,—მაშინ „მოდინახის“[5] კოშკში აღზრდილმა ნათელამ ერის თავისუფლების მომხვეჭი მკლავები მძლავრად დაიქნია, დიდი საკვირველებით სამეგრელოს მთაერის — ცოტნე დადიანის [6] სამკვიდრებელში მოექცა, ჩანგურის სიმთა შორის ბროლის თითებს კამარა შეაკვრევინა, წარმტაცად დაუკრა, მშობლიური კერის ამაღიზღიზებელი ღიღინით სოფელთა შიგან ლხენით მცხოვრებნი გარეთ გამოიყვანა, აბჯარი აასხმევინა და მოძმეთა გასაერთიანებლად, ქართველთა დასახსნელად მონგოლთა საწინააღმდეგოდ წარგზავნა. მაგრამ, ოდეს მცირეოდენ ხანმა განელო და თავის მეუღლისა და სხვათა მწარე ხვედრიც შეიტყო, აბჯარი თვითაც აისხა და მონგოლთა მეფის — ნოინის [7] წინაშე თვით წარდგა, რათა ხვეწნა-მუდარით ან ვაჟკაცურის გამბედაობით მოძმეთათვის ბორკილის სიმძიმე შეემსუბუქებინა.

არც მოსტყუვდა...

თუმცა ნოინის აღტყინებულ ვნების ძალით სიტყვიერი შეურაცხყოფის მოსმენა მოუხდა, მაგრამ ქართულმა გმირულმა გრძნობამ ერის ტრფობა-სიყვარულისა გამო ყოველივე შეუმჩნეველად გარდაჰქმნა, თვით ნოინს გული მოალბობინა, გმირი ქართველი დაახსნევინა და

როგორც შვიდ ძალი ფერადი
ამშვენებს ცისარტყელასა,
[illegible]
სიამოვნება ყველასა...

მაგრამ ამგვარ ვითარებათა რეალურად გადმომცემმა აკაკიმ ისტორიული ქალის ცხოვრებას წერტილი აქ არ დაუსვა... დიდია ის სურათი, რომელსაც გამძვინვარებული შაჰ-აბაზი [8] და მის წინ მდგომი ქართველი ტყვე ქალი გამოუსახავს... მრისხანე შაჰ-აბაზის ჯარი საქართველოს შე-

შოსეოდა, აეწიოკებინა და, სხვა გმირთა შორის, ერთი ქალის მამა და ქმარიც მოეკლა. ქალმა, გაიგო რა თავისი მწარე ხვედრი და იცოდა რა, რომ მებრძოლი შვილნი ჯერ არ წამოზრდოდნენ, მამა-პაპათაგან გადმოცემული ვალი არ დაიეიწყა, ოჯახის სირცხვილს ვერ გაუძლო, ქალობა თვისი უკუაგდო, შეიარაღდა და ამწვანებული მდელო მტრის სისხლის შხეფებით მორწყო... და ამ ბრძოლის შემდგომ წილხდომილმა ტყვეობამ განა ფერი შეაცვლევინა?! არა!... უფრო გაამხნევა, შაჰ-აბაზის ყოველ კითხვაზე „გალომებულ-გაეფხვებულძა“ მტკიცე, ჯეროვანი პასუხი მიაცემინა და ქართველთა სამუსრად ზეალმართული ხმალი ქარქაშში ჩააგებინა.

გარდა ამ ზექალთა, აგერ თეიმურაზ მეორე [9] მეფის მეუღლე თამარი [10], აგერ ქვეყნის მხსნელ გელას [11] ასული ტურფა და ქართველ გმირის დედა, რომელთაც ქვეყნის საკეთილდღეო იდეალებით გატაცებულ შვილთა და მამის მისაშველად ხელი და ხმა თავისი გაუწვდენიათ, ბრძოლის გზა დაულოცნიათ და თვის თავსაც არ ზოგავენ...

დიაღ, ასე იქცეოდნენ ქართველნი ქალნი წინათ და ამით საქართველოს შვების მომგვრელ წუთებს აცდევინებდნენ. სწორედ ასეთია მოკლეთ ყოფა-არსებობა წარსული დროის იმ დიდ ბუნებოვან ქართველ ქალთა, რომელთა შესახებ აკაკი ამბობს:

> გამოუზრდიათ გმირები სამშობლოს მსხვერპლად, ზვარაკად,
> და მით გვაძლევენ მაგალითს, თითქოს ზღაპრად და არაკად...

ამ იდეალურ პიროვნებათა გარდა, აკაკის შემოქმედების სალაროში ვიხილავთ თამარ ცბიერსაც [12], რომელიც გარეგნობით მომხიბლავი და წარმტაცია, ხოლო ზნეობით უარყოფითი ხასიათის თვისებებით არის აღსავსე... ისტორიული პიროვნების ასეთი ხატება აკაკიმ ჩამოჰქნა, მგონია იმიტომ, რომ დაემტკიცებინა, თუ რა შეუძლიან მშვენებას, თუ მის წინ საალერსოდ წარდგომილს ჰაბუკს, „ტრფიალების მოსურნე“ ქალი „ლეჩაქის ყურში“ როგორი გამჭრიახობით გამოჰკრავს... ამ ნაწარმოებითაც სწორედ ქალის დიადობას ვიგებთ; იმ დიადობას, რომელსაც აკაკის შეხედულებით, დღევანდელნი ქალნი ბოროტად ხმარობენ, ხალხს მზაკვრული ტრფიალების ქსელში აბამენ, ოჯახის შეურაცხყოფას თავის შეურაცხყოფად არა სთვლიან და ყოველ დღიურ უბრალო მოვლენათა აღმ-სრულებლად ისახებიან... ქალთა ეს ზნეობრივი შეცვლა, დღევანდელ ქალთა ასეთი დაკნინება აკაკის სიმწრის წუთებს განაცდევინებს; იგონებს იმათ, ვინც

> დედის გვირგვინად ზეგარდმო
> კურთხევით გაბრწყინებულან...

და დასძენს:

დიდება იმათ დედობას, დიდება
იმათ სახელსა.
იმათ სხივებზე დღეს ჩვენი
ქალი თვალს ვეღარ ახელსა...

მართლაც და, თუ საქართველოს დავრდომა-დაძაბუნებას ხელს თვით გმირნი-ჭაბუკნი უწყობენ; რა გასაკვირველი იყო, რომ ქართველნი ქალნიც, რომელთა არსებაში უმთავრესი ადგილი მომხიბვლელობასა და გრძნობის კვერთხს სამეფოდ თვისად გადუქცევიათ, საერთო უბედურებას თან დაჰყოლოდნენ და ერისათვის უარსაყოფელ სახედ წარმომდგარიყვნენ. საქართველო ლამის გაცამტვერდა, ყოველი ჯგუფი, ყოველი ბანაკი პირადმა ჟინიანობამ და კინკლაობამ შეიპყრო, ეროვნული ძლიერების გამომსახველი ძალა დაიკარგა და ამას მოჰყვა დაკნინება ერის სინაზე-სისპეტაკის გამომსახველ ასულთა... აკაკიც სწორედ ამას ამჩნევდა, დასტიროდა წარსულ ვითარებას, იგონებდა სამშობლოს ყოფილ განმანათლებელთ და თან აწმყო დროის ქალთა ვითარებას ჰეშმარიტების მაჩვენებელ მხედველობით სჭვრეტდა...

და, აი, ერთ თავის წერილში ამბობს: „რაც უნდა განათლებულნი იყვნენ ჩვენი ქალები, თუ საკუთარ ნიადაგზე ფეხი არ უდგიათ, ჩვენთვის ყოველთვის უნაყოფო და გამოუსადეგარნი იქნებიან!... აბა რა ჭართველი ქალობა უნდა გასწიროს იმან, ვისაც „ქრისტე აღდგაც“ კი არ ეხერხება, რომ ქართულადა სთქვას: ყველაფერი იცის, გარდა თავის ქვეყნისა; მარაოს იჭერს ხელში, რომ მუნჯურად აალაპარაკოს და ნევსის აღება კი არ შეუძლიან, რომ შვილს პერანგი გაუკეროს!... ღომი ჭაშისაგან ვერ გაურჩევია და შვილი სათამაშო დედოფალა (კუკლა) ჰგონია. ცხადია, დღევანდელი ჩვენი ქალები, ძველ ქართველ ქალებთან, იმ ნამდვილ ქალებთან, მისატოლებელი კი არა, სახსენებელნიც არ არიან“-ო...

დიაღ!... დღევანდელ ქალს გარეგნულად არაფერი აკლია. სილამაზით ყველას იზიდავს, წარმტაცია, მაგრამ, „ჩვეულება რომ რჯულზე უმტკიცესია“ ეს იმასაც კარგად შეუგნია და, თუ ყოველ დღე „ფერ-უმარილი არ წაიცხო“, თუ თმა ხელოვნურად არ დაიკულულა და მით თავი არ დაიმახინჯა, არ შეუძლიან. ასე სჩადის ისიც, კი, ვისთვისაც სიბერეს უკვე მოუსწვრია და „წლებს იპარავს“ და ზიზღის მეტს არაფერს იწვევს... აგერ „კნეინა“, რომელმაც ძალიან „მოკლე ხნით“ ინტარა, ნისიათ გამორთმეული „ოქრომკედი და შლეიფი“ დაუძელდ-გაუცვდა და გულს მხოლოდ იმით ინუგეშებს, რომ

იტიროს ჩემმა ქმარმა,
ბეღელმა და კალომაო...

აი, თუნდ ახალგაზრდა ქალი, რომელიც

სილამაზით პეპელაა ხატისა,
მიხვრა-მოხვრა და ქცევა აქვს კატისა,

რომელიც დღეში „ასჯერ შეიცვლება მარტივით“, „მოდებს დასდევს, იმაშია გართული, წერა-კითხვა ეჯავრება ქართული“, ზრასტის მეტი აღარაფერი ეყურება, „შრომისა და კეთილი საქმის ნაცვლად, მხოლოდ ლხინში აუღია მას წილი“ და მით ერის დაცემას უფრო უწყობს ხელს.. მაგრამ ვით ფუქსავატნი არიან თვით, ისეც ფუქსავატღება მათი ნეტარება, სამხიარულო ფერხული მათი იბნევ-იშლება. ის ვინც გუშინ „მდიდრულის მორთულობით გვაკვირვებდა“, დღეს თავის წინაშე ჰხედავს, რომ

წვრილ-წვრილი ვაჟრები შემოდიან დას-დასად!...
და სირმები და ნაჭრები უკდებათ ოხერის ფასად!...

ეს გარემოება არის ნაწილი მდგომარეობისა, ეს ყოფა არის შედეგი ქალთა, ასე ვთქვათ, გარეგნულ თვით არსებობისა, მაგრამ აქედან ცხადია, რომ, ამგვარად აღზრდილნი და გართულნი ქალნი, ძლიერ სიყვარულშიც დაისახებოდნენ ისეთ უმწეო ქმნილებად, რომელნიც უდროვოდ დაღუპულ მოსიყვარულე სახელს წარმავალ წამსავით ჰაერს ატანენ, თვით მგლოვიარობის დროსაც პრანჭვა-გრეხასა სცდილობენ, რომლებიც სპეტაკ სიყვარულის სხივებს გაურბიან, ან და „ტრფობის ალს“ საბუმარო საგნად სთვლიან. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა რომ „გამოცვლილა სიყვარული აქ ოთხმოცდაცხრამეტჯერა“... გარდა ამისა, სხვადასხვა კუთხის მცხოვრებს სიყვარული სხვადასხვა გვარად მიაჩნიათ. ქართველი ქალი. მაგალითად სიყვარულს ტრფიალებაში ჰხედავს, იმერელს წუთიერ გასართობად მიაჩნია, მეგრელი უპირატესობას ფარულ სიყვარულს აკუთვნებს და ქმრისადმი ღალატში ცოდვას არაფერსა ჰხედავს, გურულს კი ვაჟი სურს გმირობისათვის. რომელიც ქალის შეურაცხმყოფელთან ბრძოლაში უნდა ცნაურდებოდეს.. ყველას ერთად და თითოეულს ცალკე ოჯახი არ აინტერესებს, ბავშვი ოხრად, უპატრონოდ, „კატის კნუტსავით“ დაუგდია და კლუბებსა და ბაღებში დაძრწის, დათარეშობს მხოლოდ იმისათვის, რომ ვაჟთა გული მოიგოს და ნეტარების წუთების ზვარაკად ვაღაიქცეს!...

ეს არის მიზანი თანამედროვე ქალებისა, ეს წმიდათა-წმიდა, მათი საარსებო გეგმის უმთავრესი მუხლია... ყოველივე ეს სხვა უბედურებითაც გულდაწყლულებულ აკაკის განაცდევინებს უფრო მეტს მწუხარებას, რომლის იძულებით გული უკვნესის:

ჰეი, ჰეი! ვეღარ ვხედავთ
დღეს ძველებურს ქართველ დედებს;
მათ მაგიერ მომავალზე
ვეღარაფინ გვაიმედებს...

და რომ „დღეს დაცემული და ცოცხალმკვდარი“ სატრფო ზეაღსდგეს, რომ ერის ემბაზმა განანათლოს თვით ერის ბენი, ამიტომ ქალებს აკაკი თავის „სარკედ ქცეულს გულში“ ახედებს, სასიკეთო გზას უკაფავს, ქალი ნამდვილ დედად, შვილის ეროვნულ ნიადაგზე აღმზრდელად სურს, „დაფითა და ნაღარით“ ამ სასიამო აზრისაკენ მიიწოდებს და დღე-მუდამ იმის ნატვრაშია:

გამოჩნდეს ქართველი ქალი,
რომ ემოსოს კაცის ძალი
და მამულის სიყვარულის
გულში ედვას ტრფობის ალი!...
მას ჰაბუკი აძლევდეს ხელს,
ვით თანამგრძნობს მის სასურველს,
და ორ-კეცის სიყვარულით
გადაიდნენ ბრძოლისა ველს!...

ნეტამც აღსრულდეს, რადგან აკაკის ეს სურვილი — შეგნებული ერის სურვილია; აკაკის ამ ზრახვის აღსრულება — ერის უმაღლეს კვარცხლბეკზე მოთავსება და საქართველოს უაღრესად გაბრწყინვალებაა; აკაკის იმედი — ქართველ ქალთა ძლევა-მოსილი ფრთებია, რომელთა დაქნევამ ერის ასულთ „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტ“ სამშობლოს მთებზე სამხიარულო კამარა უკვე შეაკვრევინა, შემდეგშიაც, აკაკის სულთან ერთად, უფრო ფართო ნეტარების მთამსველელ რგოლის მოხაზვას გვპირდება და მდუმარე მთებსაც კი აღმოათქმევინებს აკაკისაეე სიტყვებს:

საქართველო აღსდგა მკვდრეთით...

ქართველი ქალი ამას შეიგნებს...
ქართველი ქალი ვაჟებს სევდის გამზიარებლად მოეელინება და... ქართველი ქალი საწადელს მიაღწევს...
ეს მჯერა... მჯერა...

ქიტა აბაშიძე

აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელი ერთი იმ პოეტთაგანია, რომელიც „დაქათქათებს“ საქართველოს მოღუშულ ცას მეცხრამეტე საუკუნეში. ეს ერთი იმ დიდ მგოსანთაგანია, რომელიც უმადურობით დაჯილდოებული და უსამართლობით დასჯილი, „სიმწარითა გამაძღარის და ნაღვლითა დამთვრალ“ ქართვლის შვილის უბედურებისა და ჭირის ოფლის მომწმენდი იყო და ტანჯვის ცრემლების შემაშრობელი.

პირველი და მთავარი, რაც იზიდავს თქვენს ყურადღებას აკაკის შე-

უდარებელ სალირიკო პოეზიაში, ეს მისი დაუინებული ცალმხრივობა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთსაგნობაა მისი მადლიანი კალმისა, რომელიც, რასაკვირველია, როდი ნიშნავს ერთფეროვნებას.

„ფერმიხდილი საქართველო“, ცხრა კლიტულში მჯდომარე ნესტანი [1], „მიჯაჭვული ამირანი“ [2] და მათი სვე-ბედი, აი რამდენიმე სახით გამოთქმული ერთი და იგივე საგანი იმ დიადი გრძნობისა, რომელსაც ეწოდება მამულის სიყვარული და რომელსაც ემსახურება ღვთივ მშვენიერი ქნარი აკაკისა. ათასგვარად, ნაირნაირად შეფერადებული, ალმასებრივ მრავალფერად ბრჭყვიალა მისი მუზა, ათასნაირი ტკბილი სიმფონიის გამომცემი მისი თარი, მრავალგვარად მეტყველი და მკვნესარი მისი სალამური, უცნაურად მოწკრიალე მისი ჩანგური ერთსა და იმასვე დასტირის, შეხარის, დაკვნესის და შესტრფის — „თავზედ ლეჩაქ მოხდილ, ფეხშიშველ სატრფოს“. რასაც უნდა შეეხოს მისი ღვთივ ბედნიერი აღმაფრენა, რასაც უნდა მიაქციოს ყურადღება მისმა წინასწარმეტყველურმა თვალმა, ყველგან და ყოველთვის იგი ხედავს „გაიძვერა მოყვრისაგან“ მოტყუებულ, შეცდენილ სატრფოს და ემუდარება მას — გამოარკვიოს და მტერი მოყვრისაგან გაარჩიოს.

იარაღი სატრფოს მისაშველებლად და სასამსახუროდ მას ერთად— ერთი აქვს და ამ იარაღს აძლევს იგი უპირველეს მნიშვნელობას.

ეს არის მისი ჩანგური,
ქვეყნის ჭირი და ლხინიო,
სამშობლოს სისხლი და სორცი,
მისივე ნაღველ-ტკივილიო.

მაგრამ, როცა სასოწარკვეთილების ხანა დგება მისი სულის სამეფოში, როცა ბედს სწყევლის და განგებას ეჯიდება, მაშინ ხანჯალსაც მიმართავს და მას ჰხადის „ერთადერთ იმედად მტრისაგან გამოხსნისა“.

ყოველივე ეს ადამიანური, და მით უმეტეს პოეტური ზრახვა და ფიქრი აკაკისა, ერთისაკენ მიისწრაფვის, ერთისაკენ მიილტვის.

ნურავინ კი იფიქრებს, რომ ეს დაუინებული, ნიადაგ გამეორებული ერთი და იგივე აზრი სამშობლოს სიყვარულისა, მამულიშვილური გრძნობისა მისი პოეზიის ფრთის გაშლას ერთი ბეწოთიც აფერხებდეს, მის აფერადებას, სხვადასხვაგვარად გაბრწყინებას ხელს უშლიდეს.

პირიქით, სწორედ ეს ერთნაირობა საგნისა საშუალებას აძლევს მის ჯადოსნურ, „ბედნიერ“ ნიჭს მთელი სიგრძე-სიგანით გაიშალოს, მთელი თავისი ძლიერებით მოგვხიბლოს და ზეაღგვიტაცოს გონება.

ცხოვრება მრავალნაირია, უკიდო და უძირო. მისი სიღრმე თვით განგებისთვის მიუწვდომელია. ყოველი თვით მცირედი ატომი მსოფლიოსი მთელ კოსმოსს შეიცავს... ყოველივე ნაწილი მოვლენისა შეიცავს მთელ სახებას ცხოვრებისას, მის დუღილს, მის მიმდინარეობას. და აი ამ ნაწილის, ამ ატომის, ამ მოვლენის ათასგვარი მხარის დანახვება, გე-

ნიოსური ხელით, ფრიად დიდი საქმეა, ფრიად მძიმე. რომელიც მარტო ღვთაებრივი ცეცხლის მომპოვებელი პოეზიის ამირანს ძალუძს. ეს ითავა აკაკიმ. მან. ერთგულმა შვილმა, მორჩილმა და მოყვარულმა მემკვიდრემ სახელოვანი, მამულის დიდების შოთასი, რომლის ანდერძი უებროდ აღასრულა. შოთამ არ ბრძანა მოშაირეთა სახელმძღვანელოდ:

ხამს მელექსე ნაჭირვებსა მასსა ცუდად არ აბრკმობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
ჭისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს [3].

მოგახსენეთ, ეს ანდერძი აკაკიმ შეასრულა დიდებულად და ღირსეულად, უნაკლოდ და სწორუპოვრად. ერთი უჩნდა მას მთელ თავის სიცოცხლეში სამიჯნუროდ: ყოვლსა მისთვის ხელოვნობდა, მას აქებდა, მას ამკობდა და ეს იყო „ქაჯთაგან გატაცებული ნესტანი“, რომელსაც ველად გავარდნილი მისი ტარიელი [4] დაეძებდა. ამ სამშობლოსთვის „მუსიკობდა ენა მისი“ და მერე რანაირი მარტივი, სადა ჰანგებისაგან იყო შემდგარი ეს მუსიკალური სიმფონია.

მას, ვისთვისაც ერთხელ მაინც ურგუნებია ბედს პრაქსიტელის [5] ლუსკუმების ნახვა, ფიდიასის [6] შემოქმედების დამსხვრეულ ნატეხთა დათვალიერება, მიქელანჯელოს [7], რაფაელის [8], ტინტორეტოსა [9] და ტიციანის [10] უკვდავ ტილოთა ხილვა, იცის და შეურყევლად შესწავლილი და დამტკიცებული აქვს, რომ ჭეშმარიტად რაიმე დიადი, ნამდვილად ღვთაებრივი ხელოვნებაში საძაა და მარტივი ვით სული ობოლი, უბრალო ვით პიტალო ქვა მარმარილოსი, უპრეტენზიო ვით ცივი ტილო სუდარისა.

და იცით, რომ ხელოვნების განვითარების იდეალი სწორეთ ეს სისადავეა და სიმარტივე?

და დიდი ხნის ეკლიანი გზით სვლაა საჭირო ხელოვნების ქურუმთათვის, ვიდრე მიაღწევდნენ ამ იდეალს.

საუკუნეები იყო საჭირო, რომ უხეში და გაუთლელი ძველი სკულპტურა პრაქსიტელის ხელში შექმნილიყო დიად მარტივ ხელოვნებად, რამდენი შრომა და ცდა იყო, რომ პრაქსიტელს შესძლებოდა რამდენიმე ჩაქუჩის ჩამოკვრით მიეცა თავისი ჰერმესისათვის [11] სახე ადამიანის ცხოვრების მარადიული სურათისა.

რამდენიმე ასი წელი იყო საჭირო, რომ ბიზანტიელ მხატვართა დამანჭულ-დაგრეხილი ბიბლიური სიუჟეტები, რომლებიც უხვად მოიძებნებიან ვენეციის წმ. მარკოზის ეკლესიის ფრესკებში, რაფაელისა და მიქელანჯელოს ხელში ერთი კალმის მოსმას გარდაექცია ზეაღმტაც ღვთაებრივ ქმნილებად.

მთელი დღევანდელი მოძრაობა ფუტურიზმისა, კუბიზმისა და სხვა მაგვარ მიმართულებათა ხელოვნებაში სხვა არა არის რა, თუ არა ძიება ხელოვნურის სიმარტივისა, სადა და მარტივ ფორმათა მიღწევისა... და აი როცა ამის შემდეგ პოეზიას აიღებთ და აკაკის ლექსებს გადაათვალიერებთ, თქვენ ნახავთ, რომ ეს საუკუნო მოთხოვნილება ხელოვნებისა აქ სავსებით არის დაცული და რომ ქართველი ერის მუზასაც საუკუნეების მთიებთ შორის უნდა ეფრინა, რომ მიეღწია პარნასის [12] ასეთ უმწვერვალესობამდე და შეექმნა ასეთი მაღალი ნიმუშები პოეზიისა.

ავიღოთ თუ გნებავთ აკაკის ცნობილი „ავადმყოფი“ და გავიხსენოთ მისი პირველი ორი სტრიქონი:

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს,
და ისევე გაიღვიძებს...

ერთი სიტყვა არ არის აქ, რომ სრულიად უბრალო, სრულიად მარტივი, თითქმის შაბლონური არ იყოს, მაგრამ ღვთაებრივი სულით არის გაჟღენთილი და წინასწარმეტყველური ცეცხლით დამწვარი. ყოველი სიტყვა თქვენ გულში შედის ვით ღვთაებრივი ნექტარი, ყოველი წინადადება თქვენს ტკინში ნეტარების ლურსმნებით იჭედება. ავიღოთ მეორე ლექსი:

დამესიზმრა, ოსმალელო, რა გაქვს ჩემთან საზიარო
თვით ოხერო, მოუელელო, როგორ გინდა მომიარო?!

აბა მიჩვენეთ ერთი სიტყვა, რომელსაც ყოველდღე ყოველ წუთში ყველა არ ხმარობდეს, სალონი იქნება ივი არისტოკრატიული, თუ ინტელიგენტის კაბინეთი, მედუქნეთა დახლი, თუ დიპლომატთა მაგიდა, კეთილშობილ ქალთა პანსიონი, თუ ჯარისკაცთა ბინა. სალონში უთუოდ ყოველდღე აღიძვრება საკითხი „როგორ გინდა მომიარო“, დიპლომატთა შორის „დამესიზმრა ოსმალელო“, ინტელიგენტი ნიადაგ იმეორებს — „რა გაქვს ჩემთან საზიარო“, სოლო დუქანში — „თვით ოხერო მოუელელო“, ეს არის ყოველდღიური ლექსიკონი ჩვენ უბრალო მიწაზე მღოღავთა, მაგრამ უკვდავი მგოსნის ხელში იგი იქცევა მთელ ჰარმონიად აზრთა და გრძნობათა, მთელ პოლიტიკურ მოძღვრებად, საეროვნო კვნესად და საზოგადოებრივ ვაებად.

მისი მეტაფორები, მისი ალეგორიები — „ნესტან დარეჯან ქაჯებს ჰყავთ“, „ველად გავარდნილი ტარიელი“, „ამირანი მიჯაჭვული“ — უნიჭო, ანდა მცირე ნიჭის პატრონი მწერლის ხელში მოსაწყენ გარემოებად იქნებოდა მიღებული — მაგრამ რაღაც ჯადოსნური უხილავი ძალა, ის ძალა, რომელიც თიხიდან ქმნის მშვენიერ არსებას ადამიანისას და ქაოსიდან [13] თვალწარმტაც ბუნებას — ეს ძალი იმფერად ავარაყებს, მუზათა მიერ გამართულ ქარგაზე იმნაირად ქარგავს ამ სიტყვებს, რომ

ტანჯული ერის შვილთა აღმზრდელი ხდება, მათი გულის მალხინებელი და სულის მეოხი.

და ამის შემდეგ გაგვამტყუნოს ვინმემ თუ ვიტყვით, რომ ქართველები მდიდრები ვართ; რომ ჩვენი სიმდიდრე ისეთი რამ არის, რომელსაც „ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“: რომ იგი ხელუხლებელი განძია, რომელსაც ვერას დააკლებს ვერავითარი ზარბაზნები და ყუმბარები, ვერ ამოახრჩობს ვერავითარი სულის შემხუთველი თოფის წამალი.

ვით რისხვამ ღვთისა გაიარა ჩვენს ქვეყანაზე თემურ-ლენგმა[14] და შაჰ-აბასმა[15], შემუსრა მან სიმდიდრე ნივთიერი ჩვენის ქვეყნისა, მოსპო და ააოხრა სრა-სასახლენი და ციხე-ქალაქები, მაგრამ ვერ დაგვიკარგა და ვერ დაგვილუპა ენა ტკბილად მოუბარი შოთასი.

დღევანდელი დიდი და ტრაგედიული მომენტი თვალწინ გვიყენებს და გვიმტკიცებს, რომ თანამედროვე ტექნიკის გამოგონილ მომსპობელ იარაღებს ვერავითარი მატერიალური სიმდიდრე ვერ უძლებს; ჩვენ ვხედავთ უკვე წვალკილს და მოსპობილს რამდენიმე ქვეყნის ნივთიერ ქონებრივ სიმდიდრეს, და ამ ქვეყნებს უკვე გაღატაკებულს გაცამტვერებულს, — მაგრამ ვერავითარი ძალა ქვეყნისა, ვერავითარი იარაღი ვერ მოსპობს ძლიერებას და სიმდიდრეს სულიერი კულტურისას.

მიუწვდომელია განგება ჩვენი ბედისა. იქნებ ქართველ ერს თავის განაწამებ ცხოვრებაში კიდევ შეხვდეს აოხრება და ხოცვა-ჟლეტა, მაგრამ აკაკის ლექსს ვერავინ მოგვისპობს და ხელუხლებელ განძს — ქართველის სულის კულტურის ნაყოფს — ვერავინ ხელსაც ვერ ახლებს.

დაე, დაგვწიხლონ მათ, ვისაც დღეს ხელში უპყრიათ ოქროს ვერძები და თავი მოაქვთ მით! არაფერია, მოვა დრო და მათ ხელში მტვერიც არ შერჩებათ ამ კერპებისა, ხოლო ტაძარი ქართველის სულის ძლიერებისა, რომელსაც ისეთი ქურუმები ჰყავთ, როგორც აკაკის მუზა შეურყეველია და უკვდავი... „მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“.

გრ. გველესიანი

აკაკის გარდაცვალების წლისთავზე

განვლო ერთმა წელმა და სამგლოვიარო ზარის გუგუნი თითქო ახლაც ისმის კიდით-კიდემდე... ღრმა იყო, მწარე იყო ის ტკივილი, რომელიც იგრძნო ერმა ჩვენი დროის უდიდესი ქართველის სიკვდილით. დღევანდელ უსაშინელეს განცდის ჟამს ცალკე პიროვნება ხომ, თუნდაც იგი რჩეული იყოს, თითქოს არავის ახსოვს! მაგრამ ვერც სისხლის ღვრამ, ვერც უდიდესმა გრიგალმა დღევანდელ დღისამ ქართველს ერთი წუთითაც ვერ დაავიწყა სახელი იმისა, რომელიც მის სათაყვანებელ კერპად ქცეულა, საზღაპრო დევგმირად, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის,

ხანგრძლივი სიცოცხლის ცხარე ომში იყო ჩაბმული, სადაც პატრია ბასრი კალმით იბრძოდა და ბოლოს მაინც ბრძოლის ველიდან გამარჯვების დროშა გამოიტანა, იმ გამარჯვებისა, რომელიც ყოველ სამხედრო გამარჯვებაზე მეტია: ერს სული შთაბერა. იმ დროს, როდესაც მთელ კაცობრიობასთან ერთად ქართველი ერიც განიცდის შავ-ბნელ დღეებს უმკაცრესი ტრაგედიისას, ჩვენს გულ-გონებას ვერ განშორებია სხივმფენი აჩრდილი, ღვთიური სახე, მაღალი შუბლი იმისა, ვინც თავის მშვენიერთა მშვენიერს, უსაყვარლესს სატრფოს სულისას ტკბილ საამურ, ციურ ხმებს უგალობდა, ვისაც ვითარცა ერთგულს მონას სატრფოსას, მისი ჭირი, კვნესა-ვაება ლხინათ მიაჩნდა. და ასე იქნება აწიც. მარადის ქართველი ერი ვერასდროს ვერ დაივიწყებს ხსენებას დიდი მოამაგისას, ღვთიურ ხატებას ზემადლით ცხებული მგოსნის აკაკისას... ჟამთა სრბოლა უკვდავებას ვერას აკლებს.

დიახ, საქართველო, მისი ბედნიერება, მასთან განუყრელი ქართველი ერის ჩაგვრა-კაეშნის მოსპობა, კულტურული აღორძინება, ენისა, ზნე-ჩვეულებათა თავისებურების დაცვასთან ერთად, — აი ის ხატი და ჯვარი, აი ის ეროვნულ-პატრიოტული მაღალი იდეალი, რომლისათვისაც მგზნებარე ცეცხლით იწვოდნენ, რომლის განმტკიცება-დანერგვას ყოველ საზოგადოებრივ წრესა და კლასში მთელი თავისი არსება შესწირეს სამოციანი წლების ბუმბერაზებმა — ილიამ და აკაკიმ. პირნათლად, იშვიათი წარმატებით შეასრულეს ეს დიდი მამულიშვილური მოვალეობა და თავის უზენაეს საწადელსაც მიაღწიეს — მათგან მომზადებულ, გაპოხიერებულ ნიადაგზე უკვე აღმოცენდა ხე ყვავილოვანი, მდიდრულათ გაშლილი; ქართველმა ქართველათ აღიარა თავისი თავი. და რაღაი ეს მოხდა, ამას ის მოყვა, რაც თვითცნობიერების შედეგია: მის გონებაში ჩამოყალიბდა ის კონკრეტული პირობებიც ეროვნული კულტურული განვითარებისა, რომელთაც მხოლოდ შესწევთ ძალა შეინახონ ერი ყველა მისი თანამგზავრ ატრიბუტებით. ძნელი იყო მისია სამოციანელთა ამ ეკლიან გზაზე. აწმყოთი უკმაყოფილო, სასოება-მოკლებული. იმ დროს ქართველი საზოგადოება მომავალს რაღაც უიმედო თვალით შესცქეროდა; ბურუსით მოცული. ნახევრად ძილს მიცემული იგი ამ მომავალზე არც თუ ბევრს ჰფიქრობდა. საჭირო იყო ძლიერი, მგვრგვინავი ხმა გოლიათისა, ძალა გრძნეულისა, რომ ძილიდან გამორკვეულიყო მოდუნებული, სულით დაცემული ქართველი. და ასეთ გრძნეულად პირველთა შორის მოევლინა ქვეყანას დიდებული აკაკი, რომელმაც ძილი დაუფრთხო ქართველსა და იმედი, სასოება სხივოსანი მის გულს გატეხილს უხვად მოჰფინა... აკაკი იყო ერთი იმ პირველ მერცხალთაგანი, რომელმაც ტანჯულ ერს ამცნო კვლავ განახლების მოახლოება. „გაზაფხული, გაზაფხული! — აღტაცებით გადმოსძახა მან ზემოდან ქვემოთ მშობელ მხარეს იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ სუსხი, მკაცრი ზამთრის სუნი იდგა. მაგრამ უსაზღვრო სიყვარულმა, უკეთესი მომავლის ღრმა რწმენამ, კარგს

კილოზე დროით თქმულმა ძალუმმა სიტყვამ ისა ჰქნა, რომ თვით ურწმუნოც აიყოლია და დღეს ქართველი ერის ბედი უკვე აღარავისში ეჭვს არ იწვევს. არ ჰბადებს. ყველას მტკიცედ სწამს, რომ დღეს არა, ხვალ მისი აღთქმითი ოცნებანი ხორცს შეისხამენ.

ბოვა დრო და თავს აიშვებს
იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა გმირი!
სიხარულით შეეცვლება
ამდენი ხნის ვასაპირი!

ამ და ამის მსგავსს სიტყვებით ამხნევებდა მგოსანი თანამემამულეთ...

სიტყვა მგოსნისა, ჰაეროვან სამოსელში გახვეული, ერის წყლულებს ტკბილ მალამოთ რომ ედებოდა, სიტყვა იგი ხან მახვილი, მოსწრებული, ხან ნაზი და საამური, მსმენელის ყურს ისე ძლიერ რომ ატყვევებდა, აი, ამ სიტყვის ბრალია; რომ აკაკის პოეზიამ ღრმა კვალი დასტოვა ერის გულის სიღრმეში, რომ მან წინასწარმეტყველური ძალა-გავლენა მოიპოვა საზოგადოდ ქართველთა შორის. ჩვენ რომ დაჩაგრულ-დამონებულები ვართ, ჩვენ რომ თავისუფალ განვითარების პირობებს მოკლებულნი ვართ, ამიტომაც არის, სხვათა შორის, რომ აკაკის შემოქმედება, რომელიც დიახ ამ პირობების ჩვენში დამყარებას ემსახურებოდა, ასეთს განსაკუთრებულს საერთო ყურადღებას იპყრობდა.

აკაკი მწერალი იყო მთელი თავისი არსებით და უაღრესად მწერალი-მგოსანი. მწერალი იყო მოწოდებით, სულით-გულით. და მწერალი იყო პროფესიითაც. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მას ერთი წუთითაც არ გადაუგდია ის მადლიანი კალამი, რომელიც მის ხელში სასწაულმოქმედებდა, ხელოვნება მისთვის ის წმინდა რელიგია იყო ღვთისნიერისა, რომელსაც იგი სხვათაშორის როდი ემსახურებოდა. ამ მხრივ აკაკი ერთადერთი თითით საჩვენებელი მაგალითია ჩვენ ცხოვრებაში. მწერლობა ჩვენში, როგორც ყოველი სხვა საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ხომ მძიმე წელმომწყვეტი ტვირთია და ეს მძიმე ტვირთი მან ზურგით ჰზიდა სამარის კარამდე.

აღსანიშნავია, რომ მგოსანი, აწმყოთი დაღონებული, ძალიან ხშირად წარსულისაკენ იცქირებოდა, მისი ფიქრი — ოცნება ძველი საქართველოსაკენ იყო მიმართული, მასში — ამ ძველ საქართველოში ეძებდა საფუძვლებს მომავლისას, რომლისაგან, თვით აღიარებდა, ბევრს მოელიო; იქ იმ წარსულში ჰპოულობდა მისაბაძ მაგალითებს (ნინო, ქეთევან, თამარ [1], შოთა, თორნიკე [2] და სხვა) თანამედროვე გადაგვარების გზაზე შემდგარ დაჩიავებულ ქართველთათვის. რაც კი საუკეთესო რამ არის მის პოეზიაში, ეს თითქმის სავსებით წარსულიდან ამოღებული სიუჟეტებია ანდა ხალხის ფანტაზია — სიბრძნის ნიადაგზე აგებული სურათებია. წარსულის იდეალიზაციაში იგი ისე შორს მიდიოდა ხოლმე, რომ ბევრი კარგი რამ, საგულისხმო აწინდელისა ავიწყდებოდა. აკაკი ერთი იმ პიროვ-

ნებათაგანი იყო, რომელიც თითქო მუდმივ ოპოზიციაში უდგა ყოველივე იმას, რაც მას გარს ეხვია, რაც მის თვალწინ მოქმედებდა. თანამედროვე მას ბევრი რამ არ მოსწონდა, თანამედროვე მას არც ქალი მოსწონდა, არც ინტელიგენცია და არც მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, არც ბოლო დროს აღმოცენებული პოლიტიკური მიმართულებანი, ხოლო წარსულში ბევრი რამ უვარგისი ვარდისფრად ეხატებოდა, ასე რომ არ ყოფილიყო, მგოსანს ეს მწარე სიტყვები არ წამოცდებოდა:

აღარ გვაქვს გრძნობა, დავკარგეთ გონი,
გაგვიჯრა სული მამა-პაპური!

იქ, სადაც ძველად ქართველი ქართველს ხელს მიაწვდენდა ძმურად, საშველად, დღეს იქ ქართველი ყელში უჭერს ხელს თავის მოძმეს სულის ამოსახდელად!...

მგოსნის გულის უზენაესი წადილი, მისი სიცოცხლის საგანი იყო ახალი საქართველო ძველის მიხედვით აშენებული. წარსული მისთვის ის ძველი ნაშთი როდი იყო, რომელსაც მხოლოდ არქეოლოგიური მნიშვნელობა დარჩენია. ამ წარსულს მის თვალში რეალური ღირებულება ჰქონდა დღეისათვის. მისი შეცდომაც, თუ გნებავთ წარსულის სწორედ ამ გადაჭარბებით დაფასებაშია — ოცნებობდა თავისუფალ საქართველოს თავისუფალ მოქალაქეებზე, ხოლო ეს მოქალაქენი წინაპართა მზგავსნი უნდა ყოფილიყვნენ აზროვნებით, ზნე-ჩვეულებით და სხვა.

გარნა თანამედროვეთა შორის აკაკის უსაზღვროდ სწამდა ქართველობა და უმწიკვლო სიკეთე იმ ბედისაგან დაჩაგრულთა, რომელთა ყოფა-მდგომარეობა, ავკარგი მისი პოეზიის ერთი უმთავრესი მოტივი იყო. ხალხს ყოველთვის უველგან მოწიწებით, სიყვარულით, მზრუნველობით იხსენებდა.

მუშაბო, თქვენი მარჯვენა
იკურთხოს ოფლით ნაბანი!
მიწაა თქვენი ღმერთი
და ლაჟვარდი ცა საბანი!

რამდენი თანაგრძნობა, რამდენი წრფელი სითბოა ამ სიტყვებში!

მშობელი ხალხია მისი წარმოდგენით ერის ფუძე, ეროვნების განმაპირობებელი, ერის თავისებურებათა შემნახველი და როგორც ასეთი მან ეს ხალხი შეიყვარა — შეითვისა ძლიერი სიყვარულით. და აკი მადლიერმა ხალხმაც ამითვე უპასუხა. მასში ჰპოვა თავისი გულითადი მოყვარე, ნათესავი სულისა, ისე ახლო დაუმეგობრდა, როგორც, შეიძლება არცერთს სხვას, ჩვენი ქვეყნის მოამაგეს. აკაკის პოეზია ხალხის ენით მეტყველებდა. მას, ამ პოეზიის დემოსის ბეჩავი სული, მისი ჭირ-ვარამი, ჩაეჭსოვა. ამიტომაა, რომ მათ შორის — ასეთი მტკიცე, საუკუნო კავშირი ჩამოყარდა... წრფელი, ძლიერი სიყვარულის სიმები გაიბა. ხალხს აკაკი არ გაურბოდა, მისი ხშირი სტუმარი იყო, რაც ალხენდა, რა სტკი-

ოდა, რაზე ჰფიქრობდა, — ეს მგოსნისათვის საიდუმლოება როდი იყო. ხალხის ძუძუთი აღზრდილი ბუნებასთან იგი ახლო იყო. შემდგომაც არას დროს არც ხალხსა და არც ბუნებას არ დაშორებია. ხალხის სულის სიღრმეში ეძებდა იგი თავის მაღალ ნიჭიერ შემოქმედების სურათებს და, როგორც ვიცით, ბევრ ძვირფას თვალმარგალიტს მოუყარა თავი, აქა-იქ გაბნეულს, ერთად ააცვა, გააფაქიზ-გაალამაზა, ზე-კაცის მადლით აკურთხა და ესე, ამ სახით კვლავ ისევ ხალხს დაუბრუნა. აი, აქ, ამ ხალხისადმი სამსახურში, ხედავდა თვით მგოსანი თავის მთავარ დანიშნულებას. „ინტელიგენციის რა მოგახსენოთ, ხოლო ხალხი კი დამაფასებსო; ხალხია მხოლოდ ის ძალა, რომელიც საქართველოს მომავალს სჭედსო“. — იტყოდა ხოლმე კერძო საუბარში ინტელიგენციაზე გულგატეხილი სწორუპოვარი, დიდი ხელოვანი. განმათავისუფლებელი დროის ხალხის მოძრაობას 1905 წელში იგი იშვიათი თანაგრძნობით შეეგება: „მადლობა უფალს, რომ მოვესწარი ჩემი სურვილის ასრულებასო“, სთქვა მან ამ დროს დაწერილს ერთ-ერთ თავის ლექსში.

და დააფასეს კიდეც: ქართველმა ერმა, ხალხმა სრულიად საქართველოს ერმა სიცოცხლეშივე უკვდავების დიდებით დააგვირგვინეს ის, ვინც ეგრე ბრწყინვალეთ, დიდებულათ შეასრულა ამქვეყნიური წმინდა მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

პ. ინგოროყვა

აკაკის სალამო

აკაკი

...ვისაც მე-19 საუკუნის შესწავლა სურს, ის გვერდს ვერ აუხვევს აკაკის. აკაკის ნაწერები პოეზიის რელიგიად ითვლება. ყოველი მისი ლექსი პოეტური შემოქმედების უკანასკნელ სიტყვათ არის აღიარებული. მაგრამ თუ უფრო ჩაუკვირდებით, კრიტიკულის თვალით ასწონ-დასწონით აკაკის პოეზიას, დაინახავთ, რომ მას ძალიან ბევრი აქვს ისეთი ლექსი, რომლის ესთეტიკური ღირებულება საეჭვო არის. მაგრამ აქა-იქ კი გაბნეულია, შემოქმედებითი ნიჭის უტყუარი მაჩვენებელი შედევრები, სადაც აკაკი გენიოსობამდის აღწევს. აკაკი დიდი მგოსანი, დღიურმა ავ-კარგიანობამ ჩაყლაპა, თან გადაიტანა. ერთ ადგილას თვითონ პოეტი ამბობს, რომ ჩემი ნაწერების ხელოვნურ მხარეს მე თვითონ ყურადღებას არ ვაქცევდი, რაც ხდებოდა თავის თავად. მან ხელოვნება თავის საზღაპრო „მზეთუნახავს“ შესწირა, მის სამსხვერპლოზე მიიტანა. აკაკის ნაწერების დიდ უმრავლესობაში ტენდენცია გამოსჭვივის. ხშირათ მგოსანი პედაგოგის როლსაც კისრულობს. ყოველდღიურმა ცხოვრებამ ის შებოჭა. ამით სრულიადაც არ მცირდება ამ ნაწერების ფასი და ღირებულება, პირიქით ახალ საქართვე-

ლოსათვის არავის დაუდვია იმდენი ღვაწლი, როგორც აკაკის ამ ნაწერებით.

აკაკის შემოქმედებამ ნაყოფი გამოიღო, ეს ნაყოფია თვით ხალხის გულში გაფურჩქვნილი ყვავილი...

აკაკის ეწადა უცხო სიმღერა ეთქვა; კიდეცა სთქვა, მაგრამ ეს იყო სიმღერა გედისა, უკანასკნელი სიმღერა მისი, — ეს სიმღერა ჩვენი გულის ფიცარზე არის აღბეჭდილი. ამაშია აკაკის დრამა. ჩვენ კიდევ გვყავს ორი დიდი მგოსანი. ნ. ბარათაშვილი[1] და ვაჟა[2] (ილია პოეტი არ იყო); არც ერთ მათგანს ასეთი დრამა არ განუცდია. ბარათაშვილი უაღრესად სუბიექტური პოეტი იყო, ის თავის პიროვნების გარშემო ტრიალებდა. მან თავისი თქვა. ვაჟამაც მოასწრო. აკაკიმ — ვერა. აკაკი მთელი ერის მგრძნობიარე ნერვი იყო. მან თავისი ცოტა გვითხრა, საკუთარი სახე სავსებით ვერ გამოაჭანდაკა. მან სამარეში თან წაიღო საარაკო, მომხიბლავი სიმღერები.

აკაკის განსაკუთრებით უყვარს ბუნება, მაგრამ ბუნება ჩვენი. ის ბუნების შინაგან ცხოვრებას ეხმაურება. მას ამეტყველებს. აკაკი იმპრესიონისტია. აკაკის „ცა-ფირუზ“... საქართველოს მზიანი ბუნების გაგრძელებაა, მისი ღვიძლი შვილია. აკაკი სარკე იყო ჩვენი ცხოვრებისა და ბუნებისა. არც მსოფლიო ზოგადი საკითხები იყო მისთვის უცხო. ამ მხრივ ის სიმბოლისტია... უკანასკნელად მან გედის სიმღერა გაგვაგონა.

ხოშტარია

ბიბლიოგრაფია

ჩვენ თანამემამულეს ბატ. მ. მ.-სა ქ. სარატოვში რუსულად შეუდგენია და პეტროგრადში დაუსტამბავს წიგნი: «Памяти Акакия Церетели»[1].

ღირსება ამ იშვიათი წიგნისა, რომელიც პატივცემულ ავტორს გულის დიდი სიფაქიზით დაუსტამბავს და მისი წმინდა მოგება მგოსნის სახელობაზე დაარსებულ ფონდისათვის გადაუდვია, ერთობ დიდი და მდიდარია. აკაკიზე, რო თქვას კაცმა მცირეოდენი ლიტერატურაც არის დაბეჭდილი რუსულ ენაზე, მარა ასეთის ყოვლის ღირსებით შემკული წიგნი, როგორც მახსოვს, პირველად უნდა ისტამბებოდეს ქართველი კაცისაგან რუსეთში და, იმედია მიიქცევს იქ ყურადღებასაც.

ქართველი მოწინავე ინტელიგენციის ნიჭიერი წარმომადგენელნი ამ ბოლო დროს გამოფხიზლდნენ და დაადგნენ ნამდვილ, უტყუარ საქვეყნო გზას. ისინი დიდი ხალისით და ენერგიით კიდებენ ხელს ჩვენი მრავალფეროვანი ცხოვრების და ლიტერატურის სერიოზულად შესწავლას და რუსთა საზოგადოების გასაცნობათ წერენ სტატიებს რუსულ გაზეთებში,

სტამბავენ წიგნებს და ამ საშუალებით, შეძლებისდაგვარად, აცნობენ რუსებს ქართველთა ცხოვრების და ლიტერატურის, ისტორიის დიდად ღირს შესანიშნავს ამბებსა და მოვლენებს...

ასეა თუ ისე, ჩვენი ღარიბი ინტელიგენციის კეთილშობილი წარმომადგენლები მაინც ვალმოხდილნი არიან, რომ ფხიზლად ეკიდებიან ამ ნაყოფიერი და მადლიანი საქმის გაკეთებას და არ ანდობენ სხვებს, ვიგინდარებს, რომელთაც სრულიად წარუყვანეს ჩვენი ისტორია, ჩვენი ლიტერატურა, თვალთ ჩვენი ვინაობა და ცხოვრება რუსთა და ევროპელთა თვალში..

ამ საზომით რომ გავზომოთ და გავსაჯოთ ჩვენი ავტორის სიმპატიური ნაშრომი, სწორედ დიდი სიამოვნების გრძნობა და ნუგეშიც დაგვებადება გულში, რო ასეთი ხასიათის. ასეთი დახვეწილი ლიტერატურული ენით შედგენილ წიგნებს რუსულ ენაზე შეუძლია სრულიათ ახალი, გამაცოცხლებელი სიო, ახალი ჩიქეფარე ნაკადული შეიტანონ რუსთა მოწინაღე საზოგადოების პოლიტიკურს შეგნებაში, ახალი პოეზია შეგნებისა დაამკვიდრონ იქ ნიჭიერი და კეთილშობილი, პატარა ერის-ქართველთა შესახებ...

«Памяти Акакия Церетели»-ს ავტორი დიდი საგნის ლიტერატურულათ დალაგების დროს არ გაუტაცნია ცარიელ ფრაზებს და პათოსებს, რომელიც. ადვილად შესაძლებელია, ქართველ კაცს წასცდეს დიადი აკაკის ხსენებაზე. ავტორი ფხიზელი კრიტიკით იკვლევს თავისი შრომის საგანს და წერს, ისე ცოცხლათ, მდიდარის ენით და ესთეტიურის ზომიერებით, რო შიგ ამ წიგნში შეაქვს მას მთელი თავისი კეთილშობილი ქართველი კაცის გული და სული...

ეს არი მიზეზი, რომ მკითხველი უნებურად იხიბლება ამ წიგნის წაკითხვით... მოკლეთ, ორიოდე მოქნილი სხარტულად გამოთქმული სიტყვებით, პატარა-პატარა თავებად დაყოფილ სტატიებში, ავტორი ზედმიწევნით ახასიათებს მეცხრამეტე საუკუნის ერთ უდიადეს ქართველ მგოსანს, რომლის ლირიკა ერთიანი, გაბმული სიმღერაა...

აკაკი იყო დიდი მეგობარი და დიდი მოძღვარიც თავისი მრავალტანჯული მშობელი ერისა, რომელიც მას ყოველგან უწოდებდა „ჩვენი აკაკი“.

ყველა თავები ამ წიგნში ერთიმეორეზე უკეთესია, მაგრამ ყველას ჯობია ჩემი ფიქრით, მესამე თავი «Лебединая песня», მერვე თავი «Национальный лирик», მეცხრე თავი «Творец современного стиля», მეთერთმეტე თავი «Рассцвет талаита» და უკანასკნელი, მეთორმეტე თავი Поэма «Торнике Эристави». წიგნის ბოლოს დასტამბულია აკაკის პოემა „გაზრდელი“, რომელიც რუსულად მშვენივრად გადათარგმნილი აქვს განსვენებული გენერალ-ადიუტანტის მიხეილ ამირაჯიბის[2] სახელოვან კნეინას ს. ე. არღუთაშვილის-მხარგრძელის ასულს[3].

წიგნს პირველ გვერდზევე ამშვენებს პორტრეტი ჩვენის ქვეყნის სიმბოლო, მარად მომღიმარი, შუბლგაშლილი, „ჩვენი აკაკისა“.

წიგნი ძალიან ლამაზად და ფაქიზად, პირდაპირ მდიდრულათ არის გამოცემული, დიდი ფორმატისაა, ძვირფას ქაღალდზეა დაბეჭდილი.

ხიმღელი

ᲐᲠᲘᲔᲗᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲐ

ᲐᲙᲐᲙᲘ

I

რა დიდათ დიდი და მდიდარი საუნჯე, უთვალავი განძი მარხია ამ ერთი უკვდავი საყვარელი სახელის ხსენებაში!

რა დიდათ დიდი დაუეიწყარი სანეტარო მოგონებანი, რა მდიდარი, მრავალფეროვანი ცხოვრება არის ღრმათ ჩაჭრილი ყოველი ქართველის გულში ამ სახელის ხსენებასთან ერთად!

სწორედ შარშან ამ დროს, ახალგაზრდა მგოსანმა! მწარეთ გულმრკლულ ქართველობას, აკაკის გარდაცვალების გამო, უთხრა, რომ აკაკიმ

> სულ უცვლელი უკვდავება ირგვლივ დაამყარა...
> საქართველოვ! მაშ, აკაკი არ მომკვდარა, არა!..[2]

და ყველა ქართველი მგოსანი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ორატორი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა, იმეორებდა ამ სიტყვებს.

აკაკი არ მომკვდარა! გულის დიდი დაჯერებით და სიმტკიცით ამბობს ახლაც ყოველი ქართველი. მოკვდა მხოლოდ მოხუცი სხეული და გაშორდა იგი დიდ და ძლიერ სულს, რომელიც პირმომღიმარ მზესავით „დაქათქათებს“ ახლაც უბედიღბლო საქართველოს ცას.

აკაკი სრულიათ განსხვავებული, დიდი ორიგინალური მგოსანი-მწერალია ქართულს ლიტერატურაში. არსად იგი არას დროს არ მსახურობდა, სრულიად დამოუკიდებელი, თავისუფალი წმინდა კალმის კაცი იყო. ამ სამსახურის გარეშე სამსახური არც იცოდა მგოსანმა. აკაკი იყო „მიჯაჭვული ამირანის“[3] დიდი მგოსანი მოწოდებითაც და პროფესიითაც. მხატვრობა, წმინდა მწერლობა და ხელუხლებელი მშვენიერება ამ დიდი ქურუმისათვის იყო ტრაპეზი და ამ მხრითაც, მოგახსენებთ, აკაკი იყო დიდად ორიგინალური მთელს საქართველოში.

აი, სწორედ ამაში მარხია დიდი სისრულე, სისპეტაკე იმისი ქალწულოვანი ტურფა ლირიკისა.

ამ გასაოცარს ლირიკოსს, მხოლოდ თავისი ტანჯული მამულის ღრმა სიყვარული და ანგელოზური გულწრფელობა ასულდგმულებდა.

აკაკის დავიწყებული ქონდა თავისი პირადი გარეგნული პატივი და დიდება, რომელიც მას, დღეინდელ ჩვენ ყოფაშიაც, ადვილად შეეძლო დაემსახურებინა, როგორც დიდი ოჯახისა და გვარიშვილს ნასწავლს ადამიანს. მარა იმ თავითვე ეგ „თვალის მოსატყუებელი ზიზილ-პიპილები", „ამ წუთისოფლის ჰრელა-ჰრულები", როგორც თვითონ იტყოდა, ანცვალა თავისი სამშობლოს ერის ჰირისუფლობას და მის განუსაზღვრელ დიდს სიყვარულს.

ამ ღრმა და უძლიერესი სიყვარულით ცეცხლმოდებული მგოსანი მღეროდა:

გული სარკეთ მაქვს ქცეული,
ენა საყვირით ზეცისა...
სტვირის გუდა მაქვს ბლიაძის,
ქამანჩა ქებაძისაო.
დაბლა ქვეყნის ვარ მღერალი,
შემამკობელი ცისაო..

ასე ორი უბრალო ქართული სიტყვით და ასე მდიდრათ დახატვა სიყვარულის იდეალისა წარმოუდგენელია.

ამასთანავე აკაკი იყო ჩვენი ერის გულწრფელი დიდი ჰირისუფალიც, წინამძღვარი და ყოველი ახალი საქმის, ახალი საერო სულისთქმის, ახალი ცხოვრების ნაბიჯების ნამდვილი და ჰეშმარიტი ალღოს ამღები.

უდიდესი, საამაყო მდიდარი გადმოცემანი და საქვეყნო ტრადიციები უმშვენებდნენ აკაკის დიდად ნათელს, მდიდარს, მშვენიერს, წმინდა მზიურ სახეს. იგი, მის ნიჭიერ ამხანაგებთან ერთად, ბელადობდა ბატონ-ყმობის მოსპობას ქართულ ლიტერატურასა და ცხოვრებაში, სკოლისა და ბანკების ჩვენში დაარსებას, წერა-კითხვისა[4] და დრამატული საზოგადოების[5] დაარსება-აღორძინებას, სტამბების მოწყობას, ჟურნალ-გაზეთების და ქართული წიგნების ბეჭდვა-გავრცელებას ჩვენი ქვეყნის არე-მარეზე. ჩვენ დიდ საერო მგოსნის სახელთან მჭიდროდ შეკავშირებულია მთელი ქართველი ერის ნახევარ საუკუნეზე მეტი გავლილი ცხოვრება, მწუხარება და სიხარული, ჰირი და ლხინი..

აკაკის პირადი მტერი ჩვენში არ ყოლია. ისინიც-კი, რომელთანაც მგოსანს საქვეყნო საქმით გამოწვეული უკმაყოფილება ქონია, რომელთაც ლახვრათ გულში სობია იმისი სამართებელსავით მჭრელი სატირა და „ღიმილი", იმისი შხამიანი კალმის წვერი, ისინიც კი, როგორც წერს ერთგან მგოსანი, ვერ იმეტებდნენ მას და უყვარდათ ნამდვილის და ჰეშმარიტი სიყვარულითა და უყვარდა იგი იმიტომ რომ ყოვლათ შეუძლებელია ცოცხალმა ადამიანმა არ შეიყვაროს ის, ვინც განხორციელებული მდიდარი სიცოცხლე, მღელვარე, საოცარ გრძნობათა წარმომადგენელი და ენთუზიაზმით აღსავსე ტემპერამენტი იყო.

აკაკის თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში ბევრიც უმოგზაურია, ბევრისაგან ბევრიც რამ უნახავს. ამ მხრით მას დიდებული ქართველი პუბლიცისტი, ნიკო ნიკოლაძე[6] თუ სჯობნიდა ჩვენში, თორე სხვა ვერავინ.

აკაკი მეტისმეტად აუჩქარებელი, დიდსულოვანი ადამიანი იყო. ტანადობაც და გარეგნული მოყვანილობაც განსხვავებული ქონდა მას. რაც უნდა უცილებს ხალხში გარეული ყოფილიყო, იგი, უცხო ადამიანი აკაკის, მიუცილებლად, ყურადღებას მიაქცევდა და მისი მდიდარი სახე ერთ წუთს მაინც დაატყვევებდა მას. აკაკის მოსრული, დიადი, წმინდა მეფური შეხედულება იწვევდა ადამიანში დიდს პატივისცემას, განუზომელ სიყვარულსა და სიმპატიას, რაღაც დიადი მიმზიდველობის ძალაც ქონდა მას. დიდი და მაღალი, თითქმის თეთრი მარმარილოსაგან გამოკვეთილი ტანის კაცი, რომელსაც უმშვენიერეს თავზე ხუჭუჭი თმა და წვერ-ულვაში მდიდრადაც ქონდა მიმადლებული, მისი მუდამ პირ მცინარი, ნათელი, უგონიერესი და სწორი, კლასიკური სახე — ვის ყურადღებას არ მიიქცევდა. „ღიმილი“ აკაკისა იყო არაჩვეულებრივი, რაღაც საოცარი და მომხიბვლელი. მის წყნარს, სიამით სავსე მუსაიფს და საუბარს წმინდა ბიბლიისებურ[7] უბრალოებას, დიდი სიმარტივის და ამასთანავე დიდი განმაცხოველებელი სიტკბოებაც ქონდა. ჩემს ღღეში აკაკი არ მინახავს თავის პირად საქმეზე აღშფოთებული და გაბოროტებული, პირადათ ვინმეზე გაჯავრებული. ვერც წარმომიდგენია, თუ ამ არწივს ოდესმე ვინმე გააჯავრებდა და გააფთრებდა...

II

ვინც გულდასმით და ღრმად შეისწავლის აკაკის ცხოვრებას, თავგადასავალს, მის სალიტერატურო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ვინც ფსკერამდე ჩასწვდება მის საოცარს ლირიკას, იგი დარწმუნდება, რო საქმე, მართლაც, არაჩვეულებრივ, დიდ ქართველ ადამიანთან აქვს.

აკაკი ერთი უდიდესი, ჰაეროვანი იდეალისტი იყო, ამ სიტყვის ჰეშმარიტი და უაღრესი მნიშვნელობით, რომელსაც მთელი სულის თქმა და ენერგიული ძლიერი ტალანტის შემოქმედება დიადი ეროვნული, წმინდა ანგელოზური პათოსით აქვს „ჩონგურზე“ ლექსებით გამოთქმული და დამღერებული...

აკაკიმ ქართულს ახალს ლირიკაში მკვდრეთით აღადგინა შოთა რუსთაველის და დიდი თამარის[8] დროის ძლიერი, მოქნილი ენა, რომლის მდიდარ ფორმათა მრავალ-გვარობასა და ცხოველმყოფელობაში სრულათ დახასიათა თავისი საოცარი, მთის ნიავსავით უმსუბუქესი, უზენაესი და უნაზესი ლირიკა.

აკაკი დიდი საერო მომღერალი-მგოსანია, ქართველი ერის დღევანდელი დღის ჰირ-ვარამის დიდი დამტირებელი და აღმომხატველი. მაგრამ ამით ერთ წუთსაც არ გაუწყვეტია მას წარსულთან კავშირი. ქართველი ერის გიგანტიურს თავგადასავალში, იმის სახელოვან მამულის შვილთა

და გმირთა სულის თქმაში აკაკი პოულობდა ჩვენი დროის გულის და სულის ამაძაგძიგებელს, ამპრიალებელს უმწარეს ტრაგიკულს მომენტებს.

ამ დიდებულს ივერიელს ბევრ რამე საქვეყნო საქმეებზე დაუღვრია საიდუმლოთ ცრემლები, ბევრ რამეზე აღუძრავს ღრმა ჭრილობანი ქართველი კაცის გულისა და ღრმათ გამსჭვალულა იმისი ყოველღღიური ბედით და უბედობით. ჩვენი ცხოვრების ყოველივე წვრილმანი მოვლინებანიც-კი სარკესავით იხატებოდა აკაკის სიტყვებსა და ნაწერებში და ეს უთვალავი, მდიდარ შთაბეჭდილებათა ნაზი ლირიკა, ლირიკა მთელი ეროს მწუხარებისა, სიხარულისა, სიყვარულისა, ჭირისა და ლხინისა თითქმის ონტოლოგიური[9], ასევე ახასიათებდა მას, როგორც სამოქალაქო, დღეინდელ მწვავე და მდუღარე ცხოვრების ძლიერი მოტივები...

აკაკის ლირიკა იქაც-კი ღრმათ გამსჭვალულია ნაციონალური ცოცხალი მოტივებით, სადაც იგი უმღერის თვარესა და ვარსკვლავებს, და წმინდა სიყვარულსაც. აკაკის ლირიკა უაღრესად სიმბოლიურია და ცოცხალი რეალიზმის სულით აღსავსე.

აქ-კი აკაკი ქართულ ლიტერატურაში იალბუზივით[10] ცალკეა, სრულიათ მარტო დგას ჩვენ თვალის წინ და, ჰეშმარიტათ, გაუქრობელ უკვდავებასავით ანთია და საქვეყნოდ იწვის...

მსოფლიო ლიტერატურამ იცის ამნაირი მაგალითები. დიადი, ჰენიო-სი მგოსნები განახლებული იტალიისა, საბერძნეთისა, ირლანდიისა, პოლონეთისა და უკრაინისაც „ჩვენი აკაკივით“ მშობელ ქვეყანას და ხალხს თავს ევლებოდნენ, მთის შიკრიკი, სუბუქი, ცელქი ნიავივით მას დასტრიალებდნენ და ხატავდნენ თავისი მრავალტანჯული ეროს პირსა და სიხარულს...

აკაკის ლირიკას ვერ უდგება უსამართლობითა და ბოროტებით გაჟღენთილი კრიტიკა, ვერ უდგება ვერც სექტანტის წრეს გადასული ფანატიზმი და სიძულვილი. აკაკი ყოველი პარტიის, ჯგუფის და სექტის გარეშე იდგა, რადგან თავის დღეში არ უწერია ლექსები, ფელეტონები და სტატიები პარტიის, ჯგუფის და სექტის პროგრამების თანახმათ და იმათ გულის მოსაგებათ. არც რუსულ და ქართულ გაზეთების მოწინავე სტატიები გაულექსავს არას დროს ახალმოდის წყალ-წყალა „პოეტებსავით“...

აკაკის თავისი საკუთარი, ინდივიდუალური, დემოკრატიული და ოპოზიციური სულის თქმა ჭონდა თანდაყოლილი და ამას ერთ წუთსაც არ გაშორებია. ამ თვალსაზრისით, აკაკი უდიდესი ზნეობრივი პიროვნებაა, რომელსაც ტალახი, ქვენაგრძნობა და ბოროტება ვერ ეკარება...

აკაკი სრული და რთული ფსიხიკის ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნოდა. მასში, როგორც ფოკუსში, ჯადოსნურათ იყო შეერთებული სიყვარული და სიძულვილი, სიტკბოება და სიმწარე, სიხარული და მწუხარება, თაფლი და შხამი. და ეს ერთი მეორის წინააღმდეგობანი იმ ბალ-

ანათ იყო მგოსანში შედუღებული, რომ იგი, ამ მხრითაც, დიდ უცხო სანახაობას წარმოადგენდა...

აკაკის ძლიერი და ტანმთელი გულიდან ღრმათ ამოხეთქილი ლირიკის ნაზი, წარმტაცი ხმები სტიქიურ შეენიერების უწმინდესი ძალაა, რომელიც უსაზღვრო გამწარების წუთებშიაც, როცა იგი შურსა და სიძულვილს, ზიზღს გამოსთქვამს, ბრძოლაზე და „ხანჯალზე“ ლესავს თავის ნაღველს, მაშინაც კი უდიდეს ადამიანურ ღირსებაზე, თავისუფლებაზე, მაღალ ზნეობაზე და სამართლიანობაზე უთითებს ქვეყანასა და ხალხს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საშინელი რეაქციის დროს ჩვენმა უდიდესმა დემოკრატმა და ოპოზიციონერმა, დიდმა მგოსანმა „ხანჯალს“ მიმართა და მტრისაგან გამოხსნის ერთ-ერთ იდეალად იგი აღიარა. „შენი ჭირიმე ხანჯალო, რკინაო ხვარასნისაო“ (მოყვანილია მთლიანად ეს ლექსი)*.

უდიდეს პოეტურს და მორალურს უაღრესობის საზღვარს აღწევს აკაკის ლირიკა იმ დროს, როცა მის მშვენიერ, ედემის მსგავს, ტკბილ საქართველოს განვლილ გოლიათურ უბედურობას წარმოიდგენს. ამ დროს... „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა, და ან ცაზე ვარსკვლავები“... მგოსნის ისტორიული, პოეტური აღწერილობანი (პოემა „თორნიკე ერისთავი“), ეპიური, აშკარა ამირანისებური გულის გამწარებანი ისეთი ძლიერია, ღრმა, ისეთი მკვეთრი და მჭრელი რო მე არა ვიცი ამისი ბადალი არც ერთ ენაზე ჯერ დაწერილი.

აკაკის ლირიკამ ძლიერი, არწივის ფრთა შეასხა ქართველობას და მას დაუსახა წმინდა, დიდი და სპეტაკი იდეალი. მან აცნო ქართველს, რო ქართველმა, უნდა შესწიროს თავის ქვეყანას და მის დემოკრატიას სიცოცხლე... სულიც. „ვინც მამულს სრულათ სულსაც არ სწირავს, იმას არ ეთქმის მამულის შვილი“...

და, აი, თავისი საკუთარი, პირადი მაგალითიც. მეცხრამეტე საუკუნის „ფერმიხთილი საქართველო“, „ცხრაკლიტულში მჯდომარე ნესტანი[11]“, რომელიც ქაჯებს ყავთ დატყვევებული, მან გააღმერთა და მის გათავისუფლების დიად საქმეს შეალია თავისი მდიდარი და უნიჭიერესი სიცოცხლე...

თვით დიდ მოძრაობას[12], ამ ათი წლის წინათ ამტყდარს საქართველოში, ასე წოდებულ, გამათავისუფლებელ მოძრაობას, ვინ მოუმზადა ნიადაგი ჩვენში, თუ არა აკაკიმ, მთელი ამ დიდი მოძრაობის ბელადები და ორატორები აკაკის ღვიძლი შვილები იყვნენ, რომელთაც კარგად ხედავდა ჩვენი საერო ლირიკის მეფეთა მეფე... აკაკის აპრიალებულმა, ცეცხლმოდებულმა, მდუღარე ენამ აამეტყველა ისინი „აკაკურათ“, გაბედულათ

*. ეს შესანიშნავი ლექსი იმ წამსვე პოლონეთში იქნა გადათარგმნილი და, როგორც წერდენ მაშინ, ყოველ ოჯახში როიალზე ამღერებდენ მას. აკაკის ამ ლექსმა იქ ჰენიოსის სახელი მოუპოვა და ადამ ბერნარ მიცკევიჩს[13] ამოუყენეს გვერდში. ამ ადამიანზე ჩვენ მალე ცალკე სტატიაც გვექნება დასტამბული. ავტორი [14].

და მამაცურადაც... აკაკიმ ხომ უტკბილესი ლექსები მოუფინა საქართველოს. „მიჯაჭვული ამირანის“ გასათავისუფლებლად და, აი, გაბედავი, მამაცი საქართველოს შვილებიც ძველ, თავიანთ მამებივით, მხნეთ, თავდავიწყებით დაიძრენ, „მიჯაჭვული ამირანის“ გასათავისუფლებლად...

მე აქ გავბედავ ერთი აზრის გამოთქმას, რომელსაც, ვფიქრობ, პარადოქსათ არავინ ჩამითვლის. მე მგონია, სამოციანი წლების მოღვაწე არ შეიძლება ეუწოდოთ აკაკის. არავითარი ვიწრო საზომი მოკლე დრო-ჟამისა არ მიუდგება ისეთ დიად, ორიგინალურ მგოსან-მწერალს, როგორიც აკაკია. განა შეიძლება ვუწოდოთ ნ. ბარათაშვილს[15] მგოსანი ორმოციანი წლებისა?

რა თქმა უნდა, რაც უნდა დიადი და ორიგინალური ტალანტის პატრონი იყვეს მწერალი, იგი, მიუცილებლათ, ღვიძლი შვილია თავისი დროისა და მის ნაწერებში ყოველთვის იხატება ფიქრნი და მისწრაფებანი, სურვილები და აზრები თავისი თანამედროვე საზოგადოებისა, და აკაკის ნაწერებშიც ჩვენ ვკითხულობთ ყველა იმ აზრებსა და გრძნობებს, რასაც ემსახურებოდა 60-იანი წლების ინტელიგენცია და საზოგადოება...

არიან მწერალნი, რომელნიც ემსახურებიან პირდაპირ თავისი დროის საჭმეს, თავისი ეპოქის მოთხოვნილებას და, ამ მოთხოვნილების მოსპობისთანავე, სცენიდან გადიან. ამგვარ მწერლებს კატეგორიას ეკუთვნიან რუსეთში ნეკრასოვი[16] და პლეშჩეევი[17]. ისინი, თავისი ნიჭის შეძლების და გვარათ, წვდებიან იმას, რაც ძლიერ აღელვებს და ამოძრავებს მათ დროს და იმის იქით, იმის გარეშე ორგანიულათ გავითარება არ შეუძლიათ. ეს პოეტები კვდებიან იმ წამსვე, რა წამსაც მოკვდა და დაიმარხა ის დიდი საგანი და იდეა, რომელსაც შეტრფოდნენ და აღმერთებდნენ. ისინი იმ იარაღს და ინსტრუმენტს მოგვაგონებს, რომელიც ერთ ხმაზე, ერთ კილოზე მოუწყვიათ... სანამ ცხოვრებაში არის ასეთი ხმა და კილო, ისინიც ეოლის ქნარივით[18], ბანს აძლევენ და იმეორებენ ამ ხმას. ამაშია მათი ძალაც და უძლურებაც. ამაშია მათი საზოგადო მნიშვნელობა და უმნიშვნელობაც...

მარა არიან ისეთი მგოსანნი და მწერალნი, როგორც აკაკი, რომელთაც განსაზღვრულ დროს და მოთხოვნილებას ვერ დავუკავშირებთ მხოლოდ იმიტომ. რო ისინი არიან გამომხატველი ყოველი დროის მოთხოვნილების, ათასნაირი სურვილების და აზრებისა. ყოველი ადამიანური გულის თქმა, აზრები და გრძნობანნი, პასუხს პოულობენ მათში და, როგორც სარკე, ისე ხატავენ მრავალგვარ, მრავალფეროვან ცხოვრებას, რადგან თვით ეს მგოსანნი არიან მრავალგვარი, დიადი და მდიდარი ტალანტით დაჩუქრებულნი.

„ჩვენი აკაკიც“... აქ არი. მან გამოხატა ქართველი ერის ცხოვრების განუსაზღვრელი მრავალგვარობა, განურჩევლათ წოდებისა, სქესისა და ასაკისა. აკაკიმ ასწერა ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე და კუნჭული: იმერეთი, ქართლი, კახეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი

თავისი ეზო-გარემოთი, ჰირითა და ლხინით, ასწერა ჩვენი ქვეყნის ქალაქები და სოფლები, ბაქოდან მოყოლებული ბაფომამდე ჩვენი ინტელიგენციის, საზოგადოების და ხალხის გულის თქმანი და მისწრაფებანი... სამოციანი წლების ეპოქის გრძნობანი ისე მდიდრათ იხატება მის ნაწერებში, როგორც 70-იანი, 80-იანი, 90-იანი, 900-იანი გრძნობანი და იდეალები. აბა გაითვალისწინეთ იმისი მოღვაწეობა, „ცისკრისა“[19] და „დროებაში“[20], მერე „კრებულ-დროებაში“[21], შემდეგ „ივერიასა“[22] და „დროებაში“[23], „შრომაში“[24], 1889 წ. „თეატრში“[25], „კვალში“[26], აკაკის „კრებულში“[27], და „თემში“[28]... უალრეს წერტილს აკაკის შემოქმედებამ მიაღწია 80-იან წლებში, როცა მან გაამდიდრა ქართული ლიტერატურა პოემებით, დრამა-პიესებით და ურიცხვი პატარა შესანიშნავი ლექსებით.

ყოველისფერი გამოხატა აკაკის სასწაულმოქმედმა ქნარმა, რომელიც გასაოცარი მდიდარი ქართული ენის ფორმების სიმშვენიერეში არი სულ ერთიანა გახვეული. ქართლოსიანთა ერის ნახევარი საუკუნის შემოქმედებამ აკაკის დიად ტალანტში პოვა თავისი სრული და ჰეშმარიტი გამომხატველი...

III

ისეთი დიდი ლირიკოსი-პოეტი, როგორც აკაკი, ვერც მონახავდა ისეთს უალრეს, უნაყოფიერეს და უმშვენიერეს საგანს მთელს ქვეყნიერებაზე, როგორც ე რ ო ვ ნ ე ბ ა ა.

ყოველი თვე და დღე, ყოველი საათი და წუთი, იმის განთქმულ მუზას ეძლეოდა მიზეზები და საბაბიც შხამნაღველით და სარკაზმითაც სავსე ლექსების წერისათვის. ღრმა მოხუცებულობაშიაც, როცა მწარე — შიმშილი და დიდი უბედურებაც თავს დასტეხია, ბევრჯერ ავადმყოფობა და სასოების, იმედების სხივებიც თითქმის გაქრობია და ისეთ პირობებში ყოფილა, რო ნაცარი თავზე უნდა დაეყარა, წისქვილის ქვა გულზე დაეკიდებია, ხელში ყავარჯენი დაეჭირა და ეგვიპტიდან გაქცეულ ებრაელივით გაცლოდა უსაზღვრო უსამართლობას[29] (აკაკი მეტეხის ციხეში), ენით გამოუთქმელ ვერაგობას, იგი თხზავდა საოცარ ხმებით შეზავებულ ლექსებს და სტატიებს....

ვერაფერმა ვერ გასტეხა ეს ადამიანი! იგი თვით ღრმა მოხუცებულობის დროსაც მოწოდებული იყო დიდი საქმის წმიდა სამსახურისათვის. არ იყო არც ერთი სურვილი, არც ერთი იმედი და სასოება, არც ერთი დიდი, საქვეყნო საქმე მისი დიდათ სათაყვანებელი მამულისა, რომ იმის გულსა და სულს გამოძახილი არ მიეცა... გაიცხოველეთ თქვენს მახსოვრობაში იმისი წინასწარმეტყველებრივი მოჩვენებანი, გაფრთხილებანი, იმისი აღფრთოვანებული წერილები პროზითაც დაწერილი და ისე შეაფასეთ კრიტიკულათ ეს საოცარი დიდი იეროველი ჩვენი დროისა. ყველაფერი, რის მოცემაც-კი შეეძლო უწმინდესი, უმშვენიერესი და უტურფესი

ეროვნების დიდ იდეებსა და მოქმედებათ. ყველაფერი, ვამბობ მე, მოგვცა აკაკიმ. ჯერ საქართველოში, არც წარსულ, არც აწმყო ცხოვრებაში ასეთი განსაცვიფრებელი ტალანტით ამ დიადი საგნითვე არ უსარგებლია არც ერთ დიდ მამულიშვილს.

მარა აქ იბადება დიდი საკითხი: რა აძლევდა უსაყვარლეს მგოსანს, „ჩვენს აკაკის“ ასეთს უძლიერეს ძალას, ასეთს გაუტეხელობას, რომ ასეთის დაუშრეტელის ენტუზიაზმით ემსახურებოდა ამ „ცხრაკლიტულში დამწყვდეულ სატრფოს“.

მე მგონია, ამ საკითხზე უფრო ისტორიულ კრიტიკას შეუძლია მოგვცეს გადაჭრილი პასუხი. სარწმუნოება, ან უფრო უკეთ, მოკლეთ ვთქვათ, რწმენა ჩვენი ერის უკვდავებისა, „არ მოკვდარა მხოლოდ სძინავს, და ისევე გაიღვიძებს“ — სასწაულებრივ აფრთოვანებდა აკაკის და იგი მხოლოდ და მარტო საოცარი პოეტური ინსტრუმენტი იყო უდიდესი კოლექტიური ძალისა.

წარმოიდგინეთ ერთ წუთს, რა უძლიერესი, უღრმესი და უსაზღვრო პოეტური აღმაფრენა, აღტაცება და ცეცხლი უნდა დანთებულიყო, აპრიალებულიყო აკაკის გოლიათურ გულში, როცა იგი ღრმათ დარწმუნებული იყო ერთი ადამიანის წუთიერი, უნიადაგო შთაბეჭდილებათა და გრძნობის გამომხატველი კი არა, არამედ მთელი ქვეყნის, მთელი მომუშავე მებრძოლ საქართველოს შვილების პოეტი იყო, მთელი ნაციის ახალი სურვილებისა და იდეალებისა. მაშინ „ჩვენი აკაკი“ იღებდა კალამს, სისხლში ნაწრთობ კალამს და ქმნიდა ნაწარმოებს და ამით იგი ასრულებდა დიდ რელიგიურ მისიას ისე, როგორც ურიასტანის სახელოვანი წინასწარმეტყველი ი ე რ ე მ ი ა[30].

და არც არას დროს არ გაუცალკევებია აკაკის თავისი პირადობა კოლექტიურ პიროვნებისაგან, რომლის გულწრფელი გამომხატველი და ინსტრუმენტი იგი იყო...

სილოვან ხუნდაძე

კრიტიკული შეცდომები

IV

აკაკი და ილია

როცა აკაკისა და ილიას პოეტურ ნიჭს ერთმანეთს ადარებენ, ფიქრობენ და ამბობენ ხოლმე, რომ აკაკის ბუნებრივი ნიჭი აქვს მგოსნობისა, ხოლო ილიას — არაბუნებრივი, ხელოვნურიო. აკაკი თავისუფალი, ბუნებრივად ქმნის ხოლმე პოეტურ ჰანგებს, ხოლო ილია — ხელოვნურათ, შრომითა და ოფლითაო...

უსაფუძვლოა ამგვარი მსჯელობა. თუ მგოსანს ბუნებრივი, თანდაყოლილი პოეტური ნიჭი არა აქვს, ის ვერავითარს გრძნობიერს, ვერავითარ გულთაგმირავ ჰანგს ვერ შექმნის, რამდენიც უნდა იჭაჭყოს და ოფლი ღვაროს, და თუ პოეტური ნიჭი აქვს, მისი ნიჭის ღირსებას იმით კი არ უნდა ვზომავდეთ და ვაფასებდეთ, თუ რამდენად დაუყოვნებლათ, სიჩქარითა და სისწრაფით აწყობს იგი რითმებს, თხზავს ლექსებსა და პოემებს, არამედ იმითი, თუ როგორი გრძნობიერებით და სიმშვენიერით ქარგავს და გალობს იგი პოეტურ ჰანგებს.

ორგვარია შემოქმედის ბუნება და ხასიათი; ზოგი მგოსანი უცებ აღტყინდება, უცებ იფეთქებს ხოლმე და უცბადვე გადააქვს ქაღალდზე თავისი ფიქრები და გრძნობები — და მერე უკანაც აღარ მოიხედავს, დაწერილის შესწორებისა და შელამაზების სურვილიც აღარ აქვს: ასეთი იყო აკაკი. ზოგიერთი მგოსანი კი დიდხანს ატარებს ფიქრსა და გონებაში ერთხელვე აჩემებულ საგანს — და მხოლოდ შემდეგ დაჯდება „წერად ანდერძისად“, და როცა სწერს, მაშინაც კი მძიმეთ ოცნებობს, მძიმეთ გრძნობს, დაწერილს ხშირად უკან უბრუნდება, რაც არ მოსწონს — ასწორებს ხოლმე... „ასჯერ გაზომავს და ერთხელ გადასჭრის“. ასეთი იყო ილია. და თქვენ გგონიათ, რომ ილია, როგორც მგოსანი, სცოდავდა „ბუნებრიობის“ წინაშე? სრულიადაც არა! ბუნებრიობა პოეტურ გრძნობიერობაშია და არა პოეტურ სიცქვიტეში. „გრძნობიერობა“ — აი უმთავრესი საფუძველი პოეზიისა, და ამ მხრით ხომ ილიას გრძნობა ბევრათ უფრო ღრმაა, ვიდრე აკაკისა. ილიას ნაგრძნობი და ნაწერი — შოთას თქმისა არ იყოს — „ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი, გულსა ხეული!“[1] ილიას ნაწერებში მრავალია გ რ ძ ნ ო ბ ი ე რ ი, მაშასადამე პოეტური ადგილი, რომელიც გულის სიღრმესა სწვდება და გრძნობის ნერვებით მთელ სხეულს ჟრუანტელათ ედება ხოლმე. აკაკის ჰანგები ლამაზი და მსუბუქია, მაგრამ გულის იმ სიღრმემდე ვერ ჩადის, და ისე მძლავრათ ვერ ატოკებს გულსა, როგორც ილიასი.

აქ შესაფერისად მიმაჩნია გავახსენო მკითხველს ჩემი აზრი ილიასა და აკაკის სტილის შესახებ: „ილიას ენა-სტილი მძიმეა; როგორც ქვა, მაგარი—როგორც ტინი გამგმირავი—როგორც ტყვია; აკაკის სტილი სუბუქია, როგორც ღრუბელი, რბეული—როგორც მინა, სრიალა—როგორც ისარი. პირველის სტილი მედგრად არღვევს გულსა და გონებას და მტკიცეთ ნერგავს შიგ მგოსნის გრძნობებსა და აზრებს; მეორის სტილი ტკბილათ უქროლავს და უალერსებს სმენას და ოცნებას. ერთი სამხედრო გემსა ჰგავს, რომელიც უშიშრად არღვევს მშფოთვარე ტალღებს, მეორე — გასართობად სატარებელ ნავსა, რომელიც ტალღებს შორის მსუბუქად დასრიალებს, პირდაპირ მათ დაჯახებას ერიდება, ეშმაკურათ მიმოცურავს, მძვინვარე ზვირთებს — ისიც იშვიათად — ოდნავ გვერდს აფხანს“...

აკაკი მე-19 საუკუნის შოთა რუსთაველიაო, სთქვეს მის დაკრძალვაზე: უსაფუძვლო ნათქვამია: შოთა ღრმა აზრებითა და ძლიერი გრძნობით

არის შესანიშნავი — და ამ მხრით, როგორც ზევით ვთქვით, ილია უფრო ახლოს დგას შოთასთან, ვიდრე აკაკი, და შოთამ კიდევ გრძელი პოემით და ამ პოემაში დიადი ტიპების დასურათებით გაშოიჩინა გენიოსური ნიჭი, და ამ მხრითაც ილია აკაკიზე ბევრათ უფრო უახლოვდება შოთა რუსთაველს: ილია სწორედ თავისი პოემებით არის სახელოვანი („კაცია-ადამიანი“[2], „კაკო ყაჩაღი“, „განდეგილი“ და სხვ.), რომლებშიაც საუცხოოთ დაგვისურათა მრავალნაირი ტიპი.

ილია, მართალია, აკაკის ვერ შეედრება ლირიკული წვრილი ლექსებით: იმისთანა საუცხოო პოეტურ ჰანგებს, როგორც, მაგალითად, აკაკის „განთიადში“ მოისმის („მთაწმინდა ჩაფიქრებულა“), ილიას ლექსებში ვერ იპოვნით, მაგრამ, სამაგიეროთ, ისეთი ძლიერი გრძნობები და სურათები, როგორიც ილიას „კაკო ყაჩაღში“, „განდეგილში“ და სხვა პოემებშია, აკაკის არც ერთ პოემაში არ მოიპოვება.

ამ სახით ილია უფრო ჩაითვლება შოთას მონათესავე შემოქმედათ, ვიდრე აკაკი. შოთას ნაფქვამია: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელადო“[3]. გრძელის, მრავალმხრივის დიდი პოემისა და მოთხრობის დაწერას განსაკუთრებული ნიჭი და ტემპერამენტი უნდა და ეს ნიჭი აკაკის არ ჰქონდა; ის მხოლოდ წვრილი ლირიკული ლექსებით არის დიდებული — და მათ შორისაც მხოლოდ რამდენიმე აქვს შესანიშნავი, თუმცა მრავლის უმრავლესი დაუწერია.

მე წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ რუსთაველობა ვისმე ვაკუთნოთ; მაგრამ, თუ მაინცა და მაინც გნებავთ ილიასა და აკაკის შორის არჩევანი მოვახდინოთ ჩვენი დროის „რუსთაველობაში“, არჩევანი ილიას უნდა ხვდეს, ხოლო არადანი — აკაკის. ესეც იმ პირობით, რომ ილია მესამე რუსთველად ჩაითვალოს, და არა მეორეთ: შოთას შემდეგ მეორე ადგილი უსაცილოთ ნიკ. ბარათაშვილს[4] ეკუთვნის.

ცილოვან ხუნდაძე

აკაკი წერეთელი

...მართალია, აკაკის სულის ნაღვლიანობა, როგორც მისი ნაწერებიდან ჩანს, უმთავრესად სამშობლოს, მშობელი ერის უბედურებით იყო გამოწვეული, მაგრამ ძალიან ხშირად მის გულის ტკივილში პირადი მისი ცხოვრების სიმწარით გამოწვეული ნაღველიც საკმაოთაა ჩაღვრილი.

Სული და გული, ბუნების ნიჭი, სიჭაბუკე და წამი ყოველი —
— შენ შემოგწირე, და რა მივიღე სამაგიერო მე სასყიდელი?
— უსამართლობა, მტრობა და დევნა, ცილისწამება გულის საკლავი
— და, საუკუნოთ განსასვენებლათ, მოსწრაფებული შავი. საფლავი!...

მშვიდობით, ჩემო დედინაცვალო, ჩემთან პირშავო ჩემო სამშობლო-ვო, — ამბობს პოეტი („სასოწარკვეთილება").

პოეტს ისე შეზიზღებია თანამედროვე საზოგადოება, რომ იგი მზად არის სადმე შორს გადიხვეწოს და ეთხოვება მას:

ვეთხოვები იმა მხარეს, სადაც ვიყავ ნაწამები
სადაც ტკბილი არ მჭონია არა თუ დღე, არც წამები-ო.
(„გამოთხოვება").

ერთ ლექსში („ჩემი ბაიათი") პოეტი სამართლიანად კიცხავს თანამედროვე საზოგადოებას იმ ზნე-ჩვეულებისათვის, რომელიც მასშია გამეფებული, სახელდობრ — რომ სიცოცხლეში თავის საუკეთესო შვილებს აწამებენ და, როცა მოკვდება, მაშინ იწყებენ თავში ცემას, — თუმცა უნდა გავიმეოროთ, რომ პირადად აკაკის ყველაზე ნაკლები საბუთი ქონდა ამის თქმისა:

ეს შურიანი ქვეყანა
ხარბი და უმადურია:
პირველად იმას გასწირავს
ვინც ქვეყნად ნამსახურია!
მოჰკლავს და შემდეგ სიკვდილის
იგლოვს მას თვალთმაქცურათა:
დევნილს დამარხავს პატივ-თ
და ღარიბს — დიდკაცურათა.
მაგრამ კვდარს რაო? ეს წესი
მაიმუნობა მგონია:
ცოცხლების თვალის სეირი,
მათივე მოსაწონია!
სამარის კარზე შემდგარსა —
გულში ეს მრჩება წუნათა:
ვაი თუ სიკვდილის შემდეგ
მეც გავხდე მაიმუნათა!..

ამ აზრთან არის დაკავშირებული მეორე ლექსის აზრიც („სანამ ვიყავ ახალგაზრდა"). დაგვიანებულ პატივისცემასა და სიამოვნებას პოეტი იმავე მნიშვნელობას აძლევს, როგორც „სიკვდილს შემდეგ სინანულს". როგორც გვირგვინებითა და ზარ-ზეიმით მიცვალებულის დასაფლავებას, სანამ ახალგაზრდა ვიყავ და გულს სიამოვნება ეხალისებოდა, ცხოვრებამ მხოლოდ საწამლავი მასვაო, და როცა დავბერდი და ყველაფრის ხალისი დამეკარგა, ახლა რაღათ მინდა ან სიყვარული, ან ნივთიერი სიმდიდრე, ან მეგობარი, ან ქება-დიდებაო?!...

ერთს დამახასიათებელ თვისებას იჩენს ჩვენი პოეტი თავისი კაეშნის გამოხატვაში: მას არ უნდა თავისი ჭმუნვა, თავისი უბედურება მტერს დაანახოს, თავისი მტკივანი გული „მატყუარ სოფელს" გადაუშალოს და მით გაახაროს იგი („ჩემი სიმღერა"):

ტიალმა წუთისოფელმა ნაღველი დამალევია:
არც მომკლა, არც დამარჩინა, არც სული დამალევია.
გაჩენის დღესა ვიწყეველი, სიცოცხლის წამსა ვაჩვენებ,
მატყუარ სოფელს ვატყუებ: რასაც ვგრძნობ მას არ ვაჩვენებ...
ცრემლი რომ მახრჩობს, ვიცინი... ჩემი პირბადე ის არი!
სხვას ხელს რათ მივსცე ჯირითად მე ჩემი გულის ისარი!...-ო.

ამავე აზრს — „ჩემო თავო ბედი არ გიწერია“-ში ასე გამოსთქვამს:

...თუ მარტო ვარ, თავს მომაკვდავს ვადარებ;
თუ ხალხში ვარ, ძალით ღრუბელს ვადარებ —
—და მოწყენით ჩემზე მტერს არ ვახარებ,
რომ არა სთქვან ჩემზე: „რა ოხერია“-ო!

გრძნობათ გამოხატვაში ამგვარი თვალთმაქცობა ეწინააღმდეგება გულახდილობასა და პირდაპირობას, რაც ჩვენს პოეტს თითქოს საქებ თვისებათ მიაჩნია („საწყალი და დარბაისელი“):

დიდი კაცი ანგარიშით
იცინის და იჭყანება:
შიგნით სხვაა, გარეთ სულ სხვა,
გაწვრთნილი აქვს გულის ნება!...
საწყალს კი ეს ანგარიში
არაღეს არ ეყურება.
სიცილის დროს სულ ხარხარობს
და ტირის, თუ ეტირება-ო.

მტერი ხომ მტერია — და მისგან სამართლიან მოპყრობას აბა ვინ უნდა მოელოდეს, მაგრამ მოწინავე ადამიანის გულს ისა კლავს, რომ ე. წ. „მოყვარეც მტრობას უწევს — და ამისთანა „მოყვარე“ ხომ, შოთას თქმით, „მტრისაგან უფრო მტერია!“[1]. ჩვენს პოეტსაც სწორედ ეს გარემოება სწამლავს („ჩემს მეგობარს“):

ძმათ სიყვარულით აღმევსო გული,
რა რომ შეეიძელ ავ-კარგის ცნობა: —
ვშრომობდი მათთვის თავგანწირული,
მაგრამ ვერ ვპოვე მათში თანგრძნობა-ო.

ამიტომაც პოეტს — როგორც საზოგადოებრივით, ისე საპირადო ტკივილითაც გულმკვდარს — თითქო იმედი დაკარგვია და აღარაფერი ახარებს, არც ახალი წელი, რომელიც სიმბოლოა მომავალში იმედისა და ნუგეშისა („ახალი წელი“):

მას უხაროდეს ახალი წელი,
ვინც კი ცხოვრების კმაყოფილია,
ვისიც წარსული არ იყო მწველი,
და მომავალი ვისიც ტკბილია...

მას უხაროდეს... თორემ ნაღველი
ვინც შესვა ჩემებრ და სცნო მწარ-ძალა,
მას რაღათ უნდა ახალი წელი?
მისთვის ერთია „დღესა“ თუ „ხვალა“!...

ასე შხამით ავსებულა პოეტის გული იმის გამო, რომ საზოგადოებას იგი თითქო ვერ დაუფასებია და მისდამი უმადურობა გამოუჩენია. მაგრამ პოეტი როგორც საერო ტკივილში, ისე არც საპირადო მწუხარებაში საბოლოოთ მაინც იმედს არ კარგავს — და პირად სევდასა და ნაღველს მგოსანს ერთი მხრით ზეცით მონიჭებული ჩანგი უქრობს, ხოლო მეორე მხრით — მომავალი თაობის, ახალგაზრდობის სიყვარული და თანაგრძნობა:

ა. („გამოფხიზლება“)

გავკაჟებივარ შავბედსა,
დავდივარ შეუპოვარი!
ვერ შემაშინებს რისხვით ცა,
ჰირზედა ჰირის მთოვარი!..
ჩანგურო, ჩემო დიდებავ,
და ძლიერებავ — კალამო,
ზოგჯერ ფინთიხო გულისა,
ზოგჯერ წყლულისა მალამო!...

ბ. („ღიმილი“)

არ გაჭრკებიხ! გულით გმირსა
და მებრძოლსა მრავალგვარათ —
ხელთ მიპყრია ის ღიმილი,
მტრისთვის ხმლათ და მოყვრის ფარათ!...
ის ღიმილი ნიშანია
ახალგაზრდათ თანაგრძნობის
და მიზეზი საორკეცო
ჩემი მღერის, ჩემი გზნობის.

ამ სახით, თანამედროვე საზოგადოებაში აკაკი მანუგეშებელს ეძებდა — და ამიტომ ვერ ურიგდებოდა მას. შეიძლება ითქვას, რომ ყოველ შემთხვევაში ყველაზე მეტათ ცხოვრებაში აკაკი ასე წოდებულს „მესამე დასს“ ეგუებოდა — და დასელებსაც მასთან კარგი განწყობილება ჭონდათ. ამის მიზეზი ალბათ ის იყო, რომ პოეტი მათში — განსაკუთრებით პირველ ხანებში — ხედავდა ცხოვრების განახლების იდეებით გამსჭვალულ ახალ თაობას, ახალგაზრდობის იმ „ღიმილს“, რომლითაც იგი ნუგეშობდა. მაგრამ, მიუხედავად ამ კეთილგანწყობილებისა, აკაკი — თუმცა გვიან — ბოლოს დარწმუნდა, რომ მათი მოძღვრება ეროვნული საკითხის შესახებ ჩვენი სამშობლოსათვის მავნებელი იყო, და ამიტომ მათ

წინალმდეგაც გაილაშქრა (ლექსი „ჩემი პმუნვა“, რომელიც პირველათ 1912 წ. დაიბეჭდა):

მე ის მაღონებს, დღევანდელ ქართველს
ძველი ანდერძი რომ ავიწყდება,
და ეროვნების მაგარი ციხე
შეუგნებლობით შიგნიდან ტყდება.
მტერი იძახის: „ვინ გაიგონა
ახლანდელ დროში ეროვნებაო“?!
მხოლოდ ერთია — „მუშათ საკითხი“! —
გულს დაიბეჭდეთ მარქსის მცნებაო!...
ამას ჩვენ გვირჩევს და თავისათვის
სულ სხვანაირად გაიყურება:
ცდილობს კისერი მოგვატეხიოს —
და მით თავის ერს ემსახურება...
ჩვენს ქართველებს კი მეცნიერების
უკანასკნელი სიტყვა გონიათ —
და მიაჩნიათ ჰეშმარიტებათ,
რაც კაჭკაჭივით გაუგონიათ!...
მტერსაც ის უნდა: მოტყუებულ ერს
უფრო ადვილად ჩაიგდებს ხელში —
და, ღონემიხდილს შინაურ ბრძოლით,
ადვილათ მაგრათ წაუჭერს ყელში...

აკაკი წერეთლის ნაწერების საზოგადო განხილვა

აკაკის ყოველ სამწერლო დარგში უშინჯავს თავისი ძალა და მრავალი დაუწერია როგორც წვრილი ლექსი, ისე პოემაც, დრამაც, მოთხრობაც, პუბლიცისტური წერილიც და სხვ. ბევრს ნიჭიერ მწერალს ჩვენია ამგვარი ხასიათი: კალამს არა მარტო იმ დარგში ავარჯიშებენ, რომლის ნიჭიც მათ განსაკუთრებით დაყოლიათ, არამედ სხვა დარგებშიც. აკაკის ცხოვრებაში ამ გარემოებას კიდევ ისიც უწყობდა ხელს, რომ სამწერლო ასპარეზზე მისი გამოსვლის დროს (მე-19 საუკუნის მე-60 წლებში) ჩვენი მწერლობის ყველა დარგი ღარიბი იყო — და ნიჭიერ მწერალს სურვილი ებადებოდა თავისი წვლილი ყველა დარგში შეეტანა. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი[2] და სხვები ერთსა და იმავე დროს ლექს-პოემებსაც სწერდნენ, მოთხრობებსაც, პიესებსაც, პუბლიცისტურს, კრიტიკულს თუ ისტორიულ წერილებსაც — და ამასთან საზოგადო მოღვაწეობასაც ეწეოდნენ.

ყველაზე მეტათ აკაკის უსინჯავს კალამი ყოველგვარ დარგში — და ყველაზედ უფრო ამ მხრით მას უწყობდა ხელს გარემოება, რადგან სამსახურში არ ყოფილა და, მაშასადამე, თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა. — აი რას ამბობს აკაკი ერთი შემთხვევის გამო: გაბუნიას[3] ქალის ნატოს ბენეფისი უნდა გამოეცხადებიათ, მაგრამ მისი ნიჭის შესაფერი

პიესა ვერ გამოსძებნეს — და მობენეფისეც და მისი ამხანაგი არტისტებიც ძლიერ სწუხდენო. მეც შემაწუხა ამ გარემოებამ — და ჩავუჯექი, მთელი ღამე გავათენე და პიესა (ვოდევილი) „კინტო“ დავსწერე, რომელიც შესაფერი გამოდგა და მობენეფისეს რიგიანი შემოსავალიც მისცაო. — ამგვარივე შემთხვევას მოგვითხრობს ალექსანდრე ყაზბეგიც:[4] თბილისში ყოფნის დროს ჩვენი არტისტების წუწუნმა შემაწუხა, რომ პიესები არა გვაქვსო; წავედი მთაში — ჩემს სოფლათ, ჩავჯექი — და სულ მცირე ხნის განმავლობაში ოცდაოთხი პიესა დავსწერეო...

თქმა არ უნდა, რომ მწერლის ნიჭის ამგვარი დაქსაქსვა და დაფანტვა საზოგადოთ მწერლობისათვის ბავნებელია, რადგან ყოველი მწერალი საგულისხმო ნაწარმოებს მხოლოდ იმ დარგში ქმნის, რომლის ნიჭიც ბუნებით დაყოლია, და სხვა დარგში კი მისი ენერგია, მისი ძალღონე ამაოთ იღალება და იქანცება. აკაკის მრავალრიცხოვანსა და მრავალფეროვან ნაწერებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას მხოლოდ წვრილი ლექსები იქცევს, პატარა-პატარა წვრილი ლექსებით გამოხატული ლირიკა. აი აკაკის სამეფო. დანარჩენ დარგებში იგი შედარებით სუსტია და მცირემნიშვნელოვანი.

აკაკის პოეტური შემოქმედება 1856 წლიდან გაღვიძებულა. მის პირველ ლექსათ „ლამპარი“[5] ითვლება, 1858 წ. ჟურნ. „ცისკარ“[6]-ში დაბეჭდილი; ამას მოყოლია ლერმონტოვის[7] ლექსის თარგმანი, „რტო პალესტინისა“, იმავე წელს იმავე ჟურნალში დაბეჭდილი. მაგრამ საზოგადოთ აკაკის თხზულებათა სრულ გამოცემებში პირველ ლექსათ სთვლიან „საიდუმლო ბარათ“-ს (1856 წლის 1 ივლისს პეტერბ. დაწერ.), რომელშიც წრფელი ნამდვილი გრძნობაა გამოხატული წმინდა სიყვარულისა და რომელსაც თავის დროზე მკითხველი საზოგადოების დიდი ყურადღება დაუმსახურებია. — კიდევ უფრო ადრე, ყმაწვილობისას, პოეტს მცირე პიესისებური სცენები დაუწერია, სადაც თავისი ოჯახის ცხოვრება ქონია დახატული (ცნობილის მათი მოურავის ცხოვრებიდან), მაგრამ, უნივერსიტეტიდან დაბრუნებულს რომ უნახავს (დედამისს ქონოდა შენახული და ეჩვენებია), არ მოწონებია და დაუხევია.

აკაკის თავისი კალმის უმთავრესი დამახასიათებელი თვისება ერთს პაწია ლექსში ნიშნიერათ აქვს გამოხატული:

ცრემლში მილესავს ნაღველი
და მელნათ ის მიხმარია...
შიგ თაფლი არის ნარევი
და ზოგან ცხარე ძმარია...
ზოგს ეტკბილება, ზოგს — არა,
მაგრამ რა ჩემი ბრალია?
ბულბული ვარდს და ეკალზე
თანსწორათ მომღერალია!-ო.

მართლაც, აკაკის ლექსებში ხშირათ თაფლი და ნაღველი, ტკბილი და მწარე, სატირალი და სასაცილო ერთმანეთშია არეული. ჩვენი პოეტი ნაღვლიანი ბუნების, მწუხარე სოფლის მჭონი იყო, გულნატკენი საერთოდ სამშობლოსა და საზოგადოების ტკივილითაც და პირადი უსიამოვნებითაც. მაგრამ კერძო ცხოვრებაშიც ხშირათ — იმ დროსაც კი, როცა ნაწყენი იყო — ოხუნჯობდა ხოლმე, და მწერლობაშიც ამგვარივეა კილო და მანერა მისი წერისა: სამწუხაროშიც ხშირათ იღიმება ხოლმე, თუმცა მისი ღიმილი უფრო ხშირად გესლიანი და შხამიანია. ისეთს მწუხარე გრძნობის გამომხატველ ლექსში, როგორიც არის, მაგალ., „აღმართ-აღმართ“, აკაკი ნაღვლიანი ოხუნჯობით ეუბნება თავისთავს:

„იქ ჩაბძანდი, სად გელიან ლოდებით, ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით“-ო!.

რუსის მწერლის გოგოლის არ იყოს, აკაკიც „ცრემლებს შორის“ იცინის ხოლმე — და ამ თავის სიცილზე მგოსანი ერთგან („ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“) ამბობს:

თუმცა გულს მწვავს მწუხარების მე ალი.
მაგრამ მაინც ვიცინი სამნაირათ —
და მკვრეტელთაც ესა აქვთ გასაკვირათ:
„ჟირისუფალს მხოლოდ ცრემლი შვენისო?!..
ეს იცინის?!... როგორ არა რცხვენისო...
რა იციან, რომ ეს გული მკვდარია —
და სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეა!...

როგორც მისი ბიოგრაფიიდანაც ვიცით, ჩვენი პოეტი პატარაობიდანვე „ხითხითა“ ყოფილა, გარეგნულათ მცინარი და მხიარული, — მაგრამ სული მისი მაინც ნაღვლიანი და სევდიანი იყო — და სწორედ ასე ახასიათებს იგი თავის კალამსაც.

იუმორისტულ-სატირული ნაწარმოები აკაკის ბევრი არა აქვს, მაგრამ, რაც არის, მაჩვენებელია იმისა, რომ ამგვარი ფორმა მის კალამს განსაკუთრებით ემარჯვება. ასეთია მისი ლექსები: „ფარისეველი“, „აპელაციის მცოდნე“, პოემა-ზღაპარი „ნაცარქექია“, მოთხრობა „სიკვდილი“ და სხვა.

თავისი აზრის გამოსახატავად აკაკი ხშირათ მიმართავს ხოლმე იგავ-არაკის ფორმას, ალეგორიას, როცა მწერალს რაიმე მიზეზით არა სურს თავისი აზრი აშკარათ გამოსთქვას, იგი ალეგორიულათ, სიტყვაგადაკრული ზღაპრითა და იგავ-არაკით ასურათებს თავის აზრს, გარდა იმისა, რომ ეს ფორმა პოეზიაში საუკეთესოდ ითვლება, როგორც აზრის ცოცხლათ გამომხატველი და მკითხველთ დამაინტერესებელი, აკაკი, ჩვენი ქვეყნის თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობისა და იმ დროს არსებული ცენზურის მიხედვითაც, ხშირათ იძულებული იყო ამ ფორმისათვის მიემართა. ალეგორიის ფორმით აქვს დაწერილი მაგ.,

პოემა — ზღაპარი „ალექსი“, სადაც საქართველოს უკუღმართი ბედიღბალია აწერილი. „ღამურა“, რომელიც სამშობლო ენისა და ზნეჩვეულების მოღალატეობის წინააღმდეგ არის. მიმართული, „გაზაფხული“ („დღეს მერცხალი შემოფრინდა“), რომელიც რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II[9]-ის მოკვლის გამოა დაწერილი, „ხარაბუზა და ფუტკარი“ და მრ. სხვ.

აკაკი იმდენათ ხელოვანია სატირულსა და ალეგორიულ ნაწერებში, რომ მის მიერ ქართულად ნათარგმნს კრილოვის[10] არაკებს ნათარგმნობა არ ეტყობა და ზოგან ნამდვილზეც უფრო მშვენიერიცაა.

მგოსნები, საზოგადოთ, ყოველთვის ზეშთაგონებით არ სწერენ — და ამიტომაც ზოგიერთს მათ ნაწერს არ აზის ბეჭედი პოეტური აღმაფრენისა და სიმშვენიერისა. აკაკის ნაწერებში ძალიან ბევრია იმისთანა, რომელიც არც აზრით, არც გრძნობით და არც გარეგანი ფორმით არავითარ ყურადღებას არ იქცევს: ან უბრალო პუბლიცისტიკაა, ან გალექსული პროზა, რომელთაც პოეზიასთან არავითარი კავშირი არ აქვთ.

თუმცა, ამ სახით, აკაკის ბევრი ლექსი პოეტურ ღირსებას მოკლებულია და დღეს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ზოგს მათგანს, ცხადია, თანამედროვე ცხოვრებისათვის მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც მაშინდელი მოღვაწეობისა თუ სხვადასხვა დღიური ვარამის გამომხატველს.

თავის ნაწერებში აკაკი ბევრგვარ საგანს ეხება და გვისურათებს. მათ შორის განსაკუთრებით საგულისხმოა: 1) სამშობლოს სიყვარული, 2) თანამედროვე ქართველობა. 3) ადამიანთა ურთიერთობა, 4) ტრფობა. 5) ბუნება და პოეტი, 6) გლეხობა და სხვ.

1. სამშობლოს სიყვარული

ერთი ერისაგან მეორის ენისა და საზოგადოთ ეროვნული თავისუფლების შეზღუდვა ყოველთვის ყოფილა და იქნება დაჩაგრული ერის გონიერთა და გრძნობიერ შვილთა გულისა და სულის ამაშფოთებელ საგნათ და ჩვენს მგოსნებსაც ძლიერათ აღელვებთ სამშობლოს ამგვარი უბედურება. გრ. ორბელიანმა[11] „სადღეგრძელო“-ში, ნ. ბარათაშვილმა[12] „ბედი ქართლისა“-ში, ვ. ორბელიანმა[13], ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, რაფიელ ერისთავმა[14] და სხვ. მრავალ ლექსსა და პოემაში სამშობლოსადმი სიყვარული უმწვერვალესი გრძნობიერებით დაგვიხატეს, მონობაში მყოფის ქართველი ერის ტანჯვა-წამება ძლიერათ გვაგრძნობიეს.

ზოგიერთს გონია, რომ სამშობლოს სიყვარულის გრძნობა დროებითი მოვლენაო და, საზოგადოთ, ცალკე ეროვნება, როგორც საკუთრების ერთ-ერთი სახე, ოდესმე უნდა მოისპოსო.

ეს მოსაზრება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. შესაძლებელია კაცობრიობის ცხოვრების ბოლოუჩინარ გზაზე მრავალი ერი აღიგაოს პირისაგან ქვეყნისა, ან გადაგვარდეს, ფერი იცვალოს, როგორც ეს წარსულშიც მომხდარა, მაგრამ, სანამ საზოგადოთ ადამიანთა ცხოვრება არ მოსპობილა, მანამდე კაცობრიობა აუცილებლად სხვადასხვა ერის სახით იარსებებს. ბრძოლა არსებობისათვის სხვადასხვანაირი საკუთრების ნიადაგზე, განსაკუთრებით ეკონომიურ ფარგალში, ეშვი არ არის — მომავალში მოისპობა — და უნდა მოისპოს კიდევაც, როგორც ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმომშობი წყარო და კეთილშობილური თავისუფლების შემბოჭველი; მაგრამ განვითარებულ ადამიანთა შორის კულტურული შეჯიბრება, კაცობრიობის გაშვენიერებისა და გამდიდრებისათვის ბრძოლა ყოველთვის იქნება.

და განა უნაყოფო ოცნება არ არის იმის წარმოდგენა, რომ ოდესმე სხვადასხვა ერი მოისპობა, მთელი კაცობრიობა გაერთიანდება და ერთი ენით მოლაპარაკე შეიქმნებაო?! „განა შესაძლებელიც რომ იყოს, სასურველი კი არის, რომ ეს ოცნება განხორციელდეს? ბუნება მრავალფეროვნებით არის მშვენიერი: თვალსა და გულს ის ართობს და ატკბობს, რომ ერთმანეთში ჰარმონიულათ გადაკვანძულია მთა და ბარი, ბორცვი და კორდი, ხე და ტყე და ათასნაირი მცენარეულობა. აგრეთვე ზღვა, მდინარე და მოჩუხჩუხე წყაროები. როგორც ცას ღამით სხვადასხვა მნათობი ამშვენებს, რომელთა შორისაც ზოგი კაშკაშობს, ზოგი კი ძლივს ბუტბუტავს, ისე ამშვენებენ კაცობრიობასაც სხვადასხვა ზნეჩვეულების მეტნი, სხვადასხვა ენით მოლაპარაკე ერები. — კაცობრიობა ადამიანის სხეულსა გავს: მოკვეთეთ სხეულს მისი ნაწილები — და ჰარმონია დაირღვევა, სხეული დაშახინჯდება, თანაც ხშირად დასუსტდება და დაუძლურდება. — ყოველს კულტურულ ერს უთუოდ რაიმე თავისებური განძი შეაქვს კაცობრიობის სალაროში: ან განსხვავებული მუსიკა, სიმღერა, გალობა, ან განსხვავებული ლიტერატურული ნაწარმოები, თავისებური კულტურა — და ნუთუ სასურველია, რომ კაცობრიობას ყველა ეს მოაკლდეს?! ეს ხომ მისი დაღარიბება იქნება?!“ (იხ. ჩემი „პატრიოტი და კოსმოპოლიტი“)[15].

მართალია, საშობლოს სიყვარულის იმგვარი მწვავე გრძნობა, როგორიც ჩვენი მგოსნების ნაწერებში მოისმის. მართლაც წარმავალია და დროებითი ხასიათისაა: ამგვარ გრძნობას მხოლოდ იმ დრომდე აქვს ადგილი, სანამ ერი თვითარსებობის საფუძვლებს მოკლებულია, სანამ მისი ენა და საკუთარი კულტურული ზრდა შებოჭილი და შეფერხებულია. მაგრამ ეროვნული თავმოყვარეობა და ეროვნული თვითარსებობის გრძნობა — რასაკვირველია, შედარებით უფრო ხანიერი ბასშტაბით — დამოუკიდებელ ერებშიც არსებობს. ინგლისელი ცთილობს — მისი ენა და მისი კულტურული გავლენა გავრცელდეს ქვეყანაზე; გერმანელიც ამისთვის ზრუნავს, ფრანგიც და სხვებიც. და ამ-

გვარი ზრუნვა და ბრძოლა ყოველთვის იქნება, რადგან მათ კეთილშობილური თავმოყვარეობისა და ამავე დროს, მშვენიერებისადმი მისწრაფების ხასიათი აქვთ.

ამ სახით, ეროვნული გრძნობა, გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა — საკაცობრიო გრძნობაა, რომელიც შემთხვევის მიხედვით, მეტნაკლებობით პატარა ერების ცხოვრებაშიც იჩენს ხოლმე თავს და დიდ ერებისაშიც, ჩაგრულებშიც და მჩაგვრელებშიც.

ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს ეროტიული შინაარსის ლექსები ცოტა აქვთ; მათი ფიქრი და გონება ერთ სატრფოს მოუტაცია და ეგ სატრფოა მათი საერთო სამშობლო, „ბედკრული საქართველო“.

მას აქეთ, რაკი შენდამი ვსცან მე სიყვარული,
ჰოი მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება-ო, —

— ამბობს ილია. კიდევ უფრო აგზნებულია აკაკის სამიჯნურო ცეცხლი მის „სატრფოსადმი“ („ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“);

ვიღას ახსოვს თავისი სატკივარი,
თუ სატრფოც ჰყავს იმ დროს მას ცოცხალ-მკვდარი?!
მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი? —
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
ფეხშიშველი, თავზე ლეჩაქ მოხდილი!... ,
უგრძნობლათ ხდის საწყალს საღათას ძილი!...

მებატონე სახელმწიფოს ხელში მონური ცხოვრება, დამპყრობელთაგან სამშობლო ენის დაჩაგვრა და ეროვნული თავისუფლების მოსპობა — აი ჩვენი მგოსან-მწერლების გოდებისა და დრტვინვის საგულისხმო საგანი. აკაკი უმთავრესათ თანამედროვე ქართველთა ზნეობრივისა და გონებრივი დაქვეითების მაგალითებს მიგვითითებს, მაგრამ, ცხადია, ქართველთა ეს ზნეობრივი და გონებრივი დამახინჯება მას დამპყრობელთა ძალმომრეობისა და ბოროტი განზრახვების შედეგად მიაჩნია.

„სხვაგვარ სიყვარულ“-ში აკაკი ძველ დედებს იგონებს, რომელნიც თავის შვილებს ამგვარ „ნანინას“ უმღეროდნენ: „უმეცრებისგან დამონებული ვართ, შვილო! არ გვაქვს ჩვენში ჩვენ ბინა, და შენ აივსე მით შურით გული, — ეს არის, შვილო, ჩემი ნანინა“-ო.

დიახ, სწორეთ ეს არის საშინელი დასჯა ადამიანისა, როცა მას სამშობლოს ართმევენ და მის სამშობლოში სულს უხუთავენ. საქართველოს შვილნი ამ შემთხვევაში იმასვე განიცდიდენ, რასაც ტყვეობაში ისყოფი ებრაელნი[16] და რაზედაც იესოს[17] ნათქვამი აქვს: „მელთა ხვრელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“[18] (სახარ. მათ., 8 — 20).

„ებრაელთა გოდება“-ში, რომელიც ჩვენს პოეტს ბაირონიდან[19] უთარგმნია[20] და რომელიც დავით წინასწარმეტყველის[21] ერთ-ერთ ფსა-

ლმუნს წარმოადგენს (ფსალმ. 136-ე). ჩვენი მგოსანი შემდეგი სიტყვებით, ცხადია, ებრაელთა ბედს თავისი მშობელი ერის ბედს უთანაბრებს (ეს ლექსი აკაკიმ ორჯერ სთარგმნა[22]: — იხ. მეორე თარგმანი):

ბატონი მოყვრულად გარს ეხვეოდნენ, —
ეუბნებოდნენ: „რასსა სწუხხართო?
თქვენც ჩვენთან ერთად იმხიარულეთ —
და მოწყენილი ეგრე ნუ ხართო!...
ჩვენებურ ჰანგზე მომართეთ ჩანგი,
გადმოაკეთეთ თქვენი ხმებიო —
და გვიგალობეთ ქებათა-ქება:
ჩვენ ბატონი ვართ და თქვენ ყმებიო!...
დაემორჩილეთ ბედს! ნურას ჩივით!..
აღარავინ გყავთ თქვენ გამგონიო,
ნუღარ იგონებთ იერუსალიმს, —
გახსოვდეთ მხოლოდ ბაბილონიო!...

საყვარელი სამშობლოს ამგვარი ჩაგვრა-წამება, რომ სხვა ჩვენს მგოსნებთან ერთად აკაკისაც სწვალავს, ამიტომაც პოეტს მოსვენება და სიტკბოება ცხოვრებაში ვერ უნახავს. აკაკის თავისი „ნესტანდარეჯანი“ [23], თავისი საყვარელი სამშობლო ციხეში შეპყრობილათ ეგულება — და ამიტომ ამბობს:

მამ რაღათ მინდა სიცოცხლე მე, აწმყო განწირებულსა?
თუ, ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს, ვხედავ მას აოხრებულსა-ო („ვაღარა“).

მეორე ლექსში („საღამო“) იგი ამბობს:

სანამ ჩემი საყვარელი
ჭაჯებსა ყავთ ცბრაკლიტულში,
ვინ მაღირსებს სასეფეველს,
ჯოჯობეთი მიძევს გულში-ო.

მართლაც, ისეთი მასიამოვნებელი მუსიკალური იარაღი, როგორიც არის „სალამური, სმა ტკბილი და საამური“, პოეტს საქართველოს „მწარე მოთქმას“ აგონებს, — მის ხმაზე მგოსანს აგონდება, რომ მის საყვარელ სამშობლოს „ხან თათრები აკვნესებენ, ხან თურქები აოხრებენ, ხან სკვითები დროს-შერჩევით მყუდროებას უშფოთებენ“.

მაგრამ ყოველთვის, როცა სამშობლოს განსაცდელი აგონდება, არასოდეს არ ავიწყდება მისი ხსნის იმედიც, რომელიც მის ნაღვლიან სულს შორეულ შუქურა ვარსკვლავივით მანუგეშებელ კანდელათ ეჩვენება. იმავე სალამურის მკვნესარე ხმებში პოეტის სმენას მამაცური ბრძოლის ხმაცა სწვდება — და ამიტომ ამბობს:

თავგანწირულს მამულის მცველს
წარმოვიღგენ მაშინ ქართველს —
მტერს შეჰყვიროს: „ჰკა მაგასა!“ —
გამოსულმა ბრძოლისა ველს.

ამგვარივე იმედისა და მამაცური თავდაცვის ხმა მოესმის მგოსანს ზურნის „შიქასტის“ ხმაში:

ახ მეზურნევ, დაჰკა, დაჰკა!
გამაგონე ეგ სევდის ხმა;
მაგაშია ჩემთა ძველთა
მამაცურბ ოხვრა-მოთქმა-ო.
(„შიქასტა“).

პოეტის არსებაში იმედისა და უიმედობის გრძნობა ერთმანეთს ებრძვის: უიმედობის — როცა თანამედროვე მოძმეთა გადაგვარებას წარმოიდგენს, ხოლო იმედის — როცა მამა-პაპათა სიმამაცეს ითვალისწინებს, და ბოლოს მაინც იმედის სხივი იმარჯვებს და მწუხარე სულს ნუგეშის შარავანდედით უმოსავს:

მაგრამ იმედი, ცის ნიჟი,
რომ გამიელვებს გლახ-გულსა,
თავი ტარიელ მგონია —
ოცნებით გარემოცულსა!...
ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს —
მხარი მხარს მივცეთ, ხელი ხელს:
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ყავთ,
მოელის ტურფა გამომხსნელს!...
რა ვუყოთ — თეთრი მერიოს?!
ინით შევღებავ ფაღარას —;
და სულ სხვა ხმაზე დაუკრავ
ამ ჩემს დაფსა და ნაღარას!...
მაგრამ ვაიმე, რომ ეჭვი
მოუგზავნია ჯოჯოხეთს;
მაცდურ სარკეში მახედებს,
ოცნებას მიკლავს... გულს მიხეთქს!...
ამბობს: „ფრიდონ და ავთანდილ
ჯერ ვერ გადიხდის ომსაო —
და შენც ტარიელს მოგაჯარ
ისე, ვით კატა ლომსაო...“
მართალი არის, — მაგრამ რა?
რისთვის დაეკარგო იმედი?
ჭმირს წინა უძღვის ყოველთვის
უძლური წინამორბედი!...
არა! აჰყვავდეს იმედი!...
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!...
გმირებს უძახის... უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა!

სამშობლოს წარსული, მისი აწმყო და მომავალი — აი სამი ხანა, ხან მწარეთ და ხან ტკბილათ დამაფიქრებელი როგორც აკაკისა, ისე სხვა ჩვენი მწერალ-მგოსნებისაც. წარსული და აწმყო — ორივე ცრემლისა და მწუხარების წყაროა, მაგრამ, აწმყოსთან შედარებით, წარსულის სიმწვავეს ის ანელებს, რომ იქ ქვეყნის კვნესასთან ერთად ისმოდა ჩვენი მამა-პაპების ვაჟკაცური „ჰკა მაგასა“ და „მამაცური ოხვრა-მოთქმა“, აწმყოში კი პოეტი მანუგეშებელს ვეღარაფერს ხედავს — და ამიტომ ამბობს, რომ მწარე წარსულის მოგონება გულში ცრემლებს აჩენს, შავბნელი აწმყოს გათვალისწინება მათ კიდევ უფრო აძლიერებს და თვალებზე მოაყენებსო, მაგრამ მომავლის იმედი წამწამებზე აშრობსო:

ცრემლსა შობს წარსული ბედი,
აწმყო თვალსა მოაჩქერებს —
და მომავალი იმედი წამწამებზე შეაჩერებს („პასუხი კ. ბ. ჯ.“).

სანუგეშო მომავლის საძირკვლათ აკაკის ჩვენთ მამა-პაპათა სიქველე და სიმამაცე მიაჩნია: მათი მამაცობის მაგალითებში, მათ სამაგალითო ბრძოლის უნარში ხედავს მგოსანი მომავალში მტრებისაგან ჩვენი სამშობლოს ხსნის იმედს — და ამიტომ არის, რომ „უხმობს ფრიდონს[24] და ავთანდილს“[25], რათა შეერთებული ძალით გაუმკლავდნენ მოსისხარ მტერს. მგოსანი ისე გაბრაზებულია ულმობელი მტრების მიერ, რომ მათი სისხლი სწყურია — და ეგ „სისხლის წყურვილი“ ხშირათ მეტათ არაადამიანური ვნებითა და ჟინით აქვს გამოთქმული თავის ლექსებში. პოეტი ხანჯალს ასე ევედრება („ხანჯალი“):

მიმოციქულე მტრის გულთან, მიუძღვენ ჩემი სალამი;
ის ვითომ საწერელია — ჩაერჭვე, როგორც კალამი!
მისი წითელი მელნითა შემაღებინე ჭაღარა: —
იმისი კვნესა იქნება ჩემთვის დაფი და ნაღარა!-ო.

მხცოვანი მგოსნის უკანასკნელი ნატვრაც იგივეა: მისი სამშობლოს მჩაგვრელის სისხლით ჭაღარის შეღებვა („უკანასკნელი ნატვრა“):

ის დანაშთენ სიცოცხლეში არ ნატრობს მეტს აღარასა,
რომ სამშობლოს მტრის სისხლითა იღებავდეს ჭაღარასა-ო.

ამავე „სისხლის წყურვილს“ ჩვენი პოეტი კიდევ უფრო მეტი სიმკაცრით. გამოსთქვამს ნათარგმნ ლექსში, „გოდება ებრაელთა“[26]-ში, რომლის შინაარსსაც, ცხადია, თანაუგრძნობს. მგოსანი ებრაელების პირით, რომლებშიც, ეჭვი არ არის, ქართველებს გულისხმობს, ამბობს:

ნეტარ არს მხოლოდ ის ებრაელი,
ვინცა მონურათ მტერს არ უხრის თავს —
და სამშობლოსთვის თავის დადებას
სამხიარულოთ გამოისახავს, —
ქვეყნის საუნებელს და სასარგებლოს
დაუფარავათ ვინც აღიარებს!
და მისი ქვეყნის მტრის ნორჩ ყმაწვილებს
თავს უკყლეტს ქვით და ზედ დახარხარებს!...

ამგვარი არაადამიანური წადილი სისხლის ღვრისა, ეს უკიდურესი ულმობელობა და უმანკო ყრმებისაც კი შეუბრალებელი ულტის სურვილი და წყურვილი შედეგია მხოლოდ მოთმინებიდან გამოსვლისა და გონიერების დაკარგვისა — და სწორეთ ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ხშირათ როგორც ებრაელები, ისე ქართველებიც და საზოგადოთ უკიდურესათ დაჩაგრული ერები.

მჩაგვრელთა სისხლის ღვრისაკენ მოუწოდებს აკაკი დიდსა და პატარას—და ქართველ დედებსაც იმას ავალებს, რომ პატარაობიდანვე ამგვარი გრძნობითა და შეგნებით აზარდონ შვილები („იაუნანა“):

გაიცინე და გაიზარდე, პატარა მთვარეო,
შეისწავლე და შეიტკბე სამშობლო მხარეო!
ანუგეშე, სადაც ნახო მოძმე მწუხარეო!
შვილო, მამულის გულისთვის სისხლიც დაღვარეო!...

თუმცა აკაკი ხანჯალს ეუბნება — „შენ, ერთად-ერთო იმედო მტრისაგან გამოხსნისაო“ — („ხანჯალი“), მაგრამ ახალგაზრდობას სწავლისაკენაც მოუწოდებს, რათა, ცოდნით აღჭურვილნი, სამშობლოს მცველებათ და მხსნელებათ მოევლინონ („ქართული ანბანი“):

ყმაწვილო, თუ გსურს გიყვარდეს
შენი სამშობლო ძალიან,
ჯერ წიგნი უნდა ისწავლო:
პირველი ასო არი ა!...
თუ სწავლით თვით ვერ ამაღლდი,
მამულს ჩირქს ისე ვერ მოჰბან; —
ჩირქს, მოდებულსა მტრისაგან...
მაგრამ იკითხე ჯერ ეს: ბ!...

მაგრამ ვერც ხანჯალი და ვერც სწავლა-განათლება ვერ იხსნის ქვეყანას მტრებისაგან, თუ მისი შვილები შეერთებული ძალღონით არ შეებრძოლენ მათ. ამ ერთობისაკენ მოუწოდებს აკაკი ქართველობას ბევრს თავის ნაწერში. „ნათელა“-ში იგი ნათელას[27] პირით გალობს:

ჩანგურს სიმები გავუბი,
მოვმართე ნელანელაო;

შეეუხმატკბილე ერთმანეთს:
ოდელა-დელა-დელაო!..
თავის ჰანგებზე თავის ხმით
წკრიალებს ერთად ყველაო,
ერთი-მეორის თანხმობით: —
ოდელა-დელა-დელაო!.. ,
ერთი მათგანიც რომ გაწყდეს;
მაშინვე უნდა შველაო.
რომ არ გაფუჭდეს ჩანგური: —
ოდელა-დელა-დელაო!...
ჩანგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის შცხოვრები; —
ოდელა-დელა-დელაო!...

საქართველოს ბედიღბალს აკაკი ზღაპრული გმირის ამირანის[28] ბედს უფარდებს, — ამირანის ბედი მიაჩნია მას საქართველოს ბედის გამომსახველათ, — ყვავ-ყორნებისაგან, მტარეალებისაგან იგივე ტანჯვა-წამება მრავალი საუკუნის განმავლობაში — და ბოლოს სასიხარულო, საბედნიერო თავისუფლება:

კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული, —
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ქონდა გული.
ცვეყნათ ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა —
და რაღაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.
ქონდა ჰვირში მოთმინება,
არც კვნესოდა, არც ოხვრიდა....
უსჯმართლო ძლიერებას
მონურად თავს არ უხრიდა!...
ბოლოს მაინც გამარჯვება
დარჩა, — ყველა გააცა —
და ის ღვაწლიც მაგალითად
შვილიშვილთა მან გადმოსცა!...
კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭული ამირანი —
არის მთელი საქართველო,
და მტრები კი — ყვავ-ყორანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი!...
სიხარულათ შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!...

იმ დიად ძალათ, რომელიც მიჯაჭვულ ამირანს — საქართველოს, აუშვებს და გაათავისუფლებს, პოეტს შეგნებული, საქმიანი, მშრომელი

ეროვნება მიაჩნია, ეროვნება ერთ სულათ და ერთ გულათ შეერთებული („საქართველოს დღევანდელი სახე“):

მაგრამ ვხედავ მომავალში — გამოსულა მუშათ ერი,
ერთმანეთთან შეთანხმებით ძლიერი და ბედნიერი-ო!

2. თანამედროვე ქართველობა

(წარსულის ქართველებთან შედარებით)

განვითარებული ადამიანის სულს საზოგადოთ იმნაირი თვისება აქვს, რომ თანამედროვე ცხოვრების პირობების კმაყოფილი არ არის და უკეთესისაკენ მიისწრაფის. ეს თვისება განსაკუთრებით ძლიერია ყოველი ერის ძოწინავე შვილებში, რომელნიც განსხვავებული გრძნობითა და გონებით არიან დაჯილდოებული და თანამედროვე საზოგადოებას შორს წინ უსწრებენ. ამგვარ პირებში პირველი ადგილი წარჩინებულ მგოსნებს უჭირავთ.

საქართველოს წარსული აკაკის შავბნელათ ეჩვენება — იმ მხრით, რომ თითქმის მთელს წარსულ ცხოვრებაში ქართველი ერი გარეშე მტრების შემოსევითა და უწყალო ხოცვა-ჟლეტით იყო გაწამებული; მაგრამ ამასთან ერთად პოეტი ჩვენი წარსულით სულდგმულობს, რადგან იქ ხედავს „ჩვენთა ძველთა მამაცურ ოხერა-მოთქმას“, მტერთან ბრძოლაში მათს ერთსულოვნობას, ქვეყნისათვის თავდადებას და მრავალ სიქველესა და სივაჟკაცეს; ხოლო აწმყოში მგოსანს მხოლოდღა ბოროტება და ხალხის საერთო გახრწნილობა უდგას თვალწინ.

ცხადია, რომ ამგვარი დასურათება როგორც წარსულისა, ისე აწმყოსიც — სინამდვილეს არ შეეფერება. წარსულშიც ბევრი შემთხვევა ყოფილა ძმათა მოღალატეობისა და ურთიერთ-შორის სისხლის ღვრისა და აწმყოშიც ხშირია მაგალითი ქვეყნის ერთგულობისა და ხალხისათვის თავდადებისა. მაგრამ, როგორც ვსთქვით, წარჩინებულ პიროვნებას მცირედი სიკეთე არ აკმაყოფილებს და ძლიერ შორს მიდის იგი, გონების თვალწინ იდეალურ ცხოვრებას იხატავს და იმის მიხედვით დღესაც მომეტებულს მოითხოვს. ერთი რამ კი არის სიმართლე: წარსულში ზოგიერთი ეპოქა (მაგალ., ეპოქა გორგასლანისა[29], დავით აღმაშენებლისა[30], თამარისა[31]) ბევრათ უფრო მაღლა იდგა ზნეობრივი სიფაქიზითა და საზოგადოებრივი შეგნებით, ვიდრე აკაკის თანამედროვე ეპოქა; მაგიერათ, მე-13 საუკუნიდან დაწყებული ვახტანგ VI-ის[32] ეპოქამდი, ქართველობა ბევრათ უფრო დაბლა იდგა ყველაფრით, ვიდრე ქართველი საზოგადოება აკაკის დროისა.

ყველაფერს თავისი გასამართლებელი მიზეზი აქვს და, ჩვენი დროის ქართველობის სულისა და ხასიათის უმტკიცობა იმით აიხსნება, რომ

წინა საუკუნეების დამპყრობელთა ძალმომრეობას მე-19 საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის გახრწნილი ბიუროკრატიის ტლანქი ხელიც მიემატა და ჩვენი ეროვნული აზრი და გრძნობა ამან შელახა და შეარყია.

აკაკი აწმყოში ვერ ხედავს იმ ერთობის ძალას, რომელიც წარსულის ქართველობას აძლიერებდა:

იქ, სადაც ძველად ქართველი ქართველს
ხელს მიაწვდენდა ძმურათ, საშველათ, —
დღეს იქ ქართველი ყელში უპერს ხელს
თვით მოძმეს — სულის ამოსახდელათ-ო, — ამბობს პოეტი.

ერთ ლექსში („აღარ გვაქვს გრძნობა"). აკაკი ამ აზრს სხვა ადგილას („მინდა რამ ვსთქვა") კიდევ ასე გამოსთქვამს:

მე ამ ღაგამს წავიძრობდი, — არ მაქვს უცხოს მორიდება, —
მაგრამ რა ვქნა, რომ ხელმარჯვეთ ჩემივე ძმა მეჯიდება!-ო.

ილია ჭავჭავაძეც ამავე აზრისაა თანამედროვე ქართველობაზე — და კიდევ უფრო ძლიერათ აქვს გამოთქმული იგი თავის „აჩრდილში":

ერთმანეთისა მათ სიკეთე შურთ,
თუმც ერთისათვის თითქო იღწვიან,..
თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც სურთ,
თვით შეელიან მას, რასაც ებრძვიან!-ო.

ამ სახით ილიაც და აკაკიც თანამედროვე ქართველების უძლურების მთავარ მიზეზს იმაში ხედვენ, რომ მათ შორის ერთობის გრძნობა და შეგნება არ არსებობს. აკაკის ერთ ლექსში („დედა და შვილები") დედა შვილებს ემუდარება: ჩვენს არემარეში მელა და მგელი შემოპარულან — და მასახელეთ, როგორმე მოგვაშორეთო. შვილები თითქო საბრძოლათ ემზადებიან, მაგრამ ერთმანეთში კინკლაობა მოუვიდათ — და მით, ილიას თქმის არ იყოს, თვით უშველეს მტერს, რომელსაც უნდა შებრძოლებოდნენ: —

სანამ უგნურ მაჩხუბრებსა ვაი ჰქონდათ და ვაგლახი,
დიდმა მგელმა შეუპოვრათ ამოაგდო მთლად ოჯახი-ო.

აკაკი ჩვეულებრივათ აქაც მომავლით გვანუგეშებს — და მაჩხუბარი შვილების დედის პირით უფალს შევედრის:

ღმერთო ჩემო! რადგან ბედმა მე შვილებში მომატყუა,
შვილიშვილებს მაინც მიეც შეძლება და მეტი ჯაუა-ო.

აკაკი გარეშე მტერს იმდენად არ ებრძვის, რამდენადაც მოძმეებს, რომლებშიც ბევრნაირ ნაკლულოვანებას პოულობს — გონებრივსა და

ზნეობრივს. განსაკუთრებით თვით მოძმეთა შეუგნებლობა, „შიგნიდან ციხის გატეხა“ აშფოთებს მგოსანს („ჩემი ჰმუნეა“):

ის არ მაშინებს და არც მატირებს, რომ ირგვლივ მტერი
შემოგვეხვია: —
გარეშე მტერთან დავა და ბრძოლა იმავ თავითვე ჩვენია...
მე ის მაღონებს, დღევანდელ ქართველს ძველი ანდერძი
რომ აეწყება —
და ეროვნების მაგარი ციხე შეუგნებლობით შიგნიდან
ტყდება-ო.

თანამედროვე ქართველობა, პოეტის აზრით, ისე გარყვნილა, რომ პირადი სარგებლობისათვის თავის ხალხს, თავის მოძმეებს ღალატობს და მტერს ელაქუცება („ზოგიერთების ლოცვა“), თავის ასამაღლებლათ ძმას იხდის გზათ და ხიდად („ახალი გზა“); როცა შია და წყურია და როცა მთავრობის ყურადღება აკლია, მაშინ პატრიოტობს, ხოლო თუ გამოაძღეს, მაშინ მთავრობას უდგას გვერდში და მოძმეთა დაჩაგვრაში ეხმარება („ეჰ, ქართველო“).

„თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ´ყოფილა“-ო, ამბობს იგი („დიდი ვინმე“): მოწინავე მოღვაწეთა აზრი და გრძნობა არავის ესმის, ყველა პირადობითაა გამსჭვალული და „მოძმე თავისვე ძმასა მტერთან აბეზღებს მარად და მარად“ („სცენიდან ნათქვამი“, ცბიერობენ, რომ „არც მწვადი დასწვან და არც შამფური“-ო — და მამულისათვის მათი ზრუნვა იმაში გამოიხატება, რომ კუპის ნებიერობას შეეჩვიენო („გამოსათხოვარი“). — ბევრი ფარისევლობს ხოლმე ხალხის თვალის ასახვევათ, ლოცულობს და მუშტით გულ-მკერდს იმტვრევს; ნამდვილათ კი ხშირათ იმავე მუშტებს „გლეხკაცს ურტყამს თავში მწარეთ“ — და, ამ სახით, ღმერთსაც ეცრუება და კაცსაც („ფარისეველი“).

ნასწავლ ქართველობაზე აკაკი ამბობს, რომ ცხოვრებაში გამოსვლამდე და ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლის ხანს ზოგიერთი თითქო ხალხის ინტერესების დაცვას ფიქრობს, ბოროტების წინააღმდეგ სიტყვით ვითომ სასტიკ ბრძოლასაც აცხადებს, მაგრამ მალე — „ცხოვრებით რომ შეილახა, მტერს დაუწყო სამსახური“-ო, („დიდხანს ვძებნე იდეალი“). ბევრი მათგანი ფუტუროს ემზგავსება, რომელიც შორიდან ანათებს ხოლმე, და როცა ახლო მიხვალ, დამპალი ხე დაგიხვდებაო („ფუტურო“):

არიან ჩვენში დღეს სწავლულები:
შორიდან თუმცა ბევრს გვინათებენ,
მაგრამ ახლოს კი, დალოცვილები,
როგორც ფუტურო, ეერას გვარგებენ-ო.

ზოგი იბერება და იმის მაცადინობაშია — ხალხს დიდ ვინმეთ და პატიოსან მოღვაწეთ მოაჩვენოს თავიო („აპელაციის მცოდნე“): ფრაკი ჩაუცვამს, ბაკები მოუშვია. —

არ მოსწონს სალამური, არც თარი, არც ჩანგური,
ლეკური ეზიზღება, მოსწონს ტანცი-მანცია...
ვერც დავზრახავთ: ოპერისთვის მიუნევია ყური!...
უჰ, რა შვილი დამდგარა! რა სწავლული კაცია!...
ამბობენ, ქრთამი სძულსო, არ იძღვნის არც ქათამსა!...
მხოლოდ მაშინ არ იწყენს, თუ სუქანი ვაცია!..
მაგრამ ეს ზვარაკია! ამას ვინ ეტყვის ქრთამსა?!
სხვამ რომ ჰქნას, ის სხვა არის: ეს სწავლული კაცია!...

თავისი შთამომავლობის დამწუნებელი, მოძმეების ზურგის შემქცევი და სამშობლო ენისა და ეროვნული ზნეჩვეულებების დამწიხლველი აკაკის სასტიკად ჰყავს დაგმობილი მწერალი არაკში, რომელსაც „ღებურა“ ეწოდება. თავისი შინაარსით ეს არაკი კრილოვის „ყვავს“ მოგვაგონებს, რომელმაც ფარშავანგის ბოლო გაიკეთა და ფარშავანგობა მოინდომა. თაგვსაც ფარშავანგის ბედი ეწვია: არც ფრინველებმა მიიღეს და აღარც თაგვებმა...

ქართველი ქალი აკაკის განსხვავებულ ყურადღებას იპყრობს. შორეული წარსულის ქართველი ქალები პოეტს იდეალური ზნეობისა და მხნეობის მეჭონათ ყავს წარმოდგენილი, სოლო აწმყოს ქართველი ქალები მას დღეს — სწორეთ ამ მხრივ — „დაცემულათ და ცოცხალ-მკვდრათ“ ეჩვენებიან, რომელთაც „მშობლიური ტკბილი ქართული“ ან დაუკარგავთ, ანდა აბუჩად აუგდიათ („სიზმარი“).

აკაკი თავის ლექსებში წარსულიდან სამაგალითოდ ყოველთვის სამს შესანიშნავ ქართველ ქალს იხსენიებს: წმ. ნინოს[33], თამარს[34] და ქეთევანს[35]. ჩვენი ისტორიკოსები: დიმ. ბაქრაძე[36], („ქართველი ქალები“[37]), დიმ. ჯანაშვილი[38] („ისტორიული სურათები“[39]) და სხვები, ჩვენს პოეტებთან ერთად, უტყუარ ფაქტად აღიარებენ ძველი დროის ქართველი ქალების ზნეობრივ სიმტკიცესა და სიმაღლეს და მამულისშვილურ თავგანწირულობას — და ჩვენც არ შეგვიძლია არ დაეერწმუნოთ მათ საერთო ღაღადისს, თუმცა აქაც იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც ზევით საერთოდ წარსულის ქართველების შესახებ ვსთქვით: მგოსანთაგან მათ დახასიათებაში გაზვიადებული კილო მოისმის.

როგორც ილია ჭავჭავაძე „დედა და შვილ“-ში, ისე აკაკიც „ქართველ ქალ“-ში იმისთანა დედას გვიხატავს, რომელსაც მამულის საკეთილდღეოთ შვილის სიცოცხლის შეწირვა წმიდა მოვალეობათ მიაჩნია და ომში დაღუპული შვილების გამო თითქმის ცრემლის დენისაც რცხვენია. აკაკის ქართველ ქალს ის კი არ აწუხებს, რომ ორი ვაჟი მამულის მტერთან ბრძოლაში დაეღუპა, არამედ ისა კლავს და არცხვენს, რომ მისმა მესამე შვილმა (სიმუალმა) თვისი სანუოლოს მაოხართ ზურგი შეაქცია, თავს უშველა და მტერს სამაგიერო არ გადაუხადა. ძმების სისხლი არ ამოიგო: „ვაი ლეჩაქს შერცხვენილსა, ვაჲ ძუძუებს გაკრცხულსა“-ო, — ამბობს იგი შვილის სასირცხვო საქციელის გამო. ამ

ლექსის შინაარსი მოგვაგონებს რუსის მგოსნის ლერმონტოვის[40] პაწია პოემას — ლეგენდას „გამოქცეულს"[41]—, რომლის მშიშარა გმირიც, ჩერქეზი ჰარუნი[42], ბრძოლის ველიდან გამოქცეულა სწორეთ მაშინ. როცა მამა და ორი უფროსი ძმა მისი სამშობლოს მტრებმა დაუხოცეს. შორი გზით დაქანცული და მშიერ-წყურვალი ჰარუნი სამშობლოში თავშესაფარს ეძებს, მაგრამ, როცა ტყობილობენ, რომ ჰარუნს მშიშარობა გამოუჩენია და სამშობლოს მტრებისათვის, მამა-ძმების დამხოცველთათვის სამაგიერო არ მიუზღავს, მას არც გულითადი მეგობარი ღებულობს და არც მოყვარული მოხუცი დედა. ყველასაგან უარყოფილი ჰარუნი თავს იკლავს — და გადმოცემა ამბობს, რომ მისმა სულმაც კი ვერ მოიპოვა საუკუნო განსასვენებელი ალაგი და დღემდი უგზო-უკვლოთ შავბნელ ღამეებში ბოთებში დაეხეტებაო.

ასეთია აკაკისა და სხვა ჩვენი მგოსნების აზრი წარსულის ქართველი ქალების შესახებ. აწმყოში კი რას ხედავს პოეტი? ახლანდელს ქართველ ქალს ქართველი აღარ ეთქმის, რადგან ქართველისა მას არაფერი სცხია („ერთი ქალისას ამბობენ"):

წაველ და ვნახე ლაზარე:
მართლა რო მოსაწონია!
მაგრამ შემცდარი ბრძანდება,
ვისაც ქართველი გონია!...
სახელათ ერქვა მაშინკა!...
ვსთქვი თუ: რა არის მოდა თქო!...
ძველი დრო რომ ყოფილიყო,
მარიამ ერქმეოდა-თქო!...-
თავმოხდილს, საკუთარ თმებში
სხვებისაც ჰქონდა ჩართული...
სხვა ენით ამიჭლურტულდა:
ეზარებოდა ქართული....
ამბობდა: როგორ ვიკადრებ
ქართულად ჩაცმა-სერვასო!
ნახევრად იყო ტიტველი, —
თითქო აპირებს ცურვასო!..

მხოლოდ ეს იხატებოდა
იმის ქუქუნა თვალებში:
„მე ჩემი დღე და სოფელი
უნდა დავლიო ბალებში!"

მომწონს კალინა, მალინა,
მძულს ვარდები და იაო!..
სამშობლო რასა მიკვია, —
მეწყერსაც წაუღიაო!..

ახალი დროის ზნეჩვეულებიდან ქართველ ქალს მხოლოდ უარყოფითი მხარეები შეუთვისებია: უსაქმოთ ყოფნა, ბალებში სიარული და სხვ. („ზლაპარი"):

წიგნი სძულთ, ოჯახობის მათ არრა გაეგებათ, —
გულზე ხელის დაკრეფა მიაჩნიათ საქებათ...
ქარვის კრიალოსანსა მარცვალ-მარცვალათ ჩასთვლიან: —
რომ კითხოთ რამდენია, მერწმუნეთ — ვერ გეტყვიან!..

. . .

სტუმრობა და ბალები არ გამოეპარებათ:
იქ პორებს შეიტყობენ — და ეს აქვთ ნეტარებით!..

რასაკვირველია, აკაკი მარტო თანამედროვე ქალებს არ უკიჟინებს, თანამედროვე ვაჟებზედაც ამგვარივე აზრისაა („პროზიდან ბოდვა").

ქალებმაც რომ გვკითხონ კაცებს: „თქვენ რალა ხართ,
ჩვენ რომ გვწუნობთ?
განა თქვენ კი ცხოვრებაში ჩვენზე ნაკლებ მაიმუნობთ?...
თქვენ არა ხართ, რომ გვიჩვენებთ შაეს თეთრათ და
თეთრს კი შავათ?!

უთავბოლოთ თუ ვირჯებით,ამიტომ, რომ ვერ გცნობთ თავათ!"
ეს რომ გვკითხონ, რალა გვეთქმის? ჩავიგუბოთ პირში
წყალი!

წავიყრუოთ — და ჩვენს საქმეს ავარიდოთ ჩვენვე თვალი...
თორემ აღარ მოხერხდება ჩვენი თავის გამართლება —
და, დრომაც რომ გვიკიჟინოს, ღირსი ვართ და გვემართლება-ო.

სამშობლოს კეთილდღეობას, დაქსაქსულ მოძმეთა ერთობის აღდგენას ისე გაუტაცია პოეტის ფიქრი და გონება, რომ, ნამდვილი ცხოვრებით გულმოკლული, ხშირათ ცდილობს ყველაფერი ეს ოცნებაში მაინც წარმოიდგინოს. მგოსანი თავის ჩანგს შესთხოვს („გამოსალმება"):

რომ დამშვიდდეს გული ენება,
ერთ წამს ენახო განსვენება
და ოცნებით დამეხატოს
მე ამგვარი მოჩვენება:
გამოჩნდეს ქართველი ქალი,
რომ ემოსოს კაცის ძალი
და მამულის სიყვარულის
გულში ედვას ტრფობის ალი!...
მას ჰაბუკი აძლევდეს ხელს,
ვით თანამგრძნობს მის სასურველს,
და ორკეცი სიყვარულით
გადიოდეს ბრძოლისა ველს!...
რომ მათ ჰქონდეთ. ერთი პირი,
ერთი ლხინი, ერთი ჭირი —
და ერთად გამოეზარდოსთ
მამულისთვის შვილი გმირი!...
მაგრამ, ვაი, რასა ვსური!
თითქო ვიყო უსუსური!...
რათ ვერ ვგრძნობ, რომ ოცნებითაც
ვერ იხარებს უბედური?!.

ეს ბარათაშვილისებური[43] გაცრუებული ოცნება გამოხატული აქვს აკაკისაც „ვპოვე ტაძარი“-სებურ ლექსში, სადაც, როგორც ნიკოლოზს, მასაც ერთი წუთით „გულსაკლავათ მკვნესარი თარი“-ს უცნაურ ხმაზე, თვალწინ ბედნიერებით აღსავსე ცხოერება ეშლება („ოცნება თარზე“):

რა ხალხია! რა ხალხია აქ მდგჱრი!
ერთობა და სიყვარული აქვთ ძმერი!
აქ ქალები ვარდივით იშლებიან,
წმინდის საქმით და გრძნობით იგზნებიან!

მაგრამ ეს ოცნება ქრება ისე, როგორც ნ. ბარათაშვილის საოცნებო ტაძარი — და მგოსანს ისევ მწარე სინამდვილის გრძნობა იპყრობს:

ეს ქვეყანა ეგებ ჩვენი მხარეა?...
მაგრამ არა!.. ვიცით, რომ სიზმარია-ო,—

ამბობს გულდაწყვეტილი პოეტი.

საზოგადოთ თანამედროვე ცხოერებაში აკაკი ყოველგვარ უწესრიგობას ხედავს: მართალი მხარე რიგიან სამართალს ვერ ეღირსება, რადგან სიმართლე კი არ გადის, არამედ ქრთამი და გაიძვერობა („ახალი სამართალი“); ქვეყნის ერთგულს, გულწრფელ მამულიშვილს ქვეყნის გამყიდველი იუდა[44] დასცინის და ჭკვიანებსა და ნასწავლებს ბრიყვები და უსწავლელები უძღვიან წინო („გამოცვლილი დრო“):

ჭკუდები სჭრიან სამართალს,
მართლებს უყრიან ბორკილსა —
და ქვეყნის მტერი იუდა
დასცინის მამულიშვილსა!...
ბრიყვი და უსწაელელები
თავში უდგიან ჭკვიანებს...
გაჰქრეს ეს ქამი ბარემღა!
ნეტავი რას იგვიანებს!...

ამ სახით თანამედროვე ქართველობაში არა ჩანს შეგნება თავისი ეროვნული ჩაგვრისა და ცხოერების დაქვეითებისა, მას დიდათ არ ეტყობა წადილი ამ მდგომარეობიდან გამოსვლისა; მაგრამ, აკაკის აზრით, მისი დღევანდელი ამგვარი მდგომარეობა დროებითია, ეგ მხოლოდ „საღათას ძილია“ ქართველი ერისა— და ამ ძილს თავისი გასამართლებელი საფუძველი აქვსო, გვარწმუნებს პოეტი: „ბეერის ბრძოლით დაღალულსა ეჭირვება მოსვენება“, — ასეთია ბუნების წესი და კანონიო. ქართველი ერი ბეერს მკვდარი გონია, მაგრამ შემცთარია, ვინც ასე ფიქრობს, — იგი მალე გამოიღვიძებს და ძველებურათ განაგრძობს შემოქმედებითს ისტორიულ ცხოერებას:

არ მომკვდარა! მხოლოდ ძინავს —
და ისევე გაიღვიძებს-ო!

საქართველოს მომავლის შესახებ საზოგადოთ აკაკის იმედიანობას სრულიად ეწინააღმდეგება ის აზრი, რომელსაც მგოსანი ერთ ლექსში („ვედრება") ერთობ კატეგორიულად გამოსთქვამს. პოეტს, როგორცა ჩანს, გაუთვალისწინებია თანამედროვე ქართველობის ზნეობრივი გახრწნა და გონებრივი ჩამორჩენა — და ამბობს:

ამას კი ვიტყვი, გინდა მომკალით:
ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო-ო!

ამ ლექსში აკაკის საზოგადოთ შემდეგი შეუწყნარებელი აზრი აქვს გამოთქმული. ცხოვრებაში ორგვარია დაცემული კაციო, — ეუბნება პოეტი თავის მკითხველებს:

ერთი მოელის კაცთაგან შველას,
ებრძვის თვის დამცემს, რაც შეეძლება;
მეორე ვერ გრძნობს ამაებს ყველას —
და მტერს პირუტყვებრ ეშორჩილება...
პირველს თუ შეხვდე, შრომა უკურთხე,
ხელი მიეცი, წამოაყენე,
და მეორეს კი ზედ დაეფურთხე...
იტირე, მაგრამ ზურგი უჩვენე-ო!

ამგვარი შეხედულება მხოლოდ წამიერი სასოწარკვეთილებისა და უკიდურესი აღშფოთების შედეგად უნდა ჩაითვალოს, სახელმძღვანელო აზრათ კი არ გამოდგება. მოწინავე ადამიანის, ერის მოძღვრისა და მასწავლებლის უპირველესი მოვალეობა ის არის, რომ შეუგნებელს შეაგნებიოს, უცოდინარს ასწავლოს და ბნელი გონება გაუნათოს: უამისოთ წარმოუდგენელია როგორც კერძო, ისე მთელი ერისაც განვითარება, წინსვლა, პროგრესი. მაშასადამე, რაც უფრო „დაცემული" და დამონებულია რომელიმე ქვეყანა — საქართველო იქნება ის თუ სხვა, ——მით უფრო მეტ მზრუნველობას მოითხოვს იგი მოწინავე ადამიანებისაგან, და არა შეფურთხებასა და ზურგის შექცევას!..

3. ადამიანთა ურთიერთობა

იშვიათია ისეთი მგოსანი, რომ გაზაფხულის „ფერუთვალავ შვენებას", ბუნების სიცოცხლის ამ საოცნებო განახლებას არ აღეტაცებიოს და ღრმათ არ ჩაეფიქრებიოს. სხვა მგოსნებთან ერთად, აკაკისაც გაზაფხული — და მასთან შეერთებული ქრისტეს აღდგომის დღესასწაული[13] — „კაცთა აღდგინების" ემბლემათ, ცხოვრების საკეთილდღეოთ განახლების სიმბოლოთ მიაჩნია („აღდგომა").

ყველა ხარობს, ლიტანიობს —
უსულო და სულიერი!..
„ქრისტე აღდგა! — პეშარიტად!“
აღიარებს ქრისტეს ერი.
იცის, რომ ეს ნიშანია
მკვდრეთით კაცთა აღდგინების —
და მით თვისი აღდგომაცა
მომავალი ელხინების...

როგორ ესმის აკაკის „კაცთა აღდგინება“ და რა მიაჩნია მას კეთილშობილური ურთიერთობისათვის აუცილებელ პირობათ?

უპირველესათ ყოვლისა მოყვასის სიყვარულის გრძნობით უნდა ვიყოთ გამსჭვალული. სხვისი მტრობა და შური გულში არ უნდა შევუშვათ: ამასთან ერთად საჭიროა იმის შეგნება, რომ საცხოვრებელი საზრდო ყველამ პატიოსანი შრომით უნდა მოიპოვოს, და არა ცარცვა-გლეჯითა და მცონარეობით, და. რაფიელ ერისთავის გლეხების არ იყოს, „მცირესა ზედა კმაყოფილების“ გრძნობასაც შეჩვეული უნდა ვიყოთ („უდარდო კაცი“):

ყველასათვის კარგი მსურს,
ბოროტების მტერი ვარ;
გულში არ შევუშვებ შერს —
და მით ბედნიერი ვარ!..
მე ბევრს არას დავეძებ, —
რაც მაქვს, ცოტას ვკერიავარ...
ქვრივ-ობერს არას ვტაცებ, —
ისეც ბედნიერი ვარ!...
პატიოსან ოცლსა ვლერი, —
მეც მეშაკათ ვწერიკარ...
უსაქმურ კაცს ვეუკვირი:
„მზედავ, ბედნიერი ვარ!..
ხან მაქვს წყალი და პური,
ხანდახან ღვინერი ვარ;
მაგრამ ბედს არ ვეშდერი, —
მაინც ბედნიერი ვარ!...

აღნიშნულ პირობათა მიხედვით. აკაკი გმობს იმისთანა ცხოვრებას, სადაც ალალმართალი ადამიანი დაჩაგრულია, ბოლო ფარისეველი ან მეტიჩრულათ გაბერილი ადამიანი კი — მდიდრათაც ცხოვრობს და საზოგადოებაშიც კარგად არის მიღებული („საწყალი და დარბაისელი“):

ვინც ტკივით იბერება —
ისე დადის ამ სოფელში,
იმას რჩება მოედანი,
ბურთიც მას უპირავს ხელში!...

დიდი კაცი მდიდარია,
საწყალი კი — დღიურ-მუშა,
და თუ ეს ჭკვიანი იყოს,
ამის საქმე რამ დაფუშა?!...

მოყვასის სიყვარულთან — ამ ალტრუისტულ გრძნობასთან[46] — დაკავშირებულია ერების ურთიერთობაც: როგორც კერძო ადამიანები სიტკბოებით უნდა ცხოვრობდნენ ერთმანეთს შორის, ისე ერებს შორისაც უნდა მოისპოს მტრობა და შური და ერთმანეთს თავისუფალის, მშვიდობიანი ცხოვრებისათვის ხელი არ უნდა შეუშალონ.

ეს აზრი მხატვრულათ აქვს პოეტს გამოთქმული ლექსში, რომელსაც „მერცხლის და ჭივჭავის ომი" ეწოდება. სანამ ჩვენს მხარეში სიცივეებისა და გაჭირვების დრო იყო, მერცხალი თბილს შორეულ ქვეყანაში ცხოვრობდა — და მხოლოდ გაზაფხულზე მოფრინდა ჩვენ'ში, როცა აქ ლხენის დრო დადგა. ძველ ბუდეში მერცხალს ჭივჭავი დაუხვდა —. და მერცხალმა მისი განდევნა მოინდომა: ჭივჭავი არ დანებდა — და გაიმართა მათ შორის ომი. ჭივჭავი სამართლიანი გულის წყრომით ამბობს:

მე აქ ვარ დაბადებული, აქვე ვიზრდები, აქ ვკვდები,
ჩემს ფერად-ფერად სამშობლოს ერთ წამსაც ვერა ვშორდები.
სიცხესაც ვიტან, ყინვასაც, ჩემი სამშობლოს ლხინს და ჭირს
და მერცხალიეით სხვა მხრისკენ არც გულს ვიბრუნებ და არც
პირს!...

რა სიმართლე აქვს, რო მოდის, მიხდება მოზიარეთო?
ან სულ ჩემსავით დასახლდეს, ან გამეცალოს გარეთო!...

ამ სახით, აკაკი არ არის ნაციონალისტური კარჩაკეტილობის მომხრე, — პირიქით, იგი სიამოვნებით ეძმობა და ეთვისება სხვა ერების შვილებს თავის ქვეყანა'ში... მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით: ჩვენი ჭირი და ლხინი გაიზიაროონ და სამაგიეროთ ჩვენც ისე გადაგვიშალონ გული, როგორც ჩვენ მათ ვუშლიდით და ახლა ვუშლით ხოლმე. და ქართველს ერს ხომ — უკვე ისტორიულათ დამტკიცებული ფაქტია — შეუდარებელი ჰუმანიური, კაცობრიული გრძნობა გამოუჩენია გარეშე ერების შეთვისებისა (მოიგონეთ უძველესი დროიდანვე მდგომარეობა ჩვენში ებრაელებისა, სომხებისა, ოსებისა და სხვ.). ამიტომაც აკაკის აშფოთებს უმადურობა შემოხიზნული ერისა, რომელსაც დაუვიწყია ქართველი ერის სიკეთე და, გაჭირვების დროს ქედმოხრით მათხოვრათ მოსული და ძმური სიყვარულით მიღებული, დღეს ჩვენვე ჩვენი ქვეყნიდან გაყრას გვიპირებს („ახირებული სტუმრობა").

ერთად, ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ერთა შესახებ აზრი აკაკის კარგათ აქვს განმარტებული ლეგენდარულ მოთხრობაში „დავითის გვირგვინ"-ში (წაიკითხეთ და შინაარსი შეისწავლეთ). როცა წინასწარ-

შეტყველს სამუელს[47] დავითისათვის[48] სამეფო ზეთი უნდა ეცხო და დავითს ხელში ჩანგი დაუნახა უთხრა:

„იმთავითვე ხელში დაგიჭერია ნიშანი მეფობისა: ეგ ჩანგი არის შენი სამეფო და სიმები — სხვადასხვა ერი. შენ არ მიგიგრეხია სიმები ურთმანეთზე, რომ მით შუა ძაფი გაგედიდებია საბმელათ; მხოლოდ შეგიკავშირებია ერთმანეთისათვის შეუცვლელათ თავთავისი საკუთარი ხმითა და სიდიდით, შეგიხმატკბილებია ერთ ჰანგათ და მოგინადირებია სამწყსო. მწყსე სამეფოცა შენი მაგგვარათ და დაჰდე საყდარსა ზედა უკუნისამდე!“-ო.

ერთ ლექსში („ჩემი ჰმუნვა“) აკაკი ამბობს:

დეე სუყველამ იბედნიეროს
თეის სამშობლოში, თავის მხარეში,
რომ მოძმე იყონ ერთი-მეორის,
და არა მონა, უმა და ფარეში-ო.

ლექსი „ხატის წინ“ ღრმააზრიანი სურათიანობით გვიხატავს თითოეული ერის სამშობლოს კავშირს მთელ მსოფლიოსთან და თითოეული ადამიანის დამოკიდებულებას მთელ კაცობრიობასთან. პოეტი ხატის წინ ანთებულ სანთელს შეჩერებია და, ღრმათ ჩაფიქრებული, ამბობს:

სანთელი — ჩემი ხორცია,
სიცოცხლე — მოკლე პატრუქი,
ნათელი — ჭკუა-გონება,
იმათგან გამონაშუქი!...
ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა,
და რომ ვიწოდე, ვდნებოდე —
არ შემიძლია მეც განა?!...

ამ სიტყვებით მგოსანი გვეუბნება, რომ, როგორც სახატეში ხატის წინ სანთელი, ისე მსოფლიოში სამშობლოს წინაშე ჩემი ხორცი იწვის და დნება, ჯერ სამშობლოს და მერე მთელ კაცობრიობას მსხვერპლათ ეწირებაო. სხვანაირათ რომა ვსთქვათ, სამშობლო პოეტს მთელი ქვეყნიერების განუყოფელ ნაწილათ მიაჩნია და მისი სამსახური — მთელი ქვეყნის სამსახურათ.

ასეთია აკაკის აზრი ადამიანთა და ხალხთა ურთიერთობის შესახებ: მაგრამ, სამწუხაროთ, დღევანდელ ცხოვრებაში ყველა ეს გაწუხორციელებელ ოცნებათ მიაჩნია — და იმ მხარეს, საცა ამგვარი საოცნებო ცხოვრება წარმოუდგენია, პოეტი „სიზმარეთს“ უწოდებს („უცხო მხარე“).

სიკაბუკის ჟამს ადამიანის გული საზოგადოთ აღფრთოვანებულია და იმედით სავსე — და მით უფრო მგოსნის გული, რომლის იმედიან ოცნებასაც საზღვარი არ აქვს. აკაკიც აღტაცებული იყო სიყმაწვილეში

და ადამიანის გულის სიკეთე და სულის კეთილშობილობა მტკიცეც სჯეროდა — ისე, როგორც მეორე ჩვენს მგოსანს ფაზელს (მამია გუ რიელს)[49], რომელიც თავის ლექსში „შოშია“-ში ამბობს:

ჩვეული სევდით ამევსო გული,
მან დამაღონა, — უკურნებელი გამეხსნა წყლული
და შომაგონა ქარიშხლიანი ყმაწვილობა ჩემი წასული,
სარწმუნოებით სავსე გრძნობა მოტყუებული,
როცა, უპკუო. ვიგულებდი ყოველსა სულსა მამულიშვილათ,
პატივს ვსცემდი, როგორც ერთგულსა`-ო.

აკაკიც ამბობს („ბებია“): „ყმაწვილს ბებია ტირილით მიმტკიცებდა, წუთისოფელს გაუფრთხილდი — გაუტანელი არისო“. მაგრამ მე არ მჯეროდა და მის სიტყვებზე მეცინებოდა; ბოლოს დავრწმუნდი წუთისოფლის სიმწარესა და გაუტანლობაში — და ახლა მე ცრემლებსა ვღვრი, ბებია კი იცინის: „მწარეთ დამცინის, რომ გამოცდილ ადამიანს არ ვუჯერიდი“-ო.

როცა მგოსანი ადამიანთა ფარისეველობასა და ბოროტებაში დარწმუნდა, მას აღარ აქვს სურვილი ამისთანა საზოგადოებაში დარჩენისა — და ხშირათ ოცნებობს ხოლმე იმაზე, რომ დასტოვოს იგი („გამოსალმება“):

დავაგდე მხარე ფარისეველების,
ის მზაკვარების უნივერსტეტი,
სადაც ერთი უბედურია
მხოლოდ მეორის ბედნიერებით...
იქ ყველა შრომობს მოუსვენარათ, —
განა მისთვის, რომ თვით შეიძინოს?
არა! მისთვის, რომ სხვას რამ დააკლოს,
ის აატიროს და თვით იცინოს!...

ადამიანებში რომ სამართლიანობა და კაცობრიული მოპყრობა ვერ უნახავს — ვერც მეგობრისა და სატრფოსაგან, ვერც მახლობელ ნათესავთაგან, ვერც მსაჯულისაგან და ვერც მოძღვრისაგან,—პოეტს ტყისათვის მიუმართავს. თავისი ჩანგი თან წაუღია და „მით იქარვებს გულის ვნებას“, თანაც ქებით ამკობს მგელს, დათვს, მელასა და სხვა მხეცებს, რომელნიც ადამიანებზე უფრო ლმობიერი და სამართლიანი გამოდგენ („თვალის ახილვა“).

4. ტრფობა

სამშობლო და სატრფო ისე გაერთიანებულა აკაკის ლექსებში, რომ ხშირათ ვერ იტყვით, თუ რომელს მათგანს უმღერის პოეტი. მგოსანი ერთნაირად დასტირის მტრისაგან მოტყუებით დაპყრობილ სამშობლოს და მტრისაგანვე მატყუარი გრძნობით მოხიბლულ

სატრფოს. პოეტს უკვირს, რომ მისი სატრფო მტერს დამონებია — და განსაცდელისაგან აფრთხილებს მას, მაგრამ მტრისაგან მოხიბლული — „ალერსით მთვრალი“ სატრფო მას არ უსმენს — და მგოსანს საუკუნოთ გული უკვდება („აღმართ აღმართ...“):

გადვიხედე, — ვნახე, რომ სხვას მონებდა
გამიკვირდა, ვსთქვი: „მტერს როგორ მონებდა?!..“
მივაძახე: „ჭინჭარში ნუ ვარდები!...
ნუ გგონია იქ ია და ვარდები...“
არ მისმინა მწუხარებით დანაგულს
და დამასო საუკუნოთ დანა გულს!..

იმ შემთხვევაშიც კი, როცა აშკარათ ჩანს, რომ აკაკის სიყვარულის საგანს ნამდვილი ქალის არსება შეადგენს, და არა სამშობლო, ჩვენი პოეტის გრძნობა ხშირათ განსხვავებული შინაარსისა და ხარისხისაა: იგი სამშობლოს სიყვარულის გრძნობასთანაა შეერთებული. მგოსანი სატრფოს — ქართველ ქალს ეუბნება („სხვაგვარი ტრფობა“).

მე შენ არ გეტრფი შვენებისათვის,
არც თითები გაქვს ბროლივით თლილი...
მე გიამბორებ ხელზე მისათვის,
რომ მაგით გეპყრა მამულის შვილი!...
შენს მკერდს ვემთხვიო — მაქვს მე სურვილი,
თეთრი რომ არის — მისთვის კი არა!
არა!... მისთვის, რომ მამულის — შვილი
პეშვარიტ დედას მაგ გულში გეპყრა!...

ასე გვარწმუნებს მამულის სიყვარულით გატაცებული პოეტი; მაგრამ ამგვარი გრძნობა სიყვარულისა ბუნებრივი კანონის წინააღმდეგია — და ამას ამტკიცებს ცხოვრების სინამდვილე ყოველ ნაბიჯზე. ზნეობრივი და სულიერი სიმშვენიერე, თქმა არ უნდა უძვირფასესი განძია ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ გარეგან სილამაზესა და მშვენიერებასაც თავისი უტყუარი მომხიბლავი ძალა აქვს, რომელსაც, ილია ჭავჭავაძის აზრით, უდაბნოში მცხოვრები განდეგილიც[50] კი ვერ გაქცევია („განდეგილი“), და თვით აკაკის სხვა ლექსებიდანაც ესვე მტკიცდება. სილამაზე იმდენათ მომხიბლავია, რომ ხშირათ ერთი წამის შთაბეჭდილებითაც ბოჭავს ადამიანის გულსა და გონებას.

აი რას ამბობს აკაკი ერთ ლექსში:

ერთხელ ვნახე მეტათ ვერა, ვინც მე გული ამიძგერა,
ვისიც სახე და სახელი გულის ფიცარს დამეწერა-ო;

და ეს იმიტომ მომხდარა, რომ ეს არსება ყოფილა—„პირათეთრი, ტანაყარო, სათაყვანო, სანეტარო... ბროლფიქალზე ვარდ-ღაწვები... შავ-

ხუპუპთმა, ნაწნავებევრი, წამწამხშირი, წარბებტევრი!.. ხალნასობი, ყელი ბროლი, სიამითა ამაყრჟოლი...“

ნამდვილი სიყვარულის გრძნობა ბევრნაირათ ამოძრავებს ადამიანის სულსა და გულს — და აკაკის ლექსებშიც აღნიშნულია სიყვარულისაგან გამოწვეული სხვადასხვა მდგომარეობა სულისა.

მაგრამ ჯერ განვმარტოთ, თუ რა თვისებისაა აკაკის წარმოდგენით ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული. წრფელი სიყვარულის ნიშანდობლივ თვისებათ აკაკის ჩუმი, გულის სიღრმეში დიდხანს დუმილით ნატარები გრძნობა მიაჩნია:

„თურმე ჩემი ხარ, ტრფობისა ძალო, ვით უკვდავების მკურნალო წყარო“-ვო, — ამბობს პოეტი („პასუხი მაცდურს“). ან კიდევ („გაუბედავი სიყვარული“):

ათი წელი, მწარეთ მწველი, გულს მიდაგავს
ტრფიალება,
და უბრალოთ სავალალოთ ჩემს გულშივე იმალება.
ვიცი — გზნობის, ნამდვილ გრძნობის ნიშანია მდუმარება:
ცხადათ — ტკბილი რამ ღიმილი, ჩუმათ — ცრემლი,
მდუღარება.

შოთა რუსთველიც აღნიშნავს, რომ ძლიერი სიყვარული ადამიანს ადუმებს, ენას უბამს. ნესტან-დარეჯანმა ერთხელ ტარიელი[51] იხმო, მაგრამ, როცა ახლოს ნახა, გრძნობამორეულმა ხმა ვეღარ გასცა — და უკანვე გააბრუნა. რუსის მგოსანი ლერმონტოვი სატრფოს ეუბნება: როცა ვერ გხედავ, ბევრი რამ მინდა გითხრა, ხოლო როცა გხედავ, დუმილი მიპყრობსო. ასეთივეა აკაკის აზრიც:

თუ ახლოს ვარ, შენ მიმონებ — და ხარკათ გაქვს
მდუმარება:
თუ მოგშორდი, მე გიგონებ — და მდის ცრემლი
მდუღარება-ო.

ამგვარი წმინდა, შეუხებელი, სულსა და გულში საიდუმლოთ სატარებელი გრძნობა სიყვარულისა იმგვარივე გრძნობაა, რომელზედაც შოთა რუსთაველი ამბობს: „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა[52]“-ო, — ეს არის ასე წოდებული პლატონიური სიყვარული[53] — და საზოგადოთ წარჩინებულ მგოსნებს, და მათ შორის აკაკისაც სწორედ ამგვარი სიყვარული მიაჩნია ნამდვილ ტრფობათ.

რუსთველისებური ტრფობა და თან გრ. ორბელიანისებური[54] უკვდავება ტრფობისა გაისმის აკაკის შემდეგ სიტყვებში („სიყვარული“):

შორის ოხერით, შორის ბნედით მიყვარს! მიყვარს
სულით, გულით!...
სამარეში თანჩამყოლის, აღმაფრენელ სიყვარულით!

ტრფობისა და საზოგადოთ მეგობრობის გრძნობას სიწრფელე მაშინ შეეტყობა, როცა იგი არ არის ანგარებით, რაიმე ნივთიერი ანგარიშით გამოწვეული. ამგვარ გრძნობაზე აკაკი ამბობს („გამოთხოვება“):

უანგარო მეგობრობა და უბიწო სიყვარული,
როცა სული სულში ძერება და ერთდება გულთან გული,—
ცის ნიშია, საამქვეყნოთ მონაშუქი წმინდა მცნებათ,
მგოსნის გულის გამსჭვალული სამკურნალოთ და ოცნებით-ო.

ჰეშმარიტი სიყვარულის გრძნობა აკაკის „სიხარულის მომნიჭეთ და სევდისა ფარათ“ ეგულება („საიდუმლო ბარათი“).

„სიყვარული აგვამაღლებს“-ო[55], — უთქვამს შოთას, თანახმად მოციქულებისა, და აკაკის სიტყვებიდანაც ჩანს, რომ ნამდვილი გრძნობა სიყვარულისა ადამიანს სიმხნეევსა და სივაჟკაცეს უსაკეცებს და მით შავბედთან ბრძოლას შესამჩნევათ უადვილებს. მზგავსი გრძნობით აგზნებული ჩვენი პოეტი ამბობს („№...ს“):

ჩალათ მრჩანს აწ შავბედი,
თვალთ შემაშრა მდუღარება,—
გინდ ვიწოდე, ვით ებედი,
მალხენს ტკბილი მდუმარება!...
„შავ ფიქრების უკუმყრელათ
სახე მისი ჩემთვის მზეობს!
გული, ქმნილი მისგან ხელათ,
ჰირთა მძლეობს, ამაყ მხნეობს!...

თუმცა სიყვარული ადამიანის გულს ბოჭავს და აბაშს, ხშირათ სატანჯველსაც გვრის, მაგრამ ეს დამბმელი ჯაჭვი ხშირათვე იმ ზომამდე ატკბობს მას, რომ იგი სანატრელი გამხდარა — და ამიტომ პოეტი სიყვარულით შებოჭილ გულზე ამბობს („ბაიათი“):

ეიშ, საყვარელო, ჩემს გულსა —
რა ტკბილი ჯაჭვით დაები-ო!

როგორც შევჩენკოსა[56] და გრ. ორბელიანს ნამდვილი გრძნობა სიყვარულისა ბედნიერების აუცილებელ პირობათ მიაჩნიათ, ისე აკაკიც, მათ აზრის თანახმად, ამბობს („სიყვარული“; — იხ. აგრეთვე ჩემი ქართ. ლიტერ. სახელმძღვ., გრ. ორბელიანი, გვ. 23[57]);

უშენოთ, სამოთხის ძალო — ტრფობავ, სიცოცხლე აქაო-ო.

აკაკი ღრმათ ჩაკვირვებია ბუნების მშვენიერებას, ზევით — ბადრი მთვარითა და მოჩიკჩიკე ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, ქვეშ — „საგალობელათ აღმა კმეულს ყვავილთა ფშვენას, წყალთა ჩქრიალს, ფოთოლთ შრიალს, ბალახთ ბიბინს რაღაც გრძნეულს“ — და ამბობს („ლხინი“):

ახლა მეცა ვგრძნობ, საიდუმლოთ ვცნობ.
რომ არის კაცში ღვთისა ხატება-ო;

პოეტი რწმუნდება, რომ ცასა და მიწას შორის უცნაური რამ საიდუმლო კავშირია, და აღტაცებით კითხულობს:

რამ ამამაღლა, ვინ მაგრძნობინა,
ეს საიდუმლო ციური ძალა,
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება —
ძლევამოსილათ გარდამიცვალა?-ო — და თვითვე პასუხობს:
შენ სიყვარულო, ცისა და მიწის
კავშირო და თან შუამავალო!
შენ, რომლის ერთ წამს, იმ სანეტაროს,
მზა ვარ სიცოცხლე მთლათ განაცვალო!...
შენ, ვისაც უგნურთ უმეტესობა
ვერა გიგრძნობს, ვერც გცნობს, მხოლოდ ცილს გწამებს—
და შენს მაგიერ შენი სახელით
ეს აღიარებს პირუტყუულ წამებს!...

ამ სახით, აკაკი ამ სიტყვებით გვეუბნება, რომ წმინდა, ღვთაებრივი სიყვარული „ცისა და მიწის კავშირი და შუამავალია“, რომ სიყვარულის წმინდა გრძნობით აგზნებული ადამიანი სულიერათაც და გონებრივათაც მაღლდება, ცისა და მიწის კავშირს იგნებს და მთელი ბუნების საიდუმლოებას იმეცნებს... ერთი სიტყვით, შოთას გამოთქმით რომა ვსთქვათ, პოეტი რწმუნდება, რომ „სიყვარული აგვამაღლებს“.

მშვენიერს რომანტიულ ლექსში „სულიკო“-ში აკაკი მხატვრულათ გვისურათებს სიყვარულის კავშირს მიწასა და ცას შორის. მგოსანი საყვარლის საფლავს ეძებდა — და კიდეც მოსძებნა: მისი სატრფო არ მომკვდარა, იგი ცოცხალია, ვინაიდან ნამდვილი, წმინდა სიყვარული უკვდავი გრძნობაა: პოეტის „სულიკოს“ მხოლოდ სიცოცხლის სახე შეუცვლია — და მისი ბინა სამგან აღმოჩნდა: დედამიწაზე — ვარდსა და ბულბულში, ხოლო ზეცაზე — ვარსკვლავში. ამ სახით, გრ. ორბელიანის არ იყოს, აკაკისაც წმინდა სიყვარული საუკუნო გრძნობათ მიაჩნია, რომელიც საიქიოსაც — ზეცაში განაგრძობს ცხოვრებას და საქმოსთანაც კავშირს არა სწყვეტს...

მშვენიერია, სანეტაროა გრძნობა სიყვარულისა — და კვალი, მისგან აღბეჭდილი, ხსოვნა მისი საუკუნოა; მაგრამ თვით გრძნობა სიტკბოებისა, სამწუხაროთ, წამიერია, ცვალებადია. სიყვარულის წყაროში თაფლიც სდის და ნაღველიც: ჯერ თაფლს გასმევს და მერე ნაღველსაც მოაყოლებს, ჯერ ნექტარია და მერე სამსალა („სიყვარული“):

სიყვარულო, ნიჭო სრულო, წამ-ტკბილო და ხანგრძლივ
მწარე,
და აკვანო ნეტარების, მერე კუბოვ და სამარე!

მაგრამ ეს წამიერი სიტკბოება უაღრესად მომხიბლავი გრძნობაა და —

ვინ არის, რომ იმ ერთ წამში არ გასწირავს საუკუნოს?...

ცვალებადობა სიყვარულისა აკაკის ბუნების კანონათ მიაჩნია. სამი თვის სიყვარულის შემდეგ ქალი ვაჟს უსაყვედურებს, „ტრფიალების ტკბილსა ბადაგს ნაღველი აქვს თურმე ძირათ“-ო, და ვაჟი უპასუხებს: „ჩვენ ვერ შევშლით, რაც კანონათ დაუდვია თვით ბუნებასო“ („სატრფოს“).

გრძნობის ცვალებადობის მიზეზათ აკაკის უმთავრესათ ქალი მიაჩნია — და ამიტომ იგი ქალს ეუბნება („ძველ მეგობარს“):

როგორც გაჩენა, გაქრობაც იმ გრძნობის უცნაურია:
დღეს ერთი უნდა ბუნებას და ხვალ მეორე სწყურია...
არ მიკვირს შენი გულის ცვლაც: ქალი ხარ... ჯერი პეპელა!..
ყვავილებიდან ყვავილზე გადაფრინდები ნელნელა!...

მეორე ლექსში („ახ...ს“):

სიზმრათ ვნახე შენი გული; ეს სიტყვები ზედ ეწერა:
გამოცვლილა სიყვარული აქ ოთხმოცდაცხრამეტჯერა-ო

სიყვარულის გრძნობა, მართალია, ცვალებადია — და, სამწუხაროთ, ორივე მხარეში, ქალსა და ვაჟში, ერთსა და იმავე დროს იშვიათად ხდება ხოლმე სიყვარულის გრძნობის ცვალებადობა: როცა ერთის გული უკვე გაგრილდა. მეორისაში ჯერ კიდევ სიყვარულის ცეცხლი ანთია — და ამიტომაც მეგობრისაგან უარყოფილი მხარე საშინელ სატანჯველსა გრძნობს. აკაკი მშვენიერათ ხატავს ამ სატანჯველის საშინელებას („ჩემო თავო ბედი არ გიწერია“), და იგი მიზეზათ აქაც ქალსა სთვლის:

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიქღერია!
ჩემო გულო, ტკბილათ არ გიძგერია,
რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია...
მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ...
თუ მარტო ვარ თავს მომაკვდავს ვადარებ...
აღარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს...
არვინ მაძლევს სანუგეშოთ ძმურათ ხელს..

ამგვარი აზრი პოეტისა ქალზე საფუძვლიანი არ არის. სიყვარულის გრძნობის ცვალებადობა, მართლაც, ბუნების კანონათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ, თუ ეს კანონია, მის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს — ქალიცა და ვაჟიც, და, მართლაც, ცხოვრებაში სწორეთ ასეც ხდება: სიყვარულის ბედნიერებაც და უბედურებაც თანასწორათ არის განაწილებული ქალებსა და ვაჟებს შორის.

აქვე აღსანიშნავია განსხვავებული გრძნობა სიყვარულისა — წრფელი. გულგაშლილი. თუმცა ხშირათ სევდიანი, მაგრამ მაინც ეშხიანი და იმედიანი: ეს არის კ ი ნ ტ ო ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი.

გრ. ორბელიანი, აკაკი წერეთელი, ავქსენტი ცაგარელი[53] და სხვა ჩვენი მწერლებიც თავის ნაწერებში ხშირათ გვიხატავენ ხოლმე თბილისის „კინტოს“. ეს ტიპი მართლაც საგულისხმოა ჩვენს ცხოვრებაში: მუდამ მხიარული, მკვირცხლი გონების, ოხუნჯი, პატიოსანი, გულწრფელი, პირდაპირი, თავდადებული ამხანაგი — აი კინტოს ფრიად სასიმპატიო თვისებანი! აკაკიმ „ჟორჟდეპარი“-ში კინტოს პატიოსანი ხასიათი ასე დაგვისურათა:

ყველანი თვალთმაქცობენ, ქვეყანას სულს ხდიანო...
მე არავის ვატყუებ, — ჟორჟდეპარი მქვიანო!...

კინტოს გრძნობებსა და მის ღირსებებს ბევრათ უფრო ნათლათ და პოეტურათ გრ. ორბელიანი გვიხატავს. იგი სატრფოს მონაა, მისი უანგარო მეგობარი: „ყმასავითა მე ერთგული შენი ვარ; გინდა მკლავდე, არას გეტყვი, შენი ვარ“-ო, — ეუბნება გრ. ორბელიანის კინტო თავის სატრფოს. — იგი თავმომწონე ბიჭია, მომლხენი — მოქეიფე, ჯანითა და ღონით სავსე:

ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ!
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტულუმბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ! —
მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: „ძვირფასი ხარ“!
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ — ზედ წამწამზე მიზიხარ!..ო[59],—

ეუბნება გრ. ორბელიანის თავმომწონე კინტო თავის სატრფოს. აკაკის კინტოს სურათი კი მკრთალია: იგი სატრფოს მხოლოდ თავის სიყვარულს შესჩივის:

ჩემსავით რომ შეგიყვაროს, ვინ არი?
ვინ გაღმერთებს ციურათ მომცინარი,
თუ არ მევე?.. — გინდა ვიყო მძინარი,
შენი სახე მაინც ჩემ თვალ-წინ არი!...
თუ გამიჭრა, კლდეზე გადავვარდები!...
რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
გეფიცები, ტურფავ. შეგიყვარდები...

ეს ლექსი („მუხამბაზი“) შინაარსითაც და გარეგანი ფორმითაც გრ. ორბელიანის ზევით დასახელებული ლექსის სუსტი მიბაძვაა.

5. ბუნება და პოეტი

სახოგადოთ მგოსნები ბუნებას განსხვაებულად ეტრფიან — და ხალხის ყოველდღიური ცხოვრების უკუღმართობით მოწამლულნი, ბუნებაში მარტოვდებიან და იქ ეძიებენ „წყლული გულის მალამოს“. ასეთია აკაკიც: ადამიანებში იგი მოწამლულა და ტყეში მიიღტვის, იქ მოელის სულის დამშვიდებას, რადგან მხეცები მეტ სიყვარულსა და ლმობიერებას იჩენენ, ვიდრე ადამიანები („თვალის ახილვა“).

პოეტი უკვირდება ბუნებას, ცასა და მიწას — და ზეციურსა და ქვეყნიურს შორის საუკუნო კავშირს პოულობს. ბუნება მშვენიერია — და საოცნებო მშვენიერებით სამოთხისაკენ იტაცებს სულსა და გულს: ზეცაში — „მოკაშკაშენი, მოჰიქჩიქენი ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა“, ხოლო დედამიწაც თავის სატრფოს ზეცას ქვევიდან აღტაცებით შესცქერის და სიყვარულით უკავშირდება („ა“. „საღამო“, ბ „ლხინი“):

ქვეყნით ბუნება ბანს ეუბნება —
და ეს ბანია ქებათა-ქება.
ყვავილთა ენა არს სუნნელთ ფშვენა,
საგალობელათ აღმა კმეული,
წყალთა ჩქრიალი, ფოთოლთ შრიალი,
ბალახთ ბიბინი რაღაც გრძნეული!...

ბუნება და ბუნების მოვლენანი აკაკის ცალკე არ წარმოუდგენია: ისინი სიყვარულით ერთმანეთს ეხვევიან, ერთმანეთს უკავშირდებიან, ეალერსებიან — და მათთან არის დაკავშირებული საზოგადოთ ხალხი და კერძოთ და განსაკუთრებით — მგოსანი. ჩვენი პოეტის წარმოდგენით („გაზაფხული“), გაზაფხულზე „ხავერდივით მწვანე ბალახს“ იმისთვის „აბიბინებს სიო ნაზათ“, რომ „თითქო უნდა დაეფინოს იმ ყვავილებს ფიანდაზათ“; აგრეთვე —

მაღალ მთიდან წმინდა წყარო მოცქრიალობს ჩუხჩუხითა,
თითქო ნანას ეუბნება ძუძუმწოვრებს ტკბილი ხმითა.

გლეხისა და ქვეყნის დიდებას — ყანას ცისკრის სხივები მოსავს, ნამი ბანს, დილის ნიავი უქროლავს და ალერსით ნანას ეუბნება, ჟუჟუნა წვიმა ზურმუხტად ამწვანებს და აბიბინებს.

დიდია, ძლიერია ადამიანის არსებაზე ბუნების გავლენა: ადამიანის ნიჭიერება, მისი ზეკაცობა, მისი გენიოსობა შედეგია ცისა და მიწის შემყარებისა, მათი კავშირისა („დედოფალას ღამის თევა“).

მშვენიერი, მრავალფერი, მზის ნაშუქი, თინათინა —
ცა და მიწის შემყარებამ ამ სოფლისთვის გააჩინა.
აკვნათ მისცა მიწა და ცა, გამდელ ძიძათ — მთლათ ბუნება
ზღვა და ხმელი, ტყე და ველი მას ნანინას ეუბნება!..

ასე იბადებიან და იზრდებიან ბუნების წყალობით პოეტ-გენიოსები და შემდეგ ბუნებასვე უკავშირდებიან, რომ მასში შეიგნონ აზრი და მიზანი ქმნილებისა. და ცხოვრებაში ტრიალობენ, რათა ხალხს წინამძღოლობა გაუწიონ და მისი ჭირი და ლხინი გაიზიარონ.

პოეტის დანიშნულებაზე ორგვარი შეხედულება არსებობს: ზოგი იმ აზრისაა, რომ პოეტის საქმე მხოლოდ მგოსნობაა, იგი მხოლოდ პოეტურ შემოქმედებას უნდა ეწესახურებოდეს, ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში მონაწილეობა მას არ უნდა ეკითხებოდეს, ეგ მისი საქმე არ არისო; ზოგი კი — გარდა კალმისა, გარდა წმინდა პოეტური შემოქმედების სამსახურისა — პოეტს სხვა სამსახურსაც ავალებს: ხალხის გვერდში ყოფნას, მის ჭირსა და ლხინში მონაწილეობას.

რუსის პოეტი პუშკინი[60] ერთს თავის ლექსში «Чернь»[61] პოეტის პირით „შავ ხალხს“ ეუბნება „იქით გამეცალეთ! რა საქმე აქვთ მგოსნებს თქვენთან?!... არა მიწიერი ცხოვრების მღელვარებისათვის, არა ანგარებისა და ბრძოლისათვის ვართ ჩვენ დაბადებულნი, არამედ ზეშთაგონებისათვის, ტკბილი ხმებისა და ლოცვებისათვის“-ო.

ჩვენი პოეტები აკაკი და ილია, სრულიად წინააღმდეგი აზრის არიან ამ საგანზე, ვიდრე პუშკინი. ილია ლექსში „პოეტ“-ში ამბობს: „არა მარტო ტკბილ ხმათათვის გამომგზავნა ქვეყანათ ცამა“-ო; ამით იმის თქმა უნდა, რომ პოეტი, რასაკვირველია, ზეშთაგონებას უნდა მისდევდეს, პოეზიას უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ მარტო ეს არ კმარა: იგი ადამიანთა შორის ადამიანურათ უნდა ცხოვრობდეს:

მე ცა მნიშნავს — და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ელაპარაკობ, რომ წარეუძღვე წინა ერსა..
...
დიდი ღმერთის საკურთხევლის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა ჭოძმეთ ვიყო ჰმუნჯასა და სიხარულში,
ერის წყლული მიჩნდეს წყლულათ, მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით დამედაგოს მტკიცე გული-ო[62]

ასეთია ილიას აზრი პოეტზე — და ასეთივე აზრისაა აკაკიც. ლექსში „ჩანგური“-ში აკაკი ამბობს:

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს;
ერთი ჰქონდეს მას საგანი:
ჰარმონია მისი ხმების
ცხოვრებაში იყოს ბანი
ხან ლხენის, ხან მწუხარების...

რომ დაჩაგრულს მისი ყღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს.
და მჩაგვრელს კი გულში ბგერით
ისარივით ესობოდეს-ო.

სიმბოლისტ-ფუტურისტების ჩვენში გამოსვლას აკაკი უარყოფითად შეხვდა და ცხოვრებისაგან განყენებულათ მათი ცაში ფრენა და ხალხისათვის გაუგებარი, უნიადაგო მათი პოეზია დაგმო. აკაკის სხვა შგოსნებზე ნაკლებ არ უყვარს ცა, მაგრამ ეგ სიყვარული მით აჭის გაძღიერებული, რომ პოეტი ცასა და მიწას შორის მტკიცე კავშირს პოულობს (იხ. „ლხინი“ და „საღამო“); აკაკი ხშირათ ნავარდობს ხოლმე ზეცაში, მაგრამ ამ დროსაც კი ერასოდეს არ ივიწყებს მიწას, დედა-მიწას, სადაც მას ეგულება ხალხი, ცხოვრება, საშრობლო მხარე, რომელთა სამსახურისათვისაც მიაჩნია მას თავის თავი მოვლენილათ.

ლექსში „აღმართ-აღმართ“-ში აკაკი ამბობს: „ცის მახლობლათ ფეხთ ქვეშ ვიგრძენ მიწა მე“-ო! დიახ, „ცის მახლობლათაც“ პოეტს არ ავიწყდება მიწიერი ცხოვრება, არ ავიწყდება „სატრფო“, საყვარელი სამშობლო — და იქაც ამაზეა დაფიქრებული:

და ვიფიქრე ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ბურავს, თუ მზე უდგას სადარი?..

აკაკის აზრით, პოეტი, „ხან მიწისაა, ხან ცისა“ — და ეს იმას ნიშნავს, რომ მგოსანი ცასაც უნდა ესაუბრებოდეს და მიწასაც, პოეზიასაც უნდა ემსახურებოდეს და ცხოვრებასაც: როცა ზეშთაგონებულია, იგი ციურ ხმებს, ღვთაებრივ საგალობელსა თხზავს, ხოლო ჩვეულებრივ მდგომარეობაში ხალხს გვერდში უდგას და ცხოვრების მძიმე ტვირთს შეძლებისამებრ უმსუბუქებს.

მაგრამ ჩვეულებრივ ხალხთან შედარებით, მგოსანი მეტათ იდეალურ ცხოვრებას ისახავს — და ბრბოს მისი სიმღერა ხშირათ არ ესმის, ხშირათ ზურგს აქცევს და კიდეეაც კიცხავს. ამგვარი უყურადღებობა და შეუგნებლობა მგოსნებს გულს უწამლავს ხოლმე — და მათ ნაწერებში ხშირათ ისმის ამით გამოწვეული გულის ტკივილი. ზევით დასახელებული უკიდურესი შეხედულება პუშკინისა ბრბოს ამგვარი მოპყრობითაა გამოწვეული.

აკაკიც ბევრს თავის ლექსში გვიხატავს პოეტის ამ გულის ტკივილს; მაგალითად, კრილოვის „ვირი და ბულბული“-სებურ არაკში („არაკი“) აკაკის დახატული ყავს უგუნური მებაღე, რომელიც ბულბულის სტვენას იწუნებს და ვირის ყროყინს იწონებს. ამით გულდამწვარი ბულბული „ცხრა მთას იქით“ მიფრინავს — და ვირი მის ადგილს იკავებს ბაღში. „ხარაბუზა და ფუტკარ“-ში — ხარაბუზა, რომელიც შეუგნებელ ბრბოს აღნიშნავს, ფუტკარს, ე. ი. პოეტს, „ბზუ-

ილას, ტყუილას, შხამიანს, მკბენარსა და უსაქმურს“ უწოდებს: ფუტკარი ნაღვლიანი დაცინვით უპასუხებს:

ბევრს რომ შრომობ, ნუთუ ფიქრობ, რომ მთა და ბარს
ასწორებო!..
მხოლოდ ფუნეს აგუნდაებ, იქვე ახლოს აგორებო!...

შემდეგ ფუტკარი, ცოტა არ იყოს გაზვიადებული სიამაყით, განაგრძობს:

მე კი სხვა ვარ, სულ სხვა მუშა და სხვაგვარათ მოღვაწეო:
ზეცის მუშას მეძახიან, არ ვარ მარტო სამიწეო!...
მისთვის დავფრენ მოუსვენრათ, რო მოვსძებნო ყვავილიო,
გულის წვენი ამოვწუწნო, სამკურნალო რამ ტკბილიო, —
შევუმზადო მით ქვეყანას თაფლი, ზეცას სანთელიო,
რომ იქ წმინდათ შეიწიროს და ანათოს აქ ბნელიო!...

ფუტკარი აკაკის პოეტის „სარკეთა და სახეთ“ მიაჩნია — და მეორე ლექსში („ფუტკარი“) იგი მას ეუბნება:

სიტკბოს რომ ეძებ სათაფლოს, მიტომ ხარ მოუსვენარი . —
და, ვინც ხელს გიშლის შრომის დროს, მხოლოდ იმას მკბენარი...
სარკე და სახე მგოსნობის, ემბლემაცა ხარ შრომისა, —
შენათხზი სიყვარულისა და წმინდა გულს წყრომისა-ო.

„ხარაბუზა და ფუტკარ“-ში მხატვრულათ არის გამოთქმული ის აზრი, რომ პოეტი ზეცასაც ემსახურება და მიწასაც; მაგრამ არ არის მოსაწონი, რომ პოეტი (ფუტკარი) თავს იქებს: რაც ბრბოს (ხარაბუზას) ეპატიება, ის ზეკაცს (ფუტკარს) არ ეპატიება.

პოეტი აკაკის ზოგჯერ უბრალო შუაკაცათ მიაჩნია ხშირათ უგუნურადაც, „გარემოების საყვირათ“, ხოლო — ზოგჯერ ბრძენათ („პოეტი“). სრული ადამიანი ის არის, ვინც ერთსა და იმავე დროს მტრედივით უმანკოა და გველივით ბრძენიაო — და ამისთანა ადამიანია პოეტიო („პასუხი ჭალადიდელისადმი“)[63], — პოეტი, როგორც ზევით ვსთქვით, ცხადია მაშინ არის ბრძენი, როცა, ზეშთაგონებით აღტაცებული, ღვთაებრივ ხმებსა და აზრებს გვიხატავს, დანარჩენ შემთხვევაში კი — ჩვეულებრივი ადამიანია, უბრალო მომაკვდავი. ეს აზრი რასაკვირველია, მართალია, მაგრამ აკაკი პოეტის სიბრძნეს ერთობ აზვიადებს და, მასთან შედარებით, ჩვეულებრივ მუშაკსა და მოღვაწეს მეტისმეტათ ამცირებს. ერთ ლექსში („უ...ს“), რომელშიც ერთი თანამედროვე პატიოსანი მუშაკი ყაენს მხედველობაში, აკაკი ამ გულმოდგინე მუშაკს ვირს ადარებს, ხოლო მგოსანს — ბედაურს, და ამბობს: ვირი რომ შრომობს და მცირე ტვირთს ეზიდება, ასე გონია — დიდ საქმეს ვაკეთებო, და ნამდვილათ კი მისი ტვირთი ბედაურისათვის არაფერს შეადგენს — „და ვირის საველე გზას გაიცლის თორმეტჯერ ჩქარა“-ო, და ბოლოს დასძენს:

ეირები რაგინდ ტეირთ-ჭვეშ მოკედენ, ისრისონ ზვავით,
მაინც არ ეთქმისთ უბედურებს ბედაურები-ო.

ამგვარი კვეხნა და მშრომელი ადამიანის დაცინვა და დამცირება, რაგინდ უბრალო საქმეს აკეთებდეს იგი, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, მოსაწონი არ არის.

პოეტის გული აღელვებული ზღვისა დარია:
ზვირთებს აგორებს, სდგამს ტალღის გორებს, თუ აედარია-ო—

ამბობს თვით აკაკი („პოეტის გული“) — და, მაშასადამე, ამ ღელვისა და შფოთვის დროს პოეტიც ზღვასავით ხშირათ უდანაშაულო მსხვერპლსაც იწირავს, როგორც ეს ჩაიდინა მან ამის წინ მოხსენებულ ლექსში („უ...ს“). საზოგადოთ კი პოეტის ღელვა და შფოთვა ცხოვრების პოროტებითაა გამოწვეული, რომელიც მას სწადია მშფოთვარე ზღვის ტალღებით წალეკოს, შხამ-ნაღველის მორევში ჩაახჩოს (მოიგონეთ რისთვის აქვს ფუტკარს გესლიანი ისარი, პოეტს — ჩანგური, რისთვის არის შეზავებული აკაკის მელანი თაფლნაღვლით). სამაგიეროთ — როგორც ზღვა ღელვის შემდეგ, ისე პოეტის გულიც ზეშთაგონების შემდეგ სარკესავით დაწმენდილია და მშვიდი, და როგორც ზღვაში შეიძლება მაშინ მარგალიტის პოვნა, ისე პოეტიც გვიძღვნის ხოლმე მარგალიტებს („პოეტის გული“): ეს არის მისი წმინდა გრძნობა და ბრძნული აზრები, ნაშთი მისი ღვთაებრივი ზეშთაგონებისა...

ამ სახით, აკაკის აზრით, პოეტის სამსახური ქვეყნის წინაშე დიდია: მისი სიტყვა და აზრი ზოგისთვის თაფლია, ზოგისთვის სამსალა, მაგრამ მისი სამსალა, მისი შხამი და ნაღველიც კი ქვეყნისათვის სასარგებლოა:

ვინც რო მიყვარს, ის ხომ მიყვარს!
ისიც მიყვარს, ვინც რომ კი მძულს:
მწარე ენას ვამსაბურებ
გაწმენდილს და მარად ტკბილ გულს-ო,

ამბობს აკაკი იმ აზრით, როგორც არის ილიას შემდეგ სიტყვებში:

„ზოგი გულის ტკივილს იმით იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უჭებს, და ზოგი კი იმით, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტად ჰეშმარიტი გულის ტკივილი და სიყვარული აქვს — ეს თვითონ მკითხველმა გამოიცნოს“ („კაცია—ადამიანი“) [4].

ასე გულშემატკივარი არიან პოეტები ქვეყნისათვის, მაგრამ ქვეყნისაგან ისინი ამის ჯილდოთ მხოლოდ დევნასა და სიძულვილს იმსახურებენ, როგორც ძველათ წინასწარმეტყველები. ლერმონტოვის წინასწარმეტყველი ამბობს: მას შემდეგ, რაც ზეცით ყველაფრის შეგნების ნიჭი გადმომეცა, ადამიანთა ცხოვრების კაბადონზე სულ ბოროტებისა და ბიწიერების სტრიქონები მეჩხირება თვალშიო; ვიწყე სათ-

ნოებისა და სიმართლის წმინდა მოძღვრების ქადაგება — და მყისვე ბრაზმორეულმა ჩემმა მოძმეებმა დევნა დამიწყეს და ქვები დამიშინეს[65].

ჩვენი პოეტიც ამბობს („ჩანგურის ძალა"), რომ მას შემდეგ, რაც მუზამ ჩანგური გადმომცა,

სულმან გრძნო უცხო ძალი:
გულში ამენთო ალი!...
ვნახე, თურმე ბრმა ვიყავ —
და გავახილე თვალი-ო.

თვალახილულმა მგოსანმა ცხოვრებაში ყველგან ბოროტება დაინახა. ყოველ ადამიანში ფარისევლური სული და გული იპოვნა. იწყო მათი მხილება და ყველა გადიმტერა. როდესაც ადამიანთა შორის მეგობარი ვერავინ იპოვნა, მგოსანმა მუზის რჩევით ჩანგური გაიხადა მეგობრათ — და, მართლაც, მისი მეოხებით სული მისი დატკბა და დამშვიდდა:

შემდეგ შენ ხარ ნუგეში:
გიდებ გრძნობით უბეში,
ტკბილ გრძნობას დაგღიღინებ
და სევდას ზედ დაგხვნეშ!...

აკაკი ხშირათ ესაუბრება ჩანგურს, ხშირათ შეტრფის მის სიმთა ჟღერას, რადგან მასში ხედავს ტკბილმგოსნობის, პოეზიის ემბლემას. ჩანგური. ან პოეზიის საუცხოო ჰანგები — რაც ერთი და იგივეა — არის მანუგეშებელი როგორც ყარიბის, მარტოხლათ დარჩენილი მგოსნისა, ისე მთელი ერისაც: იგი აღიძებს, აცოცხლებს და ანუგეშებს დაჩაგრულს, ტყვეობაში მყოფ ერს („თემურ-ლენგის[66] ტყვე"):

სად არის ჩვენი ჩანგური, ქვეყნის პირი და ლხინიო,
სამშობლოს სისხლი და ხორცი, მისივე ნაღველ-ტკივილიო?
მაშინ მიუგო მგოსანმა: „გულზე მე დავიკიდეო:
ვერ გავეყრები, გინდ მოვკლო ტყვეობით კიდით-კიდეო!
ჩემი სამშობლოს სიცილი და მისი მწარე კვნესაო —
ორივე ერთად სიმებმა შიგ გულში ჩაიკვნესაო!

თვით ჩვენი პოეტის მოწამლულ სულს ჩანგური (კალამი, პოეტური აღმაფრენა) იმით კურნავს, რომ იგი „ოცნების ზღვაში მცურავია, ჯორა აქვს ია-ვარდისა, სიმები-ბულბულის ენა, ფრთები / არწივის ასხია"— და მგოსანს, რომელიც, „გზა კვალის ამრევის, შავპირის, უპირო ბედის" წყალობით „აჩრდილილაა წარსულის და ლანდი მომავალისა", — ტკბილ ოცნების მხარეში აფრენს და მწარე სინამდვილეს ავიწყებს:

მიმოფრენ, მეც თან დაგყავარ
წამის-წამ, კიდის-კიდესო...
ველარ მერევა სიკვდილი
მე, შენსა გადამკიდესო!
დიდება შენსა მოვლენას,
ციურო, ტკბილო ძალაო!..
დაადნა გული შენს სიმებს —
და სელიც დაიცალაო!...

ერთ ადგილას („პროზიდან „ბოდვა“) აკაკი პოეტზე ამბობს:

შენი ქება და დიდება, შენი ჰირი და ლხინიო, —
მაღლიდან გადმომაძახეს, — ქამანჩაა და სტვირიო!
შენ მხოლოდ ნუ მოშორდები იმ შენს ქამანჩა-სტვირსაო: —
თუ შენვე არ უღალატებ, ის არ გაგიტეხს პირსაო!...

აკაკის კარგად ესმის, თუ რატომ ყავს ნამდვილს, ქვეყნისათვის თავდადებულ მგოსანს მრავალი მკიცხველი და მდევნელი: იმიტომ, რომ თვით მგოსანი ფუტკარივით კბენს და ისრავს ყველას, ვინც მას ქვეყნის სამსახურში ხელს უშლის, თვით იგი ამხილებს და დევნის ქვეყნის მჩაგვრელებსა და უგუნურთ — და ცხოვრება ხომ სწორეთ ამისთანებითაა სავსე: მაშასადამე, გასაკვირველიც არ არის, რომ ამისთანა მგოსანს მტერი ბევრი ყავდეს.

აკაკის თავისი დამახასიათებელი თვისება, რომელიც მან „გულის-პასუხში“ გამოხატა, საზოგადოთ მგოსნების თვისებათ აუღიარებია — და ამიტომ ერთ ლექსში („მგოსანი“) ამბობს: უფალმა მგოსანს თანახმათ მისი თხოვნისა, „გული წმინდა და სული წრფელი“ მიმადლაო, —

უსძიან ზეცით საყოველთაოთ
და აუმაღლა მგოსანთა გული...
საერთო განძათ, საშვილიშვილოთ
ჩასდვა სიმართლე და სიყვარული.
მოსეს მახვილათ, არონის კვერთხათ
ხელთ მისცა რჩეულთ უმანკო ქნარი.
და უსუპის წილ სიმებს ასხურა
შეზავებული თაფლ-ნაღველ-ძმარი.
ხმა უცნაური, ხმა საამური
გაისმა ქვეყნათ მარად და მარად: —
ზოგისთვის ის ხმა თაფლ-მალამოა,
ზოგს გულზე ხედება ის ნაღველ-ძმარად.
ერთიც მღელვარებს და მეორეცა,
ორივე სწორათ მოხიბლულია,
და თვით მგოსანიც ერთის საქები,
ათასისათვის წყეულ-კრულია..

აი მიზეზი, თუ რათ იკიცხვის და იდევნება მგოსანი უმრავლესობისაგან; მაგრამ იგი გულს მაინც არ იტეხს და თავის საერო სამსახურს უშიშრათ განაგრძობს:

მაგრამ მგოსანი ფიქრობს: „ამ ქვეყნით
ყოველი ზრახვა არის ამაო, —
სულს შემუსვრილს და გულს დამდაბლებელს
ნუ შეურაცხყოფ შენ კი, მამაო!...
ამბობს — და ჩანგის სულის ჩამდგმელი
ცა-და ქვეყანას ესალბუნება!...
ზევსური მისი უტყუარია
და მრავალფერი, ვით თვით ბუნება!...

პუშკინიც. რუსის ეგ სახელოვანი მგოსანი, უგუნური ბრბოსაგან მოწამლული მგოსნის სულის მალამოს თვით მგოსანშივე პოულობს — და ამიტომ ეუბნება მას: „შენ ხშირათ გაიგონებ ხოლმე უგუნურთა მსჯავრსა და გულცივი ბრბოს დაცინვას, მაგრამ ნუ შედრკები, კვლავ იქონიე სულის სიმშვიდე... შენ მეფე ხარ: იცხოვრე მარტოთ, იარე თავისუფლათ შენს გზაზე საითაც გაგიძღვეს შენი თავისუფალი გონება! შეამზადე ნაყოფი შენი საყვარელი ფიქრებისა — და კეთილშობილის შენი ღვაწლისათვის ჯილდოს ნურავისაგან თხოულობ: იგი თვით შენში არსებობს“-ო![67].

6. გლეხის საკითხი

მე-60 წლებში გლეხის საკითხი მთელ რუსეთში მთავარ საკითხათ გადაიქცა. ევროპის სახელმწიფოებში ეგ საკითხი დიდი ხნის გადაჭრილი იყო — და რუსეთიც ვერ ჩამორჩებოდა, ავათ თუ კარგათ აქაც უნდა გადაწყვეტილიყო იგი. რუსეთის განათლებულ საზოგადოებაში ნიადაგი ამისათვის საკმაოთ მომზადებული იყო და ამ მომზადებაში დიდი როლი შეასრულა ტურგენევის[68] „მონადირის წერილებმა“. მართალია, ახალგაზრდა იმპერატორმა ალექსანდრე II-ემ ტახტზე ასვლისთანავე გულში მტკიცედ ამოიჭრა რუსეთის სახელმწიფოში გლეხების გათავისუფლება, მაგრამ ამ განზრახვის დაჩქარებით სისრულეში მოყვანას იმ გარემოებამ შეუწყო ხელი, რომ ბევრი შეგნებული მოღვაწე და მწერალი ამ აზრს თანაუგრძნობდა. ალექსანდრე II-ს ტურგენევისათვის უთქვამს: „მონადირის წერილები“ რომ წავიკითხე, მას შემდეგ ერთ წამსაც არ შეჩერებულა ჩემი ფიქრი გლეხთა გათავისუფლების შესახებო.

რუსეთში გლეხების გათავისუფლების მანიფესტი 1861 წლის 19 თებერვალს გამოიცა. გავიდა ამას შემდეგ სამი წელი — და აღმოსავლეთ საქართველოს (ამერეთის) გლეხების გათავისუფლების მანიფესტიც გამოვიდა (1864 წლის ოქტომბერში), ხოლო დასავლეთ საქართველოს (იმერეთისა) 1865 წელს.

რაკი საგლეხო საკითხი მაღლიდან წყდებოდა, მწერლობისა და ინტელიგენციის როლი იმაში გამოიხატებოდა, რომ ცხოვრებაში ამ რე-

ფორმის უტკივრათ გატარებისათვის ხელი შეეწყოთ. ამ ხრით ჩვენში დიდი სამსახური მიუძღვისთ მე-60 წლების მოღვაწეებს, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც ბატონისა და ყმის ურთიერთობა კალმითაც და სიტყვითაც მრავალმხრივ გააშუქა და მისი ბოროტი მხარეები ყველას ნათლად დაანახა.

აკაკიც ილიას გვერდში უდგა და ამავე აზრებისათვის იბრძოდა. დედააზრი ორივე მგოსნის შეხედულებისა ერთი და იგივეა: გლეხი ბატონისაგან ნივთიერათაც და ზნეობრივათაც იჩაგრება: გლეხი ქვეყნის მარჩენალია, იგი დღედაღამ ოფლსა ღვრის და ქვეყნის სარჩოს იწევს, მაგრამ ამ სარჩოდან პირადათ მას ისე მცირე ნაწილს არგუნებენ ხოლმე, რომ ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცება; იგი ყველას თვალში დაბალი ღობეა — და ყველა მას „თავში უჩაჩქუნებს“ („აკაკის მუშური“):

> ყველა თავში გვიჩაჩქუნებს, გარეშე და შინაური...
> ცხელსა მიწას უხვათ აღბობს ოფლი, ჩვენგან მონაწური: —
> ჩვენი ჯაფით მონაყვანი — სხვასთან მიდის საზღო პური...

ან კიდევ („ახალი გზა“):

> მხოლოდ საწყალ მიწის მუშას არავინ ყავს გამკითხავი:
> მისი ოფლით თავს იკვებენ, ჭურჭათ მიდის მისი ტყავი.

გლეხის უბედურება, აკაკის აზრით, კიდევ ის არის, რომ მას, შავ დღეში მყოფს, დამცველი არა ყავს, და თუ იშვიათად ვინმე მოსარჩლეთ გამოუჩნდა, ამგვარ პირს სასტიკად სდევნიან და შიმშილით სულსა ხთიან („მოგონება“):

> გამოახილეთ — ამბობდა — თვალი;
> შეიტყვეთ, გლეხიც თქვენი ძმა არი!...
> და რას ისმენდა ნაცვლათ საწყალი?
> —ჩუ, თორემ ცხვირში წაგსკდება ძმარი!..

როგორც რაფ. ერისთავის გლეხები ათასგვარ გაჭირვებას განიცდიან, მაგრამ მაინც კმაყოფილი არიან თავისი ბედისა, ისე აკაკიც ამბობს გლეხკაცზე („მუშებს“):

> მუშებო, თქვენი მარჯვენა იკურთხოს, ოფლით ნაბანი!
> მიწაა თქვენი ლოგინი, და ლაქვარდი ცა — საბანი!...
> უდროოთ გცივათ და გცხელათ, ბევრჯერაც რჩებით მშიერი, —
> მაგრამ ყველაფერს აიტანს თქვენი მარჯვენა ძლიერი-ო.

პოეტი აქვე გლეხებს ეუბნება: თქვენ კარგად გესმისთ, რომ მშრომელ კაცს სხვისი მონება არ შეშვენისო, „მაგრამ ჰირს ფარავთ საოცრათ — და დახვალთ უსაყვედურო: არ გინდათ, რომ სხვამ შეგნიშნოსთ და გითხრასთ: „თქვე უბედურო!“-ო.

მგოსანს გლეხების ამგვარი საქციელი მოსწონს და ამბობს: „ამგვარი ამპარტავნება ძლიერებაა სულისა“-ო.

ამგვარი შეხედულება ადამიანის ცხოვრებაზე საფუძვლიანი არ არის. ჯერ ერთი — ვერაფერი ნუგეშია ცხოვრებაში დაჩაგრული ადამიანისათვის, რომ იგი უსამართლო ტანჯვა-წამებას „ძლიერი მარჯვენის“ მეოხებით იტანდეს და ითმენდეს, და მეორე — ჰირის დამალვა და მჩაგვრელის წინაშე ჩუმათ ქედის მოხრა „სულის ძლიერება“ კი არ არის, არამედ თავმოყვარეობის უკონლობისა და უძლურობის ნიშანია.

ამ საბით, შეგნებულ ადამიანს უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა მართებს და არა მონურათ ქედის მოხრა, მაგრამ რიგიანი ადამიანი თავის მჩაგვრელს იმ აზრით კი არ უნდა ებრძოდეს, რომ მაგიერი გადაუხადოს, არამედ იმ მიზნით, რომ მისი ჩაგერა თავიდან აიშოროს, მისი ბოროტმოქმედებისაგან გათავისუფლდეს.

ამ მხრით საყურადღებოა აკაკის ლექსი „მუშის ნატვრა“, სადაც პოეტი სიყვარულითა და აღტაცებით გვისურათებს უმაღლესათ პატიოსან გლეხს, რომელიც რაფ. ერისთავის გლეხს თედოს[69] და მასზე ნათქვამ სიტყვებს მოგვაგონებს: „სხვისი არ უნდა თედოსა, მოძმეს არ შეეცილება“-ო[70]. მშვენიერია გრძნობა დაჩაგრული ადამიანისა, რომელსაც სხვისი დაჩაგვრა, უპატიოსნო ცხოვრება ფიქრათაც არ შოუვა:

ვისაც რა უნდა უყვარდეს, სულ სხვაა ჩემი ტრფიალი:
მიყვარს პირწმინდა ნამგალი, მისი ყანაში ტრიალი!...
თავი მოუკვდეს ზოგიერთს, რომ იტაცებენ სხვისასა, —
საწყალ კაცს ჯიბეს აჭრიან, ურცხვათ ივსებენ ქისასა.
ქორი ვარ, სხვას რო მოვსტაცო? რათ გავიშავო პირი მე?
გარს შემოვევლე ჩემს გუთანს, ჩემი სახნისის ჰირიმე!..
რათ დავიბნელო სიხარბით სამიწე წუთის თვალები?
ხერხსა, ხელეჩოს, სატეხსა, ნაჯახ-ცულს ვენაცვალები!...
რაც ჩემი ურმის არ არის, სახლში არ შემიტანია!...
ღმერთმა მაშოროს, რაც ჩემის ოფლით არ გამიბანია!...

„გლეხის აღსარებაში“, აკაკის რეზონერული, სინამდვილის წინააღმდეგი აზრი აქვს გატარებული. დაჩაგრული გლეხი თავის მჩაგვრელს ეუბნება, „ძმური კავშირით ვიცხოვროთ ერთმანეთ შორის, თვარა, თუ რომ ჩვენ ერთმანეთს გადავეკიდეთ მტრულათ, მაშინ ჩვენი ქვეყნის საერთო მტერს ვინ უწინააღმდეგებს“-ო?! სამწუხაროთ, აკაკის დროის გლეხობა ამგვარ შეგნებამდე არ მისულა.

ბატონყმობისაგან გათავისუფლებული გლეხობის შესახებ აკაკი იმ აზრისაა, რომ გლეხების უმიწა-წყლოთ გათავისუფლება ვერაფერი თავისუფლებაა, რადგან უმიწოთ ცხოვრება მას არ შეუძლია, სიმშილით სიკვდილი მოელისო („არაკი“).

„მამიშენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელი“-ო, — უმღერის დედა ბატონყმობისაგან გათავისუფლებული გლეხის შვილს. ეგ „სხვა

ბედი"-ც ის არის, რომ ბატონყმობის დროს გლეხის განათლებაზე არავინ ზრუნავდა, შემდეგ გათავისუფლებისა კი ახალგაზრდა გლეხობას განათლებისაკენ გზა გაეხსნა — და დიდი კაცის შვილს შკოლაში გვერდით მოუჯდება... ძველ ბატონისშვილს სწავლაში არ ჩამორჩება" („იმერული ნანინა").

ბატონყმობის ბორკილის დამტვრევის შემდეგ გლეხმა არა მარტო სწავლა-განათლებისაკენ, არამედ საზოგადოთ მოქალაქის სწორუფლებიანობისაკენაც გაიკაფა გზა. — და დღეს იგი უკვე იმგვარივე უფლებამოსილი მოქალაქეა, როგორც ყველა სხვა. რაც შეეხება მიწასთან გლეხის დაკავშირებას, უნდა ვთქვათ, რომ წარსულში (ბატონყმობის დროს და შემდეგაც, უკანასკნელ ხანამდე) მემამულე უფრო დაინტერესებული იყო მიწით, ვიდრე გლეხი: გლეხი მხოლოდ იარაღი იყო მის ბატონის ხელში — და ამ იარაღს ბატონი ყოველნაირათ ხმარობდა იმისათვის, რომ მიწა არ გამცდარიყო და მისი შემოსავლით კმაყოფილებით ეცხოვრა; გლეხს კი მისივე ნაშრომიდან ცოლ-შვილისათვის საყოფი სარჩო არ მოუდიოდა — და სული კბილით ეჭირა. მაშასადამე, წარსული ცხოვრების პირობათა მიხედვით, არ შეიძლება დავეთანხმოთ პოეტს, რომელიც ყანას „გლეხის დიდებას" უწოდებს („ყანა"). აქვე მგოსანი ყანას „ქვეყნის სამოთხეთ" აღიარებს — და ეს კი ჭეშმარიტებაა: ყანა — და საზოგადოთ მიწა და მიწის ყოველგვარი მოსავალი — ქვეყნის სარჩოა, მთელი ხალხის მასაზრდოებელია და ყველასათვის იგი ერთნაირად საგულისხმოა: მთელი კაცობრიობის ინტერესია მასთან დაკავშირებული, და არა ერთის რომელიმე პროფესიის ხალხისა, და აი, რატომ სთვლიან სოციალისტები საჭიროთ, რომ უწინარეს ყოველგვარი სხვა საკუთრებისა, მიწის საკუთრება მოისპოს და იგი მთელი ხალხის საერთო მფლობელობაში გადავიდეს. მხოლოდ მაშინ შეიძლება (რასაკვირველია, გონიერისა და პატიოსანი მმართველობის ხელში) მისი მოსავალი საჭიროებისამებრ და მიზანშეწონილათ განაწილდეს მცხოვრებთა შორის და სარჩო და საზდო ყოველი ადამიანისა სპეკულიაციის და ექსპლუატაციის საგნათ არ გადაიქცეს.

გლეხის ცხოვრების გამომხატველ ლექსებს შორის „სიმღერა მკის დროს" ერთადერთი ლექსია აზრგადაუკვრელი, ყოველგვარ რეზონერობას დაშორებული. იგი ცოცხალი სურათია გლეხობის გულუბრყვილო ცხოვრებისა, გულჩაუთხრობელის, ხალისიანი მუშაობისა. აქ ერთსა და იმავე დროს გამოხატულია ლხენით სავსე სოფლური ქეიფი და ხვავიანი, ბარაქიანი მუშაობა — მკა პურისა, ნამგლის ტრიალი:

მეთაურო, დაგვაცალე!
ჯერ ეს ყანწი გამოცალე!..
მერე განახავთ, რაც ბიჭი ხარ, —
ნამგალი დაატრიალე!...

შკაში არც ჩვენ ჩამოგრჩებით,
ჩვენც გვერდში ამოგიდგებით: —
გულგაღეღილი, პერანგა —
პურს ცეცხლივით მოვედებით!...

პოემები და მოთხრობები

აკაკის საკმაოთ მრავალი პოემა და მოთხრობა დაუწერია, მათში ბევრ ადგილას გამოსჭვივის აკაკის ჩვეულებრივი ნიჭი, პოეტური აღბაფრენა და სიცოცხლე; მაგრამ მათ შორის ერთიც არ არის იმისთანა, რომ მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდეს — ისე, როგორც მაგალითად ილია ჭავჭავაძის პოემები და მოთხრობები. ამ ჩვენს ორ მგოსანს თავთავისი დარგი აქვს პოეტური შემოქმედებისა — და ერთი ერთში მეფობს, ხოლო მეორე — მეორეში, ისე რომ ამ დარგებში ისინი ერთმანეთს ვერ შეეცილებიან. აკაკი ძლიერი და მშვენიერია პატარა-პატარა ლირიკულ ლექსებში, ილია კი — მოზრდილ პოემა-მოთხრობებში. აკაკის ტემპერამენტი ჩქარია, მისი შემოქმედება ელვასავით მკვირცხლი და წუთიერია, ილია კი დინჯის, აუჩქარებელი ტემპერამენტისაა, — მისი შემოქმედება ხანგრძლივია, წინასწარი მოფიქრებითა და შეგრძნებით გაზომილი და გამთბარ-გაღვივებული. აკაკი მზისა და მთვარის სხივებს, ელვის თვალწარმტაც ციურ კლაკნილებს ცალი ხელით იჭერს, ხოლო ილია ისო ნავინივით[71] უბრძანებს ცის მნათობთ: „შესდეგ მზეო, და ნუ იძვრი, მთვარევ“-ო! უბრძანებს და კიდეც აჩერებს მათ, რათა მათი შუქით ჯერ თვითონ ხანგრძლივათ გაიმსჭვალოს და დასტკბეს — და მერე სხვებიც ხანგრძლივათ გამსჭვალოს, შებოჭოს და დაატკბოს!...

ასეთია ამ ორი მგოსნის ტემპერამენტი — და ამიტომაც აკაკის ილიასავით საგულისხმო, გრძნობა-გონების მომხიბლავი პოემები ვერ შეუქმნია — ისე, როგორც ილიასაც ვერ შეუქმნია აკაკისავით ქარვა-ძვირებივით აცმული და მოკრიალე წვრილი ლექსები.

აკაკის შემდეგი პოემები და მოთხრობები დაუწერია: „თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატ დიდი“, „ნათელა“, „კიკოლას ნაამბობი“, „ალექსი“, „ქუთათელის სიზმარი“, „ორი ქართველი“, „გამზრდელი“, „ნაცარქექია“, „გოგია მეჩონგური“, „ბაში-აჩუკი“, „სიკვდილი“ და სხვ.

1. „თ ო რ ნ ი კ ე ე რ ი ს თ ა ვ ი“[72] ისტორიული პიროვნებაა (მოიგონეთ ისტორიიდან მისი ცხოვრება). აკაკი თორნიკე ერისთავს შეტათ სიმპატიურ გმირათ გვიხატავს; მისი საგულისხმო მოღვაწეობა კი, პოემის შინაარსის მიხედვით, იმით გამოიხატება, რომ ქართველთა ლაშქრით მუსრს ავლებს მცირე აზიის მცხოვრებთ, რომელნიც თავისი მმართველის, ბარდა სკლეროსის[73] წინამძღოლობით, მებატონე ერს — ბერძნებს აუჯანყდნენ და მათი სამძიმო უღლის თავიდან მოშორება გა-

ნიზრახეს. თვით მთავარი საფუძველი ამ პოემისა — მებატონე სახელმწიფოსადმი დახმარების აღმოჩენა დაპყრობილი ქვეყნის გათავისუფლების საწინააღმდეგოთ — არ შეიძლება თანაგრძნობის საგნათ მივიჩნიოთ. — თორნიკე ერისთავი უკვე ბერათ იყო შემდგარი ათონის ქონასტერში[74], როცა ეს საქმე იკისრა. პირველათ იგი, მართალია, დიდ უარზე იდგა: მე ბერი ვარ — და ახლა სისხლის ღვრა არ შემფერისო, — ამბობდა იგი, მაგრამ ბოლოს დათანხმდა: ჯერ მოციქულობა იკისრა საბერძნეთის მეფისა საქართველოს მეფის დავით კურატპალატის[75] წინაშე, და ბოლოს — სარდლობაც. თორნიკე ერისთავი ასე ასაბუთებს და ამართლებს მოციქულობაზე თავის თანხმობას:

სამაგიეროთ ქართლს პირდებიან
ზემო ქვეყნების დამონებასა;
მხოლოდ ამისთვის მე დავეთანხმე
იმათ სურვილს და იმათ ნებასა-ო.

ამგვარი ანგარება და წადილი გარეშე ქვეყნების დაპყრობის და დამონებისა არ უნდა შედიოდეს საზოგადოთ კეთილშობილი ადამიანის განზრახვაში, მით უფრო ბერის ფიქრსა და გონებაში. — პოეტს იმდენათ საგულისხმოთ ძიაჩნია ამ ომში თორნიკეს სარდლობა, რომ მისი სიტყვით, მეფეც[76], კათალიკოზიც[77] და მთელი ქართველი ერი ფეხზეა დამდგარი და თორნიკეს ემუდარება — სარდლობა იკისრეო! ნამდვილათ კი ეგ საქმე იმათ არა ღირს, რომ მთელი ერი მის გამო ყალყზე დგებოდეს.

მიუხედავად ამ დეფექტებისა, პოემა საგულისხმოა გარეგანი ფორმის სიმშვენიერით — და გატაცებითაც იკითხვის. პოემის საუკეთესო ადგილებია: 1) ომის წინა დილა („ვითა ეთერი მზეთუნახავი" — მთელი მესამე თავი), 2) ომის აღწერა („უანგარიშო და უთვალავი მოდის ისარი, ვით სეტყვა ცისა და სხვ., — თავი IV — თითქმის მთლიანად) და რამდენიმე სხვა (ჯარის სიმღერა: „კავკასიის ქედზედ იყო ამირანი მიჯაჭვული" — ამ პოემაში აკაკის სხვა ლექსიდან არის ჩართული).

2. „ბაგრატ დიდი," — ისტორიული პოემაა (მოიგონეთ ისტორია). აქ მოთხრობილია ბაგრატის[78] მოქმედება — საქციელი, რომელსაც ქართველი მეფეები ხშირათ ჩადიოდნენ ხოლმე, რათა მტრისაგან თავისი ქვეყანა ეხსნათ. ბაგრატმა გარეგნულათ მაჰმადიანობა მიიღო, მით მტრის (თემურ-ლენგის) ნდობა მოიპოვა და მისი ჯარებით საქართველოზე გამოილაშქრა, მაგრამ ბოლოს თემური მოატყუა. ღალატით მისი ლაშქარი დაამარცხა და მით საქართველო დაიხსნა.

3. „ნათელა" — ნახევრათ ისტორიული პოემაა. აქ ყურადღებას იქცევს იმერთ საქციელი, რომ მათში, საერთო სამშობლოს საქართველოს მტრების საწინააღმდეგოთ, ამერეთის ძმებთან ერთობის აზრი იღეიძებს და მათთან ერთად ებრძვიან მტრებს. ფრიად საგულისხმოა ცოტ-

ნე დადიანის[79] საქციელი, რომ დატყვევებულ მოძმეებთან მიდის და მათ სასჯელს იზიარებს. — პოემაში საუკეთესო ადგილია ნათელას[80] სიმღერა ქართველ-ტომთა ერთობის შესახებ. — ნოინთან[81] ნათელასი და ცოტნეს შეხვედრა და საზოგადოთ ნოინთან საუბრის სცენა კომიკური ხასიათისაა და პოემის ტრაგიკული შინაარსის შეუფერებელი.

4. „კ ი კ ო ლ ა ს ნ ა ა მ ბ ო ბ ი“-ც ნახევრათ ისტორიული პოემაა. აქ განმარტებულია გადმოცემა იმერთა ღალატის შესახებ, აღამაჰმადხანის[82] შემოსევის დროს, რომ პატარა-კახისთვის[83] ზურგი შეუქცევიათ. აკაკი ამ გადმოცემას არ უარყოფს, მაგრამ დამნაშავეთ მარტო ზურაბ წერეთელი[84] გამოყავს, სოლომონ მეფის[85] ცნობილი სახლთუხუცესი. მგოსნის გადმოცემით, როგორც მეფე, ისე ჯარიცა და საზოგადოთ ხალხი — ძმური დახმარების მომხრე ყოფილან, მაგრამ, ზურაბ წერეთლის გავლენითა და ოინებით, საომრათ გამზადებული ჯარი უკან გამობრუნებულა, თუმცა მცირე ჯგუფი მაინც დარჩენილა დასახმარებლათ. — პოემაში საგულისხმოა მეფის ირაკლის[86] სიტყვები:

მას შემდეგ, რაც საქართველო ორ ნაწილათ გაყოფილა,
შეშიდობა და მოსვენება აღარც ერთში არ ყოფილა.
გვაქვს წყენა, რომ ძმები ვართ, ერთმანეთის განაყარი,
ერთი სისხლით მორწყული გვაქვს მინდორი, ტყე, მთა და ბარი.
ერთი დედის ძუძუები არის ამერ-იმერეთი!..
ჩვენ ძმები ვართ, ტყუპის ცალი, საქართველო — დედა ერთი!
ცალი ძუძუ რომ ჩამოსწრან და შიმშილმა მოჰკლას ერთი,
ცალ ძუძუს და მეორე ძმას რაღა შეებას მისცემს ღმერთი?!

ზურაბ წერეთელს კარგად ახასიათებს შემდეგი სიტყვები, რომლითაც იგი სოლომონ მეფისა და სხვების ყველას აზრსა და განწყობას ეწინააღმდეგება:

არა, მეფეო! ჩვენ ჩვენთვის ვიყოთ.
ისინი მათთვის, — ასე სჯობია!..
რათ დავიწყლულოთ სხვისათვის გული
როცა ისარი ჩვენ არ გვსობია!-ო.

5. „ა ლ ე ქ ს ი“ — ზღაპრული პოემაა (ეს პოემა აკაკიმ თავის შვილს ალექსის[87] უძღვნა და მისი სახელი უწოდა). აქ ალეგორიულათ საქართველოს თავგადასავალია გამოხატული: ცხვრისა და მისი კრავების მდგომარეობა საქართველოს ისტორიულ თავგადასავალს მოგვაგონებს — საზოგადოთ ჩვენი ქვეყნის დამპყრობელთა ხელში, ხოლო განსაკუთრებით რუსეთის მპყრობელობაში. როგორც საქართველო, ისე ცხვარი და მისი კრავებიც ორმა გარემოებამ დაღუპა: შინაურმა გულუბრყვილობამ (კრავების შეუგნებლობა) და გარეშე მტრების ცბიერობამ (მატყუარა მელა). მელიასავით, საქართველოს დამპყრობელნიც ჩვენს ქვეყანას მფარველობას, გარეშე მტრებისაგან დაცვას პირდე-

ბოდენ ხოლმე, და თუმცა სხვა ბტრებისაგან, მართლაც, ხშირათ გვიცავდენ, მაგრამ თვითონ სხვებზედ უარეს მტრობას გვიწევდენ. — ცხვარი ბოლოს დარწმუნდა მელას ვერაგობაში და შვილებს ეუბნება:

აწ კი გემართებს, ამ მინდვრებს და მთებს
გამოვეთხოვოთ, მონა ვართ მელის...
გვაწევს ღვთის რისხვა, სანამ აწ ჩვენ სხვა
არ გამოგვიხსნის და არ გეიშველის...
ვმონოთ ჯერ შავ ბედს, ნუ ეკარგავთ იმედს:
სოფელი ბრუნავს აღმა და დაღმა..,
რომელმაც ჩვენა არ მოგვასვენა, —
ეგებ დაგლიჯოს მელაც იმ ძაღლმა...

ყოველი პატარა ერის — და მათ შორის საქართველოსიც — უბედურება ის არის, რომ თავისი საკუთარი ძალების იმედი არა აქვს და გარეშე მტრებისაგან გათავისუფლებას, შველასა და ხსნას მაინც კიდევ გარეშე ძალებისაგან მოელის.

— ამ „საყმაწვილო“ ზღაპარში ზოგან მეტათ არასაყმაწვილო ფილოსოფიაა გაბმული. მძიმე და ყმაწვილებისათვის გაუგებარი ჭადაგება, როგორც მაგალ., შემდეგი:

ეს ცრუ სოფელი, მწარ-სამყოფელი,
ვერვის დაინდობს, არვის გაიტანს,
უდროოთ ალხენს, უდროოთ აწყენს,
კაცს აბურთავებს, სად არ გაიტანს!..

პოეტი თვითონაც გრძნობს, რომ ამისთანა მშრალ ჭადაგებას საყმაწვილო მოთხრობაში ადგილი არ უნდა ჭონდეს, და ამიტომ ამბობს: „მაგრამ ეს ლექსი, შვილო ალექსი, შენთვის ადრეა“-ო.

6. „ო რ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი“ — ხალხურ გადმოცემაზე დამყარებული რაინდული პოემაა: ხალხური რაინდების, ოთია მესხისა[88] და ადამ ბებურიშვილის[89], გმირობაა აწერილი. ოთია მესხი ვაჟა-ფშაველას[90] გმირს გოგოთურს[91] ჩამოგავს; ისევე უბრალო და სათნოა, როგორც გოგოთური, ისევე შემკული ფიზიკური და მორალური ძალით — და, მასთანვე, თვინიერი, უკვეხარი. — გოგოთურის ზნეობრივი სახე ბევრათ უფრო ფართოდ არის დასურათებული, ვიდრე ოთიასი. გოგოთურს ცოლი შეჩივის, მშიერი რომ ვართ წადი, გაცარცევ ვინმე და ცოლ-შვილი ხეირიანათ არჩინეო: მაშ რათ გინდა ეს შენი ძალა და ვაჟკაცობაო? გოგოთური უპასუხებს: ნეტავ რას ამბობ, დიაცო ჭკვას რად არ ატან სიტყვასა?... რად მინდა მაშინ სიცოცხლე, ლუკმასა ვსჭამდე სხვისასა?!“[92]-ო. გოგოთურმა აფშინას[93] გამოსაცდელათ — თავი უძლურათ აჩვენა — და აფშინამ მას ცხენისა და იარაღის წართმევა და უიარაღოთ გაშვება მოუნდომა, რაც ვაჟკაცისათვის აუტანელი სასირცხვო

საქმეა, და როცა გოგოთურმა ნამდვილი თვისი ძალა გამოაჩინა და თვით აფშინა დაიმორჩილა, სამაგიერო აფშინას არ გადაუხადა, მხოლოდ სიტყვით შეარცხვინა და ცხენიცა და იარაღიც დაუბრუნა. ოთია მესხის ზნეობრივი სახე კი მკრთალია: პოეტს ორი სიტყვით აქვს ნათქვამი, რომ ოთიამ ადამ ბებურიშვილს, რომელიც გაქცეულ ლეკს ალიფოლადს[94] მისდევდა, უსაყვედურა, გაქცეულის უკან გამოდევნება რაინდისათვის საკადრისი არ არისო...

ყურადღების ღირსია, რომ ქართველ რაინდებს მარტო რაინდობა და ფიზიკური ვაჟკაცობის გაშოჩენა კი არა აქვთ მიზნათ, როგორც უმეტეს ნაწილათ რაინდობაში იყო ხოლმე მიღებული, არამედ ვაჟკაცობის გამოჩენა — სამშობლოს დაცვასთან შეერთებული. ლეკს ალიფოლადს ადამ ბებურიშვილი (და ოთია მესხიც) მტრულათ განსაკუთრებით იმიტომ ეპყრობა, რომ იგი კახეთს იკლებდა, ხალხს ყლეტდა. — საყურადღებოა აგრეთვე პოეტური დასურათება ქართველთა ჩვეულებისა — სალამისა.

7. „გამზრდელი“ — დიდაქტიკური ხასიათის პოემაა. საფარ-ბეგმა[95], სახელოვანი მეცნიერისა და მოძღვრის ჰაჯი-უსუბის[96] აღზრდილმა, უზნეო საქციელი ჩაიდინა, და როცა ეს ჰაჯი-უსუბმა გაიგო, თავი მოიკლა: დამნაშავე მე ვარ, რომ ასე უხეირო ადამიანი ამიზრდიხარო!... ამ პოემას სარჩულათ ხალხის შეხედულება უძევს, რომელიც ადამიანის ზნეობრივი აღზრდის შესახებ თავის აზრს ასე გამოთქვამს: „დედა ნახე, მამა ნახე — შვილი ისე გამონახეო“, ან: „ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“-ო. ხალხის ნათქვამში აღზრდასთან ერთად შთამომავლობაც იგულისხმება, მამა-პაპათა შთამომავლობითი ზნე-ჩვეულება. მეცნიერებაც ასე გვეუბნება, რომ ადამიანის ხასიათის, მისი ზნე-ჩვეულების შემუშავებაზე დიდი გავლენა აქვს მშობელთა და საზოგადოთ წინაპართა გონებრივსა და ზნეობრივ გამომეტყველებას. მაგრამ აღზრდასაც დიდი გავლენა აქვს, ასე რომ კარგი აღზრდით შესაძლებელია შთამომავლობის ცუდი მიდრეკილება თუ სულ ვერ მოსპო, ყოველ შემთხვევაში შესამჩნევათ მაინც შეარბილო და გააკეთილშობილო. — ჰაჯი-უსუბის მოქმედება, რომ თავი მოიკლა, უფრო რეზონერულია, წინასწარ განზრახული ანგარიშით გამოხატული აზრია, ვიდრე ნამდვილის, ნორმალური ცხოვრების სურათი, ვინაიდან ჰაჯი-უსუბს თავისი ძალღონე და მეცადინეობა არ დაუკლია, და თუ საფარ-ბეგში მხეცურმა გრძნობამ გამოიღვიძა, თვით ჩვენი პოეტის თქმის არ იყოს, —

მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა?...

8. „ნაცარქექია“ — ლამაზათ, მდაბიურათ დაწერილი ზღაპრული პოემაა. აკაკის ეს ნაცარქექია არა გავს იმ ხალხურ ნაცარქექიას, რომელსაც ფიზიკური ძალა არ შესწევს, მაგრამ, სამაგიეროთ, გამ-

ჭრიახი ჭკუითა და მოხერხებით ხშირათ დიდ საქმეს ეჭიდება — და კიდევაც ასრულებს და გაჭირვებიდან გამოდის. აკაკის ნაცარქექია[97] ალალ-მართალი. პირდაპირი, პატიოსანი, წინაპრებით მდიდარი და სახელოვანი, დღეს თვით კი ღარიბ-ღატაკი კაცია, ზარმაცი და დაუდევარი. ალალ-მართლობამ და დაუდევრობამ იქამდე მიიყვანა, რომ ყველა მას ჩაგრავს: საყანე ადგილ-მამული მეზობლებმა წაართვეს, მზეთუნახავი-საგან ნაწყალობევი სუფრა ზღაპრული — მეფემ[98], და ოქრო-ვერცხლის ხაზინა — ჯორი — ვაჭარმა[99]. ყველა ეს ნაცარქექიას თავისი გულუბრყვილობით მოუვიდა, რომ ყველასი ჯეროდა. განსაკუთრებით საგულისხმოა ვაჭრის საქციელი: ქვეითობით დაქანცული ვაჭარი ჯორ-ხაზინის პატრონ ნაცარქექიას ჯერ ემუდარება, შემიბრალეო, და როცა ნაცარქექიამ იგი ჯორზე უკან შემოიჯინა, ვაჭარმა იმდენი მოახერხა, რომ ნაცარქექიას ჯორის კისრისაკენ მიაწევია და ბოლოს სულ გადაადგო ჯორიდან, ვაჭარი შემდეგ ნაცარქექიას სახლ-კარსაც დაეპატრონა და მისი ბატონობა მოინდომა.... მაგრამ, დასასრულ, მოთმინებიდან გამოსულმა ნაცარქექიამ ჭკუა ისწავლა და კეტს მიმართა, რომლითაც უსინდისო ვაჭარი ბოლოს მოიშორა. — ამ ზღაპარში ალეგორიულათ ქართველი ხალხის თავგადასავალია გამოხატული. მისი ალალ-მართლობა და გულუბრყვილობა, გარეშეებისაგან მოტყუება — და ბოლოს ჭკუის სწავლა და დარწმუნება იმაში, რომ ძალმომრეობის წამალი — ისევ ძალაა, „მომხთურს დამხთური უნდა“.

9. „გ ო გ ი ა მ ე ჩ ო ნ გ უ რ ე“ — ლეგენდარული, ზღაპრული პოემაა, სადაც დახასიათებულია დედის — წრფელი, მწვანე, მშობლიური სიყვარული შვილისადმი, დის — მეგობრულათ მოყვარული გული და გრძნობა ძმისადმი, და ცოლის — ფუქსავატი, ცვალებადი გრძნობა, იმისთანა გრძნობა, რომელზედაც ბაირონი[100] „ჩაილდ-ჰაროლდ“-ში ამბობს: ცოლი ქმრის სიყვარულსა და დაშორების სიმწვავეს დიდხანს არ ინახავს, მას უცხო ვაჟის ხელი ადვილათ მოსწმენდს ხოლმე ცრემლს თვალებზეო. აქვე გამოხატულია შვილის (გოგიას) მოვალეობა სამშობლო ქვეყნისადმი, — „გოგია-მეჩონგურე“ რომანტიული ნაწარმოების ნიმუშია აკაკის ნაწერებში.

10. „ბ ა შ ი-ა ჩ უ კ ი“ — ისტორიული მოთხრობაა შაჰ-აბაზის[101] დროისა, როცა კახელი სახელოვანი მამულიშვილები ბიძინა ჩოლოყაშვილი[102] და შალვა და ელიზბარ ერისთავები[103] — ეწამენ. — მოთხრობაში კარგი ადგილებია: 1) ზაალ ერისთავთან[104] გლახუკა ბაქრაძის[105] (შემდგომში ბაში-აჩუკის) მოციქულათ მისვლა და ცხენით არაგვის გაცურვა, 2) ჯირით-ყაბახის აღწერა, როცა ბაში-აჩუკმა ოქროს თასი ჩამოაგდო და ქართველთა მოღალატე სიმონ მაყაშვილი[106] მოკლა, 3) ჭიდაობის აღწერა, როცა ბაში-აჩუკმა მოწინააღმდეგე აბდულ-შაჰილი[107] — დაამარცხა. — კარგათ არის აქ დახასიათებული კახეთის მეფე თეიმურაზი I[108]; პოეტი მას, სხვათა შორის, ორი სიტყვით ასე:

გვიხატავს: „პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზიაში პოლიტიკობდა“-ო! — აგრეთვე ისტორიული სისწორითა და შეგნებით გვისურათებს პოეტი შაჰ-აბაზის პოლიტიკას: როცა საქართველოსთან პირდაპირი სისასტიკე და მძვინვარება არ გაუვიდა, ცფიერობის პოლიტიკას მიყო ხელი და ბევრიც გააბა გაიძვერობის ქსელშიო. — თეირანისადმი ბიძინა ჩოლოყაშვილის განწყობილება მოგვაგონებს სოფიოს[109] განწყობილებას პეტერბურგისადმი („ბედი ქართლისა“): „აქ, ამ პატარა ახმეტაში, ყოველიფერი შალამოთ ეცხება ჩემს გრძნობა-გონებას: მიწა, წყალი, მთა, კლდე, ტყე და ველი — ყველა ერთად ნათესაური კავშირით გადაბმულა ჩემთან!.. ვგრძნობ რაღაც ერთ-სისხლ-ხორცობას მათთან! ვგრძნობ — და ჰირს ადვილათ ვიტან!.. ამის სამაგიეროს რას მომცემს უცხოეთი“-ო, — ამბობს ბიძინა. ეტყობა, ბიძინას კარგათ ესმოდა მტერი — უცხოეთის გავლენა მის საყვარელ საწშობლოზე: სპარსეთის გავლენა საქართველოზე ისეთივე იყო, როგორიც რუსეთისა. აი რას ამბობს ბიძინა ამის შესახებ: „დიდი ხანია, რაც ახალმა ცხოვრებამ გადაფხიკა კახელის გულის ფიცარზე დღემდი ღრმათ დაბეჭდილი მისი ისტორიული ნაგრძნობი და ნაფიქრები!.. ქართულ ტკბილ — ღიღინს, ვაჟკაცურ შეხმატკბილებასა და სასოების მომგვრელ გალობას ბოლო მოუღო თათრულმა შეჭაქანებამ!... ტკბილი ჩანგური და სალამური ზურნა ჰიანურმა ჩაყლაპა“-ო![111]

აკაკის კიდევ აქვს რამდენიმე წვრილი პოემა და მოთხრობა: „ქუთათლის სიზმარი“, „გორგასლანი“, „წმ. გიორგი და წმ. ილია“, „ოცნება“, „ყვითელი სანთელი“, „სიკვდილი“ და სხვ. მათ შორის განსაკუთრებულის ცოცხალი ენითა და აკაკისებურის ოხუნჯური კილოთია დაწერილი „სიკვდილი“, სადაც პოეტი მოგვითხრობს თავის პირად განწყობილებასა და საზოგადო შეხედულებას თანამედროვე ქართველობაზე, რაც ჩვენ ზევით უკვე გახსილული გვაქვს.

დრამატული ნაწარმოებები

აკაკის, როგორც მისი ბიოგრაფიიდან დავინახეთ, სცენა უყვარდა და ყოველნაირათ ეტანებოდა მას; კალამიც ხშირათ უშინჯავს პიესების-დრამების, კომედიების, ვოდევილების — სფეროში. მაგრამ როგორც პოემებში, აქაც მხოლოდ აქა-იქ გამოსჭვივის მისი ჩვეულებრივი ხიბი, ერთიანათ საგულისხმო კი არც ერთი მისი პიესა არაა, თუმცა რიცხვით საკმაოთ ბევრი პიესა დაუწერია: დრამები — „პატარა კახი“, „მედია“, „თამარ ცბიერი“; კომედიები — „ახალი გმირი“, „კუდურ ხანუმი“, „გაიძვერები“; ვოდევილები და სცენები — „კინტო“, „ბუტიაობა“, „სცენა საპყრობილეში“, „ადვოკატის დილა“ და სხვ.

„პ ა ტ ა რ ა კ ა ხ ი“ — ისტორიული პიესაა, რომელშიც ერეკლე მეფის ცხოვრებაა აღწერილი ახალგაზრდობის დროისა, ტახტზე ასვლამდი.

ამავე შინაარსის დრამა დაწერილი აქვს ალექსანდრე-ჯამბაკურ-ორბელიანს[112] („მეფის ირაკლი მეორის პირველი დრო“) — და შედარება ნათლათ გვიჩვენებს, რომ აკაკის დრამის ზოგიერთი სცენა ორბელიანის დრამის მიბაძვით არის დაწერილი. ამ დრამაში დახატული არიან: პატარა კახი, მისი გამზრდელი გივი ჩოლოყაშვილი[113], ლევან ქვაბულიძე[114], რევაზ ბებურიშვილი[115], გელა[116] და მისი ქალი ტურფა[117] და სხვ. — ბრმა მოხუცი გელა და მისი ქალი სოფოკლეს[118] დრამის „ოიდიპოს“!-ის გმირებს, ოიდიპოსსა[120] და ანტიგონეს[121] მოგვაგონებენ. ბრმა გელა თავისი ასულის წინამძღოლობით სოფლით-სოფლათ და ქალაქით-ქალაქათ დადის და ქართველ ხალხს მოსეული მტრების წინააღმდეგ აჯანყებს. დრამაში კარგათ არის დახატული ქვაბულიძისა და ტურფას ურთიერთ სიყვარული, აგრეთვე სამშობლოსადმი თავგანწირული სიყვარული ქვაბულიძისა და გივისა და მტრის საწინააღმდეგოთ გამოწვეული აღფრთოვანება დაბალი ხალხისა, რომელიც კეტებითა და ბარ-ნიჩაბ-ცულებით ერთსულოვნათ ამდგარა და მტრისაკენ მიიწევს. თვით პატარა კახი ყველას სათაყვანებლათ გამხდარა, მაგრამ დრამიდან არა ჩანს, თუ რით გამოიწვია მან ასეთი სიყვარული და თაყვანისცემა ხალხისა. დრამაში მხოლოთ მე-II მოქმედებაა მთლიანათ — რიგიანათ დასურათებული, რომელიც, ცოცხალ მოქმედებას გარდა, თავისი შინაარსითაც (სამშობლოს დასაცავათ დრტვინვა და მზადება) იქცევს მკითხველ-მსმენელის ყურადღებას — და ამიტომაც ეს მოქმედება ცალკე ხშირათ იდგმის ხოლმე ჩვენს სცენაზე.

„თ ა მ ა რ ც ბ ი ე რ ი“ — დრამატიული პოემაა, სადაც იმერეთის მეფის გიორგის[122] ცოლის თამარის[123] ენებათაღელვით გატაცება და ამით სასახლესა და სამეფოში გამოწვეული საქმეთა არეულ-დარეულობა მოთხრობილი. აქ მხოლოდ მგოსანი გოჩა[124] მთლიანი და სრული, და მტკიცებითი ტიპი, ქვეყნის მოყვარული და მისთვის გულწრფელათ მომღერალ-მოტირალი. დანარჩენი პირების მოქმედებას ხშირათ არა-ბუნებრივობა, სინამდვილის წინააღმდეგობა ეტყობა; მაგალ., ნიკო გურულს[125], პოეტის სიტყვით, გაგიჟებით უყვარს ცირა[126] და ერთხელაც არ არის ნაჩვენები ეს გრძნობა; ნიკო თამარის მოსაკლავათ შედის — და თამარი, გოჩას სიყვარულით გატაცებული თამარი — მას სატრფიალოთ იწვევს! თამარ-ცბიერი, ეს გარყვნილი არსება, რომელიც უკანასკნელ წუთამდი სულ ბოროტი აზრითა და გრძნობითაა შეპყრობილი, უცებ (დრამის ბოლოს) გარდიქმნება და კეთილშობილ არსებათ იქცევა!...

„მ ე დ ი ა“ — ლეგენდარული შინაარსის დრამაა. ამ დრამაში საქართველოს ისტორიული თანდაყოლილი ბედ-იღბალია მოთხრობილი. საქართველოს ზღაპრული სიმშვენიერე უცხოელების ყურადღებას იპყრობდა — და ისინი მის დაპყრობას ცდილობდენ. ბერძენთა გმირი იაზონიც[127] მშვენიერ კოლხიდას მოსულა ოქროს საწმისის გასატაცებ-

ლად — და იგი იხიბლება კოლხიდის მთავრის საოცნებო ასულის მედიას[128] სიმშვენიერით. მშობელს არა სურს მედია უცხოელს დაანებოს, რადგან ბერძნები გაუტანელ, ვერაგ ხალხათ მიაჩნია, მაგრამ, „ციხე შიგნიდან გატყდა“ — და თვით მედიამ, იაზონის სილამაზით მოხიბლულმა, ძმის საშვალებით ასწავლა მას საიდუმლო, რომლის ძალითაც იაზონმა დასძლია ყოველივე დაბრკოლება და, გამარჯვებულმა, ოქროს საწმისიც გაიტაცა და მედიაც თან წაიყვანა.

საზოგადო დასკვნა

მე-19 საუკუნის ქართველ მგოსანთა შორის სამი იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. მათ შორის პირველი ადგილი უცილობლათ ნ. ბარათაშვილს უკავია.

მწერლის ნიჭიერების შეფასებაში ორნაირი დროა მხედველობაში მისაღები: ეპოქა, რომელშიც მწერალი ცხოვრობდა და ხანი, რომლის განმავლობაშიც იგი მოღვაწეობდა. როდესაც „ვეფხისტყაოსანს“ გენიოსურ ნაწარმოებს ვუწოდებთ, ეჭვი არ არის — ჩვენს აღტაცებას ის გარემოებაც ადიდებს, რომ ეს პოემა მე-12 საუკუნეშია დაწერილი, როცა მსოფლიო ლიტერატურაში მსგავსი სრულქმნილი ნაწარმოები იშვიათი იყო. როცა ნ. ბარათაშვილს უდიდესი ნიჭის მქონეთ ვაღიარებთ, აქაც, უეჭველია იმით ხელმძღვანელობთ, რომ ჩვენს მგოსანს ახალგაზრდობაში შეუქმნია რამდენიმე დიდებული ნაწარმოები — და აქედან შემდეგი სამართლიანი დასკვნა გამოგვყავს: სიცოცხლე რომ დაცლოდა, ნიჭიერება მისი კიდევ უფრო გაიფურჩქნებოდა, შემოქმედება მისი კიდევ უფრო გათვალსაჩინოვდებოდაო. ამიტომ იყო მისი სიკვდილი, როგორც ილიამა სთქვა, „უღვთო“.

რაც შეეხება ილიასა და აკაკის, როგორც ნათქვამი მაქვს, თითოეული მათგანი პირველხარისხოვანია თავ-თავის სფეროში: ილია — პოემა-მოთხრობებით, აკაკი — წვრილი ლექსებით, — და თუმცა მე-12 საუკუნის გენიოსი[129] ამბობს: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“[130]-ო, მაგრამ დღეს ყველამ იცის, რომ პოეტური ნაწარმოების ღირსება სიგრძითა და სიმოკლით არ გაიზომება — და აკაკის ბევრი ლირიკული თუ სხვა წვრილი ლექსი უმაღლესათ დამამშვენებელია ჩვენი ლიტერატურისა.

აკაკი და ილია, როგორც უკვე ვიცით, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, პირადათ ერთმანეთის უკმაყოფილო იყვნენ — და ჩვეულებრივის ოხუნჯური კილოთი, რომელშიც თითქოს უკმაყოფილება მოისმოდა, აკაკის არა ერთხელ უთქვამს თურმე: ილიას სახელთან უთუოთ ჩემიც უნდა ახსენონ, ორივეს სურათი უთუოთ ერთად უნდა გამოაფინონო!.. მიუხედავათ მათის პირადი უკმაყოფილებისა, ამ ორი მგოსნის სახელი და სალიტერატურო მოღვაწეობა მართლაც განუყოფელია, ჩვენი

ცხოვრების გარემოებით ურთიერთს გადაკვანძულია — და ერთს ისე ვერ ახსენებთ, რომ მეორეც არ მოიგონოთ.

აკაკის სიტყვასა და ნაწერს უფრო ხალხის მასაზე ჭონდა გავლენა: მგოსანი მთელ საქართველოში, მთელ ქართველ ხალხში ტრიალობდა, ცოცხალი სიტყვით აღვიძებდა მას, მის თვალწინ — იქვე ლამაზ ლექსებსაც თხზავდა, რომელიც თავისი სუბუქი, ხარნარი ფორმით უბრალო ხალხისათვის ადვილი გასაგები იყო. ილიას კი მოძრაობა და ხალხში ტრიალი ეძნელებოდა, იშვიათად მოგზაურობდა და ხალხი მას ისე ვერ იცნობდა, როგორც აკაკის. სამაგიეროთ, ინტელიგენციაზე ილიას ბევრათ უფრო დიდი გავლენა ჭონდა, ვიდრე აკაკის: ილიას სიტყვა და ნაწერი, ღრმა ფილოსოფიური აზრითა და გრძნობით გამსჭვალული, უმეტესათ ინტელიგენციისათვის იყო სრულათ მისაწვდომი და შესაგნები და ინტელიგენციას იგი მართლაც ბოჭავდა და მსჭვალავდა ღრმა აზროვნებითა და მაღალი გრძნობით. აკაკი უმთავრესათ მსმენელის გულს ათამაშებდა და ატოკებდა, ილია — უმთავრესათ გონებას ამოძრავებდა და აფხიზლებდა. აკაკის გავლენა და მნიშვნელობა თანამედროვე ხალხში, მასაში უფრო დიდი იყო, ვიდრე ილიასი; ილიას გავლენა და მნიშვნელობა მომავლისათვის უფრო ხანგრძლივი და ძლიერი იქნება, ვიდრე აკაკისა.

ილიას და აკაკის სიცოცხლე საკმაოთ ხანგრძლივი იყო, ისინი საკმაოთ დიდხანს დასტრიალებდნენ თავს ქართველთა ცხოვრებას, სათქმელი საკმაოთა სთქვეს და გასაკეთებელი საკმაოთ გააკეთეს, ასე რომ, იმ აზრით, რომლითაც ილიამ ნ. ბარათაშვილზე სთქვა, მათზე არ ითქმის, მათი სიკვდილი „უღვთო იყო“-ო. ილიას სიკვდილი კი იყო უღვთო, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ უგნურმა მკვლელმა ძალათ გამოასალმა იგი წუთისოფელს; ხოლო აკაკის სიკვდილი ბუნებრივი იყო — და ისიც უეჭველია, რომ კალმითაც რაიმე ახალსა და მნიშვნელოვანს იგი ვერაფერს შექმნიდა. ამის თქმის საბუთს გვაძლევს უკანასკნელი მისი პოემა „ომი“, რომლის ღირსების შესახებაც, მომაკვდავი ავტორის სარეცელთან მყოფ მახლობელთა მოწმობით, მგოსანი მეტათ იმედიანი იყო და რომელიც ნამდვილათ კი მეტათ სუსტია როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც. უკანასკნელი დროის წვრილ ლექსებზედაც იგივე უნდა ითქვას: ისინი აკაკის ჩვეულებრივ სიმკვირცხლესა და სინარნარეს და საზოგადოთ პოეტურ ღირსებას თვალსაჩინოთ მოკლებული არიან.

აკაკი უმთავრესათ რეალისტ მწერალთა შკოლას ეკუთვნის, მაგრამ წმინდა რეალისტი იგი არ არის: მისი პოეზიის რეალისტური სახე რომანტიზმის საღებავებითაა შეფერილი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დედამიწა აკაკის ცაში ნავარდის დროსაც არ ავიწყდება, მაგრამ ცაში ნავარდი მაინც ხშირათ უყვარს, ცხოვრების სინამდვილეს ხშირათ შორდება და ოცნების სამეფოში ისვენებს და ტკბება. აკაკი ხომ ლირიკო-

სია. სულის მოძრაობის მომღერალია — და, მაშასადამე, ესეც საკმაო საბუთია იმისათვის, რომ მას წმინდა რეალისტი მგოსანი არ ეწოდოს. — აკაკის ნაწერებში საკმაოთ მოიპოება წმინდა რომანტიული ხასიათისა, — მაგ: „გოგია-მეჩონგურე", „სულიკო", „ოცნება თარზე". — „ლხინი" და სხვ.

აკაკი უმთავრესათ თავისი ქვეყნის უკუღმართი ბედის მოტირალია, მაგრამ საკაცობრიო, მსოფლიო შავბედის ცრემლიც მრავლათ იღვრება მის ნაწერებში — და ამიტომ აკაკი ქართველ მგოსანთა შორის ე. წ. მსოფლიო გოდების მომღერლათ ითვლება.

დიდი ღვაწლი მიუძღვის აკაკის ქართული ენის გამარტივებასა და გახალხურებაშიც. მართალია, ხალხურ ენასთან ქართული ენის დაახლოება აკაკიმდი დაიწყო (დავით გურამიშვილის[131] „ქაცვია მწყემსი", გ. ერისთავის[132] კომედიები და სხვ.), მაგრამ ისეთი სიმსუბუქე, სიმარტივე და სინარნარე გარეგანი ფორმისა არც ერთ მწერალს არ შეუტანია ჩვენს ლიტერატურაში, როგორც აკაკის შეიტანა, და ამ მხრით დიდი განსხვავებაა აკაკისა და ილიას შორის. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მის ენასაც (მე სტილზე არ ვამბობ) აქვს დეფექტები. გრამატიკული და გამოთქმების უსწორ-მასწორობა ხომ საზოგადოთ მე-19 საუკუნისა და დღევანდელ მწერალთა ნაწერებში ხშირია — და აკაკის ნაწერებშიც არ არის იშვიათი. აი რამდენიმე ნიმუში აკაკის ენის უსწორმასწორობისა: 1) გამოთქმებში: ერთ ფასში იყიდება, სახლში დავბრუნდი, ბუნებაზე მოსხლეტილი, ყველამ მირჩიეს, გოჭებს აჭყივლებს და სხვ.; 2) გრამატიკულ ფორმებში: შესვავს, ურტყავს, მალამს, ჩაუხედია, ჩაუდევს, ამგზავნის, ვიწვიდე, დასჭკნდება, თვითეული, სანამდისინ, სინამ, ცეცხლშიდა ვართ, სიდღამაც, ესენებმ, ესეები, ანთებაებს, მოძებსაც და სხვ. —

ამ სახით, შეიძლება ვსთქვათ, რომ შეგნებული ცხოვრებით აკაკი ქართველ ხალხში 55 წელს ტრიალობდა და მოღვაწეობდა. თანამედროვე ჩვენს ცხოვრებაზე დიდი გავლენა იქონია და ბევრი საგულისხმო ნაწერიც დაუტოვა შთამომავლობას. ამისთანა ადამიანი არ კვდება და არც აკაკი მომკვდარა: იგი ქართველი ერის სპეტაკ მეხსიერებაში მარადის ცოცხალი იქნება და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაც მის სახელს ვერ დაივიწყებს.

თვით აკაკიმ ერთ ლექსში („პასუხი ახალგაზდას") მშვენიერათ გამოხატა თავისი საუკუნო კავშირი სააქაოსთან, მიწიერ ცხოვრებასთან. პოეტი ახალგაზრდას ეუბნება:

შორი-შორსა ვართ, ვით ცა და მიწა,
შუაში გვიძევს უფსკრულ-საზღვარი:
შენ ყვავილი ხარ სიცოცხლით სავსე,
და მე კი ხავსი დამჭკნარ-გამხმარი.

მაგრამ ცისა და მიწის შორისაც
არის კავშირი რამ უხილავი —
და ძველს ახალთან შეაერთხორცებს
ელექტრონული ხალი მხიბლავი,
დაუსაბამო და საუკუნო,
განუყოფადი, ერთადი, რთული,
შემოქმედების დიადი ძალი —
სული უკვდავი და სიყვარული!..
ეს იყო ჩვენიც ამიერიდან
შუამავალი და მოციქული..
ამ ქვეყნათ თუ გულს გული არ ერგო,
სულს შეუერთდეს იმ ქვეყნათ სული!..

ამ სიტყვებში მხოლოდ გაკვრით მოისმის აკაკის რწმენა სულის უკვდავების შესახებ. როგორ ესმოდა პოეტს ეს უკვდავება სულისა? მისი მახლობელნი გადმოგვცემენ, რომ იგი ღრმათ მორწმუნე ადამიანი იყოო — და ერთს მის ლექსშიც („საყვარელ ნათლიდედას ნ-ცას“) შემდეგს ვკითხულობთ:

რომ დაგიტკბეს ნაღველ-ძმარი, გულში შხამად ნაგუბარი, —
გწამდეს სულის უკვდავება, მეცნიერის ნაუბარი!...
ვინც გაგშორდენ დროებითად, ნუ გგონია დაკარგული:
გადაცვლით და განსვენებით ელვარეობს მხოლოთ სული!...
რაც ყოფილა, რაც არსებობს, — არა ქრება თუმც იხრწნება..
საუკუნო უკვდავება ქრისტეს[133] ბეჭდით იმოწმება-ო.

თვით აკაკის „საუკუნო უკვდავება“ ქართველი ერის გულში მისი შშვენიერი ლექსებით აღიბეჭდა.

(1918 წლ. ზაფხული).

კომენტარები

1. წერილი რედაქტორთან თ. გიორგი ბარათოვის ხელმოწერით დაიბეჭდა 1861 წლის „ცისკრის“ მაისისა და ივნისის ნომრებში. იბეჭდება წერილის ის ნაწილი, რომელიც აკაკი წერეთლის ლექსს „ლოდინი“ ეხება. გიორგი ბარათაშვილი (ბარათოვი) „ცისკრის“ ძველი თანამშრომელი იყო 1853 წლიდან. I. იგულისხმება აკაკის ლექსი „ლოდინი“. პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1861 წ. № 1.

2. ცისკარს რა აკაკანებდა? გიორგი წერეთლისა, ხელმოწერით გ.-თელი, დაიბეჭდა „საქართველოს მოამბის“ მაისის წიგნში. გიორგი წერეთელი (1842—1900)— ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. 1866 წელს გამოსცა პირველი ქართული გაზეთი „დროება“, რომელსაც რედაქტორობდა 1869 წლამდე. გ. წერეთელი იყო აგრეთვე რედაქტორი „სასოფლო გაზეთისა“ (1868-73 წწ.) და ჟურნალ „კრებულის“ (1871-73 წწ.). 1893 წელს დააარსა გაზ. „კვალი“. 1. რაფიელ ერისთავი (1624—1901) ქართველი პოეტი, ეთნოგრაფიული წერილების ავტორი და ლექსიკოგრაფი. 2. გრიგოლ ორბელიანი (1804—1883) დიდი ქართველი პოეტი, რომანტიკოსი. 3. „ცისკარი“ ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი, დაარსდა 1852 წელს გ. ერისთავის რედაქტორობით. მისი გამოცემა შეწყდა 1853 წლის დასასრულს. 1857 წელს „ცისკრის“ გამოცემა განახლდა და გამოდიოდა 1875 წლამდე ივანე კერესელიძის რედაქტორობით.

3. ქართული ლიტერატურა ანტონ ფურცელაძისა, ქერელი ბექას ფსევდონიმით დაიბეჭდა 1863 წლის ივლისის „ცისკარში“. წერილის ჩვენთვის საინტერესო ნაწილი მიმართულია გ. წერეთლის სტატიის „ცისკარს რა აკაკანებდა?“ წინააღმდეგ. („საქართველოს მოამბე“, 1863 წ. № 5. ანტონ ფურცელაძე (1839 — 1913) — ცნობილი პუბლიცისტი და ბელეტრისტი. 1. „მოამბე“ იგულისხმება ყურ. „საქართველოს მოამბე“. იგი გამოდიოდა 1863 წელს; სულ გამოვიდა თორმეტი ნომერი. მისი დამაარსებელი და რედაქტორი იყო ილ. ჭავჭავაძე. 2. მოამბის რეცენზენტი— იგულისხმება გ. წერეთელი. 3. იგულისხმება, რომ ანტონ ფურცელაძე იცნობდა ილ. ჭავჭავაძის ლექსს „მუშა“, რომელიც პირველად დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“, 1863 წ. № 1. 4. ჯიმშერიძე — ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმი იყო. 5. კვერნაკი — იგივეა, რაც კვერნაქი. მთის სახელია ქართლში. 6. იალბუზი — უმაღლესი მწვერვალი კავკასიის ქედისა, 5633 მ. სიმაღლის. იალბუზს ზოგჯერ კავკასიონის ქედსაც უწოდებენ.

4. ჩვენი დროების წერილები ალ. ცაგარლისა, ღვიმელის ფსევდონიმით დაიბეჭდა „ცისკარში“ 1865 წლის აპრილის, ივლისის და ოქტომბრის ნომრებში. ჩვენი ტექსტი ამოღებულია „ცისკრის“ ივლისის ნომრიდან. წერილის პოლემიკურმა ხასიათმა განაპირობა „ცისკრის“ 1865 წლის ნოემბრის ნომერში დიმიტრი ჯანაშვილის საპასუხო წერილი სათაურით „მახე“. ალექსანდრე ცაგარელი (1844—1929) — ცნობილი მკვლევარი, პეტერბურგისა და თბილისის უნივერსიტეტების პროფესორი. 1. დავით იასეს ძე ჩუბინაშვილი (1814—1891) — პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ქართველოლოგი. ამ წერილში ლაპარაკია დ. ჩუბინაშვილის მიერ გამოცემულ ქრესტომათიაზე „ქართული ქრესტომათია, ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან“. დაბეჭდილა ორჯერ 1846 და 1863 წლებში. 2. ილია ჭავჭავაძე და აკაკი

წერეთელი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს ითელებოდნენ დ. ჩუბინაშვილის სტუდენტებად. 3. სტატიის დასასრულს ავტორს შესადარებლად მოჰყავს ნიმუშები თეიშურაზ მეფის, ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსებიდან. 4. პუშკინი ალექსანდრე სერგის ძე (1799—1837)—დიდი რუსი პოეტი. 5. ლერმონტოვი იური მიხეილის ძე (1814—1841)—დიდი რუსი პოეტი.

5. მაზე დიმიტრი ჯანაშვილსა დაიბეჭდა „ცისკრის“ 1865 წლის ნოემბრის ნომერში. დიმიტრი ჯანაშვილი (ინგილო ჯანაშვილი) — (1840—1905) საქართველოს ისტორიული წარსულის მკვლევარი, ნიჭიერი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. 1. ტაეპები მოტანილია დ. გურამიშვილის „დავითიანის“ იმ თავიდან, რომელსაც ეწოდება „საწუაულის მოწყვა ღვთისაგან“. 2. დავით გურამიშვილი (1705—1792) — ქართველი პოეტი. 3. დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები“.

6. ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში ალექსანდრე ცაგარლისა დაიბეჭდა ხელმოუწერლად გაზ. „დროებაში“ 1870 წ. №№ 2, 3, 4, 6 და 7. წერილის დასაწყისში გაზეთის რედაქციამ შემდეგი სახის შენიშვნა დაბეჭდა: „ეს სტატია მოუვიდა რედაქციას მიუნხენიდან ერთის თავის თანამშრომლისაგან. თუმც რედაქცია ძნელად დაეთანხმება პატივცემულ ავტორს ზოგიერთი ჩვენი მწერლების დაფასებაზედ და ზოგიერთს კერძო მოსაზრებაზედ, მაგრამ მაინც დიდის სიამოვნებით ბეჭდავს თავის გაზეთში ამ სტატიასა, მით უფრო, რომ ის (სტატია) პირველად შეეხება ძლიერ საინტერესო მაგრამ ჯერ გაუხილეველ საგნებსა. იქნება ამ სტატიამ საფუძლიანად ვერ დააფასოს და ასწონოს ზოგიერთი ჩვენი მწერლები და ლიტერატურის ნაწარმოები: გაზეთისათვის დაწერილს მოკლე სტატიას ეს არც მოეთხოვება; იმას მაინც იქს, რომ აღძრავს ამ საგანზე სჯას: შეიძლება ამ სტატიის გამო გამოჩნდნენ შემდეგში ისეთი პირები, რომელთაც მოკიდონ ხელი ჩვენი ლიტერატურის განხილვას და უფრო საფუძლიანადაც განიხილონ; ეს, ივიდია, ყველასათვის სანატრელი და სასარგებლო იქნება. — სტატიის ბეჭდვა გაზეთის ხუთს №-ში მორჩება“. ალექსანდრე ცაგარელი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები“. 1. მიხეილ ბეთანიშვილი (ბეთანელი) — ლიტერატორი, გამომცემელი, შემდეგ კომერსანტი. 2. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავტორმა ისარგებლა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული, 1712 წლის, მ. ბროსეს, 1841 წლისა და დ. ჩუბინაშვილის, 1860 წლის გამოცემებით. 3. ტაეპი ამოღებულია „ვეფხისტყაოსნის“ იმ თავიდან, რომელსაც ეწოდება: „წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისას“ (951). 4. ტაეპები ამოღებულია ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირას“.

7. „კრებული“ — მეექვსე და მეშვიდე წიგნი, 1872 წ. სერგეი მესხისა, ს. მ. ხელმოწერით დაიბეჭდა „დროებაში“ 1872 წ. №№ 14, 19. სერგეი მესხი (1844—1883) — ცნობილი ქართველი პუბლიცისტი, გაზ. „დროების“ რედაქტორი. 1. „კრებული“ — სალიტერატურო ჟურნალი, გამოდიოდა 1871—1873 წლებში. ოფიციალური რედაქტორი გ. წერეთელი, ფაქტური რედაქტორი — ნ. ნიკოლაძე. გამოვიდა 18 ნომერი. 2. გლახა ჩრიაშვილი — ილ. ჭავჭავაძის „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“-ს პერსონაჟი.

8. საქართველო, თეატრალური ქრონიკა ხელმოუწერლად გამოქვეყნდა „დროებაში“ 1873 წ. № 24. იგი ეხება აკაკი წერეთლის პიესას „ადვოკატის დილა“. 1. ვ. გამრეკელოვი (გამრეკელი) — „დროების“ კორესპონდენტი. 2. რედაქციის შენიშვნა გამრეკელოვის რეცენზიაზე: „სრულებით არ ვეთანხმებით უფ. ვ. გამრეკელოვს ამ აზრში: „ადვოკატის დილა“ ჩვენის აზრით, ძალიან მახვილი სცენაა და ნიჭიერათ და ნამდვილათ ხატავს იმ ჩვენებურ ადვოკატებისა და მუდამ მომჩივნების ტიპს, რომელნიც ამ უკანასკნელ დროს, ასე საგრძნობლად გამრავლდნენ ჩვენში“. 3. უსოვი — სცენისმოყვარე. 4. მამულაიშვილი — სცენისმოყვარე.

9. შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება გიორგი თუმანიშვილისა დაიბეჭდა 1878 წ. „ალმანახი" წიგნი I. გ ი ო რ გ ი მ ი ხ ე ი ლ ი ს ძ ე თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი (1854—1920) — ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, თანამშრომელი ქართული და ადგილობრივი რუსული პრესისა. 1. იგულისხმება გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები".

10. ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება გიორგი თუმანიშვილისა დაიბეჭდა 1879 წ. „ალმანახი" წიგნი II. ცნობილია, რომ გ. თუმანიშვილის ეს წერილი საკმაოთ იქცა და მის აკვარგიანობაზე თავისი აზრი გამოთქვეს ნ. დავითაშვილმა, „ფიქრი და შენიშვნა" ჟურნ. „იერია", 1879 წ. № 1; ალ. ჭყონიამ „ორიოდე სიტყვა უფ. გ. თუმანიშვილს" მაჭახელიძის ხელმოწერით გაზ. „დროება", 1879 წ. № 33; ილ. ჭავჭავაძემ „სხარტულა" ჟურნ. „იერია" 1879 წ. № 2. გ ი ო რ გ ი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი-ს იხ. კომენტარი წერილისა: „შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება". 1. იგულისხმება ილ. ჭავჭავაძის ლექსი „მუშა". 2. იგულისხმება ილ. ჭავჭავაძის ლექსი „პოეტი". 3. „გ ი ყ ვ ა რ დ ე ს მ ო ძ მ ე შ ე ნ ი ვ ი თ ა თ ა ვ ი შ ე ნ ი ო"-პერიფრაზაა ბიბლიის სტრიქონებისა: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი" (ლუკა, 10—27). 4. ავტორს შენიშვნა: „ამაზე იმედი მაქვს უფრო დაწვრილებით მოველაპარაკო მკითხველს „ალმანახის" შემდეგ წიგნში, როცა წარუდგენ ახალ მწერლების სურათს ცალ-ცალკე". 5. ნ ე კ რ ა ს ო ვ ი ნ ი კ ო ლ ო ზ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ძ ე (1821—1877) — რუსი პოეტი. 6. დ ო ბ რ ო ლ ი უ ბ ო ვ ი ნ ი კ ო ლ ო ზ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ძ ე (1836—1861) — ცნობილი რუსი კრიტიკოსი. 7. „დ რ ო ე ბ ა" — საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი გამოდიოდა 1866—1885 წლებში. გაზეთს რედაქტორობდნენ ს. მესხი, გ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, კ. ლორთქიფანიძე, ივ. მაჩაბელი. 8. იგულისხმება აკაკი წერეთელი. 9. ს. ბ ა ვ რ ე ლ ი (ს. ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი) — „იერიის" კორესპონდენტი. 10. „ზ ა მ თ ა რ ი" — ს. ბავრელი, „იერია", 1878 წ. № 8. გვ. 3—4. 11. იგულისხმება ს. ბავრელის კორესპონდენცია „არტაჰანი", (ბათომ-აქარის გადასვლა რუსეთის ხელში და დერვიშ-ფაშას მიერ ხალხის აღელვება, რუსეთის ჯარის დაბინავება არტაჰანში) „იერია" 1878 წ. № 34, გვ. 3—4. 12. იგულისხმება ბერლინის კონგრესის მიმდინარეობა. „იერია" 1878 წ. № 29, 30, 34, 35. 13. „ი ე რ ი ა" — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, გამოდიოდა 1877—1906. „იერიის" დამაარსებელი და რედაქტორი 1901 წლამდე იყო ილ. ჭავჭავაძე. სხვადასხვა დროს გაზეთის რედაქტორები იყვნენ ს. მესხი, ივ. მაჩაბელი, ალ. სარაჯიშვილი, გრ. ყიფშიძე, ფ. გოგიჩაიშვილი. 14. „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო ა მ ბ ე" — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული ლიტერატურა". 15. ტაეპი ამოღებულია ალ. ჭავჭავაძის ლექსიდან „ვაჭ, დრონი, დრონი".

11. „ალმანახი" ალექსანდრე სარაჯიშვილისა დაიბეჭდა ა. —ს ხელმოწერით „დროებაში" 1879 წ. №№ 21, 23 და 29. ეს მასალა ამოღებულია 29-ე ნომრიდან. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი (1851—1914) — ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე. თანამშრომლობდა გაზ. „დროებაში", ჟურნ. „მოამბეში". 1884 წელს ილ. ჭავჭავაძესთან და პ. უმიკაშვილთან ერთად გამოსცა „ვისრამიანი". 1. „ა ლ მ ა ნ ა ხ ი" — ქართული ლიტერატურული ალმანახი, შედგენილი გ. თუმანიშვილის მიერ. გამოვიდა ორი კრებული 1878-79 წწ. თბილისში. 2. გრ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი — გამომცემელი. 3. ლ ო პ ი ა ნ ა — ძველი თბილისის განთქმული ყარაჩოხელი. მოკრივე და ცეთეჭე. გრ. ორბელიანის „მუხამბაზის" პერსონაჟი. 4. მ კ ე რ ვ ა ლ ი ბ ე ქ ა ნ ა — გრ. ორბელიანის პოეზიის პერსონაჟი. ამ შემთხვევაში იგულისხმება გრ. ორბელიანის ლექსი „სალომეს ბექანა მკერვალის მაგიერ".

12. თეატრის მატიანე, გაბუნიას ქალის ბენეფისი: „კინტო" კომედია აკაკი წერეთლისა დაიბეჭდა „დროებაში" 1880 წ. № 8,9. 1. გ ა ბ უ ნ ი ა ნ ა ტ ო მ ე რ ა ბ ი ს

ას (1859—1910) — 1879 წელს განახლებული ქართული თეატრის მსახიობი. 2. ს ა ლ ო მ ე — აკაკის პიესა „კინტოს“ პერსონაჟი. 3. ი ლ ი ა — აკაკის პიესა „კინტოს“ პერსონაჟი. 4. თ ო მ ა შ ვ ი ლ ი — შ ი შ ნ ი ა შ ვ ი ლ ი ნ. (1855—1885) — თეატრის დასის მსახიობი მე-19 საუკუნის 80-იანი წ. მის აქტიორულ ნიჭს დადებით შეფასებას აძლევდა მაშინდელი ქართული პრესა. (იხ. „დროება“ 1879 წ. № 168). 5. ს ა მ ს ო ნ ი —აკაკის პიესა „კინტოს“ პერსონაჟი. 6. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი — ქართული თეატრის მსახიობი.

13. **ბიბლიოგრაფია, „ივერიის“ შარშანდელი მე-4 და ამ წლის 1 წიგნები,** აკაკის ლექსის „ახალი წლის“ გამო დავით აბდუშელიშვილისა დაიბეჭდა ჟურნ. „იმედი“ 1881 წ. № 1. წერილი წარმოადგენს „ივერიის“ 1880 წლის მეოთხე და 1881 წლის პირველი ნომრების ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას. დ ა ვ ი თ ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი (1841—1919) — პუბლიცისტი, კრიტიკოსი. 1. „ი ვ ე რ ი ა“ — იხ. კომენტარი წერილისა: „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“. 2. პ ე შ ჩ ე ვ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძ ე (1825—1893) — რუსი მწერალი.

14. **შინაური მიმოხილვა, „ნიშანი ერის პასაჟში მოსვლისა“...** ილია ჭავჭავაძისა დაიბეჭდა „ივერიის“ 1882 წლის მეცხრე ნომერში. წერილი დაწერილია აკაკი წერეთლის გორსა და თელავში მოგზაურობის გამო. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე (1837—1907) — დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

15. **ქართული ლიტერატურა არტურ ლაისტისა,** დაიბეჭდა ჟურ. „ივერიაში“ 1884 წ. № 4—6. აღსანიშნავია, რომ არტურ ლაისტი ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე დაინტერესდა აკაკი წერეთლის შემოქმედებით. (ნ. ორლოვსკაია „აკაკი წერეთელი და არტურ ლაისტი“, „დროშა“, 1962 წ. № 2. გვ. 10). არტურ ლაისტს წერილი გამოუგზავნია აკაკისათვის, რომლის შესახებაც „დროების“ რედაქცია იტყობინებოდა („დროება“, 1882 წ. № 41). არტურ ლაისტს აკაკი წერეთელი მოხსენებული ჰყავს აგრეთვე წერილში „მიეწყებული ლიტერატურა“, რომელიც დაიბეჭდა 1882 წელს ლაიპციგის ჟურნალში „Magazin für die Literatur“ და რომელიც შემდეგ „ივერიამ“ გადმობეჭდა ქართულად. „აკაკი წერეთლის კომედიები მეტად მოსწონს ხალხსა. ამას გარდა ამ მწერალმა თავისი ლექციებით და ჟურნალისტიკაში მოღვაწეობით დიდი სამსახური გაუწია თავის ქვეყანას“. (ჟურ. „ივერია“, 1883 წ. № 1, გვ. 116). არტურ ლაისტის მოსაზრებანი აკაკი წერეთლის შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ სრული სახით მოცემულია მის წიგნში „საქართველოს გული“, რომელიც გამოიცა 1927 წელს ტ. II. გვ. 3—6. ა რ ტ უ რ ლ ა ი ს ტ ი (1852—1927) — გერმანელი მწერალი, ჟურნალისტი. საქართველოში ჩამოვიდა 1884 წელს ილია ჭავჭავაძის მოწვევით. მის კალამს ეკუთვნის მრავალი წერილი და ნარკვევი ქართული ლიტერატურისა და ჩვენი ხალხის ისტორიიდან. მისი ნაწერები საქართველოს შესახებ გამოვიდა ორ ტომად („საქართველოს გული“, წ. I, 1923 წ., II — 1927 წ.) ამ ნაწერების ბოლო სრული გამოცემა ეკუთვნის თეიმურაზ ფირალიშვილს (არტურ ლაისტი, „საქართველოს გული“, 1963 წ.).

16. **შინაური ქრონიკა წარმოადგენს** ცნობას აკაკი წერეთლის პოემა „თორნიკე ერისთავის“ შესახებ. დაიბეჭდა „დროებაში“ 1884 წ. № 12. 1. იგულისხმება აკაკის პოემა „თორნიკე ერისთავი“. 2. თ ო რ ნ ი კ ე ე რ ი ს თ ა ვ ი (გ. 985) — ქართველი სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე, დავით III დიდი კურაპალატის სახელგანთქმული სარდალი, ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი მაშენებელი, ტაოელი დიდებულის ჩორდვანელის-ძე. ბერად აღკვეცის შემდეგ ეწოდა იოანე. 979 წელს თორნიკე ერისთავმა ქართველთა ლაშქრით დაამარცხა ბარდა სკლიაროსი. 980 წლის ახლო ხანებში თორნიკე ერისთავს ბიზანტიის კეისარმა სეინგელოზის (პატრიარქის თანაშემწე ბერი) წოდება უბოძა. 3. ს კ ლ ი ა რ ო ს ი ბ ა რ დ ა — მეათე საუკუნის ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებულთა მეთაური. 4. ა თ ო ნ ი ს მ თ ა (ა ი ო ნ ო რ ო ს ი) — წმინდა მთა, ნახევარკუნძული აღმოსავლეთ საბერძნეთში. მე-7 მე-8 სს-ში აქ იწყება

განდეგილების, შემდეგ მონაზონთა დამკვიდრება. მე-8 საუკუნის ბოლოს ქართველ მონაზვნებს აქ მცირე სავანე „ათო“ დაუფუძნებიათ. პირველი დიდი მონასტერი — „დიდი ლავრა“ აქ 963 წელს ააგო ათანასე ათონელმა. ათონის იერთა მონასტერი დაარსდა 980—983 წლებში. მისი შექმნა დაკავშირებულია იოანე მთაწმინდელისა და თორნიკე ერისთავის მოღვაწეობასთან.

17. ბიბლიოგრაფია „ნობათი“, საყოველთაეო პედაგოგიური ჟურნალი, იანვრის წიგნი იაკობ გოგებაშვილისა იაკობ სვიმონიძის ხელმოწერით დაიბეჭდა „დროებაში“ 1884 წ. №№ 41, 42, 43. იაკობ გოგებაშვილი (1840—1912) — ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი. 1. „ნობათი“ — ყოველთვიური სურათებიანი საბავშვო ჟურნალი 1883—1885 წლებში, რედაქტორობდა ანდრია ღლაძე.

18. ფელეტონი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა „თორნიკე ერისთავი“, ისტორიული პოემა თავ. აკაკი წერეთლისა დავით კეზელისა, სოსლანის ფსევდონიმით დაიბეჭდა „Новое обозрение“-ში 1884 წ. № 293. 3 ნოემბერი. დავით სოსლანი, კეზელი (1854—1906) — თავის დროზე ცნობილი ჟურნალისტი, თანამშრომელი თითქმის ყველა ქართული და რუსული პერიოდული გამოცემისა. დაწყებული ქუთაისურ გაზეთ „შრომა“-დან (გამოდიოდა 1881-83 წწ.), სადაც „არაგველის“ ფსევდონიმით წერდა, გათავებული ადგილობრივი რუსული პრესით. მისი ფსევდონიმები იყო აგრეთვე „ზოილი“, „დავით სოსლანი“. 1. „კავკაზი“ („Кавказ“) — პოლიტიკური და ლიტერატურული რუსული გაზეთი, დაარსდა ვორონცოვის მეფისნაცვლობის დროს, როგორც რუსეთის ცარიზმის ოფიციოზი. გამოდიოდა თბილისში 1846 წლიდან 1918 წლამდე. 2. შექსპირი უილიამ (1564—1616) — დიდი ინგლისელი პოეტი და დრამატურგი. 3. პუშკინი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები“.

19. აკაკი წერეთელი არტურ ლაისტისა. „საქართველოს გული“ 1927 წ. ტ. II. გვ. 3 — 6. არტურ ლაისტი — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული ლიტერატურა“. 1. რაფიელ ერისთავი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს რა აკაკანებდა?“ 2. „კრებული“ — „აკაკის თვიური კრებული“, ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი, გამოდიოდა 1897—1900 წლებში თბილისსა და ქუთაისში. 3. ბაირონი ჯორჯ ნოელ გორდონ (1788—1824) — დიდი ინგლისელი პოეტი. 4. ამ შეხვედრაში იგულისხმება მეტოქეები.

20. შინაური ქრონიკა წარმოადგენს ცნობას ჩვენი ლიტერატურით უცხოელთა დაინტერესების შესახებ. კერძოდ, არტურ ლაისტი გერმანულ საკვირაო ჟურნალში აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ მოკლე შეფასებას იძლევა. დაიბეჭდა „დროებაში“ 1885 წ. № 83. 1. არტურ ლაისტი იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული ლიტერატურა“. 2. იგულისხმება გერმანული ჟურნალი „Magazin für die Literatur“. 3. ბიბლიიდან მომდინარე, ბიბლიის დამახასიათებელი. ბიბლია იუდეური და ქრისტიანული რელიგიების „საღვთო“ წიგნების კრებული. შედგება ძველი და ახალი აღთქმისაგან. ქრისტიანობა ცნობს ბიბლიის ორსავე ნაწილს, იუდაიზმი კი მხოლოდ ძველ აღთქმას. ძველი აღთქმის დიდი ნაწილი დაწერილია ძვ. ებრაულ ენაზე. მხოლოდ ზოგიერთი გვიანდელი წიგნი მიაჩნიათ არამეულ ენაზე შექმნილად. ბიბლიის მეორე ნაწილი — ახალი აღთქმა — დაწერილია ბერძნულ ენაზე, თუმცა გამოთქმულია ვარაუდი, რომ მისი ზოგი წიგნი არამეულ ენაზე უნდა ყოფილიყო დაწერილი.

21. ქართული თეატრი, აკაკი წერეთლის კალმისა „კინტოს“ განხილვა. აკაკის გამოსვლა ანტრაქტში დავით კეზელისა დაიბეჭდა ჟურ. „თეატრში“ 1885 წ. № 12. გვ. 109—110. დავით კეზელი — იხ. კომენტარი წერილისა: „ფელეტონი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა „თორნიკე ერისთავი“. 1. მადამ სტალი (1766—1817) — ანა ლუიზა ჟერმენა დე სტალ გოლშტეინი — ცნობილი მწერალი ქალი, რომანტიზმის ერთ-ერთი თეორეტიკოსი, პუბლიცისტი. 2. იგულისხმება 80-იანი წლების ცირკის ანტრეპრენიორი გოდფრუა. 3. კულა გლდანელი (1860 —

1933) — გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის დამდეგამდე ერთ-ერთი პოპულარული მოჭიდავე საქართველოში. 4. სალომე — აკაკის პიესა „კინტოს“ პერსონაჟი. 5. ანდრონიკაშვილი (ზურაბიშვილი) ქეთევან ელეფთერის ას (1862—1941) — ქართველი მსახიობი. 1884-91 წლებში შუშაობდა თბილისის თეატრებში. 6. ილია — აკაკის პიესა „კინტოს“ პერსონაჟი. 7. მაქსიმიძე — ქართველი მსახიობი. 8. გიორგობიანი — ქართველი მსახიობი.

22. აკაკის სურათზედ X-ის ფსევდონიმით დაიბეჭდა, „თეატრი“ 1885 წ. № 13, გვ. 117—118. 1. ტაეპები ამოღებულია ილ. პავლავაძის ლექსიდან „პოეტი“. 2. გრ. ორბელიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს რა აკაკანებდა?“ 3. ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817—1845) — დიდი ქართველი პოეტი, რომანტიკოსი. 4. მოლიერი ჟან ბატისტ (1622—1673) — ფრანგი დრამატურგი, მსახიობი, თეატრალური მოღვაწე.

23. ბიბლიოგრაფია „თამარ ცბიერი“, ოთხმოქმედიანი დრამატული პოემა, თხზულება აკაკისა დავით სოსლანისა. დაიბეჭდა „Новое обозрение“-ში 1886 წ. № 765, 12 მარტი. ამ ბიბლიოგრაფიულმა შენიშვნამ გამოიწვია აკაკის საპასუხო წერილი (იხ. „Новое обозрение“, 1886, № 774. Акакий Церетели, „Письмо в редакцию“). კამათი ამით არ დამთავრებულა და დ. სოსლანმა კვლავ გამოაქვეყნა წერილი (იხ. „Новое обозрение“, 1886, № 775. Д. Сослани, „По адресу уязвленного самолюбия“ (ответ Акакию). დავით სოსლანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ფელეტონი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა „თორნიკე ერისთავი“. 1. პროკრუსტის სარეცელი უნდა იყოს პროკრუსტეს სარეცელი—იტყვიან ხელოვნურ საზომზე, რომელსაც ნაძალადევად უყენებენ ამა თუ იმ მოვლენას. ბერძნულ მითოლოგიაში ყაჩაღი პროკრუსტე (დამასტოსი) თავისთან იტყუებდა მგზავრებს და აწვენდა სარეცელზე; თუ შეპყრობილი ლოგინის სიგრძეზე მეტი აღმოჩნდებოდა, ზედმეტ ნაწილს წააჭრიდა, ხოლო მოკლეს გაუმაძდა და ლოგინის სიგრძეს გაუთანაბრებდა. ლეგენდის გათვალისწინებით შეიქმნა გამოთქმა — „პროკრუსტეს ლოგინი“, რომელიც იხმარება ზომის, ჩაქეტილობის, ტრაფარეტულობის აღსანიშნავად. 2. დავით გურამიშვილი (1705—1792) — დიდი ქართველი პოეტი. 3. დედოფალი თამარი — თამარი იყო ქართლის მეფის ვახტანგ V-ის შაჰნავაზად წოდებულის ძმისშვილი, ლევან დადიანის, შემდეგ ბაგრატ IV-ის ნაცოლარი, გიორგი გურიელის სიდედრი და შემდეგ მისი მეუღლე, იმერეთის დედოფალი. გიორგი გურიელის იმერეთიდან განდევნის შემდეგ (1683 წ.) თამარი სამეგრელოში გადავიდა და გარდაიცვალა იქვე ოდიშს (1683 წ.). ამ შემთხვევაში აკაკის დრამატიული პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. 4. სფინქსი — ძველ ეგვიპტეში: უზარმაზარი ქვის ფიგურა — ადამიანის თავის მქონე მწოლარე ლომი (ფარაონის ძლიერების განსახიერება). ბერძნულ მითოლოგიაში: ფრთოსანი არსება, რომელსაც ტანი ლომისა აქვს, თავი და მკერდი ქალისა. 5. პენტეფრია ბიბლიის გადმოცემით ეგვიპტის ფარაონის ახლო კარისკაცი, რომელსაც ვაჭრებმა მიჰყიდეს იოსები. მისი ეგვიპტური სახელია პოტიფარა („მზის ქურუმი“); სწორედ ამ ფორმით არის იგი მოცემული ბიბლიაში (დაბ. 39, 1). 6. იოსები იგი იყო შვილი ბიბლიური იაკობისა, რომელიც ძმებმა ღალატით გაუყიდეს, ეს სიუჟეტი ბევრ მწერალს გამოუყენებია როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. 7. გოჩა — აკაკის დრამატული პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. 8. გურიელი— გიორგი გურიელი, გიორგი III, იმერეთის მეფე 1681—1683 წლებში. ამ შემთხვევაში აკაკის დრამატიული პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი.

24.ქართული თეატრი აკაკი ბაქრაძისა „ჯანის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა ჟურ. „თეატრში“ 1887 წ. № 6—7, გვ. 24—27. დრამატული პოემა აკაკი წერეთლისა „თამარ ცბიერი“ დაიდგა 8 თებერვალს ქართული დრამატიული საზოგადოების მიერ. პიესამ დადებითი შეფასება დაიმსახურა. ამაეე ნომერში „თეატრის“ რედაქცია იტყობინე-

ბოდა შემდეგს: „ძალიან ნიჭიერი უნდა იყოს კაცი, ძალიან ხერხიანად უნდა ხმარობდეს კალამს, რომ დაახლოებით მაინც გამოხატოს საზოგადოების აღტაცება, ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ პოემამ მოახდინა მაყურებელზე. დარწმუნებული ვართ, რომ თბილისში საზოგადოება ძალიან, ძალიან იშვიათად დამტბარა წარმოდგენით ისე, როგორც ხსენებულ საღამოს („თეატრი", 1887 წ. № 6—7, გვ. 29—30). აკაკი ბაქრაძე — (ჯანი) — ? 1. გიორგი მთავარი — იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „თამარ ცბიერი", 2. შაჰ-აბაზ I (1551—1629) — ირანის შაჰი 1587 წლიდან. საქართველოსთვის განსაკუთრებით მძიმე იყო მისი შემოსევა 1623—1624 წლებში. 3. თამარი — აკაკის დრამატიული პოემის „თამარ ცბიერის" პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „თამარ ცბიერი". 4. გოჩა — აკაკის დრამატიული პოემის „თამარ ცბიერის" პერსონაჟი. 5. დიდი თამარი — მეფე საქართველოსი (1156—1213). 6. შოთა — შოთა რუსთაველი. 7. სახლთუხუცესი — იგულისხმება სახლთუხუცესი ნაკაშიძე, აკაკის დრამატიული პოემის „თამარ ცბიერის" პერსონაჟი. 8. მსაჯულთუხუცესი — იგულისხმება მსაჯულთუხუცესი ქუთათელი, აკაკის დრამატიული პოემის „თამარ ცბიერის" პერსონაჟი. 9. ხუმარა — აკაკის დრამატიული პოემის „თამარ ცბიერის" პერსონაჟი.

25. **კრიტიკა „აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე"** ჲ მაისს 1889 წელს ნიკო ნიკოლაძისა დაიბეჭდა „Новое обозрение" — 1889, № 1865. აღნიშნულ წერილს გამოეხმაურა კრიტიკოსი სანო (სტ. ჭრელაშვილი) „მცირე შენიშვნა, „ივერია, 1889 წ. № 109; უფრო მოგვიანებით „კვალში" დაიბეჭდა უცნობი ავტორის წერილი, რომელმაც მიუთითა ნ. ნიკოლაძის შეხედულებების ტენდენციურობაზე („მკითხველი", „ხმა მაზრიდან", „კვალი", 1894 წ. № 25, გვ. 6). ნ. ნიკოლაძის ამ წერილის ქართული თარგმანი გამოქვეყნდა ჟურნალში „განთიადი", 1915 წ. № 7. გვ. 18—23. რედაქცია ამის შესახებ თარგმანის სქოლიოში წერდა: „ქართველი დიდი კრიტიკოს-პუბლიცისტის ეს წერილები დღეს პირველად ჩვენს ჟურნალში ისტამბება ქართულათ. სულ წინა პირველათ — კი დაისტამბა „Новое обозрение"-ში ამ სათაურით: „დღესასწაულებზე" („На праздники"). ეს თარგმანი ისტამბება დედნის თანახმად, რომელიც დაიბეჭდა 1889 წელს. სრულიათ უცვლელათ, ისე რომ, არც ერთი ფრაზა, ან სიტყვა არც ჩამატებულია ახლათ, არც გამოკლებულია". ნიკო ნიკოლაძე (1843—1928) — ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. 1. „Новое обозрение". — ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა 1884—1905 წლებში. 2. ჭალადიდელი (ქორაკიძე) გიორგი მაკსიმეს ძე (1847—1898) — ქართველი პოეტი და პუბლიცისტი. 3. პუშკინი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები". 4. მარკოვი ა. ნ. — უნდა იყოს მარკოვი ე. ლ. (1835—1903) — რუსი მწერალი, კრიტიკოსი და ეთნოგრაფი. 5. ნეკრასოვი ნიკოლოზ (1821—1878) — რუსი პოეტი. 6. ტოლსტოი ალექსი კონსტანტინეს ძე (1817—1875) — რუსი მწერალი. 7. ლერმონტოვი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები". 8. იგულისხმება ნეკრასოვის ლექსი „უცნობ მეგობარს" (1866)

ჩემი სიმღერა წრფელ გულიდან გადმოიღვარა,
ხალხამდე მაინც ვერ მივიდა, — ვერ გაეხარე...

9. სალტიკოვ-შჩედრინი მიხეილ ევგრაფის ძე (1826—1889) — რუსი მწერალი-სატირიკოსი. 10. მიხაილოვსკი ნ. კ. (1842—1904) — რუსი პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი. 11. შჩედრინის შესახებ — სალტიკოვ-შჩედრინი მიხეილ ევგრაფის ძე (1826—1889) — გამოჩენილი რუსი მწერალი — სატირიკოსი. 12. „Русские ведомости" — გაზეთი გამოდიოდა მოსკოვში 1863—1918 წლებში. ჯერ კვირაში სამჯერ და შემდეგ ყოველდღიურად. რედაქტორ-გამომცემლები: ნ. პაულოვი, ნ. სკვარცოვი, ვ. სობოლევსკი და სხვ. 13. იგულისხმება ა. ტოლსტოის ლექსი „Господь, меня готовя к бою" (1857). А. К. Толстой, собр. соч. в 4-х томах, т. 1, стр. 133.

26. **ორგვარი აზრი აკაკის ლექსებზე** თედო კიკვაძისა დაიბეჭდა „კვალში“ 1893 წ. № 21, 23 მაისი გვ. 11—12. წერილს დართული აქვს რედაქტორის შემდეგი შენიშვნა: „თ. აკაკი წერეთლის ოცდა-ათის წლის მოღვაწეობა შეიცავს თვით საქართველოს ერის გონებრივის წარმატების ნაყოფს. მაშასადამე, შეუძლებელია ჩვენს ლიტერატურაში მწერალი ისე შეეხოს ჩვენის ცხოვრების ვითარებას, რომ ასე იქნება თუ ისე, იგი არ იყოს გარეული ამ ცხოვრებაში. ამისათვის ვერც ერთი ჩვენი ჟურნალი და გაზეთი გვერდს ვერ აუქცევს თვით მისს ნაღვაწს და რომ კიდეც განზრახ არ მოიხსენიოს იგი, მწერალს დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოს და მის კალმის ნაწარმოებს მოაკლდება ფერი და მნიშვნელობა. ამისათვის თავისუფლად უნდა ებეჭდოთ ჩვენს წარჩინებულს პოეტების შესახებ წერილები მიუხედავად იმისა, მათს ჟურნალ-გაზეთებში იქნება დაბეჭდილი თუ გარეშე სალიტერატურო ორგანოში“ (რედაქტორი). **თედო (თედორე) გაბრიელის ძე კიკვაძე** (1870—1939) — პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „აკაკის კრებულის“ უახლესი თანამშრომელი. აკაკი მას სთელიდა თავის თანაშემწედ სარედაქციო მუშაობაში. თანამშრომლობდა აგრეთვე „კვალში“, წერდა ფსევდონიმებით „ჭალარა“, „ზღვისპირელი“, საინტერესოა აკაკის წერილი თ. კიკვაძისადმი, დათარიღებული 1897 წ. 15 იელისით. 1. 90-იან წლებში წიგნის გამომცემელთა ამხანაგობა. 2. **იერემია** ბიბლიური პერსონაჟი, იუდეველთა მეორე ე. წ. „დიდი წინასწარმეტყველი“, რომელმაც ქადაგება დაიწყო ჩ. წ. აღ-მდე 626 წელს. მისი სახელით ტრადიციულად ცნობილია „იერემიას გოდება“ და „მეფეთა წიგნი“, რომელიც შესულია ძველი აღთქმის კანონში. 3. **დობროლიუბოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე** (1836—1861) — რუსი კრიტიკოსი, პუბლიცისტი, რევოლუციონერ-დემოკრატი. 4. **ეკატერინე II** (1729—1796) — რუსეთის იმპერატორი 1762 წლიდან. წარმოშობით გერმანელი. 5. იგულისხმება დობროლიუბოვის სტატია „Русская сатира в век Екатерины“, რომელიც დაიბეჭდა „Современник,“ 1859, № X.

27. **ორი ახალი წიგნი, საბიბლიოგრაფიო შენიშვნა** არტემ ახნაზაროვისა დაიბეჭდა „ივერია“, 1895 წ. № 79. „ჩიორას“ ფსევდონიმით ხელმოწერილ ამ რეცენზიაში ავტორი გულისტკივილით შენიშნავდა, რომ თ. სახოკიას მიერ დაბეჭდილი აკაკის ნაკეესები, რომელსაც თვით ავტორი „ხელისხელ საგოგმანებელ მარგალიტებს“ უწოდებს, არ ამართლებს ამ სახელწოდებას, მეტიც, იგი აკაკი წერეთელს არ ეკუთვნისო და აკაკი წერეთელს საზოგადოების სახელით თხოვდა უარეყო ეს მისეულად მონათლული ნაკეესები. ამავე წლის 7 მაისის „კვალის“ ფურცლებზე აკაკი წერეთელი აქვეყნებს წერილს, სადაც დიდ გულისტკივილს გამოსთქვამს მომხდარი ფაქტის გამო („კვალი“, 1895 წ. № 15). პოლემიკა ამით არ დამთავრებულა. თ. სახოკიამ „ჩიორას“ ფელეტონის გამო უჩივლა „ივერიის“ რედაქტორს ილ. ჭავჭავაძეს თბილისის ოლქის სასამართლოში. („ივერია“, 1895 წ. № 107). ოლქის სასამართლომ განიხილა ეს საქმე და არ შეიწყნარა თ. სახოკიას საჩივარი. სახოკიას ვექილმა ეს საქმე გადაიტანა თბილისის სასამართლო პალატაში. („ივერია“, 1897 წ. № 131). აღნიშნული საქმე განიხილა თბილისის სასამართლო პალატამ და დაადგინა: თავ. ილ. ჭავჭავაძე მართლად იქნას ცნობილი, ხოლო თ. სახოკიას საპელაციო საჩივარი უყურადღებოდ დატოვებული. („ივერია“, 1898 წ. № 255). ამ მოვლენას ჩვენი თანამედროვე პრესაც გამოეხმაურა. კეველიშვილი, „თბილისი“, 1958 წ. 4 თებ.; ს. ჯორბენაძე, „საპირო შენიშვნები“, „კომუნისტი“, 1958 წ. 7 აპრილი; ე. სიდამონიძე, „ილია ჭავჭავაძე სამსჯავროს წინაშე“, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1974 წ. № 1. **არტემ ახნაზაროვი (ჩიორა)** (1874—1943) — „ივერიის“ თანამშრომელი. წერდა აგრეთვე ფსევდონიმებით: ორლანი, მანოელიძე. ალფა და დუშიკო. 1. **თედო სახოკია** (1868—1956) — ცნობილი მწერალი, ეთნოგრაფი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. 2. **ყიფიანი ე. მ.** (1855—1936) — დრამატურგი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. 3. **გ. წერეთელი** — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს რა აკაკანებდა?“ 4. **„კვალი“** — სამეცნიერო და სალიტერატურო ყოველკვირეული გაზეთი 1893—1904 წლებში. გაზე-

თის პირველი რედაქტორი იყო გ. წერეთელი. 5. ჰაოსტანი — სომხეთი. 6. ვრასტანი — საქართველო.

28. აკაკი ზაქარია ჭიჭინაძისა. ეს პატარა წიგნაკი გამოქვეყნდა 1897 წელს. წიგნი სამი თავისაგან შედგება. ჩვენს მიერ დაბეჭდილ ტექსტში გამოტოვებულია პირველი თავი. მასში არაფერია ნათქვამი აკაკი წერეთლის შემოქმედებითი ღვაწლის შესახებ. რაც შეეხება მეორე და მესამე თავებს, იგი გადატვირთულია ბიოგრაფიული ცნობებით და ამიტომ შემოკლებული სახით იბეჭდება. ჭიჭინაძე ზაქარია (1855—1931) — ცნობილი ბიბლიოგრაფი და ბიოგრაფი. 1. „ცისკარი" — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს" რა აკაკანებდა?" 2. ივანე კერესელიძე (1829 — 1893) — ქართული ლიტერატურისა და ქართული მწიგნობრობის დიდი მოამაგე. ჟურ. „ცისკრის" გამომცემელი და რედაქტორი 1857—1875 წლამდე, პუბლიცისტი, პოეტი, ისტორიკოსი. 3. დანიელ ჭონქაძე (1830—1860) — ქართველი მწერალი. 4. დიმიტრი ყიფიანი (1814—1887) — ცნობილი საზოგადო მოღვაწე. 5. ევანგულოვი — დავითაშვილის ეს გვარი არ არის არსად მითითებული. 6. დავითაშვილი იოსებ სიმონისძე (1850—1887) — ქართველი სახალხო პოეტი. 7. ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786—1846) — ცნობილი რომანტიკოსი პოეტი. 8. გრიგოლ ორბელიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს" რა აკაკანებდა?". 9. „გლახის ნაამბობი" — ილია ჭავჭავაძის მოთხრობა. 10. გლახა ჭრიაშვილი — ილ. ჭავჭავაძის მოთხრობის „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენების" პერსონაჟი. 11. იაკობ გოგებაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა „ბიბლიოგრაფია, „ნობათი", საყოველთაო პედაგოგიური ჟურნალი, იანვრის წიგნი". 12. გ. წერეთელი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს" რა აკაკანებდა?" 13. ა. ფურცელაძე — იხ. კომენტარი წერილისა „ქართული ლიტერატურა". 14. ნ. ნიკოლაძე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე, 2 მაისს 1889 წელს". 15. ს. მესხი — იხ. კომენტარი წერილისა: „კრებული", მეექვსე და მეშვიდე წიგნი, 1872 წ." 16. პეტრე უმიკაშვილი (1838—1904) — ლიტერატორი, პედაგოგი და ხალხური სიტყვიერების შემკრები. 17. „ივერია" — იხ. კომენტარი წერილისა: „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება".

29. თეატრის მატიანე, „ხანის ვეზირი" კომედია 4 მოქ. აკაკი წერეთლისა, მიხეილ ნასიძისა, „მე გახლავარ" ფსევდონიმით დაიბეჭდა „ივერია", 1898 წ. № 25. პიესის ავტორობის შესახებ აზრი გამოთქვა აგრეთვე ილ. ჭავჭავაძემ „პატარა საუბარი", „ივერია", 1898 წ. № 27. მიხეილ ნასიძე, „მე გახლავარ" (1859—1935) — პედაგოგი 1. მოპასანი ანრი რენე ალბერ გი დე (1850—1893) — ფრანგი მწერალი. 2. ოჰ, ღმერთო! ნეტავი არ მაცხოვრა და მაცოცხლა ისე, როგორც პირუტყვნი სცხოვრობენო"— მოპასანის გამონათქვამი. 3. ბურე ეპოლ შარლ ჟოზეფ (1852—1935) — ფრანგი მწერალი 4: „სიყვარული არის ჰიდიდი ორის გარყვნილებისაო" — ბურეეს გამონათქვამი.

30. კრიტიკული წერილები, წერილი მეორე, სამი პოეტი „აკაკი წერეთელი" ეასიე წერეთლისა გამოქვეყნდა ვ. წ. ხელმოწერით „აკრ". 1899 წ. № 6, განყ. I. გვ. 33—63. ჩვენ მიერ დაბეჭდილ ტექსტში გამოტოვებულია პირველი წერილი, რომელიც დაიბეჭდა „აკრ" 1899 წ. № 5, გვ. 12—43. მასში ლაპარაკია ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის მსგავსება-განსხვავებაზე. ვასილ წერეთელი (1862—1937) — ექიმი. ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. იგი წერდა ფსევდონიმებით: „ზემო იმერელი", „ურო", „ვ. წ." და „ულმობელი" 1. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ". 2. გრ. ორბელიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს" რა აკაკანებდა?".

31. აკაკის პედაგოგიური აზრების მოკლე მიმოხილვა ლუარსაბ ბოცვაძისა დ.-

იბეჭდა ჟურნ. „განათლებაში“ 1908 წ. № 7—8. ივლისი, აგვისტო. ლ უ ა რ ს ა ბ გ ე რ ა ს ი მ ე ს ძ ე ბ ო ც ვ ა ძ ე (1865—1919) — პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. 1908 წელს დააარსა ყოველთვიური სამეცნიერო, პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი თვითონ იყო. 1. შ ე ქ ს პ ი რ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ფელეტონი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა „თორნიკე ერისთავი“. 2. „უ ბ ე დ უ რ ი ა ის კ ა ც ი, ვ ი ნ ც ყ უ რ ს ა რ უ დ ე ბ ს ი მ ჰ ა ნ გ ს, რ ო მ ე ლ ი ც გ ა ი ს მ ი ს თ ი თ ო ე უ ლ ი ჩ ვ ე ნ გ ა ნ ი ს ს უ ლ შ ი ო“ — შექსპირის გამონათქვამი. 3. უ შ ი ნ ს კ ი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე (1824—1870) დიდი რუსი პედაგოგი. 4. პატიოსანი შრომა „ა რ ი ს ე რ თ ა დ ე რ თ ი ღ ი რ ს ე უ ლ ი ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა, რ ა ც კ ი ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ ო მ ი ა კ ა ც ი ს ა თ ვ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა ზ ე“ — უშინსკის გამონათქვამი. 5. „ც ე მ ა გ მ ა რ თ ე ბ ს გ ა მ ზ დ ე ლ ი ს ა, რ ა ყ მ ა ნ ა ხ ო ა ვ ა დ ზ რ დ ი ლ ი“ — ხალხური გამონათქვამი.

32. აკაკი მისი 50 წლის დღესასწაულის გამო ანტონ ფურცელაძისა დაიბეჭდა „დროებაში“ 1908 წ. № 7, 26 ნოემბერი. ანტონ ფურცელაძე — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული ლიტერატურა“. 1. ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ“.

33. აკაკი იაკობ ფანცხავასი დაიბეჭდა ჟურნ. „ფასკუნჯში“ 1908 წ. № 5. 7 დეკემბერი. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა ი ა კ ო ბ ს პ ი რ ი დ ო ნ ი ს ძ ე (1867—1955) — მწერალი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე.

34. აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი კიტა აბაშიძისა დაიბეჭდა ჟურნ. „ფასკუნჯში“ 1908 წ. № 5. 7 დეკემბერი. კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე (1870—1917) — ცნობილი ქართველი კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ქართული ჟურნალ-გაზეთების აქტიური თანამშრომელი. 1. ტაეპები აღებულია „ვეფხისტყაოსნის“ იმ თავიდან, რომელსაც ეწოდება: „პოვნა ავთანდილისაგან ტარიელისა“ (875). კიტა აბაშიძეს ოდნავი ცვლილებებით მოაქვს ტაეპები. უნდა იყოს:

„ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა,
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვიტკირსა“

2. ტაეპები აღებულია „ვეფხისტყაოსნის“ იმ თავიდან, რომელსაც ეწოდება: „ანდერძი ავთანდილისაგან როსტევან მეფის წინაშე“ (795). კიტა აბაშიძეს ოდნავი ცვლილებებით მოაქვს ტაეპები. უნდა იყოს:

„არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა;
წესი არის მამაცისა მოკვირვება, ჭირთა თმენა“.

3. ტაეპები აღებულია „ვეფხისტყაოსნის“ იმ თავიდან, რომელსაც ეწოდება: „წასვლა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ“ (863). კიტა აბაშიძეს ოდნავი ცვლილებებით მოაქვს ტაეპები. უნდა იყოს:

„კვლა იტყვის: „მიკვირს ნაღველი კაცისა ჯუიანისა,
რა ქმუნვარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა ბანისა?“

4. ს უ ლ მ ნ ა თ ი — ავლისხმება შოთა რუსთაველი. 5. ნ ე ს ტ ა ნ ი — ამ შემთხვევაში იგულისხმება სამშობლო. 6. ნ ი ნ ო — წმინდა ნინო, საქართველოში ქრისტიანობის შემომტანი, IV საუკუნეში. (337 წ.) 7. ქ ე თ ე ვ ა ნ — ქეთევან დედოფალი, თეიმურაზ I-ის დედა. შაჰ-აბაზმა საშინელი ტანჯვით მოაკვლევინა შირაზში (1624). 8. თ ა მ ა რ ი (1156—1212) — საქართველოს სახელგანთქმული მეფე, მეფობდა 1184—1213 წწ.

35. აკაკი წერეთელი კიტა აბაშიძისა, დაიბეჭდა „დროებაში“ 1908 წ. № 17. 7 დეკემბერი. კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“.

36. ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა გიორგი ჯავახიშვილისა, დაიბეჭდა ჟურ. „ფასკუნჯში“ 1908 წ. № 6. 17 დეკ. გ ი ო რ გ ი ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, გ. ჯ ა ვ-შ ვ ი ლ ი— (დაიბად. 1837 წ.) — ხ. ნიკოლაძის თქმით, პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა შო-

რის „იგი ცნობილი იყო, როგორც კეთილი და უაღრესად წესიერი კაცი“ (ნ. ნიკოლაძე, 1. გვ. 103, 391). 1. ლენგ თემური (1336—1405) — შუააზიელი, გათურქებული მონღოლური ტომის ნაშიერი, მხედართმთავარი და დამპყრობი. 1362 წელს დაიპრა და დაკოპლდა, რის შემდეგაც შეერქვა ლენგ, ე. ი. კოჭლი. თემურ ლენგის ლაშქრობანი საქართველოში (1386—1403 წლებში) გამანადგურებელი იყო ჩვენი ქვეყნისათვის. 2. მონგოლები — მონგოლები (თათრები) ისტორიული სახელწოდება სხვადასხვა ტომებისა, რომლებმაც XIII საუკუნეში შექმნეს სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო. საქართველოში მონგოლები ბატონობდნენ მე-13 საუკუნის 30—40-იანი წლებიდან მე-14 საუკუნის 30-იან წლებამდე. 3. მეფე ბაგრატი — ბაგრატ V (გარდაიც. 1393 წ.) — საქართველოს მეფე 1360-დან, დავით IX-ძე. ქართული საისტორიო მწერლობა ბაგრატ V „დიდის სახელით იხსენიებს. 1386 წელს თემურლენგმა აიღო თბილისი. მტერმა დატყვევა ბაგრატ V, მისი მეუღლე ანა და შვილი დავითი. თემურმა ბაგრატ V გამაჰმადიანება ჰოსთხოვა. ბაგრატ V დიდხანს უარზე იყო, ბოლოს დათანხმდა, რომ ტყვეობიდან თავი დაეხსნა და დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩასდგომოდა, მაგრამ განთავისუფლების შემდეგ მალე გარდაიცვალა. ამ შემთხვევაში აკაკის პოემის „ბაგრატ დიდის“ მთავარი პერსონაჟი. 4. გიორგი — აკაკის პოემის „ბაგრატ დიდის“ პერსონაჟი. 5. ცოტნე დადიანი — ისტორიული პიროვნება. იგი იყო ერისთავთ ერისთავის შერგილ დადიანის ძე და ცხოვრობდა XIII საუკუნეში. ამ შემთხვევაში „ნათელას“ პერსონაჟი. 6. მეფე გიორგი გურიელი — აკაკის დრამატული პოემა „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „თამარ ცბიერი“. 7. თამარ დედოფალი — აკაკის დრამატული პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „თამარ ცბიერი“. 8. გოჩა — აკაკის დრამატული პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. 9. იგულისხმება საქართველოს მეფე თამარი. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“: 10. ცირა — აკაკის დრამატული პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. 11. შაჰ-აბასი — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული თეატრი“. 12. ბაში-აჩუკი — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 13. ბიძინა ჩოლოყაშვილი — ახმეტის ბატონი, წამებული შალვა და ელიზბარ ერისთავებთან ერთად 1661 წელს. 14. შალვა და ელიზბარ ერისთავები — წამებულნი სპარსეთში შაჰ-აბას II დროს 1661 წელს. 15. ჯანდიერი — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 16. მაყაშვილი — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 17. მოძღვარი კირილე — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 18. მელანო — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 19. თეიმურაზ მეფე — თეიმურაზ II (გარდაიც. 1762 წ.) — ქართლში გამეფდა 1744 წელს. 20. პატარა კახი — ერეკლე მეფის ზედწოდება. ერეკლე II (1720—1798) — ქართლ-კახეთის მეფე, თეიმურაზ II ძე. 21. აღა-მაჰმად-ხანი (1742-97) — ირანის შაჰი 1796 წლიდან. ყაჯართა დინასტიის ფუძემდებელი. 1795 წელს შემოესია საქართველოს და აიღო თბილისი. 1797 წელს, როცა იგი ემზადებოდა საქართველოზე მეორე გამოლაშქრებისათვის, ჭ. შუშაში მოკლა მისმა მსახურმა. 22. გელა — აკაკის ისტორიული დრამის „პატარა კახის“ პერსონაჟი. 23. გივი — აკაკის ისტორიული დრამის „პატარა კახის“ პერსონაჟი. 24. დავით კურაპალატი — დავით III დიდი, კურაპალატი, (გარდაიც. 1001 წ.). — ტაოს მეფე. 25. თორნიკე — აკაკის პოემის „თორნიკე ერისთავის“ მთავარი პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 26. დავითი — იგულისხმება დავით კურაპალატი, რომელიც გამოყვანილია აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“. 27. ათონი — იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 28. გაბრიელ ბერი — იოვანესა და თორნიკეს თანამედროვე ათონელი მოღვაწე, ცნობილი თავისი განსაკუთრებული სიწმინდით (იხ. გიორგი მთაწმინდელი, „ცხორებაი იოანესი და ეფთვიმესი“, აკაკი შანი-

ძის გამოცემა 1946 წ. გვ. 21, 31, 32). გადმოცემით მას მიეწერება ათონის ივერთა მონასტერში ღვთისმშობლის ხატის მიტანა სასწაულებრივი გზით, ღვთისმშობლის გამოცხადებით. (იხ. „გეორგიკა", VIII, 1970, გვ. 257—270). 29. თორნიკე ერისთავმა ბარდა სკლიაროსის ლაშქრის დამარცხების შემდეგ (979 წ.) ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი, რომელიც ათონის ივერთა მონასტრის მშენებლობას მოახმარა. ეს მონასტერი აშენდა 980—983 წლებში. ამის შესახებ იოანეს „ცხოვრებაში" ნათქვამია: „და ღმრთისა მომადლებითა პოვეს ადგილი შუენიერი შუა მთაწმიდისა და აღაშენეს მონასტერი და ეკლესიანი წმიდისა ღმრთის მშობელისა სახელსა ზედა. და წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისასა". (გიორგი მთაწმინდელი, „ცხორებაი იოვანესი და ექვთიმესი", ა. შანიძის გამოც. 1946 წ. გვ. 20).

ბერძნული წყაროების მიხედვით მთავარი საკრებულო ტაძარი მონასტრისა ღვთისმშობლის სახელზე აშენებულია იოანეს, ექვთიმეს, თორნიკეს და გიორგი ვარაზ-ვაჩეს უშუალო მონაწილეობით. (კ. კეკელიძე, ეტიუდები, II, 1945 წ. გვ. 224). 30. წ მ ი ნ დ ა მ თ ა — აქ ათონის მთა. 31. ა მ ი რ ა ნ ი — ქართული ხალხური ეპოსის გმირი, „ამირანიანის" მთავარი პერსონაჟი, ნადირობის ქალღმერთის დალისა და უცნობი მონადირის შვილი. ხალხისათვის თავდადებული გმირი ღმერთმა კავკასიონზე მიჯაჭვა. მიჯაჭვული ამირანის სახე შემდეგ ეროვნული ჩაგვრისაგან ხსნის იდეას დაუკავშირდა და თავისებური გამოხატულება პოეტ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. გილგამეშისა და პრომეთეს მსგავსად ამირანი საკაცობრიო მნიშვნელობის მხატვრული სახეა, რომელიც დაახლოებით, 3500 წლის წინათ უნდა იყოს შექმნილი.

37. **საჭირბოროტო საკითხები, მამული თუ სასუფეველი?** ნიკო ლორთქიფანიძისა „თანამელოს" ფსევდონიმით დაიბეჭდა საეუბილეო მხატვრულ ალმანახში „აკაკის დღენი საქართველოში", 1908 წ. № 2 გვ. 2—4, 25 დეკ. თ ა ნ ა მ ე ლ ო (ნ ი კ ო ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე) (1880—1944) — გამოჩენილი ქართველი მწერალი, პროზაიკოსი, პედაგოგი. 1. პ რ ო მ ე თ ე — ბერძნულ მითოლოგიაში: ტიტანი, რომელმაც ოლიმპოდან მოიტაცა ცეცხლი და ხალხს ასწავლა მისი გამოყენება. ამის გამო იგი დასაჯა ზევსმა და მიაჯაჭვა კლდეზე კავკასიაში. გაათავისუფლა ჰერაკლემ (ქართულ ფოლკლორში მას შეესაბამება ამირანი). 2. ო ლ ი მ პ ო — ბერძნულ მითოლოგიაში: ღმერთების კრებული. 3. ს კ ლ ი ა რ ო ს ბ ა რ დ ა ე ლ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა". 4. ბ ა გ რ ა ტ ი — აკაკის პოემის „ბაგრატ დიდის" მთავარი პერსონაჟი, იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა". 5. თ ე მ უ რ ლ ე ნ გ — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა". 6. ი ე ზ უ ი ტ უ რ ი ფ ი ც ი — იეზუიტები, კათოლიკური მონაზვნური ორდენის („იესოს საზოგადოება") წევრებია. ორდენი დააარსა ი. ლოიოლამ 1534 წ. პარიზში. 1540 წელს დაამტკიცა პაპმა პავლე III-მ. ორდენი მიზნად ისახავდა კათოლიციზმის დაცვასა და გავრცელებას, პაპის ხელისუფლების განმტკიცებას. იეზუიტები აქტიურად ერეოდნენ მეცნიერების საკითხებში, განათლებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ორდენი აგებულია მკაცრი დისციპლინისა და ცენტრალიზაციის პრინციპებზე. მოითხოვს უფროსისადმი უმცროსის უსიტყვო მორჩილებას, დავალებათა წარმატებით შესასრულებლად ნება ეძლევათ დამალონ ორდენის წევრობა, იცრუონ და სხვა... 1773 წელს პაპი კლემენტი XIV იძულებული გახდა ფორმალურად გაეუქმებინა ორდენი. რესტავრაციის ხანაში იეზუიტების ორდენი ოფიციალურად აღადგინეს (1814). აქ იგულისხმება ბაგრატის ორპირობა, მისი ცრუ ფიცი მიცემული თემურ ლენგისადმი. 7. ბ ე რ დ უ ჯ ი ს ხ ე ო ბ ა — მდ. ძეგამჩაის (ახლანდ. აზერბ. სსრ-ში) ძველი ქართული სახელწოდება. ეს მდინარე იყო ქართლის, შემდეგ გაერთიანებული საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი ალბანეთ-არანთან.

38. **თეატრი და ხელოვნება, ქართული წარმოდგენა ახალი თეატრი, „პატარა კახი"** ალექსანდრე ჩხეტიასი „სანდროს" ფსევდონიმით დაიბეჭდა „დროებაში" 1908 წ.

№ 34, 30 დეკ. სანდრო, ალექსანდრე ჩხეტია, (1873—1949) პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე.

39. ქართული პოეზიის იალბუზი იაკობ გოგებაშვილისა დაიბეჭდა „აკაკის საიუბილეო კრებულში" 1908 წ. გვ. 34—39. იაკობ გოგებაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „ნობათი", საყოველთაო პედაგოგიური ჟურნალი, იანვრის წიგნი". 1. დავით ერისთავი (1847—1890) — დრამატურგი და ჟურნალისტი. 2. „Вестник Европы" — ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც 1866 წელს დააარსა პროფ. ს. სტასიულევიჩმა. 3. „Кавказ" — იხ. კომენტარი წერილისა: „ფელეტონი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა „თორნიკე ერისთავი". 4. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ". 5. გრ. ორბელიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს" რა აკაკანებდა?" 6. ვაჟა-ფშაველა (1861—1915) — დიდი ქართველი პოეტი. 7. ციტატა ამოღებულია გრ. ორბელიანის ლექსიდან „ვინცა განახოს"... 8. გოეთე იოჰან ვოლფგანგ (1749—1832) — დიდი გერმანელი პოეტი და მოაზროვნე. 9. შილერი იოჰან ფრიდრიხ (1759—1805) — დიდი გერმანელი პოეტი, დრამატურგი. 10. აქ იგულისხმება ვ. წერეთლის წერილი „სამი პოეტი". 11. სოფოკლე (დაახლ. 496—406 ჩვ. წ. აღ-მდე)— ძველი ბერძენი დრამატურგი. 12. შექსპირი — იხ. კომენტარი წერილისა: „ფელეტონი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა „თორნიკე ერისთავი". 13. იბსენი ჰენრიხ (1828—1906) — ნორვეგიელი მწერალი, დრამატურგი.

40. აკაკი და „მსოფლიო გოდების" პოეზია ალექსანდრე ხახანაშვილისა დაიბეჭდა 1908 წელს გამოცემულ „აკაკის საიუბილეო კრებულში", გვ. 17—18. ავტორის ეს წერილი მცირეოდენი ცვლილებით შესულია მის ვრცელ გამოკვლევაში „აკაკი წერეთელი", „ქართული სიტყვიერების ისტორია", 1913 წ. ეს წერილი აგრეთვე შესულია ალ. ხახანაშვილის წიგნში „Очерки по истории грузинской словесности", выпуск 4-й. лит. XIX в. М., 1906 г., стр. 220—262. ხახანაშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე (1864—1912) — ლიტერატურის ისტორიკოსი, პროფესორი, ავტორი რუსულ და ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ნარკვევებისა ქართული სიტყვიერების ისტორიიდან. 1. სოლომონ ებრაელი — ებრაელთა მეფე 965—928 წლებში ჩ. წ. აღ-მდე... მას მიეწერება ძველი აღთქმის წიგნები „ეკლესიასტე", „იგავნი", „ქებათა-ქება" და სხვა. 2. ომარ ხაიამ (დაახლ. 1048—1122)-- სპარსელი პოეტი, მათემატიკოსი და ფილოსოფოსი. 3. ბაირონი —იხ. კომენტარი წერილისა „აკაკი წერეთელი". 4. ლეოპარდი ჯაკომო (1798—1837) — ცნობილი იტალიელი პოეტი, რომანტიკოსი. 5. სოლომონ ბრძენი თავის „ეკლესიასტეში" ამბობს, რომ ყოველივე ქვეყნიური არის ამაო, მხოლოდ შიში უფლისა და ღვთის მცნებათა აღსრულება შეადგენს ჟვით უმთავრესს და უმაღლეს ბედნიერებასა და სიკეთეს, რომელიც დაამშვიდებს და მოასვენებს კაცის სულს (ეკლეს. 12, 13).

41. კრიტიკული ესკიზი ივანე გომართელისა დაიბეჭდა „აკაკის საიუბილეო კრებულში" 1908 წ. გვ. 46—47. გომართელი ივანე (1875—1938) — ქართველი საზოგადო მოღვაწე და კრიტიკოსი. 1. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზე" 2. ბაირონი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი". 3. ვიქტორ ჰიუგო (1802—1885) — დიდი ფრანგი მწერალი, რომანტიკოსი. 4. პუშკინი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები".

42. თ. აკაკი წერეთელი (სალირიკო პოეზია) კიტა აბაშიძისა. იბეჭდება 1908 წლის გამოცემის მიხედვით. ამ წერილის შესავალი ნაწილი და პირველი თავი დაიბეჭდა „იმერეთი" 1915 წ. № 18, 28 იანვარი, რომლის შესახებ რედაქცია მიუთითებდა, რომ „ეს ნაწყვეტი ამოღებულია ბ-ნ კ. აბაშიძის წიგნაკიდან „თ. ა. წერეთელი", ქუთაისი, 1908 წ. აბაშიძე კიტა — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტა-

მიზეზი". 1. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა „აკაკის სურათზედ". 2. ტაეპები აღებულია ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „ეპოვე ტაძარი". კიტა აბაშიძეს ოდნავი ცვლილებებით მოაქვს ტაეპები. უნდა იყოს:

ეპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;
მუნ ენთო მარად უქრობელი, წმიდა ლამპარი;
ანგელოსთაგან იკრძალა მუნ დავითის ჭნარი,
და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!

3. ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786—1846) — ცნობილი რომანტიკოსი პოეტი. 4. ნესტანი — „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი. 5. ტარიელი — „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი. 6. ფრიდონი—„ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი. 7. ავთანდილი—„ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი. 8. თემურ ლენგი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა". 9. ბაგრატი — აკაკის პოემის „ბაგრატ დიდის" მთავარი პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა". 10. იგულისხმება ილია ჭავჭავაძე. 11. უტილიტარული ხელოვნება — აქ იგულისხმება პრაქტიკული, გამოყენებითი მნიშვნელობა ხელოვნებისა. 12. პლანეტა — ციური სხეული, რომელიც მზის გარშემო ბრუნავს და არეკლილი მზის შუქით ანათებს; ცთომილი. 13. პოეტს აქ სახეში ჰყავდა დიმიტრი ყიფიანი, მას შემდეგ ამ საფლავს მეორე საფლავიც მიემატა, რომელმაც ეს ადგილი სამარადისო სათაყვანო ადგილად გახადა ქართველი ერისათვის. (რედ. შენიშვნა). 14. ავტორი გულისხმობს ალ. ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს (იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს" რა აკაკანებდა"?), რ. ერისთავს (იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს" რა აკაკანებდა?"). 15. კლასიკური სატირა—ლიტერატურაში და ხელოვნებაში სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ხერხი, უარყოფითი საზოგადოებრივი მოვლენების დაუზოგავი დაცინვა, რომელიც ობიექტის მთლიანი არსების განადგურებას ისახავს მიზნად. 16. ეზოპე — ესოპე — ძვ. წ. VI ს. ბერძენი მწერალი, იგავ-არაკების ჟანრის ფუძემდებელი. 17. ლაფონტენი ჟან (1621—1695) — ფრანგი სატირიკოსი, პოეტი. 18. კრილოვი ივანე (1769—1844) — რუსი მწერალი, მეიგავე. 19. ჩვენ სახეში გვაქვს ამ ორი მწერლის მხოლოდ სალირიკო ლექსების შედარება და არა მათი საზოგადო ლიტერატურული მოღვაწეობისა და მნიშვნელობისა (ამის შესახებ იხილეთ თავი — „ილ. ჭავჭავაძე"), (კიტა აბაშიძის შენიშვნა). 20. ბუდა — ბუდისტურ რელიგიაში არსება, რომელმაც მიაღწია უმაღლეს სიწმინდეს. ბუდისტურ პანთეონში მრავალი ბუდა არსებობს, მაგრამ ამ სახელით უმეტესად მოიხსენიებენ ჩრდილოეთ ინდოეთში, თანამედროვე ნეპალის სამხრეთ საზღვარზე მცხოვრებ შაკიების ტომის ბელადის ძეს სიდჰართა გაუტამას, რომელსაც ბუდიზმის შექმნას მიაწერენ. თქმულების თანახმად, იგი ცხოვრობდა ძვ. წ. 623—544, ან 60 წლით გვიან. 29 წლისამ მიატოვა ოჯახი, ასკეტური ცხოვრება დაიწყო, რათა შეეცნო ადამიანის ცხოვრების არსი, კაცობრიობისათვის ხსნა და ბედნიერება მოეტანა. 7 წლის განდეგილობის შემდეგ მან თითქოს შეიცნო ჭეშმარიტება, ახალი რწმენის ქადაგება დაიწყო ქ. ბენარესის გარეუბანში და თავის სარწმუნოებაზე მოაქცია პირველი ხუთი მიმდევარი. ამით საფუძველი დაუდო მონაზვნურ თემს — სანგჰის. შემდეგ ბუდას მიმდევართა რიცხვი სწრაფად გაიზარდა. თავდაპირველად ბუდას თვლიდნენ წმინდა ადამიანად, რომელმაც ნირვანას მიაღწია, შემდეგ ის ღმერთად გამოაცხადეს. მის სახელზე აშენდა ტაძრები, შეიქმნა რთული რიტუალური კულტი. 21. ქრისტე — იესო ქრისტე გადმოცემით შეილი წმინდა ქალწული მარიამისა და იოსებისა. ქრისტიანული რელიგიის ფუძემდებელი, რომლის ცხოვრება და მოძღვრება გადმოცემულია ძირითადად ახალი აღთქმის წიგნებში (სახარებასა და სამოციქულოში). 22. იგულისხმება ილ. ჭავჭავაძე. 23. აქ ავტორი გულისხმობს ნ. ბარათაშვილს, ილ. ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს. 24. ციტატა ამო-

ღებულია ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „სულო ბოროტო“. 25. ციტატა ამოღებულია ილ. ჭავჭავაძის პოემიდან „განდეგილი“.

43. აკაკი პარიზში ნიკო კურდღელაშვილისა „ნარკანის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“ 1909 წ. № 9. 25 დეკ. ნიკო კურდღელაშვილი (ნარკანი) (1872—1938) — რედაქტორი და გამომცემელი, მწერალი ქალის ბაბილინა ხოსიტაშვილის ქმარი. 1. კატო მიქელაძე (1877—1942) — მწერალი ქალი. 2. გუნდრუკი — სურნელოვანი საკმეველი, ფისი, რომელიც სწრაფად მაგრდება ჰაერზე, მიიღება სტირაქსის ხის ღეროსა და ტოტების წვენისაგან. სასიამოვნო სუნი აქვს და იხმარება საკმეველად. 3. გუნდრუკის კმევა — ქების შესხმა. 4. ეს ლექსი უნდა ეკუთვნოდეს კატო მიქელაძეს.

44. აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი მელიტონ კელენჯერიძისა. ავტორს 7 დეკემბერს, აკაკის საიუბილეო საღამოზე ფოთში წაუკითხავს ლექციები აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომელიც შემდეგ წიგნაკის სახით გამოქვეყნდა 1909 წელს. (ქუთაისი, „შინაური საქმეების“ რედაქციის გამოცემა. ექვთიმე ხელაძის სტამბა). მელიტონ კელენჯერიძე (1864—1942) — ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. 1. შილერი იოჰან ფრიდრიხ — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული პოეზიის იალბუზი“. 2. შექსპირი უილიამ — იხ. კომენტარი წერილისა: „ფელეტონი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა „თორნიკე ერისთავი“. 3. გეტე — გოეთე იოჰან ვოლფგანგ — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული პოეზიის იალბუზი“. 4. მიცკევიჩი ადამ (1798—1855) — პოლონელი პოეტი. 5. პუშკინი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები“. 6. ბაირონი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი“. 7. ვაჟა-ფშაველა — იხ. კომენტარი წერილისა „ქართული პოეზიის იალბუზი“. 8. ყაზბეგი ალექსანდრე (1848—1893) — დიდი ქართველი მწერალი. 9. ქისტები — ინგუშების საერთო სახელი, თუშ-ფშავ-ხევსურეთის მეტყველებაში, ჩაჩნები. 10. ნაწყვეტი ამოღებულია ვაჟა-ფშაველას პოემიდან „ალუდა ქეთელაური“. 11. ნაწყვეტი ამოღებულია ილ. ჭავჭავაძის ლექსიდან „ყვარლის მთებს“. 12. ნაწყვეტი ამოღებულია ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „შემოღამება მთაწმინდაზე“. 13. თორნიკე ერისთავი — აკაკის პოემა — „თორნიკე ერისთავის“ მთავარი პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 14. გეგელი — ჰეგელი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ (1770—1831) — დიდი გერმანელი ფილოსოფოსი. 15. ბელინსკი ბესარიონ (1811—1848) — რუსი კრიტიკოსი და რევოლუციონერ დემოკრატთა მამამთავარი. 16. პუშკინი — იხ. კომენტარი წერილისა „ჩვენი დროების მწერლები“. 17. სახსტორიო მანიფესტი იმპერატორ ალექსანდრე მეორისა ბატონ-ყმობის მოსპობის შესახებ გამოცხადდა 1861 წლის 19 თებერვალს. 18. გაბრიელ ეპისკოპოსი, გერასიმე ქიქოძე (1825—1896) ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, სასულიერო პირი, მოაზროვნე, პედაგოგი, ფსიქოლოგი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი და საპატიო წევრი. 19. ქრისტე — იხ. კომენტარი წერილისა: „თ. აკაკი წერეთელი“. 20. „სამსონისებრივი გამაგრება“ — იგულისხმება ბიბლიური პერსონაჟი, ძველ ებრაელთა მსაჯული და გმირი, არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალის მქონე. ებრძოდა ფილისტიმელებს.

სამსონმა თავისი არაჩვეულებრივის ფიზიკური ძალით ოცი წელიწადი დაიფარა თავისი ერი (ისრაელები) ფილისტიმელთაგან. ფილისტიმელთ სამსონ ძლიერისა ძლიერ ეშინოდათ და ეძებდნენ შემთხვევას, როგორმე დაეჭირათ იგი და დაესაჯათ; ერთხელ ფილისტიმელებმა გაიგეს, რომ სამსონ ძლიერი შესულა იმათ ქალაქში. ღამე დაუკეტეს ქალაქის კარები და დილას უნდა დაეჭირათ იგი; სამსონი ადგა შუა ღამეზე, ჩამოიღო ქალაქის კარები თავის სეტეებით და საკეტით, წამოიკიდა ორთავ კარები, აიტანა მთის წვერზე და იქ დააწყო. ბოლოს სამსონი შეაცდინა ერთმა ფილისტიმელმა ქალმა და-

ლიდამ და ათქმევინა, თუ რაში ჰქონდა ძალა. რაკი დალიდამ გაიგო, რომ, თუ სამსონმა თმა მოიპარა ძალა მოაკლდებოდა, იშოვა მარჯვე დრო და ძილის დროს მოაპრა მას თმა. სამსონი დაუძლურდა, ის მტრებმა დაიჭირეს, თვალები დასთხარეს, შებორკეს და საპყრობილეში შეიყვანეს. თმა წამოეზარდა სამსონს და ძალაც მოეცა. ერთხელ ფილისტიმელებს ჰქონდათ დიდი დღესასწაულობა და იყვნენ ერთ სახლში შეკრებილნი მათი მთავარნი და სამი ათასამდე ხალხი, მათ შესწირეს თავიანთ ღმერთს მსხვერპლი და ხარობდნენ, რომ ჩვენი მტერი — სამსონი დავიმორჩილეთო. მხიარულობის დროს სამსონიც მოიყვანეს და დასცინოდნენ. სამსონი მივიდა და ჩადგა ორ სვეტშუა, რომელზედაც იყო ის სახლი დაშენებული, მოხვია მარჯვენა ხელი ერთ სვეტს და მარცხენა მეორეს და სთქვა: „უფალო, უფალო ძალთაო, მომიხსენე მე, მონა შენი, და განმაძლიერე მე ერთგზის და კვალად“. მოსწყია სვეტები და სახლი მთლიანად დაინგრა. მთლიანად დაიხოცა შიგ მყოფი ხალხი და მათთან ერთად სამსონიც. განსაცდელში ჩაგდებულმა სამსონმა კიდევ ერთხელ გამოაჟღინა თავისი დიდი ფიზიკური შესაძლებლობანი. 21. ბომონი — წარმართთა ტაძარი — საკურთხეველი; გადატანითი მნიშვნელობით სალოცავი. 22. ჰალადიდელი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე 2 მაისს 1889 წელს“. 23. იგულისხმება კირილე ლორთქიფანიძე (1839—1918) — თერგდალეულთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ლიტერატორი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. 24. იუდა — ბიბლიური გადმოცემით ქრისტეს ერთი თორმეტ მოწაფეთაგანი, რომელმაც მასწავლებელი 30 ვერცხლად გაყიდა, მტრებს ჩაუგდო ხელთ. 25. ფარისეველი — იუდეურ რელიგიაში ცნობილი სექტა, რომელსაც ახასიათებდა ღვთისმსახურების წესებზე პედანტური შესრულება. გვიანდელი და გადატანითი მნიშვნელობით ფლიდი, თვალთმაქცი. 26. საღმრთო წერილი — იგულისხმება ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, ბიბლია. 27. სულიწმინდა — ქრისტიანული რელიგიის მიხედვით წმინდა სამების წევრი. ქრისტიანული რელიგიის მიხედვით უზენაესი ღმერთი არის სამპიროვანი: მამა ღვთისი, ძე ღმერთი, სული წმინდა. 28. სოლომონ დიდი — იგულისხმება ისრაელთის მეფე სოლომონ I, (1735—1784) ალექსანდრე V ძე, მეფობდა 1752—1784 წლებში. იგი იყო წინასწარი აკაკი წერეთლისა დედის მხრიდან. დარეჯან ბატონიშვილი — ივანე აბაშიძე — ეკატერინე აბაშიძე — აკაკი წერეთელი. სოლომონ I მეფობის დროს ისრაელთის სამეფომ განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია. მან მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა დასავლეთ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პლიტიკის დარგში. სოლომონ I მეფობის დროს დასავლეთ საქართველომ თითქმის მთლიან გაერთიანებას მიაღწია. მეფემ დაიმორჩილა ურჩი თავადები. ქვეყანა გაწმინდა თურქებისაგან, აკრძალა ტყვეთა გასყიდვა და სხვ. ამის გამო აკაკი მას დიდს უწოდებს. 29. ამაზონელები — ამორძალები, ამაზონების ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული სახელი. ბერძნული მითოლოგიით, ამორძალები მეომარ ქალთა ტომი იყო, რომელიც მეოტიდის (აზოვის) ზღვის თუ შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლეობდა. გადმოცემით ამორძალები ქორწინდებოდნენ სხვა ტომის მამაკაცებთან, რომელთაც შემდეგ სამშობლოში ისტუმრებდნენ. შეძენილ ვაჟებს მამებს აძლევდნენ, ქალიშვილებს კი იტოვებდნენ და მეომრებად ზრდიდნენ. მშვილდის უკეთ მოსმარების მიზნით, ამორძალებს მარჯვნივ ძუძუ ამოშანთული ჰქონდათ. არსებობს მთელი ციკლი მითებისა ამორძალების შესახებ. 30. მედეა — ბერძნულ მითოლოგიაში საყოველთაოდ ცნობილი უდიდესი ჯადოქარი. კოლხეთის მეფის — აიეტის ქალიშვილი. ჰელიოს ღმერთის შვილიშვილი. იასონის შემდეგ ეგეოს მეფის ცოლი. მედეას მითი დაკავშირებულია არგონავტების ლაშქრობასთან. მედეას ადრე ღმერთქალად სთელიდნენ და შემდეგ გახდა მოკვდავი, მაგრამ სასწაულმოქმედი ადამიანი. 31. თირთაი — კირკე — ცირცეა — ჰელიოსისა და პერსეს ქალიშვილი. ჯადოქარი კუნძულ აიაიან. აიეტის და. მან განწმინდა არგონავტები აფსირტოსის მკვლელობის ცოდვებისაგან. კირკემ ღორებად აქცია ოდისევსის თანამგზავრები. სხვა მითის

მიხედვით, კირკემ ოდისევსის თანამგზავრებს პრამნეს ღვინოში აზელილი ყველის, ქერისა და ყვითელი თაფლის კერძი მოუმზადა, შიგ ჯადოსნური წამალი შეურია და გმირებს სამშობლო დაავიწყა. ოდისევსი კი ერთ წელს თავისთან გააჩერა და სცდილობდა ქმრად გაეხადა. ოდისევსისგან კირკემ დაბადა ვაჟი ტელეგონოსი. 32. ნინო, თამარ, ქეთევან — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 33. თამარ დედოფალი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 34. თამარ ცბიერი — აკაკის დრამატიული პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია“, „თამარ ცბიერი“. 35. გოჩა — აკაკის დრამატიული პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. 36. იგულისხმება საქართველოს მეფე თამარი. 37. შაჰ-აბასი — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული თეატრი“. 38. ნათელა — აკაკის პოემის „ნათელას“ მთავარი პერსონაჟი. სხვადასხვა ცნობით ნათელა ყოფილა ცოტნეს არა მეუღლე, არამედ დედა, შერგილ დადიანის მეუღლე. 39. ცოტნე დადიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 40. „მოდინახეს“ ციხე — საჩხერის პირისპირ, ყვირილის ჩრდილოეთით არის მაღალი კლდე, რომელზედაც არის ამენებული ციხე „მოდინახე“. (ვახუშტი). ეს ციხე მე-17 საუკუნეში აღუდგენია ქველი წერეთლის შვილიშვილს, პაპუნა წერეთელს. 41. ნოინი — მონღოლების (თათრების) მიერ დაპყრობილი ტერიტორიების გარკვეული ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი. 42. დავით კურაპალატი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 43. უნდა იყოს დავით მეფის წინაშე. 44. ვახტანგ გორგასალი — ვახტანგ I გორგასალი ქართლის მეფე, (დაახლოებით V საუკუნის 40-იანი წწ. — 502 წ.) პოლიტიკური მოღვაწე და სარდალი. „გორგასალი“ (სპარსულად — მგლისთავა) იმიტომ შერქმევია, რომ მუზარადზე მგელი ჰქონია გამოსახული. იღვწოდა ქართლის განთავისუფლებისათვის ირანელთა უღლისაგან, ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის, შეუზღუდველი სამეფო ხელისუფლების შექმნისათვის. 45. ბაყათარი — აკაკის პოემის „გორგასლანის“ პერსონაჟი. 46. ოთია — აკაკის მოთხრობის „ოთია მესხის“, პერსონაჟი. 47. დათუნა — აკაკის მოთხრობის „დათუნა გოცირიძის“ პერსონაჟი. 48. ალიფოლადი — აკაკის პოემის „ორი ქართველის“ პერსონაჟი. 49. ნოინი — იხ. აქვე. 50. აქ ნაგულისხმევია აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა პერსონაჟები. 51. სამოთხე — ბიბლიური გადმოცემით ბაღი, წალკოტი, სადაც შეცოდებამდე ცხოვრობდნენ ადამი და ევა, ედემი, ადგილი, სადაც ვითომდა მართალ, უცოდველ ადამიანთა სულები განისვენებენ გარდაცვალების შემდეგ. 52. ავტორი პარალელს აყვებს იესო ქრისტეს ჯვარცმასთან. 53. პერიფრაზი ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირას“. უნდა იყოს: „მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყუი“. 54. ჯოჯოხეთი — რელიგიური წარმოდგენით, ადგილი (საიქიოში), სადაც თითქოს საშინელ ცეცხლში იტანჯებიან ცოცხალთა სულები. 55. ვახტანგ ორბელიანი (1812—1869) — ქართველი რომანტიკოსი პოეტი. 56. ნინო — იგულისხმება წმინდა ნინო. საქართველოში ქრისტიანობის შემომტანი IV საუკუნეში (337 წ.), რომელიც გამოყვანილია აკაკის ცნობილ ლექსში „სიზმარი“. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 57. თამარი — იგულისხმება საქართველოს მეფე თამარი, რომელიც გამოყვანილია აკაკის ლექსში „სიზმარი“. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 58. ქეთევან — იგულისხმება ქეთევან წამებული, რომელიც გამოყვანილია აკაკის ლექსში „სიზმარი“. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 59. აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა პერსონაჟები. 60. აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა პერსონაჟები. 61. გრ. ორბელიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“. 62. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ“. 63. გ. ერისთავი (1813—1864) — ქართველი დრამატურგი, პოეტი, თეატრის მოღვაწე. 64. დ. ერისთავი (1847—1890) — ქართველი მწერალი. „სამშობლოს“

აეტორი. 65. რ. ერისთავი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს" რა აკაკანებდა?" 66. მამია გურიელი (1836—1891) — ქართველი პოეტი. 67. დ. ყიფიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი". 68. დიმიტრი ბაქრაძე (1826—1890) — ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წ. კორესპონდენტი. 69. გ. წერეთელი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს" რა აკაკანებდა"?

45. აკაკი და მსოფლიო გოდების პოეზია ალექსანდრე ხახანაშვილისა დაიბეჭდა „განათლებაში" 1910 წ. № 10, ოქტ. ეს წერილი მცირეოდენი ცვლილებით შესულია ალ. ხახანაშვილის ერცელ გამოკვლევაში „აკაკი წერეთელი", „ქართული სიტყვიერების ისტორია", თბილისი, 1913 წ. ალექსანდრე ხახანაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი და მსოფლიო გოდების პოეზია". 1. მეფე სოლომონი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი და მსოფლიო გოდების პოეზია". 2. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი და მსოფლიო გოდების პოეზია". 3. ომარ. ხაიამი— იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი და მსოფლიო გოდების პოეზია". 4. ლეოპარდი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი და მსოფლიო გოდების პოეზია". 5. ბაირონი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი". 6. ბაირონის აღნიშნული თხზულებების თარგმანი ეკუთვნის მ. ლერმონტოვს. Гербель Н. В., пол. собр. соч. Байрона в переводе русских поэтов, т. первый 1894 г. 7. ლერმონტოვი— იხ. კომენტარი წერილისა „ჩვენი დროების მწერლები".

46. აკაკის იუბილეის გამო ნატალია გიგაურისა. დაწერილია სურამის პროგიმნაზიაში წასაკითხათ, 29 ნოემბერი, 1908 წელს, დ. სურამი... ცალკე ბროშურის სახით გამოქვეყნდა 1910 წელს. ნატალია გიგაური — მწერალი ქალი.

47. აკაკისა და ილიას შემოქმედება ა. თორაძისა დაიბეჭდა გაზ. „კოლხიდაში" 1911 წელს № 28, 43, 165. 1 მაისი, 21 მაისი, 20 ოქტომბერი. თორაძე ალექსანდრე დავითის ძე (1885—1935) — ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი. („შესანიშნავი ინტელიგენტი კაცი იყო, გულისხმიერი" — აკად. ნ. კეცხოველი). უმაღლესი განათლება მიიღო ჟენევასა და პარიზში. საქართველოში ჩამოსულის შემდეგ ქართულ გიმნაზიაში ა. თორაძე იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას ცნობილ ქართველ პედაგოგ ოცხელთან ერთად. პარალელურად ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე აქვეყნებს წერილებს. („მაშინ ა. თორაძე მასწავლებელი იყო, მაგრამ მუშაობდა ხოლმე „საქართველოს" რედაქციაში" — აკად. ნ. კეცხოველი). ალ. თორაძის კალამს ეკუთვნის საინტერესო წერილები ბესიკის, ილიას, აკაკისა და სხვა ქართველი მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. 1918 წელს ა. თორაძემ ჯაჯუ ჯორჯიკიასთან ერთად გამოსცა ფრანგული ენის სახელმძღვანელო, ხოლო 1919 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით გამოდის ა. თორაძის მიერ შედგენილი ფრანგული ენის სახელმძღვანელო III—IV კლასებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ა. თორაძე აქტიურად ებრძვა საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1. მეფე დიმიტრი — დემეტრე (დიმიტრი) II თავდადებული (დაახ. 1259—1289 წწ.), საქართველოს მეფე (1271-89 წწ.), დაეით VII ულუსა და გვანცა დედოფლის ძე. არღუნის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ილხანთა სამფლობელოში ყაენის ბრძანებით დემეტრე II თავი მოჰკვეთეს. შთამომავლობამ მას თავდადებული უწოდა. 2.თორნიკე ერისთავი — იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა". 3. ცოტნე — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა". 4. ნოინი — იხ. კომენტარი წერილისა „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი". 5. ირაკლი მეორე — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა". 6. ნესტანდარეჯანი — „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი, იგულისხმება სამშობლო. 7. ციტა-

ტა ამოღებულია ილიას პოემიდან „აჩრდილი“. 8. ა ფ ხ ა ზ ი — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 9. ნ ა ზ ი ბ რ ო ლ ა — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 10. ს ა ფ ა რ — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 11. ზ ი ა-ბ ა ნ ე მ — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 12. ი ნ ა ლ ი ფ ა — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 13. ჰ ა ჯ ი-უ ს უ ბ — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 14. ქ ვ ე ლ ი წ ე რ ე თ ე ლ ი — ცხოვრობდა მე-17 საუკუნეში, რომლის შვილიშვილმა, პაპუნა წერეთელმა აღადგინა „მოდინახეს“ ციხე. იგი ამავე დროს არის აკაკის პოემა „ნათელას“ პერსონაჟი. 15. ნ ა თ ე ლ ა — აკაკის პოემის „ნათელას“ პერსონაჟი, იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამული-შვილი“. 16. ქამთააღმწერლის ცნობით მეცამეტე საუკუნეში, უმეფობის ხანაში საქართველოს დიდებულები ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპრი, გამრეკელ თორელი, სარგის თმოგველი, თორღვა პანკელი და სხვები კოხტასთავის ციხე-სასახლეში (ჯავახეთში) შეკრებილან. საქართველოს ამ თავკაცებს მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება დაუსკვნიათ და მოქმედების დასაწყებად პაემანიც დაუნიშნავთ. კოხტასთავის შეთქმულება 1246—1247 წლებში არის ნაგულისხმევი. (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. 1979 წ.), მაგრამ შეთქმულება გაუციათ და შეთქმულნი ადგილზევე დაუპატიმრეს. ისინი წაიყვანეს ქ. ანისს და იქ ჩორმაღან ნოინს წარუდგინეს. ცოტნე დადიანმა, რომელიც დაპატიმრებას შემთხვევით გადაურჩა, გაიგო თუ არა თავისი ამხანაგების ამბავი, მაშინვე სომხეთს მიაშურა, ა ნ ი ს ს მივიდა და ნებაყოფლობით გაიზიარა მათი მწარე ბედი. მისმა თავგანწირვამ იხსნა ქართველი მამულიშვილები. 17. ა ნ ი — ა ნ ი ს ი, ციხე-სიმაგრე და ქალაქი შუა საუკუნეების სომხეთში. 1124 წელს დავით აღმაშენებელმა ა ნ ი ს ი საქართველოს სამეფოს შეუერთა. იგი ცნობილია სომეხთა მეფეების მდიდრული სამარხებით. გადმოცემით, 1319 წელს მიწისძვრას საბოლოოდ გაუნადგურებია ქალაქი. 18. ნ ო ი ნ ქ ა რ მ ა ღ ა ნ ი — უნდა იყოს ჩ ო რ მ ა ღ ა ნ ი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III. 1979 წ. გვ. 546—547).

48. აკაკი წერეთელი ალ. ხახანაშვილისა იბეჭდება ამავე ავტორის „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ 1913 წლის გამოცემის მიხედვით. ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი და მსოფლიო გოდების პოეზია“. 1. ს ო ლ ო მ ო ნ II — შეცდომაა, უნდა იყოს ს ო ლ ო მ ო ნ I (1735—1784). იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 2. კ ა თ ო ლ ი კ ე პ ა ტ რ ი — კათოლიკური ეკლესიის წევრი. 3. ს ა ღ ვ თ ო წ ე რ ი ლ ი — იგულისხმება ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, ბიბლია. 4. ქ რ ი ს ტ ე — ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 5. ს ა მ ს ო ნ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 6. ა მ ი რ ა ნ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 7. ფ ა ტ მ ა ნ ი — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი. 8. თ მ ა რ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 9. ნ ი ნ ო — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 10. ნ ე ს ტ ა ნ დ ა რ ე ჯ ა ნ ი — „ვეფხისტყაოსნის პერსონაჟი. 11. საქართველოში მონგოლები ბატონობდნენ მე-13 საუკუნის 30—40-იანი წლებიდან, მე-14 საუკუნის 30-იან წლებამდე. 12. ნ ა თ ე ლ ა — აკაკის პოემის „ნათელას“ პერსონაჟი, იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 13. ქ ვ ე ლ ი წ ე რ ე თ ე ლ ი — აკაკის პოემის „ნათელას“ პერსონაჟი, იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკისა და ილიას შემოქმედება“. 14. „მ ო დ ი ნ ა ხ ე“ — იხ. კომენტარი წერილისა, „აკაკი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 15. ც ო ტ ნ ე დ ა დ ი ა ნ ი — აკაკის პოემის „ნათელას“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 16. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკისა და ილიას შემოქმედება“. 17. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ი რ ა კ ლ ი — ე რ ე კ ლ ე II — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 18. ე ლ ე ნ ე — აკაკის ისტორიული დრამის „ლუდურა-ხანუმის“ პერსონაჟი. 19. ლ უ დ უ რ-

ხანუმი—აკაკის დრამის „კუდურ-ხანუმის“ მთავარი პერსონაჟი. 20. მაჰმუდ-ფაშა—აკაკის დრამის „კუდურ-ხანუმის“ პერსონაჟი. 21. არჩილი — აკაკის დრამის „კუდურ-ხანუმის“ პერსონაჟი. 22. გურიის მთავარი — აკაკის დრამატიული პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „თამარ ცბიერი“. 23. ცბიერი თამარი — აკაკის დრამატიული პოემის „თამარ ცბიერის“ მთავარი პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „თამარ ცბიერი“. 24. გოჩა — აკაკის პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. 25. ცირა — აკაკის პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. 26. ნიკო — აკაკის პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. 27. ქუთათელი — აკაკის პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. 28. დიდი თამარი — თამარ მეფე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 29. იგულისხმება კოლხეთის მეფის აიეტის ქალი მედეა. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 30. იაზონი — იგივე იასონი — ძველი ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი. არგონავტთა ლაშქრობის ხელმძღვანელი. იოლკოსის მეფის ესონისა და პოლიმედეს ვაჟი. იასონი იოლკოსის ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო, მაგრამ ბიძამისმა — პელიასმა მისი დაღუპვა და ამგვარად ტახტის შენარჩუნება მოისურვა. პელიასის მოთხოვნით იასონს ჯერ კოლხეთიდან ელადისათვის ოქროს საწმისი უნდა ჩამოეტანა და ბოლოდ ამის მერე მიიღებდა სამეფო ტახტს. იასონმა შეკრიბა საბერძნეთის რჩეული ვაჟკაცები, ააგეს გემი „არგო“ და კოლხეთისაკენ გასწიეს. არგოს მშენებლობასა და არგონავტების მოგზაურობას ღმერთქალი ათენა მფარველობდა. დიდი ხნის მგზავრობისა და მრავალი ხიფათის გადატანის შემდეგ არგონავტებმა იასონის მეთაურობით აიეტის სამეფოს მიაღწიეს. იასონმა ცოლად შეირთო აიეტის ასული მედეა, რომელიც მას დაეხმარა ოქროს საწმისის მოპოვებაში. 31. მირზა-ფათალი-ახუნდოვი (1812—1878) — აზერბაიჯანელი მწერალი — განმანათლებელი. 32. მოლიერი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ“. 33. ხოსრო გირკანდელი — აკაკის დრამის „ახალი გმირის“ პერსონაჟი. 34. ქეთო ჩიტაძე — აკაკის დრამის „ახალი გმირის“ პერსონაჟი. 35. მარო რაზმაძე — აკაკის დრამის „ახალი გმირის“ პერსონაჟი. 26. თემურ-ლენგი — იხ. კომენტარი წერილისა „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 37. ბიძინა ჩოლოყაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 38. ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები — იხ. კომენტარი წერილისა „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 39. ბაქრაძე — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 40. ზაალ ერისთავი — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 41. კირილე მღვდელი — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 42. ალავერდის ტაძარი — ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ალაზნის ველზე სოფ. ალავერდთან. ალავერდის მონასტერი VI ს. შუა ხანებში დაარსა იოსებ ალავერდელმა, ხოლო XI ს. კვირიკე კახთა ბატონმა წმ. გიორგის პატარა ეკლესიის ადგილას ააგო დიდი საკათედრო ტაძარი, რომელიც ალავერდის სახელწოდებითაა ცნობილი. 43. ბაში-აჩუკი — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ მთავარი პერსონაჟი. 44. პირიმზისა — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 45. შუამთის მონასტერი — ძველი შუამთა — V—VII საუკუნეების ძეგლი. ძველი შუამთა თელავიდან შეიდიოდე კმ-თაა დაშორებული. ხუროთმოძღვრული ანსამბლი ტყეშია, აქ სამი ეკლესიაა: 1. V საუკუნის ბაზილიკა. 2. VII ს-ის ეკლესია მცხეთის ჯვრის ტიპისა. 3. მცირე გუმბათოვანი ეკლესია, აგრეთვე VII საუკუნისა. ერთი საყურადღებო ნიმუშთაგანი „ქრისტიანული“ არქიტექტურის ადრეული საფეხურებისა საქართველოში. ახალი შუამთა — თელავთანაა ძველი შუამთიდან 2—3 კმ მანძილზე. აგებულია XVI საუკუნის ორმოციან წლებში ღევთ კახთა მეფის მეუღლის თინათინ დედოფლის თაოსნობით. განსაკუთრებით დამახასიათებელია თავისი „გუთური“ პროპორციების მხრივ. 46. აბდუშაჰილი — აკაკის

მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 47. პირიმთვარისა — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 48. ათონი — იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 49. დავით კურაპალატი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 50. თორნიკე ერისთავი — აკაკის პოემის „თორნიკე ერისთავის“ ძთავარი პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 51. ორბელიძე — აკაკის პოემის „თორნიკე ერისთავის“ პერსონაჟი. 52. მთაწმინდა — აქ იგულისხმება ათონის მთა. 53. ათანასეს მონასტერი — იგივე ათანასეს ლავრა — ათონის მთაზე დაარსა ათანასე ათონელმა 963 წ. X ს. 60-იან წლებში მოვიდნენ აქ ქართველები — იოანე იბერი, მისი ძე ექვთიმე (შემდეგში ექვთიმე მთაწმინდელად წოდებული), და თორნიკე ერისთავი. იქ დაჰყვეს 15 წელი და შემდეგ სხვა ქართველებთან ერთად ააშენეს ათონის ივერთა მონასტერი. 54.იოანე ვარაზ-ვაჩე — იგივე იოანე ათონელი, მამა ექვთიმე ათონელისა. 55. სკლიაროსი — იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 56. ბასილი — ბასილ. II, ბულგართმძუსერელი, (958—1025 წ.წ.) — ბიზანტიის იმპერატორი 976 წლიდან. 57. არსენ კათალიკოსი — არსენ II. X ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, ქართლის კათალიკოსი დაახლოებით (955—980 წ.წ.) 58. ივერიის ღვთისმშობლის ხატი — ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, დაცულია ათონზე ივერთა მონასტერში. გადმოცემით, ეს ხატი ზღვაში გადაუგდიათ ხატთა ბრძოლის პერიოდში. ეს ხატი სასწაულებრივად მოსულა ათონის მთის ნაპირებთან, ძილში ჩვენება მისცემია ქართველ ბერს, გაბრიელს. ის მისულა ზღვის ნაპირთან და მას წამოუღია ის ათონის ქართველთა მონასტერში. ამიტომ ეწოდება ამ ხატს ივერიის ღვთისმშობლის ხატი. (იხ. გეორგიკა, VIII, 1970, გვ. 257—270). 59. აღა-მაჰმად-ხანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 60. ირაკლი მეფე — ერეკლე II. იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული ამხარე აკაკის პოეზიისა“. 61. ზურაბ წერეთელი (1747—1823) — დიდად გაელენიანი ფეოდალი იმერეთის სამეფოში. აკაკის პოემის „კიკოლას ნაამბობის“ პერსონაჟი. 62. სოლომონ II — იგივე დავით არჩილის ძე, იმერეთის მეფე, მეფობდა 1789—1810 წლებში. 63. კიკოლა — აკაკის პოემის „კიკოლას ნაამბობის“ პერსონაჟი. 64. თურმანიძე — აკაკის პოემის „კიკოლას ნაამბობის“ პერსონაჟი. 65. აფხაზი — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 66. ნაზიბროლა — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 67. საფარ — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 68. ზიახანუმ — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 69. ინალიფა — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 70. ჰაჯი უსუბი — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 71. დიტო ცალქალამანიძე — აკაკის მოთხრობის „პატარა ტარიელის“ პერსონაჟი. 72. ნესტან-დარეჯანი — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი. 73. ნინო, ქეთევან, თამარი — იგულისხმება წმინდა ნინო, ქეთევან წამებული, თამარ მეფე. ისინი აკაკის გამოყვანილი ჰყავს ლექსში „სიზმარი“. იხ. აგრეთვე კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 74. ჰაინრიხ ჰაინე (1797—1856) — გერმანელი პოეტი და პუბლიცისტი. 75. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი და მსოფლიო გოდების პოეზია“: 76. სოლომონი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი და მსოფლიო გოდების პოეზია“. 77. ლეოპარდი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი და მსოფლიო გოდების პოეზია“.

49. საზოგადოებრივი აზრები მე-19 საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში სამსონ დადიანისა დაიბეჭდა ჟურნ. „განათლებაში“ 1914 წ. № 1. იანვარი. სამსონ დადიანი (1887—1937) — ქართველი კრიტიკოსი, დრამატურგი. 1. ციტატა ამოღებულია პუშკინის ლექსიდან: „Поэт и толпа“ 1828 წ. 2. ციტატა ამოღებულია ილიას ლექსიდან „პოეტი“. 3. ციტატა ამოღებულია ილიას ლექსიდან „პოეტი“. 4. ციტატები მოტანილია ილიას მოთხრობიდან „მგზავრის წერილები“. 5. ალ. ყაზბეგი (1848—1893) — ქართველი მწერალი. 6. მოძღვარი — ილიას მოთხრობის

„გლახის ნაამბობის“ პერსონაჟი. 7. გ ა ნ დ ე გ ი ლ ი — ილიას პოემის „განდეგილის“ მთავარი პერსონაჟი. 8. ციტატა ამოღებულია ილ. ჭავჭავაძის მოთხრობიდან „გლახის ნაამბობი“. 9. ო ნ ო ფ რ ე — ალ. ყაზბეგის მოთხრობის „მოძღვრის“ პერსონაჟი. 10. ს ვ ი მ ო ნ მ ე ს ვ ე ტ ე — წმინდა სიმეონი (390—420) — ჯერ მწყემსი, შემდეგ ბერი და ბოლოს ასკეტი, რომელმაც დასაბამი მისცა მესვეტეობას, ასკეტური ცხოვრების ამ ფორმას. 11. ციტატები ამოღებულია ალ. ყაზბეგის მოთხრობიდან „მოძღვარი“. 12. კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი — აკაკის პოემის „თორნიკე ერისთავის“ პერსონაჟი. 13. თ ო რ ნ ი კ ე — აკაკის პოემის „თორნიკე ერისთავის“ მთავარი პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 14. წ მ ი ნ დ ა ა ვ გ უ ს ტ ი ნ ი — იგივე ა ვ გ უ ტ ი ნ ე ნ ე ტ ა რ ი, ა ვ გ უ ს ტ ი ნ ე ა რ ე ლ ი უ ს ი (354—430)— ქრისტიანი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, დასავლეთის ეკლესიის მამამთავარი. 15. პ ლ ა ტ ო ნ ი (427—347 ჩვ. წ. ა.-მდე) ბერძენი ფილოსოფოსი. 16. გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“ 17. ციტატა ამოღებულია გრ. ორბელიანის პოემიდან „სადღეგრძელო“. 18. მ წ ყ ე მ ს ი ქ ა ლ ი — ილიას პოემის „განდეგილის“ პერსონაჟი. 19. ციტატები მოტანილია ილიას პოემიდან „განდეგილი“. 20. ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ“. 21. ციტატა მოტანილია გრ. ორბელიანის ლექსიდან „საღამო გამოსალმებისა“. 22. ს ა ღ ვ თ ო წ ე რ ი ლ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი“. 23. „ა რ ა გ უ ლ გ ი თ ქ მ ო დ ე ს“ — ციტატა ამოღებულია „ათი მცნებიდან“ (მათე. 19, 18) — ეს არის ათი ძირითადი კანონი, რომელიც ბიბლიის მიხედვით ღმერთმა მ ო ს ე ს და ყველა ებრაელს სინას მთაზე მისცა. მისი შინაარსია: არ აღიარონ სხვა ღმერთი, წინააღმდეგ შემთხვევაში მესამე თაობაც კი, დაისჯება; არ უნდა ახსენონ ღმერთი, როგორც ჩვეულებრივი რამ, ყველგან და ყოველთვის; შაბათ დღეს ყველა უნდა ისვენებდეს, ცხოველებიც კი უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდნენ მშობლებს; არ მოჰკლან ვინმე; არ იმრუშონ; არ იქურდონ; არ იცრუონ; სხვისი რამ არ მიითვისონ.

50. **ილია და აკაკი (მოძღვარი და წინასწარმეტყველი)** კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ი ს ა ამოღებულია 1915 წელს გამოცემულ ბროშურიდან „ორი სიტყვა“. ეს მოხსენება უნდა წაკითხულიყო 25 მარტს ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მიერ აკაკის სახსენებლად გამართულ დილაზე, მაგრამ ავტორის ავადმყოფობის გამო ვერ იქნა წაკითხული. კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 1. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ნ ი კ ო ლ ო ზ — იხ. კომენტარი წერილისა „აკაკის სურათზედ“. 2. ე ბ რ ა ე ლ თ ა წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ი — აქ იგულისხმება იერემია წინასწარმეტყველი. 3. ციტატა მოტანილია ბიბლიიდან, იერემია წინასწარმეტყველის გოდებიდან. 4. ი ე რ ე მ ი ა — იხ. კომენტარი წერილისა: „ორგვარი აზრი აკაკის ლექსებზე“. 5. ციტატა მოტანილია ბიბლიიდან, იერემია წინასწარმეტყველის გოდებიდან. (გოდ. იერ. 3, 5). 6. ჰ ი ე გ ო ვ ა — ი ა ჰ ვ ე — იუდაიზმის უზენაესი ღვთაება. 7. ე ბ რ ა ე ლ თ ა წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი — იგულისხმება ებრაელთა დიდი წინასწარმეტყველები — ესაია, იერემია, ეზეკიელი და დანიელი და თორმეტი მცირე წინასწარმეტყველი — ოსია, იოელი, ამოსი, ობადია, იონა, მიქა, ნაუმი, ამბაკუმი, სოფონი, ანგეა, ზაქარია და მალაქია, რომელთა წინასწარმეტყველებანი შესულია ძველი აღთქმის კანონში. 8.ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ 597 და 587 წლებში ძვ. წ. ბაბილონის მეფე ნ ა ბ უ ქ ო დ ო ნ ო ს ო რ ი ორჯერ დაესხა თავს ებრაელთა სამეფოს და დიდი ხნის ალყის შემდეგ მთლიანად დაიპყრო იგი. იერუსალიმი ბაბილონის ერთ-ერთ პროვინციად იქცა.

იერემია წინასწარმეტყველის თქმით იერუსალიმი დაემხო იმიტომ, რომ ებრაელთა ერს წარსულში ჩადენილი ჰქონდა დიდი დანაშაული და სასჯელიც შესაფერისი მიეზღო. „ცოდვაი ცოდა ისრაელმან, ამისთვის საყვედრებელ იქმნა ყოველთა მადიდებელთა მისთა უპატიო ყუნს იგი, რამეთუ იხილეს უმეცრება მისი, და თჳთ იგიცა სულთ ითქმიდავე, და უკუნ იქცა მართალ უკუნ“. (გოდ. იერ. 1, 8). ამ ტრაგედიის შემ-

დეგ იერემია წინასწარმეტყველი რჩება იერუსალიმში და მწარედ დასტირის თავისი ქვეყნის დაღუპვას. ეს ფაქტი არის ფიქსირებული სწორედ ბიბლიაში იერემიას წინასწარმეტყველებაში. 9. ციტატა მოტანილია ბიბლიიდან იერემია წინასწარმეტყველის გოდებიდან. (წინასწარ. იერ. 8. 4, 5, 6, 7.) „კაცადი მოყუასისაგან თჳისისა ერიდენით, და ძმათა თჳსთჳნთა ნუ ესავთ, რამეთუ ყოველი ძმა წიხლითა წიხლვიდეს, და ყოველი მეგობარი ზაკულად ვიდოდის. კაცად კაცადი ძჳრად მოყუსისა თჳსისა მოკიცხარობს, ჰეშმარიტება არა თქუას, ისწავა ენამან მათმან თქმა ტყუილისა მიჰხუსჳდეს, და არა მოაკლეს მიქცევად. ვახში ვახშსა ზედა, ზაკვა ზაკვასა ზედა, არა ინებეს ცნობა ჩემი, იტყჳს უფალი“. 10. იეზეკიელი — უნდა იყოს ეზეკიელი — ძველ ებრაელთა ერთ-ერთი წინასწარმეტყველი (ძვ. წ. VI ს.). იერუსალიმის დაცემის შემდეგ (ძვ. წ. 587) ბაბილონში გადაუსახლებიათ მეფე იეჰოიასთან ერთად. ტრადიციული აზრი, რომლის მიხედვითაც აღთქმაში „წინასწარმეტყველება ეზეკიელისა“ მთლიანად ეზეკიელს თხზულება იყოს, ამჟამად უარყოფილია. წიგნში ხაზგასმულია იუდეველთა მტრების მომავალი დამარცხება, ნაჩვენებია აღდგენილი იერუსალიმი და იგრძნობა მესიანისტური მოძენტები, რომელთაც შემდგომში დიდი როლი ითამაშეს ქრისტიანობის ჩამოყალიბებაში. 11. თამარ დედოფალი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 12. ნესტან-დარეჯანი — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი. ამ შემთხვევაში ნესტან-დარეჯანის სახეში იგულისხმება საქართველო. 13. მესიანიზმი — იხ. აქვე მესია. 14. მესია — იუდეველთა და ქრისტიანთა რელიგიაში: ღვთაებრივი „მხსნელი“, რომელიც თითქოს უნდა მოევლინოს ქვეყანას ბოროტების მოსასპობად. აქედან მესიანიზმი. 15. პერიფრაზი ილ. ჭავჭავაძის მოთხრობიდან „მგზავრის წერილები“. 16. მოსე — ბიბლიური წინასწარმეტყველი, ებრაელთა მღვდელმთავარი და სჯულმდებელი, რომელსაც მიეწერება ძველი ებრაელების განთავისუფლება ეგვიპტის ფარაონების დევნისაგან. მასვე მიეწერება ბიბლიის ხუთწიგნეული. 17. აარონი — ბიბლიური პერსონაჟი, მოსეს უფროსი ძმა და თანამდგომი, ძველ ებრაელთა პირველი უზენაესი ქურუმი. სინას მთაზე მოსეს ყოფნის დროს აარონი განუდგა ღმერთს (იაჰვეს) და „ოქროს კერპის“ კულტი აღადგინა. 18. ესაია (ძვ. წ. 770 ან 760 — ძვ. წ. 687 ან 642) — ძველებრაელთა პოლიტიკური მოღვაწე და რელიგიის რეფორმატორი. ცნობილია წინასწარმეტყველის სახელით. ტრადიციის მიხედვით ესაია მოწამებრივი სიკვდილით მომკვდარა; მანასეს მეფობის დროს იგი შუაზე გაუხერხავთ. გამოდიოდა ასურეთის წინააღმდეგ. ესაიას გავლენით მეფე ეზეკიამ ბრძოლა დაიწყო იერუსალიმში იაჰვეზმის აღსადგენად. შესაძლებელია ესაიას ეკუთვნოდეს მისი სახელით ცნობილი ბიბლიური წიგნის — „წინასწარმეტყველება ესაიასი“ — ებრაული ტექსტის ნაწილი. 19. მიქელანჯელო ბუონაროტი (1475—1564) — იტალიელი მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი და პოეტი. 20. ფიდიასი — ძველი ბერძენი მოქანდაკე. 21. ბაირონი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი“. 22. კორნელი (დაახ. 1505—1574) — ფრანგი მხატვარი. 23. გოეთე — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული პოეზიის იალბუზი“. 24. პრაქსიტელი (დაახლ. ძვ. წ. 390 — ძვ. წ. 330) — ძველი ბერძენი მოქანდაკე. 25. რაფაელ სანტი (1483—1520) — იტალიელი მხატვარი და არქიტექტორი. 26. რასინი ჟან (1639—1699) — ფრანგი მწერალი, დრამატურგი. 27. შელი პერსი ბიში (1792—1822) — დიდი ინგლისელი პოეტი. 28. შილერი — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული პოეზიის იალბუზი“. 29. აპოლონი — ოლიმპიური რელიგიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, ღმერთქალ ლეტოსა დ ზევსის ვაჟი ლინოსისა და ასკლეპიოსის მამა, არტემიდეს ძმა. (აპოლონს ფებოსსაც უწოდებენ). თანამედროვე გაგებით აპოლონი მუსიკისა და პოეზიის ღვთაებაა, ფებოსი კი მზის პოეტური მნიშვნელობაა.

51. აკაკი, როგორც დიდი ეროვნული მგოსანი ხომლელისა. წერილის პირველი თავი, რომელიც ჩვენს კრებულში მცირე შემოკლებით იბეჭდება, გამოქვეყნდა ჟურნ. ქუთ. „განთიადში“ 1915 წ. № 1. იანვარი. II თავი გამოქვეყნდა „განთიადში“ 1915 წ.

№ 2. ვაქვეყნებთ შემოკლებით. III და IV თავები, რომლებიც დაიბეჭდა ამავე ჟურნალის მესამე და მეხუთე ნომრებში, კრებულში არ შეგვიტანია, რადგან მასში ძირითადად ბიოგრაფიული ცნობებია აკაკი წერეთლის შესახებ. მეხუთე თავი გამოქვეყნდა „განთიადში“ 1915 წ. № 10. ეს თავი იბეჭდება მთლიანად. ხ ო მ ლ ე ლ ი (რ ო მ ა ნ ო ზ ს პ ი რ ი დ ო ნ ი ს ძ ე ფ ა ნ ც ხ ა ვ ა, (1861—1928) — პუბლიცისტი. კრიტიკოსი. 1. მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი ი ა კ ო ბ (1855—1939) — მწერალი, მემუარისტი. 2. „წიგნების მბეჭდველ ქართველთა ამხანაგობა“ არსებობდა 90-იანი წლებიდან თბილისში. 3. „იმერეთი“ — ყოველთვიური გაზეთი, გამოდიოდა ქუთაისში 1912—1915 წლებში. რედაქტორები: გრ. ჭელიძე, ბეს. ჯაიანი, ვასილ წერეთელი, ალ. ჯაფარიძე. 4. ი ს ი დ ო რ ე კ ვ ი ც ა რ ი ძ ე — გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის წიგნის კანტორის უფროსი. 5. მ ი ხ ე ი ლ გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი (1862—1922) — ქართველი ექიმი და საზოგადო მოღვაწე. 6. ა მ ი რ ა ნ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 7. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე პ უ შ კ ი ნ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები“. 8. ა დ ა მ მ ი ც კ ე ვ ი ჩ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 9. ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ“. 10. ციტატა მოტანილია ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „ჩონგურს“. 11. პ ა ტ რ ა კ ა ხ ი — აქ იგულისხმება ნ. ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისას“ პერსონაჟი ერეკლე მეფე. იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 12. ს ო ფ ი ო — დავითის ასული ერისთავი, სოლომონ ლეონიძის მეუღლე. ნ. ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისას“ პერსონაჟი. 13. ს ო ლ ო მ ო ნ ი — სოლომონ ლეონიძე, მეფის მრჩეველი და განთქმული ორატორი (1754—1811). ნ. ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისას“ პერსონაჟი. 14. ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე — იხ. კომენტარი წერილისა: „თ. აკაკი წერეთელი“. 15. იგულისხმება ებრაელთა ერთ-ერთი წინასწარმეტყველი იერემია ან სხვ. 16. ციტატა ამოღებულია ილიას ლექსიდან „მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“. 17. გ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება“. 18. ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები“. 19. ბ ე ლ ი ნ ს კ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 20. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი ნ ი კ ო ლ ო ზ (1828—1889) — დიდი რუსი რევ. დემოკრატი, მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი. 21. დ ო ბ რ ო ლ ი უ ბ ო ვ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“. 22. პ ი ს ა რ ე ვ ი დ ი მ ი ტ რ ი (1840—1868) — რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი. 23. მ ი ხ ა ი ლ ო ვ ს კ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი და ილ. ჭავჭავაძე 2 მაისს 1889 წელს“. 24. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი (1856—1918) — რუსი მარქსისტი, რუსეთისა და საერთაშორისო მეშვეთა მოძრაობის აქტიური მოღვაწე. 25. „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ა მ ა ბ ე“ — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული ლიტერატურა“. 26. ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე 2 მაისს 1889 წელს“. 27. „კ რ ე ბ უ ლ-დ რ ო ე ბ ა“ — იხ. კომენტარი წერილებისა: „კრებული“, მეექვსე და მეშვიდე წიგნი, 1872 წ.“ და „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“. 28. „ი ვ ე რ ი ა“ — იხ. კომენტარი წერილისა: „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“. 29. ფელეტონი ხომლელისა „აკაკის ფელეტონის გამო“ დაიბეჭდა გაზ. „ივერია“, 1887 წ. № 81, 82, 25 აპრილი, 26 აპრილი. იგი დაიწერა აკაკის ფელეტონის „ლაყბობის“ საპასუხოდ, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“, 1886 წ. № 277. 30. ე მ ი ლ ზ ო ლ ა (1840—1902)—დიდი ფრანგი მწერალი. 31. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ლ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“, 32. გ რ ი გ ო ლ უ მ ჭ ი ფ ა რ ი ძ ე—(ვ ო ლ ს კ ი), (1860—1909) —ქართველი პუბლიცისტი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. 33. გ რ ე მ ე ლ ი (დიმიტრი ჯანაშვილი)—იხ კომენ-

ტარი წერილისა: „მახე“. 34. გ რ ი გ ო ლ ა ბ ა შ ი ძ ე (1866—1903)—ქართველი პოეტი. 35. ც ა ხ ე ლ ი (პარმენ თვალჭრელიძე) (1866—1919) —მწერალი. 36. ი. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი“*. საზოგადო მოღვაწე. 37. ტ რ ე ტ ი ა კ ო ვ ს კ ი (ტრედიაკოვსკი ვასილ, 1703—1769)—მწერალი, რუსული კლასიციზმის წარმომადგენელი. 38. „კ ვ ა ლ ი“—იხ. კომენტარი წერილისა: „ორი ახალი წიგნი, საბიბლიოგრაფიო შენიშვნა“. 39. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი—იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“ 40. ი ვ ა ნ ე მ ა ჩ ა ბ ე ლ ი (1854—1898)—ჟურნალისტი, მთარგმნელი. საზოგადო მოღვაწე. 41. „ნ ა რ ო დ ნ ი კ ე ბ ი“ — იგივე ხალხოსნები,—ხალხოსნობა— წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა რუსეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში; აიდეალებდა გლეხურ თემს და უარყოფდა მუშათა კლასის მოწინავე როლს. 42. ხომელი ჟურნ. „კვალის“ ფურცლებზე აკაკის შესახებ წერდა: „...აკაკის შვენიერი და ტურფა „ჩონგურის“ აღმოთქმანი საოცრად მოქნილი, მკვეთრი, მასთან „ნაზი, ნარნარია“ და მით უფრო ძლიერია. პოეტის „ჩონგურის“ ენა მშობელი ერის გულის დიდი მესაიდუმლეა და საკვირველის ხმებით ჰხატავს იმის წმინდასა და სპეტაკს გრძნობათა, სურვილთა, ოცნებათა, სიხარულთა... სიხარულთა, რომელნიც ხშირად, ძლიერ ხშირად ფერსა და კილოს იცვლიან და გარდაიქმნებიან გამწარებულის გულის სიღრმიდან საშინლად ამომსკდარ უკმარობის, უმადურობის კივილად.., კვნესად... ნაღვლიან წუხილად, სევდად და ეს სევდაც ბოლოვდება რაღაც მწარე, მაგრამ მანუგეშებელ ძალად და პოეტს მაშინ:

ის ღიმილი ხელთ უპყრია
მტრისთვის ხმლად და მოყვრის ფარად!..

აკაკის ლირიკის საოცარს ფორმას, ტეხნიკურს მხარეს განცვიფრებაში მოჰყავს თვით პოეტის მტრებიც, რომელთაც განუსაზღვრელის ზიზღითა და სამართებელსავით მკრელს ირონიით უღადრავს გულმკერდს და უშხამავს სიცოცხლეს ძლევა-მოსილი მგოსანი. პოეტმა სრულიად შეითვისა სახალხო ენის საუბრის საიდუმლო ხმა და კილო და ქართულს ლიტერატურაში ამ მხრით მოახდინა მთელი რევოლუცია. მაღალი ტალანტის მქონე აკაკის ლირიკა მიუახლოვდა თითქმის გენიოსობის საზღვარს და ქართველთა ხალხისა და საზოგადოების სულის მოძრაობა, ცხოვრება, პოეზია აღიბეჭდა მისს ნაწარმოებებში 'და მასში ჰპოვა თავისი გულწრფელი და ჭეშმარიტი გამომხატველი... (კრიტიკა, „მოციქული ძმობისა და ურთიერთობისა“, ჟურნ. „კვალი“, 1893 წ. № 43, 17 ოქტომბერი, გვ. 11—12). 43. დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „თამარ ცბიერი“.

52. დიდებული აკაკის ხსოვნას იოსებ ანთაძისა დაიბეჭდა ჟურნ. „ნაკადულში“ 1915 წ. № 1. იანვარი. აკაკის გარდაცვალების გამო. ა ნ თ ა ძ ე ი ო ს ე ბ — ნინო ნაკაშიძის ძმა. 1. ტაეპი მოტანილია „ეეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან (12).

53. აკაკი დ. კასრაძისა დაიბეჭდა ჟურნ. „კლდეში“ 1915 წ. № 4, 1 თებერ. აკაკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. დ. კ ა ს რ ა ძ ე (1884—1965)—ქართველი მწერალი. 1. თ ა მ ა რ მ ე ფ ე — იხ. კომენტარი წერილისა „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 2. ო ქ რ ო ს ხ ა ნ ა — იგულისხმება თამარის ეპოქა. 3. „ც ი ს კ ა რ ი“ — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“ 4. ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები“. 5. პ უ შ კ ი ნ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები“. 6. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი, როგორც დიდი ეროვნული მგოსანი“. 7. ბ ე ლ ი ნ ს კ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 8. დ ო ბ რ ო ლ ი უ ბ ო ვ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ორგვარი აზრი აკაკის ლექსებზე“. 9. პ ი ს ა რ ე ვ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც დიდი ეროვნული მგოსანი“. 10. ტ უ რ გ ე ნ ე ვ ი ი ვ ა ნ ე (1818—1883) — დიდი რუსი მწერალი. 11. ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი — იხ. კომენტარი წერილისა:

„აკაკის სურათზედ“. 12. ა პ ო ლ ო — იგულისხმება მითოლოგიური პერსონაჟი აპოლონი. იხ. კომენტარი წერილისა „ილია და აკაკი, მოძღვარი და წინასწარმეტყველი“. 13. ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე 2 მაისს, 1889 წელს.“ 14. ა პ ო ლ ო ნ ი — იხ. ზემოთ. 15. ე ზ ო პ ე — იხ.. კომენტარი წერილისა: „თ. აკაკი წერეთელი“.

54. აკაკი ივანე გომართელისა დაიბეჭდა გაზ. „თემში“ 1915 წ. 2 თებერვალი. ეს წერილი დაიბეჭდა აგრეთვე ჟურნ. „განთლებაში“, 1915 წ. № 2. გვ. 116. გ ო მ ა რ თ ე ლ ი ი ვ ა ნ ე (1875—1938) — ექიმი, მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი და. საზოგადო მოღვაწე. 1. ნ ე ს ტ ა ნ-დ ა რ ე ჯ ა ნ ი — „ეეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი.

55. აკაკი წერეთლის მნიშვნელობა ქართულ მწერლობაში გ. თუმან-შვილისა დაიბეჭდა გაზ. „თემში“ 1915 წ. 2 თებ. № 205. აკაკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. გ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება“. 1. პ უ შ კ ი ნ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები“. 2. ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები“. 3. „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო ა მ ბ ე“ — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული ლიტერატურა“. 4. კ ი რ ი ლ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულშვილი“. 5. „ჩ ო ნ გ უ რ ი“ — კ. ლორთქიფანიძემ 1864 წელს პეტერბურგში გამოსცა პოეზიის ანთოლოგია, რომლის სრული სათაურია: „ჩანგური“, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრება, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან“. 6. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“ 7. ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე 2 მაისს, 1889 წელს“. 8. „კ რ ე ბ უ ლ ი“ — იგულისხმება, რომ „კრებულის ოფიციალური რედაქტორი იყო გ. წერეთელი, ფაქტიური რედაქტორი — ნ. ნიკოლაძე. იხ. კომენტარი წერილისა: „კრებული“, მეექვსე და მეშვიდე წიგნი, 1872 წ.“

56. „კიევსკაია მისლში“ მოთავსებულია ვსევოლოდ ჩაგოვეცის წერილი აკაკი წერეთელზე. ეს წერილი გადმობეჭდილია გაზ. „სახალხო ფურცელში“ 1915 წ. № 201. 4. თებ. ვ ს ე ვ ო ლ ო დ ჩ ა გ ო ვ ე ც ი—? 1. „კ ი ე ვ ს კ ა ი ა მ ი ს ლ ი“ — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდიოდა კიევში 1906—1918 წლებში. გამომცემლები: რ. ლუბკოვსკი, ფ. ბოგდანოვა. რედაქტორები: ა. ნიკოლაევი, ი. ტარნოვსკი. 2. გ ო ლ ო ვ ი ნ ი ს პ რ ო ს პ ე ქ ტ ი — დღეანდელი რუსთაველის გამზირი. 3. ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი — წმინდა სულების სამკვიდრებელი. 4. მ ე ფ ე კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე — კონსტანტინე II — ქართლ-იმერეთის მეფე 1478/79—84 წლებში.

57. საზოგადოებრივი აზრები აკაკის პოეზიაში სამსონ დადიანისა დაიბეჭდა გაზ. „სახალხო ფურცელში“ 1915 წ. № 203, 6 თებ. აკაკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ს ა მ ს ო ნ დ ა დ ი ა ნ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „საზოგადოებრივი აზრები მე-19 საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში“. 1. გ ა ლ ი ლ ე ი გ ა ლ ი ლ ე ო ((1564—1642) — იტალიელი ფიზიკოსი, მექანიკოსი და ასტრონომი, ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი ფუძემდებელი, პოეტი, ფილოლოგი და კრიტიკოსი. 2. მ თ ა წ მ ი ნ დ ა — იგივე მამადავითის მთა, მამადავითის გორა, ზღვის დონიდან ამ მთის სიმაღლე 727 მეტრია. იგი თბილისს გადმოჰყურებს სამხრეთ დასავლეთის მხრიდან.

მთაწმინდას წინათ „განდეგილის“ მთასაც ეძახდნენ, რადგანაც აქ ცხოვრობდა ხალხისაგან განდგომილი ბერი „ცამეტ სირიელ მამათაგანი“ დავითი. დავითი მთაწმინდის ერთ-ერთი პირველი ბინადარი იყო, რომელმაც აქ, მთაზე პატარა საცხოვრებელი სენაკი და სამლოცველო ააშენა. ამ მთას დავითის პატივსაცემად „მამადავითი“ ეწოდა, ხოლო მთაზე აგებულ პატარა უგუმბათო ეკლესიას „მამადავითის ეკლესია“, ეს იყო მე-6 საუკუნეში.

მამადავითის დანგრეული ეკლესია მეცხრე საუკუნეში განაახლეს „ათონის იერთა ლავრის“ თაოსნობით და ამ მთასა და მასზე ამენებულ ეკლესიას ათონის მთის სახელი „მთაწმინდა“ უწოდეს. 3. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ“. 4. ციტატა ამოღებულია ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „მერანი“. 5. ციტატა ამოღებულია ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „მერანი“. 6. ციტატა ამოღებულია ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „მერანი“. 7. ციტატა ამოღებულია ი. ჭავჭავაძის ლექსიდან „ქართველის დედას“. 8. ელინი — ძველი ბერძენი. 9. ეზოპე — იხ. კომენტარი წერილისა „თ. აკაკი წერეთელი“. 10. პერიფრაზი მოტანილია აკაკის მოთხრობიდან „ბაში-აჩუკი“. 11. ბაგრატ დიდი — აკაკის ისტორიული დრამის „ბაგრატ დიდის“ მთავარი პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 12. თემურ ლენგი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 13. ცოტნე დადიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 14. ნაპოლეონი (1769—1821) — საფრანგეთის იმპერატორი და მხედართმთავარი.

58. დიდებული აკაკის ბრწყინვალე ხსოვნას სიმონ ხუნდაძისა დაიბეჭდა გაზ. „სამშობლოში“ 1915 წ. № 5, 6 თებ. ხუნდაძე სიმონ (1894—1933) — პროფესორი, მკვლევარი, ქართველ კლასიკოს მწერალთა და მოაზროვნეთა მემკვიდრეობის გამომცემელი. 1. შექსპირი — იხ. კომენტარი წერილისა: „ფილტონი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა „თორნიკე ერისთავი“. 2. ნესტან-დარეჯანი — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი. 3. ტაეპი მოტანილია „ვეფხისტყაოსნის“ იმ თავიდან, რომელსაც ეწოდება „პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა“ (875). ს. ხუნდაძეს ტაეპი მოაქვს მცირეოდენი ცვლილებით: უნდა იყოს:

„პირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“.

59. აკაკის ჩანგი „ი. ც.“-ს ფსევდონიმით დაიბეჭდა გაზ. „სამშობლოში“ 1915 წ. № 6. 7 თებ. აკაკის გარდაცვალების გამო. 1. პუშკინი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები“. 2. სამოთხე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 3. ჯოჯოხეთი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 4. იგულისხმება კიტა აბაშიძე. 5. პერიფრაზი კიტა აბაშიძის წერილიდან „თ. აკაკი წერეთელი“. 6. კ. აბაშიძე — იხ. კომენტარი წერილისა. „ილია და აკაკი“. 7. ციტატა მოტანილია ნ. ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა“. 8. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ“. 9. ევა — ბიბლიური პერსონაჟი. (ძვ. ებრ. — სიცოცხლე). იუდეურ, ქრისტიანულ და შემდგომ მუსლიმანური რელიგიების მიხედვით, ადამიანთა მოდგმის წინაპრის ადამის ცოლი, პირველი ქალი, და „ყველა სულიერის დედა“. ძვ. აღთქმის მიხედვით, ღმერთმა ევა შექმნა ადამის ნეკნისგან და ადამთან ერთად ედემში დაასახლა. აქ ევა გველმა შეაცდინა და აკრძალული ცოდნის ხის ნაყოფი იგემა და ადამსაც შეაჭამა. განრისხებულმა ღმერთმა ადამი და ევა სამოთხიდან განდევნა და სამუდამოდ დასწყევლა ადამიანთა მოდგმა.

60. აკაკი გ. რცხილაძისა დაიბეჭდა გაზ. „სახალხო ფურცელში“ 1915 წ. № 205, 8 თებ. აკაკის გარდაცვალების გამო. რცხილაძე გიგო (1876—1934) — ქართული ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელი. 1. დაეთ კურაპალატი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 2. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ“. 3. ამირანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“.

61. აკაკი, როგორც ცისა და მიწის შვილი სამსონ დადიანისა, დაიბეჭდა გაზ. „სახალხო ფურცელში“ 1915 წ. № 205. 8 თებ. აკაკის გარდაცვალების გამო. სამსონ დადიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „საზოგადოებრივი აზრები მე-19

საუკუნის სიტყვაკაზმულ მწერლობაში“. 1. პიპინი (1833—1904) — რუსი მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, ეთნოგრაფი 2. ციტატა მოტანილია „ევფხისტყაოსნის“ პროლოგიდან (12).

62. უკვდავი მგოსანი გრ. გველესიანისა დაიბეჭდა გაზ. „სახალხო ფურცელში“ 1915 წ. № 205. 8 თებ. აკაკის გარდაცვალების გამო. გველესიანი გრიგოლ (1870—1926) — ქართველი პუბლიცისტი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. 1. მეფე თამარ — თამარ მეფე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“.

63. აკაკი წერეთელი არჩილ ჯაჯანაშვილისა „არ. ჯ-შვილის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა გაზ. „სახალხო ფურცელში“ 1915 წ. № 205, 8 თებ. აკაკის გარდაცვალების გამო. ჯაჯანაშვილი არჩილ (დაიბ. 1884 წ.) — ჟურნალისტი, მწერალი. 1. ბესიკი — (გაბაშვილი ბესარიონ, 1750—1791) — ქართველი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე. 2. ალ. ჭავჭავაძე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი“. 3. გრ. ორბელიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“. 4. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სერათზედ“. 5. არჩილ ჯორჯაძე (1872—1913) — ქართველი მწერალი, პუბლიცისტი. 6. ინტელიგენციის ისტორიის ნარკვევებში — იგულისხმება არჩ. ჯორჯაძის შრომა „მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“. დაიბეჭდა წიგნში: არჩ. ჯორჯაძის თხზულებანი, წიგნი მეხუთე, 1914 წ. გვ. 7—213.

64. სხვანაირი სიკვდილი ტრიფონ ჯაფარიძისა დაიბეჭდა გაზ. „სამშობლოში“ 1915 წ. № 7, 8 თებ. ტრიფონ ჯაფარიძე — პედაგოგი, საეპარქიო სასწავლებლის დირექტორი, კრიტიკოსი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. 1. კერპი — წარმართთა ღმერთი, აჩრდილი არსებისა.

65. აკაკის პოეზია ვასილ წერეთლისა დაიბეჭდა გაზ. „სამშობლოში“ 1915 წ. № 9. 11 თებ. აკაკის გარდაცვალების გამო. ვასილ წერეთელი — იხ. კომენტარი წერილისა: „კრიტიკული წერილები. წერილი მეორე, სამი პოეტი, აკაკი წერეთელი“. 1. ბაირონი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი“: 2. ბაირონის ცოლი — ანაბელა მილბენკი, საკმაოდ მდიდარი ბარონეტის რალფ მილბენკის ქალიშვილი. 3. ტიტანი — ბერძნულ მითოლოგიაში: უკვდავი არსებები, გიგანტები, რომლებიც შეებრძოლნენ ოლიმპელ ღმერთებს. ამ შემთხვევაში იხმარება, როგორც დიდი მოაზროვნე, გენიოსი. 4. სატანა — ავი სული, ეშმაკი.

66. სიტყვა საჩხერეში გრ. გიორგაძისა თქმული აკაკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაიბეჭდა გაზ. „სამშობლოში“ 1915 წ. № 10. 12 თებ. გრ. გიორგაძე (1879—1937) — ქართველი ისტორიკოსი, იურისტი, პუბლიცისტი. 1. მთაწმინდა — იხ. კომენტარი წერილისა: „საზოგადოებრივი აზრები აკაკის პოეზიაში“. 2. ავტორი გულისხმობს ბატონყმობის გადავარდნას 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით და 1905 წლის რევოლუციას.

67. აკაკი და ხალხი ფილიპე მახარაძისა დაიბეჭდა ჟურნ. „განთიადში“ 1915 წ. № 4. 15 თებ. არიელის ფსევდონიმით აკაკის გარდაცვალების გამო. ფილიპე მახარაძე (1868—1941) საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, 1. გ. თუმანიშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება“. 2. იგულისხმება გ. თუმანიშვილის მოგონება „აკაკი წერეთლის მნიშვნელობა ქართულ მწერლობაში“. დაიბეჭდა „თემი“, 1915 წ. № 205. 3. იგულისხმება გრ. ორბელიანი, რომელმაც ახალი თაობა „აკაკიები — ბაკაკიების“ სახელით მონათლა. 4. ი. გოგებაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „ნობათი“, საყოველთაო პედაგოგიური ჟურნალი, იანვრის წიგნი“. 5. ეს გამოთქმა ეკუთვნის იაკობ გოგებაშვილს წერილში: „ქართული პოეზიის იალბუზი“, რომელიც დაიბეჭდა „აკაკის საიუბილეო კრებულში“ 1908 წელს. 6. ავტორი ალბათ გულისხმობს 1905 წლის რევოლუციურ აბობოქრებას. 7. ე. გეგეჭკორი (1881—1954)

— მენშევიკი, 1907-12 წლებში III სათათბიროს წევრი ქუთაისის გუბერნიიდან. 8. სტრაენიკი — რევოლუციამდელ რუსეთში: სოფლის პოლიციელი დაბალი ჩინისა.

68. სიტყვა წარმოთქმული აკაკის დაკრძალვის დღეს ერევნის მოედანზე ნიკო ნიკოლაძის მიერ, დაიბეჭდა გაზ. „თემში" 1915 წ. № 207. 16 თებ. ნ. ნიკოლაძე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე 2 მაისს, 1889 წელს". 1. ერევნის მოედანი — დღევანდელი ლენინის მოედანი.

69.მგოსანი აკაკი, გაკვრით სერგო გერსამიასი გამოქვეყნდა „ვიწმეს" ფსევდონიმით გაზ. „ხმა კახეთისაში" 1915 წ. № 232, 22 თებ. აკაკის გარდაცვალების გამო. სერგო ლუკას ძე გერსამია (1892—1968) — საზოგადო მოღვაწე, რედაქტორ-გამომცემელი, ქართველი საბჭოთა თეატრმცოდნე. 1. საააკაძე გიორგი (დიდი მოურავი, 1580—1629) — ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, მხედართმთავარი. 2. ეს აზრი ნაწილობრივ გაზიარებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში. იხ. 1. „საქართველოს ისტორია", დამხმარე სახელმძღვანელო. ნაწ. I. 1958 წ. გვ. 294—298. ავტორთა კოლექტივი ა. აფაქიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, გ. ჩიტაია, გ. ხაჭაპურიძე. 2. დავით გურიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, 1965 წ. გვ. 277—372. 3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973 წ. გვ. 274—291. 4. შ. მესხია, ვ. გუჩუა, საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო, 1969 წ. გვ. 124—128. 3. ფენიქსი — მითოლოგიური ფრინველი, რომელიც სიკვდილის მიახლოებისას თითქოს თავს იწვავს და კვლავ აღსდგება თავის ფერფლიდან, ცოცხლდება. მუდმივი განახლებისა და აღორძინების სიმბოლო. 4. ნესტანი — „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი. 5. ივერია — იგულისხმება ძველი საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი. 6. იერემია — იხ. კომენტარი წერილისა: „ორგვარი აზრი აკაკის ლექსებზე". 7. ავტორს მხედველობაში აქვს ბატონყმობის გაუქმება 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით. 8. ტაეპი ამოღებულია „ვეფხისტყაოსნის" იმ თავიდან, რომელსაც ეწოდება „ეპილოგი", დასასრული (1668). 9. ავტორი ალბათ გულისხმობს ალ. ხახანაშვილს და სილ. ხუნდაძეს. 10. აბაშელი (ნამდვილი გვარია ჩოჩია, 1884—1954) — ცნობილი ქართველი პოეტი. 11. ეანუსი — დროის, ყოველგვარი დასაწყისისა და დასასრულის ღვთაება. გამოისახებოდა ორი პირისახით, რომელთაგან ერთი წინ ჰქონდა მიქცეული, მეორე უკან.

70. სიტყვა აკაკის შემოსვენებაზე ქაშვეთის ეკლესიაში 5 თებერვალს 1915 წ. დეკ. კორნელი კეკელიძისა დაიბეჭდა გაზ. „თემში" 1915 წ. № 208. 23 თებ. კორნელი კეკელიძე (1879—1962) — დიდი ქართველი მეცნიერი 1. ქაშვეთის ეკლესია — მეექვსე საუკუნეში, 547 წელს, ფარსმან მეექვსის მეფობის პერიოდში, ქრისტეს რჯულზე ურწმუნოთა მოსაქცევად საქართველოში მოსულა 13 სირიელი მამა, რომელთა შორისაც ყოფილა დავითი. დავითის სახელთან მრავალი ლეგენდაა დაკავშირებული: ერთ-ერთი მათგანი უკავშირდება ქაშვეთის ეკლესიას.

ვინმე სპარსელ მაღალი თანამდებობის პირს, სახელად ხოსროს, გადაუწყვეტია მოხუცი დავითის მოკვლა, იმის გამო, რომ იგი ცეცხლთაყვანისმცემლებს შორის ავრცელებდა ქრისტიანობას. ამ მიზნით მან დავითს ცილი დასწამა ქრისტიანი ქალის მარიამის შეცდენაში. სამსჯავროს წინაშე წარმდგარმა ფეხშიშველა მოხუცმა უარყო ეს ბრალდება და თავის გასამართლებლად მარიამის მუცელს კვერთხით სამჯერ შეეხო. შეკრების ადგილზე ცილისმწამებელ ქალს ქვა უშვია. ხალხს და მეფეს, რომლებიც განცვიფრებული შეჰყურებდნენ სასწაულთმომქმედ მოხუცს, გადაუწყვეტიათ სასწაულის ადგილზე აეშენებიათ ეკლესია, საეკლესიო შენობის საძირკველში ჩაეტანებინათ მარიამის მიერ შობილი ქვა.

ეკლესიას ეწოდა „ქაშვეთი", „ქვაშუეთი", ანუ „ქვა-შუა". ეს ეკლესია ადრე-

ული ქრისტიანობის ქართული არქიტექტურის ნიმუშს წარმოადგენდა, მას XVIII საუკუნემდე მიუღწევია.

1753 წელს თავადმა გიეი ამილახვარმა, ძველი ეკლესიის გვერდით ააშენა ახალი, შედარებით მოზრდილი ეკლესია. გუმბათიანი და მოხატული. ამ ეკლესიამ დიდხანს ვერ გასძლო. და ამიტომ ჩვენი საუკუნის დასაწყისში, ახალი ეკლესია აუშენებიათ, რომლის პროტოტიპად გამოუყენებიათ XI საუკუნის ქართული არქიტექტურის ძეგლი სამთავისის ეკლესია. ეკლესიის მოხატვა ეკუთვნის ფრესკის დიდოსტატს ლადო გუდიაშვილს. 2. კასპიიდან პონტამდე — იგულისხმება კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე. 3. იალბუზი — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული ლიტერატურა“. 4. არარატი — ეულკანური მასივი მდინარე არაქსის შუაწელში. მდებარეობს თურქეთში, სსრკ საზღვრის მახლობლად. 5. „უფალო შეიწყალე“ — ბიბლიური გამოთქმა, ღმრთისადმი მიმართული თხოვნა. 6. დავით აღმაშენებელი — (დავით IV, 1073—1125) — საქართველოს მეფე 1089—1125 წლებში. 7. დავით მეფე — იგივე დავით აღმაშენებელი, საქართველოს მეფე. 8. მოსე წინასწარმეტყველი — იხ. კომენტარი წერილისა: „ილია და აკაკი“. 9. აღთქმული ქვეყანა — აქ იგულისხმება სამოთხე. 10. დიმიტრი ყიფიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი“. 11. ისო ნავინი — ბიბლიური პერსონაჟი, ბიბლიის ძველი ქართული თარგმანით, ისუ ნავესი. ის ვინც ებრაელები შეიყვანა ღვთის მიერ აღთქმულ ქვეყანაში. 12. იაკობი — იგულისხმება ბიბლიური იაკობი, ისააკის მეორე შვილი, რომელიც ითვლება ისრაელთა მამამთავრად.

71. დიდი მგოსნის გარდაცვალება დავით კასრაძისა დაიბეჭდა ჟურ. „ნაკადულში“ 1915 წ. № 2. 2 თებ. კასრაძე დავით — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი“. 1. ტაეპი მოტანილია „ვეფხისტყაოსნის“ იმ თავიდან, რომელსაც ეწოდება „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი“ (379). 2. „ნაკადული“ — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი“. 3. გურამიშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „თამარ ცბიერი“. 4. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ“. 5. ნიკოლაძე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე 2 მაისს, 1889 წელს“. 6. მესხი — იხ. კომენტარი წერილისა: „კრებული“ — მეექვსე და მეშვიდე წიგნი, 1872 წ.“. 7. მაჩაბელი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი, როგორც დიდი ეროვნული მგოსანი“. 8. ნათელა — აკაკის პოემის „ნათელას“ მთავარი პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 9. ნინო — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 10. ქეთევანი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 11. თამარი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 12. ამირანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა.“

72. ძვირფასი აკაკის ხსოვნას დ. ნახუცრიშვილისა დაიბეჭდა ჟურ. „თეატრი და ცხოვრებაში“, 1915 წ. № 6. თებ. დავით ნახუცრიშვილი (1874—1932) — მწერალი. 1. ნესტან-დარეჯანი — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი.

73. აკაკი ვარლამ ბურჯანაძისა ვ. ობჩელის ფსევდონიმით დაიბეჭდა ჟურ. „განათლებაში“ 1915 წ. № 2. თებ. აკაკის გარდაცვალების გამო. ვარლამ ბურჯანაძე (ვ. ობჩელი, 1877—1941) — ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. 1. ნ. ნიკოლაძე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე 2 მაისს, 1889 წელს“. 2. ს. მესხი — იხ. კომენტარი წერილისა: „კრებული“, მეექვსე და მეშვიდე წიგნი, 1872 წ“. 3. „კრებული“ — იგულისხმება „აკაკის კრებული“. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი“. 4. ნაწყვეტი ამოღებულია ნ. ბარათაშვილის ლექსიდან. „ფიქრნი მტკვრის პირას“. უნდა იყოს:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს;
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

74. სიტყვა ტფილისის ქართული გიმნაზიის წარმომადგენლის ბ-ნის ალ. ბეს. ჰიჰინაძისა დაიბეჭდა ჟურ. „განათლებაში“ 1915 წ. № 2, თებ. ჟურნალის რედაქცია იტყობინება: „ეს სიტყვა უნდა წარმოეთქვათ თებერვლის 8-ს აკაკის დაკრძალვის დღეს, მაგრამ როგორც სხვა ბევრის, არც ამ სიტყვის წარმოთქმა მოხერხდა“. ალექსი ჰიჰინაძე (1851—1917) — მწერალი, პედაგოგი. 1. ციტატა ამოღებულია იღ. ჭავჭავაძის ლექსიდან „ელეგია“. 2. ციტატა ამოღებულია იღ. ჭავჭავაძის ლექსიდან „ქართვლის დედას“. 3. გაზ. „დროება“ — იხ. კომენტარი წერილისა: „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“. 4. მთაწმინდა — იხ. კომენტარი წერილისა: „საზოგადოებრივი აზრები აკაკის პოეზიაში“. 5. დიმ. თავდადებული — იგულისხმება დიმიტრი ყიფიანი. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი“. 6. დიდი დავითი — იგულისხმება დავით აღმაშენებელი. იხ. კომენტარი წერილისა: „სიტყვა აკაკის შემოსვენებაზე ქაშვეთის ეკლესიაში“. 7. თამარი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 8. ირაკლი — მეფე ერეკლე. იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“.

75. სიტყვა მიხეილ ხერხეულიძისა თქმული ნაძალადევის თეატრში აკაკის სულის მოსახსენებელ პანაშვიდის წინ იანვრის 30-სა. დაიბეჭდა გაზ. „თემში“ 1915 წ. № 209. 8. მარტი. მიხეილ ზურაბის ძე ხერხეულიძე (1892—1959) ქართველი მეცნიერის ქიცა (გრიგოლ) ხერხეულიძის მამა, პროფესიით იურისტი. იურიდიულ სამსახურთან ერთად ეწეოდა თელავისა და გორის თეატრში სამსახიობო-სარეჟისორო საქმიანობას. აქტიურად თანამშრომლობდა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე.

76. აკაკი და ზეპირსიტყვიერება ექვთიმე თაყაიშვილისა დაიბეჭდა გაზ. „თემში“ 1915 წ. № 209. 8 მარტი. ექვთიმე თაყაიშვილი (1863—1953) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ისტორიკოსი და არქეოლოგი. 1. დავით აღმაშენებელი იხ. კომენტარი წერილისა: „სიტყვა აკაკის შემოსვენებაზე ქაშვეთის ეკლესიაში“. 2.„როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნი მე პირად დამესხნეს“ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობით, ეს ლექსი დაუწერია ეპიტაფიის სახით დავით აღმაშენებლის შესახებ არსენ ვაჩეს ძე იყალთოელს. 3. „ხელმწიფის კარის გარიგება“ ძველი ქართული მწერლობის ძეგლი. ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება. შეიცავს მეფის გიორგი ბრწყინვალის სამართალს ანუ ეგრეთწოდებულს ძეგლის — დებას მთიულთადმი და გარიგებას ხელმწიფის კარისას.

ე. თაყაიშვილის აზრით, იგი შედგენილი უნდა იყოს არა უადრეს მეცამეტე საუკუნის დასასრულისა და არა უგვიანეს მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა რომელიმე კარისკაცის მიერ პრაქტიკული საჭიროებისათვის. ეს არის ერთგვარი კრებული, კოდექსი, სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა, მეფის კარის წესრიგისა, მოხელეთა, და ხელისუფალთა უფლება-მოვალეობისა, რომელიც დაკანონებული იყო სხვა და სხვა დროს სხვა მეფის მიერ და კანონად და ჩვეულებად მიღებული.

„ხელმწიფის კარის გარიგება“ აღმოაჩინა, მეცნიერულად შეისწავლა და გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა 1920 წელს. (შემდეგში მრავალჯერ იქნა გამოცემული). 4. არსენ ვაჩეს ძე იყალთოელი — მეთერთმეტე საუკუნის გასულისა და მეთორმეტის დამდეგის ცნობილი მწერალი, მეცნიერი და მოღვაწე. 5. აბესალომი და ეთერი — ქართული ხალხური ეპოსის პერსონაჟები. 6. „კრებული“ — იგულისხმება „აკაკის კრებული“. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი“. 7. იგულისხმება აკაკის წერილი „ზეპირსიტყვაობის გამო“, რომელიც დაიბეჭდა „აკაკის კრებულში“, 1897 წ. № 1.

77. სიტყვა, თქმული ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქალთა საზოგადოების მინდობილობით ბაბო მუჴედლიძის მიერ დაიბეჭდა ჟურ. „განთიადში“ 1915 წ. № 6, 15 მარტი. აკაკის გარდაცვალების გამო. ბაბო (ბარბარე) სიმონის ას მჴედლიძე (დაიბ. 1895 წ.) — ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

1. ქალთა საზოგადოება — იგი დაარსებულა ქ. ჭუთაისში მე-20 საუკუნის 10-იან წლებში. ამ საზოგადოების დამაარსებელი და ორგანიზატორი იყო მელაშა ლუარსაბის ას გველესიანი (მეძმარიაშვილი), გრიგოლ გველესიანის მეუღლე. წრის წევრებად ითვლებოდნენ კატო მიქელაძე (იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი პარიზში"), ჩიტო შარაშიძე — თაგუნა შარაშიძის, ჟურ. „ეშმაკის მათრახის" თანამშრომლის და, — საზოგადო მოღვაწე და მეცნიატი, ბაბო მჭედლიძე, თამარ მაჭავარიანი და სხვები. ეს საზოგადოება დაოსანი იყო ბევრი კულტურული ღონისძიებებისა. 2. ტარიელი — „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი. 3. ნესტანი — „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი. 4. იალბუზი — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული ლიტერატურა". 5. მყინვარი — იგულისხმება მყინვარწვერი, მწვერვალი კავკასიის ქედისა. 6. ნინო — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი". 7. თამარ — იხ. კომენტარი წერილისა: — „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი". 8. ქეთევან — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი". 9. გუნდრუკი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი პარიზში".

78. სიტყვები... იოსებ მაჭავარიანისა დაიბეჭდა გაზ. „თემში" 1915 წ. № 210, 16 მარტი აკაკის გარდაცვალების გამო. იოსებ მაჭავარიანი — ხალხური სიტყვიერების შემკრები. 1. სულიკო — აკაკის ლექსის „სულიკოს" პერსონაჟი. 2. იუდა — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი".

79.სიტყვები... ივანე გომართელისა აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი ეს წერილი დაიბეჭდა გაზ. „თემში" 1915 წ. № 210, 16 მარტი. გომართელი ივანე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი".

80. აკაკი როგორც მგოსანი „გიორგის" ფსევდონიმით გამოქვეყნდა გაზ. „სამშობლოში" 1915 წ. № 41, 42, 44, 45, 27 მარტი, 28 მარტი, 31 მარტი, 1 აპრილი. გიორგი — ? 1. იუდა — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი". 2. ამირანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა". 3. სავსონი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი". 4. შოვინისტური — რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგია და პოლიტიკა, რომლის მიზანია ერთი ეროვნების უპირატესობის მტკიცების საფუძველზე ეროვნული შუღლის გაღვივება. 5. ბურები — იგივე აფრიკანერები, ხალხი სამხრეთ აფრიკაში, ძირითადად XVII ს. ჰოლანდიელ მოახალშენეთა, აგრეთვე ფრანგ და გერმანელ კოლონისტთა შთამომავლები. ცხოვრობენ უმთავრესად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების პროვინციებში. ენა — აფრიკაანსი. 6. მესია — იხ. კომენტარი წერილისა: „ილია და აკაკი". 7. იერემია — იხ. კომენტარი წერილისა: „ორგვარი აზრი აკაკის ლექსებზე". იხ. აგრეთვე კომენტარი წერილისა: „ილია და აკაკი".

81. აკაკი ივანე გომართელისა ამოღებულია 1915 წელს გამოცემულ ბროშურიდან „ორი სიტყვა". ეს მოხსენება წაკითხულ იქნა 25 მარტს ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მიერ აკაკის სახსენებლად გამართულ დილაზე. გომართელი ივანე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი". 1. რაფიელი — რაფიელ ერისთავი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს" რა აკაკანებდა?" 2. ციტატა მოტანილია რ. ერისთავის ლექსიდან „სამშობლო ხევსურისა". 3. ნესტან-დარეჯანი — „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი.

82. აკაკი რიფია ძვირფასი სოსო მაჭავარიანისა დაიბეჭდა ჟურ. „თეატრსა და ცხოვრებაში" 1915 წ. № 10, მარტი. აკაკის გარდაცვალების გამო. სოსო მაჭავარიანი — ხალხური სიტყვიერების შემკრები. 1. იესო — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი".

83. აკაკი, როგორც სატირიკოსი იპოლიტე ვართაგავასი დაიბეჭდა გაზ. „სახალხო ფურცელში" 1915 წ. № 277, № 278 მაისი, წერილს დართული აქვს რედაქციის შენიშვნა, რომ ეს ნაშრომი ი.ვ. ვართაგავამ 27 აპრილს წაიკითხა ქართული კულტუ-

რის მოყვარულთა საზოგადოებაში, ხოლო 3 მაისს წაკითხულ იქნა სახალხო სახლში გამართულ დილაზე. შენიშვნაში მითითებულია აგრეთვე, რომ „მოხსენება მეტად საგულისხმო და შინაარსიანი გამოდგა. ეტყობა, მომხსენებელს დიდი შრომა გაუწევია, შეუსწავლია ძვირფასი პოეტის სატირული ნაწარმოებნი; ეს მასალები გაბნეულია სხვა და სხვა პერიოდულ გამოცემასა და წიგნში, ბ-ნ ვართაგავას დიდის ხელოვნებით შეუგროვებია და შესაფერისად დაულაგებია.

მომხსენებელმა დაწვრილებით აღნიშნა, თუ რა აზრისა იყო დიდებული მამულიშვილი ქართველი ერის სხვა და სხვა წოდებაზე, მამაკაცზე და დედაკაცზე, ყრმასა და მღვდელზე. მომხსენებელმა მოიყვანა აკაკის ეს ლექსები, რომელშიც იგი ჰგმობს ქართველ საზოგადოებაში გამეფებულ სხვა და სხვა ნაკლოვანებებს. მოხსენება შეიცავს წინასიტყვაობასა და შედგა ოთხი ვრცელის ნაწილისაგან.

ვართაგავა იპოლიტე (1872—1967) — ქართველი კრიტიკოსი, პედაგოგი. 1. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ“. 2. მაიკო — ქაიხოსრო ორბელიანის ასული, ლევან მელიქიშვილის დანიშნული, ნ. ბარათაშვილის უახლესი მეგობარი და ნათესავი, გარდაიცვალა 1846 წ. 3. თამარ, ქეთევან, ნინო — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“.

84. აკაკის პოეზიის ესთეტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა გიორგი ნიორაძისა დაიბეჭდა გაზ. „სამშობლოში“ 1915 წ. № 93, 94, 95, 101. 2 ივნისი, 3 ივნისი, 4 ივნისი, 11 ივნისი. ნიორაძე გიორგი უაფლანის ძე (1886—1951) — ცნობილი ქართველი მეცნიერი, პროფესიით არქეოლოგი. ადრე მასწავლებლობდა და ნაყოფიერ ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობას ეწეოდა. წერილებს აქვეყნებდა „შროშელის“ ფსევდონიმითაც. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი პროფ. ანუჩინის ხელმძღვანელობით. 1922 წელს იგი გაემგზავრა გერმანიაში, სადაც დასპეციალდა არქეოლოგიაში. 1925 წელს ჩამოდის თბილისში და მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში არქეოლოგიის განყოფილების გამგედ. 1933 წელს მისი თაოსნობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყალიბდება არქეოლოგიის კათედრა, რომლის უცვლელი გამგე იყო გარდაცვალებამდე. 1. იანგელოზი ღვთის ზეციური მსახური, მისი ნება-სურვილის განმცხადებელი, მაცნე, შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის, რელიგიური წარმოდგენით ანგელოზები უკვდავნი არიან, შესწევთ მომავლის გამოცნობის უნარი, ცხოვრობენ „უხილავ ქვეყანაში“. 2. კომენსკი იან ამოს (1592—1670) — ჩეხი პედაგოგ-განმანათლებელი, საზოგადო მოღვაწე. 3. პესტალოცი იოჰან (1746—1827) — შვეიცარიელი პედაგოგი, განმანათლებელი. 4. ლოკკი ჯონ (1632—1709) — ინგლისელი განმანათლებელი, ფილოსოფოსი. 5. დისტერვეგი ფრიდრიხ ადოლფ ვილჰელმ (1790 — 1866) — გერმანელი პედაგოგი, დემოკრატი. 6. ლიუტერი მარტინი (1483—1546) — გერმანელი პროტესტანტიზმის ღამაარსებელი. 7. რუსო ჟან ჟაკ (1712—1778) — გამოჩენილი ფრანგი პედაგოგი, ფილოსოფოსი, ბელეტრისტი. 8. სოლოვიოვი ვლადიმერ (1853—1900) — ცნობილი რუსი ფილოსოფოსი, პოეტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი. 9. დიტო ცალქალამანიძე — აკაკის მოთხრობის „პატარა ტარიელის“ პერსონაჟი. 10. ტარიელი — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი. 11. ნესტან-დარეჯანი — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი. 12. თინა — აკაკის მოთხრობის „პატარა ტარიელის“ პერსონაჟი. 13. ტარიელ-ავთანდილები — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები. 14. სვიმონ მაყაშვილი—აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 15. აბდუშაკილი — აკაკის მოთხრობა „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 16. ბაში-აჩუკი—აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ მთავარი პერსონაჟი. 17. პირიმზისა — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 18. ბიძინა ჩოლოყაშვილი — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული ძხარე აკაკის პოეზიისა“. 19. ჯანდიერი — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 20. თურმანიძე — აკაკის პოემის „კიკოლას ნაამბო-

ბის“ პერსონაჟი. 21. ზურაბ წერეთელი — აკაკი წერეთლის პოემის „კიკოლას ნაამბობის“ პერსონაჟი, იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი“. 22. კიკოლა — აკაკის პოემა „კიკოლას ნაამბობის“ პერსონაჟი. 23. ქაიხოსრო — აკაკის პოემა „კიკოლას ნაამბობის“ პერსონაჟი. 24. თორნიკე ერისთავი — აკაკის პოემის „თორნიკე ერისთავის“ მთავარი პერსონაჟი, იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 25. ციტატა მოტანილია ილიას პოემიდან „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, უნდა იყოს:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს —
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, —
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

26. ნათელა — აკაკის პოემის „ნათელას“ მთავარი პერსონაჟი იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 27. ნინი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 28. აფხაზი — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 29. ნაზიბროლა—აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 30. საფარ-ბეგი — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 31. ბელინსკი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 32. სენტენცია — აზრი, მორალური ხასიათის გამონათქვამი, ზნეობრივი დარიგება. 33. ჰაჯი-უსუბი — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 34. დათუნა გოცირიძე — აკაკის დათუნა გოცირიძის“ პერსონაჟი. 35. ივანე კვიტაშვილი — აკაკის მოთხრობის „დათუნა გოცირიძის“ პერსონაჟი. 36. მეფე გიორგი, გურიის მთავარი — აკაკის დრამატული პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „თამარ ცბიერი“. 37. თამარი — აკაკის დრამატული პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „თამარ ცბიერი“. 38. გოჩა — აკაკის დრამატული პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. 39. ცირა — აკაკის დრამატული პოემის „თამარ-ცბიერის“ პერსონაჟი. 40. ნიკო გურული — აკაკის პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი.

85. აკაკი და საქართველო ვახტანგ კოტეტიშვილისა დაბეჭდა „სახალხო ფურცელში“ 1915 წ. № 302, 9 ივნისი, აკაკის გარდაცვალების გამო. ვახტანგ კოტეტიშვილი (1893—1937) — მკვლევარი, ფოლკლორისტი, ხელოვნებათმცოდნე, ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის ავტორი. 1. უილტ უიტმანი — უნდა იყოს უიტმენი უოლტ (1819—1892) გამონენილი ამერიკელი პოეტი. 2. თორნიკე — აკაკის პოემის „თორნიკე ერისთავის“ მთავარი პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 3. ელიზბარ, შალვა და ბიძინა — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟები. იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 4. პატარა კახი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 5. გიორგი საააკაძე — იხ. კომენტარი წერილისა: „მგოსანი აკაკი“. 6. ნინო, ქეთევან, თამარი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 7. ნათელა — აკაკის პოემის „ნათელას“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 8. ამირანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 9. ბაირონი — იხ. კომენტარი წერილისა „აკაკი წერეთელი“. 10. ელადა — ბერძნული კულტურის ცენტრი. 11. პლუტონოსი — იგივე ჰადესი, ძველბერძნულ მითოლოგიაში მიწისქვეშა სამყაროს და მიცვალებულთა სულების მბრძანებელი, კრონოსისა და რეას ვაჟი, ზევსის, პოსეიდონისა და დემეტრეს ძმა. როდესაც სამმა ძმამ გაიყო სამყარო, ჰადესს მიწისქვეშეთი და მიცვალებულთა მეუფეობა ერგო. ჰადესი ითვლებოდა აგრეთვე წი-

აღისეულისა და მიწის ნაყოფიერების ღმერთად. 12. ციტატა მოტანილია ილიას ლექსიდან „ქართველის დედას“.

86. რეფერატი წაკითხული შალვა დადიანის მიერ დაიბეჭდა გაზ. „ხმა კახეთისაში“ 1915 წ. № 250, 21 ივნისი, აკაკის გარდაცვალების გამო. შალვა დადიანი (1874—1959) — ქართველი მწერალი, დრამატურგი, მსახიობი, საზოგადო მოღვაწე. 1. პროტესტანტი — პირი, რომელიც პროტესტს აცხადებს რისამე წინააღმდეგ. 2. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ“. 3. ნესტან-დარეჯანი — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი. 4. იპ. ვართაგავა — იხ. კომენტარი წერილისა „აკაკი როგორც სატირიკოსი“. 5. ნიკოლოზ პირველი (1796—1855) — რუსეთის იმპერატორი. 6. დავით წინასწარმეტყველი — (ძვ. წ. XI ს. მიწურული, დაახლოებით ძვ. წ. 950) ებრაელთა გაერთიანებული სამეფოს დამაარსებელი და პირველი მეფე ბეთლემელი ისაიას (იესე) ძე, რომლის ცხოვრება აღწერილია ბიბლიაში. მიჩნეულია ავტორად „დავითნის“ სახელწოდებით ცნობილი 150 ფსალმუნისა, რომელიც წარმოადგენს იუდეველთა რელიგიური ლირიკის შედევრს. ბიბლიის მიხედვით, დავითი მწყემსი ყოფილა, ფილისტიმელთა გოლიათი დაუმარცხებია და ჯერ კიდევ ჭაბუკი მხედარი მთავრად დაუნიშნავს მეფე საულეს და თავისი ქალიც მიუთხოვებია. როცა საულე დაიღუპა, დავითი ქებრონში მოიხმეს და იუდეველთა მეფედ აირჩიეს. დავითმა დაიმორჩილა ფილისტიმელები, მოაბელები, ედომელები, ამონელები. სამეფოს დედაქალაქად ქ. იერუსალემი აირჩია და რელიგიის ცენტრად გამოაცხადა. ამ მიზნით აქ „კიდობანი იგი შჯულისაი“ გადმოასვენა. დავითის მიერ დაარსებულმა დინასტიამ ძვ. წ. 586-მდე იმეფა. თავის შვილს სოლომონს მან დაუტოვა ტერიტორიულად საკმაოდ ერცელი სამფლობელო. 7. საულის ამბავი — საული ბიბლიური პერსონაჟი, ებრაელების მეფე, მას მიეწერება იაბისის მცხოვრებთა განთავისუფლება ამანითელებისაგან. 8. იგულისხმება გრ. ორბელიანის გამონათქვამი.

87. აკაკი წერეთელი ვახტანგ კოტეტიშვილისა, წერილი პირველი. დაიბეჭდა ჟურნ. „ნაკადულში“ 1915 წ. № 6, ივნისი. წერილი გამოქვეყნდა აკაკის გარდაცვალების გამო. კოტეტიშვილი ვახტანგ — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი და საქართველო“. 1. მამადავითის მთა — იხ. კომენტარი წერილისა: „საზოგადოებრივი აზრები აკაკის პოეზიაში“. 2. „ნაკადული“ — საყმაწვილო ჟურნალი ორ სერიად: მოზრდილთათვის და მცირეწლოვანთათვის. გამოდიოდა 1904—1927 წლებში. 3. თორნიკე ერისთავი — აკაკის პოემის „თორნიკე ერისთავის“ მთავარი პერსონაჟი,. იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 4. შაპაბაზი — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული თეატრი“. 5. ამირანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“.

88. გატეხილი პიროვნება მიხეილ აბრამიშვილისა დაიბეჭდა გაზ. „სამშობლოში“ 1915 წ. № 140, 28 ივლისი. მიხეილ აბრამიშვილი (1892—1939) — ქართველი კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, პედაგოგი. 1. ჰეგელი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ (1770—1831)— გერმანელი ფილოსოფოსი. 2. ეკკლეზიასტი — იგულისხმება ბიბლიური პერსონაჟი სოლომონ მეფე და ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი „ეკლესიასტე“. 3. ციტატა მოხმობილია სოლომონ ბრძენის წიგნიდან „ეკლესიასტე“. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი და „მსოფლიო გოდების“ პოეზია“. 4. თორნიკე ერისთავი—აკაკის პოემის „თორნიკე ერისთავის“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 5. იანუსი — იხ. კომენტარი წერილისა: „მგოსანი აკაკი“. 6. ათონის მთა — იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 7. ამირანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 8. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ“. 9. თერგი — მდინარე ჩრდილოეთ კავკასიაში. 10. მუნეარი — იხ. კომენტარი წერილისა: „სიტყვა, თქმული ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქალთა საზოგადოების მინდობილობით ბაბო მშვილდიძის ასულის მიერ“. 11. წიწამურის

ელი — ილიას მკვლელობის ადგილი. 12. მოდინახე — იხ. კომენტარი წერილისა „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 13. მთაწმინდა — იხ. კომენტარი წერილისა: „საზოგადოებრივი აზრები აკაკის პოეზიაში“. 14. ელადა — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი და საქართველო“. 15. ჰომეროსი — (დაახ. IX ს. ძვ. წ.) — ეპიკოსი პოეტი, ავტორი პოემებისა „ილიადა“ და „ოდისეა“.

89. აკაკი და საქართველო გრ. ვეშაპელისა დაიბეჭდა გაზ. „საქართველოში“ 1915 წ. № 125, 127, 24 ოქტ. 27 ოქტ. აკაკის გარდაცვალების გამო. გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე. 1891—1926) — ქართველი ბურჟუაზიული მოღვაწე. 1. არსიანის ქედი — ქედი თურქეთსა და საქ. სსრ-ში. სიგრძე 150 კმ. საშუალო სიმაღლე 2000—2500 მ. ქედის სამხრეთი და შუა ნაწილი თურქეთშია, ჩრდილოეთი ნაწილი — საქართველოში. 2. მოგიკანი — მოჰიკანები — ჩრდილოეთ-ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი, ამჟამად ამოწყვეტილი ტომი. უკანასკნელი მოჰიკანი, იტყვიან რაიმე გამჭრალი ჯგუფის უკანასკნელ წარმომადგენელზე (ეს გამოთქმა იხმარება ამერიკელი მწერლის ფენიმორ კუპერის (1789—1851 წ. წ.) რომანის „უკანასკნელი მოჰიკანის“ წყალობით). აქაც ამ მნიშვნელობით იხმარება; 3. ნ. ნიკოლაძე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე 2 მაისს, 1889 წელს“. 4. ერმოლოვი ალექსი (1777—1861) — რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. 1816 წლიდან მთავარსარდალი საქართველოში და ამავე დროს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში. 5. ვორონცოვი მიხეილ (1782—1856) — თავადი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე, 1844-54 წლებში კავკასიის მეფისნაცვალი. 6. გიოტე- იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული პოეზიის იალბუზი“: 7. სერვანტესი მიგიუელ დე საავედრა (1547—1616) — აღორძინების ეპოქის ესპანელი მწერალი. 8. „მოდინახე“ — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 9. ჰაინრიხ ჰაინე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი“. 10. კ. აბაშიძე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 11. ატავისტური — ატავიზმი — პაპის პაპის მაჟა, შორეული წინაპარი. ცოცხალ ორგანიზმში ისეთი ნიშნის გამოულენა, რაც დამახასიათებელია მისი შორეული წინაპრისათვის. საერთოდ რისამე გადმონაშთი. 12. ბარათაშვილი —იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სერათზედ“. 13. ციტატა ამოღებულია ილიას ლექსიდან „პოეტი“. 14. თეოსოფიურად მღერა — თეოსოფია-ღვთის სიბრძნე, რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც, თითქოს შესაძლებელია ზეშთაგონების გზით ღვთის შემეცნება და ე. წ. „მიღმა სამყაროსთან“ ურთიერთობა. 15. გრ. ორბელიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“. 16. ჭავჭავაძე — იგულისხმება ალ. ჭაჭავაძე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი“. 17. ნესტანი — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი“. 18. დანტე ალიგიერი (1265—1321) — სახელგანთქმული იტალიელი პოეტი და მოაზროვნე. 19. ბეატრიჩე — დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ პერსონაჟი. 20. „ათას ერთი ღამე“ — არაბულ ზღაპართა კრებული, რომელიც იქმნებოდა საუკუნეების მანძილზე (800 ან 900 და 1500 წ. წ. შორის) არაბული აღმოსავლეთის სხვადასხვა მხარეში. 21. სფინქსი — უნდა იყოს სფინქსი, ამ შემთხვევაში გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი. საიდუმლოებით მოცული ვინმე ან რამე; ვინც ან რაც წარმოადგენს გამოცანას, გაუგებარია სხვებისათვის. 22. ებრაელთა ბიბლია— ძველი აღთქმა. 23. ბაბილონი — ძველი ქალაქი შუამდინარეთში, ევფრატის სანაპიროზე, ახლანდელ ქ. ჰილის (ერაყი) მახლობლად. დააარსეს შუმერებმა ძვ. წ. III ათასწლეულში. 24. ბაბილონის ტყვეობა — ცნობილია, რომ 597 და 587 წლებში ძვ. წ. ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი ორჯერ დაესხა თავს ებრაელთა სამეფოს და დიდხნის ალყის შემდეგ მთლიანად დაიპყრო იგი. იერუსალიმი ბაბილონის ერთ-ერთ—პროვინციად იქცა... 25. სოლომონი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი და „მსოფლიო გოდების პოეზია“. 26. ნაპოლეონი—იხ. კომენტარი წერილისა: „საზოგადო-

ებრივი აზრები აკაკის პოეზიაში". 27. ტარიელი—„ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი. 28. პლინიუსი (61 ან 62 და 114 წ. წ.)—რომაელი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე. 29. ამირანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა". 30. პრომეთეოსი — იხ. კომენტარი წერილისა: „საპირბოროტო საკითხები. მაშული თუ სასუფეველი?" 31. დავით კურაპალატი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა". 32. მესსიანისტური იდეა — იხ. კომენტარი წერილისა: „ილია და აკაკი, მოძღვარი და წინასწარმეტყველი". 33. ავთანდილ-ფრიდონი — „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟები. 34. ჰერცენი — გერცენი ალექსანდრე (1812—1870) — რუსი მწერალი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, რევოლუციური მოღვაწე. 35. გარიბალდი ჯუზეპე (1807—1882)—იტალიის სახალხო გმირი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე.

90. А. Алдон. Акакий и его поэзия, Тифлис, 1915 г. იგი წარმოადგენს კრებულს, სადაც მოთავსებულია აკაკი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით რესულ, სომხურ და მუსულმანურ პრესაში გამოქვეყნებული მასალები. წერილები იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით. ამ კრებულზე გამოქვეყნდა რეცენზია „თეატრსა და ცხოვრებაში". იხ. „თეატრი და ცხოვრება", 1915 წ. № 28, გვ. 16. გაზ. „თანამედროვე აზრში" დაიბეჭდა აგრეთვე „ჩიტოს" ფსევდონიმით ქრისტინე შარაშიძის უარყოფითი რეცენზია. იხ. გაზ. „თანამედროვე აზრი", 1915 წ. № 102. ალდონი ა.—ქრისტინე შარაშიძე — ჩიტო შარაშიძე, თაგუნა შარაშიძის და. ქუთაისის ქალთა საზოგადოების აქტიური წევრი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პირველი ქართველი ქალი, რომელმაც წაიკითხა ლექცია ქუთაისის საზოგადოების წინაშე საკითხით: „ქალთა ტიპები ქართულ ლიტერატურაში" (ვეყრდნობით ბაბო მჭედლიძის მოგონებას). 1. „ორიზონი" — 2. „მშაკა" — სომხური ყოველდღიური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, ბურჟუაზიული მიმართულებისა. გამოდიოდა თბილისში, მისი დამაარსებელი, რედაქტორი და გამომცემელი იყო პუბლიცისტი გრ. არწრუნი. 3. „იკბალი" — 4. „ზაკავკაზსკაია რეჩ" — პოლიტიკური და ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1910—1917 წლებში. რედაქტორები: გ. ბებიევი, გ. ამირჯიბი, დ. დუმბაძე; გამომცემლები: პ. გოთუა, ე. გორდელაძე, გ. გორდელაძე. 5. „კავკაზსკოე სლოვო" — ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1914—1919 წლებში. რედაქტორები: ი. ფ. სემენოვი, ი. მ. დოლუხანოვი, ვ. ს. ანანოვი. 6. „კავკაზი" — იხ. კომენტარი წერილისა: „ფელეტონი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა „თორნიკე ერისთავი". 7. გრიბოედოვი ალექსანდრე (1795—1829) — რუსი მწერალი და დიპლომატი. 8. დ. ყიფიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი". 9. „რუსკიე ვედომოსტი" — გაზეთი გამოდიოდა მოსკოვში 1863—1918 წლებში. ჯერ კვირაში სამჯერ და შემდეგ ყოველდღე. გამომცემელ-რედაქტორები: ნ. პაველი, ნ. სკვარცოვი, ვ. სობოლევსკი. 10. ა. ხახანოვი, ხახანაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი და „მსოფლიო გოდების პოეზია". 11. პუშკინი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები". 12. „მოსკოვსკიე ვედომოსტი" — გაზეთი დაარსდა 1756 წელს. 1812 წლამდე იგი გამოდიოდა კვირაში ორჯერ, შემდეგ სამჯერ, ხოლო 1859 წლიდან ყოველდღიურად. 1851 წლიდან „მოსკოვის უწყებები" გადაიცა მ. ნ. კატკოვის ხელში. იგი ლიბერალური მიმართულების ორგანო იყო. „მოსკოვის უწყებები" დაიხურა თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წელს. 13. კოლოსი — უზარმაზარი ქანდაკება, კოლონა და მისთ. სიდიადე ან სიდიადით განთქმული ვინმე ან რამე. მაგ ლიტერატურის კოლოსი, მეცნიერების კოლოსი. ძალიან დიდი მწერალი, ძალიან დიდი მეცნიერი. 14. ლერმონტოვი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები" 15. ნეკრასოვი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე 2 მაისს, 1869 წელს". 16. მაიკოვი (1839—1900) — რუსი ლიტერატურათმცოდნე, ეთნოგრაფი. ფოლ-

კლორისტი. 17. ნიკიტინი ივანე (1824—1861) — რუსი პოეტი. 18. ნადსონი ს. (1862—1887) — რუსი პოეტი.

91. «М. М. «Памяти Акакия Церетели». Петроград». 1915 г. ფსევდონიმს ამოფარებული ავტორის მიერ შედგენილი წიგნაია, სადაც იგი თავებად დაყოფილ მონაკვეთებში გვამცნობს აკაკი წერეთლის ღვაწლსა და დამსახურებას ქართული ლიტერატურის განვითარებაში. კრებულში იბეჭდება ზოგიერთი მათგანი. „ეროვნული ლირიკოსი“, „თანამედროვე სტილის შემოქმედი“, „ტალანტის გაფურჩქვნა“ და პოემა „თორნიკე ერისთავი“.

ამ წიგნაკმა თავის დროზე გამოხმაურება ჰპოვა ქართველ მკითხველ საზოგადოებაში. ამის დადასტურებაა ხომლელის „ბიბლიოგრაფია“, რომელიც დაიბეჭდა ჟურ. „ცხოვრებაში“ 1916 წ. № 3. М. М. — მიხეილ მღვდლიშვილი. ფსევდონიმი გაშიფრულია იოსებ გრიშაშვილის მიერ. ცნობა მოგვაწოდა პროფ. ს. ხუცოშვილმა. 1. პუშკინი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები“. 2. ერეკლე მეორე — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 3. დავით კურაპალატი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 4. მხედართმთავარი — იგულისხმება აკაკის პოემა „თორნიკე ერისთავის“ პერსონაჟი თორნიკე ერისთავი. იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 5. სარდალი ორბელიძე —აკაკის პოემა „თორნიკე ერისთავის“ პერსონაჟი. 6. ჯოჯიკი — აკაკის პოემა „თორნიკე ერისთავის“ პერსონაჟი“. 7. გამრეკელი — აკაკის პოემა „თორნიკე ერისთავის“ პერსონაჟი. 8. საგარსამიძე — აკაკის პოემა „თორნიკე ერისთავის“ პერსონაჟი. 9. ჯავშანიძე— აკაკის პოემა „თორნიკე ერისთავის“ პერსონაჟი. 10. თორნიკე — აკაკის პოემა „თორნიკე ერისთავის“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 11. მამადავითის მონასტერი — იხ. კომენტარი წერილისა: „საზოგადოებრივი აზრები აკაკის პოეზიაში“.

92. აკაკი წერეთელი ალ. გარსევანიშვილისა წერილი ამოღებულია ალ. გარსევანიშვილის წიგნაკიდან, რომელიც აკაკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა 1915 წელს. «Ал. Ал. Гарсеванов. «Поэт Грузии кн. Акакий Церетели». Кутаиси. წიგნაკში არის აკაკის ბიოგრაფიული ცნობები, შემოქმედების მოკლე მიმოხილვა და რამდენიმე ნაწარმოების თარგმანი. გარსევანიშვილი ალექსანდრე (1864—1936) — მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

93. ქართველი ქალი და აკაკი მიხეილ ხერხეულიძისა დაიბეჭდა ჟურნ. „თეატრსა და ცხოვრებაში“ 1916 წ. № 4, 4 იანვარი. წერილი წაკითხულია ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების კრებაზე 26 ქრისტეშობისთვეს, 1915 წ. მიხეილ ზურაბის ძე ხერხეულიძე, იხ. კომენტარი წერილისა: „სიტყვა მიხეილ ხერხეულიძისა თქმული ნაძალადევის თეატრში“. 1. ნინო იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 2. ქეთევან იხ.კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 3. თამარი იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 4. ნათელა აკაკის პოემის „ნათელას“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 5. „მოდინახე“, იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 6. ცოტნე დადიანი იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 7. ნოინი იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 8. შაჰ-აბაზი იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული თეატრი“. 9. თეიმურაზ II (1700—1762) კახეთის მეფე 1709-15, გამგებელი 1733-44, ქართლის მეფე 1744-62 წ. 10. მეფის მეუღლე თამარი — იგულისხმება დედოფალი თამარი (გარდაიცვალა 1746 წ.) ვახტანგ VI ასული, თეიმურაზ II მეუღლე, ერეკლეს დედა. 11. გელა აკაკის დრამატული პოემის „პატარა კახის“ პერსონაჟი. 12. თამარ ცბიერი აკაკის დრამატული პოემის „თამარ ცბიერის“ მთავარი პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „თამარ ცბიერი“.

94. აკაკი წერეთელი კიტა აბაშიძისა დაიბეჭდა გაზ. „მეგობარში“ 1916 წ. № 94. 26 იანვარი. კიტა აბაშიძე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 1. ნესტანი — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი. 2. ამირანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 3. ტაეპი მოტანილია „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან (18). 4. ტარიელი — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი. 5. პრაქსიტელი — იხ. კომენტარი წერილისა: „ილია და აკაკი“. 6. ფიდიასი — იხ. კომენტარი წერილისა: „ილია და აკაკი“. 7. მიქელანჯელო—იხ. კომენტარი წერილისა: „ილია და აკაკი“. 8. რაფაელი — იხ. კომენტარი წერილისა: „ილია და აკაკი“. 9. ტინტორეტო (1518—1594) — იტალიელი მხატვარი. 10. ტიციანი (1476-77 ან 1480—1576) — იტალიელი მხატვარი. 11. პრაქსიტელის ქანდაკება ჰერმესი — ლაპარაკია პრაქსიტელის ქანდაკებაზე «Гермес с младенцем Дионисом», რომელიც შექმნილია დაახლ. 340 წ. ძვ. წ. 12. პარნასი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის ჩანგი“. 13. ქაოსი — ბერძნულ მითოლოგიაში: უსასრულო სივრცე, ბოლით ბნელული უფსკრული, სამყაროს მატერიალური ელემენტების უწესრიგო გროვა, რომლისგანაც წარმოიშვა ყველაფერი არსებული. სრული უწესრიგობა, არეულ-დარეულობა, უსისტემობა. 14. თემურლენგი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 15. შაპაბასი — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული თეატრი“.

95. აკაკის გარდაცვალების წლის თაობაზე გრიგოლ გველესიანისა დაიბეჭდა ჟურ. „ჯუთაისის „განათლებაში“ 1916 წელს № 94 26 იანვარი. გრიგოლ გველესიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „უკვდავი მგოსანი“. 1. ნინო. ქეთევან, თამარი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 2.თორნიკე — აკაკის პოემის „თორნიკე ერისთავის“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“.

96. აკაკის საღამო, აკაკი პაულე იუზოროყვასი დაიბეჭდა გაზ. „თანამედროვე აზრში“ 1916 წ. № 22, 28 იანვარი, აკაკის გარდაცვალების წლის თაობაზე. პაულე იუზოროყვა (1893—1983 წ.წ.) — ქართველი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე, დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, მოღვაწეობდა საისტორიო-საეთნოგრაფო საზოგადოებაში. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. მისი პირველი შრომა „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“ გამოქვეყნდა 1913 წელს. 1. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ“. 2. ვაჟა-ფშაველა (1861—1915) — დიდი ქართველი პოეტი.

97. ბიბლიოგრაფია ხომლელისა დაიბეჭდა ჟურ. „ცხოვრებაში“ 1916 წ. № 3, 1 თებ. იგი წარმოადგენს რეცენზიას მ. მღვდლიაშვილის მიერ დასტამბულ წიგნზე «М. М. «Памяти Акакия Церетели», Петроград, 1915 г. ხომლელი—იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი, როგორც დიდი ეროვნული მგოსანი“. 1. ამ წიგნის შესახებ იხილეთ ზემოთ. 2. მიხეილ ამირაჯიბი (1833—1903) — რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 3. ს. ვ. არღუთაშვილი — მხარგრძელი (1847—1906) — სოფიო ამირაჯიბი, ვასილ არღუთაშვილ-მხარგრძელის ასული, ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმნიდა ქართველ პოეტთა ნაწარმოებებს, ჰქონდა რუსული ორიგინალური ლექსებიც. იგი მეუღლე იყო მიხეილ ამირაჯიბისა.

98. კრიტიკული დახასიათება, აკაკი ხომლელისა დაიბეჭდა ჟურ. „ცხოვრებაში“ 1916. წ. № 3. 1 თებ. ხომლელი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი, როგორც დიდი ეროვნული მგოსანი“. 1. იგულისხმება ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. 2. ციტატა მოტანილია გ. ტაბიძის ლექსიდან, „აკაკის გარდაცვალების გამო“, რომელიც დაბეჭდა ჟურ. „განთიადში“ 1915 წ. № 3. 3. მიჯაჭვული ამირანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 4. წერა-კითხვის საზოგადოება — ლაპარაკია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე, ოფიციალურად დაარსდა 1879 წელს. მისი მესვეურნი იყვნენ — დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, რაფ. ერისთავი, და სხვ. აღნიშნულმა საზოგადოებამ

თავის დროზე ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მშობლიური ენისა და მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვისა, სკოლების დაარსებისა და წიგნების გამოცემის საქმეში. 5. დრამატული საზოგადოება — ფაქტიურად დაარსდა 1880 წელს. საზოგადოების წევრები იყვნენ: ვ. აბაშიძე, ნ. ავალიშვილი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, დ. ყიფიანი, ალ. ყაზბეგი, რ. ერისთავი, ივ. შარაბელი, ი. ბაქრაძე და სხვ. საზოგადოების წესდება, ოთმელიც ნ. ნიკოლაძის მიერ იქო შედგენილი, დამტკიცებული იქნა 1881 წელს. დრამატული საზოგადოება მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო ქართული თეატრის აღორძინებისა და დრამატული ხელოვნების განვითარებისათვის. 6. ნ. ნიკოლაძე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე 2 მაისს, 1889 წელს“. 7. ბიბლია — იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 8. დიდი თამარი — იხ. კომენტარი წერილისა. „ქართული თეატრი“. 9. ონტოლოგიური — ონომასტიკა — სახელთა, საკითხთა ერთობლიობა. 10. იაღბუზი — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული ლიტერატურა“. 11. ნესტანი — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი. 12. ავტორი გულისხმობს 1905 წლის რევოლუციის პერიოდს. 13. ადამ ბერნალ მიცკევიჩი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 14. ავტორი სქოლიოში უთითებს, რომ აკაკის ლექსი „ხანჯალს“ უთარგმნიათ პოლონურად ჯერ-ჯერობით არ არის მიკვლეული არც თარგმანი და არც მთარგმნელის ვინაობა. 15. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ“. 16. ნეკრასოვი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“. 17. პლეშჩეევი — იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „ივერიის“ შარშანდელი IV და ამა წლის I წიგნები“. 18. ეოლის ქნარი — ეოლოსის ქნარი — მუსიკალური ინსტრუმენტი. ეოლოსის ქნარი ხის ჩარჩოა, რომელზეც ღარებია გაჭიმული. ქარის ქროლით ირხევიან ეს ღარები და სასიამოვნო ეფერადობის მუსიკალურ ხმებს გამოსცემენ. მაშასადამე, ღარები ისე მგრძნობიარეა, რომ სიოს შეხებაც კი ჰარმონიულად ახმიანებს.

ეოლოსის ქნარი მხატერულ ლიტერატურაში იხმარება გადატანითი მნიშვნელობით მგრძნობიარე გულისა და დიდი მუსიკალური სიტკბოების თუ პანგის გადმოცემის მისანიშნებლად. 19. „ცისკარი“ — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს“ რა აკაკანებდა“? 20. „დროება“ — იხ. კომენტარი წერილისა: „ახლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“. 21. „კრებულ-დროება“ — იხ. კომენტარი წერილისა: „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“. და იხ. აგრეთვე: „კრებული“, მეექვსე და მეშვიდე წიგნი, 1872 წ.“ 22. „ივერია“ — იხ. კომენტარი წერილისა: „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“. 23. „დროება“ — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდიოდა 1908—1910 წლებში. რედაქტორ-გამომცემელი ივანე სოზიაშვილი. 24. „შრომა“ — ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდიოდა 1881—1883 წლებში. პირველი ქართული გაზეთი ქუთაისში. რედ. გამომცემელი დიმიტრი დადიანი. 25. „თეატრი“ — ყოველკვირეული სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი. გამოდიოდა 1885—1890 წლებში. რედ. გამომცემელი ვასო აბაშიძე. 26. „კვალი“ — იხ. კომენტარი წერილისა: „ორი ახალი წიგნი, საბიბლიოგრაფიო შენიშვნა“. 27. აკაკის „კრებული“ — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი“. 28. „თემი“ — ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდიოდა 1911—1915 წლებში. რედ. გამომცემელი გრ. დიასამიძე. 29. ბიბლიიდან ცნობილია, რომ იაკობისა და მისი შვილის იოსების სიკვდილის შემდეგ მათი შთამომავლობა ძლიერ გამრავლდა და ეწოდა მათ ისრაელები. ეგვიპტის ფარაონი შეშინდა, რომ ისრაელები არ შეერთებოდნენ მის მტრებს და წინააღმდეგობა არ გაეწიათ მისთვის და ამიტომ დაუწყო მათ სასტიკი შევიწროება. გარდა ამისა, ბრძანა, რომ ყველა მამრობითი სქესის ახალდაბადებული ისრაელი მოეკლათ ან წყალში ჩაეყარათ. ამ ღროს ღმერთი ისრაელებს მოუვლენს მოსე წინასწარმეტყველს და დაიყალებს მას,

ჩრომ ისრაელები გაიყვანოს ეგვიპტიდან. მოსე წინასწარმეტყველმა თავის ძმა აარონთან ერთად ფარაონს წინააღმდეგობის მიუხედავად გამოიყვანა ისრაელები ეგვიპტიდან, სადაც ისინი ცხოვრობდნენ ორას თხუთმეტი წელიწადი და გაემართნენ აღთქმული ქვეყნისაკენ. მრავალი დაბრკოლებისა და თავგადასავლის შემდეგ ისრაელები აღთქმულ ქვეყანაში შეიყვანა ისუ ნავესმა. 30. იერემია —იხ. კომენტარი წერილისა: „ორგვარი აზრი აკაკის ლექსებზე".

99. **კრიტიკული შეცდომები, IV, აკაკი და ილია** სილოვან ხუნდაძესა „სილოვანის" ხელმოწერით დაიბეჭდა ჟურ. „თეატრსა და ცხოვრებაში". 1916 წ. № 48, ნოემბერი. სილოვან ხუნდაძე (1860—1928) — პოეტი, პედაგოგი, კრიტიკოსი. 1. ტაეპი მოტანილია „ვეფხისტყაოსნის" პროლოგიდან (4). 2. სილ. ხუნდაძე ილიას „კაცია-ადამიანს" მიიჩნევს პოემად. შეიძლება პარალელი გავაველოთ: პუშკინი „ევგენი ონეგინს" პოემას უწოდებდა, ასევე გოგოლი „მკვდარ სულებს" პოემას უწოდებდა. 3. ტაეპი მოტანილია „ვეფხისტყაოსნის" პროლოგიდან (17). 4. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ".

100. **აკაკი წერეთელი** სილ. ხუნდაძისა 1918 წ. ეს წიგნაკი წარმოადგენს ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვის ცდას. ამ სერიით სილ. ხუნდაძე აქვეყნებდა ქართველი მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ წიგნაკებს. სილ. ხუნდაძე — იხ. კომენტარი წერილისა: „კრიტიკული შეცდომები". 1. ტაეპი მოტანილია „ვეფხისტყაოსნის" იმ თავიდან, რომელსაც ეწოდება: „ფატმანისაგან ხესტან დარეჯანის ამბის მბობა" (1211). 2. გ. წერეთელი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს" რა აკაკანებდა?" 3. გაბუნიას ქალი — ნატო გაბუნია ცაგარლისა (1859—1910) — ცნობილი ქართველი მსახიობი ქალი. 4. ყაზბეგი — იხ. კომენტარი წერილისა: „საზოგადოებრივი აზრები მე-19 საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში". 6. „ცისკარი" — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს" რა აკაკანებდა?" 7. ლერმონტოვი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები". 5. „ლამპარი" — აქ იგულისხმება აკაკის ლექსი „კანდელისადმი", რომელიც დაიწერა 1856 წელს. 8. გოგოლი ნიკოლოზ (1809—1852) — რუსი მწერალი. 9. ალექსანდრე II (1818—1881) — რუსეთის იმპერატორი, ნიკოლოზ I-ის უფროსი შვილი. 10. კრილოვი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი". 11. გრ. ორბელიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს" რა აკაკანებდა?" 12. ნ. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ". 13. ვ. ორბელიანი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი". 14. რაფიელ. ერისთავი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს" რა აკაკანებდა?" 15. სილ. ხუნდაძე — „პატრიოტი და კოსმოპოლიტი" — დაიბეჭდა გაზ. „შრომა" 1908 წ. № 5. 16. აქ იგულისხმება ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ 597—587 წლებში ებრაელთა სამეფოს დაპყრობა. 17. იესო — იესო ქრისტე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი". 18. სახარება მათესი, 8—20. ქართული ოთხთაეის ორი ბოლო რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო პროფ. ივ. იმნაიშვილმა. 1979 წ. გვ. 282. 19. ბაირონი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი". 20. აკაკის ეკუთვნის ლექსი „გოდება ებრაელთა" (ბაირონიდან), რომელიც დაუწერია 1901 წელს და მოტანილია ამ წერილში. ლექსი იწყება ასე: „ჰგოდებს ისრაილ, მოსთქვამს იუდა".. ხოლო ლექსი „გოდება ებრაული" (ბაირონიდან), რომელიც აკაკის თხუთმეტტომეულშია შეტანილი, ტ. 4. გვ. 435, ალბათ პირველი ვარიანტია. იგი იწყება ასე: „ბაბილონისა წყლისა კიდესა". 21. დავით წინასწარმეტყველი — იხ. კომენტარი წერილისა: „რეფერატი წაკითხული შალვა დადიანის მიერ". 22. იგულისხმება ლექსი „ებრაელთა გოდება". ამ ლექსის შესახებ იხ. ზემოთ. 23. ნესტან-დარეჯანი — „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი. ამ შემთხვევაში იგულისხმება სამშობლო. 24. ფრიდონი — „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი. 25. ავთანდილი — „ვეფ-

ხისტყაოსნის“ პერსონაჟი. 26. „ებრაელთა გოდება“ — იხ. ზემოთ. 27. ნათელა — აკაკის პოემის „ნათელას“ მთავარი პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 28. ამირანი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 29. ვახტანგ გორგასალი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 30. დავით აღმაშენებელი — იხ. კომენტარი წერილისა: „სიტყვა აკაკის შემოსვენებაზე ქაშვეთის ეკლესიაში“. 31. თამარი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 32. ვახტანგ VI (1675—1737) — ქართლის მეფე, პოეტი, გიორგი XI ძმის ლევანის ძე. 33. წმინდა ნინო — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 34. თამარი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 35. ქეთევანი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“. 36. დიმიტრი ბაქრაძე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 37. „ქართველი ქალები“ — დიმიტრი ბაქრაძის „ქართველი ქალები“, ისტორიული მიმოხილვა, („ცისკარი“, 1860 წ. № 4). ცალკე ბროშურად გამოსცა ზ. ჭიჭინაძემ (1891 წელს, თბილისი). 38. დიმიტრი ჯანაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „მახე“. 39. „ისტორიული სურათები“ — დიმ. ჯანაშვილი, „ისტორიული სურათები, ქართული ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან და ქართველი ქალი“, გორი, 1914 წ. 40. ლერმონტოვი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების ქრონიკები. 41. ლერმონტოვის პოემა „გამოქცეული“ — უნდა იყოს ლერმონტოვის პოემა „ლტოლვილი“. 42. ჩერქეზი ჰარუნი — ლერმონტოვის პოემის „ლტოლვილის“ პერსონაჟი“. 43. ბარათაშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის სურათზედ“. 44. იუდა — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 45. ქრისტეს აღდგომის დღესასწაული — ქრისტიანული რელიგიის მიხედვით, იესო ქრისტეს „მკვდრეთით აღდგომის“ აღსანიშნავი დღესასწაული. აღდგომა მოძრავია და აღინიშნებოდა გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ, სავსე მთვარის მომდევნო კვირა დღეს — ებრაული პასექის სწორს, მოდის რომელიმე კვირა დღეზე (ახ. სტ. 4 აპრილიდან 8 მაისამდე). აღდგომის აღნიშვნის დღე დაადგინა ნიკეის საეკლესიო კრებამ (325). აღდგომას გენეტიკური კავშირი აქვს ძველი აღმოსავლეთის იმ ღმერთების კულტთანაც, რომლებიც თითქოს კლებოდნენ და გაზაფხულზე კვლავ ცოცხლდებოდნენ (ოსირისი — ეგვიპტეში, ადონისი — ფინიკიაში, თამუზი — ბაბილონში, კიბელე — ფრიგიაში და სხვ.) 46. ალტრუისტული გრძნობა — უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის, მზადყოფნა სხვას შესწიროს თავისი პირადი ინტერესები. 47. წინასწარმეტყველი სამუელი — სამოელი — ბიბლიური პერსონაჟი, შვილი ელკანისა და ანნასი. მისმა მშობლებმა ივი ღმერთს შესწირეს და მიიყვანეს სილომის ტაძარში სამსახურებლად. სამოელი იყო ისრაელების უკანასკნელი მსაჯული. მან გამოიხსნა ებრაელები ფილისტიმელებისაგან. 48. დავითისათვის სამეფო ზეთის ცხება — როდესაც საულს ღმერთი გაურისხდა, მაშინ დავითს ჩაგონებით სამოელ წინასწარმეტყველი წავიდა ბეთლემში, სადაც ცხოვრობდა იესე — დავითის მამა. სამოელმა იქ ღმერთს მსხვერპლი შესწირა და ებრაელები მიიპატიჟა. იმათში იყო იესეც თავის შვილებთ. ღმერთმა უჩვენა სამოელს დავითი და სამოელმა დავითს სცხო ზეთი. იმ დღიდან სულმან ღვთისამან დატოვა საული და გადმოვიდა დავითზე. 49. გურიელი მამია — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 50. განდეგილი — ილიას პოემის „განდეგილის“ პერსონაჟი. 51. ტარიელი — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი. 52. ტაეპი მოტანილია „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან (27). 53. პლატონური სიყვარული — ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის (427—347 ძვ. წ.) იდეალისტურ მოძღვრებასთან დაკავშირებული. მხოლოდ სულიერ მისწრაფებაზე დამყარებული. არა ხორციელი,

იდეალური სიყვარული, რასაც პრაქტიკული მიზნები არა აქვს. 54. გ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ცისკარს“ რა აკაკნებდა?“. 55. სიტყვები მოტანილია „ვეფხისტყაოსნის“ იმ თავიდან, რომელსაც ეწოდება: „ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე“ (791). 56. შ ე ვ ჩ ე ნ კ ო ტ ა რ ა ს ი (1814—1861) — უკრაინელი პოეტი. 57. ს ი ლ. ხ უ ნ დ ა ძ ე, „ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო, გრ. ორბელიანი, 1917 წ. ქუთაისი. 58. ა ვ ქ ს ე ნ ტ ი ც ა გ ა რ ე ლ ი (1857—1902)— ქართველი დრამატურგი. 59. სტროფი მოტანილია გრ. ორბელიანის. ლექსიდან „მუხამბაზი“. 60. პ უ შ კ ი ნ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ჩვენი დროების მწერლები“. 61. უნდა იყოს პუშკინის ლექსი «Поэт и толпа» — დაიწერა 1828 წელს. 62. სტროფი მოტანილია ილიას ლექსიდან „პოეტი“. 63. ჰ ა ლ ა დ ი დ ე ლ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 64. ნაწყვეტი მოტანილია ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან: „კაცია-ადამიანი?!“. 65. პერიფრაზი მოტანილია ლერმონტოვის ლექსიდან „წინასწარმეტყველი“ (1841). 66. თ ე მ უ რ-ლ ე ნ გ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 67. პერიფრაზი მოტანილია პუშკინის ლექსიდან „პოეტს“ (1830). 68. ტ უ რ გ ე ნ ე ვ ი ი ვ ა ნ ე (1818-1883)— რუსი მწერალი. 69. თ ე დ ო — რაფ. ერისთავის ლექსის „თედუას“ (1888) პერსონაჟი. 70.ციტატა მოტანილია რ. ერისთავის ლექსიდან „თედუა“ (1888 წ.). 71. ი ს ი ნ ა ვ ი ნ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „სიტყვა აკაკის შემოსვენებაზე ქაშვეთის ეკლესიაში“. 72. თ ო რ ნ ი კ ე ე რ ი ს თ ა ვ ი — აკაკის პოემის „თორნიკე ერისთავის“ მთავარი პერსონაჟი, იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 73. ბ ა რ დ ა ს კ ლ ე რ ო ს ი — უნდა იყოს ბარდა სკლაროსი — იხ. კომენტარი წერილისა: „შინაური ქრონიკა“. 74. ა თ ო ნ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი — იხ. კომენტარი წერილისა „შინაური ქრონიკა“. 75. დ ა ვ ი თ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 76. მ ე ფ ე — აკაკის პოემის „თორნიკე ერისთავის“ პერსონაჟი. 77. კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი — აკაკის პოემის „თორნიკე ერისთავის“ პერსონაჟი. 78. ბ ა გ რ ა ტ ი — აკაკის პოემის „ბაგრატ დიდის“ პერსონაჟი, იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 79. ც ო ტ ნ ე დ ა დ ი ა ნ ი — აკაკის პოემის „ნათელას“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 80. ნ ა თ ე ლ ა — აკაკის პოემის „ნათელას“ მთავარი პერსონაჟი. 81. ნ ო ი ნ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 82. ა ღ ა-მ ა ჰ მ ა დ-ხ ა ნ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 83. პ ა ტ ა რ ა კ ა ხ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 84. ზ უ რ ა ბ წ ე რ ე თ ე ლ ი — აკაკის პოემის „კიკოლას ნაამბობის“ პერსონაჟი, იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი“. 85. ს ო ლ ო მ ო ნ მ ე ფ ე — აკაკის პოემის „კიკოლას ნაამბობის“ პერსონაჟი. 86. ი რ ა კ ლ ი — იგულისხმება ერეკლე მეფე. იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 87. ა ლ ე ქ ს ი — აკაკი წერეთლის ვაჟი. 88. ო ტ ი ა მ ე ს ხ ი — აკაკის „ოთია მესხის“ პერსონაჟი, ცნობილი ვაჟკაცი, ხმლის საუკეთესო ოსტატი ყოფილა. 89. ა დ ა მ ბ ე ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი— აკაკის პოემის „ორი ქართველის“ პერსონაჟი. 90. ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკის საღამო, აკაკი“. 91. გ ო გ ო თ უ რ ი — ვაჟა-ფშაველას პოემის „გოგოთურ და აფშინას“ პერსონაჟი. 92. ციტატა მოტანილია ვაჟა-ფშაველას პოემიდან „გოგოთურ და აფშინა“. 93. ა ფ შ ი ნ ა — ვაჟა-ფშაველას პოემის „გოგოთურ და აფშინას“ პერსონაჟი. 94. ა ლ ი-ფ ო ლ ა დ ი — აკაკის პოემის „ორი ქართველის“ პერსონაჟი. 95. ს ა ფ ა რ-ბ ე გ ი — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 96. ჰ ა კ ი-უ ს უ ბ ი — აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი. 97. ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — აკაკის პოემის „ნაცარქექიას“ პერსონაჟი. 98. მ ე ფ ე — აკაკის პოემის „ნაცარქექიას“ პერსონაჟი. 99. ვ ა ჭ ა რ ი — აკაკის პოემის „ნაცარქექიას“ პერსონაჟი. 100. ბ ა ი რ ო ნ ი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი“. 101. შ ა ჰ

აბასი — იხ. კომენტარი წერილისა: „ქართული თეატრი“. 102. ბიძინა ჩოლოყაშვილი — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა“. 103. შალვა დაელიზბარ ერისთავები — აკაკის მოთხრობა „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟები. 104. ზაალ ერისთავი — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 105. გლახუკა ბაქრაძე — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 106. სიმონ მაყაშვილი — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 107. აბდუშაჰილი — აკაკის მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი. 108. თეიმურაზ I (1589—1663)— კახეთის მეფე 1606-48 წწ. ქართლ-კახეთის მეფე 1625-32 წწ. თეიმურაზ I ზედმიწევნით იცნობდა სპარსულ ენასა და მწერლობას და მის ძლიერ გავლენასაც განიცდიდა. გადმოაქართულა „ვარდბულბულიანი“, „შამიფარვანიანი“, „ლეილმაჯნუნიანი“ და „იოსებზილიხანიანი“. მისი ორიგინალური ნაწარმოებებიდან მნიშვნელოვანია „ქეთევან დედოფლის წამება“ და „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“. 109. სოფიო — ნ. ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისას“ პერსონაჟი. 110. პერიფრაზი აკაკის მოთხრობისა „ბაში-აჩუკი“. 111. პერიფრაზი აკაკის მოთხრობისა „ბაში-აჩუკი“. 112. ალექსანდრე—ჯამბაკურ-ორბელიანი (1801—1869) — ლიტერატორი, დრამატურგი, „ცისკრის“ ახლო თანამშრომელი. 113. გივი ჩოლოყაშვილი—აკაკის პიესის „პატარა კახის“ პერსონაჟი. 114. ლევან ქვაბულიძე— აკაკის პიესის „პატარა კახის“ პერსონაჟი. 115. რევაზ ბებურიშვილი — აკაკის პიესის „პატარა კახის“ პერსონაჟი. 116. გელა — აკაკის პიესის „პატარა კახის“ პერსონაჟი. 117. ტურფა — აკაკის პიესის „პატარა კახის“ პერსონაჟი. 118. სოფოკლე — (დაახლოებით 496—406 ჩვენ წელთ აღრიცხვამდე) — ძველი ბერძენი დრამატურგი. 119. „ოიდიპოსი“ — იგულისხმება სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“. 120. ოიდიპოსი — სოფოკლეს ტრაგედიის „ოიდიპოს მეფის“ მთავარი პერსონაჟი. 121. ანტიგონე — სოფოკლეს ტრაგედიის „ოიდიპოს მეფის“ პერსონაჟი. 122. იმერეთის მეფე გიორგი — აკაკის დრამის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „თამარ ცბიერი“. 123. თამარი — აკაკის დრამატული პოემის „თამარ ცბიერის“ მთავარი პერსონაჟი. იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „თამარ ცბიერი“. 124. მგოსანი გოჩა — აკაკის დრამატული პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. 125. ნიკო გურული — აკაკის დრამატული პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. 126. ცირა — აკაკის დრამატული პოემის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟი. 127. იაზონი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი“. 128. მედეა — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 129. მე-12 საუკუნის გენიოსი — იგულისხმება შ. რუსთაველი. 130. ტაეპი მოტანილია „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან (17). 131. დ. გურამიშვილი — იხ. კომენტარი წერილისა: „ბიბლიოგრაფია, „თამარ ცბიერი“. 132. გ. ერისთავი — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“. 133. ქრისტე — იხ. კომენტარი წერილისა: „აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი“.

საძიებელი

ა

აბაშელი ალექსანდრე (ჩოჩია) 309, 540
აბაშიძე გრიგოლ 240, 535
აბაშიძე ვასო 551
აბაშიძე ივანე (აკაკი წერეთლის ბაბუა) 205, 527
აბაშიძე კიტა 83, 87, 109, 225, 268, 409, 436, 521, 524, 533, 538, 547, 550
აბდუშაპილი (ა. წერეთელი, „ბაში აჩუკი") 213, 373—374, 505, 531, 544, 555
აბდუშელიშვილი დავით 21, 515
აბესალომი და ეთერი (ქართული ხალხური ეპოსის გმირები) 323, 542
აბრაძიშვილი მიხეილ 403, 546
აგლამ ბებურიშვილი (ა. წერეთელი, „ორი ქართველი") 503—504, 554
ადამი (ბიბლიური პერსონაჟი) 528, 538
ადონისი (რელიგიური პერსონაჟი) 533
აკვლიშვილი ნ. 551
ავგუსტინე ავრელიუსი, ავგუსტინე წმინდა, წმინდა ავგუსტინე 282, 535
ავთანდილი („ვეფხისტყაოსანი") 85, 111, 175, 371, 414—415, 468, 513, 521, 525, 538, 544, 549, 552, 561
ათანასე ათონელი 516, 532,
ათანასეს მონასტერი 214, 532
„ათას ერთი ღამე" 412, 547
ათონი 25, 95, 214, 404, 501, 522, 532, 546
ათონის ივერთა მონასტერი 214, 516, 523, 532, 554
ათონ ოროსი (ათონის მთა) 515
აიეტი (კოლხეთის მეფე) 527, 531
„აკაკის თვიური კრებული" 323, 453, 516, 519—520
„აკაკის საიუბილეო კრებული" 523—524, 539, 542
ალავერდი 531
ალავერდის ეკლესია 531
ალდონი ა. 416, 548
ალექსანდრე მეორე (რუსეთის იმპერატორი) 144, 463, 496, 526, 552
ალექსანდრე V (იმერეთის მეფე) 527
ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი 507, 555
ალექსი (აკაკი წერეთლის შვილი) 502, 554
ალიფოლადი (ა. წერეთელი, „ორი ქართველი") 168, 504, 528, 554
„ალმანახი" (1, 2), 514.
„ალფა" (არტემ ახნაზაროვი) 519
ამაზონელები (ამორძალები) 162—163, 527
ამბაკუმი (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 533
ამილახვარი გიორგი (ქართველი დიდებული) 541
ამირანი (ქართული ხალხური ეპოსის გმირი) 96, 136, 207, 233—234, 274, 313, 336, 347, 384—385, 402—403, 405, 414, 437, 439, 447, 452, 470, 501, 523, 530, 535, 538, 541, 543, 545—547, 550, 553
„ამირანიანი" 323
„ამირანდარეჯანიანი" 323
ამირეჯიბი მიხეილ 446, 550
ამირეჯიბი გ. 548
ამოსი (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 533
ანა დიდოფალი (ბაგრატ V მეუღლე) 522

ანაბელა მილბენკი (ბაირონის მეუღლე) 539
ანანოვი ვ. ს. 548
ანგეა (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 533
ანგელოზი 102, 110, 122, 131, 205, 367, 544
ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი ქეთევან) 33, 517
ანთაძე იოსებ 243, 536
ანისი (ანი) 200—201, 530
ანნა (ბიბლიური პერსონაჟი) 553
ანუჩინი 544
ანტიგონე (სოფოკლე. „ოიდიპოს მეფე“) 507, 555
აპოლონი, ფებოსი (მითოლოგიური პერსონაჟი) 232, 249—250, 534, 537
არაბეთი 162—163
„არაგველი“ (დ. კეზელი) 516
არარატი 309, 541
არონი (ბიბლიური პერსონაჟი) 231, 534, 552
არსენ კათალიკოსი (ა. წერეთელი, „თორნიკე ერისთავი“) 214, 221, 501, 532—533, 554
არსიანის ქედი 407, 547
არტაჰანი 18, 514
არტემიდე (რელიგიური პერსონაჟი) 534
არღუნი (ყაენი) 529
არჩილი (ა. წერეთელი, „კუდურ ხანუმი“) 211, 531
არწრუნი გრ. 548
ასკლეპიოსი (რელიგიური პერსონაჟი) 534
ასლანიშვილი ს. (ბავრელი ს.) 18—19, 514
ასურეთი 162—163, 534
აფაქიძე ა. 540
აფშინა (ვაჟა-ფშაველა, „გოგოთურ და აფშინა“) 503—504, 554
აფხაზი-ბათუ (ა. წერეთელი, „გამზრდელი“) 71, 191, 215, 377—378, 530, 532, 545
აღა-მაჰმად-ხანი 95, 215, 502, 522, 532, 554
აღთქმული ქვეყანა 310, 541, 551
აჩალი შუამთა 531
ბანაზაროვი ა. 519

ბ

ბაბილონი 162—163, 412, 533—534, 547, 552
ბაგრატი, ბაგრატ V (ა. წერეთელი, „ბაგრატ დიდი“) 93, 99—101, 113, 167, 181, 262, 501, 522—523, 525, 538, 554
ბაირონი 30, 107, 137, 184, 232, 292, 384, 465, 505, 516, 524, 526, 529, 534, 539, 545, 552, 554
ბარათაშვილი გ. (ბარათოვი) 8, 512
ბარათაშვილი ნ. 13, 34, 39, 55, 59—61, 64, 76, 91, 104, 108—109, 121, 125, 127, 138, 177, 182, 223, 226, 235, 238, 241—242, 249, 260, 270—271, 274, 287, 307, 311, 359, 386, 405, 408, 410, 415, 452, 456, 463, 477, 508—509, 513, 517, 520—521, 524—526, 528, 533, 535—539, 541, 544, 546—547, 550—553, 555
ბასილი, ბასილი II (ბიზანტიის იმპერატორი) 214, 532
ბაქრაძე ა. (ჯანი) 36, 517, 518
ბაქრაძე გლახუტა, ბაში-აჩუკი (ა. წერეთელი, „ბაში-აჩუკი“) 94, 213, 373, 505, 522, 531, 544, 555
ბაქრაძე დიმიტრი 182, 529, 553
ბაქრაძე ი. 551
ბაყათარი (ა. წერეთელი, „გორგასლანი“) 168, 528
ბეატრიჩე (დანტე, „ღვთაებრივი კომედია“) 412, 547
ბებიეჯ გ. 548
ბებურიშვილი რევაზ (ა. წერეთელი, „პატარა კახი“) 507, 555
ბეთანიშვილი მ. 13, 513
ბერდეჯის ხეობა 101, 523
ბერძენიშვილი ნ. 540
ბელინსკი ბ. 142, 239, 249, 377, 526, 535—536, 545
ბენარესი (ქალაქი) 525
ბესიკი (გაბაშვილი) 287, 529, 539
„ბეჟანიანი“ 323
ბიბლია 31, 412, 449, 514, 516, 533—534, 541, 546—547, 551
ბიზანტია 162, 428—429, 438
ბიძინა ჩოლოყაშვილი (ა. წერეთელი,

„ბაში აჩუკი“) 94, 213, 374, 383, 505—506, 522, 531, 544—545, 555
ბოგდანოვა ფ. 537
ბოშონი (წარმართთა ტაძარი) 527
ბოცვაძე ღუარსაბ 66, 520—521
ბროსე მარი 513
ბუდა 132, 525
ბულგარეთი 414
ბურები 341, 543
ბურჯე შ. 59, 520
ბურჯანაძე ვარლამ (ობჩელი ვ.) 315, 541

გ

გაბრიელ ბერი (ათონელი მოღვაწე) 95, 214, 522, 532
გაბრიელ ეპისკოპოსი (გერასიმე ქიქოძე) 144, 526
გაბუნია ნატო ცაგარლისა 480, 514, 552
გალილეი გალილეო 260, 537
გამრეკელი (ა. წერეთელი, „თორნიკე ერისთავი“) 428, 549
გამრეკელ თორელი (ქართველი დიდებული, XIII ს.) 530
გამრეკელოვი ვ. 15, 513
„განათლება“ 520—521, 529, 532, 537, 542
განდეგილი (ი. ჭავჭავაძე, „განდეგილი“) 223, 483, 533, 553
„განთიადი“ 518, 539, 542, 550
„განთიადი“ ქუთ. 534—535, 550
გარიბალდი ჯუზეპე 416, 548
გარსევანიშვილი ა. 429, 549
გეგელი (ჰეგელი) 142, 526, 403, 546
გეგეჭკორი ეგვენი 300, 539
გედევანიშვილი მიხეილ 233, 535
გელა (ა. წერეთელი, „პატარა კახი“) 95, 433, 507, 522, 549, 555
გერსამია სერგო (ვინმე) 302, 540
გვანცა დედოფალი (დავით VII მეუღლე) 529
გველესიანი გრიგოლ 264, 440, 539, 543, 550
გველესიანი მელაშა (მეძმარიაშვილი) 543
გვრიტიშვილი დავით 540
გიგაური ნატალია 184, 529
გივი ჩოლოყაშვილი (ა. წერეთელი, „პატარა კახი“) 95, 181, 507, 522, 555
გილგამეში (გილგამეშის ეპოსის გმირი) 523
გიორგაძე გრ. 293, 539
გიორგი (ა. წერეთელი, „ბაგრატ დიდი“) 93, 101, 522
გიორგი XI 553
გიორგი ბრწყინვალე 542
გიორგი გურიელი, გიორგი მთავარი, გურიის მთავარი 36—37, 93, 211, 379, 507, 517, 522, 531, 545, 555
გიორგი ვარაზ-ეაჩე (ათონელი მოღვაწე) 523
გიორგობიანი 33, 517
გიოტე, გოეთე 104—106, 137, 232, 524, 526, 534, 547
გოგებაშვილი იაკობ (ი. სეიმონიძე) 25, 56, 103, 297, 516, 520, 524, 539, 550
გოგია (ა. წერეთელი, „გოგია მეჩონგურე“) 54, 181, 209, 505
გოგიჩაიშვილი ფ. 514
გოგოთური (ვაჟა-ფშაველა, „გოგოთური და აფშინა“) 503—504, 551
გოგოლი ნ. 462, 552
გოდფრუა (ანტრეპრენიორი) 32, 516
გოთუა პ. 548
გოლოვინის პროსპექტი 256, 537
გომართელი ივანე 108, 251, 327, 349, 524, 537, 543
გიორგი 330, 543
გორდელაძე გ. 548
გორდელაძე ე. 548
გორი 22
გოჩა (ა. წერეთელი, „თამარ ცბიერი“) 36—37, 93—94, 163, 211—212, 380, 507, 517—518, 522, 528, 531, 545, 555
გრემელი (დიმიტრი ჯანაშვილი) 240, 535
გრიბოედოვი ა. 421, 548
გრიშაშვილი იოსებ 549
გუდიაშვილი ლადო 541
გუნდრუკი 83, 135, 543
გურამიშვილი დავით 11, 35, 242, 311, 510, 513, 517, 536, 541, 555
გურიელი მამია (ფაზელი) 182, 483, 529, 553
გურული ნიკო (ა. წერეთელი, „თამარ

ცბიერი") 211, 380, 507, 531, 545, 555
გუჩუა ვ. 540

დ

დადიანი დიმიტრი 551
დადიანი სამსონ 219, 258, 279, 532, 537—538
დადიანი შალვა 385, 546, 552
დადიანი შერგილ (ერისთავთ ერისთავი, ცოტნე დადიანის მამა) 522, 528
დავით აღმაშენებელი 309—310, 320, 323, 471, 530, 541—542, 553
დავით კურაპალატი (დავით III დიდი) 95, 167, 214, 273, 414, 427, 501, 515, 522, 528, 532, 538, 548—549, 554
დავითი (ბაგრატ V შვილი) 522
დავითი (განდგომილი ბერი „ცამეტ სირიელ მამათაგანი") 537, 540
დავით VII ულუ 529
დავით IX 522
დავით წინასწარმეტყველი 392, 465, 481, 546, 552—553
დავითაშვილი იოსებ 55, 240, 514, 520, 535
ღათუნა (ა. წერეთელი, „დათუნა გოცირიძე") 168, 170, 181, 378, 528, 545
დალი (ნადირობის ქალღმერთი) 523
დალილა (ბიბლიური პერსონაჟი) 527
დანიელი (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 533
დანტე ალიგიერი 412, 416, 547
დარეჯან ბატონიშვილი (სოლომონ დიდის ასული) 527
დედოფალი თამარი (თეიმურაზ II მეუღლე) 549
დემეტრე (მითოლოგიური პერსონაჟი) 545
დერვიშ-ფაშა 514
დიასამიძე გრ. 551
დიდი თამარი (მეფე საქართველოსი) 37, 85, 93, 163—164, 170, 181, 210, 212, 216, 230, 246, 284, 313, 320, 326, 359, 383, 431, 442, 449, 471, 474, 518, 521—522, 528, 530—532, 534, 536, 539, 541—542, 544, 549—551, 553
დისტარეგი ფრიდრიხ 368, 544
დიტო ცაღქალამანიძე (ა. წერეთელი, „პატარა ტარიელი") 73—74, 216, 370—371, 532, 544
დობროლუბოვი ნ. 17, 47, 239, 242, 514, 519, 535—536
დოლუხანოვი ი. მ. 548
„დროება" 19, 453, 512—513, 516, 521, 523, 535, 542, 551
„დროება" გაზ. 17—18, 239, 318, 453, 514—515, 551
„დროშა" 515
დუმბაძე დ. 548
„დუშიკო" (არტემ ახნაზაროვი) 519

ე

ეგარსლან ბაკურციხელი (ქართველი დიდებული, XIII ს.) 530
ეგვიპტე 162—163, 534
ევა (ბიბლიური პერსონაჟი) 271, 528, 538
ევანგულოვი 55, 520
ევფრატი (მდინარე) 547
ეზეკიელი (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 533
ეზოპე 130, 250, 261, 525, 537—538
ეკატერინე აბაშიძე (აკაკი წერეთლის დედა) 205, 527
ეკატერინე II (რუსეთის იმპერატორი) 47, 519
ეკკლეზიასტი (იგულისხმება სოლომონ ებრაელი) 404, 546
ელადა 384, 406, 545, 547
ელენე (ა. წერეთელი, „კუდიან ხანუმა") 211, 530
ელინი (ძველი ბერძენი) 261, 538
ელკანი (ბიბლიური პერსონაჟი) 553
ეოლის ქნარი 452, 551
ერაყი 547
ერევნის მოედანი 302, 540
ერისთავი გ. 182, 205, 510, 512, 529, 555
ერისთავი დ. 103, 182, 524, 528
ერისთავი რაფიელ 8, 28, 127, 182, 189, 353, 463, 479, 497—498, 512, 516, 525, 529, 543, 550, 551—552, 554
ერპოლოვი ალექსი 408, 547

ესაია (ბიბლიური პერსონაჟი) 231, 533—534
ესონი (მითოლოგიური პერსონაჟი) 531
ეფთვიმე (ათონელი მოღვაწე) 522—523
ექვთიმე (მთაწმინდელი) 532
ეშმაკის მათრახი 543

ვ

ვარამ გაგელი (ქართველი დიდებული, XIII ს.) 530
ვართაგავა იპოლიტე 357, 388, 543—544, 546
ვახტანგ გორგასლანი 168, 170, 181, 471, 528, 553
ვახტანგ VI 471, 553
ვაჟა-ფშაველა 104, 137, 445, 503, 524, 526, 550, 554
ვახუშტი 528
ვენეციის წმ. მარკოზის ეკლესია 438
„ვესტნიკ ევროპი“ 103, 524
ვეშაპელი გრიგოლ (ვეშაპიძე) 406, 547
„ვისრამიანი“ 514
ვოლსკი გრ. (უმწიფარიძე) 240, 535
ვორონცოვი მიხეილ 408, 516, 547
ვრასტანი 49, 520

ზ

ზაალ არაგვის ერისთავი (ა. წერეთელი, „ბაში აჩუკი“) 213, 505, 531, 555
„ზაკავკაზსკაია რეჩ“ 419, 548
ზაქარია (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 533
ზევსი (მითოლოგიური პერსონაჟი) 78—79, 523, 534, 545
ზია ხანუმი (ა. წერეთელი, „გამზრდელი“) 192, 216, 530, 532
„ზოილი“ (დ. კეზელი) 516
ზოლა ემილ 240, 535
ზურაბ წერეთელი (ა. წერეთელი, „კიკოლას ნაამბობი“) 215, 374, 502, 532, 545, 554
ზურაბიშვილი ქ. (ანდრონიკოვი ქ.) 517

თ

„თანამედროვე ახალი“ 548
თამარი, ქართველთა დედოფალი (ა. წერეთელი, „თამარ ცბიერი“) 35—37, 93, 163, 211—212, 380—381, 507, 517—518, 522, 528, 531, 545, 549, 555
თამუზი (რელიგიური პერსონაჟი) 553
თაყაიშვილი ექვთიმე 322, 542
„თბილისი“ 519
„თეატრი“ 453, 516—518, 551
„თეატრი და ცხოვრება“ 541, 543, 548—549, 552
თედო (რაფ. ერისთავი, „თედუა“) 551
„თემი“ 239, 403, 453, 537, 539—540, 542—543, 551
თეიმურაზ I 521, 555
თეიმურაზ მეფე, თეიმურაზ II, 94, 433, 505, 513, 522, 549
თელავი 531
თინა (ა. წერეთელი, „პატარა ტარიელი“) 370, 544
თომაშვილი 21, 515
თემურ ლენგი 92, 100—101, 113, 213, 262, 440, 494, 501, 522—523, 525, 531, 538, 550, 554
თერგი 405, 546
თინათინ დედოფალი (ქახეთის დედოფალი) 531
თირთაი, ცირცეა, კირკე (მითოლოგიური პერსონაჟი) 163, 527—528
თორაძე ალექსანდრე 188, 529
თორნიკე ერისთავი (ა. წერეთელი, „თორნიკე ერისთავი“) 24, 95, 99, 139, 167, 170, 181, 189, 214, 222—223, 374—375, 383, 399, 404—405, 428, 442, 500—501, 515—516, 522—523, 526, 529, 532—533, 545—546, 549—550, 554
თორღვა პანკელი (ქართველი დიდებული, XIII ს.) 530
თუმანიშვილი გიორგი (მაჭახელიძე) 16, 20, 240, 254, 297, 514, 535, 537, 539
თუმანიშვილი მიხეილ 239
თურმანიძე (ა. წერეთელი, „კიკოლას ნაამბობი“) 215, 374, 532, 544

ი

იაზონი, იასონი (ა. წერეთელი, „მეფეა“) 212, 507, 531, 555
იაკობი (ბიბლიური პერსონაჟი) 210, 517, 541, 543, 551

იალბუზი 10, 103, 168, 309, 325, 451, 512, 526, 539, 541, 543, 547, 551
იანუსი (მითოლოგიური პერსონაჟი) 309, 404, 540, 546
იბსენი ჰ. 106. 524
იეზეკიელი, ეზეკიელი (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 229, 534
იეზუატი 100, 523
იერემია (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 47, 227—228, 231, 305, 347, 454, 519, 533—535, 540, 543, 552
იერუსალიმი 226, 533—534, 546—547
იესე, ისაია (ბიბლიური წინასწარმეტყველი) 546, 553
იესო, ქრისტე 132, 151, 180, 207, 318, 356, 378, 465, 525—526, 528, 530, 540, 552—553, 555
იეჰოიახი (ებრაელთა მეფე) 534
ივანე კვიტაშვილი (ა. წერეთელი, „დათუნა გოცირიძე") 378, 545
იეერია 304, 540
„ივერია" 18, 21, 57, 239—240, 453, 514—515, 518—520, 535—536, 551
„იეერია" გაზ. 514
იეერიის ხეთისმშობლის ხატი 532
„იკბალი" 418, 548
ილია (ა. წერეთელი, „კინტო") 21, 33, 515, 517
„ილიადა" 547
„იმერეთი" 232—233, 524, 535
იმნაიშვილი ივანე 552
ინალიფა (ა. წერეთელი, „გამზრდელი") 192, 216, 530, 532
ინგოროყვა პაველ 444, 550
იოანე იბერი 532
იოანე მთაწმინდელი 516
იოანე ვარაზ-ვაჩე (ა. წერეთელი, „თორნიკე ერისთავი") 181, 214, 532
იოელი (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 533
იოვანე (ათონელი მოღვაწე) 522—523, 532
იონა (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 533
იოსები (ბიბლიური პერსონაჟი) 36, 517, 525, 551
იოსებ ალავერდელი (საეკლესიო მოღვაწე) 531
ისააკი (ბიბლიური პერსონაჟი) 541
ისო ნაკები (ბიბლიური პერსონაჟი) 213, 500, 541, 552, 554
იუდა (ბიბლიური პერსონაჟი) 46, 155, 180, 326, 333, 477, 527, 543, 552—553
იყალთოელი არსენ 223, 542
ი. ც. 265, 538

კ

„კავკაზი" 26, 103, 420, 516, 524, 548
„კავკაზსკოე სლოვო" 420, 548
კათოლიკე პატრები 205
კასრაძე დ. 246, 311, 536, 541
კატკოვი მ. ნ. 548
კეელიშვილი 519
კეზელი დ. (სოსლანი) 516
კეკელიძე კორნელი 309, 523, 540
კელენჯერიძე მელიტონ 136, 526
კერესელიძე იაკინე 52, 56, 512, 520
კერპი (წარმართთა ღმერთი) 539
კეცხოველი ნიკო 529
„კვალი" 49—51, 240, 453, 512, 518—519, 536, 551
კვერნაკი 10, 512
კვირიკე კახთ ბატონი 531
კვიცარიძე ისიდორე 232—233, 535
კობელე (რელიგიური პერსონაჟი) 553
„კიევსკაია მისლ" 256, 537
კიკოლა (ა. წერეთელი, „კიკოლას ნაამბობი") 215, 374, 532, 545
კიკეძე თედო („ზღვისპირელი", „ჰაღარა"), 45, 48, 519
კირილე მღვდელი (ა. წერეთელი, „ბაში აჩუკი") 94, 213, 522, 531
კოლოსი 424, 548
„კოლხიდა" 529
კომენსკი ი. 368, 544
„კომუნისტი" 519
კორნელი 232, 534
კოტეტიშვილი ეახტანგ 381, 392, 545—546
„კრებული" 14—15, 28, 239, 255, 316, 453, 512—513, 520, 535, 537, 541, 551
კრილოვი ი. 130, 424, 463, 474, 491, 525, 552
კრონოსი (მითოლოგიური პერსონაჟი) 545
კუდურ-ხანუმი (ა. წერეთელი, „კუდურ-

ხანუმი“) 211, 530
კულა გლდანელი 32, 516
კეპერი ფ. 547
კერდღელაშვილი ნ. (ნარკანი) 134, 526

ლ

ლაისტი არტურ 3, 24, 28, 31, 515—516
ლაფონტენი ჟ. 130, 525
ლევან კახთა ბატონი 531
ლეოპარდი ჯ. 107, 184, 218, 524, 529, 532
ლერმონტოვი მ. 11, 41, 184, 203, 239, 248—249, 255, 424, 461, 475, 484, 493, 513, 518, 529, 535—537, 548, 552—554.
ლეტოსი (რელიგიური პერსონაჟი) 534
ლინოსი (რელიგიური პერსონაჟი) 534
ლიტერი მარტინი 368, 544
ლიოლა ი. (იეზუიტი, „იესოს საზოგადოების“ დამაარსებელი) 523
ლოკკი ჯონ 368, 544
ლოპიანა (გრ. ორბელიანი, „მუხამბაზი“) 514
ლორთქიფანიძე კირილე 153, 255, 514, 527, 537
ლორთქიფანიძე ნიკო (თანიმელო) 38, 523
ლებკოვსკი რ. 537
ლუკა (ბიბლიური პერსონაჟი) 514

მ

„Magazin für die Literatur“ 515,516
მაიკო (ორბელიანი) 544
მაიკოვი 424, 518, 548
მათე (ბიბლიური პერსონაჟი) 465, 533, 552
მალაქია (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 533
მამადავითის ეკლესია 124, 310, 392, 421, 429, 537—538, 549
მამულაიშვილი 16, 513
მანასე (ბიბლიური პერსონაჟი) 534
„მანოელიძე“ (არტემ ახნაზაროვი) 519
მანსვეტაშვილი იაკობ 232—233, 535,
მარკოვი ე. 39, 41, 518
მარო რაზმაძე (ა. წერეთელი, „ახალი გმირი“) 212, 531
მაქსიმიძე 33, 517
მაყაყარიანი თამარ 543
მაყაყარიანი იოსებ 326, 356, 543
მაჩაბელი 21, 515
მაჩაბელი იყანე 240, 312, 514, 536, 541, 551
მახარაძე ფილიპე (არიელი) 295, 539
მაჰმედ-ფაშა (ა. წერეთელი, „კუდუხანუმი“) 211, 530
„მეგობარი“ 550
მედეა (ა. წერეთელი, „მედეა“) 163, 212, 508, 527, 531, 555
მელანო (ა. წერეთელი, „ბაში აჩუკი“) 94, 522
მელიქიშვილი გიორგი 540
მელქიშვილი ლევან 544
„მესამე დასი“ 459
მესია (იუდეველთა „მხსნელი“) 230, 347, 414, 534, 543
მესხი სერგეი (ს. მ.) 14—15, 56, 312, 316, 513—514, 541
მესხია შოთა 540
მეფე დიმიტრი (თავდადებული) 189, 529
მეფე კონსტანტინე (კონსტანტინე II) 257, 537
მთაწმინდა (მამადავითის მთა) 124, 214, 223, 260, 293, 310, 320, 406, 537—539, 542, 546—547
მთაწმინდელი გიორგი 522—523
მირზა-ფატალი-ახუნდოვი 212, 531
მიუნხენი 513
მიქეა (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 533
მიქელანჯელო 232, 438, 534, 550
მიქელაძე კატო 134, 526, 543
მიცკევიჩი ადამ 137, 235, 451, 526, 535, 551
მიხაილოვსკი ნ. 43, 239, 518, 535
„მოამბე“ 9
მოგიკანი (მოჰიკანი) 407, 547
„მოდინახე“ (ციხე) 165, 210—211, 406, 409, 432, 528, 530, 547, 549
მოლიერი ჟ. 35, 212, 517, 531
მონღოლები 93, 116, 132, 201—202, 211, 432, 522, 528, 530
მონღოლეთი 162—163, 432
მოპასანი გ. 58, 520
მოსე (ებრაელთა წინასწარმეტყველი)

231, 310, 533—534, 541, 551—552
„მოსკოვსკიე ვედომოსტი“ 424, 548
მოძღვარი (ი. ჭავჭავაძე, „გლახის ნამბობი“) 532
მღედლიაშვილი მიხეილ (მ. მ.) 424, 445, 549—550
მყინვარი 220, 325, 405, 543, 546
„მშაკი“ 417, 548
მწყემსი ქალი (ი. ჭავჭავაძე, „განდეგილი“) 223, 533
მჭედლიძე ბაბო 324, 542, 546, 548

ნ

ნაბუქოდონოსორი (ბაბილონის მეფე) 533, 547, 552
ნადსონი ს. 424, 549
ნაზიბროლა (ა. წერეთელი, „ვამზრდელი“) 191, 215, 377, 530, 532, 545
ნათელა (ა. წერეთელი, „ნათელა“) 165—166, 170, 181, 196—201, 203—204, 210, 312, 376, 383, 432, 460, 501—502, 528, 530, 541, 545, 549, 553—554
„ნაკადული“ 311, 393, 536, 541, 546
ნაკაშიძე ნინო 536
ნაკაშიძე, სახლთუხუცესი (ა. წერეთელი, „თამარ ცბიერი“) 518
ნაპოლეონი 264, 412, 538, 548
„ნაროდნიკები“ 240, 536
ნასიძე მიხეილ („მე გახლავარ“) 58—59, 520
ნაუმი (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 533
ნახუცრიშვილი დავით 314, 541
ნეკრასოვი ნ. 17, 40, 41, 424, 452, 514, 518, 548, 551
ნესტან დარეჯანი („ვეფხისტყაოსანი“) 84—85, 111, 117—118, 124, 134, 190, 216, 230, 254, 265, 304, 325, 354, 370, 384, 386, 411—414, 437—439, 451, 466, 484, 521, 525, 529—530, 532, 534, 537—538, 540—541, 543—544, 546—547, 550—552
ნიკეის საეკლესიო კრება 553
ნიკოლაევი ა. 537
ნიკოლაძე ნიკო 38, 56, 239, 249, 255, 302, 312, 315, 407—408, 449, 513, 518, 520—521, 535, 537, 540—541, 547, 551
ნიკოლოზ I (რუსეთის იმპერატორი) 389, 546, 552
ნიკიტინი ივანე 424, 549
ნინო (წმინდა ნინო) 85, 163, 187—191, 210, 216, 313, 326, 359, 383, 431, 442, 474, 521, 528, 530, 532, 541, 543—544, 549—550, 553
ნიორაძე გიორგი 366, 544
„ნობათი“ 25, 516, 520, 524, 539
„ნოეთე ობობრენიე“ 38, 516—518
ნოინი 166, 169, 189, 200, 204, 211, 376—377, 432, 502, 528—529, 545, 554
ნოინ ქარმაღანი, ჩორმაღანი 201, 549
ნორვეგია 106

ო

ობადია (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 533
„ოდისეა“ 547
ოდისევსი (მითოლოგიური პერსონაჟი) 527—528
ოდიში 517
ოთარაანთ ქვრივი (ი. ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი“) 181
ოთია (ა. წერეთელი, „ოთია მესხი“) 168, 170, 503—504, 528, 554
ოიდიპოსი (სოფოკლე, „ოიდიპოს მეფე“) 507, 555
ოლიმპო 99, 253, 523
ომარ ხაიამი 107, 184, 524, 529
ონოფრე (ა. ყაზბეგი, „მოძღვარი“) 220—221, 533
ორბელიანი გრიგოლ 8, 20, 34, 55, 64, 104, 127, 182, 222—223, 287, 410, 463, 484—486, 488, 507, 512, 514, 517, 520, 524—525, 528, 533, 539, 546—547, 552, 554
ორბელიანი ვახტანგ 182, 463, 528, 552
ორბელიანი ქაიხოსრო 544
ორბელიძე (ა. წერეთელი, „თორნიკე ერისთავი“) 214, 428, 532, 549
„ორიზონი“ 417, 548
„ორლანი“ (არტემ ახნაზაროვი) 519
ორლოვსკაია ნ. 515

ოსია (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 533
ოსირისი (რელიგიური პერსონაჟი) 533
ოცხელი 529

პ

პავლოვი ნ. 518, 548
პაპი კლემენტი XIV 523
პაპი პავლე III 523
პარიზი 529
პარნასი 439, 550
პატარა კახი, ერეკლე II 95, 104, 189, 211, 215, 237, 320, 383, 427, 502, 506—507, 522, 529—530, 532, 535, 542, 545, 549, 554
პელიასი (მითოლოგიური პერსონაჟი) 531
პენტეფრია (ბიბლიური პერსონაჟი) 35, 517
პერსე (მითოლოგიური პერსონაჟი) 527
პუშტალოცი ი. 368, 544
პიპინი 281, 539
პირიმზისა (ა. წერეთელი, „ბაში აჩუკი") 213, 373, 531—532, 544
პირიმთვარისა (ა. წერეთელი, „ბაში აჩუკი") 213
პისარევი დიმიტრი 239, 249, 535—536
პლანეტა 122, 525
პლატონი 222, 533, 553
პლეშჩეევი ა. 22, 452, 515, 551
პლეხანოვი 239, 535
პლინიუსი (რომაელი პოეტი) 413, 548
პლუტონოსი, პადესი (მითოლოგიური პერსონაჟი) 384, 545, 548
პოლიმედე (მითოლოგიური პერსონაჟი) 531
პოსეიდონი (მითოლოგიური პერსონაჟი) 545
პოტიფარი, პენტეფრია 517
პრაქსიტელი 232, 438, 534, 550
პროკრუსტე, დამასტოსი 35, 517
პრომეთე, პრომეთეოსი (მითოლოგიური გმირი) 99, 414, 523, 548
პროტესტანტი 386, 546
პუშკინი ა. 11, 27, 39—41, 108, 137, 142, 235, 239, 249—250, 255, 266, 423—424, 427, 490, 496, 513, 516, 518. 524, 526, 532, 535—538, 548—549, 552—554

ჟ

ჟან-ჟაკ რუსო 368, 544
ჟენევა 529

რ

რასინი ჟან 232, 534
რალფ მილბენკი (ბაირონის სიმამრი) 539
რატიანი პ. 540
რაფაელი 232, 438, 534, 550
რეა (მითოლოგიური პერსონაჟი) 545
როსტევანი („ვეფხისტყაოსანი") 521, 554
როსტომი (აკაკი წერეთლის მამა) 205
„როსტომიანი" 323
რუსთაველი 12—13, 27, 37, 53—55, 57, 84, 104—106, 216, 235, 242—243, 245, 253, 283—284, 307, 311, 327, 348, 352, 391, 410, 417, 420—421, 425, 438, 442, 449, 455—456, 484—486, 508, 518, 521, 555
„რუსსკიე ვედომოსტი" 43, 518, 523, 548
რცხილაძე გიგო 271, 538

ს

სააკაძე გიორგი 302, 383, 540, 545
საბერძნეთი 162—163
„საბჭოთა სამართალი" 519
სავარსამიძე (ა. წერეთელი, „თორნიკე ერისთავი") 428, 549
საელე (ბიბლიური პერსონაჟი) 546
სალომე (ა. წერეთელი, „კინტო") 21, 33, 515, 517
სალტიკოვი მ. (სალტიკოვ-შჩედრინი) 42—43, 518
სამთავისის ეკლესია 541
სამოთხე 175, 268, 308, 499, 528, 538
სამსონი (ბიბლიური პერსონაჟი) 121, 151, 207, 526—527, 530, 543
სამსონი (ა. წერეთელი, „კინტო") 21, 515
სამუელი (ბიბლიური პერსონაჟი) 481, 553
„სამშობლო" 538—539, 543, 546
სარაჯიშვილი ალექსანდრე (ა.) 20, 514
სარგის თმოგველი (ქართველი დიდებული, XIII ს.) 530

„სასოფლო გაზეთი“ 512
სასუფეველი ბზ, 537
სატანა 152, 292, 539
საული (ბიბლიური პერსონაჟი) 392, 546, 553
საფარ-ბეგი (ა. წერეთელი, „გამზრდელი“) 71, 192—195, 215, 377—378, 504, 530, 532, 545, 554
„საქართველო“ 529, 547
„საქართველოს მოამბე“ 19, 239, 255, 512, 514, 526, 535, 537
საღვთო წერილი 160, 205, 225, 527, 530, 533
საჩხერე 539
„სახალხო ფურცელი“ 538—539, 543, 545
სახოკია თედო 48—50, 519
სემენოვი ი. ფ. 548
სენტენცია 545
სერვანტესი მ. 408, 416, 547
ს. ვ. არღუთაშვილ-მხარგრძელი 446, 550
სვიმონ მესვეტე (ასკეტი) 221, 533
სიდამონიძე ე. 519
სიდჰართა გაუტამა (ბუდიზმის შემქმნელი) 525
სილოვანი (ხუნდაძე) 330, 552
სილომის ტაძარი 553
სიმონ მაყაშვილი (ა. წერეთელი, „ბაში აჩუკი“) 94, 372, 505, 522, 544, 555
სინას მთა 533—534
სკვარცოვი ნ. 518, 548
სკლიაროსი ბარდა (ა. წერეთელი, „თორნიკე ერისთავი“) 24, 99, 214, 500, 515, 523, 532, 554
სობოლევსკი ვ. 518, 548
„სოვრემენნიკი“ 519
სოლოვიოვი ვ. 369, 544
სოლომონ II (იმერეთის მეფე) 215, 502, 530, 532
სოლომონ I დიდი (იმერეთის მეფე) 161, 205, 527, 530
სოლომონ ებრაელი (ებრაელთა მეფე) 107, 121, 184, 218, 412, 524, 529, 532, 546— 547
სოლომონი, ლეონიძე (ნ. ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა“) 237, 535
სოლომონ მეფე (ა. წერეთელი, „კიკოლას ნაამბობი“) 554
სოსლანი (დ. კეზელი) 26, 32, 35, 516—517
სოფიო ამირაჯიბი 550
სოფიო (ნ. ბარათაშვილი. „ბედი ქართლისა“) 237, 506, 535, 555
სოფოკლე 106, 507, 524, 555
სოფონი (ებრაელთა წინასწარმეტყველი) 533
სტალი ა. 32, 516
სულიკო (ა. წერეთელი, „სულიკო“) 326, 486, 543
სულიწმინდა 160, 527
სურამი 529
სფინქსი, სფინქსი 412, 517, 547

ტ

ტაბიძე გალაკტიონი 550
ტარიელი („ვეფხისტყაოსანი“) 84—85, 111, 134, 175, 216, 325, 370—371, 412—413, 415, 438—439, 484, 521, 525, 538, 543—544, 548, 550, 553
ტარნოვსკი ი. 537
ტელეგონოსი (მითოლოგიური პერსონაჟი) 528
ტინტორეტო 438, 550
ტიტანი (მითოლოგიური პერსონაჟი) 539
ტიციანი 438, 550
ტოლსტოი ა. 41, 44, 518
ტრეტიაკოვსკი (ტრედიაკოვსკი ვასილ) 240, 536
ტურგენევი ივანე 249, 496, 536, 554
ტერფა (ა. წერეთელი, „პატარა კახი“) 507, 555

უ

უოლტ უიტმანი 381, 545
უმიკაშვილი პეტრე 56, 514, 520
უსოვი 15, 503
უშინსკი კ. 67, 521

ფ

ფანცხავა იაკობ (ხომლელი) 77, 232, 445, 447, 521, 535—536, 549—550
ფარსმან მეექვსე 540
„ფასკუნჯი“ 521
ფატმანი („ვეფხისტყაოსანი“), 210, 530, 552
ფენიქსი (მითოლოგიური ფრინველი) 303, 540

ფიდიასი 232, 438, 534, 550
ფირალიშვილი თ. 515
ფრიდონი („ვეფხისტყაოსანი") 111, 175, 414—415, 468, 513, 525, 548, 552
ფურცელაძე ანტონ („ქერელი ბექა") 9—10, 56, 75, 512, 520—521

ჭ

ქაიხოსრო (ა. წერეთელი, „კიკოლას ნაამბობი") 374, 545
ქალწული მარიამი (ბიბლიური პერსონაჟი) 525
„ქართველთა ამხანაგობა", „წიგნის მბეჭდველთა ამხანაგობა" 45, 232
ქაშვეთის ეკლესია 309, 540, 542, 553—554
ქეთევანი (ქეთევან წამებული) 85, 163, 181, 216, 313, 326, 359, 383, 431, 442, 474, 521, 528, 532, 541, 543—544, 549—550, 553
ქეთო ჩიტაძე (ა. წერეთელი, „ახალი გმირი") 212, 531
ქვაბულიძე ლევან (ა. წერეთელი, „პატარა კახი") 507, 555
ქველი წერეთელი (ა. წერეთელი, „ნათელა") 196, 210, 528, 530
ქრისტები 526
ქოჩაკიძე გ. (ჭალადიდელი) 39, 151, 240, 492, 518, 527, 535, 554
ქუთათელი, მსაჯულთუხუცესი (ა. წერეთელი, „თამარ ცბიერი") 212, 518, 531

ღ

ღვიმელი (ალექსანდრე ცაგარელი) 10, 12, 512
ღმერთქალი ათენა 531
ღულაძე ანდრია 516

ყ

ყაზბეგი ალექსანდრე 137, 182, 220, 222, 224, 461, 526, 532—533, 551—552
ყვარყვარე ჯაყელი (ქართველი დიდებული, XIII ს.) 530
ყიფიანი დიმიტრი, დიმიტრი თავდადებული 54, 182, 310, 320, 421, 520, 525, 529, 541—542, 548, 550—551
ყიფიანი ვ. 48, 519
ყიფშიძე გრ. 514

შ

შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები (ა. წერეთელი, „ბაში აჩუკი") 94, 213, 383, 505, 522, 531, 545, 555
შანიძე აკაკი 523
შარაშიძე თაგუნა 543, 548
შარაშიძე ქრისტინე (ჩიტო) 543, 548
შაჰ-აბასი 37, 94, 164, 400, 432, 440, 505—506, 518, 521—522, 528, 546, 549—550, 554—555
შევჩენკო ტარასი 485, 554
შელი პ. 232, 534
შექსპირი 27, 66, 106, 137, 264, 516, 521, 524, 526, 538
შილერი ფ. 104—105, 137, 232, 524, 526, 534
შიშნიაშვილი ნ. (ჭრომაშვილი) 21, 515
შოთა კეპრი (ქართველი დიდებული, XIII ს.) 530
„შრომა" 453, 516, 551—552
შუამთის მონასტერი 213
შუმერები 547

ჩ

ჩაგოვეცი ვსევოლოდ 256, 537
ჩაილდ ჰაროლდი (ბაირონი, „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა") 384, 505
ჩარკვიანი გრ. 20, 514
ჩერნიშევსკი ნ. 239, 249, 535—536
ჩერქეზი ჰარუნი (ლერმონტოვი, „ლტოლვილი") 475, 553
ჩიორა (არტემ ახნაზაროვი) 48, 51, 519
ჩიტაია გ. 540
„ჩონგური" (კრებული) 255
ჩხეტია ა. (სანდრო) 101, 523—524
ჩუბინაშვილი დ. (ჩუბინოვი) 11—12, 512—513

ც

ცაგარელი აქსენტი 13, 488, 512—513, 554
ცახელი (პარმენ თვალჭრელიძე) 240, 535
ცირა (ა. წერეთელი, „თამარ ცბიერი") 94, 211, 380, 507, 522, 531, 545, 555
„ცისკარი" 8, 11, 52, 205, 248, 453,

461, 512—513, 516—517, 519—520, 524—525, 528—529, 533, 536, 543, 551—555
ცოტნე დადიანი (ა. წერეთელი, „ნათელა“) 93. 168, 170, 181, 189, 199, 200—201, 204, 211, 262, 432, 502, 522, 528—530, 538, 549, 554
ცხვედაძე ნიკო 550
„ცხოვრება“ 549—550

ძ

ძველი შუამთა 531

წ

წერეთელი გიორგი (გ. -თელი) 8, 49, 56, 182, 240, 255, 460, 512—514, 519—520, 529, 536—537, 552
წერეთელი ვასილ („ვ. წ.“, „ზემო იმერელი“, „ურო“, „ულმობელი“) 59, 105, 292, 520, 524, 539
წერეთელი პაპუნა 528, 530
წიწამურის ველი 406, 546
წმ. გიორგი 531
წმინდა მთა 95, 523

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე 55, 111, 121, 237, 287, 513—514, 520, 525, 535, 539, 547
ჭავჭავაძე ილია 4, 9—10, 12—13, 16—18, 22, 24, 28, 31, 34, 38, 40, 43. 52—57, 75—77, 91, 104—106, 108, 116, 127, 131, 137—138, 143, 182, 185, 188, 191, 206, 210, 214, 219—221, 224—227, 231—233, 238—239, 245, 249, 258—261, 271, 275, 277, 279, 282, 286, 310—312, 315, 318, 320, 351, 353, 385, 393—394, 406, 408, 410, 415, 421, 429, 441, 445, 454—455, 460, 463, 465, 472, 474, 483, 490, 497, 500, 508—509, 512. 514—515, 517, 519—520, 525—526, 529, 530, 532—535, 537—538, 540—543, 545—548, 550—554
ჭიკვინაძე ალ. 317, 542
ჭიკვინაძე ზაქარია (ზ. ჭ.) 51, 57, 520, 553
ჭონქაძე დანიელ 52, 520
ჭრელაშვილი სტეფანე (სანო) 518
ჭრიაშვილი გლახა (ი. ჭავჭავაძე. „გლეხთა განთავისუფლების ორგანოდროების სცენები“) 15, 513, 520
ჭყონია ალექსანდრე (მაჭახელიძე) 514

ხ

ხახანაშვილი ალექსანდრე (ხახანოელი) 107, 183, 205, 423, 524, 529—530, 540, 548
ხაჭაპურიძე გ. 540
„ხელმწიფის კარის გარიგება“ 542
ხერხეულიძე მიხეილ 321 431, 542, 549
სერხეულიძე ქიცა (გრიგოლ) 542
„ხმა კახეთისა“ 540, 546
ხოსიტაშვილი ბ. 526
ხოსრო გირკანელი (ა. წერეთელი, „ახალი გმირი“) 221, 531
ხუნდაძე სილოვან 330, 454, 456, 540, 592, 554
ხუნდაძე სიმონ 264, 538
ხუციშვილი სოლომონ 549

ჯ

ჯავახეთი 530
ჯავახიშვილი გ. 91, 521
ჯაფშანიძე (ა. წერეთელი, „თორნიკე ერისთავი“) 428, 549
ჯანაშვილი დიმიტრი (ინგილო ჯანაშვილი) 11, 13, 474, 513, 535, 553
ჯანდიერი (ა. წერეთელი, „ბაში აჩუკი“) 94, 374, 522, 544
ჯაფარიძე ტრიფონ 288, 539
ჯორბენაძე ს. 519
ჯორჯაძე არჩილ 288, 539
ჯორჯიკია ჯაჯუ 529
ჯოჯუა (ა. წერეთელი, „თორნიკე ერისთავი“) 181, 428, 549
ჯოჯოხეთი 538, 528
ჯაჯანაშვილი აჩილ (ჯ-შვილი) 287, 539

§

ჰაოსტანი 49, 520

ჰაჯი უსუბა (ა. წერეთელი, „გამზრდელი") 71, 194—195, 216, 378, 504, 530, 532, 554

ჰეინე (ჰაინრიხ ჰაინე) 217, 409—410, 547

ჰელიოსი (მითოლოგიური პერსონაჟი) 527

ჰერმესი 438, 550

ჰერცენი ა. 416, 548

ჰიეგოვა (ჯაჰვე) 227, 532—533

ჰილი (ქალაქი) 547

ჰიუგო ვ. 108, 524

ჰომიროსი 406, 547

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა 3

აკაკი წერეთელი რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (მ. გოშაძე) 4

1. გ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, წერილი რედაქტორთან 8

2. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“ 8

3. ან. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ქართული ლიტერატურა 9

4. ღ ვ ი მ ე ლ ი, ალ. ც ა გ ა რ ე ლ ი, ჩუსნი დროების მწერლები 10

5. დ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, მახე 11

6. ალ. ც ა გ ა რ ე ლ ი, ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში 13

7. ს. მ ე ს ხ ი, „კრებული“—მეექვსე და მეშვიდე წიგნი, 1872 წ. 14

8. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო 15

9. გ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება 16

10. გ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება 16

11. ა. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი, ალმანახი 20

12. თ ე ა ტ რ ი ს მ ა ტ ი ა ნ ე 20

13. დ. ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ბიბლიოგრაფია 21

14. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, შინაური მიმოხილვა, ნიშანი ერის ჰასაკში მოსვლისა 22

15. ა რ ტ უ რ ლ ა ი ს ტ ი, ქართული ლიტერატურა 24

16. შ ი ნ ა უ რ ი ქ რ ო ნ ი კ ა 24

17. ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, ბიბლიოგრაფია, „ნობათი“, საყოველთაო პედაგოგიური ჟურნალი, იანვრის წიგნი 25

18. ს ო ს ლ ა ნ ი, დ. კ ე ზ ე ლ ი, ფელეტონი, ბიბლიოგრაფიული შენ-შენა „თორნიკე ერისთავი“ 26

19. ა. ლ ა ი ს ტ ი, აკაკი წერეთელი 28

20. შ ი ნ ა უ რ ი ქ რ ო ნ ი კ ა 31

21. დ. ს ო ს ლ ა ნ ი, კ ე ზ ე ლ ი, ქართული თეატრი, აკაკი წერეთლის კომედია „კინტოს“ განხილვა, აკაკის გამოსვლა ანტრაქტებში 32

22. X. აკაკის სურათზედ 37

23. დ. ს ო ს ლ ა ნ ი, ბიბლიოგრაფია, „თამარ ცბიერი“. 35

24. ჯ ა ნ ი, ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული თეატრი 35

25. ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, კრიტიკა, აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე 2 მარსს, 1889 წელს 38

26. თ. კ ი კ ვ ა ძ ე, ორგვარი აზრი აკაკის ლექსებზე 45

27. ჩ ი ო რ ა, არტემ ახნაზაროვი, ორი ახალი წიგნი, საბიბლიოგრაფიო შენიშვნა 48

28. ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, აკაკი 51

29. მ ე გ ა ხ ლ ა ვ ა რ, მ. ნ ა ს ი ძ ე, თეატრს მატიანე, „ხანის ეზოში“, კომედია 4 მოქმედებად, აკაკი წერეთლისა 54

30. ვ. წ ე რ ე თ ე ლ ი, კრიტიკული წერილები, წერილი მეორე. საძი პოეტი, აკაკი წერეთელი 59

31. ლ. ბ ო ც ვ ა ძ ე, აკაკის პედაგოგიური აზრების მოკლე მიმოხილვა

32. ა ნ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, აკაკი 75
33. ი. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა, აკაკი 77
34. კ. ა ბ ა შ ი ძ ე, აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი 83
35. კ. ა ბ ა შ ი ძ ე, აკაკი წერეთელი 87
36. გ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ეროვნული მხარე აკაკის პოეზიისა 91
37. თ ა ნ ი მ ე ლ ო, ნ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, საპირბოროტო საკითხები, მამული თუ სასუფეველი 98
38. ს ა ნ დ რ ო, ა ლ. ჩ ხ ე ტ ი ა, თეატრი და ხელოვნება, ქართული წარმოდგენა ახალ თეატრში, „პატარა კახი" აკაკისა 101
39. ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული პოეზიის იალბუზი 103
40. ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, აკაკი და „მსოფლიო გოდების" პოეზია 107
41. ივ. გ ო მ ა რ თ ე ლ ი, კრიტიკული ესკიზი 109
42. კ. ა ბ ა შ ი ძ ე. თ. აკაკი წერეთელი, სალირიკო პოეზია 109
43. ნ ა რ კ ა ნ ი, ნ ი კ ო კ უ რ დ ღ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, აკაკი პარიზში 134
44. მ. ქ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი 135
45. ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ქ ი ლ ი, აკაკი და მსოფლიო გოდების პოეზია 183
46. ნ. გ ი გ ა უ რ ი, აკაკის იუბილეის გამო 184
47. ა. თ ო რ ა ძ ე, აკაკისა და ილიას შემოქმედება 188
48. ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, აკაკი წერეთელი 205
49. ს. დ ა დ ი ა ნ ი, საზოგადოებრივი აზრები მე-19 საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში 219
50. კ. ა ბ ა შ ი ძ ე, ილია და აკაკი, მოძღვარი და წინასწარმეტყველი 225
51. ხ ო შ ტ ე ლ ი, აკაკი, როგორც დიდი ეროვნული მგოსანი 232
52. ი. ა ნ თ ა ძ ე, დიდებული აკაკის ხსოვნას 243
53. დ. კ ა ს რ ა ძ ე. აკაკი 246
54. ივ. გ ო მ ა რ თ ე ლ ი, აკაკი 251
55. გ. თ ე მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, აკაკი წერეთლის ვნიშვნელობა ქართულ მწერლობაში 254
56. ვ ს ე ვ ო ლ ო დ ჩ ა გ ო ე ც ი, რუსული პრესა აკაკის შესახებ 256
57. ს. დ ა დ ი ა ნ ი, საზოგადოებრივი აზრები აკაკის პოეზიაში 258
58. ს ი მ ო ნ ხ უ ს დ ა ძ ე, დიდებული აკაკის ბრწყინვალე ხსოვნას 264
59. ი. ც. აკაკის ჩანგი, მოკლე მიმოხილვა 265
60. გ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე, აკაკი 271
61. ს. დ ა დ ი ა ნ ი, აკაკი როგორც ცისა და მიწის შვილი 279
62. გ რ. გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი, უკვდავი მგოსანი 284
63. ა რ. ჯ — შ ვ ი ლ ი, ა რ ჩ ი ლ ჯ ა ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, აკაკი წერეთელი 287
64. ტ რ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, სწვანაირი სიკვდილი, აკაკის დასაფლავების დღე. 288
65. ვ. წ ე რ ე თ ე ლ ი, აკაკის პოეზია 292
66. გრ. გ ი ო რ გ ა ძ ე, სიტყვა საჩხერეში 293
67. არიელი, ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, აკაკი და ხალხი 295
68. ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, სიტყვა, წარმოთქმული აკაკის დაკრძალვის დღეს ერევნის მოედანზე 302
69. ე ი ნ მ ე, ს. გ ე რ ს ა მ ი ა, მგოსანი აკაკი, გაკვრით 302
70. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, სიტყვა, აკაკის შემოსვენებაზე ქაშვეთის ეკლესიაში 309
71. ღ. კ ა ს რ ა ძ ე. დიდი მგოსნის გარდაცვალება 311
72. დ. ნ ა ხ უ ც რ ი შ ვ ი ლ ი, ძვირფასი აკაკის ხსოვნას 314
73. ვ. ო ბ ო ლ ე ი, ვ ა რ ლ ა მ ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, აკაკი 315
74. ალ. ჰ ი პ ი ნ ა ძ ე. სიტყვა, ტფილისის ქართული გიმნაზიის წარმომადგენლის ბ-ნის ალ. ბეს. პიპინაძისა 317

75. მიხ. ხერხეულიძე, სიტყვა . 321
76. ე. თაყაიშვილი, აკაკი და ზეპირსიტყვიერება 322
77. ბაბო მჭედლიძე, სიტყვა, თქმული ქუთაისის საკათედრო ტაძარში 324
78. ი. მაჭავარიანი, სიტყვები 326
79. ივ. გომართელი, სიტყვები 327
80. გიორგი, აკაკი როგორც მგოსანი 330
81. ივ. გომართელი, აკაკი 349
82. ს. მაჭავარიანი, აკაკი რითია ძვირფასი 356
83. იპ. ვართაგავა, აკაკი, როგორც სატირიკოსი 357
84. გ. ნიორაძე, აკაკის პოეზიის ესტეთიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა 366
85. ვ. კოტეტიშვილი, აკაკი და საქართველო . 381
86. შ. დადიანი, რეფერატი წაკითხული შალვა დადიანის მიერ 385
87. ვ. კოტეტიშვილი, აკაკი წერეთელი 392
88. მ. აბრამიშვილი, გატეხილი პიროვნება 403
89. გრ. ვეშაპელი, აკაკი და საქართველო 406
90. ა. ალდონი, აკაკი და მისი პოეზია 416
91. მ. მ. ჯიხეილ მღვდლიაშვილი, ეროვნული ლირიკოსი 424
92. ალ. გარსევანიშვილი, აკაკი წერეთელი 429
93. მიხ. ხერხეულიძე, ქართველი ქალი და-აკაკი 431
94. კ. აბაშიძე, აკაკი წერეთელი . 436
95. გრ. გველესიანი, აკაკის გარდაცვალების წლისთავზე 440
96. პ. ინგოროყვა, აკაკის საღამო 444
97. ხომლელი, ბიბლიოგრაფია 445
98. ხომლელი, კრიტიკული დახასიათება, აკაკი 447
99. სილ. ხუნდაძე, კრიტიკული შეცდომები 454
100. სილ. ხუნდაძე, აკაკი წერეთელი 456
კომენტარები 512
საძიებელი 556

АКАКИЙ ЦЕРЕТЕЛИ В ДОРЕВОЛЮЦИОННОЙ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРНОЙ КРИТИКЕ

Составление, предисловие, вступительная статья, комментарии и указатель

Мзии Шалвовны Гошадзе

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1985

გამომცემლობის რედაქტორი ც. ხეთერელი
მხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ა. ომიაძე
კორექტორი ც. მოლოდინი

ხბ 652

გადაეცა წარმოებას 29. 12. 82. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 11. 84.
საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×90¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 38,6. საღრ.-საგამომც. თაბახი 37,06.
ტირაჟი 2500. შეკვეთის № 236.
ფასი 2 მან. 70 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის - გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.
თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.